საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი
მუდმივმოქმედი კომისია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი IX

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში

დაღესტანი, ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, დურძუკეთი, ჩრდილო-კავკასიის სვანეთი, ოსეთი, ქისტეთი, ალბანეთი

ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 100 და თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 20 წლისთავს

თბილისი 2022

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიის ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“ წარმოადგენს წმ. სინოდის 2015 წლის 22 დეკემბრის დადგენილების აღსასრულებლად გაწეულ სამუშაოს. დადგენილებაში ნათქვამია – „დაევალოს მღვდელმთავართ და საქართველოს საპატრიარქოს უმაღლეს სასწავლებლებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ისტორიულად შემავალ ეპარქიებში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ნაშრომების მომზადება“. მიტროპოლიტ ანანიას ნაშრომი სიახლეა იმ მხრივ, რომ პირველად ხდება ჩვენს საეკლესიო ისტორიოგრაფიაში განზოგადებული გამოკვლევა თემისა – **„საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“**. მრავალი რუსი მეცნიერი, განსაკუთრებით დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ოსი, ყარაჩაელი, ბალყარელი, აფხაზი, აზერბაიჯანელი და სხვა მკვლევრები ინტენსიურად იკვლევენ ამ საკითხს, ძირითადად, შეიძლება ითქვას, ძალზე მიკერძოებით და ტენდენციურად. მეუფე ანანიას ნაშრომი ეფუძნება ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, საინტერნეტო მასალას, ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილ ფაქტებს ქართული კულტურისა და სხვა.

მისი საბოლოო დასკვნით, მართლდება ქართული წყაროები, რომელთა მიხედვითაც, ჩრდილოეთ კავკასიაში თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოსეკლესია. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა თემურ-ლენგის შემოსევამდე და ნაწილობრივ მის შემდეგაც, წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მრევლს, რომელიც აგებდა მრავალ ეკლესია-მონასტერს, ჯვარხატთა ნიშებს და იქ აღესრულებოდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვები, საჭიროების დროს კი ჩრდილოკავკასიელი ქრისტიანები თავიანთ საუკეთესო შვილებს ომებში აგზავნდნენ სამშობლოს – საქართველოს დასაცავად.

იბეჭდება პროფესორ ივანე გორგიძის საერთო რედაქციით

შესავალი

ჩრდილო კავკასიის ვრცელი რეგიონი, გადაშლილი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ქართული წყაროებისა და იქ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის მასალათა მიხედვით, თემუ ლენგის ლაშქრობამდე, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

თემურ-ლენგის ეპოქიდან შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე, ის იქამდე, ძირითადად, ქართველთა მონათესავე და ასევე სხვა აქ ჩამოსახლებული ტომებით იყო დასახლებული. იბერებისა და ჩრდილო კავკასიელების ეთნიკურ ნათესაობას მიუთითებდნენ სტრაბონი და ქარული წყაროები.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასია დასახლებული იყო იბერიული ხალხების ეთნარქების – „ეგროსის“, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია – „ლეკოსის“, ხოლო ცენტრალური ნაწილი კი „კავკასოსის“ შთამომავლებით. ეს იყო სუბსტრაქტი, რომელსაც ამჟამად უწოდებენ „იბერიულ – კავკასიურ ხალხებს“. მონღოლთა შემოსევების დროისათვის ეს ხალხები უკვე ქრისტიანები იყვნენ.

გერმანული წარმოშობის ცნობილი რუსი მეცნიერის ვ. მილერის კვლევით, თემურ ლენგთან დამარცხების შემდეგ ჩრდილო კავკასიური (იბერიული წარმოშობის) ხალხები ასიმილირდნენ სტეპებიდან მთებში ასულ წარმართ ნომადურ – მომთაბარე ტომებში. ამის შედეგად ისინი თავდაპირველად გაწარმართდნენ (თუმცა შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოებრივი ელემენტები), შემდეგ კი გამუსულმანდნენ და ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად.

ეკლესიურად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრებამ (მე-7 საუკუნეში) ჩრდილო კავკასია გადასცა საქართველოს საეკლესიო იურისდიქციას. ამასვე მიგვითითებს ბიჭვინთის იადგარი და სხვა ძეგლები. ამ ცნობით, ჩრდილო კავკასია პირველ ათასწლეულში უკვე ქრისტიანული იყო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ეს ნიშნავს, რომ იმჟამად, ჩრდილო კავკასიელები ქართულ ენაზე ლოცულობდნენ და მათი წირვა – ლოცვის ენა ქართული იყო.

საქართველოს ეკლესია შედგებოდა რამდენიმე საკათალიკოსოსაგან, ანუ თავისთავადი საეკლესიო – ადმინისტრაციული ოლქებისაგან. ესენია: ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომელთაც თავიანთი სტრუქტურები და მრევლი შეინარჩუნეს მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე.

საქართველოს ეკლესიის მესამე, ხუნძეთის საკათალიკოსო, ნაკლებადაა ცნობილი, რადგანაც ის შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა და დიდხანს არ უარსებია. ის ასპარეზიდან გაქრა დაღესტანში თემურ ლენგის შემოსევების შემდგომ ეპოქაში მრევლის გამუსულმანების გამო, საქართველოს ეკლესიას ასევე ეკუთვნოდა კიდევ ერთი საეკლესიო – ადმინისტრაციული ოლქი, რომელიც ცნობილია სომხეთის სამიტროპოლიტოს სახელით, მისი იურისდიქცია

მოიცავდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალს ვიდრე მდ. არაქსამდე და უფრო ადრე არჭეშამდე და ვანის ტბამდე (ვალაშკერტის ჩათვლით). ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი მე-11 საუკუნეში იწოდებოდა „ივერიის თემად“ (და „აღმოსავლეთად“). აქ მრავალი ქართული საეპისკოპოსო იყო განლაგებული.

თემურ ლენგის შემოსევათა შემდეგ საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ჩრდილო კავკასიის ბარი, შემდგომ მთისწინეთი და საეკლესიო საზღვარმა გადაინაცვლა კავკასიის მთავრი ქედის პარალელურ ქედზე, რომელსაც რუსები „სკალისტიი ხრებეტს” (კლდოვანი ქედი) უწოდებენ (რომელიც ვრცლადაა გადაჭიმული არხიზის დასავლეთით გამდინარე მდ. ურუპიდან, ვიდრე მდ. ანდის ყოისუმდე).

ვლადიკავკაზამდე და ითუმ –კალემდე მე-19 საუკუნის დასაწყისშიც კი აღწევდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარი თვით თანადროული რუსული რუკების მიხედვით. მე-20 საუკუნის ზოგიერთ მონაკვეთშიც კი ამ ტერიტორიების ნაწილი და, ასევე, მაგალითად თებერდას რეგიონი, კვლავ საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული.

რუკა – ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრები მე-18 ს. ბოლოს ემთხვევა ქართლ –კახეთის სამეფოს საზღვრებს, მასში შედის ჩრდილო ოსეთი და ქისტეთი, საინგილო და ლორე – ტაშირი.

https://ru.wikipedia.org/wiki

ჩრდილო კავკასიაში აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მოქცეული იყო მდ. ყუბანსა და შავ ზღვას შორის და გრძელდებოდა კაფამდე.

ყირიმის ქალაქ კაფას (ამჟამად ფეოდოსია) ქართული ეკლესიის იურისდიქციის უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად ქართული წყაროების გარდა მიიჩნევს არქანჯელო ლამბერტიც,

ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში მოქცეული იყო ძირითადად ყუბანის მარჯვენა სანაპიროსა და თერგს შუა მოქცეული ტერიტორია, აფხაზეთის საკათალიკოსოში კი ყუბანის მარცხენა სანაპიროსა და შავ ზღვას შუა, ხოლო ხუნძეთის საკათალიკოსოში – დაღესტანი, უმეტესად მისი ცენტრი – ხუნძეთი, ანუ ავარია, ასევე ამჟამინდელი ჩეჩნეთი.

საქართველოს პატრიარქმა თემურ-ლენგის შემოსევის წინ მოიარა კიდეც ნახჩეთის (ჩეჩნეთის), ხუნძეთის (დაღესტნის), აღმოსავლეთ კახეთისა და რა-მოვაკანის (ყოფილი ალბანეთის) ქართულ – ქრისტიანული სამრევლოები, სასწავლებლები, სადაც ქართულ ენაზე შეისწავლებოდა შესაბამისი საგნები.

როგორც აღინიშნა, ყველა ეს საკათალიკოსო შეადგენდა განუყრელ ნაწილებს საქართველოს წმიდა ეკლესიისა ქართულენოვანი წირვა-ლოცვით, ეპარქიებითა და სამრევლოებით, მათ აერთიანებდათ საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო წესები და ქართული საეკლესიო ტრადიციები.

აღნიშნულის შესაბამისობამ გადაგვაწყვეტინა სამ ნაწილად დავყოთ ჩვენი ნაშრომი:

ა. აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში;

ბ. ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში;

გ. ხუნძეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია.

ჩვენს ნაშრომში იძულებული ვართ, მრავალი პარაგრაფი და თავი დავუთმოთ ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, მისი გარკვევის გარეშე შეუძლებელია იურისდიქციის საზღვრების დადგენა. ისტორიული გეოგრაფია და, საზოგადოდ, ისტორიოგრაფია, ძალზე დაზარალდა საბჭოთა ეპოქაში.

არაა სწორად განსაზღვრული მრავალი ისტორიული ერთეულის ადგილმდებარეობა, მაგალითად, ალანიის სამიტროპოლიტოსი, ლაზიკის სამიტროპოლიტოსი, საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის და სხვა.

ამჟამად აღიარებული თეორიით, ჩრდილო კავკასიას მოიცავდა არა საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტო.

ეს თეორია მოწოდებულია საბჭოთა ეპოქის საისტორიო მეცნიერების მიერ და დანერგილია საყოველთაოდ, თუმცა ის არასწორი და ტენდენციურია, ამის მტკიცებას ნაშრომში ეძღვნება მრავალი პარაგრაფი. მის ტენდენციურობას ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ალანიის ისტორიული ეპარქიის მკვლევარების მიერ მუდამ ხდება იგნორირება პირველხარისხოვანი წყაროებისა. მაგალითად, კონსტანტინოპოლის სინოდის მე-14 ს. ნომერი 114 აქტის მიხედვით, ალანიაში არ იყო ქალაქები ალანიის ეპისკოპოსის კათედრისათვის (რადგანაც ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები მომთაბარული ცხოვრების გამო), ამიტომ ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში იმპერატორ ალექსი კომნინის ქრისობულით ასეთ ქალაქად განისაზღვრა სოტირიოპოლი თვით ბიზანტიაში (ლაზიკაში).

აქედანაც ჩანს, რომ ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა საქართველოს მომიჯნავე ჩრდილო კავკასიაში, სადაც არქეოლოგების მიერ უამრავი ნაქალაქარია გამოვლენილი, არამედ უდაბურ და უქალაქო დონისპირეთის სტეპებში, ყირიმის აღმოსავლეთით მომთაბარე ალანთა არეალზე. ამასვე მიუთითებს ალანიის მიტროპოლიტ თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, რომელიც ასევე იგნორირებულია. შესაბამისად, რადგანაც აღნიშნულ ალანიაში არ იყო ნაგებობები მღვდელმთავრის კათედრისათვის, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ალანიის მიტროპოლიტის საკათედრო ქალაქად მე-11 ს. ში დაადგინა სოტერიოპოლისი, ქალაქი ბიზანტიის იმპერიაში, ლაზიკაში, ალანიის გარეთ.

მე-11 და მე-12 საუკუნეებში, მონღოლების შემოსევამდე, საქართველოს ჩრდილოეთში მდებარე კავკასიის რეგიონში უამრავი ქალაქი არსებობდა. როგორც ითქვა, ეს ფაქტი დადასტურებულია არქეოლოგიის მიერ.

წყაროების საპირისპიროდ, საბჭოელი და მათ მიმდევარი ისტორიკოსთა მტკიცებით, ალანიის საეპარქიო ცენტრი თითქოსდა მდებარეობდა არხიზ-ზელენჯუკის ე.წ. ჩრდილოეთის ტაძარში, ისტორიული ქალაქებით მდიდარ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) საზღვარზე, აქედან გადაიტანეს ის სოტერიოპოლისში მაშინ, როცა, თვით ამავე ეპოქის კონსტანტინოპოლის წმ. სინოდის დადგენლებაში, როგორც ითქვა, ხაზგასმითაა ახსნილი, რომ ალანი ხალხის ნომადური ცხოვრების გამო ალანიაში რეალურად არ არსებობდა ქალაქი საეპისკოპოსო ცენტრისათვის და ამის გამო ალანიის მიტროპოლიტს სოტერიოპოლისის კათედრა დაუთმეს ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში. შესაბამისად, ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში აფხაზეთის მეზობლად (სადაც ამ საუკუნეთა ქალაქების მრავალი ნაშთია), არამედ აზოვ-დონისპირეთის რეგიონში, სადაც ალანთა ჯგუფები ბინადრობდნენ და მომთაბარეობდნენ და მათ ქალაქები არ ჰქონდათ ცხოვრების წესიდან გამომდინარე.

ალანიის ეპარქიის სტეპებში ლოკალიზაციას ეთანხმება არა მხოლოდ ალანიის მიტროპოლიტ თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, არამედ სინოდის ნომერ 152 აქტი 1356 წლისა, რომლის მიხედვითაც სოტირიოპოლის ალანიის მღვდელმთავარს ოქროს ურდოსა და ტანაისში სამრევლოები ჰქონდა და იქ სამღვდელოებასაც აკურთხევდა.

http://iratta.com /2007/05/30/06–alanija–i–vizantija.html.

როგორც ითქვა, სტეპების მომთაბარეთა ამ არეალზე, ანუ ალანიის ეპარქიაში, მე-11 ს-ში არ მოიძებნა ქალაქი ალანიის იერარქისათვის, მაგრამ სულ სხვა ვითარება იყო კავკასიის ალანიაში, სადაც დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კონსტანტინოპოლმა ვერ შეძლო თავისი ეპარქიის დაარსება, რადგანაც ალანთა მეფეების მიერ ბერძენი სამღვდელოების განდევნის შემდეგ კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოში, ანუ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა.

ჩრდილო კავკასიის ამ ოლქში არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიები და მრავალი ძველი ნაქალაქარია. ეს ნიშნავს, რომ აქაური ხალხი ნომადური ცხოვრე-

ბით არ ცხოვრობდა. ამას არქეოლოგიაც მიუთითებს. მაშასადამე, აღნიშნული სინოდი საუბრობს სხვა ოლქზე, რომელსაც ასევე ალანია ერქვა.

სიახლეა და ნაშრომში მრავალი პარაგრაფი ეძღვნება აღნიშნულ კვლევას, რომ რეალურად არსებობდა ორი ალანია (კავკასიის რეგიონში). ერთი იყო ყირიმის მეზობლად არსებული დონის სტეპების ვრცელი ოლქი. აქ ბინადრობდნენ ნომადი ალანები, მათთვის დაარსა კონსტანტინოპოლმა ალანიის სამიტროპოლიტო ოლქი. ამ ვრცელ ველებზე მომთაბარე ალანებს არ გააჩნდათ თავიანთი ქალაქები, ამიტომ კონსტანტინოპოლმა ალანთა მიტროპოლიტი, როგორც აღინიშნა, დასვა ბიზანტიურ ქალაქ სოტერიოპოლისში, ლაზიკაში, ანუ ტრაპეზუნტის ოლქში. რასაც წყაროები, კერძოდ კი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის დადგენილება მიუთითებს.

რაც შეეხება კავკასიის ალანიას, შავ ზღვასთან ახლოს, აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც არხიზ-ზელენჯუკის ტაძრებია, აქაური ხალხი იყო მიწაზე დამკვიდრებული მოსახლეობა, ქართული ეკლესიის, კერძოდ კი, აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი.

ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს გამოაშკარავდა აფხაზეთის მეფეთა მისწრაფება, რათა აფხაზეთის მეზობლად მცხოვრები ახალმოქცეული ალანები გადაექციათ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლად. ამ ფაქტის გასანეიტრალებლად კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა გადაწყვიტა აქტიურად ემოქმედა კავკასიის ალანიაში. იქ მისიონერები და მღვდელმთავარიც გააგზავნა (მათი ნაკვალები ასახულია არქეოლოგიურად), მაგრამ მალევე ალანთა მეფეებმა ბიზანტიელი იერარქები კავკასიის ალანიიდან გააძევეს, ჩანს, არა ხაზართა მოთხოვნით, როგორც ამტკიცებენ რუსი ავტორები, არამედ აფხაზ მეფეთა მოთხოვნით. ამის შემდეგ არხიზ-ზელენჯუკის რეგიონი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში მოექცა, როგორც ეს ქვემოთაა განხილული. აფხაზთა მეფეებმა კავკასიის ალანიაში ააგეს აფხაზური, ანუ ქართული საეკლესიო არქიტექტურით არხიზ-ზელენჯუკის ტაძრები, ფაქტიურად ასლები ლიხნისა თუ მოქვის ტაძრებისა. ამ ფაქტის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა ებრძოლა, რათა შეენარჩუნებინა მეორე ალანია, მდებარე კავკასიის ალანიის ჩრდილოეთით, ანუ სტეპების ალანია დონისპირეთში. ამ ოლქის, ანუ მომთაბარეთა ალანიის მღვდელმთავარს, როგორც აღინიშნა, კათედრად გამოუყვეს სოტერიოპოლისი ლაზიკაში, ტრაპეზუნტთან.

ჩრდილო კავკასიის საეკლესიო ისტორიით, სამწუხაროდ, ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართული ისტორიოგრაფია. ამის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ თემურ-ლენგის გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე, იქ მცხოვრებნი, იქამდე ქართული კულტურის ერთ-ერთი შემოქმედი ქრისტიანული მოსახლეობა, რელიგიის შეცვლის შემდეგ, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდა და გაუცხოვდა წინაპართა ცივილიზაციას.

ამასთანავე, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, მისმა ეკლესიამ კი ავტოკეფალია. მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის წიაღში, საქართველოს

ისტორია საგანგებოდ დაკნინდა რუსული საიმპერატორო ხელისუფლებისა და მეცნიერების მიერ, რათა ქართველთა ისტორიული მეხსიერება საფუძვლად არ დადებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ასეთივე ვითარება გაგრძელდა მეოცე საუკუნეში წითელი რუსეთის იმპერიის ათეისტურ სახელმწიფოში (სსრკ), ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთის ფედერაცია ოფიციალურად იწოდება ოკუპანტად, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს ჩამოართვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ვრცელი რეგიონები. ასეთი ვითარების გამო ქართველ მეცნიერებს არც კი ჰქონდათ საშუალება ობიექტურად გამოეკვლიათ თუნდაც საკუთარი ეკლესიის ისტორია, მით უმეტეს, მისი იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში.

ამ სიცარიელეს თავიანთი დაუოკებელი „სამეცნიერო მტკიცებებით“ ავსებენ ჩრდილო კავკასიის აღნიშნული ახალი ხალხების ისტორიკოსები, რომელთა მიზანია უარყონ ქართული ნაკვალევი ანდა ის ამ ახალი ხალხების წარსულის მიღწევად გამოაცხადონ.

ეს ხდება რუსული მეცნიერების საფარქვეშ, რომელიც მიდრეკილია, რომ ქართული ცივილიზაციის ნაშთები ჩრდილო კავკასიაში მიათვალოს ალანურ საეკლესიო კულტურას, რომელიც სინამდვილეში არც არასოდეს არსებობდა. მას ახლა თხზავენ ჩვენს თვალწინ, ქართველ მეცნიერთა გულგრილობის ფონზე.

ამასთანავე, საქართველოში ტრადიციულად ღრმა სამეცნიერო ჭეშმარიტებად მიიჩნევა რუსული ოფიციალური სამეცნიერო წრეების მიერ შემუშავებული საისტორიო თეორიები. ისინი კი სქელი სამეცნიერო საბურველით შეფუთული საიმპერიო ნაკვალევებია, რომელიც ემსახურება რუსეთის მიმდინარე სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ნაშრომში სიახლეა ასევე ვ. მილერის მოსაზრებიდან გამომავალი მტკიცება, რომ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ხალხი ყოფილი მომთაბარე სტეპური ტომების ნაშთებია, რომელნიც შეერივნენ კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას და ახალ ეთნოსებად ჩამოყალიბდნენ. ამასვე მიუთითებდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი და ვახუშტიც (ოსებთან დაკავშირებით). კერძოდ, ადიღეველ ხალხს სახელი ეწოდა მათი წინამძღოლის ადიგეის (ოქროს ურდოს უძლეველი მხედართმთავრის) სახელის მიხედვით. ადიგეიმ თავისი ულუსი დასავლეთ ციმბირიდან ჩამოიყვანა ჩრდილო კავკასიაში და გააბატონა. იგივე გზა ციმბირიდან კავკასიამდე განვლო ასევე ადიღეისთან დაკავშირებულმა ნოღაის ტომმა. იგივე გზა, ციმბირიდან კავკასიამდე, საუკუნით ადრე გაიარა ყივჩაღთა ტომმა. ციმბირიდან დასავლეთ ევროპისაკენ უამრავი მომთაბარე ტომი გადაადგილდებოდა საუკუნეთა მანძილზე. ამ გზაზე მდებარეობდა ჩრდილო კავკასია.

ნაშრომში მტკიცედაა გატარებული ის მიმართულება, რომელიც წმ. სინოდმა განაჩინა საქართველოს წმ. ეკლესიის ისტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით: 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბი-

ჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II. წმიდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს, დასავლეთ საქართველო IV–X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545–546). ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ“ (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

(„საპატრიარქოს უწყებანი“ №27, 12–20 ივლისი, 2012 წ., გვ. 4)


საერთაშორისო ვაჭრობის ეროვნული საბაჟო კონსულტაციური კომისია
№ 112
ბირობითი აღნიშვნები
ქერთული ეკლესიის საზღვარი
ადგილობრივი საკათოლიკოსოები
ქერთული საკათოლიკოსი
ხუროსეთის საკათოლიკოსი
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია
1
2
ბერეტელიანი
ბერეტელიანი
ბერეტელიანი

ნაწილი პირველი

ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიული არეალი ჩრდილოეთ კავკასიაში, წყაროები და ლიტერატურა

ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში

ჩრდილო კავკასია წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთ მდებარე უვრცელეს რეგიონს გადაშლილს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ის პირობითად იწყება ყირიმის მიმდებარე ტამანის ნახევარკუნძულიდან კუმა-მანიჩის ღრმულის გავლით კასპიის ზღვამდე. ამჟამად შედის რუსეთის ფედერაციაში, წინა ათასწლეულების უმთავრეს პერიოდებში კი საქართველოს სახელმწიფოში შემავალ ანდა მისი გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

საქართველოს წმიდა ეკლესია ქრისტეს წმ. მოციქულებიდან მე-14 საუკუნემდე (თემურ ლენგის შემოსევამდე) თავის იურისდიქციას ახორციელებდა ჩრდილო კავკასიაში, ხოლო მის მთიან მხარეებში კიდევ ორიოდე საუკუნე. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიის ისტორია წარმოადგენს ქართული ქრისტიანობის ისტორიას ამ მხარეებში.

წარსულში საქართველო და ჩრდილო კავკასია ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ არეალს წარმოადგენდა. ამიტომაც მათ საერთო განმანათლებლები ჰყავდათ. ესენი იყვნენ: თვით ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მოციქულები წმიდა ანდრია პირველწოდებული, წმიდა სიმონ კანანელი, მოციქულთასწორი წმ. ნინო – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანული თემებისა და ეკლესიების დამაარსებლები.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, კავკასიის მთებში მოციქულთასწორი წმიდა ნინოც ქადაგებდა. ამიტომაც წმ. მოციქულთა და წმ. ნინოს მიერ დაარსებული საქართველოს წმიდა ეკლესია აძლევდა სულიერ საზრდოს ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას, ვითარცა მრევლს ქართული ეკლესიისა. შესაბამისად, ჩრდილო კავკასია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რასაც ადასტურებს ჩრდილო კავკასიის მრავალ მხარეში – დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ჩრდილო ოსეთში, ყარაჩაისა და ადიღე-ჩერქეზეთში აღმოჩენილი უამრავი ნაეკლესიარი, მათი ნაშთები, ქართული წარწერები, ქართულ-ქრისტიანული არტეფაქტები, ქართული და უცხოური წყაროები.

ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა დათესეს პირველი წმიდა მარცვალი ქრისტიანული სარწმუნოებისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობ-

ლის წილხვედრ ივერიის მიწაზე, ეს მარცვალი თანდათან გაიზარდა და სამკალ ჯეჯილად იქცა. ამიტომაც წმიდა ნინოს (და, შესაბამისად, მის მიერ დაფუძნებულ საქართველოს ეკლესიას), უფალმა თავისი გამოცხადებისას უბრძანა სამკალის აღება, გაქრისტრიანება, იმჟამად მრავალრიცხოვანი დიდი ხალხისა. ეს ხალხი, ანუ სამწყსო საქართველოს ეკლესიისა, მოიცავდა როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიას. ამ ერთიან რეგიონს ერთი განმანათლებლები ჰყავდათ. აღნიშნული წმ. ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი.

წყაროს თანახმად, ანდრია პირველწოდებული ჩრდილო კავკასიაში საქართველოდან შესულა სვანეთის გზით („ქართლის ცხოვრება“ ტ. 1, 1955). აღსანიშნავია, რომ ისტორიული სვანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მოციქულთა ეპოქაში ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა. ამას მიანიშნებს სტრაბონის ცნობები.

წმ. მოციქული ანდრია ჩრდილო კავკასიას მიდგომია ასევე მეორე მხრიდანაც, აღმოსავლეთიდან, იგულისხმება თანამედროვე ყაზბეგის რაიონი. აქედან, შესაძლოა, ის დვალეთის ანდა დურძუკეთის გზით სხვა რეგიონებშიც გადასულიყო.

თეიმურაზ ბატონიშვილი ეყრდნობოდა სამეფო ოჯახსა და საქართველოს მწიგნობრულ წრეებში არსებულ მოსაზრებას და აღნიშნავდა: „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი“. ბატონიშვილის ამ სიტყვებს ადასტურებს ქართულენოვანი მასალა დაფიქსირებული, მაგალითად, ინგუშეთის ეკლესიათა კედლებზე (თხაბა-ერდი და სხვა ძეგლებზე).

თეიმურაზ ბატონიშვილისავე ცნობით, არა მხოლოდ ქისტები და ძურუკები იყვნენ თავდაპირველად ქართულენოვანი ხალხი, არამედ ასევე ჩრდილო კავკასიის მკვიდრი სხვა მოსახლენი. ამჟამად ეს ცნობა მიიჩნევა გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული არქეოლოგიური ფაქტები, კერძოდ, ქართულენოვანი წარწერების ნაშთები დაღესტნიდან და ინგუშეთიდან, ჩრდილო ოსეთის ჩათლით შავ ზღვამდე, თუ არას ვიტყვით ჩრდილოკავკასიაში მდებარე ისტორიული სვანეთის მიწებსა და აფხაზეთზე, ადასტურებს ამ ცნობას.

თეიმურაზ ბატონიშვილის ეს მტკიცება დადასტურდა ევლია ჩელების იდენტური ცნობით, (სამწუხარო ფაქტია, რომ ეს დადასტურება შეუმჩნეველი დარჩათ საბჭოელ ისტორიკოსებსა და მათ მიმდევრებს).

კერძოდ, ევლია ჩელები იძლევა ცნობას ჩრდილო კავკასიის დიდი რეგიონის ქართულენოვნების შესახებ. ეს შეეხება ჩერქეზეთის რეგიონ ყაბარდოს (http://cinstutions.ru /?p=11656&page=4).

ევლია ჩელებმა ჩრდილო კავკასიაში თავისი მოგზაურობის დროს აღწერა ქვეყანა ტაუსტანი (ტაუსულტანი), სადაც ქართული ენა იყო გავრცელებული. მისი საზღვრები გადაშლილი იყო იალბუზიდან ვიდრე დაღესტნის ჩათვლით კასპიის ზღვამდე. ამჟამად ცნობილია, რომ ტაუსტანი ერქვა მცირე ყაბარდოს. ТАУСТАН (Таусултан), «черкесы таустан» – этим термином у Э. Челе-

би и Главани (КСАВЕРИО ГЛАВАНИ, ОПИСАНИЕ ЧЕРКЕССИИ, 1724 г) обозначались кабардинцы Малой Кабарды

http://www.amaltus.com/vp-content/uploads/ento/taustan.html.

ის აღწერს ამ ქვეყანას და წერს –„სახლები მთელს ჩერქეზეთში ისლით და ლელითაა დააფრული, ზოგიერთები მხოლოდ ლელით. ამ ქვეყანას უწოდებენ ტაუსულტანს და დაღესტნის საფადიშახოში შედის. (ამ ქალქამა) დაკარგა თავისი ძალა, მის ბეის არ უწოდებენ შამხალ-შახს. მაგრამ სწორედ აქ იყო დაღესტნის ძველი დედაქალაქი. ამჟამად ბეების სახელები ასეთია: კუჩურ-ბაი-სეკბანი და ჯუხან-ბაი-სეკბანი. იმ შემთხვევაში, თუ მათ უწოდებენ ფადიშახებს, ეს ნიშნავს, რომ ტაუსტანის საგვარეულოდან არიან. ისინი ანუ შირვანის საგვარეულოდან წარმოშობილად თვლიან თავს. მათი ენებია ქართული და ჩერქეზული. მათი არმია შედგება 12000 „აზნაურისაგან“, შეიარაღებული არიან 2000 თოფით. ყველანი ისინი მუსულმანებია, შაფიათა წესისა, მაგრამ ითვლებიან ჩერქეზებად. მუდამ, ყოველ დროს, ისინი მხარს უჭერდნენ კავშირს ქართველ ხალხთან. ამიტომაც მათი გამოთქმების თავისებურებანი მოწმობენ მათ კავშირებს ქართულ, სპარსულ და კუმიკურ ენებთან. აქ გამავალი მდინარე ბახისტანი სათავეს იღებს დადიანის ქართველების ქვეყნიდან და ერთვის მდინარე თერგს.

ევლია ჩელების მიერ ჩერქეზეთის ამ ქვეყნის აღწერაში ოთხჯერაა ნახსენები სიტყვა ქართველი. ის წერს, რომ მისი ხალხის (ე.წ. მცირე ყაბარდოს) ენაა ქართული. კავშირი აქვთ ქართველ ხალხთან, მათი გამოთქმები ადასტურებს ქართულ ენასთან კავშირს, მათ ქვეყანაში გაედინება დადიანის ქართველთა ქვეყნიდან (ანუ დასავლეთ საქართველოში შემავალი იალბუზის მიმდებარე რეგიონიდან) გამომდინარე მდინარე, რომელიც გაივლის მთელ ჩრდილო-კავკასიას და უერთდება ყუბანს ანდა თერგს. ის წერს:

Дома во всем Черкесстане крыты камышом и тростником, некоторые же – только камышом. Однако строения пшуко – это все большие здания с каменными стенами и деревянной кровлей. В этих местах, за исключением пределов самого города, имеются фруктовые деревья. Но у подножия Эльбруса садов и виноградников нет. Эта страна и представляет собой изначальное Дагестанское падишахство, которое называют Таусултан. Но так как [ныне тот город] потерял свою силу, то его бея не называют шамхал-шахом.. Но именно здесь находилась древняя столица Дагестана. В настоящее время имена беев таковы: Кучур-бай-секбан и Джухан-бай-секбан. Однако если их называют падишахами, то это значит, что они родом из Таустана. Они ведут свою родословную от Ануширвана.. Языки их – грузинский и черкесский. Их армия состоит из двенадцати тысяч азнауров, воору женных двумя тысячами ружей. И все они мусульмане шафиитского толка. Но вместе с тем они считаются черкесским племенем. Во все времена они поддерживали связь с грузинским народом, и потому особенности их говоров свидетельствуют о связях с языками грузинским, персидским и кумыкским.

Их торговцы и райяты знают даже язык хмосковитов.

Внешний вид и одежда мужчин – жителей Таустана. Мужчины носят одежду, похожую на одежду персов... Внешний облик женщин Таустана. Все женщины и девушки носят шапки... Они носят такую же одежду, как и черкесские женщины. В этой стране, так же как и в других черкесских землях, нет ни денег, ни бань, ни базаров, ни виноградников, ни садов. ...Протекающая здесь река Бахистан начинается в горах грузинской земли Дадиан и впадает в реку Терек. http://constitucions.ru /?3=11656&=4

მცირე ყაბარდოში, თვითმხილველ ევლია ჩელების ცნობით, გავრცელებული იყო ქართული ენა, ხოლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხერხემალს ქმნიდა 12 000 აზნაური (ევლია მათ აღსანიშნავად ხმარობს ქართულ ტერმინს „აზნაურს“). აქ ჩერქეზების გარდა ცხოვრობდნენ კუმიკები, ოსები, ინგუშები, და ჩეჩნების ნაწილი – В Малой Кабарде, кроме черкесов, проживали барагунские кумыки, северные осетины, ингуши, часть чеченцев. http://dic.academic.ru-/dic.nsf/ruviki/1020788.

მიიჩნევა, რომ მცირო ყაბარდოს აღმოსავლეთი მხარე განვრცობილი იყო მოზდოკიდან ვლადიკავკაზამდე, ჩეჩნეთ-ინგუშეთამდე და სამხრეთ ოსეთამდე http//adɯgi.ru /index.php?newsid=772, მაგრამ ევლია ჩელების მიერ აღწერილი ტაუსტანი, სადაც ქართული ენა იყო გავრცელებული, გაცილებით მეტ ტერიტორიებს მოიცავდა დაღესტნის ჩათვლით, ვიდრე „დადიანის ქართველთა ქვეყნიდან“ გამომავალ მდინარემდე (იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ქართული ტერიტორიები იალბუზის აუზში, საიდანაც გამომავალი მდინარეები მიემართებიან ჩრდილო კავკასიაში).

ევლია ხაზგასმით წერს, რომ ამ ვრცელი ქვეყნის ხალხი მუდამ უჭერდა მხარს საქართველოს. როგორც ითქვა, ასევე ახსენებს, 12000 აზნაურს, ამ ქვეყნის სამხედრო-სამოქალაქო ცხოვრების წარმმართველ ძალას.

ევლიას მიერ მათ აღსანიშნავად ქართული სოციალური ტერმინის, აზნაურის, გამოყენება, მიუთითებს, რომ ამ საჯარისო ნაწილის ოფიცრებს ნამდვილად ერქვათ სახელი „აზნაური“. მათ მიერ ქართული ენის ფლობა (ქართულ ენას ამ ქვეყნის ენათა ჩამონათვალში ევლია პირველ ადგილზე აყენებს) მიუთითებს, რომ ჩვენი ზემოთ მოყვანილი მოაზრება სიმართლეა, კერძოდ, რომ თემურ-ლენგის შემოსევამდე ჩრდილო კავკასიის უპირველესი და ყველაზე მეტად განვრცობილი ენა იყო ქართული ენა და მოსახლეობასაც გააჩნდა ქართული თვითშემეცნება, ადიღეური ტომების გაბატონებისა და ისლამის გავრცელების შემდეგ ადგილობრივმა ქართულენოვანმა დიდებულებმა და ხალხმა მიიღო ისლამი და ასიმილირდა ადიღეველებში, თუმცა კი ერთ ხანს მათ კიდევ სცოდნიათ ქართული ენა და, ევლიას ცნობით, იყენებდნენ კიდეც მას. ამასთანავე, შეუნარჩუნებიათ ტრადიციული სოციალური წყობა. აზნაურობა ძველებურადვე შეადგენდა ამ ქვეყნის სამხედრო წყობის საფუძველს.

ერთი სიტყვით, ევლია ჩელები ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოცემულ ცნობას, რომ თემურ ლენგის შემოსევამდე ჩრდილოკავკასიელებმა იცოდნენ ქართული ენა. ამას ასევე ადასტურებს აქაური ეპიგრაფიკული ძეგლები.

აღსანიშნავია, რომ არაბული წყაროებიც (დერბენდნამე და ირხანის ისტორია) დაღესტანში იცნობენ ქართულ სოციალურ ტერმინებს – „აზნაური“, „თავადი“. ეს წყაროები ახსენებენ დაღესტნის მმართველ ქრისტიან „თავადილებს“ (თავადებსა) და „აზნაურილებს“ (აზნაურებს), რომელნიც მედგრად ებრძოდნენ დაღესტანში შეჭრილ უცხოელებს, მაგრამ დამარცხდნენ. აქედანაც ჩანს, რომ ჩრდილო კავკასიაში განვრცობილი იყო არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ ქართული სოციალური წყობა, ქართული სახელმწიფოება. ამიტომ ჩრდილო კავკასიაში თემურ ლენგი ადგილებზე იბრძოდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგანაც მისი ბრძოლის ობიექტები იყვნენ ნაწილები ქართული სახელმწიფო სისტემისა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით დაღესტანში თემურ ლენგს აუკრძალავს მოხმარება ქართული ენისა და დამწერლობისა, ალბათ ასევე იქცეოდა მთელს ჩრდილო კავკასიაში.

ასე, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას ჩრდილო კავკასიაში ქართული ენის განვრცობის შესახებ ადასტურებს ევლია ჩელები, ნაწილობრივ „ირხანის ისტორია“ და „დერბენდნამე“, უამრავ მატერიალური კულტურის ნაშთებთან ერთად, რომლებზეც ქართული წარწერებია.

თეიმურაზ ბატონიშვილისავე ცნობით და საეკლესიო გადმოცემით, წმ. ანდრიას ჯვრები დაუდგამს მცხეთის გორაზე (იქ, სადაც ამჟამად ჯვრის მონასტერია მცხეთასთან) და შემდგომ წასულა ჩრდილო კავკასიისაკენ ყაზბეგის გზით, ასულა მყინვარწვერზე და იქაც ჯვრები აღუმართავს, ანუ წმ. მოციქული ანდრია ჩრდილო კავკასიის რეგიონს მიადგა ორი სხვადასხვა მხრიდან, თავდაპირველად სვანეთის გზით და შემდეგ კი ჯვრის უღელტეხილისა და დურძუკეთის გავლით (დარიალთან ახლოს ჯვრის უღელტეხილზეც ანდრია პირველწოდებულს ჯვარი აღუმართავს, ამიტომაც მას „ჯვართაყელს” („ჯვრის უღელტეხილს“ უწოდებდნენ).

არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ თავდაპირველად, თარგამოსის ეპოქაში, დაახლოებით ქრისტეშობამდე მე-3 ათასწლეულში, როცა ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასია დაუსახლებელი ყოფილა, თარგამოსის ძეს ეგროსს წილად ხვდა დასასახლებლად ჩრდილო კავკასიის ვრცელი რეგიონი მდინარე „ხაზარეთის წყლამდე“, ანუ ყუბანამდე („ქართლის ცხოვრება“ ტ. 1, 1955, გვ. 9), შესაბამისად, იმ პერიოდის ყუბანის ვრცელი ხეობა, სათავეებიდან შესართავამდე, მემატიანეს მეგრელებით და სვანებით ეგულება დასახლებული, ამიტომაცაა, რომ „ბიჭვინთის იადგარი“ („აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“), საუკეთესო წყარო საქართველოს ეკლესიის სამართლის შესასწავლად, შედგენილი აფხაზეთში XVI–XVII საუკუნეების მიჯნაზე, წერს, რომ ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი ადმინისტრაციული ოლქი – აფხაზეთის საკათალიკოსო, თავის იურისდიქციას ავრცელებდა კაფადან (თანამედროვე ყირიმის ქალაქ ფეოდოსიიდან) ვიდრე მდ. ჭოროხამდე, ანუ კაფადან და მდ.ყუბანიდან ვიდრე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საზღვრამდე, თავის მხრივ, მსოფლიო ეკლესიის მეთაურები აფხაზეთის საკათალიკოსოს ივერიის ეკლესიას უწოდებდნენ, ანტიოქელ – იერუსალიმელი პატრიარქები XVI–XVII საუკუნეებისა (მაკარიოსი, ქრისანფი, დოსითეოსი და სხვები), რომელნიც პი-

რადად იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის საკათალიკოსოს უწოდებენ „ქვემო ივერიის“ საარქიეპისკოპოსოს. ეს უცხოელი პატრიარქები პირადად სტუმრობდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოს და წერდნენ: „ივერიაში ორი საარქიეპისკოპოსოა – ზემო ივერიისა და ქვემო ივერიისა, ქვემო ივერიის არქიეპისკოპოსს ექვემდებარება – იმერეთის სამეფო და სამთავროები სამეგრელო – გურია – აფხაზეთისა“ (მიტრ. ანანია. საქ. სამოც. ეკლ. ისტ.)

ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს უწოდებენ, და მიაჩნიათ ერთიანი ივერიის ეკლესიის ერთ-ერთ ნაწილად, მეორე ნაწილი ქართლს საკათალიკოსო იყო.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიები, რომელნიც მოიხსენიებიან ნოტიციებში, განლაგებულნი იყვნენ არა აფხაზეთში, არამედ ლაზიკაში, ანუ ამჟამინდელ ლაზისტანში, როგორც გამოიკვლია ნიკოლოზ ადონციმ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ. 101). ხოლო დასავლეთ საქართველო მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „ქალდეა“ 2013, გვ. 97), ამ მტკიცებას ემოწმება ქართული წყაროები და ქართული საეკლესიო შეგნება.

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კაფამდე, ანუ ყირიმამდე პირველ ათასწლეულშიც რომ ვრცელდებოდა, ამას მიუთითებს პაპი კლიმენტი რომაელისა და ასევე იოანე გუთელი ეპისკოპოსის მაგალითები.

პაპი კლიმენტი რომაელი, მოციქულთა უშუალო მოწაფე და თვითონაც 70 მოციქულთა შორის შერაცხილი, ყირიმში გადაასახლეს, სადაც მრავალი მოაქცია. მან ხალხი გააქრისტიანა ყირიმის მეზობელ მხარე ივერიაში. Известно, что «папа Климент сослан был императором Трояном в Херсон, и отсюда распространял христианское учение между иберами (грузинами), как о том повествует (почти современный писатель) св. Ириней» [Беляев И. Русские миссии на окраинах. СПб., 1900].

ყირიმის მეზობელი მხარე წმ. კლიმენტის დროს იყო კაფას მიმდებარედ მდებარე ჩრდილო კავკასია, რომელსაც, ივერიას უწოდებდნენ, წმ. ირინეოსის მიერ მოწოდებული ცნობის ჩვენეული გაგების შესაბამისად., აქ, ჩრდილო კავკასიის ივერიაში, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყირიმის მოსაზღვრე კავკასიის დასავლეთ ნაწილში, კლიმენტის მრავალი გაუქრისტიანებია, ამიტომ ძველი მწერლის, ირინეოსის, ცნობით, მას „ივერთა შორისაც“ უღვაწია.

ირინეოსი წერს, რომ პაპა კლიმენტმა, რომელიც იმპერატორმა ტრაიანემ ხერსონესში, გადაასახლა, ქრისტიანობა გაავრცელა ყირიმსა და მის ირგვლივ ტერიტორიებზე. მან ქრისტიანობა ყირიმის მეზობლად მდებარე მხარე – „ივერიაში გაავრცელა“. როგორც აღინიშნა, ივერია ერქვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსა და ასევე ჩრდილო კავკასიის შავიზღვისპირეთს, რომელიც დასახლებული იყო ობეზიებზე – ანუ ქართველი ხალხით (ყარაჩაელ-ბალყარელები ამჟამადაც ქართველებს – „ებზეს“ უწოდებენ).

პირველ საუკუნეში, მოციქულთა ეპოქაში, იბერიის განსაკუთრებულ სიდიადეს, რომლის სიმაღლემდეც ის შემდგომში ვერასოდეს ავიდა, აღწერდ-

ნენ რომაელი ავტორები დიონ კასიუსი და სხვები, ამ დროის მცხეთაში ნაპოვნი ლათინური წარწერის ცნობით, იბერიელებს „რომაელთა მეგობარ ხალხს" უწოდებდნენ, ამიტომაც იმპერატორმა რომში საგანგებო ცერემონიით მიიღო იბერთა მეფე, რომში აღმართეს მისი ქანდაკება და რომაელებმა იბერიის საზღვრები გააფართოვეს, ჩანს, მისი გავლენის სფეროში შევიდა იმჟამად ისედაც ქართველი ხალხის მონათესავე მიწათმოქმედი „გეორგების" ტომებით დასახლებული ჩრდილო კავკასია. ჩრდილოკავკასიელი გეორგების შესახებ წერს პლინიუს უფროსი და სხვა I საუკუნის ავტორები.

იბერიის სახელმწიფოს ევალებოდა ჩრდილო კავკასიაში შეჭრილი მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომების შეჩერება და კონტროლი, რათა ისინი არ შეჭრილიყვნენ მცირე აზიის რომაულ ტერიტორიაზე, ასევე სპარსეთის იმპერიაში. ჩრდილო კავკასიის ქართველური მიწათმოქმედი ტომები (გეორგები) უცხო მომთაბარეებს აჩერებდნენ და აკავებდნენ, რათა მათ არ გადმოელახათ კავკასიის ქედი და არ შეჭრილიყვნენ საქართველოში და შესაბამისად, რომის იმპერიაში. მომთაბარეთაგან რომის, სპარსეთისა და საქართველოს სამიწათმოქმედო არეალის დაცვა ძალზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნეოდა.

ხაზართა სამეფოს წარმოქმნამდე ჩრდილო კავკასიაში საქართველოს სახელმწიფოს გავლენაზე მიუთითებს, როგორც აღვნიშნეთ, იოანე გუთელის მაგალითი.

ხატმებრძოლური ერესის წარმოქმნის ეპოქაში ყირიმის ნაწილი დასახლებული იყო გუთი ქრისტიანი ხალხით, რომელიც არ იზიარებდა კონსტანტინოპოლში იმჟამად აღიარებულ ხატმებრძოლთა ერესს. ამის მიუხედავად, 754 წელს გუთების ეპისკოპოსი მიემხრო ხატმებრძოლებს. გუთებს არ მოეწონათ თავიანთი ეპისკოპოსის ეს ქმედება, ის გამოაცხადეს გადაყენებულად და აირჩიეს ახალი საეპოსკოპოსო კანდიდატი, ხატთაყვანისმცემელი, რომელიც არ ჩავიდა ხატმებრძოლ კონსტანტინოპოლში ეპისკოპოსად ხელდასხმისათვის. ის ეძებდა ხატთაყვანისმცემელთა წმიდა ეკლესიას, რათა მისი მეთაურისაგან მიეღო ხელდასმა. მას მსოფლიოს დიდმა ეკლესიებმა ურჩიეს გუთეთის მეზობელი ივერიის ეკლესია. მართლაც, გუთი საეპისკოპოსო კანდიდატი 758 წელს ჩამობრძანდა ყირიმის მეზობლად მდებარე ივერიის ეკლესიაში, აქ მიიღო ხელდასხმა და უკან, ყირიმში, გაემგზავრა უკვე ხელდასმულ ეპისკოპოსად. ამ აქტით გუთეთის ეკლესია ფაქტიურად განშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას და დაექვემდებარა იბერიულს. ეს შეუძლებელი იქნებოდა ყირიმი და ივერია ურთიერთ მომიჯნავე ეკლესიები რომ არ ყოფილიყვნენ, ანუ, ჩანს, ყირიმის მეზობელ ჩრდილო კავკასიას მართლაც ერქვა ივერია, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაც ივერიის ვრცელი ტერიტორიის ნაწილად მოაზრებოდა, რაც თითქოსდა ჩანს ირინეოსის ცნობიდანაც. ყირიმისათვის ირეარქიული ეკლესია იოანე გუელის დროს იყო არა კონსტანტინოპოლი, არამედ საქართველოს ეკლესია, იგულისხმება პერიოდი გუთელი იოანეს კურთხევიდან, ვიდრე 787 წლამდე, კონსტანტინოპოლში მართლმადიდებელთა გამარჯვებამდე.

В 754 году, когда Готский епископ, подписал определения иконоборческоого собора в Константинополе, жители Готии на место отступника избрали Иоанна. Иоанн отправился в Иерусалим, где провёл три года, а затем в Грузию, получив там ок. 758 посвящение в епископы. Затем вернулся на родину. В 787 году хазары подавили восстание в Готии (область Горного Крыма), посадив его зачинщика – местного епископа Иоанна в тюрьму. Контроль хазар над Крымом сохранялся до сер. IX века, а над Таманью и зоной вокруг Керченского пролива – вплоть до падения каганата. (https://ru.wikipedia.org/wiki/Хазарский–каганат).

კურთხევიდან თითქმის 20 წლის შემდეგ იოანე დააპატიმრა ბიზანტიელთა მოკავშირედ ქცეულმა ხაზართა ხელისუფალმა. გოთია იმჟამად ერქვა მთიანი ყირიმის ერთ ნაწილს, იოანეს დაპატიმრების შემდეგ ყირიმში ბიზანტიის იურისდიქცია ალბათ აღსდგა, მაგრამ ბიზანტიას ჩრდილო კავკასია კვლავ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში დაუტოვებია,. ამ დროის ჩრდილო კავკასიას აკონტროლებდა არა ბიზანტია, არამედ ხაზართა კაგანატი, რომელთანაც საქართველოს ხელისუფლებას კარგი, შეიძლება ითქვას, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა, იმდენად, რომ არაბთაგან ლტოლვილმა ქართლის ერისმთავარმა ნერსემ, იოანე საბანისძის ცნობით, თავი შეაფარა ხაზარეთს, სადაც ის დიდი პატივით მიიღეს მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად, საიდანაც ის გადავიდა აფხაზეთში, სადაც იმ დროისათვის ყოველი იქაური მცხოვრები კარგი ქრისტიანი იყო – იოანე საბანისძისავე თხრობით, აფხაზეთი კი ხაზართა მოკავშირე იყო და ისინი ერთად ებრძოდნენ არაბებს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასია „მცირე ხაზარეთის წყლიდან“ (ყუბანი) ვიდრე ბზიფისწყლამდე – ქართულ წყაროებს, აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიად მიაჩნიათ. არაბთა შემოსევების დროს ბიზანტიას არც კი შეეძლო ჩრდილო კავკასიის პოლიტიკური კონტროლი, და აქედან გამომდინარე არც ეკლესიური გავლენა გააჩნდა, ხოლო ქართულ მხარეს აქ მეტი გავლენა ჰქონდა ხაზართა მხარდაჭერის გამო, მართლაც, ამის გამო, შესაძლოა ბიზანტიას ჩრდილო კავკასიაში ეცნო საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია. ქართლის ცხოვრების თანახმად მე-7 საუკუნეში ბიზანტიას უცვნია ჩრდილო კავკასია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

მე-7 ს-ში, მე-6 მს. კრების გადაწყვეტილებით, ჩრდილო კავკასია ოფიციალურად შესულა ქართული ანუ ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში.

„ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680–681] ... კოსტანტინოპოლის შინა. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა (ვითარცა) წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა – გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით – წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთსა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო – ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232).

ქართლის ცხოვრების ამ ჩანართი ცნობის თანახმად, რომელსაც ეთანადება „მარტვილური ხელნაწერი“, ქართლის საკათალიკოსოს მმართველობაში მე -7 ს-ში შედიოდა ჩრდილო კავკასიის „მთისა ადგილნი“ (ჩანს იგულისხმება დაღესტანი და დურძუკეთი), ასევე „სრულიად ოვსეთი“ (ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ოლქი), ვიდრე „სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდე“, რადგანაც ცნობილია, რომ სვანეთი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, აქ „სუანეთის“ ქვეშ ასევე იგულისხმება ჩრდილო კავკასიის სვანური ნაწილი.

ამ ცნობის სისწორეს, არაპირდაპირ აღიარებს ფაქტი იმისა, რომ შემდეგში, ხატმებრძოლობის დროს, ჩრდილო კავკასია არა ბიზანტიის, არამედ ქართული ეკლესიის გავლენის სფეროში შედიოდა, ამას, როგორც აღინიშნა, მიუთითებს ამავე პერიოდში (ერთი საუკუნის შემდეგ), დაახლოებით 758 წელს იოანე გუთელის კურთხევა ყირიმის მეზობელ ეკლესიაში, ანუ საქართველოში.

კავკასიის მთიანეთს საქართველოს ეკლესია მუდამ აქცევდა თავის ყურადღებას. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში მეფე მირიანს სურდა მთიელთა მოქცევა იძულებით, წმიდა ნინომ უთხრა – „არა ბრძანებულ არს მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარით პატიოსნითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი“ (ქ. ც. 1.1955, გვ. 125).

მთაში თვით წმიდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი მოვიდნენ ერისთავთან ერთად „ერისთავმან მეფისაგან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრა კერპნი მათნი“ (იქვე, გვ. 125).

მეფე მირიანის შემდეგ ქრისტიანობას ჩრდილოეთის ამ მხარეებში ავრცელებდა მისი ძე ბაქარი, ქართლის ცხოვრების თანახმად. მე-6 საუკუნისათვის, პროკოფი კესარიელის ცნობით, იბერები მისთვის ცნობილ ქრისტიან ხალხთა შორის საუკეთესოდ იცავდნენ ქრისტიანული აღმსარებლობის წესებს. პროკოფი, ვითარცა ბიზანტიელი სამხედრო ხელისუფალი, იცნობდა და მოვლილი ჰქონდა მთელი იმჟამინდელი ქრისტიანული სამყარო – ქვეყნები ევროპისა, აფრიკისა და აღმოსავლეთისა. მე-6 საუკუნეში კავკასიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის იღწოდნენ წმიდა ასურელი მამები. მე-8 საუკუნისათვის ჩრდილო კავკასიაში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, იოანე საბანისძის ცნობით, აბო თბილელი ქართული ეკლესიის ოფიციალური წევრი გახდა აქ, ხაზარეთში, ნათლობის შედეგად.

ამ წყაროს ცნობით, ჩრდილო კავკასიაში მრავალი სოფელი და ქალაქი ქრისტიანული იყო. აფხაზეთში კი ბრწყინავდა ქრისტიანობა, აქ ყველა გულმხურვალე ქრისტიანი იყო.

პირველ ათასწლეულში აფხაზეთიდან – ხაზარეთ – დაღესტნის ჩათვლით ქართული ეკლესიის გავლენა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ ფაქტის გამო გუთეთ – ყირიმს ეკლესიისათვის ივერია მეზობელ, უშუალოდ მომიჯნავე ეკლესიას წარმოადგენდა.

ამჟამად არასწორად მიიჩნევა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები – ზიხია და ალანია მდებარეობდნენ ჩრდილო კავკასიის ყუბან-შავიზღვისპირეთის რეგიონში, ამჟამინდელი აფხაზეთის მიმდებარედ.

ამ გაბატონებულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნოტიციები (გეორგიკა, მე-4, ნაწილი მე-2, 1952), ნუსხები ამ საპატრიარქოს ეპარქიებისა, მათში, კერძოდ, კი „მე-10 დ“ ნოტიციაში (იქვე, გვ. 179) აღნიშნულია, რომ ზიხიის ეპარქიაში შედიოდა სამი საარქიეპისკოპოსო – ხერსონის, ბოსფორისა და მატრახისა.

ამ ქალაქების სახელები (ხერსონესი, ბოსფორი) მიუთითებს, რომ „ეპარქია ზიხიისა“ არ მდებარეობდა თანამედროვე აფხაზეთის მეზობელ ჯიქეთში, რადგანაც ხერსონესი, ქრისტიანული სარწმუნოების უდიდესი ცენტრი, და ასევე ბოსფორი – ზიხიის ეპარქიაში შემავალი ყირიმის ქალაქები იყვნენ, შესაბამისად, ეპარქია ზიხიისა მოიცავდა ყირიმის ნახევარკუნძულს და მიმდებარე მხარეებს, აზოვისპირეთსა და დონისპირეთს (მატრახი), აქვე უნდა ყოფილიყო განლაგებული ამ ნოტიციაში ნახსენები საარქიეპისკოპოსო ცენტრი ნიკოფეოს, მას ზოგიერთები ნიკოპსის უწოდებენ.

ამასთანავე, ქართული წყაროების ცნობით ჯიქეთი „აფხაზეთის ბოლოს“ მდებარეობდა, ანუ აფხაზეთის ჩრდილოეთით, ამიტომაც შეიძლება დავსვათ კითხვა, სად გადიოდა ძველი აფხაზეთის ჩრდილო საზღვარი, ამავე წყაროებით, აფხაზეთის ჩრდილო საზღვარს წარმოადგენდა მდინარე „მცირე ხაზარეთისა“ ანუ ყუბაანი, თუ ასე იყო, მაშინ ჯიქეთი და ზიხია ერთიდაიგივე რეგიონია, რომელიც მოიცავდა დონისპირეთსა და ასევე ყირიმსაც. მაგრამ, ამჟამად მიჩნეულია ისტორიკოსთა მიერ, რომ აფხაზეთის ჩრდილო საზღვარი ამჟამინდელ ქალაქ სოჭთან გადიოდა, და „ჯიქეთი“ მის ჩრდილოეთის მდებარებდა თუ ასეა, მაშინ სხვაა ქართული ჯიქეთი და სხვაა ბიზანტიური ტერიტორიული ერთეული ზიხია, ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, ყირიმსა და მიმდებარე მხარეებს მოიცავდა.

კონსტანტინოპოლმა ზიხიის ეპარქიას, მალევე, მე-10 საუკუნისათვის უწოდა ალანიის სამიტროპოლიტო.

რაც შეეხება ალანიას, არასწორია ამჟამად აღიარებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტო მოიცავდა ჩრდილო კავკასიის მთიან – საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიას, ასევე არასწორია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ალანიის სამიტროპოლიტოს ცენტრს არხიზ ზელენჯუკი წარმოადგენდა და, ალანიის ეპარქიაში შედიოდა ინგუშეთში თხაბა-ერდი. ამ შეცდომების წყაროა ალანიის ისტორიული გეოგრაფიის არასწორი განსაზღვრა.

პავლე ინგოროყვამ გამოიკვლა, რომ ალანიას, რომელსაც ეჭირა ჩრდილო კავკასიის ნაწილი, განვითარების მხრივ შედგებოდა ორი მთავარი რეგიონისაგან. კულტურულად დაწინაურებული იყო აფხაზეთის მეზობლად მდებარე მთიანი ალანია, მას ქართულ წყაროებში „კავკასის ალანი“, ზოგჯერ კი „ოსეთი“ ერქვა, ის ძირითადად მოიცავდა ამჟამინდელ ყარაჩაის. აქ სამოქალაქო ცხოვრება დაწინაურებული იყო. მეორე რეგიონი ალანიისა მდება-

რეობდა მის ჩრდილოეთით – ჩრდილო კავკასიის დაბლობის სტეპში, რომელიც ასევე აზოვ-დონისპირეთს მოიცადა, აქ სამოქალაქო ცხოვრება განუვითარებელი იყო, რადგანაც აქაური ალანური მოსახლეობა ნომადური ცხოვრებით ცხოვრობდა, ისინი მომთაბარე მწემსები იყვნენ, არ იყვნენ დამაგრებული მიწაზე, ამიტომაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დოკუმენტის მიხედვით ალანიის მიტროპოლიტად დანიშნულ მღვდელმთავარს ალანიაში არ გააჩნდა საეპისკოპოსო კათედრა, ამ დოკუმენტში აღნიშნულია – „ალანიის მიტროპოლიტს ალანიაში არა აქვს კათედრა, რადგანაც აქაური ხალხი მომთაბარეობს, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“ (პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 259).

შესაბამისად, იურისდიქციის მხრივაც ალანია ორ ნაწილად იყო გაყოფილი, საქართველოს მოსაზღვრე კავკასიის ალანია, საქართველოს გავლენის სფეროში და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა უკვე მე-10 საუკუნიდან, ხოლო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა ბარის, ანუ სტეპის ალანია, მომთაბარე ალანების არეალი, მისთვის კონსტანტინოპოლმა დააარსა ეპარქია (სამიტროპოლიტო), მის იერარქს ალანიაში არ გააჩნდა სამღვდელმთავრო კათედრა, ამიტომაც მისთვის კონსტანტინოპოლმა თვით ბიზანტიის მიწაზე დააარსა კათედრა ტრაპეზუნტთან ახლოს – სოტერიოპოლისი.

„კავკასის ალანია“ ასევე მოიცავდა აფხაზეთის ნაწილს, მას ერქვა აფხაზეთის ალანია, მის შესახებ წერენ ქართული წყაროები, განსაკუთრებით ვახუშტი, აფხაზეთის ალანია მოიცავდა ანაკოფია-ბიჭვინთის სანახებს კოდორ-ბზიფის რეგიონში, საფიქრებელია, რომ ეს ტერიტორია დასახლებული იყო ადგილობრივი მოსახლეობით, რომელნიც ალანი დიდებულების ხელქვეშ იმყოფებოდნენ, ამიტომაც მათ ქვეყანასაც ალანი დაერქვა.

ჩანს, ერთ პერიოდში, მათ (ალან დიდებულთა) ხელში აფხაზეთის მთავარი ციხე – ანაკოფიაც მოექცა, ეს ციხე (ანაკოფია) ბიზანტიელთა ხელში მრავალჯერ მოექცა, მათ შორის მე-11 საუკუნის ერთ პერიოდში. კავკასიის ალანიისა და ასევე აფხაზეთის ალანიის მიმართ ბიზანტიურ ეკლესიას თავისი გეგმები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ამ არეალის ზღვისპირეთი აფხაზთა სწრაფად მზარდი სამეფოს ხელში მოექცა და აფხაზეთის ალანია მის ნაწილად იქცა, საზოგადოდ აფხაზთა სამეფო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, აფხაზთა მეფეები თვითვე იყვნენ პატრონები და დამაარსებლები თავიანთ სახელმწიფოში ქართულენოვანი საეპისკოპოსოებისა.

აფხაზთა სამეფო მოიცვა ბიზანტიური საპატრიარქოებიდან დამოუკიდებელმა ქართულენოვანმა საეკლესიო ოლქმა – რომელსაც აფხაზთა საკათალიკოსო ერქვა, თუ ბიზანტია არ იჩქარებდა, აფხაზთა საკათალიკოსო უსათუოოდ მოიცავდა მის უშუალო მეზობელ კავკასიის ალანიას. ამ ფაქტის გამო კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსმა გადაწყვიტა როგორმე სასწრაფოდ თავის იურისდიქციაში მოექცია ეს ოლქი, მაგრამ უშედეგოდ, კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში მოექცა.

მე-10 საუკუნემდე, ალანების გაქრისტიანებამდე, აფხაზეთის ერისთავი ბიზანტიის იმპერიის გავლენისაგან გამოსულა ხაზართა მხარდაჭერით, ქართული წყაროს ცნობით, აფხაზთა საერისთავომ მალე გაიფართოვა საზღვრები, კავკასიის ალანიას ჩამოაჭრა ზღვისპირა ტერიტორია ანაკოფიიდან კლისურამდე, დინასტიური ქორწინების გზით შეიერთა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია კლისურიდან ლიხამდე. მთელ მის მიწა-წყალზე ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ამ სახელმწიფოს აფხაზთა სამეფო ეწოდა. მის მმართველ ოჯახში მეფედ წოდების ლეგიტიმური უფლება შეიტანა დედოფალმა გურანდუხტმა, რომელიც ქართლის, ანუ იბერიის მეფეთა შთამომავალი იყო, მირ მეფის ქალიშვილი, მისი ოჯახის შვილს – ლეონ მეორეს – უკვე აფხაზთა მეფე ეწოდა, ამ ეპოქის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი აფხაზეთს ეთნიკური ივერების ანუ ქართველების სამეფოს უწოდებს.

კერძოდ, უხტანესი „ძველი ისტორიკოსების“ ცნობაზე დაყრდნობით წერს:

„ივერილეთა ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე –„ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გვარისა, ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა“ (უხტანესი, გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67).

მაშასადამე, უხტანესი, IX–X სს-ა ავტორი, აღწერდა თუ რომელ ქვეყანას ეწოდებოდა აფხაზეთი, რომელი ხალხით იყო ის დასახლებული და თუ ვინ იყო მათი ყველაზე გამორჩეული კათალიკოსი, რომელმაც ეს ხალხი „განაშორა“ სომხურ ეკლესიას. კერძოდ, აფხაზეთი, მისი თქმით, ქართველებით იყო დასახლებული, და ისინი კირიონმა განაშორა სომხური ეკლესიისაგან. ამ პირველხარისხოვანი წყაროს მითითებითაც კირიონი იყო დასავლეთ საქართველოს მამამთავარი.

იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობის თანახმად, კირიონ I საქართველოს ეკლესიის მამამთავარი –კათალიკოსი, ამასთანავე, იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი. 899 წლიდან სომხეთის კათალიკოსად დადგენილი იოანე წერდა ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის შესახებ, რომ ის იყო ასევე ეგრისელთა მამამთავარი – „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“

(იოანე კათალიკოსის მატიანე, 1912, გვ. 65, წიგნიდან პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 243).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, კირიონ I კათალიკოსის - დროს, ე.ი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, ეგრისი, მე-8 ს. შემდეგ კი აფხაზეთი ეწოდებოდა.

მაშასადამე, უხტანესი, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია ქართველთა წარმოშობა და ვინაობა, აღნიშნავს, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ შავიზღვის-პირეთში გადასახლებული ქართველები გამრავლდნენ და მათ ქვეყანას ეწოდება აფხაზეთი. აქედან ჩანს, რომ აფხაზთა სამეფოს ყველაზე დიდი ძლიერების დროს, მე-10 საუკუნეში, აფხაზები ქართველებად იწოდებოდნენ, ამიტომაც ამ სამეფოში სახელმწიფო, საეკლესიო, კულტურის და ურთიერთობის ენა არა აფხაზური, არამედ ქართული ენა იყო.

ჩანს, თავიდანვე, სიტყვა „აფხაზს“ გააჩნდა არა ეთნიკურ-ტომობრივი დატვირთვა, არამედ სახელმწიფოებრივ – ტერიტორიული, მაგალითად, აფხაზთა სამეფოს გაფართოების ეპოქაში, როცა ის სამხრეთ კავკასიის ვრცელ რეგინებს მოიცავდა, ანისში ჩასულ ცოტნე დადიანს წყარო „აფხაზს“ უწოდებს, რადგანაც ის ანისში ჩავიდა აფხაზეთიდან ანუ დასავლეთ საქართველოდან, ასევე, ამავე ეპოქის რაჭველებსაც წყარო აფხაზებს უწოდებს, მაშინ როცა ყველამ იცოდა ცოტნეს თუ რაჭველების ნამდვილი ვინაობა.

ამიტომ, წმ. გიორგი მთაწმინდელი (მე-11 ს.) წერდა, რომ საქართველოში მოღვაწე სიმონ კანანელი დაკრძალულია „ქვეყანასა ჩვენსა აფხაზეთს“ (კერძოდ, ახალ ათონში) აფხაზეთს ქართველები „ჩვენს ქვეყანას“ უწოდებდნენ, რადგანაც აფხაზეთი ივერების ანუ ქართველების ქვეყანა იყო უხტანესის ცნობით.

აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) და „კავკასის ალანია“ აფხაზთა საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა.

თუ ასე იყო, უნდა დაისას კითხვა, მაშინ სად მდებარეობდა ის ალანიის ეპარქია (სამიტროპოლიტო), რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა? როგორც აღინიშნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა სტეპების ანუ „დონისპირეთის ალანიაში”, სადაც ბინადრობდნენ ნომად ალანები.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი ალანიის სამიტროპოლიტო მოიცავდა ყირიმის ნახევარკუნძულის გარკვეულ უბნებსა და დონ-დნესტრისპირეთის ცალკეულ რეგიონებს. რადგანაც იმჟამად ჯერ კიდევ ალანიად მოიხსენიებოდა დონისპირეთის ტრამალებისა და ვოლგა-დონის შუამდინარეთის მონაკვეთები, სადაც გაბნეულად მომთაბარეობდნენ ალანური ტომები.

კავკასიის ალანიასა და დონის ალანიას ერთმანეთისაგან ყოფდა ყუბანის მარცხენა სანაპიროს მომცველი ქვეყანა შავ ზღვამდე, რომელსაც ხაზართა ბატონობის ეპოქაში აფხაზეთის საერისთავო აკონტროლებდა. როგორც ითქვა, ქართული წყაროს ცნობით, აფხაზეთის საერისთავოს საზღვრები ანაკოფიიდან – ყუბანამდე იყო განფენილი. მოსახლეობა ამ სამეფოში ქართული გენეტიკისა იყო, იოანე ცეცეს ცნობით.

საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციას ჩრდილო კავკასიაში ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფოს მეურვეობითა და ხელშეწყობით, ხოლო ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ მის საფუძველზე აღმოცენებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა ხელშეწყობით.

რუსულ საინტერნეტო სივრცეში მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ აფხაზთა სამეფო და საქართველოს სამეფო თითქოსდა სხვადასხვა ეთნოსების სხვადასხვა სახელმწიფოები იყვნენ, თავიანთი ენებითა და ეკლესიებით. სინამდვილეში კი ის საქართველოს სახელმწიფო რომელიც მთელ კავკასიაში დომინირებდა, განსაკუთრებით, მე-12 საუკუნიდან, წარმოადგენდა იგივე, ოღონდ, გაფართოებულ აფხაზთა სამეფოს. აფხაზთა მეფეები იყვნენ საქართველოს მეფეები – დინასტიურადაც, საქართველოს მეფეების მამა-პაპანი იყვნენ აფხაზთა მეფეები, მუდამ ერთგული შვილები და მფარველები საქართველოს ეკლესიისა. აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებამდე აფხაზთა საერისთავო ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. აფხაზთა სამეფო, როდესაც ის ჯერ კიდევ საერისთავო იყო ლეონ პირველის დროს, თვითვე ითვლებოდა ჩრდილო კავკასიის ქვეყნად, კერძოდ, მიიჩნეოდა, რომ მისი ჩრდილო საზღვარს წარმოადგენდა მდ. ყუბანი. ის მოქცეული ყოფილა, ვახუშტის ცნობით, ყუბანსა და ბზიფისწყალს შორის. ლეონ პირველმა შეირთო ქართლის მეფის ქალიშვილი გურანდუხტი, რომელიც იყო მფლობელი დასავლეთ საქართველოს მიწა წყლისა მდინარე კლისურამდე (კელასურამდე), ამ ქორწინების წყალობით ჩამოყალიბდა აფხაზთა სამეფო, კერძოდ გაერთიანდა აფხაზთა საერისთავო და დასავლეთ საქართველო, რომელიც გურანდუხტის, ვითარცა ქართლის სამეფო სახლის უფლისწულისა – მზითვს წარმოადგენდა. შემდეგი მეფეების დროს აფხაზთა სამეფო კვლავ გაფართოვდა, მას ქართლის გარდა შეუერთდა ტაო-კლარჯეთი და კახეთ-ჰერეთი, ეს უკვე იყო საქართველოს სამეფო, ერთი კულტურითა და ქართულენოვანი ეკლესიით გაერთიანებული, რომლის ნაკვალევის წაშლა ჩრდილო კავკასიაში შეუძლებელი გახადა თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობათა მიუხედავად. თუმცა ამ ეპოქაში აქ ჩამოსახლებულმა ადიღეურმა ტომებმა დომინანტობა მოიპოვეს ჩრდილო კავკასიის უმეტეს ნაწილში, შეცვალეს იქაური, მათ შორის აფხაზეთის ეთნიკური სახე. ასე, რომ აფხაზთა სამეფო იგივე საქართველოს სახელმწიფო იყო.

ასევე მკვიდრდება თვალსაზრისი, თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილს შეადგენდა, ამიტომაც ახლა საჭიროა მტკიცება იმისა, რომ აფხაზთა სამეფოში მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში, საეკლესიო-სახელმწიფო თუ სამოქალაქოში და აფხაზთა საკათალიკოსო ქართული ეკლესიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. მის იურისდიქციაში შედიოდა ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი ყირიმის პუნქტ კაფადან, ხოლო ქართლის საკათალიკოში ჩრდილო კავკასიის დანარჩენი ნაწილი.

http://www.pravenc.ru/text/168201.html. რუკა – საქართველოს საეგზარქოსო მე-19 ს-სი. რუკიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად ავტოკეფალიის დაკარგვისა, მის ბაზაზე შექმნილი საქართველოს საეგზარქოსოს საზღვრები თითქმის იმეორებდა საქართველოს ძველი საპატრიარქოს საზღვრებს, „ჭოროხიდან –კაფამდე“ და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. რუსეთის იმპერიის წიაღში საქართველოს ეკლესიის საზღვრებმა, მე-19 საუკუნეშიც კი, გაიმეორა საქართველოს ეკლესიის ძველი საზღვრები.

საქართველოს ეკლესია

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 22 ოქტომბერს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, საქართველოს ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს.

ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა), საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები; ამჟამადაც, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“ უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც“ ეწოდება, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული გადმოცემით, ჩვენში იქადაგეს მოციქულებმა: წმ. ანდრია პირველწოდებულმა, წმ. სიმონ კანანელმა, წმ. მატათამ, წმ. ბართლომემ, წმ. თომამ და თადეოზმა. ქართული და უცხოური წყაროებიც მიუთითებენ მოციქულების საქართველოში მოღვაწეობას. ძველი ქართული საეკლესიო წყაროების –„მოქცევაჲ ქართლისას“ (VII–IX სს.) და „ქართლის ცხოვრების“ (VIII–XI სს.) ცნობებით, წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო, „ქართლის სამეფო“ რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ. ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა. იერუსალიმიდან პირველ საუკუნეში საქართველოში ჩამოსვენებულ ქრისტეს კვართს იბერიის მეფე ადერკი ხელით შეეხო, რითაც საღმრთო მადლი მიიღო მან და მისმა შთამომავლობამ. ამიტომაც საქართველოს სამეფო გერბის ცენტრში გამოხატული იყო ქრისტეს კვართი.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები: ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას (ტაციტუსის ცნობით, I ს-ის 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან. გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას. მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე, არმენიასთან ერთად იმჟამად „იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს“ CORNELIUS TACITUS, ANINALES,VI,, 33-36, IX,9, XIII,

15-50) მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, II ს. პირველ ნახევარში „იბერიის მეფე ფარსმანესი, როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა, ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები“ (დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XIX, 15). შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე განფენილ იმჟამინდელ ვრცელ იბერიაში გამავალი საერთაშირისო სავაჭრო გზები რომის იმპერიას სპარსეთთან და სკვითიასთან აკავშირებდა. ამ მიზეზის გამო, სპარსეთ-ინდოეთსა თუ, ჩრდილოეთით, სკვითია – სარმატიაში საქადაგებლად მიმავალი წმიდა მოციქულები გზას ვერ აუქცევდნენ იბერიას.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, ჩამოყალიბების დროიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში). ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში: „წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“. წყაროებში დაცული საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის, ნებით ღვთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას სიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) იძლევა.

არქეოლოგების მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გამოკვლეულია II–III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები, ქრისტიანული წესით დაკრძალული მოზრდილები და ბავშვები შესაბამისი ქრისტიანული ატრიბუტებით (არტეფაქტებით). მასალიდან ჩანს, რომ ქრისტიანობას იღებდნენ ბავშვებიც კი, რომელთა მოსანათლად სამღვდელოება იყო საჭირო. ამით დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ ანდრია მოციქულმა, იმჟამინდელ საეკლესიო ცენტრში, აწყურში, ქრისტიანებს დაუდგინა სამღვდელოება ეპისკოპოსთან ერთად, ანუ საფუძველი დაუდო საქართველოს წმიდა ეკლესიას, რომელსაც, ამ წყაროს ცნობით, თავისი იერარქიული მმართველობა გააჩნდა უკვე მოციქულების ეპოქიდანვე.

წმიდა გიორგი მთაწმიდელი მე-11 საუკუნეში, ანტიოქიის საპატრიარქო კარზე, ამტკიცებდა შემდეგს – რადგანაც მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიები პირველ საუკუნეებში თავისთავადები (ავტოკეფალურები) იყვნენ, მსგავსადვე, ანდრია მოციქულის მიერ დაარსებული საქართველოს, ანუ ივერიის ეკლესია დაარსებისთანავე თავისთავადი იყო.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით, საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები მე-2, მე-3 საუკუნეებში წარმართი მეფეების მხრიდან განიცდიდნენ დიდ დევნას. ამიტომაც IV საუკუნეში წარმოიქმნა საჭიროება სამეფო ოჯახისა და მთელი ერის მოქცევისა.

IV ს-ში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით და უფლის შეწევნით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი.

სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა. ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ ისევე, როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545–546).

ჩვენი წყაროების ამ მითითებას, რომ წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ მთლიანად ეთანხმებიან IV–V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები.

კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV–V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23.), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. ის წერს: ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავზედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან – კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

რადგანაც, ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც, დასავლეთ საქართველო მე-4 საუკუნიდანვე წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.

ამ საკითხში ქართულ წყაროებს უცხოურებიც ეთანადებიან. კირიონ კათალიკოსი (VI–VII სს) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს: კირიონ I იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

მეოცე საუკუნეში საისტორიო წრეებში გავრცელდა არასწორი შეხედულება, თითქოს დასავლეთ საქართველო შედიოდა არა საქართველოს, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ამის დასამტკიცებლად იშველიებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსკოპოსოთა ნუსხებს (ე.წ. ნოტიციებს). მასში მართლაც აღნიშნულია, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტო ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს ვიდრე თითქმის მე-10 საუკუნემდე. ჯერ კიდევ ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი მიუთითებდა, ამჟამად კი ახალი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტოს ზიგანას, საისინის, როდოპოლისისა და პეტრას საეპისკოპოსოები სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ისტორიული ლაზიკის სამხრეთ ნაწილში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმიშხანეს რეგიონში, ხოლო დასავლეთ საქართველო მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ქადაგებათა შემდგომ IV–VII სს-ში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა VIII–X სს-ში. ამის გამო წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო – ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო – ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ქვემო ივერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული მიენიჭა, რადგანაც „უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველ იერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო – ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX ს.) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ („ქართლის ცხოვრება”, 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველ იერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ასევე, შემდგომ საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა. ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს „ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის“ სახელი. ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წახურისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ამ რეგიონში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX–X სს. სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთში მცხოვრები მრევლისათვის ასევე დაარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო – ადმინისტრაციული ერთეული „სომხითის სამიტროპოლიტოს“ სახელწოდებით. ამ რეგიონში, რომელსაც ბიზნტიურ ეპოქაში „ივერიის ფემა (თემი) ერქვა, ძველთაგანვე არსებობდა ანისის, ვალაშკერტის, ყარსის, დადაშენის და სხვა ქართული საეპისკოპოსოები.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას.

ზოგადქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, სჯულისკანონით, ქართული საღვთისმსახურო ენით, ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე. ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია, აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის, სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგალითად, XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულ-

მან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევ-კრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი. დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით. და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 393–397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა კანონები, რომლებიც სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს (ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი), მაგრამ ისინი ამ კრებაზე, ერთიან საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ღირსება უცვნია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას. ძნელია ითქვას, რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ცნობა, მაგრამ ის გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული აზრის შესახებ, რომ საპატრიარქო ღირსება საქართველოს ეკლესიის მეთაურს VII საუკუნიდან გააჩნდა. ეს წყარო წერს:

„ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680–681] კონსტანტინოპოლის შინა. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა (ვითარცა) წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი.

და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით – წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთსა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო – ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“ („ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 231, 232).

ასევე ამ ცნობას, იმეორებს ძველი საეკლესიო წყარო –„მარტვილური ხელნაწერი“. ის ასახელებს თავის ბერძნულ წყაროს – „კონსტანტინოპოლურ ტაქტიკონს“.

ყველგან, ამის დასტურად, შავი ზღვიდან არაქსამდე ჩვენ ამჟამადაც გვხვდება დიდებული ეკლესია-მონასტრების ნაშთები, ქართული წარწერებით, მათ შეეხება უამრავი წყარო.

ცნობილია, რომ VI მსოფლიო კრებას კანონები არ გამოუცია, მაგრამ კრების მიერ დადგენილი და იმპერატორის მიერ დამტკიცებული საბოლოო ტექსტი 681 წლის 16 სექტემბერს გადაეცა საიმპერატორო კარს საგანგებოდ დასაცავად. ალბათ, მას უწოდებს ეს წყარო „კონსტანტინოპოლურ ტაქტიკონს“. ალბათ, ეს საბოლოო ტექსტი დაედო საფუძვლად „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ჩანართს მსოფლიო კრების მიერ ქართული ეკლესიისათვის საპატრიარქო ღირსების მინიჭების შესახებ.

„მარტვილურ ხელნაწერის“ ცნობა ასეთია: „რამეთუ ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინოპოლისასა, ვითარმედ მას ჟამსა წმიდა მეექვსესა კრებასა კონსტანტინე პოღონატისასა და აღათონ რომთა პაპისა, გიორგი კონსტანტინოპოლელისასა და თეოფანე ანტიოქიელისასა და მათთანა ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა: და მერე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და გაპატიოსნდა, რამეთუ არღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარი არს“ (მარტვილის ხელნაწერები, ძველი საქართველო, ტ. III, 1913–1914 წწ., გვ. 29).

ათი წლის შემდეგ, 691 წელს, მოწვეულ იქნა ე. წ. ტრულის კრება, რომელმაც იღვაწა კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით. შეკრიბა და გამოსცა წინა მსოფლიო კრებათა კანონები, მაგრამ მათში არ შესულა მრავალი კანონი და დადგენილება წინა კრებებისა, ალბათ, მასში არ მოხვდა ასევე VI კრების დადგენილება ქართული ეკლესიის შესახებ. ვ. გოილაძემ გამოიკვლია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ცნობა სანდოა (ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1991, გვ. 195).

მაშასადამე, ძველ ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას სამართლიანად მიაჩნდა, რომ ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ღირსება მოიპოვა VI მსოფლიო კრებაზე, 681 წელს. მართლაც, იქამდე პატრიარქის წოდებას ატარებდა ამიერკავკასიის ორივე მეზობელი ეკლესიის მეთაური – სომხეთისა და ალბანეთისა, როგორც ეს კარგად ჩანს მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან. ამიტომაც არაა გასაკვირი ის, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს მოეძია პატრიარქის წოდება და მოეპოვებინა ეს უდიდესი ღირსება მსოფლიო ეკლესიის დასტურით. ამის შემდეგ ქართული ეკლესიის პატივი გაუთანაბრდებოდა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოთა პატივს. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ცნობა: „ამის კრების მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა“ („ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 231, 232).

აქვეა განხილული ქართული ეკლესიის სამწყსო. მასში საქართველოს გარდა შევიდა ქართული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიები: შაქი და შირვანი, კავკასიის მთიანეთი „მიდგმით – წარმოვლით მთისა ადგილნი“. ესენია დღევანდელი დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი „სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის“. მასში შესულა „სრულიად ოსეთი“. ოსეთი იმ დროისათვის მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში არსებობდა.

პალესტინაში მეოცე საუკუნის ბოლოს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქართულ წარწერიანი საფლავის ქვა, მე-5 საუკუნით დათარიღებული, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა „ფურტაველი ქართველი ეპისკოპოსი“. გამოითქვა მოსაზრება, რომ იგულისხმება ბარდავის ქართველი ეპისკოპოსი.

ბარდავი იყო ალბანეთის ეკლესიის ერთ-ერთი ცენტრი, მე-5 საუკუნედან, იქამდე კი, მეფე მირიანის შემდეგ, ის ქართული ეკლესიის იურისდიქცი-

აში ყოფილა, მატიანეები გვამცნობენ, რომ მეფე მირიანის დროს წმიდა ნინომ მოაქცია ასევე ჰერეთი და რანი,

მემატიანის სიტყვით, „აღასრულა ესე ყოველი ღვთივ-განბრძნობილმან მირიან მეფემა, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისა, ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელსა ყოვლისასა, და განამტკიცნეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა“ (იქვე, გვ. 128).

მემატიანეს სიტყვა, რომ მირიანმა განანათლა „ყოველი ქართლი და ჰერეთი“, გულისხმობს, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შევიდა ქართლის სამეფო (მოიცავდა მიწა-წყალს შავი ზღვიდან (მდინარე ეგრისწყლიდან) ვიდრე სომხეთამდე), ასევე განანათლა ჰერეთი, რომელიც მდებარეობდა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მისი მომიჯნავე, მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა რანი.

ამასვე აღნიშნავს მოვსეს ხორენაცი, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან-მასქუთებამდე”.

იმჟამად მასქუთების ტომი სახლობდა კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე. შესაბამისად, რანი, ქვეყანა მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ჰერეთთან ერთად იმჟამად ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მატიანე გადმოგვცემს, მეფე მირიანმა ძალაუფლება განიმტკიცა რანში, რანი (ხუნანიდან ბარდავამდე) გადასცა თავის ნათესავს – ფეროზს და დაადგინა იქაურ ერისთავად. ამ ცნობის მიხედვით, რანი იმჟამად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. შესაბამისად, ბარდავში თავისი ეპისკოპოსიც უნდა ჰყოლოდა, რასაც თითქოსდა ადასტურებს პალესტინაში აღმოჩენილი V საუკუნის საფლავის ქვის წარწერა: „ქართველი ეპისკოპოსი ფურტაველი“ ფურტავი-ბარდავის სახელი უნდა იყოს.

ეს ქვეყნები შემდგომ დაიკარგა და იქ ალბანეთის საკათალიკოსომ განახორციელა იურისდიქცია. რანის მოსახლეობა შეიცვალა, ხოლო ჰერეთი კვლავაც ქართველებითვე დასახლებული დარჩა, თუმცა მონოფიზიტური იყო წმ. დინარა დედოფლამდე. (საინგილო იყო არა ჰერეთის, არამედ კახეთის ნაწილი, აქ, შემდგომში, კახეთის სამეფოს დედაქალაქები ზაგემი და ბაზარ – ქალაქი მდებარეობდნენ). ჰერეთი ერქვა ტერიტორიას, მოქცეულს მტკვარ-ალაზნის შესართავიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ეკლესია VII ს-ის დასასრულს შეიერთა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, მ. კალანკატუაცის თანახმად;

მოვსეს კალანკატუაცი მიიჩნევს, რომ როგორც ალბანეთის, ისე სომხეთის კათალიკოსებს მე-7 საუკუნეში გააჩნდათ პატრიარქის ტიტული. ასევე ეს ტიტული უნდა ჰქონოდა ამავე საუკუნეში სამხრეთ კავკასიის მესამე კათალიკოსს – საქართველოს ეკლესიის მეთაურს.

როგორც აღინიშნა, თვით საქართველოს ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრებული იყო მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესიას საპატრიარქო ღირსება მიუღია VII საუკუნეში, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ჩრდილო კავკასია, სამხრეთ კავკასიის მართლმადიდებლური ნაწილი და ასევე მის სამხრეთით მდებარე ქართველებით დასახლებული მიწა-წყა-

ლი. მართლაც, ტაო-კლარჯეთში პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებული არის მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს, მოხსენიებული არის „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“.

საქართველოს მეფე ბაგრატმა 830 წელს, წყაროს ცნობით, დასავლეთ საქართველოში „განაჩინა კათალიკოსი“, ანუ აქ დააარსა და დაამტკიცა ქართული ეკლესიის ახალი ადმინისტრაციული ერთეული – აფხაზეთის საკათალიკოსო. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქრისტიანული სამრევლოებისა და საეპისკოპოსოების ზრდის გამო ჭირდა მათი ადმინისტრაციული მართვა ერთი ცენტრიდან (მცხეთიდან).

ქართულ ეკლესიას ასევე ჩრდილო კავკასიაში გააჩნდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეული – ხუნძეთის საკათალიკოსო. მისი მეთაური „ხუნძელი კათალიკოსის“ ტიტულით იჯდა ამჟამინდელ დაღესტანში, რომელიც ქრისტიანული ქვეყანა იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში.

საქართველოს ეკლესიაში წირვა-ლოცვის (ლიტურგიკის) ენა იყო და არის ძველი ქართული ენა. ქართული ეკლესიის მამებმა შექმნეს უმდიდრესი ლიტერატურა მე-4 – მე-5 საუკუნეებიდან დღემდე – მონასტრებსა და საეკლესიო დაწესებულებებში საქართველოსა და უცხოეთში (იერუსალიმში, ანტიოქიაში, საბერძნეთში (ათონის წმიდა მთაზე), ბულგარეთსა, არაბეთში (სინას მთაზე) და სხვაგან), ქართული საეკლესიო კულტურის უდიდესი კერა, ტაო-კლარჯეთი, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართული ეკლესია დიდად იღვწოდა ქვეყნის გაერთიანებისა და დამშვიდებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთულეს პერიოდში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა დაშლილ-დანაწევრებულ ქვეყანას და მის ხალხს.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო კარზე წარმოიშვა იდეა თანამორწმუნე რუსეთის დიდი მართლმადიდებლური სახელმწიფოს მხარდაჭერით აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება, გაეძლიერებინათ ეკლესია, სარწმუნოება, დაებრუნებინათ დაკარგული პროვინციები – ჭარ-ბელაქანი და სამცხე-საათაბაგო, გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვა. რუსეთის ხელისუფლებამ გეორგიევსკში ხელშეკრულებაც კი დადო ქართველთა სამეფო კართან 1783 წელს (ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) ამ პირობათა დასაცავად, მაგრამ გაძლიერების ნაცვლად რუსეთის იმპერიამ, საერთოდ, გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად, რუსეთის საიმპერატორო ტახტის მოშლის შემდეგ, 1917 წელს, ქართველმა ხალხმა აღადგინა თავისი ეკლესიის ავტოკეფალია. 1918 წელს კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1990 წელს ეს ფაქტი (ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია) აღიარა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ.

საქართველოს ეკლესიის მეთაური, კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით, ინიშნებოდა და ინიშნება არა უცხოეთიდან, არამედ მას ადგილზევე ირჩევდნენ ქართველი ეპისკოპოსები გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე. საქართველოში სხვადასხვა საუკუნეში 80-მდე ეპარქია და საეპისკოპოსო კათედრა

იყო. ამჟამად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევით აღდგენილია 50-მდე ეპარქია, ამოქმედდა უამრავი ეკლესია-მონასტერი.

საქართველოს ეკლესიის ათასწლოვანი ავტოკეფალია უკანონოდ გააუქმა რუსეთის იმპერიამ მე-19 საუკუნეში, ხოლო მე-20 საუკუნეში სრულიად დაამცრო და გაქრობის პირას მიიყვანა წითელი რუსეთის იმპერიის ათეისტურმა სისტემამ. ამის გამო შეწყდა თვით ეკლესიის შიგნით საკუთარი ისტორიის კვლევა, ხოლო ხელისუფლება მას საგანგებოდ ცვლიდა თავისი პროპაგანდისტული იდეების შესაბამისად, ქართველი ერის, მისი ეკლესიის დაყოფა-დანაწევრების მიზნით. მათ წარმოადგინეს, თითქოსდა დასავლეთ საქართველო ისტორიულად შედიოდა არა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ კონსტანტინოპოლისა მთელი 600 წლის განმავლობაში. ეს თეორია ამჟამადაც ენერგიას მატებს სეპარატისტებს. ამის გამო წმ. სინოდმა სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე ინება თვით ეკლესიის შიგნით წარმართულიყო საკუთარი ისტორიის კვლევა და მიიღო ამასთან დაკავშირებით რამდენიმე დადგენილება.

აფხაზეთის საკათალიკოსო

საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში, გაბატონდა თვალსაზრისი, თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა ბერძნული ეკლესიის წიაღში და მხოლოდ X საუკუნისათვის შემოიერთა ის საქართველოს ეკლესიამ. ესაა არასწორი თეორია, რომელიც არ დასტურდება ქართული წყაროებით, რაც შეეხება ძალზე მნიშვნელოვან ბიზანტიურ წყაროებს, იქ ნახსენები ისტორიულ საქართველოში მდებარე პუნქტები არასწორად, შეცდომითაა ლოკალიზებული, ამის გამო ამ შესანიშნავი წყაროების ცნობები არასწორადაა განმარტებული, და შესაბამისად მისგან მიღებული დასკვნებიც არასწორია.

ეს არასწორი დასკვნები მიღებული იქნა მხოლოდ ათეიზმის ეპოქაში, საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული დევნის (მე-20 ს. 20–50-იან) წლებში, რამაც არასათანადოდ წარმოაჩინა საქართველოს ეკლესიის წარსული, ხოლო სეპარატისტებს მისცა ნოყიერი ნიადაგი.,

ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული დასკვნების მიხედვით, მე-9 მე-10 სს.-მდე ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას ავრცელებდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილზე, დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ხოლო სამხრეთ კახეთი ბოდბეს, გურჯაანის დავით-გარეჯასთან ერთად ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, ამის შემდეგ, მე-10 საუკუნისათვის ის გაძლიერდა, შეიჭრა აღნიშნული უცხო ეკლესიების იურისდიქციებში, და ეს ტერიტორიები შეიყვანა თვის იურისდიქციაში.

მან თითქოსდა დასავლეთ საქართველოში გააუქმა ბერძნული საეპისკოპოსოები ფაზისისა (ფოთისა), პეტრასი (ციხისძირისა), ზიგანევისა (გუდაყვა), როდოპოლისისა (ვარციხე) და საისინისა (ცაიშისა). გააუქმა იქ ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა, მის ნაცვლად შემოიღო ქართული. შესაბამისად, სხვის იურისდიქციაში შეჭრის გამო ის პროზელიტური ეკლესია იყო. ასევე ჩამოართვა ალბანეთის ეკლესიასაც მიწები.

ქართული საეკლესიო წყაროების მიხედვით კი, აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა არა ბერძნული, არამედ საქართველოს ეკლესიის წიაღში, ქართველთა მეფე ბაგრატის ბრძანებით („ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოზი აფხაზეთს“). ამ საკათალიკოსოს მართავდა უმრწემესი კათალიკოსი, რომელიც ექვემდებარებოდა მცხეთის უხუცეს კათალიკოს-პატრიარქს.

აფხაზეთის საკათალიკოსო იყო არა დამოუკიდებელი საეკლესიო ერთეული, არამედ ქართული ეკლესიის წიაღში არსებული ერთ-ერთი თავისთავადი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, შექმნილი ზოგადქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის გაადვილების მიზნით. მსგავსადვე იყო მოწყობილი ბიზანტიური ეკლესიაც თავისთავადი სამიტროპოლიტო ოლქების სახით.

ნ. ადონცი და ბოლო წლების სხვადასხვა კვლევა აჩვენებენ, რომ ზემოთ აღნიშნული ფაზისის, პეტრას, ზიგანევის, საისინის და როდოპოლისის ეპარქიები იმთავითვე მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტრაპეზუნტ-გუმუშხანეს მხარეს, ხოლო დასავლეთ საქართველო ეგრისწყალ-კლისურამდე, ქრისტიანობის გავრცელების დროიდანვე, საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მე-8 საუკუნის შემდეგ კი (მირ, არჩილ და ლეონ 1 მეფეების პერიოდიდან) მისი იურისდიქცია ხაზარეთის მდინარემდე, ანუ ყუბანამდე განივრცო.

წყაროთა ცნობებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ისტორია ასეთია: ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა ერთ რომელიმე კუთხეში, არამედ. ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ („დიდი სჯულისკანონი“ 1975,- გვ. 545). ასევე წმიდა ნინომ მოაქცია არა ერთი რომელიმე კუთხის მოსახლეობა, არამედ „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (იქვე, გვ, 546). მაშასადამე, მათ სრულიად საქართველოში იქადაგეს და მთელი ქართველი ერი განანათლეს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განსაზღვრების შესაბამისად. მე-12 საუკუნეში მცხოვრებმა ამ წმიდა მამებმა გაცილებით უკეთ იცოდნენ თითქმის მათსავე ეპოქაში არსებული საეკლესიო ცხოვრების ისტორია, ვიდრე ათეისტური პერიოდის მკვლევარებმა მე-20 საუკუნეში.

ამ ცნობებს ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა მთლიანად ეთანხმებიან IV ს-ის პალესტინელი ეპისკოპოსის გელასი კესარიელისა და V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის ცნობები. მათი სიტყვით, წმიდა ნინომ მოაქცია იბერებიცა და ლაზებიც, მაშასადამე, მოაქცია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

IV ს-ში ჩამოყალიბდა მთელი ქვეყნის მომცველი ერთიანი ქართული ეკლესია ცენტრით მცხეთაში. მის პირველივე მეთაურს რუის-ურბნისის საეკლე-

სიო კრების ძეგლისწერით „ეპისკოპოს-კათალიკოსი“ ანუ საყოველთაო, ზემდგომი ეპისკოპოსი ეწოდებოდა (იქვე, გვ. 546).

ქადაგებათა შემდგომ დასავლეთ საქართველოში ისევე, როგორც საქართველოს ყოველ ნაწილში, ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა VIII–X სს-ში. ამის გამო წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს საპატრიარქოში ეპარქიათა მართვის გაადვილების მიზნით ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი, ანუ სამიტროპოლიტო ოლქი. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული უნდა მინიჭებოდა, რადგანაც „უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველ იერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეპარქიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს. ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და, მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა გასცა ამის დასტური. ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქ. ც. 1955, I, გვ. 255).

შენიშვნა: საქართველოს ეკლესიაში ტიტული „საქართველოს პატრიარქი“ ეწოდებოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურს, ხოლო „კათალიკოზის“ ტიტული ენიჭებოდა მსხვილ, უმთავრეს სამიტროპოლიტო ერთეულის მეთაურს. კ. კეკელიძის კვლევით, „კათალიკოზი“ იგივე იყო, რაც ბიზანტიურ ეკლესიაში არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი. მაგ., წყაროს ცნობით, ექვთიმე მთაწდელი მიიწვიეს „კვიპროსის კათალიკოზად“ ანუ კვიპროსის ეკლესიის არქიეპისკოპოსად.

1. წყაროების მიმოხილვა

ა. ბერძნულ-ლათინური წყაროები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების შესახებ:

გელასი კესარიელი წერს: **„იმავე ხანაში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“** (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

გელასი კვიზიკელიც ამასვე წერს: **„ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს“** (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

წმიდა ნინოს ქადაგებათა შემდგომ საქართველოში ჩამოყალიბებულ ეკლესიის მეთაურს ეწოდებოდა კათალიკოსი. საკათალიკოსო გაძლიერდა, განსაკუთრებით, V ს-ის ბოლოს.

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის აღნიშნულ ცნობებს ეთანადება VI საუკუნის ცნობილი ავტორის პროკოფი კესარიელის ცნობა, რომ იბერები მრავალ ხალხს შორის საუკეთესო ქრისტიანები არიან.

ისტორიული ლაზიკა, ანუ **„კლარჯეთი, სპერი, ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი”**-ა. იმის შემდეგ, რაც ბიზანტიამ ეს ტერიტორია ჩამოაშორა ქართულ სახელმწიფოს, იქაურ მოსახლეობას პროკოფი „ერთ ხალხს” უწოდებს.

ლაზიკის ომებამდე, ანუ V ს-ში, საზღვარი ქართულ სახელმწიფოსა და ბიზანტიას შორის გადიოდა ოფრიზეს რეგიონში. იურისდიქციის საზღვრები შეიცვალა ლაზიკის ომების შემდგომ. კერძოდ, მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციიდან ბიზანტიამ გაიყვანა ოფ-რიზე-ათინას რეგიონი და იქ მცხოვრები მოსახლეობა, რომელთაც, როგორც ითქვა, პროკოფი კესარიელი „ერთ ხალხს“ უწოდებს, შეიყვანეს კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში მყოფი ლაზთა ეპისკოპოსების სამწყსოში (გეორგიკა, I, 1965, გვ. 125). ამ ომებამდე, ლაზთა ეპისკოპოსების როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები მდებარეობდნენ ისტორიულ ჭანიკა – ქალდეაში, გუმიშხანეს რეგიონში.

შემდგომ მათი იურისდიქციის საზღვარში შევიდა აღნიშნეული „ერთი ხალხი“ და სამიტროპოლიტო ცენტრი გადატანილ იქნა, სავარაუდოდ, მდ. ფაზარის ხეობაში ზღვისპირზე, სადაც ქ. პაზარი, ათინა მდებარეობს. შესაბამისად, „ერთი ხალხი“ გამოყვანილ იქნა ქართველი კათალიკოსის იურისდიქციიდან და შეყვანილ იქნა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ლაზთა ეპისკოპოსების სამწყსოში, ამიტომაც წერს პროკოფი: „ტრაპეზუნტელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობს ერთი ტომი ... ისინი ლაზიკის ომებამდე კათალიკოსს – ექვემდებარებოდნენ, შემდეგ კი – ლაზთა ეპისკოპოსებს“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 125).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანხმება (მართალია, მოგვიანო პერიოდის, მაგრამ ეკლესიისათვის ძალზე კომპეტენტური) ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ ლაზიკაში მდებარე ოფის (ჰოფის) საეპისკოპოსო კათედრა დააარსა წმიდა ნინომ IV ს-ში, იქამდე, სანამ ის (წმიდა ნინო) ფარავნის გზით იბერიის დედაქალაქ მცხეთაში გადავიდოდა და იქ დააარსებდა საეპისკოპოსოს.

კერძოდ, „მოხსენებაში, რომელიც ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ 1651 წელს წარუდგინა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს, აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა, (ჰოფის სამიტროპოლიტო კათედრა) ითვლებოდა დაარსებულად წმიდა ნინოს მიერ. მის შესახებ მიტროპოლიტი გერმანე მრავალგზის აღნიშნავდა: ივერიის მიწა მან განანათლა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227). მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა მან, ვინც ივერიის მიწა განანათლა, ე. ი. წმიდა ნინომ, რადგანაც ლაზიკა და იბერია მეფე მირიანის დროს იყო ერთი ქვეყანა და მიტროპოლიტი გერმანე თავის ცნობაში მიუთითებდა: „ლაზია საქართველოს ძველი ქვეყანაა“ „ძველი ქართული მიწაა“ „ივერიის მიწაა“ (იქვე, გვ. 263).

ბიზანტიურ და სხვა ძველ წყაროებში ისტორიულ საქართველოს ივერიას უწოდებდნენ და მიიჩნეოდა, რომ ის შედგებოდა ორი გეოგრაფიული ნაწილისაგან ქვემო ივერიისაგან (დასავლეთ საქართველოსაგან) და ზემო ივერიისაგან (აღმოსავლეთ საქართველო).

ზემოთ აღნიშნულმა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქებმა დოსითეოსმა და ხრისანფიმ XVII ს-ში მოილოცეს ივერიის მიწა-წყალი და აღწერეს ის. მათ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველო დაპყრობილი იყო სპარსელების მიერ

(საქართველოს პატრიარქი ევდემოზი აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანმა მმართველმა სასტიკი წამებით მოკლა), ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესია დაემცრო, ამიტომაც სუვერენული დასავლეთ საქართველოს ქრისტიან მეფეებს იმჟამად, სრულიად საქართველოს მეფეებად წარმოედგინათ თავიანთი თავი, ასევე აფხაზეთის კათალიკოსები თავიანთ თავს (მუსულმანთა ბატონობის ეპოქაში) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებს უწოდებდნენ, რაც იყო დროებითი მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიან ხელმწიფეთა ტახტის აღდგენამდე. შემდგომ მცხეთის კათალიკოსს კვლავ „უხუცესს პატრიარქს“ ხოლო აფხაზეთისას „უმრწმესს“ უწოდებდნენ. აღნიშნული გარემოების გამო იერუსალიმელი პატრიარქი წერს: „**იბერიაში ორი არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება. ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ**“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ხოლო მეორე პატრიაქი ხრისანფი ამბობს: „...**საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...**“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროების ზემოთ აღნიშნული მითითებებიდან ნათლად ჩანს, რომ წმიდა ნინოს ეპოქიდან ლაზიკა, დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად ქმნიდა ერთიან ეკლესიას და არა ორ ეკლესიას, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ მეცნიერს, რომელთა შეხედულებასაც აკრიტიკებდა ივ. ჯავახიშვილი.

ბ. ქართული წყაროები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების შესახებ:

საკითხი, იმის შესახებ, რომ ძველი ქართული წყაროების თანახმად, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე შედიოდა ზოგადქართული ეკლესიის წიაღში, მიმოიხილა ივ, ჯავახიშვილმა, ის წერს: **„გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ ხოლო შემდეგ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“. ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს ეკლესიაში ერთადერთი თვალსაზრისი იყო დაცული, რომ ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს წმიდა ეკლესია თავის იურისდიქციას ავრცელებდა მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ცხადია, აფხაზეთზეც, ვითარცა მის განუყოფელ და ძირითად ნაწილზე.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ XIX ს-ში გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია, ფართო გასაქანი მიეცა თეორიებს ქართული ეკლესიის კიდევ უფრო დასაკნინებლად, განსაკუთრებით, XX ს-ში ათეისტების ბატონობისას. ამ დროს ჩამოყალიბდა მტკიცება, თითქოსდა დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან X საუკუნემდე, 500–600 წლის განმავლობაში, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ X ს-ის შემდგომ ის დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას. თითქოსდა იქამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემავალი როდოპოლისის (ვარციხის), საისინის (ცაიშის), პეტრას (ციხისძირის), ზიგანევის (გუდაყვა) ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები. ასევე აფხაზეთის (აბაზგიის) ავტოკეფალური ეკლესია და თითქოსდა ისინა გააუქმა ქართულმა ეკლესიამ და მათ ნაცვლად იქ დააარსა თავისი საეპისკოპოსოები. ასეთია ამჟამინდელი ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცება, რასაც იმეორებენ აფხაზეთში მოკალათებული საეკლესიო სეპარატისტებიც.

ივანე ჯავახიშვილი ასეთი თეორიის მომხრეებს შემდეგ შეფასებას აძლევდა: „ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილისა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნების მოსპობა“ (იქვე, გვ. 97). „სახელოვან მეცნიერებს“ კი ის უწოდებდა ზემოთ აღნიშნულ გიორგი

მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, რუის-ურბნისის კრების წმიდა მამებსა და ნიკოლოზ კათალიკოსს სხვა უძველეს მოღვაწეებთან ერთად.

მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველო 500–600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში მიღებულ დებულებებს, საეკლესიო კრებათა დადგენილებებს, საერთოდ კი, ქართველ წმიდა მამათა, ისტორიკოსთა და მემატიანეთა ტრადიციულ თვალსაზრისს ამ საკითხზე.

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართული ეკლესიის წიაღში ქართველ მეფეთა და პირველ იერარქთა ნებით ეკლესიის ადმინისტრაციული მმართველობის გასაადვილებლად, ის ყოველთვის იყო ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქი ზოგადქართული ეკლესიისა.

გ. სომხური წყაროები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების შესახებ:

იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობის თანხმად, კირიონ I საქართველოს ეკლესიის მამამთავარი-კათალიკოსი, ამასთანავე იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი.

899 წლიდან სომხეთის კათალიკოსად დადგენილი იოანე წერდა ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის შესახებ, რომ ის იყო მამამთავარი **„იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“** (იოანე კათალიკოსის მატიანე, 1912, გვ. 65, წიგნიდან პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 243).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, კირიონ I კათალიკოსის დროს, ე.ი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, ეგრისი ეწოდებოდა. ამ ეპოქაში ეგრისი ე. ი. დასავლეთ საქართველო, იოანე სომეხთა კათალიკოსის ამ ცნობით, შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში, რადგანაც კირიონი – მისი მამამთავარი იყო და თანაც „ადრინდელი წესის შესაბამისად“. კირიონის წინა „ადრინდელი“ ხანა, ცხადია, უნდა იყოს V ს. და VI ს-ის პირველი ნახევარი. მაშასადამე, V, VI და VII სს-ში იოანე კათალიკოსის ცნობის ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველო არა კონსტანტინოპოლის, არამედ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოსთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც (ლაზიკა) გაქრისტიანებისთანავე ზოგადქართულ იურისდიქციაში რომ შედიოდა, მიუთითებს მოვსეს ხორენაცი (V ს-ის ავტორი). ის წერს, რომ კლარჯეთი (ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო), მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა აქედან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთამდე: **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული, ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984**, გვ. 172).

მაშასადამე, არა მარტო მოვსეს ხორენაცის, არამედ აგათანგელოზის ცნობითაც, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვიდან (კლარჯეთიდან), ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

აღნიშნულ იოანე კათალიკოსის, მოვსეს ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებს კიდევ უფრო ამტკიცებს უხტანესი.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც აღწერდა კავკასიის ეკლესიების ისტორიას VIII–X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

უხტანესი ეხება და აღწერს აფხაზეთის ეთნიკურ სახეს, ამიტომაც მის ცნობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევისას.

კერძოდ, უხტანესი წმიდა შუშანიკის ღვაწლის აღწერის დროს ამბობს: „მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 201).

უხტანესი „ქართველთა ქვეყნის“ არეალში დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთს რომ გულისხმობდა, ამის შესახებ თვითონვე წერს. კერძოდ, მისი თვალსაზრისით, შავი ზღვის სანაპიროზე იბერები ნაბუქოდონოსორმა დაასახლა, სადაც იბერიელები გამრავლდნენ, იქცნენ დიდ ხალხად და მათ ქვეყანას ამჟამად „აფხაზეთი“ ეწოდებაო, წერს უხტანესი. მაშასადამე, მისი აღწერით, აფხაზეთი ივერიელი ხალხით იყო დასახლებული ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან ვიდრე უხტანესამდე. კერძოდ, უხტანესი ასე აღწერს ამ ამბავს „ძველი ისტორიკოსების“ ცნობაზე დაყრდნობით:

„ივერიელთა ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე. „ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გვარისა, ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა“ (უხტანესი, გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67).

მაშასადამე, უხტანესი, IX–X სს-თა ავტორი, აღწერდა, თუ რომელ ქვეყანას ეწოდებოდა აფხაზეთი, რომელი ხალხით იყო ის დასახლებული და თუ ვინ იყო მათი ყველაზე გამორჩეული კათალიკოსი, რომელმაც ეს ხალხი განაშორა სომხურ ეკლესიას. კერძოდ, აფხაზეთი, მისი თქმით, ქართველებით იყო დასახლებული, და ისინი კირიონმა განაშორა სომხური ეკლესიისაგან. ამ პირველხარისხოვანი წყაროს მითითებითაც კირიონი იყო დასავლეთ საქართველოს მამამთავარი.

საინტერესოა, რატომ არ გამოიყენეს უხტანესის ეს ცნობა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებმა XX ს-ის სეპარატისტების მიერ აღძრული კონფლიქტების დროს.

2. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია საეკლესიო სამართალის მიხედვით

აფხაზეთის საკათალიკოსო ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველ იერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე. ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია, აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის, სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ., XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი, დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“.... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393–397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით დაამტკიცეს. ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად, ანუ „საქართველოს პატრიარქად“ როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ, ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

3. ათეისტური ეპოქის შეხედულებანი აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ.

ათეისტურ ეპოქაში გაუქმებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ის შეადგენდა ერთ-ერთ ნაწილს ჯერ რუსეთის, შემდგომ კი საბჭოთა იმპერიებისა. ამ დროს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველი ხალხი თითქმის ერთი საუკუნე იბრძოდა ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის, რაც, მართლაც, მოპოვებული იქნა, მაგრამ ხალხზე მისი გავლენის შესამცირებლად მიზანმიმართულად აყალბებდნენ ეკლესიის ისტორიას, რათა ის ცალკეულ ნაწილებად დაეშალათ.

საბჭოთა ეპოქის ათეისტური ისტორიოგრაფია ყოველმხრივ უკეთებდა იგნორირებას ზემოთ აღნიშნულ ბერძნულ-ლათინურ, ქართულ-სომხურ და სხვა წყაროებს, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა კი, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ წარმოადგინა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ისტორიის თავისებური სქემა.

თითქოსდა, X ს-მდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ქუთაისში, ფოთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში არსებობდა ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები 500–600 წლის მანძილზე, IX–X სს-მდე.

საქართველოს ეკლესია, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იჭრებოდა:

ენციკლოპედია წერს: „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის“ პროცესს“ (10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ“, 1981 წ. გვ. 61.).

„ქართული ეკლესიის „გაბატონებამდე“ დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს „გაბატონების“ შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით წერს: „ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი. ასე, რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად: „ქართლია“ იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ „კვირიელეისონი“ შეიძლება ბერძ-

ნულად). მირონის კურთხევა „ქართლს“ განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი ავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით“ [თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574 – 601.].

„ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973, გვ. 427.).

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით, „ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“ სადაც ბრძანა: „ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33).

ასე აღგიწერს ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია, თუ როგორი რეაქციული იყო „ქართული ეკლესიის“ ეს „პროზელიტიზმი“ ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციასთან დაკავშირებით ეყრდნობიან მხოლოდ ე.წ. „ნოტიციებს“ (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებს). რაც საკმარისი არ არის, რადგანაც ნოტიციებში, მართალია, ჩამოთვლილია ლაზიკის საეპისკოპოსოები, მაგრამ არ არის მითითებული მათი ადგილმდებარეობა.

მაგალითად, მითითებულია ფასიდის სამიტროპოლიტოს როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას კათედრების შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული, კონკრეტულად სად მდებარეობდნენ ეს საეპისკოპოსო ქალაქები.

ეს კათედრები სად მდებარეობდნენ, ტრაპეზუნტის რეგიონში თუ სხვაგან, სადავოა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

კერძოდ, საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი, პროფესორი, ნ. ადონცი თავის მრავალრიცხოვან შრომებში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ აღნიშნული ლაზიკის კათედრები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-არზრუმ-ზიგანას რეგიონში, რომელსაც ლაზიკა ერქვა. მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წყაროს პირდაპირი მითითების გარეშე დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ აღნიშნული კათედრები მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში. ეს მოსაზრება ამჟამად კვებავს სხვადასხვა სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

მაშინ, როცა ქართული, სომხური, ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროები სხვას მიუთითებენ ისევე, როგორც მონაცემები კულტურის სფეროდან.

4. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში ქართულია და არა ბიზანტიური, როგორც მიიჩნევენ ზოგიერთი ქართველი და რუსი ავტორები, თვით მათივე ნაშრომებიდანაც კი ჩანს, რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილი 1 ათასწლეულში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა პირველ ათასწლეულშივე ქართული იყო, ისევე როგორც შემდეგში, საუკუნეთა მანძილზე.

ცნობილი ისტორიკოსი ნ. ლომოური დარწმუნებულია, რომ დასავლეთ საქართველო „ყველა არსებულ წყაროთა მოწმობით, ვიდრე IX ს.-მდე რჩებოდა ეკლესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დაქვემდებარებულად“. (ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტი, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, 2011, გვ. 124).

მიუხედავად ასეთი მცდარი შეხედულებისა, ის ვერ გაექცა ფაქტებს და აღიარებს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ქრისტიანული კულტურა ქართულია და არა ბიზანტიური.

თუ დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან IX საუკუნემდე, თითქმის 500 წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ეს ფაქტი უნდა აესახა საეკლესიო არქიტექტურასა და კულტურას.

საბედნიეროდ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო არქიტექტურა და ქრისტიანული კულტურა მიუთითებს არა ამ რეგიონის ბიზანტიური ეკლესიის წიაღში ყოფნის შესახებ, არამედ ქართულისა.

თვით ნ. ლომოურის სიტყვით,, არქიტექტურის დამახასიათებელი ელემენტებით დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები (ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი) ეთანადებიან ზოგადქართულ საეკლესიო სტილს და არა ბიზანტიურს. კერძოდ, ნ. ლომოური ამის შესახებ წერს:

1) სამნავიანი ბაზილიკები საქართველოში განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან, რადგანაც მათ არქიტექტურულ სახეს აქვთ ბიზანტიურისაგან განსხვავებული მკვეთრად გამოხატული თავისებურება და განსხვავდებიან ამ ტიპის საყდრების კლასიკური ნიმუშისაგან (მაგ. შუა ნავი შედარებით მოკლეა, არა აქვს სვეტების რიგი, გვერდითი ნავები ვიწროა და სხვა). „ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი ელემენტები მჟღავნდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებზეც (ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი), უფრო მეტიც, სამნავიანი ბაზილიკის ასეთი თავისებურებები ახასიათებს ციხისძირში (ანუ ძველ პეტრაში) გამოვლენილ ეკლესიებსაც“ (იქვე, გვ. 124).

2) სამნავიანი ბაზილიკების გარდა საქართველოში ჩამოყალიბდა უგუმბათო ტაძრის სრულიად განსხვავებული სახეობა ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკები“ (ერთ ბაზილიკაში მოქცეულია სამი ნავი, რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფილია კედლებით, სამივე ნავს აქვს საკუთარი საკურთხეველი და აქვს სხვა ორიგინალური ნიშნები უცნობი ბიზანტიური არქიტექტურისათვის. „ასეთი „სამეკლესიანი ბაზილიკები“ ერთდროულად გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართვე-

ლოში და ძველი აფხაზეთის ტერიტორიაზედაც, ძველი გაგრის ეკლესია“ (იქ-ვე, გვ. 125).

3) „თითქმის სრულ დამოუკიდებლობას ბიზანტიური საეკლესიო ხუ-როთმოძღვრებისაგან ამჟღავნებენ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები, რომე-ლთაც, ვ. ბერიძის სიტყვით, განვლეს განვითარების თავისებური გზა, მარტი-ვიდან რთულისაკენ, ძველი გავაზისა და თბილისის ქვაშვეთის უბრალო ტეტ-რაკონქიდან მცხეთის ჯვრისა და მისი ტიპის რთული აღნაგობას ძეგლებამდე. ეს ტიპი არის ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალური ქმნილება, რომე-ლიც შემდგომ სომხეთშიც გავრცელდა, მაგრამ ბიზანტიის სხვა პროვინციებში მას არ ეძებნება პარალელები. მათ წინამორბედს საქართველოში წარმოადგენს საცხოვრებელი ნაგებობების დარბაზული ფორმა. ამ ტიპის ნაგებობებია ატე-ნის სიონი – ქართლში, ძველი შუამთა – კახეთში, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი – ოდიშში, ჩამუსი ტაოში“ (იქვე, გვ. 125), ე.ი. მარტვილის ტაძარი ქარ-თული და არა ბიზანტიური სტილისაა.

4) „დამოუკიდებელი არქიტექტურული მიმართულება“ დამახასიათებე-ლია ისეთი ტაძრებისთვის, როგორიცაა სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი, იშხანი, ბანა, ხახული და ა.შ. ყველა ამათი საფუძველი იყო, ადგილობრივი, სა-უკუნეთა განმავლობაში თანდათან შემუშავებული ეროვნული წარმომავლობ-ის თავისებურებანი. ეს დასკვნა ვრცელდება აფხაზეთში აგებულ ისეთ ეკლეს-იებზე, როგორიცაა ბზიფის, ანაკოფიის, ლიხნის, მოქვის, გაგრის ეკლესიები“ (იქვე, გვ. 125). (თავის მხრივ, ლიხნისა და მოქვის სტილისაა ზელენჯუკ-არხი-ზის, სენტისა და შოანას ეკლესიები ჩრდილო კავკასიაში).

ე.ი. ბაგრატის, ბზიფის, ანაკოფიის და სხვა დასავლეთ საქართველოს ტაძრები „საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ეროვნული არქიტექ-ტურული თავისებურებანი“ ყოფილა. ამით ისინი განსხვავდებიან ბიზანტიუ-რისაგან.

არქიტექტურულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლე-სიო ხელოვნება ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რაც შედეგი იყო ერთიანი ქართული საეკლესიო იურისდიქციისა.

მაშასადამე, არქიტექტურული ფაქტებით დასტურდება ძველ ქართველ მემატიანეთა ცნობები, რომ დასავლეთ საქართველო არ ყოფილა ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში. ამას მიუთითებს ბიჭვინთის, ციხისძირის, ნოქა-ლაქევის, სეფიეთის, გაგრის, მარტვილის, ბაგრატის, ბზიფის, ლიხნის, მოქვის და სხვა საეკლესიო არქიტექტურა.

ბიჭვინთის მოზაიკის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას. ის „არ ნახულობს არსად ანალოგს გარდა საქართველოსი, რაც აძლევს მკვლევარებს საფუძველს, ეს მოზაიკა მიაკუთვნონ ამ დარგის ადგილობრივ სკოლას“ (იქვე, გვ. 123).

ეს საეკლესიო ხელოვნება არ ადასტურებს იმ თვალსაზრისს, თითქოსდა აფხაზეთის ბიჭვინთაში იყო ბიზანტიელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ადგი-ლობრივი კულტურის ელემენტები დადასტურდა ბიჭვინთის ეკლესიის ნანგ-რევებში“ (IV–VI სს.). მხედველობაშია მოზაიკები, რომელნიც ავლენენ ადგი-ლობრივ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირს“ (იქვე, გვ. 123)

სინამდვილეში ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა და რომაული გარნიზონები იდგნენ ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარე პიტია-პიტიუნტში, ხოლო აფხაზეთის ბიჭვინთა თავიდანვე ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის ნაწილი იყო.

მაშასადამე, დასავლეთ საქართველო ბერძნულ-ლათინური, ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ერთ-ერთ ოლქს შეადგენდა მისი გაქრისტიანებისთანავე, როგორც ითქვა, ამას მიუთითებს:

ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროები – გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსისა (Досифей) და ქრისანთოს (Хрисанф) ცნობები და სხვა.

ქართული წყაროები – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება, „ქართლის ცხოვრება", სხვა ქართული მატიანეები, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სხვათა ცნობები.

სომხური წყაროები – აგათანგელოზის, მოვსეს ხორენაცის, უხტანესისა და იოანე კათალიკოსის ცნობები. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ქართული, ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

სამწუხაროდ, არცერთ ამ წყაროს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ყურადღებას არ აქცევს და ინტერესის სფერო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებით ე.წ. ნოტიციებით ამოიწურება, რომლებშიც დასახელებული ლაზეთის ეპარქიის საეპისკოპოსოებს რატომღაც დასავლეთ საქართველოში ათავსებენ. ნოტიციებში, ცხადია, არ არის არავითარი მითითება მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

მაგალითად, სად მდებარეობდა როდოპოლისი? ტრაპეზუნტის რეგიონში თუ ვარციხესთან?

ამ საკითხის შესახებ საუკუნოვანი კვლევა-ძიება გრძელდება. მაგ., როგორც ითქვა, ისეთი ცნობილი ისტორიკოსი, როგორიც იყო ნ. ადონცი, ამ საეპისკოპოსოსა (და ასევე, ფაზისის სამიტროპოლიტოს სხვა საეპისკოპოსოებს) ათავსებდა ტრაპეზუნტის რეგიონში. ის მიიჩნევდა, რომ ყოველთვის აქ მდებარეობდა ისტორიული ლაზიკა. ის შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ამასვე ფიქრობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. ეს ჩანს XX ს-ის პირველი ნახევრის ათენში დაბეჭდილი ბერძნული რუკიდან, რომელიც თან ერთვის ამას.

ამ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ, მაგალითად, როდოპოლისის ცნობილი ეპარქია მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში და მოიცავდა მთიან რეგიონს რიზეს სამხრეთიდან ვიდრე ზიგანას (გუმუშხანეს) უღელტეხილამდე, კერძოდ, კი ქალაქ მაჭუკასთან (მაჩკა) ახლოს, სუმელას მონასტერთან.

სამწუხაროდ, საბჭოთა საისტორიო სკოლის გავლენით, ბოლო წლებში, თავის ბოლო ნაკვალევებში, ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორიც არის დარუ-ზესი, მიუჩნევია, რომ თითქოსდა, კონსტანტინოპოლი თავის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოში ახორციელებდა X ს-ის დასაწყისამდე (879–907 წლამდე), მაგრამ ეს ასე რომ არ იყო, თუნდაც გიორგი მერჩულის ცნობიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც, წმიდა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში დაახლ. 826 წელს ჩავიდა და მას იქ არავითარი ბერძნული კათედრა არ დახვედრია, პი-რიქით, ეს მიწა-წყალი იყო ქართული ეკლესიის ზრუნვის არეალი. ზემოთ მო-ყვანილიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ:

აფხაზეთის საკათალიკოსო ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნა-წილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

5. არასწორი შეხედულება საქართველოს ეკლესიიდან აფხაზეთის საკათა-ლიკოსოს გამოყოფის შესახებ XVI ს-ის შემდეგ

საბჭოთა ეპოქის სამეცნიერო წრეების გავლენით ამჟამადაც დანერგი-ლია თვალსაზრისი, თითქოსდა შუა საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო საქართველოს ეკლესიას და ამის შედეგად მოიპოვა მისმა კათალი-კოსმა საკუთარი ეპისკოპოსების კურთხევისა და დადგენის უფლება. მაგა-ლითად, მკვლევარი გ. კალანდია წერს თავისი ნაშრომის რუსულ რეზიუმეში: „აბხაზსკიი კატოლიკოსატ ოტდელილსია ოტ ცერკვი გრუზიი“ (გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, 2004, გვ. 272). „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო საქართველოს ეკლესიას“ (იგულისხმება მე 17-მე-18 სს.).

პრინციპულად არასწორი შეხედულებაა.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს არ შეეძლო გამოყოფა საქა-რთველოს ეკლესიისაგან იმ მიზეზის გამო, რომ თვითონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას, ქართულ ეკლესიას.

როგორც ადამიანის რომელიმე ორგანოს არ შეუძლია ადამიანისაგან გა-მოყოფა და დამოუკიდებელი არსებობა, ასევე არ შეეძლო შუა საუკუნეებში აფხაზეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფა, რადგანაც თვი-თონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას. აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანთაგან დაპყრობის შემდეგ, XVII საუკუნიდან, აფხაზეთის საკათალ-იკოსომ თავის თავზე აიღო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის ფუნ-ქცია. ეს იყო რთული პროცესი, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

[როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ზოგადი ქართული ეკლესიის მთლია-ნობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, სჯულისკანონით, ქართუ-ლი საღვთისმსახურო ენით, ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პა-ტრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოების პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბე-რძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპის-

კოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე. ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია, აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც).

მაგ. XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი ...დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს...“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393–97).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანლი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად, ანუ „საქართველოს პატრიარქად“ როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ, ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაზეც აისახა – აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“ მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ

ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოსი“ („ქართული სამართლის ძეგლები“ III, გვ. 675);

ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სრულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს.

ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად, ანტიოქია – იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა:

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა...იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“. (იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“ ათენი, 1966).

საქართველოს, ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI ს-ში სპარსთა, ხოლო VII ს-ში არაბთა შემოსევებმა. ამის შედეგად VIII ს-დან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთ-ერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი. ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII–X საუკუნეებში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ.

არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია, ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია“ ანუ დასავლეთი საქართველო.

საერთოდ, IV ს-დანვე დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის, ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV ს-დანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება (წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა, სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო

იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება, რომ კირიონი ქართლის კათალიკოსი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად, ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად“ (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“ გვ. 10).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც, ჩვეულების თანახმად, უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად. რომელი იმპერატორის დროს ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა.“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად „უხუცეს“ პირველ პატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად, აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართლის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III. გვ. 7–9). სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს, დოსითეოს ქუთათელის დროს ისევე, როგორც ყოველთვის, IV ს-დან საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო.

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ (1917 წლის 25 ივლისს მინისტრთა თავმჯდომარე ა. კერენსკისა და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის ა. კარტაშევის ხელისმოწერით) დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის (12) 25

მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა (იქვე, ტ. III, გვ. 121).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს აღუდგინა სრულიად საქართველოს კათალიკოს პარტიარქის ტიტული. მაშასადამე, ის აერთიანებდა საუკუნის მანძილზე უკვე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს და მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშნავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამდებობას. ამჟამად ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს. შესაბამისად, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

1917 წლის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917–18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) სამართავად გადასცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ამასთანავე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას უწოდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია).

(სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა).

შესაბამისად ამჟამად საქართველოს პატრიარქი ასე იწოდება“ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია“.

6. აფხაზეთის საკათალიკოსო – საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილი

წყაროთა ცნობით, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა:

ა. აღმოსავლეთ საქართველო;

ბ. დასავლეთ საქართველო;

გ. სამხრეთ საქართველო და მართლმადიდებლური სომხეთი;

დ. ჩრდილო კავკასია და ჰერეთ-ალბანეთი.

ა. აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიები იმართებოდა ქართლის კათალიკოსის მიერ, რომელსაც როგორც წესი, ენიჭებოდა ტიტული „სრულიად საქართველოს პატრიარქი“ ის იყო სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი მმართველი.

ბ. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების სამართავად, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელშიც შედიოდა ბიჭვინთის, მოქვის, დრანდის, ბედიის, ჭყონდიდის, ქუთაისისა და სხვა საეპისკოპოსოები.

გ. სამხრეთ საქართველოსა და სომხეთში საქართველოს საპატრიარქოს მრავალი ეპარქია და საეპისკოპოსო გააჩნდა: აწყურის, კუმურდოს, ბანას, იშხანის, არზრუმის, ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები. მათ დაემატა და თანდათან ჩამოყალიბდა ასევე „სომხითის სამიტროპოლიტო“.

დ. ჩრდილო კავკასიისა და ჰერეთ-ალბანეთის ეპარქიების მართვისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა სამიტროპოლიტო ერთეული, რომელსაც ხუნძეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. ხუნძეთის კათალიკოსის ოქროპირის სახელი შემოგვინახა სინას მთის ქართული მონასტრის აღაპებმა (როგორც ითქვა, წოდება კათალიკოსი იგივეა, რაც არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიზანტიური ეკლესიისა. ამიტომაც ეწოდებოდა ქართულ წყაროებში, მაგალითად, კვიპროსის არქიეპისკოპოსს „კვიპროსის კათალიკოსი“).

საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილის – ხუნძეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, დაღესტანსა და ასევე ჰერეთ-ალბანეთის ერთ ნაწილს (იხ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II, 1998, გვ. 214).

მასში შედიოდა ანწუხის, წახურის, ხუნძეთისა და სხვა საეპისკოპოსოები.

მაშასადამე, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ მისი სტრუქტურული ერთეულებს – ქართლის, აფხაზეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები და ასევე სომხეთის სამიტროპოლიტო.

შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოში იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი ტერიტორია ჩრდილო კავკასია კაფადან (თეოდოსიოპოლ ყირიმის ნახევარკუნძულიდან) – ალბანეთამდე, ვანის ტბიდან (ვალაშკერტიდან) არზრუმამდე (იქვე, გვ. 215–228).

როგორც ვთქვით, საქართველოს პატრიარქი იმავე დროს ატარებდა ქართლის კათალიკოსის ტიტულს, რადგანაც ის ერთდროულად ორი საეკლესიო ტახტის მფლობელი იყო, წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურსა და ასევე მისი ერთ-ერთი ნაწილის, ქართლის საკათალიკოსოს, მეთაურს. ამის გამო მას „უხუცესი“ ხოლო საქართველოს საპატრიარქოს მეორე ნაწილის – აფხაზეთის საკათალიკოსოს მეთაურს „უმრწემესი“ ანუ უმცროსი ეწოდებოდა.

საქართველოს საპატრიარქოში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შედიოდა აგრეთვე სომხითის სამიტროპოლიტო. სომხითის მიტროპოლიტი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს. საპატრიარქოში ასევე შემავალი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები და ჩრდილო კავკასიაშივე მდებარე ხუნძეთის კათალიკოსი უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდნენ.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია

ორგანიზაციულად ჩამოყალიბების შემდეგ (წმიდა ნინოს ეპოქიდან), საქართველოს ეკლესიის მრევლს შეადგენდა **„ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“,** თანახმად რუის-რბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერისა, ეს ნიშნავს, რომ მთელი ქართლის სამეფოს მოსახლეობა საქართველოს ეკლესიის მრევლს შეადგენდა.

ქართველი ხალხის მოქცევის დროს, მე-4 საუკუნეში, ქართლის სამეფო, ყველა ქართული მატიანეს თანახმად, მოქცეული იყო მდ. ეგრისწყალსა და სომხეთ – ალბანეთს შორის, ანუ ის მოიცავდა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს.

„ძეგლისწერისათვის“ ეს ჩანაწერი, (რომ წმ. ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“) იმას აღნიშნავს, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი გაქრისტიანებისთანავე ზოგადქართული ეკლესიის მრევლს შეადგენდა. ქართული მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველო, ანუ ეგრისი (ეგური) მირიან მეფისა და მისი მომდევნო ყველა მეფის სახელმწიფოში შედიოდა (აღმოსავლეთთან ერთად).

„მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმით ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ („ქართლის ცხოვრება”, 1, 1955. გვ.65). მემატიანის ამ ცნობით, მირიანის სამეფოში შედიოდა ეგრისი, ანუ დასავლეთ საქართველო მდ. ეგრისწყლამდე. შესაბამისი იყო მეფე მირიანის დროს ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაც, ანუ ის მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. ის, ანუ, ე.წ. „ყოველი ქართლი“ ამ საზღვრებში მდებარეობდა.

საქართველოს ეკლესიის მრევლის შესახებ მემატიანე წერს, რომ ეს იყო „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა. „ნათელს იღებდა ყოველი ქართლი“ ანუ სრულიად ქართლის სამეფოს ხალხი ეგრისწყლიდან ალაბანეთამდე. ესაა წყაროს პირდაპირი ჩვენება საქართველოს ეკლესიის თავდაპირველი იურისდიქციის შესახებ. ის მოიცავდა „ყოველ ქართლს“, ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

მემატიანეების დაბეჯითებული ცნობებით, ქართლის სამეფოში ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან შედიოდა დასავლეთ საქართველო (აღმოსავლეთთან ერთად).

„მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“-ზე უფრო ძველი წყარო მიუთითებს, რომ ფარნავაზამდეც, აზოს დროს, მდ. ეგრისწყალი, რომელიც ამჟამიდელ აფხაზეთში გაედინება, წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. ის წერს:

„და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მათ ცროლისა“ („მოქცევაი ქართლისაი“, შატბერდულ-ჭელიშური რედაქციები, რჩეული წყაროები, მცხეთა 2015, გვ. 117).

ფარნავაზის შემდეგაც, ქართული წყაროების ცნობითვე, ეგრისწყალი და შავი ზღვა ქართლის სამეფოს საზღვარს მუდმივად წარმოადგენდნენ ვახტანგ გორგასლამდე, ვახტანგის დროს ქართლის სამეფოს საზღვრად გადაიქცა უფრო ჩრდილოეთით მდებარე მდინარე კლისურა.

კვლევა მიმართულია იმისაკენ, რათა უარყოფლ იქნას ამჟამად მე-20 საუკუნეში გაბატონებული თეორია, რომლის მიხედვითაც, დასავლეთ საქართველო არა მე-4 საუკინიდანვე შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ მე-9, მე-10 საუკუნეებიდან. იქამდე, თითქოსდა დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში.

ეს არასწორი მტკიცება იმდენად არის გაბატონებული, რომ აისახა „პრავასლავნაია ენციკლოპედიის" სტატაიებში და, შესაბამისად, გაზიარებულ იქნა უცხოელ ისტორიკოსთა მიერ.

ამ არასწორი მტკიცების საფუძველი უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიაში შემავალი საეპისკოპოსო კათედრების არასწორი ლოკალიზება, რომ თითქოსდა ისინი განლაგებულნი იყვნენ დასავლეთ საქართველოში.

ამ არასწორი თეორიის წამოყენებამდე გაცილებით ადრე ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი ამტკიცებდა, რომ ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსო ცენტრები მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ტრაპეზუნტის რეგიონში. კერძოდ, გუმუშხანესთან მდებარეობდა ზიგანას (ზიგანევის) ცნობილი კათედრა, და არა გუდაყვასთან, სუმელასთან (მაჭუკასთან) მდებარეობდა როდოპოლის ცნობილი კათედრა და არა ვარციხესთან; საისინის კათედრა მდებარეობდა არდაშენთან (და არა ცაიშთან), პეტრას საეპისკოპოსო ცენტრი მდებარეობდა ბაიბურდის კლდოვან რეგიონში და არა ციხისძირთან.

აღმოსავლურ რომაულ სამყაროში ცნობილი პუნქტები იყვნენ როდოპოლისი და ზიგანა, მათ ტერიტორიაზე რომაული სამხედრო რაზმები იყვნენ დაბანაკებულნი. ეს პუნქტები ქალაქებად ყალიბდებოდნენ სამხედრო ნაწილებისა და საეპისკოპოსო საყდრის შესაბამისი ნაგებობებით – საკათედრო ტაძრებით, სამხედრო, ასევე სამოქალაქო ცხოვრების ნაგებობებით, თეატრებით თუ ამფითეატრებით, აბანოებით თუ საბაზრო შენობებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ტერიტორიებზე არქეოლოგებს გათხრების დროს რაიმე შესაბამისი ნაშთი უნდა ეპოვნათ. მართლაც, თითქმის მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე არქეოლოგები თხრიდნენ ვარციხეს, რადგანაც ის მიაჩნდათ როდოპოლისად. აქ ეძებდნენ როგორც საეპისკოპოსო, ისე სამხედრო ცენტრებისათვის შესაბამის არქეოლოგიურ მასალას, მაგრამ ამაოდ. ასევე გუდაყვაში ამაოდ ეძებდნენ ბერძნული საეპისკოპოსოს შესაბამის არქეოლოგიურ მასალას, რადგანაც მიაჩნიათ, რომ აქ იყო ზიგანა-ზიგანევის კათედრა, მაგრამ იქ აღმოჩნდა არა ბერძნული, არამედ მეათე საუკუნემდელი ქართული წარწერები. ამით არქეოლოგიურად დადასტურდა, რომ როდოპოლისი არ მდებარეობდა ვარციხეში, ხოლო ზიგანა-გუდაყვაში. შესაბამისად, ლაზიკის ეპარქია ლოკალიზებულ

უნდა იქნას არა დასავლეთ, არამედ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ამჟამად ლაზისტანი ეწოდება. როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ლაზიკა წმიდა ნინოს მიერ არის განათლებული გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად,

ლაზიკის ეპარქიის შესახებ არსებული ცნობები:

[ლაზიკის ეპარქიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა დამალულ-გამოუყენებელი ცნობები, რომ წმიდა ნინო იყო ლაზიკის განმანათლებელი, რომ მან იბერებთან ერთად მოაქცია.

გელასი კესარიელი (IV ს.) წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში **„ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“** (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს გელასი კვიზიკელიც (V ს.) – **„ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს“** (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).]

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

ამ პირველხარისხოვან წყაროებს ნ. მარის კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, არ ექცეოდა ყურადღება.

ნ. მარის კვლევით, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს არ ეთანხმება წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ძველი არაბული (დაახლ. VII–VIII სს.) თარგმანი, რომლის მიხედვითაც, ლაზიკა იყო წმ. გრიგოლ განმანათლებლის (და არა წმ. ნინოს) მოღვაწეობის არეალი, სადაც მან დანიშნა კიდეც თავისი ეპისკოპოსი.

ნ. მარმა გრიგოლ განმანათლების არაბულ ხელნაწერში ამოიკითხა, რომ „გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსი სოფრონი გააგზავნა ლაზიკაში“. ამიტომ, შესაბამისად, ლაზიკა წმ. გრიგოლის სამოღვაწეო არეალი გამოდის და არა წმ. ნინოსი.

მაგრამ, ნ. მარის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, მალევე გამოიცა ნ. ადონცის ცნობილი წიგნი „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“, რომელშიც ნ. ადონციმ მიუთითა, რომ წმ. გრიგოლის ცხოვრების არაბულ ხელნაწერებში სინამდვილეში წერია არა სიტყვა „ლაზიკა“ არამედ „არზანენა“ ე.ი. ნ. მარმა შეცდომა დაუშვა ამ ხელნაწერის ცნობების ამოკითხვისას (ნ. ადონცი, „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“, 1908, გვ.197) .

ნ. ადონციმ გამოიკვლია, რომ ნ. მარმა ხელნაწერში არასწორად ამოიკითხა არაბული თანხმოვანთ*ჯ*გუფი, რომელიც გადმოსცემს არა სიტყვა „ლაზიკას“ არამედ „არზანენას”, ანუ ხელნაწერში ეწერა, რომ წმ. გრიგოლმა თავისი

ეპისკოპოსი გააგზავნა არზანენაში (და არა ლაზიკაში), ანუ ხელნაწერის სიტყვა „არზანენა“ ნ. მარმა არასწორად ამოიკითხა, კერძოდ, ამოიკითხა „ლაზიკა“. შესაბამისად, ხელნაწერის მიხედვით, წმ. გრიგოლს მოუქცევია არა ლაზიკა, არამედ არზანენა და იქ არ გაუგზავნია თავისი ეპისკოპოსი.

თუ ასეა, მაშინ არა ლაზეთი, არამედ არზანენა იყო წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალი. შესაბამისად, აღნიშნული სოფრონი იყო არა ლაზიკის, არამედ არზანენას ეპისკოპოსი, არმენიის სამხრეთ სასაზღვრო მხარეში.

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული ხელნაწერი, რომ ლაზეთი წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალია (და არა წმიდა გრიგოლისა). ამით მართლდება ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ ე.ი. კლარჯეთი-ლაზიკა წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე. ხორენაცი წერს: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღავმდე (მასქუთებამდე).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე. ხორენელის ცნობით, ამ არეალზე (შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე) იქადაგა წმ. ნინომ. შესაბამისად, მის მიერ დაარსებული ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, როგორც დასავლეთ, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ჩრდილო და სამხრეთ ლაზიკა) აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მე-6 საუკუნეში, იუსტინიანეს ეპოქაში, იქცა ბიზანტიელთა ხელდებულ ქვეყანად, სადაც კონსტანტინოპოლმა დაარსდა ლაზიკის ეპარქია თავისი საეპისკოპოსოებით, შესაბამისად, ნოტიციებში ნახსენები საისინის, პეტრას, როდოპოლისისა, ზიგანასა (ფასიდის ეპარქიები) განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა მე-4 საუკუნეში?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII ს-ში.

1651 წელს რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და, მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, მან ლაზეთში, ოფში დააარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული.

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერების მტკიცებით, IV საუკუნეში მდებარეობდა ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააქრისტიანა წმიდა ნინომ. შესაბამისად, ამ რეგიონში მდებარე პიტიუნტის კათედრა მისი დაარსებული ჩანს, ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობის გათვალისწინებით.

როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა IV ს-ის 10–20-იან წლებში. ჩანს, ამ დროს დაუარსებია ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში.

ამჟამად მიიჩნევა, რომ სტრატოფილე აფხაზეთის ბიჭვინთიდან იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა აზრისა იყვნენ ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი, პ. ინგოროყვა და სხვანი. მათი აზრით, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა. შესაბამისად, აფხაზეთის ცნობილი საეკლესიო ცენტრი – ბიჭვინთა სხვა საეკლესიო ცენტრია და სხვაა პიტიუნტი. ბიჭვინთა აფხაზეთის სასულიერო პირთა და მეფეთა ნამუშაკევია, ხოლო პიტიუნტი გაცილებით ადრიდანვე იყო ასეთი ცენტრი..

ნ. ადონცი თავისი აზრის, რომ პიტიუნტი არ მდებარეობდა აფხაზეთში, ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით, პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული „არმენიის დუქსს“ რომელიც იყო პონტო – მცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი, მაგრამ, ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და, მით უმეტეს, მისი ისეთი შორეული რეგიონი, როგორიცაა ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი. აქ არმენიის დუქსს არ შეეძლო თავისი საჯარისო დანაყოფის დაბანაკება, შორეულ აფხაზურ რეგიონში მისი უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა. (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ, 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს. ამასთანავე, უთითებს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 293).

მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტები იყვნენ პიტიუნტი და ბიჭვინთა.

ქართული წყაროებით, ბიჭვინთის საეპისკოპოსო ცენტრი და მისი ეპარქია მხოლოდ ქართული ეკლესიის დაფუძნებულია და ის მუდამ, ათასწლეულთა მანძილზე, მხოლოდ საქართველოს ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ბიჭვინთა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა. რაც შეეხება პიტიუნტს, ის უფრო პონტოს რეგიონის ეპარქიებთან აღმოჩნდა დაკავშირებული უფრო მე-6 საუკუნის შემდეგ, მე-5 საუკუნის დასაწყისში ეს რეგიონი ჯერ კიდევ ქართული ეკლესიის საგამგებლოში შედიოდა, ამას მიუთითებდა ლაზიკის აღნიშნული მიტროპოლიტი გერმანე.

აქ მდებარე ოფის საეპისკოპოსო კათედრა, გვიან საუკუნეებშიც კი იბერთა განმანათლებელი ქალის მიერ დაარსებულად მიიჩნეოდა.

ლაზების ეს ოლქი ერთი ნაწილი იყო ცნობილი ლაზიკისა, რომლის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს მედგრად ებრძოდნენ რომისა და სპარსეთის იმპერიები მე-6 საუკუნეში.

ლაზიკის ეს ოლქი საბოლოოდ ბიზანტიის ხელში აღმოჩნდა. ძირითადად, იუსტინიანეს ეპოქაში აქ მცხოვრები ჭანებისათვის (ლაზებისათვის) დაარსებულ იქნა საეპისკოპოსო ცენტრები ზიგანა-ზიგანევი (მაჩკა-გუმუშხანეს რეგიონში), საისინი-არდასასთან. პეტრას კათედრა, ნ. ადონცის კვლევით მდებარეობდა არა ზღვისპირას, არამედ ლაზიკის მთიან რეგიონში – ბაიბურდთან.

ნ. ადონციმ დაადგინა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს კათედრები პეტრა, საისინი, ზიგანა და როდოპოლისი დაარსებისთანავე ამჟამინდელ ლაზისტანში მდებარეობდნენ გუმუშხანე-სუმელას რეგიონში, ტრაპეზუნტთან, თუმცა მისი აზრი არ იქნა გაზიარებული. მის ნაცვლად დაინერგა მცდარი, ამჟამად გავრცელებული თეორია, თითქოსდა როდოპოლისი მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში ვარციხეთან, ზიგანა – აფხაზეთის გუდაყვაში, პეტრა – ზღვისპირას, ციხისძირთან, ხოლო საისინი იყო ცაიში. ამჟამად ეს მცდარი აზრი მიჩნეულია ძირითად სამეცნიერო საყრდენად, რომლის შესაბამისად ასკვნიან, თითქოსდა ლაზიკის ეპარქია მოიცავდა დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციას.

საბჭოთა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ისიც „დაადგინა“, რომ დასავლეთ საქართველოში საქართველოს ეკლესიამ მე-9, მე-10 საუკუნეებში გააუქმა კონსტანტინოპოლის იურისდიქცია უხეში ძალადობით. სინამდვილეში კი, როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველო მუდამ შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ხოლო კონსტანტინოპოლის ეპარქიის ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ, არამედ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ესაა ამჟამინდელი ლაზისტანი. მას ბიზანტიელები ლაზიკას უწოდებდნენ.

ჩრდილო კავკასიის ქართული სამფლობელოები
რუსეთის იმპერიის დიდი გერბის მიხედვით

რუსეთის იმპერიის დიდ გერბზე გამოსახული იყო იმპერიაში შემავალი ყოფილი სახელმწიფოებისა და სამეფოების გერბები, მათ შორის საქართველოს სამეფოს გერბი.

კერძოდ საქართველოს სამეფოს გერბი გამოსახულია ძირითადი გერბის გარშემომწერელი ფოთლოვანი ტოტების მარჯვენა ქვემო მხარეს 4 საათის მიმართულებით. და აქვს სახელი – **Герб царства Грузинского (საქართველოს სამეფოს გერბი)**

საქართველოს სამეფოს გერბი წარმოადგენს ოთხნაწილიან ფარს, რომელსაც აქვს თავისი დაბოლოება (ბოლო ნაწილი), ხოლო შუაში გამოსახულია მცირე ფარი.

საქართველოს სამეფოს გერბის თითოელი ნაწილი გამოხატავს საქართველოს სამეფოში ისტორიულად შემავალ სამფლობელოებს, ესენია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთან ერთად ყაბარდო, არმენია, ჩერქეზეთი და კავკასიის მთებში მდებარე სათავადოები.

გერბი ასახავს ისტორიულ საქართველოს სამეფოს, რომელიც მოიცავდა მთელ კავკასიასა და არმენიას. ესაა ის მიწა წყალი, რომელიც, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის იურისდქციაში შედიოდა, ეს ფაქტი, ასახა რუსეთის დიდმა საიმპერატორო გერბმა.

ამ გერბის მიხედვით რუსეთის იმპერიისათვის, ოფიციალურად, საქართველოს სამეფო შედგებოდა ხუთი ძირითადი რეგიონისაგან ანუ ხუთი დიდი მხარისაგან.

ესენი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც გერბზე ასახულია ქართლის გერბით – **герб Карталинии, დასავლეთ საქართველო, ის გერბზე ასახულია ივერიის გერბით – герб Иверии (დასავლეთ საქართველოს ივერიად წოდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე – მთავრები, მაგალითად ლევან მეორე დადიანი, რუსეთის იმპერიაში თავისი ელჩების საშუალებით თავს წარადგენდნენ, როგორც ივერიის მეფე – მთავრებს).**

ამ გერბის მიხედვით საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო ასევე – „ყაბარდოს მიწები“, ის საქართველოს სამეფოს გერბზე ასახულია „ყაბარდოს მიწების გერბით“ – герб Кабардинских земель. საქართველოს სამეფოს შემდეგი სამფლობელოა არმენია, ის საქართველოს სამეფოს გერბზე ასახულია „არმენიის გერბით“ – герб Армении. შემდეგი მფლობელობაა „ჩერქეზეთისა და მთის თავადები“, ის საქართველოს სამეფოს გერბზე ასახულია „ჩერქეზი და მთის თავადების გერბით“ – герб Черкасских и Горских князей.

ასე, რომ საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიის დიდი გერბის მიხედვით მოიცავდა, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კავკასიას, ასევე მის შემადგენლობაში მოიაზრებოდა სომხეთი – არმენია.

კერძოდ, ამ გერბის მიხედვით, ის ტერიტორიები, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავლად, ისტორიულად წარმოადგენდნენ საქართველოს სამეფოს სამფლობელოს, ისინი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად იყვნენ არმენიის სამეფო, ყაბარდოს მიწები, ჩერქეზეთისა და მთის სათავადოები. ამ გერბის შემდგენლებს ჰქონიათ დიდი ინფორმაცია ძველი საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ოლქების შესახებ, მათ დასკვნას, რაც გერბზე აისახა, მრავალი წყარო და ფაქტი ადასტურებს.

Герб царства Грузинского

«щит четверочастный, с оконечностью и малым в середине щитом.

В среднем малом щите герб Грузии: в золотом поле Св. Великомученик и Победоносец Георгий, в лазуревом вооружении, с золотым на груди крестом, в червлёной приволоке, сидящий на чёрном коне, покрытом багряницею с золотою бахромою, и поражающий червлёным копьём зелёного, с чёрными крыльями и червлёными глазамии языком, дракона.

В первой части – герб Иверии: в червлёном щите серебряный скачущий конь, с углах, верхнем левом и нижнем правом, серебряные звёзды о восьми лучах

Во второй части – герб Карталинии: в золотом щите огнедышащая гора, пронзённая крестообразно двумя чёрными стрелами, остриями вверх

В третьей части – герб Кабардинских земель: в лазуревом щите, на двух серебряных, крестообразно, остриями вверх, положенных стрелах – малый золотой щит с червлёным, обращённым вправо полумесяцем, в трёх первых четвертях серебряные шестиугольные звёзды

В четвёртой части – **герб Армении**: в золотом щите червлёный коронованный лев.

В золотой оконечности – **герб Черкасских и Горских князей**: скачущий на чёрном коне черкес, в серебряном вооружении, червлёной одежде и чёрной из меха приволоке, с чёрным копьём на правом плече…»

Прим.: Герб увенчан грузинской короной. Корона царя Грузии Георгия XII была изготовлена в России при императоре Павле ювелирами П. Э. Теременом и Н. Г. Лихтом и выслана в Грузию в 1798 году. В 1801 году корона последнего грузинского царя была отправлена в Санкт-Петербург, где вошла в состав

Российских императорских регалий. Корона имела восемь золотых дуг, сверху держава и крест из яхонтов и бриллиантов.

http://www.wikiwand.com/ru/Герб – Российской – империи№/

საქართველოს სამეფოს გერბი

საქართველოს სამეფოს დიდი გერბის ცენტრში გამოსახულია მცირე გერბი დიდმოწამე უძლეველი წმ.გიორგი ზის შავ ცხენზე და შუბით გმირავს დრაკონს.

საქართველოს სამეფოს დიდი გერბის **პირველ ნაწილში** გამოსახულია ივერიის გერბი: წითელ ფარზე ვერცხლისფერი მოჯირითე ცხენი, კუთხეებში (ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა) რვასხივიანი ვერცხლის ვარსკვლავები (ამ გერბზე „ივერიის“ ქვეშ იწოდება დასავლეთ საქართველო);

მეორე ნაწილში გამოსახულია – ქართლის გერბი: ოქროს ფარზე ცეცხლოვანი გორა ორი შავი ისრით (ამ გერბზე „ქართლის“ ქვეშ მოიაზრება აღმოსავლეთ საქართველო ქართლი და კახეთი, განჯა, შირვან, ყარაბაღის ჩათვლით არაქსამდე, ის ტერიტორია, რომელიც ისტორიულად საქართველოს სამეფოში შედიოდა);

მესამე ნაწილში გამოსახულია – ყაბარდოს მიწების გერბი, ლაჟვარდოვან ფარზეა ორი გადაჯვარიდებული ისარი, შუაშია ოქროს ფარი წითელი ახლი მთვარით. ისართა შორისაა სამი ექვსქიმიანი ვარსკვლავი (ამ გერბზე „ყაბარდოს მიწების“ ქვეშ მოიაზრება ჩრდილო კავკასიის სტეპების ვრცელი მხარე აზოვიდან დაღესტნამდე);

მეოთხე ნაწილში – გამოსახულია არმენიის გერბი. ოქროს ფარზე გვირგვინოსანი ლომი (ამ გერბზე „არმენიის სამეფოს“ ქვეშ მოიაზრება ვრცელი მიწები არაქს – ვანის ტბამდე)

ბოლო ნაწილში (დაბოლოებაში) – გამოსახულია „ჩერქეზი და მთის თავადების“ გერბი: შავ ცხენზე მოჯირითე ჩერქეზი, მოვერცხლილი იარაღით და წითელი სამოსით (ამ გერბზე „ჩერქეზი და მთის სათავადოების“ ქვეშ იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ვრცელი მთიანეთი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, დაღესტნის ჩათვლით).

გერბს თავზე ადგას საქართველოს მეფის გვირგვინი. მას აქვს რვა ოქროს კავი, რომელთა მაღლაა სფერო (держава) და ჯვარი იაგუნდებითა და ბრილიანტებით.

http://www.wikiwand.com/ru/Герб–Российской–империи№/

После упразднения Картлийско-Кахетинского царства и его включения в состав Российской империи (1801), в Большом и Среднем государственных гербах России традиционно изображали «герб Грузинского царства», в основе которго лежал Большой государственный герб Картлийско –Кахетинского царства времен Ираклия II. В Большом государственном гербе России были изображены гербы различных владений, входящих в состав Российской империи, среди которых самое пространное описание имел «герб Грузинского царства». На нем, наряду с гербами Грузинских царств были изображены и кавказские владения, которые когда–либо входили в состав Грузии или находились в ее подчинении (ханства, находящиеся на территории нынешнего Азербайджана, Армении, Северный Кавказ). В их числе была и адыгская символика, в частности, гербы «Кабардинских земель» и «Черкасских и горских князей».

В официальном описании Большого государственного герба Российской империи читаем: «Герб Кабардинских земель» («в лазурном щите, на двух серебряных крестообразно остриями вверх положенных стрелах – малый золотой щит с червленым, обращенным вправо полумесяцем, в трех четвертях серебряные шестиконечные звезды»). Из этого описания видим, что в нижней части герба Гру зинского царства изображен «Герб Черкасских и Горских князей» («скачущ Азербайджана, Армении, Северный Кавказ). В их числе была и адыгская символика, в частности, гербы «Кабардинских земель» и «Черкасских и горских князей».

В официальном описании Большого государственного герба Российской империи читаем: «Герб Кабардинских земель» («в лазурном щите, на двух серебряных крестообразно остриями вверх положенных стрелах – малый золотой щит с червленым, обращенным вправо полумесяцем, в трех четвертях серебряные шестиконечные звезды»). Из этого описания видим, что в нижней части герба Грузинского царства изображен «Герб Черкасских и Горских князей» («скачущий на черном коне черкес, в серебряном вооружении, червленой одежде и черной из меха мантии, с черным копьем на правом плече»).

Этот многообразный герб, увенчанный грузинской царской короной, представляет собой уникальный геральдический образец. Он символически олицетворяет весь Кавказ, объединенный под царской короной тысячелетней династии Багратионов. Тем самым правители Российской империи на значительнейшем ее символе – государственном гербе – официально зафиксировали, что среди стран Кавказского региона Грузия традиционно являлась государством гегемоном. Джавахишвили Н. Адыгские лошади в Грузииий на черном коне черкес, в серебряном вооружении, червленой одежде и черной из меха мантии, с черным копьем на правом плече»).

Этот многообразный герб, увенчанный грузинской царской короной, представляет собой уникальный геральдический образец. Он символически олицетворяет весь Кавказ, объединенный под царской короной тысячелетней династии Багратионов. Тем самым правители Российской империи на значительне-

йшем ее символе – государственном гербе – официально зафиксировали, что среди стран Кавказского региона Грузия традиционно являлась государством гегемоном. Джавахишвили Н. Адыгские лошади в Грузии

В 1625 году царь Михаил Федорович ... в титул добавляется фраза: «Повелитель и Государь Иверския земли, Карталинских и Грузинских царей и Кабардинския земли, Черкасских и Горских Князей».

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%BE%D1%81%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80-%D0%B5%D0%B2–%D1%82%D0%B8%D1%82%D1%83%D0%BB№«Большой»–и–«малый»–титул

С 1654–1655[11] гг. при царе Алексее Михайловиче титул ... государь Иверския земли, Карталинских и Грузинских царей, и Кабардинские земли, Черкасских и Горских князей.

Павел I добавляет в титул члены «Государь Иверския, Карталинския, Грузинския и Кабардинския земли»[17]

3 (15) ноября 1882– Александр III принимает титулы «Царь Грузинский»

1.К концу монархического правления в России (1917 г.) большой титул Всероссийских императоров, согласно ст. 59 Свода законов Российской империи, формулировался так:

«Божіею поспѣшествующею милостію, Мы

... Императоръ и Самодержецъ Всероссійскій... Царь Грузинскій; ... и Государь Иверскія, Карталинскія и Кабардинскіяземли и области Арменскія; Черкасскихъ и Горскихъ князей и иныхъ

Грузинское царство – средневековое кавказское государство, возникшее после объединения большей части Грузии Багратом III в 978 году. В период наибольшего расцвета являлось одной из великих держав Ближнего Востока и сильнейшим государством христианского Востока, охватывая территорию[1] от Северного Кавказа до Северного Ирана, и до Западной Армении. Однако сначала монголы, а позже восемь разрушительных нашествий Тамерлана положили конец могуществу Грузии и привели к её распаду.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D1%80%D1%83%0%B7%D0%B8%D0%BD%D1%81%-D0%BA%D0%BE%D0%B5–%D1%86%D0%B0%D1%80%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE

ეს ტიტულატურა ასახავდა საქართველოს სახელმწიფოს, ქართული კულტურის, ეკლესიის იურისდიქციისა და ცივილიზაციის განვრცობის ისტორიულ არეებს. ის მოიცავდა ტერიტორიებს ჩრდილო კავკასიიდან ვიდრე ჩრდილო ირანამდე და დასავლეთ არმენიამდე. от **Северного Кавказа до Северного Ирана, и до Западной Армении**, როგორც ანჯელო ლამბერტი წერს – ყირიმის ქალაქ კაფადან მოიცავდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას თავრიზამდე და არზრუმამდე, ბიჭვინთის იადგარის ცნობითაც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ჩრდილო საზღვრად დასახელებულია კაფა, ამჟამინდელი ფეოდოსია.

სტრაბონი და იოანე ცეცე ქართულ-კავკასიური ერთიანი ეთნიკური ველის შესახებ

დაღესტანში (ავარიაში), თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთში, დვალეთში, ანუ ჩრდილო ოსეთის უმეტეს ნაწილში, დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (აფხაზეთში, სვანეთ-სამეგრელოში, იმერეთში თუ აჭარა-გურიაში) წირვა-ლოცვა და საქრისტიანო მსახურება მუდამ ქართულენოვანი იყო საუკუნეთა მანძილზე და მნიშვნელოვნად ასეა ამჟამადაც.

წირვა-ლოცვის ქართული ენა გასაგები და მშობლიურია აღნიშნული ოლქების სამრევლოსათვის, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოსა და მისი მიმდებარე მხარეების ეთნიკურ ერთგვაროვნებით. ჩანს, ეთნიკური ერთგვაროვნება იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ქართული ენა ვრცლად განვრცელდა კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში.

მრავალი ქართულენოვანი საეპისკოპოსო ცენტრის, მაგალითად, ანისის, დვინის, ვალაშკერტის, დადაშენის, არზრუმის და სხვა ქართული საეპისკოპოსოების არსებობა, ამითვე უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ამ საკითხშიც სტრაბონის ცნობა ეთანადება „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომლის მიხედვითაც, ჩრდილო კავკასიელთა ეთნარქები ლეკოსი და კავკასოსი თარგამოსიანები, ანუ ქართველთა ეთნარქების ეგროსისა და ქართლოსის ძმები იყვნენ.

ქართული წყაროს იდენტური ცნობა, რომ იბერები ჩრდილოკავკასიელებს ენათესავებიან, აქვს სტრაბონს. ის წერს, რომ იბერების უმრავლესობა მეომრული სულისკვეთებისაა. ისინი ცხოვრობენ მთებში და ენათესავებიან ჩრდილოკავკასიელ სკვითებსა და სარმატებს. ამიტომაც ომიანობის დროს ამ სკვით-სარმატებიდან მრავალათასიანი ჯარის შეკრება შეუძლიათ. ის ახსენებს იბერიის მთებს და წერს მთიელი იბერების შესახებ: „**(იბერიის) მთიანი მხარე უჭირავს იბერების მეომარ უმრავლესობას. მათი ცხოვრების წესი სარმატებისა და სკვითების მსგავსია, რომელთაც ემეზობლებიან და ენათესავებიან. სხვათაშორის, ისინი მიწათმოქმედებითაც არიან დაკავებულნი. რაიმე განგაშის დროს მათგან კრებენ მრავალ ათეულ ათასს მეომარს** (სტრაბ. 11,3,3).

«... а горную (часть) занимает воинственное большинство, в образе жизни сходное со скифами и сарматами, с которыми они находятся и в соседстве, и в родстве; впрочем, они занимаются и земледелием и в случае какой–нибудь тревоги набирают много десятков тысяч (воинов) как из своей среды, так и из тех (народов) (Страбон, XI, 3, 3)

„ქართლის ცხოვრებისა“ და სტრაბონის ცნობები იდენტურია.

პლინიუს უფროსმაც ახსენა **„გეორგები“** ჩრდილოეთ კავკასიაში თავის „ნატურალის ისტორიაში“.

ასევე პირველ საუკუნეში პომპონიუს მელა მსოფლიოს მისეულ აღწერაში აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კასპიისპირეთში სახლობდა ხალხი სახელწოდებით **„გეორგი“.** პირველ საუკუნეშივე ტაციტუსის „მსოფლიოს გეოგრაფი-

ულ აღწერაშიც“ იხსენიებიან **გეორგები-გეორგიელები** ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ კასპიისპირეთშიც.

ასე, რომ პირველი საუკუნის მოღვაწეების: სტრაბონის, გაიოზ პლინიუს უფროსის, პომპონიუს მელას, ტაციტუსის მიერ შედგენილ მსოფლიოს აღწერებში **„გეორგები“** იხსენიებიან ჩრდილოეთ კავკასიაში.

კერძოდ, პლინიუს უფროსი თავის წიგნში „ბუნების ისტორია“, (IV, 83) წერს, რომ მდ. ყუბანის (პანტიკაპის) მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობენ გეორგები და ეს მდინარე ერთმანეთისაგან ყოფს გეორგებსა და სკვით ნომადებს.

«Далее река Пантикап, которая разграничивает племена номадов и георгов, (IV, 83)”.

www.othist.ru/istochniki_ant_041.html

„Пантикап – это река Кубань“

https:/www.ggoogle.ru/serch?newwindow=18q=peka+пантикап&oq=река+пантикап&gsl=psy

აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა მთლიანად ეთანადება „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომ აქამდე (მცირე ხაზარეთის წყლამდე, ანუ ყუბანამდე) აღწევდა ეგროსის ქვეყნის საზღვარი, ანუ საზღვარი მიწათმოქმედი – ეგრი, ანუ გეორგი ხალხისა. აქვე ცხოვრობდნენ კერკეტები. ჩანს, ეტიმოლოგიურად სიტყვა „კერკეტი“ იგივე სიტყვა „გერგეტი“, ანუ გეორგია.

მიღებულია, რომ სახელით „გეორგი“ აღნიშნებოდა მიწათმოქმედი მოსახლეობა, განსხვავებით მომთაბარეებისაგან, Река Пантикап отделяла кочующих номадов от оседлых пахарей (http://dag.com.ua/?page_id=1042&page=16).

ქართველი ხალხი (ისტორიაში გამოჩენის შემდეგ) მუდამ მიწათმოქმედი ხალხი იყო. ამიტომაც, საყოველთაოდ, მას ამ სახელით – „გეორგი“იცნობდნენ. ეს მისი სახელია. ჩრდილოკავკასიის აღნიშნული „გეორგების“ პატარა ხალხებიც მის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ ეროვნული საისტორიო წყაროც მიუთითებს მდ. ყუბანამდე, ანუ პანტიკაპამდე ქართველთა ცხოვრების შესახებ. (მდ. „ხაზარეთისწყლამდე“, ანუ ყუბანამდე აღწევდა ეგროსის წილი ქვეყნის საზღვარი, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად).

როგორც აღინიშნა, კომენტატორები „გეორგების“ ქვეშ გულისხმობენ მიწათმოქმედ ტომებს, მაგრამ, აქვე, ამავე რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში, ცხოვრობდა ამავე სახელის მქონე გეორგების, ანუ ქართველების მრავალრიცხოვანი ხალხი და ისინი მიწათმოქმედები იყვნენ. ამიტომაც ჩრდილო კავკასიელი გეორგები და სამხრეთ კავკასიელი გეორგები თანამეტომენი უნდა ყოფილიყვნენ.

სტრაბონიც აღნიშნავდა, რომ იბერიის მთიან ნაწილში მცხოვრები იბერიელები ენათესავებოდნენ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სარმატულ ტომებს. სტრაბონისავე ცნობით, იბერებს ათეულათასობით ჯარისკაცი გადმოყავდათ ჩრდილო კავკასიიდან, რადგანაც იბერია და ჩრდილო კავკასია ერთიან ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ სისტემას ქმნიდა (ასეა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებითაც). ტრაბონი წერს – На Иберийской равнине обитает население, более склонное к земледелию и миру ... горную страну, напротив, занимают просто людины и воины, живущие по обычаям скифов и сарматов, соседями и родственниками, которых они являются; ...В случае каких–нибудь

тревожных обстоятельств они выставляют много десятков тысяч воинов как из - своей среды, так и из числа скифов и сарматов. ГЕОГРАФИЯ, 11.III. [Перевод Г. А. Стратановского под общей редакцией проф. С. Л. Утченко]. Страбон. «География». М., «Наука», 1964 (djvu–файл).

სარმატები, ანუ „შარომატიული“ ტომები ჩრდილო კავკასიისა, ივ. ჯავახიშვილს ქართულ ტომებად მიაჩნდა. სომხური წყაროები დასავლეთ საქართველოს სარმატიად მოიხსენიებდნენ. ლეონტი მროველის თანახმად, ჩრდილოკავკასიური ტომების ეთნარქები ლეკოსი და კავკასოსი ქართველთა ეპომენების ქართლოსისა და ეგროსის სისხლისმიერი ძმები იყვნენ. აქ კვლავ სტრაბონის ცნობა გვახსენდება სვანების შესახებ. **სვანებს, ზოგიერთი უფრო ძველი ისტორიკოსი, იბერიელებს უწოდებდა.**

ქართული, ანუ იბერიული ტომები ჩრდილო კავკასიაში მრავალრიცხოვანი იყო. ის (სტრაბონი) ახსენებს არა მხოლოდ იბერების მონათესავე სკვითებს, რომელთაც სამხრეთელი იბერიელების დასახმარებლად მრავალ ათეულ ათასიანი ჯარი გადმოყავდათ, არამედ იბერიელებად წოდებულ სვანებსაც, რომელნიც დასავლეთ საქართველოს გარდა ჩრდილო კავკასიაშიც ცხოვრობდნენ, მათ „საჭიროების ჟამს გამოჰყავთ 200 000 სიანი ლაშქარი“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი სვანებით იყო დასახლებული, რადგანც 200 000 კაციანი ლაშქრის მოკრება დასავლეთ საქართველოში, ალბათ, შეუძლებელი იყო ტერიტორიის სიმცირის გამო.

მართლაც, ჩრდილო კავკასია, როგორც ქართული წყაროების, ისე სტრაბონის ცნობით, იბერთა თანამეტომე მოსახლეობით იყო დასახლებული.

სტრაბონის ცნობით, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოჰყავთ 200 000 – კაციანი ლაშქარი. მათი საცხოვრისი ძალზე ვრცელი რეგიონი იყო და ის მოიცავდა კავკასიის ორივე ფერდზე (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში) დიდ ტერიტორიებს, რომელიც ძალზე დაემცრო ჩრდილო კავკასიაში თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ.

სტრაბონის ცნობას სვანების შესახებ ეთანადება მენანდრეს (ახ.წ VI ს) ცნობა: სვანები **„ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“** (გეორგიკა, ტომი III, გვ. 221).

მენანდრე მიუთითებს იმიერკავკასიაში სვანების ცხოვრების შესახებ.

სტრაბონის ზოგიერთი წყარო, როგორც აღინიშნა, სვანებს იბერიელებს უწოდებდა, სტრაბონს კი წყაროებად გამოყენებული ჰყავდა იქამდე ცნობილი გეოგრაფოსები და ავტორები, მათგან ზოგიერთი, სვანებს იბერიელებს უწოდებდა, ანუ იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფად მიიჩნევდა. ამიტომაც სტრაბონი წერდა სვანების შესახებ, **„ზოგიერთები მათ ასევე უწოდებენ იბერიელებს“** „...**Некоторые называют их также иберийцами“** (Страбон, География, М., 1964, стр. 473–474).

მე-17 საუკუნეშიც კი, როცა ჩრდილოკავკასიელ სვანთა და, საერთოდ, იქაურ ქართველთა ერთი ნაწილი უკვე გამუსულმანებული იყო და მათი საცხოვრებელი არეალი შემცირებული იყო, მაინც, სხვადასხვა, მათ შორის სამე-

გრელოში მიმავალი რუსი ელჩების აღწერით, სვანების (სონების, მშვანების) ერთი ნაწილის საცხოვრისი მოიცავდა ჩრდილო კავკასიის რეგიონებს ბაქსანს, ჩეგემს, იალბუზის მიმდებარე კალთებს, ყუბანის სათავეებს, არხიზ-ზელენ-ჯუკამდე.

ჩრდილო კავკასიის სამხრეთ – დასავლეთი მხარე სვანეთის ნაწილს წარმოადგენდა, საიდანაც წმ. მოციქული მეზობლად მდებარე ალანიაში გადასულა.

მიუხედავად ჟამთა ცვლისა, რაც საქართველომ დაკარგა ჩრდილო კავკასიის რეგიონები, მაინც, ამჟამადაც კი საქართველოს სახელმწიფო ყაზბეგის, თუშეთისა და ხევსურეთის რეგიონების სახით კვლავ მოიცავს ჩრდილო კავკასიის ერთ ნაწილს.

შესაბამისად, საქართველო ამჟამადაც მოიცავს ჩრდილო კავკასიის ნაწილს და ქართველები ამჟამადაც ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში.

იგულისხმება, რომ ქართველთა ტომები კიდევ უფრო დიდ არეებს მოიცავდნენ ჩრდილო კავკასიაში მოციქულთა ეპოქაში და ქრისტიანობის გავრცელების საუკუნეებში.

მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები დვალები, საეკლესიო თვალსაზისით, ქართულენოვანი ტომი იყო პირველ ათასწლეულშივე, რადგანაც დვალი კალიგრაფები, მწიგნობრები და წმიდანები საქართველოს ეკლესიაში პირველ ათასწლეულშივე მოღვაწეობდნენ. დვალეთი კი ახლანდელი ჩრდილო ოსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

დვალები და, ასევე ინგუშთა წინაპრები, მათი მეზობელი ხალხები, დაღესტნელებთან ერთად საქართველოს ეკლესიის იურისიქციაში შედიოდნენ. მის მრევლს ქმნიდნენ, შესაბამისად, ჩრდილო კავკასია საქართველოს ეკლესიის სამწყსოს ერთ-ერთ ბუნებით ნაწილს შეადგენდა, არეალს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციისა, რასაც არაბეთში, სინას მთის მონასტერში დაცული ქართული საისტორიო წყარო უჩვენებს, როცა ის ახსენებს ხუნძელ, ანუ დაღესტნელ კათალიკოს ოქროპირს, რომელიც ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი იერარქი იყო. მისი სამრევლო, ჩანს, დაღესტანთან ერთად ასევე მოიცავდა ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და კავკასიისწინა რეგიონს თანამედროვე საინგილოდან ვიდრე შემახამდე.

[დაღესტანსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციას მიუთითებს შესანიშნავი ისტორიული წყარო, ე.წ. მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი. წყაროში აღწერილია თვთმხილველის მიერ, თუ როგორ მოიხილა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ დაღესტანსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ასევე აღმოსავლეთ კახეთსა და ჰერეთში თავისი სამწყსო, აკურთხა ეკლესიები, დაბრუნების შემდეგ კი ბრძანება გასცა ამ რეგიონის, ანუ დაღესტან-ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოქმედი შვიდი ქართული სასულიერო სასწავლებლისათვის საგანგებოდ გადაწერილი ქართულენოვანი სახარებები დაერიგებინათ. დაღესტანის ქრისტიანობის შესახებ წერს ასევე არაბული წყაროები დერბენდ ნამე და ირხანის ისტორია.]

სტრაბონის ინფორმაციით, იბერები დომინანტები იყვნენ კავკასიაში, რადგანაც მათ შეეძლიოთ ჩრდილოკავკასიელთა ლაშქრის გამოყვანა თავისი საჭიროებისათვის. მათ შეეძლოთ სკვითებისა და სარმატების ჯარის მცირე აზიისაკენ მიმართვა, თანაც მრავალათასიანი მეომრებისა, ანუ ისინი საერთოკავკასიური სახლის ჰეგემონები იყვნენ, მეორე საკითხია, რომ მთიელი იბერები ენათესავებოდნენ, ანუ გენეტიკური მონათესავენი იყვნენ ჩრდილოკავკასიელებისა.

ჩრდილო კავკასიის ქართველურ ტომთა ძლიერება ერთგვარად დაასუსტეს ბიზანტიელთა მოკავშირე ალანებმა მე-6 საუკუნის შემდგომ. მე-8, მე-9 საუკუნეებიდან, ჩრდილო კავკასიის ზღვისპირეთში ხაზარების მიერ ალანების შევიწროების გამო, კვლავ გაძლიერდნენ ქართული ტომები. ეს მხარეები ხაზართა ხელშეწყობით კვლავ ქართული ტომების ხელში აღმოჩნდა. აქაურებს აფხაზები უწოდეს. სიტყვა „აფხაზი“ („ა–ფ–ხაზ“) ხაზარების ხელდებული ქვეყნის ქართველებს უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა, სახელი „აფხაზი“ სიტყვა „ხაზარისაგან“ მომდინარეობდეს (სიტყვები „აფხაზი“ და „ხაზარი“ („ხაზ–არ“) ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, ორივე სიტყვის ძირიფუძე უნდა იყოს „ხაზ“, ანუ ხაზარეთი), რადგანაც იმჟამად არაბები ხაზარების მიერ ხელდებულ მიწა-წყალს, სადაც შემდგომ აფხაზეთი ჩამოყალიბდა, ყუბანიდან ვიდრე კლისურამდე, ჩანს, ხაზარეთს უწოდებდნენ.

მაგალითად, მურვან ყრუს მეისტორიეს თხრობით, როცა მან მარცხი განიცადა ხაზარეთში შესვლისას, ისეთი ტალახი იყო იმ ქვეყანაში, რომ იძულებულნი გახდნენ ცხენებისათის ტალახიანი კუდები დაეჭრათ. იგივეს წერს „ქართლის ცხოვრება”: როცა არაბთა ჯარმა ქართლის მეფე მირისა და მისი ძმის არჩილის დევნისას გადალახა სასაზღვრო მდინარე კლისურა, შევიდა ხაზართა ხელდებულ აფხაზეთში, მარცხი განიცადა და უკან დაბრუნდა სამეგრელოს გზით, სადაც დიდ ტალახიანობის გამო არაბები იძულებულნი გახდნენ ცხენებისათვის კუდები დაეჭრათ. ცნობათა მსგავსება მიგვანიშნებს, რომ ქართული აფხაზეთი ამ დროის არაბების მერ ხაზარეთად იწოდებოდა.

რაც შეეხება კავკასიის ალანებს, ხაზართა გამო შევიწროებული ალანების ერთი ჯგუფი ანაკოფიის მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში გაძლიერდა. როგორც ითქვა, ალანების უფრო დიდი ნაწილი კი დონ-დნეპრისპირეთში ცხოვრობდა.

კავკასიის მთის ალანებს დონისპირეთის ალანებისაგან აშორებდა ხაზარების მიერ ხელდებული ჩრდილო კავკასია. კავკასიის ალანია ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, დონისპირეთის ვრცელი ალანია კი კონსტანტინოპოლისა, სადაც მან ალანიის ეპარქია დააარსა.

ვახუშტის ცნობით, აფხაზთა ერისთავი თავდაპირველად (ჩანს, მე-7 საუკუნესათვის). ფლობდა ტერიტორიას ანაკოფიიდან ყუბანამდე („ხაზარეთის მდინარემდე“), ანუ იმჟამინდელი ხაზარეთის ერთ ნაწილს.

ქართული წყაროების ცნობას, რომ დასავლეთ საქართველო შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ეთანადება სტრაბონის ცნობა „შუა იბერიის“ შესახებ.

სტრაბონი იბერიის შესახებ წერდა: „ეს ქვეყანა ყოველმხრივ შემოფარგლულია კავკასიის მთებით, მათგან სამხრეთის მიმართულებით მოემართებიან იბერიაში გამავალი ქედები. ისინი მიდიან არმენიამდე და კოლხიდამდე. იბერიის შუაგულშია მდინარეებით მორწყული დაბლობი. მათგან ყველაზე დიდია მტკვარი. «Страна эта отовсюду окружена Кавказскими горами, ибо к югу выступают богатые растительностью отроги Кавказа, охватывая всю Иберию и доходя до Армении и Колхиды, а в середине находится равнина, орошаемая реками, из которых самая большая Кир» (Страбон, XI, 3, 2).

იბერიის შუაგულში მდებარე რომელი დაბლობი იგულისხმება სტრაბონის მიერ? რომელ დაბლობს უწოდებს ის იბერიის შუგულში (в середине) მდებარეს?

ესაა შიდა ქართლის დაბლობი, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ხაშურის, ქარელის, გორის, კასპისა და მცხეთის რაიონებს, რომელიც შემოსაზღვრულია კავკასიის მთავარ ქედიდან გამომავალი ლიხისა და ქართლ-საგურამოს ქედებით.

ეს დაბლობი შუა იბერიაში მდებარეობდა, სტრაბონის სიტყვით. ამ ცნობის საგანგებო ხაზგასმა მნიშვნელოვანია, რადგანაც ამჟამად არასწორად იბერიად მხოლოდ ამ ტერიტორიას მიიჩნევენ. სტრაბონის ამ ცნობით კი ეს დაბლობი შუა იბერიაში მდებარეობდა.

თუ ეს დაბლობი შუა იბერიაში მდებარეობდა, ის წარმოადგენდა იბერიის ცენტრალურ ნაწილს, ამიტომაც დაისმის კითხვა, სად მდებარეობდა იბერიის სხვა ნაწილები? რომელ ოლქს ერქვა დასავლეთ იბერია ანდა აღმოსავლეთ იბერია? უნდა ვიფიქროთ, რომ შუა იბერიის ვრცელი დაბლობის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალს, რომელსაც ჩვენ დასავლეთ საქართველოს ვუწოდებთ, სტრაბონის ეპოქაში „დასავლეთ იბერიას“ უწოდებდნენ, ხოლო ამ დაბლობის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალს (ანუ კახეთს) – „აღმოსავლეთ იბერიას“. შესაბამისად, არსებობდა სამხრეთი და ჩრდილო იბერიაც. სწორედ მათთან მიმართებაში მდებარეობდა ეს დაბლობი შუა იბერიაში, ანუ „в середине“.

ამ ფაქტს ადასტურებს ქართული წყაროებიც. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ დასავლეთ საქართველოს მუდამ მიიჩნევს იბერიის დასავლეთ ნაწილად და ასევე მუდამ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდ. ეგრისწყალზე მეფე ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე, შემდეგ კი მდ. კლისურაზე.

ქართული წყაროები სტრაბონის „შუა იბერიას“ უწოდებს „შიდა ქართლს“, სასპასპეტოს.

თუკი კავკასიის მთავარი ქედიდან გამოსული და სამხრეთით მიმართული მთებით (ლიხისა და საგურამოს ქედებით) შემოსარტყლული ვაკე იყო იბერიის შუაგული (в середине), მაშინ იბერიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილებიც მისი თანაფარდი უნდა ყოფილიყო. ლიხის ქედიდან საგურამომდე დაახლოებით 150–200 კმ-ია. მისი თანაფარდი სიგრძის უნდა ყოფილიყო იბერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილები, ანუ დასავლეთ საქართველო

(ლიხის მთიდან ეგრისწყლამდე) და კახეთი (საგურამოს ქედიდან [ცროლის მთამდე).] ამ მხრივ სტრაბონისა და ქართული წყაროების ცნობები იდენტურია.

სტრაბონიდან ათასი წლის შემდეგ იოანე ცეცე ჩრდილო კავკასიის რეგიონის მოსახლეობას ერთ გენეტიკას აკუთვნებდა. ის წერდა, რომ იბერები და აბაზგები, ასევე ალანები – ერთი გვარის, ანუ ერთი გენეტიკის ხალხია. „иберъи, абазги и алани одного рода“ (გეორგიკა, 1967, ტ, VII, 22-26).

ეთნიკური ერთგვაროვნების გამო, როგორც ითქვა, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ჩრდილო კავკასიის, აფხაზეთ-სვანეთ-დვალეთისა და დაღესტნის ეკლესიები, სადაც საეკლესიო კულტურა, მწიგნობრობა, არქიტექტურა და წირვ-ლოცვა ქართულენოვანი იყო.

ვ. მილერი ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმოშობის შესახებ

რუსეთის ცნობილი მეცნიერი და კავკასიის ხალხთა ისტორიის მკვლევარი ვ. მილერი აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად ჩრდილო კავკასია დასახლებული იყო ადგილობრივი, კავკასიური მოსახლეობით, ხოლო შემდგომ, განსაკუთრებით თემურ ლენგის დროდან, შეიცვალა ჩრდილო კავკასიელთა ეთნიკური სახე, კერძოდ, აქ ჩასახლდნენ სტეპების მომთაბარეები, რომელთაც დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა, მოახდინეს მათი ასიმილაცია და ამით საფუძველი დაედო ჩრდილო კავკასიის ხალხთა ამჟამინდელ სახეს.

ვ. მილერი წერს, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა მთიელი ხალხის წინაპრები თავდაპირველად ჩრდილო კავკასიის ველებზე ნახევრად სამომთაბარეო ცხოვრებას ეწეოდნენ და შემდეგ შევიდნენ ისინი კავკასიის მთებში, სადაც დამკვიდრდნენ (Миллер В.Ф. Осетинские этюды. М., 1881).

„По мнению В.Миллера, в горы осетин загнали полчища Чингис-хана в первой четверти XIII века. Никаких памятников архитектуры на равнине осетины не оставили. Это характерная черта всех полукочевых племен Северного Кавказа. А было их за долгую историю Великого переселения народов на Кавказе несметное множество, в том числе и предки всех нынешних горцев“. Миллер В.Ф. Осетинские этюды. М., 1881. В.Кузьмин, фото автора «Стена обители святой и башен странные вершины» http://www.nasledie–rus.ru/podshivka/9714.php?begin=51

ვ. მილერი წერს, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა მთიელი ხალხის წინაპრები თავდაპირველად ჩრდილო კავკასიის ველებზე ნახევრად სამომთაბარეო ცხოვრებას ეწეოდნენ და შემდეგ შევიდნენ ისინი კავკასიის მთებში, სადაც დამკვიდრდნენ (А было их за долгую историю Великого переселения народов на Кавказе несметное множество, в том числе и предки всех нынешних горцев).

მათ შორის ასახელებს ვ. მილერი ოსების წინაპრებსაც. ისინი, მისი აზრით, თავდაპირველად ირანის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, აქედან შუა

აზიის გზით გადავიდნენ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის ვაკეებზე. ოსების წინაპრები ეწეოდნენ ნახევრად სამომთაბარეო ცხოვრებას, და შემდეგ ისინი მე-13 ს-ში კავკასიის მთებში შერეკა ჩინგის ხანის ლაშქარმა (По мнению В.Миллера, в горы осетин загнали полчища Чингис–хана в первой четверти XIII века)

ველებზე ცხოვრებისას ოსებს არავითარი არქიტექტურის ძეგლი არ დაუტოვებიათ. ესაა დამახასიათებელი ნიშანი ყველა ნახევრადმომთაბარე ტომისა (Никаких памятников архитектуры на равнине осетины не оставили. Это характерная черта всех полукочевых племен Северного Кавказа Миллер В.Ф. Осетинские этюды. М., 1881).

ველის (სტეპის) მომთაბარეებს კავკასიის მთებში შესვლისას ადგილზე დახვდათ ძველი კავკასიელი, ქრისტიანი მთიელები. ისინი ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაამარცხეს, ამოხოცეს და მათი საცხოვრისი დაიჭირეს, გადარჩენილი მთიელები კი დაიმორჩილეს.

მსგავსადვე ხდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებში, სადაც ველებიდან ავიდნენ სტეპების მომთაბარეები, დაიმორჩილეს ადგილობრივი კავკასიელები და გაბატონდნენ.

ამის შედეგად ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ხევში ჩამოყალიბდა საზოგადოებები, რომელიც ორი ფენისაგან შედგებოდა – ზედა ფენა იყო გამარჯვებული სტეპებიდან მოსულებისა, ხოლო ქვედა ფენა იყო ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ასიმილირდა შემოსულებში და ჩამოაყალიბა ახალი ტიპის კავკასიური ტომები (თემები). სარწმუნოებრივად კი მოხდა დაკნინება ქრისტიანული სარწმუნოებისა, მისი ძალზე დასუსტება, რადგანაც ზედა ფენას არ გააჩნდა ძველი ქრისტიანული ტრადიცია, ქვედა ფენა კი ივიწყებდა წინაპრების ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ყველაფერი ეს, ანუ სტეპების ნახევრად მომთაბარე ტომების შესვლა და დამკვიდრება კავკასიის მთებში, ვ. მილერის სიტყვით, ხდებოდა მონღოლთა შემოსევების, განსაკუთრებით კი, თემურ ლენგის შემდეგ.

ამავე მოსაზრებისა იყო ვახუშტი ბატონიშვილი. მის დროს, მე-18 საუკუნის დასაწყისში, ოსურ თემებში ჯერ კიდევ არსებობდა დაბალი დვალური ფენა და დვალები ჯერ კიდევ საკუთარ, დვალურ, ენაზე საუბრობდნენ.

მისი ცნობით, ოსები კავკასიაში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და მათ კავკასიის მთებში დვალების ქვეყანა დაიპყრეს. ამის შედეგად დვალები დაბალ ფენად იქცა. იქამდე დვალები საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ ნიქოზელი ეპისკოპოსის სამწყსოში.

დვალები ქართული ხელნაწერების გადამწერები, საეკლესიო მოღვაწეები და, მათ შორის, ეკლესიის წმიდანებიც იყვნენ. მაგალითად, ნიკოლოზ დვალი, დვალეთის სოფელ წეიდან ქრისტიანობას იცავდა დამასკო-ბაღდადში და იერუსალიმში, ამ დროისათვის ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ დამკვიდრებული მის ქვეყანაში. შესაბამისად, ქრისტიანობას დვალეთში დიდი სიყვარული ჰქონდა, დედამისმა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე შეწირა ის ღმერთს. ამიტომაც პატარაობიდანვე ქართულ საეკლესიო წიაღში იზრდებოდა,

დვალეთში ოსების გაბატონების შემდეგ იქამდე წარმართი ოსები თანდათან გაეცნენ ქრისტიანობას. ამ ორი ეთნოსის ურთიერთშერევით, ანუ ოსებში დვალების ასიმილირებით ჩამოყალიბდა უკვე კავკასიური სახის ახალი ოსური ეთნოსი. ოსურ ენაში გაჩნდა სიტყვა „ჯვარი“, ეს სიტყვა მათ უნდა მიეღოთ დვალებისაგან, რომელებიც ჯვრის უძველესი თაყვანისმცემლები იყვნენ.

ვ. მილერის სიტყვით, ოსები „ძუარს“ (ჯუარს) უწოდებდნენ ყოველგვარ სარწმუნოებრივ სიწმინდეს. ვ. მილერი წერდა: „ხანდახან ძუარი არის ძველი ეკლესია ან სამლოცველო, რომელიც დროთა ვითარებაში წარმართულ ადგილად იქცა. ხანდახან მთის ქვაბული, ტევრი, ხე, ქვა, მაგრამ განსაკუთრებული დიდება ჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიას, მის ნანგრევებს (ყველაზე სახელოვანი ძუარებია რეკომი და მიქალიგარბიტა მდინარე წეი-დონის ველზე“ (Миллер В.Ф. Осетинские этюды. М., 1881).

როგორც აღვნიშნეთ, სოფელი წეი და წეის თემი იყო სამშობლო ქართული ეკლესიის წმიდანის ნიკოლოზ დვალისა. ეს ხეობა სავსე იყო ქრისტიანული სიწმიდეებით, აღნიშნული მიქალიგარბიტა, ცხადია, ყოფილი ქართული მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზთა ქართული ტაძარია, რომლის პატივისცემა კიდევ ჰქონდათ გაწარმართებულ დვალებს, ანუ გაქრისტიანებულ ოსებს.

მილერი აღნიშნავს, რომ წეის ეკლესია წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე იყო აგებული. ეტიმოლოგია მისი სახელის კი უჩვენებს, რომ ის მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე იყო აგებული, მაგრამ, ჩანს, აქ პატივს ცემდნენ წმ. ნიკოლოზს, ალბათ, წმ. ნიკოლოზ დვალის მოსახსენებლად. წმ. ნიკოლოზისადმი ადგილობრივთა პატივისცემა შეუმჩნევია ვ. მილერს, რომელმაც მოიარა ეს ადგილები.

ვ. მილერი მიიჩნევს, რომ რეკომის ჯვარი (სამლოცველო), შესაძლოა, აიგო აქ ქართველების გავლენისას, ძველ მოგზაურებს აქ შეუნიშნავთ ზარი ქართული წარწერით, გიორგი ბაგრატიონის სახელით. ადგილობრივი გადმოცემები, ვ. მილერის სიტყვით, მიუთითებენ, რომ რეკომთან არსებობდა ქართული მონასტერი და, ამასთანავე, აულ ცეის რამდენიმე ოჯახი წარმოშობილი ყოფილა ქართველი სასულიერო პირებისაგან, ანუ ისინი თავიანთ წინაპრებად ქართველ სასულიერო პირებს ასახელებდნენ (Есть основание думать, что Рекомская часовня была построена во времена влияния Грузии на Осетию. Прежние путешественники указывали близ входа колокол с грузинской надписью, будто бы гласившею, что колокол принесен в дар святому отцу Осетинской и Дигорской страны Георгием Багратионом. Местные предания упоминают о существовании грузинского монастыря в Рекоме и производят несколько семейств в ауле Цей от грузинского духовенства).

(ჩვენ შევნიშნვთ, რომ მილერის მიერ ნახსენები სოფელი ცეი არის ყოფილი სოფელი წეი, საიდანაც იყო წმ. ნიკოლოზ დვალი, სადაც მისი მშობლები ისეთი გულმხურვალე ქრისტიანები იყვნენ, რომ დედის წიაღშივე არდაბადებული ბავშვი შეწირეს ქრისტეს ეკლესიას)

ვ. მილერის სიტყვით, ოსეთ-ყაბარდოს საზღვარზე თათარ-ტუპის მთაზე მდგარა „ძუარი“, ასევე აულ გალიათის სასაფლაოზე ქვის ეკლესია, საცხოვრებელი კელიებით, სახელით „შვიდი ძუარი“. ძივგისში ძველი მონასტრის ნანგრევებია, ისინი განეკუთვნებიან მე-11, მე-14, ან მე-15 საუკუნეებს, – წერს ის (Миллер В. Ф. Осетинские этюды. М., 1881).

ამ საუკუნეებში ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაბატონებული დვალეთში.

აღსანიშნავია, რომ ქართული სიტყვა ჯვარი შესულია არა მხოლოდ ოსურ ენაში, არამედ ჩრდილოკავკასიელ ხალხთა თითქმის ყველა ენაში. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ოსურში ჯვარი – „ძუარი“ (ძველქართულად ჯვარს ჯუარი ერქვა, აქედან ძუარი). ასევე ჩერქეზებში – „ჯორ“ (ჯვარი), ყაბარდოელებში – „ზორ“ (ჯვარი), ბალყარელებში – „ზორ“ (ჯვარი), აფხაზებში (აფსუებში) – „აძარ-ჯუარ“, ინგუშებში – „ძხარგ“ (jvari) («Дзуар», – ოსებში, у абхазов это «адзар-джьуар», у черкесов – это «джор», у кабардинцев – это «дзор», у балкарцев – «зор», у ингушей – это «дзхарг» и т. Д).

ასევე ამ ენებში შესულია სხვა ქართული საეკლესიო ტერმინები. მაგალითად, სიტყვა „ხუცესისაგან“ წარმოქმნილი ადგილობრივი რელიგიური სახელები (ხუცავი –„ღმერთი“– ოსურში, და სხვა). ფაქტი იმისა, რომ ქართული რელიგიური ტერმინოლოგია (მაგალითად, აღნიშნული სიტყვა – ჯვარი) ქართულისაგან მიღებული აქვთ ჩერქეზებს, ბალყარელებს, ოსებს, აფხაზებს (აფსუებს), ინგუშებს და სხვ., კიდევ ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ იმისა, რომ ჩრდილო კავკასია ჩერქეზეთის ჩათვლით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა მონღოლებამდე და თემურამდე, აქაური მკვიდრებისაგან კი შეითვისეს იქ გაბატონებულმა ყოფილმა მომთაბარეებმა, რომელნიც მკვიდრებად იქცნენ.

ზოგიერთი ქართული ტიპის დიდი ზომის ქვის ჯვრები დღემდეა შემორჩენილი ჩრდილო კავკასიაში. ასეთი ჯვრები საქართველოში ტრადიციული იყო უკვე მე-4, მე-5 საუკუნეებიდან.

მიმოხილვა თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნისა

„ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურგის სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისა, 1848 წელსა“

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) ძე გიორგი მე-12-ისა, იყო თავისი დროის ცნობილი მწერალი და მეცნიერი. მისი სახელოვანი ნაშრომია აღნიშნული წიგნი საქართველოს ისტორიისა.

თეიმურაზის მთელი ნაშრომი არის კვლევა და მტკიცება იმისა, რომ მთელი კავკასია, მისი ჩრდილო და სამხრეთი ნაწილი, კასპიის ზღვიდან შავ

ზღვამდე – ისტორიული საქართველოა, რომ ყველა მისი ერთეული შეადგენდა ერთ სამეფოსა და ერთ ქვეყანას, ის წერს: „**ესე ყოველნი ნათესაობანი, სამეფონი და სამთავრონი არიან ერთი ქვეყანა და ერთი სახელმწიფო**“ (გვ.24).

მისი სიტყვით, „**იმერთა, კახთა, მესხთა, მეგრელთა, აფხაზთა, კავკასთა, ლეკთა და სრულიად ... ყოველსა მას ქვეყანასა ეწოდა „საქართველო“ კასპიის ზღვიდან შავს ზღვადმდე**“ (გვ.26).

ის წერს, რომ ერთ დროს საქართველოს ჩრდილო საზღვარი იყო ქვეყანა „მცირე თათარია“. ის წერს: საქართველოს ჩრდილო საზღვარი, რუსეთი და მცირე თათარია” (გვ.27). „მცირე თათარია“ იყო მე-18 საუკუნეში ცნობილი რეგიონი, რომლის რუკა დაამზადებინა იმპერატრიცა ეკატერინემ. მცირე თათარია მოიცავდა თანამედროვე სამხრეთ უკრაინას და მიმდებარე სამხრეთ რუსეთს დნესტრსა და დონს შორის. მისი საზღვარი აღწევდა შავ და აზოვის ზღვებამდე, თეიმურაზის აზრით, აზოვის ზღვასთან საქართველოს მცირე თათარია ესაზღვრებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ისტორიული საზღვარი, თეიმურაზის სიტყვით, აღწევდა მდ. დონამდე და აზოვის ზღვამდე.

მისი სიტყვით, ორ, კასპიისა და შავ ზღვას შუა მცხოვრები ხალხის ენა იყო ქართული, როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიაში. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მას უამრავი ფაქტი მოყავს.

კავკასიის „**ყოველნი ერნი მომძრახ იყვნეს ივერიულად, ესე იგი ქართულად, ზრახვითვე ამ გვარითა, რომლითაცა ვმეტყველებთ აწ**“ (გვ.34).

რით ამტკიცებს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომ ქართული ენა კავკასიის ხალხთა თავდაპირველი ენა იყო?

ამას ამტკიცებს სხვადასხვა მასალითა და პირადი დაკვირვებით, იმ ფაქტით, რომ თვით ამ ხალხთა წარმომადგენლები, მაღალი წოდება თუ დაბალი, ასაკის მიუხედავად, ამტკიცებდა, რომ მათი თავდაპირველი ენა იყო ქართული.

ის წერს:

„**თუ სადმე ჰკითხო მდაბიოსაცა ვისსამე დღეს სხვითა ენითა მოლაპარაკესა, აფხაზთა, ოვსთა, ლეკთა და სხვათაცა კავკასიასა შინა მოსახლეთა (გინა სხვათა ადგილთა შინა ივერიისა ერთაგანსა), მყის მოგითხრობენ იგინი, რომელ წინაპარნი ჩვენნი მომზრახ იყვნეს ქართულისა ენისა და წინაპართა ჩვენთა ენა ქართული არს**“ (გვ.35).

მისი აზრით, არა ყველა ტომი იყო ოდესღაც ქართულენოვანი, არამედ მხოლოდ „ივერიის ერთაგანი“, ანუ იბერიული წარმოშობის კავკასიური ტომები. თეიმურაზის ეს თეორია ეთანადება ამჟამინდელ ე. წ. იბერიულ-კავკასიურ ენათა თეორიას.

თეიმურაზის დროს ქართული ენა გარკვეულწილად ჯერ კიდევ იყო გავრცელებული აფხაზთა, ოსთა, ლეკთა და სხვა კავკასიელთა შორის. ამიტომ ის სვამს კითხვას – თუ კი ჩრდილო კავკასიელთა წინაპრები არ იყო ქართველენოვანი ხალხი, როგორ მოხდა, რომ მრავალი კატაკლიზმებისა და შემოსევების მიუხედავად, მათმა ნაწილმა კიდევ იცის ქართული ენა?

ის წერს:

„ვითარ შესაძლებელ იყო ესოდენ სიყვარული ნათესაობათა მიერ მისთა ენის მის, რომელ ესოდენთა ნათესავთა და პირთა მათ შორის შემოსეულთა და სხვათა ჟამთა ცვლილებაგან ვერა აღხოცეს ქართული?“ (გვ.35).

ბატონიშვილი წერს, რომ მიუხედავად უცხო ეთნოსთა შერევისა, თუ კითხავ აფხაზს, ოსს, ლეკს ან სხვა რომელიმე მეზობელი ტომის შვილს, ისინი სწრაფად გეტყვიან, რომ ჩვენი წინაპრები ქართულენოვანნი იყვნენ და ჩვენი წინაპრის ენა არის ქართული (გვ. 31).

მას მიაჩნია,რომ ქართული ენის ასე თუ ისე ცოდნა კავკასიელთა მიერ დაღესტნიდან აფხაზეთამდე, ოსეთის ჩათვლით, კავკასიელი ხალხების თავდაპირველი ქართულენოვნების დასტურია.

თეიმურაზ ბაგრატიონი ამას წერდა მე-19 ს. დასაწყისში.

ჩანს, იმ დროის აფხაზები, ოსები, ლეკები და სხვანი ფლობდნენ ინფორმაციას, რომ მათი წინაპრების თავდაპირველი ენა იყო ქართული. ეს ინფორმაციული ცოდნა მე-19, მე-20 სს.-ში დავიწყებულ იქნა რუსთა ბატონობის დროს.

თეიმურაზის სიტყვით, ჩრდილო კავკასიელები სხვადასხვა ეპოქაში დაიპყრეს სხვადასხვა ხალხებმა.

მაგალითად, ის ეხება უძველეს ეპოქას, როდესაც ჩრდილო კავკასიელთა წინაპრები მთებში კი არა მთების წინა ვრცელ ველებზე (სტეპებში) ცხოვრობდნენ (ამასვე აღნიშნავდა ვ. მილერი).

ამ ეპოქაში, ველებზე ცხოვრებისას, ჩრდილო კავკასიელები ყოფილან ქართულენოვანები. შემდგომ კი, როდესაც მათ შემოესივნენ უცხოელი დამპყრობლები, ისინი ველებიდან შესულან კავკასიის მთებში და თანდათან დაუვიწყებიათ ცოდნა ქართული ენისა, მაგრამ მათ, თეიმურაზის დროს, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ჰქონიათ ინფორმაცია თავიანთი წინაპრების ქართულენოვნების შესახებ.

თემურაზი წერს: თავდაპირველად სრულიად აფხაზების ენა იყო ქართული, და ქართულ წიგნებს ხმარობდნენ, ხოლო შემდგომ ქართული დაივიწყეს. ახლა მცირედმა მათგანმა იცის ქართული მათში სხვადასხვა ენების შერევის გამო (ხაზარები, ჰუნები და სხვანი).

თეიმურაზი წერს: ,,პირველად სრულიად აფხაზნი მომზმახ იყვნეს ქართულსა, და მერმე, სხვათა და სხვათა ერთა მიერ, მათ შორის აღრეულთა ... შერივნეს ენანი მათნი. აფხაზნი ქართულისაც ენისა მოლაპარაკე იყვნეს და წიგნსა ქართულსა ხმარობდეს, ხოლო შემდგომად დაივიწყეს ქართული და მცირედთაღა მათგანთა უწყიან ქართული და მათ შორის მყოფთა წარჩინებულთა და თავადთა სახლთა უწყიან, და ქართულადვე ლაპარაკობენ, და იციან აფხაზთაცა ენა“.

კავკასიელთა თავდაპირველ ერთობას და ქართულენოვნებას თეიმურაზი სხვაგანაც ეხება.

ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსების წინაპრების ენა, თეიმურაზის სიტყვით, თავდაპირველად იყო ქართული, შემდგომ მათ შეერიათ სხვა ერები. ამის გამო ,განირყვნა ენა მათი და შეირია და იცვალა“.

თეიმურაზი წერს: „**კავკასოს იყო ძმა ქართლოსისა და ძე თარგამოსისა, ნათესავთ – მთავარი ოვსთა, არამედ უფლებასა ქვეშე ქართლოსისასა მყოფი, პირველად ოსნი ზრახვიდეს ენითა ქართულითა, ვითარცა სხვანი კავკასიის ერნი, არამედ ოდეს შემოერივნეს მათ შორის სხვანი და სხვანი ნათესაობანი, განირყვნა ენა მათი და შეირია და იცვალა, და აწ არიან ოსთა შორის ნათესაობითა მრავალნი, რომელნი ქართულსაცა ენასა ლაპარაკობენ და ოსურსაცა და სხვათა უფრო მცირედთა რიცხვთა აქვთ დავიწყებული ქართული ენა**“ (გვ.11).

თეიმურაზი წერს, რომ ღილღვები (ანუ მდ. ასას მცხოვრები ინგუშებისა და ქისტების წინაპრები) არიან ქართველები: „**ესე ორნი მდინარენი გამომდინარეებენ ერთისა სათავისაგან მახლობელ ადგილთა სამზღვართა თუშთა, ფშავთა, ხევსურთა და ლილივთა ქვეყანისა, რომლისაცა ერნი არიან ქართველნივე კავკასიისა მცხოვრებთაგანი**“ (გვ.14), ანუ ღილღვები ქართველები არიან, როგორც თუშები, ფშავლები და ხევსურები.

სვანებმა, კავკასიის მთებში მოსახლებმა, იციან და ლაპარაკობენ ქართულს, მაგრამ მათ აქვთ საკუთარიც. ასევე ჯიქთა და ალანთა შორისაც იციან ქართული, მაგრამ მათ შორის უფრო ცოტანი არიან ქართულად მოლაპარაკენი.

ოსები არიან ქართლოსის ძმის კავკასიის შთამომავალები. თავდაპირველად ისინიც ქართულად მოლაპარაკეენი იყვნენ: „**პირველად იგინიც ქართულისა ენისა იყვნეს მოლაპარაკენი, მერმე ამათცა უძველეს ჟამთა შინა შეერივათ ენა ხაზართგან, მერმე სპარსთაგან და იტყვიან მათ შორის გერმანელთა გადმოსახლებასაცა. სხვათა და სხვათა ნათესავთა შეერიათ ენა**“ (გვ. 36). კავკასიაში შემოსულ გუთებს თეიმურაზი გერმანელებად მოიხსენიებს.

თეიმურაზის მიერ მოყვანილი ფაქტები ეთანადება ვახუშტისას, რომელიც წერს, რომ მისი დროის ოსები შედგებოდნენ ორი ეთნიკური ფენისაგან. ოსეთის თავდაპირველი მოსახლენი დვალები დაიპყრეს ოსებმა და აქციეს დაბალ ფენად. ვახუშტის დროს დვალური ენა კიდევ არსებობდა. ეს ენა თეიმურაზის მიერ იწოდება ოსების თავდაპირველ ენად, რომელსაც უწოდებს ქართულ ენას. მაშასადამე, ვახუშტის მიერ ნახსენები დვალური ენა თეიმურაზის მიერ იწოდება ქართულ ენად.

თეიმურაზი და ვახუშტი XVIII და XIX ს. დასაწყისში უკეთ ფლობდნენ დვალების შესახებ ინფორმაციას, ვიდრე შემდეგი დროის მკვლევარები. ვახუშტის მიერ ნახსენები დვალური ენა თეიმურაზის მიერ იწოდება ქართულ ენად. ჩანს, დვალური იყო ერთ-ერთი მთის დიალექტი ქართული ენისა. ის ამჟამად სრულიად უკვალოდ გამქრალი მკვდარი ენაა, მაგრამ ოსური ენის ქართული დანაფენები, მართლაც, დვალების ქართულენოვნებას მიუთითებს.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, თეიმურაზის სიტყვით, „ოსების“ (გულისხმობს ოსეთის ძველ, თავდაპირველ მოსახლეობას – დვალებს) თავდაპირველი ენა იყო ქართული ენა, შემდეგ დვალებს შეერივნენ სხვადასხვა ტომები – ხაზარები (გულისხმობს თურქულენოვან ტომებს), სპარსელები (გულისხმობს, ჩანს, ირანელენოვან ტომებს), „გერმანელები“ (გულისხმობს გუთების ტომს). ამ ტომების ენებისა და დვალების (თავდაპირველი ოსების წინაპრების) ენების შერევით ჩამოყალიბდა თანამედროვე ოსური ენა. თეიმურაზი წერს,

რომ მიუხედავად ამისა, საქართველოში ერთმეფობის დროს, ანუ საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის დროს, ოსები ,,მოზრახ იყვნეს იგინი ქართულისა ენისა და ქრისტიანობაცა სრულად ოსთა ეპყრათ" (გვ.36), მაგრამ ახლა მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ ქრისტიანული სარწმუნოებაო, თუმცა კი ოსების ქვეყანაში მრავალია ,,ბერძენ-ქართველთა წესის" მქონე ქრისტიანებიო.

რას ნიშნავს, **„ბერძენ ქართველთა წესი?"**, ეს ტერმინებით აღინიშნება არა რომელიმე ეთნოსის ტრადიცია, არამედ რელიგიური აღმსარებლობისა, ეს არის ქართული მართლმადიდებლობა („ბერძენი" აქ ნიშნავს მართლმადიდებელს). ტერმინით „ბერძენ-ქართველი" თეიმურაზის დროს აღინიშნებოდა, ის, რასაც დღეს ეწოდება „ქართველი მართლმადიდებელი".

ჩრდილო კავკასიელთა შორისო, წერს ის, მრავალია ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი და, ამასთანავე, მრავალმა კვლავ იცის ქართული ენაო. „უწყიან მრავალთა ქართული ენა". ქართული ენა კავკასიის მრავალი ტომის ენააო. სხვა წყაროებითაც, რუსების კავკასიაში შემოსვლისას, მე-19 ს. დასაწყისში, კავკასიის ზოგიერთ ხალხის განათლებულ ფენას გააჩნდა ცოდნა ქართული ენისა.

ის განაგრძობს: **„კავკასიის მთათა შინა მცხოვრებელნი მრავალნი არიან, რომელთაცა აქვთ საკუთრად ენა ქართული და სარწმუნოებაცა ქართველთავე,**

ესე იგი მთიელთა მოხევთა არაგვის საერისთაოსთა, ფშაველ-ფხოვლთა, ხევსურთა და თუშთა.

ხოლო ქისტნი და ღლიღვნი, რომელთაცა აწ უწოდებენ ანგუშტთა, ესენი არიან მესამზღვრენი ფშავთა, ხევსურთა და თუშთა.

მესამზღვრენი ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ქართულთა მომზრახნი, შემდგომად აღერივნეს მათ შორის ხაზარნი და სხვა და სხვა ნათესავნი, ენა მათი განირყვნა. ქისტნი, თუმცა პირველ იყვნეს ქრისტიანენი და მრავალნი ძველნი ნაშენნი ეკლესიანი არიან მათ შორის, მაგრამ შემდგომად გარდაიქცეს იგინი და იქმნეს, ვითარცა ოსნი. არა თუ იქმნეს სხვისა სარწმუნოებისა, არამედ შერიეს მათ და დაივიწყეს წესი ქრისტიანობისა, დაივიწყეს ენაცა ქართული, თუმცა მცირედღა უწყიან და აქვთ ენა აღრეული, ვითარცა სხვადასხვა აწინდელთა ერთა კავკასიურთა,

ხოლო ძურძუკთა და ღლიღვთა უმეტესთა ნაწილთა მათთა აქვთ მიღებული სჯული მოჰმედისა ჩერქეზთა მახლობლობისა გამო.

ხოლო ქრისტეთი ღლიღვნი, ძურძუკნი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა" (გვ.36).

თეიმურაზის სიტყვით, დაღესტნელების წინაპრები (მათ ლეკებს უწოდებს) თავდაპირველად იყვნენ ქართველენოვანნი და ცხოვრობდნენ დაღესტნის ველებზე (დაბლობში), შემდეგ მათ შემოესივნენ სხვადასხვა ხალხები, ამიტომაც იძულებით ავიდნენ და დამკვიდრდნენ მთებში, მათ შორის იყვნენ ქრისტიანები **„სარწმუნოებითა – ბერძენ ქართველთათა და წესით მათითა"** (გვ.36), ანუ მართლმადიდებლური ქართული საეკლესიო წესებით, ანუ ის იყო არა სომხური ანდა ალბანური ეკლესიის სამრევლო, არამედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა, ქართულ მართლმადიდებლურ წესს ის „ბერძ-

ნულ-ქართულს“ უწოდებს). დაღესტნელები ამ დროს ქართულ ენას ინარჩუ-ნებდნენ და მას იცავდნენ. „**სცვიდნენ ენასა ქართულსა, ვიდრე თემურ ლენ-გამდე, რომელმაც დაიპყრა იგინი, მიაქცივნა მრავალისა ტანჯვითა და სხვანი ლიქნითა და წყალობითა მრავლითა, დაუდგინნა არაბნი მოლანი (ესე იგი მოხმედისა სჯულისა მოძღვარნი და მასწავლებელნი), განუწესა მათ, რათა ასწავლებენ ყრმათა მათთა წერილს არაბულისა, მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცაღა ენა ქართული იზრახვიდეს მათ შორის**“ (გვ.37).

თეიმურაზის ეს ცნობა დასტურდება მიღწეული ფაქტებით, მაგალითად, დაღესტანში აღმოჩენილი ქართულენოვანი ჯვრების და სხვა საეკლესიო ნივ-თების ნამსხვრევებით, რომლებზეც მკვეთრად ჩანს როგორც ასომთავრული, ისე ნუსხური წარწერები. მოპოვებულია იქაურ ადგილობრივ მკვიდრთა სახე-ლზე დამზადებული ქრისტიანული არტეფაქტები. ასეთი წარწერები ავარიის უამრავ სოფელს თუ ნასოფლარში მოიპოვება. აქ დასტურდება უამრავი ეკლე-სიისა და ქრისტიანული სასაფლაოს ნაშთები. დაღესტნის მუზეუმებში ინახება მაჰმადიანური წიგნები, რომელთა ყდები ქართული საეკლესიო წიგნებიდან ამ-ოხეული ფურცლებითაა გამაგრებული. ახლახანს დაახლოებით 2015 წელს და-ღესტნის ტელევიზიით გადმოიცა ინფორმაცია, რომ შემთხვევით ნახეს ქვიშაში ჩაფლული ათასამდე ხელნაწერი გაქვავებული გრაგნილი., ცხადია, თუ შეძლეს მათი გახსნა. უმრავლესობა იქნება ქართულენოვანი, რადგანაც ქართული ენა დაღესტნელების კულტურისა და განათლების ენა იყო.

თეიმურაზის სიტყვით, ქართული ენა ლეკების ბუნებითი ენა იყო და ისინი ქრისტიანები ყოფილან თემურ ლენგის შემოსევამდე. ლეკთა ქვეშ ის გულისხმობს მთელი დაღესტნის მოსახლეობას.

თემურ ლენგს სასტიკი ბრძოლები დასჭირდა ქრისტიან დაღესტნელთა დასამარცხებლად. გამარჯვების შემდეგ კი მას გამოუცია სასტიკი ბრძანება, რომ დაღესტანში არავის ელაპარაკა ქართული ენით, უფრო მეტი, მას აუკრძა-ლია ბავშვების განათლება ქართულ ენაზე (იქამდე კი მაღალაშვილისეული სახარების 1310 წლის მინაწერის მიხედვით, დაღესტნისა და ნახჩეთში 7 ქარ-თული ქრისტიანული საეკლესიო სასწავლებელი ყოფილა).

თემურ ლენგის ბრძანებით დაღესტანში არავის ჰქონდა უფლება ქარ-თული წიგნების კითხვისა. მან არაბეთიდან და სხვა მუსულმანური ქვეყნები-დან საგანგებოდ ჩაიყვანა იქ მოლები მუსულმან მოძღვრებად და მასწავლე-ბლებად. იქამდე, კი ქრისტიანი მოძღვრები და სამღვდელოება დახოცა ან გაა-ძევა.

ამის შედეგად დაღესტნელთა შორის მინელებულა ცოდნა ქართული ენ-ისა. დაღესტანში მხოლოდ ანწუხის თემის მცხოვრებლებს შემოუნახავთ ქარ-თული ენა. **„მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის ანწუხელთა, რომელ-ნიც დღევანდელ დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა და უწყიან ენა“**(გვ.37).

თეიმურაზ ბატონიშვილის დროსაც კი, ე.ი. მე-19 ს. დასაწყისში, ანწუხე-ლები ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ქართულად, რისი მოწმეც თვითონ იყო. აქე-

დანაც ჩანს, რომ ანწუხის საეპისკოპოსოს მრევლს ძალზე დიდხანს შეუნარჩუ-ნებია ქართული ენის ცოდნა.

ანწუხელი ლეკების მიერ ქართული ენის ცოდნასთან ერთად თეიმუ-რაზის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა საეკლესიო შენობები და ნაე-კლესიარი ნაგებობების ნაშთები მთელ დაღესტანში. **„არიან მათ შორის ძველ-ად ნაშენებნი ეკლესიანი და მონასტერნი, რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, გარნა აწ რამდენიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზგიდებად მათდა შეცვალებულნი“** (გვ.37).

თემურ-ლენგის შემდეგ სრულიად საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს განუდევნია დაღესტნიდან მოლები, მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ გამოჩენი-ლან. ისინი ხალხს ასწავლიდნენ, რომ ქრისტიანთა მტრობით სამოთხეს დაი-მკვიდრებდნენ. **„ქურდობათა და ავაზაკობათა მადლად ეტყოდიან და ქრისტი-ანობათა მტერობასა სამოთხისა შემყვანებელად“** (გვ.37).

საქართველოს დაშლის შემდეგ დაღესტნის მთა შედიოდა კახეთის სამე-ფოში. **„იპყრობდნენ კახთ მეფენი ლეკთა სრულიად და კახთ მეფეთაგან ედვათ მათ ხარკი და ბეგარა“**(გვ.37).

ვითარება კვლავ შეიცვალა შაჰ აბაზ I-ის დროს. „შაჰაბაზ გაძვინებულ იყო კახეთსა ზედა” (გვ.38).

იმისათვის, რათა ჩამოეშორებინა კახეთისთვის, შაჰ აბაზს დაღესტანში ჩაუსახლებია ერთ-ერთი მაჰმადიანური ტომი „ბულხადარი“ 150 000 სახლი. ასევე დაღესტანში შეუგზავნია მრავალი მოლა: **„მისცა მოლათ მათ საფასე დიდძალი და მოიზიდეს მათ ლეკთაგანნი მრავალნი ფულისა მიცემითა, რომე-ლნიმე სატანჯველითა მიაქცივნეს და მაჰმადიან ყვეს“** (გვ.37).

შაჰ-აბასის მოლები ლეკებს ასწავლიდნენ ქრისტიანთა მტრობას. ქურდ და ვაზაკობით ცნობილი გულხადარები შეერწყნენ ლეკებს. ამ დროს ორ ნაწი-ლად გაყოფილან სპარსული და არაბული მაჰმადიანობის მომხრეებად (ალ-ბათ, შიიტებად და სუნიტებად). საბოლოოდ, შაჰ აბაზმა დაღესტანი ჩამოაშ-ორა საქართველოს, **„დაუკარგა ქვეყანა იგი საქართველოს სამეფოს“** (გვ.40).

კავკასიელთა ერთობა ქართველი იერარქების ტიტულატურასაც აუსა-ხავს.

თეიმურაზი წერს: სრულიად ივერიის პატრიარქების ტიტულატურა ასეთი იყო: „ჩვენ კათოლიკოს-პატრიარხი აფხაზთა და ყოვლისა საქართ-ველოისა“ (გვ.36).

თეიმურაზი გამოწვლილვით მიმოიხილავს კავკასიის მოსახლეობის წი-ნაპართა ისტორიასა და გენეზისს.

მიიჩნევს, რომ ძველი აღთქმის მამამთავრებმა ნოეს ვაჟებმა სემმა, ქამმა და იაფეტმა საფუძველი ჩაუყარეს კაცობრიობას.

კავკასიის თავდაპირველი მოსახლეობა კი იაფეტის ძის თარგამოსის შთამომავლები იყვნენ.

მას მოჰყავს იოსებ ფლავიუსის ცნობა, რომლის მიხედვით, ქართველები იაფეტის შთამომავლებია, ხოლო სომხები – სემისა. ამის მიხედვით, ქართვე-ლები იაფეტელები, სომხები კი სემიტები არიან.

„იოასაფ ფლავიოს მწერალი იუდიანთა ისტორიისა (I,6) მოუთხრობს ესრეთ: **„სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელნი ეწოდებისო, ვინაითგან იგინი შთამომავალნი არიან იაფეთის ძის თობელისანი“ და სომეხთა ესე იგი ერმანთათვის იტყვის: „იგინი არიან შთამომავალნი იულისანი სემის შვილის შვილისაგან“** (გვ.16).

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის სამეცნიერო ნაშრომს იწყებს კავკასიის რეგიონის გეოგრაფიული აღწერით. ის მიიჩნევს, რომ, კავკასიის შვიდ უმაღლეს მწვერვალთა შორის „პირველ არს შიდა-ქართლისა მამულსა შინა ცხინვალისა, ანუ ქრცხინვალის ხეობისა თავსა ...იწოდების ბრუტ-საბზლად... მეორე... საყორნე.. თავსა პანკისის ხეობისასა კახეთისა ქვეყანასა...სახლობენ თუშნი, რომელნიცა არიან კახთა ერისაგანვე” (გვ.8). მათ გარდა თეიმურაზი ასახელებს სხვა მწვერვალებს.

მისი სიტყვით, მდ. ალაზანი „შთამოვლის საშუალ შიგნით კახეთისა. იორი შთამოვლის საშუალი გარე კახეთისა“ (გვ.14), ანუ „შიგნით კახეთი“ ერქვა მდ. ალაზნის ორივე სანაპიროს ქვეყანას. შესაბამისად, ამჟამინდელი საინგილო „შიგნით კახეთის“ ქვეყანა იყო. ამიტომ მდ. ალაზანი „საშუალ შიგნით კახეთისა“ მიედინებოდა, ხოლო იორის ქვეყანას – „გარე კახეთი“ ერქვა.

მას მიაჩნია, რომ ამ ორი მდინარის, იორისა და ალაზნის შეერთების ადგილი იყო ქართველთა ეთნარქის – პირველწინაპრის თავდაპირველი საცხოვრისი, იგულისხმება ის ტერიტორია იორ-ალაზნის შესართავის ადგილას, სადაც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავია. აქ აგებულა თავდაპირველი ქართული ქალაქები და ციხე-სიმაგრები.

ამ ორი მდინარის (იორისა და ალაზნის) შეერთების ადგილას, მისი სიტყვებით, იდგა ხორანთა, ანუ ხორნაბუჯი, **„რომელიცა უძველეს დროთა შინა იყო ქალაქი დიდი, ციხითა დიდითვე, და ამის აღშენებასა იტყვიან უწინარეს ყოველთა შენობათა და მოსახლეებათა სრულად ივერიისა ქვეყნისა, ქალაქთა და დაბათა” (გვ.14), „კახოსმან აღაშენა ქალაქი ჩალეთი, რომელსა ბერ ერქვა, პირველ შენებულსა ქალაქსა კახეთისასა, შეეწეოდა კუხოსიცა**“ (გვ.31).

„ქართლის ცხოვრების“ სხვა ვარიანტის მიხედვით, ხორანთა ჰეროსმა ააშენა. ეს ქალაქი იორ-ალაზნის შესაკრებელთან ყოფილა. ამ არეალშივე უნდა ყოფილიყო ქალაქი ჩელეთი – კახოსის მიერ აშენებული. კუხოსი მას ეხმარებოდა მშენებლობის დროს. ჩანს, აქვე ყოფილა „დედა-ციხე“, რომელიც კახოსის „ხვედრი იყო“.

მართალია, ამჟამად სხვაგვარად მიიჩნევა, მაგრამ, ჩვენი კვლევით, ჩელეთს ახლა ჩელიათი ეწოდება. ის ახლოა ვართაშენთან – ამჟამინდელ აზერბაიჯანში (ოგუზის რაიონი), იქვეა ახლოს თანამედროვე სოფელი ფილფილა (და ხალხალა), რომელიც უნდა იყოს გულგულა, ანუ ტყეტბა-გულგულა. აქვე გაედინება ალაზნის ის დიდი შენაკადი, რომელიც იწყება აღნიშნულ ფილფილას მთების სიახლოვეს და ერთვის ალაზანს. ალაზნის ეს დიდი შენაკადი ამჟამინდელ აზერბაიჯანშია. ის უნდა იყოს პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები ოკაზანი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ალბანეთსა და იბერიას. ანუ, ამ შემთხვევაში, ჰერეთსა და კახეთს.

ალაზანი და იორი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, შეკრების შემდეგ ერთ მდინარედ იქცეოდა და ასეთი სახით უერთდებოდა მდ. მტკვარს ადგილ-ზე, რომელსაც ერქვა „სამუხი.“

თეიმურაზის თვალსაზრისით, ჰერეთი კასპიის ზღვამდე აღწევდა და ის ივერიაში შედიოდა. ამიტომაც, მისი თქმით, ივერიის, ანუ გიორგიის საზ-ღვრები იწყებოდა კასპიის ზღვიდან ვიდრე შავ ზღვამდე (გვ.15).

მისი კვლევით, საქართველო ორ გეოგრაფიულ ნაწილად, ქვემო და ზე-მო საქართველოდ განიყოფოდა,

„ქვემო საქართველოა“ დასავლეთ საქართველო (გვ.15). კოლხიდა ქვემო ივერიის ნაწილია (გვ.21), აფხაზეთი ნაწილია „ქვემოს შინა ივერიისა“ (გვ.23). **„სვანნი, ალანნი და ჯიქეთი ქვემოისა ივერისავე არიან ნაწილნი“** (გვ.24).

თეიმურაზს ზემო ივერიად მიაჩნია ქართლ-კახეთ-სამცხე, ასევე, კასპი-ისპირეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია. ის წერს: **„ალვანია – ივერიის ნაწილია, ხოლო შაქი – კახეთის ნაწილი“** (გვ. 20).

მისი სიტყვით, **„ბარდა და რანი (რომელსა აწ განჯა-ყარაბაღად უწოდე-ბენ), ვიდრე აეზამდე, არის ქართლის ნაწილი, ვიდრე შეყრამდე მდინარეთა მტკვრისა და არეზისა, ეგრეთვე სრულიად ოსეთიცა არის ნაწილი ამისივე“ (გვ.24).**

თეიმურაზის სიტყვით, „შაქი დარუბანდამდე (რომელიცა აღაშენა მაკე-დონელმან დიდმა ალექსანდრემ, უწოდა ალექსანდრია“, მუნამდე არს ალვანია) კახეთის ნაწილია. „მოვაკანი“ კახეთის ნაწილია.“

,,ეგრეთვე მთასაცა შინა კავკასიისასა აქვს კახეთისა სამეფოსა საერისთო-ნი და სამთავრონი, ვითარცა ჰავარი (ავარია) და სხვანი და სხვანი ადგილნი. დურძუკნი, ღლიღვნი, ფშავ-ხევსურნი, დიდონი და სხვანი ამისივე (კახეთის) არიან ნაწილნი“ (გვ.24).

ენის საკითხის მიმოხილვის შემდეგ, თეიმურაზი ეხება თავდაპირველ ქართველთა სარწმუნოებას, ის წერს:

,,ბოჩი საკუთარი ღმერთი იყო უძველესთა ქართველთა.. ესხეს შვიდნი ხელნი.. შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშვნიდნენ შვიდთა ნათესაობათა თარგამო-სიანთა:

1. ქართლოსისა და სხვათა ექვსთა ძმათა მისთა, რომელნიცა იყვნეს ერთ საზოგადოება, ხელისა ქვეშე ქართლოსისა. 2. ეგროსის, 3.მოვაკოსისა, 4. როსისა, 5. ბარდოსისა, 6. ლეკოსისა, 7. კავკასოსისა. ესე შვიდნი ნათესავნი არიან ერნი გიორგიისა, ესე იგი საქართველოისა, ანუ ივერიისა, რომელნიცა პირველ ყოვე-ლნივე ერთ-ერთ და ერთ ენა იყვნეს და ყოველნივე ქართულისა მომზრახენი“ (გვ.51).

თეიმურაზი წერს, რომ ქართველთა უმთავრესი ღმერთის „ბოჩის“ ტაძა-რი იყო ბიჭვინთა (გვ.84).

რას აღნიშნავს სიტყვა ბოჩი? ჩანს ამ სიტყვით აღინიშნებოდა მრავალკი-დურიანობა. სიტყვა „ბოჩი“ დღესაც ცოცხალია ოკრიბულ დიალექტში და ეწოდება მრავალკიდურიან მწერს. მაგალითად, როგორც აღინიშნა, ახალ ქარ-თულში (იმერულ დიალექტში) არსებობს სიტყვა „ბოჩიალი“. „დაბოჩიალობს“

მრავალფეხიანი მწერი – მაგალითად ჭიანჭველა, ხოჭო და სხვა. „ბოჩიალი“ მრავალფეხება მწერს შეუძლია თავისი მრავალი ფეხის გამო. შესაბამისად, ჩანს, ამ კერპს „ბოჩი“ უწოდეს თავისი მრავალი კიდურის გამო. კერპ ბოჩისაც მრავალი კიდური ჰქონია. უნდა ვივარაუდოთ, რომ, რადგანაც ეტიმოლოგია ადასტურებს შესაძლებლობას მის მრავალკიდურიანობისა, ასეთი კერპი არსებოდა კიდეც. მას იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონია – ივერიელთა ერთობის სიმბოლო იყო.

თეიმურაზის მიერ ნახსენები „ბოჩი“ (სახელი კერპისა, რომელიც ბიჭვინთაში მდგარა), ეტიმოლოგიურად მსგავსია სახელისა „ბიჭვინთა“ (ბოჩი-ბიჭვი). ცნობილია, რომ ამ სახელს აკავშირებენ სახლთან „ფიჭვი“. აღსანიშნავია, რომ ფიჭვის ხეს აქვს მრავალი წიწვი, ანუ აქაც სიმრავლესთან გვაქვს საქმე, ჩანს, ბოჩი ნამდვილად შეიძლებოდა წოდებოდა მრავალკიდურიან კერპს.

თეიმურაზი ბიჭვინთას არ აკავშირებდა ბერძნულ მწერლობაში ცნობილ პუნქტ პიტიუნტთან, როგორც დღესდღეობითაა აღიარებული, ერთი იმთავითვე ქართული სამყაროს ნაწილი ყოფილა, მეორე კი ბერძნულისა (პიტიუსა-პიტიუნტი ნ. ადონცისა და პ. ინგოროყვას კვლევით ოფ-რიზეს რეგიონში მდებარეობდა, ხოლო ბიჭვინთა წარმართობის დროსაც ქართულ წარმართულ პანთეონთან ყოფილა დაკავშირებული).

თეიმურაზი განაგრძობს: **„კოლხიდელნიცა იყვნეს მაშინ იგინივე ქართლოსიანნი; ესოდენ კოლხიდა უძველესთა ჟამთა შინა იყო პირველ სამკვიდრებელ, სიმტკიცე და მტერთა გაძლიერებასა შინა სახიზარი და შესავედრებელი ქართლოსიანთა“** (გვ.83). თეიმურაზს მიაჩნია, რომ კოლხიდა იყო ქართველთა თავდაპირველი სამკვიდრებელი. იმავეს წერდა სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მე-10 საუკუნისათვის. უხტანესი ქართველთა კავკასიაში ცხოვრებას ასევე აღწერს: თავდაპირველად ქართველები ნაბუქოდონოსორმა გადმოასახლა და დაასახლა შავი ზღვის პირას, აქ ეს ტომიო, – როგორც წერს, ის აღორძინდა აავსო შავიზღვისპირეთი და გამრავლდა სომხეთამდე და ალბანეთამდეო. თეიმურაზი წერს: **„კოლხიდელნი არაოდეს ყოფილან საუკუნეთგან სხვანი ნათესაობანი, თვინიერ ქართლოსიანთა და ვიდრე ამა ჟამადმდე“** (გვ.84).

თეიმურაზი წერს: **„ნუთუ აფხაზეთში ოდესმე აფხაზურ ენაზე ჰქონდათ წირვა ანდა ლოცვა? აფხაზებმა მათი ქრისტიანობის დროს იცოდნენ ქართული ენა, მათ პირველს საკათალიკოსო კათედრას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისას ბიჭვინტაში, უწოდდნენ ასე „ცათა მობაძავი ეკლესია დედისა ღვთისა“, და ახლაც რამდენი ეკლესია-მონასტერი არიან იქ (აფხაზეთში), რომლებშიც მრავალი სასულიერო წიგნია დაცული. ასევე აფხაზეთის, ალანეთისა, ჯიქეთის და სვანეთის ეკლესიებში მრავალი ძვირფასად შემკობილი ხატები და ჯვრებია. ასევე მრავალი ქართული წიგნია დაცული დღევანდელ დღემდე. უმრავლესობა – სვანთა და აფხაზთა ქვეყნებში“**. (გვ.36)

როგორც ითქვა, თეიმურაზის სიტყვით, ქართველ და კავკასიელ ხალხთა საერთო წინაპარი ქართლოსი თავდაპირველად დასახლებულა იორისა და ალაზნის შესართავის ადგილას – „ხორანთას” (გვ.40) ხორანთაში აუშენებიათ ციხე, აქ გამრავლებულან, რადგანაც ქვეყანა იყო ძალზე ნაყოფიერი.

„ქართლოს, ძე თარგამოსისა, ფლობდა სხვათა ექვსთა ძმათა: ჰეროსს, ბარდოსს, კავკასოსს, ლეკოსს, მოვაკანოსს, ეგროსს - ნათესავთმთავართა სრულიად ივერიისათა“ (გვ.42).

თეიმურაზის სიტყვით, ეგროსი იყო ეთნარქი, ანუ ნათესავთმთავარი სრულიად ივერიისა, ასევე ივერიის ეთნარქები იყვნენ ჰეროსი, ბარდოსი, კავკასოსი, ლეკოსი და მოვაკანოსი.

ამით იმის თქმა სურს თეიმურაზს, რომ ის ტერმინი, რომლითაც ახლა აღინიშნება ,,იბერიულ-კავკასიური ერთობა“ ანდა, მათ ვისაც ეწოდებათ ,,იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში შემავალი ხალხები“, თავდაპირველად ერთიან ენობრივ და გენეტიკურ სივრცეს ქმნიდნენ, თავდაპირველი კავკასიელები ქართველებთან ერთად მთლიანობას წარმოადგენდნენ, რომელთაც შემდგომ მოგვცეს 7 ძირითადი განშტოება.

როგორც აღინიშნა, ამ საერთო ქართულ-კავკასიურ ერთობას გააჩნდა საერთო სარწმუნოება და ,,საკუთარი ღმერთი“, ერთ-ერთი ყოფილა ,,ბოჩი“. მას თურმე 7 ხელი ესხა, ამ შვიდი ხელიდან თითოეული ქართველთა ნათესაობას ეკუთვნოდა „**შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშვნიდნენ შვიდთა ნათესაობათა თარგამოსიანთა: 1. ქართლოსისა; 2. ეგროსის; 3. მოვაკოსის; 4. ჰ ეროსის; 5. ბარდოსის; 6. ლეკოსის; 7. კავკასოსის. ესე შვიდნი ნათესავნი არიან ერნი გიორგიისა ესე იგი საქართველოისა, ანუ ივერიისა, პირველ ყოველნივე ერთ ერ და ერთ ენა იყვნეს და ყოველნივე ქართულისა მომზახენი“** (გვ.52).

მე-8 მოქცევის 227 წელს (ძვ.წ. 1653 წელს), თეიმურაზის სიტყვით, დონიდან დნესტრამდე და ჩრდილო კავკასიის ველებზე ,,ხაზარნი გაძლიერებულან”, აქ სიტყვა „ხაზართა“ ქვეშ აღინიშნება ზოგადად თურქულენოვანი მომთაბარეები. თეიმურაზის მიერ აღნიშნულ დროს თურქულენოვანი მომთაბარე სტეპების ტომები გაძლიერებულან. მათ დაუწყიათ ბრძოლა ლეკთა და კავკასოსის ხალხებთან. მათ მედგრად შეებრძოლა კავკასოსის ტომის ეთნარქი ტინენის (ტირეთის) ძე ძურძუკი. მან დახმარება თხოვა „ექვსთავე ნათესავთა მათ ივერიისა.“ მართლაც, მცხეთელი მამასახლისის მეთაურობით ქართლოსის, ეგროსის, ჰეროსის, მოვაკანის და სხვათა შთამომავლები ებრძოდნენ ჩრდილო კავკასიაში თურქულენოვან („ხაზარ“) მომთაბარეებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ თურქულენოვანმა ხალხმა („ხაზარებმა“) გაიჩინა მეფე. ისინი მისი მეთაურობით ჩრდილო კავკასიიდან შეესივნენ სპარსეთს, დარუბანდისა და ივერიის გავლით.

ამ დროს ჩრდილო კავკასიის ივერიელები (ლეკები და კავკასიელები) შევიდნენ მთებში, გაამაგრეს ხუნძეთი – ძველი ხონძახეთი (ხოზონის ქვეყანა).

თურქულენოვანი ტომების (ხაზარების) ეთნარქს ერქვა „უობოსი” თეიმურაზს ოსების წინაპრები მიაჩნია ქართულენოვანებად. ის გულისხმობს, რომ დვალები ქართულენოვანი ტომი იყო, რომელიც თანდათან ასიმილირდა შემოსულ ოსების ტომში. მისგან განსხვავებით, ვახუშტის უობოსი (ოსების წინაპარი) და მისი შთამომავლობა, მიაჩნდა თურქულენოვან ხალხად („ხაზარებად“), რომელთაც დაიპყრეს დვალები.

საბოლოოდ, ე.წ. „ხაზარები“ ივერიიდან (მათ შორის, ჩრდილო კავკასიიდან) განუდევნია სპარსეთის მეფე ფრიდონის (გვ.74) ერისთავს არდამს. ეს მომხდარა ძვ.წ. 1607 წელს.

ქრონიკონის მე-8 მოქცევის 273-ე წელს არდამს აუშენებია დარუბანდი მას თავიდან კასპი ერქვა) კასპიის ზღვის პირას. ასვე შემოუზღუდავს ქვითკირის გალავნით ქ. მცხეთა არმაზიდან მტკვარამდე. მას შემოუღია ქვითკირით მშენებლობა, მაგრამ, წერს თეიმურაზი, სხვა ცნობებით, „ქვემო და ზემო ივერიაში” (ე.ი. დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში) იქამდეც იცოდნენ ქვითკირით მშენებლობაო. იმჟამად ივერია და სპარსეთი ერთმანეთთან მეგობრობდნენ „ხაზართა“ გამოო.

ძვ.წ. 1515 წელს (ქართული ქრონიკონის მე-8 მოქცევის 365 წელს) სპარსეთის მეფე ქექაოსი თავს დასხმია ივერიას და ლაშქრით შესულა ლეკეთში, მაგრამ იქაურ გრძნეულ ზანიხიზს ის და მისი ჯარი დაუმარცხებია ჯადოქრობით. ჯარი უკან დაბრუნებულა. შემდეგ ივერიას თავს დასხმია სპარსეთის მეფე ქექაოსის შთამომავალი ქაიხოსრო. ივერიელებს თავი შეუფარებიათ მთებისთვის.

ქართული ქრონიკონის მე-8 მოქცევის 395 წელს (ძვ. წ. 1485 წ.) **„მოუვიდათ ქართლოსიანთა ამბავი, რომელ ისრაელთა განვლო ზღვა მეწამულისა მოსეს მიერ. ამის შემდეგ ეგვიპტის მეფეს სეზოსტრის ულაშქრია სკვითიისაკენ. ის გამო დაბანაკებულა კოლხეთში (მას თეიმურაზი ქვემო ივერიის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო კოლხებს – ქართლოსიანების ერთ ნაწილად). თავისი ჯარის ნაწილი, ოთხი ათასი ჯარისკაცი, დაუტოვებია სანაპიროზე, კოლხიდაში დარჩენილებს შეურთავთ იქაური ქალები, „აღიროვნეს იგინი მაშინ შორის ქართლოსიანთა კოლხიდელთა“** (გვ.83).

„ქართლოსიან კოლხიდელებში“ აღრეული 4000 ეგვიპტელი ჯარისკაცის შთამომავლებს დაუვიწყებიათ ეგვიპტური ზნე-ჩვეულებანი „და მიიღეს ჩვეულება ქართლოსიანთა“ (გვ.83)

თეიმურაზი კვლავ უბრუნდება ძველქართულ პანთეონს და წერს: „**სრულიად ივერიელთა ჰყავთ უძველესთა შინა დროთა უპირატეს ღმერთად ბოჩი და ტაძარი მისი იყო ფრიადით სიმდიდრითა შემკობილი სამზღავრსა ზედა კოლხიდისა და აფხაზიისასა ბიჭვინტას“** (გვ.84).

ბიჭვინთა ყოფილა ივერიელთა ერთ-ერთი ღმერთის, ბოჩის, ტაძარი. ის თეიმურაზის სიტყვით, იდგა „კოლხიდის და აფხაზის” საზღვარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის სამხრეთი სასაზღვრო პუნქტად ითვლებოდა ბიჭვინთა.

თავდაპირველად „აფხაზეთი“– ბიჭვინთის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალს ერქვა ძველი ქართული მატიანეების მიხედვითაც, აფხაზეთი მოქცეული იყო მდ. ყუბანსა (ხაზარეთისწყალს) და ბზიფის წყალს (ბიჭვინთას) შუა, ხოლო ეგრისი იწყებოდა მის სამხრეთით.

გაქრისტიანების შემდეგო, – წერს თეიმურაზი, – **„ბიჭვინტა“ (შემდგომად მცხეთისა) იყო კათედრა კათალიკოზთა, ვინაითგან ანდრია პირველწოდე-**

ბულს მოციქულსა ქრისტესა მუნ ექადაგა პირველ და სვიმონ კანანელსა“ (გვ.84).

თეიმურაზის სიტყვით, აფხაზეთში კათალიკოსობის დაწესებამდე, ანუ მე-4-დან მე-8 საუკუნემდე, საქართველოს ეკლესია იმართებოდა ერთი მცხეთელი მწყემსის მიერ. ამ პერიოდს თეიმურაზი უწოდებს „**სრულიად ერთ მწყემს-მთავრისა ჟამს“** (გვ.84). ამასვე წერს ვახუშტი. სამწუხაროდ, ვახუშტის ეს ცნობა, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეამჩნია. კერძოდ ის, რომ აფხაზეთში კათალიკოსობის დაწესებამდე, საქართველოს ეკლესია იმართებოდა მცხეთელი მწყემსმთავრის მიერ და მის იურისდიქციაში შედიოდა როგორც დასავლეთი ისე აღმოსავლეთი საქართველო.

ბოჩისთან დაკავშირებით თეიმურაზი განაგრძობს **„ბოჩი ღმერთი ძველი ივერიელთა, პირველ არმაზისა“** (გვ.84). მისი თაყვანისცემა შეუცვლია ფარნავაზ მეფეს არმაზის უპირატესობით, მაგრამ ბოჩს **„პატივსა უყოფდნენ მას ზოგადად ზემოისა და ქვემოისა ივერელნი“** (გვ.84).

ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, სიტყვა „ბოჩი“ მახსენდება ჩემი პირადი ცხოვრებიდან, რომ, ჩემი ბავშობის წლებში (XX ს. 50-იანი) ოკრიბაში, ტყიბულის რაიონში, გურნა-ძმუისელები და სხვები „ბოჩს“ უწოდებდნენ მრავალფეხიან ნებისმიერ მწერს. ჩანს, მრავალფეხიან თუ ხელიან, მრავალკიდურიან არსებას, „ბოჩი“ ერქვა. ამ სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მრავალი ხელი მართლაც ჰქონია ბოჩის კერპს, სიტყვა ბოჩი ეტიმოლოგიურად შეიძლება განფენილს, გაფოფრილს, ბოჩიალას ეწოდებოდა და მრავალხელიანი კერპი ამიტომაც იწოდა ბოჩად.

თეიმურაზი ამტკიცებს, რომ კოლხიდელები ეგვიპტელების შთამომავლები კი არ იყვნენ, როგორც მიიჩნევდა ჰეროდოტე, არამედ იყვნენ ქართველები. ამიტომ წერს: **„კოლხიდელნი არა ოდეს ყოფილან საუკუნითგან სხვანი ნათესაობანი, თვინიერ ქართლოსიანთა, ვიდრე ამა ჟამამდე“** (გვ.84).

არგონავტებიც, მისი სიტყვით, „ძველ ივერიაში“ შემოსულან (კოლხიდაში). ისინი ივერიაში მოსულან ქართული ქრონიკონით მეცხრე მოქცევის 153 წელს (ძვ. 1195 წელს). იაზონი იყო თესალიელთა (თესალონიკელთა) მეფის ეზონის ძე, ჩვილი დაობლდა, აღზარდა ბიძამ (პელემ), რომელიც ავიდა სამეფო ტახტზე იმ პირობით, რომ იაზონს აღზრდის შემდეგ ტახტს გადასცემდა. ბიძამ რთული საქმეების აღსასრულებლად გააგზავნა კოლხიდაში, საიდანაც სამშობლოში ჩაიყვანა კოლხიდის „მამასახლისის“ (მეფის) ,,ოტიას“ (აიეტის) ქალიშვილი მედეა, ეს მეფე ემორჩილებოდა ზემო ივერიის მამასახლისს. მედეა შემდგომ მეორედ გათხოვდა და შეირთო „ეღეიმ“. მისგან მედეას შეეძინა ვაჟი „მიდი“, ამის შემდეგ მედეამ დატოვა საბერძნეთი, მივიდა ფინიკიაში და იქიდან კოლხიდაში. იმჟამად კოლხიდა დაპყრობილი იყო პერსეის მიერ. ამის გამო მედეა შევიდა ზემო ივერიაში (აღმოსავლეთ საქართველოში). ის მიიღო მცხეთელმა მამასახლისმა დიდი პატივისცემით და „განიზრახეს მედეამ და მცხეთელ მამასახლისმან... რათა დაიმორჩილონ კოლხიდა კვალად ერთის – მმართველობასა ვითარცა პირველ (გვ.85). მედეას ვაჟს მისცეს ლაშქარი და

გაათავისუფლეს კოლხიდა. „დაამორჩილა კოლხიდა ივერიისა ერისა მმართველობასა, ვითარცა პირველ“ (გვ. 85).

კოლხიდის მამასახლისი გახდა აიეტის (კოლხიდის მამასახლისის) ძე ერასტი.

მადლიერმა ივერიელებმა მედეას ვაჟს მიდს მისცეს „მოლაშქრენი“, ცხენოსნები და ფეხოსნები. მიდმა დაიმორჩილა პონტო, ივერიის სამეზობლო და ასევე გილანი და მაზანდარანის ქვეყნები და უწოდა ამ ადგილებს „მიდია“. ის მიდიის მეფედ იქცა.

შემდგომში მიდიელებმა დაარღვიეს ივერიელებთან მშვიდობა, მიდიელთა ლაშქარი დამარცხდა. „მიერითგან იქმნა მშვიდობა სრულად ივერიასა ვიდრე გამოსვლადმდე სკვითთა“ (გვ.85).

არტივანი იყო მიდიელთა მეფე, რომელსაც ასევე ერქვა „ციასკარ“. მისი მეფობისას ძვ. წ. 635 წელს (ქართული მეათე მოქცევის 181-ე წელი) „გამოვიდეს სკვითნი მეოტის გზით“ (გვ.102). ისინი ზემო და ქვემო ივერიის გამოვლის შემდეგ თავს დაესხნენ მიდიას, არმენიას, კაპადოკიას და პონტოსა და მიაღწიეს ეგვიპტემდე (ჩანს, იგულისხმება კიმერიელთა შემოსევები). ამ ქვეყნების მოსახლეობა აჯანყდა და გააძევეს დამპყრობლები.

ძვ.წ. 606 წელს (მეათე მოქცევის 210-ე წელი) გამეფდა ნაბუქოდონოსორი. „ბაბილოვანის მეფე“. მის დროს ივერიაში შემოსულან ლტოლვილი ებრაელები. ამას ამჟამადაცო, წერს ის, ადასტურებენ მცხეთელი ებრაელებიო.

ძვ. წ. 505 წელს (მე-10 მოქცევის 311) გამეფდა კვიროსი (კვიროზი), დაიპყრო სპარსეთი, მიდია, ბაბილონი, სომხეთი, ალვანია („ალვანია არარაი სხვა არს, თვინიერ ზემოისა ივერიისა ერთი ჩინებული სამეფო” გვ.106).

მან შემახიაში (ალბანეთში) დაასახლა სპარსელები. დარიოსის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ (სკვითეთში), ივერიელნი სრულიად თავისუფალნი იყვნენ ალექსანდრე მაკედონელამდე. დაროსის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი მოვიდა საქართველოში დარუბანდის გზით ალვანიის გავლით, სადაც კისრის არეში დაიჭრა ქვით. „განადიდა ალექსანდრემან ზღვისკარი, ესე იგი დარუბანდი და აღაშენა უძველესად და უწოდა მას ალექსანდრია“. თეიმურაზი წერს, რომ ამ დროს დარუბანდის მცხოვრებნი ქართველები ყოფილან. „იდგნეს ქალაქსა მას შინა მცხოვრებნი ქართველნი, კახოსის ნათესავთაგანი, ამ ადგილამდე არის საზღვარი კახოსისა“, მცხოვრებნი შეიყვარა ალექსანდრემ, „უჩვენეს მას საყორნის მთა, აქედან ჩავიდა კახეთში, გაამაგრა ქალაქი რუსთავი, შევიდა მცხეთაში, აიღო და მოკლა მამასახლისი სამარა და მისი ძმა. „დაიმონნა სრულიად ივერიელნი, დაუტოვა მუნ აზონ მთავართა თვითაგანი, ძე არიანე მთავრისა მაკედონელისა“, ასი ათასი მხედრით, რომელნიც იყვნენ იტალიელები“ (გვ.110).

ალექსანდრემ საქართველოდან გააძევა უცხოელები. „განჰყარა და მოსპო ყოველნი უცხო ნათესავნი, რომელნიც შერეული იყვნეს ნათესავთა შორის ქართველთასა“ (გვ. 111).

საქართველოდან წასვლის შემდეგ ალექსანდრემ „გარდავლო მთა იალბუზისა (ესე არს მთა კავკასიისა). წარემართა სკვითთა ზედა“ (გვ. 111).

მცხეთელი მამასახლისის სამარას ძმას შერთული ჰყავდა დარიოს მეფის ასული. მათი ვაჟი იყო ფარნავაზი. „დედა ფარნავაზისი ივლტოდა ოსეთად“, რადგან ეშინოდა ოჯახის ამოწყვეტისა. ოსეთის შემდეგ წავიდა სპარსეთში. იქ აღზარდა ფარნავაზი. მან იპოვნა დიდძალი განძი. ამ დროს „კერძოთა მეგრელიისათა იყო კაცი ვინმე ერისმთავართაგანი... ქუჯი და წავიდა ფარნავაზ მის ანა... მისცა ფარნავაზმან ქუჯის უმრწემესი და თვისი ცოლად. შეკრიბა ქუჯიმ თამეზრძოლნი მრავალნი კავკასიით საფასითა ფარნავაზისათა. და მოუხდეს აზონს ძლიერით ლაშქრითა“ (გვ.114).

ფარნავაზმა ,,დაიპყრა სრულიად საქართველო აფხაზეთიდან ვიდრე ზღვის კარამდე (რომელ არს დარუბანდი)“. ფარნავაზის მეფობის მე-19 წელი ქრისტეშობამდე 302 წელი იყო.

ფარნავაზს შეურთავს დურძუკი ქალი. **,,მოიყვანა ფარნავაზმან ცოლი დურძუკელთაგან ნათესავით კავკასოსისა“** (გვ.114).

„ამან ფარნავაზ მეფემან შეაწყო სინარნარეიცა ენისა ქართულისა, გაამშვენა, განავრცო და შექმნა ანბანი მხედრული ქართულისა წერილისა და რომელნიმე მეისტორიენი ჩვენი გულის – მსიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისაცა“.

თეიმურაზ ბატონიშვილი ჩრდილი კავკასიელებთან დაკავშირებით იძლევა უფრო საინტერესო ცნობებს, რადგანაც მათი საფუძველი პირადად მისი დაკვირვებაა.

ის წერს, რომ ჩრდილო კავკასიის მთის მცხოვრები ქართველები თავიანთ ადგილებში ცხოვრობენ შეუცვლელად. ამიტომ მათ ბარის მცხოვრებლებზე უკეთ იციან ძველი საქართველოს ამბები, რომელნიც მათ გადაეცათ წინაპრებისაგან შთამომავლობით. კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ ქართული ანბანი ფარნავაზის მიერაა შექმნილი. **„ყოველნი მომთხრობელნი ჩვენნი, დაამტკიცებენ, რომელ ფარნავაზ პირველისა მიერ არის შექმნილი, და ესე მდაბიოთაცა მცხოვრებთა შორის საქართველოისათა ზეპირ მოთხრობით მრავალთა მიერ საცნაურ არს, უმეტეს კავკასიისა მთათა შინა მცხოვრებელთა ქართველთა უძველესთა ჟამითგან ადგილით თვისით შეუცვალებელთა და განურყვნელთა, რომელთაც მოთხრობანი მრავალნი საქართველოსანი შთამომავლობითი შთამომავლობად ზეპირად უწყიან“** (გვ.114).

ფარნავაზის ძეს საურმაგს აუჯანყდა სამეფო. ამიტომაც „ივლტოდა კავკასიად და შევიდა ძურძუკეთს, ნათესავთა შორის დედეულთა თვისთა“ (გ ვ. 118). შეკრიბა მხედრობა, მას შეეწია მამის დისწული, ქუჯის ძე ქართამი და უკან დაიბრუნა სამეფო. შემდეგ მან გადმოასახლა სამეფოს მთიანეთში დურძუკები. **„მაშინ დურძუკნი ფრიად გამრავლებულ იყვნეს ესრეთ, რომელ ვერღარ იტევდა ადგილი მათი. ამისთვის წარმოიყვანა მრავალი ერი მუნით კავკასიის ნათესაობათგან, რომელნიმე წარჩინებულ ჰყვნა მათგანნი და სხვანი დასხნა კავკასიასა შინა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი. მიერითგან დარჩა ჩვეულება ესე თუ სადმე გაუჭირდებოდათ მტერთაგან, შეიხიზნოდიან მეფენი კავკასიად. დამცველნი გვამისა მეფეთა ივერიისანი იყვნეს მარადის კავკასიისა ერთაგან და საუნჯეთა მრავალთა სცვიდეს მუნ მეფენი“**

(გვ. 119). საურმაგს ალბანეთში ჰყოლია თავისი ერისთავი დარუბანდამდე – არტაბაზანი.

საურმაგის შემდგომ მირვან მეფეს აუჯანყდნენ მთიელები. მათ სურდათ ივერიის ტახტზე ქუჯის შთამომავლის აყვანა (გვ.119).

„მირვან შემოიკრიბა ყოველნი კავკასიელნი და მოუხდა ჭართალთა, შეკრებეს დურძუკნი. მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა. შეუხდა ძურძუკეთს და დაიმორჩილნა იგინი და დასაჯა მიზეზნი შფოთისანი“ (გვ.120).

„მოაოხრა დურძუკი და ჭართალი და შეაბნა შესავალსა დურძუკეთისათა კარნი და მოქმნა იგი მტკიცედ ქვიტკირთა და უწოდა სახელად დარუბანდ“ (გვ.120).

(აღსანიშნავია, რომ **თეიმურაზს დურძუკეთი და ჭართალი ერთ ოლქად მიაჩნია**. ეს იმითაა საინტერესო, რომ ინგუშეთის ძველი ნაგებობებისა და კოშკების მშენებლობას მიაწერენ ინგუშეთის ძველ მცხოვრებთ – „ჯელთებს“. სიტყვა „ჯელთის” ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს სიტყვა **„ჭართალი“**, ჩანს, ერთ დროს ჭართალი ერქვა ამ რეგიონსაც)

თეიმურაზი განაგრძობს: ივერიის მეფე ბარტომ პირველს არ ჰყავდა ძე, „ამისთვის მოიყვანა კავკასიით ქუჯის ძმისწულისაგანი ქართამ... ხოლო ქართველნიც სათნოეყვნენ მას, ვინაიდან დედეული შთამომავლობა მისი იყო ფარნავაზ პირველისა მეფისაგან” (გვ. 123).

თეიმურაზის სიტყვით, ალბანეთში ლაშქრობის შემდეგ პომპეუსი შევიდა კახეთში და ერწოს გზით – კავკასიის მთებში. „მოეგებნეს მას არაგველნი, ფშაველნი და ხევსურნი, ფხოველნი, შეკრებულნი ერთად და იბრძოდეს იგინი ფიცხელად რომაელთა მხედრობასა, ხოლო არაგველთა ფხოველთა ემოსათ მოკლე ჩოხანი წითელნი, პომპეუსს მოეწონა მათი ბრძოლის წესი, დაუზავდა მათ, მთიელებმა პომპეუსს აჩვენეს ხმლით ბრძოლის ვარჯიშები („კეჭნობა”). პომპეუსმა მათ უძღვნა რომაული სამოსლები, მათ უპასუხეს: „ჩვენ ვართო ერთგულნი ყმანი ხელმწიფისა ჩვენისანი (საქართველოისა) და სანდონი და მარადის განუშორებელად ვართ მეფისათა, რამეთუ გვამის მცველად მეფისა საწოლთა შინა მისთა შინა და გარეთ ვართო დადგენილნი”. ამ დროს შიშიანობის გამო ქართლის მცხოვრებნი „ყოველნივე მთათა კავკასიისათა და სიმაგრეთა შინა იყვნეს“ (გვ.128).

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ **„წარმოვიდეს ეს მოციქულნი ქრისტესნი ანდრია და სიმონ კანანელი მოვიდეს პონტოის გზით ქვემოსა შინა საქართველოსა – კოლხიდად, ადგილსა მენგრელთა და აფხაზთასა ქალაქად ნიკოფსიად, სადაც იყო პალატი და სადგური დიდი საქართველოს მეფეთა“** (გვ.142).

„შესრულმან მოციქულმან ანდრია კავკასიისა მთათა შინა მცხოვრებთა, მოვლო რომელნიმე ადგილნი, გამოვლო ქართლი, მოიწია მცხეთად, არავის განეცხადა მუნ მრავალთა და არცა შევიდა ქალაქსა შინა მცხეთისასა, არამედ პირისპირ მცხეთისა, გაღმიდ მდინარისა არაგვსა აღვიდა მთასა მას ზედა არს მონასტერი ჯვარისა ცხოველს მყოფელისა, და მწვერვალსა მას გორისასა აღმართა ჯვარი, დაუტევა და წარვიდა კახეთისა კერძოთა... მივიდა გრემს და აღმართა მუნცა ჯვარი... იქედან გაღმამხრის გზით კავკასიურით გზით – განვლო დიდო-

ეთი და მრვალნი ადგილნი ლეკთანი მოვლო... ანდრიად წოდებულსა ქალაქსა ჰქადაგა სიტყვა ღვთისა ... იქედან ქისტეთის გზით მოიქცა და მოვიდა ხევსა მთიელეთისასა, აღვიდა ძირსა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი, მაღალს მთასა ზედა აღმართა მუან ჯვარი (აწ არს მასზედა ეკლესია პირველმოწამისა სტეფანესი), მუნით კვალად შევიდა კავკასიად. შთავიდა კვალადად მეგრელიად და აფხაზეთად. ამა წმიდათა მოციქულთა ანდრიამ და სიმონათა აღაშენესცა ეკლესიანი ნიკოფსიას და სხვათა, რომელთამე ადგილთა საქართველოსათა“ (გვ.143).

ახალი წელთაღრიცხვის 87-ე წელს აზორკისა და არმაზელის დროს მას შემდეგ, რაც სომეხთა მეფეებმა მოიტაცეს ერთი ნაწილი ივერიისა, სომეხთა დასასჯელად ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანეს **„ოსნი, ლეკნი, და სხვანი ნათესავნი კავკასიელთა, რომელნიც იყვნეს ხელსა ქვეშე ივერიის მეფისა“** (გვ.164). ოსთა მხედრები შეიჭრნენ სომხეთში და დაბრუნდნენ გამარჯვებულნი ივერიაში. თავის მხრივ, სომხებმა მიიმხრეს მიდიელები და შემოიჭრნენ საქართველოში. ბრძოლა იორზე გაიმართა და ზავით დამთავრდა.

ქრისტეშობის შემდეგ 191 წელს („ქრისტესით“ 191) მეფე ამაზასპის დროს, რომელიც იყო ფარსმან ქველის შვილიშვილი, დვალეთის გზით ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს შემოესივნენ ჰუნები, ალანები და ოსები. იბრძოდნენ მუხრანთან, შემდეგ ბრძოლა გაგრძელდა ღამით, მოკლეს „მთავარი ალანთა“, მტერი უკუიქცა. ქართველთა მხედრობა დარიალის გზით შევიდა ჩრდილო კავკასიაში. „განვლო კარი დარიელასი, მდინარე ლომეკისა, რომელ არს თერგი, მდინარე ვარდანისა და ყუბანისა და შევიდა ალანთა შორის“ (გვ.165).

თეიმურაზს ალანია ეგულება მდ. ეუბანის იქით, ანუ დონზე. „სძლო მათ, დაიპყრა. აღიხვნა მძევალნი მათნი, მოიქცა კავკასიად“, ურჩები „დაიმონნა“, ზოგიერთები კი გადმოასახლა „შინგან ივერიისა“.

ამაზასპი მკაცრი მეფე იყო. ამიტომაც მას განუდგა „ქვემო ივერიის „ერისთავების ნაწილი, მათ ოსეთიდან მოიკრიბეს ძალა და შეებრძოლნენ მეფეს (გვ. 185).

ეგრისის და ჰერეთის ერისთავები, მეფის ანდერძით, გაემგზავრნენ სომხეთში, საიდანაც ჩამოიყვანეს მეფის ნათესავი რევი და დასვეს ივერიის ტახტზე – ქრისტესით 200 წელს. ესაა რევ მართალი, რომელსაც „სმენოდა სახარეგა“.

ქრისტესით 233 წელს გამეფდა ბაკური. მან ქართულ ენაზე შექმნა თხზულებანი, მათგან ერთ-ერთი გადარჩა. ამ წიგნს ეწოდა „ბუკურა“. ექვთიმე მთაწმინდელმა ის ბერძნულ ენაზე თარგმნა (გვ. 200).

ქრისტესით 259 წელს ასფაგური გამეფდა. სპარსთა მეფემ ხოსრო შაფურმა გადაწყვიტა ივერიაში ლაშქრობა. ასფაგური გაემართა ჩრდილო კავკასიაში მხედრობის შესაგროვებლად. „წარვიდა თვით ოსეთად, რათა მოუწოდოს მუნით მხედრობათაცა ხაზართასა და შემოიკრიბოს ყოველნი კავკასიასა პირიქითნი ლაშქარი, გარდავლინა რა მთა კავკასია და მივიდა ადგილთა ყუბანისა მდინარესთა, ყოველნი მცხოვრებნი ადგილთა მათ დიდითა სიხარულითა მოისწრაფდეს მეფისა მიმართ ასფაგურისა და შემოიკრდებოდა მისთანა ური-

ცხვი ლაშქარი“ (გვ.209), მაგრამ, საუბედუროდ, მეფე ასფაგური იქ უეცრად გარდაიცვალა, იგლოვა მთელმა მისმა სამეფომ, „ზემო და ქვემო ივერიამ“, ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველომ.

მეფეს ერთი ასული დარჩა-აბეშურა. გადაწყვიტეს, ის შეერთოთ სპარსთა მეფის ძისათვის – მირიანისათვის. ამის გამო განდგნენ ჩრდილო კავკასიელები. ივერიელმა მხედართმთავარმა ისინი კვლავ დაიმორჩილა. სპარსეთის შაჰმა დაავალდებულა მეფე მირიანი ებრძოლა „ხაზარებთან,“ ანუ თურქულენოვან ტომებთან ჩრდილო კავკასიაში.

„მეფობდა ესე მირიან მცხეთითგან ქართლს, სომხეთს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრისს” (გვ.230).

მან პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო პონტოელი მხედართმთავრის ასული ნანა.

მირიანი ძალზე ხშირად იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში. „იწყო ბრძოლად ხაზართა. უფროსი ლაშქრობა მისი იყო დარუბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მუნითგან იწყეს გასვლა სპარსთა ზედა“ (გვ. 231).

მალე ქვეყანას შემოესივნენ ოსები. მირიანი გადავიდა ჩრდილო კავკასიაში, „გარდავიდა ოვსეთს, მოსწვა ხაზართამდე“, შემდეგ კი იბრძოდა დარუბანდში ხაზარების წინააღმდეგ. იგულისხმება თურქულენოვან და ირანულენოვან ტომებთან ბრძოლა.

ქართლის გაქრისტიანების შემდეგ „ნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, ხოლო არა ნათელ იღეს მთიულთა კავკასიანთა მიფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს, ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. მაშინ მეფემან ჰრქუა წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვილითა მოვაქცინეთ მთიულნი. მაშინ ჰრქუეს მას: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და პატიოსნითა ჯვარითა ვუჩვენოთ გზა ჭეშმარიტი. და წარვიდეს წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე და მათ თანა წარიყვანა მეფემან ერისთავი ერთი, რომელნი მოვიდეს და დადგეს ჩორბანსა და მოუწოდეს მთიულთა პირუტყვის სახეთა მათ კაცთა: ჭართლელთა, ფხოველთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს ჯვარი ქრისტიანეთა. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება, მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გარდამოვლეს მუნით და დადგეს ჭალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ იღეს, ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს და სხვანიცა მთიელნი უმრავლესნი არა მოიქცეს. უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისგან და რომელნიმე დარჩეს წარმართობასა შინა ვიდრე დღესამომდე“ (გვ. 270)

გოლგოთასთან დაკავშირებით თეიმურაზი წერს: **„მეფეთა მათ საქართველოისათა სისხლითა თვისითა და ბრძოლითა დაუხსნიათ ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და თვით დაუპყრიესთ“** (გვ. 274).

„მეფე მირიან იერუსალიმად მისრულ არს და პირველად ჯვრის მონასტრის ადგილი მას უპოვნია დიდისა კონსტანტინეს მიერ“ (ეს ცნობა მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილს მოუპოვებია იერუსალიმის ბერძნულ ხელნაწერში).

თავდაპირველად აქ მცირე ეკლესია აუგიათ, რომელიც შემდგომ განახლდა და გაფართოვდა.

შემდგომ ვახტანგ გორგასალი შესულა იერუსალიმში, **„დაიპყრა თვით ქრისტეს საფლავი და გოლგოთა. აღაშენა ჯვრის მონასტერი“** (გვ. 277).

აქ ვახტანგს ჩაუსახლებია ქართველი მხედრები იერუსალიმის ქალაქის მცველად. ისინი ასიმილისებულან არაბებში. **„მათ ენა შეუცვლიათ და ენა არაბული უსწავლიათ და გარემო იერუსალიმისა არაბნი მცხოვრებნი არიან საქართველოისა ერთაგან“.**

თეიმურაზის ცნობით, ქართული წარმოშობისანი, ანუ გაარაბებული ქართველები ყოფილან არა მხოლოდ იერუსალიმის, არამედ ევფრათის არაბეზიც. ის წერს: **„ეგრეთვე ევფრათისა არაბნიცა ესე სახედვე ქართველნი ყოფილან და არაბად შესცვალებულან“**. ამის შესახებ თვით ეს არაბები საუბრობენ ახლაცო, – წერს თეიმურაზი (გვ. 278).

თეიმურაზის სიტყვით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაამტკიცეს მსოფლიო კრებებმა: **„მწყემსი ყოვლისა საქართველოისა ეკლესიათა იწოდების უწმიდეს მეუფედ, ხოლო თავისუფლება ესე კათალიკოსისა დამტკიცებულ არს წმიდათა და მსოფლიოთა კრებათაგან: მეხუთისა, მეექვსისა და მეშვიდისაგან“** (გვ. 279).

თეიმურაზის სიტყვით, XI ს-ში მეფე ბაგრატ III-მ განაახლა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და ფრიად განაშვენა პროხორე შავთელის ხელით. მის ძეს მეფე გიორგი I-ს გაუმშვენებია იერუსალიმის მოციქულ იაკობ ალესის მონასტერი.

მეფე ბაგრატ IV-ს გაუმშვენებია ქრისტეს საფლავი იერუსალიმში და გოლგოთა **„შეუწირავს მრავალნი ძვირფასი ნივთნი“.**

მისმა დედამ მარიამ დედოფალმა წმ. გიორგი მთაწმიდელი დიდი საფასით წარგზავნა იერუსალიმში, რათა შეემკო ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და ჯვრის მონასტერი.

დავით აღმაშენებელს აუშენებია ტრაპეზენთან სუმელას მონასტერი: **,,დავით აღმაშენებლისგან არს აშენებული ტრაპეზუნტის პირისპირ ქალაქისა მას მაღალსა მთასა ზედა მონასტერი დიდი ლავრა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლის მიცვალებისასა და სახელ სძევს სუმელას მონასტერი. ამა მონასტერსაც შინა ქართველთა მონაზონნი ყოფილან. აწ ბერძენთა უპყრიეს და არიან მონასტერსა მას შინა მრავალნი ძველნი წიგნნი ქართულნი, მამულნი და შემოსავალნი მონასტრისა მას დავით მეფისა – აღმაშენებლისა მიერ აქვს შეძინებულნი“** (გვ.279)

თამარ მეფის მატიანეში წერია: **„განაშვენა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და სხვანი წმინდანი ადგილნი, ჯვრის მონასტერი”** (გვ.284).

XV საუკუნეში საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდს **„უშოვნია გოლგოთა სადაცა ჯვარს ეცვა უფალი. დიდითა საფასითა არაბთაგან“** (გვ.285).

XVI ს-ში სულთანის მოწვევით დაშლილი საქართველოს მეფეები კვლავ გაერთიანდნენ და მხედრობა გაუგზავნიათ იერუსალიმის ქართული სიწმიდეების გამოსახსნელად. ამ დროს ეგვიპტის მამლუქებს „ქრთამის”, ანუ თანხის

სანაცვლოდ ევროპელი კათოლიკოსებისათვის გადაუციათ „**ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი და ყოველნი მონასტერნი იერუსალიმისანი**“. ქართველებმა გაათავისუფლეს იერუსალიმი. სულთანმა „**დაუმტკიცა, რათა იყოს ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და მონასტერნი ქართველთაგან აღშენებულნი – ჯვრის მონასტერი, წმიდის იაკობ ალფესი და სხვანი ყოველნივე, ეგრეთვე ბეთლემი და გარემო იერუსალიმისა წმინდათა მათ ადგილთა, სადაცა ჰქონებოდათ ადრითგანვე ქართველთა, ყოველივე მოიპოვეს და 48 წელიწადს ეპყრათ ქართველთა**“ (გვ.287).

კახთა მეფე ლეონს გაუგზავნია არქიმანდრიტი იოაკიმე, „**იერუსალიმს შეურჩევია მრავალნი ჩინებულნი ხელოვანნი და აღუშენებია ახლად ქრისტეს საფლავი მარმარილოითა და გოლგოთა**“, – წერს ტიმოთე ეპისკოპოსი. ეს ცნობა იერუსალიმის პატრიარქის ქვის კათედრის ფეხზე ყოფილა დაწერილი ქართული ასოებით, ხოლო საეკლესიო სვინაქსარში ენკენის 13 რიცხვში მოიხსენებოდა ლეონ კახთა მეფე. ლეონს მეფეს და მის მეუღლეს თინათინს ფრესკებზე ხატავდნენ ფეხზე მდგომთ, რომელთაც თავიანთ მიერვე აშენებული იერუსალიმის მოდელი ეჭირათ (გვ.289)

გოლგოთა დიდხანს იყო ქართველთა ხელში. როგორც აღინიშნა, თეიმურაზის სიტყვით, ტიმოთე გაბაშვილი მოგვითხრობს, რომ ჯვრის მონასტრის ადგილი მოიპოვა IVს.-ში მეფე მირიანმა. ვახტანგ გორგასალმა აღაშენა ჯვრის მონასტერი და სხვა მონასტრები პალესტინაში. ბაგრატ III-ს ხელახლა აუგია ჯვრის მონასტერი. გიორგი I-ს საფუძვლიანად აუშენებია იერუსალიმის იაკობ ალფესის მონასტერი, აქვე ყოფილა ქართველ მეფეთა ზარაფხანა. შემდეგში კი ამ მონასტერს ვალი დადებია. ხელისუფალთ მათგან ქრთამი აუღიათ (გვ.2). ლევან კახთა მეფეს დაუქირავებია იერუსალიმის საუკეთესო ხელოსნები და აუგია მარმარილოს ქვით ქრისტეს საფლავი და გოლგოთას ეკლესია აღდგომის ტაძარში. კახთა დედოფალს ელენეს აუშენებია იერუსალიმს წმიდა ნიკოლოზის მონასტერი. XVIII ს-ში გიორგი აბაშიძეს აუშენებია წმიდა აბრამ მამათმთავრის მონასტერი. ათაბაგებს აუშენებიათ წმ. იოანე მახარებლის დედათა მონასტერი იერუსალიმში, თავად ამირანდო ამილახვარს აუშენებია წმ. ბასილი დიდის დედათა მონასტერი. პაატა წულუკიძესა და ქაიხოსროს აუშენებიათ მეორე წმიდა ნიკოლოზის მონასტერი ჯვრის მონასტერთან ახლოს – ბაადურ ჩოლოყაშვილს წმ. თეოდორეს მონასტერი, ჯვრისმამას არქიმანდრიტ ქრისტეფორეს ზედგინისძეს აუშენებია წმ. თეკლას მონასტერი და ასე შემდეგ. მრავალი მონასტერი ააშენეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებმა (გვ.292).

იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებშია გამოხატული მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ III, შოთა რუსთაველი. ჯვრის მონასტერში დახატულია აფხაზეთია კათალიკოსი მაქსიმე, მანგლელი არქიეპისკოპოსი თეოდორე, ტფილელი ელისე, ბედიელი თეოდორე და სხვა. გამოხატულია ლევან დადიანის და მარიამი, თვით ლევან დადიანი მეუღლით. და სხვა.

იერუსალიმში უწამებიათ მრავალი ქართველი: 20 ივლისს აწამეს სალომე ქართველი, 19 ოქტომბერს – მღვდელმოწამე ნიკოლოზ დვალი. მას მშობელნი მორწმუნენი ჰყოლია და სიყრმითგანვე შეუწირავთ ღვთისთვის, ის

კლარჯეთის მონასტერში კურთხეულა მღვდელმონაზვნად, მისულა იერუსალიმად და ცხოვრებულა ჯვრის მონასტერში, დაიცვა თურქთა წინაშე ქრისტეს სარწმუნოება და აწამეს.

23 ივლისს უწამებიათ წმიდა მღვდელმოწამე ლუკა ჯვრის მამა აბაშიძე. ისინი ჯვრის მონასტერში მოიხსენებოდნენ. აქვეა მრავალი ქართული წიგნი.

საქართველოს მეფეთა მოსახსენებლად კანდელებია ჩამოკიდებული „ზოგი ქრისტეს საფლავზედ, ზოგნი გოლგოთას და ჯვრის მონასტერში.

იერუსალიმში მრავალი ქართველი წმინდა მამა ცხოვრობდა: „ნიკოლოზ – ყოფილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, სახელოვანი კაცი ქალაქში, მეტეხის წინამძღვარი და კახეთის მოძღვართ-მოძღვარი, ოდიშის სოფელ კორცხელის წინამძღვარი, ასევე იერუსალიმში ჯვრის მონასტრისა და გოლგოთას არქიმანდრიტი. მასთან ერთად იერუსალიმში ყოფილან თეოდოსი მანგალელი რევისშვილი. მათი ხელით ლეონ დადიანს განუახლებია იერუსალიმში ჯვრის მონასტრის საკურთხეველი.

ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი გაუგზავნია იერუსალიმში ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისათვის შესაწირავის მისამღვნელად (გვ.298).

თეიმურაზი ასე ამთავრებს თავის წიგნს: „სრულ იქმნა ძალთა ღვთისათა წელს 1843 მაისის 22-სა, პეტერბურგს“.

თეიმურაზ ბატონიშვილი იყო პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო საზოგადოების წევრი, კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვარიანტთა საზოგადოების წევრი. დაიბადა 1782 წელს, გარდაიცვალა 1846 წელს, დაკრძალეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს ეკლესია ჩრდილო კავკასიაში წიგნის „ისტორია ნაროდოვ“-ის მიხედვით (**„История народов Северного Кавказа с древнейших времен доконца XVIII в.– М.: Наука, 1988“) - ს მიხედვით**

1988 წელს მოსკოვში დაბეჭდილ წიგნში „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია უძველესი დროიდან მე-18 ს. ბოლომდე” (რუს. ენაზე) მრავალი პარაგრაფი ეძღვნება საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობას ჩრდილო კავკასიაში. ამიტომაც ვიძლევით შესაბამისი თავების ჩვენეულ თარგმანს ჩვენი კომენტარებით.

აქ ნათქვამია:

„მე-4 ს. დასაწყისში ქრისტიანობამ შეაღწია ბოსპორში. ქერჩში ნაპოვნია საფლავის ქვა 304 წლის თარიღით. კონსტანტინოპოლის 325 წლის მსოფლიო კრებას ესწრებოდა ბოსფორის ეპისკოპოსი კადმოსი, ბოსფორში გამოკვლეულია საძვალე-კატაკომბი ჯვრის გამოსახულებითა და ქრისტიანული წარწერე-

ბით. მალე ქრისტიანდება ჩრდილო-დასავლეთი კავკასია. 519 წლის კონსტანტინოპოლის კრებაზე იმყოფებოდა ფანაგორიის ეპისკოპოსი იოანე. პროკოფი კესარიელის სიტყვით, ტამანზე მცხოვრები გოთი-ტეტრაკსიტები „სხვებზე უარესი ღვთისმოშიშებით არა იცავენ ქრისტიანულ კანონს“. 548 წელს იმპერატორ იუსტინიანეს გაუგზავნეს თხოვნა მიეცა მათთვის აბასგების მსგავსად ეპისკოპოსი. იუსტინიანემ, პროკოფის სიტყვით, მათი თხოვნა აღასრულა. შესაძლოა, მე-5 – მე-6 საუკუნეებით თარიღდებოდეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არსებული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები (ნოვო-მიხაილოვკას ბაზილიკების ნანგრევები). წმ. ანდრია მოციქულის აპოკრიფულ მესამე მოგზაურობის აღწერაში ნათქვამია: „ამ ქვეყნის მოსახლეობა, რომელთაც ზიხები ეწოდებათ, მიწათმოქმედნი არიან. ზიხები მკაცრები არიან, ბარბაროსების ჩვევები აქვთ. ძირითადად, ველურები და ურწმუნოები არიან დღემდე“.

მთლიანობაში, ჯიქთა (ასევე ალანთა) შორის ქრისტიანობა წარმატებით ვერ დაინერგა. ქრისტიანობის გავრცელების მცდელობა იყო გუთების ტომებში. კონსტანტინოპოლში მონათლეს უტიგურების წინამძღოლი გორდა.

ზაქარია რიტორს აქვს ცნობა, რომ 7 ღვთისმსახური სომეხ მქადაგებლ კარდოსის მეთაურობით მოემსახურნენ მთების იქით ჰუნებში მცხოვრებ ქრისტიანებს. ასევე მონათლეს და დამოძღვრეს მრავალი ჰუნი. ამ ღვთისმსახურებმა ჰუნების ენაზე თარგმნეს საეკლესიო წიგნები. კარდოსი ჰუნებთან დარჩა 14 წლის განმავლობაში, სადაც ის შეცვალა სხვა სომეხმა ეპისკოპოსმა მაკარიმ, რომელმაც ააგო აგურის ეკლესია.

„ისტორია ნაროდოვ სევერნოგო კავკაზა“ მიიჩნევს, რომ ამ ჰუნების ქვეშ იგულისხმება დაღესტნის რეგიონი ალბანეთთან ახლოს.

(რაც შეეხება ზოგადად ჩრდილო კავკასიას, აქ ყირიმიდან კავკასიის – მთებამდე მდებარე რეგიონი ქართული ეკლესიის გავლენის სფეროში შედიოდა, რადგანაც მე-8 საუკუნეში ყირიმში მცხოვრები გუთების ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსმა აკურთხა ქართლშივე, რაც ამ რეგიონის იერარქიულ დამოკიდებულებაზეც მიუთითებს, რაც ბერძნული წყაროებითაც დასტურდებოდა. ამის შესახებ გიორგი მთაწმიდელის ცნობაც არსებობს.

ეს მიუთითებს, რომ ყირიმსა და ქართლს შორის მდებარე ჩრდილო კავკასია ქართული ეკლესიის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ამასვე მიუთითებს ჩრდილო კავკასიის ხალხებში, ინგუშებში და ოსებსა და სხვებში დღემდე შემორჩენილი ძველქრისტიანული დღესასწაულები, მაგალითად ათენგენობა.

(როგორც აღინიშნა, წმ. ათენოგენს საქართველოს ეკლესიაში მოიხსენიებოდა მე-5 ს.-დან ვიდრე თითქმის მე-14 საუკუნემდე, ამის შემდეგ საქართველოს ბარმა ეს დღესასწაული დაივიწყა, მაგრამ მთიელები მას კვლავ აღნიშნავდნენ. ქართული ეკლესიის ყოფილი, უკვე მუსულმანობის გზაზე დამდგარი აღნიშნული მთიელები მას მაინც ზეიმობდნენ).

ასევე დაღესტანში აღმოჩენილია მრავალი ქართულ-ქრისტიანული ფაქტი. სომხური ეკლესია შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო დაღესტანში თავისი იურისდიქციის განმტკიცება. ყველა აღმოჩენილი ქრისტიანული მატერიალური

ნაშთი დაღესტანში აღბეჭდილია ქართული ნაკვალევით, უპირველესად ესენია ქართულ წარწერიანი მასალების ნამსხვრევები).

დერბენდი ქრისტიანობის ძველი ცენტრი იყო, სადაც ქრისტიანობის საქადაგებლად მე-4 ს დასაწყისში მისულა ეპისკოპოსი გრიგორისი, მასქუთეზის მეფესთან (ჰუნების ლაშქრის მეფესთან), მაგრამ წარუმატებლად. გრიგორისი შეიპყრეს და აწამეს. დერბენდის ოლქში ქრისტიანობის განვრცობას მიუთითებს დერბენდში ეპისკოპოს გრიგორისის შვილიშვილის მიერ ქრისტიანული ტაძრის დაფუძვნება, რომელიც შემდეგში მეჩეთისათვის გამოიყენეს.

(ალბანეთის კათალიკოსი იძულებული გახდა დერბენდის (ჩოლის) რაიონში მდებარე ალბანური ეკლესიის მეთაურის კათედრა მე-5 საუკუნისათვის გადაეტანა ქალაქ პარტავში).

ჩემი კვლევით, იქამდე ბარდავში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა, რასაც მიუთითებს იერუსალიმში ნაპოვნი ქართული საფლავის წარწერა – „ქართველი ეპისკოპოსი – ფურტაველი“, ფურტავი, იგივე ბარდავია, ანუ პარტავი).

კულტურა და ყოფა კავკასიის ხალხებისა მე-7, მე-9 სს.

„ისტორია ნაროდოვ სევერნოგო კავკაზა“ წერს: ჩრდილო კავკასია თავდაპირველად, დასახლებული იყო ადგილობრივი მიწათმოქმედი ხალხით. აქ, მე-2, მე-4 საუკუნეებში, შემოიჭრნენ მომთაბარეები. მათ, მე-5, მე-6 საუკუნეებში დაემატათ მომთაბარეთა ახალი ტალღები (ჩემი აზრით, ამის ანარეკლი უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ჩრდილო კავკასიაში ოსებთან ვახტანგ გორგასლის ომებისა). მომთაბარეთა მოსვლის შემდეგ ჩნდებიან ახალი დასახლებები თერგ-სულაკის შუამდინარეთში.

მთისწინეთში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მრავალი ნაქალაქარი და ნასოფლარი. ადგილობრივ კულტურას უნდა მიეკუთვნოს ყუბანის სათავეებში ცნობილი ხუმარას ნაქალაქარი. ის, მე-8, მე-10 საუკუნეებში იყო მძლავრი სიმაგრე, 3–5 მეტრი სისქის კედლით და კოშკებით გარშემორტყმული. ის აკონტროლებდა გზას ყუბანიდან და თებერდიდან ქლუხორის უღელტეხილამდე.

(ჩემი აზრით, ხუმარას ნაქალაქარი უნდა იყოს საქართველოს, ანუ ქართველთა სახელმწიფოებრივი განსახლების ისტორიულ საზღვარზე არსებული ციხე სიმაგრე, მით უმეტეს, რომ მე-8, მე-10 საუკუნეები აფხაზთა სამეფოს (ანუ საქართველოს) ძლიერების პერიოდია, რომელიც გაგრძელდა თემურ-ლენგის შემოსევამდე. ამ რეგიონში მსგავსი ციხე-ქალაქები რამდენიმე იყო. ისინი იგებოდნენ მომთაბარე ტომებისაგან სამხრეთის სამიწათმოქმედო ცივილიზაციის დასაცავად).

მე-7, მე-8 საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქ. ნიკოფსიაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჰქონდა ეპარქია, რომელიც ბოსფორისა და ხერსონის ეპარქიებთან ერთად იწოდებოდა ზიხიის ეპარქიად.

(ჩემი აზრით, რადგანაც ზიხია მოიცავდა ასევე ყირიმის ნაწილს ბოსფორთან და ხერსონესთან ერთად, შესაბამისად, ბოსფორი და ხერსონი, ანუ ყირიმი იწოდებოდა ზიხიად და არა თანამედროვე აფხაზეთის მეზობელი ტერიტორია. ქართული წყაროს ცნობა, რომ ჯიქეთი „აფხაზეთის ბოლოს“ მდებარეობდა მდინარე მცირე ხაზარეთისწყლის რეგიონში (სადაც „წარსწვდების წვერი კავკასისა“, ე.ი. მდ. ყუბანის შესართავის მხარეში), შეეხებოდა მე-8 საუკუნის ვითარებას, და არა ვთქვათ მე-16 საუკუნისას, როდესაც აფხაზეთის ჩრდილო საზღვარი იყო უკვე არა მდ. ყუბანი, არამედ გაგრის რეგიონი).

წიგნი „ისტორია ნაროდოვ სევერნოგო კავკაზა“ მიიჩნევს, რომ ეპარქიების სიაში, რომელიც შედგენილია 787 წლის წინ, ნიკოპსიისა და სებასტოპოლის ეპარქიები „აბაზგიის“ ეპარქიებად იწოდებიან, რაც აფიქრებინებთ, რომ ნიკოპსია გადაიყვანეს აფხაზეთის სამთავროს ძალაუფლებაში მე-8 საუკუნის ბოლოს. ნიკოპსისში მდებარეობდა ქრისტიანების მიერ პატივცემული სიმონ კანანელის საფლავი

(ვურთავთ შენიშვნას, რომ ნოტიციათა სიების ხელნაწერებში, შეცდომით, ზოგჯერ ამასიის ნაცვალად აბაზგია არის ჩაწერილი. სებასტოპოლი ამასიასთანაც მდებარეობდა. შესაძლებელია, ამ სიებში ლაპარაკი იყოს არა აბაზგიაზე, არამედ ამასიაზე, რომელიც ისტორიული ლაზიკის მეზობლად მდებარეობდა).

ეპიფანე მონაზონის სიტყვით, „ჯიქები მკაცრი და ველური ხალხია და სანახევროდ ურწმუნო“.

ქაშაგების (კასაგების) შესახებ ეპიფანე წერს: „ეს ხალხი მშვიდია და იღებენ სარწმუნოებას, სიხარულით მიიღეს მქადაგებლის სიტყვა“

(წიგნის „ისტორია ნაროდოვ სევერნოგო კავკაზა“ ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს ქაშაგები ადიღეელები იყვნენ, ეს მოსაზრება საყოველთაოდაა გავრცელებული, მაგრამ მას მეცნიერული საფუძველი ან რაიმე დამადასტურებელი წყარო არ გააჩნია და მხოლოდ ვარაუდზეა დაფუძნებული. სინამდვილეში ადიღების ულუსი ეპიფანეს ამ ცნობის დაწერიდან მრავალი საუკუნის შემდეგ, თემურ ლენგის, თოხთამიშისა და დიდ ემირ ადიგეის ეპოქაში, შემოვიდა ჩღდილო კავკასიაში (ნოღაელთა ულუსის მსგავსად, უფრო ადრე კი ალტაიციმბირის ამავე რეგიონიდან ჩრდილო კავკასიაში შემოვიდა ყივჩაღთა ცნობილი ტომები). ამ დროს გაბატონებულმა ადიღებმა შეძლეს ჩერქეზებისა, ასევე სხვა ადგილობრივი ტომების, სასტიკი დამარცხება. მათი დიდი ნაწილის სრული ასიმილაცია, შემოსული ადიღეური ტომები იღებდნენ დამარცხებული ტომებისა და მათი საცხოვრებელი რეგიონის სახელს. მაგალითად, ძველი აბაზების ამოხოცვისა და გადარჩენილი აბაზების დამორჩილების შემდეგ აბაზიაში გაბატონებულ ადიღებს უწოდეს აბაზები. ასე, რომ ძველი აბაზები სხვა ხალხი იყო, ახალი კი – სხვა. შესაბამისად, ძველი აბაზები სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ახალი აბაზები სხვა – ციმბირ-ყაზახეთიდან შემოსული ადიღეს ულუსის შესაბამისი ტომის ენაზე. ეს მოსაზრება ეფუძენება ამ რეგიონის მკვლევარის, მილერის, მტკიცებას, რომ ჩრდილო კავაკასიის ყველა ხალხი არის სტეპებიდან შემოსული ყოფილი მომთაბარეები. ეს ხალხები თე-

მურ ლენგის შემდგომ ეპოქაში ჩრდილო კასპიისპირეთ – სამხრეთ რუსეთის მხრიდან შემოვიდნენ ჩრდილო კავკასიაში.

ადიღეველები კავკასიაში შემოვიდნენ მხოლოდ მოგვიანებით, მე-14ს. ბოლოსა და მე-15 ს. დასაწყისში. ამიტომაც ისინი არ არიან კავკასიური ტომები, თუმცა ამჟამად საყოველთაოდ მათ კავკასიურ ტომებად მიიჩნევენ, რაც დიდი შეცდომაა.

ოქროს ურდოს გამოჩენილმა მმართველმა ედიგეიმ (ადიგემ) თავის სამშობლოდან, ყაზახეთ-ციმბირ-ენისეის მხრიდან, კავკასიაში შემოიყვანა ურდო, რომლის ხალხს, მათი მეთაურის, ადიგეის, სახელის მიხედვით ადიღები უწოდეს. ისინი კავკასიაში შემოსვლის შემდეგ შეებრძოლნენ ჩერქეზებს, სასტიკად დაამარცხეს და მათი საცხოვრისი დაიჭირეს. გამარჯვებულ ადიღებს დამორჩილებული რეგიონების სახელები დაერქვათ, ანუ ჩერქეზეთში დაბინავებულ ადიღებს დაერქვათ ჩერქეზები, აბაზების ქვეყანაში დაბინავებულთ – აბაზები, ჯიქების ქვეყანაში დაბინავებულთ – ჯიქები, აფხაზეთში გაბატონებულთ – აფხაზები და ა.შ. საფიქრებელია, რომ ძველი ქაშაგები ქართველური, ხოლო ძველი ჯიქები თურქული წარმოშობის ტომები იყვნენ. ადიღებში ასიმილაციის შედეგად ისინი ადიღებად იქცნენ).

მიიჩნევა, რომ ძველი ქრისტიანი ჯიქების ცენტრი იყო ნიკოფსია.

ნიკოფსიის ეპარქია იხსენიება საეპისკოპოსოთა სიაში, რომელიც შედგენილია 807–815 წლებში, და, ასევე, მე-9 საუკუნის პირველი ნახევრის სხვა სიაში.

ჩრდილო კავკასიის 1-ლი ათასწლეულის არქიტექტურა სუსტადაა შესწავლილი, შედარებით შთამბეჭდავია ხუმარას გალავნის კედლები, სისქით 3-5 მეტრი, ძველად მაღალი და მიუდგომელი.

(ჩვენი ფიქრით, ეს უნდა იყოს ძველქართული ციხე-სიმაგრე სობღისი, რომელსაც, ქართული წყაროს ცნობით, არაბობის დროს თავი შეაფარა აფხაზეთის მთავარმა, თუმცა სობღისი, შესაძლოა, ამჟამინდელი არხიზის მიდამოებშიც მდებარეობდა).

ხუმარას გალავნის ქვები საგანგებოდაა დამუშავებული, გალავანის ქვის კიბეებიანი საბრძოლო კოშკები ანაწევრებდნენ კედლებს. ისინი ხუმარას ქალაქს აქცევდნენ მძლავრ ციხე-სიმაგრედ.

(ხუმარა ამ ფუნქციას ასრულებდა თამარ მეფის დროსაც, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებლები ხუმარას მშენებლობას მიაწერენ თამარ მეფეს. აქ აჩვენებენ თამარ მეფის სხვადასხვა მემორიალურ ნივთს, მაგალითად, დიდ ლოდს, საიდანაც თამარი ჯარს მიმართავდა ქართული ჯარის სადგომ – გამოქვაბულებში და სხვა. ქრისტიანული ქალაქი ხუმარა ადიღების შემოსევების შემდეგ გაუქმდა. მისი ქრისტიანული სასაფლაო ამჟამადაც სასტიკად ნადგურდება განმ მაძიებელი ტურისტებისა და ხალხის მიერ. მათ სჯერათ გადმოცემისა, რომ ამ საფლავებში დიდი განძია გადამალული. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მეცნიერება ხუმარას ციხე-ქალაქს, ხალხური გადმოცემის საპირისპიროდ, მიაკუთვნებს არა საქართველოს კულტურას, არამედ ალანურს და მტკიცედ ნერგავენ თავლსაზრის, რომ თითქოსდა ხუმარასთან თამარ მეფესა

და ქართულ სახელმწიფოს კავშირი არ ჰქონდა. პოსტსაბჭოთა გამოკვლევებსა და გზამკვლევებში ხალხური გადმოცემების საპირისპიროდ, აღარ ახსენებენ თამარ მეფის სახელს. სურთ როგორმე, ხუმარა მოწყვიტონ ქართულ კულტურას. ამჟამად მეცნიერების სახელით ახალ ლეგენდებს თხზავენ მისი ალანური უძველესობის შესახებ, თუმცა კი წყარო არ გააჩნიათ. თვითონვე აღიარებენ, რომ ხუმარას ციხე-ქალაქის აგება მოითხოვდა არა მხოლოდ გამოცდილი ხუროთმოძღვრის ძალისხმევას, არამედ გამოცდილი ოსტატების დიდ რაოდენობას. ამასთანავე, ალანები, მომთაბარეები იყვნენ და, მიტროპოლიტ თეოდორეს ცნობით, მათ არა თუ ასეთი ნაგებობების, საკუთარი ქვის სახლების აგების ხელოვნებაც არ გააჩნდათ, მით უმეტეს, რომ ეს რეგიონი დასახლებული იყო სვანებით და არა ალანებით. ამ ეპოქაში, მომთაბარე ცხოვრების გამო, ალანებს საკუთარი სახლების აგების უნარიც რომ არ გააჩნდათ, ამის შესახებ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ოფიციალურ წერილში წერდა ალანიის მიტროპოლიტი თეოდორე: Они же по истине – были стадо, рассеянное по горам, пустыням и пропастям земным, не имеющее ни стойла, ни навеса, выставленное на пожирание (диким) зверям.

http://www.vostlit/info/Texst/Dokumente/krɑmXIII/12201240/Feodor/text.phtml?d=5429. თეოდორე წერს, რომ 1222–1240 წლებში ალანებს არა აქვთ თავიანთი სადგომიც კი (არც სოფელი, არც ქალაქი), მიაგავდნენ ხროვას, ჯოგს გაფანტულს მთებსა და უდაბნოებში Епископа Феодора «Аланское послание».

http:// www.vostlit/info/ Texst/Dokumente/krɑmXIII/12201240/Feodor/text.phtml?d=5429.

იმავეს წერდა კონსტანტინოპოლის სინოდიც, რომ ნომადური ცხოვრების გამო ალანებს არა აქვთ ქალაქები. ამიტომაც ალანიის მიტროპოლიტისათვის საკათედრო ქალაქად გამოიყო სოტერიოპოლისი ლაზიკაში, ალანიიდან შორს. ხუმარა – იგივე სვანური ცხუმარა – ცხუმარია, სვანები კი განთქმული ქვითხურო ოსტატები იყვნენ. ამავე რეგიონში სხვა ნაქალაქარები და ნასოფლარები არსებობდა).

„ისტორია ნაროდოვ სევერნოგო კავკაზა“ წერს: „აფხაზეთი და კავკასიის ალანია მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს მთის გზების სისტემით, რომელიც ქლუხორზე, სანჭაროსა და ფშეაშხოზე გადიოდა. ამ გზებით ხორციელდებოდა კავკასიის ალანიის კავშირი შავიზღვისპირეთის პორტებთან, მათი მეშვეობით ბიზანტიასთან და კონსტანტინოპოლთან. ამ გზებით ალანიაში მგზავრობდნენ ბერძენი დიპლომატები და მისიონერები, ქართველი ოსტატები, რომელთაც აღმართეს ჩრდილო ზელენჯუკისა და შოანას ტაძრები. „История народов Северного Кавказа с древнейших времен доконца XVIII в. – М.: Наука, 1988. („По ним в Аланию двигались греческие дипломаты и миссионеры, грузинские мастера, сооружавшие северный Зеленчукский и Шоа–нинский храмы“),

(წიგნის ავტორების განცხადება, რომ ჩრდილო ზელენჯუკისა და შოანას ტაძრები აგებულია ქართველი ოსტატების მიერ, დასაფასებელია, რადგანაც სხვა მკვლევარები ამას არ აღიარებენ. ისინი მათ ან ალანებს, ანდა მათთვის უცნობ კულტურებს მიაწერენ.

დასაფასებელია აგრეთვე ამ წიგნის ავტორების განცხადება, რომ ვაინახებში მე-10, მე-11 საუკუნეებში ქრისტიანობის ნათელი საქართველოდანაც შედიოდა, რომ მე-10, მე11 საუკუნეებში ვაინახურ ტომებს შორის დიდი იყო ქართული მონარქიის გავლენა. მაგალითად, მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში იგება ქართული ტაძარი თხაბა-ერდი, რომელიც ემსახურებოდა იქაურ ვაინახურ და მთის ქართულ მოსახლეობას. მისმა გათხრამ გამოავლინა ქართული წარწერების სერია, აღნიშნავს წიგნი История народов Северного Кавказа с древнейших времен до - конца XVIII в.– М.: Наука, 1988. („По ним в Аланию двигались греческие дипломаты и миссионеры, грузинские мастера, сооружавшие северный Зеленчукский и Шоа – нинский храмы“), „История народов Северного Кавказа с древнейших времен до – конца XVIII в.– М.: Наука, 1988“

(„Так, во второй половине X в. сооружается грузинский храм Тхаба-Ерды, обслуживавший окрестное вайнахское и горногрузинское население. Его раскопки принесли серию грузинских надписей“)

წიგნში „История народов Северного Кавказа с древнейших времен до– конца XVIII в.– М.: Наука, 1988“ ნათქვამია: „მოგვიანებით, ჩანს, მე-11, მე-13 საუკუნეებში მთიან ინგუშეთში აგებული იქნა სხვა ქართული ეკლესიები (ალბიერდი, სოფელ თარგიმთან), და ასევე მათი მსგავსი სალოცავები (იტაზ-ერდი, გალ-ერდი, მაგი-ერდი და სხვები)“, (Позднее, вероятно, в XI–XIII вв. в горной Ингушетии были построены другие грузинские церквп (Алби-Ерды, у сел. Таргим и Памет), а также и подражающие им святилища-здания (Итаз-Ерды, Галь-Ерды, Маги-Ерды и др.).

(ძალზე დასაფასებელი დასკვნაა ასეთი სოლიდური გამოცემისა, რადგანაც სხვა ავტორები ამას არ აღიარებენ

ამ წიგნის ავტორების განცხადებით, ქართული გავლენის გაძლიერება ამ რეგიონში გამოწვეული იყო საქართველოს დაინტერესებით, გაეკონტროლებინა დარიალის გასასვლელი და ასევე სამხედრო-პოლიტიკური ლოიალობითა და მოკავშირეობით მთიელ მეზობლებთან).

წიგნში ნათქვამია: „საქართველოსთან აქტიური კავშირი დასტურდება აქ აღმოჩენილი ქართული წარწერების არსებობით ჭურჭელზე, საძვალეებში, მინის მძივებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, რომლის ნაწილი, შესაძლოა, აქ მოხვდა სამხრეთ კავკასიის სახელოსნო ცენტრებიდან“ 1988“ ნათქვამია: „მოგვიანებით, ჩანს, მე-11, მე-13 საუკუნეებში მთიან ინგუშეთში აგებული იქნა სხვა ქართული ეკლესიები (ალბი-ერდი, სოფელ თარგიმთან), და ასევე მათი მსგავსი სალოცავები (იტაზ-ერდი, გალ-ერდი, მაგი-ერდი და სხვები)“, („Активные связи с Грузией подтверждаются находками грузинских надписей на сосудах, в склепах, а также стеклянных бус, сосудов, часть которыхr могла поступать из ремесленных центров Закавказья „ 64).

ინგუშურ ლექსიკაში დაფიქსირებულია ქართული ენის მრავალი ელემენტი, რომელიც ინგუშეთში ქრისტიანობის შესვლასთანაა დაკავშირებული („კვირა“, „ჯვარი“, „სამლოცველო“, „სანთელი“65).

მატერიალური კულტურის ძეგლები (საცხოვრებელი და საბრძოლო კოშკები, ქვის ფიქალით გადახურული მრავალრიცხოვანი საძვალეები) ჩეჩნეთ-ინგუშეთსა, ფშავსა, ხევსურეთსა და თუშეთში მსგავსი ხასიათის მატარებელია, ხევსურეთსა და თუშეთში კოშკების არქიტექტურაში ვაინახურ გავლენას პოულობენ (ძალზე დასაფასებელი დასკვნაა ასეთი სოლიდური გამოცემისა, რადგანაც სხვა ავტორები ამას არ აღიარებენ

ამ წიგნის ავტორების განცხადებით, ქართული გავლენის გაძლიერება ამ რეგიონში გამოწვეული იყო საქართველოს დაინტერესებით, გაეკონტროლებინა დარიალის გასასვლელი და ასევე სამხედრო-პოლიტიკური ლოიალობითა და მოკავშირეობით მთიელ მეზობლებთან).

წიგნში ნათქვამია: „საქართველოსთან აქტიური კავშირი დასტურდება აქ აღმოჩენილი ქართული წარწერების არსებობით ჭურჭელზე, საძვალეებში, მინის მძივებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, რომლის ნაწილი, შესაძლოა, აქ მოხვდა სამხრეთ კავკასიის სახელოსნო ცენტრებიდან“ 1988“ ნათქვამია: „მოგვიანებით, ჩანს, მე-11, მე-13 საუკუნეებში მთიან ინგუშეთში აგებული იქნა სხვა ქართული ეკლესიები (ალბი-ერდი, სოფელ თარგიმთან), და ასევე მათი მსგავსი სალოცავები (იტაზ-ერდი, გალ-ერდი, მაგი-ერდი და სხვები)“, (Памятники материальной культуры (жилые и боевые башни, многочисленные склеповые сооружения с перекрытием из плит шиферного сланца) в Чечено-Ингушетии, Пшавии, Хевсуретии, Тушетии также обнаруживают общие черты. В архитектуре башен в Хевсуретии и Тушетии прослеживается вайнахское влияние 66)

(ჩვენი აზრით, საფიქრებელია, რომ თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული, რასაც მიუთითებდა კიდეც თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ქართლის ცხოვრებაში, ამ ცნობას ეთანადება ევლია ჩელების, ცნობა, რომ მცირე ყაბარდოს მოსახლეობამ იცოდა ქართული ენა. მცირე ყაბარდოს მოსახლეობა მე-18 საუკუნისათვის ისლამის გავრცელების კვალდაკვალ კარგავდა ქართული ენის ცოდნას, რის შესახებაც, როგორც ითქვა მიუთითებდა მე-17 საუკუნეში ევლია ჩელები, ყაბარდოელების ამ ნაწილის ქართულენოვნებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ერეკლე მე-2-ის სურვილი, რათა ყაბარდოელები გადმოესახლებინა საქართველოში. ერეკლე ენდობოდა ამ ყაბარდოელებს. მუშაობდა, რათა ყაბარდოელები გადმოესახლებინა საქართველოში, მთელი სერიოზულობით გაიშალა საქმიანობა

ჩრდილო კავკასიაში. რუსეთის ხელისუფლებამ ჩაშალა ერეკლეს ეს მოქმედება და ხელი შეუშალა ყაბარდოელების გადმოსახლებას საქართველოში. ევლია ჩელების ცნობით, მცირე ყაბარდოელებმა იცოდნენ ქართული ენა. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მე-18 საუკუნეში ვახტანგ მე-6-ის მეუღლის, ყაბარდოელი დედოფლის რუსუდანის, ქართულენოვნება და მისი სიყვარული ქართული კულტურის მიმართ.

მცირე ყაბარდოში (ტაუსტანის ქვეყანაში) ქართული ენის განვრცობის შესახებ წერს ევლია ჩელები (1611–1682) თავის მოგზაურობათა წიგნში: ესაა

ჩერქეზების მიწა-წყალი, ჰყავთ თავიანთი ბეები (უმაღლესი ხელისუფლება), თავიანთი არმია, რომელიც აღჭურვილია ცეცხლსასროლი იარაღით. არმიაში ჰყავთ 12 000 „აზნაური“ (ევლია ჩელები მათ აღსანიშნავად ხმარობს ამ ქართულ სიტყვას). ისინი მუსულმანები არიან. მიუხედავად ამისა, მათი ენაა ქართული (Языки их – грузинский и черкесский. Их армия состоит из двенадцати тысяч азнауров), ამ ქვეყანაში მაინც მუსულმანების რაოდენობა ძალზე მცირეა, მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ „კიაფირები,“ ანუ ურწმუნოები (მრავალღმერთიანები, იგულისხმება ქრისტიანები).

თვითმხილველის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჩერქეზეთის ამ ნაწილში, რომელიც ავტორის (ევლია ჩელების) თქმით, განვრცობილი იყო იალბუზის ძირიდან ვიდრე დაღესტნის ჩათვლით კასპიის ზღვამდე (ამ ქვეყნის ცენტრში ახლა, შესაძლოა, იყოს ქალაქი მოზდოკი) მოსახლეობის დაბალი ფენა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქრისტიანული სარწმუნოების ნიშნებს, (Мусульман там мало. Подданными являются в основном черкесские кяфиры).

http://kavkaz–historiy.ru/evliya–chelebi–kniga–puteshestvia/53/.

ყოველ შემთხვევაში, მუსულმანური არ ყოფილა, **ხოლო ზედა ფენა, მართალია, მუსულმანური იყო, მაგრამ ყოფა-ცხოვრებაში იყენებდა ქართულ ენას. ზოგადად რომ ვთქვათ, ევლია ჩელებიმ ჩერქეზეთის ამ ნაწილში დაადასტურა მოსახლეობის ქართულენოვნება და ქრისტიანობა (მართალია, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში). ორივე ეს ნიშანი ერთად, ქართულენოვნება და ქრისტიანობა კი მიუთითებს, რომ ეს ვრცელი მხარე მე-17 საუკუნის შუა წლებამდეც კი კვლავინდებურად შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში (Во все времена они поддерживали связь с грузинским народом),** http://kavkaz–histiry/ru/evliya–chelebi–kniga–puteshestviya/53/.

ჩანს სამღვდელოება ხალხის მოსანათლად იქ კვლავ ჩადიოდა საქართველოდან.

ევლია ჩელები წერს: „В настоящее время имена беев таковы: Кучур-бай–секбан и Джухан-бай-секбан. Однако если их называют падишахами, то это значит, что они родом из Таустана. Они ведут свою родословную от Ануширвана. **Яз**ыки их – **грузинский** и черкесский. Их армия состоит из двенадцати тысяч азна**уров,** вооруженных двумя тысячами ружей. И все они мусульмане шафиитского толка. Но вместе с тем они считаются черкесским племенем. Во все времена они поддерживали связь с **грузинским** народом, и потому особенности их говоров свидетельствуют о связях с языками грузинским, персидским и кумыкским... Хутбу там читают на имя дагестанского падишаха, а кроме того, и на имя их собственного Кучур-секбана. Их образ жизни таков же, как и у прочих знатных господ. Мусульман там мало. Подданными являются в основном черкесские кяфиры. Протекающая здесь река Бахистан начинается в горах грузинской земли Дадиан и впадает в реку Терек..Здесь мы веселились с ханом в течение трех дней. [Пустившись в путь], мы за пять часов переправились на лошадях через реку Балыкбай. Эта река начинается с не покрытых снегом вершин **Грузинских** гор и впадает в реку Терек. После этой реки мы три часа двигались

дальше по направле нню к кыбле. http://kavkaz–historo.ru/evliqa–chelebi–kniga–puteshestviqa/53/http://kavkaz–historo.ru/evliqa–chelebi–kniga–puteshestviqa/53/

(ერეკლე მეორის სურვილი ამ ქვეყნიდან (ყაბარდოდან) საქართველოში საქართველოს დასაცავად გადმოესახლებინა სანდო მოსახლეობა, გარკვეულწილად ადასტურებს ევლია ჩელების აღნიშნულ ცნობას, ამასვე მიუთითებს არქეოლოგიური ფაქტები).

აღნიშნული წიგნის ავტორების ცნობით, ვაინახები და მათ დასავლეთით მცხოვრები ალანები, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძალზე მშვიდობიანი მეგობრული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათ შორის არ არსებობდა სასაზღვრო სიმაგრეებები, მათ ერთიანი დაუნაწევრებელი კულტურული ცხოვრება აერთიანებდათ (Мирные и дружественные отношения вайнахов и алан в X–XII вв. подтверждаются близким, а зачастую и непосредственным соседством оставленных имп памятников, отсутствием пограничных между ними укреплений, явным тяготением позднеаланских могильников в Чечено-Ингушетии к предгорьям и размещением большинства из них в устьях лесистых ущелий (Дуба-Юрт, Мартан-Чу и др.), где и сосредоточена в эти века наиболее активная жизнь обитателей края).

(ჩემი აზრით, ფაქტი, რომ ვაინახებისა და ალანების მიწა-წყალს შორის არ არსებობდა სასაზღვრო გამაგრებები (სიმაგრები), უნდა აიხსნას არა ამ ორ ხალხს შორის მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულებით, არამედ სხვაგვარად.

ეს მიწა-წყალი იყო არა ორი სხვადასხვა ხალხის საცხოვრისი, არამედ ერთი კულტურის მატარებელი ერთი ხალხისა – ქართველი მთიელებისა, რასაც ასახავს კიდეც ერთგვაროვანი არქეოლოგიური მასალა, ანუ ეს რეგიონი თავდაპირველად არ იყო ალანური და ვაინახური კულტურის არეალი, არამედ ერთიანი ქართული კულტურისა. ამიტომაც არის მთლიანი, არ იყოფა სიმაგრეებითა და თავდაცვითი ნაგებობებით ორ ნაწილად..

აქ იყო არა „ორი მეგობრული კულტურა," როგორც წერენ წიგნის ავტორები, არამედ ერთი. ამას აჩვენებს არქეოლოგიური მასალის ერთიანობა, გადარჩენილი კულტურის ძეგლების მთლიანობა. აქ მცხოვრები ერთი ქართული კულტურის მოსახლეობა გამაჰმადიანების შემდეგ ასიმილირდა ორ სხვადასხვა ეთნოსში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სხვადასხვა, ამჟამად იქ მცხოვრებ ეთნოსებად. ჩანს, დაახლოებით, მე-16, მე-17 საუკუნეებში იქაური ქართველები დაიმორჩილეს შემოსულმა სხვადასხვა ტომებმა, რომელნიც იქცნენ დომინანტად, და მათ თავიანთ ახალ კულტურებს აქ დაუდეს საფუძველი.

ამასვე აჩვენებს დაღესტნის არქეოგრაფიული კვლევა. დაღესტანში მრავალი ქართული წარწერაა აღმოჩენილი სხვადასხავა რეგიონში, ხალხური გადმოცემები, ასევე დაღესტნის წერილობითი წყაროები გამოკვეთილად მიუთითებენ დაღესტანში ქართველთა ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, დაღესტანში საქართველოს ეკლესიას საკუთარი საკათალიკოსო გააჩნდა თავისი საეპისკოპოსოთი, დასავლეთ დაღესტანის მოსახ-

ლეობა ქართული ეკლესიის ერთგული მრევლი იყო თემურ-ლენგის შემოსევამდე.

წიგნის ავტორების მითითებით, თხაბა-იერდის ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლი განეკუთვნება მე-9 საუკუნეს. ესაა ადრეული სამშენებლო პერიოდი თხაბა-იერდის ტაძრისა ასსას ქვაბულში. მაგრამ უფრო აქტიური სამისიონერო ქადაგება საქართველოდან განხორციელდა მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში კათალიკოს მელქისედკ I-ის დროს, როცა დასრულდა სამნავიანი თხაბა-იერდის ბაზილიკის მშენებლობა. იმავე ასას ქვაბულში აშენდა თარგიმისა და ალბი-ერდის ტაძრები, ზრუგისა და თლის დარბაზული ტაძრები დვალეთ-თუალგომში, მდ. არდონის სათავეებთან და დაღესტანში დათუნას ეკლესია. ეს ეკლესიები და მათი წარწერები ნათლად მიუთითებს, რომ მათი მრელი და მომცველი რეგიონი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, რაც აღიარებულია, მაგრამ ამავე რეგიონებში გაცილებით მეტია ქრისტიანული სარწმუნოებრივი ნაშთები დატოვებული ქართული ეკლესიის მრევლის მიერ, მაგრამ ისინი ნაკლებად არის გამოკვლეული.

მე-8, მე-10 საუკუნეთა ქრისტიანული სასაფლაოების ნაშთებია აღმოჩენილი დაღესტანში, ავარიაში (სოფლებთან – ურადა, ტიდიბ, ხუზახ, გალლა, ტინდი, კვანადა, რუგუჯა), რაც აჩვენებს, რომ აქ ცხოვრობდა ქრისტიანული მოსახლეობა.

ქრისტიანული ნაკვალევი დაღესტანში ძალზე ნათელია და ჩანს მრავალრიცხოვანი მონაცემებით“.

ჩვენი კვლევით, ქართული წყაროებთ იმდენად გაძლიერებული იყო დაღესტანში ქრისტიანობა, რომ აქ თემურ-ლენგის შემოსევის წინ არსებობდა საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსო ანწუხსა და წახურში და ასევე საკათალიკოსო, რომელსაც მართავდა ხუნძელი კათალიკოსი, ანუ საკათალიკოსო ცენტრი-ხუნძახში იყო. ქართული წყაროებით, ასეთი ცენტრები აქ მე-11 საუკუნიდან იყო.

წიგნის ავტორები წერენ: ქართული დამწერლობა გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის რეგიონებში, განსაკუთრებით დაღესტანში. ეს ჩანს მე-10, მე-12 სს. ძეგლებით. იქ აღმოჩენილია ოცამდე ჯვარი ქართული წარწერებით.

ქართული დამწერლობა გავრცელებული იყო ასევე ჩეჩნეთ ინგუშეთის მთებში. თხაბა-იერდის ქვებსა და ფიქლებზე ქართული წარწერები, ტაძრებში, თხაბა-იერდში და მაგი-ერდში ხელნაწერი ქართული ფსალმუნების პოვნა, მიუთითებს, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურება აქ აღესრულებოდა ქართულ ენაზე 246 წლამდე და შეწყვეტილი იქნა არც თუ დიდი ხნის წინ. საძვალეების კედლებზე (ეგიკლში), ხისა და თიხის ჭურჭლის კედლებზე (ცოიპედა, მაგატა, მოხდა) გვხვდება წარწერები წართული ასოებით, რომელნიც გადმოცემენ ადგილობრივი პირების და ადგილების სახელებს.

ქართული დამწერლობა იყო გავრცელებული საქართველოს მეზობელ ალანიაში, რომელიც ასევე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ვ. მილერმა მოიძია ბერძნული ასოებით შესრულებული მცირე ე.წ. ზელენჯუკის წარწერა, რაც, მისი აზრით, იყო მცდელობა იმისა, რომ შექმნი-

ლიყო ალანური დამწერლობა, რადგანაც ამ ბერძნული ასოებით თითქოსდა ალანური სიტყვები იყო ჩაწერილი.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ამ ამჟამად გავრცელებულ თვალსაზრისს არ ეთანხმებიან ჩრდილოკავკასიის თურქულენოვანი მკვლევარები. მათი კვლევით, ე.წ. ზელენჯუკის წარწერა თურქული სიტყვებითაა ჩაწერილი და არა ოსურით.

წიგნის ავტორები წერენ, მე-10, მე-13 საუკუნეებში საქართველოს მონარქიამ, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ოსეთსა და სხვა ადგილებში აღმართა ქრისტიანული ეკლესიები (თხაბა-ერდი, ალბი-ერდი, თარგიმის და სხვა) ადგილობრივი ქვის სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით. გარდა ამისა, ქართული ტაძარი ინგუშეთში თხაბა-ერდი აღნიშნულ დროს მეზობელი ხალხების მიერ გამოიყენებოდა ადგილად, სადაც განიხილებოდა ჩვეულებრივი სამართლის სადავო საკითხები.

წიგნში აღნიშნულია, რომ მთიელ ქართველებს, ინგუშებს, ოსებს და სხვებს ჰქონდათ ასევე საერთო დღესასწაულები. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ინგუშ-ოსების „ათინაგი“ და მისი შესატყვისი ქართული „ათენგენობა“ („Грузины-горцы, ингуши, осетины и др. имели и общие праздники, такие, как ингушско-осетинский – «атинаги»).

ინგუშებიცა და ოსებიც ქართველ მთიელებთან ერთად ზეიმობდნენ ათენგენობას (ათინაგს) დღესასწაულს, რომელსაც ქართული ეკლესია აღნიშნავდა დაახლოებით მე-15, მე-16 საუკუნეებამდე, მე-4 საუკუნის წმიდანის ათენოგენის სახსენებლად, ეს მიუთითებს, რომ მე-5 საუკუნიდანვე თანამედროვე ინგუშეთისა და ოსეთის ძველი მოსახლეობა, ახალ ეთნოსად ჩამოყალიბებამდე წარმოადგენდა ერთიანი ქართული ეკლესიის მრევლს, ერთი ეთნორელიგიური შემეცნებით და ერთი დღესასწაულებით, რომელიც გვიანობამდე შემოინახა მთამ იმის შემდეგაც, რაც ბარში უკვე ეს დღესასწაული მოძველებელად ითვლებოდა. ამჟამად მიიჩნევა, რომ ეს იყო თიბვის დღესასწაული. ის იყო არა თიბვის დღესასწაული, არამედ ნაშთი საერთო ქართული საეკლესიო დღესასწაულისა. წმიდა ათენოგენის ეკლესია კოჯორთან მე-14 საუკუნეშიც იყო (Причем на территории Грузии находился один из центров культа св. Афиногена, о чем свидетельствует пожалование в 1338 г. царем Георгием Ивану Джавахпшвшш находящегося в Коджори монастыря Атенагуены). წმიდა მღვდელმოწამე ათინოგენს საქართველოს ეკლესიის მრევლი, მათ შორის მთიელებიც მოიხსენებდნენ ლოცვებისას, ცხადია, ფხოვშიც, რომელიც შემდეგში დაიყო ეთნო რეგიონებად – ხევსურეთად, ინგუშეთად, ზემო ჩეჩნეთად თუ თუშეთად. აქ ყველგან აღინიშნებოდა ათინოგენის დღესასწაული. ამ წესის გვიანდელი გადმონაშთია გამუსულმანების შემდეგაც მათ მიერ ამ წმიდანის ხსენება არა მხოლოდ ხევსურების სოფლებში არხოტში, მუქოში, თუ არდოტში. ამ წმიდანის დღესასწაულისას მას მოიხსენედა „ხუცესი“, ასევე, სტუმარ-მასპინძლობის ხელმძღვანელი – „დასტური“. ყველა აღნიშნულ ოლქში. ქისტებიც, ანუ ძველი ქისტეთის მოსახლეობა საქართველოს ეკლესიის ერთგული მრევლი იყო და ამით არაფრით განსხვავდებოდა სხვა ქართველი

მთიელებისაგან. მათ ქართული გვარები და შემეცნება ჰქონდა, მხოლოდ თემურ ლენგის შემდეგ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, შეიცვალა მათი ეთნოთვითშემეცნება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვნოთ თვით აღნიშნული წიგნის ავტორების მიერ მოყვანილი ცნობა, რომ ხევსურეთში შატილი საერთი ქართულ – ქისტურ ქრისტიანულ სალოცავს წარმოადგენდა. ქისტურ სოფლებში – ჯარეგა, სახანა, ქერბეტა, ბანისტა, ტერტე, მიცუ და დოძუ – ლოცულობდნენ ამაღლების დღეს. აქ ერთად იკრიბებოდნენ ხევსურები და ქისტები სადღესასწაულოდ. ამ დროს ხევსური ჩვეულებრივ დეკანოზობდა, ხოლო მედროშე იყო ქისტი. ამ დროს ქისტები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ, თუმცა მათში თანდათან ფეხს იკიდებდა ისლამი.

იმის შემდეგაც კი, რაც ქისტებმა მიიღეს ისლამი, ისინი შატილის ქრისტიანულ დღესასწაულში კვლავ მონაწილეობდნენ, რადგანაც ის მათთვის მამა-პაპური დღეობა იყო, შესაბამისად, სისხლხორცეული, ადათობრივი და ტრადიციული,

სალოცავებში ამ მსახურების დროს, დეკანოზი ახლა უკვე აღარ კლავდა სამსხვერპლო ცხოველს, მხოლოდ ყურს უჭრიდა, რადგანაც მუსულმანებს ეკრძალებოდათ ქრისტიანის მიერ დაკლულის ხორცის ჭამა. ე.ი. იმისათვის, რათა მუსულმან ქისტებს ხორცი ეჭამათ და ედღესასწაულათ, დეკანოზი მიდიოდა დათმობაზე და, ის ვითარცა ქრისტიანი, საკლავს აღარ კლავდა, მხოლოდ ყურს უჭრიდა, რომ სისხლი გამოსვლოდა.

საერთო პურისჭამის შემდეგ დეკანოზი ქისტების სოფლებში მიემგზავრებოდა, სადაც დღესასწაული გრძელდებოდა.

დეკანოზები ემსახურებოდნენ ქისტურ სოფლებს, რადგანაც ეს იყო ტრადიცია. ქისტებიც ისეთივე ქრისტიანები იყვნენ, როგორიც ხევსურები, სიტყვა „ქისტი“ ეტიმოლოგიურად, საერთოდ, ქრისტიანს ნიშნავს. ამ საზოგადო სახელს – „ქრისტიანს“ უწოდებდენენ ყველა ქრისტიან მთიელს.

მე-14, მე-15 საუკუნეებში ოსეთის ქრისტიანულ ეკლესიებში ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ ქართველი მღვდლები. საერთოდ, ოსეთში ქართველი მღვდლები ქართულ ენაზე აღასრულებდნენ ლიტურგიას, ჩრდილო კავკასიაში რუსების გაბატონებამდე, რომელთაც აკრძალეს ქართულ ენაზე სამრევლო სკოლებში ბავშვების აღზრდა და ქართული ღვთისმსახურება.

ქრისტიანობის დროს ოსებს, მათ მეზობელ სვანებს და სხვებს საერთო ქრისტიანული ფესვების მქონე დღესასწაულები ჰქონდათ (У осетин, сванов и др. наблюдается н общность в культовых празднествах). სვანები და აქაური ოსების წინაპრები ერთი ქართული მრევლი იყო. იოანე ცეცეს სიტყვით, აქაური ალანები ივერიული გენისა იყვნენ. ისინი ერთმანეთს უნათესავდებოდნენ. მაგალითად, საქართველოს მეფეებს ბაგრატ მე-4-ს, გიორგი მე-3-ს, ცოლებად ჰყავდათ ოსი დიდებულების ასულები, თამარის მეუღლე დავით სოსლანი ოსი იყო. დერბენდის ემირი და მთიანი დაღესტნის მფლობელები დინასტიური ქორწინებით უკავშირდებოდნენ ქართველ მეფეებს. ჩვეულებრივ მოსახლეობასაც ჰქონდა ასეთი სამოყვრო კავშირები ჩრდილო კავკასიელებთან. უფრო მეტი, დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის და ყარაჩაი-

ჩერქეზეთის ზოგიერთ საგვარეულოში დაცულია გადმოცემა მათი ქართული წარმოშობის შესახებ. მაგ. ჩეჩნეთის აულ მაასტა მოლჩის მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ ისინი ხევსურები არიან, ანუ არიან გამუსულმანებული ხევსურები (жители чеченских аулов Мааста Молч – потомки чеченцев и хевсур).

მე–13 საუკუნის დასაწყისიდან ოსურ, ჩეჩნურ ინგუშურ და ჩრდილო კავკასიის სხვა ენებზე დიდი გავლენა იქონია ქართულმა ენამ (с начала XIII в. преобладающее влияние на осетинский, чечено–ингушские и другие языки Северного Кавказа оказывал грузинский язык.), რასაც მოწმობს, კერძოდ, არა მხოლოდ ქართული სიტყვების არსებობა ოსურში, ჩეჩენ-ინგუშურში, ყაბარდოულში, ბალყარულში, დაღესტნის ხალხთა ენებში, არამედ ამ ხალხთა განსახლების რაიონებში ნაპოვნი ქართული ეპიგრაფიკული მასალა (Об этом, в частности, свидетельствует не только наличие грузинских слов в языках осетин, чечено–ингушей, кабардино-балкарцев и народов Дагестана, но и найденные в районах расселения этих народов эпиграфические памятники).

წმიდა მღვდელმოწამე ათინოგენს საქართველოს ეკლესიის მრევლი, მათ შორის მთიელებიც მოიხსენებდნენ ლოცვებისას, ცხადია, ფხოვშიც, რომელიც შემდეგში დაიყო ეთნო რეგიონებად – ხევსურეთად, ინგუშეთად, ზემო ჩეჩნეთად თუ თუშეთად. აქ ყველგან აღინიშნებოდა ათინოგენის დღესასწაული. ამ წესის გვიანდელი გადმონაშთია გამუსულმანების შემდეგაც მათ მიერ ამ წმიდანის ხსენება არა მხოლოდ ხევსურების სოფლებში არხოტში, მუქოში, თუ არდოტში. ამ წმიდანის დღესასწაულისას მას მოიხსენედა „ხუცესი“, ასევე, სტუმარ-მასპინძლობის ხელმძღვანელი – „დასტური“. ყველა აღნიშნულ ოლქში. თხაბაიერდის გარდა ქართული წარწერები აღმოჩენილია მთიანი ინგუშეთის საძვალეებსა და სხვა ნაგებობებში. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ აქაური მოსახლეობა ქრისტიანული იყო, ეს ძველი მოსახლეობა ქართულენოვანი იყო თავისი განათლებითა და კულტურით, წერა–კითხვის ცოდნა ხალხის საკმაო განათლებულებაზე მიუთითებს. ისინი იცნობდნენ და ქართულ ენაზე კითხულობდნენ წმიდა წერილს თითქმის ბოლო დრომდე, მათ გამუსულმანებამდე, ანუ მე-18 საუკუნის ბოლომდე, რასაც მიუთითებს წმიდა წერილის მნიშვნელოვანი ნაწილის, ფსალმუნების, ქართული ხელნაწერის აღმოჩენა ინგუშურ ეკლესიებში. ეს საეკლესიო წიგნი თხაბა-იერდის გარდა, სხვა ეკლესიაშიცაა აღმოჩენილი და მრევლს ეკუთვნოდა.

ასსას ხეობაში ერთ-ერთი საძვალის თაღის ნალესობაზე ნაპოვნია ქართული ასოებით შესრულებული წარწერა, იქაურ პირთა სახელები, ჩანს, მიცვალებულებისა. ასას ხეობაში საძვალეზე ქართული წარწერის არსებობა მიუთითებს აქაური მოსახლეობის ქართულენოვნების შესახებ, რომ ისინი ქართული კულტურის მქონე საქართველოს ეკლესიის წევრები იყვნენ. ცხადია, ისინი წერდნენ თავიანთი მიცვალებულების სახელებს, რათა ისინი სხვებს, მათ მეზობლებს, წაეკითხათ და მოეხსენებინათ ლოცვებში.

ოსეთში, მდ. გიზელდონის რაიონში და ფიაგდონის ხეობაში ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებში და საძვალეებში ნაპოვნი იქნა ოქროსა და ვერცხლის ნივთები ქართული ასოებით. ოსეთში ქართული წარწერები ეკლესიებსა და საყო-

ფაცხოვრებო ნივთებზეც კი მიუთითებს, თუ როგორ ღრმად იყო აქაური ხალხი დაკავშირებული ქართულ ენასა და კულტურასთან, რომ ისინი ერთიანი ქართული ცივილიზაციისა და ეკლესიის წევრები იყვნენ აღნიშნულ ეპოქაში.

ოსეთის ალაგირის ხეობის სოფელ ნუზალში მოქმედებდა მე-13, მე-14 საუკუნეთა ეკლესია. ნუზალის ეკლესიის ფრესკები წარმოადგენენ ქართული ხელოვნების უნიკალურ ძეგლს (Фрески Нузала являются уникальным памятником грузинского искусства на территории Северной Осетии). ნუზალის ქართული მოხატული ეკლესია ნათლად მიუთითებს ჩრდილო კავკასიაში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

დაღესტნის სოფლებში ხუნძახში, რუგუჯაში, გინიჩუტლში, გოცატლში, გაალას ადგილებში, ტადში, რაალში და სხვაგან აღმოჩენილია ქართული წარწერები მე-14, მე-15 საუკუნეებისა, შესრულებული ქართული მრგვლოვანი და ნუსხური შერეული დამწერლობით (найдены грузинские надписи, датируемые XIV–XV вв., написанные смешанным альфавитом «могловани» и «нусхури»).

ეს მიუთითებს, რომ დაღესტნის ამ დიდი ოლქის მოსახლეობა მე-15 საუკუნემდე ქართულენოვანი კარგი ქრისტიანები იყვნენ, რასაც ადასტურებს აქაური სოფლების ქართული წარწერები, აღნიშნულთა გარდა ქართული წარწერიანი ქვები ნაპოვნია დაღესტნის რუტულის რაიონის სოფლებში.

დაღესტნის რუტულის, ხუნძახისა და სხვა რაიონების უამრავი სოფლის ქართული წარწერები მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის იმდროისათვის ღრმა განათლებულობის შესახებ, რომ ქართული ეკლესიის მრევლი დაღესტანში მხურვალე ქრისტიანები იყვნენ.

აღნიშნული წიგნის ავტორების აზრით ამ ეპოქაში, უეჭველია, ხდებოდა დაღესტნის, და, განსაკუთრებით, ანდო-დიდოური, ვაინახური, ოსური, ადიღეური და სხვა ენების გამდიდრება ქართული ენის ლექსიკით (Несомненно, что в эту эпоху происходило обогащение лексического фонда дагестанских, и особенно андо-дидойских, вайнахскпх, осетинского, адыгского и других языков, за счет проникновения культурно-исторических терминов).

ყველა ეს ობიექტური მაჩვენებელია ჩრდილო კავკასიის ხალხებზე ქართული ენისა და დამწერლობის გავლენისა.

თემურ ლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში დაემცრო ქართული ეკლესიის იურისდიქცია, შემოსული და გაბატონებული ურდოები დევნიდა მკვიდრ ქრისტიანულ მოსახლეობას, რომელიც მათთან მებრძოლი ქართული ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე გენუელთა კოლონიებიდან ჩრდილო კავკასიაში შესულ კათოლიკე მისიონერებს მეტ უფლებებს აძლევდნენ. ერთი ცნობით, აქ კათოლიკები ლიტურგიას თათრულად აღასრულებდნენ (отправлявшие церковную службу на татарском языке).

თემურ ლენგამდე დასავლეთ დაღესტანს კახეთის მთიულეთი ერქვა, მას კახეთის ერთ-ერთი ერისთავი მართავდა, ერთ პერიოდში მაჭის ერისთავი, რომელსაც ვრცელი რეგიონი ებარა სამართავად – ნოხჩის, ანუ დურძუკეთის ჩათვლით ვიდრე შამახამდე. აღსანიშნავია, რომ შემდეგში კახეთის ამ ერისთავის ადგილზე მჯდომი ნუცალი („ნაცვალი“) პრეტენზიას აცხადებდა ამავე

მიწა-წყალზე ჩეჩნეთის ჩათვლით თითქმის შამახამდე. დაღესტანში ძველი ქართული ადმინისტრაციული ერთეულების ადგილას თემურ ლენგის შემდეგ დაიწყო ახალი ფეოდალური სათავადოების ფორმირება (На их месте началось формирование новых феодальных княжеств).

ავარიის სამთავრო ჩამოყალიბდა ყოფილი სერირის (წანარიის?) ცენტრალურ ნაწილში, მის ცენტრად დარჩა ხუნძახი. მის ახლოს, ტანუსის სიმაგრე, ნუცალთა – ავარიის მმართველთა ოჯახს ეკუთვნოდა. თემურამდე ნუცალები, კახეთის მეფეების ან ერისთავების ნაცვლები, ქრისტინები იყვნენ, სერირის მმართველთა მსგავსად. ავარიის მმართველები თავის ხალხთან ერთად კულტურულ-პოლიტიკურად იყვნენ ქართველი ქრისტიანი ნაცვალ-ნუცალები. მონღოლ-თათართა შემოსევებით ისარგებლეს არაქრისტიანულმა ძალებმა და შეუტიეს დაღესტნის ქრისტიანებს. საბედნიეროდ, საბოლოოდ ქრისტიანობამ გაიმარჯვა დაღესტანში.

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მუსულმან გაზიების ლაშქარმა შეუტია და დაიპყრო კიდეც ქრისტიანული ხუნძახი. მისი ქრისტიანი მმართველები გაიქცნენ საქართველოში, კერძოდ კი თუშეთში.

ხუნძთა უფლისწულის თუშეთში გაქცევის შემდეგ ხუნძახში მუსულმანთა მმართველობა დამყარებულა ძალზე მცირე ხნით.

ამ დროს ქრისტიანების სასტიკი დევნა დაიწყეს.

დახლოებით 30 წლის შემდეგ ხუნძახის ქრისტიანმა მმართველმა ჩეჩნეთის ქრისტიანული არშტის თემისა და ანდის კოისუს ცუმტალის თემის მხარდაჭერით დაიბრუნა ხუნძახის მმართველობა. ამის შემდეგ დაღესტნის ცენტრალური ნაწილი კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას.

საქართველოს მეფის დემეტრე თავდადებულის (1271–1289 წწ.) დროს დაღესტანში ქართველი მქადაგებელ – მისიონერთა წყალობითაც ავარიაში ქრისტიანობამ თავისი პოზიციები დაიბრუნა. რასაც ადასტურებს წყაროები და არქეოლოგიური მასალა.

ქრისტიანობამ კვლავ გაიმარჯვა ხუნძეთში, ჩანს, პიმენ სალოსის, საქართველოს ეკლესიის დაღესტანში მოღვაწე წმიდანის ღვაწლით.

ქრისტიანულ ავარიას მუსულმანური საშამხლო დაუპირისპირდა, ასევე დაღესტნის სხვა ისლამური ოლქები, ამიტომ ავარია იძულებით კვლავ გაისლამდა. ამის შემდეგ ავარია შეეცადა თავისი საზღვრები გაეფართოვებინა.

მიუხედავად მმართველი ფენის დროებითი გამუსულმანებისა, ხალხი, მცხოვრებნი დაღესტნის ამ დასავლეთ რეგიონში, კვლავ ერთგული დარჩა ქრისტიანობისა. ამის გამო ავარია ქრისტიანული მხარე იყო თემურ-ლენგის შემოსევამდე.

თემურ-ლენგამდე ავარიის სანუცალო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამფლობელო იყო დაღესტანში. ქრისტიანი ნუცალი ამირ-სულთანი მრავალი წელი ებრძოდა მეზობელ მუსულმან მფლობელებს. მე-14 საუკუნის შემდეგ ერთგული და თავდადებული ქრისტიანი ავარიელები დამარცხდნენ უძლიერეს მტერთან სარწმუნოებისათვის თავდადებულ ბრძოლაში, თანდათანობით იქ ისლამი გავრცელდა.

თემურ ლენგი თავის დაპყრობით ომს ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანში უწოდებდა ისლამისათვის „წმინდა ომს“, ბრძოლას „ურწმუნოთა წინააღმდეგ“. ის ქრისტიანებს უსასტიკესად და დაუნდობლად ხოცავდა ღვთის სახელით. შეცვალა მმართველი ქრისტიანული ფენა და დაუნდობლად დახოცა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებით იბრძოდა. უფრო მეტი, მან და მის შემდეგმა მპყრობელებმა ახალი ხალხები ჩაასახლეს დაღესტანში. ჩასახლებულებს მიენიჭა უმაღლესი სოციალური სტატუსი. მათ, ვითარცა მმართველ ზედა ფენას, დაუმორჩილეს მკვიდრი, იქამდე ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა. ეს ახალი ზედა ფენა – ახალი ხალხი თავის თავს „რუსებს“, „ნამდვილ რუსებსა“ და მსგავს სახელებს უწოდებდა. ამით მიანიშნებდა, რომ ისინი სამხრეთ რუსეთის ველებიდან ჩამოსახლებული ხალხი იყო, ეთნიკურად კი ამჟამად დაუდგენელი ხალხი.

თემურს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ქრისტიანთა მხრიდან ცენტრალურ დაღესტანში შეხვდა.

თემურმა ბრძოლით დაძლია დიდი წინააღმდეგობა და აიღო სიმაგრეები: ნერგესი, მჰკა, ბელუ და დერკელუ და ისინი მიწასთან გაასწორა, შემდეგ თემური თავისი ჯარით გაემართა ზირიხგერანის ოლქში (ყუბაჩში), რომლის მოსახლეობაც იძულებით დაემორჩილა, მეორედ გაილაშქრა კაიტაგების ქვეყანაში და დერბენდში დაბრუნდა.

საერთოდ, ჩრდილო კავკასიის დამორჩილებას თემური უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევდა, რადგანაც, მიუხედავად რვაჯერ შემოსევისა, მსოფლიოს ამ დამპყრობელმა ვერ შეძლო საქართველოს დამორჩილება, ბოლოს მას აუხსნეს, რომ საქართველო თავის საომარ ძალებს იღებდა ჩრდილო კავკასიიდან, ამიტომაც ჩრდილო კავკასიის დამორჩილების გარეშე ის საქართველოს ვერ დაიმორჩილებდა, რომელიც მხარს თოხთამიშს უჭერდა.

მართლაც, თემურმა განსაკუთრებული სისასტიკით იომა ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებთან, სასტიკად დაამარცხა და ამოხოცა იქაური მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ამით მთლიანად შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე,

მათი ქმედების წესი ასეთი იყო: ისინი გამარჯვების შემდეგ ერთად აგროვებდნენ დამარცხებული სოფლის მოსახლეობას, შემდეგ მათგან ამოირჩევდნენ ხელოსნებს. ამ ხელოსანთა გარდა ყველა სოფლელს ხოცავდნენ, ხელოსნები კი მონები ხდებოდნენ, მათ ინაწილებდნენ. წლების შემდეგ მონებისაგან ქმნიდნენ ახალ სოფლებს, სადაც უკვე ზედა ფენა შემოსული ხალხი იყო, ხოლო ქვედა ფენა ადგილობრივი ეთნოსი, თაობათა მანძილზე იქმნებოდა ახალი ხალხი შემოსულების ენითა და ადათ-წესებით, ჩვევა-წარმოდგენებით.

ახალი და ძველი მოსახლეობის ურთიერთ შერევით ჩრდილო კავკასიაში ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსები და ახალი ენები.

კავკასიის მაღალ მთიანეთში მცხოვრები ქრისტიანები – ამჟამინდელ ჩეჩნეთ-ინგუშეთსა თუ იალბუზის ოლქში – მედგრად იბრძოდნენ თემურის მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ. თემურს მათ დასამარცხებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. გამარჯვების შემდეგ თემურმა ჩვეული სისასტიკით ამოხო-

ცა მოსახლეობა, დაანგრია ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები და სამლოცველოები. ეს იყო საქართველოს სახელმწიფოს დამცველი ჩრდილოეთი კედლის მორღვევა.

რელიგია. ჩრდილო კავკასიაში მონღოლების შესვლის შემდეგ თანდათან გავრცელდა ისლამი. აქ თავისი საქმე შეასრულა ოქროს ურდომ, სადაც მე-13, მე-14 სს. განმტკიცდა მუსულმანობა. თემურამდე მაინც ჩრდილო კავკასია ქრისტიანული მხარე იყო, ამიტომაც თემურმა წამოიწყო დიდი „ომი სარწმუნოებისათვის“, ანუ უსასტიკესი ომი ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ. მე-15 ს. მუსულმანობა გავრცელდა ცენტრალურ კავკასიაში, ყაბარდოელთა შორის. დაღესტანში დაუნდობელ ფანატიკოსებს ე.წ. გაზიებს, „ისლამის მებრძოლებს, მუდმივი და დაუსრულებელი ასპარეზი გაეხსნათ ქრისტიანთა წინააღმდეგ, რომელიც დაუცველ ცხვრის ფარად იქცა. სამხრეთ და ცენტრალურ დაღესტანში გავრცელებული ისლამი ამ საუკუნეში ავარიაშიც გავრცელდა. ჩრდილო კავკასიაში ისლამის საქადაგებლად ჩამოვიდნენ შეიხები ირანიდან, ერაყიდან, იემენიდან, ბუხარიდან და მუსულმანური აღმოსავლეთის სხვა ადგილებიდან.

ამის მიუხედავად, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი რაიონის მცხოვრები კვლავინდებურად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა. ეკლესიის იურისდიქცია ამ მხარეებში ძალზე შეიზღუდა.

ასევე შეიზღუდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში. მე-13 საუკუნეში ზიხიისა და ალანიის ეპარქიები გაერთიანდნენ. ამ დროისათვის ალანიის ეპარქია მოიცავდა ყირიმსა და ტამან-დონისპირეთს და არა საქართველოს მეზობელ ოლქს. 1317 წლისათის ის კვლავ დამოუკიდებელი გახდა.

ძალზე ცდებიან წიგნის „История народов Северного Кавказа с древнейших времен до-конца XVIII в.“ ავტორები, როცა ისინი მიიჩნევენ, რომ სოტირიოპოლის ეპარქია იყო იგივე აბაზგიის ეპარქია და თითქოსდა 1347 წლისათვის ალანიის ეპარქია შეუერთდა აბაზგიის, ანუ სოტირიოპოლის ეპარქიას, თითქოსდა ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობდნენ ბიჭვინთისა (პიცუნდის) და აბაზგიის ეპარქიები.

ეს ასე არ იყო. სოტირიოპოლი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში. იმის გამო, რომ სინოდის განსაზღვრებით, „ალანები მომთაბარე ხალხია და არა აქვთ ქალაქები“, ამიტომაც, როგორც წყაროშია ნათქვამი, კონსტანტინოპოლმა სოტირიოპოლის კათედრა ტრაპეზუნტთან ახლოს გადასცეს ალანიის მღვდელმთავარს. თვით ალანიის ეპარქია კი დონისპირეთის სტეპებში მდებარეობდა, სადაც მომთაბარე ალანებს არ ჰქონდათ ქალაქები და საკათედრო ეკლესიები.

აფხაზეთი – არა კონსტანტინოპოლის, არამედ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს იყო ორი სხვადა სხვა საპატრიარქო. ამიტომაც, ცხადია, აფხაზეთში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ალანიის ბიზანტიელი ეპისკოპოსის კათედრა,

ბიზანტიური ალანიის ეპისკოპოსი თავის იურისდიქციას ავრცელებდა აზოვსა და ტანაისში (В 1347 г. аланский митрополит исполнял свои функции среди православных жителей Танаиса (Азова) и Сарая).

ბიზანტიისათვის ალანიის ეპარქია იყო დონისპირეთ-აზოვ-ტანაისისა და სარაის მომცველი. აქ თანდათანობით ქრებოდა ქრისტიანობა, ამიტომაც ბიზანტიური ალანიის ეპარქია დოკუმენტებში ბოლოს მოიხსენიება 1366 წელს, ზიხიისა კი – 1398 წელს. ალანია და ზიხია ეკლესიურად, როგორც ითქვა, მოიცავდა ყირიმსა, ტამანს, დონისპირეთის სტეპებს და არა კავკასიის ალანიას, რომელიც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ი. ბარბარო წერდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თათართა შორის ისლამი განმტკიცდა მხოლოდ ედიგეის (1397–1419) მმართველობისას.

(И. Барбаро писал, что среди проживающих на Северном Кавказе татар ислам утвердился лишь во время правления Едигея (1397–1419 гг.)

ედიგეის მმართველობა განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რადგანაც ედიგეიმ, ოქროს ურდოს სახელოვანმა მთავარსარდალმა და მმართველმა ჩამოიყვანა თავისი სინო – ენისეური ენის მატარებელი ხალხი, ანუ ურდო – დასავლეთ ციმბირ – კასპიისპირეთიდან და ის გააბატონა (ჩაასახლა) ჩრდილო კავკასიაში. ედიგეის ამ ულუსის ხალხს ეწოდა ადიღეველები და ისინი კავკასიაში მხოლოდ ედიგეის შემდეგ გამოჩნდნენ, მაშასადამე, მე-14 ს. ბოლოსა და მე-15 ს. დასწყისში.

ედიგეის, ანუ ადიღეს ამ ხალხმა საბოლოოდ დაიმორჩილა ჩერქეზები და სხვა ჩრდილო კავკასიური ტომები.

საბოლოოდ, ედიღეის ურდოს მიერ ასიმილირებული ტომები ერთიან ერთ ხალხად იქცა და მათ დაერქვათ ადიღეველები, დიდი წინამძღოლის ედიგეის სახელის მიხედვით. ისინი გაბატონდნენ ჩრდილო კავკასიაში შავი ზღვიდან თერგამდე და დაღესტნამდე. მათ დაიმორჩილეს ზიხების, აბაზების ტომები, მათი გადარჩენილი ნაწილის ასიმილიაცია მოახდინეს და სხვა დამორჩილებული ხალხების ბაზაზე წარმოქმნილ ახალ ადიღეურ ხალხში გააერთიანეს, იქცნენ ერთ ხალხად.

ჩრდილო კავკასიაში შემოსულებმა თან მოიტანეს პირველყოფილი სარწმუნოებრივი წარმოდგენები. მათ მიერ ქრისტიანთა ასიმილაციის მიერ ერთმანეთს შეერწყა მათი ქრისტიანულ – წარმართული შეხედულებები,

მსგავსი ვითარება იყო შემდგომ ინგუშეთში. იქამდე ეს ტერიტორია ქრისტიანული იყო, ქართულენოვანი წირვა-ლოცვით და შემეცნებით, ომიანობის დროს ისინი სისხლს ღვრიდნენ საქართველოსათვის, მაგრამ მეზობელ (დაღესტნელ) მუსულმანთა მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის, მათი გაბატონებისა და ქრისტიანთა დახოცვა – განდევნა – დამორჩილების შემდეგ ჩამოყალიბდა დვალეთის მსგავსი ორფენოვანი ახალი ეთნოსი, მაღალი ფენა შემოსული დამპყრობლები, დაბალი კი – ადგილობრივთა ფენა იყო, ამ ფენების ურთიერთშერევით ჩამოყალიბდა ერთიანი საზოგადოება, ახალი ეთნოსები, თავიანთი ახალი შემეცნებით, რომლისათვისაც უკვე უცნობი იყო ეკლესიებისა და კოშკების მშენებლობა, რადგანაც ისინი მათ აღარ ესაჭიროებოდათ. იქამდე

კოკები თავდაცვის საჭიროებისათვის ესაჭიროებოდათ იქაურ ქრისტიანებს, სწორედ ამ უცხოელთაგან დასაცავად. ისლამის გამარჯვების შემდეგ კოშკების თავდაცვითი ფუნქცია დაიკარგა, ახლა უკვე, ამ ყოფილი საბრძოლო კოშკების პირველი სართული მონა – ქრისტიანების სატუსაღოებად იქცა, სხვა სართულები კი საცხოვრებლად.

მე-16 საუკუნის 50-იან წლებში სამეგრელოს მმართველმა დადიანმა ზავი დადო ჩერქეზებთან, რამაც სამეგრელოს საშუალება მისცა აეგო ანდა განეახლებინა, მოემზადებინა თავდაცვითი ნაგებობები. ეს საქმე გაგრძელდა ლევან დადიანისა და ქართველი (მოქველი, დრანდელი, და ბედიელი) ეპისკოპოსების მიერ. აიგო ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედლის“ მთავარი ნაწილი, კოდორ-კელასურიდან ვიდრე ენგურამდე

ზავი დაირღვა მე-17 საუკუნეში, როცა ლევან მეორე დადიანს აუჯანყდა თავისი ყოფილი სიმამრი – აფხაზეთის მთავარი.

იმჟამად საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის, არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, გადიოდა მდ. კოდორზე. ამავე დროს ბიჭვინთის ჩათვლით ზღვისპირეთს სამეგრელო აკონტროლებდა. ლევანი გმირულად უმკლავდებოდა ადიღებს.

ამ დროისათვის ლევან დადიანმა ძალზე დაამცირა და გააძევა აფხაზთა მთავრის ქალიშვილი, თავისი მოღალატე ცოლი. ამით ისარგებლეს ადიღებმა და ძალზე განაწყენებულ აფხაზებთან კავშირი შეკრეს იმდენად, რომ ადიღეური ძალების ხელში აღმოჩნდა აფხაზეთი.

სამეგრელოს მოსახლეობა გრძნობდა იმ კატასტროფას, რაც მათ ელოდათ ადიღების შემოჭრის შემთხვევაში. ამიტომ ისინი გმირული თავდადებით აშენებდნენ ადიღე-აფხაზებისაგან თავდაცვით უდიდეს ზღუდე-კედელ-გალავანს. როგორც ითქვა, მათ სამეგრელოს (მთის მხრიდან) შემოარტყეს 100 კილომეტრი სიგრძის გალავანი, რომელსაც ამჟამად „აფხაზეთის დიდ კედელს“ უწოდებენ. თვითმხილველი უცხოელი დამკვირვებლების სიტყვით, მისი სიგრძე იყო 60000 ნაბიჯი, და მას, ვახუშტის სიტყვით, აგებდა ლევან მე-2 დადიანი და ეპისკოპოსები დრანდისა, მოქვისა და ბედიისა.

ლევან მე-2 დადიანის გარდაცვალების შემდეგ ეს კედელი გადმოლახეს ადიღე-აფხაზებმა და ნაცარტუტად აქციეს აყვავებული სამეგრელოს მთავარი ნაწილი – ამჟამინდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები, მოსპეს წირვა-ლოცვა იქაურ ეკლესია-მონასტრებში. აღნიშნული კათედრები გაუქმდა, აფხაზეთის კათალიკოსმა და მღვდელმთავრებმა დატოვეს რეგიონი. ათასწლობით ნაგროვები საეკლესიო საგანძური – შესაწირები დაიტაცეს, ხალხი დახოცეს ან მონებად აქციეს, ანუ ადიღებმა სამეგრელოშიც გააგრძელეს ჩრდილო კავკასიაში დაწყებული საქმე.

აქაც აფხაზეთსა და სამეგრელოს დაპყრობილ ნაწილში (ამჟამინდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში) ჩამოყალიბდა ორ-ფენოვანი ახალი ეთნოსი – მაღალი ფენა – ადიღეური ენითა და შემეცნებით, დაბალი ფენა კი – დამორჩილებული ქრისტიანებისა (მეგრელები-აგირუები, გურულები-აგურები), რომლებიც წარმართდებოდნენ ასეთ პირობებში. ამ

ახალ ხალხს ქვეყნის სახელის მიხედვით აფხაზები დაერქვა, ძველი აფხაზები სხვა ეთნოსი იყო, ახალი კი – სხვა, თუმცა ამ ახალში ძველის სისხლიც ერია.

ოსეთში ქართველი მეფეები, აღნიშნული წიგნის ცნობით, აშენებდნენ ეკლესიებსა და სალოცავებს, ზრუნავდნენ წირვა-ლოცვის შესაბამისი წესით აღსასრულებლად. ამიტომაც ეკლესიებს წირავდნენ შესაბისს ნივთებს. მოაღწია ქართველი მეფეების მიერ რეკომისა და ძევგისის ქართველი მეფეების მიერ შეწირულმა ზარებმა.

ოსეთში ქართული ზარები, ინგუშეთში ქართული საეკლესიო ხელნაწერები და დაღესტანში სეფისკვერის ქართულ წარწერიანი საბეჭდავი კარგად გამოხატავს ქართული ეკლესიის იურისდიქციის ჩრდილო საზღვარს.

ალაგირი, ქურთათი და სხვაა ხეობები ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში. მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩამოაცილეს თბილისის გუბერნიას დვალეთის ერთი ნაწილი და შეუერთეს რუსულ გუბერნიებს. მეფე გიორგი მე-11-ის დროს ალაგირის და ქურთათის საზოგადოებები ქართლის სამეფოში შედიოდა და მათ იყენებდა სამხედრო ოპერაციებისას.

ქართული ენა გავრცელებული იყო მცირე ყაბარდოშიც კი. (по словам Эвлия Челеби (1666 г.), в Малой Кабарде пользовались и грузинским языком). ევლია ჩელების ეს ძალზე საყურადღებო ცნობა მიუთითებს, რომ მცირე ყაბარდოში შემდგომ მისულ ადიღეს ხალხს ადგილზე დახვდა ქართულენოვანი მოსახლეობა. ამიტომაც მცირე ყაბარდოში ევლიას დროს ჯერ კიდევ ხმარობდნენ ქართულ ენას.

აქვე ევლია ჩელები იძლევა ცნობას, რაც მიუთითებს, რომ შემდგომში ჩრდილო კავკასიაში ჩამოსული ადიღები იქ მისულები იყვნენ სამხრეთ რუსეთის ველებიდან. ამიტომაც, ევლიას სიტყვით, ტერკის ადიღები რუსულ ენას ფლობდნენ. В 1638 г. А. Олеарий писал, что адыги в Терках «почти все умеют говорить по-русски» ევლია ჩელების ცნობა, რომ მცირე ყაბარდო ქართულენოვანი იყო, ამართლებს თეიმურაზის ცნობას, რომ ჩეჩენ-ინგუშები ქართულენოვანები იყვნენ დვალ-სვანებთან ერთად. ევლია ამას ადასტურებს, რადგანაც მცირე ყაბარდოც კი ქართული ენის მომხმარებელი იყო მე-17 საუკუნეშიც კი. მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ქართულენოვნებას განამტკიცებდა იქ გავრცელებული ქართული დამწერლობა В горной Чечне и Ингушетии, как указывалось выше, бытовала грузинская письменность

როგორც ითქვა, ქართული დამწერლობის ნაშთები დაღესტანში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ავარიის თითქმის ყველა სოფელშია მოპოვებული.

ისევე, როგორც ადრე საუკუნეებში, რუსეთის გაბატონების დროსაც, ქართველები იყვნენ ჩრდილო კავკასიელი ოსების განმანათლებლები, მაგალითად, Моздокским архнеш пом Гаем (Гайос Бараташвили) совместно со свя щенником Павлом Гонпауровым (Кесаевым) была составлена осетинская азбука на основе перкошго – славянского алфавита ეპიკოპოსმა გაიოზ ბარათაშვილმა ოსებს შეუქმნა ანბანი. Горцы Дагестана, ногайцы, чеченцы (кроме жител-

ей соседних с Грузией районов) исповедовали ислам, причем население Восточной и предгорной Чечни и предгорной Ингушетии было мусульманским еще в XVI в., в то время как большинство населения горной Чечено-Ингушетии приняло ислам лишь в XVII–XVIII вв.

მე-16, მე-18 საუკუნეებისათვის დაღესტნელებმა, ნოღაელებმა, ჩეჩნებმა მიიღეს ისლამი, საქართველოს მეზობელი მხარეების გარდა, ისინი იქამდე ქართველი ქრისტიანები იყვნენ და კოშკებს აშენებდნენ მუსულმანებისაგან თავდასაცავად, გამუსულმანების შემდეგ, მთლიანად შეიცვალა მათი შემეცნება და ცხოვრების წესი, იქამდე აგებდნენ კოშკებს მუსულმანთაგან თავდასაცავად, გამუსულმანების შემდეგ უკვე აღარ ესაჭიროებოდათ კოშკები.

ჩეჩნეთ – ინგუშეთის მთის მოსახლეობამ ისლამი მხოლოდ მე-17, მე-18 სს.-ში მიიღო.

1744 წ. პეტერბურგში მიიღეს დადგენილება ოსეთში მისიონერთა გაგზავნისა და ქრისტიანობის აღდგენის შესახებ. ცენტრი იყო მოზდოკში. Еще ранее Осетия подверглась христианизации со стороны Грузии. Сохранился колокол, пожертвованный в 1663 г. грузинским царем Георгием жителям Цейского ущелья «для молитвы, kob соберутся сюда... из Дигории и Двалетии».

ადიღების მთავარ ღმერთად ითვლებოდა ტხაპტხო, ყარაჩაელებისა და ბალყარელებისა – ტეირი, აბაზინებისა – იაჩვა, ჩეჩენ-ინგუშებისა დელა, ოსებისა – ხუცაუ Главным божеством адыги считали Тхаптхо карачаевцы и балкарцы – Тейри, абазины – Ячва, чеченцы и ингуши – Дела (დალი), осетины – Хуцау (ხუცავი).

ესა ქართული ხუცავი – ხუცესი და დალი Среди мусульман Северного Кавказа даже в конце XVIII в. сохранились многочисленные остатки христианства. Адыги почитали за пророка Аус Герга, т. е. Иисуса, пророка Илию называли Яллия.

Особое уважение оказывалось христианскому святому Георгию, именем которого балкарцы называли вторник. Именем Марии – христианской богоматери – назван не только определенный день недели («мэрэм»), но и многие места, где были установлены каменные столбы или сложены груды валунов, почитаемые как священные. Как и у православных, у кабардинцев и балкарцев «мэрэм» (день Марии) считали праздничным, нерабочим днем. ქართული იურისდიქციის ნაშთი.

წიგნის ავტორები წერენ: არხიზთან ახლოს მდინარეების ტებერდას, ყუბანისა და ურუპის რეგიონში ქრისტიანები ცხოვრობდნენ. აქ თებერდასა და ყუბანის სათავეებთან აიგო შესანიშნავი ქართული ეკლესიები შოანასა და სენტისა, ურუპის ხეობაც ქრისტიანებით იყო დასახლებული, არქეოლოგების მიერ ამჟამინდელ ილიჩევსკთან აღმოჩენილია ნაქალაქარი ქრისტიანული ეკლესიების ნაშთებით. ილიჩევსკის ეკლესიები ქართული დარბაზული ერთაფსიდიანი ტიპიური ეკლესიაა, რაც, წიგნის ავტორების სიტყვით, მიუთითებს მის მშენებლობაში ქართველი ოსტატების monawileobas (могут указывать на участие грузинских мастеров в их строительстве).

ძალზე მნიშვნელოვანია წიგნის ავტორების აღიარება, რომ აღმოსავლეთ ალანიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობას აღასრულებდა ქართული ეკლესია (На территории Восточной Алании и Северо-Восточного Кавказа миссионерская деятельность осуществлялась грузинской церковью). ქართული წყაროების ცნობებითა და ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული ქართული ეპიგრაფიკული მასალით კარგად ჩანს, რომ ეს ვრცელი რეგიონი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ზოგიერთი გამოკვლევა ჩრდილო კავკასიის საეკლესიო იურისდიქციის შესახებ

ამჟამად რუსულ საინტერნეტო სივრცეში მტკიცედაა დამკვიდრებული ტენდენცია, როგორმე არ წარმოაჩინონ ჩრდილო კავკასია ქართულ ეკლესიასთან კავშირში,

იქამდეც კი მიდის ქართული კვალის უარყოფა, რომ ქართულ წარწერების ნაშთებს ეკლესიათა ფრესკებზე „ძველ ალანურ“ დამწერლობას უწოდებენ მაშინ, როცა „ძველი ალანური“ დამწერლობა, საერთოდ, თუკი ბუნებაში ასეთი არსებობდა, არ გამოიყენებოდა წირვა-ლოცვის, ანუ ლიტურგიკის ენად (თუმცა კი დიდი სურვილია მსგავსი სახით მისი წარმოჩენისა) და, შესაბამისად, ეკლესიებშიც ამ ენაზე არ აკეთებდნენ ფრესკათა წარწერებს.

საზოგადოდ, ეკლესიები შენდებოდა, რათა ერთად შეკრებილი ქრისტიანები ზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ანუ წმ. ლიტურგიის აღსასრულებლად. ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეკლესიები ქალკედონიტურ – მართლმადიდებლური მიმართულებისა იყო, და არა მონოფიზიტური. შესაბამისად, ლიტურგია ამ რეგიონში აღესრულებოდა ბერძნულ ანდა ქართულ ენაზე – ქალკედონიტთა ენებზე. ძველ ალანურ ენაზე ამ რეგიონში ან სხვაგან, როგორც ითქვა, ლიტურგია არ აღესრულებოდა,

შესაბამისად, ლიტურგიული ენის მიხედვით, მართლმადიდებელთა ეკლესიაში ფრესკებზე კეთდებოდა წარწერები ამ მოცემულ (ბერძნულ და ქართულ) ენებზე საეკლესიო კანონიკის მიხედვით, ანუ ეკლესიაში აღვლენილი ლიტურგიის ენისა და იურისდიქციის შესაბამისად.

ჩრდილო კავკასიის ეკლესიებში ფრესკებზე წარწერები უნდა გაკეთებულიყო, როგორც ითქვა, ეკლესიაში ნებადართული ლიტურგიკული ენის მიხედვით, ანუ ქართულად და ბერძნულად.

ქართულ ეკლესიაში, ზოგადად, ბერძნული ენა მიღებული იყო, ვითარცა მართლმადიდებელი სარწმუნოების, ქალკედონიტური მიმართულების გამოხატვის საშუალება. ამიტომაც ქართულ ეკლესიებში ქართულთან ერთად ბერძნული წარწერებიც კეთდებოდა.

თითქმის იშვიათია ქართული ეკლესია, რომელთა ფრესკაზე ქართულთან ერთად ბერძნული წარწერაც არ იყოს გამოყენებული. ამიტომაც ჩრდილო კავკასიის ეკლესიათა ფრესკებზე უნდა ვეძიოთ ქართული და ბერძნული წარწერები, რომელიც კეთდებოდა მე-14 საუკუნემდე, თემურ ლენგის შემოსევამდე და ერთი-ორი საუკუნე კიდევ მის შემდეგ, მაღალი მთის რეგიონებში.

მე-19 და მე-20 საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის ეკლესიები, ნაეკლესიარები და სალოცავები მკვლევარებს მძიმე მდგომარეობაში დახვდათ. მათ იხილეს ფრესკები მრავალრიცხოვანი წარწერებით. ამ წარწერებიდან მკვლევარებმა ადვილად ამოიცნეს ბერძნული წარწერები, მაგრამ მათთვის გამოცანად იქცა ქართული წარწერები. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორია ძალზე დამცრობილი იყო. ეს ეკლესიები ისეთ რეგიონებში მდებარეობდნენ, რომ ქართული კვალი მკვლევართათვის იქ ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ამიტომაც შეუდგნენ მკითხაობას, თუ რომელ ენას მიეკუთვნებოდა უცნობი ასოებით შესრულებული წარწერები. მათი დასკვნები იყო მოულოდნელი, ქართულ წარწერებსა და მათ ნაშთებს ისინი მიაკუთვნებენ სხვა და სახვა ენებს. ამჟამად, უფრო მეტად, ამ წარწერებს მიაკუთვნებენ, როგორც ითქვა, ე.წ. ძველ ალანურს, თუმცა მეტი სინდისიერებით გამოირჩეოდნენ რევოლუციამდელი რუსი მკვლევარები (მაგალითად, მილერი, ტარასოვ-დიაჩკოვი და სხვები), რომელნიც აქ პოულობდნენ ქართულ ნაკვალევს და საგულდაგულოდ არ ცდილობდნენ მათ დაფარვას ამჟამინდელ მკვლევართა მსგავსად.

ალანურ კულტურად ჩრდილო კავკასიის სიძველეთა უპირობო გამოცხადებას რუსულ სამეცნიერო სივრცეში თავისი პოლიტიკური მიზეზი აქვს.

დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, როცა ამჟამინდელი პოლიტიკური მიზეზები არ არსებობდა, ჩრდილო კავკასიის დასავლეთ რეგიონში არსებულ არქიტექტურის ნაშთებს მიიჩნევდნენ არა ალანების, არამედ ფრანგების, გენუელებისა და ინგლისელების აგებულადაც კი (ვ. სისოევ, კარაჩაივ გეოგრაფიჩესკომი ისტორიჩესკომ ოტნოშენიი, სბორნიკ მატერიალოვ დლია ოპისანია მესტნოსტეი იპლემენ კავკაზა, ვიპ, 43, ტიფ, 1913, ს. 112, ამასვე წერს მიზიევი), რადგანაც ვერც მაშინ წარმოედგინათ ქართული ეკლესიის გავლენა ამ დაშორებულ რეგიონში, თუმცა ამ ნაშთებს ძველი მკვლევარები არც ალანებს მიაკუთვნებდნენ.

შეიცვალა დრო, რუსეთის იმპერიის ფორმები.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სამეფოები და სახელმწიფო ერთეულები, მიიერთა ისინი და მოსპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც მას ხელს უშლიდა კავკასიელი ხალხების სწრაფ გარუსებასა და ასიმილიაციაში. პარალელურად, ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხმა, ოსების გარდა, გაბედა ანტირუსული განწყობების გამოვლინება (დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღე-ჩერქეზეთი და სხვა), რამაც რუსეთის იმპერიულ წრეებში სიმპატიები დაბადა ოსების, ვითარცა იმპერიის ერთგული ხალხის, მიმართ.

21-ე საუკუნეში საქართველომ რუსეთის სახელწიფოს წინააღმდეგობა გაუწია, როცა მან გაბედა თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა აფხაზე-

თსა და სამხრეთ ოსეთში, რამაც ძალზე გააღიზიანა რუსული მმართველობა. ამჯერადაც, მხოლოდ ოსები, კავკასიის მთიელ ხალხთა შორის, იჩენდნენ მუდმივ, მყარ ერთგულებას რუსების მიმართ.

ყველა საუკუნეში გამოვლენილი ერთგულების დასაფასებლად რუსებმა ოსებს არა მარტო მეზობლების მიწები გადასცეს საჩუქრად (ქართველებისა, ინგუშებისა, ყაბარდოელებისა და სხვათა), არამედ თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს ოსებს საჩუქრად უძღვნან ისტორიული და კულტურული წარსული მეზობელი ხალხებისა და ასევე გამქრალი ცივილიზაციებისა, კერძოდ, ოსები გამოაცხადეს მემკვიდრეებად ალანების დიდი ხალხისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ალტაიდან ვიდრე დუნაიმდე ცხოვრობდა ტომთა ჯგუფების სახით.

არის მცდელობა და უკვე მეცნიერულ ჭეშმარიტებადაა მიღებული მტკიცება იმისა, რომ ოსებს ეკლესიურადაც ეკუთვნის ჩრდილო კავკასიის ქრისტიანული მემკვიდრეობა. კერძოდ, თითქოს, ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციას წარმოადგენს ჩრდილო კავკასიის უდიდესი ნაწილი, მათ შორის ინგუშეთის ტყობა-იერდი და ჯავის რაიონიც (რუსულ პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში), ისტორიულ აფხაზეთსა და სვანეთში მდებარე ზელენჯუკ არხიზის, ასევე სენტისა და შუანას ეკლესიები. ამასთანავე, „სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევები იბეჭდება მტკიცებით იმისა, რომ თითქოსდა ამ არეალზე ლიტურგიკა ოსურ ენაზე აღესრულებოდა და თითქოსდა ძველი ალანურ-ოსური დამწერლობაც კი არსებობდა. ამ უსაფუძვლო თეორიის ძირითად მამტკიცებელ საბუთად მიიჩნევა საეჭვოდ გაშიფრული ე.წ. ზელენჯუკის წარწერა (საფლავის ქვაზე ბერძნული ასოებით შესრულებული წარწერა). ეს იმ დროს, როცა ჩრდილო კავკასიაში ლიტურგიკაში რეალურად გამოყენებოდა ქართული საეკლესიო ენა თავისი დამწერლობით (ხუცური ასოებით) და თავისი ხუცესებით (სამღვდელოებით), ამ უკანასკნელთა ავტორიტეტი ისე დიდი იყო ჩრდილო კავკასიაში, რომ ქართული სიტყვა „ხუცესიდან“ მიღებული სიტყვა „ხუცავ“ ინგუშურსა, ოსურსა და ავარულის დიალექტებში „ღმერთსაც“ კი ეწოდება, შესაბამისად, მათი (ამ ხუცების) „ხუცური“ დამწერლობა საღმრთო სიტყვის ნიშნად მიიჩნეოდა ჩრდილოკავკასიური ტომების მიერ. ხუცური ასოები კი მრავალ არტეფაქტზეა დაფიქსირებული ჩრდილო კავკასიაში.

ამჟამად ჩრდილო კავკასიური ქართული წარწერები იგნორირებულია და, ამასთანავე, შეგნებულად განადგურებულიც კი სხვადასხვა მოტივით სხვადასხვა დროს.

ამის ძირითადი მიზეზია რუსული წრეების მუდმივი უკმაყოფილება საქართველოს მიმართ დამოუკიდებელობის ძიებისათვის, რაც, სამწუხაროდ, აისახა სამეცნიერო გამოკვლევებშიც, ერთი ასეთი მაგალითია თვით ყველაზე პროქართულად განწყობილი მკვლევარ ვლ. კუზნეცოვის ნაშრომიც კი – „ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში მე-15 საუკუნემდე“.

https://blagos.ru/sites/default/files/kuznetsov–2002–1.pdf

ამ ნაშრომში თითქმის არცერთი საეკლესიო ნაგებობა ჩრდილო კავკასიისა არაა დაკავშირებული ქართულთან, ის მათ აკავშირებს უფრო ალანურთან, მაგრამ ტენდენციურობა მჟღავნდება ასევე ძირეული საკითხების მიმართ. მა-

გალითად, ავტორს უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია ფაქტი იმისა, რომ გრიგოლ განმანათლებელი ისტორიული პირი იყო, ხოლო ქართველთა განმანათლებელს წმიდა ნინოს მოღვაწეობას ლეგენდარულ გადმოცემას უწოდებს. ეს მაშინ, როცა წმიდა ნინოს რეალურ ისტორიულ პიროვნებას უწოდებდნენ თითქმის მისი თანამედროვე ისტორიკოსები გელასი კესარიელი, სოკრატე, სოზომენი, მოვსეს ხორენაცი და სხვანი. მეორე ათასწლეულის დასაწყისიდანაც თითქმის მე-17 საუკუნის ჩათვლით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის არეალად რომ მიიჩნეოდა ჩრდილო კავკასია, მიუთითებს მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერის, ეთნოგრაფის არქანჯელო ლამბერტის ცნობა, რომელიც მან მოგვცა თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“ (http://meufeanania.info/wp–contentuploads/2015/04samegrelo.pdh), რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ჩრდილო კავკასიას და აღწევდა კაფამდე, კავკასიის ვრცელ არეალზე, კაფადან – არზრუმამდე, წერს ის, მრავალი ქართული ეკლესია მდებარეობს ქართული წარწერებით. მისი ამ ცნობიდან ჩანს, რომ არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ იქვე, ისტორიულ ჩრდილო სვანეთსა და აფხაზეთის სვანეთში მდებარე ცნობილი არხიზ-ზელენჯუკის, შოანასა და სენტის ტაძრები ქართული ეკლესიები იყვნენ. vl. kuznecovi wers: «Официальной датой крещения Иберии – Картли считается 337 г., а распространение христианства здесь связывают с легендарной деятельностью «просветительницы Грузии» Нино (впрочем, по мнению некоторых грузинских историков, это предание «сохранило отголоски реально случившихся событий»).

ამასთანავე, კუზნეცოვს არ სურს დაინახოს მთიან კავკასიაში ქარული ეკლესიის კვალი, მაშინ, როცა ამ ვრცელი რეგიონის ქრისტიანულ წარსულს აკავშირებს სომხურთან, ის წერს: «И историки не без оснований ставили вопрос о роли Армении в распространении христианства в других странах Закавказья, а затем и горного Кавказа».

ლაზიკის გაქრისტიანებას გელასი კესარიელი და სხვა ძველი ბერძენ–რომაელი ისტორიკოსები აკავშირებდნენ წმ. ნინოსთან, რომელმაც ლაზები და იბერები გაანათლა მე-4 საუკუნეში.

ვლ. კუზნეცოვი კი ამ თარიღს ცვლის: «В Лазике – Западной Грузии христианство официально утвердилось позже – в 523 г.; в 60–70-х годах».

ქართული წყაროების მიხედვით, მეფე ფარნავაზის შემდეგ დასავლეთ საქართველო მუდმივად შედიოდა ქართლის სამეფოში, ანუ იბერიაში, აქ ქართველ მეფეებს ჰყავდათ ეგრისისა და არგვეთის ერისთავები, ანუ ადმინისტრაციული მოხელეები, წმ. ნინოს დროსაც მეფე მირიანი, წყაროს ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად განაგებდა – „ეგურს“, ანუ დასავლეთ საქართველოს. მეფე ვახტანგ გორგასალმა, წყაროსავე ცნობით, ბიზანტიელთა ბატონობისაგან გაათავისუფლა და კიდევ უფრო გააფართოვა იბერიის საზღვრები ამ მიმართულებით. ვლ. კუზნეცოვის სიტყვით კი, ვახტანგ გორგასალი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო, სადაც გამოაცხადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ის წერს: «IV в. армянский епископ становится независи-

мым католикосом, а во второй половине V в. при царе Вахтанге Горгасале автокефальным (независимым) католикосом становится и епископ Восточной Грузии».

ცხადია, მკვლევარის ეს დასკვნა ეფუძნება საბჭოთა ეპოქის ქართველი ისტორიკოსების უმართებულო კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა თითქმის მე-10 საუკუნემდე. სინამდვილეში კი კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები: პეტრა, ზიგანა-ზიგანევი, როდოპოლისი და საისინი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ თანამედროვე თურქეთის ოლქში – ლაზისტანში. ჯერ კიდევ ცნობილმა ნიკოლოზ ადონციმ გამოიკვლია ეს საკითხი და მიუთითა მათი ლოკალიზაცია ტრაპეზუნტ-გუმუშხანეს რეგიონში, აქ მდებარე ზიგანას ქედისა და ზიგანას უღელტეხილთან. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ქართული მატიანეების ცნობით, ის მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ამიტომაც სვანეთსა, აფხაზეთსა თუ სამეგრელოში წირვა-ლოცვის ენა ტრადიციულად ქართული იყო, მრევლისა და ეპარქიების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ მე-7, მე-8 საუკუნეებში ქართული ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე დააყენა საკითხი დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი საეკლესიო-ადმინისტრაციული სამიტროპოლიტო ოლქის დაარსებისა ბიზანტიური მოდელის შესაბამისად (როდესაც ოლქის მმართველ იერარქს ექვემდებარებიან ადგილობრივი ეპარქიები და ეპისკოპოსები). მართლაც, დასავლეთ საქართველოში დაარსდა ქართული ეკლესიის ერთ-ერთი საკათალიკოსო მსგავსი უფლებებით. მას აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდა. ქართული წყაროს ცნობით, „830 წელს აფხაზეთის კათალიკოსი განაჩინა საქართველოს მეფემ ბაგრატმა“, ანუ მან საკათალიკოსოს მოწყობის სახე დაამტკიცა.

მტკიცება ჩრდილო კავკასიაში საქართველოს საეკლესიო გავლენის შესახებ ასევე აქვს ქართული წარმოშობის ოს მკვლევარს გაბარაევს. მისი კვლევით, მე-8, მე-9 საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის გავლენა ჩრდილო კავკასიაში უეჭველი იყო.

გაბარაევი იკვლევს, რომ ჩრდილო კავკასიის უშუალო მოსაზღვრე საქართველოში უკვე მე-4 საუკუნიდანვე ქრისტიანობას ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული. ამასთანავე, საქართველოს მეფეები პირადად იყვნენ დაინტერესებულნი ჩრდილო კავკასიის გაქრისტიანების საქმით და უშუალოდ მართავდნენ ამ პროცესს. ამის შესახებ გაბარაევი წერს: «Уже знакомый нам Иоанн Сабанисдзе указывает, что, попав с грузинским правителем Нерсесом через ворота Дариалан (Дарьял) в Хазарию, он был крещен пресвитером и что «в северной этой стране много селений и городов, которые живут беспрепятственно в вере христовой» (10,с. 49).

http://iratta.com /2007/06/22/14.–rasp rostranenie–khristianstva.html

გაბარაევი, ისევე, როგორც ზოგადად მისი მრავალრიცხოვანი თანამოაზრეები, არხიზ-ზელენკუკის, სენტისა და შოანას ეკლესიებს მიაკუთვნებს ოსურ კულტურას, ეკლესიურად – კი კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქიას.

მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ გედეონის ნაშრომი ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ

ჩრდილო კავკასიაში ქართული ეკლესიის იურისდიქციის კვლევა ნაკლებად შედიოდა ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესების სფეროში.

სამაგიეროდ, ეს ცარიელი ნიშა შეავსეს რუსულმა, ოსურმა, სომხურმა, დაღესტნურმა და სხვა სამეცნიერო ნაშრომებმა და ინტერნეტგამოცემებმა, სადაც ყოველი ღონისძიებით, მათ შორის, უკადრისი მეთოდებით ცდილობენ როგორმე წაშალონ ქართული ეკლესიის ნაკვალევი ჩრდილო კავკასიაში.

მათთან შედარებით შესანიშნავია მაღალყოვლადუსამღვდელოეს გედეონის ნაშრომი – „ქრისტიანობის ისტორია ჩრდილო კავკასიაში“ (Высокопреосвященный Гедеон, митрополит Ставропольский и Бакинский, История христианства на Северном Кавказе до и после присоединения его к России.

http://www.mission–centercom/islams/2ist.htm)

მიტროპოლიტი გედეონი აღნიშნავს, რომ საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმ. ანდრია პირველწოდებული ჩვენი 1-ლი საუკუნის 40-იან წლებში ქადაგებდა საქართველოსა და მის მთანეთში

(По церковному преданию, св. апостол Андрей в 40-м году нашей эры проповедовал христианское вероучение среди горских народов. (Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Тифлис, 1868. Т. II; 1874. Т. V; 1893. Т. XII, ч. II.) მეც ასევე აღვნიშნე წიგნში, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, რომ ანდრია 1-ლი საუკუნის 30-იან წლებში შემოვიდა საქართველოში.

ამ საეკლესიო გადმოცემათა შესახებ გედეონი მიუთითებს წყაროს – ორიგენსა და ევსევი პამფილიელს.

(Это предание было записано некоторыми авторами III–IV веков, например, Оригеном и Евсевием Памфилом. О пребывании апостола на Кавказе пишет и св. Дорофей (307–322), епископ Тирский. Апостол Андрей Первозванный также вел христианскую проповедь в Скифии по северо-восточному и восточному побережью Черного моря, в Ахайе, среди етран (торетов, керкетов),

მეუფე გედეონის სიტყვით, ანდრია ქადაგებდა კერკეტთა – ჩერქეზთა წინაპართა შორის.

(ჩემი კვლევით, განსხვავებით ამ აღიარებული თვალსაზრისისაგან, კერკეტები იყვნენ იგივე გერგეტები, გეორგეტები, ანუ გეორგები, ქართველური ტომები და არა ჩერქეზები. გერგეტები (კერკეტები) – ერთ-ერთი გეორგიანული, ანუ ქართული ტომი რომ იყო, ეტიმოლოგიის გარდა ასევე მიუთითებს კერკეტების უშუალო მეზობელი სინდების დედაქალაქის სახელი – გორგიპია, ასევე დაკავშირებულია „გეორგ“ სახელთან. ის ეტიმოლოგიურად გერგეტ-კერკეტების სახელს ასახავს, გეორგებს ჩრდილო კავკასიაში და ყირიმში ასახელებენ სტრაბონი, პლინიუსი და სხვები).

მეუფე გედეონი განაგრძობს:

მე-5 ს-ის დასაწყისის ავტორი ეპიფანე კვიპრელი წერს: „სიმონი და ანდრეა გაემგზავრნენ სოლანიაში და ქალაქ ფუსტში“, სოლანიის ქვეშ, გედეონის სიტყვით, იგულისხმება ალანია, ჩემი აზრით, კი სვანია (დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახელი მე-8 საუკუნემდე), შემდეგ ისინი მივიდნენ ქ. ფუსტსა და ავაზგიაში (სებასტოპოლისში).

ანდრია პირველწოდებილმა ავაზგიაში დატოვა წმ. სიმონ კანანელი და თვითონ გაემგზავრა ჯიქიაში.

ქართული წყაროები, კერძოდ, მოციქულ ანდრიას „ცხოვრება“ ეთანადება მეუფე გედეონის შეხედულებას, რომ წმ. მოციქული შევიდა ოსეთში (ალანიაში) და შემდეგ ავასგიაში.

მე-8 საუკუნის შემდგომი ქართული წყაროები ავასგიის ქვეშ უკვე აღარ გულისხმობენ ეგრისს, არამედ აფხაზეთს, ხოლო ალანიის ქვეშ არა ჩრდილო კავკასიის სტეპების ალანიას, არამედ ე. წ. აფხაზეთის ალანიას, რომელიც ერთ-ერთი ნაწილი იყო კავკასიის ალანიისა.

კავკასიის ალანიის აღნიშნული ნაწილი, „აფხაზეთის ალანია“, აღნიშნულ დროს, ვახუშტის ცნობით, მოიცავდა ტერიტორის მდ. კლისურადან მდ. ბზიფისწყლამდე. ასე უნდა გავიგოთ წმ. ანდრიას „ცხოვრების“ ცნობა, რომ მოციქული ჯერ ალანიაში შევიდა, და შემდეგ კი აბაზგიაში, რასაც აღნიშნავს მეუფე გედეონი: Грузинское «Житие» апостола Андрея сообщает о нем: «Андрей с Симоном отправился в землю осетинцев и достиг города, Фостофором называемого». ეს იყო აფხაზეთის ალანია Там он многих обратил в христианскую веру и оттуда направил свои стопы в Абхазию, а затем в Севасте (Сухуми).

ამ წყაროში აფხაზეთი მოქცეულია ალანიის იქით. ამის მიზეზი, როგორც აღინიშნა, ისაა, რომ „ალანიის“ ქვეშ იგულისხმება ე.წ. აფხაზეთის ალანია, რომლის შესახებ წერდა ვახუშტი, რომ ის მდებარეობდა მდ. კლისურიდან ანაკოფიამდე. ეს ტერიტორია ბიზანტიელთა ნებით ალანი მეომრების ხელქვეშ იყო მოქცეული – ლაზიკისათვის ბიზანტია-სპარსეთის ომისას. ამიტომაც ეწოდა ამ მიწას ალანია.

ჯიქები რომ ყუბანის შესართავთან ცხოვრობდნენ, ჩანს, წმ. ანდრია მოციქულის ცხოვრებიდანაც. ანდრიამ ქ. ნიკოფსიასთან დატოვა წმ. მოციქული სიმონ კანანელი და თვითონ, იქვე, ჯიქებში, საქადაგებლად, ანუ უფრო ჩრდილოეთით გაემგზავრა. ჯიქებმა არ მიიღეს ქრისტეს ნათელი, სიმონი კი დაკრძალეს ნიკოფსიაში, ჯიქებთან ახლოს, ნიკოფსია ახლოსაა მდ. ყუბანის შესართავთან და დაშორებულია ამჟამინდელ აფხაზეთს, «Блаженный Андрей в сем городе оставил Симона Кананита с прочими учениками, а сам отправился в землю джигетов. Обитатели этой страны джиги... не приняли проповеди апостола, а искали случая умертвить его». Апостол Андрей принужден был удалиться, оставив джигетов в неверии. «Могила же Симона Кананита находится в городе Никополе (в древнем Никопсисе Зихийском), лежащем между Абхазией и Джигетией»[3].

ირინეოსი წერს, რომ პაპიმ კლიმენტმა, რომელიც იმპერატორმა ტრაიანემ ყირიმში, ხერსონესში, გადაასახლა, ქრისტიანობა გაავრცელა ყირიმსა და

მის ირგვლივ ტერიტორიებზე. მან ქრისტიანობა ყირიმის მეზობლად მდებარე იბერიის მხარეში გაავრცელა.

როგორ უნდა გავიგოთ ირინეოსის ნათქვამი, რომ წმ კლიმენტიმ ყირიმში გადასახლებულმა ქრისტიანობა ყირიმის მახლობელ ივერიაში გაავრცელა?

როგორც აღინიშნა, ივერია ერქვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსა და ასევე ჩრდილო კავკასიის შავიზღვისპირეთს ყირიმთან ახლოს (Беляев И. Русские миссии на окраинах. СПб., 1900), რომელიც დასახლებული იყო ობეზიებზე, ანუ ქართველი ხალხით.

მეუფე გედეონი წერს, რომ კირილე იერუსალიმელი, იოანე ოქროპირი, მოგვიანებით ი. ზონარა და თ. ბალსამლონი ახსენებენ ჩრდილო კავკასიაში ქრისტიან იერარქებს.

მიიჩნევა, რომ ოთხი ეპარქია იყო ზიხიაში – ფანაგორია, მეტრახე-ტამატარხა, ზიხოპოლისი და ნიკოპსე.

ზიხიაში (ჯიქეთი) მდებარეობდნენ ფანაგორიას, მეტრახეს (ტამატარხი), ზიხოპოლისისა და ნიკოპსის საეპარქიო ცენტრები ბიზანტიურ იურისდიქციაში.

სად მდებარეობდნენ ეს პუნქტები? როგორც აღინიშნა, ქართული წყაროებით, ჯიქეთი მდებარეობდა ძველი აფხაზეთის ბოლოში, რომელიც, ამ წყაროებისავე ცნობით, მდებარეობდა მდ. მცირისა ხაზარეთის (ყუბანისა) შესართავთან, ტამანის ნახევარკუნძულთან და არა თანამედროვე აფხაზეთის საზღვართან.

ზიხიის ბიზანტიური ეპარქია მოიცავდა ყუბანის შესართავს, ტამანსა და ყირიმს. ამ რეგიონში მდებარეობდნენ ზიხიის (ჯიქეთის) საეპარქიო ცენტრები და არა თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოეთით, რომელიც ნიკოპსიამდე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ამას აღნიშნავს მეუფე გედეონიც: Грузии удалось подчинить себе часть адыгов в церковном отношении Грузинские летописи свидетельствуют о том, что VI Вселенский Собор, проходивший во время правления грузинского царя Адарнаса I (613–639 гг.), подчинил Мцхетскому патриаршему престолу Осетию и Черкесию. კარგი მტკიცებაა ჩრდილო კავკასიაში ქართული იურისდიქციისათვის.

გედეონი წერს: „შემდგომში საქართველომ შეძლო თავის საეკლესიო იურისდიქციისათვის დაექვემდებარებინა ადიღეთა ნაწილი. ქართული მატიანეები მოწმობენ იმის შესახებ, რომ მე-6 მსოფლიო კრებამ, რომელიც შედგა საქართველოს მეფე ადარნასე I-ელის (613–639 წწ.) დროს, დაუქვემდებარა მცხეთის საპატრიარქო ტახტს ოსეთი და ჩერქეზეთი“, – წერს მაღალყოვლადუსამღვდელოესი გედეონი.

მისი კვლევით, მე-7 საუკუნეშიც ჩერქეზები და ოსები ქართულ იურისდიქციაში იყვნენ ქართველთა მეფე სტეფანოზ მეორის (639–663 წწ.) დროსაც. (В таком же духовном подчинении осетины и черкесы находились и при другом грузинском царе Стефане II (639–663 гг.).

რაც შეეხება ქართული ეკლესიის იურისდიქციის გარეთ, ნიკოფსიის ჩრდილოეთით მდებარე ჯიქეთს, არსებობს მოწმობა ფანაგორიისა და ზიხიის ეპისოპოების მონაწილეობისა ბიზანტიურ საეკლესიო კრებებში მე-6 ს. (Имеются сведения об участии епископов Фанагорийского и Зихийского в церковных соборах еще в начале VI века, В документах Цареградского Собора 519 года стоит подпись епископа Фанагорийского Иоанна, а в материалах Константинопольского Собора 526 года встречается имя Зихийского епископа Дамиана[11]). https://blago-kavkaz.ru/3010?lang1=0&lang2=0

მეუფე გედეონი აღნიშნავს, რომ ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისათვის მე-4, მე-5 საუკუნეებში იღვწოდა საქართველოს ეკლესია. ხოლო მე-6 მსოფლიო კრებამ აღიარა მისი იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში. მე-6 მს. კრებამ საქართველოს ეკლესიას დაუქვემდებარა ოსეთი და ჩერქეზეთი, – წერს გედეონი. ცხადია, მის მიერ მოყვანილი დოკუმენტი რედაქტირებულია გვიან შუა საუკუნეებში მას შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასიის დაბლობს ჩერქეზეთი ეწოდა, ამ ტექსტში ოსეთის ქვეშ არ იგულისხმება კავკასიის მთების ოსეთი, არამედ ე.წ. ძველი ოსეთი, ანუ მიწა-წყალი სტეპებში, რომლის დიდ ნაწილს შემდეგში ჩერქეზეთი ეწოდა.

შემდეგში, მე-9-მე-10 სს-ების დასაწყისში, ჩრდილო კავკასიაში, ნიკოფსიასთან უკვე ტმუტარაკანისა და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები იხსენიება, ასევე ალანიის სამიტროპოლიტო. (О дальнейших успехах христианства на Северном Кавказе свидетельствует устав императора Льва Мудрого (894–911 гг.). В нем есть сведения о существовании Тмутараканокой и Никопской архиепископий и упоминается об Аланской митрополии).

მიტოპოლიტ გედეონს მიაჩნია, რომ ჩრდილო კავკასიის ქალაქი მაჟარა იყო რუსული ეკლესიის იურისდიქციაში, რადგანაც აქ იყო დასვენებული რუსული ეკლესიის წმიდანი მიხეილ ტვერელი. ის, მისი აზრით, საეპისკოპოსო ცენტრიც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამის ნიშნად მოგვიანებით მის ეპისკოპოსს გაის (გაიოზ ბარათაშვილს) ეწოდებოდა „მოზდოკელი და მაჟარელი“. ჩემი აზრით, ისტორიულად მაჟარა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში უნდა ყოფილიყო და არა რუსულისა, ეთნიკური ქართველი ეპისკოპოსის გაიოზის აღნიშნული წოდება, „მაჟარელი“, უფრო ამ ფაქტის საეკლესიო გახსენებას უნდა ამტკიცებდეს, მით უმეტეს, მისი ეპარქიის მეორე რუსული ქალაქი მოზდოკი იმჟამად უმეტესად ქართველებით უფრო იყო დასახლებული (Древний город Маджары служил в давние времена одним из очагов христианского просвещения на Северном Кавказе. В ознаменование этого одному из первых викарных епископов Кавказских преосвященному Гаию было в 1793 г. присвоено наименование Моздокского и Маджарского).

988 წლიდან, რუსეთის გაქრისტიაანების შემდეგ, ქერჩის ყელთან მდებარე კიმერიული ბოსფორის ბერძნული კოლონიები გაერთიანდნენ ერთ კავშირში, რომელსაც ერქვა ტამატარხი, რომლის ცენტრი იყო ტამანის ნახევარკუნძულზე (რუსულად ერქვა ტმუტარაკანია). აქ, ამ არეალზე, 965 წ. რუსმა მთავა-

რმა სვიატოსლავმა დაამარცხა „იასები და კასოგები (ქაშაგები)“. აქედან ჩანს, რომ იასები (ოსები) და ქაშაგები ქერჩთან ცხოვრობდნენ.

ქერჩთან მცხოვრები ქაშაგების მფლობელობაში ყოფილა თავდაპირველად ტამანის ნახევარკუნძული. აქ ხაზარებზე გამარჯვებულმა რუსებმა დაარსეს ტმუტარაკანის სამფლობელო, სადაც ქაშაგების მთავარი აჩეხეს ქაშაგებისავე პოლკის წინ 1022 წ. მათ ამ ადგილზე ეკლესია აუშენებიათ და აქ ტმუტარაკანის რუსული ეპარქია დაუარსებიათ, მას ერთი საუკუნე უარსებია. აქ ეკლესია-მონასტრებში ხატმწერებად მიწვეულნი ყოფილან ობეზები. მაშასადამე, ქართველები, თუმცა მეუფე გედეონის სიტყვით, ობეზები არიან ამჟამინდელი აბაზინების წინაპრები.

(ჩემი კვლევით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ძველი აბაზგები (აბაზგები) და ახალი აბაზინები.

ძველი აბაზგები ქართველები იყვნენ, იოანე ცეცეს ცნობით, მათ ქართული გენეტიკა ჰქონდათ. აბაზი, ანუ „ებზე“ ბოლო დრომდე და ახლაც ქართველებს ეწოდება ყარაჩაულად. რუსული ძველი წყაროს ცნობით, ობეზები ტმუტარაკანის ეკლესიებში ხატებს ხატავდნენ, ხოლო თვით ეკლესიები ქართული (კავკასიური) ჩუქურთმა-ორნამენტებით იყო მორთული. ეს იყო ამ მხარეებში ქართული ეკლესიის იქამდე არსებული იურისდიქციის ანარეკლი. მისი გადმონაშთი იყო იქაური ქართული ჩუქურთმები და ხატები. რუსებს აქ კავკასიაში პირველი ეპარქია შეუქმნიათ. ამავე დროს კი უკვე ქართველები (კავკასიელები) გამოჩენილი ხატმწერები და ეკლესიათა ხელოვანი მშენებლები ყოფილან, შესანიშნავი მეჩუქურთმეები. რუსული წყაროსავე ცნობით, ობეზები კიევის ტაძრის მხატვრები ყოფილან).

მეუფე გედეონი წერს, რომ 1073 წ. კიევ-პეჩორის ლავრის მოხატვაში მონაწილეობდნენ ბერძნები და ობეზები.

გედეონი კიდევ ერთხელ წერს, რომ ობეზები აბაზინებია. ჩვენ ვამატებთ, რომ ეს ასე არ იყო, აბაზგები დასავლეთ საქართველოს ქართველები იყვნენ და არა ამჟამინდელი ადიღე-აბაზინები, ყარაჩაულად კი ებზეები. საერთოდ, ქართველებია, ისინი სვანებსაც ებზეს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები ებზეს უწოდებდნენ ასევე სტალინს, მათ სიმღერა შექმნეს სიტყვებით „ებზე-სტალინ“, ანუ „ქართველო სტალინ“. აქედან ჩანს, რომ ობეზი-ებზე, კავკასიელთა სიტყვით, იგივე ქართველია.

მეუფე გედეონის სიტყვით, ობეზებმა, შესაძლოა, მოხატეს კავკასიის რეგიონების, მათ შორის, აფხაზეთის ეკლესიები. აქედან ჩანს, რომ ობეზების ქვეშ ის გულისხმობს თანამედროვე ჩერქეზულ ტომს – აბაზინებს, რომელნიც ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობენ.

მართალია ამჟამად გაბატონებული მტკიცებით, ადიღეველები მკვიდრ კავკასიელებად მიიჩნევიან, მაგრამ ჩვენი აზრი განსხვავებულია. ამჟამინდელი აბაზინები ადიღეური ხალხია, ადიღეველები კი კავკასიაში მხოლოდ თემურ ლენგის ეპოქის შემდეგ ჩასახლდნენ. მაშასადამე, შეუძლებელია ადიღეველებს მოეხატათ ეს ეკლესიები.

ადიღეური ტომები თოხთამიშის დამარცხების შემდეგ ოქროს ურდოს უძლეველმა მთავარსარდალმა ადიგეიმ შემოიყვანა ჩრდილო კავკასიაში ადგილობრივი ტომების საბოლოოდ დასამორჩილებლად.

საფიქრებელია, რომ ოქროს ურდოს მთავარსარდალმა ადიგეიმ საკუთარი ულუსი შემოიყვანა ტიუმენის მხარედან (ენისეი-ჩრდილო ყაზახეთის ოლქი), აქაური იყო თოხთამიშიც.

თოხთამიშის ულუსი მისი დამარცხების შემდეგ ნადავლის სახით მიისაკუთრა გამარჯვებულმა ადიგეიმ და წამოიყვანა კავკასიაში. ეს არაა გამონაკლისი, ამავე რეგიონიდან კავკასიაში გადმოსახლდა ნოღაელთა დიდი ხალხი. კიდევ უფრო ადრე ამავე აღმოსავლეთის რეგიონიდან კავკასიაში ჩასახლდა ყივჩაღი ხალხი. ასე, რომ ყაზახეთ-ციმბირის რეგიონიდან კავკასიაში სხვადასხვა ხალხების ჩასახლება იმ დროისათვის იყო ჩვეულებრივი მოვლენა.

„ადიგეის ხალხი“, ანუ ადიღეველები იყვნენ მრისხანე დამპყრობლები, შეუბრალებლად ხოცავდნენ და იმონებდნენ ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას, ხდებოდა მათი ასიმილაცია ადიღეველებში. თემურ ლენგისა და თოხთამიშის შემდეგ.

იმჟამად ადიღეთა ტომებს, ჩანს, საკუთარი სახელები არ გააჩნდათ. მათ სახელებს ანიჭებდნენ დაპყრობილი ტომების სახელის მიხედვით. მაგალითად, ის ადიღეური ტომი, რომელმაც დაიპყრო და დაიმორჩილა ძველი კავკასიელი აბაზები, თვითონვე იწოდა აბაზებად. ახლა უკვე მათ უწოდებდნენ აბაზებს. ძველი აბაზები ისტორიის საკუთრებად იქცნენ, მათი ადგილი ახალმა აბაზებმა დაიჭირეს და ისინი დღესაც არსებობენ. შესაბამისად, ძველი აბაზების ქვეყანა ადიღეურ ქვეყნად იქცა, ძველი ასპარეზიდან გამქრალი აბაზების სახელი მიაკუთვნეს მათმა დამპყრობელმა ადიღებმა, შესაბამისად, ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ხალხი-ახალი აბაზინები. თუ ძველ აბაზებს ქართველური წარმომავლობა ჰქონდათ, ახალი აბაზები კი უკვე ადიღეური ხალხი იყო. ძველი აბაზების საცოდავი ნაშთები ასიმილირდნენ ადიღებში და თვითონაც ადიღებად იწოდნენ.

აქედან გამომდინარე, სხვა ხალხი იყო ძველი აბაზები და სხვა ხალხი თემურ ლენგის და ადიგეის შემდგომი აბაზები, ანუ აბაზინები, ძველი აბაზები ქრისტიანები იყვნენ, ახალი აბაზები კი მომთაბარე წარმართი – მუსულმანები, რომელთაც, ცხადია, არასოდეს შეეძლოთ ეკლესიების მოხატვა. ძველი აბაზები – აბაზგები, იოანე ცეცეს სიტყვით, იბერიული გენეტიკის ხალხი იყო კავკასიელ ალანებთან ერთად. კავკასიელი ალანები, როგორც ითქვა, იოანე ცეცეს არა ირანულენოვან, არამედ იბერიული გენეტიკის ხალხად მიაჩნია, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ დონის სტეპების ალანები სხვა გენეტიკის ხალხი იყო. კავკასიელი ალანები კი ისე შერწყმიან მკვიდრ კავკასიურ მოსახლეობას, რომ იბერიულ ხალხად ქცეულა. ასე ჩანს იოანე ცეცეს ცნობიდან.

გედეონს ოსების ძველ წინაპრებად ალანები მიაჩნია. ის იმოწმებს ოს ისტორიკოს გატუევს, რომელსაც მიაჩნია, რომ ოსებში ქრისტიანობა გავრცელდა მე-6 საუკუნეში, რადგანაც, მაგალითად, მისი აზრით, ოსურ სოფელ გალიათ-

ში შემორჩენილია პატარა ქვის ეკლესიები, გადმოცემების საფუძველზე, აქ იუსტინიანეს დროს მოღვაწეობდნენ ბერძენი მისიონერები. ეს მოსაზრება არასწორია, რადგანაც სოფელ გალიათში იუსტინიანეს დროს ცხოვრობდნენ არა ოსები, არამედ დვალები, რომელიც ერთ-ერთი კავკასიურ-ქართული ქრისტიანული ტომი იყო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. მათი გაოსება იუსტინიანედან თითქმის 1000 წლის შემდეგ დაიწყო, მე-16 მე-17 საუკუნეებისათვის და მე-18 საუკუნეშიც არ იყო დასრულებული.

გალიათის აღნიშნულ სოფლურ სალოცავს „ძუარი“, ანუ ჯვარი ერქვა. ქართული სახელი რატომ უწოდეს მას ოსებმა, თუკი ისინი იუსტინიანეს დროს გაქრისტიანდნენ?

ამ ეკლესიას ჰქვია „იუს-ძუარი“.

ცინიკურია ამ მკვლევარების განაცხადი, რომ თითქოსდა იუს-ძუარი ნიშნავს „იუსტინიანეს ეკლესიას“, თითქოსდა, იუსიუსტინიანეა.

ოსების ქრისტიანობა ქართული წარმოშობისაა. ეს თუნდაც სიტყვა ძუარი-დან ჩანს. რაც შეეხება ალანებს, აფხაზთა მეფის გიორგის დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ცდილობდა აფხაზეთის მეზობელი, ანუ კავკასიის ალანების გაქრისტიანებას, მაგრამ რეალურად, არა კონსტანტინოპოლმა, არამედ, იქ (აფხაზეთის მიმდებარე ალანიაში) ქართულმა ეკლესიამ განახორციელა თავისი იურისდიქცია აფხაზთა მეფეების ნებით, ხოლო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია გავრცელდა არა აქ, არამედ, უფრო ჩრდილოეთით, სტეპების ალანიაში (ე.ი. არა კავკასიის ალანიაში), ეს იყო აზოვ – დონისპირეთის სტეპების ალანია.

კავკასიის გარდა ალანები ძირითადად ცხოვრობდნენ ყუბან-დონ-დნესტრისპირეთსა და ყირიმის რეგიონში, სადაც, როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლმა დააარსა „ალანთა ეპარქია“, თავდაპირველად სამთავარეპისკოპოსო, რომელიც სამიტროპოლიტოდ გადაიქცა. მას 61-ე ადგილი ეჭირა კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტოს შემადგენლობაში, მისი ცენტრი მდინარე ყუბანის შესართავთან მდებარეობდა. ხარკოველი არქიეპისკოპოსი მაკარი ამტკიცებს, რომ ბერძნული წყაროს მიხედვით, ალანიის მიტროპოლიას ეწოდებოდა ვიჩინის სამიტროპოლიტო ყუბანის ქალაქის სახელის მიხედვით (Архиепископ Харьковский Макарий утверждает, что по росписи Палеолога в XIII в. аланская митрополия титуловалась Вичинской по имени города на Кубани).

არასწორია მეუფე გედეონი, რომელიც წერს, რომ ლაზიკის ციხესხიმარი, სადაც დატუსაღებული იყო მაქსიმე აღმსარებელი, თითქოსდა იყო ალანიის ციხე-სიმაგრე ხუმარა, ჩრდილო კავკასიაში. სინამდვილეში ხუმარა სვანური ციხე-სიმაგრე იყო. ის ისტორიკოსებმა ალანებს მე-19-მე-20 საუკუნეში დაუკავშირეს, მაგრამ თვით ხუმარას მცხოვრებნი მის აგებას თამარ მეფეს უკავშირებენ.

ამ რეგიონისაგან მოშორებით, ამჟამინდელ ჩრდილო ოსეთში ძველად მცხოვრები დვალები შესანიშნავი ქრისტიანები იყვნენ, ქართული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწეები, ცნობილია დვალი საეკლესიო კალიგრაფ-მწერლების და წმიდანების სახელები, მაგალითად, ნიკოლოზ დვალისა.

დვალეთში ქრისტიანობის ხარისხი ძალზე დაეცა იქ ოსების შესვლისა და გაბატონების შემდეგ, რადგანაც ისინი ისლამის გზაზე მდგარი წარმართები იყვნენ. ისინი დვალეთში უნდა ჩასახლებულიყვნენ თემურ ლენგის შემდეგ. ამის მიუხედავად, ქართულმა ეკლესიამ შეძლო მათი გაქრისტიანება. ისინი ეზიარნენ ქართულ კულტურასა და მწერლობას თავიანთ ქართულენოვან ეკლესია-მონასტრებში.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანები თვით ალანთა ეპისკოპოსის სიტყვით, „ცუდი ქრისტიანები“ იყვნენ.

„ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები“, – წერდა ალანთა ეპისკოპოსი თევდორე.

მეუფე გედეონის სიტყვით, კონსტანტინოპოლის პატრიარქს წერდნენ ალანების ცუდი ქრისტიანობისა და მრავალცოლიანობის შესახებ (Один из аланских архиепископов также свидетельствовал, что аланы были христианами только по имени. В одном из посланий патриархии к нему подчеркивалось, имея в виду многоженство алан, что «нелегко дается переход от языческой жизни к строгостям Евангелия»).

კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში მყოფ ალანებს ჰქონდათ ბერძნული საეკლესიო წესები და მწერლობა, ხოლო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ ოსებს – ქართული.

მეუფე გედეონი კვლავ ეხება ალანიის ეპარქიის გაქრობის საკითხს. მას მოჰყავს ალანიის ბერძენი მიტროპოლიტის აღწერა ალანებისა: „ეს ხალხი მწყემსური ცხოვრებით ცხოვრობს (ე.ი. მომთაბარეა) და არა აქვთ საკუთარი ქალაქი“ («народ ведет пастушеский образ жизни и не имеет собственного города»). ეს ნიშნავს, რომ ალანიაში არ არსებობდა ქალაქი, სადაც, შესაძლოა, ჰქონოდა ეპისკოპოსს თავისი კათედრა, ამიტომაც კონსტანტინოპოლი იძულებელი გახდა ალანი მიტროპოლიტის კათედრა დაეარსებინა არა ალანიაში, არამედ ტრაპეზუნტთან ახლოს.

მეუფე გედეონი იზიარებს გავრცელებულ აზრს, თითქოსდა ეს გამონათქვამი, რომ „ალანები მწყემსური, მეჯოგეთა ცხოვრობით ცხოვრობენ“, ეხება საქართველოს მოსაზღვრე ოსეთს – დვალეთის ოსეთს, ეს აზრი არასწორია. დვალეთი არ იყო დასახლებული მომთაბარე, ანუ მწყემსური ცხოვრების მქონე ხალხით. ისინი, პირიქით, მიწაზე დამაგრებული ხალხი იყო, სოფლებისა და შესაბამისი ქალაქების მქონე. აქ ერთ დასახლებულ პუნქტს სახელი „ქალაქიც“ კი ერქვა.

მწემსური, ანუ მომთაბარე ხალხით, ანუ სტეპების ალანებით, დასახლებული იყო სტეპები დონისპირეთში, ანუ სტეპების ალანია. ამიტომაც სხვაა დვალეთი (ამჟამინდელი ოსეთი) და სხვაა სტეპების ალანია. ისინი სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ, სხვადასხვა იურისდიქციაში.

დვალები ძველი და კარგი ქართველი ქრისტიანები იყვნენ ქართული მწერლობით და ქართული კულტურით. საქმე ისაა, რომ ქვეყანა, რომელსაც ამჟამად უწოდებენ ოსეთს (ჩრდილო ოსეთს), თემურ-ლენგამდე დასახლებული იყო არა ოსებით, არამედ დვალებით. წყაროებიდან ჩანს და ვახუშტიც

ბრძანებს, რომ დვალების ენა არ იყო ოსური ენა, ისინი მკვიდრები იყვნენ, ოსები კი – დვალეთში გვიან, თემურ ლენგის შემდგომ ეპოქაში, მისულები და გაბატონებულები. იქაური ზედა ფენა, ანუ ოსები წარმართობდნენ ვახუშტის ეპოქაშიც კი, ანუ მე-18 ს-ის დასაწყისში, ხოლო დვალები, როგორც ითქვა, კარგი და ძველი ქრისტიანები იყვნენ. დვალები საეკლესიო თვალსაზრისით, ძველთგანვე, ქართულენოვანი ქრისტიანები და ქრისტიანობის მედგარი დამცველები იყვნენ, როგორც ეს ჩანს წმ. ნიკოლოზ დვალის ცხოვრებიდან.

მეუფე გედეონი აღნიშნავს, რომ ოსეთში მოღვაწეობდნენ ქართველი მისიონერები. თამარ მეფის დროს იქ მრავალი ეკლესია აშენდა. მას მხედველობაში აქვს ისტორიული დვალეთის მიწა-წყალი, რომელიც თამარ მეფემდეც ქრისტიანული იყო.

თამარის დროს ოსები უფრო ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობდნენ. ისინიც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყვნენ. ჩვენ ერთმანეთისაგან ვასხვავებთ ოსებსა და ალანებს, რადგანაც ოსები ქართული ეკლესიის მრევლი იყო და საქართველოსთან უფრო ახლოს ცხოვრობდნენ, ალანები კი – მოშორებით, თანაც კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა, ხოლო სტეპების, დონისპირეთის ალანია, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში.

არაბული წყაროს ცნობით, ალანები და მათი მეზობელი ასები თურქულენოვანი ხალხები იყვნენ. ისინი მონღოლებს ებრძოდნენ. ამიტომაც მონღოლების მტრობის გამო ასპარეზიდან გაქრნენ, მაგრამ ოქროს ურდოს ეპოქაში გამოჩნდა სხვა ირანულენოვანი ტომი, მონღოლთა მომხრე და მოკავშირე, რომელმაც ოქროს ურდოს მხარდაჭერით შეძლო ძველი ოსეთის მხრიდან (ანუ ოსეთიდან) შესულიყო დვალეთში და იქ გაბატონებულიყო. მათაც ოსები უწოდეს იმ ოლქის სახელის მიხედვით, საიდანაც ისინი შევიდნენ დვალეთში.

მათაც ქართველებმა ოსები უწოდეს, მაგრამ არც ერთი მეზობელი ხალხი მათ ამ სიტყვას „ოსებს“ არ უწოდებს, უფრო მეტი, თვითონ დიგორელები კი ასებს (ოსებს) უწოდებენ ყარაჩაელებს.

სამხრეთით გადმონაცვლებულმა „ოსებად“ წოდებულმა ტომებმა თემურ-ლენგის შემდეგ შეძლეს დვალეთის დაპყრობა და დვალებზე გაბატონება. ამის შესახებ კარგად წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

დვალეთის მხარეები: ქურთათი, ვალაგირი, ფაიქომი და სხვა ოლქები იქამდე დვალებით, ანუ ქართული წესის ქრისტიანებით იყო დასახლებული. მათი ზედა ფენა, შესაბამისად, ქართულ გვარებს ატარებდა.

დვალეთში ოსურმა ზედა ფენამ, როგორც ითქვა, ჩაანაცვლა ადგილობრივი ქართული ზედაფენა. ასე, მაგალითად, დვალეთში ქართველი დიდებული სიდამონთა ამოწყვეტის შემდეგ მომხდურმა ოსების ერთ-ერთმა ბელადმა დაიკავა მათი მამულები, სახლ-კარი, მეურნეობა და მიისაკუთრა გვარი „სიდამონი“. მიითვისეს დვალი (ქართველი) მთავრების გვარები – ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური, ბასიანი და სხვ. ისინი შეუდგნენ დვალების მმართველობას, რომელნიც იქამდე კარგი ქრისტიანები იყვნენ, უფრო მაღალი, ზნეობრივი კულტურისა. ქართველ დვალებს ჰქონდათ სალოცავები და ეკლესიები.

მათ ქართულად მოხატულ ეკლესიებში ფრესკებს ჰქონდათ ქართულენოვანი წარწერები.

დვალეთის ქართული სალოცავები, როგორც აღინიშნა, მთისათვის დამახასიათებელი, ქართული მთის ტიპის ხატ-ჯვრები და პატარა ეკლესიები იყვნენ. მათ ხალხი დიდ პატივს მიაგებდა, თუმცა დვალი ხალხის ქრისტიანობის ხარისხი ოსების გაბატონების მერე მუდმივად ეცემოდა. ამასთანავე, მათ შორის ფეხს იკიდებდა ზედა – ფენის (ოსური) ენა. საბოლოოდ, იმდენად შეილახა ქართული ენის ცოდნა, რომ, მაგალითად, „ჯვარს“ (ჯუარი) უკვე ძუარს უწოდებდნენ და წარმართობისაკენ იყვნენ მიდრეკილნი.

ასე შეიძლება შეფასდეს ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ოსეთი, მაგრამ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ ალანიაში სხვა ვითარება იყო.

ოსები, ალანები და დვალები სხვადასხვა ხალხები რომ იყვნენ, ამას უცხოელი თვითმხილველებიც აღწერენ. მაგალითად, დომინიკანელი იოანე გალონიფონტიბუსი (1377 წ.) წერდა: «В этой стране много христиан, а именно: греки, разные армяне, зики, готы, таты, воляки, русские, черкесы, леки, йасы, аланы (в рукописи ااسي ეტ ალანი), авары, казикуму–хи и почти все они говорят на татарском языке. На границах, в горах живут двали, аланы, осетины (в рукописи ااسي) и другие. Доминиканцы и францисканцы многих в этой стране обратили в христианство,и они имеют в этом регионе несколько колоний».

http://www.iriston.com /nogbon/printphp?newsid =72

იოანე გალონიფონტიბუსი 1377 წელს სხვადასხვა ხალხად მიიჩნევდა ოსებს, ალანებსა და დვალებს.

http://wwwiriston.com/nogbon/printphp?6eewsid=72

მე-12 საუკუნისათვის ალანიისა და ზიხიის მიტროპოლიები გაერთიანებულები იყვნენ.

მონღოლთა შემოსევის შემდეგ დონ-ყუბან-ტამანის რეგიონში მდებარე ალანიის ეპარქიას შეეცვალა სახელი და მას ზიხიის ეპარქია უწოდეს.

მეუფე გედეონი მიიჩნევს, რომ თითქოსდა ამ დროს კვლავ არსებობდა აბაზგიის ეპარქია კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ის, თითქოსდა, ზიხიის ეპარქიას მიუერთეს. ეს აზრი არასწორია.

ამ დროისათვის ქართული აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას კვლავ ავრცელებდა მდ. ყუბანამდე, ხოლო ტამანისა და ყუბან-დონისპირეთის ზღვასთან შესართავის რეგიონი ზიხიის ეპარქიაში შედიოდა. რაც შეეხება აბაზგიას, ის ქართული აფხაზეთია, რომელიც ეკლესიურად კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებელი იყო.

ზიხიის ეპარქიის ცენტრალური რეგიონი იყო ტამანის ნახევარკუნძული. მას ეწოდა ზიხია-მატრახიის ეპარქია.

ვფიქრობ, მეუფე ცდება, როცა მიიჩნევს, რომ ზიხიის ეპარქია მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდილო რეგიონს. სინამდვილეში, ზიხიის ეპისკოპოსის კათედრა მისგან ძალზე შორს, ტამანის ნახევარკუნძულის ქალაქ მატრახაში, მდებარეობდა, ყირიმთან ახლოს (და არა სოჭთან ახლოს). აქ

ადრე ტმუტარაკანის რუსული სამთავრო არსებობდა. ამ რეგიონში კონსტ-ანტინოპოლმა კვლავ აღიდგინა თავისი უშუალო იურისდიქცია, დანიშნა მისი მიტროპოლიტი და ამ რეგიონს უწოდა ზიხია, აქაური ხალხის, ზიხების (ჯიქების), სახელის მიხედვით.

ჯიქების ტომი თემურ ლენგის შემდეგ ადიღეთა ტომის ნაწილად იქცა. 1237 წელს ტამანის ნახევარკუნძულზე მყოფი კათოლიკე მისიონერი იულიანი წერს, რომ ამ ქვეყნის აღმოსავლეთითაა ალანია, ანუ ალანია სტეპებში მდებარეობდა, ხოლო ოსეთი – კავკასიაში. „На востоке от Зихии, по словам Юлиана, лежала Алания, разбитая на множество мелких княжеств, которые вели между собой беспрерывные войны и кровопролития“.

აღსანიშნავია, რომ მეუფეს ერთმანეთში ერევა ზიხები და ადიღები. ზიხიის ეპარქია არსებობდა მე-14 ს-ში. მას ერქვა ზიხია-მატრახის ეპარქია, თუმცა აღნიშნავს, რომ ადიღების ერთი ნაწილი შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. Часть адыгов в религиозном отношении была подчинена Грузинской церкви

ზიხიის ეპარქიაში, ანუ ქერჩ-ტამანის მომცველ რეგიონში ასევე ვრცელდებოდა კათოლიკობა. მეუფე წერს, რომ ზიხიის ეპარქია იყო ძალზე ვრცელი და მისი იერარქები ცხოვრობდნენ ქერჩსა და ამჟამინდელ ტამანში (Зихийская епархия была очень обширна, и ее иерархи жили в Керчи и в нынешней Тамани).

კაფა გენუელთა ქალაქი იყო.

მეუფე გედეონი ცდება, როცა მიიჩნევს, თითქოსდა გენუელ კათოლიკეთა კოლონია იყო ხუმარა.

ხუმარა იყო ადგილობრივი სვანური მოახლეობის ციხე-ქალაქი, უმეტესად საქართველოში შემავალი. მონღოლებმა ის არ დაანგრიეს, რადგანაც საქართველოში შედიოდა. საქართველოსთან საზავო შეთანხმება დადეს, რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოში აღარ შეიყვანეს თავიანთი სამხედრო ძალები.

ხუმარა დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო ციხე-სიმაგრე იყო. რასაც ადგილობრივი გადმოცემებიც მიუთითებს. საქართველოს სახელმწიფოს სასაზღვრო ციხე-ქალაქს ევალებოდა სამხრეთული სამიწათმოქმედო ცივილიზაციის დაცვა ჩრდილოელი ნომადებისაგან.

1318 წლისათვის, ზიხია-მატრახის მიტროპოლიის რეზიდენცია მდებარეობდა ტამანის ქალაქ მატრახში (Еще в 1318 году митрополит Зихско-Матрахской митрополии имел резиденцию в Матрахе (Тамани). Источники упоминают Зихско-Матрахского митрополита Иосифа, находившегося в Матрахе в 1396 году. По этому поводу И. Шильтбергер писал: «Земля черкесов населена христианами, исповедующими греческую веру», По греческому вероучению, «служат Богу на языках ясском или асском и зихском или черкесском»)

ჩერქეზების ქრისტიანობა იყო ანარეკლი იმ ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელიც ჰქონდათ იქამდე ჩერქეზეთში მცხოვრებ და ჩერქეზების მიერ დამორჩილებულ ძველ ქრისტიანულ ტომებს – ზიხებსა და ასებს.

უსაფუძვლოა მეუფე გედეონის მტკიცება, რომ, თითქოსდა მე-13 საუკუნეში ვინმე ოს – ბაღათირმა გააერთიანა ჩრდილო და სამხრეთ ოსეთი. ეს შე-

უძლებელი იყო პოლიტიკურადაც და გეოგრაფიული ვითარების გამო. ამ ორი რეგიონის გაერთიანება მხოლოდ კავკასიის მთებში გაჭრილმა გვირაბმა შეძლო მე-20 საუკუნეში.

პირიქით, ისინი (ოსები) დაიმორჩილეს მუსულმანმა ყაბარდოელებმა. ხალხში შევიდა ისლამი. ამის გამო რჯულშეცვლილი ხალხი, მეუფე გედეონის სიტყვით, ანგრევდა ქრისტიანულ ეკლესიებს და შლიდა წარწერებს ეკლესიის კედლებიდან და საფლავის ქვებიდან. «Обратившиеся в ислам жители стали рушить христианские храмы и стирать надписи с церковных стен и надгробных плит». ეს წარწერები კი ქართულენოვანი იყო. მაშასადამე, ოსების ზედა, გამარჯვებული, ფენა ანადგურებდა ქართულ წარწერებს, რადგანაც მასში ხედავდა ისლამის მოწინააღმდეგე ძალას, რადგანაც მათ მიერ დამორჩილებული ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ფენა ქრისტიანული იყო და ქართულენოვანი წარწერები მათ ძალას ანიჭებდა. ოს ბაღათარის შესახებ არსებული საისტორიო მნიშვნელობის ქართული წარწერაც კი წაუშლიათ ნუზალის ეკლესიაში.

ამ პერიოდში რუსები აქრისტიანებენ ოქროს ურდოს, დააარსეს სარაის ეპარქია.

ჩერქეზების შესახებ მე-16 საუკუნეში გავრცელებული იყო თქმულება, რომ ყაბარდოელი ჩერქეზები იყვნენ სამხრეთ რუსეთიდან და რიაზანიდან კავკასიაში გაქცეული რუსები (ყმები).

Среди русских в то время жило предание, что кабардинские черкесы были потомками беглых рязанских холопов.

ეს ნიშნავს, რომ თავისი დროის ადგილობრივ მოსახლეობასა და მის მეზობლებს ჩერქეზები არ მიაჩნდა კავკასიურ მოსახლეობად და იცოდნენ, რომ ისინი კავკასიაში ჩასახლებული ტომები იყვნენ.

 იმჟამინდელ, მე-16 ს-ის, რუსეთში გავრცელებული თქმულება, რომ ჩერქეზები რიაზანელი გლეხები იყვნენ, ასახავდა მახსოვრობას ხალხისა, რომ ადიღე-ერქეზები რიაზანის სანახების გავლით ჩასულან ჩრდილო კავკასიაში, ჩანს, ურალ-ვოლგისპირეთიდან, ამ გადმოცემაში ნათქვამია: «Из начала кабардинские и горские черкесские князи и шевкальскне были холопи наши рязанских пределов и от нас сбежали с Рязани и вселилися в горы». В XVI веке Герберштейн писал о пятигорских «черкесах». «В надежде на неприступность своих гор, они не признают власти ни турок, ни татар. По свидетельству русских, они христиане, управляются своими законами, в исповедании и обрядах сходствуют с греками, богослужение отправляют на славянском языке, на нем же и говорят» [26]. ამ ჩერქეზებს მე-16 საუკუნეში ჯერ კიდევ სცოდნიათ რუსული ენა.

შესაძლოა, რიაზანის გავლით კასპია – ურალიდან წამოსულ ადიღებს (ჩერქეზებს) თან გაჰყვნენ რუსი ხოლოპები, რომელნიც ქრისტიანები და რუსულენოვანები იყვნენ. ასეთივე თქმულებაა დაცული ავარიაელთა შორისაც დაღესტანში, რომ ისინი „ნამდვილი რუსები“ არიან, რომ ავარები დაღესტანში მოხვდნენ რუსეთის ველებიდან თემურის შემდეგ. წყაროთა ეს ცნობები არის კარგი მტკიცება მილერის მოსაზრებისა, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი ჩასახლებულია სხვა რეგიონებიდან.

1475 წელს კაფა თურქებმა აიღეს, რასაც მოჰყვა ამ რეგიონში ქართული მემკვიდრეობის განადგურება ისლამის კიდევ უფრო განვრცობის გამო, ანადგურებდენენ ქრისტიანულ ნიშნებს, საფლავის ქვებიდან წარწერებსაც კი შლიდნენ, რასაც მიუთითებს მეუფე გედეონი: „уничтожая даже статуи с надписями над христианскими погребениями“, „сжигали книги“, ქართულ წიგნებს წვავდნენ, ჩერქეზეთში მოღვაწე სასულიერო პირებს დევიდნენ, истребить все следы христианства. ამის მიუხედავად, დაპყრობილი დაბალი ფენის ნაწილი მაინც ქრისტიანობდა, ხოლო მაღალი წარმართული ფენა – მუსულმანობდა.

თვითონ მეუფე აღიარებს, რომ ჩერქეზეთის დაბალ ქრისტიანულ ფენას ქრისტიანობა შეძენილი ჰქონდა საქართველოდან. «Рядовое же черкесское население продолжало придерживаться христианства, распространяемого Византией и Грузией». ეს დაბალი ქრისტიანული ფენა ეთნიკურად ჩერქეზების მიერ დაპყრობილი ადგილობრივი, ანუ ქართველური მოსახლეობა იყო, რომელნიც ჩერქეზებში ასიმილირდნენ.

მე-18 საუკუნეში საბოლოოდ გაიმარჯვა ისლამმა, მაგრამ ქრისტიანული ნიშნების გადმონაშთები ჩერქეზთა შორის მე-9 საუკუნეშიც დარჩა.

მ-16 საუკუნეში, ივანე მრისხანეს მეფობისას, რუსეთის სახელმწიფომ გადაწყვიტა შეერთებინა ჩრდილო კავკასია.

ამ დროს ჩერქეზების მმართველი ჩრდილო კავკასიის ბარის დიდ ნაწილს აკონტროლებდა და იბრძოდა კავკასიის მთის მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა დაემორჩილებინა.

ჩერქეზებს იმჟამად კავკასიის მთებში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა სვანური მოსახლეობა.

იმჟამად სვანეთის ერთი, მნიშვნელოვანი, ნაწილი მოიცავდა ჩრდილო კავკასიის იალბუსის გარშემო რეგიონს, ბაქსანის და ყუბანის სათავეების ნაწილს. აქ, ამჟამინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის სამხრეთ რეგიონებში, იყო ასობით სვანური სოფელი და დასახლება, ციხე-სიმაგრეები, სალოცავები და ეკლესიები,

აქ ბრძოლა უჭირდათ ჩერქეზებსა და მათ თანამდევ წარმართულ ტომებს მკვიდრ ქრისტიანულ მოსახლეობასთან.

საბოლოოდ ჩერქეზების მთავარმა გადაწყვიტა სვანების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა რუსული ლაშქარი, რომელიც იმჟამად ყველაზე ახალი იარაღით, ცეცხლსასროლი თოფებით, იყო შეიარაღებული.

რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე დაეხმარა ჩერქეზეთის მთავარს.

ჩრდილო კავკასიელი სვანების დასამორჩილებელ საგანგებო სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა რუსული ლაშქარი. რუსეთის მეფემ ივანე მრისხანემ ცოლად მოიყვანა ჩერქეზთა (ყაბარდოელთა) მთავრის ასული 1560 წელს.

კავკასიის მეორე მხარეს, სუნჯასთან, რუსებმა ააგეს თერგის სიმაგრე.

როდესაც რუსები შევიდნენ დაღესტანში, მე-19 საუკუნეში, ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მთიელების მისწრაფება ისლამისადმი, რადგანაც ქრისტიანი რუსები ძალზე დაუნდობელი და არაადამიანური მეთოდებით იპყრობდნენ ამ მხარეებს.

წმიდა ანდრია მოციქულიდან დაახლოებით მე-15–მე-16 საუკუნემდე ჩრდილო კავკასია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, აქაური ხალხი მლოცველ – მწირველი ქრისტიანები იყვნენ, რასაც მიუთითებს ქრისტიანული ნაშთები უამრავი ქართული წარწერებით. მათი მისწრაფება ქრისტიანობისაკენ საბოლოოდ აღმოიფხვრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ. აქაურ ხალხებში ისლამი განმტკიცდა, გარდა ოსეთისა, სადაც კვლავ თავდადებული ერთგულებით იღვწოდა ქართული სასულიერო წოდება.

ზურაბ რატიანის წიგნი „წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო“ (1995 წ.).

ზ. რატიანი ჩრდილოეთ კავკასიას „პირიქითა საქართველო“ უწოდებს. აქ დღესაც მოსახლეობენ ქართველები, კერძოდ: ხევსურების, თუშებისა და მოხევეების ნაწილი. ისინი იქ მკვიდრი მოსახლეობაა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარში მოქცეული არის ხევსურეთის, თუშეთისა და ხევის ნაწილი. ძველად კი სვანეთის ერთი ნაწილიც მოქცეული იყო პირიქითა საქართველოში.

ზ. რატიანი წერს, რომ სვანების იქ (აწინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის მიწა-წყალზე) ცხოვრების ნაკვალევი ტოპონიმებით და ეკლესიებით, სვანური კოშკებით და სხვა ძეგლებით არის დადასტურებული (გვ. 5). ზ. რატიანი იკვლევს, რომ სვანები აწინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის მიწა-წყალზე თავდაპირველი მოსახლეები ყოფილან.

ჩრდილო კავკასიაში ქართველთა ცხოვრების შესახებ წერს „ქართლის ცხოვრებაც“. აქ აღნიშნულია, რომ თარგამოსის ძეს, ეგროსს, წილად ხვდა შემდეგი ტერიტორია: „ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი, აღმოსავლეით მთა მცირე-ლიხი, დასავლეთით ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაც წარსწთების წვერი კავკასიისა, ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას სახელი ქვია ბედია“.

ბედია მდებარეობს ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონში.

ზ. რატიანის კვლევით, „მცირე ხაზარეთის მდინარე“ ანუ ყუბანი სათავიდან შესართავამდე, სადაც მას უახლოვდება კავკასიის მთების წვერი, წარმოადგენდა ეგროსის ქვეყნის ჩრდილო საზღვარს, ხოლო, რაც შეეხება თარგამოსის სხვა ძის, ლეკანის ქვეყნის საზღვარს, წყაროებში ნათქვამია: „მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისგან ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად“ ანუ ლეკანის ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვიდან ვიდრე მდინარე თერგამდე, ხოლო ჩრდილოეთით მისი საზღვარი აღწევდა მდინარე ვოლგამდე, ანუ დიდი ხაზარეთის მდინარემდე.

ეგროსის ქვეყანასა და ლეკანის ქვეყანას, ანუ ყუბანსა და თერგს, შორის მდებარეობდა კავკასოსის ქვეყანა. ის თარგამოსის ერთ-ერთი ძე იყო.

მაშასადამე, მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა შავ ზღვამდე „ეგროსის“ წილი იყო. „ლეკანის“ წილი იყო მდინარე თერგის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა კასპიის ზღვამდე და მდ. ვოლგამდე, ხოლო მათ შუა „კავკასოსის“

ქვეყანა მდებარეობდა, ანუ ჩრდილო კავკასია სარმატ-სკვითების გამოჩენამდე ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

ამავე წყაროში აღნიშნულია, რომ თარგამოსის დროს ჩრდილო კავკასია დაუსახლებელი ყოფილა და იქ არავინ ცხოვრობდა: „არამედ არცა იყო კაცი კავკასთა ჩრდილოთ“ და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი.

ჩრდილო კავკასიაში პირველი მაცხოვრებელნი ყოფილან ეგროსის, კავკასოსისა და ლეკანის შთამომავლები, ე.ი. ეგრისელები (მეგრელები და სვანები), დვალები, ძურძუკები და დაღესტანელები.

ზ. რატიანი წერს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ლეონტი მროველს არ ეგულება არც ადიღელები, არც ოსები და არც სხვანი (გვ. 15) (დვალებს ოსები მხოლოდ მე-18 საუკუნედან უწოდეს).

ზ. რატიანის სიტყვით, ლეონტი მროველის ცნობას ეთანადება მეთექვსმეტე საუკუნის წყარო ბიჭვინთის იადგარი, ბიჭვინთის კათალიკოსის სამწყსო მდებარეობდა „ლიხსა და კაფასს შუა, რუსეთის სამძღვარს და ჭანეთს შუა.“

ბიჭვინთის საკათალიკოსოს სამხრეთით ესაზღვრებოდა ჭანეთი, ჩრდილოეთით – რუსეთი, დასავლეთით – შავი ზღვის პუნქტი კაფა, აღმოსავლეთით – ლიხის მთა.

ზ. რატიანის კვლევით, კაფა არის ქალაქისა და მდინარე ყუბანის ერთერთი სახელწოდება.

ის წერს: ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ ოსები, ყარაჩაელები, ბარყარელები და ჩერქეზელი მოდგმის ხალხები არ იყვნენ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა, თუმცა ისინი იქ მომთაბარეობდნენ, ანუ გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, ვოლგა–დონის შუამდინარეთში (გვ. 16).

ზ. რატიანი იყენებს ადიღე მეცნიერის ვ. მერეტუკოვის ნაშრომს „ადიღეური ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (მოსკოვი 1990 რუსულ ენაზე).

ადიღეური ტოპონიმების მიხედვით დასტურდება, რომ ჩრდილო კავკასიაში უამრავი ქართული „სვანური და მეგრული ტოპონიმებია, ქალაქ სოჭიდან და ტუაფსედან, გელანჯიკიდან, ანაპადან, მაიკოპიდან ვიდრე ყუბანის სათავეებამდე“.

მაგალითად, ასეთი ტოპონიმები დასტურდება ქალაქ კრასნოდარში და მისგან ჩრდილო აღმოსავლეთით 100 კილომეტრში მდებარე მდინარე ლაბას ქვემოწელზე. აქ მდებარე პუნქტს სონეიმეს ლექსიკონი განმარტავს ასე: „სვანების ტყე“. თვითონ სახელწოდება ლაბა მოდის სვანური სიტყვიდან „ლაბნა“ რაც ნიშნავს წყაროს. მისი კვლევით, ამ რეგიონში მსგავსი სხვა მრავალი ტოპონიმია, იქ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯგუფები მეოცე საუკუნეშიც კი მკვიდრობდნენ.

მრავალი მასალის ანალიზის შემდგომ ზ. რატიანი ასკვნის, რომ „ქართველთა პირველი საცხოვრისი ყუბანის აუზსა და შავი ზღვისპირეთში ადიღეელებს ერთბაშად კი არ დაუჭერიათ, არამედ ისინი ჯერ ყუბანის აუზში დამკვიდრებულან და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოსულან ქედის გადმოღმა შავი ზღვის სანაპიროზე“ (გვ. 32).

ზ. რატიანს მოჰყავს უამრავი მთის, მდინარის თუ ისტორიული ძეგლის სახელი, რომლებიც მდებარეობდნენ ჩრდილო კავკასიაში და ეს სახელები ქართული წარმოშობის არიან.

მან გამოიკვლია, რომ დოლმენების ხანაში (3–4 ათასი წლის წინათ) ადიღეელები ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ არ სახლობდნენ.

მან გამოიკვლია ნართების ეპოსი და დაასკვნა, რომ ეს ეპოსი არ არის შემუშავებული ჩრდილო კავკასიაში, არამედ ვოლგა-დონის სტეპებში. ამიტომაც ნართების ეპოსში ხშირად იხსენიება მდინარეები ინდილი, ანუ ვოლგა, ტენი, ანუ დონი, ასევე ზღვები, მაგ., ხაზას ზღვა, მაგრამ ნართების ეპოსში ნაკლებად იხსენება მთები. ეს ნიშნავს, რომ ნართების ეპოსის შემმუშავებელი ხალხების წინაპრები ცხოვრობდნენ ვოლგას, დონსა და ხაზას, ანუ კასპიის ზღვას შორის (გვ. 36).

ზ. რატიანის კვლევით, ოსები ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრდნენ ახ. წ. V საუკუნის შემდეგ (გვ. 38), მაგრამ მათი უმრავლესობა მონღოლებმა გაჟლიტეს XIII–XV საუკუნეებში (გვ. 38).

„ოსების შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთებს იჭერენ ყარაჩაი-ბალყარელები. მათ შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთებში დამკვიდრებულან ჩერქეზები: ყაბარდოელები და საკუთრივ ჩერქეზებად წოდებული ხალხთა ნაწილი“.

ზ. რატიანმა გამოიკვლია, რომ ჩერქეზული ტომები ჩრდილო კავკასიაში შემოსულან ვოლგა დონის ტრამალებიდან მონღოლთა ბატონობის ეპოქაში (ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო, 1995 წ. გვ. 38).

ზ. რატიანი იხილავს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომ ვახტანგ გორგასლის ჯარი ჩრდილო კავკასიაში „გავიდა პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოსეთისა, მდინარეს მას ოსეთისსა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო“.

„ოსეთის მდინარე“ რომელსაც ამ წყაროს ავტორი ჯუანშერი აჩვენებს, უნდა იყოს მდინარე დონი. აქ მის „წიაღში“ ანუ მის არეალზე, ე.ი ვოლგა-დონის ტრამალზე ყოფილა განლაგებული ახ. წ V საუკუნისთვის, ვახტანგ გორგასლის დროს. ალანიას და ზიხიას შემდგომი დროის რედაქტორმა „პაჭანიკეთი, ოსეთი და ჯიქეთი“ უწოდა.

ზიხია, მართლაც, მოიცავდა ყირიმსა და მდ. დონის შესართავის მხარეს. მის გვერდით ტრამალზე ყოფილა ალანია და პოლოვცების ქვეყანა. ასეთი ყოფილა ვითარება ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან.

XI საუკუნისათვის ვითარება შეცვლილა. აქედან, ანუ ვოლგა-დონის ტრამალებიდან, ევროპის მიმართულებით დაძრულა პაჭანიკების ტომი, ხოლო ჯიქები, პირიქით, ჩრდილოკავკასიისკენ დაძრულან და აფხაზეთის ახლოს, ანუ მდინარე ყუბანის შესართავთან, დამკვიდრებულან, ზ. რატიანის მიხედვით (გვ. 40).

ამ თვალსაზრისს ამტკიცებს წყარო. აღნიშნული ტომების მოძრაობასთან დაკავშირებით ჯუანშერი წერს: ვახტანგ გორგასლის „შემგომად მრავალთა ჟამთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიკნი დასავ-

ლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრეს ბოლსა აფხაზეთისასა“ (ქ. ცხ., I, 1255, გვ. 156).

ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ჩრდილო კავკასია ჰუნების ხელში ყოფილა, შემდგომ მათ ადგილზე დამკვიდრებულან სხვა ტომები.

ვოლგა-დონის ტრამალებიდან ყივჩაღებს XI ს-ში პაჭანიკები გაუძევებიათ. ისინი წასულან დასავლეთ ევროპისკენ – დუნაისა და კარპატებისაკენ, ხოლო ჯიქები, როგორც ითქვა, დასახლებულან „ბოლოსა აფხაზეთისასა“ ერთი ბოლო აფხაზთა საერისთავოსი, წყაროს ცნობით, იდო იქ, სადაც მდ. ყუბანს „წვდება წვერი კავკასიის ქედისა“ მეორე ბოლო კი ბზიფ-გაგრა-ოჩის რეგიონთან იყო. ზ. რატიანის აზრით, ისინი (ჯიქები), მდ. ყუბანის შესართავის მხარეს დასახლდნენ.

ჯიქები და ჩერქეზები სხვადასხვა ხალხი იყო. ჯიქები კავკასიის მკვიდრები იყვნენ, ხოლო ჩერქეზები – მონღოლთა ეპოქაში კავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოსული ხალხი. ჩერქეზებმა შეძლეს ჯიქების დამორჩილება და მათი ასიმილიაცია. იქამდე ჯიქებს თავიანთი ენა ჰქონდათ, რომელსაც დამორჩილება – დამონების შემდეგ ფარულად მოიხმარდნენ, ისევე, როგორც, ვახუშტის ცნობით, დვალებს გაოსებამდე ჰქონდათ თავიანთი ენა. მილერის კვლევით, რასაც დაღესტნის ისტორიის არაბული წყაროებიც ადასტურებს. თემურლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში გაბატონებული ყველა ხალხი შემოსული იყო, ვითარცა ადგილობრივი ტომების დამპყრობი, რომელთაც შეძლეს მკვიდრების ასიმილიაცია.

ძველი ჩრდილო ეგრისი, რომელიც იწყებოდა მდ. ყუბანთან, დაკარგეს ეგრისელებმა და იქ სხვადასხვა ხალხი დასახლდა, მათ შორის, ჩერქეზებიც, თემურის ლაშქრობის შემდეგ. ამის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი XVIII საუკუნისა ვასილ ტატიშჩევი წერს: ჩრდილო სამეგრელოს, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები უწოდებენ აფხაზს, ჩვენი ძველები უწოდებდნენ ობეზს... მას ახლა ყუბანელები ავსებენ“ („იზ ისტორიი ფეოდალნოი როსიი“. ლენინგრადი, 1978, ს. 25–33).

იქ შუა საუკუნეთა ბოლოს ჩასახლებული „ყუბანელები“ არიან ადიღე–აფსუები, რომელნიც იქ გაბატონდნენ ძველი ქართველი აფხაზების, ანუ ობეზების დამარცხების შემდეგ.

ყველა შემთხვევაში ტატიშჩევი აღიარებს, რომ აფსუები არიან ყუბანელები, ანუ ყუბანიდან აფხაზები ჩასახლებული ადიღეელები.

ისტორიულად ქართველური ტომებით დასახლებულ ჩრდილო კავკასიაში ადიღე-ჩერქეზების თუ ალანების ჩასახლებამდე გავრცელებული იყო ქართული სოციალური ტერმინები.

ტერმინები „ათაუდ და უორკი“ (თავადი და ვარგი), რაც ჩერქეზეთში აღნიშნავს მაღალ სოციალურ ფენას, არის ქართული თავადი და ვარგი (აზნაური). ისინი მიუღია და გადაუღია მომთაბარე მეურნეობიდან მიწათმოქმედ მეურნეობაზე გადასულ ჩერქეზებს (გვ. 40).

მათი დამკვიდრება ამ მიწაზე დაიწყო XV საუკუნეში და დასრულდა XVI ს-ში.

ჩრდილო კავკასიაში და ვოლგა-დონის ტრამალებზე ყივჩაღების ადგილი ჩერქეზებმა დაიჭირეს. ამის შესახებ აღნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ კომენტატორი, სადაც შენიშვნაში აღნიშნავს:

„ყივჩაღი – ჩერქეზია“.

აზნაურის ადიღეური ფორმაა – ანძა.

სვანური სოციალური ტერმინი ფუსტი (უფალი) ჩერქეზებს აუთვისებიათ.

ზ. რატიანის კვლევით, „ადიღეელები ყუბანისპირეთში XIII–XIV საუკუნეებში შემოხიზნულან“ (გვ. 48), ისინი ჩრდილოკავკასიაში ტალღებად და არა ერთბაშად შემოსულან.

ქართული ნაკვალევი ჩანს მათ ენაში (სვანა-თოხი, ლასვანა-ბარი და ნიჩაბი, გურაჟ –კრამიტი და სხვა). სვანებისაგან შეუთვისებიათ მიწის დასამუშავებელი იარაღების სახელები.

აქ მრავალი ჰიდრონომი სვანურია (ზ. რატიანი, გვ. 51).

ჩერქეზებს ჩრდილო კავკასიის მკვიდრი ქართველებისაგან აუთვისებიათ გეოგრაფიული, სოციალური და რელიგიური ტერმინები, მაგალითად, ჩერქეზულად ჯვარი არის ჯორე.

ეს ტერმინი მიუთითებს ქართულ ეკლესიის იურისდიქციაში ჩრდილო კავკასიის ყოფნის შესახებ.

ადგილობრივ აბაზა მკვიდრების გამოკითხვის შედეგად მკვლევარმა დაასკვნა: „აბაზების მტკიცებით, აბაზა და აფსუა ერთიდაიგივეა, უფრო ზუსტად – აფსუა ერთი აბაზურ ტომთაგანია“ (გვ. 54).

ზ. რატიანი ასკვნის: „ამგვარად ადიღეურმა ტოპონიმიამ სავსებით დაადასტურა ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები შესახებ იმისა, რომ ყუბანის მარცხენა ნაპირის მხარეში და შავი ზღვის სანაპიროზე ტამანის ნახევარკუნძულამდე, ჩერქეზულ – ადიღეური ტომების დამკვიდრებამდე ცხოვრობდნენ ქართული ტომები – სვანები და მეგრელები“ (გვ. 68).

ამასვე ადასტურებენ ჰიდრონომები და ყორღანთა სახელებიც კი (მაგალითად, ყორღანებს ჰქვიათ – გურჟ უაშხ (კრამიტიანი), „გომილეშხა აზნაურა ყურღან“ – ე.ი. გუმელიანების, ანუ აზნაურ გომილიანების ყორღანი, ერთ-ერთ რაიონულ ცენტრს ადრე ერქვა ანძაური (ე.ი აზნაურისა) (გვ. 68). აქვეა გავრცელებული ქართული გვარი მარშანი, ყორღანის სახლია „რატუიუამს“ (რატის ყორღანი) (გვ. 69).

ზ. რატინი წერს, აფსუებმა არ იციან, რომ მთელ საქართველოს ერთ დროს აფხაზეთი ერქვა, მაშინ, როცა, ეს იცოდნენ მათმა მეზობელმა ძველმა ხალხებმა და, ეს, ცხადია, ძველმა, ანუ ქართველმა აფხაზებმაც იცოდნენ, მაგრამ ეს ადიღე-აფსუებმა არ იციან.

ისინი რომ აფხაზები იყვნენ, იცოდნენ, – წერს ზ. რატიანი.

ზურაბ რატიანი თავისი წიგნის (წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო) II ნაწილში ეხება ადიღეელთა წინაპრების თავდაპირველ საცხოვრისს ვოლგა-დონის შუა ტრამალებში და წერს:

ნართების ეპოსში ხშირი მოხსენიება ორი დიდი მდინარისა – ვოლგისა და დონისა, მიგვითითებს ადიღეელთა წინაპრების უწინდელ საცხოვრისზე,

ხოლო ხაზას, ხაზართა, იგივე კასპიის ზღვისა ასევე ხშირი მოხსენიება ეპოსში კიდევ უფრო აზუსტებს ადიღეელთა ძველი საცხოვრისის ადგილმდებარეობას.

ერთადერთი მიწა-წყალი, სადაც შეიძლებოდა ოსური, ჩერქეზული, ანუ ადიღეურ-აბაზა-აფსუური და თურქული ან ყარაჩაი-ბალყარული ეპოსები ჩასახულიყო, აშკარად ვოლგა - დონის შუა ტრამალებია.

ნართების ეპოსის შემქმნელი ხალხის სამომთაბარეო მიწა-წყალი ნართების ეპოსის ჩასახვისას, ვოლგა-დონის ტრამალებია.

ეს ტერიტორია კი უხსოვარი დროიდან იყო ის დერეფანი, რომლითაც აზიელი ველურები ევროპისაკენ მიისწრაფოდნენ. სკვითები, სარმატები, ჰუნები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, ალანები და კიდევ ბევრი სხვადასხვა ჯურის ველური ტომები მომთაბარეობდნენ ვოლგა-დონის ტრამალებზე ათასეული წლების განმავლობაში. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანის წიაღში იშვა ნართების ეპოსი, მაგრამ იმის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება, რომ ყველა ის ხალხი, რომელიც ნართების ეპოსის შემქმნელად ითვლება, სათავეს ვოლგა-დონის ველებზე მომთაბარე ველურებიდან იღებს.

ამათგან ოსები უშუალოდ ალან-სარმატ-სკვითთა შთამომავლებად არიან მიჩნეული, ძირითადად ენობრივი კუთვნილების გამო. მაგრამ ხალხის ენა ყოველთვის არ არის მათი რასობრივი კუთვნილების განმსაზღვრელი. ამის მაგალითები ისტორიამ ბევრი იცის და საკმაოა უზბეკების, ყაზახებისა და ყირგიზების დასახელება, რომლებიც ენით თურქულენოვანნი არიან, რასობრივად კი მონღოლოიდები. ყარაჩაი-ბალყარელთა თურქულენოვანება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი თურქული მოდგმის კუთვნილებას.

ვოლგა-დონის ტრამალებზე ორი – ირანული და თურქული – მოდგმის ხალხი მომთაბარეობდა ოდითგან.

ამათ XIII საუკუნიდან დაემატათ მონღოლები, რომელთა ნაშთი ახლა ყალმუხეთში, რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრობს. ამიტომ ძნელდება გადაჭრით თქმა ნართების ეპოსის აწინდელი ავტორი ხალხების ჩამოყალიბებაში, რომელი მოდგმის ველურმა ტომმა რა წვლილი შეიტანა.

ზ. რატიანი ჩერქეზების შესახებ წერს: ყველაზე ბოლოს, ე.ი. ოსებსა და ყარაჩაი-ბალყარელების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დამკვიდრდნენ ჩერქეზები და ყაბარდოელები. ისინი ოსებივით მონღოლების, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის სასტიკი შემოსევების შედეგად შეეფარნენ მთებს.

ყარაჩაი-ბალყარელები მთებში უფრო მაღლა სახლობენ და მხოლოდ ამათ ქვემოთ არიან განსახლებული ჩერქეზ-ყაბარდოელნი. როგორ მოხდა ეს?

ჩერქეზები მთებში ყუბანისპირეთიდან მივიდნენ, სადაც ვოლგა-დონის ტრამალებიდან მისულან.

როდის დაუჭერიათ ჩერქეზებს ყუბანისპირეთი?

პაჭანიკები ვოლგა-დონის შუამდინარეთში IXს-ს ბოლოდან გამოჩნდნენ, საიდანაც XI ს-ს შუა ხანებიდან ისინი ყივჩაღებმა გააძევეს დასავლეთით – დუნაისა და კარპატებისაკენ. ასე, რომ ჯიქები სწორედ XI ს-ს შუა წლებში დასახლებულან „ბოლოსა აფხაზეთისასა“.

ახლა ვნახოთ, რას გულისხმობს ჯუანშერი „ბოლოსა აფხაზეთისასა“- ში. ცხადია, აქ მდინარე ყუბანის გასწვრივი საზღვარი იგულისხმება. XI ს-შუა ხანებში ჯიქები მდინარე ყუბანის ქვემო წელზე, მის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებულან. ეს კი აზოვისპირა დაბლობია.

ჩერქეზ-ადიღეველთა, იგივე ჯიქთა ნაწილის ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ოსებსა და ყარაჩაი-ბალყარელთა შემდგომ შეხიზვნაც იმას მოწმობს, რომ ჯიქები ამ მთებში უფრო შორიდან მოსულან, ვიდრე ოსები და ყარაჩაი-ბალყარელები.

ამრიგად, ადიღეური ნართების ეპოსისა და ჯუანშერის ცნობებით დადასტურდა ადიღეელთა – ჯიქთა, ე. ი. საერთოდ ჩერქეზთა მომთაბარეობა ვოლგა-დონის შუამდინარეთში, საიდანაც, ჯუანშერის თანახმად, ისინი მდინარე ყუბანის ქვემო წელზე, აზოვის ზღვისპირა დაბლობზე დამკვიდრებულან XI ს შუა ხანებში. ჯუანშერის დამოწმებული ცნობა ასე გრძელდება: „და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი და შეიქცა, და მოადგა ოსეთსავე“.

როდის გადმოლახეს მდინარე ყუბანი ადიღეელებმა? როგორ მოხდა ეს? როდის დამკვიდრდნენ ისინი ყუბანის მარცხენა ნაპირებზე და შავი ზღვის სანაპიროზე?

ამისათვის სოციალურ ტერმინებს „ათაუად“ და „უორკს“ განვიხილავ, – წერს ავტორი.

ეს სოციალური ტერმინები ადიღეურსა და მის მომმე ენებში არის დადასტურებული, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მაშინაც კი, როცა ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ადიღეური მოსახლეობა დამკვიდრდა, ეს მოსახლეობა ქართული პოლიტიკური და სოციალური გავლენის ქვეშ მოექცა, და, ცხადია, ასევე ქართული კულტურული და ნაწილობრივ მაინც ეკონომიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

უპირველესი რუსი ისტორიკოსი ვასილ ტატიშჩევი წერდა: „Паче же мною, часть Мингрелии Северная, которую турки и кабардинцы имянуют Авхазос, наши древние именовали обезы…Ныне оной большую часть кубанцы наполняют“ (55).

ე.ი. „ჩრდილოეთ სამეგრელოს“ თურქები და ყაბარდოელები ავხაზოსს უწოდებდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს ეძახდნენო და ახლა მის მეტ ნაწილს ყუბანელები იჭერენო.

დ. ტატიშჩევმა თავისი ვრცელი გამოკვლევა „История России“ 1739 წელს წარუდგინა რუსეთის აკადემიას და, ამდენად, მისი აქ დამოწმებული ცნობა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ვითარებას ასახავს. ვ. ტატიშჩევის ობიექტურობა იმით იყო გაპირობებული, რომ მის დროს რუსეთს საქართველო ჯერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდა და რუსეთში საქართველოს მიმართ აშკარად ჯერ არ ამჟღავნებდნენ დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

ასე რომ, ვ. ტატიშჩევის სანდო ცნობის თანახმად, აფხაზეთი, იგივე ჩრდილოეთი სამეგრელო, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდათ დაჭერილი აფსუებს, რის გამოც თვით სახელწოდება ჩრდილოეთი სამეგრელო ჯერაც ჩვეულებრივად იხმარებოდა. თუ ვ. ტატიშჩევის ცნობას

ჩავუკვირდებით, იგი უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია. „Наши древние именовали обезы“, წერს იგი და... არა მგონია დაეწერა „древние“ ორიოდე საუკუნის წინანდელ წინაპრებზე. ვფიქრობ აქ უთუოდ იმის ანარეკლიც არის, რომ ტატიშჩევამდე ხუთი-ექვსი საუკუნით ადრე რუსები იცნობდნენ ტერმინს ობეზი, რაც ცნობილია, და მაშინ კი ჩრდილოეთი სამეგრელო ყუბანისპირეთი იყო, ხოლო აფხაზეთი სამეგრელოს შუაგულს შეადგენდა.

ავტორი განაგრძობს ახლა უშუალოდ ათაუადისა და უორკის შესახებ:

სრული გაუგებრობის, თუ მეტის არა, შედეგია, რომ ტერმინი „ვარგი“ მიაჩნიათ ადიღეურიდან სვანურში შემოსულ სოციალურ ტერმინად. სინამდვილეში პირიქით იყო. ვარგი და ბევრი სხვა ტერმინიც ქართულიდან არის შესული ადიღეურში. ვარგი თამარის ეპოქაში აღნიშნავდა ღირსეულ ყმა – ვასალს, მოლაშქრეს, რომელიც სოციალურად აზნაურიც შეიძლებოდა ყოფილიყო და აზნაურის მსახურიც. უფრო ადრე კი, ბაგრატ III-ს სამართლის თანახმად, რომელიც ძირითადად X–XI საუკუნების ვითარებას ასახავს, ვარგის შესატყვისი იყო ცალკე სოციალური კატეგორია – ყმა, ანუ ყმა – ვასალი, მოლაშქრე, აზნაურზე დაბლა მდგომი ფეოდალური იერარქიის კიბეზე, მაგრამ არა მიწისმოქმედი და თვითონ ყმა-გლეხთა პატრონი. ასეთი ვარგი ფეოდალური საქართველოს მთიან მხარეებში, კერძოდ, სვანეთში, ფართოდ იყო გავრცელებული, სადაც აზნაურის მნიშვნელობით იხმარებოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინ „ათაუადის“ ადიღეში გავრცელება, როგორც ეს ს. ჯანაშიას ჩანაწერით დადასტურდა. საქმე ისაა, რომ იმ სოციალური შინაარსით, როგორითაც ის უმაღლეს ფეოდალურ-ვასალურ წოდებას აღნიშნავს, თავადი XV საუკუნიდან იკიდებს ფეხს და საბოლოოდ XVI საუკუნეში გაბატონდა საქართველოში. მანამდე კი, X–XIV საუკუნეებში გაბატონებული იყო ტერმინი „დიდებული“, პრინციპულად იგივე თავადი. დიდებულსა და თავადს შორის, შეიძლება ითქვას, ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ერთიანი საქართველოს მეფეებს, ვთქვათ, ერთი მხრივ, დავით აღმაშენებელსა და თამარს, ხოლო, მეორე მხრივ, დაქუცმაცებული ქვეყნის მეფეებს, ვთქვათ, ვახტანგ VI-სა და ერეკლე II-ს შორის. პირველნიც მეფენი იყვნენ და მეორენიც, მაგრამ მათ შორის განსხვავება (ცხადია, არაპიროვნულს ვგულისხმობ) მაინც დიდი იყო. დაახლოებით ასე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან დიდებული და თავადი.

რადგან ადიღეში „ათაუად“ და არა „ადიდებულ“ არის დადასტურებული, ეს იმის ნიშანია, რომ XV საუკუნემდე, უფრო ზუსტად XV საუკუნის II- ნახევრამდე, ყუბანისპირეთში, შავიზღვისპირეთზე რომ აღარა ვთქვა, ადიღეელები ჯერ კიდევ არ იყვნენ საბოლოოდ დამკვიდრებული.

ისინი რომ XIII–XIV საუკუნეებში შემოხიზნულიყვნენ ყუბანისპირეთში, უთუოდ სიტყვა „დიდებული“ გავრცელდებოდა ადიღეელებში და არა სიტყვა „თავადი“. XIV საუკუნის ბოლოდან საქართველოში საშინელი სისხლის წვიმები დაიწყო თემურ ლენგის შემოსევებით, რომლის მრავალგზის ლაშქრობამ აყვავებული ქვეყანა მიწასთან გაასწორა და XV საუკუნიდან ამას დაემატა სხვა აღმოსავლური ურდოების შემოსევები.

ასეთ გაჩანაგებულ ქვეყანაში ადვილი იყო ადიღეელების დიდი რაოდენობით დამკვიდრება.

ტერმინი „ათაუადი“ ადასტურებს, რომ ახალი მოსახლეობა ჯერ ისევ ძველი, ე.ი. ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა, ჩანს, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. ამიტომ არის შემორჩენილი ადიღეელებში მერეთინ-იმერელი ქართველის მნიშვნელობით, ხოლო ძველი სახელი „ქურჯ“ მათ უფრო თბილისის მიმართ შემორჩენიათ.

სვანის, ადიღეურად „სონე“, სახელის ყველაზე მეტად გავრცელება ადიღეს აწინდელ ტოპონიმიკაში კი უთუოდ იმის ნიშანია, რომ ხიზნებად შემოხვეწილ ადიღეელებს იქ სვანები დახვედრიათ, ვისგანაც მათ უსწავლიათ ხვნა-თესვა, ვაზის და ღვინის, გუთნის, თოხის, ბარის, ნიჩბის და ვინ იცის, კიდევ რა კულტურისა და იარაღის სახელი. (ადიღეურსა და მის დიალექტებში სანე ნიშნავს ვაზსა და ღვინოს, კუთან – გუთანს, ხვანა – თოხს, ლასვანა – ბარსა და ნის, გურჟ – კრამიტს…). საერთოდ, კი ტერმინების სონე-სვანი, ქურჯ-უწინ ქართველი, მერე – თბილისი, მერეთინ – ქართველის არსებობა ადიღეურ ენაში უდავოდ იმის მოწმობაა, რომ ადიღეელები ტალღებად და არა ერთბაშად შემოსულან ამ ქართულ მხარეში.

ადიღეელთა პირველ ტალღას ქართველთა ნაკვალევისათვის ჯერ სონე–სვანთან დაკავშირებული სახელები უნდა დაერქმია, მეორე ტალღას – ქურჯ ფუძის სახელები და ბოლო, მესამე ტალღას – მერეთინ ძირის ტოპონიმები. ასე, რომ ყოველ მომდევნო ტალღას წინარე ტალღის მიერ დარქმეული ტოპონიმი უნდა დახვედროდა იქ.

შაფსუღები კი შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეების შახესა და ფშადას შორის, ხოლო ქედს გადაღმა მდინარე ყუბანის ქვემო წელის მარცხენა ნაპირზე სახლობდნენ. ეს ის ტერიტორიაა, სადაც დადასტურებული ტოპონიმები სონჩთხ – სვანების ქედი, სონჩ – სვანებისა, გუჯეური – წაბლიანი, ქურჯ ნიბ – ქურჯ ჩეი – ქართველების დაბლობი, ქართველების ველი.

აქედან ჩანს, როდესაც ამ მიწებზე შაფსუღები მოვიდნენ, მათ იქ ქართველები დახვდნენ სვანებისა და კიდევ სხვა ქართული ტომის სახით. საფიქრებელია, რომ გარდა სვანებისა, ადიღეთა შაფსუღების ტომს ადგილზე მეგრელებიც დახვედროდნენ.

მიიჩნევა, რომ სახელი ნიკოფსია ადიღეური „ნეჩეფსუხიდან“ წარმოდგება, ამას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია იმ უეჭველი მიზეზის გამო, რომ სიმონ კანანელის დროს და, შემდგომაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ადიღეელთა ჭაჭანებაც კი არ ყოფილა შავი ზღვის სანაპიროზე და, ცხადია, ისინი ვერც ნეჩეფსუხის და ვერავითარ ადიღეურ სახელს ვერ დაარქმევდნენ შავ ზღვაში ჩამდინარე ვერც ერთ მდინარეს.

ახლა საქართველოს ძლევამოსილობის ამსახველი ცნობილი ფორმულა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ განვიხილოთ. პირველად ეს დებულება დავით აღმაშენებლის ანდერძშია ჩამოყალიბებული: „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სპერად და არეგაწადმდე“ (96). აქ ჩამოთვლილია დავითის დროინდელი საქართველოს უკიდურესი დასავლეთი –„ნიკოფსიით-

გან“ აღმოსავლეთი – „დარუბანდისა საზღურადმდე“ სამხრეთი – სპერად“ და ჩრდილოეთი – „ოვსეთიდგან“ საზღვრები. შემდგომში, XII–XIV საუკუნეების განმავლობაში, დავით აღმაშენებლის ეს ფორმულა შემოკლებული სახით, „ნიკოფსიით დარუბანდამდე,“ რამდენჯერმე იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ ავტორებთან: „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დარუბანდამდის და შეკრბეს... ავახეთს, და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შევედრა“... უქარდინზე გამარჯვებაო.

„ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყვნენ“ (98).

„ვითარ აღსრულდა მეფე (ლაშა-გიორგი – ზ. რ.), შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოსნი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა ქუეშე მათსა მყოფნი და მეფე ყვეს რუსუდან და დასუეს საყდართა სამეფოთა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ“ (99).

„დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად... იკოფსით დარუბანდამდე“ (100).

„დასუეს ტახტსა სამეფოსა (ვახტანგ II, 1259–1292) და დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე...(101).

იგივეს ვხედავთ ვახუშტისთანაც, ოღონდ იგი ამ ფორმულას გიორგი ბრწყინვალესა და მისი ძის, დავითის, მიმართაც იმეორებს.

ამრიგად, საქართველოს ძლიერების ხანაში, დავით აღმაშენებლით დაწყებული ვიდრე XIV საუკუნის ბოლომდე, უცვლელია ფორმულა „ნიკოფსით დარუბანდამდე“. XV საუკუნიდან კი ეს ფორმულა ქრება, რითაც რეალური ვითარებაა ასახული. საქართველომ დაკარგა ორივე ფორპოსტი. ფაქტი, რომ ნიკოფსია მთელი ორი საუკუნის განმავლობაში უცვლელად იხსენიება საქართველოს უკიდურეს დასავლეთ საზღვრად, აშკარად იმის ნიშანია, რომ იგი საქართველოს უძველეს საზღვართან – მდინარე ყუბანის შავი ზღვის შესართავის მახლობლად მდებარეობდა და არა ტუაპსეს ახლოს. ე.ი. ნიკოფსიას იქით საქართველოს საზღვრის გადაწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან ნიკოფსია, ცხადია, მისი შემოგარენით, არსებითად კავკასიის უკიდურესი დასავლეთი საზღვარი იყო. იგი ტამანის ნახევარკუნძულს ესაზღვრებოდა, როლის იქით ზღვა იყო, ხოლო გაღმა – ყირიმი. ასე, რომ რა კუთხითაც გინდა განვიხილოთ ნიკოფსიის ადგილმდებარეობა, სულერთია, იგი მაინც საქართველოს უძველესი დასავლეთი საზღვრის, ტამანის ნახევარკუნძულის, მახლობლად აღმოჩნდება და არა ტუაპსეს მახლობლად.

ამრიგად, მოკლედ, ძირითადი დასკვნა ასეთია:

ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი საისტორიო თხზულებანი ლეონტი მროველისა და ჯუანშერისა, ხოლო, მეორე მხრივ, ადიღეური ტოპონიმია და ზეპირსიტყვიერება, დამაჯერებლად ასაბუთებენ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ მდინარე ყუბანის სათავიდან შესართავამდე, ამ მდინარის მარცხენა ნაპირის მხარეში და მის მიმდგომ შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ სოჩის შემოგარენიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე, ადიღეური, ანუ ჩერქეზული მოდგმის ხალხზე უწინარეს, მათზე გაცილებით ადრე, ამ მხარეში ქართული

ტომები, სვანები და მეგრელები, ცხოვრობდნენ. ამიტომ, მთელი ეს მხარე, ანუ პირიქითა საქართველო, ქართველთა ისეთივე დედასამშობლო – პირველსაცხოვრისი გახლავთ, როგორც აწინდელი საქართველოს ნებისმიერი კუთხე.

იგივე წყაროები ასევე დამაჯერებლად ადასტურებენ მეორე დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ ადიღეური მოდგმის ხალხი ქართველთა მიწებზე შემოხიზვნამდე მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირის ტრამალებში ცხოვრობდა, ვითარცა ველური, ე.ი. მომთაბარე, ანუ იგივე ქაშაგ-ჩერქეზი. ადიღეელები XV საუკუნეში დამკვიდრდნენ.

X საუკუნის II ნახევარში. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა ბაგრატ III ბაგრატიონი. ის იყო ერთ-ერთი უძლიერესი და უდიდესი ქართველი მეფე. ბაგრატ III გურგენ ქართველთა მეფეთ-მეფის შვილი იყო და ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გამეფდა აფხაზეთში, რის გამოც ბაგრატს აფხაზთა მეფე ეწოდა. ვიდრე მამამისი, გურგენ ქართველთა მეფეთ-მეფე, ცოცხალი იყო, ბუნებრივია, ბაგრატი ქართველთა მეფე ვერ გახდებოდა და ამიტომ იწოდებოდა მხოლოდ აფხაზთა მეფედ. მამის გარდაცვალების შემდგომ კი, 1008 წლიდან, ბაგრატ აფხაზთა მეფე გახდა ქართველთა მეფეც. რადგან იგი პირველად აფხაზთა მეფედ ეკურთხა, ამიტომ მისი სამეფო ტიტულატურა აფხაზთა მეფობით იწყებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ აღინიშნებოდა ბაგრატის ქართველთა მეფობა. ასე ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“ რასაც შემდგომში, საქართველოს სრული გაერთიანებისა და, აგრეთვე, საქართველოს შემადგენლობაში არაქართული ქვეყნების მოქცევის გამო დაემატა: კახთა, რანთა, სომეხთა, შირვანშა, ე.ი. შირვანის შაჰი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რადგან გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულატურა აფხაზთა მეფის წოდებით იწყებოდა, ამის გამო უცხოელები საქართველოს აფხაზეთსაც უწოდებდნენ, ძირითადად XII–XIII საუკუნეებში.

წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე სრულდებოდა. აფხაზმა მეფეებმა კი ღვთისმსახურება მშობლიურ, ქართულ, ენაზე შემოიღეს და ამით სამუდამოდ გადაუწურეს იმედი უცხოელ დამპყრობლებს ქვეყნის დაქუცმაცებისა და გადაგვარებისა. ბრძენი აფხაზი მეფეების მიერ გატარებული ეს საეკლესიო რეფორმა უდიდესი ქართული ეროვნული მნიშვნელობის აქტია. კიდევ მეტიც, თვით ადიღეელებსა, ანუ ჩერქეზებსა და მათ შორის, ცხადია, აბაზა-ებსა და ოსებშიც კი, რომლებიც მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე ცხოვრობდნენ, აფხაზმა მეფეებმა ქრისტიანობა და ქართული კულტურა გაავრცელეს (ჯვარი ადიღეურად არის ჯორე). ასე,

რომ არა მარტო სამშობლოში, უცხოეთშიც კი ქართულ კულტურას ავრცელებდნენ აფხაზი მეფეები. მე-9 საუკუნიდან საქართველოს ყოველ კუთხეში, ყოველი ქართული ტომის შვილი მშობლიურ ენაზე აღასრულებდა წირვა-ლოცვას, ხოლო გადამთიელი ჩერქეზ-ადიღე-აბაზა-აფსუა-ოსიც ასევე ქართულად ლოცულობდა.

ნ. მაისურაძის ნაშრომი „კავკასიის საერთო მუსიკალური კულტურა“

კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც საერთო მუსიკალური კულტურა იყო გავრცელებული. ამ დასკვნამდე მივიდა მუსიკისმცოდნე მეცნიერი ნ. მაისურაძე ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხის ტრადიციული მუსიკალური კულტურის შესწავლის შემდეგ (ნ. მაისურაძე, „ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ტრადიციები“ 2015)

ქართველ ტომებს წამყვანი როლი ეჭირათ კავკასიის საერთო მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში ქრისტეშობამდე ათასწლეულით ადრე. ამ დროს ქართული ტომები ფართოდ იყვნენ განფენილნი ვრცელ ტერიტორიაზე.

ქართველ ტომთა პოლიფონიურმა აზროვნებამ არსებითი როლი შეასრულა საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში.

ის წერს: „ქართულ, აფხაზურ, ადიღეურ, ოსურ, ჩაჩნურ, ინგუშური და, ნაწილობრივ, დაღესტნური მუსიკალური მონაცემები, მუსიკალურ-ინტონაციური (და ჰარმონიულ ელემენტთა) ნათესაობა, განვითარების უძველეს ეტაპზე ტოპოლოგიური მსგავსება, შემდგომ პროცესში საერთო კავკასიური მუსიკალური ინტონაციური ხასიათი, და, რაც მთავარია, მრავალხმიანობა და მისი ფორმები, მეტყველებს კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც საერთო მუსიკალური კულტურის არსებობაზე....

ქართველი ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და ამ ტომებს პოლიფონიურმა აზროვნებამ სუბსტრატის როლი შეასრულა საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში. მუსიკალური მონაცემებით, „ქართველურ“ ტომთა გავრცელების არე თანდათან იზრდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ მრავალხმიანობის ფორმების განვითარების სურათს მხოლოდ ქართული მუსიკალური ენა იძლევა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილო კავკასიური მუსიკალური ენები. ოსური მუსიკალური ენის სუბსტატი ქართველურია“ (ნ. მაისურაძე, „ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ტრადიციები“ 2015. გვ. 330)

აფხაზური მუსიკალური ენა გენეტიკურ კავშირშია ქართულ მუსიკალურ ფუძე ენასთან (გვ. 192).

ჩაჩნურ, ინგუშურ და დაღესტნურ ხალხურ მუსიკაში, ჩანს, კავშირია აღმოსავლურ ქართულ სამყაროსთან (გვ. 260)

ნ. მაისურაძის ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონისა და ქართულ წყაროთა მონაცემებს კავკასიის ერთიანი ეთნიკურ – კულტურული ველის შესახებ პირველეთნარქთა ეპოქაში.

ვ. კუზმინის ნაშრომი „ჩრდილოეთ კავკასიის ძველი ქრისტიანული ტაძრები, რესტავრატორის ჩანაწერები“

ქართულ საინტერნეტო სივრცეში 2012 წელს გამოჩნდა თარგმანი ვ. კუზმინის ნაშრომისა „ჩრდილო კავკასიის ქრისტიანული ტაძრების შესახებ“ მთარგმნელის კომენტარებით. http//givargi.blogspot.com/2012/01/blog–post-17.html

საინტერესოა, რომ კუზმინი ეთანხმება და იმეორებს კავკასიის კლასიკოსი მკვლევარ – ისტორიკოსის მილერის თვალსაზისს, რომ ჩრდილო კავკასიის ამჟამინდელი ყველა ხალხი არაკავკასიური წარმოშობისაა და მათი წინაპრები კავკასიაში ჩასახლდნენ თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ.

მილერის ამ თეორიას კუზმინი თავისი კვლევებით ადასტურებს.

ის წერს: „ვ. მილერის აზრით, ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი შუა აზიის ტრამალებიდან ჩასული მომთაბარეები არიან.

ურალის, ვოლგის, დონის გადალახვის შემდეგ ეს ხალხები უსასრულო მწკრივებად და ტალღებად მიდიოდნენ სამხრეთ რუსულ ტრამალებში და უფრო დასავლეთისკენ, ევროპის შუა და სამხრეთ ქვეყნებში. ისინი, აზიიდან მოსული ახალი ხალხების მიერ შევიწროებულები, ერთმანეთთან შეჯახებისას, თავშესაფარს ეძებდნენ ხალხთა გადასახლების ჩვეულებრივი გზიდან მოშორებით, ჩრდილოეთით ან სამხრეთით.

იმათ, ვინც თავშესაფარს სამხრეთით ეძებდა, აძევებდნენ შავი ან აზოვის ზღვების სანაპიროებისკენ.

ყველა მხრიდან შევიწროებული ხალხი თავს აფარებდა მთის ხეობებს და იქაც მას უწევდა ბრძოლა ამ ხეობებში მასზე უფრო ადრე შეყრილ სხვა ხალხებთან.

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა გავლენას ახდენდა ცხოვრების ახალი პირობები ველებიდან და დაბლობებიდან მთებში შერეკილ ხალხებზე.

ახალ სამშობლოს პოულობდა ის ხალხი, ვინც გაუძლებდა ბრძოლას ბუნებასთან და ადგილობრივ მკვიდრებთან. მაგრამ ყველა შემთხვევაში ცხოვრების შეცვლილი პირობები და გამუდმებული ბრძოლა ამცირებდა ამ ხალხთა რაოდენობას.

მომთაბარე ტრამალელს უჭირს მთებთან შეგუება და ის მთიელად იქცევა მხოლოდ რამოდენიმე თაობის შემდეგ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თანამედროვე წვრილი ხალხები, რომლებიც თავის არსებობას ასრულებენ კავკასიის ხევ-ხუვებში, წარმოადგენენ ოდესღაც ტრამალებში მომთაბარე უფრო დიდი ხალხების ნაშთებს, რომლებსაც ძველი და შუა საუკუნეების ისტორიკოსები და გეოგრაფები შეიძლება სხვა სახელებითაც იცნობდნენ.“

http//givargi./2012/01/blog–post_17.html

კუზმინი წერს: По мнению уже упомянутого выше В.Миллера, все народы Северного Кавказа – это степняки–номады, которые пришли из степей Центральной Азии. «Перейдя Урал, Волгу, Дон, эти народы бесконечной

вереницей двигались в южнорусские степи и стремились далее на запад в средние и южные страны Европы. При взаимном столкновении, побежденные племена, теснимые новыми „насельниками“ из Азии, должны были искать убежища в стороне от обычного пути народов, – на севере или на юге от него. Те из них, которые искали такого убежища на юге, неминуемо были оттесняемы к берегам Черного и Азовского морей или к Кавказским горам. Теснимый отовсюду народ искал убежища в горных ущельях, причем и здесь боролся с другими народами, раньше его загнанными из степи в горы. Если народ был способен выдержать борьбу с природой и туземцами, он завоевывал себе новую родину; но, во всяком случае, изменившиеся условия жизни и постоянная борьба с течением времени сокращали его численность. Степняк–номад нелегко привыкает к горам: только необходимость заставляет его освоиться с ними и только через несколько поколений вырабатывается из него тип горца.

Можно думать, что все современные мелкие народцы, доживающие свой век в ущельях Кавказского хребта, представляют скудные остатки более крупных народов, некогда бродивших в степях, и быть может, известных древним и средневековым историкам и географам под иными именами». (kuzmin, «СТЕНА ОБИТЕЛИ СВЯТОЙ И БАШЕН СТРАННЫЕ ВЕРШИНЫ». ХРИСТИАНСКИЕ ХРАМЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА. Записки реставратора)

კუზმინის აზრით, არ არსებობს წყაროები ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობასთან დაკავშირებით.

ის წერს: „**არ ვიცით არც დამკვეთის ვინაობა, არც არქიტექტორებისა, არც მათი აშენების ზუსტი დროისა. ამ სიცარიელის გამო ჩრდილო კავკასიის ხალხთა ადგილობრივი ისტორიკოსები იგონებენ ლეგენდებს, რომელთაც აწოდებენ, ვითარცა ჭეშმარიტებას**“. Письменных источников о строительстве христианских храмов на Северном Кавказе не найдено. Мы не знаем ни заказчиков, ни архитекторов, ни точного времени постройки. Неведение дает повод для полета фантазии. Местные историки придумывают легенды и выдают их за истину.

ბატონი კუზმინი ამ შემთხვევაში მართალს ამბობს. ჩრდილო კავკასიელი, განსაკუთრებით ოსი, ისტორიკოსების ფანტაზია უსაზღვროა. ისინი თხზავენ და ჭეშმარიტების სახელით რუსეთის სივრცეში აღმაფრენით ნერგავენ საოცარ ლეგენდებს ალანების ქრისტიანული წარსულის შესახებ.

კუზმინი არ არის მართალი, როცა წერს: „არ ვიცით ჩრდილო კავკასიაში ეკლესიის მშენებელთა დამკვეთის ვინაობა“. ქართული წყაროებისათვის ცნობილია, თუ ვინ იყო დამკვეთი ჩრდილო კავკასიის ეკლესიათა მშენებლობისა. ეს იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესია და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო. ამიტომაც მრავალი ქართული წარწერა და ქართული საეკლესიო ნაშთია ჩრდილო კავკასიაში: ოსეთში, ინგუშეთსა თუ დაღესტანში, რაც უეჭველი ფაქტია. ეს ფაქტი ადგილობრივმა მოსახლეობამაც იცის. ისინი სულ სხვადასხვა რეგიონში ეკლესიათა მშენებლობას, მაგალითად, ყარაჩაიში, თამარ მეფეს მიაწერენ (შოანა), ხოლო დაღესტანში ქართველებს, ანუ საქართველოს ეკლესიას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას ამჟამად გამალებით და შეუწყვეტლივ უქადაგებენ, რომ აქაურ ეკლესიათა მშენებლები არა ქართველები, არამედ ალანები იყვნენ.

კონსტანტინოპოლის წმ. სინოდის განსაზღვრებით, ალანები მისდევდნენ მომთაბარეობას, ამის გამო არ იყვნენ მიწაზე მიმაგრებულნი, არ ჰქონდათ მუდმივი სოფლები და ქალაქები. ალანიაში არ არსებობდა მუდმივი კათედრა ალანიის ეპოსკოპოსისათვის. ამის გამო კონსტანტინოპოლმა ალანთა ეპისკოპოსისათვის ბიზანტიაში გამოყო ქალაქი სოტირიოპოლი, სადაც დაარეფუძნა ალანთა ეპისკოპოსის კათედრა.

ვ. მილერი წერდა, რომ „ოსების წინაპრები ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში შუა აზიის სტეპების გავლით მოვიდნენ ირან-სპარსეთ-მიდიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებიდან“. აქედან ისინი შევიდნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობის სტეპებში. ამის შემდეგ ისინი მონღოლთა იძულებით შევიდნენ კავკასიის მთებში.

ვ. მილერის აზრით, ოსები მთებში შერეკეს ჩინგიზ ყაენის ჯარებმა მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში.

მილერი ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილს.

მონღოლთა მიერ სტეპებთან მთაში შერეკილმა ოსებმა შეძლეს ჩრდილო კავკასიის მთაში დვალების ტომის დამორჩილება და მათი ასიმილაცია. ვახუშტის დროს, მე-18 საუკუნეში, ჯერ კიდევ ისმოდა დვალური ენა. იქამდე დვალეთი ქართული ეკლესიის გამოჩენილი სამრევლო იყო.

მილერი წერს, რომ „დაბლობზე ოსებს ხუროთმოძღვრების არანაირი ძეგლი არ დაუტოვებიათ“. ეს ბუნებრივია, ისინი მომთაბარეები იყვნენ და არაფერს აშენებდნენ.

ისტორიულ დვალეთსა და სვანეთ-აფხაზეთში არსებული ძველი ეკლესიები ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის შემოქმედება იყო და არა სტეპებიდან მოსული ოსებისა, ანუ ნომადებისა.

ვ. მილერი წერდა, რომ „ოსების წინაპრები ოდესღაც მივიდნენ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის ველებზე თავიანთი ძველი პროსამშობლოდან, ხოლო ისინი მთებში შეყარა ჩინგის-ხანის ლაშქარმა მე-13 ს. დასაწყისში, პირველ მეოთხედში. მთებში შესვლამდე ოსებს არავითარი არქიტექტურის ძეგლი არ ჰქონიათ და ამიტომ ასეთი ძეგლები ველებზე არ დაუტოვებიათ. ეს დამახასიათებელი ნიშანია ყველა ნახევრადმომთაბარე ხალხისათვის. ასეთი ნახევრად მომთაბარე ხალხები კი ჩრდილო კავკასიაში მრავალი იყო ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში, მათ შორის იყვნენ ამჟამინდელი მთიელების წინაპრებიც“. В. Миллер писал, что «предки осетин некогда пришли в древнейшие места своего поселения на северокавказской равнине и в юго-восточной России не из собственного Ирана, не из Персии, Мидии, а из мест более северных и более близких к иранской прародине.

По мнению В.Миллера, в горы осетин загнали полчища Чингис-хана в перво й четверти XIII века. Никаких памятников архитектуры на равнине осетины не оставили. Это характерная черта всех полукочевых племен Северного

Кавказа. А было их за долгую историю Великого переселения народов на Кавказе несметное множество, в том числе и предки всех нынешних горцев.

მილერის ძალზე საყურადღებო აზრიდან გამომდინარე, შეიძლება დაისვას რამდენიმე კითხვა. პირველი, ალბათ, შეეხება დასკვნას, რომ ოსები კავკასიის მთებში მხოლოდ მე-13 საუკუნის შემდეგ გამოჩნდნენ (იგულისხმება ირანულენოვანი ოსები, ამჟამინდელთა წინაპრები, და არა თურქულენოვანი ოსები, რომელნიც კავკასიის მხარეებს უფრო ადრე, მონღოლებამდე, ითვისებდნენ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, ცხადია, მილერისათვის ცნობილი იყო ფაქტი კავკასიაში ალანიის არსებობისა მონღოლთა ლაშქრობამდე, რაც ქართულ წყაროებშიცაა ასახული. მაგალითად, საქართველოს მეფე გიორგიმ მიატოვა კახეთის ერთ-ერთი ციხე და გაემართა აფხაზეთის ალანიაში სანადიროდ.

ამის მიუხედავად, მაინც მილერი არ ახსენებს მონღოლებამდე არსებულ კავკასიის ალანიას. მილერის აზრით, მონღოლების დროის ოსები ირანულენოვანი ხალხი იყო შემოსული ჩრდილო კავკასიის ველებზე ირანულენოვანი სამშობლოდან, ხოლო მონღოლებამდე მცხოვრები კავკასიის ალანები იყვნენ თურქულენოვანი ხალხი, რასაც არაბული წყაროც ადასტურებს.

ასე, რომ კავკასიის ალანები, ანუ მონღოლებამდე მცხოვრები თურქულენოვანი ალანები გადაშენდნენ მონღოლთა მიერ მე-13 ს-ში. შესაძლოა, მათი ერთი გადარჩენილი ნაწილი შევიდა კიდეც მთებში (ჩანს, ყარაჩაიში), მაგრამ მონღოლთა ეპოქაში გამოჩენილი ოსები სხვა ხალხი იყო, არა თურქული, არამედ ირანულენოვანი ალანები.

თურქულენოვანი ალანები ებრძოდნენ მონღოლებს, ხოლო ირანულენოვანი ოსები თანამშრომლობდნენ მონღოლებთან.

შესაბამისად, ირანულენოვანი ოსები გადარჩნენ და მონღოლებმა ისინი გააბატონეს კიდეც კავკასიის ქედის ცენტრალურ ნაწილში, უღელტეხილების ძალზე მნიშვნელოვან რეგიონში, ხოლო თურქულენოვანი ალანები გადაშენდნენ, ვითარცა მტრები მონღოლებისა. ქართული წყაროები, როგორც თურქულენოვან, ისე ირანულენოვან ალანებს, ოსებს უწოდებდა. უცხოურ წყაროებში მონღოლებთან მებრძოლებს ეწოდებათ ალანები, ხოლო მონღოლებთან მოთანამშომელებს კი – იასები, ოსები.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება კავკასიის ალანები და ოსები მივიჩნიოთ ერთ, ერთმანეთის მემკვიდრე ხალხად. როგორც ითქვა, ალანები ებრძოდნენ მონღოლებს დიდ ხანს, ამის შესახებ უცხოელი თვითმხილველებიც წერდნენ, ოსები კი თანამშრომლობდნენ მონღოლებთან, ანდა მათი ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდნენ. შესაბამისად, მონღოლებმა ისინი დატოვეს კიდეც კავკასიის მთისწინეთში, ვითარცა მონღოლური ძალა. აქედან ისინი შევიდნენ კავკასიის მთებში, კერძოდ, დვალეთსა და ბასიანში, დაიმორჩილეს ადგილობრივი დვალური მოსახლეობა და მოახდინეს მათი ასიმილაცია.

მონღოლების გვერდით მდგომ ირანულენოვან ოსებს სტეპებში ბინადრობისას, ვითარცა ნახევრადმომთაბარე ხალხს, მილერის სიტყვით, არ შეუქმნიათ არქიტექტურის რაიმე ძეგლი. მთებში გაბატონებისას მათ დვალეთში დახვდათ ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები.

ოსების მიერ დამორჩილებული დვალები ოსებთან შედარებით მაღალი კულტურის ქრისტიანი ხალხი იყო, საქართველოს ეკლესიის მრევლი, მათში ქრისტიანობა საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა. ოსები კი იყვნენ წარმართები, ტრადიციული რელიგიის გარეთ მდგომნი. თავდაპირველად ისინი პატივს არ სცემდნენ დვალეთის ქრისტიანულ სიწმიდეებს. ისინი თანდათან წარმართულ კერებად აქციეს. თუმცა კი ოსებში ასიმილირებული დვალები ამ კერებს პატივს მიაგებდნენ, ტრადიციული ჩვეულების შესაბამისად. მათ დვალები „ჯვარებს“ უწოდებდნენ, ქართულ სიტყვას, ოსები ჯვარს (ჯუარს) – ძუარს უწოდებდნენ.

მილერი წერს: ოსები თავიანთ სალოცავებს უწოდებენ „ძუარებს“, „ზოგჯერ ძუარი ძველი ქრისტიანული ეკლესიაა ან სამლოცველო, რომელიც დროთა ვითარებაში წარმართულ ნიშად იქცა, ხანდახან მთის ქვაბული, ტყის ტევრი, ხე, ქვა და ა.შ. უფრო მეტი დიდებითაა შემოსილი ძველი ქრისტიანობის ნაშთები – ძველი ეკლესიების ნანგრევები, ყველაზე სახელგანთქმული ძუარებია რეკომი და მიქალიგარბიტა მდინარე წეი-დონის ხევში. პირველი ძველი სამლოცველოა წმიდა გიორგისა, მეორე – ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი, რომელიც წმ. მიქალიგაბრიტა სინამდვილეში ქართული სიტყვაა „მიქელგაბრიელი“, ანუ ეს ეკლესია მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელზე ყოფილა ოდესღაც აგებული.

მილერი წერს, რომ რეკომის სამლოცველო უნდა აშენებულიყო ოსეთზე საქართველოს ზეგავლენის დროს. აქ აჩვენებდნენ ზარს ქართული წარწერით. გიორგი ბაგრატიონმა ეს ზარი უძღვანა დიგორსა და ოსებს. ადგილობრივი გადმოცემებით, რეკომში არსებულა ქართული მონასტერი, სოფელ წეიში რამდენიმე ქართველი სასულიერო პირის ოჯახი ცხოვრობდა. თანდათან რეკომის ქრისტიანული ტაძარი წარმართულ სალოცავად ქცეულა.

ყაბარდოსა და ოსეთის საზღვარზე არის ტატარტუპის მთა, რომლის წვერზეც არის ძუარი.

აულ გალიათის სასაფლაოზე შემორჩა ქვის ეკლესია საცხოვრებელი სენაკებით. მათ ასევე უწოდებენ „შვიდ ძუარს“. გადმოცემა იხსენებს აქ მცხოვრებ მღვდელს, რომელიც აქვე უნდა იყოს დაკრძალული.

ძივგისში კლდეში დგას კვეთილი ძველი მონასტრის ნანგრევები. გარშემო მთებზე ჩანს ძველი კოშკები. ყველა ესენი უნდა ეკუთვნოდეს მე-11-მე-15 საუკუნეებს.

მილერის დასკვნა, რომ ჩრდილო კავკასიის მთებსა და ბარში მცხოვრები ხალხების წინაპრები კავკასიაში შესული სტეპების მომთაბარე ტომები იყვნენ, უარყოფილი იქნა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ. საბჭოთა კავშირში ცდილობდნენ სხვადასხვა ხალხების გულის მოგებას მათი წარსულის წარმოჩენით. ჩამოყალიბდა ხალხთა აბორიგენობის თეორია იმის შესახებ, რომ საბჭოეთის ქვეყანაში ყველა ხალხი არის აბორიგენი, ანუ ისინი იმ ტერიტორიაზე არიან აბორიგენები, სადაც მათ აქვთ ეთნიკური რეგიონი, ანუ ოსეთში მცხოვრები ოსები აქ ცხოვრობენ უხსოვარი დროიდან და ა.შ.

ამ თეორიით აღიზარდნენ თაობები. ამიტომაც კუზმინის ნაშრომის ქართველი მთარგმნელი აღაშფოთა მილერის თეორიამ, რომ მთიელების წინაპრები ჩასახლდნენ კავკასიაში სტეპებიდან.

სინამდვილეში მილერი მართალია, რადგანაც თემურ ლენგის ლაშქრობის შედეგად სრულიად შეიცვალა ჩრდილო კავკასიაში ეთნიკური სურათი. აქ ჩამოსახლდნენ ციმბირ – შუა აზიის რეგიონებიდან სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ადიღებისა და ოსების წინაპრები. ასევე შეიცვალა ეთნიკური სურათი დაღესტანში. კუზმინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის შეეცადა მიბრუნებოდა მილერს და მისი თეორია განემტკიცებინა თავისი დაკვირვებით.

კუზმინი წერს: „ყარაჩაის, ინგუშეთისა და დაღესტანის ეკლესიების ქრისტიანული სახელები დაკარგულია. ეს შეიძლება მოწმობდეს წყვეტაზე კულტურის და რელიგიის ევოლუციის მემკვიდრეობითობაში“.

მე ამ წყვეტას ვხსნი ეთნოსთა კონფლიქტური შეცვლით გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ტრამალის მკვიდრნი მასიურად გადასახლდნენ მთებში და გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე, რასაც თავდაპირველად თან სდევდა კავკასიის მკვიდრ მოსახლეობასთან ომები და მათი კულტურის ძეგლების, ანუ ეკლესიების ნგრევა. მკვიდრების ასიმილაციის შემდეგ კი თანდათანობით ამ ნანგრევებზე ახალი საეკლესიო ნაგებობები აღიმართა ნაკლები ხელოვნებითა და ცოდნით.

ამაზე მოწმობს უმთავრესად მეჩვიდმეტე – მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებული არქიტექტურის ძეგლები.

ბარიდან შემოსული ახალი მოსახლეობის გაქრისტიანების პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო. „ოფიციალური გაქრისტიანების თარიღი“ არ არსებობს. მე-19 საუკუნის ავტორიტეტული კავკასიოლოგი ვსევოლოდ მილერი ოსებზე წერდა:

„ზნეობრივი წყობა ოსისა ქრისტიანს უძახის ის თავს, თუ მაჰმადიანს, ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე მშობლიურ ყოფაში შემუშავებული ცნებებისგან და ამ მტკიცედ ჩაკეტილ წრეში ქრისტიანობამ ჯერ ვერ შეაღწია“.

ნათლისღება, გაქრისტიანება ამსხვრევდა მთიელების წეს-ჩვეულებებს და ზნეობრივ საფუძვლებს. ამიტომ ეს არ ხდებოდა ძალადობისა და მსხვერპლის გარეშე.

ჩრდილო კავკასიაში შემოსულების გაქრისტიანებისა და ტაძრების მშენებლობის ხანაში ჩრდილო კავკასიის არც ერთ შემოსულ ხალხს არ ჰქონია დამწერლობა, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის დამწერლობა, რომელიც იკარგებოდა ახალ ეპოქაში, ქართული იყო. მისიონერული მოღვაწეობა ამ პირობებში ძალიან რთული, საშიში და ნაკლებად პერსპექტიულია“.

კუზმინი კიდევ უბრუნდება მილერს და იმეორებს მის ფრაზას ეთნიკური ცვლის შესახებ.

„უკვე ნახსენები ვ. მილერის აზრით, ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი შუა აზიის ტრამალებიდან ჩასული მომთაბარეები არიან“.

ურალის, ვოლგას, დონის გადალახვის შემდეგ ეს ხალხი უსასრულო მწკრივად მიდიოდა სამხრეთ რუსულ ტრამალებში

ყველა მხრიდან შევიწროებული ხალხი თავს აფარებდა მთის ხეობებს. იქაც მას უწევდა ბრძოლა ამ ხეობებში მასზე უფრო ადრე შემოსულ სხვა ხალ-ხებთან.

„ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა გავლენას ახდენდა ცხოვრების ახალი პირობები ველებიდან და დაბლობებიდან მთებში შერეკილ ხალხებზე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თანამედროვე წვრილი ხალხები კავკასიის ხევებში წარმოადგენენ ოდესღაც ტრამალებში მომთაბარე უფრო დიდი ხალხ-ების ნაშთებს, რომლებსაც ძველი და შუა საუკუნეების ისტორიკოსები და გეოგრაფები შეიძლება სხვა სახელებითაც იცნობდნენ.“

კუზმინის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ის ჩრდილო კავკასიის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობას არ მიაწერს მაინცდამაინც ალანებს, როგორც ესაა მიღებული რუსულ სივრცეში, მაგრამ არც ქართველებს. ის და-ბეჯითებით იმეორებს შედარებით ახალ აზრს, რომ თითქოსდა შუა კავკასიის მთებშიც კი მთის მონასტრებს ბერძენი ვაჭრები აგებდნენ. ასე, რომ კუზმინის მსგავს „კეთილმოსურნეთათვის“ ეკლესიათა ქართული წარწერებიც არაფერს ნიშნავს, ოღონდ ეს ეკლესიები ნუ იქნება ქართული და იყოს ყველა სხვა ხა-ლხის. კუზმინი წერს კიდეც: „კავკასია მკვლევარისთვის რთული რეგიონია. სწორედ აქაა რუსეთის უძველესი ტაძრები“.

ნაწილი მეორე

აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში

(კავკასიის ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, ჩრდილო კავკასიის სვანეთი)

თავი პირველი

ალანია

(სტეპების ალანია და კავკასიის ალანია)

სტეპების ალანია

მე-13, მე-14 საუკუნეების არაბმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა აბულფიდამ თავის შესანიშნავ გეოგრაფიულ თხზულებაში („ქვეყნიერების მოწესრიგება“) აღწერა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, კავკასიის ჩრდილო რეგიონში მოსახლე ხალხები.

ამ აღწერაში ენობრივი კუთვნილების მხრივ მნიშვნელოვანია აბულფედას ცნობა, რომ ალანები და მათი მეზობელი ასები (ოსები) თურქული მოდგმის ხალხია (შესაბამისად, თურქულენოვანი) და ისინი ქრისტიანები არიან.

აბულფედა აღნიშნავს, რომ კავკასიელი თურქული მოდგმის ქრისტიანი ალანები და ასები (ოსები) სხვადასხვა ხალხია.

აბულფედა (1273–1331) წერს: „ალანები არიან თურქები, რომელთაც მიიღეს ქრისტიანობა. მისი მეზობელია თურქული რასის ხალხი, რომელთაც ასებს უწოდებენ. ეს ხალხი ამავე წარმოშობისაა და იმავე რელიგიისა, რომელიც აქვთ ალანებს“….„аланы являются тюрками, которые приняли христианство… В соседстве находится народ тюркской расы, называемый асами; этот народ того же происхождения, той же религии, что и аланы» (Абульфеда).

http//www.blagosru/stranitsu–istorii–1981/item/233–mixail–mamiev–kandidat–istoricheskix-nauk-pismennœ-istochniki–o-pravoslavnom-xristianstve–v–srednevekolovoj–alanii?tmpl =component&p-rin=.

ალანებს და ჩერქეზებს თურქულ რასასთან აკავშირებს სირიელი ავტორი ალ-დიმაშკიც. ის ალანებსა და დუნაის ბულგარებს ერთი წარმოშობის ხალხებად მიიჩნევს. Приведем еще одно свидетельство-отрывок из компилятивного труда сирийского шейха Ал-Димашки (в пересказе А. Алеманя): „аланы и дунайские болгары…так же, как и западные черкесы…граничат с русскими и, как считается, являются их братьями: все они – христиане“

http:/www.blagos.ru./strsanitsø–istorii–1981/item/233–mixail–mamiev–kandidat–istoricheskix–nauk–pismennøe–istochniki–o–pravaslavnom–xristianstve–v–srednovekovoj–alanii?tmpl =komponents&p.

როგორც ქვემოთაა აღნიშნული ალ-დიმაშკის ცნობა ნაკლებ სანდოდ მიიჩნევა, რადგანაც ის რუსებს თითქოსდა თურქულ რასას მიაკუთვნებს, მაგრამ სავარაუდოდ ის თავის ამ აღწერაში გულისხმობს არა მთელ რუსულ მასას, არამედ ერთერთ ჯგუფს, რომელიც ემეზობლებოდა აღნიშნულ ჩერქეზებს და ასიმილირების გამო რუსებად იწოდებოდა.

ყოველ შემთხვევაში აბულფედა და ალ-დიმაშკი ალანებს თურქებად მიიჩნევდა, ჩანს მათი თურქულენოვნების გამო, ამასთანავე სხვა უამრავი ფაქტი, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი ადასტურებს ამ წყაროებს მონღოლებამდელი ალანების თურქულენოვნების შესახებ.

არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მონღოლებამდელი ალანების ირანულენოვნებას.

როგორც ჩანს ირანულენოვანი ალანები ჩრდილო კავკასიაში თან შემოყვნენ მონღოლებს, ვითარცა მეგობრები, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, იქამდე კავკასიაში მცხოვრებ ალანებს მონღოლები უსასტიკესად დევნიდნენ და შეძლეს მათი გაქრობა. ალანიის გაუკაცრიელებულ ტერიტორიაზე, დონისპირეთში და მიმდებარე სტეპებზე, მათი ადგილი მალევე დაიჭირა ახალმა, სხვა ენოვანმა ხალხმა, რომელიც რადგანაც ალანიაში დასახლდა ასევე ეს სახელი „ალანები“ ეწოდა, ქართველები კი მათ „ოსებს“ უწოდებდნენ, ალანების მეზობელი ტომის, ასევე მონღოლების მიერ ამოწყვეტილი „ასების“ სახელის მიხედვით.

მონღოლებამდელ ალანთა შორის კონსტანტინოპოლმა შეძლო ქრისტიანობის გავრცელება, ცნობილია მათი ცხოვრების წესიც, ისინი ნომადურ ცხოვრებას ეწეოდნენ ჩრდილო კავკასიისა და დონისპირეთის სტეპებში, მათთვის დაარსდა კიდეც ეპარქია. მისი საეპარქიო ცხოვრება გაგრძელდა მონღოლების შემდეგაც, რადგანაც ახალი ხალხებიც ძველი ხალხების მსგავსად ნომადური ცხოვრებით ცხოვრობდნენ და არ იყვნენ გულგრილნი ქრისტიანობის მიმართ.

თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდი ალანებს უწოდებს ნომად, ანუ მომთაბარე ხალხს.

1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამია: სოტირიოპოლი **„განისაზღვროს ალანიის მღვდელმთავრის მუდმივ კათედრად, რადგანაც ამ მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)“** (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447).

в акте Константинопольской патриархии от 1347 г. указана:

Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447).

1220–1240 წწ. ეპისკოპოსი თეოდორე თავის ოფიციალურ წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი „ალანური ეპისტოლე“, ადასტურებს, რომ ალანები სტეპების მომთაბარე ხალხია (Епископа Феодора «Аланское послание»...

http:/www.vostlit.info/Texts/Dokumenta/Krom/XIII/12201240/Feodor/texst.phtml?id =5429).

1220–1240-იან წლებში ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი წერს: „**ალანები დაფანტულნი არიან ცხვრის ფარის მსგავსად მთებსა და უდაბნოებში, მათ არ გააჩნიათ სადგომები და გადახურული თავშესაფარიც კი“.**

http:/www.vostlit.info/Texst/Dokumenta/Krom/XIII/1220–1240/Feodortext.?id=5429

… ამავე წერილში ის წერს: Близ Херсона живут Аланы. Они же по истине (не постыжусь сказать, и да не будет это для меня проявлением малодушия) – были стадо, рассеянное по горам, пустыням и пропастям земным, не имеющее ни стойла, ни навеса, выставленное на пожирание (диким) зверям.

თეოდორეს ცნობა, რომ ალანებს არა აქვთ თავიანთი სადგომიც კი (არც სოფელი, არც ქალაქი), მიაგავდნენ ჯოგს გაფანტულს მთებსა და უდაბნოებში, სრულებით ეთანადება 1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამს, რომ **„ალანიის მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)“**

ალანთა მწყემსურ (სამომთაბარეო) ცხოვრებას მიუთითებს ყირიმში საეკლესიო სასამართლოზე გამოთქმული შეფასება, რომ ალანები არიან სკვითებზე უფრო მეტად უღმერთონი, ამ სასამართლოზე შემდეგი სიტყვებით მიმართეს ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს: „**წადი შენს უღმერთო ალანებთან“** «Но пропади ты с нечестивыми и безбожными Аланами, которые хуже Скифов!»

http://vvv.vostlit.info/Texts/Dokumenta/krom/XII/1220-1240/feodor/text.phtml?id=5429

ასევე, ამ სასამართლოს მსგავსად, აფასებს ალანებს ალანიის ეპისკოპოსი თეოდორეც: **„ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები და მათ მოქცევას ახალი პავლე ესაჭიროება“** (Аланы христиане только по имени).

http//www.vostlit.info/Texts/Dokumenta/Krom/XIII/1220–1240/Feodor/text.phtml?id =5429

ისმის კითხვა, სად ცხოვრობდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანები მთებში თუ სტეპებში?

ალანთა ეპარქიის ლოკალიზაცია (1220–1240 წ წ.), ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილის მიხედვით, უნდა მოხდეს დონისპირეთის სტეპებში, რასაც მიუთითებს თვით თეოდორე, რომ ყირიმიდან ის თავის ეპარქიაში გაემგზავრა – **„უწყლო ქვეყანაში შუაგულ სკვითიაში 60 დღის გზაზე“**

… „А мы направились в середину Скифии на 60 дней пути, что в местах безводных“

http:/www.vostlit.info/texts/Dokumenta/Krom/XIII/1220–1240/Feodor/text.phtml?id =5429.

ის თავის ალანიის ეპარქიაში – სკვითიის შუაგულში გაემგზავრა 60 დღის გზაზე.

ალანიის ეპისკოპოსის ეს განცხადება გამოთქმული თავის ოფიციალურ წერილში ნიშნავს, რომ ალანიის ეპარქია უწყლო ადგილებშია, ანუ სტეპებშია და არა წყაროს წყლით გაჯერებული კავკასიის მთებში. ის ამბობს, რომ მისი ეპარქია „შუაგულ სკვითიაშია“, კავკასიის მთები არასოდეს ითვლებოდა „შუაგულ სკვითიად“. ცნობილია, რომ სკვითია სტეპების ველ-მინდვრებიანი ქვეყანა იყო.

შესაბამისად, თეოდორეს „ალანიის ეპარქია“ მდებარეობდა მდ. დონისპირეთის სტეპში, რომელსაც ამჟამად ეწოდება „პონტო-კასპიისპირეთის სტეპი“. ის მდებარეობს მდ. დონისპირეთში, ყირიმის მხარეს (Понтийско-Каспийская степь огромная степь, простирающаяся от северного побережья Чёрного моря на восток до Каспийского моря.

http://dic.academic.ru /dic.nsf/ruwiki/1602399

დონის სტეპები ასე აღიწერება ამჟამინდელი ავტორის მიერ: დონის სტეპი არის გაშლილი სივრცე, გარშემო ერთი ხეც არ არის, მხოლოდ სწორი ველია ჰორიზონტის ხაზამდე, რომელიც ცას და მინდორს ერთმანეთისაგან ჰყოფს. დონის სტეპი გვაოცებს თავისი უკიდეგანობით

http://dontourism.ru/poi–view.aspx?id =152.

შესაბამისად, თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოსული ცნობების თანახმად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა დონისპირეთის სტეპებში ყირიმის მხარეს, სადაც ბინადრობდნენ ნახევრადმომთაბარე ალანები, თავიანთი ნომადური ცხოვრების წესიდან გამომდინარე არ ჰქონდათ ქალაქები, არც საკათედრო ტაძარი თავიანთი მღვდელმთავრისათვის. ამიტომაც ამ მღვდელმთავარს კონსტანტინოპოლმა კათედრა გამოუყო ქალაქ სოტირიოპოლში, ტრაპეზუნტთან ახლოს, ხოლო რაც შეეხება კავკასიის ალანიას აფხაზეთის მეზობლად, აქ მცხოვრებთ ჰქონდათ ქალაქები და შესანიშნავი ეკლესიები (სენტი, ზელენჯუკი). ის შედიოდა არა კონსტანტინოპოლის, არამედ ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში.

ფოტო–Донская степь, ალანიის ეპაქიის მომცველი დონის სტეპები

დონისპირეთის სტეპი – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის არეალი. აქ მომთაბარეობდნენ ნომადი ალანები, მათთვის დაარსდა ეპარქია, მაგრამ მის მღვდელმთავარს აქ არ გააჩნდა საკათედრო ქალაქი, რადგანაც მომთაბარეებს საერთოდ არ გააჩნდათ ქალაქები, ამიტომაც ალანიის მღვდელმთავარს გამოუყვეს საკათედრო ქალაქი აქედან შორს – ტრაპეზუნტის ლაზიკის ქალაქი სოტერიოპოლისში.

დონის სტეპები არის ღია ვრცელი არეალი, გარშემო არაა არც ერთი ხე – მხოლოდ ვრცელი ვაკეა, რომელიც შემოზღუდულია ჰორიზონტის ხაზითა და ცით. ესაა დონის სტეპი. ის გვაოცებს თავისი უკიდეგანობით. Открытые просторы, вокруг ни единого деревца – лишь равнина, ограниченная линией горизонта и небом – это и есть Донская степь. Она удивляет своей бескрайностью, наполняет душу волнующей гордостью. Она, конечно же, прекрасна в любое время года!

https://www.google.ru/search?newwindow.

დასკვნა: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა დონისპირეთის სტეპებში, ყირიმის ნახევარკუნძულთან ახლოს, აქ მომთაბარე ქრისტიანი ალანებისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაარსა ეპარქია, რომელიც ცნობილია ნოტიციათა მიხედვით, შესაბამისად არასწორია ამჟამინდელი აღიარებული მტკიცება, რომ თითქოს ალნიის ეპარქია აფხაზეთის მეზობლად მთებში მდებარეობდა.

ალანია და ლაზიკა ნოტიციათა მიხედვით

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა ჩამონათვალი ნუსხები (ნოტიციები), საუკუნეთა მანძილზეა შედგენილი.

ძველი ქრებოდა და იქმნებოდა ახალი ეპარქიები, საეპისკოპოსოები და სამიტროპოლიტოები, ზოგიერთი კი საუკუნეობით არსებობდა.

ჩვენთვის საინტერესოა პირველ ათასწლეულში შედგენილი ნოტიციები, მასში მოიხსენებიან ლაზიკისა და ალანიის ეპარქიები.

მიიჩნეოდა და, ძირითადად, ახლაც მიიჩნევა, რომ კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქია მიცავდა დასავლეთ საქართველოს მე-4-დან მე-9 საუკუნის ჩათვლით.

ჩვენს მიერ ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა ცნობილი მეცნიერის, პროფ. ნ. ადონცის მტკიცება, რომ სინამდვილეში ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ისტორიულ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს, რომელსაც ამჟამად ეწოდება ლაზისტანი (თურქეთში), ესაა ისტორიული სამხრეთ ეგრისის რეგიონი, ჭანეთი, მის ზღვისპირეთთან ერთად, აქ მდებარეობდნენ როდოპოლისის, პეტრას, საისინისა და ზიგანას ბერძნული ეპარქიები, ხოლო კონკრეტული დასავლეთ საქართველო მუდამ ქართული ეკ-

ლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ამას მიუთითებს ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილიც, თუმცაა მათი ცნობები უგულებელყოფილია.

რაც შეეხება ალანიის ეპარქიას, ამჟამად საყოველთაოდ დამკვიდრებულია მცდარი მტკიცება, რომ ის მდებარეობდა კავკასიის მთებში აფხაზეთის მეზობლად, ამჟამინდელ ყარაჩაის რეგიონში.

ჩვენი კვლევით, ალანთა შორის ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მე–10 საუკუნედან, არსებობდა ორი ალანია, პირველი იყო ნომადი ქრისტიანი ალანების სამომთაბარეო რეგიონი – დონისპირა სტეპები ყირიმის აღმოსავლეთით, რომელიც შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში, სწორედ ის მოიხსენიება ნოტიციებში, ხოლო მეორე ალანია მდებარეობდა კავკასიის მთებში – აფხაზეთის მეზობლად, ის მიწათმოქმედი ქრისტიანი ხალხით იყო დასახლებული, აქ იყო შესაბამისი ქალაქები და ეკლესიები, აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში.

თავდაპირველად, პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსს სურდა მისი (კავკასიის ალანიის) შეყვანა კონსტანტინოპოლის იურიდიქციაში, დახმარებას თხოვდა კიდეც აფხაზთა მეფეებს, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, ვერ შეძლო აქ იურისდიქციის განვრცობა, სამაგიეროდ კონსტანტინოპოლმა ნოტიციებით ცნობილი ალანიის ეპარქია დარსა დონისპირეთში, იქაური გაქრისტიანებული ნომადი ალანებისათვის.

ამიტომ ნოტიციებში, როგორც აღინიშნა, მოხსენიებული ალანიის ეპარქია ყირიმის მეზობლად, ვრცელ დონისპირეთის სტეპს მოიცავდა, აქ მომთაბარეებს არ ჰქონდათ ქალაქები, მათ შორის არც ალანიის მღვდელმთავრის კათედრისათვის, ამიტომაც კონსტანტინოპოლმა ალნიის მიტროპოლიტს საკათედრო ქალაქად გამოუყო სოტირიოპოლი ლაზიკის ეპარქიაში, ამჟამინდელ ოფთან ახლოს, ტრაპეზუნტის რეგიონში.

ნოტიციათა რუკები VI–X სს.

(ნოტიციები, ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები)

<u>ნოტიცია 1</u>

VII–X სს.
ნოტიცია I (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 126-184)
№ 77
Niksofeos
(როსტოვი)
(ნიკოსოფი და არა ნიკოფსია)
Pontus Euxinus
Mare Nigrum
Ponto Euxino
Ponto Euxino
Ponto Euxino

ნოტიცია II



ნოტიცია 2.

კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეკლესიათა კათედრების „სამიტროპოლიტო ქალაქები...

12. ამასია; 33. ტრაპეზუნტი... (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 131). (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 12

ნოტიცია III

ნოტიცია 3.

კონსტანტინოპოლის საყდრისადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა და მათი ხელქვეითი ეპისკოპოსების კათედრათა ნუსხა.

XII. მეთორმეტე საყდარი ექვემდებარება ამასიის მიტროპოლიტს ჰელეონტონტოში (XIII. მეცამეტე საყდარი ექვემდებარება მელიტენის მიტროპოლიტს II არმენიაში (...).

XVIII. მეთვრამეტე საყდარი ექვემდებარება ნეოკესარიის მიტროპოლიტს პოლემონის პონტოში 26. როდიაპოლის (როდოპოლისის) ეპისკოპოსი.

XXXIII. ოცდამეცამეტე საყდარი ექვემდებარება ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ლაზიკაში (1. ხერიანის ეპისკოპოსი; 2. სამუჩურის ეპისკოპოსი; 3. ხალვის ეპისკოპოსი; 4. პაიპერის ეპისკოპოსი; 5. კერამევის ეპისკოპოსი; 6. ლერის ეპისკოპოსი; 7. ბიზანის ეპისკოპოსი; 8. საკაბის ეპისკოპოსი; 9. ტოხარძიძის ეპისკოპოსი; 10. ტოხანტიერძის ეპისკოპოსი; 11. სილნუტის ეპისკოპოსი; 12. ფასიანის ეპისკოპოსი; 13. სერმაძის ეპისკოპოსი; 14. ზარიმანის ეპისკოპოსი). (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 134).

ნოტიცია IV

VII-X სს.
ნოტიცია IV (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 136)
№ 80
Niksoſeos
(ნიკოფსია და არა ნიკოფსია)
(როსტოვი)
ZICHIA
ZICHIA
ZICHIA

ნოტიცია V

ნოტიცია 5.

„..საპატრიარქო საყდარი კონსტანტინოპოლისა... აბაზგიამდე და ქალდიამდე და ხაზარეთამდე და კაპადოკიამდე შეიცავს ჩრდილოეთის ყველა მიდამოს...

საპატრიარქო საყდარი ანტიოქიისა... ვიდრე იბერიამდე და აბასგიამდე და არმენიამდე და შიდა უდაბნოებამდე... შეიცავს მიდამოებს აღმოსავლეთისას, სადაც „მზე ამოდის“ (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 137, 138).

ნოტიცია VI

ნოტოცია 6

28. ეპარქია ლაზიკისა – ფასიდის მიტროპოლიტი;

ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა ნუსხა: 25. ეპარქია ჯიქეთისა (ძიხიას)– ქერსონის არქიეპისკოპოსი; 26. ეპარქია ჯიქეთისა – ბოსფორის არქიეპისკოპოსი; 27. ეპარქია ჯიქეთისა – ნიკოფსიის (Nიკსოფეოს) არქიეპისკოპოსი; 35. ეპარქია ამასიისა – სებასტეპოლის არქიეპისკოპოსი; 37. ეპარქია პოლემონის პონტოსი – ტრაპეზუნტთა არქიეპისკოპოსი; (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 139).

ნოტიცია VII

VII-X სს.
ნოტიცია VII (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 140)
№ 82
Niksoteos
(ნოსტიფი)
(ნიკოფოი და არა ნიკეფსია)
VIII
IX
Z i c h i a
O d o r i t a
Ki x i a
კავა (თეოდოსია)
ბოსფორი
ხერსონესი (ქერსონი)
ნიკოფსია
(ნოეფოროსიისკი)
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები
ქართული ეკლესიის ეპარქიები
ბერძენ-ბულგარული ეკლესიის ეპარქიები
ბერძენ-ბულგარული ეკლესიის ეპარქიები
ბერძენ-ბულგარ

ნოტიცია VIII

ნოტიცია 8

„მოსაყდრე მიტროპოლიტთა წუსხა:

27. ეპარქია ლაზიკისა – ფასიდის მიტროპოლიტი; 27. ლაზიკის ეპარქიის ფასიდის [მიტროპოლიტს] ექვემდებარებიან: ა) როდოპოლისის; ბ) საისინის; გ) პეტრას; დ) ზიგანევთა (ძიგანეოს) ეპისკოპოსები.

ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა წუსხა: ეპარქია ჯიქეთისა (ძიცჰიას) ხერსონის არქიეპისკოპოსი; ეპარქია ჯიქეთისა – ბოსფორის არქიეპისკოპოსი; ეპარქია ჯიქეთისა – ნიკოფსიის არქიეპისკოპოსი (ნიკსოფეოს); ეპარქია ამასიისა – სებასტუპოლის არქიეპისკოპოსი; ეპარქია პოლემონის პონტოსი – ტრაპეზუნტის არქიეპისკოპოსი.

ამ წუსხაში წერია: „ეპარქია ამასიისა – სებასტუპოლის არქიეპისკოპოსი“ ს. ყაუხჩიშვილმა მიიჩნია, რომ აქ სიტყვა „ამასიის“ ნაცვლად უნდა დაიწეროს სიტყვა „აბასგია“. მაგრამ ხელნაწერებში ამასიაა. გვიანი დროის გადამწერებს სიტყვები ამასია და აბასგია ერეოდათ. (გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 141).

ნოტიცია IX



ნოტიცია 9

27. ეპარქია ლაზიკისა – ფასიდის (Fასიდოს) [მიტროპოლიტი] (როდოპოლისის, საისენთა (აბისენთა), პეტრის, ზიგანევთა (ზიგანეთა – ძიგანეონ) ეპისკოპოსი. (გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 143)

ნოტიცია X

VII–X სს.
ნოტიცია X (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 144-145)
№ 85
Niksofeos
(როსტოვი)
(ნიკოფორი და არა ნიკოფსია)
ალანიის სამიტროპოლიტო
VIII
კაფა (თეოდოსია)
ბოსფორი
ხერსინესი (ქერსონი)
ნიკოფსია
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია
ქართული ეკლესიის იურისდიქცია
ოსეთის (ალანეთის) საკათალიკოსი
ზემო ოსეთის (ალანეთის) საკათალიკოსი
ზემო ოსეთის (ქართლის) საკათალიკოსი
ანტიოქიის საპატრიარქო
ვანის ტბა
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საზღვარი
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა საზღვრები
- სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები
- სამიტროპოლიტო ცენტრები და საეპისკოპოსო კათედრები
სამიტროპოლიტოები:
I ამასიის;
II ნეოკესარიის;
III ტრაპეზუნტის;
IV სებასტიის;
V კესარიის;
VI მელიტინეს;
VII კამახის;
VIII ალანიის;
IX რიზეს (იუსტინიანეს რიზე II?)
მასშ: 1:5.500.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012
სინოპი
ამასია
ნეაპოლისი
ნეოკესარია
ტრაპეზუნტი
ბერეა
ბათუმი
ბიზანტია
ბანა
ოლთისი
(ოშკი)
(ერთვინი)
(ერტვანი)
(ცარი)
ბიჭვინეთი
ფასიანი
ერევანი
ვალაშკერტი
ნდაკი
ოლონტი
ტოსერმანძის
ანდაკის
ზაარნიკის
ეფრატი
ტიგროსი
ალიისა
ალიისა
ალიისა

ნოტიცია X (ა)

ნოტიცია 10 ა.

33. ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი;

12. ჰელენუპოლისში – ამასიის სამიტროპოლიტო

19. პოლემონის პონტოს – ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში – 1. კერასუნტის; 2. პოლემონიონის; 3. კომანის (ჰალიის); 4. ორიზის (კოკის, ევნიკის, არადასის, მარტირუპოლის, ჰიფსელის) ეპისკოპოსები;

34. [ლაზიკეში] – ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში – 1. ხერიანის; 2.ხამაზურის; 3. ხაიონის; 4. პაიპერტის; 5. კერამევის; 6. ლერიონის; 7. ბიზანის [საკაბის; ხაბიძიტის; ხანძიორზის; ოლნუტის; ფასიანის; ტოსერმანძისა; ანდაკის; ზარინაკის] ეპისკოპოსები; (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 147-172)

ნოტიციაX (ბ)

ნოტიცია 10 ბ

კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტოთა სიაში 11, 12 და 33-ე ნომრად დასახელებული სებასტია, ამასია და ტრაპეზუნტი.

საარქიეპისკოპოსთა შორის „47. სებასტოპოლი“.

11. არმენიაში – სებასტიის სამიტროპოლიტოს: 1. სებასტოპულის;

12. ჰელენოპონტოში – ამასიის სამიტროპოლიტო

33. ლაზიკეში – ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს: 1. ხერიანის; 2. ხამა-ძურის; 3. ხახეის; 4. პაიპერის; 5. კერამევის; 6. ლერიონის; 7. ბიზანის ეპისკოპო-სები; (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 172-176

ნოტიცია X (გ)

ნოტიცია 10 გ

12. ჰელენოპონტში ამასიის მიტროპოლიტი

33. ლაზიკაში ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ექვემდებარებიან – 1. ხერიანას; 2. ხანატოძურის; 3. ხალის; 4. პაიპერის; 5. კერამევის; 6. ლერიონის; 7. ბიზანას. (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 177-178)

ნოტიცია X (დ)

ნოტიცია 10 დ.

33. ლაზიკის ეპარქია – ტრპეზუნტის მიტროპოლიტი. (გეორგიკა IV, ნაწ. II, 1952, გვ. 179)

საარქიეპისკოპოსო – ჯიქეთის ეპარქიაში – ხერსონისა, ბოსფორისა და მატრახისა.

შენიშვნები ეკთესისების ხელნაწერთა მიმართ:

ეკთესისების ხელნაწერები ეკუთვნიან XVII–XVIII სს.

მიიჩნევა, რომ:

ა) I, VI, VII, VIII და IX ეკთესისები დაწერილია ლეონ VI-ის მეფობამდე (886–911 წლებში).

ბ) II, III, IV, X, Xა, Xბ, Xგ, Xდ ეკთესისები დაწერილია ლეონ VI-ის მეფობის (886–911) შემდეგ.

ს. ყაუხჩიშვილმა მიიჩნია, რომ

ა) როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში; სინამდვილეში ისინი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში,ტრაპეზუნტის რეგიონში, თანამედროვე ლაზისტანში, კერძოდ, ისტორიულ ქალაქ ზიგანასთან (გუმუშხანესთან) მდებარეობდა ზიგანას, ანუ ზიგანევის კათედრა; როდოპოლისის კათედრა მდებარეობდა სუმელას მონასტერთან ახლოს – მაჭუკასთან და არა ვარციხესთან, საისინის კათედრა მდებარეობდა არდასა სისილონთან და არა ცაიშთან, პეტრას კათედრა მდებარეობდა არა ზღვისპირა ქალაქ პეტრაში, არამედ ჭანეთ-ლაზიკის მთებში – ბაიბურდთან.

ბ) ასევე მან თავისი შეხედულებით, VI და VIII ნოტიციებში სიტყვა „ამასია“ შეცვალა სიტყვა „აბასგიით“. ამიტომაც ამის შედეგად შეცდომით „ამასიის სებასტოპოლისის“ მაგიერ დაწერა „აბასგიის სებასტოპოლისი“ რითაც დაასკვნა, თითქოსდა აფხაზეთში არსებობდა სებასტოპოლის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი.

ამ თავის მოსაზრების შესაბამისად, მან შემდგომ, იმავე წიგნის ცხრილში მართლაც სიტყვა „ამასიის“ ნაცვლად ჩაწერა სიტყვა „აბასგია“ ოღონდ ბერძნული შრიფტით. ამან კი მკითხველს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა დედანში ეწერა „ეპარქია აბასგიისა – სებასტუპოლის არქიეპისკოპოსი“. ის, როგორც ითქვა, სიტყვა „ამასიას“ ურთავს ასეთ შენიშვნას: „უნდა იყოს აბასგია“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 139), ხოლო ამავე წიგნის 139-ე გვერდზე შენიშვნაზე წერს: „ამასიას“; ეს აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს „აბასგიას“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 139, 141, და ცხრილი გვ. 192-ის შემდეგ). ასე, რომ ამ ნოტიციების დედნებში ეწერა არა „აბაზგია“ არამედ „ამასია“. სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბასგიით“ შეცვალა ქართველმა მთარგმნელმა.

ნოტიციებში მოხსენიებული სებასტოპოლისი მდებარეობდა პონტოს რეგიონში და არა აფხაზეთში. სებასტოპოლისი ნოტიციებში სულ მოხსენიებულია 4-ჯერ. ის იყო სადავო კათედრა ჰელენოპონტის ამასიის სამიტროპოლიტოსა და I არმენიის სებასტიის სამიტროპოლიტოს შორის. მიზეზი ამისა იყო ის, რომ ქალაქი სებასტოპოლისი თითქმის თანაბრად იყო დაშორებული ამასიასა და სებასტიას. ის მათ შორის მდებარეობდა. ამიტომაც ხან ამასიას სამიტროპოლიტოში შედიოდა და ხანაც სებასტიაში.

მაგალითად, VI და VIII ნოტიციებში სებასტოპოლისი შედის ამასიის სამიტროპოლიტოში.

III, IV, იმავე VIII, IX, X, Xა, Xბ ნოტიციებში სებასტოპოლისი II არმენიის სებასტიის სამიტროპოლიტოში შედის.

აღსანიშნავია, რომ შეცდომა დაშვებული აქვთ ასევე ნოტიციათა გვიანი დროის გადამწერლებსაც. შეცდომით I და VII ნოტიციებში ამასიის სამიტროპოლიტოს ნაცვლად ნოტიციებში წერია „აბასგიის ეპარქია“. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ XV–XVII საუკუნეებში, ამ ნუსხების გადაწერის დროს, ამასია დამცრობილი იყო, ხოლო აბაზგია – დიდი ქრისტიანული ეკლესია (აფხაზეთი). ეს ფაქტი უნდა იყოს ხელნაწერში შეცდომის მიზეზი. XV–XVII სს-თა ბერძნული ხელნაწერების გადამწერთა სხვა შეცდომებიც აღინიშნება. ზოგიერთ ნოტიციაში აშკარა შეცდომით I არმენიას ეწოდება II არმენია, ხოლო სებასტოპოლი მიეკუთვნება როგორც სებასტიის სამიტროპოლიტოს (გვ. 130), ისე „აბაზგიის სებასტოპოლის ავტოკეფალიას“.

ნოტიციების გამოწვლილვითი ანალიზი აჩვენებს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ, ყირიმსა და აზოვისპირეთში (ზიხიისა და ალანიის ეპარქიები), ასევე ტრაპეზუნტის იმ რეგიონში, რომელსაც ამჟამად „ლაზისტანი“ ეწოდება.

ზიგანა-ზიგანევში, როდოპოლისსა და პიტიუნტში, ასევე სხვა ქალაქებში არმენიის დუკას ჩაყენებული ჰყავდა თავისი საჯარისო ნაწილები. თუკი როდოპოლისი ვარციხეა, მაშინ ამ კვლევით არმენიის დუკას თავის ჯარები დაყენებული ყავდა ქუთაისის გვერდით (ვარციხეში) და ასევე ბიჭვინთაში, რომელიც პიტიუნტად მიაჩნიათ, სინამდვილეში კი ეს ასე არ იყო. ბიზანტიის იმპერიამ თავის მიერ ხელდებულ არმენიაში ბიზანტიური ჯარების ხელმძღ-

ვანელად დანიშნა სამხედრო მოხელე, რომელსაც „არმენიის დუკა“ ეწოდებოდა. ერთ პერიოდში მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მოექცა პონტოში განლაგებული ბიზანტიური ჯარების მმართველობაც. არმენიის დუკას, ზიგანას, მოხორას, სებასტოპოლის, როდოპოლისსა და პიტიუნტში, როგორც ითქვა, ჰყავდა თავისი ჯარის ნაწილები. ამასთან დაკავშირებით ნ. ადონცი წერს, რომ არმენიის დუკას განმგებლობა არ ვრცელდებოდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მიწა-წყალზე, არამედ ის იყო ე.წ. I არმენიისა და პონტოს სამხედრო გამგებელი, ამიტომაც მისი ჯარი იდგა არა აფხაზეთის ბიჭვინთაში, არამედ პონტოს პიტიუსაში, ე.ი. ლაზიკაში. ნ. ადონცისა და პ.ინგოროყვას კვლევით, პიტიუსა იყო არა ბიჭვინთა, არამედ ქალაქი ოფ-ათისასთან ახლოს. ესაა პონტოს პიტიუსა. აქვე იყო პუნქტი ფასიდი, შავი ზღვის პირზე, შესაძლოა, თანამედროვე პაზარი (ოფ-რიზესთან). როგორც ითქვა, ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა აქ ათავსებდნენ ძველ პიტიუნტს (პიტიუსას), საიდანაც იყო I მსოფლიო კრებაში მონაწილე ეპისკოპოსი.

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობით, წმ. ნინომ იქადაგა ლაზეთშიც (მოაქცია იბერები და ლაზები). XVII ს-ის ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, ჰოფაში წმ. ნინომ დააარსა კათედრა. ეს უნდა იყოს ძველი პიტიუნტი, რომელსაც VII–IX სს-ში, ჩანს, ერქვა „ფასიდი“ (აქ ახლაც გავრცელებულია ტოპონიმები და პუნქტები „ფაზ“ „ფას“ „პაზ“ ფუძე – ძირის მქონე, მაგალითად, „პაზარი“ „ესკიპაზარი“ „დერნეპაზარი“ „პაზარიოლუ“ და სხვა). ესენია „ფას“- “პაზ“ ფუძე – ძირის მქონე ტოპონიმები და დასახლებული პუნქტები. მათი სახელწოდებები ამ ძველ ფუძე-ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა სიტყვა „ბაზართან“.

ბრძოლა რიზესათვის მიმდინარეობდა ნეოკესარიის ამასიის სამიტროპოლიტოსა და ლაზიკის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შორის. ერთ პერიოდში რიზემ მიიღო ორივესაგან დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა ცალკე სამიტროპოლიტოდ, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს ეპარქიად გადაიქცა.მე-13 ს. დასაწყისიდან, დაუბრუნდა ქართული ეკლესიის იურისდიქციას. როგორც ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობიდანა ცნობილი, რომელიც მან რუსეთის მეფეს მიაწოდა.

ნოტიციებში იხსენიება „ეპარქია ზიქიისა“. ის არ იყო ქართული ჯიქეთი. საქმე ისაა, რომ ზიქიის ეპარქიაში შედიოდნენ ცნობილი ქალაქები ყირიმის ნახევარკუნძულზე ხერსონესი და ბოსფორი. მათგან ქართული ნიკოფსია ძლიერ იყო დაშორებული, ამიტომაც ზიქიის ეპარქიაში შემავალ ნოტიციებში ხერსონესთან და ბოსფორთან ერთად ნახსენები მესამე ქალაქი (იკსოფეოს), ნიკსოფეოს, უნდა მდებარეობდეს ყუბანის შესართავთან. პ. რატიანის კვლევით,

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია

ამჟამად აღიარებული, თუმცა არასწორი თეორიით, ჩრდილო კავკასია შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში. თითქოსდა მის იერარქს, მიტროპოლიტის ტიტულით, კათედრა ჰქონდა ზელენჯუკის ჩრდილო ტაძარში, ამჟამინდელ ყარაჩაიში, ამასთანავე, ეს იურისდიქცია ისე ფართოდ იყო განფენილი, რომ მოიცავდა ინგუშეთს და, თხაბა-ერდის ეკლესია თითქოსდა ამ იურისდიქციაში შედიოდა.

ჩვენი კვლევით კი დადასტურდა, რომ „ალანიის სამიტროპოლიტო“ ლოკალიზებულ უნდა იქნას ჩრდილო კავკასიის დონის ვრცელ სტეპებში, ყირიმის აღმოსავლეთით, და არა კავკასიის მთიანეთში.

ალანები ევრაზიის კონტინენტის ფართო ტერიტორიაზე მომთაბარე ხალხი იყო. ისინი, მრავალრიცხოვან ჯგუფებად დაყოფილნი, სხვადასხვა ხალხებს შორის ბინადრობდნენ. ამის გამო არსებობდა მრავალი ალანია, მათ შორის ჩვენთვის მნიშვნელოვანია სტეპების ალანია დონისპირეთში, ყირიმის აღმოსავლეთით, განფენილი დონსა და ვოლგას შორის, რომელზეც ახორციელებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თავის იურისდიქციას ალანიის იერარქის მეშვეობით, და, მეორე, კავკასიის ალანია, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთის მეზობლად, აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში.

რუსული საინტერნეტო სივრცით, ალანიის ეპარქია იყო „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ისტორიული ეპარქია კავკასიაში, ალანიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დაარსდა მე-10 საუკუნის დასაწყისში, იხსენიება მე-16 საუკუნემდე“.

ასეთი მტკიცება არ არის ობიექტური, რადგანაც კავკასიაში მონღოლთა შემოსევების შემდეგ ალანია აღარ არსებობდა, ხოლო დვალეთი და მის მეზობელი ოლქები, რომელნიც ახლა „ჩრდილო ოსეთად“ იწოდება, არა კონსტანტინოპოლის, არამედ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ.

ალანია, სადაც კონსტანტინოპოლს თავისი მიტროპოლიტი ჰყავდა, მოიცავდა დონ-აზოვისპირეთის მიწა-წყალს და, ნაწილობრივ ყირიმს. აქ მომთაბარეობდნენ მწემსური ცხოვრებით მცხოვრები ალანური ჯგუფები, გაფანტულნი ვრცელ სივრცეზე.

მომთაბარული ცხოვრების გამო ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები და შესაბამისი დასახლებული პუნქტები მღვდელმთავრის კათედრისათვის. ამ ფაქტებს მიუთითებს როგორც ალანიის მიტროპოლიტი თეოდორე თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, ისე ამავე საპატრიარქოს სინოდი. სამწუხაროდ, ამ პირდაპირ წყაროებს დაბეჯითებით ჩქმალავენ.

როგორც აღინიშნა, 1220–1240-იან წლებში ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი წერს: „ალანები დაფანტულნი არიან ცხვრის ფარის მსგავსად მთებსა და უდაბნოებში, მათ არ გააჩნიათ სადგომები და გადახურული თავშესაფარიც კი“. „Близ Херсона живут Аланы …Они же по истине (не постыжусь сказать, и да не будет это для

меня проявлением малодушия) – были стадо, рассеянное по горам, пустыням и пропастям земным, не имеющее ни стойла, ни навеса, выставленное на пожирание (диким) зверям“.

http:/www.vostlit.info/Texstb/Dokumentɑ/KrɑmXIII/1220–1240/Feodor/textphtml?id =5429

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ალანები არ აშენებდნენ სახლებს, რადგანაც მათ სახლები არ ესაჭიროებოდათ. ამის მიზეზი იყო ის, რომ ისინი არ იყვნენ დამაგრებულები მიწაზე, მუდამ იცვლიდნენ საბინადროს, მუდამ გადაადგილდებოდნენ თავიანთი საქონლის საძოვრების შესაბამისად. ისინი მომთაბარეები იყვნენ, ანუ მწყემსური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ძირითადად კარვებში. მათი ცხოვრების სტილს კარვები შეესაბამებოდა. შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ სოფლები, ქალაქები და არც კათედრა ეპარქიის მმართველისათვის. სწორედ ამას აღნიშნავს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1347 წლის წმიდა სინოდი: „ამ მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)“ (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447). «народ ее пастушеский».

თეოდორე ცნობას, რომ ალანებს არა აქვთ თავიანთი მუდმივი სადგომიც კი (არც სოფელი, არც ქალაქი), სრულებით ეთანადება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამს, რომ რომ „ეს ხალხი მწყემსური ცხოვრებით მცხოვრებია“ (მომთაბარეა).

1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამია: სოტირიპოლი „განისაზღვროს ალანიის მღვდელმთავრის მუდმივ კათედრად, რადგანაც ამ მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)“ (в акте Константинопольской патриархии от 1347 г. указана: Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447).

http://fandag.ru /load/3–1–0–44

როგორც აღინიშნა, ალანთა მწემსურ (სამომთაბარეო) ცხოვრებას მიუთითებს ყირიმში საეკლესიო სასამართლოზე გამოთქმული შეფასება, რომ ალანები არიან სკვითებზე უფრო მეტად უღმერთონი, ამ სასამართლოზე შემდეგი სიტყვებით მიმართეს ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს: „წადი შენს უღმერთო ალანებთან“ **(«Но пропади ты с нечестивыми и безбожными Аланами, которые хуже Скифов!»**“

http//www.vostlit.info/Texst/Dokumentɑ/Krɑm/XIII/1220–1240/Feodor/texst.phtml?id =5429

ასევე აფასებს ალანებს ალანიის ეპისკოპოსი თეოდორეც: „ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, და მათ მოქცევას ახალი პავლე ესაჭიროება (Аланы христиане только по имени).

http:/www.vostlit.info/Texst/Dokumentɑ/Krɑm/XIII/1220–1240/Feodor/text/phtml?id =5429

ალანთა ეპარქიის ლოკალიზაცია, ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილის მიხედვით, უნდა მოხდეს დონისპირეთის სტეპებში, რასაც მიუთითებს

თვით თეოდორე, როცა ის თავის ეპარქიაში ყირიმიდან გაემგზავრა „უწყლო ქვეყანაში შუაგულ სკვითიაში 60 დღის გზაზე“.

„А мы направились в середину Скифии на 60 дней пути...что в местах безводных“

http://www.vostlit.info/Texst/Dokumentɑ/Krɑm/XIII/1220–1240/Feodor/text.phtml?id =5429

ანუ ალანიის ეპარქია უწყლო ადგილებშია, სტეპებშია და არა წყაროს წყლებით გაჯერებული კავკასიის მთებში.

ის ამბობს, რომ მისი ეპარქია „შუაგულ სკვითიაშია“, კავკასიის მთები არასოდეს ითვლებოდა „შუაგულ სკვითიად“, ცნობილია, რომ სკვითია სტეპების ველ-მინდვრებიანი ქვეყანა იყო. ის გაემგზავრა სკვითიის შუაგულში 60 დღის გზაზე.

შესაბამისად, როგორც აღინიშნა, თეოდორეს „ალანიის ეპარქია“ მდებარეობდა მდ. დონისპირეთში, სტეპში, რომელსაც ამჟამად ეწოდება „პონტოკასპიისპირეთის სტეპი“, ყირიმის მხარეს (ПонтийскоКаспийская степь огромная степь, простирающаяся от северного побережья Чёрного моря на восток до Каспийского моря.

http://dic.academic.ru /dic.nsf /ruwiki/1602399

დონის სტეპები ასე აღიწერება ამჟამინდელი ავტორის მიერ: დონის სტეპი არის გაშლილი სივრცე, გარშემო ერთი ხეც არ არის, მხოლოდ სწორი ველია ჰორიზონტის ხაზამდე, რომელიც ცას და მინდორს ერთმანეთისაგან ჰყოფს. დონის სტეპი გვაცებს თავისი უკიდეგანობით

http://dontourism.ru /poi–view.aspx?id =152

Открытые просторы, вокруг ни единого деревца – лишь равнина, ограниченная линией горизонта и небом – это и есть Донская степь. Она удивляет своей бескрайностью.

http://dontourism.ru /poi–view.aspx?id =152

ასეთ უკიდეგანო სტეპებში, რომელიც ყირიმის მეზობლადაა გადაჭიმული, მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია და არა კავკასიის მთებში.

დასავლეთ კავკასიის მთებში მდებარე ალანია, აფხაზეთის მეზობლად, საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა.

თეოდორეს წერილის გარდა ალანების ყირიმსა და იქვე, დონისპიეთის სტეპებში, ცხოვრების შესახებ მიუთითებენ სხვა წყაროებიც. მაგალითად, მე-14 საუკუნისათვის ხერსონში იხსენიება კათოლიკური საეპისკოპოსო. ხერსონელ ლათინ ეპისკოპოსს პაპ იოანე XII-ის წერილის თანახმად, გაუქრისტიანებია იქაური ალანები. **Херсон числится в составе Воспорской митрополии. Из письма папы Иоанна XXII известно, Ричард вместе с митрополитом Воспоро Франциском де Камерино, уже проявил себя на поприще проповеди среди христиан и обратил алан в католичество.**

(https://ru.wikippedia.org/wiki.

ეს ალანები ყირიმსა და დონისპირეთში ცხოვრობენ და არა კავკასიაში, რადგანაც, კონსტანტინოპოლის ალანიის სამიტროპოლიტო მოიცავდა ყირიმსა და დონის შესართავს. ამიტომ ალანიის სამიტროპოლიტოს არაფერი აკავ-

შირებდა კავკასიის ალანიასთან, კავკასიის ალანია ამ ეპოქაში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

შესაბამისად, საეკლესიო წყაროები მიუთითებს, რომ ალანიის ეპარქია მდებარეობდა სტეპებში, დონისპირეთში, ის შეიქმნა ნომადი ალანების საჭიროებისათვის, ხოლო რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, ის შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

მეცნიერ მკვლევართა გაურკვევლობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ტერიტორია ალანიის სახელით ასევე მდებარეობდა კავკასიის მთებში აფხაზეთის მეზობლად, მისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გაძლიერდა განსაკუთრებით მე-10 საუკუნისათვის. აქაური ალანები შეუძლებელია, რომ მომთაბარეები ყოფილიყვნენ, რადგანაც აქ აღმოჩენილია ამავე საუკუნეების ნაქალაქარები, ნასოფლარები და დღემდეა შემორჩენილი ზელენჯუკის ხეობაში შესანიშნავი გუმბათოვანი ტაძრები, ნაგებნი მღვდელმთავრის კათედრის შესაბამისი არქიტექტურით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მე-6 საუკუნეში ბიზანტია-სპარსეთის დიდი ომიანობის დროს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა ლაზიკის დაუფლებისათვის, ბიზანტიელებმა მომხრე საგანგებოდ მოწვეულ ალანებს, გადასცეს იმჟამად მათ მიერ კონტროლირებადი რეგიონი კავკასიის მთებში, ანუ კავკასიის ალანია.

აქ, კავკასიის მთებში, იქამდე უკვე ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები – ეგრისელები და სვანები. ჩანს, მოსული ალანები ბიზანტიელებმა გადააქციეს მათ ზედაფენად, მათ მმართველებად. საბოლოოდ, კი კავკასიელი ალანები, ჩანს, ქართველების მონათესავე ხალხად ჩამოყალიბდნენ, რასაც მიუთითებს იოანე ცეცეს ცნობა, რომ აბაზგები, იბერები და ალანები ერთი გენის ხალხია (გეორგიკა, 1976, გვ. 20).

მეშვიდე საუკუნის შემდეგ არაბთა შემოსევების გამო დასუსტებულმა ბიზანტიამ დაკარგა ჩრდილო კავკასიაზე თავისი გავლენა. აქ ჰეგემონობა მოიპოვა ხაზართა კაგანატმა, რომელიც ებრძოდა ბიზანტიის გავლენას.

მე-10 საუკუნისათვის ხაზართა დასუსტებამ და ბიზანტიის გაძლიერებამ საშუალება მისცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეფიქრა, რათა თავისი ეპარქია დაეარსებინა კავკასიის ალანიაში.

ამ მიზნით გამოაგზავნა კიდეც აქ მაღალი სასულიერო პირები. მათ აღმოაჩინეს, რომ თავიანთი გეგმის აღსრულება არ შეეძლოთ აფხაზთა მეფეების ნების გარეშე. ამიტომაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი თხოვნით წერილებს წერდა აფხაზთა მეფეებს. საბოლოოდ კი ბიზანტიელი კლერიკალები ალანთა მეფეებმა გააძევეს ალანიიდან 931–932 წლებში, ჩანს, აფხაზ მეფეთა მოთხოვნით.

ახლა მკვლევარები ცდილობენ როგორმე დაამტკიცონ, რომ თითქოსდა გაძევებული ბიზანტიური სამღვდელოება უკან კავკასიის ალანიაში დაბრუნდა მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში და მათ იქ დააარსეს ალანიის ეპარქია. ამასთანავე, ააგეს დიდებული ტაძრები ზელენჯუკ-არხიზში, შოანასა, სენტში.

თითქოსდა, ალანიის მიტროპოლიტის კათედრა იყო ზელენჯუკის ჩრდილო ტაძარი.

ეს ყოველივე მიიჩნევა დამტკიცებულ ფაქტად, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ვარაუდის სფეროა.

რეალური ფაქტი ისაა, რომ ზელენჯუკის ჩრდილო ტაძარი ზუსტი ასლი ლიხნისა და აქაურ ტაძრებს აქვთ მოქვის დიდი გავლენა.

ახლა შემოაქვთ ახალი მცნება, რომ თითქოსდა ეს ტაძრები ალანურ-აფხაზურ ხუროთმოძღვრულ სკოლას განეკუთვნება.

სინამდვილეში აფხაზური საეკლესიო არქიტექტურა ზოგადქართულის ერთი ნაწილია, ხოლო ცნება „ალანური საეკლესიო არქიტექტურა“ ახალი გამონაგონია.

ეს ვეზგვერდი აღნიშნავს: „ალანთა შორის ფართო სამისიონერო მოღვაწეობა დაიწყო მხოლოდ მე-10 საუკუნის დასაწყისში პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის (901–907 და 912–925) დროს. მიღებულია, რომ კავკასიის ალანთა გაქრისტიანება განეკუთვნება ნიკოლოზ მისტიკოსის პატრიარქად მეორედ ყოფნის პერიოდს (912–925), დაახლოებით 912–916 წლებს.

კავკასიის ალანთა გაქრისტიანების ისტორია ცნობილია პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მიმოწერიდან, რომელიც განხილულია ქვემოთ.. კერძოდ, ცნობილია, რომ ალანთა განათლებას ხელს უწყობდნენ ავაზგების (აფხაზების) მმართველები კონსტანტინე III და მისი მემკვიდრე გიორგი II.

პატრიარქი ნიკოლოზი წერილში მადლობას უთვლის კონსტანტინეს ალანიის მთავრის მონათვლისათვის. ეს უნდა მომხდარიყო კონსტანტინეს გარდაცვალებამდე, 916 წლამდე, მაგრამ 912 წლის შემდეგ, ნიკოლოზის მეორე გაპატრიარქებამდე. კონსტანტინოპოლში კავკასიის ალანიისათვის დაადგინეს არქიეპისკოპოსი პეტრე, რომელიც თავისი სამსახურის ადგილას წავიდა, ალბათ, 914 წელს. ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ ალანიის ეპარქიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც, ალბათ, ჰქონდა ავტოკეფალური საარქიეპისკოსოს სტატუსი.

არქიეპისკოპოს პეტრეს მუდმივი საჩივრები, რომ შეუძლებელი იყო მისი მისიის აღსრულება აფხაზთა მეფეების ნების გარეშე, აიძულა პატრიარქი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მიემართა ავაზგების მმართველ გიორგი II-ისათვის, რომელიც იყო კონსტანტინე III-ის ძე. საბოლოოდ, ალანიაში დაახლოებით 917 წლის შემდეგ ხელახლა გაემგზავრა ექვთიმე, რომელიც ამ დროს ბიფინიის ოლიმპის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი იყო [10].

არაბი ისტორიკოსი ალ-მასუდი იძლევა ცნობას ბერძენ სასულიერო პირთა განდევნის შესახებ 931–932 წლებში: „**აბასიდების დროს ალანთა მეფეებმა, რომლებიც იქამდე იყვნენ წარმართები, მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ 320 წლის შემდეგ განდგნენ მისგან და განდევნეს ეპისკოპოსები და მღვდლები, რომელნიც მათთან რუმის მეფეებმა გააგზავნეს**“.

http//www..vostlit.info/Texsts/rusl13/sirvan–derbend/pril3.phtml?id =1900

კონსტანტინე პორფიროგენეტი ალანების მმართველს თავის სულიერ შვილს უწოდებს და საუბრობს მისი მტრობის შესახებ ხაზარებთან. ნოტიციებ-

ში ალანიის ეპარქია, უკვე როგორც მიტროპოლია, ჩნდება მე-10 საუკუნის ბოლოს (ნოტიცია № 10), ჯერჯერობით მხოლოდ სქოლიოებში. შემდეგ ნოტიციაში, დათარიღებული 1032–1039 წლებით, ის აღმოჩნდა 61-ე ადგილზე, რუსული მიტროპოლიის შემდეგ, რომელიც მე10 საუკუნეში წარმოიქმნა.

В нотициях Аланская епархия, уже как митрополия, появляется в конце X века (нотиция № 10), пока ещё в схолиях. В следующей нотиции, датируемой 1032–1039 годами, она оказывается на 61-м месте после возникнувшей в конце X века Русской митрополии.

ალანიის ეპარქიას არ გააჩნდა საეპისკოპოსოები და, ჩანს, ეს მხოლოდ მაღალი ტიტულია დიდი მნიშვნელობის მოკავშირის ეკლესიისათვის. მე-10 საუკუნის ბოლოს 998 წელს მიეკუთვნება ალანთა მიტროპოლიტ ნიკოლოზის პატრიარქ სისინის ტიპიკონში. [13]".

გვერდი ალანიისა და სიტრიოპოლის შესახებ აღნიშნავს:

„ჩანაწერი ალანიისა და სოტირიუპოლის კათედრების გაერთიანების შესახებ განეკუთვნება ნიკოლოზ მე-3 გრამატიკოსის (1084–1111) დროს.

ის ასეა ფორმულირებული: „ალანიები გადაეცა სოტერიუპოლს" С формулирована она так: «Алании отдан Сотериуполь»[14].

პირველი მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსი გახდა იოანე მონასტირიოტი. ამასთანავე, სოტერიოპოლის კათედრა არ გაუქმებულა. ის კვლავინდებურად ირიცხებოდა ნოტიციებში, როგორც ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ამ ორმაგ კათედრაზე იერარქი იწოდებოდა, ვითარცა ალანიის მიტროპოლიტი და სოტერიოპოლის არქიეპისკოპოსი, თუმცა დოკუმენტებში ხშირად მეორე დასახელება აკლია".

ნაცვლად ბიზანტიელთა სურვილის შესრულებისა, აფხაზთა მეფემ ბიჭვინთაში დააარსა ქართული საკათალიკოსო ცენტრი, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო.

იქამდე ბიჭვინთის ახლო ტერიტორია ალანიად იწოდებოდა, რაც ასახულია ქართულ წყაროებში. აფხაზეთის ალანია კავკასიის ალანიის ნაწილი იყო. ბიჭვინთა იდგა აფხაზეთის ალანიასთან. აქ, ამ რეგიონში, სურდა კონსტანტინოპოლს დაეარსებინა ალანიის საეპარქიო ცენტრი, ამის უფლება კონსტანტინოპოლს არ მისცა აფხაზთა სამეფომ.

(ალ მასუდი წერს, რომ ალანიამ უარყო ქრისტიანობა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის გულისხმობდა, რომ კავკასიის ალანიამ უარყო ბიზანტიური საეკლესიო მმართველობა იმით, რომ გააძევა შორიდან მოსული ბერძენი კლერიკალები). რეალურად ამის შემდეგ, კავკასიის ალანიამ გააგრძელა ქრისტიანული ცხოვრება ოღონდ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, აფხაზეთის ალანიასთან, ბიჭვინთაში, დაარსებულმა საკათალიკოსო ცენტრმა, თავის სამწყსოში შეიყვანა კავკასიის ალანიაც.

რუსულენოვანი ისტორიკოსები წერენ, რომ ამ დროისათვის გაწყდა ალანების კავშირი ხაზარებთან, რითაც ისარგებლეს ბერძენმა კლერიკალებმა და ისინი უკანვე დაბრუნდნენ ალანიაში. ააშენეს ცნობილი არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიები,

სინამდვილეში ალანურ-ხაზარული კავშირი არ გაწყვეტილა, რადგანაც მათ 945 წელს ერთად ილაშქრეს შორეულ ბარდაში).

რადგანაც კავკასიაში ვერ შეძლო კონსტანტინოპოლმა ალანიის ეპარქიის დაარსება მე-10 საუკუნის დასაწყისში, ის იძულებული გახდა ალანიის ეპარქია დაეარსებინა ყირიმთან ახლოს დონისპირეთის სტეპებში მომთაბარე ალანებისათვის მე-10 ს. ბოლოს. მომთაბარე ალანებს კი არ გააჩნდათ ქალაქი მღდელმთავრის კათერისათვის, ამიტომაც კონსტანტინოპოლმა გამოყო ქალაქი სოტერიოპოლი ტრაპეზუნტთან.

ალანიის ეპარქიის ლოკალიზაციისათვის

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის დაარსების ეპოქაში, მე-10 საუკუნისთვის, არსებობდა ორი ალანია, პირობითად. პირველი იყო კავკასიის ალანია, ის მდებარეობდა აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; მეორე, დონის სტეპების ალანია, მდებარეობდა ჩრდილო კავკასიის სტეპებში, ყირიმის გასწვრივ. პირველი, ანუ კავკასიის ალანია დასახლებული იყო მიწათმოქმედი მკვიდრი მოსახლეობით, რომელსაც მართავდა ალანური ზედა ფენა. აქ იყო სოფლები, დასახლებული პუნქტები, ქალაქები, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები, რომელთა ნაშთები დღემდეა მოღწეული.

მეორე, ანუ დონის სტეპების ალანია დასახლებული იყო მომთაბარე, ნომადი, ალანური ტომებით. აქაურ ალანთა ნომადური ცხოვრების გამო აქ არ იყო ქალაქები, რასაც ადასტურებს ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე თავის წერილში.

http://www.vostlit./Texts/Dokumenta/Kram/XIII/1220–1240/Fjeodor/text.phtml? id=5429).

1. კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის განზრახვა, რომ კავკასიაში, აფხაზეთის მეზობლად, ალანიის ეპარქია დაეარსებინათ ბერძენ მისიონერებს – ბერ ექვთიმეს (912 წლიდან) და მთავარეპისკოპოს პეტრეს (914–9), ჩაიშალა, რადგანაც არაბული წყაროს ცნობით, ალანთა მეფეებმა კავკასიის ალანიიდან გააძევეს ბერძენი კლერიკალები. ეს აფხაზ მეფეთა მოთხოვნით მოხდა.

2. არაბი ისტორიკოსი ალ-მასუდი იძლევა ცნობას ბერძენ სასულიერო პირთა განდევნის შესახებ 931–932 წლებში: **„აბასიდების დროს ალანთა მეფეებმა, რომლებიც იქამდე იყვნენ წარმართები, მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ 320 წლის შემდეგ განდგნენ მისგან და განდევნეს ეპისკოპოსები და მღვდლები, რომელნიც მათთან რუმის მეფეებმა გააგზავნეს".**

3. ამჟამინდელი შეხედულება, თითქოსდა ისინი (ბერძენი სასულიერონი) იქ, კავკასიის ალანიაში, უკან დაბრუნდნენ, უსაფუძვლოა, რადგანაც კავკასიის ალანია შეყვანილ იქნა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, რასაც, როგორც ითქვა, ამჟამადაც თვალნათლივ მეტყველებენ აფხაზური ეკლესიების ასლები – ზელენჯუკი, სენტი და შოანა. აფხაზური ეკლესიების არქი-

ტექტურა, მათ შორის არხიზ-ზელენჯუკ-სენტ-შოანასა, ტრადიციულია ქართული საეკლესიო არქტექტურისათვის და არატრადიციული ბიზანტიურისათვის.

4. ნიკოლოზ მისტიკოსის ადრესატები, აფხაზთა მეფეები კონსტანტინე III, გიორგი II (და მათი შთამომავლები) ქართული საეპისკოპოსოებისა და ეკლესია-მონასტრების მესაძირკვლენი იყვნენ მთელ აფხაზთა სამეფოში, კუმურდოდან აღნიშნულ ზელენჯუკამდე. არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიები მათი სამეფოს უშუალო საზღვარზე იდგა, აფხაზეთის საკათალიკოსოს სატახტო ცენტრიდან – ბიჭვინთიდან – სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში. ამიტომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის თხოვნა ფაქტიურად, აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთ ოლქში (კავკასიის ალანიაში) ალანიის ეპარქიის დაარსების შესახებ, არ შესრულდა. ეს ვერ შეძლო კონსტანტინოპოლმა. აფხაზთა მეფეებს სურდათ კავკასიის ალანიაში თავისი საკათალიკოსოს იურისდიქცია განეხორციელებინათ და არა კონსტანტინოპოლისა, რადგანაც ეს ოლქი ზედ საზღვარზე იდგა, თუმცა კი მთხოვნელი პატრიარქი კონსტანტინოპოლისა აფხაზ მეფეთა მიერ დიდად პატივცემული იყო.

5. იმის გამო, რომ ალანიის კათედრა ვერ დაარსდა კავკასიის მთებში, კონსტანტინოპოლმა გადაწყვიტა ალანი ხალხისათვის სხვა მახლობელ ტერიტორიაზე ჩამოეყალიბებინა ეპარქია, დაარსებულ იქნა ალანიის ეპარქია დონისპირეთის სტეპებში მომთაბარე ალანებისათვის. (ბოსფორის, ხერსონესისა და ყირიმის სხვა ქრისტიანული ცენტრების ახლო რეგიონში).

6. სტეპების, ანუ დონისპირეთის ალანიას არ გააჩნდა ცენტრი, ანუ ქალაქი საეპისკოპოსო კათედრისათვის, რადგანაც აქაურ მომთაბარე ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები. ამის გათვალისწინებით დონისპირეთის ალანიის მიტროპოლიტს საკათედრო ცენტრად მიუჩინეს სოტირიოპოლისი, ბიზანტიურ ლაზიკაში. 1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამია: ძველთაგანვე განისაზღვრა, რომ სოტირიუპოლი იყოს ალანიის მღვდელმთავრის მუდმივ კათედრა, რადგანაც ამ მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა მისი ხალხი მწყემსური ცხოვრების გამო (მომთაბარეობის გამო) (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447) (в акте Константинопольской патриархии от 1347 г. указана: Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447)

7. შესაბამისად, ბიზანტიურ საეკლესიო წყაროებში, კერძოდ, მე-10 ნოტიციაში, ალანიად იწოდება არა კავკასიის, არამედ სტეპების, ანუ დონისპირეთის ალანია, ყირიმ - ზიხიას მახლობლად.

8. დონისპირეთის სტეპებში მდებარე ალანიის სამიტროპოლიტოს კონსტანტინოპოლის კათედრათა შორის 61-ე ადგილი ეჭირა. მას არ გააჩნდა თავისი საეპისკოპოსო კათედრები. თუმცა მას მიაწერენ ზიხიის ეპარქიას, რომე-

ლსაც კათედრები გააჩნდა იმავე რეგიონში – ბოსფორში, ხერსონესსა და ყირიმის სხვა პუნქტებში.

9. ბიზანტიური ალანიის ეპისკოპოსი იმის გამო, რომ დონისპირეთის (ტანაისის სტეპების) იერარქი იყო, თავის იურისდიქციას ავრცელებდა აზოვსა და ტანაისში, ასევე ოქროს ურდოს მხარეს, სარაიში, წყაროთა ცნობით (В 1347 г. аланский митрополит исполнял свои функции среди православных жителей **Танаиса (Азова) и Сарая).** „История народов Северного Кавказа с древнейших времен до – конца XVIII в. – М.: Наука, 1988).

10. თეოდორე წერს, რომ ალანიის სამწყსოს ქვეყანა უწყლო ადგილებში მდებარეობდა „в местах безводных“. ეს ალანია უწყლო ადგილებია, ანუ სტეპებია და არა წყაროს წყლით გაჯერებული კავკასია. ასე, რომ თეოდორე იყო არა კავკასიის ალანიის, არამედ „სკვითიის“ ალანიის ეპისკოპოსი. ის სკვითიას უწოდებს დონისპირეთის სტეპებს.

11. ოფიციალურ გამოკვლევებში წერენ, რომ ალანიის ეს ეპისკოპოსი თეოდორე თითქოსდა ზელენჯუკის ზემო ეკლესიაში, თავის საკათედრო ტაძარში, ჩაბრძანდა, რაც არასწორია. მისი წერილიდან გამომდინარე შეუძლებელია თეოდორეს ეხილა ზელენჯუკის ტაძრების დიდებულება, სიდიადე სენტის თუ შოანას ტაძრებისა და ამის შემდეგ. მისი მრევლის შესახებ ეთქვა, რომ ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები – Аланы христиане только по имени. ის ალანებს მიიჩნევდა ხელმეორედ მოსაქცევ ხალხად და ამბობდა – Какой Павел вторично родит их (მეორე პავლე უნდა მათ მეორედ მოქცევასო). ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ნუთუ ხელახლა მოსაქცევი იყო არხიზ-ზელენჯუკ-შოანა-სენტის ტაძრების მქონე ხალხი? ანდა როგორ ააშენებდა ეს ხალხი ასეთ დიდებულ ტაძრებს, მაშინ, როცა თვით თეოდორეს სიტყვით, მათ ღამის გასათევად საკუთარი სახლების აგებაც კი არ შეეძლოთ?.

12. რუსი მეცნიერების აზრით, ალანიის ეპარქიის კათედრა X–XI საუკუნეებში მდებარეობდა მდ. ზელენჯუკის ხეობაში. ეს არასწორი, უსაფუძვლო მტკიცებაა.

13. ასევე უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, რომ ალანიის ეპარქიის კათედრა ზელენჯუკიდან შემდეგ (1084 –1105) გადატანილ იქნა ტრაპეზუნტთან ახლოს ქ. სიტირიოპოლში, რომლის არქიეპისკოპოსი „ალანიის მიტროპოლიტის“ ტიტულს ატარებდა. ალანიის მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდა არა კავკასიის, არამედ სტეპების, ანუ დონისპირეთის ალანიის ეპისკოპოსი. ამიტომ ზელენუკი არასოდეს ყოფილა ალანთა მიტროპოლიტის კათედრა, შესაბამისად, არასოდეს გადაუტანიათ ალანიის მღვდელმთავრის კათედრა ზელენჯუკიდან სოტირიოპოლში. ლაზიკაში მდებარე სოტირიოპოლის ალანიის მღვდელმთავარი მწყსიდა თავის ალანიის ეპარქიას დონისპირეთის სტეებში, ყირიმთან ახლოს და არა კავკასიაში.

14. საქართველოს სამეფოს ძლიერების წლებში, მის შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბა ტრაპეზუნტის იმპერია, 1204–1261 წლებისათვის ალანიის მიტროპოლიტს ადგენდნენ კომნენთა იმპერიის დედაქალაქის, ტრაპეზუნტის იერარქები. ამის გამო დონისპირეთის სტეპების ალანიის

ეპარქიაში ეპისკოპოსი იგზავნებოდა ტრაპეზუნტიდან, ანუ ლაზიკიდან. ტრაპეზუნტი „მეგრელთა სოფელში“, ანუ ლაზიკის ქვეყანაში მდებარეობდა. ამიტომ აქედან, ანუ ლაზიკიდან ალანიაში ჩასულ ეპისკოპოსს „ლაზიკელს“ უწოდებდნენ. მას იხსენიებს ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე თავის წერილში.

15. ამავე დროს, როგორც ითქვა, ლათინთა იძულების გამო კონსტანტინოპოლის პატრიარქი გადასული იყო ნიკეაში. როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის ნიკელი პატრიარქი ალანიაში აგზავნიდა ასევე თავის „ალანიის ეპისკოპოსს“. შესაბამისად, ალანიაში ორი „კანონიერი“ ეპისკოპოსი იგზავნებოდა ნიკეადან და ტრაპეზუნტიდან (ანდა სოტირიოპოლიდან), რაც მათ შორის დავის მიზეზი ხდებოდა. ამას აჩვენებს ალანიის მიტროპოლიტ თეოდორეს წერილის ანალიზი.

16. არაფერი მტკიცდება მე-12 საუკუნის ავტორის ნიკიფორე ვასილიკის სახოტბო პოემით, რომ მის დროს ალანები უკვე იყვნენ მოშურნე ქრისტიანები.

17. По свидетельству автора XII в. Никифора Василаки, в его время аланы уже были ревностными христианами: …что может заслуживать большего восхищения, величие её [аланская царевна Ирина] народа илизнатность её происхождения? Её народ аланы; мать [Адриана] их царица; и как подобает аланамдревнего богатства. Там, у подножья высокого Кавказа, пасутся стада многих племён этого великого народа,который я бы назвал паствой Христовой, цветом скифов и первым плодом Кавказа. Они самыйвоинственный народ среди кавказцев; если ты посмотришь на их множество, то найдешь отвагу, которой нет нигде более; если ты заметишь их доблесть в бою, то ни во что не поставишь мириад врагов. Ибо иныенароды выделяются множеством своих сил, а другие

18. ნიკიფორე ვასილიკის ეს სახოტბო ლექსი-ოდა ტრადიციული სქემით ადიდებს ტახტზე ასულ ბიზანტიის ალანი წარმოშობის დედოფალს. ესაა მხოლოდ სახოტბო შესხმა და არ ასახავს რეალობას.

19. უფრო მოგვიანებით, 1253 წ. გილომ რუბრუკმა იგივე დაამოწმა, რომ „ალანები, ანუ ასები“ აღიარებენ ქრისტიანობას და კვლავ ებრძვიან თათრებს.

20. დაახლოებით მე-15 საუკუნის შუაში ვენეციელმა იოსაფატ ბარბარომ, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა ტანა-ტანაისში, აღნიშნა, რომ ქრისტიანი ალანები განდევნეს და ამოხოცეს თათრებმა (ალანიის ეპარქია ტანაისთან (დონთან) მდებარეობდა, სადაც აღნიშნული ქრისტიანი ალანები შეადგენდნენ ალანიის ეპარქიის მრევლს. ისინი იოსაფატ ბარაბოს ცნობით, მიუღებელნი იყვნენ დამპყრობლისათვის, ეს ფაქტი ასახავს თვითმხილველის მიერ ასახულ რეალობას. აქაური (ტანაისის ანუ დონისპირეთის სტეპების) ქრისტიანი ალანები, მრევლი ალანიის ეპარქიისა ამოუხოცავთ ანდა განუდევნიათ თათარ-მონღოლებს.

კავკასიის ალანია აქედან ძალზე იყო დაშორებული, თანაც კავკასიის ალანია შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელთანაც მონღოლებმა ზავი დადეს. დასავლეთ საქართველოში მონღოლთა საჯარისო ნაწილები არ შესულა, ამიტომაც გადაურჩა დანგრევას არხიზ-ზელენჯუკის,

შოანა (შუანას) სენტისა და სხვა ეკლესიები კავკასიის ალანიასა და მის მომიჯნავე მხარეებში.

21. მართალია, ალანიის ეპარქია ტანაისთან მდებარეობდა, მაგრამ მისი ხალხის ნომადური ცხოვრების გამო, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ამ ეპარქიის სამღვდელმთავრო კათედრა, მისგან შორს, სოტირიოპოლ – ტრაპეზუნტში მდებარეობდა. 1386–1461 წლებში ალანიის ამ სამიტროპოლიტო კათედრამ გადაინაცვლა სევასტიაში ამ რეგიონში თურქების მოძალების გამო.

საყურადღებო ფაქტია, რომ ალანიის ეპარქიით ამ დროს დაინტერესდა საქართველოს სახელმწიფო, რადგანაც ბიზანტიის იმპერია თავის არსებობას ასრულებდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უკვე აკონტროლებდა სოტირიოპოლის ოლქს.

22. ამასთანავე, საქართველოს ეკლესიას თავისი მოსაზრება გააჩნდა ალანიის სამიტროპოლიტოს მიმართ. ქალაქი სოტირიოპოლი თამარ მეფის დროს საქართველოს სახელმწიფო მართვის სფეროში შევიდა. კონსტანტინოპოლმა აქედან თავისი „ალანიის მიტროპოლიტის“ კათედრა სხვა ქალაქებში გადაიტანა (ტრაპეზუნტი, სევასტია). ამის საპასუხოდ, საქართველოს სახელმწიფომ გადაწყვიტა არ გაეუქმებინა არამედ შეეინარჩუნებინა ალანიის სოტირიოპოლის კათედრა. ესაა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც ნაკლები ყურადღება ექცევა.

23. ამ დროს საქართველოს ეკლესიამ, რომლის იურისდიქციაშიც, ამ პოლიტიკური ცვლილების შესაბამისად, შევიდა სოტირიოპოლი, როგორც ითქვა, არ მოშალა ამ ქალაქისათვის ტრადიციული „ალანიის მიტროპოლიტის“ კათედრა და ის (სოტირიოპოლის კათედრა) შეიყვანა საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს იურიდიქციაში. აქ ჩამოაყალიბდა ქართული იურისდიქციის შესაბამისი „ალანიის სამიტროპოლიტო“.

24. აფხაზეთის კათალიკოსები ამის შემდეგ აკურთხებდნენ ალანიის მიტროპოლიტებს, მოღწეულია საბუთები, სადაც ნახსენებია, რომ ალანიის მიტროპოლიტები ხელდასხმას იღებდნენ აფხაზეთის კათალიკოსების მიერ.

25. საქართველოს სახელმწიფოს დაშლის კვალდაკვალ ქალაქი სოტირიოპოლი ჯერ სამცხის, შემდეგ კი გურიის სამთავროებში აღმოჩნდნენ. შემდეგში, როდესაც ოსმალებმა აიღეს ეს ქალაქი, სოტირიოპოლის ალანიის ქართველი მიტროპოლიტის კათედრა გადატანილი იქნა ბათუმთან ახლოს, ამჟამინდელ აჭარაში. სიტყვა სოტირიოპოლის სახეცვლის შესაბამისად, მის მღვდელმთავარს სატრაპელას მიტროპოლიტი ეწოდებოდა, ის იყო ალანიის მიტროპოლიტი. შესაბამისად, არსებობდა ორი, პარალელური, ალანიის სამიტროპოლიტო, ერთი ქართულ, მეორე კი კონსტანტინოპოლურ იურისდიქციაში, რუსული შესაბამისი კვლევები იცნობენ მხოლოდ „ალანიის ეპარქიის“ ბერძნულ იურისდიქციას და არ იცნობენ ქართულს.

26. „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს ცნობით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია არსებობდა X საუკუნიდან XVI საუკუნის ბოლომდე ჩრდილო კავკასიაში „ალანიის ქვეყნის“ საზღვრებში, მაგრამ ამ დროისათვის, მე-14, მე-16 საუკუნეებში, არსებობდა „ალანიის ქვეყანა“?

მომთაბარე – ნომადი ქრისტიანი ალანები მონღოლებმა გაანადგურეს. მაგრამ პარალელურად, ამ დროისათვის ყალიბდებოდა ე.წ. „ოსების ქვეყანა“ სულ სხვა რეგიონში – დვალეთში და ბასიანში. იქამდე, ანუ თემურ-ლენგის შემოსევამდე, დვალეთს ოსებთან არასოდეს ჰქონია კავშირი. დვალები სულ სხვა ხალხი იყო და ოსები სულ სხვა. თემურ ლენგის შემოსევებამდე დვალეთი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა და ასევე დარჩა დვალების ოსებში ასიმილაციის შემდეგაც, დვალეთი კვლავ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში დარჩა, არასოდეს დვალეთი არ ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ისტორიულად, დვალები ქართულენოვანი ეკლესია-მონასტრების მრევლი და მაზიარებლები იყვნენ. ისტორიულად, მისგან შორს, სულ სხვა ტანაისის ოლქში მდებარეობდა კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქია, ხოლო - ოსეთი – დვალეთი მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო. მათი ერთმანეთში არევა და გაიგივება დიდი შეცდომაა.

27. ზემოთ აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის გამო „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ შეცდომით, ალანურად მიიჩნევს ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთში მდებარე ქართული კულტურის ზოგიერთ ძეგლსა და ქართულ საეკლესიო არქიტექტურასაც კი.

28. ამ შეცდომის გამო „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ მიერ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების ნაწილი მიჩნეულია „ალანურად“ რომელნიც თითქოსდა ქმნიან ე.წ. „ალანური ცენტრალური და აღმოსავლური ძეგლების ჯგუფს“ მასში შეიყვანეს ტყობა-იერდის ეკლესიაც კი.

29. ე.წ. ცენტრალურ-აღმოსავლური „ალანური ძეგლები“ სინამდვილეში არის ქართული (მაგ. ტყობა იერდი), რომელიც „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-მ მიაკუთვნა ალანურს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობილი ეკლესიას ჰქონდა არა ბერძნული, არამედ ქართული წარწერები.

30. კავკასიის ალანიის უმთავრესი (ძირითადი) ნაწილი ტერიტორია მდ. ზელენჯუკის ჩათვლით სვანებით იყო დასახლებული და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

31. აქაურ ნაეკლესიარებს ადგილობრივი მოსახლეობა „შოანსკიე ცერკვი“-ს (სვანურ ეკლესიებს) უწოდებს. მიუხედავად ამისა, ამჟამად მათ სრულიად არამართებულად ალანურად განიხილავენ და ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში ათავსებენ.

32. ალანიის მიტროპოლიასთან დაკავშირებით „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“ გამოთქმული უმართებულო მოსაზრებაა, თითქოსდა მას გააჩნდა თავისი იურისდიქციის საზღვრები და სამღვდელმთავრო კათედრა არხიზ-ზელენჯუკში, უფრო მეტიც, სრულიად უმართებულოდ მიიჩნევა, რომ თითქოსდა თანამედროვე ყაზბეგის რაიონი და, საერთოდ, ისტორიული დვალეთი ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში შედიოდა. სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, ალანიის სამიტროპოლიტო, სხვა ოლქში, ჩრდილო კავკასიის სტეპებში მდებარეობდა, ესაა ტანაის-დონისპირეთში მდებარე

ვრცელი რეგიონი, ნომადი ალანების არეალი, პირობითი საეკლესიო ოლქი, რომელსაც არ გააჩნდა თავისი ფიქსირებული იურისდიქციის საზღვრები.

33. მომთაბარე, ნომადური ცხოვრების მქონე ალანთა ტომებს მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნდათ. როგორც ცნობილია, იურისდიქციის საეკლესიო საზღვრები ძირითადად ემთხვეოდა სახელმწიფო ადმინისტრაციულს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სტეპების, ანუ ტანაის-დონისპირეთის ალანიის სამიტროპოლიტო ოლქს ჰქონდა თავისი იურისდიქციის საზღვრები, ის რაიმე სახელმწიფოებრივ ერთეულში უნდა ყოფილიყო მოქცეული. ამ მხრივ მომთაბარე ალანთა მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. პ. ინგოროყვას მიერ გამოყენებულ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დოკუმენტში ნათქვამია: „ალანიის მიტროპოლიას სრულიად არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა, რადგანაც აქაური ხალხი მომთაბარეობას, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 259).

34. ოსმალთა მიერ ტრაპეზუნტის იმპერიის დამხობამ აიძულა ბოლო სოტირიოპოლის ალანიის ქართველი (ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალი სოტირიოპოლის ალანიის) მიტროპოლიტი გურიაში გამოეტანა თავისი კათედრა. ალანიის შესაბამის მიტროპოლიტებს გელათში მჯდომი აფხაზთა კათალიკოსები სვამდნენ თავიანთ კათედრებზე. ეს იყო კანონზომიერი აქტი, რადგანაც აფხაზთა საკათალიკოსოს სამწყსოში, როგორც ითქვა კანონიკურად ვრცელი ტერიტორია შედიოდა კაფადან ვიდრე ტრაპეზუნტის ოლქამდე. ერთი სიტყვით, ალანიის სამიტროპოლიტოს სამართალმემკვიდრე საქართველოს საპატრიარქოა და არა რუსეთის ეკლესია, როგორც მიიჩნევს „პრატვასლავნაია ენციკლოპედია“.

35. ალანიის სამიტროპოლიტო, როგორც გამოიკვლია პ. ინგოროყვამ, XIII–XVI სს-ში ოსმალების გაბატონებამდე შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ქ. სოტირიოპოლის მხარე დაუკავშირდა საქართველოს სამეფოს მესხეთის სამთავროს მე-13 საუკუნიდან, ეკლესიურადაც ის შევიდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში და შეადგინა ქართული საეკლესიო ოლქი – ოფის, ანუ ლაზიის მიტროპოლიტის მეთაურობით. მისი კათედრა სოტერიოპოლიდან XVI ს-ში გურიაში გადმოიტანეს და მას სატრაპელას უწოდებდნენ.

36. ქართული იურისდიქციის ქვეშ მყოფ ლაზეთის მიტროპოლიტს ალანიის მიტროპოლიტის ტიტულიც ჰქონდა. მაგალითად, აფხაზთა კათალიკოსის მიერ 1646 წ. ნაკურთხ ლაზიის მიტროპოლიტს გერმანეს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, იქვე, გვ. 2.

ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქს

მოღწეულია ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი. (**Епископа Феодора «Аланское послание»**, რუსულად თარგმნა Юлиан Кулаковский-მ).

(http:/www.vostlit.info/Texts/Dokumen/Kryd/XIII/1220–1240/Feodor/text.phtml?id =5429)

მიიჩნევა, რომ ესაა გერმანე მეორე, რომელიც საპატრიარქო ტახტს იჭერდა 1222–1240 წლებში, ამიტომაც ეპისკოპოსი თეოდორე მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.

მიიჩნევენ, რომ წერილი დაწერილია კავკასიის მთებში (Оно написано в глуши Кавказских гор), თუმცა წერილი ამის თქმის საშუალებას არ იძლევა. პირიქით, წერილიდან ჩანს, რომ ის დაწერილია უწყლო სტეპში – „სკვითიის ცენტრში“, ყირიმიდან 60 დღის გზაზე. თეოდორე თვითონ წერს ამის შესახებ: „ჩვენ გავემგზავრეთ სკვითიაში,ის წერდა პატრიარქს: мы направились в середину Скифии на 60 дней пути, მისი საბოლოო პუნქტი იყო ხერსონისა და ბოსფორის გასწვრივ მდებარე ჩრდილო კავკასიის დაბლობის უწყლო რეგიონი, როგორც თეოდორე მიუთითებს ამის შესახებ в местах безводных. წერილი დაწერილია უწყლო ადგილებში, ანუ სტეპებში და არა წყლებით გაჯერებულ კავკასიის მთების რეგიონში.

ამავე ეპოქის სხვა მოგზაურთა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მონღოლების შემოსევამდე ქრისტიანი ტომებით დასახლებული იყო ძალზე ვრცელი ტერიტორია, მოქცეული დონსა და ვოლგას შორის. ეს იყო ძალზე დიდი სამწყსო, რომელსაც კავშირი ჰქონდა ყირიმთან, ზოგადად ამ ტერიტორიას კონსტანტინოპოლი ალანიას უწოდებდა. ქრისტიანთა სიჭარბის გამო აქ საჭირო იყო ასეულობით სასულიერო პირი, სამღვდელოების სიმრავლე. მართლაც, თეოდორე თავის წერილში ახსენებს, რომ მის წინამორბედ „ეპისკოპოსს“ აქ, ამ ალანიაში, ასეულამდე მღვდელი უკურთხებია (მათ შორის, მრავალს თვითონ თეოდორემ გაუგრძელა მღვდელმოქმედების უფლება). აღნიშნულთა გარდა, მათი წინამორბედი ეპისკოპოსების ნაკურთხი სხვა სამღვდელოებაც იქნეოდა ალანიაში.

ასე, რომ თეოდორეს წერილში არ იგულისხმება ჩრდილო კავკასიის მთების შედარებით მცირე რეგიონი (კავკასიის ალანია), სადაც 100-ზე მეტი მღვდლის კურთხევა ერთი ეპისკოპოსის მიერ შეზღუდულ დროში ნაკლებ დამაჯერებელია, რადგანაც ის შედარებით პატარა სამწყსოა. თეოდორეს მიერ აღწერილი სამწყსო კი ვრცლადაა განფენილი. ის 60 დღის სავალზეა და მას ასეულობით სასულიერო პირი ესაჭიროება. ჩრდილო კავკასიის ხევები ასეთ რაოდენობის სამღვდელოებას არ საჭიროებს (60 დღის გზა გულისხმობდა ვრცელ ტერიტორიას, მაგალითად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს გადაკვეთა შავი ზღვიდან აღმოსავლეთის უკიდურეს საზღვრამდე, ზოგიერთი ცნობით, 20

დღეში შეიძლებოდა, შესაბამისად, 60 დღის გზა უფრო ვრცელ ტერიტორიას გულისხმობდა, ასეთია დონის უწყლო სტეპრბი ვოლგის მიმართულებით.).

თეოდორემ პატრიარქს მიწერა, რომ მისმა წინამორბედმა ლაზმა ეპისკოპოსმა სულ მცირე ხნის („რამდენიმე დღის“) განმავლობაში ჭიანჭველების ბუდესავით მრავალი სასულიერო პირი წარმოადგინა.

თეოდორე წერს: Он в малое число дней открыл нам целый муравейник иереев. თეოდორეს ალანიაში წარმოუდგა სამღვდელოთა სიმრავლე.

როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი გერმანე საპატრიარქო ტახტს იჭერდა 1222–1240 წლებში. 1204–1261 წლებში ალანიის მიტროპოლიტს ადგენდნენ კომნენთა იმპერიის დედაქალაქის, ტრაპეზუნტის, იერარქები. 1386–1461 წლებში ალანიის მიტროპოლიამ ტრაპეზუნტიდან გადაინაცვლა სევასტიაში. როგორც ჩანს, პატრიარქ გერმანეს გადაუწყვეტია ტრაპეზუნტის იერარქს არ დაქვემდებარებოდა ალანიის ეპისკოპოსი, არამედ ძველებურად, უშუალოდ მისი დაქვემდებარების ქვეშ ყოფილიყო, როგორც ეს იყო ტრაპეზუნტის იმპერიის დაარსებამდე. ამიტომაც მას ნიკეადან ალანიაში გაუგზავნია ეპისკოპოსი თეოდორე, ანუ ალანია ორი იურისდიქციის სადავო სამწყსოდ გადაიქცა.

აღსანიშნავია, რომ ტრაპეზუნტი ალანიას მიათვლიდა ყირიმს, სკვითიად წოდებულ აზოვისპირეთს და ასევე დონ-ვოლგის შუამდინარეთს, ჩრდილო კავკასიის დაბლობს. ამ რეგიონებში ჯგუფებად მომთაბარეობდნენ ქრისტიანი ალანები, რომელთაც, პოლიტიკური ვითარების შეცვლამდე, ეპისკოპოსს ლაზიკიდან უგზავნიდნენ, სადაც საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა

იმჟამად კონსტანტინოპოლის გავლენა ყირიმშიც დამცრობილი იყო. ამიტომაც თევდორე შეეცადა მის განმტკიცებას და ხერსონეს-ყირიმის თავის ხელში აღებას, მაგრამ მას აქ ძლიერი ადგილობრივი ეპისკოპოსი დახვდა, რომელმაც თევდორე საეკლესიო სასამართლოს მეშვეობით გააძევა თავისი ეპარქიიდან. იქედან გაძევებული თევდორე არც ბოსფორში მიიღეს. საბოლოოდ, როგორც თვითონ წერს, წავიდა სკვითიაში – თავის ალანიის სამრევლოში. აქ მას გაუმართლა ძველი, ლაზიკელი ეპისკოპოსი ადგილზე არ დახვდა (ის ლაზიკში იყო დაბრუნებული). ამით თეოდორემ ისარგებლა. მან ალანიის ძველი მღვდლების ნაწილი ხელახლა აკურთხა, მაგრამ ის არც იქაურ მრევლსა და არც სამღვდელოებას უყვარდა. თავის მხრივ, თვითონაც ლანძღავს ორივე მხარეს.

თეოდორეს ჩასვლამდე ალანიაში მყოფ ლაზ ეპისკოპოსს დიდი გავლენა ჰქონდა, რის გამოც წუხს თეოდორე: „словно никогда и не видали пастыря, и гласа его не слышали. Что же? Разве не от вчера или третьего дня был тот прекрасный пастырь? Разве не знали они о нестроении им епископства? Большинству это было хорошо известно, но они должны были хранить тайну; если не все, то священники, получавшие от него рукоположение.“ ლაზმა ეპისკოპოსმა მრავალი აკურთხა, თეოდორე კი ლანძღავს ადგილობრივ მღვდლებს, რომელთაც ხელდასხმა მიიღეს.

თეოდორემდე კი ალანიაში სხვა სამი ეპისკოპოსი იყო ჩასული. თეოდორე მეოთხე იყო. между ними есть люди, пережившие смену трех епископов и теперь видят меня четвертого. თეოდორემდე ნაკურთხ მღვდლებს მიაჩნდათ,

რომ მათი კურთხევა სრულყოფილი იყო. им показалось достаточным (принятое ими рукоположение). თეოდორემ ხელმეორედ აკურთხა ისინი, ვინც მოეწონა სამღვდელო პიროვნებად.

Я рукоположил не всех, но тех, чья жизнь не слишком противна была сану, и, снисходя к их неведению, простил и более важное и совершенное. Если это сделано не достойно, то простите и исправьте, ибо я исповедал себя в числе ваших учеников. არ იცის, ეს პატრიარქს მოეწონება თუ არა. საბოლოო ჯამში, თეოდორე ალანიაში მიიღეს დიდი ეჭვითა და ამრეზით, მაშინ, როცა წინა ლაზიკელი ეპისკოპოსი უფრო აღიარებული ყოფილა ალანიაში. ამის გამო ის ალანებს ლანძღავს. მათ მხოლოდ სახით ქრისტიანებს უწოდებს Аланы были христианами только по имени».

აქედან, ალანიის ეპარქიისათვის, ჩანს, ჭიდილი ორი იურისდიქციისა.

წერილიდან ჩანს, რომ ალანების სამწყსო თვით ყირიმშიც არსებობდა. პირველად მათ შეხვდა თეოდორე ხერსონიდან გაძევების შემდეგ. ეს იყო მისი ეპარქიის ნაწილი (Епископ Феодор бежал к Аланам, проживавшим поблизости от Херсона). ის იყო მათი ეპისკოპოსი (Епископ Херсонский увидал в этом нарушение своих прав и привлек епископа Феодора на суд, где, однако дело ограничилось лишь оскорблениями.

თეოდორემ დატოვა ხერსონის ოლქი და გემით გაემგზავრა აღმოსავლეთით და მიაღწია ბოსფორს.Среди зимы епископ Феодор отправился со своими спутниками далее на восток морским путем и с большими затруднениями достиг Боспора). ალანიის ეპარქიას არ გააჩნდა განსაზღვრული საზღვრები. ამიტომ თეოდორე ყირიმის ალანთა შიგნით შეღწევას ცდილობდა ბოსფორის მხარეს, მაგრამ ქალაქში შესვლა აუკრძალეს, და ის თავის სამწყსოს შეუერთდა (Но здесь странникам не было дано разрешения высадиться на берег. Не смотря на усиленные просьбы горожан, властитель Боспора не согласился дозволить отцу епископа Феодора соединиться со своей паствой). აქედან თეოდორე კვლავ აღმოსავლეთით გაემგზავრა, ოღონდ არა კავკასიის მხარეს, როგორც მიიჩნევა, არამედ, როგორც თვითონ წერს, უწყლო ქვეყანა – სკვითიაში, „სკვითიის გულში“. მის მგზავრობას 60 დღე დასჭირდა, ანუ ის ჩავიდა დონის სტეპების მხარეს და დაემგზავრა სტეპებში, სადაც მომთაბარეობდნენ ალანები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (он сам после 60-дневного путешествия, сопровождавшегося различными затруднениями, достиг пределов своей паствы). ეს სამწყსო მდებარეობდა დონის აღმოსავლეთით, ვრცელი სტეპების მხარეში. აქ მან, როგორც ითქვა, აღმოაჩინა, რომ ლაზეთიდან ალანიაში ჩასულ, მისი სიტყვით, „თვითმარქვია“ ეპისკოპოსს უკვე ნაკურთხი ყავდა მრავალი მღვდელი (всюду поставил священников), ალანიის ეპისკოპოსად მას მხოლოდ თავისი თავი მიაჩნია. ამიტომაც აკნინებს და ცილს წამებს ლაზების ეპისკოპოსს, მას თვითმარქვიას უწოდებს (ლაზთა ქვეყნის ეპისკოპოსმა, რომელიც შედიოდა ტრაპეზუნტის ანდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, დამოძღვრა ჩრდილო კავკასიის მომიჯნავე რეგიონი და ყველგან აკურთხა თავისი სამღვდელოება, აღასრულა, თევ-

დორეს აზრით, ხელდასხმა „არაკანონიკურად“ (Совершение рукоположения сопровождалось всякого рода нарушениями канонических правил).

თუ ეს ლაზი ეპისკოპოსი შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში თეოდორეს დროს, ეს იყო არა თვითმარქვია, არამედ კანონიერი წარმომადგენელი ქართული ეკლესიისა, იმ ეკლესიისა, რომელმაც აქვე ხელი დაასხა გუთების ეპისკოპოსს მე-8 საუკუნეში. თეოდორე ალანიაში არ მიიღეს, ამიტომაც, როგორც ითქვა, ის ლანძღავს თავის სამწყსოს, ალანებს, რომელთაც მისი ხმა არ ისმინეს, ვერ იცნეს, რადგანაც, ჩვენი აზრით, შეპარული მგელი იყო, სახარების მიხედვით (называя Алан христианами «лишь по имени»).

იმ ფაქტმა, რომ ხერსონსა და ბოსფორის მხარეს თეოდორეს გამოჩენამ დიდი მღელვარება გამოიწვია, ნიშნავს, რომ ამ მხარეებში კონსტანტინოპოლის (ნიკეის) იურისდიქცია იმ დროისათვის დამცრობილი იყო (вызвала волнения в Херсоне во время пребывания там епископа Феодора). ეს მღელვარება თეოდორესთან იყო დაკავშირებული, როგორც ხერსონში, ისე ბოსფორში.

ეკლესიურად ვინ მართავდა ყირიმს ამ დროისათვის? კონსტანტინოპოლი ლათინების ხელში იყო, ხოლო პატრიარქი – ნიკეაში გადასული, ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი თუ ქართული ეკლესია? ყირიმისათვის ქართული ეკლესიის იურისდიქცია უცხო არ იყო. მე-8 საუკუნეში ყირიმელი, გუთელი ეპისკოპოსი, მცხეთაში აკურთხა საქართველოს პატრიარქმა. ათასი წლის შემდეგაც, მე-17 საუკუნეში, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მიუთითებდა, რომ ყირიმის ქალაქ კაფადან ვიდრე არზრუმამდე მთელი მიწა-წყალი ქართული ეკლესიებითა და ქართულწარწერიანი საეკლესიო ძეგლებით იყო მოფენილი (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2003, გვ.6), ანუ ქართული ეკლესიის იურისდიქცია ყირიმამდე აღწევდა. ამასვე მიუთითებს ქართული სამართლის წყაროები, მაგალითად, ყირიმის კაფას იურისდიქციის საზღვრად მიიჩნევს ბიჭვინთის იადგარი (მე-16 ს). ერთ პერიოდში ალანია ყირიმსაც ერქვა, ალანია კი სოტეროპოლის კათედრას ეკუთვნოდა.

ტრაპეზუნტის იმპერიის არსებობისას ალანიის ეპარქია სადავო იყო კონსტანტინოპოლსა და ტრაპეზუნტს შორის.

დავა გამწვავებული იყო იმდენად, რომ თეოდორე სიკვდილის შიშითაც კი ტოვებდა ზოგიერთ პუნქტს. А мы тут спаслись бегством. (ჩანს, კონსტანტინოპოლი (ნიკეა) ცდილობდა თავის იურისდიქციის აღდგენას ალანიაში. მას ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლება და ხალხი. ბერძენი ეპისკოპოსი ყირიმიდან გაიქცა იმ იმედით, რომ მას სხვა ალანები, სტეპების მცხოვრებნი, მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ მას აქაც დახვდა ლაზიკის იურისდიქციის ქვეშ მყოფი სამღვდელოება. მათ ხალხი უჭერდა მხარს.

ალანები გაფანტულად ცხოვრობდნენ სარმატია-სკვითიაში ვიდრე ივერებამდე.

ალანთა სამწყსო წარმოადგენდა მომთაბარე, მეჯოგე, მწყემსური ცხოვრებით მცხოვრებ მოსახლეობას. შესაბამისად, ისინი დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად და საქონელს აძოვებდნენ სტეპებში. ამასთანავე, ამ საქონელს თან დაყვებონენ დედა-წულით.

შესაბამისად, ალანთა სამწყსო მოიცავდა ვრცელ რეგიონს: ყირიმს, ოლქებს დონის სტეპებიდან ვოლგამდე, არა მთლიანად, არამედ ადგილ-ადგილ, სხვადასხვა ალანებით დასახლებულ სეგმენტებს, მაგრამ დასახლებები, ანუ სოფელ-ქალაქები არ ჰქონდათ ალანებს, რადგანაც ისინი მომთაბარეები იყვნენ. ამიტომაც წერს: „ეს ტომი გაფანტულია და განფენილია კავკასიის მთებიდან ევრიელებამდე. ამიტომაც ალანებით ავსებულია მთელი სკვითია და სარმატია“.

племя это рассеяно и простирается от Кавказских гор до Иверийан так, что наполнили почти всю Скифию и сарматию.

თეოდორე წერს: „მე მსურდა, რომ ალანებს ეცხოვრათ ქრისტეს მოწოდების შესაბამისად, მაგრამ ისინი არიან ფარა – ჯოგივით, რომელიც გაფანტულია მთებში, უდაბნოებსა და სხვა ადგილებში. ალანებს არც სადგომი აქვთ, არც თავშესაფარი. ამიტომ ბუნებაში დაფანტულ მხეცებს ემსგავსებიან“ (Они же по истине были стадо, рассеянное по горам, пустыням и пропастям земным, не имеющее ни стойла, ни навеса, выставленное на пожирание (диким) зверям). მისი სიტყვით, ალანებს არა ჰქონდათ თავიანთი სადგომიც კი (არც სოფელი, არც ქალაქი). მიაგავდნენ ფარას, ჯოგს გაფანტულს მთებსა და უდაბნოებში.

რას მიუთითებს თეოდორეს ასეთი შეფასება?

ზელენჯუკის, სენტისა და შოანას დიდებული გუმბათოვანი ეკლესიების, არანაკლები დიდებული ნაქალაქარებისა და ქრისტიანული სამაროვნების მქონეთ ის ვერ უწოდებდა შენობა-ნაგებობებისა და თავშესაფრების უქონელ ხალხს.

ეს ეკლესიები და ქალაქები თეოდორეს ალანიაში არ უხილავს. ასე რომ ყოფილიყო, მათ მოიხსენებდა თავის წერილში და ალანებსაც სხვაგვარად შეაფასებდა, თუმცა მან ალანიის მრავალი მხარე ნახა და ალანთა ქვეყანაში 60 დღე დადიოდა. ალანიაში მისი სწრაფვა ხომ ამ ეკლესიებში წირვის დაყენება უნდა ყოფილიყო? მაგრამ თეოდორე არ იცნობს სენტის, შოანასა და არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიებს იმ მიზეზის გამო, რომ აღნიშნული ეკლესიები საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ რეგიონში მდებარეობდნენ. ქართულ იურისდიქციაში კი თეოდორეს არაფერი ესაქმებოდა.

თეოდორემ ძალზე უარყოფითად წარმოაჩინა ალანთა ქრისტიანობის სახე. იქნებ აჭარბებდა და ის ტენდენციური იყო ალანების მიმართ? არა, ასე არ ყოფილა, რადგანაც საეკლესიო სასამართლოზე მას მსგავსივე შეფასება მოასმენინეს სხვა საულიერო პირებმა: „წადი შენს უღმერთო და უპატიოსნო ალანებთან, რომლებიც სკვითებზე უარესები არიან“ («Но пропади ты с нечестивыми и безбожными Аланами, которые хуже Скифов!». ალანები, ამ სასამართლოს განმარტებით, არიან სკვითებზე უფრო მეტად უღმერთონი და უღირსები.“ ასეთი ხალხი გუმბათიან ეკლესიებს ვერ ააგებდა.

ეს მომთაბარე ალანები არა კავკასიის მთებში, არამედ უწყლო სტეპებში ცხოვრობდნენ თეოდორე სიტყვით. ეს ალანები, მისი მხატვრული აღწერით, არა მხოლოდ უწყლო სტეპებში ცხოვრობდნენ, არამედ მათ აკლდათ ქრისტიანულ სწავლების ცოცხალი წყალიც, თუმცა მორწმუნენი იყვნენ და სახარება გაგონილი ჰქონდათ (Не поколеблюсь сказать, что в местах безводных и ли-

шенных живой воды учения и недоступных красным стопам благовествующих, цвела роза веры, едва орошаемая от корня первого благовестия).

ალანია – უწყლო ადგილებია, ანუ სტეპებია და არა წყაროს წყლით გაჯერებული კავკასია. ხალხი იყო ქრისტიანი-მორწმუნე, მაგრამ აკლდათ ქადაგება.

საბოლოოდ, მისი თქმით, Аланы христиане только по имени.

Какой Павел вторично родит их донде же изобразившись в них Христос?

ალანების მიტროპოლიტი თავის პატრიარქს წერდა: „მეორე პავლე უნდა ალანების მეორედ მოქცევას, რადგანაც ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანებიო"

http://www.vostlit.info/texst/dokumenty/krym/XIII/1220–1240/feodor/textphtml?id =5429

ლაზეთიდან ალანიაში ჩასულ მის წინამორბედ ეპისკოპოსს უკურთხეზია ჯერ 20 მღვდელი, შემდეგ 50 მღვდელი. მათ გარდა ასევე სხვა მრავალი მღვდელი.

ის დასცინის და არ მოსწონს ის წესი, რომლითაც ლაზიკელმა ეპისკოპოსმა სამღვდელოება აკურთხა. მან ჯერ 20 მღვდელი თითქოს ცხენზე მჯდომმა აკურთხა ლოცვების გაუგებარი ბუტბუტით, შემდეგ 50 მღვდელი უკურთხებია სუფრასთან, ღვინის თასით ხელში. კიდევ სხვები კი საწოლში დაწოლილს, ღამით. ამ დროს არც კი ამდგარა საწოლიდან. Этих двадцать он, говорят, посвятил проезжая верхом, прошептав сквозь зубы и невнятно несколько слов; слова не выходили у него из уст; других пятьдесят насыщаясь за трапезой и с чашей (вина) в руках, еще других – ночью, (лежа) в постели.

ასეთი ქმედებებისა და კურთხევების შემდეგ წინა ეპისკოპოსი დაბრუნდა ლაზიკაში, ალბათ, თავის კათედრაზე. ისტორიულად, ალანიის ეპისკოპოსის კათედრა ლაზიკის ქალაქ სოტირიოპოლში იყო.

ისმის კითხვა და მკვლევართათვის გაუგებარია, თუ ვინ იყო ეს ეპისკოპოსი ლაზიკიდან, რომელმაც 100-მდე მღვდელი აკურთხა ალანიაში და შემდეგ ლაზიკაში დაბრუნდა? ის მიაჩნიათ შემთხვევით ვაჭრად. თვითონ თეოდორე მას არ უწოდებს ვაჭარს, არამედ მანო წერს: სასულიერო საქმე სავაჭრო საქმედ აქციაო, ეს სხვადასხვა შეფასებაა.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ, უნდა გავიხსენოთ სოტირიოპოლი (სოტირუპოლი), ქალაქი ისტორიულ ლაზიკაში, ტრაპეზუნტის ოლქში, სადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კათედრა დაუარსა ალანიის მიტროპოლიტს. მაშასადამე, ალანია თავის მღვდელმთავარს იქამდეც, თეოდორამდეც, ლაზიკიდან იღებდა.

როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა მის შემდეგ, რაც ლათინებმა მე-13 საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლი აიღეს, ამიტომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი იძულებით ქალაქ ნიკეაში გადავიდა, სადაც გადაიტანა საპატრიარქო ტახტი. ამავე დროს თამარ მეფემ ისტორიულ ლაზიკაში ტრაპეზუნტის იმპერია დააარსა. ამ დროს, როგორც ჩანს, მოხდა ცვლილება საეკლესიო იურისდიქციისა. სოტირიოპოლის ალანიის სამწყსო სადავო ეპარქიად გადაიქცა ნიკეას პატრიარქსა და ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს შორის.

ზოგადად, ლაზიკა ერქვა რეგიონს, რომელსაც ქართველები მეგრელთა ქვეყანას უწოდებდნენ („მოვიდა ანდრია ტრაპეზუნტს, მეგრელთა ქვეყანაში“).

ლაზიკა ზღვისპირა ვრცელი რეგიონი იყო. სამხრეთ ლაზიკა, ანუ ტრაპეზუნტის ოლქი კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში იყო, ხოლო ჩრდილო ლაზიკა, ანუ დასავლეთ საქართველო – „ქვემო ივერიის,“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში.

პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად ხდებოდა საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებაც. ეს ცვლილებები შესამჩნევი გახდა კონსტანტინოპოლში ლათინთა იმპერიის დაარსების შემდეგ, მე-13 საუკუნის დასაწყისში, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დატოვა ეს ქალაქი და ნიკეაში გადავიდა. ამავე დროისათვის 1204 წლისათვის საქართველოს ლაშქარმა შეავიწროვა თურქ-სელჯუკები, წარმატებით ილაშქრა სინოპამდე და დააარსა ტრაპეზუნტის იმპერია, რომელსაც სათავეში თამარ მეფემ თავისი ნათესავი ჩაუყენა.

ამ დროისათვის, დაახლოებით 1220 წლისათვის, ლაზიკიდან ალანიაში ეპისკოპოსი გაიგზავნა, რომელსაც, თეოდორეს ცნობით, 100-მდე მღვდელი უკურთხებია. ასე, რომ ის ლაზი ეპისკოპოსი, რომელიც ალანიაში მოღვაწეობდა თეოდორემდე, და რომელმაც იქ მრავალი სასულიერო პირი აკურთხა, იყო სოტირიოპოლელი ეპისკოპოსი, რომელიც ან აფხაზთა კათალიკოსს ანდა ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა.

ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს დროს, როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, აფხაზეთის საკათალიკოსოს სახით. მისი სამწყსო კიდევ უფრო გაიზარდა ტრაპეზუნტის იმპერიის დაარსების შემდეგ. ეს იმპერია კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. თუმცა მუდმივი შებრძოლებები ჰქონდათ მომხვდურ თურქ-სელჯუკებთან.

ამ შემოსევებს მე-14 ს-ის შემდეგ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართული სამეფო-სამთავროები, განსაკუთრებით კი სამცხე-საათაბაგო და ამ დროს გაძლიერებული გურიის სამთავრო. ამ ორივე ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულმა ტრაპეზუნტის ბერძნული ხელისუფლების დასუსტების შემდეგ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მხარდაჭერით შეძლო თავის შემადგენლობაში შეეყვანათ ტრაპეზუნტის იმპერიის ძველი ქართული ტერიტორიები. კერძოდ, კი სოტიროპოლი (სოტირიუპოლი) ჯერ სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაში, შემდეგ კი გურიაში შევიდა, ხოლო გურიის სამთავრო აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს წარმოადგენდა.

შესაბამისად, აფხაზთა საკათალიკოსოში შევიდა ტრაპეზუნტის რეგიონის ის ნაწილი, სადაც სოტირიოპოლი მდებარეობდა. შესაბამისად, სოტიროპოლის სამწყსო ალანიის ეპარქია-აფხაზეთის საკათალიკოსოში შევიდა, როგორც გაარკვია პავლე ინგოროყვამ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 262-270).

(ალანიის ეპისკოპოსი სოტირიოპოლის კათედრიდან მოძღვრავდა ალანიას. ახლა რადგანაც სოტერიოპოლი აფხაზთა საკათალიკოსოში შეიყვანეს პო-

ლიტიკური საზღვრების ცვლილების გამო, ალანიაც აფხაზეთის საკათალიკოსოში შეიყვანეს).

ალანია ლაზიკიდან იღებდა თავის ეპისკოპოსს, რომელიც ახლა უკვე ექვემდებარებოდა აფხაზეთის კათალიკოსს (გარკვეულ ვითარებაში კი ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს).

თვითონ თეოდორე ნიკეაში მჯდომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. მაშასადამე, იმ დროისათვის ალანიის ეპარქია სადავო იყო არა მხოლოდ ტრაპეზუნტსა და კონსტანტინოპოლს შორის. წარმოჩნდა მესამე მხარეც – აფხაზეთის საკათალიკოსო. უფრო მეტად ჩანდა ორი მხარე: კონსტანტინოპოლი და ლაზიკა (თავის მხრივ, ლაზიკაში წარმოჩნდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო და აფხაზეთის საკათალიკოსო). თეოდორეს დროს აღმოჩნდა, რომ ორივე მხარემ, კონსტანტინოპოლმა და ლაზიკამ, ალანიაში თავისი ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი) წარგზავნა.

ისმის კითხვა, ნამდვილად შედიოდა თუ არა ამ ეპოქაში ლაზიკაში მდებარე ალანიის სამიტროპოლიტო ქართული ეკლესიის (აფხაზეთის საკათალიკოსოს) იურისდიქციაში. ამის შესახებ ცნობები ქართულ წყაროებთან ერთად რუსულშიც მოიპოვება.

ლაზთა მიტროპოლიტი გარკვეულ საუკუნეებში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში რომ შედიოდა, ეს კარგად ჩანს მე-17 ს-ის ლაზიკის მიტროპოლიტის გერმანეს იმ ცნობებიდან, რომელიც მან რუსეთის მეფეს მიაწოდა; ასევე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან, რომელთა მიხედვითაც ალანიის მიტროპოლიტს მე-15 ს-ის შემდეგ ხელს ასხამდა, ანუ აკურთხებდა აფხაზეთის პატრიარქი.

მაგალითად, რუსული საისტორიო საბუთებიდან ჩანს, რომ ალანიის მიტროპოლიტი აკურთხა ქვემო ივერიის, ანუ აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ მე-17 ს-ის დასაწყისში.

1646 წელს, მოსკოვში, რუსეთის მეფის კარზე პირადად წარსდგა ალანიისა და ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე. მან რუსეთის მეფეს წარუდგინა მრავალი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისი ეპარქია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, თვითონაც ნაკურთხი იყო ქართველი კათალიკოსის მიერ. მან თავის სხვადასხვა მოხსენებაში განაცხადა, რომ ლაზია, ანუ ლაზიკა იყო ძველი ქართული (ივერიული) მიწა. თვითონ ლაზიკის საეპარქიო ცენტრი, ოფის (ხოფის) საკათედრო ტაძარი, დაარსებული იყო მე-4 საუკუნეში ივერიის განმანათლებელი ქალის მიერ (გულისხმობდა წმ. ნინოს). ის წერდა: „ივერიის მიწა მან განანათლა“ (Თ. ინგოროყვა, დასახ. ნასრ. გვ. 227), ის ამტკიცებდა, რომ ლაზიკა ძველი ივერია იყო, ხოლო მისი კათედრა ივერიის განმანათლებელის მიერ დაარსებული, ამიტომაც მისი კათედრა ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებობდა. აღსანიშნავია, რომ სხვა, მე-4 საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმიდა ნინოს უწოდებს ლაზებისა და იბერების განმანათლებელს. ამ ცნობას სხვა ბერძენ-ლათინი ისტორიკოსიც იმეორებს. ასე, რომ ლაზიკასთან წმ. ნინოს კავშირს ისინიც ადასტურებენ.

კერძოდ, როგორც ითქვა, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII ს-ში. როდესაც, 1651 წელს, რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, მან წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და, მან ლაზეთში, ოფში დააარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული.

ამ ცნობას ადასტურებს სხვა დოკუმენტშიც ლაზეთისა და ალანიის მიტროპოლიტი გერმანე. ის ივერიის პარალელურად ხმარობს სიტყვა საქართველოს („გრუზია“), ის აქაც წერს: „ლაზია – საქართველოს ძველი ქვეყანაა“, „ლაზიკა – ძველი საქართველოა“, და სხვა.

თავის საბუთებში ეს მიტროპოლიტი თავის თავს უწოდებს – „ხობისა და ალანიის მიტროპოლიტს.“ „დელო პო ჩელობიტნოი ხობსკოგო ი ალანსკოგო მიტროპოლიტა...“ 1652 წლისა და სხვა, (გ. ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი), 2012, გვ. 90).

პ. ინგოროყვას დამაჯერებელი კვლევთ, დოკუმენტებში ნახსენები ხობი (ოფი) არის სოტირიოპოლი, ალანიის საეპისკოპოსო ცენტრი. მას ქართველები სატრაპელას უწოდებდნენ.

მე-16 საუკუნეში, როდესაც თურქეთმა დაიპყრო ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე ოფის, ანუ სოტირიოპოლ-სატრაპელას კათედრა გადმოუტანიათ გურიაში“ (პ. ინგოროყვა, დასახ, ნაშრ. გვ. 262). მე-17 საუკუნეში ცდილობდნენ მის უკან, ლაზიკაში, დაბრუნებას. ამის გამო იქაურ მიტროპოლიტს ძალზე დევნიდა ოსმალეთის ხელისუფლება, ის რუსეთში გამგზავრებულა, სადაც წასდგა“ ლაზიისა და ალანიის მიტროპოლიტის“ ტიტულით. მის ამ წოდებას ადას-

ტურებდა აფხაზეთის კათალიკოსი თავის რუსეთის მეფისადმი მიწერილ წერილში (იქვე, გვ. 84).

ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ ალანიის საეპარქიო ცენტრი და, შესაბამისად, ალანია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მე-15 საუკუნის შემდეგ. გურიიდან ლაზეთის მიტროპოლიტი მართავდა ტერიტორიას ჭოროხიდან ოფ-ათინამდე (დღევანდელი ფაზარი). ასეთი ყოფილა ლაზეთ-ალანიის კათედრის მიმართ ქართული ეკლესიის დამოკიდებულება, მაგრამ ალანიის ეპარქიის მიმართ, როგორც ვთქვით, სხვაგვარი იყო კონსტანტინოპოლის დამოკიდებულება. მან ასევე, თავის მხრივ, ინება და, სოტიროპოლის კათედრა გადაიტანა ქ. სევასტიაში. პოლიტიკური ვითარების გამო კონსტანტინოპოლმა დაკარგა კონტროლი სოტირიოპოლზე, მან ალანიის სამიტროპოლიტო კათედრა გადაიტანა ჯერ ქალაქ ტრაპეზუნტში, შემდეგ – მცირე აზიის ქალაქ სევასტიაში (როგორც ითქვა, ქართველებს კათედრა გურიაში გადაუტანიათ, ხოლო კონსტანტინოპოლს ეს კათედრა გადაუტანია სევასტიაში. ტრაპეზუნტის იმპერიის გაუქმების შემდეგ ალანიის ეპარქიისათვის აფხაზეთის საკათალიკოსო და კონსტანტინოპოლი აცხადებდნენ პრეტენზიას. იქამდე კი, როგორც ითქვა, ტრაპეზუნტის იმპერიის არსებობისას ალანიაზე პრეტენზიას აცხადებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო.

ალანიის იერარქის თეოდორე წერილი, რომელიც მან იმჟამად ნიკეაში მჯდომ კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანეს მეორეს მიწერა, მიუთითებს, რომ ალანიის ეპარქიისათვის ერთმანეთს იმჟამად ედავებოდნენ ტრაპეზუნტისა და კონსტანტინოპოლის იერარქები.

ქართული წყაროების მითითებას, რომ წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ მთლიანად ეთანხმებიან IV–V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები.

კერძოდ, როგორც აღინიშნა, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII ს-ში.

1651 წელს, როგორც აღინიშნა, რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ევერიასთან ერთად განანათლა ევერიის განმანათლებელმა და, მან ლაზეთში, ოფში, დააარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული. როგორც ითქვა, ოფის საეპისკოპოსო კათედრა ივერთა განმანათლებლის, ე. ი. წმიდა ნინოს მიერ დაარსებულად მიიჩნეოდა. ის ლაზიკაში, ანუ კლარჯეთის ზღვისპირეთში მდებარეობდა.

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერების მტკიცებით, IV საუკუნეში მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააქრისტიანა წმიდა ნინომ.

როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა IV ს 10–20-იან წლებში. ცნობილი ნ. ადონცის აზრით, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ტრაპეზუნტის ლაზიკაში

(ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ, 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს. ამასთანავე უთითებს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 293).

http://tao–klarjeti.com/portal//2013–04–23–12–58–26

სოტირიოპილის, ლაზიკა-ალანიის მიტროპოლიტის საკათედრო ქალაქის, ადგილმდებარეობის შესახებ ქართველმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ის იყო ოფი (ამჟამინდელ თურქეთში),

http://tao-klarjeti.com/portal/2013–04–23–12–58–26

იგივე „სატყეპელა“ „სატრაპელა“ (პ. ინგოროყვა, „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003. გვ. 35), ანუ დღევანდელი ოფი.

„დასავლურ წყაროებში სოტირიოპოლად (მაცხოვრის ქალაქად, „მაცხოვრისი“) ჯერ მიჩნეული იყო აფხაზეთში, ცხუმი (ვ. ბოლოტოვი, ვ. ლატიშევი) და ბიჭვინთა (ი. კულაკოვსკი) წყაროებში მოხსენიებული პვითიას გამო, ხოლო შემდეგ – ბორჩხა, რაც ასევე ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ფორჩხის“ ზეგავლენა იყო.

პ. ინგოროყვას მიხედვით, რკინის – პალო არის სახელწოდება ისტორიული ციხისა, რომელიც მდებარეობდა მდინარე კალოს ხეობაში. ამის დასავლეთით მდებარეობდა სატყეპელა, სატრაპელა (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003. გვ. 48). ამასთან, რიზეს ოლქი (საკუთრივ ლაზია) და სოტირიოპოლი XIII ს–ში წარმოადგენს კონდომინიუმს, რომელზედაც ვრცელდება ხელისუფლება როგორც ტრაპიზონის „მეფისა“ ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“ (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003. გვ. 46). მე-13 საუკუნის დასასრულიდან ვიდრე მე-16 საუკუნემდე რიზე და სოტირიოპოლი საქართველოს შემოუერთდა. ეს მხარე მე-15 საუკუნემდე შედის მესხეთის ფარგლებში, ხოლო მე-15 მე-16 საუკუნეებში დაკავ-

შირებულია ხან მესხეთთან, ხან გურიასთან. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მეფე დავით ნარინმა ჯერ 1282 წელს შემოიერთა რიზეს მხარე, ხოლო 1297–1463 წლებში ეს მხარე შეუერთდა მესხეთს; 1463–1502 წლებში ის გურიის სამთავროს ნაწილია; 1502–1535 წლებში –კვლავ მესხეთისა; 1535–1547 წლებში კი, ანუ ოსმალთა მიერ დაპყრობამდე – კვლავ გურიის სამთავროსი (II. გვ. 33).

ამასთან, რიზე ეკლესიურად X საუკუნიდან შედის საქართველოს საკათალიკოზოს შემადგენლობაში, ხოლო სატრაპელა – მოგვიანებით (XIII–XIV სს) გამოდის ბიზანტიის საპატრიარქოდან; მე-16 საუკუნეში, როდესაც ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე, და ჭანეთში დაიწყო ისლამის გავრცელება, ლაზიის (ოფის, ანუ სოტიროპოლ-სატრაპელას) კათედრა გადმოუტანიათ გურიაში და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებით რეზიდენცია ლაზიის მიტროპოლიტისა, უწოდებიათ ლაზეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა. მე-17 საუკუნის დასაწყისში, 1617 წელს, გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში – გურიის სატრაპელაში – ლაზიიდან გადმოხიზნული იერარქი, რომელსაც იგი ლაზიის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენიებს“ (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ., 2003. გვ. 54, 38)

http:/tao-klarjeti.com/portal/2013–04–23–12–58–26

სოტირიუპოლი – კათედრა ალანიის ეპარქიისა

მე-11 ს. ბოლოს ალექსი კომნინის (1081–1118) ქრისობულით და სინოდის დადგენილებით გაერთიანებულ იქნენ ალანიისა და სოტირუპოლის არსებული მიტროპოლიები

в конце XI века по хрисовулу Алексея I Комнина (1081–1118) и синодальному указу были объединены существующие митрополии Алании и Сотируполя [на границе Авасгии и Алании (вариант: Лазика)]». (Агусти Алемань, там же, стр.317).

https ://ok.ru /group352091390787748/topic/64593326257572

„განისაზღვრა, რომ სოტირიუპოლი მუდმივად ყოფილიყო კათედრა ალანიის იერარქისა, „რამეთუ ამ სამიტროპოლიტოს (ალანიისა) არ გააჩნია იერარქის კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მომთაბარეობს (მწყემსურია)“ („კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ძველი აქტები...“, ს. ნ მალახოვი). ე.ი. არა აქვს ქალაქები.

ამავე დროს საკმაო არქეოლოგიური და წერილობითი მასალა ამტკიცებს რომ მრავალი ქალაქი და ნაქალაქარი იყო ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, მაგრამ ჩრდილო კავკასიის სტეპის ზონაში მე-10, მე-14 საუკუნეებში არავითარი ქალაქი ანდა ნაქალაქარი არ არსებობდა“ „… Сотириуполь был определен состоять навсегда кафедрою аланского архиерея, «так как митрополия сия (т. е. Аланская – С. М.) не имеет собственной архиерейской кафедры по той причине,

что народ ее пастушеский» («Древние акты Константинопольского патриархата…», С. Н. Малахов, там же, стр. 159), то есть, не имеет городов. Третье: в то же время достаточный археологический и летописный материал утверждает о многих городищах и даже городах, расположенных в горно-предгорной полосе Северного Кавказа, и полное их отсутствие в степной зоне, на рубеже X–XIV вв.

https.://ok.ru /group2091390787748/topic /64593326257572

მაშასადამე კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მე-11 საუკუნეში დაადგინა ლაზიკის ქალაქი სოტირიუპოლი ალანიის მღვდელმთავრის კათედრად, იმ მიზეზის გამო რომ ალანიაში ქალაქები არ არსებობდა, მაგრამ არქეოლოგებმა და წერილობითმა წყაროებმა დაადასტურეს, რომ კავკასიის იმ მთიანეთში, აფხაზეთის მეზობლად, რომელიც ამჟამად ალანიის ეპარქიის ტერიტორიად მიიჩნევა მრავალი ქალაქი არსებობდა.

კავკასიის ალანიაში ქალაქების არსებობა მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია აქ არ მდებარეობდა, და ის სხვაგან უნდა ვეძიოთ. არქეოლოგებმა დაადასტურეს, რომ განსახილველ დროს მე-10-მე-14 საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის სტეპებში მართლაც არ არსებობდა ქალაქები, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ალანიის ეპარქია სწორედ ამ სტეპზე არსებობდა და არა კავკასიის მთებში.

1347 წლის 114-ე აქტში აღნიშნულია, რომ იმპერატორ ალექსი კომნინის დროს (1081–1118) წმ. სინოდის აქტით ალანია შეუერთეს სოტირიუპოლის საარქიეპისკოპოსოს. ამის მიზეზი, როგორც აღინიშნა ის იყო, რომ ნომდ ანუ მომთაბარე, მწემსური ცხოვრებით მცხოვრებ ალანებს თავის ქვეყანაში არ გააჩნდათ ქალაქები, ე. ი. სტეპების ალანიაში არ არსებობდა ქალაქი, რათა იქ დაფუძნებულიყო ალანიის მღვდელმთავრის კათედრა, ამიტომაც ალანიის ეპისკოპოსს საკათედრო ქალაქი გამოუყვეს სულ სხვა რეგიონში, ეს იყო სოტირიუპოლი ლაზიკაში. ლაზიკა შედარებით ახლოს მდებარეობდა სტეპების ალანიის ეპარქიასთან.

в нотициях времени Андроника Палеолога говорится, что по хрисовулу императора Алексея Комнина и акту Синода Алания была соединена с архиепископством Сотириуполя, но вследствие «смут» они были разъединены.

Причина объединения указана в акте 114 Константинопольской патриархии от 1347 г.: Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский». В том же 1347 г. с Аланией была соединена митрополия Вичины – Бичвинты в Абхазии (42, с. 610).

https://ok.ru /groip52091390787748/topic/64593326257572

ამ სტრიქონების რუსი ავტორი, ფიქრობს, რომ ბიჭვინთის კათედრა კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდა 1347 წლისათვის და კონსტანტინოპოლმა ბიჭვინთის საკათალიკოსო შეუერთა თავის იურისდიქციაში მყოფ ალანიის ეპარქიას.

რუსი ავტორის ამ დასკვნიდან ჩანს, რომ მას ის საერთოდ არ იცნობს იმ უხვ წერილობით წყაროებს, რომელიც თვით ბიჭვინთის საკათალიკოსოდანაა გამოსული, რომელთა მიხედვითაც სრულიად დასტურდება, რომ აფხაზეთის

საკათალიკოსო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და უფრო მეტი – ის ნაკლებად ურთიერთობდა კონსტანტინოპოლურ იერარქიასთან.

აფხაზეთის საკათალიკოსო – ქართული საეკლესიო ოლქი – ურთიერთობდა ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. აღნიშნულ პერიოდში, ის, ანტიოქიელ-იერუსალიმელ იერარქებს სიამოვნებით მასპინძლობდა, იღებდა და საჭიროების შემთხვევაში უსმენდა კიდეც მათ ავტორიტეტულ ხმას.

როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსოსთან გამოსულ საბუთებში არ ჩანს კონსტანტინოპოლის პატრიარქები და არც იერარქები. აფხაზეთის საკათალიკოსოს საბუთებში კონსტანტინოპოლის იერარქებთან რაიმე ურთიერთობის შესახებ ცნობები არ არსებობს, მაშინ როცა ამ საბუთებში გვხვდება მრავალი ცნობა ანტიოქელ – იერუსალიმელ პირველიერარქებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ სწორედ კონსტანტინოპოლთან ურთიერთობას ერიდებოდა აფხაზეთის საკათალიკოსო, შესაძლოა მათ ალანიის ეპარქიის საკითხთან დაკავშირებითაც.

ამიტომაც რუსი ავტორის განცხადება, თითქოსდა კონსტანტინოპოლმა გააერთიანა ბიჭვინთა და ალანია – სრული გაუგებრობაა. მით უმეტეს, რომ საბუთებში ნახსენები ვიჩინი არ არის ბიჭვინთა, ვიჩინის ეპარქია უნდა ვეძიოთ არა აფხაზეთში, არამედ დნესტრისპირეთის სტეპებშე, რომლსაც ემეზობლებოდა დონისპირეთის სტეპები, სადაც უნდა ლოკალიზდებოდეს ალანიის ეპარქიის სამყოფელი და არა კავკასიის მთებში.

ამ რუსი ავტორის აზრით აფხაზეთის კათედრები ბაგრატ მესამის შემდეგაც კი, ე.ი. მე-11, მე-12 სუკუნეებშიც, ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს, რაც არასწორია და სრულ გაუგებრობაა. მართალია, ანაკოფიის ციხე და მისი მიმდებარე ოლქი 1033 წელს საქართველოს მეფის გიორგი პიეველის ძემ გადასცა ბიზანტიას, მაგრამ ეს გაგრძელდა მცირე ხნით, 1074 წელს ეს ციხე სიმაგრე საქართველომ უკანვე დაიბრუნა, სწორედ ამის შემდეგ აიღო საბოლოოდ კონსტანტინოპოლმა ხელი კავკაისიის ალანიაზე, რომლის სანაცვლოდ ალანიის ეპარქია დაარსა დონისპირეთის სტეპების ნომადი ალანებისათვის, მათ ქალაქი არ გააჩნდათ მღვდელმთავრის კათედრისათვის, ამიტომაც იმპერატორ ალექსი კომნინის დროს (1081 წლის შემდეგ) ალანიის მღვდელმთავრის კათედრისათვის გამოყვეს ლაზიკის ქალაქი სოტირიუპოლი.

Обратим внимание на то, что несмотря на подчинение Абхазии грузин–скому царю Баграту III в 980 г. и утрату политической самостоятель¬ности, христианские кафедры Абхазии остались под юрисдикцией Константинополя. Очевидно, подобное положение объясняется тем, что в сфере церковной жизни Византия полностью сохранила свое влияние, благодаря чему имела возможность по – прежнему осуществлять сношения с аланской церковью. Более того, есть факт, свидетельствующий о некотором упрочении позиций империи в Абхазии около середины XI в. В 1033 г. Византия из рук аланки Альды, жены абхазского владетеля Георгия I, получила в свое владение мощную крепость Анакопию

близ Нового Афона, за что император пожаловал чин магистра сыну Альды Дмитрию (43, с. 503). Эти сведения согласуются с византийскими эпиграфическими памятниками из Анакопии (44, с. 17–30). Последние указывают на присутствие здесь греков до середины XI в. и использование Анакопии в качестве их опорного пункта в Абхазии

https.://iratta.com /2007/05/30/06–alanija–i–vizantija.html

სოტირიუპოლი (სოტიროპოლი, სოტირუპოლი)

სოტირიუპოლი მდებარეობდა არა ალანიაში, არამედ მისგან ძალზე დაშორებულ ტრაპეზუნტის რეგიონში, ისტორიულ სამხრეთ ლაზიკაში, რომელსაც ამჟამად ლაზისტანი ეწოდება (თურქეთში).

ბოლო დრომდე ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფია მიიჩნევდა, რომ სოტირიუპოლი (სოტირიოპოლი, სოტიროპოლი) მდებარეობდა აფხაზეთში სოხუმ-ბიჭვინთის ოლქში.

ამჟამად (1988 წლიდან) მიღებულია მტკიცება ი. ვორონოვისა, რომ ეს ქალაქი ტრაპეზუნტთან ახლოს მდებარეობდა.

ბრაიერი და უინფილდი სოტირიოპოლს ათავსებდნენ თურქეთში, ამჟამინდელ ბორჩხასთან. ეს მოსაზრებანი არასწორია.

მათზე გაცილებით ადრე პავლე ინგოროყვამ დაადგინა, რომ ეს ქალაქი („სოტირიოპოლი“) მდებარეობდა ჭანეთში (სამხრეთ ლაზიკაში). ის წერს: **„სოტირიოპოლი, ანუ პითია არის პარალელური სახელწოდება ქალაქისა ოფი, რომელიც ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარეობს“** (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 252).

მე-11 საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტიამ დაიწყო დასუსტება. მე-13 საუკუნეში ჩამოყალიბდა ტრაპეზუნტის იმპერია.

სოტირიოპოლი აღმოჩნდა ტრაპეზუნტის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ტრაპეზუნტის რეგიონის ქართული მოსახლეობა მხარს უჭერდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამიტომაც ტრაპეზუნტის იმპერიის ზოგიერთი რეგიონი შევიდა სამცხე-საათაბაგოს ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულში.

სოტირიოპოლი 1377 წლიდან საქართველოს შემადგენლობაში, კერძოდ, საათაბაგოს სამთავროში შედიოდა. შესაბამისად, 1377 წლიდან ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო თანახმად ოფიციალური შეხედულებისა.

თუმცა პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ ეს ქალაქი (რიზეს ოლქი) ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მე-13 ს-ის დასაწყისიდან (იქვე, გვ. 255).

ამ ქალაქის ოლქი ჭანეთი 1386 წელს თურქებმა დაიპყრეს

(https://drevo–info.ru /articles/22377.html).

ინგოროყვას კვლევით, კი ის თურქებმა დაიპყრეს მე-16 საუკუნეში.

ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ამ ქალაქს (სოტირიოპოლს) სატრაპელას (სატყეპელას) უწოდებდა. აქ მდებარეობდა მაცხოვრის ეკლესია და ე.წ. „ლაზთა ეკლესია“ (ათენის ღვთისმშობლის ეკლესია).

ბიზანტიის იმპერიის არსებობისას ამ ქალაქში (1084 და 1105 წლებს შორის) დააფუძნეს ალანიის მიტროპოლიტის კათედრა

https://drevo–info.ru/artikles/22377.html

ჩვენი კვლევით, ალანიის მიტროპოლიტის კათედრა აქ დაფუძნდა ბიზანტიის იმპერატორის მეუღლის მარიამ ალანელის შუამდგომლობით, ალექსი კომნინის დროს, 1080-იან წლებში იმის შემდგომ წლებში, რაც აფხაზეთის ალანია (ანაკოფიის ოლქი) მარიამის მამის, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის, სამეფოს დაუბრუნდა.

მე-14 საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სოტირიოპოლში დაადგინა ადგილობრივი ეპისკოპოსი, მაგრამ რადგანაც ამ ქალაქში უკვე იჯდა ალანიის ეპისკოპოსი, საქმე გართულდა. ალანიის მიტროპოლიტმა განაცხადა პროტესტი, წარმოადგინა სინოდის დადგენილება და ასევე ალექსი კომნინის ხრისობული თავისი უფლების დასაცავად (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI, Одесса, 1867, с. 447).

მიზეზი იმისა თუ რატომ არ გააჩნდა თავისსავე ეპარქიაში კათედრა ალანიის მიტროპოლიტს, ახსნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1347 წლის დადგენილებამ, რომლის მიხედვითაც, ალანი ხალხი არ არის მიმაგრებული მიწასთან, ის მეჯოგე – მომთაბარე ხალხია, ამიტომაც არ გააჩნიათ საკუთარი ქალაქები, შესაბამისად, საეპისკოპოსო კათედრისათვის ალანებს არ გააჩნიათ ქალაქი. ამის გამო განისაზღვრა ალანთა მღვდელმთავრის კათედრად ქალაქი სოტირიოპოლი ტრაპეზუნტის რეგიონში უკვე იმპერატორ ალექსი კომნინის დროიდან, ანუ მე-11 საუკუნიდან. ამის შესახებ არსებობდა ალექსი კომნინის ხრისობული.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1347 წლის აქტში ნათქვამია: „ძველთაგანვე სოტირიოპოლი განსაზღვრულია ალანიის მღვდელმთავრის კათედრად, რადგანაც ამ სამიტროპოლიტოს არ გააჩნია საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრები იმ მიზეზით, რომ მისი ხალხი მომთაბარე მწყემსური ცხოვრების მიმდევარია „(Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447)

в акте Константинопольской патриархии от 1347 г. указана: Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (41) (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447)

ეს დოკუმენტი მოიმარჯვა ალანიის მიტროპოლიტმა მე-14 საუკუნეში, როცა კონსტანტინოპოლმა სოტირიოპოლში დანიშნა სხვა ეპისკოპოსი ამ ქალაქის ეპარქიის მღვდელმთავრად,

აღმოჩნდა, რომ ამ ერთ ქალაქში არსებობდა ორი კათედრა ორი სხვადასხვა ეპარქიისა, ერთი – ალანიისა, მეორე კი – სოტირიოპოლისა.

როგორც ითქვა, ამის გამო ალანიის მიტროპოლიტმა პროტესტი განაცხადა და წარადგინა სინოდის ძველი დადგენილება და ხრისობული ალექსი კომნინისა.

ასე, რომ **არასწორია ამჟამად გაბატონებული აზრი, თითქოსდა ალანიის საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა ქვემო არხიზში და ზელენჯუკის მხარეში.**

კათედრა ალანიის მიტროპოლიტისა მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში უკვე მე-11 საუკუნედან, ალექსი კომნინისა და მარიამ ალანელის დროიდან.

როგორც ითქვა, ალექსი კომნინის დროიდან სოტირიოპოლში მდებარეობდა ალანიის მიტროპოლიტის კათედრა, ამის შესახებ შესაბამისი ხრისობული ხელთ ჰქონდა ალანიის მიტროპოლიტს მე-14 საუკუნეში, რასაც თავისი აქტით ადასტურებს კონსტანტინოპოლის სინოდი (акт Константинопольской патриархии от 1347 г). ამ ფაქტის გამო სრულიად უადგილოა გაბარაევისა და ზოგიერთი ოფიციალური მეცნიერის მტკიცება, თითქოსდა ალანიის ეპარქიის კათედრა ქვემო არხიზში მე-13 საუკუნის დასაწყისამდე მდებარეობდა, რაც შეცდომაა, ეს კათედრა მე-11 საუკუნედან ტრაპეზუნტის რეგიონშია.

(გაბარაევისათვის თითქოსდა გაურკვეველია თუ რატომ გადაიტანეს ალანიის ეპარქიის კათედრა არხიზ-ზელენჯუკიდან სოტირიოპოლში, ის წერს: Не ясны и сами причины перевода кафедры в Сотириуполь, достаточно удаленный от своей паствы. Нижне-Архызское городище, бывшее до середины XII в. центром Аланской епархии и резиденцией ее епископов, продолжает интенсивно функционировать до конца XII начала XIII в.

(http://iratta.com /2007/06/22/14.–rasprostrsnenie–khristianstva.html c. 245).

სინამდვილეში ალანიის ეპისკოპოსის კათედრა არასდროს ყოფილა არხიზ-ზელენჯუკში. ალანიის ეპარქია მდებარეობდა სტეპების მომთაბარეთა ალანია-დონისპირეთში. მრავალრიცხოვანი ალანური ჯგუფები ცხოვრობდნენ ყირიმში, ქვემო დნეპრზე, დონის აუზში. მათთვის დააარსა კონსტანტინოპოლმა ალანიის სამიტროპოლიტო, რომლის ერთი ქალაქი ხერსონესიც იყო. ამის გამო, საბოლოოდ, ზემო აღნიშნული ყირიმ-დონის ალანური საეკლესიო ოლქი იმართებოდა სოტირიოპოლის ალანთა მიტროპოლიტის მიერ. Многочисленные аланские группы жили в Крыму, на нижнем Днепре, в бассейне Дона (იხ, პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 257).

საბოლოოდ უნდა ითქვას, ალანიის მღვდელმთავარს არ გააჩნდა საკუთარი საეპისკოპოსო კათედრა საკუთარი ეპარქიის ტერიტორიაზე, ანუ მომთაბარე ალანების დონისპირეთის სტეპების ოლქში, სადაც არ იყო ქალაქები. ამის გამო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სამყოფელად გამოუყო ალანიის ეპარქიასთან შედარებით ახლოს, ქ. სოტირიოპოლი (Сотириуполь), შემდეგ – ტრაპეზუნტი და ასევე მის შემდეგ სხვა პუნქტი მცირე აზიისა.

დონისპირეთის სტეპების მომთაბარე ალანურ ტომებს შეეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმ. სინოდის განჩინება. კონსტანტინოპოლის საპა-

ტრიარქოს სინოდი თავის 1347 წლის აქტში აღნიშნავდა, რომ „ალანი ხალხი მომთაბარეა. ამიტომაც არა აქვთ ქალაქები და სოფლები, ამიტომაც ალანთა ეპისკოპოსს არა აქვს მუდმივი საეპისკოპოსო კათედრა“. იმავეს აღნიშნავდა ალანების შესახებ თვით ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე საუკუნით ადრე. მართალია, ალანიას ჰყავდა თავისი ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი), მაგრამ მას სტეპების ალანიაში არ გააჩნდა სამღვდელმთავრო კათედრა. ამიტომ ალანიის იერარქს კათედრა თვით იმპერიის ტერიტორიაზე, ტრაპეზუნტთან ახლოს გამოუძებნეს, აქედან ის ხელმძღვანელობდა ალანიიის საეკლესიო საქმეებს.

მომთაბარე ალანების ტერიტორიები

„ალანები გაფანტულად ცხოვრობდნენ“

ამიანე მარცელიანისა და სხვათა ცნობებით, ალანები მრავალი ტომისაგან შედგებოდნენ და ერთი განსაზღვრული საბინადრო ტერიტორია არ ჰქონდათ (Amm.Marc. 31.2. 16-17), ისინი ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხებში, გაფანტულად

http:// pereformat.ru/ /2014/07/polovcα–alanα–itogi–diskussii/

аланы не составляли компактного единства, не занимали сплошную территорию «от Арала до Дуная», а располагались разрозненными и автономными группами в разных местах евразийского континента. MAPC. 31.2. 16-17): «Аланы, рассеявшиеся среди многолюдных и великих народов, обращенных к азиатским областям […] Аланы, разделенные по двум частям света, раздроблены на множество племен, перечислять которые я не считаю нужным […] они кочуют, как номады, на громадном пространстве на далеком друг от друга расстоянии».]http://pereformat.ru/2014/07/polovcy–alany–itogi–diskusii

მონღოლების შემოსევამდე ალანები კავკასიის მხარის ორ გამოკვეთილ არეალზე ბინადრობდნენ. ესენი იყვნენ დასავლეთ კავკასიის მთები. მას ეწოდება „კავკასიის ალანია“ (რომელშიც მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა) და „აზოვისპირეთ-დონისპირეთის ალანია“, სადაც ალანები იქაურ სტეპებში მომთაბარეობდნენ.

ისინი სხვადასხვა საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდნენ. კერძოდ, კავკასიის ალანია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო ტამანდონ-აზოვისპირეთის მომთაბარე ტომების ალანია – კონსტანტინოპოლისა.

მიზეზი სოტირიუპოლში ალანიის კათედრის დაარსებისა და მარიამ ალანელის ღვაწლი

საქართველოს სამეფოს უფლისწული დემეტრე (გიორგი I-ისა და კავკასიის ალანიის სამეფო სახლის წევრის, ალდე დედოფლის შვილი, ბაგრატ IV-ის (1027–1072) ნახევარ ძმა) ცდილობდა ასულიყო საქართველოს სამეფო ტახტზე, ებრძოდა ბაგრატს, მაგრამ მისი გამეფების ცდა მარცხით დამთავრდა.

ამის შემდეგ დედა-შვილმა 1032 ანაკოფია ბიზანტიელებს გადასცა. ძმასთან მეტოქეობისას დამარცხებული დემეტრე კონსტანტინოპოლში გაიქცა, და, როგორც ითქვა, თავისი საუფლისწულო მიწაწყალი „ანაკოფია-ალანიათურთ“ მტერს გადასცა.

ანაკოფიასა და მის რეგიონს, ცხუმის საერისთავოს, ქართულ წყაროებში ალანიაც ეწოდება, ჩანს იმის გამო, რომ მას ემეზობლებოდა კავკასიის ალანია, და თანაც, ჩანს, აქ ალნიის დედოფლებს საუფლისწულო ადგილებიც ჰქონდათ ვითარცა პირდი საკუთრება, შესაძლოა ასეთი იყო იმ დროისათვის ანაკოფია და ის ალდე დედოფალს ეკუთვნოდა.

ეს ადგილი აფხაზეთის სამეფოში შედიოდა იქამდე, ვიდრე ბიზანტიელებს არ გადასცა დემეტრემ, ე.ი 1032 წლამდე. ამის შემდეგ ეს მიწა-წყალი ბიზანტიის შემადგენლობაშია, შესაბამისად, გადავიდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 1032–1074 წლებში.

ზოგიერთი მოსაზრებით, ამ დროს ბიზანტიელებს ანაკოფიაში (1046 წელს) ეკლესია აუშენებიათ (ასევე მეორე ეკლესიაც). შესაძლოა, აქ სურდა ბიზანტიას დაეარსებინა ალანიის ეპისკოპოსის კათედრა,

დაახლოებით 40 წლის შემდეგ, 1074 წ. ბაგრატის ვაჟმა საქართველოს მეფე გიორგი I (1072–1089), ანაკოფია ბიზანტიელებისაგან დაიბრუნა.

„შემდგომად ამისსა (1074) მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წართმეულნი ციხენი. დაიბრუნა მეფემან ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“, წერს ქართლის ცხოვრება.

ბიზანტია, სახელმწიფოებრივი დასუსტების გამო, იძულებული გახდა საქართველოსათვის სხვა მიწებიც დაებრუნებინა: „1076 წელს წავიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო ამ დროს მოვიდა წინაშე მისსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსაც ჰქონდა ოლთისი, კარნუ – ქალაქი (არზრუმი), კარი (ყარსი) და მისი მიმდგომი ქვეყანა. დიდად განიხარეს და განისვენეს. მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა“ (ქ.ც. მე-2, გვ. 31).

1074 წელს ანაკოფია ბიზანტიელებისაგან გაათავისუფლა მარიამ ალანელის ძმამ, საქართველოს მეფე გიორგი მეორემ და ეს ტერიტორია ქართული ეკლესიის იურისდიქციას დაუბრუნდა.

ამის შემდეგ, ე.ი 1074 წლიდან აფხაზეთის ალანიასა და ანაკოფიაში უკვე აღარ იყო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსების ადგილი, აფხაზეთის სამეფოს მიწაწყალზე მხოლოდ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

1074 წლიდან, რაც ანაკოფია მიმდგამი მიწებითურთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას დაუბრუნდა, განუსაზღვრელი რჩებოდა ალანიის მიტროპოლიტის კათედრის საკითხი, უკვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში დაბრუნებულ ტერიტორიაზე ბიზანტიელებს აღარაფერი ესაქმებოდათ.

კონსტანტინოპოლი მძიმედ ჩააფიქრა ფაქტმა, რომ ალანიის ეპარქიის დაფუძნების პროექტი კავკასიის მთიანეთში ვერ განხორციელდა.

1080-იანი წლებიდან, მათ ასეთი გამოსავალი მოძებნეს, კერძოდ, გადაწყვიტეს ალანიის ეპარქიის დაფუძნების პროექტი განეხორციელებინათ ახლო მდებარე რეგიონში, დონისპირეთის სტეპების ალანიაში, სადაც ქრისტიანი ალანები მომთაბარეობდნენ, ოღონდ პრობლემას აქ ის ქმნიდა, რომ მომთაბარე ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები, შესაბამისად, საეპისკოპოსო კათედრისათვის-ქალაქი. ამიტომაც გადაწყდა ლაზიკაში, ტრაპეზუნტის რეგიონში, გამოყოფილიყო ქალაქი ალანიის მღვდელმთავრისათვის.

შესაძლოა ამ რთული საკითხის მოგვარებაში ჩაერია მარიამ ალანელი. ამ ქმედებით მას სურდა ბიზანტიის წინაშე გიორგი მეორის „დანაშაულის“ შემსუბუქება. დანაშაულად მიიჩნეოდა ის, რომ კავკასიაში ალანიის სამღვდელმთავროსათვის გამოყოფილი ტერიტორიები მის ხელში აღმოჩნდა. ის ამ ტერიტორიაზე ქართული ეკლესიის იურისდიქციას აღიარებდა და ბიზანტიურს უარყოფდა.

ალანის ეპისკოპოსისათვის საკათედრო ქალაქის ძიების პროცესი გაგრძელდა თითქმის 10 წელი.

ანაკოფიის გათავისუფლებიდან 10 წლის შემდეგ, 1084 წელს, ჩანს, ბიზანტიის დედოფალ მარიამ ალანელის შუამდგომლობით იმპერატორმა ალექსი კომნინმა ხრისობულით ალანიის იერარქს კათედრა გადასცა ტრაპეზუნტის რეგიონში – სოტირიოპოლში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიზანტიამ აღიარა ანაკოფია-ალანიის ტერიტორიის საქართველოსათვის დაბრუნება (თითქმის იმავე წლებში ბიზანტიამ საქართველოს კარის ციხე და ვანანდი გადასცა).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანაკოფია-ალანიის ბიზანტიურ პერიოდში, 1032–1074 წლებში, აიგო ამავე რეგიონში მდებარე არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიები, მაგრამ რადგანაც ეს ეკლესიები იმეორებენ ქართულ საეკლესიო სტილს, მაგალითად, ლიხნის და მოქვის ტაძრებისა, ამიტომ ეს ტაძრები არხიზ-ზელენჯუკისა, უფრო მოგვიანებით საქართველოს მეფეთა მიერ უნდა აგებულიყო ნიშნად იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ამ რეგიონს დიდ ყურადღებას უთმობდა და მისი მზრუნველობა არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურს.

როგორც აღინიშნა, ამ მოვლენამდე თითქმის საუკუნით ადრე, პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (90–1907), (მეორედ) 912–925) შეეცადა აფხაზეთის ალანიაში შეექმნა კათედრა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, თუმცა

უშედეგოდ. ამ მიზნის მისაღწევად ის დიდად აქებდა აფხაზთა მეფეებს და აგულიანებდა მათ, რათა აფხაზეთის ალანიაში შეეკედლებინათ ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა, მაგრამ ბიზანტიურის ნაცვლად აფხაზთა მეფეებმა მრავალი ქართული საეპისკოპოსო კათედრა დააარსეს. მათგან უმთავრესი იყო ბიჭვინთის ქართული კათედრა. ბიზანტიელი სასულიერო პირები ალანიიდან გაძევებულნი იქნენ დიპლომატიური მეთოდით. მათი გაძევება მოხდა ალან მეფეთა მიერ, რომელიც მეგობრობდა აფხაზთა სამეფოსთან. კავკასიაში ბიზანტიურ-ალანური კათედრისათვის ადგილი არ გამოიძებნა.

ასე, რომ აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ მე-9, მე-10 საუკუნეებში ანაკოფია (აფხაზეთის ალანია) აფხაზთა სამეფოში შედიოდა ქართული საეკლესიო იურისდიქციით ვიდრე 1032 წლამდე, როცა დემეტრემ (საქართველოს მეფის ნახევარძმამ) ანაკოფია-ალანია ბიზანტიას გადასცა თითქმის 40 წლით. ამ წლებში აქ კონსტანტინოპოლმა (ანაკოფია-ალანიაში) ქართული საეკლესიო იურისდიქცია, ალბათ, ჩაანაცვლა ბიზანტიურით, კერძოდ, შესაძლოა, ალანიის მიტროპოლიტისათვის კათედრად მოაზრებულ იქნა ანაკოფია, მაგრამ 1074 წელს აქ იურისდიქცია კვლავ აღიდგინა ქართულმა ეკლესიამ (აფხაზეთის საკათალიკოსომ). ეს ცნო კონსტანტინოპოლმა და აქედან გაძევებულ, ადგილშერყეულ ალანიის იერარქს კათედრა სოტიროპოლში გადასცა 1084 წლისათვის.

ამის შემდეგ ანაკოფია მუდამ საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში შედიოდა, შესაბამისად ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. მაგალითად, XVII ს-ში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ანაკოფიას გალავანი შემოავლო (ქ.ც., 4: 782,1).

უცხო წყაროს ცნობით, XVII ს-ში ანაკოფია „სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის პატრიარქის“ (ანუ აფხაზეთის კათალიკოსის) რეზიდენციას წარმოადგენდა.

(ანაკოფია იყო აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია მას შემდეგ, რაც მან, ადიღე-ჩერქეზების შემოსევის გამო, მე-17 ს. დატოვა ბიჭვინთა. მალე, კათალიკოსი ანაკოფიიდანაც გაეცალა ჩერქეზებს და თავი ხობს, შემდეგ გელათს შეაფარა. ქართულმა სახელმწიფოებრივმა ერთეულებმა ადიღეთა ამ შემოსევის შესაჩერებლად, მე-16 ს.-ში, ჯერ ზელენჯუკ-ხუმარას ციხე-სიმაგრეები განაახლეს, მათი დაძლევის შემდეგ, მე-17 ს-ში, კი აიგო „აფხაზეთის დიდი კედელი“, ადიღე-ჩერქეზ-აფსუებმა ისიც დაძლიეს და მათი შეჩერება მხოლოდ ენგურთან მოხერხდა, მე-18 ს.-ში, ცნობილი რუხის ომის შემდეგ).

მარია ალანელი

ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნინი (1056/1057–1118) ბიზანტიის ტახტზე ავიდა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ქალიშვილის, ბიზანტიის დედოფლის მარიამ ალანელის ხელშეწყობით.

1087 წლამდე ახალი იმპერატორის უკიდურესი კეთილგანწყობის გამო მარიამ ალანელი თავისი დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა. მარიამის ვაჟი მომავალ იმპერატორად, ალექსის მემკვიდრეთაც კი გამოცხადდა.

ამ პერიოდში, 1084 წელს, ჩანს, მარიამის ჩარევით, ალექსიმ ხრისობული უბოძა ალანიის მიტროპოლიტს, რომლის მიხედვითაც, ალანიის ეპერქიის კათედრა განისაზღვრა ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქ სოტირიოპოლში.

მარიამის დაინტერესება გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი ძმის, იმჟამად საქართველოს მეფის გიორგი II-ის თხოვნით, რათა ბიზანტიას ოფიციალურად ეღიარებინა ანაკოფია-ალანიის რეგიონი საქართველოს ნაწილად. აფხაზეთის ალანია, მართალია, 1074 წლიდან დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ ფაქტის პოლიტიკური და ეკლესიური აღიარება ბიზანტიის მიერ.

რაც ანაკოფია აიღო გიორგი მეორემ, იქ ქართული საეკლესიო იურისდიქცია აღსდგა 1074 წლიდან. ბიზანტიის ეკლესიამ, ჩანს, ეს ფაქტი იურიდიულად აღიარა დაახლოებით 1084 წლისათვის. შესაბამისად, ალანია-ანაკოფიის ბერძნულმა სამღვდელოებამ ის დატოვა. შესაძლოა, გადავიდოდა ბიზანტიის ტერიტორიაზე, ქალაქ სოტირიოპოლში.

ანაკოფია, ჩანს, იყო მარიამის დედის (ოსი მეფის ასულის), ბორენა ალანელის საუფლისწულო მამული. ის ბაგრატ IV-ის ძმამ, მარიამის ბიძამ, გადასცა ბიზანტიას, ამ ციხე-სიმაგრის დასაბრუნებლად დიდხანს იბრძოდა მარიამის მამა და შემდეგ ძმა.

ამ პერიოდში სამართლებრივად ანაკოფია (და მისი მიმდებარე აფხაზეთის ალანია) ბიზანტიის ხელში იყო გადასული. ჩანს, დავის დასრულება შესაძლებელი გახდა ბიზანტიის დედოფლის მარიამის ჩარევით.

ანაკოფიის დათმობის შემდეგ, რადგანაც ბიზანტიამ ვერ შეძლო ეპარქიის დაარსება კავკასიის ალანიაში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ალანიის ეპარქია დაეარსებინა დონისპირეთის სტეპებში მომთაბარე ალანებისათვის, სადაც ამ მომთაბარეებს არ გააჩნდათ ქალაქები. ამიტომაც ალანიის სამღვდელმთავრო კათედრად განისაზღვრა სოტირიოპოლი ლაზიკაში.

ალექსიმ შესაბამისი ხრისობული უბოძა ალანიის მიტროპოლიტს. მას მისცა მუდმივი სამყოფელი ალანიიდან მოშორებით ბიზანტიაში, ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქ სოტირიოპოლში, სადაც მას ებოძა სამღდელმთავრო კათედრა. ამ ქრისობულს ახსენებს ალანიის მიტროპოლიტი.

მარიამის დედა ოსი უფლისწული ბორენა ქართულენოვანი პოეტი იყო. მოღწეულია მის მიერ ქართულ ენეზე დაწერილი ლექსი – ვედრება.

ალანიის ეპარქია დონისსტეპებში

საეკლესიო ისტორიოგრაფიაში დღემდე გადაუჭრელია საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის ადგილმდებარეობისა.

რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ ალანიის ეპარქია მდებარეობდა კავკასიის მთებში, მისი საკათედრო ტაძარი იყო ზელენჯუკ-არხიზის ჩრდილოეთის ეკლესია, შემდეგ კი დვალეთის ეკლესიები

http://www/iriston.com /nogbon./print.php/newsid=17

ამასთან დაკავშირებით დაისვა კითხვა, თუ სად მდებარეობდა ამ პერიოდის ალანიის სამიტროპოლიტო – კავკასიაში თუ სხვაგან? ამის პასუხი ასახულია თანადროულ შესანიშნავ წყაროში, რომელიც ეკუთვნის მე-16 ს. პოლონელ ავტორს მათვეი მეხოვსკის, რომელიც, თავის მხრივ, იყენებდა გაცილებით ძველ წყაროს, იაკოპო და ბერგამოს ცნობას.

იაკოპო და ბერგამო წერდა:

„ალანები – ესაა ხალხი, რომელიც ცხოვრობს ალანიაში, ანუ ევროპულ სარმატიაში, მდ. ტანაისთან (დონთან) და მის მახლობლად. მათი ქვეყანა უმთებო ვაკეა, მცირე ბორცვებითა და გორაკებით. აქ არაა სოფლები. მცხოვრებნი განდევნეს და გაფანტეს სხვა ოლქებში მტრების შემოსევისას, სადაც ისინი ამოწყვიტეს. ალანიის ველები ფართოდაა გადაშლილი. ესაა უდაბნო, სადაც არც ალანებს და არც მომხდურებს არ ყავთ პატრონ-მფლობელები“ (польский автор начала XVI в. Матвей Меховский, пользовавшийся более ранними сведениями Якопо да Бергамо: «Аланы – это народ, живший в Алании, области Сарматии Европейской, у реки Танаиса (Дон) и по соседству с ней. Страна их равнина без гор, с небольшими возвышенностями и холмами. В ней нет поселенцев и жителей, так как они были выгнаны и рассеяны по чужим областям при нашествии врагов, а там погибли или были истреблены. Поля Алании лежат широким простором. Это пустыня, в которой нет владельцев – ни аланов, ни пришлых»).

http://www.iriston.com/nogbon/newscomments.php?p =2&nevsid=357

შესაბამისად, სწორედ აქ, მდინარე დონისპირეთის ვრცელ სტეპებსა და დაბლობზე, მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტო, სადაც მომთაბარე ალანების ნაშთებს არავითარი ქალაქები და, შესაბამისად, არც საეპისკოპოსო კათედრები ჰქონდათ.

უფრო ადრე, მე-10, მე-11 სს. არსებობდა სულ სხვა გეოგრაფიის, კავკასიის ალანია, ფაქტიურად აფხაზეთის სამეფოს ერთ-ერთი ნაწილი. აქ სურდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსს ალანიის კათედრის დაფუძნება და, შესაბამისად, ალანიის ეპარქიის შექმნა თავის იურისდიქციაში, მაგრამ ამის ნება მას აქ არ მისცეს აფხაზთა მეფეებმა, რომელნიც საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი საეკლესიო ოლქის – აფხაზეთის საკათალიკოსოს ამაღორძინებლები იყვნენ. ამიტომ მათ კავკასიის ალანია შეიყვანეს აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში მის შემდეგ, რაც ალანთა მეფეებმა, ჩანს, მათი მოთხოვნით, კავკასიის ალანიიდან გააძევეს ბერძენი სასულიერო პირები.

კავკასიაში მარცხის შემდეგ კონსტანტინოპოლმა გადაწყვიტა ეკლესიურად მიეხედა და გაეძლიერებინა ველის, ანუ სტეპების ალანია, რომელიც დონზე მდებარეობდა და ახლოს იყო ყირიმთან. აქ, ამ დონისპირა სტეპებში, დაარსა კონსტანტინოპოლმა თავისი ალანიის სამიტროპოლიტო.

ამჟამად მკვლევარებს უჭირთ ეკლესიური ალანიის ლოკალიზება, ხშირად ისინი ველის, ანუ სტეპების ალანიის სამიტროპოლიტო კათედრას ეძებენ კავკასიის მთებში.

(ix. http:/www.iriston.com/hogbon/print.hph?nevsid=17).

ასევე უსაფუძვლოდ მიუთითებენ, თითქოსდა თემურ-ლენგს კავკასიის მთებში, დვალეთში, ეგულებოდა ალანების უმთავრესი ქრისტიანული ცენტრები და ანადგურებდა მათ.

Нашествие Тамерлана затронуло не только равнинную, но и горную зону Северного Кавказа. Тимур пришел сюда с целью джихада, что вполне объяснимо, так как именно здесь находились основные христианские центры алан.

(http:/www.iriston.com/hogbon/print.hph?nevsid=17).

ალანებს კავკასიის მთებში, დვალეთში არავითარი ქრისტიანული ცენტრები არ ჰქონიათ, რადგანაც იქ ქართული კულტურისა და ეკლესიის წიაღში შემავალი დვალები ცხოვრობდნენ.

თემური აქ იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მხარს უჭერდა თოხთამიშს.

თემურამდე ამჟამინდელ ჩრდილო ოსეთში ოსები არ ცხოვრობდნენ.

ჩრდილო კავკასიაში ოსები (ირანულენოვანი ტომები) გამოჩნდნენ მხოლოდ თათარ მონღოლთა შემოსევების შემდეგ. ჩანს, ირანულენოვანი ასები (იასები) კავკასიაში თან შემოყვნენ მონღოლებს.

სულ სხვა ხალხი იყო კავკასიაში მცხოვრები ალანები. ისინი აბულფედას ცნობით, თურქულენოვანი ხალხი იყო.

მკვლევარი წერს – „არავინ იცის თუ რა ენაზე ლაპარაკობდნდნ ალანები“. ამ ფრაზით მიანიშნებს, რომ მონღოლებამდელი ალანების ირანულენოვნება არ არის დადასტურებული წყაროებით. მაგრამ არსებობს წყაროები მათი თურქულენოვნების შესახებ.

„Дело в том, что никто не знает, на каком языке аланы говорили, все эти «зеленчукские надписи», «переводы Цеца» на проверку оказались подделками, выдумками или довольно произвольными переводами. А также неизвестно, проходили ли предки карачаевцев – аланы, тюркизацию на Кавказе, скажем, от болгар и половцев, или аланы уже пришли на Кавказ как тюрко – язычный народ»“ „http://pereformat.ru/2014/07/polovcø–alanø–itogi–diskusii/.

მონღოლებმა ძველი ალანები სრულიად ამოწყვიტეს და გაასახლეს, ხოლო ადიღები და ირანულენოვანი ტომები ჩამოასახლეს კავკასიაში. ამით შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნო სახე.

ქართველები როგორც თურქულენოვან ალანებს, ასევე ირანულენოვან იასებს ერთ სახელს – ოსებს უწოდებდნენ.

თურქულენოვანი ალანია განადგურდა 1239 წელს.

Алания, как политическая система рухнула, в 1239 г.,

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1395 წლისათვის თემურს აქ შემოყვნენ ირანულენოვანი ტომები, შესაძლოა ყაზახეთის მიმდებარე ჩინური ოლქებიდან. ისინი იქაურ წყაროებში იხსენიებიან.

მაშასადამე, ალანიამ, ანუ უფრო სწორად, თურქულენოვანმა ალანიამ, კავკასიაში თავისი არსებობა შეწყვიტა 1239 წელს. 1395 წლის, ანუ თემურლენგის, ლაშქრობის შემდეგ გამოჩნდნენ ირანულენოვანი ტომები, რომელთაც, კავკასიის სამომთაბარეო ტერიტორიის სახელის (ოსეთის) შესაბამისად, ქართველებმა ოსები უწოდეს. მათ დაიპყრეს დვალეთი და იქ გაბატონდნენ.

აქ ჩამოყალიბდა თანამედროვე ოსების ეთნოსი (მე-15 ს. შემდეგ) კავკასიელი დვალების ასიმილაციის შედეგად. იქამდე დვალების ქართული სათავადოები თაგაურისა, ქურთათისა, ვალაგირისა, თვალგომისა და დიგორისა ახლა უკვე შემოსული ახალი ბატონების – ოსების ხელში გადავიდა, მათ მიისაკუთრეს კიდეც სახელები და სათავადო ტიტულები ძველი ქართველი (დვალი) ბატონებისა, ახლა ისინი უკვე ამ პოზიციის სიმაღლიდან იმორჩილებდნენ ქრისტიან დვალებს, რომელნიც გაწარმართების გზას დაადგნენ ახალი წარმართ-მუსულმანი ბატონების ხელში.

შესაბამისად, დვალური ოლქები თაგაური, ქურთათი, ალაგირი, თვალგომი, და დიგორი ახლა უკვე ახალი ბატონების, დამპყრობელი ოსების, ხელში გადავიდა. ქართველ-კავკასიელი დვალები ახლა უკვე ახალ მებატონეთა, ოსთა, ხელში აღმოჩნდნენ. დაიწყო მათი ასიმილაცია.

ქართული იურისდიქციის აღდგენა სოტირიოპოლში

სოტიროპოლი (სოტირიუპოლი, სოტირიოპოლი) ლაზიკაში მდებარეობდა, ხოლო ლაზიკა მე-4 და მე-5 საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსთა გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობებით, გააქრისტიანა წმიდა ნინომ, იბერიის განმანათლებელმა. მაშასადამე, წმიდა ნინო არა მხოლოდ იბერიის, არამედ ლაზიკის განმანათლებელიც იყო.

შედიოდა თუ არა სოტერიოპოლი (სოტიროპოლი) ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც მოაქცია წმიდა ნინომ? პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ „სატყეპელა“ არის იგივე „სატრაპელა, სოტიროპილი“ – დღევანდელი ოფია (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 35).

დასავლურ წყაროებში სოტირიოპოლად (მაცხოვრის ქალაქად, „მაცხოვრისი“) ჯერ მიჩნეული იყო აფხაზეთის ქალაქი, ჯერ ცხუმი (ვ. ბოლოტოვი, ვ.ლატიშევი) და შემდეგ, ბიჭვინთა (ი. კულაკოვსკი) წყაროებში მოხსენიებული პითიას გამო.

ეს ავტორები მიიჩნევდნენ, რომ წყაროების პითია, პიტიუსი იყო ბიჭვინთა, სოტირიოპოლი კი პიტიასთან ახლოს მდებარეობდა, მაგრამ, პ. ინგოროყვამ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიასა და ამიანე მარცელინიზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ბერძნულ წყაროებში ხშირად მოხსენიებული პიტიუსი არის

ოფა და არა ბიჭვინთა (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 40–45).

ახლა მიჩნეულია, რომ ეს ქალაქი იყო ბორჩხა, რაც ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ფორჩხის“ ზეგავლენაა, ჩვენ ვეთანხმებით პ. ინგოროყვას კვლევას, რომ ეს ქალაქი ოფის რეგიონში მდებარეობდა, პიტიუსი ზღვისპირას მდებარეობდა, პ. ინგოროყვა აიგივებს პიტიუსს, ოფსა და სოტირიოპოლს.

დღევანდელ ოფსა და რიზეს შუა, სპერის წყლის გაყოლებაზე მდებარეობს პონტოს მთების უმაღლესი მწვერვალი მისი თურქული სახელი პირდაპირი თარგმანია „რკინის კარისა“.

პ. ინგოროყვას მიხედვით, რკინის პალო არის სახელწოდება ისტორიული ციხისა, რომელიც მდებარეობდა მდინარე კალოს ხეობაში. ამის დასავლეთით მდებარეობდა სატყეპელა, სატრაპელა (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 48). ესაა ქართულ კილოზე გადმოღებული სახელი – სოტერიოპოლისი.

ეს მხარე იმთავითვე იქცა ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის ომების ასპარეზად. კერძოდ, წმიდა ნინოს დროს მას ქართული მხარე აკონტროლებდა. ამას ადასტურებს ასევე ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომელიც ოფის (სოტირიპოლის, იგივე პიტიუსის) საეპისკოპოსო კათედრას მიიჩნევს იბერთა განმანათლებელი ქალის (წმ.ნინოს) მიერ დაარსებულად (ამ ცნობას აქვე ვეხებით გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებთან ერთად).

მე-6 საუკუნისათვის სამხრეთ ლაზიკა და, შესაბამისად, სოტერიოპოლი, ქართულ მხარეს უკვე დაკარგული ჰქონდა. ამიტომაც ამ არეალში იუსტინიანეს ეპოქაში დაარსებული იქნა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსო კათედრები ქალაქ ზიგანაში (ამჟამინდელ გუმუშხანეში), პეტრაში (ბაიბურდთან), საისინისა (არდასასთან) და როდოპოლისში (ამჟამინდელი მაჩკა სუმელას მონასტერთან), ნ. ადონცის კვლევის თანახმად.

მე-11 საუკუნისათვის სოტერიოპოლში ბიზანტიელი ეპისკოპოსი იჯდა, მაგრამ ამავე ქალაქში კონსტანტინოპოლმა დასვა მეორე ეპისკოპოსი, რომელსაც ევალებოდა ალანიის ეპარქიის მართვა. ეს გამოწვეული იმ ფაქტით, რომ კონსტანტინოპოლის მიერ ალანიის ეპარქია დაარსებულ იქნა დონისპირეთის ვრცელ სტეპებში მომთაბარე ალანებისათვის, აქ კი ნომადებს არ გააჩნდათ ქალაქები მწყემსური ცხოვრების გამო. ამიტომაც ალანიის ეპისკოპოსი სოტერიოპოლში დასვეს (კავკასიის ალანიაზე ბიზანტიას ხელი არ მიუწვდებოდა, რადგანაც ალანთა მეფეებმა აქედან ბიზანტიელი სასულიერონი გაამევეს, რის შემდეგაც ის ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, კერძოდ კი აფხაზეთის საკათალიკოსოში შევიდა).

თამარ მეფის დროს, 1204 წლის შემდეგ, პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ეს არეალი (უკვე ტრაპეზუნტის ახალი იმპერიის პერიფერია) დაუბრუნდა ქართულ მხარეს, შესაბამისად, მალე სოტერიოპოლი (ოფი) ქარ-

თული მხარის (ჯერ ერთიანი სამეფოს, შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამეფოს, გურიისა და მესხეთის სამთავროების ხელში გადავიდა).

ასეთი ვითარების გამო სოტერიოპოლის ალანიის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტის კათედრა სადავო გახდა. მასზე პრეტენზიას აცხადებდა სამი მხარე – ტრაპეზუნტი, ნიკეა – კონსტანტინოპოლი და აფხაზეთის საკათალიკოსო. საბოლოოდ, კონსტანტინოპოლმა ალანიის მიტროპოლიტის საკათედრო ქალაქი სხვაგან გადაიტანა, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსომ აქ თავისი ეპისკოპოსი დასვა და მას შეუნარჩუნა ტიტული – „მიტროპოლიტი ალანიისა“. ასე, რომ ალანიას უკვე ორი მიტროპოლიტი ყავდა – ერთი ქართულ, ხოლო მეორე ბერძნულ იურისდიქციაში, ქართველი მიტროპოლიტი ალანიისა კვლავ ლაზიკიდან შედიოდა ალანიაში თავის მრევლთან, ხოლო ბერძენი ალანიის მიტროპოლიტი, ცნობილი თეოდორე, ალანიაში ნიკეადან შევიდა. ეს ორი იერარქი ალანიისა ერთი ლაზიკელი, ხოლო მეორე ნიკეელი – ერთმანეთს არ ცნობდნენ, ეს ჩანს თეოდორეს წერილიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი.

რიზეს ოლქი (საკუთრივ ლაზია) და სოტირიოპოლი XIII ს-ში წარმოადგენს კონდომინიუმს, რომელზედაც ვრცელდება ხელისუფლება როგორც ტრაპიზონის „მეფისა“ ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“ (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 46). (ამ დროინდელია თეოდორე ალანიის ეპისკოპოსი). ამ დროს ს კათედრაც ასევე საზიარო გაურკვევლობაში იყო. ვითარება მალე შეიცვალა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მე-13 საუკუნის დასასრულიდან ვიდრე მე-16 საუკუნემდე რიზე და სოტერიოპოლი საქართველოს შემოუერთდა.

ეს მხარე მე-15 საუკუნემდე შედიოდა მესხეთის ფარგლებში, ხოლო მე-15-მე-16 საუკუნეებში დაკავშირებული იყო ხან მესხეთთან, ხან გურიასთან.

კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მეფე დავით ნარინმა ჯერ 1282 წელს შემოიერთა რიზეს მხარე, ხოლო 1297–1463 წლებში ეს მხარე შეუერთდა მესხეთს; 1463–1502 წლებში ის გურიის სამთავროს ნაწილია; 1502–1535 წლებში– კვლავ მესხეთისა; 1535–1547 წლებში კი, ანუ ოსმალთა მიერ დაპყრობამდე კვლავ გურიის სამთავროშია (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 33). ამ დროს სოტერიოპოლის ალანიის მიტროპოლიტი ლაზიკის მიტროპოლიტადაც იწოდა და იმყოფებოდა ქართულ იურისდიქციაში, თუმცა ბერძნებს ამავე ტიტულის მიტროპოლიტი კვლავ ყავდათ, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში თემურ ლენგის ლაშქრობისა და სტეპების ალანიაში ქართული ეკლესიის დამცრობის შემდეგ ფართო ასპარეზი მიეცა.

როგორც ითქვა, სატრაპელა XIII–XIVსს გამოვიდა ბიზანტიის საპატრიარქოდან.

მას შემდეგ, რაც „სოტირიოპოლის ოლქი, რიზეს ოლქთან ერთად, საქართველოს ეკლესიას დაუკავშირდა, აქ შეიქმნა ერთი საეკლესიო ერთეული (სამიტროპოლიტო), რომლის ცენტრი არის ოფი (სოტირიოპოლი, იგივე სატრაპელა). უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნეში, როდესაც ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე, ჭანეთში დაიწყო ისლამის გავრცელება. ლაზიის

(ოფის, ანუ სოტირიოპოლ-სატრაპელას) კათედრა გადმოუტანიათ გურიაში, თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებით რეზიდენცია ლაზიის მიტროპოლიტისა, უწოდებიათ ლაზეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა. მე-17 საუკუნის დასაწყისში, 1617 წელს, გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში – გურიის სატრაპელაში – ლაზიიდან გადმოხიზნული იერარქი, რომელსაც იგი ლაზიის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენიებს“ (პ. ინგოროყვა, „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003. გვ. 54, 38).

ძველ ქართულ მატიანეებში შავი ზღვის სანაპირო ლაზეთის კუთხეს, რომელიც პოლიტიკურად იბერიასთან იყო დაკავშირებული, ეწოდება: „ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი“ (იქვე, გვ. 56-57).

იოანე საბანის-ძისა და ექვთიმე მთაწმიდელის ტექსტების პავლე ინგოროყვასეული ინტერპრეტაციით, ზემოთ დასახელებულ სამ პუნქტს სარწმუნოებრივი დატვირთვაც გააჩნია: „ტრაპეზუნტთან (ყველაზე სამხრეთი), აფსართან (ცენტრალური პუნქტი) და ნაფსაის ნავსადგურთან, ანუ იგივე ნიკოფსიასთან (ყველაზე ჩრდილოეთი) იყო დაკავშირებული გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ (დასავლეთ საქართველოში) თვით მოციქულთა მიერ (ტრაპეზუნტში იქადაგა ანდრია მოციქულმა და აქედან შემოვიდა იგი საქართველოში. აფსარში უნდა იყოს დასაფლავებული მოციქული მატათა; ხოლო ნიკოფსიაში უნდა იყოს დასაფლავებული სიმონ კანანელი) (პ. ინგოროყვა. „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“. თბ. 2003 გვ. 63-64).

აფსარი მდებარეობდა უფრო სამხრეთით, ოფის სიახლოვეს. გ. გრიგოლიას კვლევათა შესაბამისად, ნაფსაი კი ნიკოფსიაა. ისინი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ.

http://tao-klarjeti.com /portal/2013–04–23–12–58–26

კვლავ ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია, რომ წმიდა ნინო ყოფილიყო ლაზიკის განმანათლებელი და მას ლაზიკის ქალაქ ოფში, რომელსაც ასევე პიტიასა და სოტერიოპოლს უწოდებდნენ, დაენიშნა თავისი ეპისკოპოსი? იყო თუ არა წმიდა ნინო ლაზების მომაქცეველიც?

ამ კითხვას პასუხობენ გელასი კესარიელი და სხვა ისტორიკოსები ქართული წყაროების მითითებებთან ერთად. ჩვენი წყაროების ცნობას, რომ წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ მთლიანად ეთანხმებიან IV–V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები:

კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა.… გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული, ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან – კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი ლაზიკის ნაწილი იყო. ის მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე. ხორენელის ცნობით, ამ არეალზე იქადაგა წმ. ნინომ.

რადგანაც ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც დასავლეთ საქართველო წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო. ამიტომაც კირიონ კათალიკოსი (VI–VII სს) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს: კირიონ I იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობებს, რომ წმიდა ნინო იყო ლაზიკის განმანათლებელი იბერიასთან ერთად, ბოლო საუკუნეში (ათეისტურ ეპოქაში) არ ექცეოდა ყურადღება. ამჟამადაც მიიჩნევა, რომ ამ ცნობებს არ ეთანხმება წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ძველი არაბული (დაახლ.VII–VIII სს.) თარგმანი, რომლის მიხედვითაც, ლაზიკა იყო წმ. გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის არეალი, სადაც მან დანიშნა კიდეც თავისი ეპისკოპოსი.

ნ. მარმა გრიგოლ განმანათლებლის არაბულ ხელნაწერში ამოიკითხა, რომ გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსი სოფრონი გააგზავნა ლაზიკაში. ამიტომ ლაზიკა წმ. გრიგოლის სამოღვაწეო არეალია და არა წმ. ნინოსი. მისი გამოქვეყნების შემდეგ მალევე გამოიცა ნ. ადონცის ცნობილი ნაშრომი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, აღნიშნული რეგიონის შესახებ, საიდანაც გამოჩნდა, რომ სინამდვილეში წმ. გრიგოლის ცხოვრების არაბულ ხელნაწერებში წერია არა სიტყვა „ლაზიკა“ არამედ „არზანენა“. ნ. ადონცემ გამოიკვლია, რომ ნ. მარმა

ხელნაწერში არასწორად ამოიკითხა არაბული თანხმოვანთჯგუფი, რომელიც გადმოსცემს არა სიტყვა „ლაზიკას“ არამედ „არზანენას“. ასე, რომ სინამდვილეში არაბული წყაროს მიხედვით, ნ. ადონცის კვლევით, ლაზეთი არ იყო წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალი და აღნიშნული სოფრონი იყო არა ლაზიკის, არამედ არზანენას ეპისკოპოსი, არმენიის სამხრეთ სასაზღვრო მხარეში. მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული ხელნაწერი. მართლდება ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ ე.ი. კლარჯეთი-ლაზიკა წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII ს-ში.

1651 წელს რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და, მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, მან ლაზეთში, ოფში დაარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული. მოგვიანო პერიოდის ლაზიკის ამ მიტროპოლიტის ცნობით, ლაზიკის ქრისტიანები თავდაპირველად შედიოდნენ ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში,

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერების მტკიცებით, IV საუკუნეში მდებარეობდა ლაზიკის ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააქრისტიანა წმიდა ნინომ. შესაბამისად, ამ რეგიონში მდებარე პიტიუნტის კათედრა მისი დაარსებული ჩანს, ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობის გათვალისწინებით. როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა IV ს 10-20-იან წლებში. ამ დროს დაუარსებია ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში.

ამჟამად მიიჩნევა, რომ სტრატოფილე აფხაზეთის ბიჭვინთიდან იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა აზრისა იყვნენ ცნობილი მეცნიერები ნ. ადონცი, ასევე პ. ინგოროყვა და სხვანი,“. მათი აზრით, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა.

ნ. ადონცი თავისი აზრის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით, პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული „არმენიის დუქსს“ რომელიც იყო პონ-

ტო – მცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი, მაგრამ, ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და, მით უმეტეს, მისი ისეთი შორეული რეგიონი, როგორიცაა ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი, აქ არმენიის დუქს არ შეეძლო თავისი საჯარისო დანაყოფის დაბანაკება (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ, 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს, ამასთანავე, უთითებს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 293). მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტები იყვნენ პიტიუნტი და ბიჭვინთა. ქართული წყაროებით, ბიჭვინთის საეპისკოპოსო ცენტრი და მისი ეპარქია მხოლოდ ქართული ეკლესიის დაფუძნებულია და ის მუდამ, ათასწლეულთა მანძილზე, მხოლოდ საქართველოს ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, მის ერთ-ერთ უმთავრეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო პიტიუნტი დაარსების შემდეგ, სიახლოვის გამო, უფრო პონტოს რეგიონის ეპარქიებთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

მაშასადამე, ლაზიკა ეწოდებოდა სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა საქართველოს ჭანეთის ჩათვლით, ლაზიკის ეპარქია დაარსდა წმიდა ნინოს მიერ ქართულ იურისდიქციაში.

მე-6 საუკუნეში იბერია სპარსეთის ხელში აღმოჩნდა. მის გამო სპარსეთი მიიჩნევდა, რომ ლაზიკა, ვითარცა იბერიის ნაწილი, მის ხელში უნდა გადასულიყო, რადგანაც ბიზანტიას სურდა ლაზიკა თავის საიმპერიო მმართველობაში მოექცია. ამის გამო დაიწყო ხანგრძლივი ომი ლაზიკისათვის. სპარსეთი დამარცხდა და ლაზიკა აღმოჩნდა ბიზანტიაში. ამან შეცვალა საეკლესიო იურისდიქცია – კონსტანტინპოლმა ლაზიკაში, ანუ ჭანეთში დაარსა საისინის, პეტრას, როდოპოლისისა, ზიგანასა და ფასიდის ეპარქიები..

მხოლოდ თამარ მეფის დროს დაუბრუნდა ეს ლაზიკა დედა ქართულ ეკლესიას, როგორც აღინიშნა, პ. ინგოროყვას კვლევით, სოტერიოპოლი იგივე ოფი, იგივე პიტიუსაა, წმ. თამარ მეფის შემდეგ სოტერიოპოლის კათედრა დაექვემდებარა აფხაზეთის საკათალიკოსოს – ბიჭვინთას.

ვახუშტის ცნობითაც, სოტერიოპოლი, ბიზანტია – საქართველოს ისტორიულ საზღვარზე „ოფ-რიზესთან, მდებარეობდა, ცნობილ სამიჯნე ნიშანთან – რკინის პალოსთან, ის რუკაზეც ასეა აღნიშნული „აქა არს რკინის პალო“ „აქავ არს სატყეპელა“ ანუ სოტერიოპოლი.

ლაზიის სოტერიოპოლისის, ანუ „ჭანეთისა და სატრაპელას“ სამიტროპოლიტო კათედრის გადატანა გურიაში

პონტოელი ბერძნები (საკ. სახ. „რომეი“ მხ. რ-ში „რომეოს“) ერთგვაროვანნი არ არიან. მათ შორის ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც სხვა ეთნიკური წრის წარმომადგენელია და მისი შესვლა ბერძნულ (უფრო სწორი იქნება, ელინოფონურ) სამყაროში მომხდარია რელიგიური მიზეზების გამო.

კერძოდ, როდესაც ისტორიულ ლაზეთსა და ტრაპიზონში მოვიდნენ ოსმალები, მათ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქართველებმა (ანუ ლაზებმა) და ტრაპიზონელმა ბერძნებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მოგვიანებით

კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომლის საზღვარი, როგორც პავლე ინგოროყვა წერს (იხ. მისი „ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“ კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის გამოცემა, 2003), დღევანდელი რიზეს დასავლეთით, პატარა ქალაქ ოფთან, გადიოდა, ცნო ოსმალთა სულთნის უზენაესობა. ფაქტობრივად, მისი იერარქების მოწოდებით, ტრაპიზონელმა ბერძნებმა, ანუ რომეებმა შეწყვიტეს ოსმალთა წინააღმდეგ ომი. მათ ოსმალთა მხრიდან ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღეს. ეს მოხდა 1526 წელს.

ქართულმა ეკლესიამ, რომლის შემადგენლობაშიც ლაზიის, ანუ „ჭანეთისა და სატრაპელას“ სამიტროპოლიტო ეპარქია შედიოდა (ტერიტორია ჭოროხიდან ოფამდე), ოსმალები დაწყევლა და, შესაბამისად, ქართველებს მოუწოდა, სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოლათ მათ წინააღმდეგ. ლაზებმაც ოსმალების შემოტევა შეაკავეს ამჟამინდელი რიზეს ილის სოფ. მეკალისკირითან და ასეთი მდგომარეობა შეინარჩუნეს 1648 წლამდე.

შემდგომ, როდესაც ჭანეთის მიტროპოლიტი გერმანე გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე გურიაში გაიქცა და სამიტროპოლიტო კათედრაც იქ გადაიტანა, რადგან ოსმალთა მძლავრობის გამო ლაზეთის დასავლეთ ნაწილში (სადაც კათედრა იყო) დიდი საფრთხე შეექმნათ იერარქებს.

გურიიდან ლაზეთის მიტროპოლიტი მართავდა ტერიტორიას ჭოროხიდან ათინამდე (დღევანდელი ფაზარი).

ამიტომაცაა, რომ ამ ტერიტორიაზე ლაზური მეტყველება და ჩვენებური თვითშეგნება დღესაც შემორჩა. მეკალისკირით-მელიათის დასავლეთით კი (ამ მხარეში ოსმალეთის დამკვიდრების შემდგომ) 1678 წლიდან მართლმადიდებელი ქართველები კონსტანტინოპოლს შეუერთდნენ. მათი რიცხვი არც ისე მცირე იყო. სწორედ ამ ქართველთა შთამომავლები არიან ის პონტოელი ბერძნები, რომლებიც „ხორონს“ ცეკვავენ, ანუ როგორც მეორენაირად უწოდებენ მათ – ჯუმუშხანელები. მათი დიდი ნაწილი 1923 წელს კარამანლისის და ათათურქის შეთანხმების შედეგად საბერძნეთში გადასახლდა, ნაწილი კი, ვინც უკვე გამუსლიმანებული იყო, თურქეთში დარჩა.

https;/forum.ge/?f=83&showtopic=33591900&st=60

კავკასიის ალანია

„აფხაზეთის „ალანია“

V–VI სს-ში ალანთა სახელით ცნობილი მომთაბარე მრავალრიცხოვანი ხალხები მომთაბარეობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე დუნაიდან დნეპრამდე, აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთით.

ალანები შედგებოდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებისაგან, მიისწრაფოდნენ შეჭრილიყვნენ რომის, ბიზანტიისა და სპარსეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და გაეძარცვათ.

ისინი ორი მიმართულებით ლაშქრობდნენ: სამხრეთით კავკასიის ქედის გავლით ისწრაფვოდნენ სპარსეთსა და მცირე აზიაში შესაჭრელად, ხოლო დასავლეთით კი უტევდნენ ევროპას. ამიტომაც ისინი სხვადასხვა საუკუნეებში კავკასიის სხვადასხვა ნაწილებში ჩნდებოდნენ.

V ს-ში ისინი ცენტრალური კავკასიის გზით საქართველოში შემოიჭრნენ, მაგრამ ვახტანგ გორგასლის ღვაწლით ფეხი ვერ მოიკიდეს. ამ პერიოდში ალანიად მოიხსენიებოდა ვრცელი ქვეყანა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან დნესტრისპირეთამდე.

VI ს-ში, როცა ქართლის სამეფო დასუსტდა, ბიზანტიამ ალანები, ვითარცა მოკავშირეები გამოიყენა სპარსელების წინააღმდეგ ლაზიკისათვის ომში. ამ დროს მათ ხელში დროებით აღმოჩნდა დღეს აფხაზეთად ცნობილი მიწაწყალის მცირე ნაწილი. ამ დროს „ალანია“ დაერქვა აფხაზეთის ერთ ნაწილს.

ვახუშტი ბაგრატიონი ალანიის შესახებ წერს: „ხოლო **„ალანი“ არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ, აქვს აღმოსავლით საზღვარი სვანთა, სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი, უდის შუაში სვანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვით ვითარცა სვანეთი, არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი, პირველ იყვნენ ქრისტიანენი და აწ კერპნი და რომელნიმე მაჰმადიანი“ (ქ.ც. IV, 789).**

„სვანეთის მდინარეს“ ვახუშტი, ჩანს, უწოდებს ბზიფისწყალს, რადგანაც სხვაგან წერს: **„ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე, გამოდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვალის სვანეთს, ალანს და მას ქვემოთა მოერთვის ზღვასა“** (იქვე, გვ. 785).

მაშასადამე, პროვინცია ალანი, ანუ ალანია მდებარეობდა აფხაზეთში ბედიის ჩრდილოეთიდან ვიდრე ბიჭვინთის ჩრდილოეთამდე, ანუ თითქმის მთელი აფხაზეთის მთიანი ზოლი ეკუთვნოდა სვანეთსა და ალანიას.

საერთოდ, სიტყვა „აფხაზეთი“ ჩვენს ისტორიოგრაფიაში VIII ს-დან ჩნდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბედია თვითვე იყო სასაზღვრო ქალაქი, რადგანაც, ქართლის ცხოვრების” ცნობით, მასზე გამავალი მდინარე ეგრისწყალი იყო საზღვარი ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის (ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე), ჩანს, ამ მდინარე ეგრისწყლის მარჯვენა სანაპირო ქვეყანა იქამდე „ალანიად“ იწოდებოდა, ხოლო მარცხენა კი ქართლად

(ეგრისად), მდ. ეგრისწყლის მარჯვენა სანაპიროს ალანია ეწოდებოდა VIII ს-მდე, ე.ი. იქამდე, სანამ მას აფხაზეთი დაერქმეოდა.

ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა ასევე მემატიანის ასეთი ცნობა: **„ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ კერძოდ, მემატიანე წერს: გიორგი III „ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღვად პონტოსად და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ (ისტორიანი და აზმანი**, ქ.ც. II, 1959, გვ. 15).

მაშასადამე, მდ. ეგრისწყლის იქით მდებარე ქვეყანას პირველი ათასწლეულის რაღაც პერიოდში (უფრო მეტად VI–VII საუკუნეებში), VIII საუკუნემდე ერქვა „ალანია“ ხოლო აფხაზთა ჰეგემონობის პერიოდში კი მისი სახელი შევიწროვებულა. ვახუშტის ცნობით, აფხაზეთის საერისთავო ბიჭვინთა-ანაკოფიის რეგიონში იწყებოდა და ყუბანამდე ვრცელდებოდა. ამ რეგიონის (ბიჭვინთა-ანაკოფიის) აღმოსავლეთით ეგრისწყლამდე – ალანია მდებარეობდა. ის სვანეთამდე ვრცელდებოდა. ამიტომაც წერდა ვახუშტი: „სვანეთი სიგრძით არს რაჭის თხემიდან ალანიამდე“ (იქვე, გვ. 787).

მართლაც, ვახუშტის (და სხვა წყაროთა) ცნობით, ისტორიული აფხაზეთის საერისთავო ცხუმამდე, ანუ სოხუმამდეც კი ვერ აღწევდა, რადგანაც ცხუმის იქით „ანაკოფია ალანითურთ“ სხვა ქვეყანა იყო, ხოლო საკუთრივ აფხაზეთი უფრო ჩრდილოეთით (ბზიბისწყალ-ბიჭვინთიდან მდ. ყუბანამდე) მდებარეობდა.

მემატიანე წერს, რომ აფხაზთა პირველმა მეფე ლეონმა თავისი სამეფო გაყო რვა საერისთავოდ:

„1. დასვა აფხაზთა (ერისთავი) და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ხაზართა მდინარემდე;

2. დასვა (ერისთავი) ცხომს და მისცა ეგრის იქითი ანაკოფია ალანითურთ;

3. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლით ცხენისწყლამდე და ა. შ.“ (ქ.ც. IV, გვ. 796).

მაშასადამე, ცხუმის საერისთავოში შედიოდა „ანაკოფია-ალანითურთ“ მის (ცხუმის საერისთავოს) მარჯვნივ მდებარეობდა ბედიის საერისთავო, ხოლო მარცხნივ – აფხაზთა საერისთავო.

მეფე ლეონის დაყოფის მიხედვით, „ალანია“ მდებარეობდა ბედიიდან ბიჭვინთამდე.

ცხუმის ერისთავი ამავე დროს ანაკოფია-ალანიის ერისთავიც იყო, რადგანაც ამ საერისთავოში მდებარეობდნენ აღნიშნული ერთეულები, ე.ი. ცხუმის საერისთავო აერთიანებდა ანაკოფიისა და ალანიის „ქვეყნებს“ თვითონ ცხუმი კი, წყაროს მიხედვით, „აფშილეთში“ შედიოდა. მაშასადამე, ცხუმის საერისთავოში ალანია-ანაკოფიასთან ერთად აფშილეთიც შედიოდა, ხოლო აფხაზთა საერისთავო, როგორც ითქვა, უფრო ჩრდილოეთით იყო.

ვახუშტის ცნობით, ლეონ I-ის დროს „აფხაზთა სამეფოს“ ჯერ კიდევ არ ერქვა ეს სახელი (ე.ი. აფხაზეთი).

ლეონ I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ლეონ II „აფხაზთა ერისთავი“. მას უნებებია თავისი ვრცელი სამეფოსათვის ეწოდებინა „აფხაზეთი“. ე.ი. იქამდე აფხაზეთი ერქვა ბზიბისწყლის იქითა ტერიტორიას ვიდრე მდინარე ყუბანამდე. ახლა კი, აფხაზთა ერისთავის გამეფების შემდეგ, აფხაზეთი ეწოდა ვრცელ ქვეყანას ლიხის მთიდან ყუბანამდე. ეს აფხაზთა ერისთავი – ლეონ მეორე, ქართლის მეფეთა მემკვიდრის გურანდუხტის ვაჟი იყო, გურანდუხტს კი ეკუთვნოდა – „ეგრისი, არგვეთი, სვანეთი, თაკვერი და გურია“..

საერთოდ, ქართული მატიანეების ცნობით, როგორც ითქვა, ასეთი ვითარება იყო: მდინარე ეგრისწყლამდე (შემდეგ კი მდ. კლისურამდე) განფენილი იყო „ქართლის სამეფო“ მდინარე კლისურას (კელასურის) იქით (მარჯვნივ) კი „საბერძნეთის“ ანუ ბიზანტიის იმპერიის მიწა-წყალი იყო.

ბიზანტიელებს აქ (ანუ მდ. კელასურიდან ყუბანამდე) ჰყოლიათ თავიანთი ერისთავი ლეონ I. მას უსარგებლია არაბთა შემოსევებისას ბიზანტიის დასუსტებით, ასევე ხაზარებთან ნათესაობით და ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის შედეგად VIII ს-ის დასაწყისში მოუპოვებია დამოუკიდებლობა ბიზანტიელებისაგან, მას ამავე დროს შეურთავს ქართლის მეფეთა ქალიშვილი გურანდუხტი (ასული მირ მეფისა).

ქართლის მეფე არჩილის (მირის ძმის) გარდაცვალების შემდეგ გურანდუხტს სამეფო ოჯახიდან მზითვის სახით ერგო ე.წ. „საუხუცესო“ მიწა-წყალი.

ეს იყო სამეფო საკუთრება დასავლეთ საქართველოში: „ეგრისი, არგვეთი, სვანეთი, თაკვერი და გურია“ (იქამდე ეს მხარე მეფე არჩილს ეკუთვნოდა).

მდიდარი მზითვით შევიდა გურანდუხტი აფხაზთა ერისთავის ოჯახში, როგორც ვთქვით, ეს იყო ვრცელი მიწაწყალი დასავლეთ საქართველოში – შემდეგდროინდელი იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია.

ცხადია, შეუღლების შემდეგ, ლეონ I-მა თავისი მეუღლის ამ მზითვზე თავისი უფლებამოსილება განახორციელა. ამის გამო მათი (ე.ი. გურანდუხტისა და ლეონ I-ის) ვაჟი ლეონ II უკვე ვრცელ ქვეყანას ფლობდა ლიხის ქედიდან ყუბანამდე, ამ ქვეყანას მან მალე თავისი საერისთავოს სახელი „აფხაზეთი“ დაარქვა.

როგორც ითქვა, მამის გარდაცვალებამდე ლეონ I-ისა და გურანდუხტის ვაჟი ლეონ II ერისთავობდა აფხაზეთს, ანუ მამის მიერ დანიშნული იყო აფხაზეთის ერისთავად. მის დედას, ქართლის მეფის ასულ გურანდუხტს ეკუთვნოდა ტერიტორია კლისურიდან ლიხის ქედამდე. კლისურასა (თავდაპირველად ეგრისწყალსა) და ბზიბისწყალის შუა მდებარე ტერიტორიას ალანია ერქვა.

საკვლევია, თუ იურიდიულად ვის ეკუთვნოდა აფხაზეთის ალანია, ბიზანტიელებს ეს ტერიტორია არ ეთმობოდათ, მაგრამ იგი აფხაზთა მეფეების ხელში აღმოჩნდა..

„ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი და „ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა და მოიღო საერისთაოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა“ (გვ. 742).

VIII-ს. შემდგომ პოლიტიკური ვითარება ასე განვითარებულა: გაძლიერდა ხაზარეთი და მან ჩრდილო კავკასიის ალანია დაასუსტა. შესაბამისად, ძალა გამოეცალა აფხაზეთის ალანიას, ამით ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა და ბიზანტიის დასტურითა და ხაზართა ძლიერი დახმარებით ჰეგემონობა მოიპოვა კლისურიდან ყუბანამდე. ამასთანავე, შეირთო ქართლის მეფის ასული, რომელმაც ქმრის ოჯახში მზითვის სახით შეიტანა ტერიტორია კლისურიდან ლიხამდე.

მათმა ვაჟმა, რომელიც იქამდე ბზიფისწყალსა და ყუბანს შუა მოქცეული ტერიტორიის ერისთავი იყო, სამეფო ტახტზე ასვლის შემდგომ, რადგანაც მის, უკვე ვითარცა მეფის, ხელში აღმოჩნდა ლიხსა და ყუბანს შუა მოქცეული მიწაწყალი, თავის სამეფოს თავისივე საერისთავოს სახელი – აფხაზეთი უწოდა.

ე.ი. ყველა ეს ტერიტორია ლიხის მთიდან ყუბანამდე ლეონ II-ის მიერ აფხაზეთად იწოდა, იქამდე, როგორც აღინიშნა, აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას ბზიფისწყლიდან ყუბანამდე.

ალანიად იწოდებოდა ტერიტორია ბზიფისწყლიდან-კლისურამდე (თავდაპირველად ეგრისწყალ-ბედიამდე), ხოლო კლისურასა (თავდაპირველად ბედიასა) და ლიხს შუა მოქცეულს – ეგრისი, რომელიც ქართლის სამეფოს ნაწილი იყო.

პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია დასავლეთ საქართველოში თავისი ძველი იურისდიქციის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის მიმართ კონსტანტინეპოლს მსგავსი პრეტენზია რომ ჰქონოდა, გამოთქვამდა როგორც წარსულში, ისე მეოცე საუკუნეში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესის დროს.

ცნობილი ბერძენი კანონისტი სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე თავის წიგნში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (ათენი, 1966) კონსტანტინეპოლის არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს საქართველოს ეკლესიის მიმართ.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ადრე გამოთქვა ცნობილმა მკვლევარმა მიხეილ თარხნიშვილმა. ის წერს: „ბიზანტიას არც პატრიარქობის დროს, არც სხვა რომელიმე ხანაში არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ“ (მიქელ თარხნიშვილი, წერილები 1994, გვ. 463).

აღნიშნული მოსაზრების თვალსაჩინო მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ (იქვე, გვ. 436–438).

ბიზანტიის გამოჩენილმა იერარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა, რომელიც წმ. ფოტის მოწაფე იყო, მრავალი პრინციპული მნიშვნელობის წერილი მიწერა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან სახელმწიფო და საეკლესიო პირებს. მათ შორის ის წერდა აფხაზთა მეფეებსაც. მ. თარხნიშვილის გამოკვლევით, მას 902 წელს

წერილი მიუწერია აფხაზთა მეფე ბაგრატისათვის, 906–907 წლებში კონსტანტინესათვის, 924–925 წლებში მეფე გიორგისათვის.

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა კვლევით, ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქა, მეცხე-მეათე საუკუნეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის“ რადგანაც იქედან თითქოსდა ამ ეპოქაში განდევნილი იქნა ბერძნული საღვთისმსახურო ენა, განდევნილი იქნენ ბერძენი სასულიერო პირები. გაუქმდა ბერძნული ეპარქიები და საეპისკოპოსო კათედრები. მათი ადგილი კი თითქოსდა დაიჭირა ქართულმა.

ეს მტკიცება უკვე მოძველებულია და ამასთანავე არასწორია.

ცნობილმა მეცნიერმა ნ. ადონციმ მიუთითა თავის ცნობილ წიგნში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში” (1908 წ.), ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების ანალიზი, რომ ბერძნული ეპარქიები (როდოპოლისი, ზიგანა, საისინი და პეტრა) მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში (ლაზიკაში), ტრაპეზუნტის რეგიონში.

მსგავსავე მიუთითებენ ქართული წყაროები, რომ დაარსებისთანავე საქართველოს ეკლესია მოიცავდა ქვეყნის ყველა მხარეს (ჯერ კიდევ თბილისის საამიროს არსებობისას, როცა საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი ნაწილი იყო დასავლეთ საქართველო და დედაქალაქი ქუთაისი, რუის-ურბნისის კრება აღნიშნავდა, რომ ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა, ანუ დასავლეთ საქართველოს ქვეყანა და მისი ხალხი – ქართული ეკლესიის დაარსებისთანავე მისი ძირითადი ბირთვი იყო), ამასვე მიუთითებს სომხური წყარო, რომელიც კირიონ ქართლის კათალიკოსს ეგრისის მთავარეპისკოპოსს უწოდებს. ქართული წყაროები მუდამ მიუთითებენ, რომ როგორც მე-4 საუკუნეში, მეფე მირიანის დროს, ისე მე-5 საუკუნეში ვახტანგ გორგასლის ეპოქაში დასავლეთ საქართველო ანუ ეგრისი მდ, ეგრისწყლამდე და შემდეგ მდ. კლისურამდე, მუდამ შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. შესაბამისად, მე-5 საუკუნეში, საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აღწევდა მდ. კლისურამდე (კელასურამდე). ეს საზღვარი ერთმანეთისაგან ყოფდა ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს. აქედან გამომდინარე, ბიზანტიის ეკლესიის იურისდიქციაში იყო არა სრულიად დასავლეთ საქართველო, არამედ ერთი მონაკვეთი მდ. კლისურიდან ბზიფისწყლისკენ. აფხაზთა სამეფოს დაარსების ეპოქაში, მე-8, მე-9 საუკუნეებში ტერიტორიას კლისურიდან ყუბანამდე ვეღარ აკონტროლებდა ხაზართა კაგანატის სიძლიერის გამო. მე-10 საუკუნისათვის ვითარება შეიცვალა ხაზართა დასუსტების გამო. ამით მყისიერად მოახდინა რეაგირება ბიზანტიის ეკლესიამ, რაც აისახა პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში აფხაზთა მეფეების მიმართ, რომელნიც მის დროს უკვე რეალურად ფლობდნენ ამ მიწა-წყალს. ისინი იყვნენ უზენაესი მფარველები და პატრონები ქართული ეკლესიისა არაბთა ბატონობის უძნელეს ეპოქაში.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული აფხაზთა მეფე გიორგის მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრში დაარსებული იქნა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა. იქამდე კი ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი.

ალანია, როგორც აღინიშნა, ერქვა ასევე აფხაზეთის ერთ ნაწილს. ოდესღაც მას ბიზანტია აკონტროლებდა. ახლა კი აფხაზ მეფეთა ხელში იყო. აფხაზეთის ალანია მოქცეული იყო ბზიფისწყალსა და ეგრისწყალს შუა. ჩანს, აქ, ამ ტერიტორიაზე სურდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს ალანიის სამიტროპოლიტო ცენტრის, საეპისკოპოსო კათედრის, დაარსება. რადგან ეს მიწა-წყალი აფხაზ მეფეთა ხელში იყო, თხოვდა და ევედრებოდა მათ, ენებებინათ ალანთა ეპისკოპოსისათვის გაეწიათ შესაბამისი დახმარება. აფხაზთა მეფეები კონსტანტინოპოლის პატრიარქის თხოვნის საპირისპიროდ მოიქცნენ. კერძოდ, გიორგი აფხაზთა მეფის დროს აღიმართა ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს ცენტრში კი – ჭყონდიდის საეპისკოპოსო.

ქართული ეკლესიის იურისდიქცია კაფამდე (ყირიმამდე) რომ აღწევდა, ამის შესახებ ცნობებს ქართული წყაროების გარდა, არქანჯელო ლამბერტიც იძლევა XVII ს-ში. ის წერს: „საქართველოს სამეფო აღწევდა კაფამდი, რომელიც ხერსონესშია. ამ მხრით საქართველო შეიცავდა თავის სამფლობელოში აფხაზებს, ანუ აბასქებს, ჩერქეზებს და ჯიქებს, ანუ ძიქებს. საქართველოს სამეფოს რომ ასეთი სივრცე ეჭირა, ამის ცხადი კვალი დღესაც იპოვება იქ. კოლხიდის გარეთ, აფხაზებისა და ჯიქების ქვეყნებში, მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულები და ქართულის ზედწარწერებით, მაგალითად, ანაკოფიაში და ბიჭვინთაში არის კოლხიდის, გურიისა და იმერეთის პატრიარქის საჯდომი“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ.29)..

ლამბერტის ცნობით, რომელიც თვითონ 18 წელი ცხოვრობდა სამეგრელოში და კარგად იყო ინფორმირებული, აფხაზეთის კათალიკოსს მთავარი კათედრა ბიჭვინთის გარდა ანაკოფიაშიც ჰქონია. ანაკოფია ე.წ. „აფხაზეთის ალანიაში“ შედიოდა და მისი მთავარი პუნქტი იყო. XI ს. დასაწყისში, ციხე ანაკოფია ეკუთვნოდა ალანთა მეფის ასულ ალდეს. ქმრის, საქართველოს მეფე გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, მან, 1032 წელს, ეს ციხე (ანაკოფია) გადასცა ბიზანტიას, თვითონ კი თავის შვილ დემეტრესთან ერთად, რომელიც ბაგრატ IV-ის გერი იყო, თავი შეაფარა საიმპერატორო კარს. ბაგრატ IV-საც, როგორც აღინიშნა, ალან „მეფეთა ასული ბორენა“ ჰყავდა ცოლად. შესაძლოა მისგან ჰყავდა ქალიშვილი მართა იგივე მარიამი, რომელიც ბიზანტიაში გათხოვების შემდეგ „მარიამ ალანელის“ სახელით იყო ცნობილი. შესაძლოა, იმის გამო რომ მას, როგორც ალან მეფეთა ერთ-ერთ შთამომავალს, საკუთრებაში გადაეცა ანაკოფიის ციხე, რომელიც კვლავ ბიზანტიელთა ხელში იყო მეფე გიორგი II-მდე, რომელმაც „წაუხვნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ (ქ. ც. I, 1955, გვ. 317).

ერთი სიტყვით, ანაკოფია კავშირში იყო აფხაზეთის ალანიასთან და, შესაძლოა, ადრე X საუკუნეში, აქ სურდა კონსტანტინოპოლს „ალანიის საეპისკოპოსო“ კათედრის დაარსება. მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. პირიქით, ანაკოფიაში დაარსებულა აფხაზეთის კათალიკოსთა ერთ-ერთი რეზიდენცია, მაშასადამე, ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ცენტრი.

ამ კათალიკოსის იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა ლიხიდან ვიდრე კაფამდე.

ცხადია, თუ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა, მის ცენტრში ჭყონდიდის ქართული საეპისკოპოსო კათედრისა და ეპარქიის დაარსება შეზღუდავდა კიდეც იქ ბერძნულ ეკლესიას, ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კანონიერ უფლებამოსილებას. ეს კი უნდა ასახულიყო და აისახებოდა კიდეც X საუკუნეში, მეფე გიორგისადმი მიწერილ კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ მიწერილ წერილებში, ეპოქის სხვა დოკუმენტებში.

ამ კუთხით სურათის შესასწავლად კარგი საშუალებაა სწორედ ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები.

აფხაზთა სამეფო, როგორც ცნობილია, მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

902 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე ბაგრატს უწოდებს „ღვთის მოყვარესა და ზნე ტკბილ“ ადამიანს, რომელიც სიყვარულს ბადებს ნიკოლოზ მისტიკოსის გულში. უფრო მეტიც, პატრიარქი მეფეს უწოდებს „ღვთის კაცს“ საკუთარ შვილს, მამობრივი ამბორით ესალმება მას. პატრიარქი მეფეს უწონებს „ღვთივ აღტყინებულ მისწრაფებას“ ალანთა ერის სახსნელად. ერთი სიტყვით, პატრიარქი ძალზე აქებს და ყოველმხრივ ემადლიერება აფხაზთა მეფეს.

წერილიდან სრულებით არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში იზღუდებოდა ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია. არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ ამ სამეფოში გაუქმეს ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები და მისი ბერძენი მღვდელმთავრები იდევნებოდნენ.

თუ კი პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს შეიცვალა ისეთი ცნობილი ბერძნული საეკლესიო კათედრების სტატუსი, როგორებიც იყვნენ ფასისის, როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები იმდენად, რომ ისინი ჩამოაცილეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ცხადია, ეს ადგილობრივი მთავრობის ნებართვით მოხდებოდა.

ადგილობრივ მეფეებს: ბაგრატს, კონსტანტინესა და გიორგის თბილ წერილებს წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

შეუძლებელია, ამ დიდმნიშვნელოვანი ეპარქიების დაკარგვით კონსტანტინოპოლი აღშფოთებული რომ არ ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს მთავრობის მიმართ.

როგორც ითქვა, აღნიშნულ თბილ წერილებში საერთოდ არ იხსენიება „გაუქმებული“ დიდმნიშვნელოვანი კათედრები და იქ მხოლოდ ახალქრისტიან ალანებზეა საუბარი.

ცხადია, თუკი კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიდ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთში სტუმრად მყოფი ალანიის ეპისკოპოსის მიმართ და თხოვდა აფხაზთა მეფეებს ყოველმხრივ, ყოველი საშუალებით, დახმარებოდა ალანიის ეპისკოპოსს, გაცილებით უფრო დაეხმარებოდა ბერძენ სასულიერო პირებს, თუ ისინი დასავლეთ საქართველოში კათედრების გარეშე დარჩნენ და იდევნებოდნენ.

აღნიშნული წერილების განხილვა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ IX–X საუკუნეებში აფხაზთა სამეფოში მსგავს დევნას ადგილი არ ჰქონია.

ნიკოლოზ მისტიკოსის ყველა წერილი აფხაზთა მეფეების მიმართ გულითადი და გულთბილია.

კერძოდ, 906-907 წლებში პატრიარქი აფხაზთა ახალ მეფეს კონსტანტინესაც წერს წერილს. მას უწოდებს „ბრწყინვალე საყვარელ შვილს“ ხოლო მის გარდაცვლილ მამას ბაგრატს კი უწოდებს ნეტარს, რომლის გარდაცვალება კონსტანტინოპოლმა ჯეროვნად იგლოვა.

პატრიარქი ღმერთს ჰმადლობს იმის გამო, რომ გარდაცვლილის ნაცვლად ტახტზე ავიდა მამის სათნოების მქონე ახალი ხელმწიფე, გონიერი და ბრძენი. ახალ მეფესაც პატრიარქი სთხოვს დაეხმაროს ალანიის ეპისკოპოსს და გააუმჯობესოს მისი საცხოვრებელი პირობები.

თითქმის 20 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი წერილს წერს მეფე გიორგის. უწოდებს მას კეთილშობილს, რომელიც ღმერთმა დაადგინა, და შემკობილია სულიერი შარავანდედით. პატრიარქი გამოთქვამს დიდ სიხარულს, რომ მეფე ბრწყინვალე მაგალითს იძლევა თავისი კეთილშობილი ქცევებით.

წერილიდან ჩანს, რომ მეფეს და პატრიარქს იქამდეც ჰქონიათ წერილობითი ურთიერთობა. მეფეს დაინტერესება გამოუთქვამს გაეგო ბულგარეთის ამბები. პატრიარქი პასუხობს მას და სთხოვს, როგორც შეშვენის მის მეფურ დიდებასა და ბრწყინვალებას, ძველებურად დაიცვას პატრიარქთან გულწრფელი მეგობრობა. პატრიარქი ამ წერილში მეფეს მეგობარს უწოდებს სამჯერ.

მ. თარხნიშვილის მიერ თარგმნილი ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ 902–925 წლებში დასავლეთ საქართველოში ადგილი არ ჰქონია ბერძნული ეკლესიის დევნას და არც წინა ეპოქაში წინა მეფეების დროს.

მაშასადამე, მე-9 - მე-10 საუკუნეებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გამოთქვამდა პრეტენზიას ქართული ეკლესიის მიმართ.

ისმის კითხვა: მე-9 - მე-10 საუკუნეებში ქართული ეკლესია თუკი შეიჭრა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქები (მაგალითად, ნიკოლოზ მისტიკოსი) რატომ არ გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ქართული ეკლესიის მიმართ?

პასუხი ასეთია: სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის ახლო მთიანეთში, რომელსაც წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ერქვა. აქ იყვნენ განლაგებულნი ფაზისის სამიტროპოლიტოს პეტრას, ზიგანას, როდოპოლისისა და საისინის ეპარქიები.

აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ბუნებრივია, არარსებული ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმება შეუძლებელი იყო, ამიტომაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასდროს გააჩნდა პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ყოველთვის ზოგად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ქართული ეკლესიის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს პატრიარქის საერთო მეთაურობით. ამ ორ პირველიერარქს შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას.

როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს – დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ.

როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები.

ეს საკათალიკოსოები აღიარებდნენ ასევე უპირატესი პირველიერარქის ავტორიტეტს. მას „უხუცეს პატრიარქს“ უწოდებდნენ. მისი მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში ახალი საერთო კანონების შემუშავება(მაგ. XVI ს-ის „სამართალი კათალიკოსთა“).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრების მიერ აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით გამოცემულ კანონებს მთელ საქართველოში (ცხადია, აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროშიც.

ზოგიერთ საეკლესიო – საკანონმდებლო კრებას მიღებული აქვთ კანონები, რომელნიც უფრო საერო – სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნებიან. ასეთებია, მაგალითად, სასჯელთა ჩამონათვალი ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვა მსგავსი. როგორც აღინიშნა, ამ კანონებს სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა.

„უხუცეს“ პირველიერარქად, ანუ „საქართველოს პატრიარქად“ როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ, ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პატრიარქი“).

მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქა-

რთველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა. მაგალითად, აფხაზეთის კათალოკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“ უცხოური წყაროების თანახმად, ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიერარქად ითვლებოდა. მაგალითად, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა:

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთსა და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი. ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი, იმერეთის თავი, მათთან იწოდება მეფეთა-მეფედ“ (სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“ ათენი, 1966 წ. გვ. 48, თარგმანი ბერძნულიდან რუსულად, 1981).

XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს. ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს და ის ძველებურად „უხუცეს“ პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში, რაც, ცხადია, საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა. მაგალითად, აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლო) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები).

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, 1917 წლის 25 მარტის აქტის საფუძველზე, აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღდელმთავრებმა და მრევლმა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ დაუბრუნა ავტოკეფალია.

რუსეთის იმჟამინდელმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა, კერძოდ, ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს მიანიჭა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტიტული. მაშასადამე, ის აერთიანებდა უკვე საუკუნის მანძილზე არ არსებული(გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრებს. მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღ-

ნიშნავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამდებობას. ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს.

შესაბამისად, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

საქართველოს პატრიარქს მიენიჭა, უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917–18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია. 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) კი – ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ვითარცა ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული (ბერძნული სამიტროპოლიტოს ფარდი), დაარსა საქართველოს საეკლესიო მმართველობამ, რაც ხელმწიფის კარის მიერაც იქნა დადასტურებული („ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოზი აფხაზეთს“ – გვამცნობს „ქართლის ცხოვრება”). დასავლეთ საქართველო იმთავითვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა (IV ს-დანვე), აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებამ წარმოქმნა საფუძველი ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა. ამიტომაც არაა სწორი ნ. ლომოური, რომელიც აცხადებს, რომ VIII ს-ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოეყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიაც (ნ. ლომოური, 2009, გვ. 40–46).

როგორც აღინიშნა, საბჭოთა ეპოქის მკვლევარების სიტყვით, აფხაზთა მეფე გიორგი II-ს ეპოქაში (X-ის დასაწყისში) თითქოსდა ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოართვა კათედრები აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) და მათზე თავისი უფლება განახორციელა, რადგანაც ცნობილი საეპისკოპოსოების (ფაზისისი, როდოპოლისის, საისინის, პეტრას, ზიგანას) დაკარგვით კონსტანტინოპოლმა დაკარგა თავისი იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე).

აისახა თუ არა ასეთი უმწვავესი მომენტი ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში აფხაზთა მეფის მიმართ?

არავითარ ოდნავ მინიშნებას ან ნაკვალევს წერილები ამისას არ შეიცავს. პირიქით, არსებობს საბუთი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ არავითარი პრეტენზია კონსტანტინოპოლს დასავლეთ საქართველოს მიმართ არ ქონია, რასაც ადასტურებს წერილი, რომელიც ნიკოლოზ მისტიკოსმა სომხეთის პატრიარქს გაუგზავნა.

სომეხთა პატრიარქისადმი წერილში ნიკოლოზ მისტიკოსი წერს ასეთ რაიმეს: „კავკასიის და აფხაზეთის მიწები შენს „იურისდიქციაში იგულე“. აფხაზეთის მიწებში ამ წერილში, ჩანს, იგულისხმება ტაოს მიმდებარე მიწები, რომელიც ამ დროისათვის უკვე ჩანდა, რომ აფხაზეთის სამეფოს ხელში გადავიდოდა.

ბიზანტიას სადავო საკითხები რომ ჰქონოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ, სომეხ პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსი მიწერდა კიდეც ამის შესახებ

და იტყოდა, რომ აფხაზეთი შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ამასვე მიწერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს.

გიორგი მეორეს, არა მხოლოდ ბერძენი იერარქი მიმართავდა ზეაღმატებული ქების სიტყვებით, არამედ ქართველ საეკლესიო პოეტებსა და მგალობლებს შორის უდიდესი – იოანე მინჩხი.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ჭყონდიდში X საუკუნეში შექმნილ საგალობელს აქვს ზედწერილი „ეს გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა“.

აფხაზთა მეფე გიორგი II (922–957), იყო ქართული ენისა და კულტურის უდიდესი მოყვარული. ის „დიდი ვედრებით“ მიმართავდა თავისი სამეფოს პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს, რომ მას დაეწერა ახალი ქართული საგალობლები.

მეორე მხრივ, წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ნიკოლოზ მისტიკოსიც ევედრებოდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს, თავისი მფარველობა არ მოეკლო ალანიის ეპარქიისადმი. მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და შესაბამისი მიმართვისა, გიორგი მეფეს ყურადღება არ მიუპყრია უცხო პატრიარქის სათხოვარისადმი, მისი ყურადღება მხოლოდ მშობლიურისადმია იყო მიპყრობილი, რომელიც დაზარალდა არაბობის გამო.

მისი მეფის „ვედრების“ შედეგად ივანე მინჩხს, ვითარცა კომპოზიტორს და პოეტს, შემოუღია დამოუკიდებელი სალექსო საზომები ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“ ცხადია, თავისი შესაბამისი მუსიკით (მუსიკალური კომპოზიციით), რომელსაც აღტაცებით შეხვედრია მთელი ქართული სამყარო X საუკუნეში, რის გამოც აფხაზეთის გარეთაც ის ძლიერ გავრცელებულა (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 672).

სინურ ხელნაწერში დაცულ საგალობელს ივანე მინჩხის მიერ დართული აქვს შემდეგი კიდურწერილი: „წმიდაო გიორგი, შეეწიე გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“ (იქვე, გვ. 670).

კავკასიის ალანიისა და აფხაზეთის ურთიერთობა

ამჟამინდელი მყარი შეხედულება, რომ კავკასიის ალანია ბიზანტიური დაქვემდებარების ქვეყანა იყო, არ ეთანადება ვახუშტისა და სხვა ქართულ წყაროთა ცნობებს.

სამწუხაროდ ყურადღების გარეთ დარჩა ვახუშტის შესანიშნავი ცნობა, რომ კავკასიის ალანია ქართველ მეფეთა სამმართველო ქვეყანას წარმოადგენდა. ამის შესახებ ვახუშტი წერს: „ალანი იყო კავკასისავე წილნი და მეფეთა ქართველთა თვით განიმკვიდრეს“ (ქ. ც. ტ. 4. გვ.788).

აქედან ჩანს, რომ კავკასიის ალანია ქართველ მეფეთა სამკვიდრო (საკუთარი) ქვეყანა იყო, შესაბამისად, მათ მიერ აიგო შესანიშნავი ტაძრები არხიზ-

ზელენჯუკისა, სენტისა და შუანასი, სხვა ტაძრებთან და ციხე-სიმაგრეებთან ერთად, რასაც თვით ადგილობრივ მკვიდრთა მამა-პაპეული გადმოცემები და ლეგენდებიც მიუთითებს.

ალანთა მიტროპოლიტი თეოდორე თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი აღნიშნავდა, რომ ქრისტიანი ალანები სხვადასხვა ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი. ეს ჯგუფები სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ არეალზე მომთაბარეობდნენ.

მონღოლთა შემოსევამდე, ანუ მე-13 საუკუნემდე, ქრისტიანი ალანების სამომთაბარეო არეალს წარმოადგენდა ყირიმის გასწვრივ მდებარე დონისპირეთი, ასევე ჩრდილო კავკასიის სტეპების მომიჯნავე ნაწილი ვოლგა-დონის შუამდინარეთისა, მაგრამ სულ სხვა სოციალური სისტემისა იყო კავკასიის ალანია, ქართველ მეფეთა სამკვიდრო. არქეოლოგია აჩვენებს, რომ აქ არ ცხოვრობდნენ მომთაბარე ალანები. აქაური მოსახლეობა მიწაზე იყო მიმაგრებული. კავკასიის ალანია მდებარეობდა აფხაზეთის მეზობელად, კავკასიის მთებში, სვანეთის დასავლეთით.

ერთმანეთის მოსაზღვრე სვანეთი და კავკასიის ალანია იყოფდნენ არხიზელენჯუკის ეკლესიებს, სენტისა და შოანას ტაძრებს. ამ არეალს სვანები მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისშიც კი ფლობდნენ, ხოლო ალანები აქაური არეალებიდან მონღოლებმა განდევნეს მე-13 ს. დასაწყისში.

კავკასიის ამ ალანიის შესახებ გვაქვს ვახუშტისა და სხვა წყაროების ცნობები. ვახუშტი ამ ოლქს „ალანის კავკასს“ უწოდებს.

მის დროს ეგრისის („იგივე აფხაზეთის, იგივე იმერეთის“) საზღვრები მოქცეული იყო ჭოროხსა და „კავკასის ალანს“ შორის.

ვახუშტი წერს: „სიგრძე ამის ქვეყანისა არს ლიხისა მთის თხემიდან შავს ზღვამდე, ხოლო განი ჭოროხის მდინარიდან ალანის კავკასამდე“ (ქ. ც. ტ. 4. 1973, გვ. 743).

ვახუშტის ცნობით, კავკასიის „ალანი არს სვანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ. უდის შუაში სვანეთის მდინარე. პირველ იყვნენ ქრისტიანენი, აწ კერპნი და რომელნიმე მოჰმადიანი“ (იქვე, გვ.789).

ვახუშტის მიერ ნახსენები „სვანეთის მდინარე“ უნდა იყოს მის მიერვე ნახსენები კაპეტისწყალი. ის წერს: „ბიჭვინთის დასავლით დის კაპეტის მდინარე. გამოდის ეს რაჭის მთას, კავკასსა, გამოივლის სვანეთს, ალანსა და ...მოერთვის ზღვასა“ (იქვე, გვ. 785). ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ბზიფისწყალი.

ვახუშტიმ აღწერა მხოლოდ აფხაზეთის სამეფოში შემავალი კავკასიის ალანიის ის ნაწილი, რომელიც, მისი სიტყვით, ცხუმის საერისთავოში შედიოდა.

აფხაზთა მეფე ლეონ მეორემ, რომელიც, ვახუშტის ცნობით, 806 წელს გარდაიცვალა, თავისი სამეფო დაყო რვა საერისთავოდ. ცხუმის საერისთავოში შედიოდა „ანაკოფია-ალანითურთ”. „ანაკოფია-ალანითურთ ერქვა „ცხუმის საერისთავოს ერთ-ერთ ოლქს.

ვახუშტი წერს: **„დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ, დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი (აწ აფხაზეთი) რვა საერისთოდ:**

1. დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი – ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე.

2. დასვა ცხომს და მისცა ეგრის იქითა ანაკოფია ალანითურთ.

3. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთით ცხენის წყლამდე.

4. ...ოძრახოსის წილი (ჭოროხის სამხრეთისანი)...უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თვისი.

5. დასვა რაჭა-ლეჩხუმს.

6. დასვა სვანეთისა.

7. შორაპნისავე...სრულიად არგვეთისა.

8. დასვა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა, ხანის წყლის დასავლეთისა, გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყლამდე. ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი (და ციხე) და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია. ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი. ამისგანვე საგონებელ არს გათავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითვე ბერძენთა“ (იქვე, გვ. 796).

ამ ცნობაში ნახსენები „ეგრი“ არის მდინარე ეგრისწყალი, რომელიც, ვახუშტისავე ცნობით, მეფე ფარნავაზის დროიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლამდე წარმოადგენდა ქართლის სამეფოს საზღვარს ამ მხარეში. ქართველ მატიანეთა, მათ შორის „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, მდ. ეგრისწყალი ამ მხარეში წარმოადგენდა საზღვარს ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის, ამ შემთხვევაში ქართლის სამეფოსა და ბიზანტიას შორის. ეს საზღვარი ვახტანგ გორგასლის დროს გადაწეულა უფრო ჩრდილო-დასავლეთით და დადებულა მდ. კლისურაზე (მდ.კელასურზე).

ამ ცნობის შესაბამისად, ქართლის სამეფოს საზღვრებს შიგნით მოქმედებდა ქართლის საკათალიკოსო, ხოლო კლისურას, ანუ სასაზღვრო მდინარის იქით კონსტანტინოპოლისა. შესაბამისად, მდ კლისურას იქით ბზიფისწყლამდე მოქცეული ტერიტორია, სადაც ბიჭვინთაა, ბერძნულ იურისდიქციაში იყო. ამიტომაც აქ დადგენილი კათალიკოსი, ანუ საყოველთაო ეპისკოპოსი, საჭიროებდა „ბერძენთაგან გათავისუფლებას”. ეს მას მიუღია ლეონის დროს ვახუშტის ვარაუდით. ამის მიზეზი იყო ამ ტერიტორიის აფხაზთა სამეფოში შესვლა. ბიჭვინთელმა კათალიკოსმა მთელ აფხაზთა სამეფოზე განახორციელა თავისი იურისდიქცია.

აფხაზთა სამეფოში რვა საერისთავო შედიოდა. მათგან ერთ-ერთი იყო „აფხაზთა საერისთავო“.

აფხაზთა ერისთავის საგამგეო მოიცავდა ტერიტორიას ბზიფის წყლის შესართავიდან ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე, ანუ ყუბანამდე. ბიჭვინთა ბზიფისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. მას ვახუშტი კაპეტისწყალს უწოდებს. ამ საერისთავოში არ შედიოდა კავკასიის ალანია. ის ცხუმის ერისთავის მიერ იმართებოდა.

მიიჩნეოდა, რომ ეს ტერიტორიაც ჩრდილო კავკასიისა (ბზიფისწყლიდან ყუბანამდე) ლეონ პირველ აფხაზთა მეფემდე (786–800) შედიოდა ბიზანტიის საეკლესიო იურისდიქციაში და, აფხაზთა ამ მეფის დროს, ვახუშტის სიტყვით, „გათავისუფლდა“.

„ამისგანვე საგონებელ არს გათავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითვე ბერძენთა“ (იქვე, გვ. 796), ე.ი. მე-8 საუკუნეში. ბერძნული იურისდიქციისაგან გათავისუფლდა ტერიტორია კლისურიდან მცირე ხაზარეთის წყლამდე, ანუ კელასურიდან ყუბანამდე, რომელშიც, ამ ცნობით, ცხუმისა და აფხაზთის საერისთავოები მდებარეობდნენ. ამ ტერიტორიაზე ბიჭვინთაში დასვეს აფხაზთა კათალიკოსი, რომელმაც უკვე თავისი იურისდიქცია მთელ სამეფოზე განავრცო, ლიხიდან და ჭოროხიდან ყუბანამდე, ასეა ვახუშტის ცნობის ანალიზის შესაბამისად.

ამავე დროით საზღვრავს „ქართლის ცხოვრება“ ჩრდილო კავკასიის გამოყოფას ბიზანტიური საეკლესიო იურისდიქციისაგან, ანუ მის გადასვლას ქართული ეკლესიის იურისდიქციაში:

„იქმნა კრება მეექვსე წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლის შინა...ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა და აკურთხევდეს, მწყემსიდეს და განაგებდეს...სამწყსოსა თვისსა – ქართლსა, გაღმა გამოღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით – წამოვლით მთისა ადგილისათა, სუნეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო – ქართლსა სამცხე – საათაბაგოსა...“ (ქ.ც. ტ. 1. გვ. 232)

აქედან ჩანს, რომ ჩრდილო კავკასია ქართული საეკლესიო და საერო აზროვნების შესაბამისად შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ქართლის საკათალიკოსო თავის ხელისუფლებას ახორციელებდა „სვანეთამდე და ჩერქეზეთამდე“, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა დანარჩენი ჩრდილო კავკასია ვიდრე ყირიმის ქალაქ კაფამდე, როგორც ამას აღნიშნავს „ბიჭვინთის იადგარი“.

„ქართლის ცხოვრების“ ეს ჩანართი ცნობა, ჩანს, განეკუთვნება მე-16-მე-17 საუკუნეებს, მაგრამ ის ძველ წყაროს რომ ეფუძნება, იქედან ჩანს, რომ ერთდროულად ხდება ზოგადქართული ეკლესიისა და მისი შემადგენელი ნაწილის აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის ამ დიდი უფლებების მინიჭება ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის საკათალიკოსა და ქართლის საკათალიკოსოების „უაღრესი განპატიოსნება“ ერთდროულად ხდება.

ამ ცნობებით, ზოგადქართული ეკლესია იღებს საპატრიარქო ღირსებას და ამავე დროს „გამოჩნდა კათალიკოზი აფხაზეთისა, ჟამსა მას ლეონ ისავროსასა, ქრისტეს აქეთ 720 წელსა“ (ქც. 1, გვ. 232, სქოლიო).

აფხაზეთის საკათალიკოსო წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ოლქს, მეორე ასეთი ადმინისტრაციული ოლქი

ზოგადქართული ეკლესიისა იყო ქართლის საკათალიკოსო. დაღესტნის გაქრისტიანების კვალდაკვალ აქაც შეიქმნა ზოგადქართული ეკლესიის ადმინისტრაციული ოლქი – ხუნძეთის საკათალიკოსო.

აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნამდე, მე-5, მე-7 საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ვიდრე მდინარე კლისურამდე, მწყემსავდა ქართლის საკათალიკოსო.

ამ საუკუნეებში ძალზე გაიზარდა მრევლი და, შესაბამისად, საეპისკოპოსოთა რიცხვი. მათ შორის, ჩანს, დასავლეთ საქართველოშიც, რამაც, ჩანს, გაართულა მცხეთიდან ეკლესიის ადმინისტრაციული მმართველობა. ამის გამო, ალბათ, ლიხის მთიდან კლისურამდე მცხეთამ ჩამოაყალიბა ადგილობრივი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, ჩანს, 720 წლისათვის, რომელსაც, ჩანს, შემდგომ ეწოდა აფხაზეთის საკათალიკოსო. მალევე ჩამოყალიბდა აფხაზთა სამეფო, რომელშიც შევიდა აღნიშნული ტერიტორია. ადგილობრივი საეკლესიო ერთეული, ჩანს, უფრო გაძლიერდა და მალე იწოდა „აფხაზეთის საკათალიკოსოდ“. მისი მეთაურის წოდება „კათალიკოსი“ „განაჩინა“, ანუ დაამტკიცა აშოტ კურაპალატის ძემ ბაგრატ კურაპალატმა: „ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს, ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (იქვე, გვ. 155).

720-იან წლებში დაარსებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო – ადმინისტრაციული ოლქი თავის იურისდიქციას, როგორც ითქვა, ავრცელებდა მდ. კლისურამდე, რადგანაც აქამდე აღწევდა ქართლის სამეფოს საზღვარი. აფხაზთა ერისთავ ლეონის დროს, რომელმაც ქართლის მეფის ქალიშვილი გურანდუხტისაგან მზითვის სახით შეიერთა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები, შეიცვალა და გაფართოვდა საეკლესიო იურისდიქცია. ის (ერისთავი ლეონი) ახლა უკვე ვრცელ მიწა-წყალს აერთიანებდა ლიხის ქედიდან მდ. ყუბანამდე.

როგორც ითქვა, იქამდე, მდ. კლისურიდან ყუბანამდე ბიზანტიური საეკლესიო იურისდიქცია ხორციელდებოდა. ჩანს, ბიზანტიას (არაბთა შემოსევით გართულებული ვითარების გამო და ასევე იმის გამო, რომ ამ ტერიტორიებს ახლა უკვე ფაქტიურად ხაზართა სამეფო აკონტროლებდა), გადაუწყვეტია, გაეთავისუფლებინა მიწა-წყალი კლისურიდან ყუბანამდე და ის გადაეცა აფხაზთა საერისთავოსათვის (მალევე სამეფოსათვის). მართლაც, ვახუშტის ვარაუდით, აფხაზთა მეფე ლეონის დროს ეს მომხდარა და ამას ეკლესიური გათავისუფლებაც მოყვა.

„ამისგანვე საგონებელ არს გათავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითვე ბერძენთა“, – წერს ვახუშტი.

აქ სიტყვა „გათავისუფლების“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს კლისურიდან ყუბანამდე მდებარე მიწა-წყლის ეკლესიური გათავისუფლება და მისი შეერთება დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ერთეულთან, ამით საფუძველი ჩაეყარა აფხაზთა საკათალიკოსოს დაარსებას.

ჩანს, ვითარება შეიცვალა მე-10 საუკუნისათვის. ხაზართა დასუსტების კვალდაკვალ, როდესაც ბიზანტიამ კვლავ მოიწადინა ეკლესიურად ფეხი მოეკიდებინა აფხაზეთის „ალანის კავკასში“, მაგრამ ეს ვერ შეძლო, რაც იქედან

ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულ იქნა არა ჩრდილო კავკასიაში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში – საქართველოს გავლენის სფეროს გარეთ.

ჩრდილო კავკასია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მკვიდრად იდგა თემურ ლენგის შემოსევამდე.

აფხაზთა მეფეები იყვნენ ქართული ეკლესიის უზენაესი პატრონები აფხაზთა სამეფოში ქართულენოვანი წირვა-ლოცვითა და ტრადიციებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია ამჟამად გაბატონებული თეორია, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გააჩნდა ეპარქიები პეტრა, საისინი (ცაში), როდოპოლისი (ვარციხე) და ზიგანა (ზიგანევი).

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ნ. ადონციმ გამოიკვლია, რომ სინამდვილეში ეს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ისტორიულ სამხრეთ ლაზიკაში (ჭანეთ – ზღვისპირეთში, ტრაპეზუნტის მხარეს), კერძოდ, როდოპოლისი არ მდებარეობდა ვარციხეში, არამედ მდებარეობდა ახლოს თანაამედროვე სუმელას მონასტერთან, მაჭუკაში, აქ, შემდგომაც, მე-18 საუკუნისათვის კონსტანტინოპოლმა აღადგინა როდოპოლისის კათედრა. საისინის კათედრა არ მდებარეობდა ცაისში, არამედ, გუმუშხანესთან, კერძოდ, არდასასთან ახლოს. ზიგანას კათედრა მდებარეობდა არა გუდაყვასთან (გუდავასთან), როგორც ახლა მიიჩნევა, არამედ ზიგანას უღელტეხილთან, ტრაპეზუნტ-არზრუმის შემაერთებელ გზაზე, ისიც გუმუშხანეს ოლქთან. რაც შეეხება პეტრას კათდრას, ის მდებარეობდა არა ზღვის პირას, არამედ მთებში, სპერის რეგიონთან, კერძოდ კი, ბაიბურდთან ახლოს.

ეს გამოიკვლია ნ. ადონციმ. ჩვენც ამ საკითხზე ვიმუშავეთ და დავეთანხმეთ ადონცის კვლევას (მიტროპოლიტი ანანია).

აღნიშნულის გამო დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და ის მე-4 საუკუნიდანვე ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა მდ. ეგრისწყლამდე, მე-5 ს-დან კიკლისურამდე.

კლისურიდან ყუბანამდე კონსტანტინოპოლი მართავდა ეკლესიურად, მაგრამ ეს მართვა ფიქტიური, არარეალური იყო, რადგანაც ამ ტერიტორიებს პოლიტიკურად მართავდა ხაზარეთის კაგანატი, ბიზანტიური სახელმწიფოსა და ეკლესიის მოწინაღმდეგე.

ხაზართა მოკავშირეები იყვნენ აფხაზთა ერისთავები და კავკასიის ალანიის მმართველები.

ხაზარების დასუსტების შემდეგაც კი, არაბული წყაროს ცნობით, ალანთა მეფეებმა გააძევეს კინსტანტინოპოლელი კლერიკალები. ასე, რომ ბიზატიის ეკლესია ვერც კი მართავდა ამ ტერიტორიას სულიერად. ეს უნდა ყოფილიყო რეალური მიზეზი აფხაზთა მეფე ლეონის დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეკლესიურად გათავისუფლებისა, საბოლოოდ, მისი შესვლისა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. ასე ყოფილა მე-10 საუკუნემდე,

შემდეგში ხაზარეთი დასუსტდა და ბიზანტია კვლავ გაძლიერდა ამ მხარეებში.

ამ დროისათვის, მე-11 ს. დასაწყისში, „ანაკოფია-ალანითურთ“ უფლისწულმა დემეტრემ მოღალატეობრივად გადასცა ბიზანტიელებს. შესაბამისად, ალანია კავკასიისა (აფხაზეთისა) კვლავ ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ დაახლოებით ნახევარ საუკუნეში კვლავ ქართული ეკლესიის იურისდიქციას დაუბრუნდა, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს.

„კავკასიის ალანია“ ცხუმის საერისთავოს შემადგენლობაში

(აფხაზთა საერისთავოს საზღვრები აფხაზთა სამეფოში)

აფხაზთა საერისავოს საზღვრები მკვეთრად განსხვავდებოდა აფხაზთა სამეფოს საზღვრებისაგან. ვახუშტის ცნობით, აფხაზთა საერისთავო იწყებოდა ჩრდილო კავკასიაში მდინარე ყუბანთან და გრძელდებოდა ვიდრე მდინარე ბზიფისწყლამდე. აქ მას ესაზღვრებოდა ცხუმის საერისთავო და კავკასიის ალანია, შემდეგ კი ლიხის მთამდე სხვა საერისთავოები იყვნენ განლაგებულნი. ყველა ისინი შედიოდნენ აფხაზთა სამეფოში. ვახუშტისავე ცნობით, კავკასიის ალანიაც მათ სამფლობელოს წარმოადგენდა. აფხაზთა მეფეებს ვახუშტი „ქართველ მეფეებს“ უწოდებს.

კავკასიის ალანიის ქართველ მეფეთა მფლობელობასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „ალანი იყო კავკასისავე წილნი და მეფეთა ქართველთა თვით განიმკვიდრეს“ (ქ.ც. 4.გვ.788). ეს ნიშნავს, რომ ალანია (კავკასიისა) იმართებოდა ქართველ, ანუ აფხაზ მეფეთა მიერ. კავკასიის ალანიაში ან მის ერთ ნაწილში ერისთავი იყო დანიშნული.

კერძოდ, ცხუმის საერისთავოში, შედიოდა ტერიტორია ეგრისწყლიდან ბზიფისწყლამდე, მასში ცხუმის გარდა შედიოდა ანაკოფია და კავკასიის ალანია. ვახუშტი წერს ცხუმის ერისთავის საგამგებლოს შესახებ: „დასვა ცხომს და მისცა ეგრის იქითა ანაკოფია ალანითურთ”. („ქართლის ცხოვრება“, ქ.ც. ტ. 4. 1973, გვ. 796).

როგორც ითქვა, „კავკასის ალანი“ აფხაზეთის ძველ დედაქალაქ ანაკოფიასთან ერთად ერთ გეოგრაფიულ ოლქად მოიაზრებოდა და ის შედიოდა ცხუმის საერისთავოში.

მე-10 საუკუნისათვის აქ სურდა თავის საეკლესიო იურისდიქციის დამყარება ბიზანტიას, რასაც მიაღწია დროებით, მას შემდეგ რაც ბერძნებს, ანუ ბიზანტიელებს ანაკოფია გადასცა დემეტრემ, საქართველოს მეფე გიორგი მეფის ძემ, ბაგრატ მეოთხის ნახევარძმამ, მიმდგომ „კავკასის ალანთან“ ერთად.

საერთოდ, ოსთა სამეფო სახლის საუფლიწულო სეგმენტები აქ უნდა ყოფილიყო კავკასიის ალანიის მომიჯნავედ ანაკოფია – „ალანის კავკასში“.

გიორგი I-ის მეუღლე, აღნიშნული დემეტრეს დედა, „ოვსთა მეფის ასული“, აქაური უნდა ყოფილიყო. ჩანს, ის იყო მეპატრონე ანაკოფიის ციხისა. აქედან უნდა ყოფილიყო ბაგრატ IV-ის მეუღლე „ოვსთ მეფისა ასული ბორენა“, ჩანს, ეს ციხე საკუთრებას წარმოადგენდა („ალანის კავკასთან“ ერთად) ბორენას ქალიშვილისა, ბიზანტიაში ცნობილი „მარიამ ალანელსა“, ის იყო ქალიშვილი ქართველთა მეფე ბაგრატ IV-ისა.

მას შემდეგ, რაც დემეტრემ ანაკოფია გადასცა ბიზანტიას, დაახლოებით 40 წლის მანძილზე (საქართველოს სახელმწიფოს მიერ მის დაბრუნებამდე) აქ და მიმდგომ ალანიაში, ჩანს, ბიზანტიელებს რამდენიმე ეკლესია აუგიათ.

როგორც აღინიშნა, აფხაზთა საერისთავოში შედიოდა ტერიტორია ბზიფისწყლიდან მდ. ყუბანამდე (ხაზართა მდინარემდე). ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: აფხაზთა მეფემ „დასვა აფხაზთა (ერისთავი) და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე.” („ქართლის ცხოვრება“, ქ.ც. ტ. 4. 1973, გვ. 796).

ე.ი. საკუთრივ აფხაზეთი და ჯიქეთი ანუ ტერიტორია ბზიფისწყლიდან (ცხუმის საერისთავოს საზღვრიდან) ვიდრე ყუბანამდე, აფხაზთა საერისთავოში შევიდა.

მდ. ბზიფისწყალი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოებს. აფხაზთა საერისთავო ფაქტიურად ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა.

ბედიის საერისთავოში შედიოდა ტერიტორია ეგრისწყლიდან ცხენისწყლამდე. ვახუშტი ამ საერისთავოს საზღვარს ასე განსაზღვრავს: „ეგრისის აღმოსავლეთით ცხენის წყლამდე“. აქ სიტყვა „ეგრისის“ ქვეშ იგულისხმება არა ზოგადად ეგრისის ქვეყანა, არამედ მდინარე ეგრისწყალი. როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრებისა“ და აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებით, ეგრისწყალი საუკუნეთა მანძილზე ვიდრე ვახტანგ გორგასლამდე, იყო საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს შორის.

ისტორიულ სასაზღვრო მდინარე ეგრისწყალზე ასევე დადებულა ბედიის საერისთავოს საზღვარი.

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დაბეჯითებული მითითებებით, როგორც ითქვა, მდინარე ეგრისწყალი ჯერ კიდევ აზონისა და ფარნავაზის დროს (ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან) წარმოადგენდა საზღვარს ქართლის სამეფოსა და ბერძენთა სახელმწიფოს შორის.

ეს საზღვარი, ამ წყაროების თანახმად, თვით ალექსანდრე მაკედონელს დაუწესებია.

ეს მდინარე (ეგრისწყალი) ბიზანტიურ ეპოქაშიც საზღვარი ყოფილა ქართლის სამეფოსა (ე.ი. ქართულ საეკლესიო იურისდიქციასა) და ბიზანტიას შორის, როგორც ითქვა, ვიდრე ვახტანგ გორგასლამდე. ამ უკანასკნელს ცოლად შეურთავს ბიზანტიელთა იმპერატორის ქალიშვილი, რომელსაც, ამავე წყაროს ცნობით, მზითვის სახით მოყოლია ტერიტორია მდ. ეგრისწყალსა და მდ. კლისურას (კელასურს) შორის. ამის შემდეგ საზღვარი მდ. კლისურაზე დადებულა. მეფე მირის დროს კლისურა იყო სასაზღვრო მდინარე.

როგორც აღინიშნა, ვახუშტი ვარაუდობს, რომ აფხაზთა კათალიკოსი ბერძნული იურისდიქციისაგან გათავისუფლდა აფხაზთა მეფე ლეონის დროს, მე-8 ს. დასაწყისში. ეს გათავისუფლება გულისხმობდა კლისურიდან ყუბანამდე ბიზანტიური საეკლესიო იურისდიქციისაგან მოქცეული ქვეყნის გათავისუფლებას.

ამ ლეონმა აფხაზ მეფეთგან პირველმა მიიღო მეფის ტიტული. მისი წინამორბედი, მისი ბიძა (მამის ძმა) (ვისგანაც მიიღო მმართველის ტახტი), ასევე ლეონი, ატარებდა წოდებას – „ერისთავი აფხაზთა“.

ამ ორ ლეონთაგან პირველი, როგორც ითქვა, იყო „ერისთავი აფხაზთა“, მეორე ლეონი – აფხაზთა პირველი მეფე.

მათი სამმართველო ქვეყნების საზღვრებიც მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვა ტერიტორიას მართავდა ლეონ ერისთავი და სულ სხვას მეფე ლეონი.

აფხაზთა საერისთავოს ტერიტორიის საზღვრები მკვეთრად განსხვავდებოდა აფხაზთა სამეფოს საზღვრებისაგან. როგორც აღინიშნა, აფხაზთა ერისთავი მართავდა ბზიფისწყლიდან ყუბანამდე, აფხაზთა მეფე კი – ჭოროხიდან ყუბანამდე.

აფხაზთა საერისთავოს ტერიტორიის საზღვრების განსაზღვრა შესაძლებელია აღნიშნულ საერისთავოთა ჩამონათვალით.

აღნიშნულ ჩამონათვალში აფხაზთა საერისთავოს საზღვარი ჩრდილო კავკასიაში იყო მდინარე ყუბანი: აფხაზთა მეფემ თავისი სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის დროს აფხაზთა ერისთავს სამართავად მისცა „აფხაზეთი, ჯიქეთი – ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე“.

„ხაზართა მდინარედ“, როგორც აღინიშნა, იწოდებოდა მდ. ყუბანი. ის იყო აფხაზთა საერისთავოს საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით.

„აფხაზთა საერისთავოს“ საზღვარი, ვახუშტის სიტყვით, დასავლეთით იყო შავი ზღვა, ხოლო სამხრეთით –„ალანის კავკასი“ (საზღვარი ალანის კავკასთან, ჩანს, მიუყვებოდა მდინარე კაპეტისწყალს შუაწელამდე. აქედან ეს მდინარე ზღვის შესართავამდე იყო საზღვარი ცხუმის საერისთავოსა და აფხაზთა საერისთავოს შორის).

ეს მდინარე, ვახუშტის სიტყვით, „ალანის კავკასში“ გაედინებოდა. რადგანაც ალანის კავკასი ესაზღვრებოდა აფხაზთა საერისთავოს, შესაბამისად, ის აფხაზთა საერისთავოს საზღვარი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე მდინარე კაპეტისწყალი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ცხუმის საერისთავოსა და აფხაზთა საერისთავოს.

შესაბამისად, აფხაზთა საერისთავო მოქცეული იყო მდ. კაპეტისწყალსა და ხაზარეთის მდინარეს შორის, ანუ ბზიფისწყალსა და მდ. ყუბანს შორის.

თავის მხრივ, აფხაზთა საერისთავო შედგებოდა ორი ოლქისაგან. ესენია: საკუთრივ „აფხაზეთი“ და ჯიქეთი.

მაშასადამე, აფხაზთა სამეფოში, ასე ვთქვათ, ტერმინ „აფხაზეთის“ სახელით ცნობილი იყო სამი ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული: პი-

რველი – თვით აფხაზთა სამეფო, მეორე – აფხაზთა საერისთავო და მესამე – საკუთრივ აფხაზეთი.

„აფხაზთა სამეფო“ განფენილი იყო ლიხის ქედიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე. „აფხაზთა საერისთავო“ მდ. კაპეტისწყლიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე, ხოლო საკუთრივ „აფხაზეთის“ ოლქი მოქცეული იყო მდ. კაპეტისწყალსა და ჯიქეთს შორის.

ხშირად ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია მდ. ყუბანი ყოფილიყო აფხაზთა სამეფოს საზღვარი?

მდინარე ყუბანი ქართულ წყაროებში (ვახუშტისთან, ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან) დასახელებულია ქართული სამყაროს საზღვრად ჯერ კიდევ ეთნარქ „ეგროსის“ დროიდან.

ლეონტის სიტყვით, თარგამოსმა, როცა დაანაწილა კავკასიის მიწა-წყალი, თავის ვაჟს ეგროსს „მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი, აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღვა, ჩრდილოთ – მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწვთების წვერი კავკასისა“ (ქ.ც. ტ.1. 1955. გვ. 5). მდინარე მცირისა ხაზარეთისა არისს მდ. ყუბანი.

„ეგროსის წილი ქვეყანა“ მემატიანისათვის ნიშნავს იმას, რომ მისი ცოდნით მდ. ყუბანამდე ვრცელი ტერიტორია ეგრისელებით იყო დასახლებული, ანუ ისტორიულ ეგრისად ითვლებოდა. ესაა ტერიტორია ლიხის მთიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე.

მემატიანისათვის, სანამ გაჩნდებოდა ქვეყნები „აფხაზეთი“ და „ჯიქეთი“, იქამდე ამ ტერიტორიას ერქვა ეგრისი. აქ მცხოვრები ეგრისელები, წყაროს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ორ პოლიტიკურ ჯგუფად გაყოფილა. მდინარე ეგრისწყლიდან მდინარე ყუბანამდე მცხოვრებ ეგრისელებს გადაუწყვეტიათ შესულიყვნენ ბერძნული სახელმწიფოს გავლენის სფეროში, ხოლო ეგრისწყლის აღმოსავლეთით მცხოვრებ ეგრისელებს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად მეფე ფარნავაზის ეპოქაში შეუქმნიათ საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც ერქვა „ქართლის სამეფო“.

ეგრისწყლის დასავლეთით, ანუ ეგრისწყლიდან ყუბანამდე მცხოვრები ეგრისელები მიმხრობიან „ბერძნებს“, შესულან უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო ეგრისწყლის აღმოსავლეთით მცხოვრებ ეგრისელებს ერისთავ ქუჯის მეთაურობით კავშირი შეუკრიათ ფარნავაზთან და დაუარსებიათ სახელმწიფო „ქართლის საამეფო“.

ამასთან დაკავშირებით გაჩენილა ტერმინი „ოდიში“.

ვახუშტი წერს: „განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდნიან, „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“ და ისახელნენ აწამდე ესრეთ“ (ქ.ც., ტ. 4. გვ. 776).

ასევე წერს: „ეგრისწყალს იქითი, დასავლეთისა, ეპყრათ ბერძენთა“ (იქვე, გვ. 776).

მაშასადამე, ეგრისწყლიდან ყუბანამდე, მართალია, ეგროსის წილია, და ეგრისელებითაა დასახლებული მაგრამ „ბერძნების“ დაპყრობილია. ხალხი წუხს და ამბობს: „ოდესღაც (ოდეში-ოდიში) ესეც ჩვენი ქვეყანა იყო“.

მაშასადამე, ოდიში თავდაპირველად ერქვა ეგრისის მხოლოდ დაპყრობილ ნაწილს – ეგრისწყლის იქით, ხოლო ხალხს, ალბათ, ძველქართულად „მეოტები“, ანუ ოტებულები.

სახელი ტომისა მეოტები, რომელიც ყუბანთან ცხოვრობდა, ქართული წარმომავლობის უნდა იყოს.

ქართლის სამეფო შეიქმნა ეგრისის ერისთავ ქუჯის უშუალო ძალისხმევით ქრისტეშობამდე მე-3 საუკუნეში. ქართლის სამეფოსა და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს ერთმანეთისაგან, როგორც ითქვა, მდ. ეგრისწყალი ყოფდა, ანუ მასში შედიოდა მთელი დასავლეთ საქართველო, კერძოდ კი, ეგრისისა და მარგვეთის საერისთავოები. აქ, როგორც ითქვა, ვახტანგ გორგასლის დროს შეცვლილა საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის. მდ. ეგრისწყლიდან ის გადაწეულა უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდ. კლისურაზე.

შესაბამისად, როგორც აღინიშნა, მე-5 საუკუნის შემდეგ ქართლის სამეფოსა და ბიზანტიას შორის საზღვარი მდ. კლისურაზე, ანუ კელასურზე დადებულა.

მემატიანის ცნობით, საუკუნეთა შემდეგ „ქართლის სამეფოს“ ბოლო მეფეს, მირს.

მე-8 ს. ში თავისი სამეფო დაუყვია რამდენიმე ნაწილად და ისინი გადაუცია თავისი სიძეებისათვის (ქალიშვილების მეუღლეებისათვის).

მეფე მირის ქალიშვილი გურანდუხტი შეირთო აფხაზთა ერისთავმა ლეონმა. მან საფუძველი დაუდო ახალ სამეფოს, რომელსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. აფხაზთა საერისთავო იმჟამად ჩრდილო კავკასიაში გაძლიერებული ხაზარეთის სამეფოსა და ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა და მდ. კლისურას „იქით”, დასავლეთ მხარეს მდებარეობდა.

მემატიანე აღწერს აფხაზთა სამეფოს წარმოქმნას და მას ქართლის მეფის მირის ქალიშვილ გურანდუხტთან აკავშირებს.

მურვან ყრუმ აღმოსავლეთ საქართველოდან განდევნა ქართლის მეფე მირი და მისი ძმა, მომავალი მეფე არჩილი. ისინი ქართლის სამეფოს დასავლეთ ნაწილში გადასულან, ანუ დასავლეთ საქართველოში. ქართლის სამეფოს მდ. კლისურას დასავლეთის მხრით ბიზანტია ესაზღვრებოდა.

კლისურიდან ბზიფისწყლამდე ტერიტორია უშუალოდ ბიზანტიელებს ემორჩილებოდა. ამ ტერიტორიას ბიზანტიელები ალანიას უწოდებდნენ (ამ მხარეს „ალანი” მდებარეობდა მდინარე ბზიფისწყლამდე). ბზიფისწყლიდან მდ. ყუბანამდე ტერიტორია კი აფხაზთა ერისთავ ლეონს ეკუთვნოდა. ის ამ დროს მდ. კლისურამდე მდებარე ტერიტორიასაც აკონტროლებდა, „ბერძენთა ერისთავის“ ტიტული, ჩანს, მას ამის უფლებას ანიჭებდა.

მაშასადამე, ლეონი მართავდა საკუთარ აფხაზთა საერისთავოს ბზიფისწყლიდან ყუბანამდე და ასევე მიერთებულ ტერიტორიას ბზიფისწყლიდან მდ. კლისურამდე (ანუ ბიზანტიურ ტერიტორიებს).

ამიტომაც „ალანის“ ანაკოფიაში გადმოუტანია თავისი საერისთავო ტახტი ლეონ ერისთავს, ანუ „ალანის კავკასი“ მის საერისთავოში შესულა ჯერ

კიდევ აფხაზთა სამეფოს დაარსებამდე. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ანაკოფიაში თავისი საერისთავო ტახტი ედგა ლეონ ერისთავს.

არაბთა შემოსევების გამო იმჟამად ბიზანტია დასუსტებული იყო. ამიტომ რეალურად ლეონ ერისთავის ეს ტერიტორიები არა ბიზანტიის, არამედ ხაზარეთის სამეფოს ძლიერი გავლენის სფეროში შედიოდა. ამიტომაც შავიზღვისპირეთის ამ ტერიტორიებს არაბები ხაზარეთის ნაწილადაც განიხილავდნენ.

ხაზარებს არაბები, მეორე მხრიდანაც, კასპიის ზღვისპირა დერბენდთანაც ეომებოდნენ.

არაბთაგან დევნილ მირ მეფეს გადაულახავს თავისი სამეფოს საზღვარი მდ. კლისურაზე და თავი შეუფარებია ბიზანტიის ტერიტორიაზე ანაკოფიის ციხისათვის.

ანაკოფიის ციხესთან ერთმანეთს შეერკინა ორი ძალა. ერთ მხარეს იდგა გაერთიანებული ძალები ბიზანტია – ქართლ – ხაზარეთისა, მეორე მხარეს კი – არაბები. აქ დამარცხდა არაბთა ჯარი, რომელთაც ეს ლაშქრობა ჩაუთვლიათ ხაზარეთში წარუმატებელ ლაშქრობად. არაბული წყაროები ხაზარეთში ამ ლაშქრობას „ტალახიანი ლაშქრობის“ სახელით იცნობენ.

ლაფ-ჭაობებში ლაშქრის ცხენებს ტალახით იმდენად დაუმძიმდათ კუდები, რომ ისინი დააჭრეს, როგორც არაბული წყაროს, ისე „ქართლის ცხოვრების“ ცნობით.

მირ მეფეს არ ჰყავდა ძე, ანუ ტახტის მემკვიდრე, თანაც მისი სახელმწიფოს, ქართლის სამეფოს, ცენტრი უკვე არაბების მიერ იყო დაპყრობილი, თვითონ კი – დევნილი, ამიტომაც მას თავისი სამეფო დაუყვია ნაწილებად და სუვერენული ერთეულების სახით გადაუცია თავისი სიძეებისათვის, ანუ ქალიშვილების ქმრებისათვის, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ქმრები უნდა ყოფილიყვნენ „ქართლის ერისთავები“.

დასავლეთ საქართველო წილად ერგო მირ მეფის ქალიშვილს, გურანდუხტს. ასეთ ვითარებაში, ამ დანაწილების უშუალო თვითმხილველ აფხაზთა ერისთავ ლეონს უთხოვია, რომ მას მინიჭებოდა „ქართლის ერისთავის“ ტიტული.

მირ მეფის ქალიშვილის შერთვის შემთხვევაში მას უფლება ექნებოდა მიეღო ქართლის ერისთავის ტიტული და ამით წილს დაიდებდა ქართლის სამეფოს შესაბამის ნაწილზე.

ლეონ ერისთავს ასევე განუცხადებია მზადყოფნა, თავისი საერისთავო შეერთებინა ქართლის სამეფოსათვის ამ გარიგების, ანუ „ქართლის ერისთავის“ ტიტულის მიღების სანაცვლოდ.

მართლაც, ასეთი გარიგება შედგა. აფხაზთა ერისთავს მიათხოვეს ქართლის მეფის ასული გურანდუხტი, რომელსაც მზითვის სახით მოყვა ტერიტორიები – ეგრისი, არგვეთი და გურია ვიდრე ლიხის ქედამდე. შესაბამისად, ამ ქორწინების წყალობით ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანდა ვრცელი მიწა-წყალი ლიხის ქედიდან ვიდრე მდინარე ყუბანამდე და მას აფხაზეთი ეწოდა მმართველი დინასტიის აფხაზთა ერისთავის სახელის მიხედვით.

ასე, რომ ლევან აფხაზთა ერისთავი თავისი მეუღლის გურანდუხტის მეშვეობით იქცა დასავლეთ საქართველოს მმართველად.

შემდეგში ლეონ ერისთავსა და გურანდუხტს თავიანთი მემკვიდრეობა გადაუციათ ლეონის ძმისწულისათვის. მას ასევე ლევანი, ანუ ლეონი ერქვა. მართალია, მისი დედა ხაზართა მეფის ასული იყო, მაგრამ, ჩანს, მას თავისი მამის ძმის მეუღლე, ქართლის მეფის ქალიშვილი, გურანდუხტი ზრდიდა, რომლისაგანაც ლეონის ოჯახმა მიიღო უფლება ეტარებინა მეფის ტიტული.

მეორე ლეონს ტახტზე ასვლის შემდეგ ეწოდა აფხაზთა მეფე.

გურანდუხტის მეშვეობით აფხაზთა სამეფო ქართლის სამეფოს ლეგიტიმურ პოლიტიკურ და სამართლებრივ მემკვიდრეს წარმოადგენდა. ამიტომაც მუდამ ცდილობდა აღედგინა ქართლის სამეფო თავის ისტორიულ საზღვრებში, ანუ იმ საზღვრებში, რომელიც გაჩნდა ფარნავაზ-ქუჯის ეპოქაში.

რადგანაც აფხაზთა სამეფო ქართლის სამეფოს სამართლებრივი მემკვიდრე იყო, მას უფლება ენიჭებოდა შეეერთებინა ქართლის სამეფოს კუთვნილი ტერიტორიები, მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოში, ეს მიიჩნეოდა ქართლის სამეფოს აღდგენად, ანუ აფხაზთა სამეფო იგივე ქართლის სამეფო იყო ახალ ეპოქაში. ამიტომაც ის იბრძოდა შიდა ქართლის, თრიალეთ-ჯავახეთის, თბილისის, კახეთ-ჰერეთისა და ქვემო ქართლის შემოსაერთებლად, ანუ ქართლის სამეფოს ისტორიული ტერიტორიების გასაერთიანებლად ან მუსულმანთაგან გასათავისუფლებლად, რისთვისაც მუდამ ლაშქრობდა აღმოსავლეთ საქართველოში, ვითარცა აღმოსავლეთ საქართველოს მიწების კანონიერი მემკვიდრე, უვლიდა და პატრონობდა ქართულ ეკლესიებს, მისი სახელმწიფო და კულტურის ენა მხოლოდ ქართული ენა იყო. ქართული კულტურა აფხაზთა მეფეებისთვის ერთადერთი კულტურა იყო, რომლისათვისაც საგანგებოდ ზრუნავდნენ.

აფხაზთა სამეფო მისი მმართველი ოჯახის დიდი დედის გურანდუხტის მეშვეობით იყო პოლიტიკური მემკვიდრე ქართლის სამეფოსი, რადგანაც, როგორც ითქვა, ქართლის მეფე მირის ქალიშვილმა გურანდუხტმა აფხაზ მმართველთა ოჯახში შეიტანა არა მხოლოდ „მეფედ“ წოდების ლეგიტიმური უფლება, არამედ ასევე საკუთარი მიწა-წყალი, მთელი დასავლეთ საქართველო, მზითევი, რომელიც მან მიიღო ქართლის სამეფო ოჯახიდან.

აფხაზთა მეფეები ქართლის მეფეების მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ თავიანთ თავს და ამიტომაც მათ სურდათ ძველი, ფარნავაზის დროინდელი, სახელმწიფოს აღდგენა, რაც, მართლაც, მოახერხეს მე-11 საუკუნის დამდეგს. ბაგრატ III-ის დროს გაერთიანდა ტაო-კლარჯეთისა და აფხაზთა სამეფოები.

აფხაზთა სამეფო თავის გავლენის სფეროში მოიცავდა ჩრდილო კავკასიას და მის ერთ ნაწილს „ალანის კავკასს“.

„ალანის კავკასი“ დასახლებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი კავკასიელებით, რომლებზეც გაბატონებულები იყვნენ ალანები. ამ ალანებს ქართველები ოსებს უწოდებდნენ. „ალანის კავკასის“ ოსები უნდა ყოფილიყვნენ თურქულენოვანი ალანები, როგორც წერს აბულფედა (1273–1311).

უმცირესი ნაწილი დიდი მომთაბარე ხალხისა მომთაბარეობდნენ ვრცელ ველებზე ვოლგასა და დუნაის შორის. ამ ალანების თურქულენოვნების შესახებ არსებობს თანადროული არაბული წყარო, აღნიშნული აბულფედა, ხოლო ალანების ირანულენოვნება – მხოლოდ სამეცნიერო კვლევა-ძიების ვარაუდია.

ჩანს, ალანების ერთი ნაწილი შემოსულა აფხაზეთის მეზობელ მხარეში, გაბატონებულა ადგილობრივ მთიელებზე, მაგრამ საბოლოოდ შესულა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული გავლენის სფეროში.

ამ ალანებს, მე-10 საუკუნისათვის, მიუღიათ ქრისტიანობა, რომელსაც უფრო ადრეც იღებდნენ საქართველოდან.

მეათე საუკუნეში აქ ბერძნებს მოუწადინებიათ თავისი საეკლესიო იურისდიქციის განვრცობა, მაგრამ წყაროს ცნობით, ალანებს ბერძენი კლერიკალები ალანიიდან გაუძევებიათ. ამჟამად მიიჩნევა, რომ ეს მოხდა ხაზართა ნებით, მაგრამ, ამ აზრის საპირისპიროდ. კვლევა აჩვენებს, რომ ეს მოხდა აფხაზ მეფეთა გავლენით, რომელნიც აქ ქართულ საეკლესიო იურისდიქციას ავრცელებდნენ.

ამჟამად ერთმანეთში ურევენ ქრისტიანი თურქულენოვანი ალანებისა და ირანულენოვანი წარმართი ოსების ეკლესიურ ისტორიებს. ამიტომაც ყველას უჭირს ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა.

ამჟამად პოსტსაბჭოური ისტორიოგრაფიის ნებით, საყოველთაოდაა დამკვიდრებული მტკიცება, რომ ქრისტიანი ალანები ირანულენოვანი ხალხი იყო, რადგანაც ამჟამინდელი ოსები ირანულენოვანები არიან, მაგრამ ამის მტკიცება ხდება წყაროების იგნორირებით. აღნიშნული არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი დაბეჯითებით წერდა, რომ ქრისტიანი ალანები თურქულენოვანი ხალხი იყო. იგივე ცნობას იძლევიან „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ავტორები.

ალანები და ასები (იასები) თურქები არიან, ამას ამბობენ არაბი „აბულფედა“ (1273–1311) და „ქართლის ცხოვრებაც“.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ჩრდილო კავკასიაში დამკიდრებული ოსები „ხაზარების“, ანუ თურქულენოვანი ხალხის, შთამომავლები იყვნენ.

აბულფედა აგრეთვე წერდა, რომ ალანები სხვა ხალხი იყო, ოსები – კი სხვა. თუმცა, მისი სიტყვით, ორივენი თურქული წარმოშობისანი იყვნენ.

მიიჩნევა, რომ 965 წლის სენტის ბერძნულ წარწერაში იხსენიება ალანიის პირველი მიტროპოლიტი თეოდორე. ეს წარწერა უფრო საფუძვლიანადაა გამოსაკვლევი. იქნებ ამ წარწერაში ასახულია მხოლოდ სურვილი ბიზანტიისა და არა რეალობა, რადგანაც, სენტის ამ წარწერის მკვლევარის აზრით, ეს წარწერა თავდაპირველად ეწერა რაღაც სხვა საგანზე ან ფირფიტაზე, შემდგომ მისი წარწერა გადაუტანიათ და მოგვიანებით აღმოჩენილა სენტის კედელზე. ჩვენი ფიქრით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1032 წელს ბაგრატ მეოთხის ნახევარძმამ დემეტრემ გადასცა ანაკოფია ბიზანტიელებს, მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ალანიაში ბერძნული საეკლესიო დასის გაძლიერება 1074 წლამდე, ანაკოფიის გათავისუფლებამდე.

სენტის ტაძარში ეს წარწერა არის შეუსაბამო ადგილას, იატაკიდან ორ მეტრზე, იმ სიმაღალეზე, რომ მკითხველს მისი წაკითხვა გაუჭირდებოდა, გარდა ამისა, ეს წარწერა მალევე დაუფარავთ ფრესკების მრავალი ფენით (სხვადასხა საუკუნეში). ამასთანავე, ამ წარწერის აღმომჩენი (მე-20 ს-ში) წერს, რომ წარწერა თავდაპირველად შესრულებული უნდა ყოფილიყო არა კედელზე, არამედ რაიმე საგანზე (ფირფიტაზე), რომელიც, ჩანს, შორი ადგილიდან მოუტანიათ და ის გადაუწერიათ კედელზე. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა, არა სენტის ტაძრის აგებისას, არამედ სხვა დროს, ვინმემ სადმე იპოვა (შესაძლოა, ანაკოფიაში) ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი ეს წარწერა, და რადგანაც ის ეკლესიური შინაარსისა იყო, გადაიტანა სენტის ტაძრის კედლის მიუდგომელ ადგილას, ყველასაგან დაფარულად.

ანაკოფია იქამდე უმეტესად ბიზანტიელთა ხელში იყო, ამასთან ანაკოფია – კავკასიის ალანია ერთ გეოგრაფიულ რეგიონად მოიაზრებოდა. საფიქრებელია, რომ კონსტანტინოპოლს სურდა კავკასიის ალანიის სამიტროპოლიტო ცენტრი დაეარსებინა ანაკოფიაში.

ანაკოფია ქართველმა მეფეებმა დაიბრუნეს 1074 წელს და იქ აღადგინეს აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია. ამიტომ ანაკოფიაში არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ადგილი ალანიის ბერძენი მიტროპოლიტისათვის. ბიზანტიამ ამ მხარეში კრახი განიცადა. მან ვერ შეძლო კავკასიის ალანიაში ეპარქიის დაარსება. ბიზანტიამ ამის საკომპენსაციოდ ალანიის ეპარქია დააარსა დონისპირეთის სტეპებში მომთაბარე ალანებისათვის, მაგრამ სტეპების მომთაბარე ალანების ეპარქიაში არ აღმოცენდა ქალაქი ალანიის სამიტროპოლიტო კათედრისათვის.

ეს იყო პრობლემა ბიზანტიური მხარისათვის, გამოსავალი უპოვნია ანაკოფიის შესაძლო მეპატრონეს, მეფე ბაგრატ მეოთხის ქალიშვილს მარიამ ალანელს. ალანიის მღვდელმთავრის კათედრა მარიამ ალანელის თანადგომით 1084 წლისათვის დაუარსებით იმჟამად ბიზანტიურ ქალაქ სოტერიოპოლში, ლაზიკაში.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაში ქართული ეკლესიის იურისდიქცია ისტორიულად ისეთი მტკიცე ხასიათისა იყო, რომ საუკუნეთა შემდგომ, თვით რუსებიც კი აღიარებდნენ ამას, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს.

მაგალითად, 1875 წელს დაარსებული ვლადიკავკაზის კათედრა დაექვემდებარა ქართლ-კახეთის საქორეპისკოპოსოს (ვიკარიატს).

1885 წელს ვლადიკავკაზის კათედრა საქართველოს საეგზარქოსოში შეიყვანეს და მას დაუმატეს თერგის და დაღესტნის ოლქები.

(http://www.hierarchy.rerigale.ru /h–orthod–russian–vladikav.html)

ასე, რომ თერგისა და დაღესტნის ოლქები რუსების დროსაც კი, მე-19 ს-ის ბოლომდე, საქართველოს საეგზარქოსოში შედიოდა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მოციქულთა ეპოქიდან განსაკუთრებით კი მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ მე-19 ს-ის ბოლომდე ჩრდილო კავკასია ძირითადად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ბიჭვინთის კათედრა აფხაზეთის (კავკასიის) ალანიასთან
(ანაკოფია-ალანია)

ბაგრატ IV-ის ქალიშვილს „მარიამს“ (მართას), რომელიც მიათხოვეს იმპერატორ მიხაილ VII დუკას, ბერძნები (ბიზანტიელები) უწოდებდნენ „მარიამ ალანს“ (რუს. „მარია ალანსკაია“ იხ. პრავასლ. ენც. ტ. VIII. გვ. 218), ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ მისი საკუთარი (საპატრონო) ქვეყანა მდებარეობდა აფხაზეთის იმ კუთხეში, რომელსაც „ალანია“ ერქვა ბერძნულ სამყაროში და ქართულ წყაროებში. შესაძლოა, ანაკოფია მარიამის საუფლისწულო იყო, ეს ქალაქი აფხაზეთის ალანიაში მდებარეობდა.

ამ ალანიაში სურდა ალანიის ბერძნული კათედრის დაარსება პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსს და ამის შესახებ ბევრს წერდა და თხოვდა აფხაზთა მეფეებს.

აფხაზეთის ალანია მდებარეობდა ანაკოფიიდან მარუხის და ზელენჯუკის მიმართულებით.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ეს გეგმა ვერ განახორციელდა, მის ნაცვლად აფხაზთა მეფეებმა კავკასიის „ალანია“ დაუქვემდებარეს ქართული საკათალიკოსო ცენტრს. იგულისხმება იქვე მდებარე ბიჭვინთის კათედრა, რის გამოც ალანიის ბერძენ სასულიერო პირთათვის აღარ არსებობდა ადგილი კავკასის ზღვისპირა ალანიაში, მით უმეტეს, რომ მთების ალანიიდან ისინი გააძევეს ალანთა მეფეებმა.

ამ ფაქტის გამო კონსტანტინოპოლმა ალანიის მიტროპოლიტს საკათედრო ადგილად გამოუყო მონასტრები და ეკლესიები ტრაპეზუნტის რეგიონში, გადასცა მას სამწყსო ყირიმსა და აზოვისპირეთში, რადგანაც აზოვ-დონისპირეთიც ალანიად იწოდებოდა, ხოლო მისი სამიტროპოლიტო ცენტრი განთავსდა ტრაპეზუნტთან, ალანიისაგან ძალზე დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში.

მონგოლ-თათართა შემოსევების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ჩრდილო კავკასიაში შესუსტდა, ხოლო ალანიის სამეფო შეეწირა ამ შემოსევებს. შემდეგში, თემურ-ლენგმა საერთოდ მიზანმიმართულად აღმოფხვრა ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში, რადგანაც მის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველო თავის ჯარს ჩრდილო-კავკასიელი მოლაშქრეებით ავსებდა.

მიუხედავად რვაჯერ შემოსევისა თემურ-ლენგმა ვერ შეძლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება. მემატიანის ცნობით თემურმა იკითხა თუ რა იყო საქართველოს სიძლიერის მიზეზი. მას აცნობეს, რომ საქართველოს გავლენის სფეროში შემავალი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანული ლაშქარი უწყვეტად ავსებდა საქართველოს ჯარს. ამიტომ თემურმა განახორციელა დიდი მანევრი. ის კასპიის ზღვის გზით (დერბენდის გავლით) შეიჭრა ჩრდილო კავკასიაში, მთისწინეთში ამოხოცა ადგილობრივი მოსახლეობა და გააუდაბურა უვრცელესი ტერიტორია, იქ ჩაასახლა ახალი მოსახლეობა – ადიღეური და ვოლგისპირულ-ურალურ-ყაზახურ-ციმბირული წამოშობის ტომები. მიზანმიმართულად დაავალდებულა ისინი ეღიარებინათ ისლამური სარწმუნოება. ჩრდილო კავკასიის მთებში შემორჩენილი ქრისტიანული მოსახლეობის დაუ-

ძლურებული ნარჩენები მალევე დაიმორჩილეს ახალშემოსულმა ტომებმა. მათი ურთიერთშერევითა და მოსულთა მიერ დამხდურთა ასიმილიაციის შედეგად ჩრდილო კავკასიაში XV–XVIII სს-ში ჩამოყალიბდა ახალი ეთნოჯგუფები ახლი ენებითა და დიალექტებით, რომელნიც ერთდროულად, როგორც კავკასიური, ასევე არაკავკასიური ელემენტებისაგან არის შემდგარი.

რატომ ეწოდა აფხაზეთის ერთ ნაწილს ალანია? ალანიის სამიტროპოლიტოს დაარსებამდე, ცნობილი სპარსულ ბიზანტიური ომის დროს, რომელიც ლაზიკის დასამორჩილებლად გაიმართა, მე-6 საუკუნეში, ბიზანტიელებმა კავკასიაში სპარსელებთან საბრძოლველად მოიწვიეს ალანი მეომრები. ბიზანტიელთა მფარველობის გამო ალანური მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ჩრდილო ნაწილი, კერძოდ, ის მიწა-წყალი, რომელსაც შემდგომ აფხაზეთი ეწოდა. რ. თოფჩიშვილს მოაქვს ალემანის კვლევა იმის შესახებ, რომ აგათიას ცნობით, ალანების ქვეყანაში გადასასვლელი მდ. გიპუსის (კოდორის) ზემო წელთან იყო (ა. ალემანი, ალანები ძველ და შუასაუკუნეთა წერილობით წყაროებში, მოსკოვი, 2003, გვ. 238). „აგათია (536–582) მოგვითხრობს, რომ 552–558 წლებში მისიმიანების ჩრდილოეთით ალანების საზღვარი და ალანების ქვეყანაში გადასასვლელი მდ. გიპუსის (კოდორის) ზემო წელიდან იყო“ (რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, 2008, გვ. 38).

თუ ალანის საზღვარი VI ს-ში მდ კოდორამდე აღწევდა, მაშინ, შესაძლოა, მართლაც, ანაკოფია ოს მეფეთა ხელში იყო მოქცეული და მათ ქართველი მეფეები ეუფლებოდნენ თავიანთი ალანი მეუღლეების წყალობით, რომელთაც, ჩანს, მზითევის სახით ეძლეოდათ ეს ციხეები.

ბაგრატ IV-ის მეუღლე ოსთა მეფის ასული ბორენა იყო. მათ ქალიშვილს, ალბათ, ამიტომაც „მარიამ ალანელის“ წოდებით იცნობდნენ ბიზანტიაში. საფიქრებელია, რომ ის აფხაზეთის ალანიას საუფლისწულო მამულის სახით ფლობდა კიდეც.

ჩანს, აქ, აფხაზეთის ალანიაში, სურდა ნიკოლოზ მისტიკოსს ალანიის კათედრის დაარსება, რაც არ ინება ჯერ აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-მ (893–922), შემდეგ კი მისმა შვილმა მეფე გიორგი II-მ (922–957). ამიტომაც ევედრებოდა მათ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზი საცხოვრებელი და სამოღვაწეო არეალი მიეცათ ალანიის ეპისკოპოსისათვის.

აფხაზ მეფეთა რეაქცია მძაფრი და გმირული იყო. ბერძნული საეპისკოპოსო კათედრების ნაცვლად მათ ამ ე. წ. აფხაზეთის ალანიაში დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები და, უფრო მეტიც, საკათალიკოსო ცენტრი ცნობილი ბიჭვინთის კათედრა. ბიჭვინთის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოსთან ერთად დაუქვემდებარეს ჩრდილო კავკასიის მართლმადიდებლობა

ამ რეალური ფაქტის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა ალანიის ეპარქია სხვაგან, აზოვ-დონისპირეთის ოლქში დაეარსებინა.

ბიჭვინთა ტერიტორიულად, იმჟამად, VI–X საუკუნეებში, მოქცეული იყო ქვეყანაში, რომელსაც „ალანია“ (აფხაზეთის ალანია) ერქვა. ამის ანარეკლია წყაროთა ცნობები ალანიის ოლქის აფხაზეთის მიწა-წყალზე მდებარეობის შესახებ.

ქართულ წყაროთა ცნობებით, ქართლის სამეფოს საზღვარი ამ მიდამოებში აღწევდა ჯერ მდინარე ეგრისწყლამდე (ფარნავაზისა ხანაში), შემდეგ კი – კლისურაზე (ვახტანგ გორგასლის შემდეგ). შესაბამისად, აქამდე აღწევდა ქართლის (მცხეთის) კათალიკოსის იურისდიქცია. ამავე წყაროთა ცნობით, ისინი იყვნენ სასაზღვრო მდინარეები ბიზანტიის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის, რადგანაც აქამდე აღწევდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაც არაბების კავკასიაში შემოსვლამდე.

ვითარება შეიცვალა არაბთა შემოსევების შემდეგ. ბიზანტია დასუსტდა და ჩრდილო შავიზღვისპირეთი ხაზართა გავლენის სფეროდ იქცა. მათ აქ შეძლეს ალანების შევიწროება და ბიზანტიელების გავლენის სფეროს დაუფლება. შესაბამისად, იქამდე ბიზანტიელთა ერისთავი აფხაზეთში ლეონ I განუდგა ბიზანტიელებს ხაზართა დახმარებით და აფხაზეთს (ე. ი. მდ. ყუბანიდან ვიდრე მდ. ბზისწყლამდე მდებარე ქვეყანას) დაეუფლა. სხვა საკითხია ის, რომ მდ. ბზიფისწყლიდან ვიდრე მდ. კელასურამდე ქვეყნის ერთ ნაწილს ალანია ერქვა, რაც ძველი ვითარების ანარეკლი იყო. მან შეირთო ქართლის მეფის ქალიშვილი გურანდუხტი და ლეგიტიმური გზით ქართლის ხელმწიფეთა მემკვიდრედ იქცა. მისი საერისთავო შესაბამისად ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის ნაწილად იქცა. ბიზანტიური სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება გაუქმდა და ის ქართულით შეიცვალა. შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა საეკლესიო სფეროშიც. აფხაზეთში ქართული ეკლესიის გაძლიერებისათვის იღვწოდნენ აფხაზთა მეფეები ლეონ II (798–806), თეოდოს II (806–825), დემეტრე II (825–861), გიორგი I (861–868), იოანე (868–881) და ადარნასე (881) შავლიანები და ბაგრატ I (881–893). კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, როგორც მოღწეული მისი წერილებიდან ჩანს, ძალზე შეეცადა აფხაზეთის ალანია თავისი იურისდიქციის ქვეშ მოექცია იქ ალანიის სამიტროპოლიტო კათედრის დაარსებით. სავედრებელ წერილებსაც წერდა ამ მიზნის მისაღწევად აფხაზთა მეფეებს კონსტანტინე III-სა და გიორგი მეორეს, მაგრამ მათ, როგორც ითქვა, დააარსეს ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა. როგორც ჩანს, მცხეთამ იქამდე თავის იურისდიქციაში მყოფი მთელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი დაუთმო აფხაზეთის საკათალიკოსოს. შესაბამისად, აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვარი, როგორც საეკლესიო წესი მოითხოვდა, დაემთხვა აფხაზეთის სამეფოს საზღვარს. მასში დასავლეთ საქართველოსთან ერთად მოექცა მდ. კლისურას იქით, მდ. ყუბანამდე მოქცეული ტერიტორია. ბიზანტიის ინტერესები არ იქნა გათვალისწინებული. ბიჭვინთის კათედრა დაარსდა X საუკუნეში აღნიშნული მეფეების მიერ ბიზანტიის საეკლესიო პრეტენზიების გასანეიტრალებლად.

აფხაზთა მეფეებმა ბიჭვინთის გარდა კიდევ მრავალი სხვა ქართული საეპისკოპოსო კათედრა დაარსეს კუმურდოდან ჭყონდიდის ჩათვლით. ისინი იმჟამად იყვნენ ქართული საეკლესიო და საერო სამყაროს მეთაურები და მათ შეეძლოთ სიახლეები დაენერგათ ქართულ ეკლესიაში. მათი მზრუნველობით ქართული ეკლესია გაბრწყინდა X ს-ის შემდეგ.

კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში

(ილიჩევსკის არქეოლოგიური აღმოჩენის მიხედვით)

მიხეილ ლოჟკინი თავის წერილში – შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლები კრასნოდარის მხარეში / ძეგლის მეგობარი. 1981–57. გვ. 30–35.- წერს:

„ადრე შუა საუკუნეების ილიჩევსკის ნაქალაქარის (XI–XIII სს.), არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც ჩატარდა 60-იან წლებში კრასნოდარის პედაგოგიური ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ნ. ვ. ანფიმოვი), აღმოჩენილ იქნა ქართულ სტილში შესრულებული ქრისტიანული ეკლესიის ფუნდამენტისა და კედლების ნანგრევები. ნაქალაქარი მდებარეობს კრასნოდარის მხარის ოტრადნენსკის რაიონში, ზეგანზე, მდინარე ურუპის მთის მდინარეების კუვისა და გამოვსკის ტყით დაფარულ ხეობებს შორის. მიმდინარე გათხრების დროს ამ მდელოზე აღმოჩნდა XI–XIII საუკუნეების ხუთი ქრისტიანული ეკლესია. სამი ძეგლი უდაოდ ქართული სტილისაა. როგორც ფუნდამენტის, ისე კედლების (სიგანე 0,8-დან 0,9-მდე, სიმაღლე 1 მდე) საშენ მასალად გამოყენებულია მტკიცე კირქვის ბლოკები და დამუშავებული ფოროვანი კირქვის კვადრები, რომლებიც კირხსნარის დუღაბით არის შეერთებული. შიდა და გარე კედლების წყობას შორის ადგილი შევსებულია ჭყორდუღაბით; შენობის შიდა კედლები მობათქაშებულია, აქა – იქ შეიმჩნევა შელესვის კვალი; შემორჩენილია საკარე ღიობები სამხრეთ და დასავლეთ ფასადზე. გამოვლენილია ფოროვანი კირქვისაგან დამზადებული და საგანგებოდ დამუშავებული საკურთხევლის შემაღლების ხუთი ფილა. აფსიდის იატაკი შედგება მტკიცე კირხსნარის ფენისაგან (ივ მ), ხოლო დარბაზის იატაკი მოპირკეთებული იყო კირქვის ბრტყელი ფილებისაგან; ზოგიერთი მათგანი შემორჩენილია სამხრეთი კედლის ახლოს. იატაკის მთელი დანარჩენი ფართობი გადათხრილია.

Средневековые памятники грузинской архитектуры в Краснодарском крае. Дзеглис Мегобари.

ნაპოვნია დაახლოებით სამასამდე ორნამენტირებული კანკელის ფრაგმენტი, დიდი ნაწილი დაკარგულია, განადგურებულია მონღოლი დამპყრობლების მიერ XIII საუკუნეში; ეს იყო პერიოდი, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრება ამ ქალაქში ჩაკვდა. საქართველოში აქ განხილული კანკელის სრულ ანალოგიებს ვხვდებით (სოფ. პოკროვსკოე აფხაზეთის ასსრ; სათხე, მერია). ისინი თარიღდებიან XII–XIII საუკუნეებით. კანკელის შექმნის ადგილი გამოურკვეველია. ჯერჯერობით ჩრდილო კავკასიაში ეს ერთადერთი აღმოჩენაა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება. ტაძრის არქიტექტურული მხარე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ააგო ქართველმა ოსტატმა, უფრო ზუსტად ძეგლის მშენებელი დასავლეთ საქართველოდან ან აფხაზეთიდან უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ტერიტორიები უფრო ახლოა ყუბანის აუზთან. ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლების

აღმოჩენა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ურუპზე ეწინააღმდეგება ისტორიულ ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, რომ დასავლეთ ალანებში ქრისტიანობა ბიზანტიიდან გავრცელდა. ცნობილია, რომ ალანებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა X საუკუნის I ნახევარში (913–925 წწ), რაც ბიზანტიელი მისიონერების ფეოდალური აფხაზეთის მმართველების აქტიური მონაწილეობით მოხდა, მაგრამ ქრისტიანობის შეტანისა და განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სოციალურ-ეკონომიური აღმავლობის პერიოდში მყოფმა საქართველომ XI–XII საუკუნეებში. ილიჩევსკის XI–XIII ს-ის ნაქალაქარ ...ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ავტორმა გააკეთა მოხსენება: „კრასნოდარის მხარეში, ოტრადნენსკის რაიონში, ილიჩევსკის ნაქალაქარის ძეგლი 1-ის ქვის კანკელი“.

ილიჩევსკის აღმოჩენა ადასტურებს მოსაზრებას, რომ ეს რეგიონი იმყოფებოდა არა ბიზანტიურ, არამედ ქართულ იურისდიქციაში.

ქართველი მეფის ალანი მეუღლე

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაძლიერებული იყო ალანთა ტომი (მონღოლების შემოსევამდე), მათ სახელმწიფოც გააჩნდათ აფხაზეთის უშუალო მომიჯნავედ. საქართველოს მეფეები ცდილობდნენ მათთან დამოყვრებას, ირთავდნენ ალან მეფეთა ასულებს.

გიორგი I-ს შეურთავს „ოსთა მეფის ასული“ (პირველი ცოლის შემდეგ).

„მის მეორე ცოლს, გიორგი კედრენეს სიტყვით, ალდე რქმევია. გიორგის გარდაცვალების შემდეგ დედა და შვილი ცხოვრობდნენ ციხე ანაკოფიაში. დემეტრე თავის გვირგვინოსან ნახევარძმას (ე.ი. ბაგრატ IV-ს) არ ენდობოდა. ამიტომ წარვიდა. მიმართა ბერძენ მეფესა და წაუტანა თანა ანაკოფია აფხაზთა მეფეთა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 140), ე.ი. ალანთა დედოფალმა ალდემ და მისმა შვილმა დემეტრემ ანაკოფია კეისარს გადასცეს 1032 წლისთვის.

ამ ციხის ბერძნებისაგან გასათავისუფლებლად ქართველებმა მრავალი ათეული წელი იბრძოლეს. აქედან ჩანს, რომ ანაკოფია კავშირშია ალანიასთან, რადგანაც ბიზანტიელთა ლაშქარი აფხაზ მეფეებს მრავალჯერ დაუმარცხებიათ. მხოლოდ გიორგი II-ს (დავით აღმაშენებლის გამეფების წინ) აუღია ანაკოფია: „შემდგომ ამისა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი, წაუხვნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ (ქ.ც. I, 1955, გვ. 317).

თვითონ ბაგრატ IV-ს ცოლად ჰყავდა „ოსთა მეფეთა ასული ბორენა“. ასევე იმ ეპოქის სხვა მრავალ ქართველ მეფეს, რაც, როგორც ითქვა, კავკასიის ალანთა (ოსთა) სამეფოს საქართველოს სახელმწიფოებრივ და საეკლესიო სფეროში შეყვანით იყო განპირობებული. ჩრდილო კავკასიელ ალანების გაქრისტიანების საქმეში მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს. ამ სამეფოს წევრები ქართული ეკლესიის ერთგული მრევლი იყო, მაგალითად მოღწეულია ბორენა დედოფლის ქართულ ენაზე დაწერილი სადიდებელი ლექსი.

„ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა ლიხიდან მდ. ყუბანამდე („მდინარე მცირისა ხაზარეთისა“), ძვ. წ. მე-4, მე-3 სს.-ში ეგრისის ერისთავ ქუჯის შემწეობით დაარსდა ქართლის სამეფო.

ფარნავაზ-ქუჯის მიერ დაარსებულ „ქართლის სამეფოში“ ისტორიული ეგრისის მხოლოდ ერთი ნაწილი შესულა, კერძოდ, ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გავლებულ იქნა მდ. ეგრისწყალზე, რომელზეც მდებარეობდა ქალაქი ბედია.

მაშასადამე, ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვარი ბედიასთან გადიოდა.

მდინარე ეგრისწყალი ამავე დროს ყოფილა საზღვარი ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის ალექსანდრე მაკედონელის დროიდან (ქ.ც., 1955, I, გვ. 177). ვახტანგ გორგასლის შემდგომ ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია უფრო ჩრდილოეთით და დაიდო მდინარე კლისურაზე (კელასურზე). მას ერქვა „ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისში“.

მდ. კელასურის დასავლეთ სანაპირო მხარე იყო „ქართლის სამეფო“. საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის აქ, მდ. კელასურზე და, უფრო ადრე მდ. ეგრისწყალზე რომ ყოფილა, ეს ჩანს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ცნობიდანაც. კერძოდ კი, იმპერატორის ბრძანებიდან (VIII ს. დასაწყისში). ქართლის სამეფოს ამ საზღვართან დაკავშირებით კეისარი შემდეგ ბრძანებას აძლევს თავის მოხელეს – აფხაზეთის ერისთავს ლეონ I-ს: **„ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება. ხოლო შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა, შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერიდან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“** (ქ.ც. I. გვ. 240).

ამ ბრძანებაში ორჯერაა ნახსენები ქართლის სამეფოს საზღვრები, რომელთაც იქამდე ბიზანტიელები ხშირად არღვევდნენ („საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება“), ამიერიდანო კი, წერს იმპერატორი, ჯეროვნად უნდა სცე პატივი ქართლის მეფეებს და მათი სამეფოს საზღვრებს ეგრისში („ამიერიდან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“), ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისში, როგორც ითქვა, იმჟამად მდ. კლისურაზე გადიოდა, მაშასადამე, ამ საზღვრის დარღვევა აკრძალა კეისარმა.

ბრძანებაში ჩამოთვლილია ის დამსახურებანი, რომელნიც მიუძღოდათ ქართლის მეფეებს ბიზანტიის იმპერიის წინაშე. ამის შემდეგ იმპერატორი თავის ერისთავს წერს: დამსახურებათა მიუხედავად ჩვენ ხშირად ვარღვევდით ქართლის მეფეთა საზღვრებს ეგრისში, ახლა კი არაბების შემოსევის გამო საჭიროა, დავაფასოთ მათი დამსახურებანი და აღარ დავარღვიოთ ქართლის საზღვრები. ამიტომაც შენ გიბრძანებ, წერს კეისარი აფხაზეთის ერისთავს, აღარ დაარღვიო ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისშიო. ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ

ქართლის სამეფოს საზღვარში ეგრისი შედიოდა VIII ს-ის დასაწყისში და ეს საზღვარი მდ. კლისურაზე (კელასურზე) იდო, ხოლო კლისურადან ყირიმის მიმართულებით ტერიტორიებს ბიზანტია მართავდა, თუმცა მათ უკვე ხაზარები მეტოქეობდნენ ამ მხარეში.

რომელი ტომი იყო ჰეგემონი VIII ს-მდე კლისურადან – ვიდრე ყუბანამდე?

იქაური მკვიდრი მოსახლეობა ყოფილა „ეგრისელები," რომელიც ბიზანტიურ მფლობელობაში იყვნენ, მათ დასათრგუნად აქ ბიზანტიელებმა შემოიყვანეს ალან მებრძოლთა რაზმები. ე.ი. ეგრისელები ორ პოლიტიკურ ნაწილად იყოფოდნენ, ერთი – ქართლის სამეფოში, მეორე კი – ბიზანტიურ მფლობელობაში („ქართლის ცხოვრების" მიხედვით, როგორც ითქვა, ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა ლიხიდან მდ. ყუბანამდე, ეგრისელები იყვნენ თვით ეგრისელები, სვანები და აფხაზები, VIII საუკუნიდან).

კლისურადან ყუბანამდე მდებარე ქვეყანა ტერიტორიულად შედიოდა საბერძნეთის იმპერიაში (ანუ ბიზანტიაში). ბიზანტიელები მკვიდრი მოსახლეობის აჯანყებათა დასათრგუნად დაპყრობილ ტერიტორიაზე რომელიმე სხვა ტომს გააბატონებდნენ ხოლმე.

შესაბამისად, აქ, როგორც ქართული, ისე ბერძნული წყაროებიდან ჩანს, VI–VII სს-ში ბიზანტიელებს გაუბატონებიათ ალან მებრძოლთა რაზმები. ალანებისა და ბიზანტიელების მეგობრობის შესახებ სპარსელი შაჰებიც მიუთითებდნენ VI საუკუნეში ბიზანტიელებთან მოლაპარაკებების დროს.

ამ მიზეზის გამო ჩრდილო კავკასიის ამ ნაწილში ხაზარების გაბატონებამდე ალანებს ჰეგემონობა ჰქონდათ თავის ხელში აღებული, მათ შორის შავიზღვისპირეთის მთებშიც, ამიტომაც იმჟამინდელი (ე.ი. VI–VII სს.) კავკასიის ალანია შემდგომ აფხაზეთად სახელდებულ ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრებოდა.

ბიზანტიელთა მოკავშირე ალანები აქედან შედიოდნენ დასავლეთ საქართველოში სპარსელებთან საომრად მე-6 ს-ში.

ქართული წყაროებიც იმ ტერიტორიის ნაწილს, რომელსაც შემდგომ საკუთრივ აფხაზეთი ეწოდა, ალანიას უწოდებდნენ. ეს იყო კლისურას იქით ტერიტორიის ნაწილი.

თამარის ისტორიკოსი წერს: „გიორგი III „ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიოს ზღვად პონტოსად და მოინადირის ალანთა ქვეყანა, რომელიც არს აფხაზეთი" („ისტორიანი და აზმანი" ქ.ც. II, 1959, გვ. 15).

ალანია გვიან შუა საუკუნეებშიც კი ერქვა აფხაზეთის ერთ ნაწილს.

ბიზანტია-სპარსეთის ომისას ბიზანტიელთა ნებით ალანებს, ვითარც ბიზანტიელთა მოკავშირეებს, აქ ფეხი ჰქონდათ მოკიდებული, ე.ი ციხე-სიმაგრეები და მნიშვნელოვანი პუნქტები ეჭირათ გარკვეული დროით.

ალანთა შემდგომ ჩრდილო კავკასიის ამ ნაწილში ხაზართა გავლენა გაძლიერებულა არაბების შემოსევების შემდგომ

თურქულენოვანი ქრისტიანი ალანები

(აბულფედა და „ქართლის ცხოვრება“ ალანებისა და ოსების თურქულენოვნების შესახებ)

ალანები კრებითი სახელი იყო სხვადასვა მომთაბარე ტომისა, რომელიც განფენილი იყო ძალზე ვრცელ მიწა-წყალზე ალტაიდან დუნაიმდე და კიდევ უფრო ვრცლად. შესაბამისად, ენობრივად, ალანები, ასევე, კრებითი სახელი იყო სხვადასხვა ენის მქონე, ძირითადად ირანულენოვანი და თურქულენოვანი ტომებისა, ამიტომაც დღემდე სადავოა ძველი ალანების ენობრივი კუთვნილების საკითხი. ბოლომდე დაუდგენელია, ისინი ირანულენოვანები იყვნენ თუ თურქულენოვანები.

ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ალანებისა და ოსების ენობრივი კუთვნილების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მართალია, ამჟამად ოსები ირანულენოვან ხალხად მიიჩნევა, მაგრამ არსებობს ცნობები, რომ ძველი ალანები, რომელნიც მონღოლებისა და თემურ ლენგის ლაშქრობამდე ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში, იყვნენ თურქულენოვანები.

მონღოლების ბატონობამ გაანადგურა კავკასიის ალანია. ამიტომაც ქრისტიანი ალან-ოსები (ე.ი. თურქულენოვანი ალანები) გაქრნენ ასპარეზიდან, მაგრამ თემურ ლენგის კვალდაკვალ, დაახლოებით საუკუნის შემდეგ, ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ სხვა წარმოშობის წარმართი ირანულენოვანი ტომები. ისინი კასპიისპირეთის მხრიდან შემოყოლიან მონღოლებს, ვითარცა მოკავშირეები. თურქულენოვანი ქრისტიანი ალანები მტრობდნენ და ებრძოდნენ მონღოლებს, ხოლო ირანულენოვანი ოსები, პირიქით, მონღოლთა მოკავშირეები იყვნენ და დაპყრობილ ხალხებს საბოლოოდ უმორჩილებდნენ ქვეყნის ახალ - მეპატრონეებს.

არსებობს წყაროები, რომელნიც იძლევიან ცნობებს, რომ თემურ-ლენგამდე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანი ალან-ოსები იყვნენ თურქულენოვანი ხალხები, ხოლო თემურ-ლენგის შემდგომ გამოჩენილი წარმართი ტომები იყვნენ ირანულენოვანები.

არაბმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა აბულფედამ თავის შესანიშნავ გეოგრაფიულ თხზულებაში („ქვეყნიერების მოწესრიგება“) აღწერა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, კავკასიის ჩრდილო რეგიონში მოსახლე ხალხები.

ამ აღწერაში ენობრივი კუთვნილების მხრივ მნიშვნელოვანია აბულფედას ცნობა, ალანები და მათი მეზობელი ასები (ოსები) თურქული მოდგმის ხალხი (შესაბამისად თურქულენოვანი). ისინი ქრისტიანები იყვნენ. ისინი მონღოლებს ებრძოდნენ და მათ მიერვე განადგურდნენ.

აბულფედა (1273–1331) წერს: „ალანები არიან თურქები, რომელთაც მიიღეს ქრისტიანობა. მისი მეზობელია ასევე თურქული რასის ხალხი, რომელთაც ასებს უწოდებენ, ეს ხალხი ამავე წარმოშობისაა, იმავე რელიგიისა, რომელიც აქვთ ალანებს“. „аланы являются тюрками, которые приняли христианство.… В соседстве находится народ тюркской расы, называемый асами; этот народ того же происхождения, той же, религии, что и аланы» (Абульфеда).

http:/www.blagos.ru /stranisty–istorii–1981/item/233–mixail–mamiev–kandidat–istoricheskix

აბულფედა ასების თურქულობის შესახებ ორჯერ მიუთითებს ერთ წინადადებაში. ჯერ წერს, რომ ასები თურქული რასის ხალხია. იქვე წერს, რომ ისინი იმავე წარმოშობისა არიან, რაც ალანები. ალანების თურქულობის შესახებ კი საგანგებოდ მიუთითა.

აბულფედა მტკიცედაა დარწმუნებული, რომ მისი დროის ალანები და ასები (ოსები) თურქული რასის, ანუ თურქულენოვანი ხალხები იყვნენ.

აბულფედას ეს ცნობა ჩვენს თანამედროვე ყარაჩაელ და სხვა მრავალ თურქულენოვან ისტორიკოსს არ აეჭვებს, ხოლო მოსკოვური ორიენტაციის მეცნიერებს არასანდოდ მიაჩნიათ, რადგანაც აბულფედა ამავე წყაროში რუსებსაც თურქულ რასას მიაკუთვნებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ აბულფედა თავის თხზულებაში თურქულ რასას მიაკუთვნებდა არა მთელ რუს ხალხს, არამედ მხოლოდ გუზების ტომის მეზობლად მცხოვრებთ. ის წერდა, რომ **თურქული რასის ქრისტიანი რუსები ემეზობლებოდნენ გუზებს**. ამიტომაც, შესაძლოა, ის რუსებად მოიხსენიებს გუზების მეზობელ თურქების ჯგუფს, რომელმაც ქრისტიანობა რუსებისაგან აითვისეს. აბულფედას სიტყვით, როგორც ითქვა, ყველა ეს ხალხი ქრისტიანი იყო.

აბულფედას ცნობას ეთანხმება „ქართლის ცხოვრება“.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ აბულფედაზე საუკუნეებით ადრე „ქართლის ცხოვრება“ იმავეს წერდა, რომ ოსები (თემურ-ლენგამდელი) არიან შთამომავლები თურქულენოვანი ხალხისა (წყაროში მათ „ხაზარები” ეწოდებათ).

„ქართლის ცხოვრება“ თემურამდელ ოსებს თურქული რასის ხალხს მიაკუთვნებს, თურქული რასის ხალხი აქ, ამ წყაროში, იმჟამინდელი მკითხველის გაგების შესაბამისად, „ხაზარებად“ იწოდებოდა (აქ თურქული რასის ხალხის აღსანიშნავად სიტყვა „ხაზარია“ გამოყენებულია შემდეგდროინდელი რედაქტორის მიერ). ოსების თურქულ წარმოშობას მიუთითებენ როგორც ლეონტი მროველი, ისე ვახუშტი ბატონიშვილი თავიანთ შესანიშნავ თხზულებებში.

ვახუშტი იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას კავკასიელი მკვიდრი ხალხების წარმოშობის შესახებ და მიიჩნევს, რომ თავდაპირველად ჩრდილო და სამხრეთ კავკასია ერთი წარმოშობის ხალხებით იყო დასახლებული და მათი საერთო წინაპარი თარგამოსი იყო. ჩრდილო კავკასია მისი ძეების ლეკანისა და კავკასოსის შთამომავლებს ეჭირათ. შემდეგ, ქრისტეშობამდე, ანუ ახალი ერის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ჩრდილო კავკასია დაიპყრო თურქულენოვანმა ხალხმა (მას, როგორც ითქვა, ავტორი „ხაზარებს“ უწოდებს, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას მათი თურქული წარმოშობისა და ენის შესახებ, ანუ ვინაობის შესახებ).

„ხაზართა” მეფის ძემ ურბანოსმა დაიპყრო თარგამოსის ძის კავკასოსის წილი ქვეყანა (ჩრდილო-დასავლეთ კავკასია) და „მოსწყვიდა ნათესავი კავკასოსი“, ანუ ამოხოცა მკვიდრი მოსახლეობა. ამის შემდეგ მის მიერ დაპყრობილ ქვეყანას „უწოდა ოვსეთი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება,” ტ. 4. 1973, გვ. 632).

ვახუშტიზე ადრე იმავეს, რომ ძველი ოსები თურქულენვანი ხაზარების შთამომავლები იყვნენ, წერდა ლეონტი მროველი. ის წერს, რომ ხაზართა მეფემ თავის ვაჟს უობოსს უბოძა თარგამოსის ძის კავკასის ქვეყნის ნაწილი. აქ „დაეშენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხორება,“ ტ.1. 1955, გვ. 12). ლეონტი ხაზართა მეფის ძეს უწოდებს „უობოსს“. ის ყოფილა კავკასიელი ოსების წინაპარი, ანუ მონღოლებამდელი კავკასიელი ოსები წარმოშობილან თურქ-ხაზარი წინაპრისაგან უობოსისაგან. მას ვახუშტი უწოდებს „ურბანოსს“. ის, როგორც ითქვა, ხაზარი (ხაზართა მეფის ძე) ყოფილა, მისგან წარმოშობილან კავკასიელი ოსები მონღოლებამდე მცხოვრებნი. შესაბამისად, ლეონტი და ვახუშტი მონღოლებამდე კავკასიაში მცხოვრებ ოსებს ხაზარული, ანუ თურქული წარმოშობის ხალხად მიიჩნევენ.

აბულფედა, ლეონტი მროველი და ვახუშტი მონღოლებამდე კავკასიაში მცხოვრებ ოსებს თურქულენოვნ ხალხად მიიჩნევდენ, მათ რიცხვს უერთდება სირიელი ალ-დიმაშკიც.

ალანებს თურქულ რასასთან აკავშირებს სირიელი ავტორი ალ-დიმაშკი. ის ალანებსა და დუნაის ბულგარებს ერთი წარმოშობის ხალხებად მიიჩნევს: „Приведем еще одно свидетельство – отрывок из компилятивного труда сирийского шейха Ал-Димашки (в пересказе А. Алеманя): „…аланы и дунайские болгары…так же, как и западные черкесы…граничат с русскими и, как считается, являются их братьями: все они – христиане“

.http:/www.blagos.ru/stranitsy–istorii–1981/item/233–mixail–mamiev–kandidat–istoricheskix–nauk–pismeniiye–pravoslavnom–o—xristianstve–v–srednovekov.

მაშასადამე, ალ-დიმაშკი, აბულფედა, ვახუშტი და ლეონტი მროველი თემურ ლენგამდელ ოსებს და ალანებს მიიჩნევენ თურქული მოდგმის ხალხებად. ამასთანავე, ალ-დიმაშკი და აბულფედა ალან-ოსებს მონღოლებამდე (თემურ ლენგამდე) პერიოდში ქრისტიანებად მიიჩნევდნენ.

წყაროთა ცნობები ალანებისა და ოსების სარწმუნოებისა და განსახლების შესახებ სრულიად შეიცვალა მონღოლების (უმეტესად, თემურლენგის) შემდეგ. თემურლენგის შემდგომი ოსები უკვე სხვა კულტურის ხალხად მიიჩნევა. ამასთანავე ის სხვა ეთნოსი ყოფილა.

ყველა წყარო ალან-ოსებს მონღოლებისა და თემურ ლენგის შემდეგ უკვე არა ქრისტიანებად, არამედ, წარმათებად მიიჩნევენ, რომელნიც ახლა ითვისებენ სარწმუნოებას, ეცნობიან და ითვისებენ ან მუსულმანობას, ანდა, უფრო მეტად ქრისტიანობას. ისინი კავკასიაში იღებენ ქრისტიანულ ელფერს, ამის მიზეზს ხსნის ვახუშტი ბატონიშვილი, ის წერს, რომ შემდგომი ოსები ქრისტიანობას შეეთვისნენ კავკასიის მთების ძველი ქრისტიანული ოლქის, დვალეთის, დაპყრობის შემდეგ.

მონღოლების შემდეგ წარმართმა ოსებმა დვალეთში შესვლისა და გაბატონების შემდეგ დაიმორჩილეს დაპყრობილი ქრისტიანი დვალები, მოახდინეს მათი ასიმილაცია და, შესაბამისად, მათგან შეითვისეს ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტები. ვახუშტი, ფაქტიურად, თვითმხილველი იყო ოსებში

დვალების ასიმილაციის პროცესისა. მას და მის უახლოეს ნათესავებსა და ინ-ფორმატორებს უშუალო შეხება ჰქონდათ დვალეთთან, რადგანაც ქართლიდან რუსეთში მიმავალი გზა, რომლითაც ინტენსიურად სარგებლობდნენ ისინი. უშუალოდ ამ ოლქსა და მის მეზობლად გადიოდა. ამასთანავე, ისტორიულად დვალეთი მისი ოჯახის (ქართლის სამეფო სახლის) მამულად, ოლქად მიიჩ-ნეოდა.

ვახუშტი წერს, რომ მონღოლთა შემოსევებამდე ჩრდილოკავკასიის სტეპებს „ოსეთი“ ერქვა, მონღოლების შემდეგ კი ამ სტეპებს „ჩერქეზი“ უწო-დეს, რადგანაც აქ უკვე აღარ ცხოვრობდნენ ალანები და მათ ადგილზე დაე-სახლნენ ადიღე-ჩერქეზული ხალხები.

ვახუშტი ფიქრობს, რომ მონღოლებს გადარჩენილი ოსების ერთმა ნაწი-ლმა თავი შეაფარა კავკასიის მთებს. ნაწილობრივ შეიძლება ასეც მოხდა, მაგ-რამ ენობრივი სიტუაციისა და სარწმუნოებრივი სახის მკვეთრი შეცვლა უფრო მიგვანიშნებს იმისაკენ, რომ თემურ-ლენგის კვალდაკვალ კავკასიაში, ალბათ, შუა-აზია-ყაზახეთ-კასპიისპირეთის მხრიდან შემოვიდნენ სულ სხვა გენეტი-კის მომთაბარე ტომები სარწმუნოებრივად წარმართები, ხოლო ენობრივად – ირანულენოვანები. ისინი დასახლდნენ ძველ ოსეთში და მათაც, აქ მოსახლეო-ბის გამო, ქართველებმა ოსები უწოდეს.

საერთოდ, მომთაბარეობა აიძულებდა ხალხებს, ხშირად და ზოგჯერ მუდმივად შეეცვალათ სამომთაბარეო არეალი, ანუ საცხოვრისი.

მონღოლებს ან თემურ-ლენგს შემოყოლილ ირანულენოვან წარმართ ტომებს სამომთაბარეო არეალად აუღიათ ჩრდილო კავკასიის სტეპები, რომე-ლსაც ისტორიულად ალანია (ოვსეთი) ერქვა (იქ უფრო ადრე თურქულენოვა-ნი ქრისტიანი ალანების ცხოვრების გამო), შემდგომ კი სტეპებიდან შესულან კავკასიის მთებში, კერძოდ, კი დვალეთში, დაუპყრიათ ის და გაბატონებულან ადგილობრივ დვალურ-კავკასიურ ტომზე. ამის შედეგად შეიქმნა ცენტრალუ-რი კავკასიის ოსეთი (ყოფილი დვალეთი), რომლის საზოგადოება ორ ფენად იყო დაყოფილი. მაღალი ფენა შემოსული „ოსები“ იყვნენ, დვალებზე გაბატო-ნების გამო მათ „გვარიანებს“, ანუ დიდებულებს უწოდებს ვახუშტი, დაბალი ფენა კი იყვნენ ადგილობრივი დვალები, რომელთა ასიმილაციაც მიმდინა-რეობდა ოსებში.

ირანულენოვანი ტომები ძველი ოსეთის სტეპებიდან ადიღე-ჩერქეზულ ტომებს გაუძევებიათ, რადგანაც, ვ. მილერის კვლევით, ჩრდილო კავკასიის სტეპებში მუდმივად ერთმანეთს ცვლიდა სხვადასხვა მომთაბარე ტომი.

ვახუშტი წერს: „შემდგომად ჩინგიზ ყაენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა. იწოდნენ ოვსეთი ჩერქეზად, ანუ ყაბარდოდ და კავკასიათა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან, ოვსეთად, რამეთუ აწცა გვა-რიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – ვალად დვალადვე“ (ვახუშტი, ქ.ც., 4. გვ. 634).

უფრო სავარაუდოა, რომ მე-14 ს-ში, მონღოლთა მიერ ქრისტიანული ალანიის განადგურებიდან დაახლოებით საუკუნის შემდეგ, ჩრდილო კავკა-სიაში შესულ ახალ დამპყრობლებს თან შემოყვნენ სხვა წარმოშობის, მათი მო-

კავშირე წარმართი, ოღონდ ირანულენოვანი ტომები, ხოლო თურქულენოვანი ქრისტიანი ალანები და ოსები, მონღოლთა მტრები, გაქრნენ. მათი სახელი კი მიიღეს ახალმა ირანულენოვანმა ტომებმა, მათაც ოსები ეწოდათ.

თანდათანობით, ირანულენოვანი ოსები ჩრდილო კავკასიის ბარიდან შევიდნენ კავკასიის მთებში, დაიპყრეს ქრისტიანული დვალეთი, გაბატონდნენ იქ. ყოფილ დვალეთს ახლა უკვე ოსეთი ეწოდა დაახლოებით მე-16 – მე-18 საუკუნებში.

იქამდე დვალეთი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა და ამ სტატუსს, გარკვეულწილად, შემდგომაც ინარჩუნებდა. დვალეთის ოლქი, როგორც ითქვა, ქართლის საკათალიკოსოს ნიქოზელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. ვახუშტი წერს: „ლიახვს გაღმა არს ეკლესია ღვთაებისა. გორგასალ ჰყო საეპისკოპოსოდ და დასვა ეპისკოპოსი. ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ“ (ქ.ც., ტ. 4, 1973, გვ. 370). ასეთი ვითარება დვალეთში შეიქმნა თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ იოანე ცეცეს ალანური ფრაზა – თურქულია

აღინიშნება, რომ ბიზანტიელმა პოეტმა ი. ცეცემ (1110–1180 წწ.) თავის „თეოგონიაში“ დააფიქსირა მისალმების ფრაზა ლათინურ, ებრაულ, არაბულ, თურქულ და ალანურ ენებზე. ალანურ ენაზე მისალმების პირველი ფრაზა იხსნება ყარაჩაულ-ბალყარული ენით. ეს ფრაზაა: „დღე მშვიდობისა პატივცემულო ქალბატონო“

http://irinadubcova.com.ru/red/3815–alanskie–frazy–privetstviya–iz–quotteogoniiquot–1.html

აუცილებელია ხაზგასმა, რომ ვერცერთმა მკვლევარმა ვერ შეძლო წაეკითხა ალანური ფრაზა ოსური ენის საფუძველზე.

თუ ალანები ოსების წინაპრებია და თუ ალანური ენა არის ოსური ენა, მაშინ მისალმების ალანური ფრაზა რატომ არ იხსნება ოსური ენის საფუძველზე?

ენობრივი მასალები, რომლებსაც ეყრდნობოდა ვს. მილერი, ხშირად წარმოადგენს ოსურ ენაში შესულ ბალყარიზმებს.

როგორც ცნობილია, ალანები და იასები ჯერ კიდევ ჰუნებამდელ დროს მომთაბარეობდნენ აღმოსავლეთის ზღვებიდან დნეპრამდე და მრავალრიცხოვან ხალხს წარმოადგენდნენ.

ალანებმა უწინამძღვრებს ჰუნების შესევას დასავლეთზე და გადალახეს გიბრალტარი.

ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხების ყველა მატიანეში, ძველ წყაროებსა და გეოგრაფიულ შრომებში მათ უწოდებენ თურქულენოვან ტომებს. არც ერთ წყაროში ალანები და იასები არ ითვლებიან ირანულენოვნებად.

ყველა წყარო ალანებს თურქულენოვან ხალხად მიიჩნევს.

http://irinadubcova.com.ru/red/3815–alanskie–frazy–privetstviya–iz–quotteogoniiquot–1.html

Аланские фразы приветствия из „Теогонии“/Иоанна Цеца, (XII в.)

Византийский поэт и филолог И.Цец (1110-1180 гг.) в своей „Теогонии“ зафиксировал фразы приветствия на латинском, русском, еврейском, арабском, турецком и аланском языках. Мать И.Цеца была родом из Абхазии... Ниже будет показано, что перевод Цецом первой аланской фразы приветствия как „добрый день, высокочтимый нами повелитель (повелительница)!“ вполне может быть оправдан с точки зрения карачаево – балкарского языка. Необходимо подчеркнуть: ни одному из исследователей аланских фраз приветствий Цеца не удалось прочитать их на основе осетинского языка. аланы постепенно превратились в осетин, а аланский язык стал называться осетинским. Тогда почему аланские фразы приветствий не поддаются дешифровке на основе осетинского языка? Языковые материалы, на которые опирается Вс. Миллер, часто оказываются карачаево – балкаризмами в осетинском языке: кам „вода“; „река“, ыбчыкъ „перевал“, дан „река“ и т.д.

Проф. Ю.Кулаковский, на работу которого ссылается Вс.Миллер для подтверждения своего вывода, имел иное мнение о генезисе алан: „Быть может они были тем арийским народом Средней Азии, который подвергся тюркскому влиянию, усвоил себе тюркский язык и вошел в состав тюркских племен, как признают специалисты по востоковедению о киргизах. Этого вопроса я не считал себя в праве даже касаться. Не считал я также нужным останавливаться на вопросе о доказательстве принадлежности алан к арийской расе и притом иранской ее ветви, считая этот вопрос окончательно не решенным в трудах языковедов, между ними – проф. Вс. Миллера в его „Осетинских этюдах". Как известно, аланы и ясы еще в догуннское время были распространены от восточных морей до Днепра, являлись многочисленными народами. Аланы возглавляли гуннское нашествие на запад и перешли Гибралтар. Во всех летописях народов Востока и Европы, древнеписьменных памятниках, древних исторических и географических трудах их называют тюркоязычными племенами. Ни в одном древнем источнике аланы и ясы не считаются ираноязычными. Наше расчленение приветствий свидетельствует о том, что аланский язык XII века сохранил характерные черты огузских языков :

http//irinadubcova.com.ru/red/3815–alanskie–frazy–privetstviya–iz–quotteogoniiquot–1.html

ზელენჯუკის წარწერა

მე-10 საუკუნის ზელენჯუკის წარწერა შესრულებულია საფლავის ქვაზე ბერძნული ასოებით. ის აღმოაჩინა არქეოლოგმა დ. სტრუკოვმა 1888 წელს მდ. დიდი ზელენჯუკის მარჯვენა ნაპირზე. ითვლება ალანური ენის, ანუ ოსური ენის უძველეს ძეგლად ოფიციალური რუსული და ოსური „აკადემიური მეცნიერების" მიერ, მაგრამ მათგან მკვეთრად განსხვავებულია თურქული და ჩეჩნურ-ინგუშური სამეცნიერო ვერსიები. (Иные версии прочтения, в частности, ТЮРКСКАЯ и ЧЕЧЕНО-ИНГУШСКАЯ, появлявшиеся у идеологов фол-кхистори соответствующих народов, не признаны академической наукой)

მიზეზი ამისა ისაა, რომ ბერძნული წარწერა იმავე მეთოდით „წარმატებულად იშიფრება", როგორც თურქული ისე სხვა ენებით. სინამდვილეში ზელენჯუკის წარწერა არ არის ოსურენოვანი. ის ან სხვა ენოვანია ან სხვა ფუნქციური დატვირთვისაა.

ზელენჯუკის ჯერ კიდევ გაუშიფრავ წარწერაზე დაყრდნობით რუსულ-ოსური „საბჭოური და პოსტსაბჭოური მეცნიერება" მიიჩნევს, რომ მე-10, მე-12 საუკუნეებში ოსებს გააჩნდათ დამწერლობა ბერძნული ანბანის საფუძველზე.

ამას ეთანადება ცნობა, რომ „1396 წელს ზიხო-მატრახიის კათოლიკე არქიეპისკოპოსი იოსებ შილტბერგერი წერდა: „ჩერქეზების მიწა დასახლებულია ქრისტიანებით, რომელნიც აღიარებენ ბერძნულ სარწმუნოებას, ბერძნული

რჯულით ემსახურებიან ღმერთს იასური, ანუ ასური და ზიხური, ანუ ჩერქეზული ენით“.

ამ ცნობას ოსურ-რუსული „აკადემიური მეცნიერება“ მიიჩნევს ზელენჯიკის წარწერის მათეული გაშიფრვის დასტურად, თითქოს, მე-10 საუკუნისათვის ოსური მწიგნობრობა არსებობდა, რომელსაც იყენებდნენ კიდეც ოსურენოვანი ლიტურგიისას.

სინამდვილეში ი. შილტბერგერის ცნობაში არაფერია ნათქვამი ოსურ ანდა ჩერქეზული მწიგნობრობის ანდა წიგნების შესახებ. აქ მითითებულია, რომ ბერძნული აღმსარებლობის მქონე ადგილობრივი პირები ადიდებდნენ უფალს, ალბათ, უფრო ზეპირად, რადგანაც იმავე ეპოქის სხვა ცნობაში ნათქვამია, რომ ასეთ პირებს უჭირდათ ბერძნული წიგნების კითხვა უცოდინარობის გამო, თუმცა კი იყენებდნენ მათ. ასეთი გასაჭირის დროს, ალბათ, ისინი უფალს საკუთარი ენით ადიდებდნენ, რაც აღნიშნა შილტბერგერმა, თუკი მისი ცნობა რეალურია.

ამიტომაც არასწორია „აკადემიურ მეცნიერთა“ მტკიცება, თითქოსდა შილტბერგერი ალან-ოსების მწიგნობრულ ტრადიციას ამტკიცებს („подтверждает ПИСЬМЕННУЮ ТРАДИЦИЮ у АЛАНОВ – АССОВ“), ამიტომ თითქოს ოსებს საკუთარი საეკლესიო წიგნები ჰქონდათ.

უფრო მეტად საოცარია ამ წრეების დაბეჯითებული მტკიცება იმისა, თითქოსდა ცნობაში ნახსენები ზიხურენოვანი ღვთისმსახურება სინამდვილეში იყო ჩერქეზეთში არსებული სლავურენოვანი ღვთისმსახურება. Кроме того, указывается, что «ЧЕРКАСЫ пятигорские или Чики (ჩჰიკი) …исповедуют греческую веру, а службу церковную отправляют на СЛАВЯНСКОМ языке, которым главным образом и ПОЛЬЗУЮТСЯ». Следовательно, в БЫТУ ЧЕРКАСЫ используют СЛАВЯНСКИЙ язык.

ასეთი კვლევით რუსულ-ოსურმა „აკადემიურმა მეცნიერებამ“ დაასკვნა, რომ თითქოსდა თემურ ლენგის შემოსევამდე ქრისტიანულ ჩრდილო კავკასიაში ღმერთს ადიდებდნენ სლავური და ოსური ენებით. შესაბამისად, აქაურ ეკლესიებში გამოიყენებოდა ოსური და სლავური წიგნები, მაგალითად ზელენჯუკ-არხიზის საკათედრო ტაძარში, რომელიც ალანიის სამიტროპოლიტოს ცენტრად ცხადდება.

რატომ დასჭირდა აკადემიურ წრეებს ძალზე რთული გზებითა და გამოკვლევებით ასეთი დასკვნების შეთხზვა?

საქმე ეხება ჩრდილო კავკასიის საეკლესიო იურისდიქციას, რათა ის ალანურ საეკლესიო სფეროდ წარმოადგინონ. შესაბამისი სულისკვეთებითაა დაბეჭდილი „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“ სტატია „ალანიის სამიტროპოლიტო“. მასში თხაბა-ერდის ქართული ძეგლი ალანიის სამიტროპოლიტოში არსებულ ეკლესიად წარმოადგინეს და ყაზბეგისა და ჯავის რაიონებიც კი ალანიის სამიტროპოლიტოს ტერიტორიად წარმოადგინეს.

ამავე სტატიაში მოცემულია მტკიცება იმისა, რომ ალანიის სამიტროპოლიტოს ისტორიული კანონმემკვიდრეა ამჟამინდელი რუსეთის მართლმადი-

დებელი ეკლესია, ანუ ჩრდილო კავკასია ძველთაგანვე რუსულ იურისდიქციაში იყო.

კიდევ უფრო არამეცნიერულია ამავე წრის მტკიცება იმისა, რომ, თითქოსდა, რადგანაც, მათი აზრით, ოსურად და ჩერქეზულად აღესრულებოდა ღვთისმსახურება, მაშინ აფხაზურადაც უნდა არსებულიყო საეკლესიო წიგნები (Тогда должны существовать ЦЕРКОВНЫЕ ПРАВОСЛАВНЫЕ книги на АБХАЗО АДЫГСКОМ языке).

საბოლოოდ ცხადდება – ЗИХСКИЙ язык – это ДРЕВНЕРУССКИЙ, а ЗИХИ (ДИВЫ) – это МЕСТНЫЕ ДРЕВНЕРУСЫ.

(http://jurnal.org/articles/2014/fill22.html.

აქამდე ჯიქებს (ზიხებს) ადიღებად მიიჩნევდნენ, ახლა აღმოუჩენიათ, რომ ისინი თურმე ძველი რუსები ყოფილან.

ალანია – რუსულ საინტერნეტო სივრცეში

Алания http://ru.wikipedia.org/

ალანია, რუსული საინტერნეტო სივრცის მიხედვით, იყო შუა საუკუნეთა სახელმწიფო ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში და არსებობდა პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან (მე-6 საუკუნიდან) ვიდრე მე-14 საუკუნის შუამდე, მის დაცემამდე, თათარ-მონღოლთა შემოსევებამდე.

ალანიის მმართველობის სისტემა, რუსული საინტერნეტო სივრცის მიხედვით, იყო აბსოლუტური მონარქია. მის უკანასკნელ მეფედ მიიჩნევა ოსი ბაყათარი (1291–1306).

(ჩვენი შენიშვნა: ალანია არ იყო აბსოლუტური მონარქია. ის დაყოფილი იყო სამეფოებად და სამთავროებად, ქართული პირველხარისხოვანი წყაროს მიხედვით. ავტორი უშუალოდ იცნობდა მე-12 საუკუნის ალანიას. იქ ჩასულ დავით აღმაშენებელს „ოსი მეფეები“ შეეგებნენ, „ვითარცა მონები“, „მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“ („ქართლის ცხოვრება”, ტ.1. 1955. გვ. 336).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ ინება ყივჩაღების ერთი ნაწილის ჩამოსახლება საქართველოში თავისი სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. ამისათვის თავდაპირველად გაგზავნა ელჩები ჩრდილოკავკასიაში ყივჩაღებთან, ხოლო შემდგომ თვითონაც ჩაბრძანდა საქართველოს ეკლესიის უმთავრეს იერარქთან ერთად ყივჩაღეთის მეზობელ ოსეთში, რათა მათ თავიანთ გზებზე გამოეტარებინათ საქართველოსაკენ მომავალი ყივჩაღების ლაშქარი: „ამისთვის წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაღთა. ხოლო მათ სიხარულით მიითვალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთვისცა ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი... შევიდეს ოვსეთს და მოე-

გებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანაი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხვნეს მძევალნი ორთაგანვე – ოვსთა და ყივჩაღთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყვარული და მშვიდობა, ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა." („ქართლის ცხოვრება," ტ. 1. 1955. გვ. 336).

წყაროს ამ ცნობიდან ჩანს, რომ პოლიტიკურად ოვსეთი (ალანია) არ იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო, შედგებოდა მრავალი სამეფო-სამთავროსაგან. ამასთანავე ოსეთის მეფეები და მთავრები აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოს უზენაესობას. ამიტომ, „ვითარცა მონანი", შეეგებნენ ალანიაში ჩასულ საქართველოს მეფე დავითს მე-12 საუკუნის დასაწყისში. ასეთივე ვითარება იყო მე-13 საუკუნის დასაწყისშიც თამარ მეფის დროს, მონღოლთა შემოსევამდე.

ასეთი ალანია ჩრდილოეთიდან ვოლგა-დონის აუზის მომთაბარე ხალხებისაგან იცავდა საქართველოს სახელმწიფოს. მაგალითად, ყივჩაღები ვერ ბედავდნენ საქართველოსაკენ გადაადგილებას ალანიის გამო. მათ შეკრული ჰქონდათ საქართველოს გზა ალანთა მეფეების მიერ. როდესაც საქართველოს სახელმწიფოს დასჭირდა ყივჩაღების გამოტარება ალანიის გზაზე, ალანებმა საქართველოს მეფის ბრძანებით ყივჩაღებს ეს გზა გაუხსნეს. აქედანაც ჩანს, რომ ალანია საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

ამასთანავე, ალანია-ოვსეთი ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფეროში შედიოდა. ეს ფაქტი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გაითვალისწინა მეფემ. დავით აღმაშენებელს ესაჭიროებოდა ალანთა, ანუ „ოვსთა" საზოგადოების დარწმუნება, რომ ყივჩაღთა მათ გზაზე გამოტარება მათთვის უსაფრთხო იქნებოდა. ჩანს, ამ მიზნით, ოსებთან შესახვედრად თან წაიყვანა საეკლესიო ავტორიტეტი, ეპიკოპოსი გიორგი ჭყონდიდელი. მან დაამშვიდა ალანიის საზოგადოება, აღასრულა თავისი მოვალეობა და ამ მისიის შესრულების შემდეგ ალანიაშივე გარდაიცვალა კიდეც, საიდანაც ის ჩამოასვენეს საქართველოში და გელათში დაკრძალეს).

რუსული ინტერნეტსივრცე განაგრძობს, კონსტანტინე პორფიროგენეტი (905–959) ალანიის შესახებ იძლეოდა ცნობას: „ზიხიის მაღლა დევს ქვეყანა, რომელსაც ქვია – პაპაგია, პაპაგიის ქვეყნის მაღლა ქვეყანაა, რომლის სახელია კასახია, კასახიის მაღლა კავკასიის მთებია. ამ მთების მაღლა ალანიის ქვეყანაა"[1].

ალანიის დედაქალაქი იყო ქალაქი მაასი (მაგასი). Исчезнувшая Алания располагается на территории Северо-Кавказского ФО, о чём гласят множество исторических фактов. Ориентиры местонахождения столицы Алании дает арабский автор X века Ибн Руста: «Ты выходишь налево (на запад) от царства Сарир и, пройдя три дня пути среди гор и лугов, прибываешь в царство Аллан (алан)».[2] Тот же отрывок из сочинения Ибн Руста в переводе Н. А. Караулова звучит немного иначе: «Выйдя с левой стороны владений царя Серир, идешь в течение трех дней по горам и лугам и, наконец, приходишь к царю аланов».[3] По-

добные сведения содержатся и в работе арабского автора XI в. Ал-Бекри, который пишет: «…налево от крепости царя Серир есть дорога, ведущая путешественников по горам и лугам после трех дней в страну царя аланов».[4]

მრავალრიცხოვანი ალანური ჯგუფები ცხოვრობდნენ ყირიმში, ქვემო დნეპრზე, დონის აუზში (Многочисленные аланские группы жили в Крыму, на нижнем Днепре, в бассейне Дона).

(ჩვენი აზრით, ალანიის ეპარქია მოიცავდა ტერიტორიას დონის აუზში. აქ გააგზავნეს ალანიის მიტროპოლიტი თევდორე. სტეპების ალანიაში, ანუ ყირიმის, ქვემო დნეპრსა და დონის აუზში მომთაბარე ალანური ჯგუფებისათვის კონსტანტინოპოლმა დააფუძნა „ალანიის სამიტროპოლიტო“ იმის შემდეგ, რაც მარცხი განიცადა კავკასიის ალანიაში, სადაც მას უფრო ადრე სურდა ალანიის სამიტროპოლიტოს დაარსება.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შეიყვანეს აფხაზმა მეფეებმა.

ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც, არაბული წყაროს ცნობით, კავკასიის ალანიიდან ბერძენი კლერიკალები გაძევებულ იქნა.

კავკასიის ალანია შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოში. იქამდე, აქ სურდა თავისი ეპარქიის შექმნა ნიკოლოზ მისტიკოსს, მაგრამ ეს მას არ დაანებეს აფხაზთა მეფეებმა, აფხაზთა მეფეები თავის ეკლესიას, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ანიჭებდნენ პრიორიტეტს და იცავდნენ მის დამოუკიდებლობას ბერძნული ეკლესიისაგან).

ჩრდილო კავკასიის ველებიდან მომთაბარე ალანები გადაადგილდებოდნენ ევროპის მიმართულებით. ალბათ, ამიტომაც, რუსული გვერდის მიხედვით, ევროპელ ალანებს კავკასიური წარმოშობისად თვლიდნენ (Раннесредневековые авторы подчёркивали кавказское происхождение европейских алан).

აფხაზეთის უშუალო მეზობელ მთიან ოლქს კავკასიის ალანია ერქვა. ის მე-6 საუკუნის შემდეგაც დარჩა ალანების თავშესაფარად მაშინ, როცა ჩრდილოეთის ალანური სტეპები გადავიდა თურქული და შემდეგ ხაზარული კაგანატების კონტროლის ქვეშ.

ალანია იყო ხაზარების მოკავშირე: ბეგმა ბენიამინმა ალანების სამხედრო დახმარებით დაამარცხა პრობიზანტიული კოალიაცია. მე-9 ს-ის ბოლოსათვის ხაზართა კაგანატი დასუსტდა და ბიზანტიამ წამოიწყო ომები ალანიაში გავლენისათვის.

მე-10 ს-ში ბოლგარები და ხაზარები შეცვალეს პაჭანიკეებმა და გუზებმა. ისინი მე-11 ს-ში ყივჩაღებმა განდევნეს.

მე-12 ს-ის შუაში ალანთა მეფე ხუდანმა თავისი ქალიშვილი ბურდუხანი მიათხოვა საქართველოს მეფე გიორგი მესამეს. ამ ქორწინებიდან იშვა საქართველოს დიდი მეფე თამარი, რომლის მეორე ქმარი და თანამმართველი 1189 წლიდან გახდა მეფისწული დავით სოსლანი.

1222 წელს მონღოლთა იმპერატორ ჩინგისხანის მიერ გაგზავნილმა ოცათასიანმა არმიამ სასტიკად დაამარცხა ალანური ლაშქარი, რომელსაც უღალატეს მოკავშირე ყივჩაღებმა.

ალანიამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა მონღოლების შესევის შემდეგ (1238–1239).

1239 წელს მონღოლებმა აიღეს მაგასი, 1278 წელს მონღოლებმა რუს მოლაშქრეებთან ერთად, რუსული მატიანის თანახმად, აიღეს იასების ქალაქი დედიაკოვი.

რუსული გვერდის ცნობით, 1292 წელს ოსებმა უფლისწულ ოს-ბაყათარის მეთაურობით აიღეს ციხე-ქალაქი გორი გარშემო მიწა-წყლით, სიმაგრეებითა და მოსახლეობით. 1306 წელს ოს-ბაყათარი მოკვდა (აქ უნდა შეინიშნოს, რომ რუსულ გვერდებს ოს-ბაყათარის ლეგენდარული ამბები ისტორიულ ფაქტად მიაჩნიათ და მასზე აგებენ ისტორიას. სინამდვილეში გორის ამღები ოსები არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ძალას, ისინი მონღოლების თანამოლაშქრეებს წარმოადგენდნენ, საქართველოდან მონღოლთა განდევნისთანავე ისინიც ადვილად გააძევეს).

რუსული გვერდი წერს: საქართვლოს მეფე გიორგი მეხუთე შეებრძოლა ალანებს. 1326 წელს ალყის შემდეგ აიღო გორი. ოსთა დევნისას დალაშქრა მთები, მივიდა დარიალამდე, არაგვისა და ქსნის ხეობებამდე.

(ვფიქრობ სტატიის ავტორის ეს ფრაზა ცინიზმია. მისი მსჯელობიდან გამომდინარეობს, თითქოსდა ქართლის მთები, არაგვისა და ქსნის ხეობები ალანებით ანდა ოსებით იყო დასახლებული. სინამდვილეში სურათი სხვაგვარია. გორი აიღეს არა ჩრდილოკავკასიელმა მეომარმა ალანებმა, არამედ სხვა წარმოშობის ოსებმა, რომელნიც იყვნენ მონღოლების მოკავშირეები.

სხვა ხალხი იყო მონღოლებთან მეომარი ალანები. სხვა წარმოშობისა იყვნენ მონღოლების მოკავშირე ოსები, რომელნიც საქართველოში თან შემოყვნენ მონღოლთა ლაშქარს. მათ ჰქონდათ მონღოლთა მტკიცე მხარდაჭერა. ამიტომ ისინი საქართველოდან მონღოლებთან ერთად გააძევეს.

რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალეს ქართლის მთებში შესვლას, მან მონღოლების დროს აშლილი მთის ქართული ტომები მოინახულა და დაუწესა მათ სამართალი.

„1395 წ. თოხთამიშზე გამარჯვების შემდეგ თემურის ლაშქარი ჩრდილოეთიდან შევიდა ალანიის ხეობებში. ტყეების გაჩეხვისა და გზების გაყვანის შემდეგ დამპყრობელთა რეიდები შევიდნენ მაღალმთიან რაიონებში. ალანიის მთის ოლქები ყაზბეგსა და იალბუზს შორის სასტიკად გაანადგურეს. თემურის ისტორიკოსებმა შემოინახეს მტრის მოწინააღმდეგე თავადების სახელები – ბურაკანი, ბურიბერდი, კულუ, ტაუსი და პულადი. მრავალი დახოცეს. თემურმა სადგომი გაიჩინა პიატიგორის ოლქში. ციხეები და სოფლები მიწასთან გაასწორეს. უზარმაზარი ტერიტორიები გაუკაცრიელდა“, – ნათქვამია ამ სტატიაში (ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ალანია გაანადგურეს მონღოლებმა მე-13 ს-ის 20-იან წლებში. ამიტომაც თემურ ლენგის ლაშქრობა ცენტრალურ კავკასიაში იყო ბრძოლა არა ალანებთან, არამედ ქართველ მთიულებთან, რომელნიც ცხოვრობდნენ ყაზბეგსა და იალბუზს შორის. ესენი ძირითადად იყვნენ დვალები და ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები სვანები. სწორედ თემურ ლენგის შემდეგ გამოჩნდნენ იქაურ სვანეთსა (დიგორსა) და

დვალეთში ახალი დამპყრობლები, რომელნიც თან შემოყვნენ თემურის შემდგომ მოლაშქრეებს და აითვისეს ჩრდილო კავკასია. ჩვენ მათ ვუწოდებთ ირანულენოვან ოსებს, რადგანაც მათ ქართველი ხალხი ოსებს უწოდებდა (აღსანიშნავია, რომ არც ერთი მეზობელი ხალხი, ქართველების გარდა, მათ ოსებს არ უწოდებს. ასევე, თვითონ ისინიც თავიანთ თავს ოსებს არ უწოდებდნენ. ისინი ასებს, თანამედროვე ყარაჩაელების წინაპრებს, უწოდებდნენ საკუთარ თავებს). მიზეზი ამისა იყო ის, რომ მათ, ამ ე. წ. ირანულენოვანმა ოსებმა, ფაქტიურად დაიჭირეს თურქულენოვანი ალანების ადგილი კავკასიაში იმის შემდეგ, რაც მონღოლებმა გაანადგურეს თურქულენოვანი ალანები. თემურ ლენგის შემდეგ გამოჩნდნენ ირანულენოვანი ოსები. განსხვავება მათ შორის იყო ასევე პოლიტიკური ორიენტაცია.

თურქულენოვანი ალანები მედგრად ებრძოდნენ მონღოლ დამპყრობლებს, ხოლო იარანულენოვანი ოსები თემურ ლენგის ეპოქის მონღოლების მოკავშირეები იყვნენ. მათ აითვისეს თემურის მიერ განადგურებული კავკასია და გაბატონდნენ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში. იქ მცხოვრები დვალები დაიმორჩილეს, საზოგადოების დაბალ ფენად აქციეს, – როგორც ამას აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი.

მე-18 ს-ის დასაწყისში ირანულენოვანი ოსების მიერ დვალების ასიმილაციის პროცესი დასრულებულიც კი არ იყო. იმ დროისათვის, ვახუშტის ცნობით, დვალური ენა ჯერ კიდევ არსებობდა.

შესაბამისად არასწორია აზრი, რომელიც ამჟამად ბეჯითად ინერგება, თითქოს მხოლოდ თემურის შემდეგ განადგურდა საბოლოოდ ირანულენოვანი ალანია. სინამდვილეში კი სწორედ თემურის შემდეგ წარმოიქმნა ჩრდილო კავკასიაში ირანულენოვანი ოსეთი, ისტორიული ქრისტიანული დვალეთის დაპყრობისა და შემოსული ოსების იქ გაბატონების შემდეგ.

სხვა ერთეული იყო კავკასიის ალანია, სხვა – დვალეთის ოსეთი, კიდევ უფრო სხვა – დონისპირეთის მომთაბარეთა ალანია, რომელთაც კონსტანტინოპოლმა სამიტროპოლიტო დაუარსა. ახლა რუსულ შესაბამის წრეებს სურთ აღნიშნული ერთეულები წარმოადგინონ ერთ მთლიან სახელმწიფოდ დიადი წარსულით).

რუსული ვებ. გვერდი წერს: – „ალანიის სამეფოში ხორციელდებოდა მართლმადიდებლური სამისიონერო საქმიანობა. 916 წელს ალანიამ ბიზანტიისაგან მიიღო ქრისტიანობა, მაგრამ ამ პერიოდში ქრისტიანობამ ვერ შეძლო მტკიცედ დამკვიდრებულიყო ალანიაში. იბნ რუსტა (დაახლ. 903 წ.) წერს: „ალანთა მეფე ქრისტიანია თავის გულში, მაგრამ ყველა ადამიანი, მის სამეფოში მცხოვრები, წარმართია, ეთაყვანებიან კერპებს“. 932 წელს ალანთა მეფე წარუმატებლად ებრძოდა ხაზარებს და მათი ზეწოლით დროებით გააძევა თავისი ქვეყნიდან ბიზანტიიდან გამოგზავნილი ქრისტიანული სამღვდელოება“.

(ეს აზრი, რომელიც მტკიცედაა დანერგილი, არასწორია და უსაფუძვლო. ალანიაში კონსტანტინოპოლის იურისდიქცია გაუქმდა აფხაზ მეფეთა მიერ, რომელთაც ეს ოლქი შეიყვანეს ქართული ეკლესის (აფხაზეთის საკათალიკოსოს) იურისდიქციაში. ნიკოლოზ მისტიკოსი წერდა აფხაზთა მეფეებსაც.

მ. თარხნიშვილის გამოკვლევით, მას 902 წელს წერილი მიუწერია აფხაზთა მეფე ბაგრატისათვის, 906–907 წელს კონსტანტინესათვის, 924–925 წლებში მეფე გიორგისათვის.

ამ წერილებისა და თხოვნის მიუხედავად, საეპარქიო ცენტრი არა თუ მიეცა ალანიის ეპისკოპოსს, არამედ, პირიქით, ალანიიდან გაძევებული იქნა ბერძნული სამღვდელოება 932 წელს, ალან მეფეთა ნებით. ამის შემდეგ კავკასიის ალანია მთლიანად შევიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, 932 წლიდან – 1032 წლამდე, როგორც ჩანს, ბიზანტიელ ბერძნებს უფლება ეძლეოდათ, გარკვეულწილად ეღვაწათ კავკასიის მთებში, თუმცა აქ ქართული ეკლესიის ზეგავლენა უდავო იყო. ზელენჯუკში შემდგომში აიგო ლიხნის ტაძრის ზუსტი ასლი. აფხაზეთის ალანიის საზღვარზე აიგო ბიჭვინთის ტაძარი – დასავლელ ქართველი კათალიკოსის, იგივე აფხაზეთის კათალიკოსის, კათედრა. ამის გამო ბიზანტია იძულებული გახდა უარი ეთქვა კავკასიაში ალანიის ეპისკოპოსის ეპარქიაზე. მის ნაცვლად ბერძნული ეპარქია დაუწესდათ დონისპირეთის, ანუ სტეპების ალანებს. აქ ქალაქები არ არსებობდა. ამიტომ ალანიის ეპისკოპოსის საკათედრო ქალაქად შემდგომში განისაზღვრა სოტირიოპოლი ტრაპეზუნტთან. მის იურისდიქციაში შედიოდა არა კავკასიის ალანია, არამედ ყირიმისა და დონის ალანია. ეს კარგად ჩანს ალანიის მიტროპოლიტ თეოდორეს წერილიდან, რომელშიც ნახსენებია ყირიმი, ხერსონესი, ყირიმის პუნქტები, ასევე დონის ტრამალები – სტეპები, მაგრამ არა კავკასია.

ალანთა დედოფალმა ალდემ და მისმა შვილმა დემეტრემ ანაკოფია კეისარს გადასცეს 1032 წლისთვის. ამ ორი თარიღის დამთხვევა მნიშვნელოვანია. მაშასადამე, ბიზანტიელებმა ზღვისპირა ანაკოფიის ციხე დაიჭირეს, ამან, ცხადია, საქართველოს მმართველობა გაანაწყენა. იმავე წელს მთებიდან გააძევებინეს ალან მეფეთა ნებით ბიზანტიელი სამღვდელოება. როგორც ითქვა, ბიზანტიურმა შემოჭრამ გაანაწყენა აფხაზთა მეფეები ბიზანტიის მიმართ. ამიტომაც საბოლოოდ აღკვეთეს ალანიის ბერძენი იერარქის ოცნება კავკასიაში. ამიტომაც მას ბიზანტიამ კათედრად განუსაზღვრა სოტირიოპოლი.

ალანიის ეპარქიის კათედრა 1084–1105 დაარსებულ იქნა ტრაპეზუნტთან ახლოს ქ. სიტირიოპოლში, რომლის არქიეპისკოპოსი „ალანიის მიტროპოლიტის“ ტიტულს ატარებდა.

1204–1261 წლებში ალანიის მიტროპოლიტს ადგენდნენ კომნენთა იმპერიის დედაქალაქის, ტრაპეზუნტის, იერარქები.

XIII საუკუნიდან კონსტანტინოპოლმა ალანიის იურისდიქცია ოფიციალურად გადასცა ტრაპეზუნტს. 1386–1461 წლებში ალანიის მიტროპოლიამ ტრაპეზუნტიდან გადაინაცვლა სევასტიაში).

სტატია განაგრძობს: „მაგრამ მე-10 საუკუნის შუაში ალანია ძალზე დაუახლოვდა ბიზანტიას, აფხაზიასა და საქართველოს და სხვა მართლმადიდებლურ სახელმწიფოებს“ (აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ თვით აფხაზეთის სამეფოს ერქვა საქართველო, რადგანაც იმჟამად სხვა საქართველო არ არსებობდა. თბილისი და შიდა ქართლი არაბთა საამიროს ეჭირა.

ასევე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ძალზე ცდილობენ, რათა ალანები მე-12 საუკუნეში მოშურნე ქრისტიანებად წარმოაჩინონ ამ საუკუნის ავტორ ნიკიფორე ბასილიკის პანეგირიკული ხოტბის შესაბამისად, რომელიც მან მიუძღვნა წარმოშობით ალან, ბიზანტიაში ცნობილ ალანთა მეფის ასულ დედოფალს ირინეს, სადაც ალანები მოშურნე ქრისტიანებადაა წარმოჩენილი, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტერატურაა და არა ისტორიული სიმართლე).

თეოდორე ალანელი თავის წერილში პატრიარქ გერმანე მე-2 სადმი 1225 წელს წერს: „ალანები ქრისტიანებია მხოლოდ სახელით. პირით აღიარებენ, მაგრამ არ სწამთ გულით“ [3].

რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკიფორე გრიგორი წერდა, რომ ალანები ცხოვრობდნენ დუნაიზე (ისტროსთან), საიდანაც ისინი ბიზანტიის იმპერატორს (მიხაილ პალეოლოგს) ელჩობას უგზავნიდნენ.

თეოდორე ალანელი წერდა, რომ ალანური თემები, ანუ ჯგუფები ცხოვრობდნენ ხერსონესთან და ბოსფორთან.

1253 წელს გილომ რუბრუკი ადასტურებდა, რომ „ალანები, ანუ ასები“ აღიარებენ ქრისტიანობას და „ჯერ კიდევ ებრძვიან თათრებს“. ესაა სტეპების ალანია.

მე-15 საუკუნეში ვენეციელი იოსაფატ ბარაბო, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა ტანა-ტანაისში, აღნიშნავდა: ალანები „ქრისტიანებია და გაძევებული და განადგურებული იქნენ თათრების მიერ“ (იხსენებს წარსულს).

რუსული გვერდი აქვეყნებს ასევე ალან მეფეთა დინასტიურ ცხრილს, ძირითადად ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, სადაც საქართველოს მეფეები ლაშა-გიორგი და ულუ დავითი ალან მეფეთა რიგში შეჰყავთ, რაც სასაცილოა, მაგრამ ეს გვერდი მთელ მსოფლიოში ვრცელდება, ვითარცა სამეცნიერო ჭეშმარიტება, რომელსაც საქართველოში ყურადღება არ ექცევა.

უცნაურ გენეალოგიას იძლევიან ოფიციალური ოსური საინტერნეტო გვერდები, მაგალითად, თითქოსდა ლაშა გიორგი და ულუ დავითი – არა საქართველოს, არამედ ალანთა მეფეები იყვნენ

1. Династия Багратионы

1. Давид-XII век, внук царя Дорголела Великого.

2. Атон – сын предыдущего.

3. Джадарон – сын предыдущего.

4. Давид-Сослан– (ум. в 1207 году), сын предыдущего. Муж грузинской царицы Тамары, внучки аланского царя Худдана

5. Георгий -IV Лаша – (1207–1223), сын предыдущего

6. Давид VII Улу – (1223–1270), сын предыдущего

დასკვნა

ჩვენს ნაშრომში გამოვარკვიეთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ცნობილი ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში, არამედ მოიცავდა დონისპირეთის ვრცელ სტეპებს. აქ ნომადები მომთაბარეობდნენ და მათ არ ჰქონდათ ქალაქები. ამიტომაც აქაური მღვდელმთავრისათვის კონსტანტინოპოლმა საკათედრო ქალაქად განსაზღვრა სოტერიოპოლი ტრაპეზუნტის რეგიონში (ლაზიკაში).

კავკასიის ალანია, აფხაზეთის მეზობლად მდებარე, შედიოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. აქაა არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შუანას (შოანას) ქართული სტილით ნაგები ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიები. აქ მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა თავისი ქალაქებითა და ტაძრებით. თავდაპირველად კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსს აქ სურდა ალანიის ეპარქიის დაარსება და დახმარება თხოვა აფხაზთა მეფეებს, მაგრამ აფხაზთა მეფეები ქართულ ეკლესიას პატრონობდნენ, მათთვის აქ მიუღებელი იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქცია. ამიტომაც, ჩანს, მათი თხოვნით ალანთა მეფეებმა, აბულფედას ცნობით, კავკასიის ალანიიდან გააძევეს ბიზანტიელი სასულიერო პირები, მას შემდეგ კავკასიის ალანიაში აფხაზეთის კათალიკოსთა იურისდიქცია განახორციელა. სიტუაციიდან გამოსავალი კონსტანტინოპოლმა იმით იპოვა, რომ ალანიის ეპარქია დააარსა ამავე კავკასიის რეგიონთან, ოღონდ დონისპირეთის სტეპებში, ყირიმთან ახლოს. აღსანიშნავია, რომ ეს აზრი სიახლეა, რადგანაც ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია სხვაგვარად ამტკიცებს.

თავი მეორე

ადიღე

ადიღე ხალხის დასახლება ჩრდილო კავკასიასა და აფხაზეთში

ადიღეველთა ურდოს დამფუძნებელი

ოქროს ურდოს მმართველი (ტემნიკი) ედიგეი (ადიგე) (1352–1419)

ედიგეი იდო მანგიტების, მონღოლური ტომის ემირის ვაჟი, ახალგაზრდობისას მსახურობდა თემურ ლენგის ჯარში, მისი და შეირთო თემურ ლენგმა, შემდეგ დაბრუნდა უკან და გახდა მანგიტების ულუბეი, მხარს უჭერდა ოქროს ურდოს ტახტზე თემურ-კუტლუგს, რომელიც ავიდა ტახტზე და ებრძოდა თოხთამიშს. ედიგეიმ სასტიკად დაამარცხა თოხთამიშის მომხრეები. ედიგეიმ თოხთამიშს მრავალი წლის მანძილზე 16 ბრძოლა გაუმართა და საბოლოოდ დაამარცხა. Едигей (Эдиге; 1352–1419) – темник Золотой Орды, Основатель династии, возглавившей Ногайскую Орду.

https://ru.wikipedia.org/wiki

ედიგეის ჰქონდა ძალზე დიდი პოლიტიკური გავლენა. მის ჯარში 200 000 მხედარი იყო.

1400 წელს ედიგეიმ ორგანიზება გაუწია სახელმწიფო გადატრიალებას, მოკლა თემურ-კუტლუგი და ტახტზე მისი ძმა შადიბეკი აიდვანა.

ედიგეი გადაიქცა ოქროს ურდოს სრულუფლებიან მეუფედ. ამან გაანაწყენა ოქროს ურდოს ხანი შადიბეკი, საბოლოოდ, ედიგეიმ გაიმარჯვა, შადიბეკი დევნილად იქცა, მან თავი კავკასიას შეაფარა, ამის გამო კავკასია უდიდესი საშიშროების ქვეშ მოექცა.

ოქროს ურდოს კანონიერი ხანი, დევნილი მმართველი Sadibeki, gaiqca ჩრდილო კავკასიაში (დერბენდში).

თავისი მსახვრალი თვალი ედიგეიმ მიაპყრო კავკასიას, სადაც შადიბეკის გარდა მას მტრობდა თოხთამიშის ორიენტაციის მომხრე საქართველოს სახელმწიფო და, შესაბამისად, ჩრდილოკავკასიური ტომები.

კავკასიელთა წინააღმდეგობის დასათრგუნად ედიგეიმ წამოიწყო პროცესი, რათა ჩრდილო კავკასიაში ჩაესახლებინა Tavisi ulusi dasavleT cimbiridan.

ყაზახეთ – დასავლეთ ციმბირ – ალტაი – ტიანშანიდან ჩრდილო კავკასიაში მე-11 ს-ში ჩასახლდნენ ყივჩაღები, ხოლო ედიგეისსავე ეპოქაში დასავლეთ ციმბირიდან დაიძრა ნოღაის ურდო. ამავე წიაღიდან კავკასიისაკენ დასა-

ძრავად ემზადებოდა ურდო, რომელიც ედიგეის ხელში მოექცა თოხთამიშის სიკვდილის შემდეგ.

ოქროს ურდოს ხანი შადიბეკი (1399–1447) თავდაპირველად ენდობოდა ტემნიკ ედიგეის, რომელმაც ამის გამო თავის ხელში ჩაიგდო ოქროს ურდოს სახელმწიფოს მართვის სადავეები. უკმაყოფილო ხანმა შადიბეკმა გადაწყვიტა მოეთოკა ედიგეი, მაგრამ მოხდა პირიქით, ედიგეიმ შეძლო მისი დამარცხება.

შადიბეკი გაიქცა კავკასიაში, თავი შეაფარა ჩრდილო კავკასიის განთქმულ ციხე-სიმაგრე დერბენტს. მას მხარი დაუჭირა და უერთგულა დერბენტის ემირმა შეიხმა იბრაჰიმმა. შადიბეკს ის თვლიდა ოქროს ურდოს კანონიერ ხანად. ედიგეიმ გაუგზავნა მრავალი სათხოვარი დერბენტის ემირს. ის არ დაემორჩილა ედიგეის და არ გადასცა კანონიერი ხანი. ამით იმდენად გაძლიერდა შადიბეკი, რომ მან შეძლო კავკასიაში თავისი სახელით ფულის მოჭრა და მონეტების გამოშვება.

https://ru.wikipedia.org/wiki

ეს მოუთმენელი იყო ედიგეისათვის, ამიტომაც მშფოთვარე კავკასიის დასაშოშმინებლად ციმბირიდან ჩამოიყვანა თავისი საკუთარი ულუსი, ანუ მომთაბარე ტომების ლაშქარი, რომელმაც ომების შედეგად შეძლო ჩრდილო კავკასიის ხალხების სრული დამორჩილება, ჩრდილო კავკასიის ხალხების გადარჩენილი საცოდავი ნაშთების ადიღებში ასიმილაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა ტომების გაერთიანება, ხალხი, რომელსაც ედიგეის ულუსის ხალხი, ანუ ადიღეველები უწოდეს.

Летом 1407 г. Шадибек вынужден был бежать. Он укрылся в Дербенте у ставленника Тимура Шейх-Ибрахима. В Дербенте он и скончался. Его смерть персидские историки относят к 811 г. хиджры (27 мая 1408–15 мая 1409 гг.).

http://www.hist.vsu.ru/orda/person/i/idigu.htm

ედიგეის თავისი ულუსის ხალხი კავკასიაში ციმბირიდან ასევე დაახლოებით 1416 წლის შემდეგაც უნდა ჩამოესახლებინა კიევსა და დნესტრისპირეთში ლაშქრობათა შემდეგაც.

ედიგეის მტკიცედ ეჭირა თავის ხელში ძალაუფლება. თემურ ლენგის სიკვდილის (1405 წ.) შემდეგ ხორეზმიც კი დაიპყრო რამდენიმე წლით, რომლის მმართველის ტახტზე თავისი შვილი აიყვანა.

1408 წელს ილაშქრა მოსკოვზე, მოაქცია ალყაში, აიღო გამოსასყიდი თანხა 3000 რუბლი და გაშორდა მოსკოვს. გააუკაცრიელა მრავალი რუსული ქალაქი. ოქროს ურდოს ტახტზე ავიდა თემურ-ხანი, რომელმაც ედიგეის აუჯანყა დიდებულები. ბრძოლებში ედიგეიმ გაიმარჯვა და ხორეზმში შევიდა. მას არ უჭერდა მხარს ადგილობრივი მოსახლეობა, ედიგეი იძულებული გახდა დაეტოვებინა ხორეზმი. დაბრუნდა ოქროს ურდოში და ის დაინიშნა ჩინგის ხანის შთამომავლის, ჩოკრე-ოგლანის, ბეგლარბეგად, 1416 წელს გადაწვა კიევი და **დნეპრის მარცხენა სანაპირო. ამ დროს ის იბრძოდა სამხრეთ რუსეთსა და, ჩანს, ჩრდილო კავკასიაში, სადაც ჩაასახლა თავისი ულუსი დასავლეთ ციმბირიდან. ედიღეს ულუსის ხალხს ადიღეველები ეწოდა. მათ ჩრდილო კავკასიაში**

შეიტანეს სინურ – ტიბეტური ენა დასავლეთ ციმბირიდან. ედიგეი მოკლეს 1419 წელს.



რუკა – ენისეიდან კავკასიამდე მომთაბარე ტომების სახელმწიფო არეალი. ენისეიდან კავკასიამდე განფენილი ერთმმართველობა ჯერ ყივჩაღებისა, შემდეგ ოქროს ურდოსი.Половецкая степь. Евразийские территории кипчаков, конец XI – начало XII века

https://www.google.ru/search?q=степ+Дашти–кипчака&newwindow=1

ადიღე ხალხის წარმოშობა

მილერი, რუსეთის იმპერიის გამოჩენილი მეცნიერი, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის მკვლევარი, სახელგანთქმული თავისი აკადემიური კვლევებით, თავის ცნობილ ნაშრომებში ხშირად იმეორებდა, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხები თავდაპირველად იყვნენ აღმოსავლეთის სტეპების მომთაბარე (ნომადი) ტომები, რომელნიც შემდგომში დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიაში.

ის წერს: საუკუნეთა მანძილზე შემოსევებმა, განსაკუთრებით თემურ ლენგის ლაშქრობამ, მთლიანად შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე. აქ თითქმის მთლიანად გაქრა ძველი მოსახლეობა, ჩრდილო კავკასიის ამჟამინდელი ყველა ხალხი აქ ჩასახლებულია შუა აზიიდან და ციმბირიდან.

ამჟამინდელ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა სტეპებში მომთაბარე წინაპრებმა გადალახეს ურალი, ვოლგა, დონი და დაუსრულებელი ტალღების სახით დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიაში.

ხალხთა გადასახლების ჩვეული გზა მიემართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სამხრეთ რუსეთის სტეპებისაკენ, უფრო იქითაც კი, ევროპის ქვეყნებისაკენ.

მომთაბარეები ამ მუდმივი გადაადგილების დროს ეჯახებოდნენ სხვა ტომებს და ებრძოდნენ მათ. გამარჯვებულ ტომებს ახლა უკვე აზიიდან მოსული სხვა ტომი ებრძოდა. შედარებით დასუსტებული ტომი იძულებული იყო ეძებნა თავშესაფარი, ჩვეული გზიდან მოშორებით, ჩრდილოეთსა ან სამხრეთში.

ისინი, რომელნიც თავშესაფარს სამხრეთში ეძებდნენ, მიემართებოდნენ შავი და კასპიის ზღვებისა და კავკასიის მთებისაკენ. აქ მათ ხვდებოდა ადგილობრივი ანდა მათზე ადრე შემოსული სტეპების ტომები. თავის მხრივ, ისინი, ხალხთა ახალი ტალღით შევიწროებულები, ცდილობდნენ თავი კავკასიის მთებისათვის შეეფარებინათ.

სტეპების ხალხები კავკასიის მთებსა და ხევებში ერთმანეთსა და ადგილობრივებს განუწყვეტლივ ებრძოდნენ.

სტეპებიდან მთებში შერეკილ ხალხებს უჭირდათ შეგუება მთის პირობებთან, რადგანაც სტეპების ცხოვრების პირობებს შეგუებულებს უჭირდათ მთის პირობების გადატანა. მთებში შემოსულები ებრძოდნენ მთის ბუნებასა და მთიელ „ტუზემცებს“, თუ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებდა, ის უკვე მთიელი ხდებოდა. მას უკვე ახალი სამშობლო ჰქონდა, მოპოვებული ბრძოლით.

ყველა ვერ უძლებდა ამ ბრძოლას, სტეპებიდან შემოსული ტომის რაოდენობა მცირდებოდა, მაგრამ გადარჩენილები ერთი-ორი თაობის შემდეგ უკვე მკვიდრი მთიელები ხდებოდნენ.

საბოლოოდ, მომთაბარე სტეპების მცხოვრები ტომები იძულებით შეეგუვნენ მთაში ცხოვრების ახალ პირობებს და მთიელებად იქცნენ (კავკასიაში მათ სამხრეთ რუსეთის ველებიდან მოსულებს, ანუ მარტივად „რუსებს“ უწოდებდნენ. ამის მაგალითია ის, რომ ჩერქეზები და ავარიელები თავიანთ თავს ზოგჯერ „რუსებს“ უწოდებდნენ. ეს საკითხი განხილულია ქვემოთ).

უნდა ვიფიქროთ, – განაგრძობს მილერი – კავკასიის მთებში მცხოვრები პატარა ხალხები წარმოადგენენ ნაშთს ერთ დროს სტეპებში მცხოვრები დიდი ხალხებისა, რომელნიც ძველი ისტორიკოსებისათვის, შესაძლოა, სხვა სახელითაა ცნობილი“.

მილერი წერს: „Перейдя Урал, Волгу, Дон, эти народы бесконечной вереницей двигались в южнорусские степи и стремились далее на запад в средние и южные страны Европы. При взаимном столкновении, побежденные племена, теснимые новыми „насельниками“ из Азии, должны были искать убежища в стороне от обычного пути народов, – на севере или на юге от него. Те из них, которые искали такого убежища на юге, неминуемо были оттесняемы к берегам Черного и Азовского морей или к Кавказским горам. Теснимый отовсюду народ искал убежища в горных ущельях, причем и здесь боролся с друг ими народами, раньше его загнанными из степи в горы. Не трудно представить себе, как могли влиять новые условия жизни на народы, загнанные из плоскости в горы. Если народ был способен выдержать борьбу с природой и туземцами, он завоевывал

себе новую родину; но, во всяком случае, изменившиеся условия жизни и постоянная борьба с течением времени сокращали его численность. Степняк-номад нелегко привыкꙋает к горам: только необходимость заставляет его освоиться с ними и только через несколько поколений вырабатывается из него тип горца.

Можно думать, что все современные мелкие народцы, доживающие свой век в ущельях Кавказского хребта, представляют скудные остатки более крупных народов, некогда бродивших в степях, и быть может, известных древним и средневековым историкам и географам под иными именами». «СТЕНА ОБИТЕЛИ СВЯТОЙ И БАШЕН СТРАННЫЕ ВЕРШИНЫ». ХРИСТИАНСКИЕ ХРАМЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА.Записки реставратора

მილერს მიაჩნდა, რომ კავკასიის ალანები, ასევე ადიღები, დაღესტნელები და ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი კავკასიის მთებში შევიდნენ სტეპებიდან, ანუ შუა აზიის, ურალის, ვოლგისა და დონისპირეთის დაბლობებიდან კავკასიის მთებში.

მილერის ეს აზრი უარყოფილ იქნა საბჭოთა ეპოქაში, სადაც წამოაყენეს თეორია სსრკ ყველა ხალხის აბორიგენობის შესახებ. განსხვავებული აზრი იდევნებოდა, როგორც არამარქსისტულ-ლენინური. მაგალითად, 1988 წელს გამოცემული რუსული წიგნი „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია“, მარქსისტულ-ლენინური მეთოდით დაწერილი, არ ეთანხმება მილერის აზრს: „История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в.– М.: Наука, 1988. – Книга представляет собой первую в советской исторической науке попытку обобщающего освещения истории северокавказских народов с древнейших времен до конца XVIII в. Труд опирается на марксистско – ленинскую методологию“.

საბჭოთა სისტემის რღვევამ კვლავ გააცოცხლა მილერის თვალსაზრისი ჩრდილო კავკასიის ხალხთა შესახებ.

ადიღე ხალხის წარმოშობის შესახებ წყაროთა ანალიზით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი მათი წინაპრების ტიუმენ-ენისეის ოლქიდან ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრების შესახებ ოქროს ურდოს პერიოდში,

წყაროების განხილვამდე უნდა ითქვას, რომ იგივე გზა ურალ-დასავლეთ ციმბირიდან გაიარა ნოღაელმა ხალხმა, რომელთა წინაპრებიც თავდაპირველად სახლობდნენ დასავლეთ ციმბირის რეგიონში, სადაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებიც გაჩნდა ოქროს ურდოს ფარგლებში, შემდეგ კი დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიაში.

ადიღეველთა შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი სატომო სახელი ადიგე, დაკავშირებული უნდა იყოს ოქროს ურდოს სარდლის სახელთან – „ედიგეი“, რომელიც ვითარცა მთავარი ემირი და მმართველი ოქროს ურდოსი, მრავალი წელი დევნიდა თოხთამიშს, ოქროს ურდოს ხანს. მისი ტახტიდან გადაყენების შემდეგ დაეუფლა მის პირად საკუთრებას – სამკვიდრებელს ტიუმენში, ანუ გაბატონდა თოხთამიშის ხალხზე (ულუსზე) ტიუმენ – დასავლეთ ენისეის ოლქში. ამ ულუსს ახლა ედიგეის ულუსი დაერქვა.

ამჟამადაც ამ ოლქში (ტიუმენ-ენისეი) ცხოვრობს ენობრივად ადიღეველთა თანამონათესავე, ე. წ. სინო-კავკასიური ენის მატარებელი ხალხი.

სინო-კავკასიური ენათა ჯგუფი იშვიათია და ატარებენ მხოლოდ ადიღეური ხალხის ტომები, ენისეის ტომები, ასევე ჩინელები-ტიბეტელები და ჩრდილო-ამერიკელი ინდიელები.

ამ იშვიათი ენათა ჯგუფის მატარებლები, ნოღაელთა მსგავსად, ციმბირიდან ჩრდილო კავკასიაში უნდა ჩასახლებულიყო ხალხთა იმ გადაადგილების დროს, რომელიც ხდებოდა ოქროს ურდოში თემურ ლენგის, თოხთამიშისა და ედიგეის ლაშქრობათა ეპოქაში, ენისეიდან და დასავლეთ ციმბირიდან ჩრდილო კავკასიის რეგიონში.

ამჟამად ენისეურ ენებს უსაფუძვლოდ აკავშირებენ მკვდარ, ნაკლებად შესწავლილ ენებთან – შუმერულთან, ხეთურ-ურარტულთან. ეს დაკავშირება ასევე ჰიპოთეზურია,

ადიღეველთა და დასავლეთ-ციმბირულ ენათა ახლო ნათესაობას საფუძლად უდევს ენობრივი მონაცებები – ენისეის აუზისა და ადიღეური ტომების ერთ ენათა ჯგუფში ყოფნა.

ედიგეი თვითონ იყო გამოსული ენისეი-ციმბირში მომთაბარე მანგიტების ტომიდან. 1392 წლიდან ის გახდა მანგიტების ულუბეი.

მანგიტების იურტის ძალაუფლების გასაფართოებლად ის ებრძოდა თოხთამიშ-ხანს.

1396–1411 წლებში ედიგეი იქცა ოქროს ურდოს ფაქტიურ მმართველად. შემდეგ ედიგეი გახდა დიდი ვეზირი (ბეგლარბეგი) ოქროს ურდოსი, სიკვდილამდე, 1419 წლამდე.

ედიგეის დროს მანგიტების, ანუ ედიგეის ურდოს სამფლობელოს საზღვარი დასავლეთ ციმბირის დაბლობამდე განივრცო, სადაც ცხოვრობდნენ სინური ენის მატარებელი ტომები. Владения Мангытской Орды расширились до Западно-Сибирской низменности.

აქ ცხოვრობდნენ სინო-კავკასიური ენის მატარებელო ტომები. სწორედ აქ გაიქცა და მოკვდა თოხთამიშ-ხანი. ამ მიწაზე მცხოვრებმა ტაიბუგების ტომმა ედიგეი აღიარა თავის ბელადად. ჩანს, ისინი სინური ენის მატარებელი ტომები იყვნენ.

1416 წელიდან, როცა ედიგეიმ გადაწვა კიევი და დნეპრის მარცხენა სანაპირო, თვალთახედვა მიაპყრო სამხრეთ რუსეთს, სადაც მედგრად იბრძოდა. ამ არეალში მოექცა ჩრდილო კავკასიაც, სადაც ადრე მისი მტერი ოქროს ურდოს ხანი შადიბეკი გაიქცა. ამიტომაც ჩრდილო კავკასიის საქმეთა დასაწყობად, მან, ჩანს, ჩაიყვანა საკუთარი ულუსი.

დასავლეთ ციმბირიდან ჩამოსულ ამ ულუსის ხალხს, წინამძღოლის სახელის მიხედვით ედიღეს ხალხი, ანუ ადიღეველები ეწოდა. ამ ხალხმა კავკასიაში შეიტანა თავისი ენისეური ენა, რომელსაც ახლა „აფხაზურ-ადიღეური ეწოდება.

ორი ტიუმენი (ციმბირისა და კავკასიის ტიუმენი)

ოქროს ურდოს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, 1400 წლიდან, თოხთამიში გახდა თავისი სამშობლოს, ციმბირის ტიუმენის ხანი, სადაც მისი მთავარი ქონება იყო საკუთარი ანუ ე.წ. „თოხთამიშის ულუსი“. აქ შეჭრილმა ედიგეიმ თოხთამიშის დამარცხების შემდეგ, ვითარცა გამარჯვებულმა მიისაკუთრა მთავარი საგანძური – თოხტამიშის უდო, ულუსი, ანუ თოხთამიშის მომთაბარე ხალხი. როგორც მემატიანე უწოდებს ამ პროცესს „დაჯდა მის ურდოზე.“ თოხთამიშის ულუსი გადაიქცა ედიგეის ურდოდ, ულუსად.

Тохтамыш-хан Золотой Орды в 1380–395 годах, хан Тюменского ханства с 1400 года, один из потомков Джучи

https://www.google.ru/?search=1&ei=2twRWT–zNM2NKwXx.vKS4DW&q.

Тохтамыш в 16-м сражении с Едигеем и Чокре был окончательно разгромлен и убит. Перед 1406 годом Архангелогородский летописец (входит в Устюжский летописный свод) сообщает (л. 215 об.- 216): Тое же зимы царь Женибек уби Тактамыша в Сибирскои земли близ Тюмени, а сам седе на Орде.[7]

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%BE%D1%85%D1%82%D0%B0%D0%BB%D1%8B-%D1%88

Шадибек (Женибек) (тат. **Шадибэк хан**) – **хан Золотой Орды (1399–1407)**.

Был сыном хана Кутлуга. На ханский престол взошёл в качестве ставленника эмира Едигея после смерти Тимур-Кутлуга.

Убил Тохтамыша в 16-м сражении с Едигеем и Чокре. Под 1406 годом Архангелогородский летописец (входит в Устюжский летописный свод) сообщает (л. 215 об.- 216):

Тое же зимы царь Женибек уби Тактамыша в Сибирскои земли близ Тюмени, а сам седе на Орде.[1]

Шадибек не вмешивался в дела царствования, предаваясь развлечениям и удовольствиям. Благодаря этому фактически всю власть в государстве захватил темник Едигей, установивший свои порядки в Золотой Орде.

Недовольный сложившейся обстановкой Шадибек поднял борьбу против Едигея, в которой победил последний. Шадибек бежал в Дербент, найдя убежище у эмира Дербента Шейха Ибрахима. На просьбы послов Едигея выдать темнику Шадибека Шейх Ибрахим ответил отказом. Находясь в Дербенте, Шадибек продолжал считать себя законным правителем Золотой Орды, о чём свидетельствуют выпущенные им на Кавказе монеты

http://ru.wikipedia.org/wiki/

ოქროს ურდოს ხანის შადიბეკის დროს ემირმა ედიგეიმ, რომელიც რეალური მმართველი იყო, მოკლა თოხთამიში და ჯილდოდ მიიღო მისი ურდო, ამის შემდეგ, მან თავის ხელში კიდევ უფრო მეტად აიღო ოქროს ურდოს მმართველობის სადავეები. თუმცა კი, ხანი შადიბეკი მისი დაყენებული იყო ტახტზე, შადიბეკმა გაბედა და უკმაყოფილება გამოხატა, ემირმა ედიგეიმ ხანს ეს არ აპატია, ამტომაც შადიბეკი იძულებული გახდა სიცოცხლის გადასარჩენად გაქცეულიყო კავკასიაში და ის გამაგრდა დერბენდში. სინური ენა, რომელიც

არის სინო-ტიბეტური ენათა ოჯახის წევრი. იმის შემდეგ რაც ადიგეის ურდოს ტომებმა მოახდინეს კავკასიური ტომების ასიმილაცია, ენათა შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ე. წ. სინო-კავკასიური ენათა ოჯახი, რომელშიც შედის აფხაზურ-ადიღეური და დაღესტნური.

აღსანიშნავია, რომ ტიუმენის ოლქიდან წამოსულ ედიგეის ულუსს (დედა-წულით წამოსულ მოლაშქრეებს) თან წამოუღია სახელიც თავიანთი ძველი ოლქისა – ტიუმენი.

მე-15 – მე-16 საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაშიც, ადიღეველ-ყაბარდოელთა აღმოსავლეთ პერიფერიაზე, თერგსა და კასპიის ზღვას შორის გაჩნდა ოლქი-ტიუმენი.

კავკასიისათვის ამ უცნაურ სახელს, ტიუმენს, ზოგიერთი მკვლევარი აკავშირებდა მონღოლურ სახელ 10.000-სთან (დუმენი), მაგრამ ეს თვალსაზრისი უარყოფილი იქნა. ასე, რომ ეს სახელი ციმბირის სახელ ტიუმენს უკავშირდება.

ეს სახელი ციმბირიდან კავკასიაში ჩამოიტანა ციმბირის ტიუმენის რეგიონის მიწა-წყლიდან კავკასიაში გადმოსახლებულმა ულუსმა, რომელიც ოქროს ურდოს ემირ ედიგეის ეკუთვნოდა. ჩრდილო კავკასიაში ედიგეის ურდო გაბატონდა. მის ხალხს ადიღეველები (ედიგეს ხალხი) ეწოდება ედიგეის სახელის მიხედვით.

ედიგეის ურდოს (ადიღეველთა წინაპრების) სამომთაბარო არეალი იყო ოლქი მდებარე ტიუმენიდან-ენისეიმდე (სადაც ენისეური ენის მატარებლები ცხოვრობდნენ), ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლებამდე, აქ გადმოსახლების შემდეგ კი მთელი ჩრდილო კავკასია.

კავკასიის ტიუმენი

კავკასიის ტიუმენის ცენტრი მდებარეობდა მდ. თერგის დელტაში, კასპიის ზღვასთან. მისი დასავლეთი საზღვარი ყაბარდო-ჩერქეზეთს ესაზღვრებოდა, ანუ ჩერქეზები და კავკასიის ტიუმენი ერთ ოლქს წარმოადგენდნენ, დასახლებული იყო ერთი წარმოშობის თურქული და ედიგეის (ადიღეს) ციმბირულ–ენისეური ენის მატარებელი ხალხით. ისინი ერთი წარმოშობის იყვნენ იმ მხრივ, რომ კავკასიაში გადმოსახლდნენ ოქროს ურდოს აღმოსავლეთი-ტიუმენ-ენისეის ოლქში მომთაბარეობდნენ, ამ დროს ისინი ადიგეის საპატრონო ურდოდ გადაიქცნენ, და მომთაბარეობა – ლაშქრობა დაევალათ კავკასიის მიმართულებით. ძირითადად, მე-15 ს. დასაწყისში.

და ორივე ხალხი, თურქული და ე.წ. სინო კავკასიური, ერთ მიზანს ემსახურებოდნენ ჩამოსახლების დროს – მოეხდინათ დამხვდური კავკასიური ტომების დამორჩილება, სასტიკი ომებით, შემდეგ კი, გადარჩენილი მოსახლეობის ასიმილაცია.

1903 წელს გამოქვეყნდა ხელნაწერი ციმბირ-ენისეიზე რელიგიური ომების შესახებ „О религиозных войнах учеников шейха Багаутдина против инородцев Западной Сибири“. აქ აღწერილია ისლამის იძულებით გავრცელების დროს ადგილობრივი მოსახლეობის სისხლიანი დევნის შესახებ 1394–1395 წლებში. მათ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაჟლიტეს. „არ დარჩა მდინარეთა და ნაკადულების სანაპიროებიც კი, სადაც ისლამის მომხრეები არ იბრძოდნენ“.

ამ დევნის დროს ირტიშ-ენისეის ტომები გადაადგილდნენ დასავლეთით სამხრეთ რუსეთის ველებისაკენ და, საბოლოოდ, ჩრდილო კავკასიაში.

ასე, რომ ჯერ კიდევ ედიგეიმდე ირტიშ-ენისეის მომთაბარე ტომებს გზა გაკვალული ჰქონდათ ჩრდილო კავკასიისაკენ. მათ მალევე შეუერთდნენ ნოღაელები და ადიღეველები უფრო მეტად, 1416 წლიდან.

ედიგეის სახელთანაა დაკავშირებული ჩრდილო კავკასიაში არამხოლოდ თავის პირადი (ედიგეს) ულუსის ჩამოყვანა არამედ ასევე ნოღაის ურდოს დაფუძნება..

როგორც ითქვა, ნოღაის ურდოს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოქროს ურდოს ტემნიკმა ედიღეიმ.

ნოღაელი ხალხი ჩამოყალიბდა ციმბირ-არალ-კასპიისპირეთის ველებზე, აქვე ჩრდილო კავკასიაში ადიღე ხალხი ჩამოყალიბდა

კავკასიაში ტიუმენის სახანოს დაარსება მე-15 საუკუნეში დაკავშირებული უნდა იყოს ციმბირის ტიუმენის სახანოს სახელთან, საიდანაც თავისი ულუსი, (ხალხი, მოლაშქრეები) წაყვანილი იქნა ედიგეის მიერ.

ტიუმენის ციმბირის ულუსის გადმოსახლება ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს დიდი ემირის ედიგეის მიერ განხორციელდა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა თოხთამიში კავკასიის ტიუმენთან მოკლეს ადიღეის მოლაშქრეებმა, ამ შემთხვევაშიც, ცხადი ხდება ადიგეის დაინტერესება რათა დაემორჩილებინა ურჩი ჩრდილო კავკასია და მტრის გავლენა აქ შეემცირებინა თავისი ულუსის მეშვეობით.

ნოღაისა და ადიღეს ურდოს მომთაბარეობა

(ციმბირიდან კავკასიამდე)

ნოღაის ურდო (ნოღაი იურტ) – მომთაბარე სახელმწიფო წარმონაქმნი, ის გამოჩნდა ულუს ეჯენა – ურდოს დაშლის შედეგად (ურდო-ეჯენა მდებარეობდა ოქროს ურდოს აღმოსავლეთით, ურალსა და ვოლგას შუა, იყო მისი ვასალური სახელმწიფო, ჩამოყალიბებული მე-14 ს-ის ბოლოსა და მე-15 ს-ის დასაწყისში, დაიშალა მე-17 ს-ის დასაწყისში (Ногайская Орда (Ногай юрт) – кочевое государственное образование, появившаяся в результате распада Улуса Орда-Эджена – вассального государства восточного крыла Золотой Орды, в междуречье Волги и Урала в конце XIV “ начале XV веков, а окончательно сфор-

мировалось в 40-х годах XV столетия[1] (к 1440 году[2]), распалось в результате междоусобиц и внешнего давления в первой половине XVII в)

http://ru.wikipedia.org /wiki/%D0%9D%D0%BE%D0%B3%D0%B0%D0%B9%D1%81%D0%BA-%D0%B0%D1%8F–%D0%9E%D1%80%D0%B4%D0%B0

მისგან წარმოიშვა ნოღაის ურდო.

სავარაუდოა, რომ ნოღაის ურდოს ჩამოყალიბებამდე არსებობდა ედიგეის ურდო (ოქროს ურდოს გამოჩენილი ემირის (მხედართმთავრის, ტემნიკის) ედიგეის, ანუ ადიღეს ურდო), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, ერთს შემდეგში ეწოდა ნოღაის ურდო).

ედიგეიმ, 1392 წლიდან მანგიტების ულუბეიმ, ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნოღაის ურდოს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

იქამდე, სანამ ამ ურდოს უწოდებდნენ ნოღაის ურდოს, ჩანს, ის იყო ერთი ნაწილი ედიგეის, ანუ ადიღეს ურდოსი, რომელიც, როგორც ითქვა, ორ ნაწილად დაიყო, ერთს დარჩა ადიღეს სახელი, მეორეს კი ნოღაისა (Важную роль в создании и упрочении Ногайской орды сыграл темник Золотой Орды Едигей. Сам выходец из племени Мангут (мангыт), Едигей с 1392 года стал улубеем мангытов).

XII–IXVI вв., мангыты и рода, принявшие их имя, распространились на обширной территории, от реки Днепр на западе до Внутренней Монголии и Бурятии на востоке, от верхнего Поволжья на севере и до северного Афганистана на юге.

http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B0%D0%BD%D0%B3%D1%83%D1%82%D1%8B

ნოღაი და ადიღე ადიგეის ორდის (ურდოს) წევრებს დაერქვათ. ედიგეს ურდო, ჩანს, ეთნიკური ნიშნით ორად გაყოფილა და ორივე იურტამ (ურდომ, ულუსმა) განვლო ერთიდაიგივე გზა დასავლეთ ციმბირიდან კავკასიისაკენ.

მე-14 საუკუნის 90-იან წლებში ედიგეი მუდამ ებრძოდა თოხთამიშხანს, რათა მანგიტების იურტას მეზობლებზე ძალაუფლება მოეპოვებინა და მისი საზღვრები გაფართოებულიყო (В 90-е годы XIV века Едигей вёл войны с Тохтамыш-ханом, во – первых, за господство в Золотой Орде, во – вторых, в целях укрепления власти Мангытского юрта над соседними владениями, расширения его границ).

ედიგეის არ ჰქონდა უფლება მოეპოვებინა ხანის ტიტული, დინასტიური მართვის წესის გამო, მაგრამ 1396–1411 წლებში ოქროს ურდოს ფაქტიური მმართველი იყო (Будучи темником, Едигей, не имевший право на ханский титул, в течение 15 лет (1396–1411) являлся фактическим правителем Золотой Орды).

მანგიტების ურდო მისი ზრუნვის უმთავრეს სფეროს წარმოადგენდა. მანგიტების ურდო იქცა ედიგეის ურდოდ, მას (ამ ურდოს) 1412 წლიდან ედიგეის შთამომავლები მართავდნენ (С 1412 года Мангытской ордой правили потомки Едигея).

1412–1419 წლეებში ედიგეი აქტიურად იბრძოდა, რათა ოქროს ურდოს ხანის ტიტული მისთვის მისაღებ პირს მოეპოვებინა, ჩინგის-ხანის შთამომავალს.

ასეთი იყო ხანი ჩოკრე-ოღლანუ, რომელიც ავიდა ტახტზე, ხოლო ედიგეი მისი ბეგლარბეგი გახდა.

ოქროს ურდოს დიდი ემირის, ანუ ბეგლარბეგის ტიტული მოიპოვა ედიგეიმ 1419 წლამდე (გარდაცვალებამდე) (Едигей стал беклярбеком (или великим эмиром) Золотой Орды, кем и был до своей смерти в 1419 году).

ედიგეის, ანუ მანგიტების ურდო ედიგეის მმართველობისას გაძლიერდა, მისი მიწა-წყალი დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოდ გადაიქცა (При правлении Едигея произошло постепенное обособление Мангытской орды и превращение её земель в независимое феодальное владение).

ედიგეის, ანუ მანგიტების ურდოს სამფლობელო გაფართოვდა დასავლეთ-ციმბირის დაბლობამდე, იქ, სადაც დღესაც ე. წ. სინო-კავკასიური ენის მატარებელი ტომები ცხოვრობენ (Владения Мангытской Орды расширились до Западно - Сибирской низменности).

აქ (დასავლეთ ციმბირში – ედიგეის სამშობლოში) ცხოვრობდნენ სინო-კავკასიური ენის მატარებელო ტომები.

სწორედ აქ გაიქცა დევნილი თოხთამიშ-ხანი და გარდაიცვალა. ამ მიწა-წყალზე ტაიბუგების ტომმა თავის პატრონად (უფლად) ედიგეი აღიარა (Именно сюда бежал и там умер Тохтамыш–хан, на этой земле племя тайбуга признало над собой власть Едигея).

ამის შემდეგ ტაიბუგებისა (племя тайбуга) და მანგიტების ურდოები ერთ, ედიგეის ურდოდ, გადაიქცა

ამ დროს მიმდინარეობდა ამ ურდოს სამფლობელოების გაფართოვება. მან დაიქვემდებარა მთელი რიგი ტომებისა, შემდეგში ამ ურდოში ჩამოყალიბდნენ ნოღაის ეროვნება და ასევე ადიღე ხალხი. (В это время в связи с расширением владений и подчинением целого ряда племен стала формироваться и ногайская народность) ორივე ამ ხალხმა (ნოღაელებმა და ადიღეველებმა) თავისი მომთაბარეობის დროს დიდი გზა გაიარა ციმბირიდან კავკასიამდე.

ადიღეს ურდომ ასევე გაიარა ეს გზა ციმბირიდან კავკასიამდე.

ედიგეის, ანუ ადიღეს ურდო თავისი პატრონის ნების შესაბამისად და დავალებით გაბატონდა ჩრდილო კავკასიის ყველა ადგილობრივ დაპყრობილ ტომზე, დონიდან – თერგამდე, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ეს იყო ოქროს ურდოს მიწა-წყალი. ედიგეის ამ ურდოს შთამომავლებს ადიღე ხალხი ეწოდა.

დასავლეთ ციმბირიდან და დასავლეთ ენისეიდან ედიგეის ულუსმა ჩრდილო კავკასიაში ჩამოიტანა ე.წ სინო-კავკასიური ენა. ეს მოხდა მე-15 ს-დან. ამ ენის მატარებლებს, ანუ ადიღებს ასევე უწოდებენ ჩერქეზებს, რადგანაც მათ მოახდინეს ჩერქეზების, შესაძლოა, იქამდე თურქულენოვანი ტომის ასიმილაცია. ადიღე-ჩერქეზებმა მე-17 საუკუნისათვის შეძლეს აფხაზეთის საბოლოო დაპყრობა და იქ დასახლება.

ციმბირიდან ჩრდილო კავკასიაში არა მხოლოდ ნოღაელები და სხვა ტოტები ჩასახლდნენ. იქამდე ეს გზა განვლეს, მაგალითად, ყივჩაღებმა.

ყივჩაღები, რომელნიც ციმბირის ევროპიიდულ რასას ეკუთვნოდნენ, ჯერ კიდევ მონღოლებამდე ჩამოსახლდნენ კავკასიაში. в начале XIII столетия, на территории Юго-Западной Сибири кочевали восточные половцы (они же кы-

пчаки), пришедшие туда ещё в XI веке Типичные европеоиды со светлыми волосами и глазами (Л. Н. Гумилёв «Тысячелетие вокруг Каспия», стр. 219)

http://forum–eurasica.ru/index.php?/topic/1412–%D1%82%D0%B0%D0%B9%D0%B1%D1%83-%D0%B3%D0%B0/

ასე, რომ სინო-ენობრივი ტომების ციმბირიდან კავკასიაში ჩამოსახლება არ არის უმაგალითო, იგივე გზა ციმბირიდან კავკასიისაკენ გაიარეს უფრო ადრე ყივჩაღებმა, მოგვიანებით ასევე ნოღაელებმა.

კავკასიაში ციმბირიდან გადმოსახლების დროს, ციმბირის ტიუმენის ხალხმა თან წამოიღო ტოპონიმებიც. კავკასიაშიც გაჩნდა ტიუმენი. ციმბირის ტიუმენის ხალხი, მართალია, თათრულ ტომად ითვლება, მაგრამ ის ძლიერ ყოფილა შერეული ციმბირის უფრო ძველ ხალხებთან ხანტებთან, მანსებთან, ასევე, ალბათ, სინური ენის მატარებელ ტომებთან.

http://forum–eurasica.ru//index.php?/topic/1412–%D1%82%D0%B0%D0%B9%D0%B1%D1%83-%D0%B3%D0%B0/

თავდაპირველად, კავკასიაში შემოსვლამდე, ნოღაის ურდო მომთაბარეობდა დასავლეთ ციმბირის დაბლობამდე (ногаи кочевали на северо-востоке – до Западно-Сибирской низменности). 1496 წელს ნოღაელები ციმბირიდან ყაზანსაც კი დაესხნენ (В 1496 состоялся сибиро-ногайский поход на Казань). 1550 წლიდან ნოღაელები დაიძრნენ კავკასიისაკენ მე-16, მე-17 საუკუნისათვის კავკასიაში საბოლოოდ დაფუძნდნენ (В конечном итоге, ногайцы перекочевали на Северный Кавказ). როგორც ითქვა, ოქროს ურდოს ემირი ედიგეი ედგა სათავეში ნოღაის ურდოს ჩამოყალიბების საქმეს. ნოღაის ურდო იყო ერთი ნაწილი ედიგეის უფრო დიდი ურდოსი, ამ ურდოს უმთავრესი ნაწილი, ჩანს, ნოღაელებზე საუკუნით ადრე ჩავიდა ციმბირიდან კავკასიაში და დაფუძნდა იქ. მისი გზა შემდეგ განვლო ურდოს ადგილზე დარჩენილმა ნაწილმა.

ადიღები

ადიღები, ანუ ჩერქეზები წარმოადგენენ ხალხთა ჯგუფს, რომელშიც შედიან ადიღეები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, შაფსუღები, ასევე თანამედროვე აფხაზები, რომელთა თვით სახელწოდებაა აფსუები. ყველა ისინი საუბრობენ ადიღეურ ენებზე, რომელნიც შედიან აფხაზურ-ადიღეურ ენათა ჯგუფში.

ადიღე-ჩერქეზები ჩრდილო კავკასიაში მკვიდრობენ. მათი დიდი ნაწილი გააძევა რუსეთის იმპერიამ მე-19 საუკუნეში.

უბიხებსაც (თვით სახელწოდება – პიოხ, პეხ) ხშირად ადიღებს (ჩერქეზებს) მიაკუთვნებენ. ეს ტომი თავისი შემადგენლობით ძალზე შერეული ყოფილა.

მოსაზრებას, რომ უბიხები ადიღეური ტომი იყო, ეწინააღმდეგება ეთნოგრაფისა და ლინგვისტის ლ. ლიულიეს ცნობა, რომ უბიხების ენა არ განეკუთვნებოდა არც ჩერქეზულს და არც აფსუა-აფხაზურს და ძირფესვიანად განსხვავდებოდა მათგან.

ლ. ლიულიე ძირფესვიანად ფლობდა ყველა ადიღეურ დიალექტს და ცხოვრობდა მათ შორის. 1820-იან წლებში შეადგინა პირველი ადიღეური ანბანი.

ის წერდა: „უბიხები ლაპარაკობენ განსაკუთრებულ ენაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც ჩერქეზულთან და არც აფხაზურთან" („Убыхи говорят особым языком, не имеющим сходства ни с черкесским, ни с абхасским».! (Люлье Л. Я. Черкесия. : Историко – этнографические статьи. Северо-Кавказский филиал традиционной культуры М. Ц.Т. К. «Возрождение», 1990)

უბიხები საკუთარ ენას მალავდნენ და მას არ მოიხმარდნენ დიდი შეკრებების დროს. ისინი ასეთი შემთხვევებისათვის, ანუ ოჯახისგარე საჭიროებისათვის მოიხმარდნენ სხვა ენას – ჩერქეზულს.

უბიხები ორენოვანი ხალხი იყო. საშინაოდ მოიხმარდნენ საკუთარ უბიხურ ენას, საზოგადოებაში კი – ჩერქეზულს (ჩერქეზული ენის აბაძეხურ დიალექტს).

მე-19 საუკუნის მრავალი ავტორი აღნიშნავდა, რომ, როცა ისინი იმყოფებოდნენ უბიხთა შორის, არც კი გაუგონიათ მათი საშინაო ენა, რადგანაც საყოველთაოდ გამოიყენებოდა ჩერქეზული.

აქედანაც ჩანს, რომ უბიხები ისევე, როგორც მთის კავკასიელი მრავალი ტომი, შედგებოდა ორი ფენისაგან. ზედა ფენა ბატონობდა ქვედაზე და ამ ფენებს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობა ჰქონდათ. მაგალითად, ოსებში ქვედა ფენა იყო არა ოსები, არამედ დვალები და ამ დვალებს საკუთარი დვალური ენა ჰქონდა, ვახუშტის ცნობით.

ოსეთში დაბალი ფენის დვალური ენა ფარულად მოსახმარი იყო. დვალები საზოგადოებაში მოიხმარდნენ მეორე ენას, ოსურს, მაღალი ფენის ენას.

საბჭოური მეცნიერება უბიხებს ენობრივად ანათესავებდა აფსუა-ადიღებს, რაც არასწორია. საქმე ისაა, რომ ძველი უბიხები, ჩანს, იყვნენ ნაშთი კავკასიელი ჯიქებისა, რომელიც დაიპყრეს კავკასიაში ჩასახლებულმა ადიღე-ჩერქეზებმა. ამის გამო ის (ჯიქები) იქცა ქვედა ფენად (როგორც, მაგალითად, დვალები ოსებში), და მოხდა ადიღეებში მათი ასიმილაცია. საბოლოოდ კი, მათ რეგიონში მათი სატომო სახელი (ჯიქი, უბიხი) დამპყრობელ ჩერქეზებს ეწოდა. ამ ურთიერთშერევით წარმოიქმნა ახალი ტომი, ანუ ახალი უბიხები.

ახალი და ძველი უბიხები სხვადასხვა ეთიკური წარმოშობის ტომები იყვნენ. ახალი უბიხები-ადიღე-ჩერქეზული ტომი, ძველი უბიხები – ადგილობრივი, კავკასიური ტომი, თავიანთი განსხვავებული ენებით, რასაც მიუთითებს ლიულიე.

ამ მიზეზის გამო, ასიმილაციის პროცესის დროს, რომელიც დასრულებული არ ყოფილა მე-19 ს-ის დასაწყისში, დაბალ ფენად ქცეული უბიხი მკვიდრები მალულად იყენებდნენ თავიანთ მშობლიურ ენას, ოფიციალურად კი დამპყრობელ ჩერქეზთა ენას. რასაც აღნიშნავს ლ. ლიულიე.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ეთნონიმ ადიღეს წარმოშობა დაუდგენელია. ჩვენ ამ სახელს ვაკავშირებთ ოქროს ურდოს სახელოვან სარდალ ადიღეის სა-

ხელთან, რომელმაც თავისი ურდო ჩაასახლა ჩრდილო კავკასიაში მე-15 ს. დასაწყისისათვის, დაახლოებით 1416 წლიდან.

ადიღეს ულუსმა დაიპყრო ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი დაღესტნამდე და მათზე გაბატონდა სხვადასხვა სახელით – ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა.

სიტყვა „ადიღეს“ პირველად მოიხსენიებს 1502 წელს გენუელი მოგზაური ჯ. ინტერიანო. მის დროს ზიხები და ჩერქეზები უკვე დაპყრობილი და ასიმილირებულები იყვნენ ადიღეებში. ამიტომაც ეს ხალხებიც თავის თავს ადიღებად მოიხსენიებდნენ. ალ-დიმაშკის ცნობით, ჩერქეზები თავდაპირველად თურქულენოვანი ხალხი იყო, რომელიც ადირებსია ასიმილაციის შემდგომ სინურენოვნად იქცა.

ადიღების ტომებია აბეძეხები, ადამიიები, ბჟედუგები, გუაიები, ეგერუკაევები, ჟანეევები, მამხეგები, მახოშევები, ნატუხაიები ტემირგოევები, ხატუკაები და სხვები.

ისმის კითხვა, როდის მოხდა ჩერქეზების ასიმილაცია ადიღეველებში, ანუ როდის დაიმორჩილეს ჩერქეზები ადიღეველებმა?

მე-14 საუკუნეში ოქროს ურდოში თოხთამიშსა და თემურ-ლენგს შორის ბრძოლისას ჩერქეზებმა თოხთამიშის მხარე დაიჭირეს. ამის გამო ისინი სასტიკად დასაჯა ჯერ თემურ ლენგმა, შემდეგ კი ედიგეიმ.

ედიგეისათვის თოხთამიშის მხარდამჭერი ჩერქეზები ძლიერი მტერი იყო. ჩანს, მათ დასამარცხებლად შემოიყვანა კიდეც თავისი ულუსი ჩრდილო კავკასიაში.

მართალია, თემურ-ლენგმა სასტიკად დაამარცხა თოხთამიში და შური იძია ჩერქეზებზე, მაგრამ თემური მალე გარდაიცვალა და ჩერქეზები კვლავ დიდი ძალა იყო კავკასიაში, რაც თოხთამიშს აძლიერებდა. ამის გამო თოხთამიშის გავლენის დასამცრობად ედიგეიმ საგანგებო ღონისძიებებს მიმართა ჩრდილო კავკასიაში თავისი ულუსის ჩამოყვანით.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ეთნონიმი „ჩერქეზი“ და ტოპონიმი „ჩერქეზია“ მე-13 საუკუნის დასაწყისიდან გამოიყენება ადიღე ხალხის და მისი ქვეყნების აღსანიშნავად. ეს აზრი საკამათოა, უფრო სავარაუდოა, რომ თუ კი ჩერქეზები ნამდვილად ცხოვრობდნენ კავკასიაში მონღოლური ექსპანსიების ეპოქაში, მოხდა მათი დაპყრობა და ასიმილაცია ადიღე ტომების მიერ. მე-15 ს-ში მოხდა ადიღეებში ჩერქეზების სრული ასიმილაცია. ამის გამო ჩრდილო კავკასიის ძირითად ხალხს ეწოდა ადიღე-ჩერქეზები. მათ შემდეგ დაიმორჩილეს ჯიქები, აბაზები, უბიხები და სხვა ადგილობრივი ხალხები.

ადიღე-ჩერქეზები მრავალ ტომად იყო დაყოფილი. რამდენიმე ტომმა მე-17 საუკუნეში შეძლო აფხაზეთის დაპყრობა, აფხაზეთში იქამდე მცხოვრები ქართველი აფხაზები ასიმილირდნენ შემოსულ ადიღეთა ტომებში.

ამ შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ადიღეური ხალხი, რომელსაც ამჟამად ახალი აფხაზები ეწოდება. ისინი თავიანთ თავს აფსუებს უწოდებენ.

ადიღების წინაპრები

მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ყაბარდოელების (ადიღების) წინაპრები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ყუბანისა და შავი ზღვის სანაპიროებზე და იქედან ამჟამინდელ ტერიტორიაზე გადასახლდნენ თემურ ლენგის შემდეგ, ე.ი. მე-15 საუკუნეში. В науке существует утвердившееся мнение: приход предков кабардинцев на нынешнюю территорию с низовий Кубани и Черного моря, состоялся после походов среднеазиатского завоевателя Тимура, т.е. в XV веке.

http://buday.narod.ru /gi6.htm.

ამ მოსაზრებას მრავალი ფაქტი ეწინააღმდეგება. მაგალითად, შავიზღვისპირეთიდან მოსულ ხალხს (ადიღებს) არა აქვთ თავისი ენის ძირითად სიტყვიერ ფონდში სიტყვები „ზღვა“ და „ტბა“, მათ ნაცვლად იყენებენ თურქულ სიტყვებს „ყარა ტენჯიზ“ (ტენგიზ), „გუელ“ (გელ, კელ). ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ესკიმოსებს თოვლის გამოსახატავად 20 დასახელება აქვთ, მაშინ როცა ეკვატორზე მცხოვრებ ხალხებს – არცერთი. ლინგვისტი ი. სრეზნევსკი ამასთან დაკავშირებით წერს: „რაც სიტყვით გამოიხატებოდა, ის არსებობდა კიდეც ცხოვრებაში. და რაც არ იყო ცხოვრებაში, ის არც სიტყვით გამოიხატა, თითოეული სიტყვა ისტორიკოსისათვის არის მოწმობა, ძეგლი და ხალხის ცხოვრების ფაქტი“ („Балкаро-кабардинские языковые связи» Б. Х. Мусукаев, стр. 28), ანუ ზღვა არ არსებობდა ადიღების ცხოვრებაში და ენამაც არ გამოხატა ის. ზღვისპირეთის მცხოვრებნი რომ ყოფილიყვნენ ადიღები, მისი მრავალი დასახელება ექნებოდათ, – წერს ბ. მუსკაევი:

არასწორია თეორია ადიღების ეთნოგენეზის შესახებ. მაგალითად, ოფიციალური გვერდზე ნათქვამია: ადიღების წინაპრები იწოდებოდნენ ზიხებად (ჯიქებად), მეოტებად, კერკეტებად, და ა. შ. რომელნიც მოხსენებულნი არიან ანტიკური ავტორების მიერ ძვ. წ. მე-6 ს.-დან. „Предки адыгов, именуемые зихами, меотами, керкетами и т. д., вошли в историю начиная с VI века до нашей эры[49], так как описаны античными авторами, а их культура последовательно подтверждена памятниками майкопской культуры, дольменной культуры, меотской культуры и других археологических культур. ამ ცნობის შემდეგ ოფიციალურმა გვერდმა გამოტოვა თითქმის 2000 წლის ისტორია და მოულოდნელად ადიღების ისტორია გააგრძელა თემურ ლენგის ეპოქიდან. რატომ გამოტოვეს ადიღების ისტორიის ეს პერიოდი მეოტების პერიოდიდან ვიდრე თემურ-ლენგამდე? ამის მიზეზი ისაა, რომ სიტყვა „ადიღეც“ კი მხოლოდ თემურ-ლენგის შემდეგ გახდა ცნობილი, არავითარი წყარო არსებობს მათი ისტორიული ცხოვრების შესახებ თემურამდე.

ამ გვერდზე ნათქვამია, რომ ჩერქეზები იბრძოდნენ თემურ ლენგის წინააღმდეგ და იდგნენ თოხთამიშის მხარეს. თემურ ლენგს ამის გამო სასტიკად დაუსჯია ჩერქეზები და მის ჯარს გაუუკაცრიელებია მთელი ჩრდილო კავკასია აზოვიდან იალბუზამდე.

В XIV веке, в период военного соперничества в Золотой Орде между Тохтамышем и Тамерланом, черкесы выступили на стороне Тохтамыша. Однако, выбор оказался неудачным. Тамерлан разгромил Тохтамыша и отомстил черкесам. Как отмечал персидский историк Низам ад-Дин Шами, посланные Тамерланом войска опустошили и ограбили всю область от Азова до Эльбруса[50].

როგორც სპარსი ისტორიკოსი ნიზამ ად-დინ შამი აღნიშნავს: თემურ ლენგის ჯარმა გააუკაცრიელა მთელი მხარე აზოვიდან იალბუზამდე. მაშასადამე, ამ ცნობის თანახმად, თემურ-ლენგი ებრძოდა ჩერქეზებს, მათი ტერიტორია გაუკაცრიელა, ანუ მთლიანად ამოხოცა ჩერქეზები. თუ ეს ასე იყო თემურლენგის შემდეგ, როგორ აღმოჩნდნენ ადიღები ყველაზე მრავალრიცხოვანი და ჰეგემონი ხალხი მთელ ჩრდილო კავკასიაში ყუბანიდან ვიდრე დაღესტნამდე და კასპიის ზღვამდე? რამ გამოიწვია მისი ასეთი მოულოდნელი და საოცარი გამრავლება? ან იქნებ თემურს არ გაუკაცრიელებია ჩრდილო კავკასია? სხვა წყაროთა ცნობით, თემურმა მართლაც გააუკაცრიელა ჩრდილო კავკასია იმდენად, რომ მისი დემოგრაფიული სახე მთლიანად შეიცვალა.

თუ კი ადიღები იყო ჩრდილო კავკასიის ხალხი, ის თემურ ლენგის შემდეგ კი არ უნდა გამრავლებულიყო მთელს ჩრდილო კავკასიაში, არამედ შემცირებულიყო ანდა გამქრალიყო, რადგანაც, წყაროთა ცნობებით, თემურ ლენგმა მათი მხარე სრულიად გააუკაცრიელა.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, თოხთამიშის მხარდაჭერის გამო ადიღე–ჩერქეზებს სასტიკად ამარცხებს და ხოცავს თემურ ლენგი ისე, რომ აზოვიდან იალბუზამდე ტერიტორია, ანუ ძირითადი საცხოვრისი ადიღე-ჩერქეზებისა (ძველი საცხოვრისი ჯიქებისა, მეოტებისა და კერკეტებისა) უკაცური ხდება. ესაა წყაროს მიერ დადასტურებული ფაქტი. ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ, მეცნიერებაში გაბატონებული თეორია გვიმტკიცებს, რომ მთელი ჩრდილო კავკასია თემურის შემდეგ გადავიდა ადიღეთა ხელში, სადაც ისინი გაბატონდნენ ყველა ადგილობრივ გადარჩენილ ტომზე. В науке существует утвердившееся мнение: приход предков кабардинцев на нынешнюю территорию с низовий Кубани и Черного моря, состоялся после походов среднеазиатского завоевателя Тимура, т. е. в XV веке

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა – თემურ-ლენგმა ადიღები დასაჯა თუ დააჯილდოვა? ეს თეორიები ერთმანეთს არ ეთანადებიან.

თეორიას ადიღეთა წინაპრების შავი ზღვისა და ყუბანისპირეთში ცხოვრების შესახებ არ იზიარებს ზოგიერთი თურქულენოვანი ცნობილი მეცნიერი.

ერთ-ერთი, როგორც აღინიშნა, წერს: „ძნელია ახსნა იმისა, რომ შავი ზღვის პირზე მცხოვრებ ადიღეთა ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში არ არსებობს „შავი ზღვისა“ და „ტბის“ აღმნიშვნელი სიტყვები, ამიტომ მათ აღსანიშნავად თურქულ სიტყვებს იყენებენ. ამას ისიც ერთვის, რომ სხვა ენათმეცნიერის კვლევით, ყუბანის ქვემო წელსა და ტამანის ნახევარკუნძულის ჰიდრონიმები არის არა ადიღეური, არამედ თურქული“.

Л. Г. Гулиева исследовала гидронимы нижнего течения Кубани и Таманского полуострова и составила морфологический анализ тюркских гидронимов Кубани («Советская тюркология» 1976. № 2, стр. 52). Исследование показало, что большинство названий водных объектов имеют тюркские основы.

http://buday.narod.ru/g16.htm

თურქულენოვან მეცნიერები არ ეთანხმებიან თეორიას ადიღების წინაპრების შავი ზღვისა და ყუბანისპირეთში ცხოვრების შესახებ, თუმცა მათ მოსაზრებას საბჭოთა სისტემა უგულვებელყოფდა ანდა სჯიდა ამ მოსაზრების გამო.

ასევე ძველი ქართველი მემატიანეები, შავიზღვისპირეთსა და ყუბანისპირეთს არ მიიჩნევენ ადიღეველთა წინაპრებით დასახლებულად, არამედ თარგამოსის შთამომავლებით, ანუ ქართველური ტომებით.

მიბჩუანისა და რატიანის კვლევით, უამრავი ტოპონიმი ყუბანისპირეთიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ქედამდე ქართულია (მეგრულ-სვანურია).

ფაქტი იმისა, რომ ადიღეთა შესახებ არავითარი ცნობა არ გვხვდება მე-14, მე-15 საუკუნემდე, კიდევ ერთხელ გვიმყარებს მოსაზრებას, რომ ისინი ნოღაელთა და უფრო ადრე ყივჩაღთა მსგავსად ჩრდილო კავკასიაში ჩამოსახლდნენ ციმბირის ვრცელი მხარეებიდან. ამას უპირველესად ენობრივი მონაცემები ადასტურებს. ადიღეური და ენისეური ენები ერთ ენათა ოჯახში ერთიანდებიან. სახელი ადიღე, რომლის ეტიმოლოგიაც დღემდე შეუსწავლელია, უფრო მიგვითითებს ოქროს ურდოს ციმბირელი მმართველის ედიგეის შესახებ.

ედიგეის ულუსი წარმოადგენდა დასავლეთ ციმბირ-ენისეის სატომო გაერთიანებას, რომელიც ემორჩილებოდა თავის ბელადს, ედიგეის, ოქროს ურდოს ფაქტიურ მმართველს, რომელსაც ეს ულუსი ერგო თოხთამიშზე გამარჯვების შემდეგ. იქამდე ამ ულუსის მეთაური თოხთამიში იყო, რომელიც წარმოშობით აქაური (ციმბირელი) დიდებული იყო

УЛУС, 1) родо племенное объединение с определенной территорией, подвластное хану или вождю у народов Центральной и Средней Азии, Сибири. (http://dic.academic.ru /dic.nsf /ento/647)

ციმბირის სახანო იყო მრავალეროვნული პოლიტიკური გაერთიანება, მეთაურ ხანს ირჩევდა არისტოკრატიული ზედაფენა. თათარ დიდებულთა შემადგენლობაში ასევე შევიდნენ ოსტიაკები და ვოგულები (მანსები), დანარჩენი არათათრული მოსახლეობა (ოსტიაკები, ვოგულები და სამოედები) იყვნენ დამორჩილებულ მდგომარეობაში, მათ შორის, ალბათ, სინურენოვანი ენისეური ტომებიც შედიოდნენ,

როცა ედიგეის ულუსი ციმბირიდან კავკასიისაკენ გამოემართა (იმავე გზით, რომელიც შემდგომ ნოღაის ულუსმა გაიარა ციმბირიდან კავკასიისაკენ და უფრო ადრე ყივჩაღებმა), სინურენოვანი ტომები თათრებთან ერთად აღმოჩნდნენ კავკასიაში.

კავკასიაში სინურენოვანი ტომები ადიღებად იწოდნენ, ულუსის ბელადის ედიგეის სახელის მიხედვით.

ადიღებმა შეძლეს ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს პოლიტიკის გატარება და გაბატონება. ახლა უკვე ისინი კავკასიაში ადგილობრივ ტომებს

იმორჩილებდნენ და ამ ტომების სახელებს ითავისებდნენ, რითაც ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ.

მაგალითად, ადიღეების იმ ტომს, რომელმაც კავკასიური ტომი უბიხები დაიმორჩილა, თვითონ ეწოდა სახელი უბიხები, რომელიც ამ დაპყრობის შემდეგ ორ ფენად იყოფოდა, არისტოკრატიული ფენა ადიღეები იყვნენ, დაბალი დამორჩილებული კი – ადგილობრივი უბიხები.

იქამდე უბიხები – არაადიღეური ტომი იყო По происхождению и языку, убыхи вовсе не принадлежат к племени адиге; но, по нравам, обычаям, общественному устройству и, наконец, по всеобщему употреблению у них черкесского языка, наравне с природным языком, должны быть причислены к группе черкесских племен.

http://www.vostlit.info/Teqst/Dokumrnt/Kavkaz/XIX/1800–1820/Dubrovin–N/cerkesy–2.htm

უბიხები – ჩერქეზების მიერ დაპყრობილი ხალხი იყო, ეთნიკურად არა ჩერქეზები, წერს რუსი ავტორი.

მონღოლურ ეპოქაში დამპყრობელი ტომები საკმაოდ ხშირად იღებდნენ დაპყრობილი ტომების სახელს. მართალია, ხდებოდა დამპყრობელი ტომის მიერ დაპყრობილის ასიმილაცია, მაგრამ დამპყრობელი მიწა-წყალთან და ხალხთან ერთად იღებდა დაპყრობილი ტომის სახელს, ანუ ხდებოდა სახელის გადაცემა ერთი ტომისა მეორეზე.

„Предполагается, что после походов Чингисхана в среднеазиатские степи проникла небольшая часть монголов–мангутов, которые, оказавшись в окружении какой–то группы кипчакских племен, были ассимилированы, но передали им свое названи“

https://dic.academic.ru /dic.nsf /ruviki/1022318№

მსგავსადვე, კავკასიაში გაბატონების შემდეგ გაბატონებული ადიღეური ტომები იღებდნენ დაპყრობილი ტომების სახელებს, ასე მიიღეს მათ კავკასიელი ტომების სახელები.

ჩვენი კვლევით, ადიღეველები თოხთამიშის დამარცხების წლებში დაახლოებით, 1405–1406 წწ. წამოიყვანა ციმბირ-ყაზახეთის არეალიდან კავკასიის მხარეს ემირმა ადიგემ (ედიგეიმ), ოქროს ურდოს ხანის შადიბეკის დევნის წლებში, უფრო კი 1416 წელიდან, კიევსა და დნეპრის მარცხენა სანაპიროზე წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, როცა ედიგეიმ კიდევ ერთხელ მიაპყრო თვალთახედვა სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილო კავკასიას.

ედიგეი ჩრდილო კავკასიაში ებრძოდა ოქროს ურდოს ხან შადიბეკს. ეს ხანი ედიგეიმ ტახტიდან ჩამოაგდო, შადიბეკმა შეძლო გაქცევა და ჩრდილო კავკასიაში დაბანაკდა. დერბენდში მან მონეტებიც კი გამოუშვა თავისი სახელით, ანუ ის აქაური ხალხისათვის კვლავ ოქროს ურდოს კანონიერი ხანი იყო, რომელსაც უკანონოდ ებრძოდა ედიგეი. შესაბამისად, ედიგეის ესაჭიროებოდა ჩრდილო კავკასიის სრული დამორჩილება, ამისათვის უნდა ჩამოეყვანა მას ჩრდილო კავკასიაში საკუთარი ურდო დასვლეთ ციმბირ-ჩრდილო ყაზახეთიდან. მისი ხალხი იწოდა ადიღეველებად.

შესაძლოა, ხალხის სახელი „ადიღე“ („ადიგ“) პირველად გაისმა ოქროს ურდოს ხან შადიბეკთან ედიგეის ულუსის ბრძოლისას.

როგორც ითქვა, ჩრდილო კავკასიაში ემირ ადიგეის მისი მტერი ოქროს ურდოს ხანი შადიბეკი გაექცა, კავკასიაშივე თემურს სულ რამდენიმე წლის წინ ებრძოდნენ მისი მტრის თოხთამიშის მომხრე ხალხები. ისინი ჩრდილო კავკასიაში გაბატონდნენ კიდეც მე-15 ს. დასაწყისიდან. ასე, რომ ადიღეველები ჩრდილო კავკასიაში შევიდნენ არა შავიზღვისპირეთიდან ანდა ყუბანისპირეთიდან, არამედ ნოღაელებისა და ყივჩაღების მსგავსად, ციმბირიდან, რასაც ენისეურ-ადიღეურ ენათა ნათესაობაც ადასტურებს.

დაახლოებით 1406 წელს, ჩერქეზები დონზე ნახა ევროპელმა მოგზაურმა (ДУБРОВИН Н. Ф.ЧЕРКЕСЫ). ეს იყო ჩერქეზების პირველი ხსენება ისტორიაში.

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ არაფრით მტკიცდება მეოტების, ანდა კერკეტების ადიღეველობა. მიაჩნიათ, რომ სიტყვა „კერკეტები“ ეტიმოლოგიურად სიტყვა „ჩერქეზთანაა“ დაკავშირებული, ესაა საფუძველი იმისა, რომ კერკეტები მივიჩნიოთ ჩერქეზების წინაპრებად.

სინამდვილეში ასეთი ეტიმოლოგიური დაკავშირება უსაფუძვლოა. ეს სიტყვები ერთმანეთს არ უკავშირდება, შეიძლება ვამტკიცოთ პირიქით, მაგალითად სიტყვა კერკეტი ეტიმოლოგიურად სრულიად ეთანადება სიტყვა „გერგეტს“, „გეორგეტს,“ ანუ „გეორგებს“, რომელთა ცხოვრების შესახებ ჩრდილო კავკასიასა და ყირიმშიც ცნობებს გვაწვდიან ანტიკური ავტორები.

ამ მეთოდოლოგიით, კერკეტები (იგივე გერგეტ – გეორგეტები) ქართველთა წინაპები არიან და არა ჩერქეზებისა, მით უმეტეს, ასევე მიიჩნევა, რომ სიტყვა „ჩერქეზ“ თურქული წარმოშობისაა და „თავიმკვეთელს“ აღნიშნავს. ასე აღიწერებოდა ის დაუნდობელი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდნენ ადიღეური ტომები ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მე-15 ს. შემდეგ.

ასევე, მაგალიად, სიტყვა „მეოტი“ შეიძლება ქართული წარმოშობისა იყოს. ქართველებს, ცხადია, სახელი შეეძლოთ დაერქმიათ თავიანთი მეზობელი ტომისათვის,

სიტყვა „მეოტი“ ქართულად ნიშნავს ოტებულს, წასულს, გადაადგილებულს, ფუძე-ძირი სიტყვისა არის „ოტება“, რომელიც ნაწარმოებია ქართულივე სუფიქსით „მე“. „მე-ოტი“.

თუ რატომ ეწოდა ამ ტომს ასეთი სახელი, შეიძლება გვიჩვენებდეს ძველ მატიანეთა ცნობები, რომელთაც ვახუშტიც იმეორებს.

ამ ცნობით, მეფე ფარნავაზისა და ერისთავ ქუჯის მიერ შექმნილ სახელმწიფოში შესვლა არ ინება მდ. ეგრისწყლიდან მდ. ყუბანამდე მცხოვრებმა მოსახლეობამ, და, შესაბამისად, ისინი ამის გამო ოტებულებად, ანუ მეოტებად გადაიქცნენ.

ამავე ცნობებით, მდ. ყუბანიდან (ხაზარეთის წყლიდან) ვიდრე ლიხის მთამდე მოქცეული ტერიტორია უფრო ადრე იყო ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის, ეგროსის, წილხვედრი ქვეყანა, ეს ნიშნავს, რომ მემატიანეს ეს ტერიტორია მიაჩნდა ეგრისელებით დასახლებულად. შესაბამისად, მის ერთ ნაწილ-

ზე, ანუ მდ. ეგრისყლიდან მდ. ყუბანამდე მცხოვრები მეოტებიც ეთნიკურ ეგრისელებად იყვნენ მიჩნეულნი.

ჯიქები თავდაპირველად, მათ ასიმილაციამდე ადგილობრივი ტომი უნდა ყოფილიყო და არა ადიღეური.

შესაბამისად, ჯიქების, მეოტებისა და კერკეტების ადიღეთა წინაპრებად გამოცხადებას ნაკლები საფუძველი აქვს.

„აფხაზურ"–ადიღეური ენები

(„დასავლურკავკასიური" ენები)

«Абхазо–адымгские языким (Западнокавказские языки)

საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი ე.წ. აფხაზურ-ადიღეურ ენებთან დაკავშირებით არ არსებობს.

მიღებული აზრით, ისაა ერთ-ერთი ჯგუფი ჩრდილოკავკასიური ენებისა, რომელშიც შედის ადიღეური და აფხაზურ-აბაზინური განშტოებები და უბიხური ენა.

მკვლევარ-მეცნიერთა ერთგვარი დაბნევა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აფხაზურ-ადიღეურ ენებს მრავალი საერთო მახასიათებელი აქვთ ისეთ დაშორებულ ენათა ჯგუფთან, როგორიცაა სინურ ენათა ოჯახი, რომელსაც განეკუთვნება ჩინურ-ტიბეტური ენათა ჯგუფი, ენისეის აუზის ენათა ერთი ჯგუფი და ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ზოგიერთი ენა. ს. სტაროსტინისა და მისი მიმდევრების (ა. კასიანისა და სხვ.) შრომებზე დაყრდნობით შემუშავდა თვალსაზრისი, რომ უძველესი ხატური ენა ასევე განეკუთვნება სინურ ენათა ჯგუფს, რომელშიც ერთიანდებოდა ე.წ. პროტოსინო – კავკასიური ენები, ანუ სინო-აფხაზურ-ადიღეური ენები, თითქოსდა ეს ენათა ჯგუფი მოიცავდა კავკასიას, საიდანაც შემდგომ გავრცელდა მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის, ტიბეტში, ენისეიზე, ჩინეთსა და ამერიკაშიც. ეს თვალსაზრისი საკმაოდ პოპულარულია.

ჩვენ არ ვიზიარებთ თეორიას კავკასიიდან ჩინეთ-ტიბეტში ენათა განვრცობის შესახებ. ჩვენი მოსაზრება მარტივად ხსნის საკითხს, თუ რა მიზეზის გამო უკავშირდება სინური ენები ადიღეურს.

ადიღეთა ენა აღმოსავლეთიდან კავკასიაში მხოლოდ მონღოლთა ეპოქაში და შემდგომ გავრცელდა, რადგანაც, ტრადიციულად, ტომები მოძრაობდნენ მონღოლეთ-ციმბირიდან კავკასია-ევროპისაკენ. საერთოდაც, ეს მომთაბარე ტომები ალტაი-ყაზახეთ-ციმბირის რეგიონიდან მუდამ მოძრაობდნენ კავკასია ევროპის მიმართულებით.

მაგალითად, ქრისტეშობამდე 500–400 წლით ადრე, სამხრეთ ციმბირსა, ალტაისა და ჩრდილო ყაზახეთში ჩამოყალიბდა ტომთა კავშირი, რომელთაც შემდგომ ჰუნები ეწოდათ. ახალი წელთაღრიცხვის მე-3, მე-4 საუკუნეებში ჰუნების უზარმაზარი მასა ციმბირ-ალტაიდან დაიძრა კავკასიის მიმართულებით. მათ გაიარეს ათასობით კილომეტრი ციმბირ-ურალის სტეპებიდან ჩრდილო კავკასია-აზოვისპირეთისაკენ, გადალახეს ქერჩის სრუტე, დაამარცხეს ბოსფორის ქალაქების მცველები და 376 წელს აღმოჩნდნენ რომის კედლებთან. დაიწყეს დასავლეთ ევროპის დაპყრობა. ეს გრძელდებოდა ატილას დროსაც, მე-5 საუკუნის შუა წლებშიც. მალევე ჰუნები ისევ ციმბირიდან წამოსულმა სხვა ტომებმა შეცვალეს. ესენი იყვნენ როგორც თურქულენოვანი, ისე სხვა ენოვანი ტომები.

htttps://www.elimk.kz /article/326/

ჩრდილო ყაზახეთ-დასავლეთ ციმბირის რეგიონიდან ჩრდილო კავკასიაში მე-10 საუკუნის შემდეგაც გადმოსახლდნენ სხვადასხვა ხალხები, მაგალითად, ყივჩაღები და ნოღაელები. შესაბამისად, ამ ფონზე, სრულიად ჩვეულებრივია მოსაზრება, რომ ამავე რეგიონიდან ჩრდილო კავკასიაში ჩასახლდა ასევე ადიღეთა სინურენოვანი ხალხი.

ჩრდილო ყაზახეთ-ციმბირის დაკავშირება კავკასიასთან მოხდა ოქროს ურდოს ეპოქაშიც ხალხთა გადასახლების შედეგად.

დასავლეთ ციმბირში, რომელიც ოქროს ურდოს საზღვრებში შედიოდა, მომთაბარეობდნენ სინურენოვანი ტომები, რომელნიც თავდაპირველად თავიანთ პატრონს, ხან თოხთამიშს, ექვემდებარებოდნენ. მისი დამარცხების შემდეგ კი ტემნიკ ადიგეის ულუსში შევიდნენ.

როგორც ითქვა, თოხთამიშის სიკვდილის შემდეგ ოქროს ურდოს ტახტზე ასული ახალი ხანი შადიბეკი ტახტიდან ჩამოაგდო ადიგეიმ, სახელმწიფოს რეალურმა მმართველმა. ტახტიდან ჩამოგდებული ხანი კავკასიაში გაიქცა და დერბენდში გამაგრდა. მას მხარს დერბენდელების გარდა უჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამიტომაც, ჩრდილო კავკასიისა და, საერთოდ, ოქროს ურდოს სამხრეთი ტერიტორიების განსამტკიცებლად, ჩანს, ტემნიკმა ედიგეიმ ჩრდილო კავკასიაში შემოიყვანა თავისი ულუსი დასავლეთ ციმბირიდან, ანუ სინურენოვანი ტომები, რომელთაც ადგილზე ადიგეის ხალხი, ანუ ადიღეველები ეწოდა.

ოქროს ურდოს დიდმა სარდალმა ადიგეიმ თავისი ულუსი ჩამოიყანა და გააბატონა ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხზე.

საქმე ისაა, რომ იქამდე, დამარცხებათა მიუხედავად, ჩრდილო კავკასიის ხალხები მრავალი წლის მანძილზე მხარს უჭერდნენ ადიგეისთან მებრძოლ თოხთამიშს, შემდეგ კი მხარში დაუდგნენ კვლავ თოხთამიშთან მებრძოლ ოქროს ურდოს ახალ ხანს, თავშესაფარიც კი მისცეს მას.

ჩრდილო კავკასიელები აშკარად მტრობდნენ და ებრძოდნენ ადიგეის. მათი განეიტრალება ადიგეიმ თავის ულუსს დაავალა, რომელიც ჩამოიყვანა დასავლეთ ციმბირიდან. მალევე, დასავლეთ ციმბირიდან ჩრდილო კავკასიაში

ჩამოვიდა ასევე, ადიგეისთან დაკავშირებული ნოღაის ტომი, კიდევ უფრო ადრე კი დასავლეთ ციმბირ-ალტაიდან კავკასიაში ჩამოვიდნენ ყივჩაღები.

В [0'; Едигей организовал государственный переворот, убив Тимур-Кутлуга и возведя в ханское достоинство его младшего брата Шадибека; Однако вскоре между темником Едигеем и Шадибеком разгорелась борьба. Победителем из неё вышел Едигей, а Шадибек бежал в Дербент, где и умер. Новым ханом стал сын Шадибека Пулад.

Едигей прочно держал власть в Орде

https://ru.wikipedia.org /wiki/%D0%95%D0%B4%D0%B8%D0%B3%D0%B5%D0%B9

თითქმის რვა წელი ებრძოდა ჩრდილო კავკასიაში ედიგეი ოქროს ურდოს კანონიერ ხან შადიბეკს, რომელსაც მხარს ადგილობრივი მოსახლეობა უჭერდა. ამის გამო ედიგეიმ დასავლეთ ციმბირიდან კავკასიელებთან საბრძოლველად ჩამოიყვანა თავისი ულუსი, და გაამარჯვებინა მათ. ეს ულუსი იწოდა ადიღე ხალხად. ის მე-15 საუკუნედან ჰეგემონად იქცა ჩრდილო კავკასიაში და გავრცელდა შავი ზღვისპირეთისაკენ, მე-16 საუკუნეში ადიღე ხალხმა აითვისა ყუბანისპირეთი, შეაღწია მის სათავეებში და დაიძრა აფხაზეთისაკენ. მე-17 საუკუნეში დაიპყრო სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნაწილი კოდორიდან ენგურამდე.

სინურენოვანი ტომები, ენისეისა და დასავლეთ ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში დომინანტ ხალხად იქცა. მათ აქ მრავალი თურქულენოვანი (ძველი ჩერქეზები) და კავკასიურენოვანი (ძველი აბაზები, ძველი უბიხები, ძველი აფხაზები და სხვა) ტომი დაამარცხეს, ამოხოცეს ან დაიმორჩილეს, მოახდინეს მათი სრული ასიმილაცია და მიისაკუთრეს მათი სახელები, ანუ ძველი ადგილობრივი ტომების სახელწოდებები მათზე გადმოვიდა.

უნდა დავასკვნათ, რომ სინურენოვანი ტომები კავკასიაში გაჩნდნენ მე-14 ს. ბოლოსა და მე-15 სუკუნის დასაწყისში თავდაპირველად, თოხთამიშისა და ედიგეის ბრძოლათა ეპოქაში, შემდეგ ედიგეისა და ხან შადიბეკის ბრძოლებისას, ბოლოს კი (1416 წლის შემდეგ) ედიგეის დნესტრისპირეთში ლაშქრობისას.

სულ სხვაა ამჟამად ფართოდ ცნობილი ჰიპოთეზა:

სტაროსტინისა და სხვათა თვალსაზრისით, ჩვენს ერამდე მე-11 ათასწლეულში პროტო სინო-კავკასიური ენა დაიშალა პროტოაფხაზურ-ადიღეურ-სინო-ტიბეტურ და ხატურ ენებად (ეს აზრი ძალზე საეჭვოა, რადგანაც, საეკლესიო თვალსაზრისით, კაცობრიობა 8–9 ათასი წლის წინ შეიქმნა. ეს ენები კი თურმე, იქამდე, ე.ი. კაცობრიობის შექმნამდე, არსებობდა!).

სინო-კავკასიური პროტოენის გაყოფის შედეგად წარმოიქმნა ენათა ახალი ორი დიდი ჯგუფი: სინო-ტიბეტურ-ჩრდილოამერიკული (ინდიელების ენები – „ნა-დენე") პროტო ენა და ჩრდილოკავკასიურ- ბასკური და ენისეურ-ბურუშული პროტო ენა

http://sinref.ru/000_uchebniki/02750_ligvistika/003_abhazo_adigeiskie_iaziki/002.htm

(В результате этого распада образовались две большие ветви: прото – язык Сино-Тибето-На-Дене и прото-язык Сев.– Кавказско–Баскский и Енисейско-Бурушаски).

აქედან ჩანს, რომ ჩრდილოკავკასიურ და ენისეურ ენებს ენათა ერთ ჯგუფში ათავსებენ, მეორე ჯგუფია სინო-ტიბეტურ-ჩრდილოამერიკული.

ამის შემდეგ, ქრისტეშობამდე მე-9 ათასწლეულში, ამ თვალსაზრისით, ჩრდილოკავკასიურ-ენისეურ-ბასკურ-ბურუშული ენა ორ ჯგუფად გაყოფილა ჩრდილოკავკასიურ-ბასკურად და ენისეურ-ბურუშულად.

კასიანი და სხვანი აახლოებს ხატურ ენას პროტოენისეურ-ბურუშულ ენასთან. მათივე აზრით, პროტო ჩრდილო-კავკასიურ-ბასკური ენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში ორ ტოტად გაყოფილა – ბასკურ და ჩრდილოკავკასიურ განშტოებებად, ხოლო ქრისტეშობამდე 3800 წელს ჩრდილოკავკასიური ენობრივი ერთობა დაშლილა პროტო-დასავლურ-კავკასიურ და პროტო-აღმოსავლურკავკასიურ ენებად.

თავის მხრივ, ჩვენს ერამდე 640 წელს პროტო-დასავლურ-კავკასიური ენა დაყოფილა აფხაზურაბაზინურ, უბიხურ და ადიღეურ ტოტებად.

ს. სტაროსტინის ჰიპოტეზის მიხედვით, ერთ პერიოდში ჩვენს ერამდე მე-2 ათასწლეულში ხატურ ენასთან არსებობდა ცალკე პროტო-დასავლურ-კავკასიური ენა, რომელმაც საფუძველი დაუდო ყველა აფხაზურ-ადიღეურ ენას.

ეს ჰიპოთეტიური მაკრო ოჯახი აერთიანებს ევრაზიისა და ამერიკის რამდენიმე ენობრივ ოჯახის იზოლირებულ ენებს.

ეს ჰიპოთეზა პოპულარულია ლინგვისტთა შორის, მაგრამ საზოგადოდ მიღებული არაა.

კერძოდ, ამ მაკრო ოჯახში შედიან: ბასკური ენა, ენისეური ენები (ციმბირის მცირე ენობრივი ოჯახი, რომელთაგანაც ცოცხალია მხოლოდ კეტური ენა), ჩრდილოამერიკის ინდიელთა ენობრივი ოჯახი (языки на-дене), აფხაზურ-ადიღეური ენები, რომლებსაც სტაროსტინი აახლოებს ხატურ ენასთან), ნახურ-დაღესტნური ენები, რომელთაც სტაროსტინი აახლოვებს ხურიტულ-ურარტულ ენებთან), ბურუშული (იზოლირებული ენა პაკისტანში) და სინო-ტიბეტური ენები.

ეს ენობრივი თეორიები ფართოდ ვრცელდება მაშინ, როცა არავითარი ენობრივი მონაცემი აფხაზურ-ადიღეური ენებისა წარსულში არ არსებობს, უფრო მეტი, წარსულ ეპოქებში და საუკუნეებში მათი ცხოვრების შესახებაც კი არაფერია ცნობილი (Мало что известно об их жизни в ДРЕВНЕЕ время).

მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ ხდება ცნობილი სიტყვა ადიღე, ადიღეელი. ახლა ეძებენ მათ სავარაუდო წინაპრებს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ მეოტები, ჯიქები ანდა ქაშაგები ანდა ყირიმელი თათრები.

გავრცელებული თეორიით, მონღოლთა შემოსევების, ანუ მე-13 საუკუნის შემდეგ, ჯიქები (ადიღები) აფხაზეთიდან (აბაზგიიდან) განსახლდნენ მთელ ჩრდილო კავკასიაში და ადვილად აითვისეს მონღოლთა მიერ გაუკაცრიელებული სტეპები ჩრდილო კავკასიისა, გამრავლდნენ და გაბატონდნენ იქ, შემდეგ კი მათი ერთი ნაწილი უკანვე დაბრუნდა კავკასიის მთებში (Позднее, уже в

XVIII веке, часть кабардинцев вернулась обратно и осела на севере современной Карачаево-Черкесии, получив название „беглых“ кабардинцев). მე-20 საუკუნეში, საბჭოთა დროს, მათ უწოდეს ჩერქეზები (Уже в советское время за ними закрепился этноним «ЧЕРКЕСЫ», до того обозначавший всех адыгов вообще).

როგორც ითქვა, ჩვენ არ ვიზიარებთ ადიღეურ ენების ჩინეთში კავკასიიდან განვრცობის თეორიას, მივიჩნევთ, რომ, პირიქით, ეს ენები ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ ჩამოიტანეს ოქროს ურდოს დიდი ემირის ედიგეის ულუსის ტომებმა, რომელნიც დასავლეთ ციმბირ-ყაზახეთიდან ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიაში ნოღაელთა ურდოს მსგავსად

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ უცნობია ადიღეურ ენათა წარმომავლობა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ ენებს აქვთ ლინგვისტური კავშირი ენისეურ და სინო-ტიბეტურ ენებთან, ენათმეცნიერული წიაღსვლები ამ კავშირების ასახსნელად არადამაჯერებელია წარმოუდგენელი წარსულის გამო (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-11 ათასწლეული!). ამიტომაც, ვფიქრობ, უფრო მართებულია ახლო წარსულის ფაქტების მოშველიება.

მე-15 საუკუნის შემდეგ ლიტერატურაში ჩნდება ცნობები ჩრდილო კავკასიაში ადიღეთა და ნოღაელთა ცხოვრების შესახებ. გარკვეულია, რომ ნოღაელები ჩრდილო კავკასიაში შევიდნენ ციმბირ-ენისეის ოლქიდან ურდოს სახით. ამ ურდოს მეთაურობდა ოქროს ურდოს ტემნიკი (მხედართმთავარი) – ნოღაი. ამ ბელადის სახელის გამო მის ხალხს ნოღაელები ეწოდა. ნოღაელთა მსგავსად, ციმბირ ენისეიდან ჩრდილო კავკასიაში ჩასახლდა სხვა ურდოც, რომელსაც ასევე ოქროს ურდოს მხედართმთავარი, ემირი ედიგეი მეთაურობდა, ედიგეის სახელის მიხედვით, მის ხალხს ედიგე, ანუ ადიღე ეწოდა.

ადიღეური ენა ენისეიდანაა მიტანილი ჩრდილო კავკასიაში არა ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, არამედ ჩვენს დროში, სულ რაღაც 600 – 700 წლის წინ, მე-15 საუკუნედან.

დამპყრობელმა ედიგეის ხალხმა, ანუ ადიღეველებმა ჩრდილო კავკასიაში შეძლო მრავალი ადგილობრივი ტომის დამორჩილება. პირადად მათ, ჩანს, არ გააჩნდათ თავიანთი სატომო სახელები. ალბათ, ამიტომ როდესაც ედიგეს ულუსის რომელიმე ჯგუფი დაიმორჩილებდა სხვა რომელიმე კავკასიურ აბორიგენულ ტომს, დამპყრობელს აძლევდნენ დაპყრობილი ტომის, ანდა მისი ქვეყნის სახელს,

ასე, მაგალითად, მაკედონიაში მე-7 საუკუნეში ჩასახლებულ სლავებს უწოდეს მაკედონელები, ანდა ეგვიპტეში ჩასახლებულ არაბებს – ეგვიპტელები. მსგავსადვე, როდესაც, ვთქვათ, ადიღეელებმა დაიპყრეს ძველი ჯიქები (ზიხები), ჯიქების სახელი მიისაკუთრა დამპყრობელმა ტომმა და დამპყრობლები (ამ ტერიტორიაზე) ჯიქებად იწოდნენ, თუმცა ისინი ეთნიკურად ადიღეელები იყვნენ. ასევე, როდესაც ადიღეელებმა დაიპყრეს ძველი აბაზები (ძველი ებზე ხალხი – კავკასიური აბორიგენები), ისინი ადიღეებად იქცნენ, რადგანაც მომხდურ ადიღებისაგან გადარჩენილებმა გადაიღეს ადიღეური ცხოვრების წესები და აღარ განსხვავდებოდნენ ადიღებისაგან, მითუმეტეს, რომ მათი ენაც გაითავისეს (Люди перенимали образ жизни, переставали

отличаться). ასე მოხდა კავკასიიის ყველა ტომში. ისინი გაბატონებულ ადიღეთა ულუსში ასიმილირდნენ და ამით სათავე დაუდეს თანამედროვე სხვადასხვა ჩრდილოკავკასიურ ადიღეურ ტომებს ყირიმ-ჯიქეთიდან დაღესტნამდე. კავკასიის ცნობილი მკვლევარი მილერი აღნიშნავდა, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი კავკასიაში შემოსული და დამკვიდრებული იყო თემურ ლენგის შემდეგ. ეს თეორია უარყო საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ამკვიდრებდა ე.წ. ყველა ტომის აბორიგენობის თეორიას.

ასე, რომ ადიღეთა შესახებ ამჟამად არსებობს ორი თეორია. სტაროსტინის მიხედვით, სინურენოვანი ტომები კავკასიაში ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე სახლობდნენ, ხოლო ჩემი თეორიით, ისინი კავკასიაში შემოსახლდნენ ოქროს ურდოს ეპოქაში დასვლეთ ციმბირ-ჩრდილო ყაზახეთის ვრცელი ველებიდან იმ ტრადიციული გზით, რომელიც უფრო ადრე ამავე რეგიონიდან განვლო დასავლეთ ევროპისაკენ მიმართულმა ჰუნებმა, ალანებმა და სხვა მომთაბარე ხალხებმა, რომელთა ნაშთები მუდამ რჩებოდა ამ გზაზე მდგარ ჩრდილო კავკასიაში. ეს გზა უფრო მოგვიანებით განვლეს ყივჩაღებმა და ნოღაელებმა.

ასიმილაციამდე სულ სხვა ხალხი იყო თემურ ლენგამდელი ძველი ჯიქები (ზიხები), ძველი აბაზები, ძველი უბიხების წინაპრები, კავკასიის სხვადასხვა ადგილობრივი ტომები და სულ სხვა ხალხია თემურ ლენგის ეპოქის შემდეგდროინდელი ახალი ჯიქები, ახალი აბაზები და სხვანი. პირველნი ადგილობრივი აბორიგენები იყვნენ, მეორენი კი – ადიღებში (ციმბირ-ენისეურ ტომებში) ასიმილირებული ხალხები, მსგავსადვე, როდესაც ადიღები გაბატონდნენ აფხაზეთში მე-16, მე-17 საუკუნეებში, მათაც აფხაზები ეწოდათ, თუმცა კი ძველი აფხაზები სულ სხვა ხალხი იყო.

ასე, რომ მოხდა არა ადიღე ხალხის განვრცობა შავიზღვისპირეთიდან ჩრდილო კავკასიაში, არამედ, პირიქით, აქ, ციმბირულ-ენისეური ტომების დამკვიდრება და მათში ადგილობრივი ტომების ასიმილირება, ოქროს ურდოს სახელმწიფოს ნების შესაბამისად, გამარჯვებულ ადიღეთა ულუსის იძულებით.

ძველ ჯიქებს ადიღები მხოლოდ თემურ ლენგის ეპოქის შემდეგ ეწოდათ.

ადიღებს თურქები და თათრები ჩერქეზებს უწოდებდნენ, მათი გავლენით მხოლოდ მოგვიანებით უწოდეს ადიღებს რუსებმა ჩერქეზები.

ასე, რომ სინურ-ენისეური ენები კავკასიაში მხოლოდ თოხთამიშის დამარცხების შემდგომ გავრცელდა აქ ოქროს ურდოს მხედართმთავრის ედიგეის (იგივე ადიღეს) ულუსის ჩასახლების გამო.

რუკა – ედიგეისა და თოხთამიშის სამშობლო ირტიშ–ენისეის ოლქი, საიდანაც ედიგეიმ თავისი ულუსი (ურდო) ჩამოიყვანა კავკასიაში

ზიხიას ეპარქია

მე-7, მე-8 საუკუნეთა ნოტიციებში ზიხიის ეპარქიაში დასახელებულია სამი ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო: ხერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიისა.

В нотициях VII–VIII веков епархиями Зихии названы три автокефальные архиепископии: Херсонская, Боспорская и Никопская.

https://ruwikipedia.org/wiki/%D0%97%D0%B8%D1%85%D0%B8%D0%B9%D1%… 1/1).

სამი საუკუნის მანძილზე (მე-7 ს-ის ბოლო მეოთხედიდან მე-10 ს-ის. ჩათვლით) ყირიმის საეპისკოპოსო კათედრები ექვემდებარებოდნენ ზიხიის არქიეპისკოპოსს (На протяжении более трех веков (последняя четверть VII–X вв.) епископские кафедры Крыма были подчинены архиепископу Зихии…), ყირიმი ეკლესიური ზიხიაა.

მე-9 საუკუნეში თეოფანე აღმსარებელი ყირიმს ჯიქიას უწოდებს. ნოტიციებით მე-10 საუკუნეშიც ხერსონი და ბოსფორი ზიხიის ეპარქიაში შედიოდნენ. В нотициях ок. 980 года Херсон и Боспор фигурируют как части единой

Зихской епархии. კაფაში 1320 წელს დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა. 1330 წელისათვის ქერჩს მართავდა ზიხი მთავარი.

წყაროს ეწინააღმდეგება კულაკოვსკის აზრი, რომ საკუთრივ ზიხების ეპარქია მხოლოდ ნიკოფსიისა იყო. შესაბამისად, ხშირად არასწორად ხდება ზიხიის ეპარქიის ლოკალიზაცია. დანერგილია თვალსაზრისი, რომ ის ძირითადად მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო მხარეს. ძველქართული წყაროებით კი ისტორიული ჯიქეთი მდებარეობდა მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროს მხარეს ზღვის შესართავთან (წყაროში მდ. ყუბანს ეწოდება ხაზარეთისწყალი). აქამდე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აღწევდა ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ეგროსის ქვეყნის (ძველი ეგრისის) საზღვარი, შემდეგ კი ძველი აფხაზეთისა. აღსანიშნავია, რომ ამ ქართულ წყაროთა შესაბამისია ზემოთმოყვანილი ბიზანტიური წყარო ზიხიის ეპარქიის შესახებ. როგორც ითქვა, ზიხიის ეპარქია მოიცავდა ყირიმსა და დონისპირეთს ყუბანამდე, აქამდე კი აღწევდა ქართული ეკლესიის (აფხაზეთის საკათალიკოსოს) საზღვარი. აბო თბილელის ცხოვრებაში მოხსენიებული ნიკოფსია, ზ. რატიანის კვლევით, მდებარეობდა მდ. ყუბანის სანაპიროზე ზღვასთან. შესაბამისად, ამჟამად სწორად არ არის განსაზღვრული ნიკოფსიის ადგილმდებარეობა. მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში ეწოდა ჯიქეთი თანამედროვე აფხაზეთის მიმდებარე ჩრდილო მხარეს.

რუსული შესაბამისი საიტები აბაზგიას უწოდებს აფხაზეთის ჩრდილო ნაწილს მდ. კოდორამდე, ხოლო ზიხიას ამ აბაზგიის ჩრდილოეთით მოქცეულ ტერიტორიას, სადაც თითქოსდა ავრცელებდა კონსტანტინოპოლი იურისდიქციას. ეს არასწორი აზრია. ბიზანტიური, ზემოთმოყვანილი წყაროდან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული ზიხიის კათედრები მდებარეობდნენ ყირიმსა და ტამანთან, დონის შესართავის რეგიონში. ამიტომაც ექვემდებარებოდა მას კათედრები – Херсонская, Боспорская и Никопская.

აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში კონსტანტინოპოლს არ ჰქონდა კათედრები, რადგანაც ეს სამეფო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რომელსაც საკუთარი სამიტროპოლიტო ოლქი, აფხაზეთის საკათალიკოსო, ემსახურებოდა. მისი ცენტრი იყო ბიჭვინთა. მე-8 საუკუნიდანვე აბაზგია აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა.

მრევლი მე-6, მე-9 საუკუნეებში ზიხიაში არსებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში არსებული საეპისკოპოსოებისა (ზიხიას, ნიკოპსიისა და სხვა ეპარქიები) იყვნენ არა ადიღეველები, არამედ ადგილობრივ ენოვანი ძველი ჯიქები, რომელნიც ეთნიკურად განსხვავდებოდნენ ახალი ადიღე-ჯიქებისაგან. თუმცა კი ადიღეებში მათმა ასიმილიაციამ დამპყრობელ ტომში შეიტანა ქრისტიანობის ელემენტები, რაც აღინიშნება მე-16 საუკუნის შემდეგ.

აღნიშნული ზიხიის (ჯიქეთის) ეპარქიები მდებარეობდნენ არა თანამედროვე აფხაზეთის უშუალო მეზობლად, არამედ ყირიმსა და დონის შესართავის რეგიონში. (…Зихские князья ПРАВЯТ в городах Восточного Крыма во второй половине XIII в).

http://adygi.ru /index.php?.nevsid=270.

ნიკოფსიის კათედრა

მკვლევარი ა. გადლო მიიჩნევს, რომ ნიკოფსიაში არსებული კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში არსებული საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა ნიკოფსიისაკენ აფხაზთა სამეფოს გავლენის გაზრდის კვალდაკვალ. უფრო მეტიც, მისი აზრით, კონსტანტინოპოლს აშინებდა აფხაზთა სამეფოს გავლენის გაზრდა ყირიმ-ტამანის მიმართულებით, რადგანაც აფხაზთა სამეფოში არ ვრცელდებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია.

ამის საპირწონედ აქ, ნიკოფსიის ჩრდილოეთით, დააარსა კონსტანტინოპოლმა ტამატარხის საეპისკოპოსო თავის იურისდიქციაში. ა. გადლო წერს: კონსტანტინოპოლის მიერ ტამატარხაში საეპისკოპოსოს დაარსება გამოწვეული იყო ბიზანტიელთა მისწრაფებით არ დაეშვა ყუბანელი ადიღების შესვლა აფხაზეთის სამეფოში (Создание епископии в Таматархе было вызвано стремлением византийцев не допустить вхождение кубанских адыгов в Абхазское царство, которое на севере быстро дошло до Туапсе и включило в себя никопсийскую епархию.

https://vk.com /wall–54718433_93).

მისი აზრით, ეკლესიური ჯიქეთი (ზიხია) მოიცავდა არა აფხაზთის ჩრდილო მხარეებს, არამედ ყირიმსა და დონის შესართავის მხარეს.

მე-8 საუკუნესათვის, ნიკოფსია უკვე შედიოდა აფხაზეთის სამეფოში. შესაბამისად, ის ქართული ეკლესიიის იურისდიქციაში შედიოდა. Рост Зихской епархии в Крыму происходил на фоне понижения статуса старого епархиального центра в Никопсисе. (https://vk.com/wall-54718433_93)

ნიკოპსისი მოიხსენიება „მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებაში“, რომელიც დაწერილია ეპიფანე მონაზონის მიერ. მან თვითონ მოილოცა მოციქულის მიმოსვლის ადგილები მე-9 საუკუნის 20–30-იან წლებში. „ცხოვრების“ თანახმად, სიმონ კანანელი ჯიქებმა მოკლეს ნიკოპსისში 55 წელს. (А.В. Гадло приводит грузинский источник – «Житие Або Тбилели» – написанный как раз в конце VIII века, в котором Никопсис фигурирует как северный предел Абхазского царства.… Упадок зихской церкви на территории Северо-Западного Кавказа продолжился в IX веке. С этим тезисом согласуется как вышецитированный отрывок из Епифания, так и то обстоятельство, что во второй половине этого столетия Никопсис теряет свою кафедру“

(https://vk.com/wall-54718433_93)

მე-9 საუკუნეში აღმოსავლეთ ყირიმის ეპარქიები იწოდება ზიხიად, ხოლო თვითონ ყირიმსაც ასევე მოიხსენიებდნენ ზიხიად. უფრო ადრეც იწოდებოდა ყირიმი ზიხიად. მაგალითად, მე-7 საუკუნეში ხერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსისის ეპარქიებს უკვე ზიხიის ეპარქიები ეწოდებათ (древнейшем епархиальном списке, датируемом 680–681 гг., Зихскими уже именуются три автокефальные архиепископии, непосредственно подчиненные патриарху Константинополя: Херсон, Боспор и Никопсис). შესაძლებელია ისიც, რომ კონსტანტი-

ნოპოლზე დაქვემდებარებული ნიკოპსისი მდებარეობდა ამავე ყირიმ-აზოვის რეგიონში.

ზიხია იყო რეგიონი, რომელიც (უკვე მე-7 საუკუნიდან) ეწოდებოდა ყირიმ-აზოვის მხარეს, ქართული ჯიქეთი კი აფხაზეთის სამეფოს ესაზღვრებოდა.

გადლოს აზრით, ერთიდაიგივე სახელების გავრცელება სხვადასხვა რეგიონში დაკავშირებული იყო ხალხთა გადასახლებასთან.

ჯიქების გადასახლების შესახებ ორი მიმართულებით – დასავლეთისაკენ (ყირიმისაკენ) და აფხაზეთისაკენ, – წერს „ქართლის ცხოვრებაც“.

ჯიქებით იყო დასახლებული სუგდეიაც, სადაც პატრიარქმა გერმანემ (715–730) დააარსა ახალი საეპისკოპოსო ზიხიის ეპარქიაში.

დაახლოებით მე-10 საუკუნისათვის ზიხიის ეპარქიის ცენტრად ითვლებოდა ტამატარხა (მატრახა, ტმუტარაკანია).

ხერსონისა და ბოსფორის გარდა ზიხიის კათედრები იყვნენ ფანაგორიასა და ზიხოპოლისში.

ნიკოფსია-აფხაზთა სამეფოში შედიოდა, ანუ ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში. ტამატარხა მალე შეიყვანეს ახალდაარსებულ გოთიის ეპარქიაში.

როგორც ითქვა, ზიხიისა და ფანაგორიის ეპისკოპოსები მიწვეულნი იყვნენ მსოფლიო კრებებზე. 519 წლის კონსტანტინოპოლის კრებას ხელს აწერს ფანაგორიელი ეპისკოპოსი, 526 წლის კრებას – ზიხიის ეპისკოპოსი დამიანე. ის ყირიმიდან უნდა ყოფილიყო და არა აფხაზეთის ჯიქეთიდან, როგორც ამჟამად მიიჩნევა, რადგანაც იქვეა ბოსფორის ეპისკოპოსის იოანეს ხელმოწერა.

ცნობილმა ბიზანტიოლოგმა ი. კულაკოვსკიმ გამოიკვლია, რომ საუკუნეთა მანძილზე ყირიმის ეპარქიებს ეწოდებოდათ ზიხიის ეპარქიები. ცენტრი იყო ნიკოპსისი. მან დასვა კითხვა, თუ რატომ ეწოდებოდათ ხერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიას კათედრებს „ეპარქია ზიუხიოს (ზიხია)“, მაშინ, როცა ნაციონალური სახელი ზიხი მიეკუთვნება მხოლოდ ერთ, ნიკოფსიის, ეპარქიას“.

შემდეგში კულაკოვსკიმ აღარ გამოიკვლია ეს საკითხი და კითხვა უპასუხოდ დატოვა, რადგანაც უფრო გოთიის კვლევა აინტერესებდა.

ჩვენი აზრით, შავ და აზოვის ზღვების პირეთში არსებობდა ერთი სახელის მქონე ორი პუნქტი. ერთი იყო ქალაქი ნიკოპსისი, შესაძლოა, აზოვის ზღვის პირზე, ყირიმის მახლობლად, სადაც კონსტანტინოპოლის კათედრა იყო, მეორე კი მახლობლად, მდ. ყუბანის ზღვასთან შესართავთან – ქართული ეკლესიის იურისდიქციაში.

შესაბამისად, ერთ რეგიონში მდებარე ხერსონი, ბოსფორი და ნიკოპსისი ქმნიდნენ ერთ, ზიხიის, ეპარქიას. ბიზანტიური ნიკოპსისი მე-9 საუკუნეში იმპერატორ ლეონ ბრძენის დროს ტმუტარაკანასთან ერთად ჩამოყალიბებულა საარქიეპისკოპოსოდ (Епархия же Тмутараканская и Никопсийская в уставе Льва Премудрого (894-911 гг.) титулуются уже архиепископиями).

მე-9 საუკუნე აფხაზთა სამეფოს ძლიერების ხანაა, ამიტომაც მის პუნქტ ნიკოფსიაში ბიზანტიური საარქიეპისკოპოსო ვერ ჩამოყალიბდებოდა. შესაბამისად, ბიზანტიური ნიკოპსისი უფრო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებითაა საძებნი, ყირიმის ახლოს. ეს დასტურდება არქეოლოგიურადაც. მაგალითად, ზიხიის არქიეპისკოპოსის ბეჭედი მე-11 საუკუნისა ნაპოვნია ტამანის ნახევარკუნძულზე, ყირიმთან ახლოს, სადაც ზიხიის საეკლესიო ცენტრი იყო (В 1984 и 1987 гг. при раскопках Тамани были найдены две вислые свинцовые печати-моливдовула, с надписью «Богородица, помоги Антонию, архиепископу Зихии», который дважды упомянут в константинопольских патриарших актах. Предположительно – Антоний занимал Зихскую кафедру в 40-х – начале 50-х гг. XI в. В конце XI – начале XII вв). აქ ტამანზე ზიხიის კათედრაზე ასულა რუსი ეპისკოპოსი კიევო-ეჩორის ლავრის ბერი-ნიკოლა. ამ კათედრას – ზიხო-მატრახის სამიტროპოლიტო ეწოდა მე-14 ს-ში.

ტამატარხას ეპარქია

ტამატარხა 1022 წელს დაუპყრია რუს მთავარს მსტისლავ ვლადიმიროვიჩს. აქ იყო ეპარქიალური ცენტრი, თუმცა პოლიტიკურად ტმუტარაკანი რუსულ სამთავროდ იწოდებოდა. მან მცირე ხანს იარსება (იასებმა და ზიხებმა დაისაკუთრეს). აქ უცხოვრია ობეზ (ქართველებზე) მთავარს, მე-12 საუკუნის მუსულმანური წყაროს ცნობით. მე-12 საუკუნის დასაწყისში აქ შეწყდა რუსული მმართველობა. აქაურ ეპარქიას ნოტიციებში ზიხიას ეპარქია ეწოდება.

ქაშაგები, აღმოსავლეთ ყირიმელები, აბაზგები, აქაური ალანები და ჰუნები თაყვანს სცემდნენ ხეებს, მუხებს. 1346 წელს მატრახაში დაარსდა ზიხიის კათოლიკური ეპარქია. შილტბერგერი წერდა, რომ ჩერქეზები აღიარებენ ბერძნულ სარწმუნოებას. მე-15 საუკუნიდან კავკასიაში ვრცელდება ისლამი. 1395 წელს სასულთნოს კათოლიკე ეპისკოპოსი იოან დე გალონიფონიბუსი წერდა ზიხების შესახებ, რომ ისინი მისდევენ ბერძნულ სარწმუნოებას, მაგრამ აქვთ საკუთარი კულტები და წესები. მალე ზიხია ჩერქეზიად იწოდა. იტალიელები-გენუელები ისწრაფოდნენ შავი ზღვის ჩრდილო კავკასიის მონაკვეთისაკენ, სადაც აარსებდნენ სავაჭრო ფაქტორიებს. აქაურთა შორის ასევე კათოლიკობაც ვრცელდებოდა.

В юрисдикцию архиепископа Султании входило католическое население Грузии, Абхазии, Турции (Анатолии), Ирана и Средней Азии (епископские епархии Тифлиса, Севастополя, Табриза, Измира, Сиваса, Самарканда).

(https://cyberleninka.ru/artcle/n/hristanstvo–v–shapsugii–istoricheskiy–aspekt)

სასულთნოს მთავარეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდნენ საქართველოს, თურქეთის (ანატოლიის), ირანისა და შუა აზიის კათოლიკები. მის მთავარეპისკოპოსი იყო ჟან დე ზიხი. აქედან ჩანს, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი კათოლიკეები ტამანზე ცხოვრობდნენ.

1500 წელს, ინტერიანოს სიტყვით, მაინც მოსახლეობის უმეტესობა ამ მხარეებში კვლავ მართლმადიდებელი იყო, ბერძნული წიგნებით, რომელთა ენაც არ ესმოდათ. ჰქონდათ განცდა თავიანთი ცოდვებისა და ამიტომ 60 წლის ასაკამდე ვერ ბედავდნენ ეკლესიის შიგნით შესვლას და წირვას გარედან უსმენდნენ ცხენზე ამხედრებულები. მე-17 საუკუნის ჩერქეზეთში უკვე აღარ იყო ეკლესიები, მაგრამ ხალხს მაინც გააჩნდა ქრისტიანობის ელემენტები. საეკლესიო დღესასწაულების ხსოვნა. მე-19 საუკუნის დასაწყისის ადიღების დღესასწაულს, ლ. ლიულიეს ცნობით, ქრისტიანობის ნაკვალევი გააჩნდა. მაგალითად, გაზაფხულის დღესაწაულამდე ორი კვირით ადრე არ ჭამდნენ კვერცხს, დღესასწაულობდნენ კვერცხით.

(https://cyberlenka.ru /artikle/n/hristianstvo–v–shapsugii–istoricheskiy–aspekt)

რუსი და ასევე ქართველი ავტორები ერთმანეთისაგან არ ასხვავებენ ზიხიასა და ჯიქეთს. პირველი მოიცავდა ყირიმ-აზოვისპირეთს, შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მეორე კი გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის დასავლეთ მხარეს. ამიტომაც ზიხიის აღწერისას ეხებიან ჩრდილო კავკასიას, რომელიც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასიაში მრავლადაა ქართული არქეოლოგიური ძეგლები, ეკლესიათა და სამლოცველოთა ნაშთები, ქვის ჯვრები და საფლავის ქვები. მაინც აქ ქართულ ნაკვალევს ნაკლებ ელიან. მაგალითად, ამ რეგიონში საკმაოდ ხშირია „უცნობ ენაზე შესრულებული“ წარწერები. ეს „უცნობი ენა“ ქართული უნდა იყოს, რადგანაც ლიტურგიკის ენა ამ რეგიონში მხოლოდ ბერძნული და ქართული იყო თემურ ლენგამდე.

მართალია, ბერძნული წარწერები ხშირია, ასევე არტეფაქტებზე დაფიქსირებულ „უცნობ ენაზე შესრულებულ“ წარწერებს ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, ნალჩიკ-პიატიგორსკის გზაზე, სოფელ ეტოკოსთან დგას გრანიტის ძეგლი 2,65 მ. სიმაღლის, მასზე ამოკვეთილია წარწერები (სავარაუდოდ, მე-4 – მე-12 საუკუნეებისა) „უცნობ ენაზე“. შესაძლოა, ქართულად, ყოველ შემთხვევაში, მე-17 საუკუნის ცნობილი იტალიელი ეთნოგრაფი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 19 წელი ცხოვრობდა კავკასიაში, მიუთითებდა, რომ კაფადან (ყირიმიდან) ვიდრე თავრიზამდე და არზრუმამდე კავკასიის რეგიონი სავსე იყო ქართულწარწერებიანი ტაძრებით.

კაფა ქართული ეკლესიის საზღვრად ითვლება მე-17 ს-ის წყაროში, ბიჭვინთის იადგარში. მართალია, შილტბერგერი იძლევა გამონაკლის ცნობას, მაგრამ ეს უფრო გაუგებრობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. И. Шильтбергер писал: «Земля черкесов населена христианами, исповедующими греческую веру. По ГРЕЧЕСКОМУ вероучению служат Богу на языках ЯССКОМ или АССКОМ, и ЗИХСКОМ или ЧЕРКЕССКОМ» (Источник – Виноградов И. Преосвященный Иеремия. Нижний Новгород, 1886).

აქედან გამომდინარე, საეჭვოა ი. შილტბერგერის ცნობა, რომ ჩერქეზების ქვეყნის ბერძნული სარწმუნოების ქრისტიანები ღმერთს ემსახურებიან იასური (ასური) და ზიქური, ანუ ჩერქეზული ენით. იასურ, ანუ ოსურ ენაზე, მით უმეტეს ჩერქეზულზე, შეუძლებელია ყოფილიყო ღვთისმსახურება, რად-

განაც, მაგალითად, ოსურად ასეთი წიგნები მხოლოდ მე-19 ს-ში ითარგმნა. так как у них ОТСУТСТВОВАЛА ПИСЬМЕННОСТЬ и ПЕРЕВОДНАЯ церковная литература. http://jurnal.org /artikles/2014/fill22.html

ინტერიანო პირველი ავტორია, რომელიც ახსენებს სიტყვა „ადიღეს“, 1500 წელს.

Интериано – первый автор (современник и ОЧЕВИДЕЦ, что важно), который ЧЁТКО и недвусмысленно указывает, что САМОНАЗВАНИЕ ЗИХОВ – „АДИГ-а“ – „адига“ – и что турки и татары называют этот народ ЧЕРКЕСАМИ. Термин «черкес» был введен, по всей вероятности, монголами либо их тюркскими союзниками в отношении ЗИХОВ в середине XIII века и постепенно утвердился на протяжении золотоордынского периода.

1500 წლისათვის ზიხები უკვე ასიმილირებულები იყვნენ ადიღებში, ანუ ადიგეის ულუსში. ადიგეის ურდო დასავლეთ ციმბირიდან კავკასიაში შემოიყვანა ოქროს ურდოს ემირმა ედიგეიმ მე-15 ს. დასაწყისში, და აქ გააბატონა ოქროს ურდოს სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად.

Так Дж. Интериано около 1500 года писал о зихах-черкесах, что „священники у них служат, по – своему употребляя ГРЕЧЕСКИЕ слова и начертания, не понимая их смысла»; «Если прочесть это свидетельство буквально, то через четверть века после ухода из страны генуэзцев адыги еще имели храмы, но уже не имели ГРАМОТНЫХ священников». „В 1395 году Иоганн де Галонифонтибус, католический архиепископ Султании, писал о религиозном быте черкесов: «ЧЕРКЕСЫ имеют свой собственный язык и СВОЮ ПИСЬМЕННОСТЬ. Что касается их религии, то в некоторых обрядах и постах они следуют ГРЕКАМ, пренебрегая всеми другими сторонами религии, ибо они имеют свои собственные КУЛЬТЫ и обряды». ქრისტიანობის ნაშთები და გარკვეულ ელემენტები გააჩნდათ ადიღებში ასიმილირებულ ჯიქებს, რომელთაც ამ ასიმილაციის შედეგად იდენტობა დაკარგეს, მაგრამ ძველი სარწმუნოების ნიშნები შეინარჩუნეს.

ადიღეთა საზოგადოება ძირითადად ორ ფენას შეიცავდა. მაღალი ფენა დამპყრობელი ადიღები იყვნენ წარმართულ-ნეიტრალური სარწმუნოებით, დაბალი ფენა კი – ადიღებში ასიმილირებული ჯიქები, ძველი ქრისტიანული სარწმუნოების ნაშთებით.

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ ძველი და ახალი ჯიქები. ძველი ჯიქები ადგილობრივი ტომი იყო, ხოლო ახალი ჯიქები – ადიღეებში ასიმილირებული ძველი ჯიქები. მათ ენა ამ ასიმილაციის შედეგად ადიღეური გახდა.

ჩრდილო კავკასია მუდმივი სათარეშო რეგიონი იყო ნომადი (მეჯოგე) მომთაბარე ძლიერი ტომებისა, ჰუნების, გოტების, ალანების, მე-11 ს-ში ყივჩაღებისა, შემდეგ მონგოლებისა. ამიტომაც ეთნიკური სახე იქ მუდამ იცვლებოდა. საბოლოოდ კი შეიცვალა დასავლეთ ციმბირიდან ოქროს ურდოს ემირის ედიგეის მიერ თავისი ულუსის (ურდოს) ჩამოსახლების შემდეგ მე-15. დასაწყისიდან. მის მიერ გაბატონებული ხალხის თვით სახელწოდება ადიღე-ურდოს მეთაურის ედიგეს სახელის მიხედვით შედგა. ჩრდილო კავკასიაში ადი-

ღეების გაბატონების შემდეგ ადგილობრივებმა სალაპარაკო ენა შეიცვალეს. მათ შეითვისეს შემოსულ ადიღეველთა ენა და წეს-ჩვეულებები. შესაბამისად, მოსულებს უწოდეს ადგილობრივების სახელები. მაგალითად, როცა ადიღეველებმა ჩერქეზები დაიპყრეს, თვითონ ეწოდათ ჩერქეზები, აბაზინების (ებზე ხალხის) დაპყრობის შემდეგ – აბაზები და ასე შემდეგ.

უფრო ადრე იგივე პროცესი ხდებოდა ჩრდილო კავკასიაში თურქული ტომების შესვლისას, ადგილობრივი ტომები თურქულენოვანები ხდებოდნენ. После прихода тюрок – часть из них становится тюркоязычной,

(http: //jurnal.org /artikles/2014/fill22.htm),

ხოლო დამპყრობლები იღებდნენ დაპყრობილი ტომების სახელებს – приняли имя проживавшего ранее народа.

http://jurnal.org /artikles/2014/fill26.html

გოთიისა და ალანიის ეპარქიები – ყირიმიდან ვოლგამდე

არსებობდა მე-8 ს-დან მე-18 ს-მდე.

გუთები (გოთები) მე-3 საუკუნეში შეიჭრნენ ყირიმში და შემდგომ გაქრისტიანდნენ.

http://ru.wikipedia.org

გუთების ეპისკოპოსი (სახელი უცნობია) პირველად იხსენიება 754 წელს. მან ხელი მოაწერა ხატმებრძოლთა კრების ერესს. გუთების ეს ეპისკოპოსი იმპერატორმა გადაიყვანა სხვა კათედრაზე, მის ადგილას კი გოთიის მცხოვრებლებმა აირჩიეს იოანე ხატთაყვანისმცემელი. რადგანაც კონსტანტინოპოლში მას, როგორც ხატთაყვანისმცემელს, არ აკურთხებდნენ. ამიტომაც ის გაემგზავრა მცხეთაში, სადაც ხელი დაასხა ქართველმა კათალიკოსმა. 787 წლის მსოფლიო კრებაში მონაწილეობდა გოთიის ეპისკოპოს იოანეს წარმომადგენელი (μοναχός κα í έκ προσώπου Ίωάννον έπισκόπου Γότθων)[7][8]

იოანე გუთელი. Не имея возможности поставления в Константинополе, Иоанн отправляется в Мцхету, к грузинскому католикосу на поставление

http://ru.wikipedia.org/wiki%D0%93%D0%BE%D1%82%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F–%-D0%B5%D0%BF%D0%B0%D1%80%D1%85%D0%B8%D1%8F ნოტიციაში, რომელსაც დე ბოორი მე-8 ს-ის ბოლოსა და მე-9 ს-ის დასაწყისით ათარიღებს (ჟ. დარუზესის ნოტიცია № 3), გოთიის ეპარქია მოიცავს ტერიტორიას ყირიმიდან ვოლგამდე, ხაზარეთის კაგანატს, მაგრამ შემდეგში ეს ეპარქია აღარ იხსენიება. საფიქრებელია, რომ მისი ტერიტორიების ადგილი დაიკავეს ჯიქიისა და ალანიის ეპარქიებმა.

ვ. მოშინის აზრით, გოთიის ეპარქია სამისიონერო მიზნით შეიქმნა, მაგრამ პროექტს არ ჰქონდა წარმატება. ის გააუქმეს. ასევე სამისიონერო მიზნით შეიქმნა ალანიის ეპარქია. ალანიის მიტროპოლიტ თეოდორეს ევალებოდა ქადაგება ყირიმიდან დონის სტეპების ჩათვლით, ანუ ყოფილი გოთიის ეპარქიის ტერიტორიაზე.

ეს ეპარქია სიაში ხელახლა ჩნება მე-10 ს-ის დასაწყისიდან, როგორც ავ-ტოკეფალური საარქიეპისკოპოსო. ის იდგა 44-ე ადგილზე ბოსფორის საარქიე-პისკოპოსოს შემდეგ.

მე-13 საუკუნეში გოთიის საარქიეპისკოპოსო იქცა სამიტროპოლიტოდ. მე-15 ს-ის შუა წლებში ხერსონის ეპარქიის მრევლი გადაეცა გოთიისა და სუგ-დეის ეპარქიებს. ამავე დროს, 1475 წელს, დედაქალაქი მანგუპი აიღეს ოსმალებ-მა.

გოთიის ეპარქია ამ პერიოდში გაძლიერდა, მისი ბოლო მიტროპოლიტი გედეონი იხსენიება 1725 წელს. ის ამ დროს კაფას მიტროპოლიტიც იყო. ყირიმე-ლი ქრისტიანები გათურქდნენ. დაკარგეს თავისი ენა და კულტურა. ეს თურქე-ბი ქრისტიანობდნენ, ბევრი გამუსულმანდა. 1778 წელს ყირიმელი ქრისტიანები რუსეთში გადასახლდნენ, აზოვ-როსტოვთან. ეს ქალაქი იმ დროს დაარსდა. აქ გადმოსახლდენენ ასევე ყირიმელი სომხები და კათოლიკები.

http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%BE%D1%82%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F–%D0%B5%D0%BF%D0%B0%D1%80%D1%85%D0%B8%D1%8F

ჯიქები

ჯიქებს ამჟამად მიაკუთვნებენ ხალხთა აფხაზურ–ადიღეურ ოჯახს, ამი-ტომაც ჩერქეზებსაც უწოდებენ.

ჯიქები პირველად მოიხსენია სტრაბონმა ძვ. წ. I საუკუნეში თავის გეოგ-რაფიაში. ამჟამად მიიჩნევა, რომ ჯიქების განსახლების რეგიონი იყო ჩრდილო შავიზღვისპირეთი, მაგრამ სტრაბონის გეოგრაფიიდანაც ჩანს, რომ ჯიქები ყი-რიმშიც ცხოვრობდნენ. ყირიმის მხარეს მცხოვრებთ ბერძნული წყაროებით ზიხები ერქვათ, ხოლო ჩრდილო შავიზღვისპირეთში მცხოვრებთ – ქართული წყაროებით – ჯიქები.

სტრაბონი ჯიქებს მოიხსენიებს, როგორც ზღვაოსან ტომს (თუნდაც ამი-ტომაც ზღვის სახელი ადიღეველებს არ უნდა აეღოთ თურქული ენიდან. ადი-ღეურ ენებში არ არსებობს სიტყვა „ზღვის“ საკუთარი სახელი და ის ნასესხები აქვთ თურქულიდან).

ჯიქები ფლოტილიით თავს ესხმოდნენ სავაჭრო გემებს და ასევე სანაპი-რო ქალაქებს. თანამშრომლობდნენ ყირიმის ბოსფორელებთან. ეს მიუთითებს ყირიმთან მათი საცხოვრისის სიახლოვის შესახებ. თუმცა მათი ერთი ნაწილი კავკასიის სანაპიროზეც ცხოვრობდა, რომელთა ქვეყანაც, სტრაბონის ცნობით, მკაცრი და ველური იყო. ჯიქები იტაცებდნენ ადამიანებს, ყიდდნენ მონებად ანდა გამოსასყიდს ითხოვდნენ ნათესავებისაგან, ნაძარცვი საქონლის გასაყი-დად ბისფორელები აძლევდნენ ბაზრებს, ასევე ადგილებს სანაპიროზე ნავსა-ყუდელად. они были основными поставщиками рабов для городов Боспора (Пантикапеи, Феодосии, Фанагории, Горгиппии и др.). Страбон. Книга XI. Гл.2 // География /Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского под общей

редакцией проф. С. Л. Утченко. Редактор перевода проф. О. О. Крюгер. – Страбон. География в 17 книгах. – М.: «Ладомир», 1994.

ჯიქები და ქაშაგები ებრძოდნენ ხაზართა კაგანატს.

ჯიქები ასიმილირდნენ კავკასიაში დასავლეთ ციმბირიდან შესულ ადიღეურ ტომებში, დაახლოებით მე-15, მე-16 საუკუნეებში.

როგორც აღინიშნა, ოქროს ურდოს მმართველმა ემირმა ადიგეიმ (ედიგეიმ) თავისი ულუსი (ურდო) დასავლეთ ციმბირიდან მე-15 საუკუნეში შეიყვანა კავკასიაში და გააბატონა ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხზე. კავკასიაში იმჟამად მცხოვრებმა ძველმა ჩერქეზებმა, ძველმა ჯიქებმა, ძველმა აბაზებმა და სხვებმა მიიღეს ადიღეთა ენა და წეს-ჩვეულება, შეერივნენ ადიღებს და ასიმილირდნენ. სამაგიეროდ შემოსულებმა მიისაკუთრეს მათი სახელები. მაგალითად, ჯიქების ასიმილაციის შემდეგ თვით ამ ხალხზე გაბატონებულ ადიღებს უწოდეს ჯიქები. ძველი ჩერქეზებიც ადიღებად იქცნენ. რადგანაც, დამპყრობლები იღებდნენ დაპყრობილი ტომების სახელებს – приняли имя проживавшего ранее народа

(http://jurnal .org /articles/2014/fill26.html).

ჯიქებს ადიღებსაც უწოდებდნენ და ჩერქეზებსაც. მე-16 საუკუნეში პიატიგორსკი ჩერქეზეთადაც იწოდებოდა.

სხვა ენის მატარებელი იყო ჯიქების ეთნოსი ადიღების ჩრდილო კავკასიაში გაბატონებამდე, მე-15 საუკუნემდე და ისინი სხვა ენოვანი გახდნენ ადიღებში ასიმილირების შემდეგ. ასიმილირებამდე ჯიქები ქრისტიანები იყვნენ. მათ შორის იქადაგეს წმ. მოციქულებმა ანდრიამ და სიმონ კანანელმა. ყირიმის ჯიქები, ანუ ზიხები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა რამდენიმე კათედრით, რომელთაგან ცნობილია ხერსონის, ბოსფორისა და სხვა. კავკასიის ჯიქები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყვნენ. მე-16 საუკუნეში ასიმილირების პროცესში ისინი ჯერ კიდევ ქრისტიანებად იხსენიებიან. ასიმილირების შემდეგ ჯიქების სახელი დავიწყებას მიეცა.

სინო -კავკასიური ენები

(დენე-კავკასიური)

Сино-кавказские языки

სინო-კავკასიური (დენე-კავკასიური) ენები არის ჰიპოტეტური მაკრო ოჯახი, წარმოადგინა ს. სტაროსტინმა 1980-იან წლებში. ამ სახელწოდებაში ერთიანდება ენათა რამდენიმე ოჯახი და იზოლირებული ენები ევრაზიისა და ჩრდილო ამერიკისა. ეს თეორია, მართალია, პოპულარულია, თუმცა აეჭვებს ზოგიერთ ლინგვისტის მიერ. მიიჩნევა, რომ სინო-კავკასიური ენების მატარებელთა პროსამშობლო იყო ირანის ზაგროსი

(https://ru.vikipedia.org /wiki/Сино–кавказские–языки).

ჩვენი კვლევით, კავკასიაში სინური (ადიღეური) ენები შემოსულია არა უძველეს ეპოქაში, არამედ თემურ ლენგის შემდეგ, თოხთამიშთან ოქროს ურდოს დიდი მმართველის ედიგეის ეპოქაში.

ეს ენები კავკასიაში შემოიტანა ოქროს ურდოს სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილიდან (ჩრდილო ყაზახეთ-დასავლეთ ციმბირიდან) ადიგეის ულუსმა, დაახლოებით, 1400-იანი წლებისათვის, როდესაც ოქროს ურდოს მმართველი (ემირი) იბრძოდა კიევის მიმართულებით და დნეპრისპირეთში (1416 წელს).

როგორც ჩანს, დასავლეთ ციმბირ-ენისეიდან მან თავისი ურდო ჩაიყვანა ჩრდილო კავკასიაში, დონისპირეთში, საიდანაც ეს ურდო გავრცელდა მთელ ჩრდილო კავკასიაში და დაიმორჩილა ადგილობრივი ტომები, გაბატონდა შავაზოვ ზღვებისპირეთიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე ადიღეველთა (ადიგე, ედიგე) სახელით. მათი სახელი ეწოდათ ბელადის ედიგეის სახელის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ იგივე გზა ციმბირიდან კავკასიამდე გაიარა ნოღაელთა ურდომ, რომელიც ასევე ედიგეის დაარსებული იყო. მათზე ადრე კი იგივე გზა ციმბირიდან კავკასიისაკენ გაიარა ყივჩაღთა ურდომ მე-11 საუკუნეში.

ოქროს ურდოს ემირი ედიგეი თვითონ იყო დასავლეთ ციმბირიდან. ასევე დასავლეთ ციმბირიდან იყო მისი მტერი თოხთამიში. აქ, ამ რეგიონში, უმთავრეს ქონებას წარმოადგენდა იქაური ულუსი (ურდო). თოხთამიშის დამარცხების შემდეგ ეს დასავლეთ ციმბირული ურდო გადავიდა გამარჯვებულის, ედიგეის, ხელში.

მას შემდეგ, რაც ედიგეი დაეპატრონა დასავლეთ ციმბირის ულუსს, ის „ედიგეის ურდოდ“ იწოდა. გამოიყენებოდა მეპატრონის მიერ შესაბამის ბრძოლებში მთელი ოქროს ურდოს ტერიტორიაზე.

საბოლოოდ, როგორც ფაქტები აჩვენებს, ედიგეის ხალხს (ულუსს) საბრძოლო ანდა სამომთაბარეო არენად განესაზღვრა ჩრდილო კავკასია, მხოლოდ თემურ-ლენგის ეპოქის შემდეგ მოიპოვება ისტორიაში ცნობები ჩრდილო კავკასიის სინურენოვანი ტომების არსებობის შესახებ. შესაბამისად, როგორც ფაქტები აჩვენებს, კავკასიაში სინო-ენისეური ენები გავრცელდა არა ზაგროსის მთიანეთიდან უხსოვარ დროს, არამედ დაახლოებით მე-15 ს. დასაწყისში ციმბირ-ენისეისპირეთიდან ედიგეს ულუსის (ურდოს) კავკასიაში დაფუძნების შემდეგ.

1947 წელს კავკასიოლოგმა ლინგვისტმა ნ. იაკოვლევმა დაადგინა, რომ ჩუკოტკურ ენას აქვს ზოგიერთი საერთო მახასიათებელი კავკასიურ-ადიღეურ ენასთან. 1968 წელს ა. დულზონმა დაადგინა, რომ ციმბირული, კეტური ენა ეთანადება კავკასიურ-ჩერქეზულ ენას, ამერიკელ ინდიელლთა ენებს, ასევე ბასკურსა და ბურუშულს.

სავარაუდოა, რომ ჩინო-ტიბეტური ენები მოიცავდა ასევე ციმბირის ვრცელ რეგიონს, საიდანაც ბერინგის სრუტით შეაღწია ჩრდილო ამერიკაში ციმბირული ტომების გადასახლებისას, ხოლო რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, აქ ეს ენები უნდა შემოეტანა ედიგეს ულუსს (ურდოს) კავკასიაში ჩა-

სახლების შემდეგ. საჰაერო დასაფლავების წესები დამახასიათებელია ამ ენათა მატარებლებისათვის.

ჰიპოთეზას მრვალი მოწინააღმდეგე ჰყავს.

სინო-ტიბეტური ენები (ადრე ეწოდებოდა ჩინურ-ტიბეტური ენები) უმსხვილესი ენათა ოჯახია. გავრცელებულია აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში. ჩანს, ადრე გავრცელებული იყო ციმბირში, საიდანაც, სავარაუდოდ, გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში. ამ ოჯახში შედის 300-მდე ენა. ამ ენებით 1,2 მილიარდი კაცი ლაპარაკობს.

ჩინო-ტიბეტური ოჯახი იყოფა ორ ქვეოჯახად – ჩინურად (სინიტურად) და ტიბეტურ-ბირმულად.

ჩინურ ენათა ოჯახი იყოფა ენებად (ტრადიციულად უწოდებენ დიალექტებს), მათ რიცხვშია დუნგანული და ბაის ენა.

რუკა – ენისეური ენების გეოგრაფიული განვრცობაა მე-17 ს-ში (შტრიხებით) და მე-20 ს-ის ბოლოს (წვრილი სეგმენტები ერთიანი ფონით).

ზემოთ აღნიშნული თეორიის მიხედვით, სინო-ტიბეტური ენები შედიან სინო-კავკასიურ მაკრო ოჯახში, რადგანაც ივარაუდება, რომ ის კავკასიიდან გავრცელდა ჩინეთის მიმართულებით. ჩვენი თეორიით, პირიქით, ისინი გავრცელდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ანუ ხალხთა დიდი გადასახლებების ვექტორის მიმართულების შესაბამისად ციმბირიდან კავკასიაში. ამ მიმართულებით საუკუნეთა მანძილზე მოძრაობდნენ ჰუნები, ალანები, ხაზარები, ყივჩაღები, მონღოლები და სხვანი. ტრადიციული გზა, ალტაი-ყაზახეთ-ციმბირიდან დასავლეთისაკენ, გაიარა ადიღეს სინურენოვანმა ურდომ. ეს, ფაქტების მიხედვით, მოხდა მონღოლურ დაპყრობათა ეპოქაში, ოქროს ურდოს მმართველის ედიგეის ურდოს ციმბირიდან კავკასიაში ჩასახლების შემდეგ (მე-14 ს-ის ბოლო, მე-15 ს-ის დასაწყისში). ამ დროს სინო-ენისეური ენები გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში. შესაბამისად, სინო-კავკასიური ენები უნდა ჩაითვალოს ჩინო-ტიბეტურ ენათა ოჯახის ნაწილად.

აქედან ჩანს, რომ სამი საუკუნის მანძილზე ენისეური ენების განვრცობის არეალი მკვეთრად შემცირდა. შესაბამისად, მისი არეალი მ-14 ს-ში უფრო დიდი იქნებოდა.

ენისეური ენები – ენათა ოჯახი – გავრცელებულია ცენტრალურ ციმბირში მდ. ენისეის გასწვრივ. მოღწეული მასალების მიხედვით, ეთნოგრაფები მიიჩნევენ, რომ ისინი გავრცელებული იყო ასევე ალტაისა და ჩრდილო ყაზახეთში.

ენისეური ეროვნებებია არინები, ასანები, კეტები, კოტები, პუმპოკოლები და იუგები.

ამ ოჯახიდან მხოლოდ ორი ენა შემორჩა მე-20 საუკუნისათვის – კეტური და იუგური (ესეც გაქრა საუკუნის ბოლოს). ამ ოჯახს კიდევ სხვა მრავალი გამქრალი ტომის ენა ეკუთვნოდა.

ლინგვისტები ამ ენებს ადარებდნენ სხვა მრავალ ენას (ბასკურს, ბურუშუულს, კეჩუას (ამერიკელი ინდიელები) და სხვა). პერსპექტიულად ითვლება ს.ა. სტაროსტინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ენისეური ენები გენეტიკურად დაკავშირებულია როგორც სინო-ტიბეტურთან, ასევე ნახურ-დაღესტნურ ენებთან (точка зрения С. А. Старостина, по которой енисейские языки генетически связаны как с сино-тибетскими, так и с нахско-дагестанскими языками).

2008 წელს წარმოდგენილ ჰიპოთეზისეულ ენებს აქვთ ნათესაური კავშირი ჩრდილოამერიკულ „ნადენეს“ ოჯახთან (ამერიკელ ინდიელთა სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახთან). რაც დაკავშირებულია ტომების მოძრაობასთან ციმბირიდან ამერიკასა და აზიას შორის ბერინგის სრუტის გავლით ალიასკაზე. https;//ru.wikipedia.org/wiki/Енисейские–языки

შემდგომში, საუკუნეთა შემდეგ. მონღოლურ ეპოქაში, ტომების აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადაადგილების დროს, ენისეური ენები უნდა შესულიყო ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ კი, ოქროს ურდოს ციმბირული წარმოშობის სარდალ, ცნობილ ედიგეის ეს ურდო, ვითარცა საკუთარი სამხედრო-საბრძოლო ძალა, უნდა ჩაეყვანა დასავლეთ-ციმბირ ენისეიდან ჩრდილო კავკასიაში დაახლოებით მე-15 საუკუნის დასაწყისში, აქ ედიგეის

ურდო (ხალხი) გაბატონდა და ამ ურდოს მეთაურის სახელის, ედიგეს, მიხედ-ვით ეწოდათ ადიღეველები.



რუკა – დენე კავკასიური ენების განვრცობა მდ. ენისეის აუზში (ს. სტა-როსტინი)

http://pereformat.ru/2014/05/orbin–2/.

ამ ენათა ტოპონიმიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მითი ყოფა-ცხოვრების ტერიტორია იყო საიანი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ყაზახეთი. აქედან გად-მოასახლა მათი ნაწილი ოქროს ურდოს დიდმა მმართველმა ადიღემ კავკა-სიაში.

ეთნონიმი ადიღე

სიტყვა ადიღე პირველად იხსენიება მე-16 საუკუნეში.

ეთნონიმ „ადიღეს“ ზუსტი წარმოშობა ჯერ-ჯერობით დადგენილი არაა.

ისტორიის დამოუკიდებელ წყაროებში ყველაზე ძველი მოხსენიება ამ თვითსახელწოდებისა გვხვდება გენუელი მოგზაურ ჯ. ინტერიანოს წიგნში (დაიბეჭდა 1502 წელს ვენეციაში), რომელშიც არის ცნობა – „**ზიხები – თავიანთ თავს „ადიგას“ უწოდებენ, მათ – ბერძნულად და ლათინურად ზიხები ეწოდებ-ათ, ხოლო თათრები და თურქები „ჩერქეზებს“ უწოდებენ.**

„Точное происхождение этнонима «адыг (адыге, адыгэ)» пока не установлено. Самым древним упоминанием в истории данного самоназвания в независимых источниках является книга генуэзского путешественника Дж. Интериано, изданная в Венеции в 1502 г., в которой он сообщал[41]: Зихи – называемые так на языках: простонародном греческом и латинском, татарами же и турками именуемые черкесы, сами себя называют – „адига“.

https://ru.wikipedia.org/wiki/„адиги“.

მაშასადამე, სიტყვა ადიღე პირველად იხსენიება მ-16 ს. დასაწყისში.

ამ დროისათვის ნოღაელთა მსგავსად ციმბირ-ენისეი-ყაზახეთიდან კავკასიაში ჩამოსულმა ადიღეს ტომებმა შეძლეს მიღწევა შავიზღვისპირამდე და დაიმორჩილეს იქ მცხოვრები იქამდე თურქულენოვანი ტომები – ძველი ზიხები (ძველი ჯიქები) და ძველი ჩერქეზები. ეს ტომები ადიღებში ასიმილირდნენ და ადიღებად, ადიღურენოვან ეთნოჯგუფებად გადაიქცნენ, ამის მიუხედავად, მათ მაინც ძველი სახელით იხსენიებდენენ მეზობელი ხალხები და კულტურები. მაგრამ ადიღებში ასიმილაციის შემდეგ მათ უნდა ეწოდოთ „ახალი ზიხები“ და „ახალი ჩერქეზები“

ეთნონიმი ჩერქეზი

(Этноним – Черкесы)

ეთნონიმ ჩერქეზის წარმოშობა უცნობია, ამჟამად გავრცელებულია ბროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში მოცემული არასწორი აზრი, თითქოსდა ბერძნულ წყაროებში ნახსენები სატომო სახელი კერკეტი მიეკუთვნებოდა ჩერქეზებს.

Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, издававшийся в конце XIX – начале XX веков, писал: „Уже у греческих историков встречается название керкет, которое относят именно к черкесам. Греки их называли также зюхой (у Appiana)“. (https://ru.wikipedia.org/wiki/ Черкесы – (народ,- Карачаево-Черкесия)

ესაა მხოლოდ სიტყვათა გარეგნულ მსგავსებაზე (კერკეტი – ჩერქეზი) დამყარებული აზრი, რომელსაც სხვა საფუძველი არ გააჩნია. ეტიმოლოგიურად სიტყვა კერკეტი უფრო ახლოა და იდენტურია სიტყვისა – გერგეტი (კერკეტი – გერგეტი – გეორგეტი).

ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში „გეორგების“ ტომს ასახელებენ პლინიუსი და სტრაბონი.

გეორგები მიწათმოქმედი არიან, ისევე, როგორც ქართველები (და არა მომთაბარე ჩერქეზები).

კერკეტები ქართველ ერს რომ შეერწყნენ, შეიძლება მიუთითებდეს არსებობა ქართულ ენაში სიტყვისა „კერკეტი“, რაც მტკიცეს ნიშნავს, გვარები: კირკიტაძე, კერკეტია; ტოპონიმი – გერგეტი და სხვა.

სიტყვა ჩერქეზს სულ სხვა წარმოშობისად თვლიან ჩერქეზების უშუალო მეზობელი ხალხები. დაღესტნელები და სხვა კაკასიელები ჩერქეზებს უწოდებენ „სარ-კიას“, რაც აღნიშნავს „თავის ჭრა“, თავის მჭრელს (Племя адиге, Т. Макарова. Кавказ 1862 года № 29). ამ სიტყვიდან (სარიკიას) წარმოიშვა სიტყვა ჩერქეზი.

дагестанцы и все остальные жители Закавказья называют черкесов саркяс, что означает сорви – голова, головорез (Племя адиге, Т. Макарова. Кавказ 1862 года № 29.). От последнего названия произошло испорченное слово черкес, данное народу, от хищнических нападений которого соседи весьма много терпели. http://maikop.riasv.ru/news/mnenieizrabori_ n_f_=cherkezi-adige-ii1244210/

თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს ჩერქეზები უკვე მომთაბარეობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ისინი იმ დროს ემხრობოდნენ ოროს ურდოსა და შესაბამისად თოხთამიშს, ამის გამო თემურმა საგანგებოდ ილაშქრა მათ ქვეყანაში და საგანგებოდ განადგურა ჩერქეზების მხარე, ის ამ დროს, გადმოცემის მიხედვით, იალბუზზეც ასულა.

თემურის შემდეგ თოხთამიშს ებრძოდა ოქროს ურდოს ემირი ედიგეი, ანადგურებდა მის მომხრეებს, აქვე კავკასიას შეაფარა თავი ედიგეის მიერ დევნილმა ოქროს ურდოს ხანმა შადიბეკმა, მან კავკასიაში, ვითარცა ოქროს ურდოს კანონიერმა მმართთველმა თავისი მონეტებიც კი გამოუშვა. შესაძლოა შადიბეკმა ჩამოიყვანა თავისი ულუსი ციმბირიდან, რომელიც მას ერგო ტიუმენის ხანის ტოხთამიშის დამარცხების შემდეგ, ანდა თოხთამიშმა ჩამოასახლა ისინი.

ენისეი – ციმბირიდან ჩამოყვანილი ადიღეთა ურდო – ულუსი ბრძოლათა შედეგად გაბატონდა ჩრდილო კავკასიაში, მათ დაამარცხეს ჩერქეზებიც, მო-ახდინეს მისი ნარჩენების ასიმილაცია, ამის შედეგად ადიღების ერთი დიდი ნაწილი იწოდა ჩერქეზებად, რადგანაც დამპყრობლები იღებდნენ **დაპყრობილი ტომების სახელებს – приняли имя проживавшего ранее народа**

(http://jurnal.org/articles/2014/fill26.html)

ზოგიერთი ეთნონიმი ჩრდილოეთ კავკასიაში

ამჟამად რუსულენოვან ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ჩრდილო კავკასიის ძველი ხალხები კერკეტები, ზიხები, ჯიქები, ქაშაგები, მეოტები, სინდები, კასკები და სხვები ადიღე-ჩერქეზების წინაპრები იყვნენ.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაც აღნიშნავს, რომ კერკეტებს მიაკუთვნებენ ჩერქეზებს. მათ თითქოს ბერძნული წყაროები ჯიქებს უწოდებდნენ.

როგორც აღინიშნა, ასეთი განსაზღვრება შეცდომაა, რადგანაც მხოლოდ მოსაზრებას ეყრდნობა და რაიმე საფუძველი არ გაჩნია.

ეტიმოლოგიურად, **კერკეტები იგივე გერგეტები არიან.** თუ გავითვალისწინებთ, რომ თანხმოვან „კ“-ს გადასვლა „გ“-ში („კ->გ“) ბუნებრივია და დადასტურებულია.

გერგეტები, ანუ **გეორგეტები,** ჩანს, **იყვნენ გეორგები,** რომელთაც ჩრდილო კავკასიაში ახსენებენ პლინიუსი და სხვები.

გეორგების ტომებს ჩრდილო კავკასიაში ასახელებენ ბერძნულ-რომაული წყაროები. ისინი ქართველური ტომები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც „გეორგ“, „გერგ” ქართველთა თვითსახელწოდებაა. მისი ფუძე-ძირია „გრგ“, რომლის საფუძველზეა აღმოცენებული ეთნონიმები და ტოპონიმები: ე**გრისი, მეგრელი, მარგვეთი, გურია** და სხვა.

სხვა საკითხია ის, რომ გეორგ სახელი, შესაძლოა, დაერქმიათ ქართველებისათვის მიწათმოქმედების გამო, რადგანაც ქართველთა მრავალი მეზობელი მომთაბარე იყო.

ადიღები ჩრდილო კავკასიაში თემურის შემდეგ გამოჩნდნენ, კერძოდ, კი ოქროს ურდოს დიდი მმართველ-მხედართმთავრის ადიღეის ულუსის კავკასიაში გამოჩენის შემდეგ, რომელმაც თავის სამშობლოდან – დასავლეთ ციმბირ – ენისეის ზონიდან სამხრეთ რუსეთის გავლით კავკასიაში თავისი (ანუ ადიღეის ულუსის) ტომები შემოიყვანა და ისინი გააბატონა ჩრდილო კავკასიაში ადიღეელების სახელით.

ახალმა ურდომ, რომელსაც მეთაურობდა ოქროს ურდოს სახელოვანი მხედართმთავარი ადიღეი, ბრძოლებით შეძლო ჩრდილოკავკასიის ტომების დამარცხება, მათ შორის ძველი ჩერქეზებისა, რომელებიც ასიმილირდნენ ადიღეელებში, ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ჩერქეზების ადიღეური ეთნოსი. შესაბამისად, ჩერქეზია იქცა ადიღეელთა ქვეყნად,

საერთოდ, სიტყვა „ჩერქეზი“, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სიტყვა კაზაკთან, ჩრდილო კავკასია მონღოლების შემოსევების შემდეგ გაუკაცრიელდა და თავისუფალ მოთარეშეთა (ანუ კაზაკთა) საყუდრად იქცა.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ეთნონიმ „ადიღეს“ წარმოშობა დაუდგენელია.

ჩვენ ამ სახელს ვუკავშირებთ ოქროს ურდოს სახელოვან სარდალ ადიღეის სახელს, რომელმაც თავისი ურდო ჩაასახლა ჩრდილო კავკასიაში დაახლოებით, მე-15 ს. დასაწყისში.

ადიღეს ულუსმა დაიპყრო ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი დაღესტნამდე და მათზე გაბატონდა სხვადასხვა სახელით – ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა.

როგორც აღინიშნა, სიტყვა ადიღეს პირველად მოიხსენიებს 1502 წელს გენუელი მოგზაური ჯ. ინტერიანო. მის დროს **ზიხები და ჩერქეზები უკვე დაპყრობილი და ასიმილირებულები იყვნენ ადიღეებში. ამიტომაც ეს ხალხებიც თავის თავს ადიღებად მოიხსენიებდნენ.**

ადიღების ტომებია აბეძეხები, ადამიიები, ბჟედუგები, გუაიები, ეგერუკაევები, ჟანეევები, მამხეგები, მახოშევები, ნატუხაიები ტემირგოევები, ხატუკაები და სხვები.

მე-14 საუკუნეში ოქროს ურდოში თოხთამიშსა და თემურ ლენგს შორის ბრძოლისას ჩრდილო კავკასიაში იქამდე თურქულენოვანმა ძველმა ჩერქეზებმა თოხთამიშის მხარე დაიჭირეს, მაგრამ ამის გამო დაისაჯნენ ჯერ თემურის, შემდეგ კი ადიგეის მიერ.

თემურ ლენგმა სასტიკად დაამარცხა თოხთამიში და შური იძია მათ მომხრე ძველ, ანუ თურქულენოვან ჩერქეზებზე.

„თემურმა დაიწყო თოხთამიშის მოლაშქრეთა ნარჩენებისა და ოქროს ურდოს სამფლობელოების გეგმაზომიერი განადგურება. სტეპების გაწმენდის შემდეგ ოლქს-ოლქზე იმორჩილებდა ჩრდილო კავკასიაში, ასე გაანადგურა მან ჩერქეზების ოლქი – ჩრდილო-დასავლეთი კავკასია („გაძარცვა ჩერქეზების მტელი ულუსი“), შემდეგ დაიპყრო დასავლეთ -ალანიის მმართველების ბურიბერდისა და ბურაკანისა ქვეყნა (სავარაუდოდ ყარაჩაი-ჩერქეზეთი და პიატიგორია), ამ დროს თემური „ჯიხადის მიზნით ავიდა იალბუზის მთაზე“)

http;//isa-abu-ali.livejoumai.com/1887/html

„Тимур начал планомерное истребление остатков войск Тохтамыша и золотоордынских владений. Очистив степи, он в том же 1395 г. принялся за Северный Кавказ, последовательно покоряя область за областью. Так, он разорил область черкесов – Северо-Западный Кавказ («ограбили весь улус черкесский»), затем захватил страну западно–аланских правителей Буриберди и Буракана (предположительно, Карачаево -Черкесия и Пятигорье), причем, сам Тимур «с целью джихада взошел на гору Эльбруз». Неприступные крепости Кули и Тауса, расположенные в горах Северной Осетии и Балкарии

http;//isa-abu-ali.livejoumai.com/1887/html

ჩერქეზები თემურის დროს უკვე ულუსი იყო ჩრდილო კავკასიაში, ისინი ემხრობოდნენ თოხთამიშს და ამიტომ ისინი სასტიკად გაანადგურა თემურმა, მათი ნაშთები საბოლოოდ ასიმილირებულ იქნა თემურის შემდეგ კავკასიაში შესული ადიღების ურდოს (ულუსის) მიერ ოქროს ურდოს ემირის ედიგეის ეპოქაში, ჩერქეზების ნაშთები ასიმილირდა შემოსულ ადიღებში, მიიღო მათი ენა და ცხოვრების წესი. ყოფილი ჩერქეზეთი იქცა ადიღების მიწა წყლად, ამიტომაც აქაურ ადიღებს ეწოდათ „ჩერქეზები“.

სპარსი ისტორიკოსი ნიზამ ად-დინ შამი აღნიშნავს, რომ თემურ ლენგის მიერ გაგზავნილმა ჯარმა გააუკაცრიელა მთელი მხარე აზოვიდან იალბუზამდე. ამის შემდეგაც იალბუზიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე ჯერ კიდევ იყო წინააღმდეგობათა კერები, ამიტომ თოხთამიშის მომხრე ჩრდილო კავკასიელები საბოლოოდ დაამარცხა თოხთამიშთან მებრძოლმა ადიგეიმ.

ჩრდილო კავკასიის ვრცელი რეგიონის წინააღმდეგობის საბოლოო აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა ადიგეის ულუსის ჩამოყვანის შემდეგ.

ულუსების მუდმივი მოძრაობა ჩვეულებრივი ცხოვრების წესი იყო მომთაბარე ტომებისათვის.

ადიგეის ულუსის ჩრდილო კავკასიაში გაბატონების შემდეგ იქამდე თურქულენოვანი ჩერქეზების ნაშთები ასიმილირდა ახალ გაბატონებულ ხალხში, ანუ ადიღებში.

ძველი ჩერქეზები ასიმილირების შემდეგ ახალ ჩერქეზებად, უკვე ადიღებად იქცნენ, ხოლო ძველ ჩერქეზეთში ადიღები გაბატონდენ. ამიტომაც დაპყრობილი ქვეყნის ჩერქეზეთის სახელის მიხედვით მათ ეწოდათ ჩერქეზები. როგორც აღინიშნა, დამპყრობელმა ადიღებმა მირეს დაპყრობილი ჩერქეზების სახელი, რასაც ზოგადად აღნიშნავს რუსი მკვლევარიც, **რომ დამპყრობლები იღებდნენ დაპყრობილი ტომების სახელებს – приняли имя проживавшего ранее народа**

(http://jurnal.org/articles/2014/fill26.html).

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ძველი ჩერქეზები და ახალი ჩერქეზები სხვადასხვა ეთნოსები იყვნენ, კერძოდ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ძველი ჩერქეზები თურქულენოვანი ხალხი იყო, ხოლო ახალი ჩერქეზები-ადიღეურ-ენისეური ენის მქონეა, რომელიც სინურ ენობრივ ოჯახს ეკუთვნის.

1552–1557 წლებში რუსეთის მფარველობაში შევიდა დასავლეთ ჩერქეზეთი. მათ ერთობლივად შეუტიეს თურქებს. ასტრახანი და ტამანი რუსებმა აიღეს. რუსულმა არმიამ ილაშქრა ქვემო დონსა და ქვემო დნეპრზე. 1561 წელს ივან მრისხანემ ცოლად შეირთო ცნობილი ყაბარდოელი თავადის თემრიუკ იდაროვის ქალიშვილი, რომელიც ცნობილია რუსეთის დედოფალ მარიას სახელით.

პრორუსულად განწყობილ თემრიუკ იდაროვს სურდა ყველა ადიღეს გაერთიანება, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ის იძულებული გახდა მოეხმო რუსული ჯარი ანტირუსულად განწყობილ დიდებულებთან საბრძოლველად. ორჯერ, 1562–1563 და 1565–1566 წლებში რუსული ძალები ჩავიდენ ყაბარდოში.[52]

1570 წელს თვითონ ყირიმის ხანის მეთაურობით ყირიმის ჯარი თავს დაესხა თემრიუკს, სასტიკად დაამარცხა. რუსები ამ რეგიონიდან გააძევეს თითქმის 100 წლით. თუმცა რუსი კაზაკები დარჩნენ თერგზე აგებულ სიმაგრეში (გრებენის კაზაკები).

რუსული მატიანის თანახმად, 1562–1563 და 1565–1566 წლებში ყაბარდოში ჩასული რუსული ძალები ებრძოდნენ ტემრიუკის მტრებს. მათ რიცხვში დასახელებულია სვანები, აღწერილია, რომ **სვანეთის იმ ნაწილში, რომელიც იმჟამად მდებარეობდა ჩრდილო კავკასიაში, ილაშქრეს რუსულმა და ტემრიუკის გაერთიანებულმა ძალებმა. მათ მოსპეს და დაანგრიეს ჩრდილო კავკასიის 150-ზე მეტი სვანური სოფელი, მოსახლეობა დახოცეს ანდა დაატყვევეს. ამ დროს ფაქტიურად განადგურდა სვანეთის ეს ნაწილი, ანუ ჩრდილო კავკასიაში მდებარე სვანეთი.**

იქ მცხოვრები სვანების ადგილებში ჩასახლდა არასვანური მოსახლეობა. იქ დარჩენილმა სვანებმა თანდათანობით მიიღეს მუსულმანური სარწმუნოება. მოხდა მათი ასიმილაცია ჩამოსულ ტომებში. ამ სვანების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ბალყარეთსა და მიმდებარე რეგიონებში. ზოგი მათგანი ამჟამადაც აღიარებს თავის სვანურ წარმოშობას.

„მოკლა თოხთამიში და დაჯდა მის ურდოზე“

(ედიგეის ურდო ანუ ადიღე ხალხი)

ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ თოხთამიში მრავალი წელი ებრძოდა ოქროს ურდოს ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ სარდალს – ემირ ედიგეის (ადიგეის).

ამის მიზეზი შემდეგია:

იმის შემდეგ, რაც თერგზე 1395 წელს თემურ-ლენგმა გაიმარჯვა, თოხთამიშმა დაკარგა ოქროს ურდოს ტახტი და იძულებული გახდა მუდმივად ებრძოლა თემურის მიერ დადგენილი ხანების წინააღმდეგ.

თემურთან დამარცხების შემდეგ თოხთამიშმა, ჩანს, შეძლო ციმბირში ტიუმენის სახანოს ულუსებზე მცირე ხნით მიეტაცებინა ხელისუფლება, После поражения Тохтамышу, видимо, удалось на короткий срок захватить власть в Тюменском ханстве или в части его улусовр

http://vk.com /wll–3215805–61612

(სწორედ ამ ულუსებს ეწოდა შემდეგ ედიგეის (ადიგეის) ურდო (ულუსი).

მალე ოქროს ურდოს ტახტზე ემირ ედიგეის დახმარებით გამეფდა თემურ-კუტლუგი. მან დაამარცხა თოხთამიში.

ამის შემდეგ თოხთამიში იძულებული გახდა თავისი ოჯახით გაქცეულიყო კიევში, ლიტვის დიდ მთავარ ვიტოვტთან. მან მიიღო დიდი დახმარება და აქედან შეიჭრა ოქროს ურდოში, დაბანაკდა მდინარე ვორსკლაზე.

ოქროს ურდოს ხანმა მოითხოვა ზავი, მაგრამ მოლაპარაკება ჩაშალა ედიგეიმ, რომელიც თავის ლაშქრით მივიდა ბანაკში. ედიგეი სათავეში ჩაუდგა ოქროს ურდოს ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა თოხთამიში. ამ გამარჯვების შემდეგაც ედიგეი სასტიკად დევნიდა და მუდამ ებრძოდა თოხთამიშს, რომელმაც დაკარგა პოლიტიკური გავლენა.

ბოლოს, თოხთამიშმა თავი შეაფარა ციმბირს, ტიუმენს, ენისეის ახლოს, რომლის მოსახლეობა მისი დასაყრდენი ძალა იყო

თოხთამიში, დამარცხებული ედიგეის მიერ, ციმბირის ტიუმენის ოლქში გარდაიცვალა. მისი სამკვიდრებელი და ულუსი ედიგეის დარჩა.

თოხთამიშის ურდო (ანუ ტიუმენისა და ციმბირ-ენისეის ურდო) ახლა უკვე ემირ ედიგეის საკუთრებად გადაიქცა.

ედიგეის ურდო უკვე მოიცავდა დასავლეთ ციმბირს, დასავლეთ ენისეისა და ტიუმენის ოლქს.

რუსული მატიანე „არხანგელოგოროდსკიი ლეტოპისეც“ ამის შესახებ წერს:

ოქროს ურდოს ხანმა ჟენიბეკმა (შადიბეკმა), რეალურად კი ედიგეიმ „მოკლა თოხთამიში და დაჯდა მის ურდოზე“, ე.ი. თოხთამიშის ურდო ახლა ედიგეის ურდოდ გადაიქცა.

Тое же зимы царь Женибек уби Тактамыша в Сибирскои земли близ Тюмени, а сам седе на Орде.[6]! /Архангелогородский летописец //Полное собрание русских летописей / Отв. ред. акад. Б. А. Рыбаков. – Л.: Наука, 1982.- Т. 37. Устюжские и вологодские летописи XVI–XVIII вв.- С. 82.-227 с.- 5400 экз. (როგორც აღინიშნა, ეს ხალხი, ანუ თოხთამიშის ყოფილი ულუსი, მალევე იწოდა ედიგეის, ანუ ადიგეის ულუსად, მომთაბარეობის წესის შესაბამისად, დაიძრა დასავლეთის მიმართულებით, კავკასიისაკენ, სადაც მათ ადიღეველები ეწოდათ)

საერთოდ, მე-13-14 საუკუნეებში მონღოლების შემოსევისას ჩრდილო კავკასიისაკენ მასიურად მოიწევდნენ შუა აზიურ-ციმბირული ტომები და ულუსები.

თოხთამიშის დამარცხების შემდეგ უმთავრეს საომარ ასპარეზს წარმოადგენდა ჩრდილო კავკასია, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც კავკასიას თავი შეაფარა ედიგეის მოსისხლე მტერმა, ოქროს ურდოს ყოფილმა ხანმა შადიბეგმა. მართალია, ედიგეიმ შადიბეგი ჩამოაგდო ოქროს ურდოს ხანის მაღალი ტახტიდან და ყოფილმა ხანმა თავი დერბენდს შეაფარა, მაგრამ კავკასიელთა დახმარებით ის კვლავ გაძლიერდა იმდენად, რომ საკუთარი მონეტებიც კი მოჭრა კავკასიაში, ვითარცა ოქროს ურდოს კანონიერმა ხანმა.

ედიგეის კავკასიაში თავშეფარებული ოქროს ურდოს ყოფილი ხანისაგან-შადიბეგისაგან და, საერთოდ, კავკასიისაგან დიდი საფრთხე ელოდა, შადიბეგისაგან, ვითარცა ოქროს ურდოს ტახტის კანონიერი ხელისუფლისაგან, ხოლო კავკასიისაგან, ვითარცა შადიბეგის (და უფრო მეტი – თოხთამიშის) ორიენტაციის მომხრეებისაგან, მითუმეტეს, რომ მათ უკან იდგა საქართველოს გაუტეხელი სახელმწიფო, რომელსაც ჯერ კიდევ უდიდესი გავლენა ჰქონდა კავკასიაზე, თემურის ლაშქრობათა მიუხედავად.

ამის გამო კავკასიის მიმართ თავისი ბოროტებით ედიგეიმ თვით თემურ ლენგსაც კი გადააჭარბა, კერძოდ, მან კავკასიაში ჩამოასახლა თავისი ულუსი – ადიღეველთა წინაპარი ტომთა გაერთიანება, მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელთაც თავიანთი უსასტიკესი მეთოდებით საბოლოოდ წელში გატეხეს ჩრდილო კავკასიელთა წინააღმდეგობა, უფრო მეტი, მათ სრულიად შეცვალეს ჩრდილო კავკასიის ეთნოსახე. საფუძველი დაუდეს ძველი კავკასიელი ხალხების მოსპობას და მათი საცოდავი ნაშთების ასიმილირებას ადიღეველებში, რამაც საბოლოო სახე მისცა ახალ ეთნოჯგუფებისა და ახალი ხალხების ფორმირებას ჩრდილო კავკასიაში.

ემირმა ედიგეიმ თავისი ულუსი დასავლეთ ციმბირიდან წამოიყვანა კავკასიაში და მეპატრონედ დაადგინა ჩრდილო კავკასიისა.

ციმბირ-ენისეიდან ჩამოსახლებული ედიგეის ულუსის ხალხი, ანუ ადიღეველები (ენისეურ ენათა ჯგუფის ხალხი) გაბატონდა ჩრდილო კავკასიის უმეტეს ნაწილზე შავიზღვისპირეთიდან ვიდრე თერგამდე და თითქმის კასპიისპირეთამდე. ეს იყო ოქროს ურდოს სახელმწიფოს პოლიტიკური ნება.

ადიღეველი ხალხის სახელი „ადიგე“ და ოქროს ურდოს მმართველის სახელი „ედიგეი“ იდენტურია. აღნიშნული ენისეის ოლქის ხალხი და ჩრდი-

ლო კავკასიის „ადიღე“ ხალხი ერთ ნათა ჯგუფს, ე.წ. სინო-კავკასიურ ენათა ჯგუფს, განეკუთვნებიან. შესაძლებელია წარმოიშვას ვარაუდი, რომ ადიღეველი ხალხი კავკასიაში ჩაასახლა, ვითარცა უკვე საკუთარი ულუსი, გამარჯვებულმა ედიგეიმ.

თოხთამიშის მომხრე კავკასიის მოჯანყე ხალხის დამორჩილება ედიგეის სურვილი იყო, რისთვისაც მან ენისეი-ტიუმენის ვრცელ ოლქიდან კავკასიისაკენ მომავალი ურდო გამოიყენა. ციმბირის ტიუმენის სახანო და მისი ულუსები იქამდე თოხთამიშის დასაყრდენი იყვნენ.

როგორც აღინიშნა, რუსული მატიანის ცნობით, თოხთამიშის დამარცხების შემდეგ ტიუმენ-ენისეის ულუსი ედიგეის საბატონოდ იქცა. ეს ულუსი (ხალხი) მან გამოიყენა კავკასიაში თოხთამიშისავე სიცოცხლეში ანდა მისი დამარცხების შემდეგ, 1405–1406 წლებში, ასევე კავკასიაში თავშეფარებული (მის მიერ ოქროს ურდოს ხანის ტახტიდან ჩამოგდბული) შადიბეკის დევნისას, 1506 წლის შემდეგ; კიევ-დნესპისპირეთში ლაშქრობისას ათი წლის შემდეგ. 1405–1516 წლებში დასავლეთ ციმბირ-ენისეის ოლქიდან კავკასიაში ჩამოსახლდა ედიგეის ულუსი, ანუ ადიღეველი ხალხი, რომელთაც შეძლეს ჩრდილო კავკასიელი დამარცხებული ტომების ასიმილერება.

ენისეიზე დღესაც ცხოვრობს სინო-კავკასიური ენის მატარებელი ხალხი. საენციკლოპედიო მონაცემებით, ესაა ინდოევროპული რასის მოსახლეობა შერეული მონგოლოიდებთან. ამავე რასას განეკუთვნებიან ამჟამინდელი ჩერქეზებიც.

როგორც აღინიშნა, ამჟამად გაბატონებულია უმართებულო ჰიპოთეზა, თითქოსდა სინო-კავკასიური ენის მატარებელი მოსახლეობა შავიზღვისპირეთიდან გადასახლდა ენისეისა და ჩინეთ – ტიბეტში და საფუძველი დაუდო დიდ ჩინურ რასას. ეს არის შეცდომა. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. თემურ ლენგის შემდეგ დიდი ჩინურ-ტიბეტური რასის ერთი მცირე ჯგუფი ენისეიდან კავკასიაში გადმოასახლა დიდმა სარდალმა ედიგეიმ.

ადიღე-ჩერქეზების წინაპრები კი არ გადასახლდნენ კავკასიიდან ჩინეთ-ტიბეტში, არამედ ოქროს ურდოს ხანაში მოხდა პირიქითა მოძრაობა: სინურენოვანი ადიღები გადმოსახლდნენ დასავლეთ ციმბირიდან ჩრდილო კავკასიაში. ეს ბუნებრივი მოძრაობა იყო, როგორც აჩვენებს ამ რეგიონიდან ჩრდილო კავკასიაში ჩასახლებული ყივჩაღებისა და ნოღაელების მაგალითი. ოქროს ურდოს სახელმწიფო მოიცავდა ორივე რეგიონს – ჩრდილო კავკასიასა და ტიუმენ- ენისეის მხარეს.

თოხთამიშის საუფლისწულო ურდო მისი სიკვდილის შემდეგ ხელში ჩაიგდო ედიგეიმ და დაეპატრონა მას. ამ ურდოს შესახებ არსებობს შემდეგი ცნობები: თოხთამიში (გარდ. 1406) იყო ოქროს ურდოს ხანი 1380–395 წლებში, 1400 წლიდან კი – ტიუმენის სახანოს ხანი. ის იყო ჩინგის ხანის უფროსი შვილის ჯუჩის ერთ-ერთი შთამომავალი.

თავდაპირველად თოხთამიშმა შეძლო ხელში ჩაეგდო ოქროს ურდოს აღმოსავლეთი ნაწილი – თეთრი ურდო, შემდეგ კი შეიჭრა დასავლეთ ნაწილ-

ში, რომელსაც აკონტროლებდა მამაი. 1380 წლის აპრილში თოხთამიშმა დაიპყრო ოქროს ურდო აზოვამდე.

თოხთამიში ფრთხილობდა, რათა მისი მოწინააღმდეგე თემურის ხელში არ გადასულიყო სამხრეთ კავკასია და დასავლეთ ირანი. ამიტომაც 1385 წელს შეიჭრა ამ რეგიონში, აიღო თავრიზი და მდიდარი ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნდა.

საპასუხოდ თემურმა 1391 წელს და 1395 წელს (თერგზე) ორჯერ სასტიკად დაამარცხა თოხთამიში. მართალია, თოხთამიშმა დაკარგა ტახტი, მაგრამ ის მაინც მუდმივად ებრძოდა თემურის მიერ დადგენილ ხანებს.

1405 წელს თემური გარდაიცვალა, 1406 წელს – თოხთამიში.

თოხთამიშს დევნიდა და მისი საბოლოო დამარცხების მიზეზი გახდა ემირი ედიგეი. რუსი მემატიანის სიტყვით, თოხთამიში მოკლეს ციმბირის მიწაზე, ტიუმენთან ახლოს.

ედიგეის დარჩა თოხთამიშის მთელი ქონება, ანუ ულუსი, რომელიც მან კავკასიაში გადმოსახლა.

რუსული მატიანე აღწერს, რომ ოქროს ურდოს ხანს ჟენიბეკს (შადიბეკს), რეალურად კი ედიგეის დარჩა თოხთამიშის ულუსი, ანუ „დაჯდა მის ულუსზე“ – Тое же зимы царь Женибек уби Тактамыша в Сибирскои земли близ Тюмени, а сам седе на Орде. „(Архангелогородский летописец // Полное собрание русских летописей / Наука, 1982. – Т. 37. Устюжские и вологодские летописи XVI–XVIII вв.- с. 82).

აღსანიშნავია, რომ ციმბირის ტერიტორია, ენისეის ვრცელი ოლქი, ტიუმენთან ახლოს, რომელსაც ბოლოს მართავდა და, სადაც მოკლეს თოხთამიში, განსახლებული იყო, სინურენოვანი ტომებით (ე.წ. სინურ-კავკასიური ენის- (Сино-кавказские языки) მატარებელი ტომებით (მათი ნაშთები ახლაცაა). ამ ენათა ოჯახის რიცხვში შედიან ადიღე-ჩერქეზული ტომებიც.

იგივე გზა ციმბირიდან კავკასიისაკენ გაიარეს ყივჩაღებმა (მე-11 ს-ში) და შემდეგ ნოღაის ურდომ, რომელნიც დასახლდნენ ჩრდილო კავკასიაში.

ადიღების ჩასახლება აფხაზეთში

ადიღები და აფხაზეთი

ადიღე-ჩერქეზების გაბატონება აფხაზეთსა და სამეგრელოს ნაწილში (200–წლიანი ომი და სამეგრელოს სამთავროს ნაწილის დაპყრობა ადიღეთა მიერ XVII–XVIII სს.

შესავალი

XVI ს-დან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მის პერიფერიულ კუთხეებში, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო, ჩამოსახლდნენ ჩრდილოკავკასიელი მთიელები.

ამ პროცესს ნ. ბერძენიშვილი „მთის ჩამოწოლას“ უწოდებს.

ასე მოექცა აღმოსავლეთ კახეთი (ჭარ-ბელაქანი) დაღესტნელი ლეკური ტომების ხელში, შიდა ქართლის მთიანეთი – ჩრდილო კავკასიელი ოსების, ხოლო აფხაზეთი-ადიღე-ჩერქეზული ტომის – აბაზების, ანუ აფსუების ხელში.

XVI–XVIII სს-ში ჩერქეზი ხალხი ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო და შედგებოდა უამრავი მეომარი ტომისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც აღინიშნა, აფხაზეთში ჩასახლდა, მოახდინა ადგილობრივი ქათველების (ძველი აფხაზების ასიმილაცია) შემდეგ თვითონ გაითავისა სახლწოდება – „აფხაზი“.

ძველი და ახლი აფხაზები სხვადასხვა ხალხი იყო თავისი კულტურით, სარწმუნოებითა და შემეცნებით.

აფხაზეთში ჩამოსახლებულ აბაზა-აფსუებს, როგორც ითქვა, ქართველებმა, ქვეყნის სახელის მიხედვით, „აფხაზები“ უწოდეს (ესაა „ახალი აფხაზები“), აქედან ეს სახელი გადაიღეს რუსებმა, თუმცა კი როგორც თურქი, ისე უცხოელი მოგზაურები, მათ ჩერქეზებს ანდა აბაზებს უწოდებდნენ.

ახალი აფხაზები, ანუ აფსუები, ნარევი ეთნოსია. როგორც ითქვა, ძველი აფხაზები ეთნიკური ქართველები იყვნენ, ახალი აფხაზები კი მათში ჩერქეზული (ადიღეური) ტომების შერევისაგან წარმოიშვნენ. ქართული ენა დავიწყებული ან მიჩქმალული იქნა.

ახალი აფხაზების თვითსახელწოდება იყო „ჩერქეზი“, როგორც მათ მოიხსენიებენ ევროპელი მოგზაურები სპენსერი და გამბა, ასევე „აბაზი“ ან „აფსუა“.

ისინი ადიღეური ენის მატარებლები იყვნენ, ხოლო ძველი აფხაზეთის ცივილიზაცია და კულტურა ქართულ ენასა და ქრისტიანობას ეფუძნებოდა.

აფხაზეთისა ძველმა ქართველმა თავად-აზნაურებმა შეძლეს თავიანთი მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება ქვეყნის ახალი ეთნიკური სახის ჩამოყალიბების სანაცვლოდ.

უკვე აფხაზებად წოდებულმა ჩერქეზებმა აფხაზეთში გაბატონების შემდეგ, მე-17 ს. შუა წლებიდან, გადალახეს სამეგრელოს საზღვარი, რომელიც იმჟამად მდ. კოდორზე გადიოდა და შეძლეს წინ წაწევა. მათ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს ისტორიული ოდიში (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები).

დაპყრობილ სამეგრელოს ნაწილში, კოდორიდან ენგურამდე, გაბატონდნენ ადიღე-ჩერქეზები. დაიწყო მკვიდრი მოსახლეობის – ეგრისელების, ასიმილაცია. აქაური, მკვიდრი ქართული მოსახლეობა გადაიქცა საზოგადოების ყველაზე დაბალ, დამორჩილებულ, ფენად. შეისწავლა მებატონეების, ანუ აფსუების ენა და ადათ-ჩვევები,

ლევან II დადიანის სამთავროს განადგურება სამეგრელოში ჩასახლებული მთიელი ადიღე-ჩერქეზული, ანუ აფსუა ტომების მიერ

სამეგრელოს სამთავრო ძალიან გაძლიერდა XVII ს-ის I ნახევარში. ლევან დადიანი იმერეთის მეფეს ტახტს ეცილებოდა.

ამ დროს აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამ საუკუნეშივე მას გამოეყო აფხაზეთი, რომელიც ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა.

ლევან დადიანის ოჯახური ტრაგედიის შედეგმა, კერძოდ, სამეგრელოს აფხაზი დედოფლის შეურაცხყოფით დასჯამ და გაძევებამ, უკიდურესად განარისხა აფხაზთა სამთავრო ოჯახი.

ამის შემდეგ დაიწყო დიდი ომები ამ ორ სამთავროს შორის. აფხაზეთის მთავრებმა მიმართეს უკიდურეს ხერხს, გახსნეს კავკასიის ქედის ჩრდილოეთის სასაზღვრო კარი და ადიღე-ჩერქეზი მოლაშქრეები მოიწვიეს აფხაზეთში. მათ დიდი პრივილეგიებიც მიანიჭეს.

იმდენად დიდი იყო შემოსულ ადიღე მოლაშქრეთა რაოდენობა, რომ, საბოლო ჯამში, მათ ხელში აღმოჩნდა აფხაზეთის სამმართველო სისტემა.

აფხაზეთის სამთავრო (ამ დროისათვის, მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია) ადიღე-ჩერქეზ მოლაშქრეთა ხელში აღმოჩნდა, თუმცა ადგილობრივმა აფხაზმა დიდებულებმა გარკვეული უფლებები შეინარჩუნეს.

აფხაზეთიდან დაიწო გაუთავებელი ომები სამეგრელოს წინააღმდეგ, თავდაპირველად, კოდორის მარცხენა სანაპიროს მხარეს.

საზღვარი ამ ორ სამთავროს შორის მდინარე კოდორზე გადიოდა. თუმცა არსებობს XVII ს-ის ოდიშის რუკა, სადაც საზღვარი უფრო დასავლეთით, მდინარე კელასურზე გადის.

აფხაზეთის სამთავრო ამ დროს მცირე მხარე იყო. მისი საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით არ მოიცავდა, ფაქტიურად, თანამედროვე გაგრის რაიონის მნიშვნელოვან ნაწილსაც კი, რადგანაც ეს ტერიტორია ამ დროისათვის ჯიქების ტომს ეჭირა.

იმდროინდელი უცხოელი დამკვირვებლების აღწერით, ჩრდილოკავკასიიდან აფხაზეთში ახალ ჩამოსახლებულნი ეკონომიურად, კულტურულად და საზოგადოებრივი ყოფით იყვნენ უკიდურესად ჩამორჩენილები. ისინი მიწათმოქმედებას არ ეწეოდნენ, არ ჰქონდათ ქალაქები და, ჩანს, სოფლებიც კი (იხ. ქვემოთ). აფხაზეთის პატარა ქვეყნის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, ხოლო სამეგრელო, აფხაზეთთან შედარებით, განვითარებული მიწათმოქმედების, ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა.

სამეგრელო კარგად დასახლებული, ყოველმხრივ განვითარებული ქვეყანა იყო, მათ შორის, შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკითაც მოწინავე. მიუხედავად ამისა, XVII ს-ში მოხდა გასაოცარი მოვლენა. აფხაზეთის პატარა სამთავრომ გაცილებით უფრო ძლიერი და დიდი სამთავრო რამდენჯერმე დაამარცხა, ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი მიწა-წყალი, საჭიროა ანალიზი იმისა, თუ რა იყო ამის მიზეზი.

„კელასურის კედელი“ იყო ძველი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის.

სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარმა კელასურ-კოდორიდან გადაიწია სამხრეთით და ზუგდიდს მიუახლოვდა. ის მდინარე ენგურზე იქნა გავლებული. სამეგრელოს მოსახლეობა შიშით ხვდებოდა სიტყვა „აფხაზის“ ხსენებასაც კი.

ისმის კითხვა: როგორ შეძლო პატარა, მცირერიცხოვანმა, სოფლის მეურნეობის არმქონე, განუვითარებელმა მხარემ ძლიერი სამეგრელოს სამთავროს დამარცხება და მისი მიწების დაუფლება? სინამდვილეში პატარა სამთავრო აფხაზეთის ზურგს უკან უკვე იდგა ადიღე-ჩერქეზული უზარმაზარი სამყარო.

პასუხის გაცემამდე უნდა ითქვას, რომ, თანახმად ვახუშტისა, ოდიშის ისტორიული საზღვარი იწყებოდა ანაკოფიასთან, ანუ თანამედროვე ახალ ათონთან. ქალაქი ანაკოფია ბაგრატიონ მეფეებს აუშენებიათ. აქ მე-17 საუკუნეში იწყებოდა საზღვარი. ის გრძელდებოდა კელასურიდან მთებში თითქმის 100 კმ სიგრძეზე. ამ საზღვრის გასამაგრებლად სამეგრელოს სამთავრომ ააგო ციხე-სიმაგრეთა გრანდიოზული სისტემა. აღსანიშნავია, რომ მის კოშკებსა და გალავნებზე არსებობს სათოფურები, რაც მიუთითებს, რომ ეს გრანდიოზული ციხე-გალავანი, ანუ სასაზღვრო ზღუდე ნამდვილად ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგაა აშენებული.

ვახუშტი წერს ანაკოფიასა და ამ სასაზღვრო ზღუდეზე: „აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმად არს. ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასის თხემიდამ ზღვამდე და ცხენის წყლიდან ზღვამდევე და მეორე – ეგრისის წყლიდა ანაკო-

ფიამდე, და განი მისი რიონის მდინარედამ ეგრისის მდინარემდე და მეორე ზღვიდამ კავკასიის თხემამდე“ („ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 782).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ოდიში ვიწრო მნიშვნელობით ეწოდებოდა ქვეყანას ეგრისწყლიდან ანაკოფიამდე, ანუ ახალ ათონამდე.

ოდიში მოიცავდა თანამედროვე გალის, ოჩამჩირის, გულრიფშ – სოხუმისა და ნაწილობრივ გუდაუთის რაიონებს, ხოლო ფართო მნიშვნელობით ოდიში ვრცელი ქვეყანა იყო და მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ცხენისწყალზე, სამხრეთი კი – რიონზე გადიოდა. ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის მთები იყო.

ანაკოფია (ახალი ათონი) ოდიშის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა. მაშასადამე, ცხუმი, დრანდა, მოქვი, ილორი თუ ბედია ოდიშში შედიოდა.

ლევან II დადიანის დროს უკვე იწყება ოდიშის საზღვრების ცვლილება. ჩრდილოელი მთიელი ტომების შემოსევები იმდენად დიდი და ინტენსიური ყოფილა, რომ სამეგრელოს მთავარს „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“ აუგია დიდი – დაახლოებით 100 კმ. სიგრძის კედელი, რომელიც კელასურთან იწყებოდა.

ამ კედლის შესახებ უნდა ითქვას, რომ მის აგებას მრავალ უცხოელ იმპერატორსა და სახელმწიფოს მიაწერდნენ, მაგრამ თვით ი. ვორონოვიც კი წერს, რომ ციხე-სიმაგრეთა ეს სისტემა აგებულია ლევან II დადიანის დროს და მისი დანიშნულება იყო „აფხაზების“, ანუ ჩრდილოელი მთიელების ოდიშზე შემოტევის შეჩერება.

კელასური, რომელიც ამ დროისათვის საზღვარი გამხდარა ლევან დადიანისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის, ცხუმთან ახლოს, მის აღმოსავლეთით მდებარეობს. მაშასადამე, ამ დროისათვის ოდიშს უკვე დაკარგული აქვს ანაკოფია და ცხუმი.

კელასურის კედელი ლევან II-ის დროს აუგიათ დიდი სიჩქარით. ზოგიერთი კოშკი პირდაპირ მიწაზე დაუდგამთ უფუნდამენტოდ. ზოგიერთისათვის სათოფურებიც კი არ დაუტანებიათ. მტერს ციხე-კოშკის მშენებლები ელოდნენ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, როგორც ამას ამ ნაგებობის არქიტექტურა უჩვენებს.

ი. ვორონოვი წერს: Как выяснилось, общая длина линии обороны Келасурской стены составляет около ста километров. Эта линия прослеживается от устья реки Келасури до села Лекухона (правобережье Ингури) ... врага ждали с Северо-Запада со стороны Сухуми и Цебельды. Бойницы в башнях расположены во втором этаже, обычно в Северной и Западной стенах ... Несомненно предназначены для огнестрельного оружия. Сооружение во многих своих частях сработано на скорую руку. В одних башнях забыли сделать бойницы. Иногда башни ставились без фундамента прямо на траву или полусожженный кустарник ... некоторые участки стены вообще незавершены – спели вырить только траншею для фундамента... В последний период своего правления (1640–1657) Леван был вынужден перейти к организованной обороне своих владений, выразившейся в возведении и укреплении фортификационных сооружений на

границе с Абхазией. Арканджело Ламберти сообщал, что владетели Мегрелии «весьма большими расходами возвели стену длиною в 60 тысяч шагов, и на известном расстоянии в ней находятся башни, охраняемые значительными отрядами стрелков». На карте другого итальянского миссионера Кастелли над выразительным изображением Келасурской стены имеется надпись: „Стена в 60 тысяч шагов, для сдерживания абхазов предназначенная“ (В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978, ст. 104).

მიუხედავად იმისა, რომ ი. ვორონოვი ანტიქართულადაა განწყობილი, ფაქტებმა ის აიძულეს სიმართლის ნაწილი მაინც წარმოეჩინა, ის წერს:

„როგორც გაირკვა, კელასურის კედლის თავდაცვის ხაზის საერთო სიგრძე შეადგენს 100 კილომეტრს. ეს ხაზი მდ. კელასურის შესართავიდან გადაჭიმულია ვიდრე სოფ. ლეკუხონამდე (ენგურის მარჯვენა სანაპირო). მტერს ელოდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან, სოხუმისა წებელდის მხრიდან, სათოფურები კოშკების მეორე სართულზეა და, როგორც წესი, ისინი ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებშია. უეჭველად განსაზღვრულია ცეცხლსასროლი იარაღისათვის. ნაგებობა თავის უმეტეს ნაწილზე ნაგებია ნაჩქარევად, ერთ-ერთ კოშკში სათოფურების გაკეთებაც კი დაავიწყდათ. ზოგჯერ კოშკები დადგეს უფუნდამენტოდ, პირდაპირ ბალახზე ან ნახევრად გადამწვარ ბუჩქნარზე. ზოგიერთი მონაკვეთი კედლისა საერთოდ დაუმთავრებელია, მხოლოდ თხრილის ამოღება მოასწრეს ფუნდამენტისათვის. თავისი მმართველობის ბოლო წლებში (1640–1657) ლევან მეორე დადიანი იძულებული გახდა გადასულიყო თავისი სამფლობელოს ორგანიზებულ თავდაცვაზე, რომელიც გამოიხატა აფხაზეთის საზღვარზე საფორტიფიკაციო ნაგებობებისა აღმართვით და გამაგრებებით. არქანჯელო ლამბერტი იუწყება, რომ სამეგრელოს მმართველებმა „ძალზე დიდი დანახარჯებით ააგეს კედელი 60 ათასი ნაბიჯის სიგრძისა. მასზეა ერთმანეთისაგან დაშორებული კოშები, რომლებსაც იცავენ მოისრეების მნიშვნელოვანი რაზმები“. მეორე იტალიელი მისიონერის კასტელის რუკაზე კელასურის კედლის გამოხატულებას ახლავს წარწერა: „კედელი 60 ათასი ნაბიჯის სიგრძისა, განსაზღვრულია აფხაზთა შეკავებისათვის“ (В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978, ст. 104).

როგორც აღინიშნა, ი. ვორონოვის სიტყვით, კელასურის კედელი წარმოადგენდა სამეგრელოს სამთავროსათვის „ორგანიზებული თავდაცვის“ საფორტიფიკაციო ნაგებობას. სიმაგრეთა მთელი ეს სისტემა სამეგრელოზე (ოდიშზე) აფხაზების თავდასხმის შესაჩერებლად იყო განსაზღვრული. ის აგებულ იქნა XVII ს-ის 40–50-იან წლებში და იცავდა თანამედროვე გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა, უხვმოსავლიან, სამიწათმოქმედო მხარეებს, ხოლო ამ მხარეთა მომცველი კავკასიონის მთიანეთი უკვე უჭირავთ მთიელ წარმართებს. მათ იმჟამად უკვე აფხაზებს უწოდებდნენ. მათგან დასაცავად, მათი შეკავებისათვის იქნა აგებული კელასურის კედელი. ის გრძელდება ზღვისპირეთის პარალელურად, თითქმის 100 კმ-ის სიგრძეზე. ამ დროისათვის საზღვარიც აქ გადიოდა ორ სამთავროს შორის. კედლის ჩრდილოეთის მხარე უკვე ადიღეველების, ანუ ადიღე-ჩერქეზების

ხელში იყო. მათი ტომები სხვადასხვა სახელით (აბაზა, აფსუა) უკვე ბატონობდნენ ისტორიულ აფხაზეთში, ანუ კელასურისა და კოდორის მარჯვენა სანაპიროს მხარეს. ამიტომაც მათაც აფხაზები უწოდეს.

როგორ შეძლო აფხაზთა მცირე სამთავრომ ძლიერი სამეგრელოს სამთავროს შევიწროება და მის ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაზრდა? სინამდვილეში ოდიშს ებრძოდნენ ჩრდილო-იმიერკავკასიაში მცხოვრები ჩერქეზულ–ადიღეური ტომები, რომელთაც ბაზა აფხაზეთში გააჩნდათ.

ჩრდილო კავკასიელი მებრძოლი ტომების ბრძოლა საქართველოს კუთხეთა წინააღმდეგ ცნობილი ფაქტია. კახეთისა და ქართლის სამეფოებს ებრძოდა ჩრდილო-აღმოსავლეთი იმიერკავკასია, ანუ დაღესტანი, ლეკების საერთო სახელწოდებით. მათ ბაზა გაიჩინეს დაპყრობილ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჭარ-ბელაქანი ეწოდა. ასევე ებრძოდნენ იმ პერიოდისათვის ქართლის მთიანეთის ოსები.

აფხაზეთში ადიღეური, ანუ ჩერქეზული ტომების მასობრივ ჩამოსახლებას XVII ს-ის 20-იანი წლებიდან გააჩნდა თავისი ისტორიული წანამძღვრები. ადიღეების ტომებს (აბაზებს, აფსუებს და ასევე სხვებსაც) რამდენიმე ხნით ადრეც შემოუღწევიათ აფხაზეთში, მაგრამ XVII ს-ში მთიელი მებრძოლები კვლავ მოუწვევია ლევან დადიანისაგან უკიდურესად შეურაცხყოფილ აფხაზეთის მთავარს.

ლევან დადიანს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მთავრის სორეხ შერვაშიძის ქალი. მალე, ღალატის თუ ცილისწამების გამო, ლევანმა ცოლი გააგდო, ცხვირი და ყურები დააჭრა და მამას დაუბრუნა, ხოლო მასთან შეძენილი ორი ვაჟი მოწამვლით მოაკვლევინა, რამაც საშინლად აღაშფოთა აფხაზეთი. ეს მომხდარა 1623 წლისათვის.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, აფხაზები „დადიანისაგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ, რადგან მან გააგდო ცოლი, მათი მთავრის ქალი, ამის გამო აფხაზები ისე გაბრაზებული იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრობის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად მოაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“.

დადიანი თავიდან შეტევაზე გადასულა. აფხაზეთი რამდენჯერმე დაულაშქრავს და ხარკიც დაუდვია. 40-იანი წლებისათვის სურათი შეიცვალა, აფხაზები შეტევაზე გადასულან ისე, რომ ლევანს სამეგრელოს დასაცავად აღნიშნული კედლის აშენება დასჭირდა.

„განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზ ფეოდალთა თავდასხმები ოდიშზე 40-იან წლებში, სწორედ იმ დროს, როცა ოდიშის მთავარი იმერეთთან ბრძოლით იყო დაკავებული. დადიანმა აფხაზი ფეოდალების შემოტევის შესაჩერებლად სიმაგრეთა მთელი სისტემა შექმნა აფხაზეთის საზღვარზე... ამ კედელს, რომელშიც შიგადაშიგ დატანებული იყო ხის კოშკები, მორიგეობით იცავდნენ ოდიშის თავადებისა და ეპისკოპოსების ჯარები... ამ დიდ ღონისძიებათა გატარების შემდეგ დადიანმა დროებით შეძლო აფხაზ ფეოდალთა შემოსევების შეჩერება“ (ნარკვ, IV, გვ. 340).

ჩერქეზულ-ადიღეური ტომების შემოტევა ზღვისპირეთში

მე-17 ს-ის 20-იანი წლებიდან სამეგრელოს სამთავრო ლაშქრობებით ცდილობდა აფხაზეთის სამთავროს განგდგომის დაცხრობას, მაგრამ ოდიშის შეტევა 20-იოდე წელიწადში ღრმა თავდაცვით შეიცვალა. უნდა ვიფიქროთ, რომ დროის ამ მონაკვეთში აფხაზმა თავადებმა საშველად იხმეს ჩრდილო-კავკასიელი ტომები. მათი შეკავება ოდიშმა ვერ შეძლო და 40-იოდე წელში საზღვარი მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურამდე იქნა გადატანილი. აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიის ფართობი 2-ჯერ გაიზარდა ოდიშის ხარჯზე.

ჩრდილოკავკასიელები, კერძოდ, ჩერქეზულ-ადიღეური ტომები, ჯიქები, რომლებსაც ადრე ოდიშის მთავარი იყენებდა მტრების წინააღმდეგ, ახლა თვით ოდიშის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ლევან დადიანი „1621 წლისათვის ...ემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სვანთა, რათა შემწე ეყონ“ („ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 826). მათ იყენებდა იმერეთის მეფესთან ომში: „მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი“ (იქვე, გვ. 826).

აქედან ჩანს, რომ აფხაზ-ჯიქების სამხედრო ძალებს ადრეც იყენებდნენ შიგა ომებისას, ხოლო აფხაზეთის სამთავროსთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ ჯიქები და სხვა ჩრდილოკავკასიური ადიღეური ტომები თვით აფხაზებს გამოუყენებიათ ოდიშის წინააღმდეგ.

საერთოდ, უცხო სამხედრო ძალის გამოყენება იმ დროს ახასიათებდა საქართველოს საზოგადოებას. მაგალითად, 1666 წლისათვის იმერეთის მეფის წინააღმდეგ განწყობილმა სეხნია ჩხეიძემ „მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთაისისა და შეაყენნა ოსმალნი“ („ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 838). მსგავსი მიზეზების გამო ოდიშის წინააღმდეგ მებრძოლ აფხაზებს ჯიქებისა თუ ჩერქეზ-აფსუებისათვის, ანუ ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი ტომებისათვის კარები გაუხსნიათ და ისინი აფხაზეთში მიუწვევიათ. თურქებიც ოდიშართა წინააღმდეგ გადმოსულან, მიმხრობიან აფხაზებს. „1634 წლისათვის მაისში თურქები შეიჭრნენ სამეგრელოში, დაარბიეს ახლო-მახლო სოფლები და გაძარცვეს დრანდის მონასტერი“ (მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 95).

მართლაც, იმჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, თურქები ოდიშის ყველა მტერს ემხრობოდნენ. ლევან დადიანმა ნათესაური კავშირი დაამყარა ქართლის მეფე როსტომ ხანთან, სპარსეთის ვასალთან, რამაც თურქეთი ოდიშის წინააღმდეგ განაწყო და დაუახლოვა აფხაზებს.

აფხაზ-ჩერქეზთა შემოსევები გრიგალისებური იყო. ამიტომაც XVII ს-ის 60-იანი წლებისათვის მათ უკვე დაუჭერიათ სამეგრელოს ტერიტორია კოდორიდან ეგრისწყალ – ღალიძგამდე, ხოლო 80-იანი წლებისათვის მათ უკვე ღალიძგა-ენგურის შუა მოქცეული ტერიტორია დაიჭირეს და ოდიშის შუაგულს მიუახლოვდნენ.

„...იყო ჭირი დიდი ოდიშისა, ვითარცა აღვწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევდიან, დაიპყრეს

ვიდრე ეგრისის მდინარედმდე და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსნი," – წერს ვახუშტი („ქართლის ცხოვრება", IV, გვ. 845).

„გარნა იყო ოდიშს ჭირი... კვლითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით და ცხადად" (იქვე, გვ. 850).

იტალიელი მისიონერი წერდა: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების შიშია"... აღნიშნულმა ვითარებამ ძლიერ შეარყია ოდიშის თავდაცვისუნარიანობა. ამ გარემოებით ისარგებლეს ჩერქეზ-აფხაზმა ფეოდალებმა და თანდათანობით დაიკავეს ტერიტორია მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე გაბატონდა აფხაზეთის მთავრის სუსტარ შერვაშიძის ვაჟი სორეხ შერვაშიძე, რომელმაც თავი მთავრად გამოაცხადა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივნი, ოდიშარნი იყვნენ, ფეოდალთა წრეში კი გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს.

სორეხ შერვაშიძემ და მისმა სახლიკაცებმა მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის დასავლეთ სანაპიროზე გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ, მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის მთავარ ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII ს. ბოლოს მდ. ენგური აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროს საზღვრად (ნარკვ. IV, გვ. 354).

უცხოელი დამკვირვებლები, ხოლო შემდეგ კი მოგზაურები, ქართველი ისტორიკოსები აღწერენ, თუ როგორი უკიდურესი სისასტიკით ეპყრობოდნენ აფსუა დამპყრობლები ოდიშის მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, ანუ დღევანდელი გუდაუთის, სოხუმ-გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. მათი თარეში შეეხო აგრეთვე მთელ დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ზღვისპირეთს და ენგურის მარცხენა სანაპიროსაც.

მთიელი ჩერქეზ-ჯიქ-აფსუები ატყვევებდნენ, ყიდდნენ, ხოცავდნენ მოსახლეობას, მეურნეობას კი უწყალოდ ანადგურებდნენ. ამის გამო კოდორსა და ენგურს შუა მოქცეული სამეგრელოს ერთ დროს აყვავებული მხარე უკაცრიელ, გაუდაბურებულ კუთხედ იქცა, რომელსაც უკვე არა ოდიში, არამედ აფხაზეთი ეწოდებოდა. ის უკვე აფხაზეთის მთავრის მიერ იმართებოდა.

„ძალიან გაძნელდა ცხოვრება შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც ტყვის მსყიდველები თარეშობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ გამაჰმადიანებული აფხაზი ფეოდალები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, აფხაზები „დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა", აფხაზები დიდი ნავებით მოულოდნელად მიადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოახელებდნენ, იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ (ან აფხაზებში ყმებად ასახლებდნენ), აფხაზ მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ" (ნარკვ., IV, გვ. 460).

კავკასიის მთიანეთში დამკვიდრებული ჩერქეზ-ადიღეური ტომები ისეთ ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, რომ მათი დამორჩილება ისევე უჭირდა თურქეთს, როგორც ირანელებს უჭირდათ დაღესტნის დამორჩილება.

1730 წელს თურქებმა მოაწყვეს დიდი ლაშქრობა ჯიქებისა და მთიელების დასამორჩილებლად. მათ მხარს იმერეთის მეფეც უჭერდა. ეს ლაშქრობა ჩაიშალა. თურქები ჯიქეთში ვეღარ შევიდნენ.

ადიღე-ჩერქეზების (აფსუების) დასახლება სამეგრელოში

(ამჟამინდელ გულრიფში-ოჩამჩირე-გალის რაიონებში)

მდინარე ეგრისწყალსა (ღალიძგა) და ენგურს შორის მოქცეული ოდიშის ყოფილი ტერიტორიის შემომტკიცების მიზნით აფხაზეთის მთავრის ძემ ყვაპუ შერვაშიძემ, რომელსაც ეს ტერიტორია ერგო, ჩამოასახლა ბზიფის ხეობელი აფხაზები. ასე გაჩნდა პირველად დღევანდელი გალის რაიონში აფსუა მოსახლეობა. მათი ჩამოსახლება მოხდა XVIII ს. დასაწყისში. ოდიშის მეორე ნაწილი, უფრო ჩრდილოეთით მდებარე მდინარე კოდორსა და ღალიძგას შუა მოქცეული ტერიტორია, აფხაზეთის მთავრის მეორე ძეს ერგო. როგორც ითქვა, „ყვაპუ შერვაშიძემ თავის სამფლობელოში ბზიფის ხეობიდან გადმოყვანილი აფხაზები ჩამოასახლა“ (იქვე, გვ. 468).

ჯიქეშია შერვაშიძეს, რომელსაც მდ. კოდორისა და ღალიძგას შუა მოქცეული მიწა-წყალი ერგო, თავის სამფლობელოშიც, ჩანს, ჩამოუსახლებია აფსუა–აფხაზები. ამიტომაა, რომ ძველ მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად დღევანდელ ოჩამჩირის რაიონში აფსუებიც გაჩნდნენ.

სარწმუნოების შერყევა ახალ აფხაზეთში

XVIII ს. 30-იანი წლებისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ზედაფენას მაჰმადიანობა მიაღებინეს. აქაური მოსახლეობა აქამდე ორ სარწმუნოებრივ ჯგუფად იყო გაყოფილი. ძველი მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის ზედაფენა, მკვიდრი თავადაზნაურობა და ქვედაფენა ქრისტიანული იყო. ახლად ჩამოსახლებული მრავალრიცხოვანი ადიღეელები (აფსუები) წარმართებს წარმოადგენდნენ. ჩამოსახლების შემდეგ აფხაზეთში ფაქტიურად გაიმარჯვა წარმართობამ და ქრისტიანობა შესუსტდა. თუმცა ზედაფენა, შერვაშიძეთა სამთავრო სახლი, მკვიდრი თავადები ქრისტიანები იყვნენ. ამიტომაც თავიანთ თავს ქართული ეკლესიის ნაწილად და ქართული კულტურის მატარებლებად მიიჩნევდნენ.

მაღალ ფენებში მაჰმადიანობის დანერგვამ ეს ძველქართული ზედაფენა უფრო დაუახლოვა გაბატონებულ წარმართებს. ეს იყო ახალი მოსახლეობა, ადიღეველები, სხვადასხვა ტომობრივი წარმოშობისა, მათ შორის აფსუები. ამ პროცესმა აფხაზეთის ადგილობრივი ფენები დააშორა ქართულ ფესვებს. თუმცა მაჰმადიანობა ღრმა არ ყოფილა. აფხაზი მთავრების და თავადების ოჯახებს ქართულ სამყაროსთან კავშირი მთლიანად არ დაუკარგავთ. აქ ძველებურადვე იცოდნენ თავიანთი ძველი დედაქართული ენა. დაბალ ფენებში ქართული ენის ცოდნა მალე გადაფარა აფსუათა ენამ. თუმცა ნამდვილ ძირძველ, ანუ ქართველ აფხაზებს XVIII ს-ის დასაწყისში, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ქართული ენა, როგორც ამას უჩვენებს თუნდაც სულხან-საბა ორბელიანის მაგალითი. მან შორეულ მალტაში ქართული ენის მცოდნე აფხაზი ტყვე იხილა.

თურქთა განდევნის შემდეგ გამაჰმადიანებული აფხაზების დიდი ნაწილი ქრისტიანობას დაუბრუნდა, მაგრამ ისინიც და ჩამოსახლებულებიც ერთობლივად კვლავ აგრძელებდნენ ჩვეულ საქმიანობას. „აფხაზები ხშირად გადმოდიოდნენ შეტევაზე სამეგრელო – იმერეთის მიმართულებით. ასეთ შემოსევათა უმთავრესი მიზანი ბარის მდიდარი რაიონების ძარცვა-გლეჯა და ტყვეების შოვნა იყო“ (იქვე, გვ. 469).

საფიქრებელია, რომ ადიღეელები, ანუ ჩერქეზული ტომები, აფხაზეთში ჩამოსახლდნენ ორი გზით. თავდაპირველად XVI ს-თვის, ჩანს, ჯიქები ჩამოსახლებულან შავი ზღვის სანაპიროს გზით და ბიჭვინთამდე მიუღწევიათ, შემდგომ რაღაც მიზეზის გამო, ჯიქთა ახალ ტალღასა და აფხაზეთში იქამდე ჩამოსახლებულ უკვე „აფხაზებად“ სახელდებულ ძველ ჯიქთა შორის წინააღმდეგობა წარმოშობილა. ამიტომაც, ლევან დადიანისა და სორეხ შერვაშიძის ომის დროს, XVII ს. დასაწყისში, ჩერქეზების უფრო ახალი ტალღა ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდა ბზიფის ხეობაში კავკასიის უღელტეხილის გზით. მათ შესაკავებლად, როგორც აღინიშნა, ლევან დადიანს 100-კილომეტრიანი ციხესიმაგრე აუგია, მაგრამ უშედეგოდ.

ძველ ქართულ პროვინცია აფხაზეთში დამკვიდრებულ ადიღე-ჩერქეზებს ქართველებმა „აფხაზები“ უწოდეს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის „აფხაზეთის“ სახელის მიხედვით, ისევე როგორც ეგვიპტეში დამკვიდრებულ არაბებს ამჟამად ეწოდებათ ეგვიპტელები, ხოლო სირიაში, ასირიელთა მიწა-წყალზე დამკვიდრებულ არაბებს – სირიელები, ასევე სხვადასხვა ჩერქეზ-აფსარულ ტომებს, აფხაზეთში დამკვიდრებულთ – აფხაზები ეწოდათ. თუმცა კი ძველ ქართველ აფხაზებსა და ახალ აფსუა – „აფხაზებს“ შორის ეთნიკური სხვაობა იყო.

ჯიქები, ისევე როგორც ლეკები, უკვე XVI ს-დანვე მოიწევდნენ საქართველოში დასასახლებლად. მათ თურქები უწყობდნენ ხელს.

„იმერეთის მეფე კარგად ხედავდა, რომ თურქები მის ქვეყანას სამი მხრიდან უტევდნენ: სამხრეთ-დასავლეთიდან ზღვისპირეთით – გონიოს გზით, ჩრდილო დასავლეთიდან ჯიქეთ-აფხაზეთის გზით და სამხრეთიდან – სამცხე-საათაბაგოს გზით. თუმცა შემოსევისაგან რომ ქვეყანა ეხსნა, ამისათვის

საჭირო იყო სამივე გზის ჩაკეტვა. ამის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, ბაგრატ მეფემ ყურადღება მიაპყრო ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს. ჯიქნი, რომელნიც ადრევე მოექცნენ თურქების გავლენაში, თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს და აოხრებდნენ. ბაგრატის თაოსნობით გადაწყდა ლაშქრობა მათ დასასჯელად და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გზის ჩასაკეტად. 1533 წლის იანვარში მამია გურიელი და მამია დადიანი გაემართნენ სალაშქროდ. პირველი ბრძოლა მოხდა გაგრასთან 30 იანვარს. ამ ბრძოლაში ჯიქები დამარცხდნენ, მაგრამ მეორე დღეს 31 იანვარს, ღალატის შედეგად დადიანისა და გურიელის ჯარი სასტიკად დამარცხდა. თვით დადიანი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო გურიელი თავისი სამი ძმით, ეპისკოპოსით და ჯარით ტყვედ ჩავარდა“ (მ. რეხვიაშვილი, დას. ნაშრ, გვ. 33).

ეპისკოპოსის მონაწილეობა ამ ომში მოწმობს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა ეკლესია ქართული მიწა-წყლის დაცვას ამ მიმართულებით. მართლაც, ამ მარცხის შემდეგ ჩვენი უკიდურესი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთა, სადაც ქართველი ერის მატერიალური განძი იყო დაგროვილი, დაუცველი დარჩა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბიჭვინთის სანახები უკვე წარმართ ჯიქ-აფსუებს ჰქონდათ დაჭერილი. საეპისკოპოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი. ასე მოსპეს ადიღეელებმა ქართული ქრისტიანობის საუკუნოვანი დედაქალაქი, მცხეთის ტოლი ბიჭვინთა, რომელიც მხოლოდ მღვდლის ანაბარად იქნა მიტოვებული. თუმცა ადიღე-ჩერქეზების მეორე ტალღამ XVII ს-ში გაცილებით უფრო უმოწყალოდ მოსპო ქართულენოვანი საეპისკოპოსოები დრანდისა, მოქვისა, ბედიისა, სხვა ეკლესია – მონასტრები. მათ სარწმუნოება სრულიად ვერ აღმოფხვრეს, მაგრამ უკიდურესად კი დასცეს.

აფსუებს, ანუ ადიღებს-ახალი აფხაზები ეწოდა.

ნ. ბერძენიშვილი „ახალი აფხაზების“ შესახებ

არსებობდა მოსაზრება, რომ ძველი და ახალი აფხაზები ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხია და მათი კულტურის კერები იყვნენ ბიჭვინთის, ბედიის, დრანდის თუ მოქვის საეპისკოპოსოები. თუ ასე იყო, რატომღა გაანადგურეს ისინი XVI–XVII სს-ში აფხაზებმა?

ნ. ბერძენიშვილი მიუდგომელია ამ საკითხში. ის წერს, რომ „ძველი აფხაზები სხვა ხალხი იყო, ხოლო ახალი აფხაზები სხვა ეთნიკური კუთვნილების ხალხია. ძველი აფხაზები კულტურულ-კონფესიურად ქართველები იყვნენ. ამიტომაა, რომ VIII–X სს-ში მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ეწოდა აფხაზები“ (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, 1990, გვ. 584).

არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, XI–XIII სს-ში უცხოელების ერთი ნაწილი მთელ საქართველოს მოსახლეობას უწოდებდა აფხაზებს, მმართველი დინასტიის ტიტულატურის მიხედვით, რადგანაც მთელ

იმჟამინდელ საქართველოს მეფეებს უპირველესად აფხაზთა მეფეები ეწოდებოდათ.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზეთში შუა საუკუნეებში მოხდა „მთის ჩამოწოლა“ ანუ ჩრდილოკავკასიელების ჩამოსახლება (იქვე, გვ. 593), რის შედეგადაც მოხდა აფხაზეთის მოსახლეობის გაუცხოება. აქამდე კი „...ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ხვედრი ქვეყნები, მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყველა ესენი ქართველები იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი, როგორც ფეოდალური ქვეყანა აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერნი, როგორც ქართლი და ქართლელი“ (იქვე, გვ. 608).

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში ხდება ლეკების თუ ოსების ჩამოსახლება. დასავლეთში კი „მთიული აფხაზები ტომობრივ ჩამოვიდნენ, დამხვდური აფხაზური მოსახლეობა ემმო მოსულთ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. მაშასადამე, აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ იყო. ამავე დროს ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მოიქცა წარმართად“. აფხაზი თავადაზნაურობა შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას. და იწყო „გააფხაზება“ არა მარტო მომმე აფხაზებმა (ბარელებმა), არამედ ბარი – ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შეიქმნა აფხაზობა. „ქართულ“ ბატონყმობაში სულამოხუთული გლეხობა არა მარტო ზღვისპირეთისა მიეტანა აფხაზობას, არამედ აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის თავშესაფარი გახდა და შეიქმნა ახალი აფხაზეთი“ (იქვე, გვ. 610).

„ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. XVII ს-სათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც უკვე გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა. ფეოდალური უღლის ქვეშ მყოფი ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მოჰქონდათ. აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმულ საზოგადოებისათვის კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX ს-ში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება“ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა“ (იქვე, გვ. 616).

მთიელი ტომების შემოსვლამდე კი მდინარე კოდორამდე მდებარე ქვეყანა იყო მეგრულენოვანი, ნ. ბერძენიშვილი იმოწმებს ა. ლამბერტის (იქვე, გვ. 594).

როგორც აღინიშნა, გრანჟიეს ცნობით, მოქვის სანახებში სამოღვაწეოდ საჭიროა ქართულისა და მეგრულის ცოდნა. აქ აფხაზური ენის შესახებ არავითარი მითითება არაა (იქვე, გვ. 611). ლამბერტის დროს კოდორის დასავლეთით აფხაზეთია, აფხაზი მოსახლეობაა, აფხაზური ენა ბატონობს.

ა. ლამბერტი „ჩამოთვლის კოლხიდის მდინარეებს და ამბობს: «Последняя из всех рек Коддора, эта должно быть Коракс, потому, что вся Колхида расположена между Фазисом и Кораксом и совершенно так, как Фазис отделяет Мингрелию от Гурии, так и Коракс отделяет её от Абхазии, а как за Фазисом Мингрельский язык сразу сменяется грузинским, так за Кораксом сменяется абхазским. Отсюда ясно, что Кодор Мингрельцев есть древний Коракс, потому, что сейчас после переправы через Кодор живут абхазцы (авасси) со своим особенным языком» (იქვე, გვ. 613).

ლამბერტის აღწერილობიდან ჩანს, რომ აფხაზეთში მის თვალწინ ჩასახლებული ახალი მოსახლეობა მომთაბარეების ნარჩენები იყვნენ, შემოსულნი კავკასიის მთებში, რომელთაც ბარის კულტურის არავითარი ნიშანი არ ჰქონდა. თუ როგორი ყოფით ცხოვრობდნენ ახალი აფხაზები და ვის ემგვანებიან ისინი, ის წერს: „ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში აფხაზეთელები არ ცხოვრობენ, არამედ ერთი გვარის 10–20 ოჯახი ერთად შეიკრიბება, რომელიმე გორაზე, აქ აგებენ წკნელის ქოხებს, მათ შემოავლებენ ღობეს და თხრილს, რადგანაც ერთმანეთს ძარცვავენ“: «В городах и крепостях абхазцы не живут, но (обыкновенно) собираются десять или двадцать семейств одной фамилии, выбирают какое-нибудь возвышенное место, строят здесь из соломы несколько шалашей и обводят все крепким забором и глубоким рвом. Последнее делают потому, что у них обычай грабить друг друга» „სახლში არაფერი აქვთ მორთულობისა („უტვარ“). ერთიმეორეს ჰყიდიან მონებად. შეიარაღებულთ სძინავთ. ესაა აფხაზები. მხოლოდ მთიელობით შეიძლება აიხსნას მათი მეურნეობა, ყოფა და სხვა მთიელებთან მსგავსება. მთელ ისტორიას, გამოდის, ისე გაუვლია, რომ აფხაზებს ამ კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ“, – წერს ნ. ბერძენიშვილი. შეუძლებელია ასეთ ხალს აეგო ლიხნის ან ბედიის დიდებული ტაძრები.

ჩამოსახლებული აბასები, ანუ როგორც ნ. ბერძენიშვილი უწოდებს, მთის აფხაზები“ სტეპების მომთაბარე ჩრდილოკავკასიური, ენობრივი მონაცემებით, ადიღეური ტომი რომ იყო, ეს კარგად ჩანს მათი ყოფაცხოვრების წესიდან.

„ზემოთ მოყვანილი დაჟინებული მოწმობანი იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს ყოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ ცხოვრობდნენ, რომ, როგორც ჩანს, მეხორბლეობა ან სულ არა აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, ყველაფერი ეს მოწმობს, რომ XVIII ს-ის აფხაზები, მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსული ბარში. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ისინი არ არიან აბორიგენები, მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ. უმთავრესად მეჯოგეობას მისდევენ და არა მიწათმოქმედებას. ყველაფრი-

დან ჩანს, რომ აფხაზები XVII ს-ში თავისთავადი ხალხია, კავკასიელთა მონათესავეა, პრიმიტიული ყოფით და წარმართული რელიგიით. მეორე მხრივ, როგორც აღნიშნული იყო, მომწიფებულ საშუალო საუკუნეებში (VII–X) აფხაზეთი არის განვითარებული ფეოდალური ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა მთაში ვრცელდებოდა და უცბად ხდება ძირფესვიანი გარდატეხა. მე-15 საუკუნეში აფხაზეთი „წარმართობს“ აფხაზეთში უქმდება ზედიზედ საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა... რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი“ (იქვე, გვ. 614-615).

როგორც აღნიშნული იყო, სწორედ მთიელი წარმართების შესაკავებლად იქნა აგებული ოდიშში ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედელი“.

„როგორ შეიძლება აფხაზეთზე მეცნიერული საუბარი, ამ ქვეყნის ისტორიაზე მსჯელობა და კელასურის კედლების არ გათვალისწინება. ეს კედელი ხომ მთელი ეპოქის მაჩვენებელია. განა ეს კედელი ეთნიკური საკითხების ძიებისას მცირე დასაყრდენს მოგვცემდა? ეს კედელი დასავლეთ კავკასიისა და ყუბანის აუზის ტომთა მოძრაობის წინააღმდეგ, მათი მოწოლის წინააღმდეგ აგებული ღონისძიება ჩანს და კავშირი აქვს დარუბანდ-დარიალ და თუ გნებავთ საინგილოში ასეთივე კედელთან“ (იქვე, გვ. 617).

სწორედ, მთიელ უცხოელთა გაბატონებით აიხსნება „კოდორსა და ენგურს შორის მდებარე სამეგრელოს ამ ნაწილის მიმართ ასეთი მტრული დამოკიდებულება, კერძოდ კი, ხალხის სულ ერთიანად „აყრა – დაყიდვა“ (როგორც დოკუმენტშია აღნიშნული) ანუ ჩრდილო კავკასიიდან შემოსულ ადიღე-ჩერქეზების (აფსუების წინაპრების მიერ) 1672 წლის შემდეგ ადგიოლობრივი ანუ მეგრული მოსახლეობის განადგურება“... (იქვე, გვ. 618).

ცხადია, ჩამოსულ ადიღე-აფსუებისათვის სრულიად უცხო იყო მკვიდრთა კულტურა, ტრადიციები, მათ ისტორია არ გააჩნდათ. ამიტომაა, რომ „საკუთარ ისტორიას გაურბიან... აქვთ თუ არა ისტორიული გადმოცემები? თუ ისინი იმ აფხაზების გენეტიკური მემკვიდრენი არიან მათ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდეს.

ნართების ეპოსი მათ მთიელობაზე მიუთითებს“ (იქვე, გვ. 618).

აფსართა ენა და ცნობები ახალი აფხაზების შესახებ

თამარ მეფესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თამარის ვაჟს აფსარული სახელი „ლაშა“ ერქვა. მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ „ლაშა“

არის აფსარული და არა აფხაზური სიტყვა, ძალზე მნიშვნელოვანია და ყურადსაღები. ამ ფრაზის მიხედვით ენობრივად აფხაზები და აფსარები სხვადასხვაა და აფხაზების სამეტყველო ენა არაა აფსარული, უხტანესის ცნობით აფხაზების ენა იყო ქართული ენა, ისმის კითხვა მაშინ, ვინ იყვნენ აფსარები? როგორც ითქვა, მემატიანის ცნობით, XIII ს-სათვის აფხაზების ენა და აფსარების ენა სხვადასხვა იყო.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: თამარ მეფის ვაჟის დაბადებისას ქართველმა მხედრიონმა ახალშობილს მიუძღვნა ერთ-ერთი ლაშქრობა „ზედსა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“ („ქართლის ცხოვრება“ II, 1959, გვ. 58).

მაშასადამე, ლაშა აფსარული სიტყვაა და ქართულად განმანათლებელს ნიშნავს. ჩვენი ძველი მემატიანენი და მეისტორიენი კარგად იცნობდნენ აფხაზებსა და აფხაზეთს. „ლაშა“ მათ დროს აფხაზური სიტყვა რომ ყოფილიყო, აფსარულ სიტყვად არ მიიჩნევდნენ.

ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილი XVI–XVIII სს-ში დასახლებული იყო ადიღეთა ტომებით, რომელთაც შემდეგ ჩერქეზები უწოდეს. მათ მიერ ადგილობრივი კავკასიური ტომების ასიმილაციის შემდეგ ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელთა საერთო რაოდენობა ძალზე გაიზარდა. ადიღ-ჩერქეზულ ტომებად იქცნენ აბაზები, უბიხები და სხვები. ყველა ისინი ენათა ერთ ჯგუფს განეკუთვნებოდა. მართალია, მათი საერთო სახელი იყო ადიღები, მაგრამ საზოგადოდ იმ ტომის სახელს ისაკუთრებდანენ, რომელთა ტერიტორიასაც დაიპყრობდნენ და მოახდენდნენ მკვიდრების ასიმილაციას, რადგანაც ისინი, აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ, მე-17 საუკუნიდან, დაეპატრონენ აფხაზეთს, შესაბამისად, მოიპოვეს სახელი აფხაზეთელისა ანუ „აფხაზი“.

აფხაზეთში გაბატონებისა და მისი დამკვიდრების შემდეგ ადიღე-ჩერქეზებს ქართველებმა უწოდეს „აფხაზები“ (ეპ. ანანია ჯაფარიძე. თამარ დედოფლის ვაჟის სახელი, ჟურ. „ჯვარი ვაზისა“ 1989, გვ. 43, 50). აფხაზეთში სხვადასხვა ადიღ-ჩერქეზული ტომი ჩასახლდა, მათ შორის ლიდერობა მოიპოვა აფსუათა ტომმა.

ერთი შეხედვით ეტიმოლოგიურად სახელები აფხაზი და აფსარი მსგავსია.

შესაბამისად ისმის კითხვა, თუ კი ადიღეურო ტომები ჩრდილო კავკასიაში ჩასახლდნენ მე-14 ს. ბოლოს, ანდა მე-15 ს. დასაწყისში, რატომ ახსენებს ისტორიკოსი მე-13 ს.-ში აფსართა ტომს, ხოლო უფრო ადრე აფშილეთს ცხუმთან, მით უფრო, რომ სახელი აბაზა, აბაზგი კიდევ უფრო ადრე საუკუნეებიდანაა ცნობილი?

საქმე ისაა, რომ ადიღეური ჯგუფები, როგორც ითქვა, როდესაც იპყრობდნენ რომელიმე კავკასიურ ტომს, იმორჩილებდნენ მათ, დიდ ნაწილს ხოცავდნენ, ხოლო დარჩენილების სრულ ასიმილაციას ახდენდენ, მკვიდრდებოდნენ მათ მიწა-წყალზე და შესაბამისად ითავისებდნენ დაპყრობილი ტომის (ჯგუფის, ხალხის) სახელს. მაგალითად, კავკასიური ადგილობრივი ტომის აბაზების დამორჩილების შემდეგ, ადიღებმა მოახდინეს მათი ასიმილაცია და

მიიღეს მათი სახელი „აბაზა“, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კი იქამდე, ანუ მე-16, მე-17 საუკუნემდე აბაზები ადგილობრივი კავკასიური ტომი იყო, ახლა უკვე ის გახდა ადიღეური ტომი. (მათმა დამპყრობელმა რომელიღაც ადიღეურმა ტომმა მიიღო მათი სახელი, ასეთი ყოფილა კიდეც მომთაბარეთა წესი, მონღოლების დროსაც კი. გამარჯვებული ტომი (ულუსი) იღებდა დაპყრობილ-დამონებული ტომის სახელს). აბაზები ჩანს დიდი ტომი იყო, მათი ერთი ნაწილის დამორჩილება შეძლეს ადიღებმა, ხოლო აბაზების ერთი ნაწილი კვლავ დარჩა ადგილობრივ კავკასიურ ტომად, ამის გამო ამჟამადაც კი სახელ „ებზეს“ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ხალხი, სვანებს, ზოგადად კი ქართველებს მიაკუთვნებენ.

ასევე ქართველები უნდა ყოფილიყვნენ მე-13 ს-ში აფსარები, მაგრამ მათ, ჩანს თავიანთი სატომო დიალექტი გააჩნდათ.

აფსარები მიბჩუანს სვანურ ტომად მიაჩნია.

ჩანს, აფსარები თამარ მეფის დროს ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო. მათ არ უწოდებდნენ აფხაზებს, რადგანაც სიტყვა ლაშა არა აფხაზურ, არამედ აფსარულად მიიჩნევა. შესაძლოა ეს სიტვაც მათგან მიითვისეს შემოსულმა ტომებმა. შესაძლოა ისიც, რომ აფსარების დამპყრობმა რომელიღაც ადიღეურმა ტომმა მიისაკუთრა მათი სახელი აფსარი და აქედან მომდინარეობდეს სახელი აფსუა.

მ. ლორთქიფანიძე წერს აფხაზეთის შესახებ: XVI–XVII სს-დან აქ რთული პროცესები მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. უცხოელი ავტორები, რომელნიც XV–XVI სს-მდე საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით XVII ს-დან, მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდორის სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სწორედ XVII ს-დან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის შესახებ (აბულფიდა, პიეტრო გერალდი, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, ევლია ჩელები და სხვები) (მ. ლორთქიფანიძე. არა უწყიან, თუ..., გაზ. „ლიტ. საქ“ 16. II. 90).

ე. მამისთვალაშვილი წერს უცხოელ ავტორთა ჩანაწერებზე დაყრდნობით: „ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ XIV–XV სს-ში საქართველოს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე) ოდიშის სამთავროსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა. იქ არსებულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ კერებში, განსაკუთრებით ცხუმში, ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. 1630 წ. გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზეთში იმოგზაურა იტალიელმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ. იგი წერს: „აფხაზები (იგულისხმება უკვე ადიღები ე.წ. „აფხაზები“) გაფანტულნი არიან ზღვის სანაპიროზე, მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან, რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულებების

გარეშე. ტყეები მათ ემსახურებათ, როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ, რადგანაც მათ არ აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა. ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი. კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინოთი, ნადირით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით, ხორბალი მათთან არ მოდის, მარილს არ ხმარობენ“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., III, გვ. 169–171) (ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს..., 18.X.90, გაზ. ს. გ.).

„XVII ს-ის 80-იან წლებიდან ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი საზღვარი მოიშალა და აფხაზებმა დაიპყრეს ტერიტორია მდინარე ენგურამდე. იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეოსის ცნობით, აფხაზებმა მოაოხრეს ტერიტორია სოხუმიდან ცხენისწყლამდე. ცხადია, ისინი თავიანთ ტერიტორიას როდი აოხრებდნენ“ (ი. ანთელავა, აფხაზური პრობლემის..., გაზ. „მამული“ №6, 1989).

კავკასიის მთებიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ აფსუათა შორის დარჩენილა ეთნოგენეტიკური გადმოცემები. „ერთი ჯგუფი ლეგენდებისა მიუთითებს ნართების, ე.ი. მთის მითიური ტომების და მათი გმირების მოსვლას აფხაზეთის მიწაზე. მანამდე მოსახლე კაციჭამია გოლიათების თუ ჯუჯა „აცანების“ მოსპობას და აქ დამკვიდრებას. ერთ-ერთი ლეგენდით, აფხაზთა წინაპრები არაბეთიდან გადმოსულან, ბოლოს და ბოლოს მდ. ყუბანის ველზე მოსულან, მაგრამ აქაურ ცივ ჰავას ვერ შეგუებიან და აქედან აფხაზეთის მიწაზე გადასახლებულან, თუმცა მათი ნაწილი იქვე დარჩენილა და ესენი არიან აბაზინელები (შ. ინალიფა, აფხაზები, 1965, გვ. 10-3105, ნ. ლომოური, პასუხად, გაზ. „ლ.ს“ 20.X.89).

„აცანების“ ქვეშ მოსული მთიელები ხომ არ გულისხმობდნენ „სანებს“ (ზანებს), რომელთაც ბერძნები „სანიგებს“ უწოდებდნენ?

„თვითონ აფხაზებს შემორჩათ ბუნდოვანი წარმოდგენები მათი წინაპრების ამ მიწაზე საიდანღაც (ეტყობა დღევანდელი ადიღედან) მოსვლის შესახებ. იმათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც თავის თავს დღეს აფხაზს უწოდებს, უნდა მივიჩნიოთ ამ სულ ცოტა ხნის წინანდელი ჩრდილოელი დამპყრობლების შთამომავლებად“ (რ. ევდოკიმოვ-ვოგაკი, აფხაზეთის..., გაზ. „სახ. განათლ.“ 29.X.89).

ნ. ფოფხაძის საინტერესო დაკვირვებით, უცხოური წყაროები მიუთითებენ, რომ ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის პირას არსებულა ქვეყანა „აბსუა“ „აბსუა“ ხალხი. ამას მიუთითებს პლინიუსი. ნ. ფოფხაძეს მოჰყავს პლინიუსის ტექსტის ლათინური დედანი და თარგმანი ინგლისურ ენაზე. ყველგან „აბსუა“ ხალხზეა საუბარი. სწორედ ამ „აბსუების“ შესახებ განუცხადებია XVII-ს. დასაწყისში ერთ იტალიელ ბერს. ისინი ჩრდილო-კავკასიიდან ახლახან ჩავიდნენ კავკასიაშიო.

ნ. ფოფხაძე წერს: „პლინიუსმა კავკასიის აღსაწერად 20-ზე მეტი ავტორის ნაშრომი გამოიყენა. ავტორს სავსებით ცხადად აქვს გარკვეული, რომ I ს-ში აბსუა ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან. პლინიუსი აღნიშნავს აბსუა ხალხის ეთნიკურ კუთვნილებასაც. აბსუა ხალხი

სკვითი ხალხი იყო. I სს-ში ის აღარ იყო მომთაბარე ხალხი. აბსუა ხალხი ცხოვრობდა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მომცრო ყურის ერთ ნაპირზე. პლინიუსის ამ ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს. არავითარი კერძო ინტერესი აბსუა ქვეყნის მდებარეობის აღწერის დროს მას არ ექნებოდა. მან ობიექტურად მიუთითა ფაქტი, რომ აბსუა ქვეყანა კასპიისპირეთის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა. აბსუა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში უღელტეხილით გადმოდიოდა და იქვე, სამურზაყანოს ჩრდილოეთით, იკავებდა მიწებს. უფრო ჩრდილოეთით, ზღვის ნაპირზე, ადიღე ხალხები ჩამოსახლდნენ. სახელწოდება „ჩარქასი“ თურქებმა უწოდეს ადიღე ხალხს და ნიშნავს შარაგზის ყაჩაღებს. ყველა ევროპელი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ადიღე ხალხები, აბსუა ხალხიც XIX ს-შიც იმ დონეზე იდგა თავისი ყოფით, როგორც 2000 წლის წინ ახასიათებდა ვანდალებს, გუთებს, ალანებს. კოლხები 3000 წლის წინათაც მაღალი ცივილიზაციით გამოირჩეოდნენ“ (ნ. ფოფხაძე, შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა, გაზ. „ახ. ივერიელი“ 14.VI. 90). ჩანს კავკასიელი მკიდრი აფსუების ასიმილირების შემდეგ, მათმა მებატონე ადიღების ტომმა მიიღო მათი სახელი, ადგილობრივი აბსუა გადაიქცა ადიღეურ აფსუად.

როგორც აღინიშნა, აფსუებს შემორჩენილი აქვთ ლეგენდები მათი უცხოეთიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ. ხშირად ამ უცხო ქვეყანას, თავდაპირველი სამშობლოს სახელს ისინი გამოხატავენ სიტყვით, რომელსაც ჩამწერნი წერენ, როგორც „აბისინია“. საფიქრებელია, რომ ლეგენდების მთქმელნი ამბობენ სახელს „აბსნი“ რომელიც მსგავსია პლინიუსის „აბსუასი“ ხოლო ჩამწერებს ესმით „აბისინია“. „ბატონ შ. ინალიფას მოჰყავს გადმოცემა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზები აბისინიიდან გადმოსახლდნენ მიუსერაში“ (თ. მიჩბუანი, ვინ იყვნენ..., გაზ. „სახ. განა.“ 6.XII.89).

ასე, რომ აფსუები და აფსარები სულ სხვადასხვა ხალხია. ერთი ქართული, მეორე კი ადიღეური.

ისმის კითხვა, რატომ ერქვათ ადიღებს ეს სახელი? როგორც აღინიშნა, ადიღები იღებდნენ თავიანთ მიერ დაპყრობილი ტომის სახელს, ჩანს, ადიღებს დაუპყრიათ ერთერთი ქართულ-კავკასიური ტომი და მიუღიათ მისი სახელი, ანუ სახელი აფსუაც მათ აიღეს კავკასიელებისაგან.

გადმოცემები და წყაროები ადიღეელ ტომთა აფხაზეთში ჩასახლების შესახებ

ხალხი, რომელიც თავისთავს აფსუას უწოდებს, ადიღე-ჩერქეზთა დიდი ენობრივი ოჯახის ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს. ჩვენი კვლევით, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ადიღეური ტომები ჩრდილო კავკასიაში ჩამოსახლდნენ ოქროს ურდოს დიდი ემირის, ედიგეის, მიერ დაახლოებით მე-15 საუკუნის დასაწყისში. მათ თავდაპირველად ბრძოლების შედეგად შეძლეს გაბატ-

ონება ჩრდილო კავკასიის სტეპებში, შემდეგ კი თანდათანობით გაბატონდნენ კავკასიის მთებში. მე-17 საუკუნის შუა წლებში მათ შეძლეს დიდი ბრძოლების შემდეგ აფხაზეთში დასახლება.

ადიღეელ ტომთა აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ გადმოცემები დაცულია ჩრდილო კავკასიაშიც. შემონახულია ადიღე-ყაბარდოს სახალხო გმირის ინალის შესახებ გადმოცემა, სადაც აღწერილია, თუ როგორ შემოიჭრა ის XVII ს. დასაწყისში აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალათასიანი ლაშქრით, შემოიყვანა იქ მოსახლეობა. «В легенде об Инале говорится, что после покорения Абхазии, находясь на Дзибе (бзиби), Инал скончался. Старики абхазинцы помнят, что в XIX в. на территории абхазского общества Псху (в горах Абхазии) было почитаемое место, где по преданию похоренен Инал. Оно называлось Иналкъба, т.е. «Иналов мавзолей» (История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М. 1967, стр. 83; ლ. ტუხაშვილი, უძღები შვილი, გაზ. „ახ. ივერიელი“ 5.VIII.89).

ინალი თურმე ჩრდილო კავკასიელი „აბაზინების“ თავადებს აშეს და შაშეს აქცევდა ყურადღებას. ამ აბაზინებსა და აფსუებს უკვე ერთი ადიღეური ენა ერთი ენა ჰქონდათ ადიღებში ასიმილაციის შემდეგ. ისინი იქცნენ მეომარ – მომთაბარეებად და შეუდგნენ მეზობელი კავკასიელი ტომების დამორჩილებას. ჩანს, ამ ადიღებმა აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ დამხვედრ ქართველ გამოჩენილ სათავადო საგვარეულოებს, თავიანთი თავადების სახელების შესაბამისად, თავისებურად უწოდეს „აშე“ და „შაშე“.

„აშე და შაშე გამოითქმის ხშირად, როგორც აჩე, აქედან აჩ – ბა, ჩაჩე – ჩაჩ–ბა“ ანუ ძველ ქართულ სათავადოებს სახელები თავიანთებურად უწოდეს (შერვაშიძეებსა და ანჩაბაძეებს აჩბა და ჩაჩბა უწოდეს. ხოლო შემდეგ ქართველებისაგან სიტყვა „თავადიც“ შეითვისეს და გამოთქვამდნენ, როგორც „ათაუად“).

ხალხს აბნევს ის ფაქტი, რომ ქართველებმა აფხაზეთში ჩასახლებულ აბაზა ტომს, იგივე აფსუებს, ქვეყნის სახელის მიხედვით, „აფხაზები“ უწოდეს.

ევლია და ქათიბ ჩელებები მათ უწოდებდნენ არა აფხაზებს, არამედ „აბაზებს” და „ჩერქეზებს”.

ასე, რომ სხვა ხალხი იყო ძველი, ანუ „ქართველი აფხაზები“ და სხვა ხალხი იყო ადიღე-ჩერქეზი, ანუ „აბაზა აფხაზები”. შეიძლება ქართველ აფხაზებს ვუწოდოთ „ძველი აფხაზები”, ხოლო აბაზა აფხაზებს – „ახალი აფხაზები“, ანუ აბაზებს ეწოდა სახელი „აფხაზი“ აფხაზეთში ჩასახლების შემდეგ.

ქათიბ ჩელები ადასტურებს, რომ მასაც გაუცვნია გადმოცემები აბაზების (ახალი აფხაზების) უცხო მხარიდან მოსვლის შესახებ. აბაზებს ჩელები ხაზარებთან აკავშირებს, ანუ ისინი არ მიაჩნია აფხაზეთის მკვიდრად და აკავშირებს ჩრდილო კავკასიასთან – ხაზართა ქვეყანასთან.

ცნობილია, რომ ხაზარები, მობინადრენი ჩრდილო კავკასიაში, VIII–X სს-ში იუდაური სარწმუნოების აღმსარებელნი გახდნენ. იუდაური სარწმუნოების გამო მათ ებრაელებსაც უწოდებენ. ქათიბ ჩელები წერს: „ამბობენ, რომ ესენი ისრაილელებისაგან წარმოიშვნენ. თითქმის ამ მხარეში სამი ებრაული ტომი მოვიდა და დასახლდა. ჩერქეზები და აბაზები ამ სამი ტომისაგან გა-

ვრცელდნენ“ (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1978, გვ. 132).

ქათიბ ჩელების ცნობა საყურადღებოა. აბაზა ახალი აფხაზების სინონიმური სახელია. „აბხაზი ძირითადად ტომის სახელია. ეს ტომი, რომელსაც ჩვენს დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ, ყარა აჟდაჰანის მაცხოვრებლებისაგან წარმოდგება. ქალაქი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, მთაზე, ზღვის ყურეში. აბხაზი სოხუმიდან ერთი მილის მანძილზე, ჩრდილო აღმოსავლეთითაა. აბხაზთა მახლობლად ლაზების ტომია“... (იქვე, გვ. 133). XVII ს. 20–40-იან წლებისათვის, ქათიბ ჩელების ცნობით, სოხუმი აბაზებს (ანუ აფსუა აფხაზებს) არ ეკუთვნით და ისინი იმჟამად მხოლოდ მთებში ცხოვრობენ სოხუმის ჩრდილო–აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე. „აბაზთა მახლობლად ლაზების ტომი (ანუ მეგრელები) ბინადრობს. აბაზების საზღვარი კოდორამდეა“ (ზემო წელი). აბაზები (ახალი აფხაზები) ეთნიკური ჩერქეზებია. ქათიბის ცნობით, მათი, ანუ „ჩერქეზების საზღვარი სამეგრელოა“. „ჩერქეზებში“ ახალ აფხაზებს გულისხმობს. ის მიუთითებს, რომ ჩერქეზები და ახალი აფხაზები ერთი ხალხია. რადგანაც, მისი სიტყვით, „აბაზა არაა ქართველი, მეგრელი და დადიანი კი ნამდვილი ქართველია“.

ქათიბი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მისი დროის აფხაზები არა მკვიდრნი არიან აფხაზეთისა, არამედ „ყარა აჟდაჰანის მაცხოვრებლებისაგან“ წარმოდგებიან.

როგორც ითქვა, ჩერქეზები და აბხაზები (აფხაზები) თურქ ისტორიკოსს ერთი ხალხის ტომად მიაჩნია. „ეს ტომები ერთმანეთს პარავენ ხალხს და ვაჭრებს მიჰყიდიან. დედა – მამა თუ გაყიდვის შემდეგ თავის ვაჟს ვაჭარს დაუნახავს, ვეღარ გამოისყიდიან. მათ შორის ასეთი ადათია... ერთმანეთს პარავენ და ბეგებს აძლევენ“ (ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, 1971, გვ. 132). აბაზას ხალხის „თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან კოდორს აღწევს“ (გვ. 132).

კოდორი, ლევან დადიანის დროს, უკვე წარმოადგენდა საზღვარს აბაზებს (ადიღე-ჩერქეზებსა) და სამეგრელოს შორის. ანუ ადიღებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ტერიტორია კოდორამდე. ამას მიუთითებს თვითმხილველი თურქი ისტორიკოსი. სამეგრელოს ის უწოდებს „საქართველოს“და წერს, რომ მის დროს საზღვარი სამეგრელოსა და აბაზებს (ჩერქეზებს) შორის იყო მდინარე კოდორი.

ჩელები წერს: „აბაზას ქვეყანა საქართველოს მოსაზღვრეა“. საქართველოში, როგორც ითქვა, ის გულისხმობდა სამეგრელოს, რომელსაც ასევე „დადიანი ქვეყანას” უწოდებს. ის სამეგრლოს (დადიანის ქვეყანის) შესახებ წერს: „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს, აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა. მისი გამგებელი ყოველთვის ებრძვის აბაზას. მისი ერთი მხარე ფოთს აღწევს“ (ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, 1971, გვ. 136).

ხოლო, ქათიბი წერს: „საქართველო – ვილაიეთია შირვანის ზღვასა და შავ ზღვას შორის, მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით – დერბენდი და შირვანი, სამხრეთით-ჩილდირის, ყარსის და არზრუმის ვილაიეთები, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კი აბაზასა და დაღესტანის ვილაიეთებით არის

შემოსაზღვრული. დამოუკიდებელი გამგებელი ჰყავს. მთელი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველები არიან... აჩიკ-ბაშს, დადიანს, მეგრელს და სხვებს ქართველებს უწოდებენ. ნამდვილ ქართველებად აჩიკ-ბაში და დადიანი ითვლებიან“ (იქვე, გვ. 136).

როგორც აღინიშნა, „აბაზები“ და „დადიანი“ მუდამ ებრძვიან ერთმანეთს, აბაზები, მისი აზრით, იგივე ჩერქეზები არიან, ხოლო „დადიანი“ ნამდვილი ქართველია. მაშასადამე, ქათიბის აზრით, ომი მიმდინარეობს ჩერქეზებსა და ქართველებს შორის, ანუ ჩრდილო კავკასიის უდიდეს ხალხსა და ჩვენს ხალხს შორის. მართლაც, ჩრდილოკავკასიელი მთიელების აფხაზეთში დამკვიდრებას წინ აღუდგა მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფო – სამთავროები, მაგრამ უშედეგოდ.

ამ ისტორიკოსთა ცნობით, აბაზებსა და მეგრელებს ერთმანეთისაგან შემდეგში უკვე ყოფდა მდინარე „ფაში”. არსებობს აზრი, რომ თურქები სახელ „ფაშს” უწოდებდნენ მდინარე რიონს, მაგრამ ამ მდინარეს (რიონს) ქათიბი უწოდებს სხვა სახელს – „ფოთის მდინარეს“. საფიქრებელია, რომ ევლია ჩელები „ფაშ“ სახელს უწოდებდა არა მდინარე რიონს, არამედ იმ დროისათვის სახელგანთქმულ ნავსადგურს, მდებარეს ფშადის ყურესთან, რომლის შესახებაც წერდნენ შემდგომი დროის მოგზაურებიც ჟ. გამბა და სპენსერი. როგორც ითქვა, „ფშადის“ ყურეში ჩამავალ მდინარეს ერქვა „ფაშ“ და არა რიონს. ყოველ შემთხვევაში, რიონი არასოდეს ყოფილა გამყოფი ახალ აფხაზებსა და მეგრელებს შორის. ევლია ჩელების თანახმად კი, მდინარე ფაშა, რომლის წყლებიც იკრიბება „...სოჭას მთების ხევის წყლებისაგან, შემდეგ პირდაპირ სამხრეთისაკენ მიედინება და სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანას შუა ზღვას ერთვის. აღმოსავლეთ სანაპიროზე მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლებია. დასავლეთის ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა“ (ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, 1971, გვ. 96).

არავითარ შემთხვევაში მდ. „ფაში“ რიონი არაა.

ის ან მდინარე კოდორია, ანდა, როგორც აღინიშნა, ფშადის ყურის შენაკადია. აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: „ასე, რომ ევლიას ცნობა არც ისე ფუძემდებლური ჩანს“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 606). ამ დასკვნით, თითქოსდა, ნ. ბერძენიშვილმა წინასწარ გასცა პასუხი ჯ. ჰიუტს, რომელიც ევლია ჩელების აღნიშნული ცნობის არასწორი გაგების შედეგად ასკვნიდა, თითქოსდა აფხაზები მდინარე რიონთან ცხოვრობდნენ, რაც აბსურდია. ფოთი ამ დროისათვის არ ყოფილა ნავსადგური, ერთადერთი ნავსადგურია კოდორთან მდებარე – „ისაგური“ (ს. ჯანაშია, VI, 1988, გვ. 281). ევროპელი მოგზაურების ანალიზი (იგულისხმება ჟ. გამბა და სპენსერი) უფრო დამაჯერებელია.

ევროპელი მოგზაურები გამბა და სპენსერი ახალი აფხაზების ადიღეველობის შესახებ

მე-19 ს. დასაწყისის მოგზაური და მეცნიერი სპენსერი ახალ აფხაზებს პირდაპირ უწოდებს ჩერქეზებს. ევროპელის სიტყვით, მისი დროისათვის ბიჭვინთა უკვე „ჩერქეზეთის" ნაწილი იყო; გაგრაც ჩერქეზეთშია და ბიჭვინთის ტაძარიც, ხოლო გამბორი – ლიხნი ჩერქეზეთის შუაგულია. ის წერს, რომ „შერვაშიძე ჩერქეზების ტომის მთავარია". აქედან ჩანს, რომ ის აბაზა – აფსუებს „ჩერქეზებს" უწოდებს.

ის წერს: „სამეგრელოს ეს პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი, აღმოსავლეთით კი წიბელი – საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია ატარებს, აგრეთვე, სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება. აქ იშვიათად თუ ვნახავთ დამუშავებულ მიწებს და სრულიად არ არის მოსახლეობა. ეს ადგილები ნამდვილი უდაბნოა, რომელიც თავდაცვის ადგილს წარმოადგენს და ბარიერად გამოიყენება აფხაზებსა და მეგრელებს შორის. ლეკებისა და აფხაზების სახელმწიფოთა საზღვარზე უდაბნოებია გადაჭიმული. ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ენგურსა და კოდორის კონცხს შორის ქვეყანა სრულიად დაუსახლებელი და ევროპისა თუ ტროპიკების ყოველგვარი მცენარეულობისათვის გამოსადეგი მისი მიწები გამოუყენებელია" (ჟაკ გამბა, მოგზაურობა ამიერკვკასიაში, 1987, გვ. 112).

ლევან მეორე დადიანის დროს აყვავებული ქვეყანა ადიღე-ჩერქეზების თავდასხმებმა უდაბნოდ, ანუ დაუსახლებელ ტერიტორიად გადააქცია. სამურზაყანო და, საერთოდ, ტერიტორია მდინარე კოდორამდე ყოველთვის სამეგრელოდ ითვლებოდა. როგორც ევროპელი მოგზაურის აღწერიდანაც ჩანს, სწორედ ამიტომ ის გაანადგურეს მომხდურმა მთიელმა ტომებმა.

გამბას შეუმჩნევია ისიც, რომ ახალი აფხაზები გენეტიკურადაც კი შერეული სხვადასხვა ეთნიკური ხალხების ნარევს წარმოადგენდა. ის წერს: „აფხაზები, რომლებიც სოხუმ-კალეში საკმაოდ ბევრნი ვნახეთ, მეტწილად სუსტი აღნაგობისა და დაბალი ტანისანი იყვნენ, ფეხები და ბარძაყები წვრილი და მოხრილი ჰქონდათ. ბევრი დიდებული ვნახეთ სოხუმში და რუდეს კალეში ყოფნის დროს. ისინი საშუალოზე მაღალი ტანისანი, ღონიერები იყვნენ და კარგი გარეგნობა ჰქონდათ. გეგონებოდათ, სხვა წარმოშობისანი არიანო, ვიდრე ის აფხაზები, რომელთა პორტრეტიც მე ეს-ეს არის აღვწერე" (იქვე, გვ. 90).

შავი ზღვისპირეთში ერთ-ერთი საუკეთესო ნავსაყუდელი იყო ფშადის ყურე. „აფხაზეთის საზღვართან ტელენჯიკიდან დაახლოებით 60 ვერსზე – ფშადის ყურეა. ფშადის ყურე უსაფრთხოა წელიწადის ცხრა თვის განმავლობაში. მისი საერთო სიღრმე 7–9 საჟენია" (იქვე, გვ. 76).

ო. სპენსერი წერს: „ჩერქეზეთის მრავალრიცხოვან ყურეთა და ნავსადგურთაგან ერთ-ერთს ფშადს მივაღწიეთ. ფშადი მნიშვნელოვანი ნავსადგუ-

რია“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1981, გვ. 115).

ეს ნავსადგური გაჭირვებით აუღიათ რუსებს და სიმაგრედ უქცევიათ 1840-41 წლებში (იქვე, გვ. 116, შენიშვნა).

ავტორი წერს: „ნავსადგურში შესვლა ძალიან ძნელი იყო ჩერქეზი ლოცმანის გარეშე. გარდა ამისა, აქაური მრავალრიცხოვანი მცხოვრებლები კავკასიის ყველა ტომს შორის ცნობილნი იყვნენ, როგორც ყველაზე მეომარი ბუნებისა და რუსეთის დაუძინებელი მტრები. როცა ჩერქეზები თვალს მოჰკრავდნენ ნაპირისაკენ მოახლოებულ გემს საბრძოლველად აღჭურვილი ნავებით, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის დაქნევაზე, ნავსადგურის მთელი შესასვლელი და ირგვლივ მდებარე გორაკები თვალის დახამხამებაში ივსებოდა შეიარაღებული ხალხით, ზოგი კი ნაპირისკენ გარბოდა... მათი კივილი ერთგვარად წააგავს ტურების ყმუილს. იგი იმდენად შემაზრზენი და არაადამიანურია, რომ თუ ის პირველად ესმის ადამიანს, შეიძლება გონებაც კი დაკარგოს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი პანიკური შიში იპყრობს ჩერქეზების საბრძოლო ყიჟინაზე, ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი გლეხებისაგან შემდგარ არმიას, განსაკუთრებით საზარელია გამძვინვარებულ მთიელთა ბრბოს ყიჟინა“... (იქვე, გვ. 116).

1980-იანი წლების ბოლოს დამკვირვებლები გაოცებით აღწერდნენ, თუ როგორ სწრაფად, თითქოსდა უხილავი ხელის დაქნევით იკრიბებოდა ათასობით აფხაზი სხვადასხვა რაიონებიდან კონფლიქტის ადგილას. ჟურნალისტების აღწერები საოცრად ემსგავსება ო. სპენსერის ცნობას. ტომობრიობის შეგრძნება და მებრძოლი ბუნება დღესაც არ შეცვლილა.

ო. სპენსერი წერს: „ღუზა ჩავუშვით ჩერქეზეთის პირველ ნავსადგურში – ანაპაში. არცერთი რუსული სადგომი ჩერქეზეთის სანაპიროზე არ ყოფილა ისეთი საშიში რუსების ჯარისათვის, როგორც გაგრა. ბიჭვინთიდან გამბორში გავემგზავრეთ. ჩვენ გადავწყვიტეთ ჩერქეზეთის შუაგულში გამგზავრება. ამისათვის მთავარმა თავადმა შერვაშიძემ უკვე დიდი ხანია მიიღო რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომობა. ჩვენ პატარა ქალაქ გამბორის, ანუ ლიხნის დათვალიერებას შევუდექით. ამ ძლიერი ტომის თავადი აფხაზი მიხეილ შერვაშიძეა. ეს თავადი ერთადერთი მაგალითი არ არის ჩერქეზეთში სამშობლოსადმი ასეთი თავდადებული სიყვარულისა. სოხუმ-კალე ისტორიული თვალსაზრისით მომდევნო საინტერესო ადგილია ჩერქეზეთის სანაპიროზე. სოხუმ-კალეშიც, ისე, როგორც ჩერქეზეთის სანაპიროს სხვა სიმაგრეებსა და ბლოკპაუზებში...“ (იქვე, გვ. 106–130). აქედან ჩანს, რომ იმ ხალხს, რომელთაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ, მოგზაურები ჩერქეზებს უწოდებენ, თუმცა იციან სიტყვა „აფხაზიც“. მაგალითად, აფხაზი თავადია ჩერქეზების მთავარი შერვაშიძე. ეს მართლაც ასე იყო ისტორიულადაც. აქაური ძველი ქართველი თავადები, რომელნიც ტომობრივად ძველი აფხაზები, ანუ ქართველები იყვნენ, ჩერქეზთა შემოსევის შემდეგაც თავის სამთავრო-სათავადო ტახტზე დარჩნენ და აფხაზი (ქართველი) თავადი შერვაშიძე აქაური ჩერქეზების (ახალი აფხაზების) მთავრად იქცა.

ასეთი იყო მდგომარეობა XIX ს-ის I ნახევარში: „1866 წლის აჯანყების შემდეგ თურქეთსა და სირიაში გადასახლებული იქნა ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ აფხაზებს. აღსანიშნავია, რომ ისინი და მათი შთამომავლები თავიანთ თავს უწოდებენ არა აფხაზებს, არამედ ჩერქეზებს. ისინი არც არასოდეს მიიჩნევდნენ თავიანთ თავს აფხაზებად. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკით, ისინი აღირიცხნენ არა აფხაზებად, არამედ ჩერქეზებად. მოსკოვში დასტამბული ეთნოდემოგრაფიული ცნობარი „ნასელენია მირა“ საერთოდ არ ასახელებს თურქეთში ამჟამად მცხოვრებ აფხაზურ-ადიღეურ ხალხთა შორის აფხაზებს, სამაგიეროდ ასახელებს ჩერქეზებსა და აბაზებს. თურქეთში ცხოვრობს 150 000 ჩერქეზი და 10 000 აბაზი („აბაზინი“) (ს. ბრუკი. ნასელენია მირა, 1981. გვ. 526). ისინი აფხაზეთიდან გადასახლებულთა შთამომავალნი არიან, მხოლოდ ქართველები უწოდებენ აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულთ აფხაზებს. თურქეთში მცხოვრებ ამ აფხაზების რიცხვს ქართული ენციკლოპედია 100 000-ით საზღვრავს („ქსე“ სტატია „აფხაზები“). მაშინ, როცა მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სტატისტიკით (მათ შორის მოსკოვში დაბეჭდილი „ნასელენია მირა“), აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებული მოსახლეობა აფხაზებად არ აღირიცხება. ყველგან მათ ნამდვილი სატომო სახელი ჩერქეზები ეწოდებათ. მსგავსად თურქეთისა, სირიაში აფხაზეთიდან გადასახლებულ მოსახლეობას ჩერქეზები ეწოდებათ. იქ 35 000 ჩერქეზი ცხოვრობს.

საერთოდ, მრავალი გაუგებრობისა და უხერხულობის წყაროა ის, რომ ქართველები აფხაზეთში დამკვიდრებულ მოსახლეობას თავიანთ ეთნოსახელს აფსუებს ანდა ჩერქეზებს არ უწოდებენ. ამ საკითხს კი სიცხადით ასახავს აზიისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეთნოსტატისტიკა“ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 25).

კვლავ დავუბრუნდეთ სპენსერის ცნობებს ჩერქეზების შესახებ, რომელთაც ჩვენ „აფხაზებს“ ვუწოდებთ. ჩერქეზეთის აღწერას ის ამთავრებს სოხუმთან, ხოლო სოხუმ-კალედან „მოყოლებული იწყება სამეგრელო“. ჩერქეზეთის „ლამაზი ბუნების შემდეგ, რომელმაც ასე გაგვაოცა, ჩვენს თვალწინ უეცრად შესანიშნავი სანახაობა გადაიშალა. ეს გახლავთ ღრუბლებამდე ატყორცნილი კავკასიის ალპური ზოლი, როდესაც თვალს გადაავლებ სამეგრელოს გაუვალ ტყეებს“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1981, გვ. 136).

დამკვირვებელი წერს, რომ მდინარე ენგურამდე ქვეყანა განადგურებულია ჩერქეზების მიერ, რასაც თავის ახსნას უძებნიან: „ჩერქეზების ჩვეულებაა გაანადგურონ ყველაფერი ის, რისი წაღებაც არ შეიძლება მაღალმთიან რაიონში“ (იქვე, გვ. 134).

ბიჭვინთის, დრანდის, ბედიის, მოქვის საკათედრო ტაძრებში თუ სხვა ეკლესიებში დაუნჯებული საუკუნოვანი განძი და ქონება, ჩანს, ასე გაანადგურეს აფსუებმა, ანუ ჩერქეზებმა.

კელასური, კოდორი, ილორი, ანაკლია მდებარეობს არა ჩერქეზეთში, არამედ სამეგრელოში. ეს იქიდან ჩანს, რომ მათზე კ. კოხი მსჯელობს ქვეთავ-

ში „სამეგრელო და სვანეთი“ (იქვე, გვ. 136). ამ სანაპიროზე „არავითარი ნიშან-წყალი არ არის იმისა, რომ ამ უდაბურ ადგილას ვინმე ცხოვრობდეს“ (იქვე, გვ. 138). ქვეყანა „აფხაზ“– ჩერქეზთა მიერაა განადგურებული.

სპენსერი, ისევე როგორც ყველა უცხოელი მოგზაური და მეცნიერი, დარწმუნებულია, რომ ეს ჩერქეზები არიან არა მკვიდრი მოსახლეობა, არამედ ჩამოსახლებული ჩრდილოეთიდან – ყუბანიდან.

„მოსახლეობა რუსეთის ყველაზე საშიში და შეურიგებელი მტერია. ისინი ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანისა ხანებისა და სულთანების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“ (იქვე, გვ. 135).

ყველა უცხოელი მეცნიერი, XVII–XIX სს-ის დამკვირვებლები, აღნიშნავენ, რომ ე.წ. ახალი „აფხაზები“ ანუ აფხაზეთში ბოლო ასწლეულებში გაბატონებული მოსახლეობა, ჩამოსულია ტომობრივად ჩრდილო კავკასიიდან.

გააფხაზებულთა გვარები

ქართველთა გააფხაზება (იგულისხმება გაფსუება) ისეთი აშკარა და თვალითხილული ფაქტია, რომ მას არ უარყოფენ, თუმცა კი ჩვენში არის მიდრეკილება უარყონ, ანდა არ დაინახონ ქართველთა დენაციონალიზაციის ფაქტები, ვთქვათ, ქართველთა გასომხება, გალეკება, გაოსება და ა.შ. როგორც ითქვა, ქართველთა გააფხაზება თვალნათელი ფაქტია, მისი დანახვა ყველას შეუძლია, ყველამ იცის, რომ ჩაკვეტაძე, ჭავჭანიძე თუ სხვა მრავალი, რომელნიც აფხაზებად აცხადებდნენ თავს, წარმოშობით ქართველები არიან. ამას თვითონაც ასეთი გვარების მატარებლებიც აღიარებენ. შეიძლება ქართველთა გააფხაზება პირობითად ეტაპებად ანდა პერიოდებად დავყოთ, რამეთუ სხვადასხვა ეტაპებზე გააფხაზების პროცესს სხვადასხვა სოციალურ-საზოგადოებრივი პირობები ედო საფუძვლად. მაგალითად, გააფხაზებას საბჭოთა პერიოდში, გააფხაზებას აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ XIX ს-ის 70-იანი წლებიდან 1921 წლამდე, გააფხაზებას უფრო ადრე აფხაზეთის სამთავროს პერიოდში, სამეგრელოს მიწების მიერთება – ანექსიის დროს.

1921 წლიდან ქართველთა გააფხაზების შესახებ წერს მრავალი მკვლევარი. ი. ანთელავა, კერძოდ, წერს: „საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთის ასსრ შემადგენლობაში მოაქცია ძირძველი ქართველი მიწები, რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო უმცირესობის დიქტატს. თანამდებობების განაწილების ნომენკლატურული სისტემის პირობებში აფხაზობა პრივილეგიად იქცა. ამ პრივილეგიის მისაღებად ბევრი თავანკარა ქართველი აფხაზად ჩაეწერა. ეროვნება პროფესიად გაიხადა. არამცირედია ასეთი აფხაზ ექსტრემისტთა ლიდერებს შორისაც“ (ი. ანთელავა „აფხაზური პრობლემის..., „მამული“ №6, 1989).

რ. მიმინოშვილი და გ. ფანჯიკიძე წერენ: „აფხაზმა ხალხმა ჩვენს დროში იმდენი უპირატესობა და პრივილეგია მიიღო, რომ ამ პრივილეგიების გულისათვის ბევრმა სულმოკლე ქართველმა იწყო გააფხაზება. აფხაზები არიან აფ-

ხაზეთში არა მხოლოდ ერი, არამედ პრივილეგირებული კლასი, რომლის რიგებიდანაც ყალიბდება ავტონომიური რესპუბლიკის მთელი ადმინისტრაცია საოლქო კომიტეტის პირველი მდივანიდან დაწყებული, დამთავრებული პატარ-პატარა საწარმოების დირექტორებით, მათი მოადგილეებით და დისპეჩერებითაც კი“ (სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, „ლიტ. საქ.“ 1.XII.1989). ნ. ლაკობას სიტყვით, 20–30-იან წლებში „მმართველობა აფხაზეთში იყო მხოლოდ აფხაზთა ხელში“ (იქვე).

ავტორები წერენ: „აფხაზობა სოციალური პრივილეგია გახდა. სხვათა შორის, ახლა კი არა, მეფის რუსეთის დროსაც, როცა აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ, მაშინ დაიწყო ქართული მოსახლეობის მასობრივი გააფხაზება და ეს პროცესი შემდგომაც არ შეწყვეტილა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აფხაზებს ბუნებრივი მატების ერთობ დაბალი პროცენტი აქვთ და, მიუხედავად ამისა, თუ 1939 წელს მათი რაოდენობა 56,2 ათასს უდრიდა დიდი სამამულო ომის შემდეგ, რომელსაც აფხაზთა შორისაც მოჰყვა მსხვერპლი და მომავალ თაობაში ამან პოპულაციაზეც იმოქმედა. 1970 წლის აღწერით, აფხაზთა რაოდენობამ 83 ათასს მიაღწია. ეს რომ ბუნებრივი მატების წარმოუდგენელი ბუმი არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ 1979 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა იგივე დარჩა. რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მოსახლეობა 30 წლის განმავლობაში 50 პროცენტით გაიზარდა, თუ არა ხელოვნური მატებით? მატება კი სწორედ ქართული მოსახლეობის ხარჯზე მოხდა იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზობა სოციალური პრივილეგია გახდა. ზოგიერთი ქართველის გააფხაზება შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ნ. ლაკობას. აი, რას წერს იგი 1927 წელს: „აფხაზები დიდი გაჭირვებით აღწევენ დაახლოებით 57-60 ათას სულამდე. რატომ დიდი გაჭირვებით? იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი კაცი თავის თავს აფხაზურ ეროვნებას მიაკუთვნებს, მაგრამ მათი ენა არის არა აფხაზური, არამედ მეგრული“ (იქვე).

გააფხაზებას 1921 წლამდე სხვა საფუძვლები ჰქონდა: ნ. ბერძენიშვილის ღრმააზროვანი დაკვირვებით ქართველთა დენაციონალიზაციის (გალეკება და სხვა) მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მომხდური ტომის რიცხობრივ ანდა ტომობრივ უპირატესობაში, არამედ საზოგადოებრივ (სოციალურ და სხვა) მომენტებში. დავუმატებთ, რომ სარწმუნოებრივ ცვლილებებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აფხაზეთის გაწარმართება ჩვენს ძველ ისტორიოგრაფიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. თავის მხრივ, აფხაზეთის გაწარმართებამ უთუოდ შეუწყო ხელი ქართველთა დენაციონალიზაციას, რამეთუ XVI–XVIII საუკუნეებში „ქართველს“ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრს, მართლმადიდებელ ქრისტიანს უწოდებენ. ამიტომაც იმ დროისათვის აფხაზურ წარმართობას ნაზიარები ქართველი უკვე აღარც განიხილებოდა ქართველად. აფხაზური სარწმუნოების, ანუ აფხაზური წარმართობის მატარებელი უკვე აფხაზი იყო, თუმცა რუსეთის შემოსვლის შემდეგ წინ წამოიწია სოციალურმა მომენტმა. ამ დროის შემდეგ მრავალმა გააფხაზებულმა ქართველმა ქრისტიანობა შეინარჩუნა.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, როგორც ითქვა, ქართველების გალეკება, გაოსება და სხვა მსგავსი მოვლენები ქართველთა გადაგვარებისა, სოციალური მიზეზებით, „კლასთა ბრძოლით“ აიხსნება. ეს იმას ნიშნავს, რომ გალეკებით თუ გააფხაზებით ქართველი გლეხი იძენდა თავისუფლებას და ფაქტიურად თავისუფალი ხდებოდა. ბატონყმობის მძიმე უღლისაგან თავდახსნა ჯილდოდ ელოდა გადაგვარებულ ქართველს. ამიტომაც ოსი, ლეკი თუ აფსუა მთიელების შემოსვლის დროს მათ მხარეზე გადადიოდნენ. მათ ძალებს აძლიერებდნენ.

„განა ოსების ჩამოწოლა ქართლში XIV ს-ში უმალვე კლასთა ბრძოლად არ იქცა? განა კახელების გალეკება (დავით იმამყულიხანის წერილები ვახტანგთან) კლასთა ბრძოლა არ იყო? და განა XVIII-ს. ფაქტი, „საინგილოს გაჩენა“ იმავე კლასთა ბრძოლის ნიადაგზე არ აიხსნება? განა ლეკთა უპირატესობა ტომობრივი მომენტი იყო? განა ჩამოსულ ოსებს, როცა ისინი ტომებად რჩებიან და არ ქართველდებიან, როცა ისინი ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას გადაშენებით ემუქრებიან, ქართული ფეოდალური ხელისუფლება არ ინდობს „აღიფხურის“ (გიორგი ბრწყინვალე). ხოლო იგივე ფეოდალური ხელისუფლება (მეფე, თავადაზნაურები) ხიზნებად დაისვამს მათ და ბატონყმობას სთავაზობს, როცა ისინი ტომობრივად კი არა, გლეხურად მოდიან? განა ასეთივე არაა სურათი ჰერეთში?...

და რატომ არ გვაქვს საბუთი ასეთივე სურათი აფხაზეთშიაც ვივარაუდოთ? მთიული აფხაზები ტომობრივ ჩამოვიდნენ. დამხვდური აფხაზური მოსახლეობა ეძმო მოსულთ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე (აფხაზ თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში). მაშასადამე, აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ იყო ამავე დროს ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მიიქცა წარმართად“ აღდგა ადრეული ფეოდალიზმი, აფხაზური მიწისმფლობელობა (შერვაშიძე ისევ ჩაჩბა გახდა, ხოლო ანჩაბაძე – აჩბა).

აფხაზი თავადაზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას და იწყეს „გააფხაზება“ არა მარტო მოძმე აფხაზებმა (ბარელებმა), არამედ ბარი – ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შეიქმნა აფხაზობა (ადრეული ფეოდალიზმი). „ქართულ“ ბატონყმობაში სულამოხუთული გლეხობა არა მარტო ზღვისპირეთისა მიეტანა აფხაზობას, არამედ აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის თავშესაფარი გახდა და შეიქმნა ახალი აფხაზეთი“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 609-710).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, აფხაზეთში მრავლად გადადიოდნენ ქართველი გლეხები და აფხაზებად ეწერებოდნენ. როგორც ცნობილია, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიების გაფართოებასა და სამეგრელოს (ოდიშის) მიწების ანექსიის დროს აფხაზეთის მთავრის ხელქვეშ აღმოჩნდა ქართველებით დასახლებული ვრცელი მიწები. მათი სრულიად გააფხაზება ვერ მოასწრეს, მალე ეს ტერიტორიები რუსეთის ხელქვეშ შევიდა. რუსთა წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიიღეს სამურზაყანოელმა (ოდიშელმა) ქართველებმა და ისინი არ გაჰყვნენ თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირებს. „1877–

1878 რუსეთ-თურქეთის ომის წლებში სამშობლო არ დაუტოვებია სულ 19.273 აფხაზი ეროვნების ადამიანს. რაც შეეხება 24.461 სამუზაყანოელს, მათგან მამა–პაპური მიწა-წყალი არ მიუტოვებია არც ერთ ადამიანს, რაც ნათლად ადასტურებს მათ, როგორც ეროვნულ, ასევე სარწმუნოებრივ (ქართულ ქრისტიანულ) კუთვნილებას (ს. ლეკიშვილი „ქართველთა ბრძოლა“ გაზ. „სახ. განათლება“ 15. II. 90).

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა აფხაზებმა ანტირუსული პოზიცია დაიჭირეს, რუსეთი აღარ ენდობოდა მათ და ამიტომაც ჯარში არ მიჰყავდა. ჯარში სამსახური კი საშინელი ბეგარა იყო საქართველოს (სამეგრელოს) მოსახლეობისათვის. აფხაზეთს თავს აფარებდნენ და აფხაზებად აცხადებდნენ თავს წვევამდელები: „ეთნიკური მეტამორფოზის გზით ბატონობის უღლის თავიდან აცილება, აგრეთვე ჯარში სამსახურიდან თავის არიდება, რადგან მეფის მთავრობას აფხაზები ჯარში არ მიჰყავდა და სხვ. – აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი გააფხაზდა“ (ა. თოთაძე „სიკეთის საწყაული“ 18.VII.1989).

ამით ყოფილა გამოწვეული ის, რომ 1926 წელს თითქმის ყოველი მეექვსე აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა (იქვე).

ჩვენი თანამედროვე დამკვირვებელი წერს: „თითქმის არ არსებობს ქართული გვარი, რომელიც აფხაზად არ იყოს ჩაწერილი“ (დ. ქებურია, მეტის მოთმენა შეუძლებელია, გაზ. „ახ. ივერიელი“ 4.XII.90 – I). ამასვე აღნიშნავენ სხვა დამკვირვებლებიც: გაზ. „სოფლ. ცხოვრება“ ვ. ხვისტანი და ჯ. გაბელია – (II), მ. ჩაჩუა, გაზ. „ლ. ს.“ 28.VI.89. – (III), ჯ. კვიწინია, გაზ. „ს.ც.“ 21.VI.89. – (IV), გ. ყორანაშვილი, გაზ. „თბილისი“ 7.VIII.89. – (V), ვ. ქირია და სხვები, ახ. კომ.“ 25.I.90. – (VI), ნ. ეთერია, „ლ.ს.“ 2.II.90. – (VII), გაზ. „ახ.კომ.“ 29.VII.89. – (VIII), გაზ. „ლ.ს.“ 1.XII.89. – (IX) და სხვანი.

გააფხაზებულან შემდეგი გვარების მატარებელნი:

1. აბაშიძე – (VIII, IX)
2. ახვლედიანი – (IX)
3. ბარათელია – (II)
4. ბოკუჩავა – (VI)
5. ბებია – (I, VI)
6. გულია – (IX)
7. გვარამია – (VII)
8. გოგუა – (IX, I, VII)
9. გურგულია – (III)
10. დარასელია – (VI)
11. თაყიაშვილი – (V)
12. კარანაძე – (III)
13. კუპატაძე – (IX)
14. კობახია – (VII)
15. ლორთქიფანიძე – (V)
16. ლომია – (III)

17. ლაღიძე – (III)
18. მახარაძე – (V)
19. მარშანია – (III)
20. მელაძე – (I)
21. ნაჭყებია – (IV)
22. ნოდია – (IX)
23. ნოზაძე – (VII)
24. რეხვიაშვილი – (VI)
25. სიჭინავა – (VI)
26. ჩხაიძე – (VI)
27. ჭავჭავაძე – (VI)
28. ჭავჭანიძე – (VIII)
29. ჭანკვეტაძე – (VII)
30. ჭკადუა – (VII)
31. წერეთელი – (IX, III, I)
32. ძოწენიძე – (III)
და სხვანი.

გააფხაზების სურათს კარგად აღწერს ზოგიერთი ამონაწერი: მაგალითად, ვინმე ნაჭყებიები (აფხაზეთში მცხოვრებნი) აფხაზებად იმიტომ ითვლებიან, რომ ქართული არ იციან, თუმცა კი ქართული წარმოშობისანი არიან: „ესენი წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ ფაქტობრივად აფხაზები არიან, ქართული არ იციან“ (IV).

ბარათელიას გვარს გვარმაწარმოებელი ორმაგი ქართული სუფიქსი აქვს -„ელ“ და „ია“. გვარის წარმოშობა აშკარად ქართულია.

აფხაზი ჭავჭანიძე ამბობს: „ჩემი გვარი ორასი წელია, რაც აფხაზეთში ცხოვრობს“ (VIII). არა მარტო ამჟამად, XX ს. მიწურულს, არამედ თითქმის ასი წლის წინათაც ასევე აფხაზეთის მოსახლეობის „დიდი ნაწილი“ აღიარებდა თავის ქართულ წარმოშობას, როგორც ამას მიუთითებენ 1870 წლის მიმართვაში აფხაზი თავად-აზნაურები: «Большая часть жителей признает свое мингрельское или грузинское происхождение и сохранили даже свои грузинские и мингрельские фамилии», (გაზ. Докладная записка. „სახ. გან.“ 20.VI.90).

განსაკუთრებით უნდა ითქვას აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეთა გვარის შესახებ. აფხაზეთის მთავრები ითვლებოდნენ აფხაზი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მეთაურებად. ცხადია, აფხაზთა მთავრები აფხაზები უნდა ყოფილიყვნენ ეთნიკურადაც, მაგრამ არა. თვით აფხაზები წერენ ამ თითქმის ასიოდე წლის წინათ: «Во главе своего Абхазского народа стоит владетель Абхазии старинного Грузинского рода Шарвашидзе. Владетель как и все грузинские мтавари, сделавшиеся после разделения Царства самостоятельными, соединял в своих руках верхнюю политическую и гражданскую власть над всем Абхазским народом» (там же, стр. 11).

ნ. ბერძენიშვილიც წერს, რომ შერვაშიძეებს აფხაზები ქართველებს ეძახდნენ. „დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ შერვაშიძეებს გვიან

თვით აფხაზები ქართველებს ეძახდნენ. ჩანს, ამიტომ ესენი ძველ ქართულ ტრადიციებს მისდევდნენ, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ XVIII–XIX სს-ც აფხაზთა გაბატონებული წრეების სამწერლობო ენა ქართული იყო“ (ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტ. საკითხები“ გვ. 616).

მოღწეულია თვით აფხაზების სამთავრო სახლის უკანასკნელი მემკვიდრის გიორგი შერვაშიძის ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ მას თავისი თავი ქართველად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ არა მარტო შერვაშიძეთა ცნობილი საგვარეულო, არამედ აფხაზეთის მაღალ ფენას საერთოდ უდიდესი კავშირი ჰქონდა ქართულ ეთნოსთან, კულტურასთან, თუ არას ვიტყვით მათი ქართული გვარების შესახებ. საერთოდ, მთიდან ჩამოსულ წარმართ ჩერქეზ-ადიღებზე დიდი გავლენა მოუხდენია დამხვდურ ქართულ-მეგრულ მოსახლეობას, ანუ აფხაზეთის აბორიგენებს. ამის გამო აფხაზმა ხალხმა «...до последнего времени сохранил у себя древнейшие грузинские обычаи» (Докладная записка, там же, стр. 11).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „...ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ამ დროს აფხაზი ფეოდალის სახლი „ქართულია“ და ეს ასეა არა მარტო მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთო კულტურის თვალსაზრისითაც (აფხაზი ქალი აფხაზეთში გაზრდილი სახელგანთქმულია. თავი მოაქვს იმ „ზრდილობით“ რაც საქართველოსთვის დამახასიათებელია. თავი მოაქვს ვეფხისტყაოსნის კულტურის მატარებლობით. აფხაზეთის მთავრის სასახლე ვეფხისტყაოსნის კულტურის კერაა: ქართული ფეოდალური კლასიკური „ზრდილობა“ სუფევს აფხაზი მთავრის სასახლეში) და შუასაუკუნეების აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური კულტურა გარდა ქართულისა, გარდა ვეფხისტყაოსნის კულტურისა (გაიხსენე ალექსანდრე შერვაშიძის პროტესტი: Я не абхазский, а грузинский князь“... ლამბერტიმ კარგად იცის აფხაზთა მასების განსხვავებულობა მეგრული მასებისაგან, აფხაზების პრიმიტულობა, ენის სხვაობა, ყოფა-ცხოვრების სხვაობა. აფხაზთა მთიელების ჩამოწოლა, ე.ი. ადრეფეოდალური ურთიერთობის აღდგენა“ (დასახ. ნაშრ. 611). როგორც აღინიშნა, ჩამოწოლის შემდეგ აფხაზეთის აბორიგენული, ე.ი. ქართული მოსახლეობა აფსუად იქცა ე.ი. თანამედროვე ტერმინოლოგიით – გააფხაზდა, თუმცა კი ქართულ კულტურას მთლიანად ვერ მოსწყდა. გააფხაზების სოციალურ მიზეზთა შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერდა: „აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმული საზოგადოებისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX ს-ში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება“ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა“ (იქვე, გვ. 616). ცნობილია, რომ აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნამდე (XVII ს.) ტერიტორია მთელი შავიზღვისპირეთისა ვიდრე ჯიქეთამდე შედიოდა სამეგრელოს სამთავროში, ჯიქ-აფსარ-ჩერქეზების შემოსევების შემდეგ „დადიანები ჯერ იძულებულნი იყვნენ გადმოეწიათ თავისი საზღვარი (ჯიქეთიდან) ანაკოფიამდე ამ ორი საუკუნის წინათ, ეხლა კი გადმოიტანეს ღალიძგაზეო“ – წერდა დიუბუა თავის მოგზაურობაში“ (ს. ჯანაშია, IV, 1988, გვ. 281).

მთიელი ტომის შემოსვლა, ჩანს, ხდებოდა აფხაზთა მთავრისა და აფხაზეთის თავადაზნაურთა თანხმობითაც, რადგანაც აფხაზეთის სამთავროს თითქმის წარმოქმნისთანავე დაიწყო უსასტიკესი და გაუთავებელი ომები სამეგრელოს სამთავროსთან, რომლებშიც ყოველთვის იმარჯვებდა დადიანი. აფხაზეთის მხარეს ესაჭიროებოდა ლაშქარი, მებრძოლები, ხოლო ჩერქეზები სწორედ მებრძოლები იყვნენ, თანაც შესანიშნავი.

ჩერქეზთა ჩამოსახლებას არ შეეძლო მთლიანად შეეცვალა სახე აფხაზეთის ეთნოსისათვის. აქ მრავლად დარჩნენ ადგილობრივი ქართველები, თუმცა მრავალი ჩერქეზული ელემენტი შეითვისეს. ქართული სახე შერჩა აფხაზეთის თავად-აზნაურთა ძირითად ნაწილს. პირველ რიგში, ეს იყო მათი ქრისტიანობა, ქართული გვარები, ქართული ენის ცოდნა და, რაც მთავარია, თავიანთი თავის მიკუთვნება ქართული კულტურისა და ეთნოსისადმი. ამის დამამტკიცებელი მაგალითის მოტანამდე უნდა ითქვას, რომ, მართალია, ჩერქეზ-აფსუებს უჭირდათ თავიანთი თავადების გრძელი ქართული გვარების წარმოთქმა და თავიანთი ენის ბუნების შესაბამისად მათ ამოკლებდნენ, მაგრამ თავად-აზნაურებმა ბოლომდე შემოინახეს თავიანთი ქართული გვარები: შერვაშიძე (აფხაზურად შემოკლებული – ჩაჩბა), მარშანია, ანჩაბაძე (აჩბა), ემხუარი (ემხაა), ჩხოტუა, მარღანია და სხვა. თავადობის ინსტიტუტის ქართველობას აფხაზეთში ადასტურებს ისიც, რომ აფხაზურად თავადს, ათუად, ქართული სიტყვა ერქვა. არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ აფხაზეთის წარჩინებულებსაც დიდხანს შეუნარჩუნებიათ ქართული ენის ცოდნა. ვახუშტი წერდა თავისი დროის აფხაზების შესახებ: „ენა საკუთარი თვისი აქვთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ქ.ც., IV, გვ. 786).

როგორც ჩანს, აფხაზეთის თავადაზნაურობა სულ ბოლო დრომდე (ე.ი. რევოლუციის მიერ მათ განადგურებამდე) თავიანთ თავს ქართველებად მიიჩნევდა. ასეთი იყო, მაგალითად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე გიორგი შერვაშიძე. არ შეიძლება ის მივიჩნიოთ გამონაკლისად, რადგანაც იგი იყო მთავრის ძე და იცოდა, თუ რა საპასუხისმგებლო იყო მისი ყოველი გამოსვლა, სიტყვა თუ საქმე. ფაქტიურად ის გამოხატავდა თავის სამთავრო ოჯახში დაცულ საუკუნოვან ტრადიციებს და აგრეთვე აფხაზეთის წარჩინებულთა იდეებსაც. გიორგი შერვაშიძე საქართველოს „ჩვენს სამშობლოს“ უწოდებს (ს. ჯანაშია, VI, გვ. 18). ქართულ ენას უწოდებს „სამშობლო ენას“ (იქვე, გვ. 20), „ჩვენს ენას“ (გვ. 21), „ქართულ მუსიკალურ ენას“ (გვ. 19). ქართულ კულტურას უწოდებს „ჩვენს კულტურას“ (გვ. 19). ის ზრუნავს „ივერთა დაკუწული ხალხის“ ერთობისათვის, „უკუღმართად დატრიალებული ერის არსება“ მისი ზრუნვის საგანია. „ეკამათება იმათ, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიის იდეას, „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლების“. ეს შეგნება არის გიორგის მოქალაქეობრივი პიროვნების საძირკველი“ (იქვე, გვ. 19).

აფხაზმა წარჩინებულებმა სწორედ ამიტომ იცოდნენ ქართული ენა, ჰქონდათ ქართული გვარები, უფრო მეტიც, მათ არა თუ იცოდნენ ქართული ენა, არამედ სწორედ ქართული ენა იყო მათი მშობლიური ენა – დედაენა. ისინი

დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ქართულ ენას. თვით ჩვენს საუკუნეშიც კი აფხაზი თავადაზნაურობის ოჯახებში ბავშვი დედას ქართულად მიმართავდა – „დედა“. „რუსი მკვლევარი სელეზნევი, რომელიც 1841 წ. იყო აფხაზეთში, წერს, რომ ამ წრის წარმომადგენელმა ბევრმა იცის ქართული და ოსმალური წერა-კითხვა“ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „თამარ დედოფლის ვაჟის სახელი“ „ჯვარი ვაზისა“ №4, 1989, გვ. 47).

შერვაშიძეთა მსგავსად ქართული კულტურის მატარებელნი იყვნენ აფხაზი თავადი ჩხოტუებიც. გ. შერვაშიძისა და ჩხოტუას შესახებ წერს ს. ჯანაშია: Оба они были воспитаны на почве древнегрузинской культуры, с которой были прекрасно знакомы. Оба сотрудничали в газете «Дроеба» (იქვე, გვ. 80).

აფხაზეთის სამთავროში აფსუა მთიელების ჩამოსახლებისა და გამარჯვების შემდეგ ისინი განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ქართულ მოსახლეობას, მრავალ ქართველს ატყვევებდნენ და იმონებდნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საგლეხო რეფორმის დროს აფხაზეთში მონებიც ჰყავდათ: «...образовался особый класс бесправных рабов... в Абхазии под общим названием – Агырва» (Докладная записка, там же, ст.12). აგირვა მონათა კლასის საერთო სახელი იყო. ეს კლასი დიფერენცირებული იყო. საერთო სახელი აღნიშნული სიტყვა იყო, მაგრამ აგრივა, ანუ აგირუა მეგრელს ეწოდებოდა აფხაზურად, ასეთივე მონა – მსახური იყო „აგური“ ანუ გურული.

«...Агирва, Обыкновенно военнопленные, если не выкупились своими родными, обращались в рабство и тогда они оставаясь холостыми, перепродаваясь из рук в руки, служили разменной монетой и носили название ахашвала (в переводе на русский язык значит одна голова холостая)» (там же, ст. 12).

აფხაზეთში სულ გლეხთა ოთხი კატეგორია ყოფილა, მათ შორის ახოიუ და ახაშვალა, ქართული (მეგრელი, გურული) დატყვევებული მასა. აქედანაც ჩანს, თუ რა რაოდენობის ქართველობა აფხაზდებოდა. „ახოიუ. ტერმინი ახოიუ ნიშნავს „საჭმლის მომზადებელს“ (მოსამსახურეს). ახოიუს ზოგჯერ უწოდებენ „აგირუას“ (მეგრელი) ან კიდევ „აგურს“ (გურული). ახაშვალა, ანუ ათვი მწარმოებელი კლასის ყველაზე დაბალი კატეგორია იყო“ (საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 200).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში XVI ს. შემდეგ სხვადასხვა ჩერქეზული წარმოშობის ე.ი. არაქართული ტომი ჩასახლდა, მათზე დამხვდური ქართული მოსახლეობის გავლენა ძალზე დიდი იყო. დროთა განმავლობაში ქართული სახელმწიფო შეძლებდა ამ ხალხის მოქცევას ქართველი ხალხის კულტურის წრეში, რომ არა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია.

მრავალი ქართული სიტყვა, ადათი, წეს-ჩვეულება, მიწათმოქმედების კულტურა და სხვა შეითვისეს მოსულმა მთიელებმა ქართველი აბორიგენებისაგან. სწორედ ამიტომ წერდნენ აფხაზი თავადები რუსეთის ხელისუფალს: «...как в древние времена, так и теперь жилища, одежда, пища, земледельческие орудия, способы ведения сельского хозяйства в Абхазии совершенно те же, как и в Менгрелии, большая часть местностей носит грузинские названия, большая часть жителей признает свое мингрельское или грузинское происхождение и

сохранили даже свои грузинские и мингрельские фамилии. Одно только может дать повод считать Абхазию отдельно от Грузии. Это язык, но и в нем мы находим наполовину слов мингрельских и грузинских, правда часто сильно измененных, но не представляющих особого затруднения в отыскании первоначального корня мингрельского или грузинского» (Докл. Записка, ст. 11).

მაგალითად, აფხაზური სიტყვა აშნაკმუა – შინაყმა, აკაშბაშ – კამეჩი, აჯამი – ჯამი, „ჭყონდარ“ – ეპისკოპოსი (ჭყონდიდელი), ასაკუმალ – საკმელი, აბერ – ბერი, ასაკრიალ – სარეკელი (ზარი), აჯარ – ჯვარი (ა.ბაქრაძე) და სხვა მსგავსნი. ასევე მსგავსადვე შეიცვალა ქართული ტოპონიმები. მაგალითად, „ცხელკარი“ ქართული ტოპონიმი აფხაზეთში ასე შეუცვლიათ აფხაზური ენის ბუნების შესაბამისად „აცკარ“ (ე.ი. სიტყვა შეუმოკლებიათ), ტოპონიმი „სათამაშო“ – „ტამიშად“ და ა.შ. ყოველივე ზემოთ ჩამოვლილის გამო ახალ აფხაზ ხალხსაც კი აფხაზი თავადები „ქართულ ოჯახში შემავლად“ მიიჩნევდნენ და რუსებისაგან ითხოვდნენ. «Мы смеем надеяться, что в применении к Абхазии и Самурзакано крестьянской реформы мы не будем исключены из общей семьи Грузинских народов, к которой принадлежали» (там же, ст. 12).

ქართველი და აფხაზი ხალხები მოძებნიდნენ ურთიერთსიყვარულისათვის საერთო ფესვებს, რომ არა უცხო ძალის მიერ შექმნილი დაბრკოლებები, როგორც შუა საუკუნეებში, ისე მის შემდგომ. საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ომი აფხაზეთში დაიწყო არა XX ს-ის ბოლოს, არამედ XVI ს-ში. თავდაპირველად ოდიში იგერიებდა აფსუა დამპყრობლებს, რომელთაც სამეგრელოს წაართვეს ვრცელი მიწა-წყალი ბიჭვინთა – ანაკოფიიდან – ენგურამდე. საბოლოოდ კი, სამეგრელოს ამ ტერიტორიას აფხაზეთი ეწოდა და გადაგვარების გზას დაადგა.

ეს წიგნი დაიწერა 1992 წლამდე. ამჟამად ჩვენი უბედურების გამო საქართველომ დაკარგა აფხაზეთი. იქ, აფხაზეთში, ჩარჩა ათი ათასობით ქართველი, ქალი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა. მათთვის ერთადერთ გზას გადარჩენისა წარმოადგენს თავიანთი ქართველობის უარყოფა და აფხაზებად თავის გამოცხადება, ამიტომაც ქართველების გააფხაზების პროცესი დღეს-დღეობით კიდევ უფრო გამძაფრებულია და გაღრმავებული. სამწუხაროდ, ესაა ფაქტი. 10.02.2000 წ.

„აფხაზების“ საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაში

ადიღეველების იმ ჯგუფს, რომელთაც შეძლეს მე-17 საუკუნეში აფხაზეთის დაპყრობა და იქ დასახლება – აფხაზები ეწოდათ, აფხაზეტში ჩასვლამდე, ცხადია, მათი წინაპრები ჩრდილო კავკასიაში ცხოვრბდნენ. ამჯამად მათ ჩრდილოკავკასიელ წინაპრებსაც „აფხაზებს“ უწოდებენ, ენას კი „აფხაზურს“, ეს გაურკვევლობის შედეგია, მაგრამ ფაქტია.

ლენინგრადელი პროფესორი ა. ნ. გენკო (1896–1941) წლების მანძილზე იკვლევდა აფხაზურ და აბაზურ ენებს. ავტორია მრავალი გამოქვეყნებული

ნაშრომისა და ითვლება აფხაზურ-აბაზური ენების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სპეციალისტად. ის თავის ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ფონეიკური ურთიერთდამოკიდებულება“ ეხება აღნიშნული ენების და კილო-თქმტების გავრცელების გეოგრაფიულ არეალსაც. კერძოდ, ა. გენკო აღნიშნავს, რომ თანამედროვე აფხაზური ენა გავრცელებულია არა მხოლოდ საქართველოში (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში), არამედ მისგან შორს, ჩრდილო კავკასიის დაბლობებში, ჩერქეზეთისა და ადიღეს ავტონომიურ ოლქებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდითაა გავრცელებული 1. აფხაზური ენა. 2. აბაზური ენა. 3. ყაბარდოული ენა. 4. ადიღეური ენა.

ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული „აფხაზური“ ენის შესახებ ა. გენკო წერს: „ჩრდილო-აფხაზური, ანუ შკარავა, ჩვენს მიერ სახელდებულია აფხაზური ენის ზელენჩუკურ კილოდ. მას მიეკუთვნება მოსახლეობა სამი აულისა: აფსუა (ყოფ. შახგირიევსკიი), სტაროკუვინსკი და ნოვოკუვინსკი (А. Н. Генко, Фонетические взаимоотношения абхазского и абазинского языков. Труды Абхазского института языка, литературы и истории. XVIII, 1957, Сухуми. стр. 188).

აფხაზური ენის ზელენჩუკური კილოს გავრცელების არეალს ა. გენკო ამატებს ჩრდილო კავკასიის „დენაციონალიზებულ“ აულებს აბაზაკატსა და იულაბს (იქვე, გვ. 189). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ა. გენკო აფხაზურ და აბაზურ ენებს არ ურევს ერთმანეთში, თუმცა კი ცნობილია ამ ენებისა და მათი კილოების დიდი სიახლოვე. ის ეხება ჩრდილო კავკასიაში როგორც აფხაზური, ისე აბაზური ენების გავრცელების არეალებს.

აღნიშნულ ენათა კილო – თქმებს ის ასე ანაწილებს:

აფხაზური ენა (აფსუა ბიზშვა)

1. კოდორის კილო (საქართველოში)

ა. აბჟივური თქმა (აბჟიუაა. მას ეფუძნება აფხაზური სალიტერატურო ენა;

ბ. სამურზაყანოს თქმა

2. ბზიფური კილო (აბზიპკვა, საქართველოში)

3. ზელენჩუკური კილო (ე. წ. აფსუა ბიზშვა, რუსეთში)

ა. შახგირევსკის თქმა (ჩაგრიია)

ბ. კუვური თქმა (ხვიჟვი)

გ. ეგიბოკოვსკის თქმა (გაბაკვაᲘ)

დ. ულიაბური თქმა (უილაბ)

აბაზური ენა (ტაპანტა ბიზშვა)

1. დუდარუკო – ბიბერდოვსკის თქმა.

2. კუბა – ზელენჩუკ – ლოოვსკის თქმა.

3. კუმსკო – ლოოვსკის თქმა (გვ. 189).

ა. გენკო წერს, რომ ჩრდილო კავკასიაში აღნიშნულთა გარდა სხვა მრავალი აულის მცხოვრებნი წარმოშობით აფხაზები არიან, გარკვეული ზომით შენახულიცა აქვთ მშობლიური ენა, მაგრამ თავიანთი არჩევანით იყენებენ ყაბარდოულ ანდა ადიღეურ ენებს. ასეთი აულებია საუიჩადშა (ყოფ. კლიჩევსკი),

აბაზაკატი (ჩერქეზეთის ავტონ. ოლქი), აული უილაბი (ადიღეს ავტ. ოლქი), ხუმარინსკი, კოშელაბი და სხვა აულების მოსახლეობის ერთი ნაწილი (იქვე, გვ. 188).

ა. გენკომ თავისი ნაშრომი დაწერა 1935–1940 წლებში, პავლე ინგოროყვას ცნობილი შრომის გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე. როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვამ წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვითაც ძველი და ახალი აფხაზები სხვადასხვა წარმოშობის ხალხია. პირველნი საქართველოს მკვიდრი ქართველები არიან, მეორენი კი – საქართველოში მე-16 – მე-17 საუკუნეთა შედგომ ჩამოსახლებული ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუები (ე. ი. აბაზები), რომელთაც აფხაზები ეწოდათ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – აფხაზეთის სახელის მიხედვით. როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვას ეს თეორია აფხაზი (აფსუა) მეცნიერებისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც მათ საერთოდ უარყვეს თვალსაზრისი ჩრდილო კავკასიაში აფხაზების (ე. ი. აფსუების) ცხოვრების შესახებ. ა. გენკოსათვის აღნიშნული დავა უცნობი იყო. მან კეთილსინდისიერად გამოიკვლია აფხაზური ენის გავრცელების არეალი ჩრდილო კავკასიაში. დაასახელა რაიონები და სოფლები ჩრდილო კავკასიის მკვიდრი „აფხაზებისა“ (აფსუებისა).

აფხაზების ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების შესახებ გამოჩენილი მეცნიერებიც იძლევიან ცნობებს: კლაპორტი წერს: „აფხაზები ცხოვრობენ არა მხოლოდ ზღვის სანაპიროზე, არამედ მათი ზოგიერთი ტომი ცხოვრობს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით“ (იულიუს კლაპორტი, მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში, პარიზი, 1823, გვ. 411. იხ. აფხაზეთის ენისა და ისტორიის ინსტიტუტის დასახ. შრომები, გვ. 370). ლ. ი. ლიულიე წერს: „აფხაზურ ენაზე (აზეგა) ლაპარაკობს ყველა აფხაზური ტომი კავკასიის ქედის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთ ფერდობებზე (იქვე, გვ. 373). ჩრდილო კავკასიის დაბლობებში აფხაზთა გარდა ცხოვრობენ აბაზები. მრავალი მეცნიერი ორივე ამ ტომს მიიჩნევს ერთი წარმოშობის ხალხად. აბაზები ძირითადად ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებში ცხოვრობენ, მდინარეების – ყუბანის, ყუმის, დიდი და პატარა ზელენჩუკის ველებზე. „ძველ დროს აფხაზები და აბაზები შეადგენდნენ ერთ ეთნიკურ ჯგუფს, ერთიან კოლექტივს, ენობრივადაც ერთიან ენაზე მოლაპარაკეთ, რომელთაც ჰქონდათ დიალექტური სხვაობა. ჩვენს დროშიც აფხაზურ-აბაზური კილოები რჩებიან ახლომყოფებად. მათ შეინარჩუნეს გრამატიკული წყობისა და ძირითადი სიტყვიერი ფონდის ერთიანობა. ამ ორი დიალექტის წარმომადგენლებს ერთმანეთისათვის გაგებინება შეუძლიათ“ – წერს ხ. ბღაჟბა (იხ. მისი „Бзыбский диалект абхазского языка“ იქვე, გვ. 868) ა. გენკოც მათ ერთი წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა (გვ. 370).

აღნიშნულის გამოა ალბათ, რომ თვით ჩერქეზებიც კი, აბაზ-აფხაზების საუკეთესო მცოდნენი, იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ, უწოდებენ აბაზებს, მაგრამ მათთან უშუალო მეზობლად მცხოვრები აბაზებისაგან განსასხვავებლად უწოდებენ „პირიქითა აბაზებს“ – „კუშ-კაბისი აბაზი“ ე. ი. „აბაზები, რომლებიც ცხოვრობენ მთების იქით“ (იქვე, გვ. 370).

ცნობილია, რომ იმ ჩრდილო კავკასიელ მთიელ ხალხს, რომელნიც მე-16 – 17 საუკუნეთა შემდგომ შემოიჭრნენ საქართველოს შავიზღვისპირეთში და დაიპყრეს აფხაზეთი, ქართველებმა მათ იქ დამკვიდრების გამო „აფხაზები“ უწოდეს. როგორც თურქი, ისე ევროპელი მოგზაურები და მეცნიერები კი ამ ტომებს არა აფხაზებს, არამედ „აბაზებსა“ და „ჩერქეზებს“ უწოდებდნენ. აფხაზეთში დამკვიდრებულ ჩრდილო კავკასიურ ტომებს ქართველთა გავლენით სხვებმა აფხაზები უწოდეს. რუსებმაც ქართველებისაგან შეითვისეს ეს სახელი და აფხაზეთის აბაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომებს აფხაზები უწოდეს (ისევე, როგორც რუსებმა ქართველებისაგან შეითვისეს ისეთი სახელები, როგორიცაა „ოსეტინი“ „ინგუშეტი“ და სხვა).

ევლია ჩელები აფხაზებს „აბაზებს“ უწოდებს და არა აფხაზებს. „აბაზებს“ უწოდებდნენ ჩვენს მიერ აფხაზებად წოდებულ ხალხს აკადემიკოსი გიულდენშტედტი, პალასი, კლაპორტი (გვ. 369). იაკობ რეინეგსიც, ქართველთა გავლენით, აფხაზეთში ჩასახლებულ აბაზას ტომებს „აფხაზებს უწოდებს და, რადგანაც აბაზების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში, წერს ორი, დიდი და მცირე აფხაზეთის, არსებობის შესახებ. მისი თქმით, დიდი და მცირე აფხაზეთის მოსახლე მთიელი ტომები ლაპარაკობენ „ერთი ენით და განსხვავდებიან მხოლოდ დიალექტით, აქვთ ერთნაირი ზნე-ჩვეულებები“ (გვ. 370).

სხვა წყაროებიც ადასტურებენ, რომ აბაზები და თანამედროვე აფხაზები ერთი ხალხია. განეკუთვნებიან ერთ ეთნიკურ ჯგუფს, – წერს ბღაჟბა (იქვე, გვ. 371).

ლავროვის აზრით, მე-19 საუკუნემდე აბაზები იყვნენ კავკასიის დიდი და ძლიერი ხალხი (იქვე, გვ. 372).

როგორც ვთქვით, აბაზებსა და თანამედროვე აფხაზებს განიხილავენ ერთ ეთნიკურ ჯგუფად. ამიტომაც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აბაზებს, ტაპანტელებსა და აშხარუელებს, აფხაზურ ტომებს მიაკუთვნებენ. ისინი წარმოადგენენ მცირე ტომებს, ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიის ველებზე. ტერმინი „ტაპანტა“ ა. გენკოს აზრით, ირანული (ოსური) წარმოშობისაა და „დაბლობის მცხოვრებს“ ნიშნავს. აშხარუა ნიშნავს მთიელს (იქვე, გვ. 374-375). მიიჩნევა, რომ აშხარუელები ჩასახლებულან ჩრდილო კავკასიის მთებიდან ველებზე. ძველად ყველა აფხაზური ტომის დიალექტები და სამხრეთ – აფხაზური დიალექტები ქმნიდნენ ერთ ენას, – წერს გენკო.

სწორედ ამიტომ იმ ხალხს, რომელსაც გვიან საუკუნეებში ქართველებმა აფხაზები უწოდეს, ყოფენ სამ ტომად: 1. აფსუები, 2. საძები (ჯიქები, Джигеты) და 3. აბაზები (ესაა დუბროვინის თვალსაზრისი, გვ. 374).

აფსუები, ანუ აფხაზები, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრობენ არა მხოლოდ საქართველოს შავი ზღვის ნაპირზე, აფხაზეთში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც. საძები, ანუ ჯიქები გადაასახლეს თურქეთში მე-19 ს-ში. აბაზები ამჟამად ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში. როგორც ვთქვით, ყველა ისინი აფხაზურ ტომებად აღირიცხებიან.

თავის მხრივ, როგორც ჩრდილოკავკასიის, ისე ჩვენში დამკვიდრებული აფხაზური ტომები მიეკუთვნებიან ხალხთა უფრო დიდ ოჯახს – ჩერქეზულს, ანუ ადიღურს. დიუბუას აზრით, ჩერქეზი ხალხის ტომებია: 1. ადიღები, 2. ყაბარდოელები, 3. აბაზები, 4. აფხაზები. „ენები, რომლითაც ლაპარაკობენ ხალხები ამ ოთხი მთავარი განშტოებისა, მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია. აქვთ საერთო ფორმები და ძირები. ყაბარდოული ენა ძალზე მცირედ განსხვავდება საკუთრივ ჩერქეზულისაგან, ხოლო აბაზურსა და აფხაზურს კიდევ უფრო ახლო მსგავსება აქვთ, მაგრამ აფხაზურ-აბაზური კი საკმაოდ განსხვავებულია საკუთრივ ჩერქეზულისაგან“ (იქვე, გვ. 371).

როგორც ღრმა შესწავლით ირკვევა, თანამედროვე აფხაზები ადიღე-ჩერქეზული ტომია. ადიღე-ჩერქეზი ხალხის ძირითადი და უმთავრესი მასა მოსახლეობდა ჩრდილო კავკასიასა და მის წინამდებარე ველებზე. ბუნებრივი იქნებოდა, თუკი მკვლევარი მივიდოდა დასკვნამდე, რომ ჩერქეზი ხალხის ძირითად მასას გამოეყვნენ თანამედროვე აფხაზების წინაპრები და დამკვიდრდნენ საქართველოს შავიზღვისპირეთში. მართლაც, მთიელები თანამედროვე აფხაზებს უწოდებენ „აძეგე“-ს. ტერმინი აძეგე ამოდის ადიღეური სიტყვიდან „აძიგე“ რაც შეიძლება გაიშიფროს როგორც „წასულნი“ „ჩვენგან განშორებულნი“. ადიღელები დღესაც კი აფხაზებს უწოდებენ სიტყვას „აძიგე“ რომელიც, თუ მისი ეტიმოლოგიით ვიმსჯელებთ, უკავშირდება აფხაზურ –ადიღეური ერთობის მოგონებებს (იქვე, გვ. 374. ბღაჟბას შენიშვნა 85).

ერთ დროს მთიან აფხაზურ-ადიღეურ ერთობას გამოყოფიან თანამედროვე აფხაზების წინაპრები და დამკვიდრებულან საქართველოს ზღვისპირეთში. როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? აფხაზთა გადასახლების შესახებ თვით თანამედროვე აფხაზი მეცნიერებიც წერენ. ისინი ჩრდილო კავკასიაში აფხაზურენოვანი ტომების ცხოვრებას ხსნიან იმით, თითქოსდა ისინი შავიზღვისპირეთიდან გადასახლდნენ ჩრდილოკავკასიაში დაახლოებით მე-17 ს-ში.

სწორედ მე-17 და მასთან ახლო წინამყოფი საუკუნეები უნდა იყოს ჩრდილო კავკასიაში არსებული ერთიანი ადიღე-ჩერქეზული ხალხის მასიდან აფსუა-აბაზების გამოყოფისა და საქართველოს ზღვისპირეთში დასახლების ხანა. რამდენად რეალურია არსებობა თეორიისა, რომლის მიხედვითაც ჩრდილო-კავკასიაში აფხაზური ტომები მე-17 ს-ის ახლო ხანაში დამკვიდრდნენ? საქმე ისაა, რომ ე. წ. „აფხაზურ-ადიღეური“ ერთობა, ანუ თანამედროვე აფხაზების მონათესავე ხალხის უმთავრესი მასა კომპაქტურად ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში. ეს მხარე ითვლება ადიღე-ჩერქეზული ტომების სამშობლოდ. მათი თანამედროვე რომელიმე ჯგუფის სხვაგან ცხოვრება შეიძლება მხოლოდ ძირითადი მასისაგან მოწყვეტით და გადასახლებით აიხსნას და არა პირიქით. სხვაგვარად ახსნა შეუძლებელია.

საქართველოს ჩრდილოეთით, იმიერკავკასიის მიწა-წყალზე, როგორც ჩანს, თურქული და მონგოლური ტომების (პაჭანიკების, ყივჩაღების, ოქროსურდოს ძალების) გამოჩენის შემდგომ შევიწროებული ალანების ადგილი დაიჭირეს ჩერქეზულმა (ადიღე-ყაბარდო-აბაზურმა) და თურქულმა (ყარაჩაელე-

ბმა, ბალყარელმა) ტომებმა (როგორც მიიჩნევენ, მე-13 -მე-14 საუკუნეებამდე და შემდგომ ჩრდილო კავკასიაში ქართველებსა და ქართველურ ტომებს მნიშვნელოვანი რაოდენობრივი წილი ეჭირათ). საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების შემდგომ (მე-15-16 სს.) ჩრდილო კავკასიური ადიღე-ჩერქეზული ტომები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და შეუდგნენ ჯერ საქართველოს საზღვრის მიღმა (თანამედროვე სოჭისა, ტუაფსისა) და ჩრდილოეთით მდებარე შავიზღვისპირეთის დაპყრობას (ამას უნდა დავუკავშიროთ შავიზღვისპირეთში ადიღე-ჩერქეზ-აბაზურად მოსაუბრე ტომების უბიხების, საძებისა და სხვათა გამოჩენა), ხოლო შემდგომ თანდათან შეიჭრნენ საქართველოს მიწა-წყალზე და გაბატონდნენ ისტორიულ აფხაზეთში (ისტორიულ აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი გადიოდა ახალ ათონთან და კელასურთან, ვახუშტის თანახმად). მე-17 ს-ის შემდგომ კი შეუტიეს ოდიშს, დაიპყრეს სამეგრელოს მიწა-წყალი (იგულისხმება თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები) და მივიდნენ მდინარე ენგურამდე. ისტორიული ფაქტია ის, რომ აფხაზეთის სამთავრო მე-17 ს-ში გაფართოვდა სამეგრელოს ტერიტორიის ხარჯზე და მას ჩამოაჭრა ზემოთ აღნიშნული მიწა-წყალი. მხოლოდ ასეთი ერთიანი სურათის ფონზე შეიძლება აიხსნას ჩრდილო კავკასიის ველებზე, აფხაზეთიდან ძალზე შორს, აფხაზურენოვანი ტომების არსებობა და არა იმით, რომ აფხაზები ზღვისპირეთიდან დასახლდნენ და საცხოვრებლად გადავიდნენ ჩრდილო კავკასიაში. ასეთი მოსაზრება უმოტივო თეორიაა.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, აძლიერებს ის, რომ, როგორც ჩანს, ჯიქები, რომელნიც ისტორიულად ძველთაგანვე მკვიდრნი არიან შავიზღვისპირეთისა, დაპყრობილ და დამორჩილებულ იქნენ ადიღე-აფსარების მიერ. ამას მიუთითებს ის, რომ ჯიქები გვიან (მე-18 - მე-19) საუკუნეებშიც კი ოფიციალურად და საჯაროდ აფხაზურ ენაზე საუბრობდნენ, ხოლო დამალვითა და შიშით საკუთარ ენაზე, რომელსაც აფხაზები უწოდებენ „ასაძიპსუას“.

რუსი გენერალი ი. ფილიპსონი, რომელიც დიდხანს მსახურობდა კავკასიის არმიაში და კარგად იცნობდა ჯიქებს, წერს: „ამ ხალხს, რომელიც სუფთა აფხაზურ ენაზე ლაპარაკობს, აქვს თავისი საკუთარი ენა, ასაძიპსუა, რომელიც არ ჰგავს არც აფხაზურს და არც ადიღეურს. ის თანდათან ეძლევა დავიწყებას. იმით ხანდახან მხოლოდ დაბალი ფენის წარმომადგენლები საუბრობენ და ისიც თითქოსდა მოპარვით, სხვა ხალხისგან დამალულად“ (იქვე, გვ. 374).

ბღაჟბა ვარაუდობს, რომ ასაძიპსუა თითქოსდა აფხაზური ენის დიალექტი იყო, მაგრამ თვით ავტორი ცნობისა ფილიპსონი, კარგი მცოდნე ჯიქებისა, გარკვევით წერს, რომ ასაძიპსუა არ წააგავდა არც აფხაზურს და არც ადიღეურს.

ჯიქების არააფხაზური ენის არსებობა ამტკიცებს იმ აზრს, რომ ეს ტომი არ იყო წარმომავლობით აფხაზური. ის ასეთი გახდა მხოლოდ ადიღე-ჩერქეზული დაპყრობის შედეგად. გააფხაზების შემდგომ ამ ტომს „საძები“ ეწოდა. ჯიქეთის დაპყრობის შემდგომ ადიღეურმა ტომებმა დაიპყრეს საკუთრივ აფხაზეთი, შემდგომ კი შეუტიეს ოდიშს, ჩამოაჭრეს მას აყვავებული მიწა-წყალი

ენგურამდე. ამ დაპყრობის შესახებ უწყვეტლივ ლაპარაკობდნენ მოგზაურები და მისიონერები მე-19 ს-მდე (ლამბერტიდან შარდენამდე). აბაზების შესაკავებლად ლევან II დადიანმა და ეპისკოპოსებმა ააგეს დიდი კედელი (ე. წ. აფხაზეთისა), მაგრამ ჩერქეზ-აბაზების შემოტევა ვერ შეაჩერეს. აბაზების გაბატონების შემდგომ ახლა უკვე ადგილობრივი მეგრული ენა გახდა დამალულად და დაფარულად მოსახმარი, რამეთუ ქვეყნის მკვიდრი მეგრელები ყმებად და მონებად აქციეს და „აგირუები“ უწოდეს. მე-19 ს-ის დასაწყისში მთელ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე სოჭი – ტუაფსის რაიონებშიც, ახალი ომებისა და დაპყრობების კვალი აშკარა იყო. ი. ლუკიისკი წერდა: „и в настоящее время разноплеменность и следы недавнего завоевания очень заметны в этом участке“ (იქვე, გვ. 374).

აფხაზეთში გაბატონების შემდგომ, როგორც საერთოდ ეს ხდება, დაპყრობათა შემდგომ წარმოშობილ ახალ მოსახლეობასაც „აფხაზები“ უწოდეს (ისე, როგორც ძველი ეგვიპტელების ქვეყანაში მცხოვრებ არაბებს ამჟამად „ეგვიპტელები“ ეწოდებათ, ხოლო ძველი ასირიელი ხალხის ქვეყანაში მცხოვრებ არაბებს კი – „სირიელები“ და ა. შ.), მაგრამ ნამდვილი სამშობლო ახალი ე.წ „აფხაზებისა“ ანუ აფსუებისა, ჩრდილო კავკასიის ველებია, სადაც ამჟამადაც მცხოვრები აფხაზების ენას აფსუა ბიზშვა ეწოდება.

„ქართველოლოგიური სიმპოზიუმის ბიულეტენი“ 1994.

გ. გასვიანი აფხაზეთის შესახებ

გ. გასვიანი (გერონტი გასვიანი, აფხაზეთი – ისტორიული საქართველო, 2011) იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, რომ აფსუები და ძველი აფხაზები სხვადასხვა ხალხია. კერძოდ, ძველი აფხაზები იყო ქართული ტომი, ხოლო აფსუები ჩრდილო-კავკასიური ადიღე-ჩერქეზული ტომი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში ჩასახლდა მდინარე ყუბანის შუაწელიდან, ძირითადად მე-17 საუკუნეში. ისინი გაძლიერდნენ აფხაზეთში, დაიპყრეს სამეგრელოს ერთი ნაწილიც, რომლის ტერიტორიაზე გაბატონდნენ. მათ, ქართველებმა, აფხაზები უწოდეს ქვეყნის, ანუ აფხაზეთის, სახელის მიხედვით (გერონტი გასვიანი, აფხაზეთი – ისტორიული საქართველო, 2011 გვ. 85).

გ. გასვიანს მოჰყავს გიულდენშტედტის მოსაზრება, რომ **„აფხაზები იგივე აბაზები არიან. აფხაზური, აბაზური და ჩერქეზული ენების დედა ერთია“** ანუ ამ გერმანელ მეცნიერს ახალი აფხაზები, ანუ აფსუები აბაზურ-ჩერქეზულ ტომად მიაჩნდა. ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა მე-19 საუკუნის მოგზაურებსაც, მაგალითად, გამბას და სპენსერს.

ძველი აფხაზები გ.გასვიანს მიაჩნია მესხურ ტომად და იმეორებს ნ. მარის აზრს ამ საკითხზე (გერონტი გასვიანი, აფხაზეთი – ისტორიული საქართველო, 2011 გვ. 105).

კერკეტების ტომი, წერს ის, ძველი წყაროების ცნობით, მოსხების გვერდით ცხოვრობდნენ (ეყრდნობა ლატიშევის ცნობებს შედგენილს ბერძენ-რომ-

აელ ავტორთა მონაცემების მიხედვით). სტრაბონის ცნობითაც, მითრიდატეს ამბების აღმწერნი ჯერ ასახელებენ კერკეტებს, შემდეგ მოსხებს – ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით (იქვე გვ. 105).

გვიანი შუა საუკუნეების კავკასიის აღწერისას თვითმხილველი გიულდენშტედტი წერდა, რომ აბასას ხალხი იყოფოდა სამ ნაწილად. ერთი ნაწილი ცხოვრობდა აფხაზეთში, მეორე ნაწილი ცხოვრობდა მდინარე ყუბანისპირეთში, ხოლო მესამე ნაწილი – ყუბანის სათავეების მთიან ხეობებში.

მე-19 საუკუნის 20-იან წლების მოგზაური, მკვლევარი მინას მედიჩი ბჟიშკიანი წერს, რომ **აფსუები, ანუ აბაზები აფხაზეთში ჩასახლდნენ ტერიტორიიდან, რომელსაც დიდი სათათრეთი ერქვა, იგულისხმება ჩრდილო კავკასიის სტეპები** (იქვე გვ. 112).

აფსუები იყვნენ არა მიწათმოქმედი, არამედ მესაქონლე ხალხი, რომელნიც მიწათმოქმედებას გაეცნენ მას შემდეგ რაც დაიპყრეს აფხაზეთი და სამეგრელოს ერთი ნაწილი.

გ. გასვიანი წერს: **ძველი აფხაზები, ანუ შუა საუკუნის აფხაზები იყვნენ ქართველები. შესაბამისად, აფხაზთა სამეფო თავისი ეთნიკური შემადგენლობით, ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, ეკონომიკით, ფსიქიკური წყობით, ზნე-ჩვეულებით, ყოფაცხოვრებით, პოლიტიკით, სამეფო დინასტიით ჭეშმარიტად ქართული სახელმწიფო იყო.**

აფხაზეთში აფსუების ჩამოსახლებას გ. გასვიანი ხსნის კავკასიის ხალხთა მთიდან ბარში ჩამოსახლებით.

ამასვე აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი შიდა ქართლთან დაკავშირებით. ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენი ოსნი დავწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბართა შინა კაცნი შემცირებულან“. ასევე მთიდან ჩასახლდნენ ბარში აფსუები.

1953 წლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას მოპოვებული აქვს მასალა, რომლის მიხედვითაც, გუდაუთაში მცხოვრებ საგვარეულოებს (გვარებს) ჯერ კიდევ ახსოვდათ ჩერქეზეთიდან ფსხუში მათი წინაპრების ჩამოსახლება (გერონტი გასვიანი, აფხაზეთი – ისტორიული საქართველო, 2011 ,იქვე გვ. 120).

ჩერქეზული და ახალი აფხაზური ენების მსგავსებას იმით ხსნიან სეპარატისტი მეცნიერები, თითქოსდა **„აფხაზები აფხაზეთიდან XIII–XIV საუკუნეებში გადასახლდნენ ჩრდილო კავკასიის ყუბანის მხარეში** (იქვე გვ. 123). სეპარატისტულ – რუსული თეორიით, შავიზღვისპირეთიდან ყუბანის ხეობაში გადასახლებული აფხაზები იწოდნენ ადიღე-ჩერქეზებად და მათ თავის კონტროლის ქვეშ აიყვანეს ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი.

აფსუები და აბაზები ჩერქეზებს ემსგავსებოდნენ ცხოვრების წესით და საცხოვრებელი სახლებითაც კი. მათი ქოხები შორეული მოგონება არის სტეპებში დადგმული კარვებისა.

აბაზებისა და ჩერქეზების სახლი მსუბუქი ნაგებობაა, წკნელით მოწნული კედლებით. საქმიანობა მესაქონლეობა და მეჯოგეობაა. მემინდვრეობაში ახალი ფეხადგმული იყვნენ, მკვლევარის დაკვირვებით (იქვე გვ. 113).

აფსუები მესაქონლე ხალხი იყო და არა მიწათმოქმედი. ცხადია, ასეთი ხალხი აფხაზეთის დიდებულ ეკლესია-მონასტრებს ვერ ააგებდა, რადგანაც საკუთარი სახლის აგებაც არ შეეძლოთ. თუმცა მათ შეძლეს მკვიდრი მიწათმოქმედი ხალხის დაპყრობა და მათი ასიმილაცია. შესაბამისად, მიიღეს მათი კულტურის ნაწილი. ეს მოსაზრება მთლიანად ეთანადება ცნობილი კავკასიისმცოდნის ვ. მილერის გამოკვლევას. მილერი წერდა, რომ ჩრდილო-კავკასიის ყველა ხალხი მოსულია კასპიის ზღვის იქეთა ტერიტორიებიდან, შუა აზიიდან და მათ კავკასიაში მოსვლის შემდეგ შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის დამარცხება და მათი ასიმილაცია.

აფხაზეთის ყველა ეკლესიის წარწერა, ფრესკული თუ ქტიტორული, ქართულია, ბიჭვინთის, ლიხნის, მოქვის, დრანდის, ილორის, ბედიის და სხვა აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებისა. წყაროებში არსად ასახულა, რაიმე, აფსურ-ჩერქეზული ენობრივი ელემენტი. მაგალითად, აფხაზეთიდან გამოსული ქართული სამართლის ცნობილი ძეგლია „შეწირულობის წიგნი, კათალიკოს ეფთიმი საყვარელიძისა, ბიჭვინთისადმი“ (დაახ. 1600 წელი); „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1621 წელი); „შეუალობის წიგნი, ვამეყ დადიანისა, აფხაზეთის კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძისადმი“ (1664 წელი); „შეწირულობის წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინთისადმი“ (1616-1639 წელი); „საკანონოს წიგნი, ვამეყ დადიანისა, კათალიკოს, ზაქარიასადმი“ (1657–1660 წელი); „შეწირულობის წიგნი, მალაქია კათალიკოზისა, ბიჭვინთისადმი“ (1616–1639 წელი); „საკანონოს მირთმევის წიგნი, ვამეყ დადიანისა, კათალიკოს ზაქარიასადმი“ (1657–1660 წელი); „შეწირულობის წიგნი, კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა, ბიჭვინთისადმი“ (1705 წ, 1706 წ. და 17012 წელი – ექვსი სიგელი); „შეწირულობის წიგნი, ბესარიონ კათალიკოსიზა, ბიჭვინტისადმი“ (1742–1769 წ. ორი სიგელი); „შეწირულობის წიგნი, იოსებ კათალიკოზასა, ბიჭვინთისადმი“ (1770–1774 წელი.); „წყალობის წიგნი, დოსითეოზ ქუთათელისა, ბიჭვინთის ყმებისადმი“ (1910 წელი) და სხვა ამ საბუთებში კარგად ჩანს, რომ აფხაზებად სახელდებული აფსუები ძირფესვიანად ანადგურებდნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს სოფლებს. მაგალითად, 60 კომლიდან მხოლოდ 7 კომლის გადარჩენა მოახერხა კათალიკოსმა ერთ-ერთი სოფლიდან და ესენი გამოიყვანა ენგურს აქეთ, სადაც უკვე აფსუები ვეღარ ბატონობდნენ (იქვე, გვ. 164). ამ დოკუმენტებში არაფერია აფხაზურ-ჩერქეზული ენობრივი ელემენტის მკვიდრობის შესახებ, პირიქით.

აფხაზეთი ძველთაგანვე ქრისტიანული ქვეყანა იყო. ამიტომაც წერდა იოანე საბანისძე, რომ აბო თბილელმა **„იხილა ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართ ამათთა“.** აფხაზეთის მეფე, დემეტრე, თხოვდა გრიგოლ ხანძთელს, რომ მის სამეფოში მონასტერი აეშენებინა, **„სადაც სიწმინდენმან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“** აფხაზთა მეფეები ქართველთა მიერ ქართულ ეკლესია –

მონასტრებს აშენებდნენ. როგორც გიორგი მერჩულეს ამ ცნობიდან ჩანს, მათ მიერ არის აშენებული ქართული ეკლესია – მონასტერი ლიხიდან ბიჭვინთამდე და კუმურდოდან სენტამდე, რადგანაც კუმურდოს ეკლესია აფხაზეთის მეფეს ლეონს აუშენებია.

ზოგიერთი რუსი და მათი სატელიტი ისტორიკოსი აფხაზეთის ეკლესიებს, ასევე ზელენჯუკის, სენტისა და შუანას ეკლესიებს მიკუთვნებს არა ქართულ არქიტექტურას, არამედ მათ მიერვე შეთხზულ და გამოგონილ, ბუნებაში არარსებულ ე.წ. „ალანურ-აფხაზურ საეკლესიო არქიტექტურას“, რომელიც თითქოსდა ეფუძნებოდა, აღმოსავლურ-ბიზანტიურ საეკლესიო ხუროთმოძღვრების სკოლას, რასაც რ. ხვისტანი თვლის ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ მცდარ და ტენდენციურ აზრად. ის წერს, რომ ზოგიერთი ავტორი ამკვიდრებს გაყალბებულ და ტენდენციურ აზრს აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის შესახებ. ასეთები ყოფილან ვ. ფაჩულია, ნუხრუვკოვა, იური ვორონოვი, ს. ლაკობა და სხვები (რ. ხვისტანი მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის 2009 გვ. 51). დ. ხვისტანს ყურადღება მიაქცია გერონტი გასვიანმა (იქვე, გვ. 154).

აფხაზეთში დაფიქსირებული არის 100-ზე მეტი ძველი ქართული ეკლესია-მონასტერი, რომლებშიც უამრავი ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერაა. მთავარი ტაძარი არის ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარი, რომლის სახელითაც უამრავი ძველი ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლია გამოცემული. ბიჭვინთას ასე ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი: **„მუწის წყლის დასავლით არის ბიჭვინთას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა, ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა, პირველი იყო საეპისკოპოსო, ჟამსა აფხაზთა მეფეთა იქმნა საკათალიკოსოდ და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაითგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა...“**

აფხაზეთის საკათალიკოსოში არსებობდა შემდეგი **ეპარქიები: ცხუმის, დრანდის, მოქვის, ბედიის, წიბურის, ანაკლიის, ცაიშის, მარტვილის, ტყვარჩელის, ჭელიშის, ჯაკვის, შემოქმედის, ჯუმათის, ცაგერის, ნიკორწმიდის, ხონის, გაინათის, ქუთაისისა** (იქვე, გვ. 174).

აფხაზთა კათალიკოსები იყვნენ: 1) ნიკოლოზ ბედიელი, რომელიც მოხსენებულია მე-12 საუკუნის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში, სინას მთის სულთა მატიანეში და ბედიის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში. 2) დანიელი – მისი შვილი იყო გიორგი ჭყონდიდელი, მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში. 3) არსენი 1390-წელს კათალიკოსად დასვა იმერეთის მეფე გიორგი პირველმა. 4) მე-16 საუკუნიდან იხსენებიან კათალიკოსები, რომელთა გვარებია ჩხეტიძე, საყვარელიძე, გურიელი, მაჭუტაძე, ქვარიანი, ლორთქიფანიძე, ნემსაძე, აბაშიძე და სხვები (იქვე გვ. 177). საქართველოს მეფის კურთხევაში მონაწილეობდა ორივე კათალიკოსი, აფხაზეთისა და ქართლისა. როგორც ჩანს, რუის-ურბნისის კრებაში მონაწილე მღვდელმთავარი ევსტათი აფხაზეთის კათალიკოსი იყო.

აფხაზეთის უდიდესი ქართული საეკლესიო ცენტრი იყო ლიხნის ეკლესია, სადაც უამრავი ქართული ასომთავრული წარწერა იყო მოთავსებული, მათ შორის 1066 წლით დათარიღებული მოვლენა – კომეტის გამოჩენა. ლიხნის ამ წარწერაში ნათქვამია: **„ქრისტე ღმერთო კურთხეულო ყოვლად, ყოველსა შინა, ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ქსით მეფობასა ბაგრატ გიორგი ძისასა ინდიქტიონსა აპრილსა თვესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და შინა მისსა ვითარცა შარავანდი დიდ მოკიდებით მასსა ზედა, ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდე“** ბაგრატ მეოთხის დროს **(1027–1072 წწ.)“**. ეს და სხვა წარწერები ლიხნის ეკლესიაში სეპარატისტმა ისტორიკოსებმა წაშალეს და მოსპეს.

გუდაუთის IX–X საუკუნეების მსიგხუას ეკლესიაში დაფიქსირებული იყო მიქაელის სახელით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც ასევე ახლახან მოსპეს.

გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვაში მდებარე ანუხვას ტაძარში აღმოჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები XI საუკუნისა, რომელშიც ნახსენებია ტაძრის მშენებელი ადგილობრივი წარჩინებული ქართველი **გიორგი ბასილისძე და მისი ძმები – თეოდორე, დემეტრე და მერკილე,** რომელთაც ჯვარი აღუმართავთ თავიანთი ოჯახის წევრების სულის საოხად. ასეთივე ქვაჯვარები და ჯვრიანი ქვის სვეტები აღმართულია აქვე, მახლობლად, სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ზელენჯუკის ხეობაში, სენტთან და შოანა-ხუმარასთან და მათ რეგიონში, რომელთა აღმართვას მიაწერენ ჰიპოთეზურ კულტურებს, მაშინ როცა ამ წარწერაში კარგად ჩანს, თუ ვინ და რა დანიშნულებით აღმართავდა ხოლმე ასეთი ჯვრებსა და სვეტებს. ეს წარწერაც ტაძრის სვეტზეა ამოჭრილი.

აქვე, ანუხვაში, სხვა ქართული წარწერაცაა დაფიქსირებული. ანაკოფიაც ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ის XVII საუკუნეშიც ქართველთა ხელში იყო, ლევან II დადიანმა მას ახალი გალავანი გაუმაგრა.

ვახუშტი წერ: **„ანაკოფია იყო ქალაქი კეთილ–შვენიერი, ზღუასა ზედა აშენებული და შემდგომად ბაგრატიონთაგან განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან, არამედ აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმა აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა, აწ, უქმად არს“.** (ქ.ც. IV, 781).

საკუთრივ აფხაზეთის სამეფო იწყებოდა ანაკოფიასთან. ანაკოფია იყო საზღვარი სამეგრელოსა და საკუთრივ აფხაზეთს, ანუ აფხაზეთის სამთავროს შორის XVII საუკუნეში. ვახუშტისავე ცნობით, ათასი წლით ადრე, აფხაზეთის საერისთავოს საზღვარი აქვე მდებარეობდა, ბზიფთან. ვახუშტისავე ცნობით, აფხაზეთის საერისთავო მოქცეული იყო ბზიფსა და მდ. ყუბანს შორის.

XVII საუკუნეში ადიღე-ჩერქეზებმა გადმოლახეს ჩრდილო კავკასიის ციხე-ზღუდეები ხუმარასთან (შუანასთან), სენტთან თუ ზელენჯუკის ხეობაში და შეესივნენ მშვიდობიან, მიწათმოქმედ, ქრისტიან მოსახლეობას სამეგრე-

ლოში. ამის გამო ლევან II დადიანმა, მოქვის, დრანდის და ბედიის ეპისკოპოსებმა და, ცხადია, მათმა მრევლმა, დიდი შრომითა და ხარჯის გაღებით ააგეს წარმოუდგენილი მასშტაბის – 100 კმ-იანი სიგრძის ციხე-სიმაგრეთა კედელი, **„აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“.**

ეს მოხდა ადიღე-ჩერქეზთა მიერ აფხაზთა სამთავროს დამორჩილების შემდეგ.

ადიღე-ჩერქეზებმა, აფხაზთა სამთავროში დამკვიდრების გამო „აფხაზებად“ სახელდებულებმა, შეუტიეს სამეგრელოს. მათ შესაკავებლად აიგო ეს 60.000 ნაბიჯის სიგრძის კედელი, ის იცავდა მომთაბარე წარმართებისაგან სამეგრელოს მიწა-წყალს, ამიტომაც ამ კედელს უნდა ერქვას სამეგრელოს კედელი და არა „აფხაზეთის დიდი კედელი“.

ანაკოფიას რუსულ ეპოქაში, ახალი ათონი ეწოდა. აქ დააარსეს დიდი რუსული სამონასტრო ცენტრი, რომლის მისია, გ. გასვიანის სიტყვით, იყო მკვიდრი მოსახლეობის „რუსიფიკაცია“ (იქვე, გვ. 185). ხალხის რუსიფიკაციას კი აფერხებდა ქართული საეკლესიო გავლენის არსებობა ამ რეგიონში. ამიტომაც ამ მონასტერმა, როგორც ამ მონასტრის მიერ 1888 წელს გამოცემული წიგნიდან ჩანს, გადაწყვიტა ებრძოლა ქართულ ეკლესიასთან, უარეყო ანდა წაეშალა ქართული ეკლესიის გავლენა და კვალი ამ რეგიონში (Новый Афон, 1888).

ანაკოფიაში, ანუ ახალ ათონში. თვით მიწამაც კი შეინახა ქართული ნაკვალევი. აქ, „ივერიის მთაზე“ აღმოჩნდა მეფე გიორგი მეორის მონეტა, ქართული ასომთავრული წარწერით: **„ქრისტე ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“** (იქვე, გვ. 188). ეს მონეტაც, რომელიც აფხაზეთის მუზეუმში ინახებოდა, გააქრეს ისევე, როგორც სურთ გააქრონ ქართული ნაკვალევი სენტსა და ხუმარა-შოანაში.

ხუმარას მშვენიერ ტაძართან ამჟამად მცხოვრები მუსულმანები იმდენად ღირსეულნი არიან, რომ ამ ადგილებში მიუთითებენ საქართველოს მეფის, თამარის, ჯვარს, თამარის ქვას – კვარცხლბეკს, თამარის სენაკებსა და სხვას, მაშინ, როცა მართლმადიდებელი რუს „ისტორიკოსებს“ აქ არ სურთ ქართული კვალის დანახვა და მას ყოველმხრივ შლიან და აბაიბურებენ. სახელი ხუმარა, ამჟამად ყარაჩაიში მდებარე სოფლისა, ეტიმოლოგიურად ეთანადება სხვა უამრავ იდენტურ ქართულ სახელს – ესენია: ცხუმი, ცხმორი (სოფელი ოკრიბაში), ცხომარეთი (იმერეთში), ცხუმარისგა (გალში), საცხუმეთი (ლიახვის ხეობაში), ცხინვალი, ცხომარისი (აჭარაში). საერთოდ, სიტყვა „ცხუმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს. სვანები, გვარად შავლიანები, იყვნენ კიდეც აფხაზთა მეფეები. ესენი იყვნენ მეფე იოანე შავლიანი (868–880) და ადარნასე შავლიანი (880–887). აფხაზეთში სვანთა ფართო განსახლება იყო (იქვე, გვ.190), რასაც წყაროებთან ერთად ნათლად ადასტურებს აფხაზეთის სვანური ტოპონიმიკა. სვანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული ზელენჯუკის ხეობა, სენტის და ხუმარა-შოანას ტაძრების რეგიონები, თუმცა კი ამ რეგიონს X-საუკუნისათვის ალანია ერქვა, რადგანაც, ჩანს, რომ ზედა ფენა სვანურ მოსახლეობაზე იმჟამად გაბატონებული – ალანები იყვნენ. გ.გასვიანის კვლევით,

ერთ-ერთი ასეთი სვანური სახელია ლაშკინდარი ტყვარჩელთან, სადაც შესანიშნავი გუმბათიანი ეკლესიაა X–XI საუკუნისა.

სვანებით იყო დასახლებული ყარაჩაის, ჩერქეზეთის, დიდი ნაწილი. დაახლოებით 20-მდე სვანური ტოპონიმია ყარაჩაი-ბალყარეთში და ნაწილობრივ ჩერქეზეთშიც (იქვე, გვ. 192). აქაც და აფხაზეთში ისპობა ქართული საეკლესიო ნაკვალევი, მაგ: სოხუმთან ახლოს მდ. ბესლეთიზე გადებულ ძველ თაღოვან ხიდზე ქართული ასომთავრული წარწერა წაშალეს.

ბესლეთის ხიდის ქართული წარწერა ასეთი იყო: **„ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ორთავე შინა სოფელსა, უძლეველი...“** ვინც თუნდაც ხიდიდან შლის უზარმაზარი ასოებით დაწერილ სახელს – „ქრისტე“ არ არის ქრისტიანი და არც მისი წინაპარი იყო ქრისტიანი, რომელიც ებრძოდა აქ ქრისტიანებს, ანგრევდა უძველეს ტაძრებს. ეს ეკლესიები სავსე იყო ქართულწარწერიანი ხატებით. მაგ: წებელდის ეკლესიის ჭედური ხატი, წმ. ეკატერინესი, რომელსაც აქვს ქართული ასომთავრული წარწერა. აქვეა, ახლოს, დრანდის კათედრალი. მისი ბოლო ეპისკოპოსი იძულებული იყო აფხაზებად სახელდებულ აფსუა-ჩერქეზებს გაქცეოდა და ტაძარი გაეუქმებინა. ვახუშტი წერს: **„მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არის ეკლესია დრანდის მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისის ადგილთა, არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ეპისკოპოზნი“.** აქედან საეკლესიო წიგნებსა და სიძველეებს სპობდნენ ჯერ აფსუები, შემდეგ XIX საუკუნეში, 1900 წლისათვის გააქრეს ქართული საეკლესიო ხელნაწერების გარდა სამარხ-საძვალეებიც კი, როგორც ქართველობის მაჩვენებელი (იქვე, გვ. 199).

განსაკუთრებით დიდებულია მოქვის კათედრალი ოჩამჩირიდან 17 კმ-ზე. ვახუშტი წერს: „ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე. ამდინარესა ზედა არს მოქვის ეკლესია, გუმბათიანი, დიდად ნაგები, აღაშენა მეფემან აფხაზთამან, ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორისა მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“. ის ააგო ლეონ III აფხაზთა მეფემ 957–967 წლებში. აქ იყო დიდი ქართული სამწერლობო ცენტრი, როგორც მოქვიდან გამოსული ხელნაწერები აჩვენებს. მოღწეულია მოქველი ეპისკოპოსების სახელები; მაგალითად, დანიელ მოქველი. მან 1300 წელს გადააწერინა ქართული ოთხთავი სატრაპეზო სახარება, შეამკო მდიდარი მინიატურებით, რომელიც შექმნა ბერმა ეფრემმა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული (იქვე, გვ. 200)..

მოქველი ეპისკოპოსი XVI საუკუნეში იყო ექვთიმე საყვარელიძე. მისი კურთხევით, ნ.ცინცაძეს მეტაფრასი – ქართული ხელნაწერი გადაუწერია. იქვე მოღვაწეობდნენ ზებედე დიაკვანი და გიორგი მწერალი, რომელთაც გულანი გადაუწერიათ აფსუების შემოსევამდე XVI საუკუნეში. ეს ეკლესია მოხატული იყო აფხაზთა, ანუ საქართველოს მეფის დავითის დროს, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის ცნობით (იქვე, გვ. 200).

მოღწეულია მოქვის ტაძრის ხატი ქართული წარწერით, სადაც მოქველი ეპისკოპოსი ანდრია საყვარელიძე წერს XVII საუკუნეში: „**მოვაჭედინეთ ხატი**

ესე სახედ და მსგავსად შენდა, და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა, მოქვს, სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის“.

ილორი დამშვენებული იყო ქართული წარწერებით. მისი ქტიტორი გიორგი გურგენისძე და სხვები იყვნენ, ხოლო მთავარეპისკოპოსი იყო გიორგი. ასევე ერთ-ერთი მღვდელი იყო ქოჩოლავა (იქვე, გვ. 202).

ქართული წარწერებით იყო დამშვენებული ბედიის კათედრალი, იგივე ბედიის მონასტერი. აქ ფრესკებსა და შენობა-ნაგებობებში შემონახულია სახელები ქართველი მეფეებისა, კათალიკოსებისა და ხელოსნებისაც კი. ამგვარად, ქართული ასომთავრული წარწერებით მოხსენიებულია სხვადასხვა პირები: სვიმეონ კალატოზთა უხუცესი, კათალიკოსი ანტონ გონგლიბაისძე, ბედიელი მიტროპოლიტები – სოფრომ გონგლიმაისძე, ანტონ ბედიელი (ჟვანისძე), გერმანე ჩხეტიძე, საქართველოს მეფე ბაგრატ III, იმერეთის მეფეები: კონსტანტინე დავით ნარინის ძე, ოდიშის დედოფალი მარიხი და მისი ძე ერისთავთ-ერისთავი და მანდარტურთუხუცესი გიორგი დადიანი. აქ არავინ იყო აფსუა – წარმართი. ყველანი ქრისტესათვის თავდადებული მოღვაწეები იყვნენ.

მოღწეულია ბედიის ტაძრის ქართული უზარმაზარი საეკლესიო ქართული წიგნი – გულანი, 960 ფურცლით, შესრულებული XVII–XVIII საუკუნეებში. მისი დამკვეთია გერმანე ჩხეტიძე, შემსრულებლები არიან ამბროსი კარგარეთელი, სვიმონ ევფრატელი და გაბრიელ ლომსანიძე.

ბედია საქართველოს ერთიანობის სიმბოლო იყო. ამიტომაც გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის ტაძარი იყო და აქვეა დაკრძალული, ხოლო საქართველოს ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა ბედიელ-ალავერდელის საპატიო წოდება. ერთ-ერთია სიმონ.

ბედია საქართველოს პირველ მეფეს ფარნავაზს და მის ერისთავს ეგრისში ქუჯის დაუარსებიათ. ბედიის ოლქს თავისი ერისთავი ჰყავდა, სხვა იყო ცხუმის ერისთავი და სხვა აფხაზთა ერისთავი, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით.

ვახუშტის სიტყვით, ოდიში ერქვა ეგრისის იმ ნაწილს, რომელიც მოქცეული იყო ეგრისწყლის იქით კლისურამდე და კოდორამდე. შესაბამისად, ოდიშის, ანუ ბედიის ეპისკოპოსის სამწყსო აქ მდებარეობდა. ბაგრატ III-ემ ბედიაში დასვა „ეპისკოპოსი ოდიშისა“ და **„აწცა ზის და მწყემსი არს აწ დადის წყალსა და მოქვის წყლის შუათისა ადგილთა“.**

ბედია უმდიდრესი ქართული ტაძარი იყო. საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ, ის დიდად შეამკო. **„ვისაც ენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიისა ეკლესია და მათ ცნობ“.** ამ საეკლესიო სიმდიდრეს უფრო და უფრო შეემატა საეკლესიო საგანძური შემდგომ საუკუნეებში. ეს სიმდიდრე ჩერქეზ-აფსუებმა დაიტაცეს XVII–XVIII საუკუნეებში. ცხადია, ეს ქართული საეპისკოპოსოც გაუქმდა.

აფხაზეთში სხვა უამრავი ქართულწარწერიანი ეკლესია იყო, რომლებიც ნაცარტუტად აქციეს შემოსულმა ჩერქეზებმა. გამბას სიტყვით. მოღწეულია ზოგიერთი ქართულწარწერიანი საეკლესიო ნივთი ძველი აფხაზეთიდან. მაგალითად, ქიაჩის ეკლესიის ასომთავრულწარწერიანი სამწერობელი უკავში-

რდება აფხაზთა მეფის გიორგი II-ის სახელს (922–957წწ). ბიჭვინთის საწინამძ-ღვრო ჯვარი 1565 წლისაა,… ქართული წარწერებით, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს მეფე-მთავართა სახელები.

მოღწეულია მოქვის ტაძრის საწინამძღვრო ჯვარი ქართული წარწერე-ბით, რომელშიც ნათქვამია: „მოქვის ღვთისმშობელო შეიწყალე სულითა აფხა-ზეთის კათალიკოზი ჩხეტიძე ევდემონ, მამკობი საყდრისა შენისა“.

ლეონ III-ის (957-967წწ) მიერ აშენებულ მოქვში მოღვაწეობდნენ მოქვე-ლი მღვდელმთავარი: გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), დანიელი (დაახ. 1300), აბრა-ჰამი (XIV ს.), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363წ), ელი (1414), რომანოზი (XV ს.), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.), ექვთიმე საყვარელიძე (XVI ს.), ანდრია საყვა-რელიძე (XVII ს.) და სხვანი (იქვე, გვ.255).

მოღწეულია ბიჭვინთის ოთხთავი, დაწერილი ქართული ნუსხურით XII საუკუნეში, მოქვის 329 გვერდიანი ქართული სახარება – ნუსხურით დაწერი-ლი, შემკული მოქველი ეპისკოპოსის დანიელის მიერ 1300 წელს. მოქვი. რო-გორც ითქვა, ლევან მესამემ, აფხაზთა მეფემ, ააშენა სენტ-შუანა (957–967წწ). განსაკუთრებით საინტერესოა სამართლის ძეგლი „ბიჭვინთის იადგარი“.

ბიჭვინთის იადგარში ჩამოთვლილია სამრევლოს გვარები. მაგალითად: გამკერვალია, შამაგია, ჭუჭურია, ჩუმბურია, ეგვიპტია და სხვა (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II გვ. 114-117). მრავალია გვარ-სახელები, რომელთა უმრავლესობა ნაწარმოებია ქართული სუფიქსით – „ურ“. ზოგი ასეთი გვარ-სახელი ნაწარმოებია სუფიქსით – „არ“. ასეთივე გვარ-სახელები ქართული სუ-ფიქსებით ჩვენ გვხვდება ასევე ლიხნის ტაძართან. აქ, **კაპოეტის წყალთან და მუწუს წყალთან, მცხოვრებ მარშანიებს ეწოდებათ ზუფუარი და სიხუარი.** ეს გვარ-სახელებიც ნაწარმოებია ქართული სუფიქსით ურ და არ. მაგალითად, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშია ნახსენები, თუ როგორ ილაშქრა ლევან მეორე დადიანმა ამ ხეობაში: „კაპოეტის წყალზე შემოგვეგებნენ ზუფუარი და სიხუარი მარშანიები“ (გ. გასვიანი, გვ. 291), ანუ ეს მარშანიები ცხოვრობდნენ ზუფუში და სიხუში.

ბიჭვინთის იადგარში გლეხების გარდა ნახსენებია დადიანთა XVII საუ-კუნის მთელი თაობა. არ არის ნახსენები აფსუური გვარები. გ. გასვიანის კვლევით, ამის მიზეზი ისაა, რომ აფსუები XVI საუკუნეში ჯერ კიდევ ყუბანის შუა წელიდან არ იყვნენ ასულები ყუბანის სათავეებამდე. ამას მიუთითებს იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გალსტალდის კავკასიის რუკა, რომელშიც პირდაპირაა ყუბანი შუა წელში შემოხაზული – „აფსუას რეგი“ (იქვე, გვ. 225). ამასვე წერს რუსული ისტორიოგრაფიის მამად წოდებული ისტორიკოსი ტატიშჩევი: აფსუები აფხაზეთში შევიდნენ XVII საუკუნის ბოლოს. იმავეს წერს რუსი სამხედრო ისტორიკოსი დიაჩკო ტარასოვი.

გ. გასვიანის დასკვნით, საეკლესიო სამართლის უდიდესი მნიშვნელო-ბის წყარო, ბიჭვინთის იადგარი, XVII–XVIII საუკუნეებში მრევლსა და სასუ-ლიერო პირთა შორის არ მოიხსენებს არცერთ აფსუურ გვარს. ხობის საყდრის სიგელის განახლების საბუთში (1611–1657 წწ.) საყვედურია გამოთქმული იქა-მდე ქართული ტომის, აფხაზების, მიმართ: ისინი ცხოვრობდნენ სამეგრელოს

საზღვრის იქით, ანუ კოდორის მარჯვენა სანაპიროს იქით და ბიჭვინთის იქით. ამ ეპოქაში მოხდა ისე, რომ აფხაზებმა ვერ გაუძლეს ჩრდილო-კავკასიურ ტომთა, კერძოდ კი, ჩერქეზთა ზეწოლას. მათი ქვეყანა აღმოჩნდა ჩერქეზების, ძირითადად, აფსუების, ხელში. მათ იქ შეიტანეს წარმართობა და მუსულმანობა. შესაბამისად, დაიწყეს დევნა ქართული ტრადიციებისა. ამ ორი ხალხის ურთიერთშერევამ, აფხაზებისა და აფსუებისა, ძალზე ცუდი შედეგი გამოიღო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. თუკი იქამდე საუკუნეთა მანძილზე აფხაზები, ვითარცა ერთ-ერთი ქართული ტომი, სათუთად უვლიდა და პატრონობდა ქრისტიანული რჯულის ეკლესიას და მის ეპარქიას, ახლა უკვე დაიწყეს პირიქით. ამ სიგელის თანახმად, გარყვნეს სარწმუნოება. ამ სიგელში ნათქვამია: „მას ჟამსა უღმრთოთ და უსჯულოებათ მიიქცეს აფხაზნი. აფხაზთა გაყრვნეს სჯული და კათალიკოსობა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, გვ. 209).

შემდეგში, მალევე, კოდორს იქით დაბუდებული ჩერქეზები, ჩრდილოეთის მთის მხრიდანაც შეესივნენ იმჟამინდელი სამეგრელოს მთიან მხარეებს. ამიტომაც ლევან მეორე დადიანმა და იქაურმა ეპისკოპოსებმა ააშენეს უზარმაზარი დამცავი კედელი, რომელიც ანაკოფიიდან, კელასურიდან, ენგურამდე იყო გადაჭიმული. ამ მომხვდურებს ხალხი უკვე აფხაზებს უწოდებდა, რადგანაც აფსუა ჩერქეზები უკვე კოდორს იქით მცხოვრებ მკვიდრ აფხაზებს შეერივნენ, დასახლდნენ იმ მიწა-წყალზე, ანუ აფხაზეთში. ამ მიწის მცხოვრებლებს კი აფხაზი ერქვათ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

ლეონ პირველი – ერისთავი აფხაზთა (გარდ.786).

მეფეები:

1. ლეონ მეორე (786–800 წწ).
2. თეოდოს პირველი (800-825 წწ).
3. დემეტრე მეორე (825–861 წწ).
4. გიორგი პირველი აღწოფელი (861–868 წწ).
5. იოანე შავლიანი (868–880 წწ).
6. ადარნასი შავლიანი (880–887 წწ).
7. ბაგრატ პირველი (887–893 წწ).
8. კონსტანტინე (893–922 წწ).
9. გიორგი მეორე (922–957 წწ).
10. ლეონ მეორე (957–967 წწ).
11. დემეტრე მესამე (967–975 წწ).
12. თეოდოს მეორე (976–978 წწ).
13. ბაგრატ მესამე (978–1014 წწ).– გაერთიანებული საქართველოს მეფე.

„ყვა“ და „ფსა“ ს. ჯანაშიას მიხედვით

„ს. ჯანაშიას მტკიცებით, “ „ყვა“- ზე (მდ. აგიდაყვა, მდ. აჭყვა, მდ. მალთაყვა, ბოყვა, აბჟაყვა, ბერეყვა და სხვა) და „ფსა“-ზე (სუფსა და სხვ.) დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისა არიან“ (შ. მესხია, სიმონ ჯანაშია, 1950, გვ. 45).

http://iberiana.vordress.com/afxazeti/b–tavadze/

ბიძინა თავაძე წერს: „ქართველოლოგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე დიდმა ქართველმა მეცნიერებმა სიმონ ჯანაშიამ და არნოლდ ჩიქობავამ გამოთქვეს მოსაზრება და მეცნიერებაში დაამკვიდრეს ვარაუდი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული – ფს – და – ყვა კომპლექსებიანი სახელები (ტოპონიმები) ადიღეური წარმომავლობის უნდა იყოს და ადასტურებს დასავლეთ საქართველოში ქართველების მოსვლამდე ადიღეური მოდგმის ტომების ბინადრობას. ე. ი. დასავლეთ საქართველოში პირველადი აბორიგენები უნდა ყოფილიყვნენ ადიღეური მოდგმის ტომები. ერთერთ ნაშრომში ბ-ნი არნოლდ ჩიქობავა პირდაპირ წერს, რომ დასავლეთ საქართველოში ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ ადიღეური მოდგმის ტომებიო. აქ, რასაკვირველია, პირველ რიგში, გულისხმობდა აფსუებს, დღეს აფხაზებად წოდებულს“

http//www.amsi.ge /istoria/div/VIVAT–HISTORIA.pdf.

ის განაგრძობს: **„ვარაუდის დონეზე** გამოთქმულმა ამ დაუსაბუთებელმა მოსაზრებებმა დიდი უბედურება და აუნაზღაურებელი ზიანი და ზარალი მოგვაყენა, რადგან იგი კარგად და მარჯვედ აიტაცეს და გამოიყენეს იმპერიულმა ძალებმა, რომელთაც რუსი და აფსუა ვაიისტორიკოსებისა და ზოგიერთი ქართველი პროაფსუური ორიენტაციის ვაიმეცნიერის წყალობით, გააყალბეს რა საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ათეული წლების განმავლობაში წარმოებული მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით, აფხაზეთის აბორიგენი ტომის აფსუების დაცვის საბაბით, მიიტაცეს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხე, აფხაზეთი. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრმა ქართველმა მეცნიერმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ირწმუნა – ფს – და – ყვა კომპლექსების ადიღეური წარმომავლობის ჰიპოთეზა და, ნებსით თუ უნებლიედ, ათეული წლების განმავლობაში წყალი ასხა მტრის წისქვილზე. სამწუხაროდ, ნაწილმა დუმილი ამჯობინა, ხოლო ვინც ხმა ამოიღო (მაგ. ბ-ნი პავლე ინგოროყვა და ზოგიერთი სხვა) ლამის ჯვარს აცვეს და, ამგვარად, ათეული წლების მანძილზე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული – ფს – და – ყვა კომპლექსებიანი ტოპონიმები ადიღეური ტომების კუთვნილება იყო. და, აი, ამ კომპლექსებმა ლამის დააკომპლექსა ქართველოლოგია, მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა მისი განვითარება, ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის უღვთოდ გაყალბებას, რაც დღემდე გრძელდება საკმაოდ ფართო მასშტაბით და რაც შემდგომში ტერიტორიების მიტაცებას დაედო საფუძვლად“.

http://www.amsi.ge /istoria/div/VIVA HISTORIA.gdf

მკვლევარი წერს: „ჯანაშიას დაევალა საქართველოში აფსუებისათვის მოენახა ადგილი.

და „მონახა“ კიდეც. შდრ. ორჯონიკიძეს დაავალეს ოსებისათვის ოლქის შექმნა საქართველოში.

ამ ტომებს ასევე შეუქმნეს მეგრულ-ქართული კულტურიდან ზოგი რამ, მაგალითად, მრავალხმიანი სიმღერები და ქართული ცეკვები, რაც მონათლეს აფსუურად, ოსურად, არადა მათ ძირითად ტომებს (აბაზა-ალან-ოსებს) ასეთი რამ არ ჰქონდათ, და თუ აქვთ, ამასწინ შექმნეს. ხანდახან ქართველური მატერიალური მასალა აფსუიზაციას განიცდიდა და შემდეგ ქართველურს უბრუნდებოდა.

მაგალითად, ჯიმ-კაკილი („დანაყული მარილი“, მეგრულად), საიდანაცაა აფსუური აჯიკა. თქვენს მიერ მოტანილი ჰიდრო-ტოპონიმიკური მასალა ცნობილია და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დღევანდელი აფსუური ენა ხელოვნურადაა შექმნილი XIV საუკუნიდან ადგილობრივი ზანურისა და მოსული აბაზურის აღრევის ბაზაზე. ამას დაემატა ქართული ფორმებიც, სამეურნეო, ქრისტიანული, კულტურული, უფრო გვიან კი რუსული ფორმებიც შეითვისა აფსუურმა ენამ“.

This post has been edited by **badriko** on12 Jun 2010, 15:42

https://www.gogle.ge/search?source=hp&ɡei=ibEAWvnnCILO6ATx–5iLAw&q=This+post+has+been+edited+by+badriko+on+12+Jun+2010%2G+15%3A42=This

საბჭოთა ეპოქაში გავრცელდა და ამჟამადაც გაბატონებულია მტკიცება, რომ აფსუები არიან იგივე პროტოკოლხები , ავტოქტონი მოსახლეობა

http://club.politforumi.com/indeqx.php?s=9f9a12ec1b2df3236278აე1ბ1029753e&showtopic=4489-&st=80&p=147237&№entryɡ147237

ძველი კოლხიდის მკვიდრი მოსახლეობა რუსული და სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მიხედვით

https://www.proza. /2013/12/10/1533

К этнической идентификации закавказских Лазов!

Леонид Колбая

რუსულ-აფსუური ინტერნეტგვერდის მტკიცებით – კოლხები – ადიღეური ხალხი იყო და დასავლეთ საქართველოს თავდაპირველი მოსახლეობა თურმე ადიღე-ჩერქეზული იყო. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში ისტორიულად, მეგრელები კი არ ცხოვრობდნენ თურმე, არამედ ადიღე-აფხაზები.

მოსკოვურ მნიშვნელოვან რუსულ გამოცემაში აფსუათა ერთერთი იდეოლოგი ყოლბაია ამტკიცებს, რომ სამეგრელო – ადიღეთა უძველესი მიწა-წყალია, სადაც თითქოს შემდგომში ჩასახლდნენ მეგრელები.

მისი „კვლევით“, სამეგრელოში თავდაპირველად ჯიქები სახლობდნენ და არა მეგრელები. ჯიქები კი ადიღეველები იყვნენო,– ამტკიცებს ის, სამეგრე-

ლოში მეგრელები მე-2 საუკუნეში ჩასახლდნენო და კოლხები ადიღეველები იყვნენო.

მისი დასკვნა ასეთია: исконными насельниками древней Колхиды являются именно абхазо-адыгские племена! в нынешней Мингрелии проживало древнее абхазо-адыгское племя зиков (зигов = зиков = джиков), а – не мегрелов!

https://www.proza.ru /2013/12/10/1533

ლეონიდ ყოლბაიას სიტყვით, კოლხეთის უძველესი მკვიდრი მოსახლეობა აფხაზურ – ადიღეური იყო. შემდეგში, 1-მე-2 საუკუნეებში, კოლხეთში გამოჩნდნენ ლაზები. არაბობის დროს ლაზური სოფლები დაიფერფლა. მათ ნასახლარებში ჩასახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოსული ქართველები. ასე გაჩნდა, მისი სიტყვით, იმერეთ-გურია-აჭარა. შემდეგში, მე-8 საუკუნისათვის, აქ აფხაზთა (ე.ი. ადიღეთა) სამეფო აღსდგა.

ასე, რომ, მისი სიტყვით, დასავლეთ საქართველო მუდამ აფხაზურ – ადიღეური ქვეყანა იყო და აქ ქართველები (ლაზ-მეგრელების ჩათვლით) მოგვიანებით ჩასახლდნენო.

не ранее 2 в.до н.э. лазы заняли место колхов в Западной Грузии, «Абхазы генетически связываются с античными колхами, жившими в Закавказье…».

ის, რასაც ყოლბაია ამტკიცებს, უკვე დაბეჭდილია ქართულ გამოცემებში.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმადაც, დასავლეთ საქართველო თავდაპირველად ადიღეური ტომებით იყო დასახლებული, „ყვა“ და „ფსა“ ფუძეებით (ძირებით) ნაწარმოები ტოპონიმების ჩვენებათა მიხედვით.

ანგარიში არ ეწევა იმას, რომ მრავალი მკვლევარის კვლევით, ეს ფუძე ძირები სინამდვილეში ქართულია და არა ადიღეური.

Известно, что в прибрежных районах центральной Колхиды лазы появляются на где-то рубеже новой эры... В VIII веке, после опустошения Колхиды – Лазики арабами (поход Мурвана Кру и др.), в восточную её часть началось массовое переселение из Картли предков современных имеретин и гурийцев, основавших на колхско – лазских пепелищах новые посёлки.«Именно в результате миграции картвелов в Колхиду и форсирования Сурамского хребта в период между VIII и XI веками собственно карты-картлийцы-картвелы раскололи лазо-мегрельскую этническую общность и образовали Имеретию, Гурию, Аджарию…2

ოფიციალური რუსი და ქართველი ისტორიკოსების აზრით, სრული ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ დასავლეთ საქართველო („კოლხიდა“) ადიღეური ტომების თავდაპირველი ქვეყანაა და აქ არავითარი უფლება არ გააჩნდა შემდეგ ჩასახლებულ მეგრელებს და, საერთოდ, ქართველებს, მაგრამ, წერს ყოლბაია, სტალინისა და ბერიას ეპოქაში გეოპოლიტიკური ამბიციების მქონე ქართველმა ისტორიკოსებმა შეთხზეს თეორია, თითქოსდა ქართველური ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოში.

Вот, по сути, откуда берут начало всевозможные ложные измышления грузинских историков «патриотов», в основном советской и постсоветской эпохи, Стоящие за грузинскими историками их политиканы – соотечественники, никак не могут согласиться с тем историческим фактом, что исконными насельниками древней Колхиды являются именно абхазо-адыгские племена! сталинско-берьевскую эпоху геополитических амбиций, которые по инерции, вопреки уже здравому рассудку и жизненным интересам относительно присутствия картвельских племён на территории Колхиды с древнейших времён, имеющие явно геополитическую природу и колонизаторскую направленность амбициозных политиков Грузии! своего народа, не прекращают безнадёжные измышления и провокации!

აფსუები („აფხაზები“) ჩრდილო კავკასიაში ადიღების გვერდით

აფსუების თავდაპირველი საცხოვრისი, რომ ჩრდილო კავკასიაა და მხოლოდ შემდეგ ჩასახლდნენ ისინი აფხაზეთში, ამას მიუთითებს ის ფაქტებიც, რომ აფსუათა ენა ჩრდილო კავკასიაში ჰქონდა ასევე სხვა მათ თანამეტომეებს ვიდრე ტუაფსემდე, ევლია ჩელების დროს მათ უკვე ათვისებული ჰქონდათ მიწა-წყალი ვიდრე სამეგრელოს იმჟამინდელ საზღვრამდე,მდინარე კოდორამდე. «На северо-западе пространство до Хамыш (Хоста) населяло абхазское племя садзы (точнее – асадзуаа или асадзкуа), которое известно также под именем джигетов. Садзы-джигеты», – писал Ф.Ф.Торнау, – «одноплеменное с абхазами, говорящее с ними одним и тем же языком без всякого приметного изменения».1 «Об этом свидетельствуют… многие топоними ческие термины интересующего района, этимологизируемые на основе абхазского языка»,– отмечает Ш.Д.Инал-ипа.

«Итальянский путешественник первой четверти XVII в. Джованни сообщает, что в то время абхазские поселения тянулись на север до мыса Кодош близ Туапсе, за которым уже начинались адыгские земли. Эвлия Челеби (40-е гг. XVII в.) также свидетельствует, что этническая граница между абхазами и приморскими адыгами проходила в районе того же Кодошского сектора.

В 20-х гг. XVII в. Главани Ксаверио указывает, что абхазы проживали даже до Суджук-Кале (в районе нынешнего Новороссийска!). На это же указывает и автор середины XVIII в. Пейсонель.

https://www.proza.ru/2013/12/10/1533

აფსუების გადაადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ

Н. Я. Марр по поводу абхазских топонимов Причерноморского побережья отмечал (цитирую): «Постепенно абхазы оттеснялись не только с севера на юг, но и от моря в горы, и оторвано от абхазского населения лежат те приморские пункты, местные названия которых, будучи исконного происхождения, находят своё объяснение в абхазском лингвистическом материале».

https://www.proza.ru /2013/12/10/1533

ნ. მარის ცნობით, ჩრდილო კავკასიაში უამრავი „აფხაზური“ ტოპონიმებია, რადგანაც აფხაზეთში ჩასახლებამდე აფსუები ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ.

ჩრდილოკავკასიის ტოპონიმები აჩვენებს, რომ აფსუები გადმოსახლდნენ ჩრდილო კავკასიისდან სამხრეთის, ანუ აფხაზეთის მიმართულებით. ამავე დროს ისინი აფხაზეთს უტევდნენ ორი მიმართულებით – ზღვისპირეთიდან და მთების მხრიდან.

საბოლოოდ, ადიღე-აფსუებმა ძირითადად ჩრდილოკავკასიის მთების მხრიდან შეუტიეს იმჟამად სამეგრელოში შემავალ, კოდორის მარცხნივ მდებარე მოქვის, დრანდის და ბედიის საეპისკოპოსოთა მრევლს, რომელიც თავს იცავდა. მათ დასაცავად, ვახუშტისა და სხვათა ცნობით, ლევან მეორე დადიანმა და ამ საეპისკოპოსოებმა ააგეს გრანდიოზული თავდაცვთი სისტემა – ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედელი“.

ისტორიულ სამეგრელოში ადიღების ჩასახლება

სამეგრელო ადიღე-აფსუათა შემოსევის წინ, არქანჯელო ლამბერტის აღწერით

ადიღე-ჩერქეზების შემოსევის წინ სამეგრელოს მართავდა მთავარი ლევან მეორე დადიანი. მის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იტალიელი ეთნოგრაფი არქანჯელო ლამბერტი. ის XVII საუკუნის შუა წლებში იტალიიდან ჩამოვიდა საქართველოში და აქ თვრამეტი წელი იცხოვრა. ლამბერტი იყო დაკვირვების უნარით დაჯილდოებული მწერალი. 1633 წელს ქართლიდან გადავიდა სამეგრელოში და 1654 წელს დაბრუნდა იტალიაში, ნეაპოლში.

ლამბერტი პირადად იცნობდა ლევან II დადიანს. ამიტომ პირუთვნელად დაახასიათა და აღწერა მისი სამთავრო სამეგრელო. მის დროს სამეგრელო ჯერ კიდევ თავის ისტორიულ საზღვრებში იყო მოქცეული. იმჟამად სამეგრელოსა და აფხაზეთს ერთმანეთისაგან ყოფდა არა მდინარე ენგური, არამედ მდინარე კოდორი.

„საზღვარი ამ ორ სამთავროს შორის იყო მდინარე, რომელიც იწოდება კოდორად „ (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011 წელი, გვ. 23).

შესაბამისად, ლამბერტის სიტყვით, მდინარეები: მოქვისწყალი, ეგრისწყალი, მდ. ოქუმი და მდ. ენგური სამეგრელოს მიწა-წყალზე მიედინებოდნენ. მათ გარდა, სამეგრელოს მდინარეები იყვნენ ასევე ჭანისწყალი, ხობისწყალი, ტეხური და აბაშა, რიონი და ცხენისწყალი (გურიისა და იმერეთის საზღვარზე).

არქანჯელო ლამბერტი თავის ევროპელ მკითხველს წმ. ბიბლიის მიხედვით მიანიშნებს, რომ სამეგრელო არარატის მთის მახლობელ რეგიონში მდებარეობდა.

თავის მხრივ, ის არარატის რეგიონს ქართველებთან აკავშირებს. მას მოჰყავს წმიდა ეპიფანეს წიგნის „პანარიონის“ დასაწყისში ნათქვამი, რომ წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი გაჩერდა არარატის მთიანეთში, რომელიც იმჟამად ქართველთა ქვეყნის (ჩარდიენსიუმ) შუაგულს წარმოადგენდა. ლამბერტი აღტაცებით აღნიშნავს, რომ დღესაც ქართველებს ეს სახელი კარდი, ქართუელი ჰქვიათ (ჩარდი-ცარდუელი-კარტუელი).

ლამბერტი წერს, რომ დაბადების ბერძნულ ტექსტში (დაბ. IX, 20) ნათქვამია: „ნოე – ანდროპოს გეორგიოს“ ანუ „ნოე გეორგიის კაცი“.

მისი სიტყვით, „გეორგიის კაცი“ ნოეს იმიტომ ეწოდა, რომ მისი კიდობანი გაჩერდა ქართველთა ქვეყანაში, ანუ გეორგიაში, სადაც კიდობნიდან ოჯახთან ერთად გადმოსულმა ნოემ ვენახი გააშენა. სამეგრელო იყო ამ „გეორგიის“ ერთი ნაწილი, რადგანაც, მისი აღწერით, საქართველო თავდაპირველად იყო ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო. მხოლოდ შინაგანი განხეთქილების შედეგად, ლამბერტამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ლევან II-ის პაპის მამა განუდგა ერთიანი საქართველოს მეფეს და ასე ჩამოყალიბდა სამეგრელოს სამთავრო.

არარატის მთა, როგორც აღინიშნა, ყოფილა სომხეთისა და ქართველთა ქვეყნის შუა. კერძოდ, ლამბერტი წერს: **„ეს ამბავი შეიძლება დავასაბუთოდ წმიდა ეპიფანეს მოწმობით. ეს წმიდანი თავის წიგნის, „პანარიონის“ დასაწყისში, როცა ნოეს შესახებ ამბობს, შემდეგს წერს: „როცა წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი გაჩერდა არარატის მთებზე, სომეხთა (armenioum) და ქართველთა (cardiensium) ქვეყნის შუა, ლუბარად წოდებულ მთაზე, გაჩნდა პირველ ადამიანთა საცხოვრებელი და იქ დარგო წინასწარმეტყველმა ნოემ ვენახი და შეიქმნა იქაური ბინადარიო. აქ შესანიშნავია შემდეგი სიტყვები ეპიფანესი: სომეხთა და ქართველთა ქვეყნის შუა ამ ქვეყანას დღესაც კარდი ჰქვიან. მკვიდრნი კი თავიანთ თავს უწოდებენ ქართველებს (ცარდიენს), ეს კუთხე არის საქართველოს (გიორგია) ერთი ნაწილი“** (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 23).

ლამბერტის სიტყვით, კიდობდნიდან გადმოსულები თავდაპირველად დასახლებულან არარატთან მდებარე ქართველთა ქვეყნის მთაზე, რომელსაც „ლუბარი“ ერქვა. ამ ცნობას შეესაბამება ევსევი კესარიელის მიერ მოყვანილი მეგასთენეს ცნობა, რომ პონტოსპირეთში ნაბუქოდონოსორს იბერიელები ჩაუ-

სახლებია „ლიბიის“ ქვეყნიდან. აქ „ლიბიის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბასთან, ანუ არარატის მახლობლად მდებარე ძველი ქვეყანა ლუბია (ლუვია). მისგან უნდა იყოს მიღებული ლამბერტის და ეპიფანეს მიერ ნახსენები სახელი „ლუბარი“ (ე.ი. ლუბარი ერქვა ქართველთა (კარდი) ქვეყნის ერთ-ერთ მთას ან მთიან ოლქს).

არქანჯელო ლამბერტი კავკასიას ერთიანი ქართული კულტურის სფეროში მოიაზრებს. მაგალითად, ის თავის თხზულებაში ხშირად აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველო და ჩრდილო კავკასია, ყირიმის ქალაქ კაფამდე, სამხრეთ საქართველო არზრუმის ჩათვლით, ასევე მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ვიდრე თავრიზამდე, ქართული კულტურის, განათლებისა და წიგნიერების სფეროს წარმოადგენდა.

მისი მტკიცებით, **საქართველოს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აღწევდა „კაფამდე, რომელიც ხერსონესშია“ (გვ. 29), ანუ საქართველოს საზღვარი ყირიმამდე აღწევდა, სამხრეთით კი საქართველოს საზღვარი გადიოდა არზრუმთან. „არზრუმის ქალაქის მახლობლად ახლაც მოიპოვება ქართული სოფლები, უწინდელ დროში თვით ამ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი არზრუმელად წოდებული“** (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011 წელი, გვ. 29).

ის აგრძელებს: **„კოლხიდის გარეთ, აფხაზების და ჯიქების ქვეყნებში, მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულები და ქართულის ზედ წარწერებით. მაგალითად, ანაკოფიაში და ბიჭვინთაში არის კოლხიდის, გურიის და იმერეთის პატრიარქის საჯდომი“.**

ის იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაც ქართველთა ქვეყნის ძველი საზღვრის აღწერას და წერს: **„ირანის მხრითც, თვით თავრიზამდი, როგორც ქართული ეკლესიების, ისე ქართული სოფლების ცხადი კვალი დღესაც ჩანს“**(არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011 წელი, გვ. 30).

ამავე არეალზე, ლამბერტის ცნობიდან გამომდინარე, კაფადან თავრიზამდე და არზრუმამდე, ვრცელდებოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია და გამოიყენებოდა ქართული ენა.

ის გულისხმობს ძველ ქართულ ენას, რომელიც გამოიყენებოდა ღვთისმსახურების დროს და მიაჩნია, რომ ქართული ენა იყო სამეგრელოსა და მიმდებარე კუთხეების მოსახლეობის „ძველი, წმიდა ენა“.

ის წერს: **სამეგრელოში მოიხმარება „ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათი ნამდვილი ძველებური და წმიდა ენით. ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური ლათინურისაგან განირჩევა“** (ა. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ 185).

არქანჯელო ლამბერტი მიიჩნევდა, რომ მისი დროის იტალიაში არსებული კილოკავები და დიალექტები წარმოშობილი იყო ლათინური ენისაგან, რაც დადასტურებული არის თანამედროვე ლინგვისტების მიერაც.

ისევე, როგორც მისი დროის იტალიური დიალექტები წარმოშობილი იყო ერთი ფუძე – ლათინური ენიდან, ასევე, ა. ლამბერტის აზრით, ქართული

დიალექტები, მათ შორის **მეგრული, წარმოშობილი იყო ერთი ფუძე – ქართული, ანუ ძველი ქართული ენიდან,** რომელსაც, როგორც აღინიშნა, ა. ლამბერტი უწოდებდა „ამ ხალხის ძველ და წმინდა ენას“.

ის აღნიშნავს, რომ ჩრდილო კავკასიაშიც ერთ დროს ქართული კულტურა იყო გავრცელებული, თავის ამ მოსაზრებას ასე ადასტურებს: **„კოლხიდის გარეთ აფხაზეთისა და ჯიქების ქვეყნებში მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულები და ქართულის ზედ წარწერებით, ირანის მხრითაც თვით თავრიზამდი, როგორც ქართული ეკლესიების, ისე ქართული სოფლების ცხადი კვალი დღესაც ჩანს“** (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 30).

ლამბერტი ასევე აღნიშნავს, რომ ქართველებს ოდესღაც ჰქონდათ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, რომლის მეფესაც მრავალი მოხელე ყავდა, „რომელთა რიცხვშიც დადიანიც იყო“ (იქვე, გვ. 29).

ძველი დადიანების შთამომავალ ლევან დადიანს ლამბერტი ასე ახასიათებს: „ის ევროპაში რომ აღზრდილიყო საუკეთესო მასწავლებლების მიერ, მას ვერც ერთი მთავარი ვერ აჯობებდა, რადგანაც საუკეთესო მასწავლებლების გარეშეც მისი ზნე-ჩვეულებები ძალზე საქებია, მისი უსაქმურად ნახვა შეუძლებელია. პირიქით, მუდამ შრომობს ან ვარჯიშობს, ლაშქრობის დროს არის მარდი, ჩუმი და მხნე. ამიტომაც ყველა ომში იმარჯვებს. ის ძალზე უყვართ თავის ქვეშევდრომებს და ყველას ეხმარება გასაჭირის დროს. ტკბილად და ზრდილობიანად ექცევა თავის ჯარისკაცებს და ყველას ისე უყვარს თავისი მთავარი, რომ მისთვის სიცოცხლესაც კი გაწირავენ. ჭამის დროს არის ძალზედ ზომიერი, ღვინით არასოდეს თვრება, სიმთვრალე ამ ქვეყანაში ნაკლოვანებად ითვლება“.

ლევანს მეხსიერება აქვს ძალზედ ძლიერი, არაფერი ავიწყდება, ახსოვს ყველა ხელშეკრულებისა და მოლაპარაკებების უმცირესი დეტალიც კი. მათ იხსენებს მრავალი წლის, ექვსი და შვიდი წლის შემდეგაც.

მისი სიტყვით, ისაიას წიგნის მიხედვით, ისრაელის ძველი მთავრების მოვალეობა იყო ეზრუნა თავისი ხალხის საზრდოსა, ტანსაცმელისა და მკურნალობისათვის. ეს თვისებები შემორჩენილია სამეგრელოს სამთავროში ლევან II დადიანის კარზე.

თვითონ ლევანი კითხულობს სხვადასხვა საექიმო წიგნებს, რომელიც გადათარგმნილია ლათინურიდან მათ ენაზე (იქვე, გვ. 45).

როცა ლამბერტი წერს: „წიგნები გადმოთარგმნილია მათ ენაზე“ გულისხმობს ქართულ ენას, ქართულს ის უწოდებს სამეგრელოს მოსახლეობის ენას. ამავე წიგნში სხვაგანაც აღნიშნავს, რომ სამეგრელოს მოსახლეობის მწიგნობრობის ენა არის ქართული ენა.

ლამბერტი აღნიშნავს, რომ ლევანი საექიმო და სამკურნალო წიგნების მიხედვით თვითონვე თავისი ხელით ამზადებდა მრავალ წამალს და მათ ყუთებით დაატარებდა ყველგან მოსახლეობის მონახულების დროს და, თავის მხრივ, ხალხიც დიდი სიხარულით იღებდა ამ სამკურნალო წამლებს.

რაც შეეხება ლევანის მოგზაურობას თავის სამთავროში, ის მუდამ მგზავრობდა ერთი სასახლიდან მეორეში, სასახლეები კი სამთავროს ყველა რეგიო-

ნში ჰქონდა, მათი რიცხვი მრავალ ათეულს აჭარბებდა. ლამბერტისავე სიტყვით, 50-ზე მეტი სასახლე ჰქონდა სამთავროს სხვადასხვა კუთხეში.

ლამბერტი ასევე აღნიშნავს, რომ ლევანი ყველას აპურებდა, ვისაც კი ხვდებოდა თავისი მოგზაურობის დროს, ხოლო მის სასახლეში უფასოდ ურიგებდნენ საზრდელს ყველა სტუმარს, ვინც კი მივიდოდა მის კარზე, თუნდაც უცხოს. „ყველას, ვისაც კი ხვდება, მის სასახლეში უფასოდ ურიგდება საზრდელი. ვინც კი მივა, კარის კაცი თუ უცხო ვინმე, მაშინვე მას თავის ულუფას მიართმევენ, სუფრაზე სტუმრებს თავის ხელით სთავაზობს საჭმელს, ისე რომ მას არაფერი რჩება, კონსტანტინეპოლიდან და ირანიდან საგანგებოდ მისთვის ჩამოაქვთ ქსოვილები, რომელთაც ის ურიგებს თავის კარისკაცებსა და სხვებს. დადიანი ძალზე მოყვარული არის მართლმსაჯულებისა. აღკვეთა ქურდობა და მტაცებლობა, ყველანი დაუმორჩილა კანონებს“ (იქვე, გვ. 48).

ლამბერტი აგრძელებს ლევან II დადიანის დახასიათებას: „აუჩქარებელია, მოფერებითა და წყალობით ცდილობს მოიგოს მტრის გული და არ ფიქრობს მის დასჯას იქამდე, სანამ არ დარწმუნდება, რომ მის სიკეთეს შედეგი არ მოაქვს. თავის სამთავრო განაახლა ვაჭრობით, მფარველობს ვაჭრებს, რომლებიც აქ არიან, სომხები და ებრაელები. აძლევს მათ ფულსა და ტრანსპორტს, და აგზავნის მათ სავაჭროდ ირანსა და თურქეთში, უცხოეთიდან იზიდავს ხელოსნებს, და აძლევს მათ სახლსა და მიწა ადგილს“ (იქვე, გვ. 48).

„ღვთისმსახურებისა და ეკლესიის საქმეშიც გამოიჩინა დადიანმა თავი, არ არის ოდიშში ახლა არცერთი ეკლესია, სადაც მისი ღვთის მოყვარეობის ნიშანი არ იყოს, რომელიც დანგრეული ეკლესია იყო, ხელახლა ააშენა, რომელსაც სახურავი არ ქონდა, იმას სახურავი გაუკეთა, რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო, ამასთანავე, ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი, უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატები გააკეთებინა თვალმარგალიტებით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი ყავდა, რომელნიც განუწყვეტლივ აკეთებდნენ საეკლესიო ჭურჭელს“ (ა. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 49).

ლევანს თავისი სამთავროს უმთავრესი ეკლესიისათვის მოუმზადებია ხელოვნებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ძვირფასი ბარძიმი, ასევე ბაჯაღლო ოქროსაგან დამზადებული ძვირფასი ქვებით შემკული ღვთისმშობლის ხატი, ასეთივე საგანძური დადიანმა თავის სამთავროს ყველა ეკლესიას დაურიგა.

მისი მთავრობის დროს სამეგრელოს სამთავრო ძალზე გაძლიერდა, მაგრამ მისმა ოჯახურმა ტრაგედიამ დაამხო ეს სამთავრო. მასთან ერთად შეცვალა და დაამცრო საქართველოს საზღვრები ამ მხარეში. კერძოდ, ამ ტრაგედიის შემდეგ საზღვარმა მდინარე კოდორიდან გადმოინაცვლა მდინარე ენგურზე. საქართველომ დაკარგა მდინარე კოდორზე მდებარე დრანდის ღვთისმშობლის სახელობის საეპისკოპოსო კათედრა. აფხაზების შემოსევების გამო დრანდის ეპარქია გაუქმდა, ასევე გაუქმდა ღვთისმშობლის სახელობის მოქვის საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც, ლამბერტის სიტყვით, მდებარეობდა ორ მდინარეს შუა, ფართო ვაკეზე. მესამე საეპისკოპოსო ცენტრი, რომელიც და-

კარგა საქართველოს ეკლესიამ, იყო ბედიის საეპისკოპოსო კათედრა, ის აგებული ყოფილა გორაკზე და იყო ასევე ღვთისმშობლის სახელობისა.

ეს ოჯახური ტრაგედია კი შემდეგი ყოფილა: ლევან II დადიანი სამთავრო ტახტზე ასულა 14 წლის ასაკში. ნადირობისას მამის გარდაცვალების შემდეგ მას აღმზრდელად და მზრუნველად დაუნიშნეს თავისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი, ასაკოვანი კაცი, რომელსაც ცოლად ჰყოლია ოდიშის პირველი თავადების ჭილაძეების ქალი, დარეჯანი, ძალზე ლამაზი და ახალგაზრდა. ლევანი და ის ქალი ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ერთმანეთის საყვარლებად იქცნენ. მეორე მხრივ, ლევან II დადიანის ცოლს, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეთა ქალს, დაუახლოვდა ლევანის პირველი ვეზირი პაპუნა, რომელიც პირველი პირი იყო სამთავროში. მათი კავშირის შესახებ როცა შეიტყო ლევანმა, საშინლად განრისხდა და დროის შესაბამისად დასაჯა თავის ცოლი. კერძოდ, მოაჭრა ცხვირი და შერცხვენილი წაიყვანა თავის მამასთან აფხაზეთში და იქ მიატოვა. თავის ვეზირი პაპუნა კი დაატუსაღა და გაგზავნა გურიის მთავართან, ვითარცა პატიმარი, თვითონ კი შეირთო თავის ბიძის ლიპარტიანის ცოლი. ამ უზნეო საქციელმა აშალა მთელი სამთავრო, დაირღვა წონასწორობა, დაიწყო ქვეყანაში არეულობა და აჯანყებები. გურიის მთავარი, იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარი ცდილობდნენ გაერთიანებას ლევანის წინააღმდეგ, რასაც თან ერთვოდა შინააშლილობა. ამით განსაკუთრებით ისარგებლეს აფხაზებმა, რომლებიც შეურაცყოფილად თვლიდნენ თავიანთ თავს მთავრის ქალის გამო. „აფხაზები ისე ბრაზმორეულნი იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო თავის ძმისგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომლებიც თითქმის სრულიად გააუქმეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“ (ა. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 43).

იმჟამად, როგორც ითქვა, სამეგრელოს საზღვარი გადიოდა მდინარე კოდორთან. მაშასადამე, ამ დროს კოდორის არეები ააოხრეს აფხაზებმა და იქ მცხოვრები მოსახლეობა, ე.ი. მეგრელები, „აფხაზეთში გადაასახლეს“ ანუ ისინი კოდორის იქით გადაასახლეს (შემდგომი გუდაუთისა და გაგრის რაიონებში).

ვახუშტის ცნობით, ისტორიული აფხაზეთი „ანაკოფიის იქით“ მდებარეობდა. მაშასადამე, იმჟამინდელი აფხაზეთი მოიცავდა მხოლოდ თანამედროვე გუდაუთისა და გაგრის რაიონებსა და სოჭის მიმართულებით მდებარე ჯიქეთს.

მართლაც, ხობის მონასტრის ეკვდერ–საძვალეზე გაკეთებული წარწერიდან ჩანს, რომ „ჯიქეთი“ ერქვა „გაგარისა და უღაღის“ ქვეყანას, ანუ თანამედროვე გაგრისა და სოჭის რაიონებს. ჯიქეთი და აფხაზეთი იმჟამად, მართალია, სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ, მაგრამ საერთოდ, ზოგადად, ჯიქეთსაც აფხაზეთს უწოდებდნენ.

XIV საუკუნის შემდეგ მთლიანად შეიცვალა ჩრდილო კავკასიაში ეთნოდემოგრაფიული სურათი. თემურის ჯარმა ქართული და ასევე საქართველოს სახელმწიფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი, მოსახლეობა მასიუ-

რად ამოჟლიტა, ვინც გადარჩა, ისინი თემურ-ლენგმა და შემდეგ ედიგეიმ, დაუმორჩილეს საგანგებოდ მათ მიერ ჩრდილოკავკასიაში ჩასახლებულ ახალ ხალხებსა და ტომებს. ისინი ჩამოასახლეს ურალისა და ვოლგისპირეთიდან, ასევე ციმბირიდან. ეს ტომები ძირითადად იყვნენ ე.წ სინურ-ციმბირული ენის მატარებლები. ისინი ჩრდილო კავკასიაში შეერივნენ ადგილობრივ კავკასიურ ტომებს. XV–XVIII სს-ში ჩამოყალიბდა ახალი ე.წ. სინო-კავკასიური ენის მატარებელი ხალხები. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი ხალხი ჩრდილოკავკასიაში იყო თემურის ეპოქიდან ჩასახლებული სინო-კავკასიური ენის მატარებელი ადიღე-ჩერქეზული ტომები.

ადიღეველები ჩრდილო კავკასიაში თემურ ლენგმა ჩაასახლა. ამის შემდეგ, მათ თანდათანობით შეძლეს ჰეგემონ – გაბატონებულ ფენად ქცეულიყვნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა, ჯიქეთსა და ასევე აფხაზეთში, მდ. კოდორამდე, ლევანის შემდეგ კი გაბატონდნენ სამეგრელოში მდ. ენგურამდე. სხვადასხვა კულტურისა და მენტალიტეტის მოსახლეობის თავმოყრამ ისტორიული სამეგრელოს მიწ-წყალზე წარმოშვა კონფლიქტები. ლევანის შემდეგ კი საფუძველი დაუდო მთიელების თითქმის ორასწლოვან ომს დანარჩენი სამეგრელოს წინააღმდეგ. დაპყრობილ სამეგრელოსაც (კოდორიდან-ენგურამდე) აფხაზეთი ეწოდა, იქ ჩამოყალიბებულ ახალ ხალხს კი – აფხაზები ქვეყნის სახელის შესაბამისად.

ძველი აფხაზები მეგრულ-სვანური, ახალი აფხაზები კი ადიღეური წარმოშობის ტომები იყვნენ.

კოდორის ჩრდილო-დასავლეთით ადიღე-ჩერქეზული ტომის ჩასახლება XV–XVI საუკუნისათვის უკვე დაწყებული იყო.

ლევანის სიცოცხლეში კოდორის იქითა მთიანეთს ისინი აკონტროლებდნენ, მაგრამ ბიჭვინთა-ანაკოფიის ზღვისპირს ჯერ კიდევ ლევანი აკონტროლებდა სრულად. მისი მიზანი იყო ბიჭვინთის საპატრიარქო კათედრის დაცვა. ბიჭვინთის დაცვა ლევანს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნდა.

კოდორის იქითა ზღვისპირეთს ლევანის სიმამრი, ქართული წარმოშობის აფხაზეთის მთავარი და ასევე ქართველი, ანუ „ძველი აფხაზი“ თავადაზნაურობა ფლობდა. სამეგრელოში მათი წარმომადგენლის, ლევანის ცოლის, გაძევებისა და შეურაცხოფის გამო აღშფოთებული ძველი აფხაზი თავადაზნაურობა შეუკავშირდა ადიღე-ჩერქეზებს, რომელნიც ისედაც მუდამ ცდილობდნენ, როგორმე სამეგრელოს უმდიდრესი საეკლესიო ქონება ჩაეგდოთ ხელში. ამიტომაც სიამოვნებით შეუკავშირდნენ აღშფოთებულებს და დაიწყეს სამეგრელოს საზღვრების რბევა კოდორთან.

ლევან დადიანმა მდინარე კოდორის ხეობის აოხრება არ აპატია აფხაზებს და გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და მალე დაამარცხა ისინი.

ამ დროისათვის ნაწილობრივ უკვე დაწყებული იყო და სამეგრელოსთან ომის პერიოდში ძირითადად ჩამოყალიბდა „ახალი აფხაზი“ ხალხის ჩანასახი ე.წ. „ძველი აფხაზებისა“ და ადიღე-ჩერქეზების ურთიერთშერევით, ასევე ერთმანეთის მიმართ კომპრომისებით. ამ დროს ადიღე-ჩერქეზებმა, ანუ აფსუებმა კოდორის იქითა მთელ ტერიტორიაზე შეძლეს გაბატონება „ძველი აფხა-

ზი“ მთავარ-თავადების ნომინალურ – ფიქტიური მეთაურობით. „ახალ აფხაზეთში“ გაბატონებულ ფენას წარმოადგენდნენ ადიღე-ჩერქეზი მოლაშქრეები. ახალ მასას ქართველები ძველებურად კვლავ „აფხაზებს“ უწოდებდნენ, რადგანაც ისინი აფხაზეთში უკვე დასახლდნენ. აფხაზეთში მოსახლეებს კი აფხაზებს უწოდებდნენ.

კოდორზე დამარცხების შემდეგ აფხაზებმა ლევან II-ს გამოუცხადეს მორჩილება და იტვირთეს ხარკის გადახდა, მაგრამ „რადგანაც ეს ხალხი მოქალაქეობასა და ვაჭრობას მოკლებულია, არც ფული გააჩნია ხარკის გადასახდელად. ამიტომაც დადიანმა მათ ხარკად დაადო რამდენიმე მწევარ – მეძებრისა და მიმინოს გადახდა“ – წერს ლამბერტი.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ გაბედეს აფხაზებმა კვლავ გადმოელახათ მდინარე კოდორი და შემოიჭრნენ სამეგრელოში.

ლევანის სიკვდილის გამო იმდენად დასუსტდა სამეგრელო, რომ სამეგრელოში შემოჭრილ აფხაზებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და აფხაზებმა ზედიზედ დაიპყრეს იმჟამად აყვავებული სამეგრელოს ერთი ნაწილი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაონებს.

ამის გამო სამეგრელ-აფხაზეთის საზღვარმა რამდენიმე ათეულ წელიწადში მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურზე გადაინაცვლა. მართალია, მათ შესაკავებლად ჯერ კიდევ ლევანმა და ასევე მოქვის, დრანდისა და ბედიის ეპისკოპოსებმა ააგეს თითქმის 100 კილომეტრიანი კედელი სამეგრელოს დასაცავად, მაგრამ ის დაძლეული იქნა. ბარბაროსებმა შეძლეს სამეგრელოს საეპისკოპოსოთა გაუქმება, მრევლის ამოწყვეტა და დატყვევება.

იქამდე, ლევანის სიცოცხლეში, სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ოლქად იქცა, რომელმაც შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა გურია, იმერეთი და აფხაზეთი, თუმცა ამისთვის დასჭირდა ხანგრძლივი და სასტიკი ომები ჯერ გურიის სამთავროსთან, შემდეგ კი იმერეთის სამეფოსთან. ამ დროს ამ ომებმა, ლამბერტის სიტყვით „ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალ-ღონით“. (ა. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43). ლევანი ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს მბრძანებელს წარმოადგენდა. თავისი ამ ახალი სტატუსის განსამტკიცებლად მან აფხაზეთშიც ილაშქრა.

არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ სამეგრელოში საზოგადოება იყოფოდა ორ ნაწილად, აზნაურებად და გლეხებად. თავის მხრივ, ისინიც იშლებოდნენ წოდებებად. ესენი იყვნენ თავადები, აზნაურები, ანუ ზინასკუები და ზინაკები, და გლეხები, რომლებიც ასევე ორ ნაწილად იყოფოდნენ, მსახურებად და მოინალეებად

მსახურის, ანუ გლეხის მოვალეობა იყო იმ ბეგარის გადახდა, რაც უძველესი დროიდან მართებდათ თავიანთი ბატონისა. ლამბერტი წერს, რომ „ერთი იოტით მეტს არ გადაიხდიდნენ გლეხები, რაც ჩვეულებით იყო დადებული“.

მსახურის, ანუ გლეხის ბეგარა ბატონის მიმართ შემდეგი სახისა იყო: როგორც წესი, გლეხი რჩებოდა თავის საკუთარ ოჯახში, მაგრამ ბატონის ოჯახში სამსახურისათვის მორიგეობით აგზავნიდა ოჯახის რომელიმე წევრს.

ამასთანავე, მსახურის მოვალეობაში შედიოდა ისიც, რომ ლაშქრობის დროს და ასევე მგზავრობისას თან ხლებოდა ბატონს (ოჯახიდან ერთი წევრი). ასევე მას ევალებოდა ხვნის, თესვისა და მოსავლის აღების დროს სავალდებულოდ დახმარებოდა ბატონს.

გლეხების მეორე ჯგუფს, მოინალეებს, ქონდათ იგივე მდგომარეობა, მაგრამ მათი დამატებითი ვალდებულა შემდეგი იყო: ბატონის მგზავრობისას უნდა ეზიდათ მისი ბარგი და უნდა ეზრუნათ, რომ ზამთრის დროს ცეცხლი არ ჩამქრალიყო, ბატონს ჰქონდა დიდი უფლებები გლეხების მიმართ, კერძოდ, შეეძლო მათი გასამართლება.

ლამბერტის დაკვირვებით, სამეგრელოში მოსახლეობა ზღვის პირზე არ ცხოვრობდა, „ცუდი ჰაერის მიზეზით და მეზობელი ბარბაროზთა შიშით“ (ა. ლამბერტი სამეგრელოს არწერა, 2011, გვ. 55).

ლამბერტის სიტყვით, ლევან დადიანის ორმოცდაათი სასახლიდან გამორჩეული ყოფილა ქვით აგებული ზუგდიდის სასახლე, მოხატული ირანელი მხატვრების მიერ.

ლამბერტის განსაკუთრებით მოწონდა მეგრელთა კარ-მიდამო. ის წერს: „ყოველ მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი და სარეველას ვერ ნახავთ. ყოველი მოსახლე ცდილობს, რომ, რაც შეიძლება, მშვენიერი ღობე გააკეთოს. შესასვლელთან დგამენ დიდ ალაყაფის კარებს, ზედ გამოქანდაკებულია სხვადასხვა სახე, ეზოში რგავენ უმშვენიერეს ხეებს, მცხოვრებნი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ არა სახლებში, არამედ ეზოებში, სეირნობენ, საქმეს აკეთებენ, ეზოში ჭამენ და ძინავთ კიდეც“

ეზოში იდგა რამდენიმე სახლი. ყველაზე დიდ შენობას ერქვა „ოხორი“ რომელიც სტუმრების მისაღებად იყო განკუთვნილი, მეორე შენობა იყო საცხოვრებელი სახლი, მესამე ნაგებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. ეს იყო მარანი. ეზოში მდგარ მეოთხე შენობას ქონდა განსაკუთრებული დანიშნულება. ეს იყო ტანსაცმლის შესანახი შენობა, წარმოადგენდა მტკიცედ აშენებულ ხის მაღალ კოშკს, „სადაც ტანსაცმელს იცავდნენ სინოტივის და ქურდებისგან“.

თავადების ეზოებში აღნიშნულთაგან გარდა ყველაზე საპატიო ადგილზე ასევე იდგა კიდევ ერთი შენობა. ეს იყო პატარა „კარის ეკლესია“.

ლამბერტიმ მიქცია ყურადღება, რომ სამეგრელოში თავადაზნაურობა კარგად იცვამდა. „პერანგს იკერავენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმისაგან, პერანგის ყელი იყო მოქარგული და მასზე მიმაგრებული იყო ძვირფასი ქვები და მარგალიტები. ამის გარდა წვეულებებსა და დღესასწაულებში იცვამდნენ კიდევ უფრო მშვენიერ ტანისამოსს, რომელიც შეკერილი იყო დამასკოს ქსოვილისაგან, ხავერდის ან ფარჩისაგან, მას სარჩულად ედო სიასამურის ტყავი.

ის შემკული იყო ოქროსგან მარგალიტის ღილებით“. ასეთი ტანისამოსი თავადაზნაურს ქონია რამდენიმე ხელი.

ლამბერტი წერს, რომ ქალები კეკლუცობით არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპელ ქალებს, განსაკუთრებით თმის ვარცხნილობით, ქუდებითა და თავსამკაულით. ისინი ფერ-უმარილით თეთრად იღებავდნენ სახეს, იღებავდნენ ასევე წარბებსაც ე.წ. გუნდით, იმავე საღებავით იღებავდნენ წამწამებსაც, გასაოცარია, მაგრამ, ლამბერტის აღწერით, სილამაზის გამო ქალები თვალის გუგებსაც კი იღებავდნენ, „რაღაც საცხებლით იყვითლებენ თვალის გუგებსაც“ (იქვე, გვ. 61).

ასეთი ბედნიერი და ლამაზი ქვეყანა იყო სამეგრელო ლევან დადიანის დროს, მაგრამ მთლიანად შეიცვალა ვითარება მისი გარდაცვალებისთანავე აფსუა – აფხაზების შემოსევებისას, კოდორიდან ზუგდიდამდე.

ლამბერტი აგრძელებს თავის აღწერას და წერს: სამთავროში ყველა მუშაობდა, ყველა ამუშავებდა მიწას, ყველა ფენა და წოდება „მთავრიდან დაწყებული უკანასკნელ მეგრელამდე სიამოვნებით ეტანებიან მიწათმოქმედებას და დიდი გულმოდგინებით ამუშავებენ თავის ყანებს. სამეგრელოში რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ ამუშავებს თავის ყანებს და ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნია“ (იქვე, გვ. 71).

ყანის დათესვის და თოხნის დროს მოსახმარებლად იწვევენ მეზობლებს, რომელთაც თოხნის დრო ჯერ არ დადგომიათ „ნადი შედგება 50 ან 60 ჩარაზმული მთოხნელისგან, მათ თავში ჩაუდგება პატრონი, მღერიან ჩქარი ტემპით, რომლის ხმაზეც ეწყობა თოხნა, როგორც საკრავზე ცეკვა. ამისთვის მთოხნელთა გამწკრივებულ რაზმს თავში ჩაუდგება ორი მომღერალი, რომლებიც სიმღერით აჩქარებენ თოხნის პროცესს. ნადს დღეში სამჯერ აჭმევენ და ვახშმად მიიწვევენ პატრონის ეზოში. ამ დროს მათ საგანგებოდ გაუხსნიან იქამდე დაბეჭდილ ქვევრს. ამ ქვევრის ღვინო შეწირული არის წმიდა გიორგისადმი და იხსნება მაშინ, როცა მარგვლა აქვთ, ან პეტრე-პავლობა დღეს, მარგვლის წინ ამ ქვევრს დიდი ამბით მოხდიან თავს. ამისთვის მარანში მიიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსება საეკლესიო შესამოსლით და ილოცებს, რის შემდეგაც მოხსნის თავს ქვევრს და იქიდან პატარა დოქში გადმოასხავს ღვინოს, რომელსაც გააგზავნის წმიდა გიორგის ეკლესიაში შესაწირავად. დანარჩენ ღვინოს კი პატრონი მოიხმარს“.

მიწათმოქმედებაც, ლამბერტის სიტყვით, საქართველოში იყო ევროპულის მსგავსი, სამეგრელოში პირველ წელიწადს თესავდნენ ღომს, მეორე წელს ფეტვს, მესამე წელს კი პურს. ამის შემდეგ მიწას სამი-ოთხი წლით ასვენებდნენ. ბლომად მოჰყავდათ ღომი და ბრინჯი, ისე ბლომად მოჰყავდათ ბრინჯი, რომ ის გაჰქონდათ თურქეთის გემებს, რომლებიც იქ მოდიოდნენ, ასევე, ლამბერტის სიტყვით, ბლომად მოჰყავდათ ლობიო, ბახჩეული, ხილი და ფხალი.

ნადირობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. თითოეულ თავადს ქონდა თავის საკუთარი სანადირო ტყე, რომელიც ისე იყო დაცული, რომ თვით მთავარსაც კი უფლება არ ჰქონდა იქ, სხვის საკუთრებაში, ნადირობისა. ნადირობის საგანგებო დრო იყო ყველიერი, ირმებზე ნადირობდნენ გაზა-

ფხულზე მხოლოდ ერთი კვირით – ყველიერის დაწყებიდან დიდ მარხვამდე, ასევე შემოდგომით სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე.

ლამბერტი ყურადღებას აქცევს, რომ ლევან II დადიანს, ისევე როგორც თავის დროზე თამარ მეფეს, სიკვდილით არ დაუსჯია არცერთი დამნაშავე უმძიმესი დანაშაულისათვისაც კი, მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა. მან მხოლოდ თავისი ვეზირი დასაჯა ისე, როგორც თამარ მეფის დროს დაისაჯა გუზანი.

ლამბერტი წერს: „მხოლოდ ერთი შემთხვევისათვის მას აქვს დაწესებული სიკვდილით დასჯა, სახელდობრ, ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნივთებს მოიპარავენ ან ეკლესიას გადაწვავენ. სხვა ყოველივე დანაშაულობა შეიძლება მთავარმა აპატიოს ფულის გადახდევინებით ან ვისიმე მფარველობის გამო და, რაც შეეხება მკრეხელობას, ამის ჩამდენი ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ დასჯილი უნდა იქნას სიკვდილით“. (იქვე გვ. 95) (მკრეხელობას უწოდებდნენ ეკლესიის ძარცვას ან შეურაცხოფას).

ლამბერტის სიტყვით, დადიანი იყო მართლმსაჯულების მოყვარული და ყველა დანაშაულს თავის შესაფერის სასჯელს აძლევდა. მაგალითად, ქურდებს ჭრიდნენ ხელს, ფეხს ან ყურს, მკვლელებს ჭრიდნენ ხელს ან აბრმავებდნენ, ასევე ისჯებოდა მეამბოხეც. ცოლ–ქმრული ღალატისათვის აჭრიდნენ ცხვირს. „მეგრელები კი იმით არიან ბედნიერები, რომ მათი მთავარი ყოველთვის და ყოველგან მზად არის, მოისმინოს საჩივარი და მოუძებნოს წამალი თავის ქვეშევრდომთა საჭიროებას. გინდ თათბირობდეს, გინდ ცხენით სეირნობდეს, გინდ გზაში იყოს, გინდ ნადირობდეს და გინდ პურის ჭამად იჯდეს. მთავარი ყოველთვის მოისმენს საქმეს და შესაფერ განჩინებას დასდებს“ (იქვე, გვ. 103).

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში იყო ადვოკატის მსგავსი ინსტიტუტი. მთავარი, ისე, როგორც ყველა, მოვალე იყო, ომში პირადად მიეღო მონაწილეობა. ლევან II-ს ამ „მოვალეობისთვის თავი არასდროს აურიდებია, თვით ავადმყოფობის დროსაც კი. ლევანის ჯარში შედიოდა ოცდა ათიათასიანი ცხენოსანი მეომარი, ნავარჯიშები და გამოცდილი. კანონის მიხედვით, კომლზე ერთი კაცი გამოდიოდა სალაშქროდ, აზნაურობას არ ევალებოდა ომში მონაწილეობა კანონის ძალით, „მაგრამ აზნაურობა უფრო თავისი სურვილით, ვიდრე კანონით სულ ერთიანად გამოდის საომრად, ისე, რომ აზნაურს თუ ხუთი ან ექვსი ვაჟი ყავს, ესენი ყველანი გაჰყვებიან საომრად მთავარს“. (იქვე, გვ. 110).

ომის უფრო მეტი საჭიროების შემთხვევაში კომლზე ორი ან სამი კაცი გაჰყავდა საომრად. ომში მეომრებს ეცვათ საუკეთესო ტანისამოსი: „მშვენიერი ტანისამოსები ისე ბრწყინავენ, როგორც არსად სხვაგან, თვითოეულს მოაქვს ყველა თავის ტანისამოსი და ცდილობს, რომ აქ უფრო კარგად იყოს ჩაცმული, ვიდრე ჩვეულებრივ“. ლამბერტი აგრძელებს და აღწერს, ომის დროს თუ რას იცვამდნენ. ის წერს, რომ აქ ყოველდღე იცვლიან თავიანთ ტანისამოსს. ვისაც ვერცხლეულობა აქვს, ერთიანად მოაქვს: აგრეთვე მოაქვთ საუკეთესო ირანული ხალიჩები, რათა „ამ ხალიჩებზე დღისით დასხდნენ და ღამით დაიძინონ,

პურის ჭამა ამ დროს მეტად მხიარული იციან“ (იქვე, გვ. 111). ასეთი ყოფილა ომისა და ლაშქრობის წესი.

ლამბერტის სიტყვით, მტერთან ბრძოლა ძალზე ხანმოკლე იყო. ის აღწერს შესაბამის მიზეზებს და ამბობს: „მათი ბრძოლა მთავრდება ცხენის ერთი გაჭენებით და სულ გრძელდება მეოთხედი საათის განმავლობაში“ (იქვე, გვ. 112).

როგორც ჩანს, ლამბერტი აღწერს შინაურ ბრძოლებს სამეგრელოსა და იმერეთს შორის ან სამეგრელოსა და გურიას შორის.

ლამბერტი ასევე ეხება საეკლესიო ცხოვრებას. ის წერს, რომ საქართველოში არის ორი კათალიკოსი, ერთი ქართლისა და მეორე, რომელსაც ექვემდებარება ოდიში, იმერეთი, გურია, აფხაზეთი და სვანეთი.

ლამბერტი არ იცნობს სიტყვას „აფხაზეთის კათალიკოსი“ რადგანაც მისთვის აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას კოდორის იქით. მისთვის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი „ოდიშის პირველიერარქი“ იყო, რადგანაც მის ეპოქაში, ლევანის დროს, ოდიში დასავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრი იყო.

ძველად ორივე კათალიკოსს ირჩევდა საქართველოს მეფე, მაგრამ როცა დადიანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მეორე კათალიკოსს სამეგრელოს მთავარი ირჩევდა, ჩანს, სხვა მეფე-მთავრებთან შეთანხმებით.

ლამბერტი წერს: „ოდიშის პატრიარქს თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ყავს, რომ არამც თუ ეთანასწორება მთავარს, არამედ აღემატება კიდეც. პატრიარქი თავის საპატრიარქოს დასახედავად მუდამ დადის, იგი თან წაიყვანს ხოლმე ამალას, რომელიც შედგება 300 კაცისაგან და მეტისაგანაც. ოდიშის ახლანდელი პატრიაქი წმიდა კაცად მიაჩნიათ, ღვთის წინაშე დიდ გულმოდგინებას იჩენს, კაცთა მიმართაც ძლიერ მოწყალეა, ყოველ ღამე უსათუოდ დგება მეტად გრძელ ლოცვაზე, ყვე-ლაზე პირველად ტანს იგი იცვამს და პირველადვე იგი შედის ეკლესიაში, სადაც ატარებს უმეტეს ნაწილს ღამისას და დღისასაც, რაც შეეხება მოყვასისადმი მოწყალებას, იგი ისეთ გულკეთილობას იჩენს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ღარიბი და არც ერთი უბედური, რომ იგი არ იცნობდეს და თავის მოწყალების კალთას არ აფარებდეს. თუ ვინმე ღარიბმა გაიარა როცა იგი პურის ჭამად ზის, მაშინვე დაუძახებს, თავისთან დასვამს და უმეტეს ნაწილს თავის საჭმლისას უთავაზებს. თუ გაიგონა, რომ სადმე საწყალი ავადმყოფი არის, მეტად გაჭირვებულიაო, სხვადასხვა შემწეობას თავისი ხარჯით მიაწოდებს. გარდა ამისა, იმდენად ერთგულია იერუსალიმის წმინდა ადგილისა, რომ სამჯერ იყო მათ სანახავად და ყოველთვის დიდი შეწირულობა წაუღია“.

კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ მდინარე კოდორზე მდებარე დრანდის საეპისკოპოსო აფხაზეთის საზღვარზე, ასევე მოქვისა და ბედიას საეპისკოპოსოები, ასევე ცაიშის, წალენჯიხის და მარტვილის საეპისკოპოსოები, ხოლო ქიაჩის, წიფურიას, ხოფის, ობუჯის, „სებასტოპოლის“ და ანაკლიას საეპისკოპოსოები მონასტრებად იყო გადაკეთებული.

ეპისკოპოსები, ლამბერტის აღწერით, სიმდიდრით და ძალაუფლებით ჯობნიან თითოეულ აქაურ დიდებულს. ფაქტობრივად ეპისკოპოსები მხოლოდ მთავარს ემორჩილებიან. ეპისკოპოსს ისეთი ძალაუფლება აქვს, რომ შეუძლია აზნაურის დაპატიმრება. თუ მღვდელი არ ასრულებს თავის მოვალეობას, ასევე შეუძლია მისი დაპატიმრება და ბორკილებში ჩასმა. ლამბერტი აღწერს ერთ შემთხვევას, როცა ეპისკოპოსის ბრალდებით დააპატიმრეს ერთი მღვდელი, რომელიც დიდ მარხვაში ღამით არ ლოცულობდა. ამით კი წესს არღვევდა, რადგანაც თვით ეპისკოპოსი ეკლესიაში მთელი ღამით ლოცულობდა (იქვე. გვ. 140).

მთავარი დაინტერესებული იყო, რათა ეპისკოპოსს მეტი სიმდიდრე დაეგროვებინა, რადგანაც ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება მთავარს დარჩებოდა.

ლამბერტი აღწერს, რომ ბავშვს ნათლავდნენ 3-4 წლის ასაკში, ნათლობა ხდებოდა მარანში, მირონს ცხებდა თვით ნათლია, იქვე განბანდნენ ბავშვს.

წირვა ეკლესიის გარეთაც შეიძლებოდა შესაფერის ადგილას. ეკლესიაში წირვის დროს საუცხოო სამოსელით წირავდნენ.

სამეგრელოს არც ერთი მცხოვრები არავითარ საქმეს არ დაიწყებდა მღვდლის კურთხევის გარეშე, მისგან იღებდნენ რჩევას.

თუ ვინმე გადაწყვეტდა მონანიებას თავისი რაიმე ცოდვის ან სხვა რაიმეს გამო, წირვას დააყენებინებდა მღვდელს, წირვის დაწყებამდე, როგორც წესი, კლავდნენ რაიმე საქონელს, ცხვარს ან ხარს, ძროხას, ხბოს, ბატკანს ან თიკანს, მღვდელი პირუტყვის თავზე კითხულობდა ლოცვას, რომელშიც მოიხსენებოდა აბელის, აბრაამის, სოლომონისა და სხვების მსხვერპლშეწირვას, ამის შემდეგ მღვდელი ანთებული სანთლით პირუტყვს ხუთ ადგილზე შეუტუსავდა (მოწვავდა) ბალანს, მას სამჯერ შემოატარებდნენ შემომწირველის გარშემო, ამ დროს ყველა ილოცებოდა, ამის შემდეგ მზარეული დაკლავდა პირუტყვს და წყალში მოხარშავდა, ხოლო მღვდელი შეუდგებოდა წირვას. წირვის დასრულების შემდეგ, მიუსხდებოდნენ სუფრას, სადაც ამ ხორცს მიირთმევდნენ, მღვდელს ცალკე სუფრას უშლიდნენ.

მიცვალებულის მგლოვიარობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წირვებსა და ლოცვებს: მაგალითად, მეორმოცე დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვა უნდა შეესრულებინა ადგილობრივ ეპისკოპოსს, რომელსაც წირვის ფასად ერგებოდა ყოველივე ის, რაც კარგი და მშვენიერი ჰქონდა თავის სახმარებლად მიცვალებულს. მართლაც, ეპისკოპოსს მიართმევენ ხოლმე მიცვალებულის საჯდომ ცხენს თავისი საუკეთესო გაწყობილობით. ვერცხლეულობას, ძვირფას ტანსაცმელს და საკმაო ფულსაც, რომელიც „უფრო შეძლებულებთან ადის ხუთის სკუდომდე, თუმცა ზოგიერთებს არ მიაჩნიათ ეპისკოპოსის წირვა საჭიროდ და არც უნდათ, მაგრამ ეპისკოპოსები ძალად სწირავენ და ფასსაც ძალით თხოულობენ, მთავარიც საჩქაროდ აიძულებს ამ ფასის გადახდას, რადგან მისი სარგებელი ამას მოითხოვს. საქმე ის არის, რომ ეპისკოპოსის სიკვილის შემდეგ მთავარს ეკუთვნის მისი მემკვიდრეობა, რომელიც, რასაკვირველია, იმდენად მეტი იქნება, რამდენად

ეპისკოპოსი თავის სიცოცხლეში მეტს იშოვნის. წირვის შემდეგ დიდი ნადიმი გაიმართება, როგორც ეპისკოპოსისა, ისე სხვა სამღვდელოებისათვის და, აგრეთვე, ერისკაცებისათვისაც. ნადიმის შემდეგ საჩუქრებს მიართმევენ არამც თუ ეპისკოპოსს, არამედ ყველა სამღვდელო პირს, რომელნიც წირვაში მონაწილეობას იღებდნენ, ვის სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილის ტანსაცმელს და ვის ფულად, თითოეულის ღირსებისა და მდგომარეობის შესაფერად. დაბალი ხალხისთვის კი, რომელიც ამ დღეს ბლომად იკრიბება, კლავენ უამრავ ხარსა და ძროხას, დაკლულებს რომ მოხარშავენ, მერე ეპისკოპოსს და მღვდლებს აკურთხებინებენ და მერე დაურიგებენ ხალხს, რათა ილოცონ ღვთის წინაშე მიცვალებულის სულისათვის“ – წერს ლამბერტი.

ჩვენ საეკლესიო წყაროებში ხშირად იხსენიება სიტყვა „ნიშანი“. როგორც ლამბერტის ჩვენებიდან ჩანს, ნიშანი ეწოდებოდა მიცვალებულის ტანისამოსს, ცხენს, ან და სხვა მნიშვნელოვან ქონებას, რომელიც უნდა გადასცემოდა მთავარს, ერისთავს ან სხვებს საჩუქრის სახით, კერძოდ, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჭირისუფალი ნიშნავდა საგანგებო დღეს, რომელზეც მთავარს მიიწვევდნენ მიცვალებულის დასატირებლად, ამ დროს ჭირისუფალი დებდა მიცვალებულის „ნიშანს“ რომელზეც იმართებოდა ტირილი, მიცვალებულის მოსახსენიებლად. ასევე მიცვალებულს იხსენიებდნენ აღდგომის მეორე დღეს, სასაფლაოზე სადაც იმართებოდა აღაპი, მღვდლის კურთხევით.

მღვდელი ან ეპისკოპოსი ესწრებოდა ქორწილს, ანუ გვირგვინის კურთხევას, რომელიც ეწყობოდა კარის ეკლესიაში ან მარანში.

მარანს სამეგრელოში და მთელ საქართველოში, ლამბერტის სიტყვით, ეკლესიის მსგავსად სცემდნენ პატივს. ჯვრისწერისას, კერძოდ, შეიმოსებოდა სამღვდელო პირი. რომელიმე ამორჩეული ნათესავი სიძე-პატარძალს შეიყვანდა ეკლესიაში ან მარანში, მათ მიართმევდნენ სანთლებს და მათ უკან ედგა გვირგვინის მტვირთველი. ამის შემდეგ მღვდელი წესის მიხედვით ილოცებდა.

ლევან II დადიანის დროს სამეგრელოს საზღვარი, როგორც ითქვა, კოდორამდე აღწევდა, მაგრამ რადგანაც კოდორის იქით აფხაზეთის მთავარი ლევანს ემორჩილებოდა, ამიტომ ბიჭვინთა თავისი საკათალიკოსო საყდრით ლევანის სრულ მფლობელობაში იყო.

სამეგრელოს სამთავრო იყო სრულებით მოწესრიგებული ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდგომ მოიშალა აფსუა–აფხაზ, ჩერქეზ-ადიღეელთა შემოსევების შედეგად.

ამის გამო სამეგრელომ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი, თავისი ყველაზე აყვავებული მხარე – ენგურსა და კოდორს შორის მოქცეული ტერიტორია, გაუქმდა ბედიის, დრანდის, მოქვის საეიპისკოპოსოები და ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა, კათალიკოსი იძულებული გახდა ის მიეტოვებინა.

მტერმა ამოწყვიტა და დაატყვევა მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ამიტომაც წერდა მისიონერი: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, 40000 კომლიდან 20000 ამოწყვეტილია“ დაიწყო შემოსეულ ადიღე–ჩერქეზებთან (აფსუა –

„აფხაზებთან“) სამეგრელოს ხალხის თითქმის 200 წლიანი თავდაცვითი – სამამულო ომი, რომელსაც მხოლოდ რუხის ციხესიმაგრესთან ომში მოეღო ბოლო იმერეთის მეფე სოლომონის დროს.

ლამბერტი სამეგრელოს აღწერისას მუდამ ცდილობს სამეგრელო წარმოადგინოს ერთიანი ქართული სამყაროს ნაწილად, ის მიიჩნევს, რომ ქართველი ხალხი ნოეს მესამე შვილის იაფეტის შთამომავლობაა.

როგორც უკვე აღინიშნა, მას მიაჩნდა, რომ სამეგრელო მახლობლად მდებარეობდა არარატის მთისა, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი.

„ამ ქვეყანას დღესაც საქართველო ქვია და მკვიდრნი თავის თავს უწოდებენ ქართველებს. ეს კუთხე არის საქართველოს ერთი ნაწილი“ (იქვე, გვ. 28).

წიგნში „სამეგრელოს აღწერა“ აისახება ლამბერტის აზრი, რომ ქართველობა იყო უძველესი, ნოეს ეპოქასთან დაკავშირებული ერი და მათი სამშობლო საკაცობრიო ცივილიზაციის მესაძირკველთა გვერდით იხსენიება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ა.ლამბერტი ფუძე, ანუ ძველ ქართულ ენას უწოდებს „მეგრელების ძველ, ნამდვილ, წმინდა ენას“ (იქვე, გვ. 185) ამ მხრივ ა. ლამბერტის მოსაზრება მთლიანად განსხვავდება XIX საუკუნის რუსი მოხელეების მტკიცებებისგან. მაგალითად, რუსი მოხელე ბოროზდინი, რომელმაც ასევე აღწერა სამეგრელო, გამოთქვამდა მტკიცებას, რომ სამეგრელოში ქართული ენა გავრცელებული იყო მეზობელი ქართული რეგიონებიდან, რომ ის იყო არა მთელი მოსახლეობის ენა, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილისა, ერთი სოციალური ჯგუფისა, რომელმაც შეძლო ამ ენის საყოველთაოდ განვრცობა.

ლამბერტის აზრით, კი, პირიქით, ქართული ენა იყო, მეგრელების უძველესი ენა, რომელიც დროთა ვითარებაში შეიცვალა და იქცა მეგრულ მეტყველებად.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველოში რუსებამდე დამკვიდრებული საყოველთაო აზრი, მათ შორის სამეგრელოსიც.

ასეთივე აზრისა იყო სულხან-საბა და სხვა ქართველი მეცნიერები რუსების ეპოქამდე..

ბოროზდინის მოსაზრება კი სამეგრელოში იქამდე უცნობი იყო, შემდეგ ის რუსებმა გაავრცელეს და „სამეცნიერო“ დატვირთვა მიანიჭეს. რუსების მიზანი, როგორც თვითონ ბოროზდინი აღნიშნავს, იყო ქართველი ერის გარუსება და მისი ცალკეულ ტომებად დანაწევრება, ერთმანეთზე მათი გადამტერების გზით, ბოროზდინს ასეთი ქმედება გამართლებულად მიაჩნდა რუსეთის იმპერიაში ქართული მოსახლეობის სწრაფი ასიმილიაციის მიზნით.

ბოროზდინის აღნიშნული მოსაზრება იყო პოლიტიკური მეთოდი, მოსახლეობის დასამორჩილებელი საშუალება, ხოლო რაც შეეხება ლამბერტის, მას საერთოდ არ ჰქონდა პოლიტიკური მიზნები, ის აღწერდა იმას, რასაც ხედავდა თავისი თვალით თვრამეტი წლის განმავლობაში, მისგან განსხვავებით ბოროზდინმა მხოლოდ რამდენიმე სეზონი გაატარა სამეგრელოში.

მონასტერი, 20.12.2013 წ.

თავდაცვითი ბრძოლები ადიღებთან
„მეგრელთა სისხლი სწყუროდათ..“

ჩვენი მგოსანი ბესიკი აღწერს აფხაზეთში ქართველთა სისხლის სმას, ოღონდ არა ჭიქით, არამედ გობით. ეს ასე ყოფილა: აფხაზეთის მთავარს ქართველთა წინააღმდეგ სამრად მოუწვევია ჩრდილოკავკასიური ტომები, ყირიმელი თათრები, ჯიქელნი, ადიღეები, ყივჩაღები (ბესიკის დროს „ყივჩაღებს“ უწოდებდნენ კავკასიურ თურქულენოვან ტომებს), სწორედ მათ აფხაზებთან ერთად გადაუწყვეტიათ ქართველთა სისხლის სმა, თუმცა პოეტს მოვუსმინოთ:

„ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კერმუგელთ ამცნეს ცნობითა,
ყივჩაღთა შემოიწევდნენ, ინდობდნენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა,
და მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითა“.

ნაცნობი სურათია. აფხაზები ამ ჩრდილოკავკასიელ ტომებს მაშინაც, როგორც ახლა, იწვევდნენ შეპირებითა და ფიცით, რომ ომში მონაწილეობისათვის მიართმევდნენ „ქრთამს“ ანუ ფულსა და „ძღვენს“ (ალბათ, ქართველთა ქონებასა და სახლ-კარს ზღვის სანაპიროზე), „ყივჩაღებს“ კი (გენეტიკურად არამონათესავეთ) იწვევდნენ „სჯულის ძმობით“ ანუ ვითარცა მაჰმადიან თანამოძმეებს ქრისტიანთა წინააღმდეგ ომში. სრული თანამედროვე სურათია, ოღონდ გადმოცემული XVIII საუკუნის პოეტის მიერ, რამეთუ იმ დროსაც აფხაზეთში იდენტური პროცესი მიმდინარეობდა (ჩრდილოკავკასიელთა ჩამოსახლება საქართველოს მთისწინეთში). ბესიკი იქვე თავის პოემა „რუხის ომში“ წერს, რომ ჩვენს მიწა-წყალს მისეული ეს ინტერვენტები იყვნენ „ექვსნი გვარისანი“ და ისინი „ექვს ენითა ერთხმაობდნენ ბევრის ბევრად“ (ახლაც თითქმის „ექვსი გვარის“ ტომები ესევიან საქართველოს – რუს-კაზაკები, თურქი მოქალაქენი, ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, ოსები, თუ არას ვიტყვით აფხაზებზე).

ასე რომ, ისტორია სრული სახით მეორდება, ოღონდ ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, გობი არ უხმარიათ ქართველთა სისხლის სასმელად.

თუ ვინმე ამბობს, რომ კავკასიელთა და აფხაზ მეთაურთა ომი საქართველოს წინააღმდეგ 1992 წელს დაიწყო, ვფიქრობ ცდება. თუ ასეა, მაშინ როგორ ავხსნათ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეების, ვახუშტისა და სხვათა მონაცემები იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში XVII ს-ის 40-იანი წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე ჩრდილო კავკასიელთა განუწყვეტელი ომი წარმოებდა პირველ რიგში სამეგრელო-ოდიშის წინააღმდეგ?

ისტორიული საზღვარი აფხაზეთსა და ოდიშს შორის, თანახმად ვახუშტისა, იწყებოდა ანაკოფიასთან (დღევანდელ ახალ ათონთან). ამ ქალაქის შესახებ ის წერდა XVIII ს-ში **„...აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდამ მთამდე შევლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“.**

ცნობილი „აფხაზეთის კედელი“ თვით „სახელოვან“ ი. ვორონოვის თქმითაც კი, სამეგრელოს მთავარს აუგია. ის წერს: „როგორც გამოირკვა, კელასურის კედლის თავდაცვის ხაზის საერთო სიგრძე ასი კილომეტრია. მტერს ჩრდილო-დასავლეთიდან ელოდნენ. ნაგებობა მრავალ ადგილას დიდი სისწრაფითაა აგებული, ზოგჯერ კოშკებს უსაძირკვლოდ, პირდაპირ ბალახზე ან ნახევრადგადამწვარ ბუჩქნარზე დგამდნენ. თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში ლევანი იძულებული გახდა გადასულიყო თავისი სამფლობელოს ორგანიზებულ თავდაცვაზე, რომელიც გამოიხატა აფხაზეთის საზღვართან საფორტიფიკაციო ნაგებობების აგებითა და გამაგრებით. არქანჯელო ლამბერტი იძლევა ცნობას, რომ სამეგრელოს მფლობელებმა „ძალზე დიდი დანახარჯებით ააგეს კედელი 60 ათასი ნაბიჯის სიგრძისა“ ხოლო მეორე იტალიელი მისიონერის კასტელის რუკაზე კელასურის კედლის გამოსახულებას აქვს წარწერა: „კედელი 60 ათასი ნაბიჯია. განსაზღვრულია აფხაზთა შესაკავებლად“. (ი. ვორონოვი; „ვ. მირე არხიტეკტურნიხ პამიატნიკოვ აბხაზიი“ 1978, გვ. 104).

XVII ს. 40–50-იან წლებში აგებული ეს კედელი იცავდა სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალისა და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონების ზღვისპირა, უხვმოსავლიან, სამიწათმოქმედო მხარეებს, რომელსაც მაშინ ოდიში ეწოდებოდა.

რატომ აიგო აღნიშნული გალავანი, რომელსაც ოდიშის თავადების გარდა ეპისკოპოსთა ჯარებიც იცავდნენ? რატომ იყო დაინტერესებული თვით ეკლესიაც კი ამ კედლის დაცვით, ვის ელოდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან?

ამ მხარეში XVII საუკუნეში მოხდა გასაოცარი მოვლენა. აფხაზეთის ახლადწარმოქმნილმა პატარა სამთავრომ ორიოდე ათეულ წელიწადში გაცილებით უფრო ძლიერ და დიდ სამეგრელოს სამთავროს ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი აყვავებული ტერიტორიები ისე, რომ საზღვარი ანაკოფიიდან გადატანილ იქნა ქვეყნის შუაგულში, სამთავროს დედაქალაქ ზუგდიდამდე.

ეკონომიკურად, კულტურულად და საზოგადოებრივი ყოფით აფხაზეთის სამთავროს მცხოვრებნი, ი. ვორონოვის მიერ ნახსენები უცხოელი მისიონერების აღწერით, უკიდურესად ჩამორჩენილნი იყვნენ, მიწათმოქმედებასაც არ ეწეოდნენ, არ ჰქონდათ ქალაქები და სოფლებიც კი ჩვეულებრივი გაგებით. ამ პატარა ქვეყნის მოსახლეობაც მცირერიცხოვანი იყო, ხოლო სამეგრელო განვითარებული მიწათმოქმედების, ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა. აფხაზეთთან შედარებით მრავალრიცხოვანს, როგორც შეიარაღებით, ასევე სამხედრო ტექნიკით მოწინავეს. მაშ, როგორ მოხდა, რომ პატარა სამთავრომ დაამარცხა შეუდარებლად დიდი სამთავრო?

აფხაზეთმა კი არ დაამარცხა ოდიში და ჩამოაჭრა ყველაზე აყვავებული მიწა-წყალი კელასურიდან ენგურამდე, არამედ ჩრდილოკავკასიურმა მრავალრიცხოვანმა ტომებმა, რომელთაც წინ აფხაზეთის მთავრები მიუძღოდნენ. არც ოდიშსა და არც მთელ დასავლეთ საქართველოს ძალა არ შესწევდა, წინ აღდგომოდნენ კავკასიაში იმ დროისათვის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოსს – ადიღე-ჩერქეზებს. XVII საუკუნის 40-იან წლებში ლევან II დადიანის დროს

ისინი გრიგალივით შეიჭრნენ სამეგრელოში აფხაზეთის გზით. მტრის შეჩერება ვერ შეძლეს სასწაფოდ აგებული უგრძესი ე. წ. „აფხაზეთის კედლით“ და მე-17 ს. 60-იან წლებში მათ უკვე ეჭირათ სამეგრელოს ტერიტორია კოდორიდან ეგრისწყალამდე (ღალიძგამდე), ხოლო 80-იან წლებში – ენგურამდე.

XVII–XVIII საუკუნეებში აღნიშნული მდგომარეობის გამო დაპყრობილ მიწა-წყალზე მოხდა დიდი ეთნიკური ცვლილება. გაჰქრნენ ძველი აფხაზები, ქართველური ტომი, ისტორიულ-კულტურული სახით ქართველები, მათი ადგილი თანდათანობით დაიჭირა ახალმა ეთნოსმა, რომელიც XVII–XVIII საუკუნეებში საკუთარ ტომობრივ-ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ის უკვე არა ქართველური, არამედ ადიღე-ჩერქეზული წარმომავლობისა და სახისა იყო. ეს საკითხი გამოწვლილვითა აქვს გამოკვლეული ნიკო ბერძენიშვილს. სამწუხაროა, რომ მისი მშვენიერი წიგნი, რომელმაც როგორღაც იხილა მზის სინათლე 1990 წელს, ფაქტობრივად მიუწვდომელია მოსახლეობისათვის.

ნ. ბერძენიშვილმა მეცნიერული სიღრმით უარყო მოსაზრება, რომ ძველი და ახალი აფხაზები ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხია. ის წერს, რომ შუა საუკუნეებში აფხაზეთში მოხდა „მთის ჩამოწოლა“ ანუ მთის ეთნოსის ჩასახლება აფხაზეთის ბარში. აფხაზი თავადაზნაურობა, რომელმაც ბოლო დრომდე შეინარჩუნა თავისი ქართული და ქრისტიანული სახე, შეურიგდა მომხვდურებს და მოლაშქრეებად გამოიყენა ისინი განუწყვეტელ ფეოდალურ ომებში. სამწუხაროდ, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი – დაბალი ფენები მოისპო, ტყვედ დაიყიდა ან მონებად აქციეს. მონებს „აგირუა“ ერქვათ, რაც გურულს ან მეგრელს ნიშნავს. ახლად ჩამოსახლებულებსაც „აფხაზები“ უწოდეს ქართველებმა ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის „აფხაზეთის“ სახელის მიხედვით.

ნ. ბერძენიშვილი ძველ აფხაზებზე წერდა: „როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერნი, როგორც ქართლი და ქართლელი“. ახალი აფხაზები კი, როგორც ითქვა, უკვე არაქართული ტომები იყო, აფხაზობა უკვე არაქართველობაა. გააფხაზება ეროვნების დაკარგვის ტოლფასია. მეცნიერი წერს: „აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას და დაიწყო „გააფხაზება“ (დასახ. ნაშრ. გვ. 610). აფხაზეთში მთის ტომის მიერ შემოტანილი პრიმიტიული საზოგადოებრივი ყოფა, ახალი აფხაზების სოციალური უპირატესობა მიმზიდველი ჩანდა ბატონყმურ უღელქვეშ მყოფ საქართველოს სხვა კუთხეთა გლეხებისათვის. „ბატონყმობაში სულამოხდილი გლეხობა (არა მარტო ზღვისპირეთის) მიეტანა აფხაზობას, აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხების თავშესაფარი გახდა. და შეიქმნა ახალი აფხაზეთი“ (იქვე, გვ. 610). „აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმულ საზოგადოებისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება“ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეს სოციალურად ათავისუფლებს“ (გვ. 616).

დამონებასა და დატყვევებას გადარჩენილმა მკვიდრებმა იმის შემდეგ, რაც ქვეყანას ახალი პატრონი მოევლინა, გააფხაზება დაიწყო. ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ჩრდილოკავკასიელთა მიერ დაპრყობილ ვრცელ ტერიტორიაზე მთებიდან ენგურამდე მცხოვრები მკვიდრნი უაღრესად შეშინებული და თავზარდაცემულნი იყვნენ, მომხდურთა გასაოცარი სისასტიკით. მათგან თავდაცვის ყველაზე უკეთესი გზა – მათ თანამეტომედ თავის გამოცხადება, მათი ენისა, რელიგიისა და წეს-ჩვეულებების გათავისება იყო. შემოსეულთა სისასტიკეს ადასტურებენ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები.

ჟან შარდენის ცნობით, სამეგრელოს 40 000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში განახევრებულა და ოცი ათასამდე შემცირებულა. ვახუშტი წერს: „იყო ჭირი ოდიშს, ვითარცა აღვწერეთ უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელით, სტყვევნიდიან, დაიპყრეს ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას ეპისკოპოსნი“... „ოდიშის ჭირი“ არანაკლები იყო „ქართლის ჭირზე“ – „კვლითა და ყიდვითა ტყვისათა უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობითა და ცხადად“ („ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, გვ. 354). ევროპელი მისიონერი წერდა: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, დაქცეული და აოხრებულია, კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზეთის შიშია“.

ასე გაუდაბურდა ოდიში, მაგრამ, საკუთრივ აფხაზებს (კოდორს იქით) ადიღური ტომები უფრო ადრე შემოესივნენ. 1533 წლის იანვარში აფხაზეთში შემოჭრილ ჯიქებს შეებრძოლნენ მამია გურიელი და მამია დადიანი ეპისკოპოსებთან ერთად. სამწუხაროდ, გაგრასთან ომში 31 იანვარს ქართველები დამარცხდნენ. გაგრის მარცხის შემდეგ მტერს გზა გაეხსნა ბიჭვინთისაკენ, რომელიც იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ უკვე VIII საუკუნიდან ქართული წირვა-ლოცვა იყო გაჩაღებული. შემოსევის გამო საკათალიკოსო ტახტი გელათში იქნა გადატანილი, ხოლო საეკლესიო განძი, ნაგროვები ათასი წლის მანძილზე, ადიღე მთიელებმა დაიტაცეს. XVII საუკუნეში შემოჭრილმა მთიელი ტომების ტალღამ უმოწყალოდ მოსპო ქართულენოვანი საეპისკოპოსოები დრანდისა, მოქვისა, ბედიისა და სხვა ეკლესია-მონასტრები. აი, რას წერს ერთი თანამედროვე მკვლევარი ამ მთიელი ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ: „აფხაზებს შემორჩათ ბუნდოვანი წარმოდგენები მათი წინაპრების ამ მიწაზე, საიდანღაც (ეტყობა დღევანდელი ადიღედან) მოსვლის შესახებ... იმათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც თავის თავსა აფხაზებს უწოდებს, უნდა მივიჩნიოთ ამ სულ ცოტა ხნის წინანდელი ჩრდილოელი დამპყრობლების შთამომავლებად“ (რ. ევდოკიმოვ-ვოლგაკი „აფხაზეთის... „გაზ. „სახ. განნ.“ 29. XI. 89).

ყველა უცხოელი მეცნიერი XIX ს. მიწურულამდე იმ ხალხს, რომელსაც ქართველები „აფხაზებად“ იხსენებენ, ჩერქეზებს ანდა აბაზებს უწოდებს, მხოლოდ ქართველები უწოდებდნენ მთებიდან აფხაზეთში ჩამოსახლებულ სხვადასხვა ტომებს (ჯიქებს, ჩერქეზებს, აბაზებს, აფსარებს, ანუ აფსუებს) – აფხაზებს. მაგალითად, ქათიბ ჩელების ცნობით, „ჩერქეზების საზღვარი სამეგრე-

ლოა“ მისი აზრით, „აბაზა“ და „ჩერქეზი“ ერთი ხალხია. ის წერს: „აბაზა არაა ქართველი, მეგრელი და დადიანი კი ნამდვილი ქართველია“. მას გაუგონია გადმოცემები აბაზების უცხო მხრიდან მოსვლის შესახებ, მოჰყავს შესაბამისი ლეგენდა და ასკვნის: „ჩერქეზები და აბაზები ამ სამი ტომიდან გავრცელდნენ“ („ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ 1978, გვ. 132).

ახალი აფხაზების ეთნიკური კუთვნილების შესახებ წერენ ევროპელებიც: სპანსერი მათ პირდაპირ „ჩერქეზებს“ უწოდებს. მის დროს ბიჭვინთა უკვე მათ მიერ იყო დაჭერილი. ბამბორი – ლიხნი, მისი აზრით, ჩერქეზეთის შუაგულია, შერვაშიძე ჩერქეზების ტომის მთავარია“. 1866 წ. აჯანყების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ეს ახალი აფხაზები თურქეთში გაასახლა. აღსანიშნავია, რომ გასახლებულნი და მათი შთამომავალნი თავიანთ თავს არა „აფხაზებს“ არამედ „ჩერქეზებს“ უწოდებდნენ. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკითაც ისინი აღირიცხნენ არა აფხაზებად, არამედ ჩერქეზებად. მხოლოდ ქართველები უწოდებდნენ აფხაზეთის ახალ მოსახლეთ „აფხაზებს“. როგორც ეს უკვე აღინიშნა, სწორედ ქართველების გავლენით უწოდეს მათ რუსებმა „აფხაზები“. რუსების გავლენით კი ევროპელებმაც. აფხაზების ნამდვილი ეთნიკური კუთვნილების შესახებ შესანიშნავად იციან ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა. სწორედ ამიტომ ეხმარებიან ამჟამად ისინი აფხაზებს, ვითარცა თანამეტომეებსა და თანამორწმუნეებს. გამომდინარე აქედან, აფხაზთა, ანუ აფსუა–აფსართა და ჩრდილოკავკასიელთა ქმედება აფხაზეთში მიზანმიმართულია, წინასწარდასახული და დაგეგმილი. მათი შორსგამიზნული სტრატეგია ითვალისწინებს იმ დანაკლისის ანაზღაურებას, რომელიც ადიღურ-ჩერქეზულ ტომებს კავკასიაში რუსების დამკვიდრების გამო მოუვიდათ. როგორც ცნობილია, კავკასიის ეს უდიდესი ტომი რუსეთის იმპერიამ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა. ამჟამად ჩრდილოკავკასიაში, ისტორიულ სამშობლოში მათი რიცხვი უმნიშვნელოა და იქ ამჟამად რუს-კაზაკები არიან დასახლებულნი (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები). ამ მიზეზების გამო ჩერქეზების სახელმწიფოს აღდგენა ჩრდილო კავკასიაში ჯერჯერობით შეუძლებელია, სამაგიეროდ საქართველოს სუსტი სახელმწიფოს ნაწილში, აფხაზეთში, მათ ეს შესაძლებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, საქართველო ვერ გაუძლებს თურქეთში მცხოვრები ასეული ათასი ჩერქეზის, მათი ჩრდილოკავკასიელი თანამეტომეების აფხაზეთში შესევას. მათ კაზარკებიც სიამოვნებით დაუჭერენ მხარს, რადგანაც აფხაზეთში ჩერქეზული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ადიღე-ჩერქეზები აფხაზეთში გადასახლდებიან. ეს კი კაზაკების ოცნებაა. რაც შეეხება აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, აფხაზთა მეთაურების ფიქრით, ისინი აფხაზებად ჩაეწერებიან, როგორც ეს პროცესი ადრეც მოხდა ქართველთა გააფხაზების სახით.

ზემოთ მოყვანილიდან და აფხაზეთში ამჟამად შექმნილი ვითარებიდან კარგად ჩანს, თუ ვინ არიან ინტერვენტები და ქვეყნის დამპყრობნი, მაგრამ უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სხვაგვარად სახავენ ვითარებას. ცხადია, ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აფხაზების წი-

ნაპრები მკვიდრნი არიან თუ ჩამოსახლებულნი, მათ აქვთ და ყოველთვის ექნებათ ყოველგვარი სამოქალაქო უფლებები, თანაბრად საქართველოს ამ კუთხის სხვა მოსახლეებისა, მაგრამ მათ სწორედ ეს გათანაბრება არ სურთ.

მოსკოვის რადიო შარშან, 26 ოქტომბერს ასე გადმოსცემდა აფხაზეთში არსებულ ვითარებას: „მართალია, ქართველებს აქვთ რიცხობრივი უპირატესობა და ტექნიკის სიჭარბე, მაგრამ აფხაზთა მხარესაა მორალური უპირატესობა თავისი მიწისათვის მებრძოლი ჯარისკაცისა, რომელთაც ჩრდილოკავკასიელებიც ეთანხმებიან სამართლიან ომში“. მაშასადამე, ქართველები არიან სხვისი მიწის დამპყრობნი, უსამართლო ომის გამჩაღებლები და ამის გამო მორალურადაც დაცემულნი.

ამ საკითხში, მართლაც, საჭიროა მეტი სიცხადის შეტანა. ომის სამართლიანობის საკითხში ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს სრული სიცხადე. რაიმე ეჭვი დამღუპველია. არათუ ახლა, არამედ XII საუკუნეშიც კი თავისი სახელმწიფოს უდიდესი სიძლიერის დროს ქართველ ჯარისკაცს ხმალი არ დაუძრავს სხვისი მიწის დასაპყრობად. ასეა ახლაც.

ხშირად გამოუთქვამთ წუხილი იმის შესახებ, რომ ინფორმაციულ ომში ქართული მხარე დამარცხდა, რუსეთსა და უცხოეთში საინფორმაციო საშუალებები აფხაზებს უჭერენ მხარს. ამაში ბრალი არა აქვთ ქართველ ჟურნალისტებს. ინფორმაციული ომი არა ახლა, შარშან და წელს წავაგეთ, არამედ მაშინ, წინა წლებში, როცა არ გავიზიარეთ სიმართლე, გამოთქმული პ. ინგოროყვასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ აფხაზთა ეთნიკური წარმომავალობის შესახებ.

„ლეონის ორდენი“ რომელიც არძინბას დაუწესებია, როგორც „აფხაზეთის სახელმწიფოს“ უმაღლესი ჯილდო, პირველ რიგში ეკუთვნით იმ ქართველთ, რომელნიც წერენ VIII საუკუნეში „აფხაზი ეროვნების“ არსებობისა და მისი არაქართველობის შესახებ, ცხადია, მათი აზრით, VIII საუკუნეში მოღვაწე აფხაზთა მეფეები ლეონ I და ლეონ II არაქართველები იყვნენ, სწორედ ამგვარ მეცნიერულ საფუძვლებზე დგას არძინბას იდეოლოგიური სიცრუის მანქანა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 17. III. 1992 წ.

ადიღეთა შემოსევის შედეგად დამცრობილი სამეგრელო რუსეთის გაბატონების წინ

(კორნელი ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი (1854-1861)“ მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934)

ადიღეთა შემოსევამდე (ლევან მეორე დადიანის დროს) სამეგრელოს საზღვარი ძირითადად კოდორზე იდო, თუმცა ზღვისპირეთის ზოლს ბიჭვინთის ჩათვლით სამეგრელოს მთავარი აკონტროლებდა, აფხაზთა კათალიკოსის ტახტი ჯერ კიდევ ბიჭვინთაში იყო. თავდაპირველად ადიღეებმა დაიპყრეს კოდორის გადაღმა მდებარე ძველი აფხაზეთი და შეესივნენ სამეგრელოს მე-17 ს. შუა წლებში. მალე მათ სამეგრელოს ჩამოაჭრეს უმთავრესი ნაწილი, სადაც სამეგრელოს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ, გაუქმდა მოქვის, დრანდისა და ბედიის ეპარქიები, კათალიკოსი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა გელათისათვის. ასე დამცრობილი შეხვდა სამეგრელო მე-19 საუკუნეს, როცა ის რუსეთის იმპერიის დაინტერესების სფეროში აღმოჩნდა. რუსეთის იმპერიამ პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველო, რომელსაც იქამდე ძველი ქართული ცივილიზაცია და კულტურა აერთიანებდა, სულიერსდ დაყო და დაანაწევრა.

მიიჩნევა, რომ თავდაპირველად საქართველოს კუთხეებად (რეგიონებად) დანაწევრების გეგმა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოაყალიბა სსრკ მთავარმა იდეოლოგმა სუსლოვმა, რომელიც წერდა: „ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან. ადრე თუ გვიან ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს. ქართველები სანახევროდ ლიკვიდირებულნი და ასიმილირებულნი უნდა გავხადოთ... და თუ მოგვეცემა საშუალება, მთლიანად მოვახდინოთ მათი ლიკვიდაცია...“ (ჟ. კვალი, 2014, გვ. 169).

სუსლოვი თავის მოხსენებაში პოლიტბიუროს აცნობდა, რომ ეს მეთოდი ესაჭიროებოდათ ქართველების სრული ასიმილაციისათვის და გარუსებისათვის, მათი საქართველოდან გაძევებისათვის. „ქართველებს ჩვენ უნდა გავუღვივოთ კუთხურ-ეთნიკური გრძნობები და რეგიონების მიხედვით დავაპირისპიროთ ერთმანეთს. ამასთანავე, ქართველები მეცნიერულად უნდა

დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან“.

„მეცნიერულად“ დარწმუნება ქართველებისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს აქვთ სხვადასხვა ეროვნული წარმომავლობა, არ იყო შემოქმედება პირადად სუსლოვისა და არც რუსეთის კომუნისტური პარტიისა. ეს იდეოლოგია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიმუშავეს რუსებმა ქართველთა სწრაფი ასიმილაციის მიზნით. ამას გახსნილად და პირდაპირ წერს ერთ-ერთი რუსი დიდმოხელე კორნელი ბოროზდინი თავის მოგონებებში, რომელიც გამოაქვეყნა XIX საუკუნის 60-იან წლებში, სუსლოვამდე ასი წლით ადრე.

რუსეთის იმპერიამ მას შემდეგ, რაც გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, შეუდგა დაპყრობილი ქვეყნის მართვას რუსი მოხელეების ხელით, რომელთაც ცენტრიდან აგზავნიდა,

რუსეთი XIX საუკუნის 50-იან წლებში აღიარებდა სამეგრელოს და სვანეთის სამთავროს სუვერენიტეტს, მაგრამ უკვე განზრახული ქონდა მათი გაუქმება. რუსეთს სურდა ისე წარმოჩინა სამთავროთა გაუქმების სურათი, რომ თითქოსდა მთავრები თვითონვე ითხოვდნენ სამთავროს გაუქმებას ან თითქოს თვითონ ამ სამთავროთა დაჩაგრული მოსახლეობა რუსეთს თხოვდა გაეთავისუფლებინა მოძალადე მთავრის მმართველობისაგან. ეს იყო წინასწარ დასახული, მიზანმიმართული გეგმა, რომლის აღსასრულებლად იმპერია მთავრების კარზე აგზავნიდა თავის აგენტებს, რომლებიც სანდო პირები ხდებოდნენ თვითონ მთავრებისათვის.

ასეთი მისიით გაიგზავნა კორნელი ბოროზდინი სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესთან 1854 წელს.

კ. ბოროზდინი მსახურობდა კავკასიის მთავარმართებლის სამმართველოში. ეკატერინეს უხდებოდა ხშირი მიწერ-მოწერა რუსულ ცენტრებთან, რუსულ ენაზე და მიწერ-მოწერის საწარმოებლად და ასევე ეკატერინეს შვილების რუსული ენის მასწავლებლად და აღმზრდელად კორნელი ბოროზდინმა შეაღწია დედოფლის კარზე. საბოლოოდ, მან და მისმა მსგავსმა რუსმა მოხელეებმა შეძლეს ეკატერინეს გაძევება სამეგრელოდან. ამასთანავე, სხვადასხვა უკადრისი ქმედებებით მის ოჯახს დიდძალი ქონება ჩამოართვეს.

კორნელი ბოროზდინი ძალზე საინტერესოდ გადმოცემს თავის წიგნში К. Бороздин. Кавказские оспоминания, Мингрелия и сванетия с 1854–1861 г. სამეგრელოსა და სვანეთის ყოფას XIX საუკუნის 50-იან წლებში.

ბოროზდინის წიგნი თარგმნა თედო სახოკიამ, რომელიც გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ 1934 წელს.

I. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა აღმოსავლეთში, კ. ბოროზდინის სიტყვით, შემდეგი იყო:

რუსი სახელმწიფო მოხელე ბოროზდინი იმპერიის პოლიტიკის შესახებ წერს: „ჩვენ, ასიმილაციის პრინციპით ვხელმძღვანელობთ“ ანუ ყოველ დაპყრობილ ერს რუსეთში ელოდა ასიმილაცია, ანუ გარუსება, რისთვისაც გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდი ამ ერის დაშლა-დანაწევრების, ეროვნული მთლიანობისა და თვითშემეცნების დამცრობისათვის.

ევროპის სხვა იმპერიები სხვაგვარად იქცეოდნენ. მაგალითად, ბრიტანეთი არ ერეოდა ინდოეთის საშინაო საქმეებში და მხოლოდ გადასახადებით კმაყოფილდებოდა. მაშასადამე, ინდოეთის ხალხებს ბრიტანელებში ასიმილაცია არ ემუქრებოდა და ისინი ინარჩუნებდნენ ეროვნულ თვითმყოფადობას. ამის შესახებ ბოროზდინი წერს:

„ინგლისი, გულმოდგინეთ ჰზრუნავს იმისთვის, რომ თავის ინდოეთის სამფლობელოში დაიცვას სტატუს ქვო და ხელი არ ახლოს მის შინაურს პოლიტიკურ წეს-წყობილებას, რაჯებისაგან ინგლისი თხოულობს მხოლოდ წესიერად შემოტანას საკმაოდ დიდ და განსაზღვრულ თანხისას ფულადი გადასახადის სახით, ხოლო მის შინაურ საქმეებში გარევას ერიდება. ინგლისის რეზიდენტი ყოველ ავტონომიურ სამფლობელოში რაჯების დესპოტიზმს თავის ფარგლებში აჩერებს ხოლმე. როცა რომელიმე ამ რაჯათაგანი უსაზომო ფუფუნებას გამოეკიდება, გზებს უპატრონოდ და მოუვლელად დააგდებს და, დასასრულ, თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და სახელს აბუჩად აგდებას დაუწყებს, რეზიდენტი ოფიციოზურად გააფრთხილებს, და თუ ამ გაფრთხილებამ არ გასჭრა, უკვე უფრო არსებითს ღონისძიებას მიჰმართავს: რაჯას მოაკლებენ იმ პატივსა და უპირატესობას, რომელიც მინიჭებული აქვს მთავრობისაგან, სახელდობრ: მის გამოვლის დროს ზარბაზნებს აღარ გაისვრიან, და, როგორც ვიცით, ამ ზარბაზნების გასროლით განიზომება მდგომარეობა და გავლენა ყოველი მთავრისა; როცა ესეც არ გასჭრის, სრულებით ჩამოართმევენ უფლებას კანონიერ მემკვიდრის სასარგებლოდ, და თუ მემკვიდრე არა ჰყავს, მისი უფლება გადავა ინგლისის მთავრობის მიერ არჩეულ პირზე.

ინგლისს სისტემად აქვს შემოღებული ავტონომიის შინაურს საქმეებში არ ჩაერიოს, მაგრამ ჩვენ ასიმილაციის პრინციპით ვხელმძღვანელობთ“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 148)

კ. ბოროზდინი დაუფარავად აღიარებს რუსეთის იმპერიის პრინციპს დაპყრობილი ერის მიმართ, ის წერს:

„რუსეთის იმპერიის მთავრობა აფხაზეთში ძველს პრინციპს მისდევდა. დივიდე ეტ იმპერა (დაანაწილე და იბატონე)“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 179).

მართალია, საბჭოთა პერიოდში ბევრს წერდნენ, რომ საქართველო რუსეთს თითქოსდა ნებაყოფლობით შეუერთდა, მაგრამ რუსი მოხელე კ. ბოროზდინი პირდაპირ უწოდებს ამას დაპყრობას. მეფისნაცვალ ბარიატინსკის ევალებოდა კავკასიის „საბოლოო დაპყრობა“ ის წერს:

„ბარიატინსკის ასეთის მომზადების წყალობით, ვორონცოვის მიერ განზრახულის და ბარიატინსკის მიერ მკაფიოდ შეთვისებულის გრანდიოზულის პლანის განხორციელება კავკასიის საბოლაოდ დაპყრობისა სერიოზულად იყო უზრუნველყოფილი“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 191).

ბოროზდინი ახორციელებდა რუსეთის იმპერიის გეგმას, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ უფრო მკვეთრად გამოთქვა სუსლოვმა, „საქართველოს კუთხეებში, სამეგრელოში, სვანეთში, აჭარასა და სხვა კუთხეებში, წერდა სუს-

ლოვი, ჩვენ ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა, ამ კუთხეთა ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს...“ (ჟ. კვალი 2014 №1,2 გვ. 169).

რუსული იმპერიული გეგმა დაპყრობილი ერის სხვადასხვა ტომებად და სოციალურ ჯგუფებად დაშლისა და შემდგომ მათში ჩანერგვა და „მეცნიერული“ მეთოდით დარწმუნება, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან, მუშაობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. ის, როგორც ჩანს, პირველად გამოიყენა რუსმა მოხელემ კ. ბოროზდინმა თავისი მმართველობის დროს სამეგრელოში. ის ამის შესახებ კიდევაც წერს, რომ მისი მიზანი იყო სამეგრელოს საზოგადოება დაეყო ფენებად და დაენერგა თვალსაზრისი, რომ თითქოსდა მაღალი ფენა განეკუთვნებოდა სხვა ეთნოსს და დაბალი ფენა კი – სხვას, საბოლოო მიზანი კი იყო ამ რეგიონის ერთიანი ქართული სხეულიდან ჩამოშორება. თავისი თეორიით ის ქართიზაციის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვესახება, ბოროზდინი წერს:

„ამ მდგომარეობაში მოვუსწარით ჩვენ სამეგრელოს მაღალ წოდებას. ჩვენი ნათქვამი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ კაცმა სთქვას, ეს წოდება ფეოდალურის წეს–წყობილების ნაშთიაო. ეს კლასი უმეტეს წილად გამოსულა ქართველთა ტომისაგან, ოდესღაც შეადგენდა ერთს მთლიანს სამხედრო ძალას, რომლის სათავეში იდგა მთავარი თავის ნათესავებთან (ბატონიშვილებთან) ერთად, ხოლო მათ ექვემდებარებოდენ რჩეულნი მხედარნი, რომელნიც შესდგებოდენ თავადებისა და ხელქვეითებისაგან, იარაღის მტარებლებისაგან – აზნაურებისაგან. როცა მხარე დაიპყრო და თავის საკუთრებად გახადა, მთავარმა უწყალობა თავისს მეომრებს ხალხით დასახლებული მიწები. ეს ხალხი სულ სხვა ტომს ეკუთვნოდა. აქედან გაჩნდა ორი კლასი. მაღალი და დაბალი კლასი. ეს ორი კლასი რომ სხვადასხვა ტომისაა, ამას გვიჩვენებს ის განსხვავება, ქართულსა და მეგრულ კილოკავს შორის რომ არის. ქართულად ლაპარაკობდა მაღალი წოდება, ხოლო მეგრულად – დაბალი წოდება; დროთა განმავლობაში ესენი შესამჩნევად აირივნენ ერთმანეთში. მაგრამ ჩემს დროსაც იყო სამეგრელოში მთა ადგილების სოფლები, სადაც მარტო ქართულის ცოდნით კაცი ვერასფერს გააწყობდა. გლეხს გვაროვნობითი სახელი ერქვა „მარგალი“ ანუ მეგრელი და ეს იმას გვიჩვენებდა, რომ სწორედ მეგრელში უნდა გვეძებნა ნამდვილი ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც დაიპყრო მოსულმა ქართველთა ტომმა, და ეს მეომრული, ფეოდალური წეს-წყობილება დიდს ხანს იყო ამ მხარეში, სანამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებელის ცხოვრებითა სცხოვრობდა“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 257).

კ. ბოროზდინი თავის შენიშვნაში აღნიშნავს:

„იმის გარჩევა, თუ რამდენად მართალია ჩვენი მოსაზრება, მიგვინდვია მომავალ ფილოლოგებისათვის. ჯერ კი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არავინ შესდგომია, სერიოზულად შეესწავლა სადავო საკითხი ქართულ და მეგრულ დიალეკტებს შორის არსებულ განსხვავების შესახებ. მიუხედავად ამისა, სამოს-

წავლო უწყებამ სამეგრელოს სახალხო სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე შემოიღო. ეს ენა კი ხალხს ნაკლებად ესმის. ორმოცდაათიან წლებში პატივცემული დეკანოზი დავით მაჭავარიანი, რომელსაც დიდი ხანი უცხოვრია სამურზაყანოში მეგრელებს შორის, და, რომელსაც ეს ენა ზედმიწევნით შეუსწავლია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეგრული ქართულისაგან სრულებით განსხვავდება და ამ ენაზე სახარებაც სთარგმნა; მაგრამ ეს შრომა არ დაბეჭდილა, რადგან ქართული სამღვდელოება დიდი წინააღმდეგი გაუხდა და დააჯერა საქართველოს ეკზარხოსი, რომელიც, როგორც რუსი, ამ საქმისა ხამი იყო, რომ მამა დ. მაჭავარიანმა სახარება სთარგმნა ქართულ დამახინჯებულ კილოკავზე და რომ ცალკე, დამოუკიდებელი მეგრული დიალეკტი სრულებით არ არსებობსო. ეს საქმე სამუდამოდ არქივში მოექცა, ხოლო სამურზაყანოს სკოლებში ქართულად დაიწყეს სწავლება; ქართული კი გაუგებარი იყო ხალხისთვის და ამიტომ მეგრელისათვის ზედმეტ ბარგს წარმოადგენდა, მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოკავი და რუსული“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 258)

ბოროზდინი ამ თავისი თეორიული აბლაბუდით ამკვიდრებს თვალსაზრისს, რაც მისი საბოლოო მიზანია, რომ სამეგრელოდან გააძევონ ქართული ენა და ის ჩაანაცვლონ რუსულით, ამიტომაც წერდა: „მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოკავი და რუსული“.

სინამდვილეში, როგორც თვით ბოროზდინი თავის წიგნში ამბობს, სამეგრელოში ქართული ენის ცოდნა აუცილებელი იყო, თუნდაც პირადად მისთვის. პირადად მისთვის და, საერთოდ, რუსული ადმინისტრაციისთვის. ამიტომაც მან სამეგრელოში თავისი მუშაობის დროს საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა, რომ ის არ მოეტყუებინათ სასამართლო და სხვა პროცესების დროს. ამის შესახებ მას თავისი თეორიაც კი აქვს ჩამოყალიბებული, ის წერს: „სამეგრელოში რუსის მოხელე, უწინარეს ყოვლისა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი თარჯიმანი პატიოსანი და სანდოა, და თუ ეს თვისება აკლია თარჯიმანს, ყოველ ნაბიჯზე უნდა მოელოდეს მოტყუებას, და ყოველ ნაბიჯზე უნდა ინანოს თავისი მოქმედება. ეშმაკი და ამასთან ურცხვი თარჯიმანი თეთრს შავად მოაჩვენებს ენის უცოდინარ მოხელეს და ეს მით უფრო სავალალო იქნება, რაც უფრო დიდი თანამდებობა უჭირავს მოხელეს. ქართული ენა უკვე იმდენად მესმოდა, რომ მოტყუების არ მეშინოდა...“ (კ. ბოროზდინი სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 229).

აქედანაც ჩანს, რომ რუსი მოხელეებისათვის სამეგრელოში აუცილებელი იყო ქართული ენის ცოდნა. ეს მათ ესაჭიროებოდათ გლეხებთან ახლო კავშირისათვის, რათა ისინი მთავრის წინააღმდეგ აემხედრებინათ. ამისათვის მათ გადაწყვიტეს მთავრის გლეხების ბატონყმობის უღლისაგან გათავისუფლება.

რუსები სამეგრელოში თითქოსდა გლეხებს ათავისუფლებდნენ ბატონყმობის უღლისაგან და მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ გლეხებთან. სინამდვილეში კი გლეხობას ისინი ზიზღით უყურებდნენ. ეს ჩანს მომენტიდანაც, რომელსაც აღწერს ბოროზდინი. რუსული ხელმძღვანე-

ლობა საგანგებოდ შეხვდა სამეგრელოში აჯანყებულ გლეხებს. მაშინაც მათ გლეხებთან ურთიერთობისათვის ქართული ენა გამოიყენეს. ბოროზდინი ხატოვნად აღწერს ამ ამბავს: „მერვე ვერსზე გენერალი შედგა ერთ გორაკზე, რომელზედაც ზუგდიდის გზა გადადიოდა, და მის წინ გადაიშალა ფართო მინდორი და დაინახა მრავალრიცხოვანი ბრბო გლეხებისა, რომელნიც სამხედრო წესზე დაბანაკებულიყვნენ. თამამად შეიძლებოდა თქმა, რომ სულ ათიათას კაცამდე იქნებოდა; გლეხები დიდს სივრცეზე იყვნენ გაშლილნი და ბოშების უშველებელ ურდოს მოგაგონებდათ. ქოხები, სახელდახელო ფარღალალა ფარდულები, ურები, დანთებული ცეცხლი, ცხენები, ძროხები, ცხვრები, დედაკაცები, მამაკაცმები, ნახევრადშიშველი ბავშვები – ყველაფერი ერთიმეორეში არეულიყო და მეტად ჭრელს სანახაობას წარმოადგენდა... გენერალი თავის წინაშე ხედავდა თავის ხალხის დუნდგოს, თავზე ხელაღებულს, და არ იცოდა, ეს დუნდგო რასა ჰფიქრობდა, გულში რა ედო... გენერალმა ცხენს დეზები ჰკრა და სულ მიუახლოვდა. ხალხი გაჩერდა, ამან ცხენს სადავე მოსწია და ხმამაღლა შესძახა. მოიხადეთ ქუდები და დაიჩოქეთ! (თქვა რუსულად). როცა რაფ. ერისთავმა მისი ნათქვამი ხმამაღლა გადათარგმნა ქართულად, ხალხის დუნდგომ იმ წამსვე მოიხადა ქუდები და დაიჩოქა“. (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934 გვ. 113). აქედანაც ჩანს, რომ სამეგრელოში გლეხობას, მითუმეტეს მის ყველაზე ფართო და დაბალ ფენებს, იმჟამად საერთოდ არ ესმოდა რუსული, მაგრამ ქართულად მიღებული ბრძანება მაშინვე შეასრულეს და ბრძანების შესაბამისად მოიქცნენ, დაიჩოქეს რუსი გენერლის წინ, სინამდვილეში რუსებს სწორედ ამის მიღწევა, ხალხის დაჩოქება და დამონება სურდათ.

თავის წიგნის ყველა ადგილას ბოროზდინი შეკრებილ გლეხობას ბრბოს უწოდებს, რომლებიც იფანტებოდნენ რუსი ყაზახების დანახვისას (იქვე გვ. 119, 155). მაგალითად, აღწერს ერთ ასეთ ამბავს, თუ როგორ დასაჯეს გლეხების ასეთი ბრბო და წერს: ვუბრძანე ჩემს ოფიცერს თარჯიმანი დაეხმარებინა და ხალხის მწკრივიდან გამოეყვანა ყოველი მეცხრე კაცი და ოცდახუთჯერ წკნელი დაერტყათ, გაწკეპვლის შემდეგ წაეყვანათ სატუსაღოში (იქვე, გვ. 157). ყოველგვარი ლეგიტიმური უფლების გარეშე ასეთი ძალადობით შეიჭრა რუსული ხელისუფლება სამეგრელოში, ძალაუფლება ჩამოართვეს კანონიერ მმართველს, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს და ამასთან უკადრისი სხვადასხვა ხერხებით მთავრის ოჯახი გააღატაკეს კიდეც, შემდეგ კი სამთავრო ჩამოართვეს. სამეგრელო რუსეთის იმპერიას მიუერთეს, ყოველივე ამას ხატოვნად აღწერს ბოროზდინი თავის წიგნში. იქვე ამატებს, რომ გლეხები მას რომ არ დამორჩილებოდნენ, მაშინ ბევრ მათგანს ციმბირი არ ასცდებოდა (იქვე, გვ, 158), ანუ ყველა ამ გლეხს დააპატიმრებდნენ და გააციმბირებდნენ. ერთგან აღწერს, თუ როგორ აუჯანყდა თვითონ გლეხობა რუსებს. საპასუხოდ რუსების ქმედება ასეთი იყო: გენერალმა „ნ. კოლუბიაკინმა სწრაფად იღონისძია წინდაწინვე ამ განზრახვის წინააღმდეგ, წაიყვანა ერთი როტა სახაზო ბატალიონისა და ასეული ყაზახ-რუსებისა და ზანისაკენ გაემართა, მთაზე, ძველებურ ციხეში ჩაუსხდნენ მეამბოხენი და პირველად იმათ ასტეხეს სროლა, როცა მომავალი ჯარი დაინახეს; მაშინ

ყაზახ-რუსები შეიჭრნენ ციხეში. აჰკაფეს თხუთმეტიოდ კაცი, იმდენივე დასჭრეს, რის შემდეგ დანარჩენი მაწანწალები კურდღელებივით გაიფანტნენ. დაიჭირეს 50-მდე კაცი“ (იქვე, გვ. 159).

ივანე ჩიქოვანის მონაწილეობა ამ საქმეში აღმოჩენილ იქმნა, დაიჭირეს და დაუყოვნებლივ გადაასახლეს სამეგრელოდან ქ. ტამბოვში საცხოვრებლად (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 159). აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მოსახლეობისა და ხალხის ის ზნე-ჩვეულებები, რომელიც აღაფრთოვანებდა არქანჯელო ლამბერტს, პირიქით, ბოროზდინისთვის სრულებით მიუღებელი იყო. მაგალითად, ლამბერტი სიყვარულით აღწერს სამთავრო კარს, მის საქმიანობას, ხოლო ბოროზდინი ესე აღწერს მას: მთავარს გარს ეხვია ერთი მუჭა ფუქსავატი ხალხისა, რომელმაც იცოდა მხოლოდ დროს გატარება, ქეიფი და ნადირობა (იქვე გვ, 42). იგივე ითქმის სამეგრელოში ქართულ ენასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ ლამბერტის თქმით, „ქართული ენა წარმოადგენდა სამეგრელოს ხალხისათვის ძველ და წმინდა ენას“ რომელიც გამოიყენებოდა ღვთისმსახურებაში, განათლებაში, ურთიერთობისა და საერთოდ კულტურაში, ბოროზდინისათვის ქართული ენა გარედან შემოტანილი ენა იყო. ამით, როგორც აღნიშნა, მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართიზაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობა იყო სხვადასხვა წარმოშობისა. მისი სულისკვეთება არ წარმოადგენდა ერთადერთ შემთხვევას რუსეთის იმპერიაში. ქართველ ხალხს იმპერიამ მისი ყველაზე უდიდესი მონაპოვარი – სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის ავტოკეფალია წაართვა. ამის მიუხედავად, XIX ს-ის II ნახევრიდან ერმა დაიწყო სწრაფი კონსოლიდაცია – გამთლიანება, ის თვალდათვალ ნაციად ყალიბდებოდა და გამოღვიძებული ნაცია ეროვნული სახელმწიფოსა და ეკლესიის გათავისუფლებას ლამობდა. ამიტომაც იმპერიამ აამუშავა ბოროზდინის მსგავსი პირები. მაგალითად, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. პატკანოვი, „მისი შეგირდი ნ. მარი“ (როგორც ილია უწოდებდა) და სხვანი. მათი თეორია თითქმის იგივეა, რაც ბოროზდინისა. მას საერთოდ „ქართიზაციის თეორია“ ეწოდება. შემდეგში, უკვე XX ს-ის 60-იან წლებში, ამ თეორიის ქმედითი სახე კარგად გადმოცა კომუნისტური პარტიის ლიდერმა სუსლოვმა თავის დირექტივაში. „რუსული შოვინიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი“ მიხეილ სუსლოვი 1961 წელს წერდა:

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ წებო ძალას, თავის თვისებას დაკარგავდეს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება. შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩასასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ“. საჭირო იყო მათი გასახლება იმპერიისათვის და ეთნოწმენდის გზით ნახევარმილონამდე ქართველი გამოაძევეს კიდეც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

დასკვნა

ადიღეს ურდო (იურტა, ულუსი) ჩამოყალიბდა დასავლეთ ციმბირის რეგიონში ოქროს ურდოს ემირის ედიგეის მიერ, მან ამ ურდოს დიდი ნაწილი გადმოასახლა ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს სახელმწიფოებრივი მიზნების შესაბამისად. აქ ედიგეის, ანუ ადიღეს, ხალხი მე-15, მე-16 სს-ში გადაიქცა ზედა ფენად მის მიერ დამორჩილებული ჩრდილოკავკასიური აბორიგენული ტომებისა. საბოლოოდ ასიმილაციის შედეგად ადიღეს ტომთა დომინანტობით ჩრდილოკავკასიური ადგილობრივი ტომები შეერწყნენ ედიგეის ხალხს და ჩამოყალიბდა ერთიანი მრავალტომიანი ეთნოსი, რომელიც ამჟამად ადიღეელთა სახელითაა ცნობილი.

იგივე გზა, უფრო მოგვიანებით, ციმბირიდან კავკასიისაკენ გაიარა ადიღეს ულუსის მეორე ნაწილმა, რომელიც ამჟამად ნოღაელთა სახელითაა ცნობილი.

კიდევ უფრო ადრე, მე-11 საუკუნეში, იგივე გზა ციმბირიდან კავკასიისაკენ გაიარეს ყივჩაღებმაც.

ადიღე-ჩერქეზებმა გაძლიერების კვალდაკვალ შეძლეს კავკასიის ქედის გადმოლახვა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად.

მე-17 ს. დასაწყისში მათ აფხაზეთის სამთავროს დამორჩილების შემდეგ შეძლეს იქ გაბატონება და ამ მიწა-წყლის თავიანთ ბაზად გადაქცევა, საიდანაც უტევდნენ სამეგრელოს. აფხაზეთში ცხოვრების გამო მათ ქართველებმა „აფხაზები“ უწოდეს. აფხაზეთის ათვისებისა დ გაძლიერების თანავე „აფხაზებმა“ ანუ ადიღ-ჩერქეზებმა შეუტიეს სამეგრელოს სამთავროს, რომლის საზღვარი მაშინ კოდორზე გადიოდა. ლევან მეორე დადიანმა და ასევე მოქვის, დრანდისა და ბედიის ეპისკოპოსებმა გაიღეს უკანასკნელი სახსრები თავიანთი ეპარქიებისა ქრისტიანი მრევლის დასაცავად, ხალხის თანამონაწილეობით მათ ააგეს გრანდიოზული, თითქმის 100 კილომეტრის სიგრძის ციხე-გალავანი, სამეგრელოს თავდაცვითი კედელი, რომელსაც ამჟამად „აფხაზეთის დიდი კედელი“ ეწოდება. ამის მიუხედავად, ლევან მეორე დადიანის გარდაცვალების კვალდა-კვალ, ჩერქეზებმა შეძლეს წინააღმდეგობის დაძლევა და სასტიკად გაანადგურეს სამეგრელოს იმჟამად აყვავებული რეგიონები, მოქვის, დრანდისა და ბედიის სეპიკოპოსოთა ტერიტორიები, ააოხრეს ეს უდიდესი საეკლესიო ცენტრები, მღვდელმთავრებმა თავი შეაფარეს იერუსალიმსა და ასევე საქართველოს ქრისტიანულ რეგიონებს, ადიღე-ჩერქეზებს შემოსევათა გამო აფხაზეთის კათალიკოსი იძულებული გახდა მიეტოვებინა ბიჭვინთის კათედრა და საკათალიკოსო ტახტი ანაკოფიის ციხე-სიმაგრეში გადაეტანა, მალე აქედანაც მოუწია გადასვლა ჯერ ხობის მონასტერში, საბოლოოდ კი გელათში. უდიდესი საეკლესიო საგანძური, რომელსაც მოღწეული წერილობითი საბუთების თანახმად ქართველი მეფეები, დიდებულები და საეკლესიო პირები წირავდნენ ბიჭვინთას, მოქვის, დრანდის, ბედიის საყდრებს, სხვა უამრავ ეკლესია-მონასტერს – გამარჯვებილ ადიღე ჩერქეზებს დარჩა, რომელთაც ამჟამად აფსუებს, ოფიციალურად კი აფხაზებს უწოდებენ. გამარჯვებულმა ადიღე-ჩერქეზებმა სიკვდილს გადარცენილი მოსახლეობა ან მონებად დაყიდეს, ანდა გადაქციეს საზოგად-

ოების ყველაზე დაბალ ფენად. მხოლოდ რუხის ციხესთან ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი მათი შემოტევის შეჩერება, სამეგრელომ დაკარგა ამჟამინდელი გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები ანაკლიისა და სოხუმის ციხეებთან ერთად.

თავი III

ყარაჩაი-სვანეთი

ლიტერატურა

ჩრდილო კავკასიის საეკლესიო იურისდიქციას იკვლევს სხვადასხვა ავტორი, მათ შორის მრავალი ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთს, ყაბარდო-ბალყარეთის და კრასნოდარის მხარის საეკლესიო წარსულს ერთმნიშვნოვლად აკავშირებს კონსტანტინოპოლის საკათალიკოსოს ალანიის ეპარქიასთან (მაგალითად, მოსკოვში დასტამბული პრავოსავლანია ენციკლოპედიის ტომეულები) და არა ქართულ ეკლესიასთან, თუმცა, როგორც აღინიშნა, ქართული საეკლესიო არტეფაქტებით მოფენილია დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და მიმდებარე შავი ზღვისპირეთი. მათ გარდა არსებობს ტოპონიმები, ადგილობრივი გადმოცემები, თქმულებები, გვარები და სხვა, რომელნიც მიუთითებენ ჩრდილო კავკასიის აღნიშნულ რეგიონებში ქართული ეკლესიის მრევლის, კონკრეტულად კი ქართველთა, ცხოვრების შესახებ.

ამ მხრივ საინტერესოა გამოკვლევები, რომლებიც მიუთითებენ სვანების ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების შესახებ.

ალ. რობაქიძემ ჩრდილო კავკასიაში სვანთა განსახლების საკითხის შესწავლის მიზნით გამოავლინა ახალი კარტოგრაფიული მასალა. ეს არის **1790 წლის გენერალური რუკა, რომელშიც სვანეთის მიწაწყლის უმეტესი და უმთავრესი ნაწილი მთლიანად ჩრდილო კავკასიაში არის მოთავსებული** (ალ. რობაქიძე სვანური ქალაქოლის საკითხისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, გვ. 226), მნიშვნელოვნად საინტერესოა თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომები, განსაკუთრებით კი მისი წიგნი – „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“, 1989.

ამ წიგნში თეიმურაზ მიბჩუანი იკვლევს ჩრდილო კავკასიაში სვანთა ცხოვრების საკითხს, მას გამოყენებული აქვს მრავალი წერილობითი, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საენათმეცნიერო და ფოლკლორული მასალა, ის პირადად სამეცნიერო საველე მუშაობას ეწეოდა ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთში და მიმდებარე მხარეებში, გამოიკვლია მრავალი სოფელი, ნასოფლარი, მოიძია მრავალი მასალა და, ამასთანავე, იწერდა ძველი ისტორიისა და წარსული მთხრობელი ადგილობრივი პირების ნაამბობს ყაბარდო-ბალყარეთის ბაქსანის რაიონის სოფლებში: ლაშკუტაში, ელბრუსში, ნალჩიკის რაიონის სოფელ ხასანში, სოვესტკოეს რაიონის სოფელ ბეზინგში, ჩეგემის რაიონის სოფელ მალუარში, სოფელ ბულუნგუში, სოფელ ელტიუბში, ასევე ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის კარაჩაევსკის რაიონის სოფელ ხუმარაში და სოფელ ხეთაგუროვოში, სოფელ კამენამოსტში, კარაჩაევსკში, სოფელ

ქართჯურთში, სოფელ უშკულანში, სოფელ ხურზუყში, ასევე ზედა თებერ-დაში, მოცემული მასალების საფუძველზე მან დაწერა შესანიშნავი გამოკვლევა. ის წერს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია XVI–XVIII საუკუნეების რუსი ელჩების აღწერილობებში, XVI საუკუნის ნიკონოვისეულ მატიანეში, ცნობები აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, შარდენს (1643–1713), კლა-პორტს (1783–1835) და სხვებს. მოცემული აქვს მრავალი რუსი ავტორი XIX საუ-კუნისა, მათ შორის ბ. ნიჟარაძე, ნ. დიაჩკო-ტარასოვი და სხვები. მას მოყავს, მაგალითად, ვ. ტეპცოვის მიერ ჩაწერილი გადმოცემები სვანების ჩრდილო კავ-კასიაში ცხოვრების შესახებ. მისი სიტყვით, იქაური მცხოვრებნი ამბობდნენ, რომ კოშკები აშენებულია მათი წინაპარი სვანების მიერ, რომ მათ (სვანებს) ეკუ-თვნოდათ იქვე არსებული ქრისტიანული სამარხებიც (ვ. ტეპცოვ, სვანეტია, გე-ოგრაფიჩესკიი ოჩერკ, სბორნიკ მატერიალოვ დლია ოპისანია მესტნოსტეი ი პლემენ კავკაზა, ვიპ. X ტიფ. 1890 ს. 56-63). სხვაგან ტეპცოვი მიუთითებს გადმო-ცემას იმის შესახებ, რომ ლაბგვიარში (ანუ ულუკამის ხეობაში) ყოფილა სვანე-ბის დიდი დასახლება, სადაც ჰქონიათ ქალაქი თავისი მეფით. იქაური სვანი მე-გზურების სიტყვით, როცა ყარაჩაელები მოვიდნენ ულუკამის ხეობაში, ყუბანის სათავეებთან, მათ დაამარცხეს მკვიდრი სვანები, დაანგრიეს სვანთა ქალაქი, ხოლო გადარჩენილი სვანები გაიქცნენ ენგურის ხეობაში. ტეპცოვი ასახელებს იქაურ სვანურ ტოპონიმებსაც, იმავეს წერს ტეპცოვი ყარაჩაელებზე – მათმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ მათ მიერ დაკავებული მიწები ადრე სვანებს ეკუთვ-ნოდათ (ვ. ტეპცოვი, პო ისტოკამ კუბანი ი ტერეკა, იქვე, ვიპ. XIV ტიფ. 1892. ს. 86. 87). თ. მიბჩუანი, თავის მხრივ, იკვლევს ასევე მსგავს სვანურ გადმოცემებს, მაგალითად: ი. მარგიანს XX საუკუნის დასაწყისში გამოუქვეყნებია თქმულება, რომ ძველი სვანეთის სამეფო საზღვარი აღწევდა მდინარე თერგისა და ყუბანის სათავეებამდე, რომელიც ახლა მთიელ მაჰმადიანებს უჭირავთ, ამ ადგილებს სვანები თავის საკუთრებად რაცხავენ (ი. მარგიანი, ისტორიული და გეოგრა-ფიული აღწერა სვანეთისა, 1903 №2 გვ. 17). მსგავსი გადმოცემები მრავლად არის ჩაწერილი, მაგალითად, 1883 წელს ვ. მილერსა და ვ. კოვალევსკის ჩაუწე-რიათ, ბახსანის ხეობაში გადმოცემა თავად ამფაკოზე, რომელიც ჩეგემიდან ბახსანაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მაშინ სვანები ცხოვრობდნენ, და შეტაკების დროს სვანებს ამფაკო მოუკლავთ, ასევე 1878 წელს ბ. ნიჟარაძე ახლ-და რუსეთის საიმპერიო კომისიას, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ჩრდილო კავკასიაში სვანი მთავარი ქალის პრეტენზიის საკითხს, რომ მათ ოჯახს, რომ-ელიც იმჟამად ჩუბუხევს მართავდა, ეკუთვნოდა ასევე მამულები ჩრდილო კავ-კასიაში, ჩეგემის, ბახსანისა და ყარაჩას ადგილებში, ამ კომისიის წევრმა ბ. ნი-ჟარაძემ გამოიკვლია, რომ აღნიშნული ჩეგემის, ბახსანისა და ყარაჩას ადგილები XIX საუკუნის შუამდე იყო სვანეთის კუთვნილება და დაბეგრილი იყო სვანების მიერ, მაგალითად, ჩეგემის საზოგადოება სვანების მულახის საზოგადოებას ყოველწლიურად უხდიდა გადასახადს 12 ვერძის სახით, ბახსანი და ყარაჩა ასევე აძლევდა საბალახო ბეგარას სვანებს (ბ. ნიჟარაძე ისტორიულ-ეთნოგ-რაფიული წერილები, ტომი II, 1964 გვ. 51–52). ბ. ნიჟარაძემ ჩრდილო კავკასიაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ნახა ქრისტიანული ნაშთები და ფიქრობს, რომ ამ

ადგილებში ცხოვრობდნენ ქრისტიანი სვანები, რომლებიც გაიქცნენ იქედან გამუსლიმანების საშიშროების გამო. აღნიშნული მილერიც ხედავს აქ სვანების ნაკვალევს. 1841 წ. ა. ფირკევიჩს ბეზინგში უნახავს ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები, რომლის ფრესკის კედლებზე იყო ქართული წარწერები (ა. ფირკევიჩ, არხეოლოგიჩესკიე რაზვეტკი ნა კავკაზე, ტრუდი ვოსტოჩნოგო ატდელენია არხეოლოგიჩესკოგო ობშესტვა, ტ. III. ვიპ. 3. სპბ, 1858 ს. 131.132). მრავალი ავტორის შრომის განხილვის შემდგომ თ. მიბჩუანი ეხება ლ. ლავროვს, რომელიც მიიჩნევს, რომ ყარაჩაი-ბალყარეთში ტოპონიმები ლაშკუტა, ხუმარა, უშგულანი, შუანა სვანური წარმოშობისაა, მისი აზრით, აქ სვანები ცხოვრობდნენ XVIII საუკუნემდე, ბახსანის ხეობაში 1773 წლამდე (ლ. ი. ლავროვ, პროისხოჟდენიე კაბარდინევ ი ზასელენიე, „სოვოტსკაია ეტნოგრაფია“ 1956, №1).

თ. მიბჩუანის ნაშრომიდან, ასევე მის მიერ მოყვანილი ანთროპოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები არიან იმ სვანთა გენეტიკური შთამომავლები, რომლებიც გამუსლმანებამდე იქ ცხოვრობდნენ – ჩრდილო კავკასიაში (XVI–XVIII საუკუნეებში) მას მოჰყავს ამის შესახებ ანთროპოლოგ ვ. ალექსეევის დასკვნა „ამგვარად ყარაჩა-ბალყარელთა ანთროპოლოგიური ტიპის სპეციფიურ თვისებებს მივყავართ იმ აზრამდე, რომ აუცილებელია მათი გენეტიკური კავშირები ვეძიოთ, პირველ რიგში, სვანებთან (ვ. ალეკსეევ, ნეკოტორიე პრობლემი პროისხოჟდენიე ბალკარცევ ი კარაევცევ... „მატერიალი ნაუჩნოი სესიი... ნალჩიკ, 1960,ს.320, 333).

სვანების გამუსლიმანების შემდეგ მათ ასიმილაციას იქ ჩამოყალიბებულ მუსლიმან ხალხში მიუთითებს ყარაჩაელთა და ბალყარელთა შორის მრავალი საგვარეულოს არსებობა, რომელნიც თავიანთ წინაპრებად სვანებს მიიჩნევენ. ეს საგვარეულოები ჩამოთვლილი აქვს თ. მიბჩუანს. ასევე მას მოჰყავს სია მრავალი კარტოგრაფიული მასალისა, რომლებზეც ჩრდილო კავკასიაში სვანეთის ერთი ნაწილია მოთავსებული, მას ემატება იქ დარჩენილი სვანური არქიტექტურული ნაშთები, იგულისხმება კოშკები, ეკლესიების ნაშთები და სხვა ნაგებობები.

განსაკუთრებით საინტერესო არის XVI ს-ის ნიკონოვის მატიანის დამატებით ნაწილში მოტანილი ცნობა. მიბჩუანი წერს **„იგი ეხება 1562–1563 წლებში რუსეთის მეფე იოანე მრისხანის სიმამრის თემურიუკ იდაროვის ლაშქრობებს ყაბარდოს მეზობელ მხარეებში, ამ საბუთში ნათქვამია, რომ იდაროვ**მა 164 მშანთა და სონთა დასახლება დაარბია, დასახლებულია მათი ქალაქები“ (თ. მიბჩუანი დასახელებული ნაშრომი, გვ. 14). მასვე მოჰყავს სვანეთის მთავარ ციოყ დადეშქელიანის დედის დიგორხანის მოხსენება გაგზავნილი ბარონ როზენთან, 1835 წლის 14 ივლისს, ამ წერილის მიხედვით, სვანეთის ძველი საზღვრები მოიცავდნენ თერგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებს (იქვე გვ.15).

თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ ბალყარელები და მათი განაყარი შტო – ყარაჩაელები (რომელნიც ყარაჩაში მიგრირდნენ XVII ს-ის მეორე ნახევარში), სვანებს უწოდებდნენ „ებზეს“ (იქვე გვ. 16). ტერმინი „ებზე“ ს. ჯანაშიას კვლევით, უნდა წარმომდგარიყო ისტორიული აფხაზეთის სახელწოდებით „აბაზგი“-დან, ამ „ებზე“– ებეზი-დან არის ნაწარმოები ცნობილი „ობეზი“ (იქვე გვ. 17).

არა მხოლოდ სვანებს უწოდებდნენ „ებზეს“ (და ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას), არამედ მთელ ქართველ ხალხს. ამის მამტკიცებელი მაგალითია ასეთი ფაქტი – XX საუკუნის 30-იან წლებში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ტომები და ხალხები ბელად სტალინს უმღეროდნენ შესამკობ სიმღერებს, დაფიქსირებულია, რომ ყარაჩა-ბალყაროელებიც ასევე უმღეროდნენ სტალინს სიმღერას, რომელშიც სტალინს – ებზეს უწოდებდნენ. მოიხსენიებდნენ ასე – „ებზე სტალინ“ ანუ „ქართველო სტალინ“.

ტერმინი „ობეზ“ (აქედან ებზე), ზოგადად ქართველთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ამას ასევე მიუთითებს XIII ს-ის მოგზაურს პლანო კარპინი – „ობეზები, ანუ ქართველები“ (პლანო – კარპინ, პუტეშესტვიე კ ტატარამ, სპბ, 1825, ს. 190-191).

თ. მიბჩუანი ეხება ასევე ტერმინს „სავიარი“ „სავები“ რომლითაც სვანები მოიხსენიებდნენ ყარაჩ-ბალყარელებს. ამჟამად სვანები ყარაჩაელებს არა „სავიარს“ არამედ „ყარაჩალ“-ს უწოდებენ, ხოლო „სავ“-ს უწოდებენ ბალყარეთს (იქვე, გვ. 30).

საფიქრებელია, რომ სავიარებს სვანები უწოდებდნენ არა ყარაჩა ბალყარელებს, არამედ სავრომატებს, როგორც ამის შესახებ აღნიშნავს ს. ჯანაშია.

„ს. ჯანაშია როცა ეხება ტერმინ „სავ“-ს, აღნიშნავს, რომ იგი „სავრომატის“ გადმონაშთია. იმის მოწმობაა, რომ სვანები თავის დღევანდელ მიწაზე უკვე დამკვიდრებულები არიან არა უგვიანეს V–IV სს-ისა ჩვ.წ.-მდე“ (ს. ჯანაშია, შრომები II, 1959, გვ. 130). შესაძლოა, ჩრდილო კავკასიის სტეპების ხალხს, რომლებიც გამაჰმადიანების შემდეგ დასაპყრობად მიადგნენ ჩრდილო კავკასიის მთებში მცხოვრებ სვანებს, სვანები ძველ სახელით სავრომატებით, ანუ „სავებით“ „სავიარებით“ მოიხსენებდნენ. მოსულთა გამარჯვების შემდეგ, სვანების ნაწილმაც მიიღო მაჰმადიანობა, ისინი შეერწყნენ მოსულ ხალხს, ასიმილირდნენ და ერთ-ერთი გენეტიური შესაძირკვლედ იქცნენ ახალი ხალხისა, ყაბარდო ბალყარელებისა.

მიბჩუანი მიიჩნევს – „სწორედ ამ ხანებში უნდა დაწყებულიყო სვანთა ასიმილაციის პროცესი...“ (იქვე, გვ. 30).

ზემოთაღნიშნული მკვლევარების მტკიცებით სენტი, შოანა (შუანა) და ხუმარა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში სვანებით ანუ ქართული ეკლესიის მრევლით იყო დასახლებული, ისინი შესანიშნავად უვლიდნენ და პატრონობდნენ ამ ტაძრებს – სენტს, შოანასა და ხუმარას, ამით აიხსნება მათი მრავალფენოვანი მოხატულობა და საერთოდ, ნაგებობათა შესანიშნავად შემონახულობა მე-19. ს. დასაწყისში.

ასევე, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ცნობილი ჯვრიანი კოშკების არსებობა მიუთითებს, რომ მათი განლაგების რეგიონი ქართული ეკლესიის მრევლით, თავდადებული ქრისტიანებით იყო დასახლებული, ჩრდილო ოსეთისა და დაღესტნის ქართული ქრისტიანული ძეგლები და მათი ნაშთები ამასვე მიუთითებს.

თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომი –„ქართული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში“

(ძეგლის მეგობარი, 1974 – კრ. 36.- გვ. 63-67)

კავკასიის ალანიას ამჟამად, ნაწილობრივ, მოიცავს ყარაჩაი, ის ძველთა-განვე სვანებით იყო დასახლებული.

თეიმურაზ მიბჩუანი წერს: ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი სხვადასხვა ეპოქის ძეგლთა საინტერესო სამყაროს წარმოადგენს. აქედან ჩვენ გვინდა მოკ-ლედ შევეხოთ ყარაჩა – ბალყარეთის ტერიტორიაზე მიმობნეულ შუა საუკუ-ნეების ზოგიერთ მატერიალურ კულტურის ძეგლს.

ყარაჩა, რომელიც ძირითადად ყარაჩაელებით არის დასახლებული. ად-მინისტრაციულ – ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში შედის, ხოლო ბალყარეთი-ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში.

ყარაჩა მდ.ყუბანის სათავეში მდებარეობს. ბალყარეთის მდინარეების მალყარის, ბეზენგის, ჩეგემის, ბახსანისა და მალკის ხეობებში ყარაჩა-ბალყარე-ლები ერთი ეთნიკური ჯგუფიდან განაყარი მონათესავე ხალხებია. მათი წარმ-ომადგენლობის საკითხი მიმდინარე საუკუნის 60-იან წლებამდე ბურუსით იყო მოცული. სწორედ ამან განაპირობა 1959 წელს ნალჩიკში სპეციალური სა-მეცნიერო სესიის მოწვევა, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული ხალხების ეთნოგ-ენეზის პრობლემას. ამ სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადგ-ილობრივმა მკვლევარებმა, ისევე ცნობილმა საბჭოთა კავკასიისმცოდნეებმა პროფ. ი. ლავროვმა, ალ. რობაქიძემ, რ. ხარაძემ, ანჩაბაძემ და სხვ. როგორც გაირკვა, ეს ხალხი მათ დღევანდელ ტერიტორიაზე შემოსახლდნენ არა უად-რეს XIV–XV საუკუნეებისა. ყარაჩაელები ბალყარელებს უნდა გამოყოფოდნენ XVII საუკუნის შუა წლებში და დასახლებულიყვნენ ყუბანის სათავეებში. სესიის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ ყარაჩა-ბალყარელთა ეთნიკური ფორმირების პროცესში ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად გარ-კვეული როლი უნდა შეესრულებინათ სვანებსაც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დღევანდელ ყარაჩა - ბალყარელთა ტერი-ტორიაზე ოდესღაც სვანებს უნდა ეცხოვრათ. მიუხედავად ამისა, დღევანდელ ყარაჩა-ბალყარელების ეთნოგენეზის მკვლევართ კვლავ არა აქვს გამახვილე-ბული ყურადღება სვანების აღნიშნულ ტერიტორიაზე განსახლების შესაძლებ-ლობის საკითხზე. წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგ-როვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლე-ბა დასტურდება უამრავი ფაქტით, რომ არაფერი ვთქვათ დოკუმენტებსა და ჩვენს მიერ სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაწერილ გადმოცემებზე. ყურა-დსაღებია იქ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქარ-თველური წარმოშობის ტოპონიმები და გვარები. მარტო ბალყარეთის ტერიტო-რიაზე 90-მდე ასეთი ტოპონიმია გამოვლენილი (ლაშგუდა, კუდაი ნაკ, ლესგენ, ჟაბოლარ, ლაბუ, ლაგურა ლალვერ, ლამგუთ, ლახრან, ჟულუ, გაგიშ შურუ, მუხოლ და სხვ). ყუბანის სათავეებში კი 30 (უშგულან, მახარ, ხურზუკ,

ლაბგვიარ, დალარ, ბაჩა-ზოგ, ტიბერდა, კლუხორი ხატიფარა, სულახატ, სენტი, მუხა ხუმარა, შუანა და სხვ.). სვანური და ზოგჯერ რაჭული წარმოშობის გვარებიდან აღსანიშნავია: ბოტტაევ – კახიანი, გეკიევ –კახიანი, ებზეევ – არღვლიანი (ებზე-ს ყარაჩა – ბალყარლები ეთნონიმის სახით ხმარობენ სვანების მიმართ), ერისტაევ – ერისთავი ოთარლარ – დადეშქელიანი, ჟაბელარ – დადეშქელიანი, რახაილარ – რეხვიაშვილი, სოტტაევ – ყიფიანი, ტაპასხანოვ – ქურდიანი. ქურდანოვ – ქურდიანი, შახმურზაევ – გუჯეჯიანი, შუანოვ „შუან“ სვანურად სვანეთი, ჩარკუიანოვ – ჩარკვიანი; ჯაპუევ – ჯაფარიძე, ხუბიევ – ხვიბლიანი, წულკიანოვ – წულკიანი, მიმჩუევ – მიბჩუანი და სხვ.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ყუბანის სათავეებში მდებარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X–XI საუკუნეებით.

ერთ მათგანს ეწოდება **სენტი** (ქვედა თებედრა), ამ სოფლის ადრინდელი სახელი.

მეორეს – **შუანა,** რომელიც აშენებულია ამავე სახელწოდების მთაზე. შუანა ადრე ეწოდებოდა დღევანდელ აულ კოსტა ხეთაგუროვოს, სადაც 1870 წლიდან მოსახლეობენ ჩრდილო ოსეთის სოფ.ნართიდან გადმოსული ოსები. ორივე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოხსნილი აქვთ კარები, შიგნით საქონელი შედის და სიბინძურის გამო ადამიანის შესვლა შეუძლებელიცაა.

შუანა იგივე „ქართული ხარა-ხოტო“ უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ – ერთ ეპარქიას. საყურადღებოა თვით ადგილის სახელწოდება, რაც ნიშნავს სვანეოს. ასევე სენტი იდენტური უნდა იყოს სვანეთის სეტის (მესტიის შუა სოფელი).

აულ ხურზუგში (მდ. ყუბანის სათავე) მთაზე დგას XII–XIII საუკუნეებით დათარიღებული სვანური კოშკი, რომელსაც **„გოშაიახ-ყალა“** ეწოდება. მას თავი მორღვეული აქვს და ამდენად სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელი პარაპეტი ვერ შემოუნახავს. სვანური თქმულება-გადმოცემებით,“ იგი მიჩნეულია გოშუანების საკუთრებად, რომლებიც ცხოვრობდნენ ხურზუგში. იქ ჩადენილ მკვლელობის გამო ისინი იძულებით გადმოსულან სვანეთში. გადმოცემის მიხედვით სვანეთში გადმოსული სამი ძმა გოშუანისაგან არიან წარმოშობილი ისეთი გვარები როგორიცაა: ჩხუმიანი, ხერგიანი, მარგველიანი. ისინი ახლაც ნათესაობენ ერთმანეთს.

ყარაჩაში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით. ხურზუგის კოშკის მეპატრონე გოშაია-ბიჩე (გოშუანის ქალბატონი) დასაფლავებულია მეორე აულში, ქართ-ჯურთის სასაფლაოზე, სადაც მის აკლდამას ეწოდება „გოშაიახ-ბიჩექეშენი" – გოშუანის ქალბატონის აკლდამა. ეს აკლდამა დათარიღებულია XVI–XVII საუკუნით.

დღემდეა შემონახული სოფ.ბეზინგიში სვანური კოშკი ე.წ. „აკ-ყალა" (თეთრი კოშკი).

მას ადრე **„ებზე-ყალას“** (სვანების კოშკს) უწოდებდნენ, მაგრამ ადგილობრივმა **მკვლევარებმა მას, რატომღაც, სახელი შეუცვალეს.**

იგი თავმორღვეულია. არსებობს ამ კოშკის სურათი, რომელიც ე. ბ. ბერშტეინს 1937 წ. გადაუღია. მაშინ კოშკს შენარჩუნებული ჰქონია თავისი მთლიანობა და სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელი პარაპეტიც. ეს სურათი ალ. რობაქიძემ და რ. ხარაძემ გამოაქვეყნეს ნალჩიკის 1959 წლის სამეცნიერო სესიის მასალათა კრებულში, რომელიც გამოვიდა 1960 წ. ძეგლი დათარიღებულია XVII–XVIII საუკუნით.

უვნებლადაა გადარჩენილი **ჩეგემის** კოშკი, რომელიც მკვლევართა მიერ უცილობლად სვანურ კოშკად არის აღიარებული. დათარიღებულია XVII ს.

მნიშვნელოვან ანსამბლს წარმოადგენს ჟაბოევის ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი. ჟაბოევები დადეშქელიანებია. ჟაბ – სვანური სიტყვაა და აღმოსავლეთით მდებარე უბანს, ადგილს ან ციხეს ნიშნავს. მსგავსი ტოპონიმები სვანეთშიც გვხვდება.

ხუმარა

საგულისხმოა, რომ ხუმარის მომიჯნავე ხეობის, ყუბანის თავში მთასა და მასზე კოშკის „ნანგრევების ნაშთს ადგილობრივნი **Гора Тамары**“ და „**Крепость Тамары**“–ის უწოდებენ. ეს ტოპონიმი კარაჩაევსკის რაიონის ყველა მცხოვრებთათვის ცნობილია და, მითუმეტეს, მხარის წარსულის **მკვლევართათვის**. **რომლებიც ამ სახელწოდებას რატომღაც არსად არ იხსენიებენ ტოპონიმებისა თუ ძეგლების მიმოხილვის დროს.**

ამავე აულ ხუმარაში არის ერთი დიდი ქვა, რომლის სიგრძე 5 მ და სიმაღლე 3,5 მეტრია. მას თამარის ქვას უწოდებენ. გადმოცემით, აქ ჭედავდნენ თამარის ცხენს, რომლის ფლოქვების ანაბეჭდები ახლაც ეტყობა ქვას. ქვაზე მართლაც სამი სხვადასხვა ზომის „ყუთია“ ამოჭრილი. ხუმარის თავზე, მთის ძირში 3 მეტრი სიმაღლის ბრტყელი, უხეშად გათლილი ქვაა აღმართული, რომლის მთელ სიგრძე – სიგანეზე ჯვარია გამოსახული. ადგილობრივნი მასაც თამარის სახელს უკავშირებენ. მათივე თქმით, თამარი **ქართველთა ჯარის** მეთაური იყო (და არა მეფე), რომელიც შიშის ზარს სცემდა მტერს. თამარის მთის მომიჯნავე კლდეებში დაახლოებით 36 „ოთახია“, რომელშიაც დაეტევა ექვსასამდე ადამიანი. ეს კატაკომბები VIII–XII საუკუნეებით არის დათარიღებული. გადმოცემების მიხედვით, მათში თამარის ჯარი იყო ჩასაფრებული. აულ ხუმარაში ჩავიწერეთ საინტერესო გადმოცემა თამარის გარდაცვალების თაობაზე. მათი რწმენით, **თამარი, სადღაც მისი მთისა და კოშკის მახლობლად არის დასაფლავებული.** ჩრდილოეთ კავკასიაში ზემოხსენებული მსგავსი ძეგლების ნანგრევები და ნაშთები სხვაც ბევრია“, რომელთაც კვლავ სპეციალური შესწავლა და ყურადღება სჭირდებათ.

ქართული საეკლესიო მრევლი (სვანები) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

თ. მიბჩუანის მიხედვით (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 36).

ქართული ეკლესიის მრევლი ჩრდილო კავკასიაში მოიცავდა ვრცელ არეალს დაღესტნიდან ვიდრე ყირიმის პუნქტ კაფამდე.

კაფა (დღევანდელი ფეოდოსია ყირიმის ნახევარკუნძულზე) მოიხსენიება ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლში – ბიჭვინთის იადგარი, ვითარცა ქართული ეკლესიის იურისდიქციის უკიდურესი ჩრდილო დასავლეთი პუნქტი. ეს ძეგლი იძლევა ცნობას, რომ ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ავრცელებდა ვიდრე კაფამდე, ამ ცნობას ეთანადება ქართლის ცხოვრების სხვა ცნობა, რომელიც, როგორც ჩანს, ეკუთვნის რუისის ეპისკოპოსს ლეონტი მროველს, რომ ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ეგროსის შთამომავალთა განსახლების საზღვარი აღწევდა მცირე ხაზარეთის მდინარემდე, სადაც **„წარსწვდების წვერი კავკასისა“**, მართლაც, კავკასიის ქედი ამ არეალში აღწევს ტამანის ნახევარკუნძულამდე, ამ ქედის ეგრეთწოდებულ „წვერთან“ გაედინება მდინარე ყუბანი (ქართული წყაროების „მცირე ხაზარეთის მდინარე“), აქამდე, ანუ ტამანის ნახევარკუნძულამდე აღწევდა. როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის იურისდიქცია და აქვე ამ არეალის მახლობლად მდებარეობს ცნობილი პუნქტი კაფაც.

მდინარე ყუბანი, ანუ ქართულად მცირე ხაზარეთის მდინარე იხსენიება სხვა ცნობაშიც, სადაც გადმოცემული არის აფხაზეთის საერისთავოს საზღვრები. ამ ცნობის მიხედვით, აფხაზთა ერისთავი თავის სამფლობელოს ავრცობდა ბზიფიდან და ანაკოფიიდან ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე.

შავი და აზოვის ზღვისპირეთის ეს არეალი, როგორც ითქვა, ქართულ წყაროებს ქართველების წინაპრებით, ეგროსის შთამომავლებით მიაჩნიათ დასახლებულად უძველესი ხანიდანვე, ამ ცნობას ეთანადება მე-6 ს-ის ისტორიკოსის მენანდრეს სიტყვები სვანების შესახებ: „ერთ-ერთი იმ ტომთაგანია რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა, II გვ. 221).

სვანებს სტრაბონის წყარო ერთ-ერთ იბერიულ ტომად მიიჩნევს და წერს: „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“ იბერიის აღწერისას კი სტრაბონი მიუთითებს, რომ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა გენეტიკურად მონათესავეა ჩრდილო იბერებისა, სტრაბონის ამ ცნობას, თავის მხრივ, განამტკიცებს ქართლის ცხოვრების იდენტური ცნობა მთიელი იბერების შესახებ, კერძოდ როცა ეს წყარო ეხება ქრისტეს შობამდე III–II საუკუნეებში მცხოვრები იბერიის მეფე საურმაგის ამბებს, მის შესახებ წერს შემდეგს – **„ამან საურმაგ წამოიყვანა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, და რომელიმე მათ-**

განი წარჩინებულ ყვნა, და დაასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 27).

ამ ტექსტს ორგვარად განმარტავენ, სვანეთია დიდოეთიდან ეგრისამდე მდებარე ტერიტორია, და მეორე – სვანეთია ეგრისი, ანუ ეგრისს ასევე სვანეთს უწოდებდნენ – „ეგრისი, რომელ არს სვანეთი“.

როგორც აღინიშნა, ამავე წყაროს ცნობით, ეგრისი ერქვა მიწა-წყალს ლიხის ქედიდან და რიონიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე – მცირე ხაზარეთის მდინარემდე, იქამდე სადაც აღწევდა კავკასიის ქედის წვერი, ანუ მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მომიჯნავე მიწაწყალი მდ. ყუბანამდე ეგრისად, ანუ სვანეთად იწოდებოდა და, შესაბამისად, ჩანს, დასახლებულ იყო კიდეც მეგრელ-სვანებით.

აღსანიშნავია, რომ თ. მიბჩუანი სხვაგვარად საზღვრავს სვანეთის ადგილმდებარეობას, მისი თვალსაზრისით, სვანეთი იყო წყაროში მოხსენიებული ტერიტორია დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, მისი კვლევით, ეს თვალსაზრისი ქონდა ივანე ჯავახიშვილსაც (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 36).

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, სვანეთი ეგრისის ჩრდილოეთით მდებარეობდა, „ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც, ყუბანამდე მდებარე მიწა-წყალი ქართველთა საცხოვრისს წარმოადგენდა (რადგანაც ეგრისის წილი იყო), მაგრამ იბერიის (ანუ ქართლის) ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებისას, მეფე ფარნავაზის დროს, ქრისტესშობამდე IV–III სს-ში, ქართველთა ამ სახელმწიფომ ვერ მოიცვა ქართველთა მთელი საცხოვრისი მიწა–წყალი.

ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს ჩრდილო დასავლეთის საზღვარი გავლებული იქმნა მდინარე ეგრისწყალზე (ახლანდელ ოჩამჩირეს რაიონში მდ. ღალიძგა).

ამ მდინარიდან (ანუ ეგრისწყლიდან) ვიდრე ყუბანამდე მცხოვრებ ქართველობას არ უნებებია იბერიის, ანუ ქართლის სამეფოში გაერთიანება, მათ მხარი „ბერძენთათვის“ დაუჭერიათ.

როგორც ვთქვით, იბერიის სამეფო, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მისი ჩამოყალიბების დროს აღწევდა მდ. ეგრისწყლამდე, ვახუშტი ბატონიშვილი მეტაფორით აღნიშნავს ამის შესახებ, – ეგრისწყლიდან ყუბანის მიმართულებით მდებარე მიწა-წყალს ეწოდა ოდიში, რადგანაც ქართველები ამ ტერიტორიაზე დანანებით ამბობდნენ – „ოდესღაც, ოდესცა (ოდიში) – ჩვენი იყო ეს მიწა-წყალი“

ვახუშტის ცნობით, „ოდიში“ თავდაპირველად ერქვა ეგრისწყლიდან ყუბანის მიმართულებით მდებარე ტერიტორიას და ის ეგრისელებით იყო დასახლებული, რადგანაც, როგორც ვთქვით, ეგროსის წილი იყო.

ეგრისი და სვანეთი, როგორც ჩანს, იდენტური, ერთმანეთის დამფარავი ცნებები იყო, ეგრისელები და სვანები შესაძლოა იმ დროისათვის ერთიან ეთნიკურ მთლიანობას შეადგენდნენ და, ალბათ, სწორედ ამიტომ თარგამოსის და ასევე ქართლოსის ძეთა შორის სვანების ეთნარქი არ ჩანს.

ეგრისისა და სვანეთის იგივეობის შესახებ მრავალი სხვა ცნობაც არსებობს, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი. მაგალითად ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც ფარნავაზს ეხება, ფარნავაზმა ქუჯის „მისცა ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24).

სვანეთისა და დასავლეთ საქართველოს იგივეობა კარგად ჩანს თამარის ცხოვრების ქრონიკებში. მონღოლთა დროს რუსუდანი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც სომხური წყარო სვანეთს უწოდებს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანით ის სვანეთში გადავიდა, კირაკოს განძაკაცის ცნობით, რუსუდანი სვანეთში გამაგრდა. (თ. მიბჩუანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37), ანუ ძველ სომხურ თარგმანში სვანეთი დასავლეთ საქართველოს ეწოდება.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც, დავით ნარინის გამეფება ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბედიანთა, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთიმერთა (ქ.ც. II, გვ. 29).

ეს წყარო, ამ შემთხვევაში, სიტყვა მეგრელს ან ეგრისელს არ ახსენებს, მათ გულისხმობს ან აფხაზთა ან სვანთა ქვეშ, ანუ ეს წყაროც ამ შემთხვევაში დასავლეთ ქართველებს სვანებად მოიხსენიებს.

დავით ნარინმა და დავით ულუმ ერთმანეთს შუა გაიყვეს დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს საგანძური. დასავლეთ საქართველოზე წყარო წერს – „სვანი განიყვნეს ორად“. ამ შემთხვევაში სვანის ქვეშ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან აკრეფილი ხარკი, ანუ დასავლეთ საქართველო.

ქართულ წყაროებს, როგორც აღვნიშნეთ, ეთანადებიან ბერძნული წყაროებიც (სტრაბონი, მენანდრე). სტრაბონი სვანებს ასევე სონებს უწოდებს. ჩრდილო კავკასიაში სონთა ცხოვრების შესახებ მიუთითებენ სხვა წყაროებიც.

თ.მიბჩუანი წერს, რომ პლანო კარპინი და ასევე ზოგიერთი სომხური წყარო მიუთითებენ, რომ ჩრდილოკავკასიაში არსებობდა სონთა ქვეყანა.

კარპინის ცნობით, რუსუდანი გამგზავრებულა ოქროს ურდოში და გზაში გარდაცვლილა. როგორც აღნიშნა, კირაკოს განძაკაცის ცნობით, იქამდე რუსუდანი სვანეთში ცხოვრობდა, აქ სვანეთის ქვეშ, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იგულისხმებოდეს დასავლეთ საქართველო, საიდანაც ის ოქროს ურდოში წასულა და გზაში გარდაცვლილა, აქ, სვანეთი – დასავლეთ საქართველოს სახელია, ხოლო სონთა ქვეყანა ჩრდილო კავკასიაში სვანებით დასახლებული ქვეყანაა.

ჩანს, რუსუდანი დასავლეთ საქართველოდან ოქროს ურდოში გაემგზავრა ეგრეთწოდებული სონთა გზით, რომელიც ჩრდილო კავკასიას აერთებდა დასავლეთ საქართველოსთან, რომლითაც შემდგომ იმგზავრეს რუსმა ელჩებმა ლევან II დადიანთან სტუმრობისას. ამ გზაზე დგას ხუმარას ნაქალაქარი ჩრდილო კავკასიაში. აქ არის ცნობილი გუმბათიანი ეკლესია და მრავალი ტოპონიმი თამარ მეფესთან დაკავშირებული. ადგილობრივი გადმოცემით, აქ ხუმარაში გარდაცვლილა თამარ მეფე, შესაძლოა, აქ გარდაიცვალა თამარ მეფის ასული რუსუდან მეფე, როგორც პლანო კარპინი აღნიშნავს, ოქროს ურ-

დოსკენ მგზავრობისას გზაში. ხუმარა იმჟამად სვანთა ანდა ალანთა ქალაქი იყო, ორივე შემთხვევაში ის რუსუდან მეფის საბრძანებელში შედიოდა, რადგანაც დავით ნარინი ალანთა სამეფოს სახლის წევრი, მისი მამა იყო.

სტეფანოზ ორბელიანი დავითს სონთა მეფეს უწოდებს, ის საუბრობს რუსუდანის ვაჟზე, დავით ნარინზე, რომელიც სონთა მეფედ, ალბათ, იმიტომ იწოდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე იყო. (თ. მიბჩუანი, გვ. 41)

XVI–XVII საუკუნეებში თ. მიბჩუანის კვლევით, რუსულ საბუთებში სონთა ქვეყანა ეწოდებოდა ტერიტორიას თერგის სათავეებიდან ენგურ-ცხენისწყლის სათავეებამდე (იქვე, გვ. 42)

ქართული ენის სვანურ დიალექტზე (სვანურ ენაზე) ზოგიერთი მკვლევარის აზრით დიდი გავლენა მოუხდენია ადიღეურ ჩერქეზულ ენას,

სვანები ცხოვრობენ თურქულენოვან ყარაჩაელთა და ბალყარელთა გვერდით, ამიტომაც სვანურზე უფრო დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სწორედ თურქულს,

უნდა ვიფიქროთ, რომ სვანურზე ადიღე-ჩერქეზულმა იმ დროს იქონია გავლენა, როდესაც სვანები ჩრდილოკავკასიაში გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე ადიღე-ჩერქეზთა გვერდით ცხოვრობდნენ, მდინარე ყუბანის არა მხოლოდ სათავეებთან, არამედ მის დასავლეთ სანაპიროზე, ყუბანიდან ვიდრე შავ ზღვამდე, ანუ იმ ტერიტორიაზე რომელიც ეგროსის წილხვედრად არის დასახელებული.

ადიღე ჩერქეზები, როგორც მათი ენის ანალიზი აჩვენებს, არიან ე.წ. სინო-კავკასიურ ენათა მატარებელნი.

სინური, ანუ ჩინურ-ტიბეტური ენები გავრცელებული იყო მონღოლთა იმპერიის სხვადასხვა რეგიონში, კასპიისპირეთის ჩრდილოეთიდან და ურალიდან ბაიკალამდე.

ჩანს, მონღოლების, შემდეგ, თემურ ლენგის ეპოქაში ოქროს ურდოს სარდალ ედიგეის დროს, ამ რეგიონებიდან ჩრდილო კავკასიაში ჩასახლდა სინური ენის მატარებელი ტომები, რომლებიც შემდეგში, ჩანს, ადიღე ჩერქეზებად ფორმირდნენ, როგორც ამას ვახუშტის ცნობაც აჩვენებს.

ჩრდილო კავკასიის ალანიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სვანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ალანები, თავის მხრივ, აქ მოსული ხალხი იყო, როგორც ჩანს, უფრო მეტად IV–VI სს-ში, უფრო ლაზიკისათვის ომის დროს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, იმჟამად, დიდი მოთხოვნილება იყო ალანთა ლაშქრისა სამხრეთ კავკასიაში. ამ მოთხოვნამ ჩრდილო კავკასია ალანთა არენად აქცია.

ქართული ეკლესიის თავდადებული მრევლის სვანების დიდი რიცხვი ჩრდილო კავკასიაში თემურ ლენგის შემდეგაც დარჩენილა, ოღონდ ახლა ისინი უკვე აღარ ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის ბარში, არამედ მთებში – უფრო მეტად იალბუზის ირგვლივ. მათი რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება გამოუწვევია ჩერქეზების (ყაბარდოს) მთავარ თემრიუყ იდაროვს (აიდაროვს), რომელსაც დასჭირდა თავისი სიძის, რუსეთის ხელმწიფის ივანე მრისხანის დახმარება სვანების დასამარცხებლად

როზეტა გუჯეჯიანის ნაშრომი - ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში

როზეტა გუჯეჯიანი წერს: „ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანი, ოსეთი...) ქართული ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული (დ. მუსხელიშვილი, 2004; გ. ღამბაშიძე, 1987; რ. თოფჩიშვილი, 2007 და სხვ.), ხოლო ბალყარეთსა და ყარაჩაიში მათი რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ვინაიდან ქართველები ამ მხარეებში გვიან პერიოდამდეც (XVIII-ს მიწურული და XIX ს-ის დასაწყისი) ცხოვრობდნენ. საქართველოს ერთ-ერთი მხარე (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე. წ. თავისუფალი თემები) XIX საუკუნის 30–40-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანეთზე.

საისტორიო გამოკვლევებით, დადასტურებულია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1965, 51; გ. გასვიანი, 1993; თ. მიბჩუანი, 1986...). მაგალითად, სტრაბონის ცნობით, ქართველები **„სვანები ფლობდნენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“** (თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 19); მენანდრე პროტიქტორის ცნობით, ქართველები (სვანები) „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და მათ ქვეყანაზე სკვითები დადიან“ (გეორგიკა, 1936, 221); ლეონტი მროველის თანახმად კი, „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე არს სუანეთი“ („ქართლის ცხოვრება“, 1955, 27) და ა. შ.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ პირიქითა კავკასიონის ქართული ტერიტორიები თანდათანობით შემცირდა და ქართული ეთნოსის არსებობა ამ მხარეში დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ქართველები კიდევ დიდხანს უმკლავდებოდნენ თურქულენოვანი ტომების შემოსევებს. XVI საუკუნის ცნობით, ქართველები კვლავაც ვრცელ ტერიტორიაზე ჩანან განსახლებულნი: ყაბარდოს მთავარი ყაბარდოს მეზობლად „მშანთა“ და „სონთა“ 164 კაბაკს (სოფელს) და ქალაქებს „მოხან“-ს, „ენგირ“-ს და „კოვან“-ს ასახელებს. ცხადია, „მშანები“ და „სონები“ ქართველების (სვანების) აღმნიშვნელი ტერმინებია (გ. გასვიანი, 1993, 6-7). ყაბარდოელთა და „სონთა ქვეყნის“ ბრძოლების შესახებ მოთხრობილია სხვა წყაროებშიც: ყაბარდოელი მთავრები ჩრდილო კავკასიის მკვიდრთა შორის ქართველებსაც ასახელებენ (1743 წ.) „მეოთხე ხალხია სონები, რომლებიც ცხოვრობენ მდ. ბაქსანთან მაღლობებზე, მდ. კუმისა და ყუბანის სოფლებში (Известия... 1939, 31-39). საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დადიანთან მიმავალი რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარევის მიერ განვლილი მარშრუტი: მათ „სონთა გზით“ მოაღწიეს „სონთა მიწამდე“ (დონღუზ ორუნის უღელტეხილი), საიდანაც მოხვდნენ ნაკრის თემში, შემდეგ გადავიდნენ ეცერის თემში და ლენტერის გზით (ენგურის ხეობა) ჩავიდნენ დადიანთან (М. Полиевктов, 1935).

როგორც ჩანს, XVII–XVIII საუკუნეებში შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლება ქართული მოსახლეობისაგან. მათი ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოდის. ასეთი გადმოცემები შემონახულია დადეშქელიანთა, ჯაჭვლიანთა, გუჯეჯიანთა და სხვ. ქართულ საგვარეულო ისტორიებში. ნაწილიც ასიმილირდა ბალყარლებთან და ყარაჩაელებთან. ბევრ ბალყარულ და ყარაჩაულ საგვარეულოს დღემდე ახსოვს თავისი ქართული (სვანური, რაჭული) წარმომავლობის შესახებ. თუმცა XVIII საუკუნეში ქართველები ჯერ კიდევ სახლობდნენ მდინარეების ბახსანის, ხულამის, ყუბანის, თერგის და სხვ. ხეობებში. თვით XIX საუკუნის 30-იან წლებშიც კი საქართველოს საზღვარი ბევრად უფრო შორს გადიოდა, ვიდრე დღესაა. ქართული მოსახლეობა (სვანები) განსახლებული იყო ფართო არეალში პირიქითა კავკასიაში. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ 1835 წლამდე საქართველოს (სვანეთის სამთავროს და ზოგიერთ სვანურ თემს) ეკუთვნოდა ვრცელი მიწები მდ. თერგის, ყუბანისა და ბახსანის სათავეებში. 1834 წელს ბარონ როზენის მიერ სვანეთში საზღვრების ასაწერად გაგზავნილმა „შახოვსკიმ სვანეთის სამთავროს ყოველი მხრიდან ჩამოაჭრა ტერიტორიები: ჩრდილოეთის საზღვარი ამ დროს იყო ყარაჩაის მხრიდან ე. წ. ლაბგვიართან, ყაბარდოს მხრით – ნაქამუკვართან, თეგენეკის მთასთან, ჩეგემთან. შახოვსკიმ კი საზღვრად კავკასიონის ქედი დაადგინა*, რის შემდეგაც სვანეთის სამთავროს ჩრდილო კავკასიიდან უკვე აღარ უხდიდნენ ბაჟსა და გადასახადს, რაც ისტორიულად ემართათ ყარაჩაელებსა და ბალყარელებს ქართულ მიწებზე ცხოვრების და ამ მიწებით სარგებლობისათვის. სვანეთის მთავრის ქვრივი დიგორხან დადეშქელიანი-გარდაფხაძისა შეწუხებული სწერდა ბარონ როზენს: შახოვსკიმ „ყოვლისა მხრიდამ არა თუ შეავიწროვა საზღვარნი ჩუენნი, არამედ თავისა აზრითა მისცა მამულნი ჩუენნი სხუათა. მისცა ბრძანება როგორც ყარაჩაელთა, აგრეთვე ბახსანის მცხოვრებთაცა, რათა დღეის იქით აღარ გვაძლევდნენ ჩუენ იგინი მამულისა ჩუენისა შემოსავალსა, რომლითაც გვისარგებლნია და არს ჩუენი სამკვიდრო“ (ე. გაბლიანი, 1927, 51); ასევე დაზარალებულან ე. წ. ბალსზემო სვანეთის სხვადასხვა თემებიც. მაგალითად, მულახის თემი. „ჩეგემი მულახის საზოგადოებას უხსოვარ დროიდან აძლევდა ყოველწლიურად 12 ვერძს (სგიმერის“) საბალახო ადგილების ბაჟად, რომლის მიცემაზე 1858 წელს მან უარი განაცხადა ამიტომ მულახი დაეცა ჩეგემის მთებს და მათ წაართვა აუარებელი ჯოგები“ (ე. გაბლიანი, 1927, 54).

ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობა ბალყარეთსა და ყარაჩაიში დასტურდება წერილობითი წყაროებით, ტოპონიმიკით, მატერიალური კულტურის ძეგლებით (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები), ფოლკლორით, საგვარეულო ისტორიებით, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ და ა. შ. ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების, ხეობების, სათიბების სახელები) აიხსნება მხოლოდ ქართული ენის სვანური დიალექტებით, რის მიჩქმალვასაც აქტიურად ცდილობენ რუსი

და ჩრდილო კავკასიელი მკვლევარები, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც და ზოგიერთი ავტორი აღიარებს ქართული ეთნოსის სიმძლავრეს ამ მხარეებში (Л. Лавров, 1950; Дж. Кокоев, С. Шахмурзаев, 1970...).

ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ბალყარეთსა და ყარაჩაიში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ა. ტურზოევის, ცნობით (1743 წ.), ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია... ეკლესიებზე გამოსახულია ჯვრები. „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომლებსაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან (იხ. თ. მიბჩუანი, 1986, 106-107). მასალა თვალნათლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) ყოფა-ცხოვრებისა და მენტალობის უმთავრეს მახასიათებლებს: რელიგიურობას, კრძალვას და მოწიწებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი.

ი. გიულდენშტედტის მასალით (1772 წ.), მთელი ბასიანელები ძველად იყვნენ ქვეშევრდომები საქართველოს მმართველებისა, რომელთა ხელქვეითაც ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები გახდნენ, რისი ნაშთებიც ეხლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უქმობის, დიდმარხვის შენახვისა და ღორის ხორცის ჭამის სახით. მაგალითად, სამი საჟენი სიგრძის ქვის ეკლესია არის შემონახული ჩეგემის მხარეში ულუელთან... ახლა მათ ქართველ მფლობელებთან არაფერი აქვთ საერთო, რადგან ეს უკანასკნელნი ნაწილობრივ უძლურნი არიან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მათი ქვეყანა (ე. ი. ბასიანი) მოქცეულია მაღალ, უკაცურ თოვლიან ქედსა და სვანეთს შუა (ი. გიულდენშტედტი, 1964, 45). ი. გიულდენშტედტი სხვაგანაც აფიქსირებს ეკლესიას „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთი-ქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩეია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია“ (ი. გიულდენშტედტი, 1964, 207). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეისწავლა ჩრდილო კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტოპონიმიკა, ეთნოგრაფია, გიულდენშტედტისეულ ულუელის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩეია დღევანდელი აული ქართ-ჯურთია ან ლაბგვიარის (ულუკამის) მიდამოები, სადაც ძველთაგანვე ქართველები (სვანები) ცხოვრობდნენ (თ. მიბჩუანი, 1986, გვ. 108).

მოყვანილი არქეოლოგიური მასალა და ეთნოგრაფიული ცნობები საგულისხმო ინფორმაციას იძლევა კავკასიონს გადაღმა არსებული ქართული სოფლების ცხოვრების წესისა და მენტალობის შესახებაც. იგი პირაქეთა საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) ყოფისა და კულტურის იდენტურია...

1834 წელს ეს ადგილები ი. შახოვსკიმ შემოიარა და ვერც მან უარყო ჩეგემის მხარეში ქართული კულტურის არსებობა. ეკლესიის ნანგრევთან დაკავშირებით ი. შახოვსკი წერს: **„არქიტექტურული ნიშნებით ეს ეკლესია სვანეთის**

ეკლესიების მსგავსია. იგი სვანებს და იმ დროს უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც იქ სვანები ცხოვრობდნენ“ (И. Шаховский, 1876, 456).

1849 წელს ა. ფირკოვიჩმა ბეზინგში (ბეზინგი-ხულამის აზაუ) ქრისტიანული ეკლესია აღწერა. ტაძარი ქვით ნაგები (კედლების ზომა 5,25X3,25 არშინი, სიმაღლე – 4,25 არშინი) და მოხატული ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარზე ქართული წარწერებიც არსებულა (А. Фиркович, 1858, 132). ამ წარწერებს ლ. ლავროვიც იხსენიებს. მისი აზრით, წარწერები ქართველი მშენებლების ან ღვთისმსახურების შესრულებული უნდა იყოს (Л. Лавров, 1950, 81).

1890 წლის ვ. ტეპცოვის მასალით, „**ყველა მიწას ყუბანისა და თერგის სათავეებში სვანები თავისად მიიჩნევენ. ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ სვანები იღებდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელებისაგან საარენდო გადასახადს ჩეგემის მიწებით სარგებლობისათვის. სვანები ჩრდილო კავკასიაში ფლობდნენ სვანური კოშკების მსგავს ციხეებს, რომლებიც, მათი აზრით, სვანების აგებულია და რომ ეს მიწებიც მათი კუთვნილია. აგრეთვე სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების კიჩკენიკულისა და ყუბანის შესართავთან გვიჩვენებენ უძველესი ხიდის ნანგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზღვარს** (В. Тепцов, 1890, 1892).

ქართული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირიმ“. იგი წმ. მარიამს გულისხმობს.

უღელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, ვისაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩო, ნაკრა...) საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა მხარეს მცხოვრებ ყარაჩაელთა და ბალყართა იმ ნაწილთან, ვინც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა; ამავე დროს, არსებობდა ჩრდ. კავკასიელ და ქართველ მთიელთა (სვანთა) ძმადგაფიცვის ჩვეულებაც. ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა (ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული, ასევე ჩრდილო კავკასიელებს ესმოდათ ქართული ენის სვანური კილოები), ცხადია, კეთილმეზობლური ურთიერთობების შედეგი იყო. სამწუხაროა, რომ დღეს ამ მეზობელი ხალხებს შორის (ყარაჩაელები, ბალყარელები და ქართველები) საზღვარი ჩაკეტილია და ისინი იძულებულნი არიან ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლების მეშვეობით იქონიონ.

ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია **ყარაჩაიშიც**. ქართველები (სვანები) აქაც გვიანობამდე ცხოვრობდნენ, რაც ასახულია წერილობით წყაროებში, მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ტოპონიმიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია („შუანა“), ქვედა არხიზის ეკლესია, თებერდის ხეობის სენტის მონასტერი. მკვლევართა აზრით, ეს ძეგლები X, XI, XIV–XVII საუკუნეებით თარიღდება (В. Кузнецов, 1963). ცხადია, ყველა ეს ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილით და ტოპონიმიკით: **„შუანა“**

იგივე „სვანეთია“ „სენტი“ ბუნებრივია ქართულ „სვეტ“-ს, სვეტ – ცხოველს უკავშირდება. ამ სახელწოდების („სვეტიცხოვლიდან“ მომდინარე) მონასტერი შუაგულ სვანეთშიც დგას, მესტიაში, სეტის წმ. გიორგის მონასტერი. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტიელები (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986).

ადგილობრივმა ფოლკლორმა და ტოპონიმიკამ, ისევე როგორც დანარჩენ ისტორიულ საქართველოში (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი, ლაზეთი, ჰერეთი...) შემოინახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემებით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში, ხუმარაში. ყუბრანის ხეობაში შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა“. მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე“). დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. გადმოცემით, ამ სენაკებში თამარ მეფის ჯარი ბანაკდებოდა. მთხრობლებს თამარის საფლავი იქვე, ყუბრანის ხეობის სათავეში, ეგულებათ. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული. მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი დააფიქსირა, ე. წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს. იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს (თ. მიბჩუანი, 1977, 29-31).

ბალყარეთსა და ყარაჩაიში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები, მაგ. ხუმარში, ნასოფლარ ჟაბოლარში*, ზედა ჩეგემში, ბაირიმში და ა. შ. საერთოდ, ჯვრების გამოსახულებები გარდა სასაფლაოებისა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. გარდა ამისა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობა, მაგ. ეკლესიას კილისას, კლისას; ჯვარს კი – ჯორს უწოდებენ. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი გამოვლენილია ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების, X–XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები და ა. შ.

ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდეა შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. მითუმეტეს აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროტესტის შესახებ მოთხრობილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას („მაცხვრი“) საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში. ეს მიწა „არის ოსების* ხელში; მის მაგიერ ოსებმა უნდა უზიდონ ამ ეკლესიას წელიწადში 7–7 ხარი, ცხვარი და თხა. თუ ოსებმა ეს გადასახადი არ მისცეს ეკლესიას, მულახელები დაეცემიან იმათ საჯოგეებს თავზე და ჯოგს წამოასხამენ თავის სოფელში“ (ლ. დადუანი, 1872). საეკლესიო მიწების ფონდი, ცხადია, შეწირულობებით იქმნებოდა. შესაძლოა, მიწის ეს

ნაკვეთი, საეკლესიოდ სახელდებული, თავის დროზე, თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ – ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს“ შემდგომ ქართველთა ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ. ყოველივე საეკლესიო ქონება, რელიგიური სიწმიდე, სარიტუალო ჭურჭელი, საეკლესიო მიწა და სხვ. ქართველ მთიელთა განსაკუთრებული კრძალვისა და საგულდაგულო დაცვის ობიექტია: იგი წმიდათაწმიდაა, ხელშეუხებელია და, ცხადია, ეკლესიასვე უნდა დაუბრუნდეს. ბუნებრივია, სვანები თავს უკიდურესად დაზარალებულებად თვლიდნენ. ბალყარელებმა მათ ეკლესიას კუთვნილი გადასახადი დაუკარგეს, შესაბამისად კი შეურაცხყვეს ამ ეკლესიის მრევლი. ამიტომაც არაა გასაკვირი სვანების რეაქცია. ისინი დაუცველნი იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურებისაგან. რუსეთის იმპერიამ მათ კუთვნილი მიწები ჩამოართვა და ბალყარლებს დაუმტკიცა. ისინი თვით აწესებენ სამართალს, თავს ესხმიან ბალყარელ მეჯოგეებს და ძალისმიერი გზით იღებენ მათგან საეკლესიო „ბეგარას“ საეკლესიო მიწით სარგებლობისთვის.

ამრიგად, ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიებზე შემონახული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-დარბაზები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სამარხები...) ტოპონიმები, ეთნოგრაფიული მასალა (ლეგენდა-გადმოცემები, საგვარეულო ისტორიები, ფოლკლორი...) ავლენენ ქართული ეთნიკური ელემენტის უძველესი დროიდანვე არსებობას ამ მხარეებში. ბალყარეთსა და ყარაჩაის მთიანეთი ფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეშია მოქცეული. ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი ამ მხარეებზე გარკვეულ გავლენას თვით XIX საუკუნის 30–40-იან წლებამდე ინარჩუნებენ ქართული სამთავროები (სვანეთის სამთავრო) და ცალკეული თემები (მულახის თემი, მესტიის თემი).

შენიშვნები

* ამავე დროს ჩამოაჭრეს სვანეთის სამთავროს დასავლეთის ტერიტორიაც. თუკი აქამდე მისი საზღვარი ს. ჯვარამდე აღწევდა, სადაც ამჟამადაც აღმართულია სვანური სასაზღვრო//საგუშაგო კოშკი (ამ ადგილს ცხვიმზაგრის ქედი ჰქვია. ტოპონიმიც მხოლოდ ქართული ენის სვანური დიალექტებით აიხსნება), რუსებმა საზღვრად მდ. ეცი დაადგინეს, რითაც სვანეთის სამთავროს 30 კილომეტრი დაუკარგეს.

** სგიმერი მდებარეობს კავკასიონის ქედს გადაღმა დაახლოებით 25–30 კილომეტრში, ჩეგემში და იგი ძველად საქართველოს (სვანეთის) საკუთრებას შეადგენდა.

* ასე იხსენიება ბალყარეთი ძველ ქართულ წყაროებში.

** ეს ეკლესია XX ს-ის 60-იან წლებში მთლიანად იყო დანგრეული.

*** იგულისხმება XIX საუკუნე.

* გვარი „შუანალარ“ დღემდე ცხოვრობს ამ მხარეში.

* ჟაბოლარის ციხე-კომპლექსი დადეშქელიანთა ერთ შტოს „ოთარალარ“-ს უკავშირდება.

ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიიდან, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი მ. ფირცხელანი (ხელნაწერი)

„მდინარე ყუბანის ხეობა ძირითადად დასახლებული ყოფილა ქართველური (სვანური) ტომებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველურ ტომებს (სვანებს, ხევსურებს, თუშებს, წანარეებს და ა.შ.) კავკასიონის ქედის ორივე მხარე (როგორც სამხრეთი, ასევე ჩრდილოეთი) ეკავათ. ამის დამადასტურებელია შემდეგი ფაქტები და წყაროები:

1. მიწის ქვეშა და მიწის ზედა არქეოლოგიური არტეფაქტები;
2. რელიგიური და საკულტო შენობა-ნაგებობები;
3. არქიტექტურა (სვანურ-ხევსურული კოშკების სისტემა);
4. ტოპონიმიკა;
5. წერილობითი საბუთები;
6. გვარების წარმომავლობა;
7. ზეპირი გადმოცემები;

ჩრდილოეთ კავკასია, როგორც ირკვევა, სხვადასხვა ტომების თუ სამხედრო გაერთიანებების მუდმივი თავდასხმის ობიექტი ყოფილა, რის შედეგადაც ადგილობრივი ქართველური (სვანური) მოსახლეობა თანდათან იძულებული გამხდარა ქედის სამხრეთით გადმოსახლებულიყვნენ. დამპყრობთა შორის ცნობილია სკვითური, თათარ-მონღოლური, ირანული, არაბული, თურქული და რუსული წარმომავლობის სამხედრო ფორმირებები.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მეფის ივანე მრისხანის და სხვა მის შთამომავალ მეფეთა მიერ დაპყრობილ იქნა ახლანდელი კრასნოდარის მხარე, თანდათან ხელი.

მიჰყვეს ჩრდილო კავკასიელი ადგილობრივი ტომების შევიწროებას.

ირკვევა, რომ რუსებთან მოყვრობა დაუმყარებიათ ყაბარდოელების დაწინაურებულ (მდიდარ) გვარებს, რომელთაც აწყობდათ სვანების წინააღმდეგ ერთიანი ძალით გალაშქრება და მათი განდევნა. რატომ სვანების? მას შემდეგ, რაც ქაშგებმა (ჩერქეზებმა) (ქაშაგ, კასკები), ყაბარდო-ბალყარებმა და ოსებმა დაიპყრეს სვანური ტერიტორიები, მრავალი დაპირისპირების შემდგომ დაუდგენიათ, რომ დამპყრობლებს სვანებისთვის მიწის სანაცვლოდ ყოველწლიურად ბეგარა უნდა გადაეხადათ. რისგან შედგებოდა ბეგარა?

თითოეულ ოჯახს (ყაბარდო-ბალყარ და ნაწილობრივ ოს) წლის ბოლოს უნდა მიეცათ სვანებისათვის:

1) ერთი კათხა მარილი (სვანეთში მარილი არ იშოვებოდა);
2) „ტეტინაზიმ“ (ტეტ-ტოტი-ხელი) ხელის ზომა რკინის ნაჭერი;
3) სამი წლის მოზვერი ან ვერძი.

როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელები ამ ბეგარას ნებით არ იხდიდნენ, სვანები ჯარით გადადიოდნენ და იძულებით ახდევინებდნენ. ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს შემდეგს:

სვანებმა ერთ შემოდგომაზე გააგზავნეს ბეგარის ამკრეფი ჯგუფი, რომელსაც ქაშგებმა ბეგარის გადახდაზე უარი უთხრეს ამის გამო სვანები ჯარით

გადასულან. ცხადია, ქაშგებიც მომზადებულნი დახვედრიან. მათ დიდი რაოდენობის ჯარი მოაგროვეს. სვანების წინამძღოლს უთქვამს, ჩვენ ამათ ომს ძალით ვერ მოვუგებთ, რაღაც ხერხი უნდა ვიხმაროთო. მაშინდელ პერიოდში ომის დაწყება, სადილობა, ღამის გასათევად მოწყობა და ა. შ. ურთიერთშეთანხმებით ყოფილა. ორივე ჯარი მდინარის სხვადასხვა მხარეს დაბანაკებულან. სვანების წინამძღოლმა თავისი ჯარი დაარიგება: „როცა დასაძინებლად დაწვებით, თითოეულმა მეომარმა თავის გარშემო (უშუალოდ რიყეზე) საგზლად წაღებული მუხუდოს და ცერცვის მარცვლები მრავლად მოაყარეთ. როცა გათენდება და მოწინააღმდეგე მხარე საუზმობას დაიწყებს, თითოეულმა თქვენთაგანმა დაიწყეთ პირით მუხუდოს და ცერცვის აკრეფა და ჭამა. მოპირდაპირე მხარე რომ დაგინახავთ, იტყვის, რომ რიყის კენჭებს ჭამენო, ანუ იმდენად ველურები არიან, ქვებს ინელებენო.“ მართლაც, მზის ამოსვლისას ლოცვის შემდგომ, ქაშგებს საუზმობა დაუწყიათ, ხოლო სვანებს, როგორც მათმა წინამძღოლმა დაარიგა, ვითომ ქვების აკრეფვა დაუწყიათ. გაკვირვებული ქაშგები სვანებს დიდხანს უყურებდნენ თურმე. როცა დარწმუნებულან, რომ „ქვებს“ ჭამდნენ, შეშინებულან. უფიქრიათ, ესენი ან მართლა ველურები არიან და ქვებს ინელებენ, ანდა რაღა კენჭების ჭამა გადაუწყვეტიათ, თავი გაუწირიათ, ანუ მაინც მოკვდებიან და თავს შეგვაკლავენო. ბოლოს აღუმართიათ თეთრი დროშა, რაც მორჩილებას ნიშნავდა. ამის შემდეგ მშვიდობიანად ჩაუბარებიათ მთელი ბეგარა სვანებისთვის.

მეორე თქმულება ბეგარის იძულებით გადახდის შესახებ არის არაჩვეულებრივი სიმღერა „დედეშ-დედეშ მირანგულა“. დედისერთა ვაჟკაცი მირანგულა გმირი მეომარი ყოფილა. როცა არ იხდიდნენ გადასახადს ჩრდილოეთ კავკასიელები, მარტო გადადიოდა და ძალით გადმოყავდა ხარ-ძროხების ჯოგები. დედამ სიფრთხილის მიზნით კოშკში ჩაკეტა თავისი ერთადერთი ვაჟკაცი: „ჟივ ხოიგენა მურყვამთეჟი დედეშ – ვოი დედეშ“ (დედამ კოშკში ჩაგკეტაო მირანგულა).

სადილ-ვახშამს კოშკში აუტანდა. „საიდილ-ვახშამს მურყვამდ ჯი და დეედეშ – ვოი დედეშ“ ნაბადი დაგიჭრია და კოშკის შდუროზე გადმოგიკიდებიაო (თოკის მაგივრად) და გადმომხტარხარო (გაქცეულხარო), „ქავ ჯისკინა მურყვმიშ შდურქა, ქავ ჯიბა ათაინაღ ზაგარს... ქავ ჯი იდა სავიაშ ჯოგარ, ქავ ჯაღვეჭახ სავია ლაშგარ“.

გადასულხარო (სავ-ყარჩათე) ყარაჩა-ოსეთში, გადმოგიყვანიაო ჯოგები, დაგდევნებიანო ოსების ლაშქარი...

„ქავ ხოფიშდახ ცხემდი ცხვიარ, ქავ ხოფიტახ ისგუ ბარჯალ“.

„უსვრიათ მშვილდის ისრები და დაუხვრეტიათ შენი მხრები“-ო და ბოლოს დედის მოთქმა: „ვოი ლეშხიაქ ჯუმშიშ ლადაღ, მირანგულა დესა ემვიდ“. „დაიწვასო ოთხშაბათი დღე, მირანგულა კოშკში არ დამხვდაო. მირანგულა გადამხტარა და საომრად წასულაო ყარაჩა-ოსეთშიო“.

„ვაი შვილო ყვავ-ყორნები თუ სჭამენ შენს ლამაზ თვალებსო, ერთადერთო ჩემო შვილო. მოდით სვანებო, ერთად ვიტიროთ სვანეთის გმირი მირანგულა“-ო და სხვა.

მისამღერი: „დედეშ-დედეშ მირანგულა დედეშ ვოი დედეშ, დედეშ ის-გვამ სიგარ ხორდას დედეშ ვოი დედეშ“.

მესამე მტკიცებულება:

მე-19 საუკუნეში (1870–75 წწ.) რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და, მათ შორის (სულ ბოლოს) სვანეთი. ბალსქვემოური სვანეთის თავადი (ცნობილი პიროვნება) კონსტანტინე დადაშქელიანი ამ ბრძოლას შეეწირა (მან ხანჯლით ქუთაისის გუბერნატორი და მისი მხლებლები ამოხოცა). დედა-მისმა და მისმა მეუღლემ რუსეთის მეფეს (ჯერ კიდევ დაპყრობამდე) მი-მართეს საჩივრით, რომ „ბოლო სამი წელია ყაბარდო-ბალყარელებს ბეგარა არ გადაუხდიათ და თუ თქვენს ქვეშევრდომობაში არიან, მაშინ ვალედებული ხართ თქვენ უზრუნველყოთ დაწესებული ბეგარის გადახდა“-ო (ეს დო-კუმენტი დაცული უნდა იყოს პეტერბურგის არქივში).

მეოთხე მტკიცებულება: სვანეთში დღესაც ცნობილია ის გვარები, რომ-ლებიც ჩრდილო კავკასიიდან, როგორც დევნილები, არიან გადმოსული და დღესაც ცხოვრობენ ზემო, ქვემო და დალის (კოდორის) სვანეთში: ისინი არიან: მუკბანიანები, კახიანები, ვეზდენი, ქურდიანები, გუჯეჯიანები და სხვები. მათი განშტოებები დღესაც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, რო-მელთაც გვარის ძირი სვანური აქვთ, ხოლო დაბოლოება რუსულ-ბალყარულ-ყაბარდოული (ვეზდენოვი, ურუსბიევი, კურდანოვი და სხვა).

ქვემო სვანეთში ჩოლურის თემში ცხოვრობენ მუკბანიანები, ხოლო ზემო სვანეთში, წვირმის თემში, – მუკვანები. მათი ორივე შტოს გვარის ძირი წარმოდგება მდ. ყუბანიდან, კერძოდ, მუკბანიანი (მუკვანი) ნიშნავს ყუბა-ნელის, ანუ მუყბანიანს (მუყვანას) (ქართულში ბგერა-ასო „კ“ და „ყ“ ხშირად მონაცვლეობენ), ე.ი. მე ყუბანელი ვარო, ანუ მე ყუბანიდან ვარო. სვანურად „მი“ ნიშნავს „მე“-ს, ყუბანის მაცხოვრებელს. თვითონ სიტყვა „ყუბ“ წარმო-დგება სვანური სიტყვა „ლუყბე“-შეკრება (შესაკრები), ხოლო „ანი“ სვანური ენისთვის დამახასიათებელი დაბოლოებაა. რატომ დაირქვეს მუკვბანიანებმა ან მუკვანებმა ეს გვარები მაშინ, როდესაც მათი ნამდვილი გვარები სულ სხვა უნდა ყოფილიყო? ცხადია, აქ საქმე გვაქვს ქართულ ტრადიციასთან. როდესაც ძალით (იძულებით) გადაასახლებდნენ მოსახლეობას, იმისათვის, რომ შთა-მომავლობას არ დავიწყებოდა მათი (წინაპართა) წარმომავლობა (იმედი უკან დაბრუნებისა), სიმბოლურ გვარებს იტოვებდნენ. ამ შემთხვევაშიც სწორედ ასეთ ფაქტს აქვს ადგილი. ანალოგიურად მაგალითისთვის შეიძლება განვი-ხილოთ რაჭა-ლეჩხუმის ფაქტები. კერძოდ, როდესაც თავისუფალ სვანეთს წაართვეს ეს ორი კუთხე, იქაურმა სვანებმა დაირქვეს: „სვანი“ „სვანიძე“ „მეშველ-მუშან“-იანი. ძირი დატოვეს სვანური, ხოლო დაბოლოება იმერულ – ქართლურ – კახური. ცნობილია სვანეთში უძველესი გვარები: „ჯაფრაანები“ „ცხვედიანები“ „ჩორგოლიანები“ „მარუშიანები“ „ვარდანიანები“ „შავლიანები“ და სხვა. მათი დღევანდელი შესატყვისებია: ჯაფარიძეები, ცხვედაძეები, ჩო-რგოლაშვილები, მარუშიძეები, მარშანიები, ვარდანიძეები, შერვაშიძეები (გუ-რიელები – დადიანები – ფარჯიანები და მრავალი სხვა).

გვართა განვითარება ერთ-ერთი საინტერესო თემაა ქართულ ისტორიაში. მათი მეშვეობით მრავალი უცნობი თემის ახსნა გახდება შესაძლებელი მომავალში.

მეხუთე მტკიცებულება: ტოპონიმიკა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მდ. ყუბანის ეტიმოლოგიის ანალოგიურად, ჩრდილოეთ კავკასიაში მრავლად გვაქვს ქართული (სვანური) შესატყვისები. ყოველივე ამას უნდა შესწავლა და გამომზეურება. მაგალითად, მდ. ასას ხეობაში (ბარში) ცხოვრობენ ინგუშები. მათ საცხოვრის ადგილს (ხეობას) უძახიან „ტარკიმ“. სინამდვილეში, ეს არის სიტყვა „თაარგიმ“ რაც სვანურად ფხვიერ მიწას (თაარ-ფხვიერი რბილი, გიმ-მიწა) ნიშნავს. ჩვენ იქ ყოფნის დროს (1988–89 წლებში) დავრწმუნდით, რომ ასეთი რბილი მიწა იშვიათად შეიძლება სადმე იყოს. ინგუშები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ დედა სვანი გვყავდაო, ანუ სვანური გენეტიკა გვაქვსო. როცა გაგვიჭირდებოდა, ჩვენი წინაპრები სვანეთში გადავიდოდნენ და პურის მარცვალს (კვეცენს) გამოგვატანდნენო.

მდ. ასას ხეობელთა (ამ ხეობის ბარელთა) გადმოცემით, ამ ადგილებში წინათ თუშები და წანარები ცხოვრობდნენ. მუსულმანებმა დაიპყრეს ეს ტერიტორია. ვინც რჯულს შეიცვლიდა, თითო ოქროს უხდიდნენ, ვინც არ მუსულმანდებოდა, ავიწროებდნენ. ამის გამო თუშები და წანარები გადასახლდნენ ას ას ხეობიდან შატილის გავლით დღევანდელ მთა-თუშეთში.

თუშების ნასახლარი დღესაც ჰქვია უშგულის თემში ერთ ადგილს („თუშრე ნალზიგ“), ხოლო წანარები სოფელსაც ჰქვია და ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელსაც (უღელტეხილი „წანეერ“). სოფელ ცან (წან, ცანარ-წანარ) უშგულსა და ყორულდაშს შორის მდებარე სოფელია.

ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მოდგმის ტომების (სვანების, ხევსურების, მოხევეების, ვაინახების და ა.შ.) ერთიანი წარმომავლობის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი მაგალითია არქიტექტურა, კოშკების აშენების მაღალი ხელოვნება და კულტურა. ტყუპი და-ძმასავით გვანან ხევსურულ-სვანურ და ჩეჩნურ-ინგუშური კოშკები და მაჩუბები. აშკარად ჩანს, რომ მათ ერთი წარმომავლობა აქვთ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ზოგიერთ ინგუშურ თუ ჩეჩნურ სოფლების კოშკებზე ჯვრებია ქვაში გამოკვეთილი ნიშნად იმისა, რომ შთამომავლობას არ დავიწყებოდა მათი ნამდვილი რელიგია – ქრისტიანობა. განსაკუთრებით ბევრია მე-8 – მე-13 საუკუნეების ქრისტიანული (ქართული) ეკლესია-მონასტრები ქართული წარწერებით, სადაც წირვა-ლოცვაც ქართულად ტარდებოდა. ადგილობრივები ხშირად გვიყვებოდნენ იმ ნეტარ დროზე, როდესაც ქართველები ქრისტიანობას ასწავლიდნენ და ეკლესიებს აშენებდნენ.

სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ მას შემდეგ რაც რუსებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასია, ხელი მიჰყვეს ძველ ქართულ (სვანურ) სოფლებში კოშკების, მაჩუბების და მონასტრების დანგრევას ან მათ ადგილზე ახალი ტიპის შენობების დაშენებას.

ბოლოს, გვაქვს როგორც მიწის ქვეშა, ასევე მიწის ზედა არქეოლოგიური ნიმუშები, მათ შორის უძველესი „პიქტოგრამები“ თითქმის ერთი-მეორის

მსგავსი (სვანურ – ხევსურულ – ჩრდილოეთ კავკასიური) არაერთი ნიმუში, რომელიც მსოფლიოში არსებულ ცივილიზაციათა შორის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) უძველესი დამწერლობაა, რომელიც ჯერ კიდევ ამოუხსნელია და ელოდება მომავალ „გაბრწყინებას“.

მიწის ქვეშ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალა ან გატანილია რუსეთის მუზეუმებში, ან ოჯახებში ინახება. თუმცა, ვფიქრობთ ყველაზე მეტი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მიწაში ელოდება მკვლევარს“.

თორნიკე დიასამიძის ნაშრომი – „ქართული კვალი ჩერქეზეთში X–XII საუკუნეებში“

(მეცნიერება და ტექნოლოგიები – სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, N2 (716), გვ.100 -106, თბილისი, 2014 წ).

გერმანელი რეინეგსი, რომელმაც იმოგზაურა ჩერქეზეთში XVIII საუკუნის 80-იან წლებში, წერს:

„სამხრეთით მაღალ მთაზე დგას კარგად შენახული, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ქვის ეკლესია. იქ ჯერაც ორი ზარია. ასევე ამტკიცებენ, რომ წიგნები, ბერების სამოსელი, თასი და ჯვარი ახლაც დაცულია იმავე მთაზე განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას, რომელზედაც ეკლესია დგას. ეკლესიის ირგვლივ კი ბევრი ქვაბულია გამოკვეთილი. ეს ეკლესია ცნობილი ყოფილა თავისი საკვირველმოქმედებით, განდეგილებითა და ბერებით. ქერის მოსავლის აღების შემდეგ აქ იკრიბებიან გლეხები. ქრისტიანი მღვდელი კი ატარებს ლოცვას. თუ ვინმეს ამ ეკლესიის ახლოს მეხი მოკლავს, მას წმინდანად მიიჩნევენ. იქვე მარხავენ მის გვამს, შემდეგ მართავენ დღესასწაულს, იკვლება შავი ვაცი, ტყავს გატენიან და საფლავის ახლოს მაღალ ძელზე გამოჰკიდებენ, რათა ამ წმინდანად შერაცხულის ხსოვნა გაახანგრძლივონ“ [1].

გერმანელი მოგზაურის რეინეგსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს შემდეგი:

1. შუანას, იგივე შოანას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, თვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ლოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში, მღვდელი ლოცულობდა შუანას ეკლესიაში და მას მრევლი ჰყავდა.

2. შოანას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერია. ის მოქმედია და ცდილობს, განსაზღვროს, თუ მათ შორის რომელია ღვთის მიერ უფრო გამორჩეული ქრისტიანი. უბრალო ხალხი, რიგითი ქრისტიანი გლეხები, ასეთად მიიჩნევენ ეკლესიის ახლოს, სწორედ უშუალოდ ეკლესიასთან, თუნდაც მეხის გამო დაღუპულს. ხალხური ადათით, ეკლე-

სიასთან (ეკლესიისათვის) დაღუპულს მიაგებდნენ სათანადო პატივს, თუმცა, ცხადია, მღვდელი საეკლესიო წესების შესაბამისად მოქმედებდა.

ამჟამად რუსული ორიენტაციის მკვლევარები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ შოანას ეკლესია ალანებისა იყო, მაშინ, როცა ალანია ალანებითურთ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გაანადგურეს მონღოლებმა. მაშ, ვინ ლოცულობდა შოანას ეკლესიაში მე-18 საუკუნეში მღვდელთან ერთად, როგორც რეინეგსი წერს? არა ალანები ანდა ოსები, არამედ ქართველები, კერძოდ კი სვანები. სწორედ მათ შემოინახეს მე-19 ს. დასაწყისში შესანიშნავად მდგარი შოანას ეკლესია მთელი სახურავითა და კედლებით, რომელსაც მე-18 საუკუნეში თავისი ზარებიც კი ჰქონდა. ქართველები აქედან გააძევეს უფრო მუსულმანურმა „სავიარებმა“. რუსებმა კი ეს უკანონობა დააკანონეს, ხოლო მე-19 ს-ში აქ ოსები ჩაასახლეს, სოფელს ხეთაგუროვო დაარქვეს.

„ტაძართან ახლოს უნდა ყოფილიყო წიგნსაცავი, საიდანაც რაინეგსმა წაიღო ორი წიგნი: ერთი საეკლესიო ცნობარი და მეორე, სავარაუდოდ, იესო ქრისტეს ცხოვრება. წიგნები დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება“ –წერს თ. დიასამიძე. მე ვფიქრობ, რომ მე-18 საუკუნეშიც კი შოანას მოქმედ მღვდელს ლიტურგიისა და ლოცვებისათვის წიგნები ესაჭიროებოდა და, ცხადია, ეს წიგნები ქართულენოვანი იყო, რადგანაც მე-18 საუკუნეში კავკასიის მთებში წირვა-ლოცვას არავინ აღასრულებდა ბერძნული, რუსული, ოსური ანდა აფსუათა ენებით. ერთადერთი სალიტურგიო ენა კავკასიაში მე-12 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე, რუსების გაბატონებამდე, იყო ქართული ენა. ესაა ფაქტი და რეალობა. სწორედ ქართული ენის კავკასიის მთიანი რეგიონიდან გასაძევებლად შექმნეს რუსებმა ადგილობრივ დიალექტებზე საქრისტიანო წიგნები, რითაც არა მხოლოდ ქართული ენა გააძევეს კავკასიის მთებიდან, არამედ სათავე დაუდეს არაქართული ეთნოცნობიერების ფორმირებას და ქართულ ეთნოსუბსტრატზე ჩამოაყალიბეს ახალი პატარა ეთნოსები.

„შუანას და სენტის პირველი სამეცნიერო შესწავლა დაიწყო გერმანელმა მეცნიერმა ჯ. ბერნადცმა, რომელმაც იმოგზაურა ჩერქეზეთში 1829 წელს. „შუანას ტაძარი სრული სახით იყო შემორჩენილი. ტაძრის შიგნით შეიმჩნევა საღებავის კვალი, რომლითაც ტაძარი შეუთეთრებიათ“. **შუანას ტაძრის შიგნით საკურთხევლიდან მარჯვენა მხარეს ინახება ჯვარი, რომლის ირგვლივ იკითხება ბერძნული წარწერა „ოკ... ევონ... ლოს... ლეონოს“, (სახელითა მსახურითა ღვთისა ლეონ. ლეონი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მეფე ლეონ III (945–963). სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ტაძრის მშენებლობა, შუანას ტაძარი სტრუქტურულად ძალიან ჰგავს ლეონ III-ის მიერ აგებულ მოქვის ტაძარს“.**

ბერნადცის ეს ცნობა, რომ შუანას ტაძარში აფხაზთა მეფის ლეონის მოსახსენიებელი წარწერიანი ნივთი აღმოჩნდა, მიჩქმალულია რუსული ორიენტაციის ისტორიკოსების მიერ, რადგანაც აფხაზთა მეფეები ლეონ მეორე და, განსაკუთრებით, ლეონ მესამე ზოგადად, მთელ საქართველოში აგებდნენ ქართული ეკლესიის იურდიქციაში შემავალ დიდებულ ტაძრებს თავისი უხვი

ქართულენოვანი წარწერებით. სენტისა და შუანას ეკლესიები არხიზ-ზელენ-ჯუკის ეკლესიებთან ერთად მათი ან მათი მემკვიდრე – საქართველოს მეფეების აგებული უნდა იყოს. ამ ეკლესიათა აგებას კი რუსი მეცნიერების უმეტესობა მიაწერს ალანებს, მათ მიერ მოწვეულ ბიზანტიელებს, მაშინ, როდესაც ზუსტად ასეთივე სტილის ეკლესიებითაა მოფენილი აფხაზეთი და მთელი საქართველო, ამიტომაც ასეთი სტილის ეკლესიათა მშენებლები ადგილზეც მრავალი იყო.

შუანას ტაძარი მდებარეობს მდ.ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, ყარაჩაევსკის ჩრდილოეთით, 7 კმ-ზე. ამავე სახელწოდების მთა შუანაზე. ტაძარი წარმოადგენს სამნავიან, სამაფსიდიან შენობას, ოთხი კვადრატით, რომლებიც შეერთებულია ბოძებით. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას აქვს ეკვდერები, ცენტრალური აფსიდა უფრო დიდია გვერდით აფსიდებთან შედარებით. დასავლეთიდან ტაძარზე მიშენებულია საყრდენი კედელი კონტრფორსებით. ტაძრის სიგრძე 12, 90 მ-ია, ხოლო სიგანე – 8, 90 მ. სიმაღლე კი 12 მ. ტაძარი წმინდა გიორგი სახელობისაა და, სავარაუდოდ, X საუკუნის უნდა იყოს. ამაზე მრავალი ფაქტორი მიუთითებს: წარწერა შიგნით, სადაც მოხსენიებულია ლეონი. ეს სწორედ ეგრის – აფხაზთა მეფე ლეონ III უნდა იყოს, რომლის სახელს უკავშირდება ტაძრების მშენებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ტაძრის აგების დროს ეს ტერიტორია ალანეთის ეპარქიის გამგებლობაში შედიოდა. თუმცა ჩვენ გვაქვს განსხვავებული მოსაზრებებიც, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ პერიოდში ალანები სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე სახლობდნენ ქართველებთან, კერძოდ, სვანებთან ერთად. გიორგი II-ის შემდეგ მისი კვალი გააგრძელა მისმავე ვაჟმა ლეონ III-მ. ტაძრის არქიტექტურულმა შესწავლამ ცხადყო, რომ ტაძარი X საუკუნის შუა ხანებში უნდა ყოფილიყო აგებული. ძველად შუანასთან გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა, რომელსაც იცავდა ხუმარას ციხე-სიმაგრე. აქვე იყო მიმოფანტული ქვის ჯვრები. ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ შუანას ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის მსგავსებას „აფხაზური ჯგუფის“ ეკლესიებთან. კერძოდ, სოფლების – ლოოს, ბზიფის, ლიხნეს, ბიჭვინთის, ანაკოფიის, ახალი ათონის, მოქვის ეკლესიებთან. ყველა ეს ტაძარი X–XI საუკუნეშია აგებული. ამ ტაძრებს ამსგავსებენ ტრაპიზონის ტაძრებსაც.(Кузьмин 2005:27). რაც შეეხება ტაძრის ამგებს, მეცნიერთა ნაწილი ტენდენციურად მიუთითებს, რომ ტაძარი აგებულია ბიზანტიელთა მიერ, ნაწილი კი შედარებით ლოიალურია და ტაძრის აგებისას არ გამორიცხავს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს როლს, თუმცა ამ სამეფოს განიხილავს არა ქართულ, არამედ ბიზანტიურ სამეფოთა რიგებში.

ამრიგად, ტერიტორია, სადაც შუანას ტაძარი მდებარეობს, საუკუნეების განმავლობაში ქართველთა საკუთრებას წარმოადგენდა, სადაც **დასახლებული იყო ქართული მოსახლეობა. დროთა განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ალანები, ჩერქეზები და ყაბარდოელები დასახლდნენ, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია ამ ხალხთან.**

შუანას ტაძრიდან მოშორებით დაახლოებით 15 კ-ზე სოფ სენტში მდ. თებერდას სანაპიროზე შემაღლებულ ადგილას, გორაზე დგას სენტის ტაძარი. ქვედა თებერდას ტერიტორიაზე ყარაჩაული მოსახლეობა გაჩნდა 1870 წლიდან. ადგილობრივთა გადმოცემით, სენტი ეწოდებოდა ქვის ძეგლს, რომელსაც ადამიანის გამოსახულება ჰქონდა და ინახებოდა მონასტერში. სენტი ქართული სვეტის იდენტური უნდა იყოს.(მიბუჩანი 1986).

სენტის ტაძრის განხილვისას საინტერესოა წარწერა, რომელიც შესრულებულია შავი საღებავით ბერძნულ ენაზე.

წარწერის მიხედვით, თარიღი უნდა გამოვთვალოთ ბიზანტიური ქრონიკონით. ამ გამოთვლით, ეს არის 965 წელი. სწორედ ამ დროს უნდა განახლებულიყო ან აგებულიყო ტაძარი (**Виноградов** 2005:87). აღნიშნული წარწერის გარდა ჩვენ გვაქვს სხვა ბერძნული და, სავარაუდოდ, ქართული წარწერებიც, რომლებიც შესრულებულია სენტის ტაძარზე. სენტის ტაძარი გამორჩეულია თავისი ფრესკებით. როგორც ავღნიშნეთ, ფრესკები პირველად დააფიქსირა ვლადიმიროვმა და აღწერა კიდეც. მანვე აღმოაჩინა ფრესკის ორი შრე. ისინი ან აღადგინეს ანდა ზედვე შეასრულეს. ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული თეთრი, წითელი და მუქი ყავისფერი ფერებით. ფრესკები ძალიან დაზიანებულია. მათი ნაწილი XIX საუკუნეში დაიკარგა. ვლადიმიროვი მიუთითებდა ფრესკების ბიზანტიურ წარმოშობაზე, მაგრამ არ გამორიცხავდა სიახლოვეს ქართულთან. სენტის ტაძართან ახლოს მის ჩრდილოდასავლეთით დგას დუფრო გვიანი პერიოდის ქვის მავზოლეუმი (ამგები უცნობია). სამხრეთ კეელში გაკეთებულია შესასვლელი. შიგნით ჩანს სამარხების კვალი. ასეთი მავზოლეუმი არ არსებობს მთელ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, იგი განკუთვნილი იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირთათვის. მავზოლეუმი აგებული უნდა იყოს უფრო ძველი ერთ აფსიდიანი ტაძრის ნანგრევებზე ალანთა გაქრისტიანების დროს. ჩვენს მიერ განხილული ორივე ტაძარი ძალიან ჰგავს აფხაზური ტაძრების არქიტექტურას. მსგავსების შესახებ აღნიშნავს რუსი მეცნიერი ვ.კუზნეცოვი, რომელიც ცდილობს გვერდი აუაროს ქართულ კვალს ჩრდილოეთ კავკასიაში და ძეგლი დაუკავშიროს მხოლოდ აფხაზეთს. როგორც ჩანს, ის აფხაზეთს განიხილავს, როგორც არაქართულ სახელმწიფოს.

ალანები, ოსები და ადიღები ჩრდილო კავკასიაში

XIV–XV საუკუნეში თათარ-მონღოლთა ომების შემდეგ და თემურ ლენგის ბრძოლების შედეგად შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე. აქ გამოჩნდა ახალი ადიღე და თურქულენოვანი ხალხები, რომლებიც ესახლებოდნენ გაუკაცრიელებულ ალანიასა და ჩრდილო კავკასიაში.

В XIV–XV вв после военных монголо-татарских экспедиции и опусто-шительных походов Тамерлана этно-политическая карта Сев. Кавказа карди-

нально изменилась. Новые адыго-тюркоязычные народы переместились в разор ренные районы и вытеснив ... (ПЭ, I, ц. 443).

„XIV–XV საუკუნეებში მონგოლ-თათართა სამხედრო ექსპედიციებისა და ასევე თემურ ლენგის გამაუკაცრიელებელი ლაშქრობების შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ეთნო-პოლიტიკური რუკა კარდინალურად შეიცვალა. ახალი ადიღე-თურქულენოვანი ხალხები გადაადგილდნენ გაუკაცრიელებულ რაიონებში, ნაწილობრივ შეავიწროვეს ალანები ანდა შეერივნენ მათ, მიიტანეს თავიანთი ჩვეები და რწმენა, ხოლო XVIII ს-ში მიიღეს მუსულმანობა“ („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“. ტ. I, მოსკოვი, 2000, გვ. 443, რუს. ენაზე). აღნიშნულ ადიღე და თურქულენოვანი ხალხების შთამომავლებია აფსუები (აფხაზეთში) და, როგორც მიღებულია – ყარაჩაი-ბალყარელები, თუმცა კი მათში ასიმილირებულია მკვიდრი მოსახლეობა, რომლის გენეტიკური მემკვიდრეობა მათ კავკასიელებად წარმოაჩენს.

თოხთამიშთან მებრძოლი თემურ ლენგის (1336–1405) შემდეგ მალევე, ასევე თოხთამიშთან მებრძოლმა ოქროს ურდოს სარდალმა ედიგეიმ ჩრდილო კავკასიაში შემოიყვანა თავისი ულუსი, რომელიც იქამდე მომთაბარეობდა დასავლეთ ციმბირ – ყაზახეთის მომიჯნავე მხარეებში. კავკასიაში ამ ულუსის ხალხს წინამძღოლის სახელის შესაბამისად ადიღეველები უწოდეს. „სინო-ტიბეტურ-ენისეური ენის“ მატარებელი ადიღეთა გარდა იქ თურქულენოვნებიც შემოსულან, ეს ტომები შეერივნენ ადგილობრი ჩრდილოკავკასიურ-იბერიულ მოსახლეობას და თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ე.წ. „თურქულ-კავკასიურ“ და „სინოკავკასიურ“ ენების მატარებელ ტომებად.

ახალი ადიღე და თურქულენოვანი ხალხები ესახლებოდნენ გაუკაცრიელებულ ალანიაში და ჩრდილო კავკასიის ჩრდილო ნაწილში, სადაც მათ დახვდათ მკვიდრი ქართულ-კავკასიური წარმოშობის მოსახლეობა.

მათი შერევით მკვიდრ კავკასიელებთან ჩრდილო კავკასიის რეგიონებში ჩამოყალიბდნენ ახალი ეთნოსები. კავკასიის ნარევმა მოსახლეობამ საბოლოოდ XVIII საუკუნეში მიიღო მუსულმანობა.

ადიღეენოვანი ხალხები (მათ შორის, აფსუათა წინაპრებიც) აფხაზეთის საზღვართან გამოჩდნენ მხოლოდ თემურ-ლენგის შემდეგ, ხოლო თურქულენოვანი ტომები ჩრდილო კავკასიის ველებზე ადრეც მომთაბარეობდნენ.

ვახუშტის ცნობაც ამავე ინფორმაციის შემცველია.

ამავე ეპოქაში კავკასიაში გამოჩნდნენ სხვა, კერძოდ კი, ირანულენოვანი ტომები. ისინი ძირითადად დასახლდნენ იქამდე მონღოლთა მიერ ამოწყვეტილი ოსების ქვეყანაში, ანუ ძველ ოსეთში (ალანიაში). ამის გამო ირანულენოვან ტომებსაც „ოსები“ უწოდეს მათმა მეზობელმა ქართველებმა. მათ მალევე შეძლეს დვალეთში გაბატონება და მათი ასიმილაცია.

სხვა, თურქულენოვანი ხალხი ყოფილა კავკასიის ალანები, ხოლო თემურლენგის შემდგომ ჩამოყალიბებული ოსების სახელის მქონე ტომები – ირანულენოვნებია.

სვანეთის ჩრდილო საზღვარი – დიგორხან მთავრინასა და სხვა ცნობებით

1834 წელს სვანეთში ბარონ როზენის წარმომადგენელმა სვანეთის სამთავროს ჩამოაჭრა ტერიტორიები ჩრდილოეთის მიმართულებით. ახალი საზღვარი გავლებულ იქნა კავკასიის მთავარ ქედზე, იქამდე კი ძველი საზღვარი გადიოდა უფრო ჩრდილოეთით, ჩრდილო კავკასიის სიღრმეში, კერძოდ, ყარაჩაის მხარეს პუნქტ – „ლაბგვიართან“, ხოლო ყაბარდოს მხარეს სასაზღვრო წერტილები იყო – ჩეგემი, თეგენიკის მთა და ნაქამუკვარი. ამ ცნობას იძლევა ჩუბეხევის მთავრი ქალის დიგორხანის მოხსენება ბარონ როზენისადმი, 1835 წ. 14 ივლისს – ის სვანეთის სამთავროს დაკარგულ მიწებს „ჩვენს მამულს“ უწოდებს და წერს –„სვანეთის მამული დღემდის ყოფილა ქუეშე ჩვენსა და არისცა. მამულთა მათ საზღვრავს ჩერქეზებისა მხრიდან მთა თეგენეკი და ყარაჩების მხრით არის საზღვარი, სადაც დასრულდება ვაკე ალაგი, რომელსაც ეწოდება ლაბგვიარი და ეს ლაბგვიარი არის ჩვენი და იმის იქით ყარაჩელთა ... ჩერქეზების მხრივ, რომელნიცა სახლობენ ჩერქეზიდამ გადასახლებულნი მცხოვრებნი სოფელსა ბახსანსა. იგი ბახსანა არის საკუთარი ჩვენი. ამის გამო, რომელ იქ მცხოვრებნი, რომელნიცა დღესა სცხოვრობენ – ადრე სახლებულან ჩერქეზების სოფელსა ზანგისსა და იქიდამ გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხი თავიანთ მამულს, სოფელს ნაქამუკვარსა და ნაქამუკვარიდამ, არ არის დიდი ხანი, რომელ თათარყანის მამას ციოყს გადმოუსახლებია ჩვენს საკუთარს სოფელს ბახსანასა, და რომელნი ჩვენი გლეხნი სახლებულან ამ ბახსანაში. ისენი ზოგნი ამოუწყვეტია ჭირს და დანარჩომნი გადმოუსახლებია მთავარსა ციოყს სოფელსა ღეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელნიც გვემსახურებიან ჩვენ ბატონყმურის წესითა, ხოლო მთავრისა ციოყისა მიერ ეს ვითარი ბახსანასა მათი დასახლება ყოფილა მისდა შესამატ პირუცვ(ლ)ელი ამისთვის, რომ იქ იმათის მოსახლეობით დაიცავდა იმ მხარეს გარეულთა მტერთაგან ჩუმათ შემოსულისათვის მამულსა თვისსა და მეორედ იმისთვის, რომ იგინი ისე გვემსახურებოდენ ჩვენ ვითარცა საკუთარნი ყმანი, როგორც საბალახოსა მოცემითა, აგრეთვე სხუათა სამსახურითაცა, რასაც უბრძანებდით ჩუენ დღემდის.

მეორე, ყარაჩელნი, როდესაც მოიხმარებდენ მამულსა ჩუენსა ლაბგვიარად წოდებულსა, ანუ სხვისა პირუტყვისა საძოვნელად გვაძლევდენ თვინიერ ყოვლისა უარის ყოფისა შესახვედრსა საბალახოსა...

წარსულსა წელსა მოვიდა რა სვანეთში კაპიტანი კნიაზი შახოვსკოი... მისცა ბრძანება, როგორც ყარაჩელთა, აგრეთვე ბახსანას მცხოვრებლთაცა, რათა დღეის იქით არღარა გვაძლევდნენ ჩუენ იგინი მამულისა ჩუენისა შემოსავალსა, რომლითაცა გვისარგებლია და არს ჩუენი სამკვიდრო, და მამულიცა იგი დასწერა მათზედ საკუთრობისა თვისა, ვითამცა იყოს მათი, მაშინ როდესაც ბახსანისა მცხოვრებნი არიან ჩუენგან დასახლებული და იქ მსახობელნი ჩუენნი გლეხნი დღეს ცხოვრობენ ღეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელნი ყოველმან მეკომურმან იციან თავ-თავისი ნამოსახლარნი, სახლნი და

საკუთარნი მამულნი სოფელსა ბახსანასა...“ (სვანეთის (ჩუბეხევის თემის) მთავარი ქალის დიგორხან გარდაფხაძის წერილი ბარონ როზენს, 1835 წ. წიგნიდან, ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 2010, გვ. 310).

წერილიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთით, სვანეთის ძველი საზღვარი გადიოდა ამჟამინდელ ყაბარდო-ბალყარეთში. აქ საზღვარში შემოდიოდა და სვანეთს ეკუთვნოდა ამ საბუთში ნახსენები პუნქტები – ჩეგემი, თეგენიკის მთა, ნაქამუკვარი, ბახსანი და ზანგისი დასავლეთით, სვანეთის საზღვარი გადიოდა ამჟამინდელ ყარაჩაი-ჩერქეზეთში პუნქტ „ლაბგვიართან“, ახლა მას ეწოდება ულუ კამის ხეობა ყუბანზე (ყარაჩაიში).

მკვლევარი ე. გაბლიანი წერს – „ჩეგემი მულახის საზოგადოებას უხსოვარ დროიდან აძლევდა ყოველწლიურად 12 ვერძს სგიმერის საბალახო ადგილების ბაჟად, რომლის მიცემაზედ 1858 წ. მან უარი განაცხადა, ამიტომ მულახი დაეცა ჩეგემის მთებს და წაართვა აუარებელი ჯოგები“ (ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 2010, გვ. 315).

მთავრინას აღნიშნული ცნობით, ჩეგემის მიწა-წყალი და, შესაბამისად, საბალახო ადგილები არა მხოლოდ 1834 წლამდე ეკუთვნოდათ სვანებს, არამედ შემდეგ ათწლეულებშიც, ამიტომაც 1858 წელს სვანებმა მოითხოვეს ამ ადგილებიდან კუთვნილი „საბალახო“, ანუ გადასახადი ამ მიწებით სარგებლობისათვის.

ჩეგემში, ციოყ დადეშქელიანის დროს გამოჩენილან უცხო ტომელი მოიჯარეები საძოვრებისა, სვანებმა მათ ნება მისცეს, რათა ესარგებლათ ცხვარ-ძროხის საბალახო ადგილებით, სანაცვლოდ კი მოთხოვეს იჯარა, რომელსაც იღებდნენ 1858 წლამდე, შემდეგ კი რუსებმა ჩეგემი უსამართლოდ დაუკანონეს ყოფილ მოიჯარეებს და წაართვეს სვანეთს.

კიდევ უფრო ადრე – მე-16, მე-17 სს-ში სვანები კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც ცხოვრობდნენ. მათი ბედი ტრაგიკული გახდა თემურ-ლენგის შემდგომ საუკუნეებში, მათი მიწები უცხოტომელებმა დაიკავეს დიდი ბრძოლების შემდეგ, ადგილზე დარჩენილი სვანები კი ასიმილირდნენ შემოსულებში და გამაჰმადიანდნენ. მათგან ზოგიერთ საგვარეულოს ამჟამადაც კი ახსოვს თავისი სვანური იდენტობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიის (ყაბარდოს მხარეს, განსაკუთრებით ბალყარეთის მხარეს) მკვიდრი მოსახლე სვანები გამაჰმადიანდნენ და დაკარგეს იდენტობა, იმით რომ, მოხდა მათი ასიმილირება ახლად მოსულ მუსულმანურ მოსახლეობაში.

ისევე, როგორც საქართველოს კუთხეები – მესხეთი, ლაზეთი, ჰერეთი და სხვა გამუსულმანდა, ასევე გამუსულმანდნენ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი სვანები.

იგივე ბედი ეწია ჩრდილო კავკასიის უფრო აღმოსავლეთით მცხოვრებ ქართველებსაც. კერძოდ, გამუსულმანდა ასევე ხევსურების მნიშვნელოვანი ნაწილი ისინი ჩეჩნებისა და ინგუშების ეთნოჯგუფს შეერწყნენ, გამუსულმანებული სვანები უფრო მეტად ბალყარელთა ეთნოჯგუფს შეუერთდნენ.

ხევსურები გამუსულმანების შემდეგ ქისტებად იწოდნენ, ენათმეცნიერმა ჭუმბურიძემ გაარკვია, რომ სიტყვა ქისტი სიტყვა ქრისტიანისაგანაა ნაწარმოები, ანუ ქისტებს უწოდებდნენ ჩრდილო კავკასიის ქრისტიან მოსახლეობას ყოფილი ხაზარეთის, ასევე დაღესტნის მიმართულებით.

როლანდ თოფჩიშვილის კვლევით, ბალყარელების დიდი ნაწილი სვანურად საუბრობდა, აქ ბილინგვიზმი იყო გავრცელებული, აქაურმა, სვანური წარმოშობის გამაჰმადიანებულმა მოსახლეობამ გარკვეულ ეტაპზე იცოდა სვანური.

წყაროებში აღნიშნულია, რომ ბალყარეთის ზოგიერთ მხარეში ორ ენაზე თურქულ და სონურ ენებზე ლაპარაკობდნენ.

„სონურ“ ენაში რუსი ავტორები ოსურ ენას გულისხმობენ. სონური ენა – სვანური ენაა. ისტორიულად დადასტურებულია, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში, ხანრძლივი პერიოდის მანძილზე, სვანები ცხოვრობდნენ.

მაგალითად, კლაპროტი აღწერდა რა ბალყარეთის საზოგადოებებს, აღნიშნავდა, რომ სოფელი ხულამი დასახლებულია სვანური გვარებით, რომლებიც ჯერ კიდევ იმერულად იმოსებიან და თავის თავს სვანებს უწოდებენ. სვანური გვარების მატარებელნი მკვიდრობენ არა მარტო აქ (ე.ი. ხულამში), არამედ გაფანტული არიან მეზობელ კაშკატაუში და ექვემდებარებიან ყაბარდოელებს. ბალყარეთში, კაშკატოის მწვერვალებთანაც სვანები ცხოვრობდნენ. ისინი დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნენ ბალყარელების მიერ.

ბალყარეთში არის გვარი შვანლარი (ყარაჩაიში – ებზელერ), რაც პირდაპირ მათ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. არაერთ სხვა ბალყარულ გვარსაც აქვს გადმოცემა სვანური წარმომავლობის შესახებ (მაგალითად, აბეევები და ედებოლოვები). ცნობილია, რომ ბალყარელი შახმურზაევების გვარი გუჯეჯიანების გვარიდან მომდინარეობს. დადასტურებულია აგრეთვე რაჭველთა მიგრაციის ფაქტები.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ურთიერთობანი ცალმხრივი არ იყო. გვაქვს შემთხვევები სავიართა (ბალყარელთა) სვანეთში მიგრაციისა. ჩერეკის საზოგადოებაში (ხეობაში) ესენი იყვნენ: აბაევები, აიდუბულოვები, ჯანხოტოვები (შდრ. ქართული გვარი სვანეთში: ჯანხოთელი), მისაკოვები; ჩეგემის ხეობაში – ბალკარუკოვები, კელემენტოვები; ხოლამის ხეობაში – შაკმანოვები; ბიზინგის ხეობაში – სუნშევები; ბაქსანში – ურუსბიევები.

ითვლება, რომ ბალყარელების ფუძემდებელი მისაკი გადმოსახლებამდე ცხოვრობდა სადღაც ყუმუხეთის ველებში. სხვა გადმოცემით კი, ბალყარელების წინაპრები მალყარი და მისაკი ბალყარეთში მოვიდნენ რომელიღაც ადგილიდან, რომელსაც ბორაგანი ერქვა. აღსანიშნავია, რომ ბორაგანი ყუმუხურ-ხაზარული ტომების სახელწოდება იყო, რომლებსაც VII ს-ში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები და მთისწინეთი ეკავათ კისლოვოდსკიდან დერბენტამდე.

ოქროს ურდოს პერიოდში არსებობდა ბორაგან-მაჯარის ადმინისტრაციული ოლქი. ყარაჩაულ-ბალყარულ ფოლკლორში ნართაულად ნათქვამია, რომ ოდესღაც ქალაქი ბორაგანი, რომელიც თითქოს სახანოს დედაქალაქი იყო,

ის ჩრდილოეთ კავკასიის და შავიზღვისპირეთის არეალში თავის შემადგენლობაში ყუმუხებს, ყარაჩაელებს, ბალყარელებს და სხვა თურქულ ტომებს აერთიანებდა.

ყარაჩაელთა გადმოცემით, ისინი თავიანთ აღმნიშვნელ ეთნონიმს უკავშირებენ წინაპარს, წინამძღოლ ყარჩას, რომელმაც თავისი ხალხი ყირიმიდან თუ ოქროს ურდოდან გამოიყვანა და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი – ზემო ყუბანში დაასახლა. ყარჩას სამი მეგობარი თუ ძმა ყოლია: აბდურაჰაი, ბუდიანი და ნაურუზი. შემდგომში მათ ორი ძმა ხუბი და ხუბდი შეერთებიან. თუმცა ეს უკანასკნელი მალე აფხაზეთში გადასახლებულა

გადმოცემაშიც კი აირეკლა მომთაბარეთა მარშრუტი – მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და გადასახლდნენ აფხაზეთში

ყარაჩაის 13 თავადურ გვარს შორის ყურადღებას იქცევს ორი გვარი: კრიმშოხალი და ყუმუხი. პირველ მათგანს ლ. ლავროვი ყირიმელ შამხალებს უკავშირებდა, მეორე გვარი კი პირდაპირ მიუთითებს მათ ყუმუხურ წარმომავლობაზე

ყარაჩაელები დამოკიდებულნი იყვნენ დიდ ყაბარდოზე, ჰქონდათ მათი ანალოგიური სოციალური სტრუქტურა და მსგავსი კულტურულ ყოფითი წეს-ჩვეულებები.

ყარაჩაელებისა და ბალყარელების გადმოცემები ადასტურებენ, რომ მათი წინაპრები გადმოსახლდნენ აზოვ-დონისა და ვოლგის შუამდინარეთიდან (ჩერქეზებთან ერთად) და დასახლდნენ კავკასიელთა ისტორიულ მიწებზე, ქართველები კი მათში ასიმილირდნენ, თუმცა ამ მხარეებში მცხოვრებმა მრავალმა მუსულმანურმა ოჯახმა იცის თავისი ქართული (სვანური, დვალური, ხევსურული და სხვა, საერთოდ ქართული) წარმომავლობა.

იქაური ვანო ხვიბლიანი თავის პირად ინფორმაციაში, რომელიც მე გადმომცა, წერს – ჩრდილო კავკასიის სვანებს, დვალებს თუ ხევსურებს გეოგრაფიული დაშორებებისა და დაბრკოლებების გამო უჭირდათ საქართველოს ცენტრთან ურთიერთობა, მაგრამ მათთვის ადვილი იყო ჩრდილო კავკასიის სხვა უბნებთან დაკავშირება. სამხრეთიდან არსებობდა გადასასვლელი გზა-ბილიკები – ქლუხორი და დალარი კოდორის ხეობაში, დონღუზ ორუნი, ქვიში, ტვიბერი, ზესხო – ზემო სვანეთში, დვალეთი და ხევსურეთი უშუალოდ ჩრდილო კავკასიაში არსებობდნენ, ამის გამო სისტემატუად ხდებოდა მიმოსვლა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით, ისტორიულად ჩრდილო კავკასიაში დაფიქსირებულია ქართული ეკლესიები, საგვარეულო სასაფლაოები, – წერს ვანო ხვიბლიანი, რომელიც მსახურობდა სასაზღვრო ძალებში და იცნობდა ამ მხარეებს. ის წერს – „დღემდე ცხოვრობენ ბალყარეთში და ყარაჩაი-ჩერქეზეთში ქართული (სვანური) გვარის მატარებელი ხალხი, მაგალითად, ქალდანები ქალდანოვებად იწოდებიან, ქურდიანები – ქურდანოვებად, გუჯეჯიანები – ათმურზაევებად, ჯაჭვლიანები – ჯოჭაევებად, ვეზდენი – ვეზდენად და მრავალი სხვა.

„ბალყარები, კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით, თავს თვლიან ქართველების ყველაზე მონათესავედ და ახლო მდგომად“, – წერს ვანო ხვიბლია-

ნი. ის განაგრძობს – „ჩრდილო კავკასიაში ალპინისტური ბანაკები – უშგულანი, ჩეგემი, ბაქსანი და სხვა, ძირითადად, წარმოშობით ქართველი მეკლდეურ – ინსტრუქტორებით იყო დაკომპლექტებული. აქ მუშაობდნენ ქალდანოვები, ქურდანოვები, ათმურზაევები, ჯოჭაევები და სხვა). უშგულანი უშგულის ტოპონიმია, რაც შეეხება ჩეგემს, გადმოცემის თანახმად, ეს ჩეგიანების გვარის საკუთრება უნდა ყოფილიყო“ – მომწერა მან 30.01.2015 - ს.

თავისუფალი სვანეთის მტერი ცნობილი ისლამ დადეშქელიანი ჩეგიანებს (რუჩეგიანებს) დაუმარცხებიათ. ისლამი ყაბარდოში გადასულა და ჩერქეზების ჯარით სვანეთში გადმოსულა (იხ. წიგნი, „სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011, გვ. 34). რუჩეგიანებისა ყოფილა დღევანდელი ბალყარეთის ისტორიული ქართული ტერიტორია, ამ გვარის განაყოფი ყოფილა გუჯეჯიანები (იქვე, გვ. 38). ჩეგიანებისაგან უნდა იყოს წარმოქმნილი გვარი – ჩიქოვანი.

თორნიკე დიასამიძე (ქართული კვალი ჩერქეზეთში, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013 / 2014, ტ. XV–XVI, გვ. 59–64) წერს –

„ადიღეების შესახებ ცნობებს ვპოულობთ გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებში. მისი მოგზაურობის დროს კავკასიის მოსახლეობაში, სახელდობრ, ადიღეური მოდგმის ხალხებში, არამდგრადი ხასიათის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ფიქსირდება. მისი დაკვირვებით, კავკასიის ყველა სხვა ხალხებთან ერთად, ადიღეელები აღიარებდნენ ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც იქ საქართველოდან შედიოდა, მის დროს კი მხოლოდ ამ რელიგიის ნაშთები იყო შემორჩენილი. მისი დაკვირვებით, იმ დროს თავადები და აზნაურები აღიარებდნენ ისლამს, რიგითი ხალხი კი ყოველგვარი რელიგიის გარეშე ცხოვრობდა (გელაშვილი 1964: 171). ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული, ხოლო ჩერქეზეთში მათი რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ვინაიდან ქართველები ამ მხარეში გვიან პერიოდამდე, XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ. სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე.წ. თავისუფალი თემები XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანეთზე (გუჯეჯიანი 2007: 45). საისტორიო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგროვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლება დასტურდება უამრავი ფაქტით (მიბჩუანი 1974: 63). ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობა ბალყარეთსა და ჩერქეზეთში დასტურდება წერილობითი წყაროებით, ტოპონიმიკით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, ფოლკლორით, საგვარეულო ისტორიებით, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული წარმომავლობის შესახებ. ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩერქეზეთსა და ბალყარეთში დღესაც არსებობს. 1743 წლის ცნობით, ჩეგემის ერთ ხეობაში „სონის 300 ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ეკლესია, ეკლესიაზე გამოსახულია ჯვრები, „სონები

დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნები, რომელთაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან“ (გუჯეჯიანი 2007: 47–48). ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია მდინარე ყუბანის სათავეებში მდებარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X–XI საუკუნეებით. ერთ მათგანს ეწოდება სენტი (ქვედა თებერდაში) – ამ სოფლის ადრინდელი სახელი, მეორეს – შუანა, რომელიც აშენებულია ამავე სახელწოდების მთაზე. სენტი ქართულ სვეტს, ანუ სვეტიცხოველს უკავშირდება. ამ სახელწოდების მონასტერი შუაგულ სვანეთშიც დგას, მესტიაში – სეტის წმინდა გიორგის მონასტერი. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტელები (გუჯეჯიანი 2007, 51). სენტის ეკლესიისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მთა შოანაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების ეკლესია. ტაძრის აგების თარიღად სხვადასხვა ავტორები ასახელებენ მეათე საუკუნეს, ტერიტორია, სადაც მდებარეობს ეკლესია და მისი მიმდებარე მხარეები, ოდითგანვე დასახლებული იყო ქართველებით, კერძოდ, კი სვანებით. მდინარე ყუბანის, კერძოდ, ყარაჩაის მხრით – ლაბგვიარი – ახლანდელი ულუ კამის ხეობა და ყაბარდოს მხრით – თეგენი, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე – 1834 წლამდე – სვანეთის საკუთრებას წარმოადგენდა, რისთვისაც სვანები იღებდნენ სათანადო გადასახადს იქ დასახლებული ყაბარდო-ბალყარელებისაგან. 1834 წელს ეს ტერიტორია სვანეთმა დაკარგა, ცხადია, ეს იყო საქართველოს დანააკარგი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო საზღვრად კი დარჩა კავკასიონის ქედი (გელოვანი 2003, გვ. 42). საინტერესოა აგრეთვე თვით მთის სახელწოდება შოანა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „შუან“-დან რომელიც სვანეთის თვითსახელწოდებაა, ხოლო „მუშვან? კი – სვანის (გელოვანი 2003, გვ. 33). როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი აგებული უნდა იყოს მეათე საუკუნეში, ამ პერიოდში კი კავკასიაში ჰეგემონიისთვის ბრძოლას იწყებს საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები, ერთ-ერთი გამორჩეული კი არის ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფო. ტაძრის მარჯვენა მხარეს გამოსახულია ჯვარი. ჯვრის ორივე მხარეს გამოსახულია წარწერა, რომელშიც, სავარაუდოდ, მოხსენიებულია „მონა ღვთისა ლეონი“?. ტაძრის აგების თარიღს ემთხვევა ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის ვაჟის ლეონ მესამის მოღვაწეობა 957–967 წლებში. ცნობილია, რომ ლეონ III-ის მეფობისას დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა დიდი სააღმშენებლო სამუშაოები. ამ დროს აშენდა მოქვის და კუმურდოს ტაძრები. შესაძლებელია, სწორედ ლეონ III-ის აქტიურობით აიგო შუანას ტაძარი და ტაძრის შიგნით გამოსახული წარწერა მიგვითითებს ლეონ III-ის შესახებ. თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ შუანას ეკლესია, შესაძლოა, იგივე ქართული „ხარა-ხოტო“? იყოს, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას (მიბჩუანი 1974: 65). ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ შუანას ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის იგივეობას „აფხაზური ჯგუფის? ეკლესიებთან სოფლებში ლოო, ბზიფი,

მოქვი. შუანას შესახებ წერს გერმანელი ექიმი და მოგზაური რეინექსი, რომელმაც, როგორც ჩანს, პირადად მოინახულა ეკლესია, საიდანაც წაიღო ორი წიგნი. სავარაუდოდ, შოანას ეკლესიაში უნდა ყოფილიყო წიგნთსაცავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ყველა ეს წიგნი დაკარგულია, გარდა ამ ორი წიგნისა რომელიც რეინექსმა წაიღო გერმანიაში, წიგნები უნდა იყოს ჰაიდებერგის უნივერსიტეტში". თ. დიასამიძე. ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013 / 2014, ტ. XV–XVI, გვ. 59-64 63

XVII –XVIII საუკუნეებში თურქულენოვან ტომთა მოძალებისაგან შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლება ქართული ეთნოსისაგან. მათი ნაწილი სახლდება სვანეთში, ნაწილიც ასიმილირდება ბალყარებთან და ჩერქეზებთან.

ქრისტიანული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, ამას გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირგმ"?, რაც წმინდა მარიამს გულისხმობს.

საქართველო-ჩერქეზეთის კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობას ასახავს ჩერქეზეთისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ფოლკლორი და ტოპონიმიკა, ისევე როგორც დანარჩენ ისტორიულ საქართველოში, იქაც ინახავენ ხსოვნას საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში. ხუმარაში, ყუბანის ხეობაში შემონახულია ტოპონიმი თამარის მთა.

ჩრდილოეთის კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – ოცდაათი სენაკი. ხუმარას მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრის სიმაღლის ჯვარია აღმართული, მას თამარის ჯვარს უწოდებენ. იქვე ყოფილა ქრისტიანული სასაფლაო, მსგავსი ჯვრები მრავლად ყოფილა აქ, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი.

ხუმარაში დაფიქსირებულია უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი, ე.წ. თამარის ქვა (გუჯეჯიანი 2007: 50–51). გადმოცემით ამ ქვიდან მიმართავდა თამარ მეფე ჯარს, იქვე აბამდა თავის ცხენსაც, რომლის ანაბეჭდებადაც მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს.

ბალყარეთსა და ჩერქეზეთში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები ხუმარაში, ჟაბოლარში – ციხე-კოშკების კომპლექსი დადეშქელიანთა ერთ შტოს „ოთარალარ"-ს უკავშირდება (გუჯეჯიანი 2007, 53).

ჯვრების გამოსახულებები გარდა სასაფლაოებისა ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი გამოვლენილია ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების, X–XIII საუკუნეების, ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები და ა.შ.

ზურაბ რატიანს თავის წიგნში „წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო", მოჰყავს ლეონტი მროველის ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან", რომ ქართველთა ერთერთი ეთნარქის ეგროსის წილხვედრი ქვეყანა ჩრდილო კავკასიაში იწყებოდა მდ. ყუბანიდან.

„ქართლის ცხოვრების" გარდა ზ. რატიანი იმოწმებს სხვა წყაროებს, მაგალითად მე-16 საუკუნის ძეგლს –„ბიჭვინთის იადგარს", რომელშიც ნათქვა-

მია, რომ ბიჭვინთის კათალიკოსის სამწყსო მდებარეობს–„ლიხსა და კაფას შუა, და რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“.

ზ. რატიანი ასკვნის – „ლეონტის მროველის თანახმად, ოსები, ყარაჩაელ-ბალყარელები და ჩერქეზული მოდგმის ხალხები (ადიღე-ყაბარდო-აბაზა-აფსუები) არ არის ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა. უძველეს დროში ეს ხალხები მხოლოდ მომთაბარეობდნენ ვოლგა-დონის შუამდინარეთში, რაც ლეონტიმ კარგად იცის“.

ზ. რატიანს მოჰყავს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უცხოელთა მიერ დაფიქსირებული მრავალი ტოპონიმი, რომელიც ქართულ-ართველურ ენის წრეს განეკუთვნება. მაგალითად, ქალაქის სახელი გელენჯიკი მეგრულად არის „გარე ჯიხა“ – გარე ციხე. ანაპასთან რამდენიმე ტოპონიმი – „ჯემეტე“ (ჯიმითი (მარილის ადგილი – „მარილეთი“ – ტოპონიმი მარილის მომპოვებელ ლიმანთან), სონჩთხ – სვანების ქედი, ამავე არეალზეა ტოპონიმები – „გეჯეური“, „კაცხური“, „გალენჯიხა“, „ჯიმითი“, ყუბანის ხეობაშია მდ. „ქურჯიფსი“ – ქართველთა წყალი (ქურჯ-ქართველთა), მისი ვარიანტია-ქურჯიჟ. ასევე ქ. კრასნოდარის მახლობლადაა ტოპონიმები – „ქურჯ ნიბ“ და „ქურჯ ჩეი“. „ქურჯ ნიბ“ – ქართველის დაბლობი, „ქურჯ ჩე“ – ქართველის ველი. მდ. ლაბას ქვემო წელზეა ტოპონიმი „სონე იმეზ“, ანუ სვანების ტყე. მდ ქურჯიფსის სათავეებთან არის ადგილი, რომელსაც ეწოდება „მერეთენე კუშხახუ“, ანუ იმერლების საძოვარი. აქვეა ოთხი დოლმენი სახელით – მერეთუყვა, ანუ იმერლიშვილებისა. აქ მკვლევარს პირადად უხილავს ქართველი კოლმეურნეები.

ზ. რატიანი ასკვნის, რომ ისინი იყვნენ არა იქ ჩასახლებული ქართველები, არამედ იქაური მკვიდრი ძირძველი ქართველები.

ამ არეალში, ყუბანის ხეობაში დასტურდება ტოპონიმები, რომელთა ფუძეა „ჯორ“ – ჯვარი. – ადიღეურში ნასესხები ქართული სიტყვა „ჯვარი“. იქაა ტოპონიმები – „ჯორე ჩიგ“, „ჯორე კოთხირ“, „ჯორეყოფს“.

გავრცელებული იყო რიტუალური სიმღერები „ჯორ“ – ჯვარის ხშირი ხსენებით. დიდი ზომის ხის ჯვარს მიადგამდნენ მაღალ ხეს და მის წინ ლოცულობდნენ, ლოცვაში ურთავდნენ სიტყვა „ჯორ“-ს.

აულ აგიუს (კუიბიშევკა) შემოგარენშია ტოპონიმი „ჯორეკოთხირ“ ქართული წარმოშობისაა მდ. ბელას სახელი, ასევე მდ. ლაბა-ლაფიანს, ანუ მღვრიეს უნდა ნიშნავდეს

ზ. რატიანის კვლევით, იგივე ითქმის ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მეგრელების შესახებაც, ისინი ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ უმეტესად შავი ზღვის პირზე ვიდრე მდინარე ყუბანის შესართავამდე. ამიტომაც წერს ლეონტი მროველი, რომ ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის „ეგროსის“ წილი ქვეყანა განვრცობილი იყო იქამდე, სადაც ზღვის პირას ერთმანეთს უახლოვდებიან მდ. ყუბანი და კავკასიის ქედის „წვერი“. „ხოლო ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი...ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წვერი კავკასისა...“, ლეონტის თანახმად, მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის ქვეყანა, მისი მიმდგომი შავი ზღვის სანაპიროთი, ტამანის ნახევარკუნძულამდე, უძველესი დროიდან ქართველთა ისეთივე დედასამშობლო–საცხ-

ოვრისი ყოფილა, როგორც ვთქვათ კახეთი, მესხეთი და ქართლი, ანუ ეს გახლდათ პირიქითა საქართველო“ – წერს ზ. რატიანი წიგნში – „წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო“. მისი კვლევით, ამ ტერიტორიაზე – ყუბანის ხეობაში და ზღვისპირეთში ჩერქეზული ტომები თემურ ლენგის შემდგომ შემოვიდნენ აზოვისპირეთიდან და ქართველთა ადგილი დაიჭირეს.

ზ. რატიანის აზრით, საერთოდ, ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა გახლდათ ქართველები,

„ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) და დაღესტნელები, არც ადიღეელები, არც ოსები და საერთოდ არავითარი სხვა ჯურის ხალხი იქ ლეონტის არ ეგულება პირველ მკვიდრ მოსახლედ“, – წერს ზ. რატიანი.

იმავეს წერდა საუკუნით ადრე დიდი რუსი მკვლევარი, კავკასიისმცოდნე მილერი.

ამჟამადაც კი ჩრდილო კავკასიის სვანური წარმოშობის მოსახლეობის შესახებ ერთმანეთს საინტერნეტო ფორუმზეც კი ატყობინებენ უბრალო ადამიანები, მაგალითად https://forum.ge /?showtoopic=33684627&st=60&№entry46680136 წერს – „ტერსკოლი სავსეა ქურდიანებით და მარგიანებით, თუმცა უმეტესობა ქურდიევ-მარგიევებად იწერებიან, ქართული უმეტესობამ არ იცის, მაგრამ სვანურად სხლავენ“, ყარაჩაელების ერთი ნაწილი გამუსულმანებული რაჭველები და სვანებია, რაჭველებიდან მაგალითად რეხვაევები-რეხვიაშვილები არიან, ჩრდილო კავკასიის ნაწილი რაჭასაც ეკუთვნოდა, დოსტობა და ნათესაობა დიდხანს იყო ამ გვარებში. მაგალითად, ღებ-ჭიორას რეხვიაშვილებსა და რეხვაევებს შორის.

ხალხური პოეზია, სვანების ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების შესახებ

ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია სვანური პოეზია.

სვანური ლექსები და გადმოცემები ჩაწერილია ძირითადად XIX–XX სს-ში და მრავალჯერ გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სვანური ლექსი ასახავს ჩრდილო–კავკასიაში მიმდინარე ბრძოლების ამბავს. ჩრდილო კავკასიელი მუსულმანური ტომები სავიარები (სავები), ბასიანელები და სხვანი ჩრდილო კავკასიის ოლქებში ებრძვიან ქრისტიან სვანებს (ჩეგემში და სხვა მხარეებში).

ჩრდილო კავკასიელი სვანები ამ პოეზიაში გმირულად იცავენ თავიანთ მიწა-წყალს, მაგრამ საბოლოოდ იძულებულები არიან მძიმე დანაკლისით დატოვონ თავიანთი საცხოვრისი ბახსანში (ბაქსანი), ჩეგემში და სხვა ადგილებში ჩრდილო-კავკასიისა, სადაც მათ საცხოვრისს სხვები, არაქრისტიანები, იჭერენ.

მელექსეთა თქმით, იქედან, ჩრდილო-კავკასიიდან, მე-17 – მე-18 სს-ში აყრილი ლტოლვილი სვანები თავს აფარებენ უფრო სამხრეთით თავიანთ თანამოძმეებს პირაქეთა საქართველოში (მესტიის სვანეთში).

სვანურ პოეზიაში ასახულია მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება, რაც გამოიწვია ჩრდილო-კავკასიაში თემურ ლენგის ლაშქრობამ და მის შედეგად ჩრდილო-კავკასიაში ჩერქეზული და თურქული წარმოშობის ტომების გამოჩენამ და გაბატონებამ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პოეზიაში ხშირად არის ნახსენები: ჩეგემი, ბაქსანი, ბასიანი, მისი მიმდებარე მხარეები იალბუზის გარშემო, რომელნიც ამჟამად მდებარეობენ ყარაჩაიში, ბალყარეთსა და ადიღე-ჩერქეზების ოლქებში.

აქედან ლტოლვილი სვანები პოეტური სახეებით იხსენებენ თავიანთ მიტოვებულ სახლებს, თავიანთი მიწაწყალს, თავიანთი მამულებს, თავიანთი კოშკებსა და ეკლესიებს, ასევე სახნავ-სათიბებს რომელიც მტრის ხელში დარჩა, მათ გარდა პოეზია ასახავს ქრისტიანების დატყვევებას, მათი მონებად გასაყიდად მომზადებას, მათ გასაჭირს ამ დროს, ისიცაა ასახული, თუ როგორ ცდილობდნენ მათ განთავისუფლებას და უკან დაბრუნებას, უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობას ამ ტყვეთს გათავისუფლების საქმეში.

სვანურ პოეზიაში ასახულია ფაქტი იმისა, რომ მტერი იმ ადგილებში ერთბაშად ვერ დასახლდებულა, ბრძოლათა შედეგად, თავდაპირველად, ადგილები ცარიელი დარჩენილა, მტერს უკვე ხელი მიუწვდებოდა მასზე, მაგრამ სვანებიც აკონტროლებდნენ ამ ნეიტრალურ ზონას. ამიტომაც სვანი მეომარი ვაჟკაცები, თავისუფალი სვანეთის მხრიდან გადადიოდნენ უკან ჩრდილო კავკასიის დაპყრობილ სვანეთში, თავიანთ ადგილ-მამულებში და იბრძოდნენ მის დასაბრუნებლად,

მაგალითად: სვანურ ხალხურ ლექსში, რომელსაც ეწოდება მირანგულა, გმირი, დედისერთა, არ უჯერებს დედას და გაეპარება მას, რათა ჩრდილო–კავკასიაში ებრძოლოს სავიარების, ანუ სავების ტომს, ისინი ცხოვრობენ სადღაც, „მალყარში“, ანუ ბალყარეთში. ამ სამგლოვიარო ლექსში დასახლებული პუნქტები ჩრდილოკავკასიისა, მაგალითად, მთა მაჩხფარი. მომხდურები სავები (სავიარები) არიან.

ლექსში მირანგულას დედა დატირებისას ჰყვება, თუ როგორ წასულა მისი ვაჟი სავების (სავიარების) სამტროდ, როგორ წაართვა მათ საქონელი – 9 ხარი, როგორ გამოეკიდა მას სავიარების მდევარი, მათ შორის სავიარების ქალებიც კი და, როგორც ამ ლექსშია ნათქვამი, ეს ქალები იყვნენ „ყველა უნიფხვო და ყველა ულეჩაქო“, ანუ თითქმის ველურ მდგომარეობაში მყოფი დამპყრობთა ტომი. (ეს ლექსი გვაგონებს აკაკის ლექსს – „ვიყავ რუსეთში, ვნახე ვაკენი, ქალნი უნიფხვო...“, ჩანს რუსეთის სტეპების მომთაბარეთა ქალები უნიფხვონი იყვნენ, ჩანს ამ ველების მომტაბარე ტომი შესულა სვანეთში).

მირანგულას მოუკლავს მდევრიდან 9 კაცი, მაგრამ ბოლოს ისიც მოუკლავთ.

ამ ლექსში კარგად ჩანს, თუ როგორ ებრძვიან ქრისტიან სვანებს არაქრისტიანები და ნათქვამია ასეთი სიტყვები – „საბრალო უშგულის მღვდლები, ისინი სავაჭროთ ბალყარეთში (მალყარი) იყვნენ, სადაც ისინი სავიარებს დაუჭერიათ, წვერებს პარსავდნენ ზეზე მდგომთ, დიდება უშგულის მარიამს – მღვდლები სავიარებს გაქცევიან და მირანგულას გზაზე წაწყდომიან“. იქვე არის ნახსენები სეფისკვერი, ზედაშე და საზიარებელი ღვინო.

ამ ლექსში ჩანს დევნა და ხოცვა–ჟლეტა ქრისტიანი მოსახლეობისა, ასახულია რელიგიური ომი, რომელიც ჩრდილო–კავკასიაში დაიწყო თემურ ლენგმა ქრისტიანების წინააღმდეგ, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა.

იგივე სურათია დახატული მეორე სვანურ ლექსში, რომელსაც ეწოდება: „მურზაბეგ“.

ამ ლექსში ქრისტიანი სვანები ამბობენ: „ჩვენ საბრალონი, ჩვენ საცოდავნი, შემოგვრტყმან სამკეცად ეს ურჯულო სავები (სავიარები) და სალამს თოფებით გვაძლევენ“.

იქვე ნათქვამია სიტყვები – „სავები (სავიარები) გვლაშქრავენ, ზემოთ კლდეზე იდგა ჯარაშ-დუყვა (სვანი პიროვნება), ქვემოთ ხევში სავები (სავიარები), ბრძოლა ჩვენი სჯობდა, ქრისტეს დალოცვილი ჯარაშ-დუყვა მისი თოფი სწრაფად სცემდა, რვა-ცხრა მოუკლავს“.

ეს ქრისტიანი მეომარი გვარად ყიფიანი ყოფილა. ის ამ ლექსში იბრძვის ჩრდილო-კავკასიაში თავის მამულის დასახსნელად.

მოღწეულია ამ ლექსის მეორე ვარიანტი, მასში ნათქვამია, თუ როგორ ემზადება მტერი სვანეთისაკენ სალაშქროდ და ნათქვამია, „სვანეთი აყრაზე მიგიყენებია, ყველა რჩეული ბასიანელები თან გახლდა ამხანაგებად, ებნანიდან გადმოსულხართ“, ბასიანი ერქვა ისტორიულ ოლქს, რომელიც მდებარეობდა თანამედროვე ჩრდილო-ოსეთის დასავლეთით, „იქიდან გასული ლაშქარი დაიძრა სვანეთისაკენ“, ამ ლექსში სვანეთი ეწოდება ჩრდილო-კავკასიის მიწა-წყალს, მდებარეს იალბუზის გარშემო.

მსგავსი ლექსი არის სვანური პოეზიის შედევრი დედეშ-გურმაჩ, ანუ დედის ვაჟო გურმაჩ.

ლექსში კარგად ჩანს ჩრდილო-კავკასიაში სვანების დევნა, კერძოდ, მასში ნათქვამია – საბრალო გურმაჩი ტყვედ აიყვანეს ურწმუნო სავებმა (სავიარებმა), იარაღი ზეზეულად ჩამოგლიჯეს, სადღაც სათიბში მუშაობისას, არ დააცალეს თავისი სათიბის გათიბვა საქონლის გამოსაკვებად.

ასეთივე სურათია დახატული ლექსში „დიდება უშგულის მარიამს (დიდება ლამარია უშგვლაშის). კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ერთ-ერთ სვანურ მთას, რომელიც საბოლოოდ სავიარებს დარჩა, ერქვა ქრისტეს ქედი, ნათქვამია, თუ როგორ განდევნეს აქედან ქრისტიანები და როგორი საბრალონი იყვნენ ისინი იმჟამად. არ დაინდეს გვარში ერთადერთი გადარჩენილი პირი, რომელსაც ყველა ამოუწყვიტეს, მაგრამ ის მაინც ქრისტეს ქედამდე მივიდა.

სხვა ლექსია „თავბექილა“, მასში ნათქვამია, რომ ჩეგემში ქრისტიანების დამარცხების შემდეგ, შემოსულებმა, უკვე ახალმოსახლეებმა „წარწყმენდილმა, ურჯულო ჩეგემელებმა, დაიჭირეს საბრალო თავბექილა“.

დატყვევების შემდეგ მკვიდრი, ჩეგემელი ქრისტიანი თავბექილა არ გატყდა და უშიშრად უწოდებს მტრებს – „თქვე ურწმუნოებო, თქვე ურჯულონო“, ის ფეხშიშველი წაიყვანეს ჩეგემის მთის სოფელში, ვითარცა ტყვე, რათა გაეყიდათ.

ლექსში ნათქვამია ასეთი სიტყვები – „შეგიყვანეს სოფელში, ქალი და ბავშვი შემოგეხვია, სათითაოდ ყველამ ქვა დაგარტყა, საბრალო თაბექილა, ზურგზე ტყავი აღარ შეგრჩა“.

შემდეგ მონათვაჭრებმა თავბექილა ჩეგემიდან გასაყიდად წაიყვანეს ჩერქეზეთში, შემდეგ ჩეჩნეთში, იქიდან – სხვა მხარეს, ყუბანში მას გამოეცხადა ყოვლდაწმინდა ღვთისმშობელი და იხსნა ტყვეობიდან, ლექსი ასე გრძელდება: „ო, საბრალო თავბექილა, ქრისტეს დალოცვილი ყუბანის თიბვის დრო, დიდება მაცხოვარ უფალს, მაცხოვარი უფალი კარზე მოგდგომია...“. ლექსში შემდგომ აღწერილია, თუ როგორ შეძლო მან გაპარვა ტყვეობიდან და როგორ გადახტა ის ყუბანის ხიდზე და როგორ მისდევდა მას მდევარი ქალებთან და ბავშვებთან ერთად, რათა ტყვე უკან დაებრუნებინათ. ეს არის გრძელი ლექსი, სადაც ნახსენებია ქრისტიანების მტერი სავიარები.

სხვა სვანური ლექსი „გიერგ-დადვან“ ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი. მასში აღწერილია, ჩრდილო კავკასიაში თავის სოფელში მცხოვრები კაცი, როგორ წავიდა სამუშაოდ ყანაში თოხით ხელში, აღწერილია, თუ როგორ დაატყვევეს ის უკვე გაურჯულოებულმა ჩეგემელებმა, აქ ნახსენები არის ბაშის მთა და სხვა.

ამ ლექსში აღწერილია ტანჯვა ქრისტიანებისა. მაგალითად, ნათქვამია ასეთი სიტყვები: „მსხვილი ცრემლები წარმომცვივდა, უგვარო ჩეგემელებო მომასვენეთ“.

სხვა ლექსია „რიჰა“. ლექსი იწყება ასე იწყება – „რიჰა, დიდება მარიამს უშგულისას, შესაწირი გვინდოდა, მაგრამ სავიარების ლაშქარი დაგვესხა, შენთვის შეწირული ხარები ქრისტეს მთაზე მიჰყავთ“. აქაც ნახსენებია მალყარი, ანუ ბალყარეთი, სადაც დატყვევებული ჰყავდათ ქრისტიანი სვანები.

სხვა სვანური ლექსია „ბეჩვი ლაშგარ“, ანუ ბეჩოს ლაშქარი. აქ ნახსენებია უკვე თუ როგორ უდარაჯებენ ბახსანელ სვანებს ჩერქეზები და ნათქვამია – „ბატონი ჩვენი აზნაური ბახსანში ბრძანდებოდა, მასთან მისული სამი კაცი შეხვეწნია ბატონს, უკითხავს ბატონს – რა გაგჭირვებიათ ჩემ კაცებს? სვანები პასუხობენ – როგორ თუ რა გაგვჭირვებია, ჩვენი კაცები ტყვედ მიჰყავთ ჩერქეზებს“.

ლექსში აღწერილია, ბახსანელი სვანი აზნაური თუ როგორ იბრძვის ჩერქეზების წინააღმდეგ ტყვეთა გასათავისუფლებლად.

სხვა ლექსში, რომელსაც ჰქვია „ციოყი და მისი ლაშქარი“ აღწერს, რომ ჩეგემელები მუსულმანები არიან, მათზე ირონიულად არის ნათქვამი უკვე დოს შრატს, ამოყვანილი ყველის ნაწრეტს სვამენ.

ლექსში განდიდებულია ვერძისმკერდა ვაჟკაცი სვანები, ისინი ვაჟკაცურად იცავენ ქვეყანას ჩერქეზებისგან, ბოლოს ასე მთავრდება ლექსი „ქრისტეს, მაშ, დაულოცავს ციოყი და მისი ლაშქარი“.

სხვა ლექსი არის „თათრიშ ლაშგარ“, მასში აღწერილია, თუ როგორ ესხმის თავს ჩოლერს თათრის ლაშქარი. აქ ნახსენებია მულახის მაცხოვარი, ნათქვამია, როგორ ღუპავს თათრის ლაშქარი გიგო გარდაფხაძეს და სხვა.

სხვა ლექსია „მეჩიყარა“. აქ ნახსენები არის ყაბარდოელები, ჩერქეზები (ქაშაგები), ნათქვამია, თუ როგორ მიაგნეს მათ ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანის საფლავს იმ ნიშნით, რომ თავთან სანთელი ენთო. მათ ქრისტიანი მიცვალებულიც არ დაინდეს, მისი საფლავიც კი გათხარეს და, როგორც ჩანს, შეურაცხყოფა მიაყენეს მიცვალებულს.

მსგავსი სვანური ლექსი არის სხვა მრავალი, მათში კარგად ჩანს, რომ სვანების ერთი ნაწილი ცხოვრობდა ჩრდილო-კავკასიაში, მათ, ვითარცა ქრისტიანებს, ებრძვიან მომხდური სავიარები, ქაშაგები, ბასიანელები და სხვები, დაუნდობლად ხოცავენ, გადარჩენილი ქრისტიანი მოსახლეობა ლტოლვილების სახით თავს აფარებს საქართველოს. ჩრდილო კავკასიაში ადგილზე დარჩენილებს ამუსულმანებენ ან ხოცავენ, ხოლო გადარჩენილებს ატყვევებენ, იმონებენ და ყიდიან.

სვანურ-ხალხური პოეზია საუკეთესო წყაროა სამტკიცებლად იმისა, რომ სვანები, სვანური ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა ჩრდილო-კავკასიაში, სადაც მათ ჰქონდათ სოფლები, ციხე-კოშკები და ეკლესიები.

4 მარტი, მონასტერი.

მაჰმადიან სვანთა გვარები ყაბარდო-ბალყარეთში და ადიღე-ჩერქეზეთში თ. მიბჩუანის მიხედვით

„სტრაბონის (ძვ.წ. 64, ახ.წ. 24) ცნობით, სვანები ძლიერი, მრავალრიცხოვანი და ყველაზე ფართო ტერიტორიაზე განსახლებული ხალხი იყო კავკასიაში“ (თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან. 1986 გვ 366.). სტრაბონის ცნობას სვანების შესახებ ეთანადება მენანდრეს (ახ.წ VI ს) ცნობა: სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა ტომი III, გვ. 221). მენანდრე მიუთითებს იმიერკავკასიაში სვანების ცხოვრების შესახებ.

თ. მიბჩუანის კვლევით, იმიერკავკასიის მთის ზოლში მდინარე თერგისა და ყუბანის სათავეებს შორის სვანები ანტიკური ხანიდანვე სახლობდნენ ვიდრე თემურ ლენგისა და იმიერკავკასიის დაბლობში ჩერქეზების გამოჩენამდე (თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან. 1986, გვ. 360).

როგორც ცნობილია, თემურ ლენგის შემოსევის შედეგად შეიცვალა იმიერკავკასიის ეთნიკური სახე, კერძოდ, იმიერკავკასიის სტეპებიდან იმიერკავკასიის მთიანეთში ვრცელდებოდა ისლამი და იმიერკავკასიის ბარში გაბატონებული ახალი ხალხი ცდილობდა მთებში შეღწევას.

იმიერკავკასიის მთიანეთის ერთი ნაწილი, როგორც ვთქვით, ეჭირა სვანებს, ხოლო რაც შეეხება იმიერ კავკასიის ბარს, აქ გამოჩდნენ, გაძლიერდნენ და გაბატონდნენ ჩერქეზული ტომები.

თემურ ლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე დიდი და ყველაზე გაბატონებული ხალხი ჩერქეზები (ყაბარდოელები) იყვნენ. ისინი ბატონობდნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობის ყველა ტომზე, იმორჩილებდნენ მათ ყველა საშუალებით.

ჩერქეზები ასევე ცდილობდნენ დაემორჩილებინათ ჩრდილო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაც, მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ამ მხრივ, მაგრამ გაუჭირდათ სვანების დამორჩილება. ამიტომაც ჩერქეზების ერთ-ერთი ცნობილი მთავარი ეძებდა გზებს, რათა მზარდი რუსეთის სამეფო გამოეყენებინა სვანებისა და სხვა მთიელთა ტომებთან ომებისას. ეს სურვილი აღსრულდა რუსეთში ივანე მრისხანის მეფობისას.

რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე დაუმოყვრდა იმჟამად ჩრდილო კავკასიაში ძალზე დიდი ხალხის ჩერქეზების ერთ გავლენიან ბელადს, თემრიუკ იდაროვს, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო. ამით რუსეთის გავლენის სფეროში შევიდა ჩრდილო კავკასია, ჩერქეზების ბელადმა ივანე მრისხანეს სთხოვა დახმარებოდა ჯარით მტრის, „სონების“, წინააღმდეგ, რუსული ჯარი შეიარაღებული იყო იმჟამად ყველაზე ახალი იარაღით, ცეცხლსასროლი თოფებით.

ჩერქეზთა ამ ბელადის განცხადებით, ის ებრძოდა სონების ტომს, ანუ სვანებს, რომლებიც იმჟამად ვრცლად ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტეტდი, რომელმაც თავისი ფეხით მოიარა ეს მხარე, წერს, რომ სონები და სვანები ერთი ხალხის სახელია.

მოღწეული საისტორიო წყაროს, XVI საუკუნის ნიკონოვის მატიანის დამატებითი ნაწილის მიხედვით, 1562–1563 წლებში რუსეთის მეფე ივანე მრისხანის სიმამრმა თემრიუკ იდაროვმა ილაშქრა ყაბარდოს მეზობელ მხარეებში, მოღწეულ საბუთიში ნათქვამია: იდაროვმა „164 მშანთა და სონთა დასახლება დაარბია“ (თეიმურაზ მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989 გვ. 12).

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ივანე მრისხანესა და ყაბარდოს ბატონის ჯარმა XVI საუკუნის 60-იან წლებში დაარბია, ანუ მოსპო და გაანადგურა ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე 164 სვანური სოფელი.

აღნიშნული საბუთის მიხედვით, სვანების საცხოვრისი მოიცავდა თერგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებს. ეს ცნობა დასტურდება სხვა წყაროს – ბარონ როზენთან 1835 წელს გაგზავნილი სვანეთის მთავარ სიოყ დადეშქელიანის დედის დიგორ ხანის მოხსენებითაც.

შესაბამისად, ჩრდილო კავკასიის ვრცელი მონაკვეთი იალბუზის გარშემო სვანებით იყო დასახლებული, რომელთაც მტრობდა ჩერქეზების ბატონი.

საბოლოოდ, ჩერქეზებმა რუსების დახმარებით დაამარცხეს სვანები.

ნაწილი სვანი მოსახლეობისა აიყარა ჩრდილო კავკასიაში მდებარე თავსი მიწა-წყლიდან და მიაშურა საქართველოში მდებარე სვანეთს, ხოლო ჩრდი-

ლო კავკასიაში დარჩენილი სვანური მოსახლეობა თანდათანობით ასიმილირდა შემოსულ ტომებში, რომლებიც იყვნენ მაჰმადიანები.

ამის შედეგად ჩრდილო კავკასიაში დარჩენილმა სვანურმა მოსახლეობამ მიიღო მაჰმადიანური სარწმუნოება და შეერწყა იქ გაბატონებულ ხალხს.

ამ მხარეებში შემდგომში ჩამოყალიბდა ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ადმინისტრაციული ერთეულები.

გამუსულმანებული სვანების ასიმილაციის საკითხი კარგად გამოიკვლია ცნობილმა მეცნიერმა თეიმურაზ მიჩბუანმა. მან გამოიკვლია ყაბარდოსა და ყარაჩაიში მცხოვრები მოსახლეობის ეთნო თვითშემეცნება, ადგილზე მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები.

თ. მიჩბუანმა თავის კვლევაში აღნიშნა, რომ ბალყარელებისა და ასევე ყარაჩაელებისა ერთი ნაწილი თავის თავს თვლის სვანური წარმოშობისად. ისინი ადასტურებენ, რომ მათ სვანი წინაპრები ჰყავდათ.

„ყაბარდო ბალყარეთში თავს სვანური წარმოშობისად თვლიან შემდეგი ბალყარელები (საგვარეულოები):

ბოტტალარ,
გეკკილარ,
ებზელარ,
ერისტავლარ,
ერისტაულარ,
ერისტოვლარ,
ოთარლარ,
ჟაბელარ,
ჟაბოლარ,
ჟაბილარ,
სოტალლარ,
ტაპასხანლარ,
ქურდალარ,
ხოლალარ,
შახმურზალარ,
შუანლარ,
ჩარკუიანლარ,
ჯაპულარ,
ჯაფარლარ,
ელმურზალარ,
ათმურზალარ,
თეყულარ,
ალბუტლარ,
ჯარაშულარ,
ბეჩილარ,
ბეჩელარ,
ქურჩალარ,

დინალარ,
მამჩულარ,
მეჩიევ,
ხუბილარ,
ჭოჭაევ.

ყარაჩაელებიდან თავს სვანური წარმოშობისად თვლიან შემდეგი გვარები:

ჩაგილარ,
თებულარ,
უზდენლარ,
ხუბილარ,
ქოჩკალარ,
ცულკიანლარ,
ჭოტჭაევ,
გოჩიალარ,
მამჩულარ,
ებზელარ,

პანგანლარ (თეიმურაზ მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 97).

თ. მიჩბუანი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ გვართაგან მრავალრიცხოვანნი არიან საგვარეულოები: გეკილარ, ოთარლარ, ჟაბოლარ, ჯაპულარ, ებზელარ, ჰუბილარ და სხვები და უთითებს წყაროს (ნასსელენნიე პუნკტი კაბარდინო ბალკარსკოი ასსრ I პერეჩენ ფამილიი ვსტრეჩაიუშიხსია ვნიხ, ნალჩიკ, 1970 ს 4-823) .

თ. მიჩბუანმა თავის წიგნში სხვადასხვა წყაროსა და გადმოცემებზე დაყრდნობით გამოიკვლია, რომ

1. ბოტტალარ (ბტტლარ), ბოტაევები, გეკკილარ, გეკიევები არიან კახიანები. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ მას ზემოთ ჩამოთვლილი სვანური წარმოშობის გვარები მოცემული აქვს ბალყარული ენისათვის დამახასიათებელი ნიშნით და ეს გვარები რუსულად ჩაწერისას იმატებენ ევ და ოვ დაბოლოებებს. მაგალითად: ოთაროვი, ჩარკვიანოვი, ჟაბელოვი, ქურდანოვი, ხოლაევი, დინაევი, მამჩუევი, ჯარაშუევი, ებზეევი და სხვა. ზემოთ აღნიშნული გეკიევები და ბოტაევები ერთი წარმოშობის გვარებია, კახიანებისაგან მომდინარეობენ. ამიტომაც ისინი ერთმანეთს ენათესავებიან და ერთმოგვარეობის გამო მათ შორის ქორწინება აკრძალულია. ისინი ადრე ცხოვრობდნენ ბეზგინში და იყვნენ ქრისტიანები, შემდეგ კი გამუსულმანდნენ.

2. ებზელარ, ებზეევ, გვარი გავრცელებულია ყარაჩაიში და ისინი არღვლიანების გვარის შტოდ ითვლებიან,

3. ერისტავლატარ, ერისთავლარ, ერისტოვლარ იგივე ერისთავები არიან. მოსახლეობდნენ ხეობაში, რომელიც არის სვანური ტოპონიმის მქონე, ხეობაში ლესკინში. ლესკინთან ახლოს მდებარეობს ასევე სვანური ტოპონიმი სუკანი. ერისტავლარები ასევე ცხოვრობენ ზემო მალყარში, სვანთა ძველ ქვეყანაში.

4. ოთარლარ, ოთაროვები დადეშქელიანთა გვარის შტოს განეკუთვნებიან. ჩრდილო კავკასიაში გაძლიერებული სვანი დადეშქელიანები გადმოსულან სამხრეთ სვანეთში, ანუ მესტიის მხარეს მდებარე სვანეთში და გაბატონებულან ეცერში. ჩრდილო კავკასიიდან მათ თან ახლდნენ ანსიანებისა და ჯაჭვლიანების წინაპრები, გაბატონების შემდეგ დადეშქელიანს მადლიერების ნიშნად ანსიანებისთის უჩუქებია ჩუბუხევში ტერიტორია, „ხოლო ჯაჭვლიანებისათვის სოფელი ხუმარი“, – წერს თ.მიჩბუანი (თ. მიჩბუანი, სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1968, რვეული №1, გვ 49–52) .

აქ საინტერესო არის ის, რომ ჩრდილო კავკასიაში მდებარეობს ციხე-ქალაქის ნაშთები, რომელსაც ქვია ხუმარა. ჩრდილო კავკასიის ამ ხუმარას მიიჩნევენ ძველ ალანურ, ოსურ ნაქალაქარად, მაშინ როცა თ. მიჩბუანი თავის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ხუმარად მოიხსენიებს სოფელ ცხუმარს ახლანდელ სვანეთში. ასე, რომ თვით სვანეთშივე, სვანურ მეტყველებაში, ტერმინი ხუმარა, ხუმარი, ტერმინ ცხუმარის შემოკლებული ვარიანტია. ბალყარეთის ტერიტორიაზე ასევე არის მრავალი სვანური საგვარეულო და ტოპონიმი.

როგორც აღვნიშნეთ, ჯაჭვლიანები ცხოვრობდნენ ცხუმარში. აქ იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ხუმარაც, ხოლო ოთარლარ და ჯოყარლარ გვხვდება ყარაჩაი-ბალყარეთში.

5. ოთაროვი, სვანური საგვარეულო, წარმოშობილი არის პატრონომიული სახელწოდება ოთარშასაგან. ეს სახელები ერქვათ დადეშკელიანების საგვარეულოში სხვადასხვა პირებს.

6. ჟაბოევები დადეშკელიანთა გვარის განშტოებაა. ჩრდილო კავკასიაში ბეზინგი, ხულამის ხეობაში ჟაბოლართა გრანდიოზული ციხე-სიმაგრე მდებარეობდა. ე.ი. მე-5 და მე-6 საუკუნეებში დადეშკელიანები ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის ჟაბოლარში.

7. სოტალარ, სოტაევები ყიფიანთა გვარის შტოს განეკუთვნებიან (თ. მიჩბუანი, გვ. 101). ყიფიანის მოგვარე სოტალარ, სოტაევები ცხოვრობდნენ აულ ურუზბიევში.

8. ქურდალარ, ქურდანოვები სვანი ქურდიანების გვარის შტოს განეკუთვნებიან. მათი საცხოვრისი იყო ბახსანი ჩრდილო კავკასიაში (იქვე, გვ. 102).

9. ჯოპოევები ყოფილან ჯაპპოევები, ანუ ჯაფარიძეები. ისინი ცხოვრობდნენ გეკიევებთან ერთად ბახსანში.

10. ყარაჩაელი ლეპშეკოვები ქურდანი, ქურდანების (ქურდიანების განაყოფი ყოფილან), მათი წინაპარი ლეპშოკი ყარაჩაში ხურგუზში ცხოვრობდნენ, ქურდანის ძეები – სვანეთში მულაყში. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ქურდიანების ერთი შტო დასახლებულა ბახსანში, მეორე – კახეთში, მესამე – სვანეთში. ყარაჩაში მცხოვრები ლეპშკოვები თვლიან თავიანთ თავს სვანური წარმოშობისად, მაგრამ არ იციან, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო ქურდიანი, – წერს თ. მიჩბუანი (თ. მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 103). ჩრდილო კავკასიაში ლაშკუტელი ქურდოვანები თავის წინაპარს მიიჩნევენ, ეს იყო სვანებთან დაკავშირებული და გადმოსახლებული ბახსანის ხეობაში.

11. გუჯეჯიანთა შტოს ეკუთვნიან ჩრდილო კავკასიელი შახმურზარლარები (შახმურზალოვები), ათმურზალარები(ათმურზალოვები), ერმურზალარები (ერმურზალოვები) და თეყულარები (ტეკულოვები).

12. ჯაფარიძეების მოგვარეებად თვლიან თავიანთ თავს ჩრდილო კავკასიელების შემდეგი საგვარეულოები: ჯამპულარ, ჯამპუევ, ჯაფაროვ, ჯაფაროვები და სხვები.

13. ჩარკვიანები, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მკვიდრობენ და ითვლებიან ადგილობრივ მოსახლეობად, თავიანთ გვარს ასე აწარმოებენ: ჩერკურიანოვები.

14. ფანგანები სვანი ფანგანების შტოს ეკუთვნიან, ყარაჩაიში არიან ანგანოვები, მათ სვან ფანგანებთან ამჟამადაც აქვთ ნათესავური ურთიერთობები.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე ნათესაური ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან რაჭველ რეხვიაშვილებს და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ მათ ე.წ. დოსტებს, რეხვაევებს.

როგორც ჩანს, რაჭველების ერთი ნაწილი ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში, ისევე როგორც სვანები. ისინიც გამაჰმადიანდნენ და ასიმილირდნენ ჩრდილო კავკასიის შესაბამის ხალხში, მაგრამ ნათესაური ურთიერთობა თავიანთ ნათესავებთან მაინც არ მიუტოვებიათ.

რაჭველები გადადიან ჩრდილო კავკასიაში თავიანთ განაყოფ ნათესავებთან და სტუმრობენ, „დოსტობენ“. ასევე მუსულმანი თანამოგვარეები გადმოდიან რაჭაში თავიანთ განაყოფ ქრისტიან ნათესავებთან და სტუმრობენ. ასეთ სტუმრობას უწოდებენ დოსტობას. ასეთი დოსტები რაჭის მთის სოფლებში მცხოვრებ რაჭველებს მრავლად ჰყავთ მეზობელ ჩრდილო კავკასიაში სხვადასხვა საგვარეულოში.

ეს მიუთითებს, რომ ჩრდილო კავკასიაში რაჭის მეზობელი რეგიონი დასახლებული იყო ქართული მოსახლეობით, რომელიც გამუსულმანების შემდგომ შეერწყა იქ შემოსულ მაჰმადიანურ მოსახლეობას, ანუ ნათესაური კავშირები არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან.

15. სვანიძეების გვარის წარმომავლობისა შესაძლებელია იყვნენ ჩრდილო კავკასიელი გვარები: შუანლარ, შუანოვები. ისინი თავიანთ თავს სვანური წარმოშობისად თვლიან.

16. ჩრდილო კავკასიელი თებუევები წარმოშობით სვანები არიან, მაგრამ არ იციან, რომელი გვარის შტოს ეკუთვნიან, – წერს თ. მიჩბუანი. (იქვე, გვ. 104).

17. სვანი ხვიბლიანების მოგვარეებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ხუბიევები. მათ შორის ადრე ნათესაობაც ყოფილა.

18. სვანი კახიანების შთამომავლებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ჯარაშუევები (ბალყარებში).

19. სვანი მიბჩუანების მოგვარეებად თვლიან საკუთარ თავს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მამჩუევები.

20. სვანი ქოჩქიანების მოგვარეები არიან ჩრდილო კავკასიელი ქოჩქანოვები და ალბეტოვები. ქოჩქანოვები ცხოვრობენ ბალყარეთსა და ყარაჩაში, ალბეტოვები მოსახლეობენ ზემო ჩეგემში.

21. სვანი ავალიანების მოგვარეები არიან ყარაჩაელი დინაევები.

22. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო გერიჩო თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

23. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო თეთუევ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

24. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო კერაკოზოვ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

25. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო მეხიევ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

26. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო გოჩიაევ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

27. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო ბეჩოლოვ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

28. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო მეჩიევ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

29. ჩრდილო კავკასიური საგვარეულო გერიჩო თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

30. ჯაჭვლიანების მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ჭოჭაევები.

31. სვანი სუბელიანების მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ჩაგილოვები.

32. სვანი არღვლიანები მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ხაბჩაევები.

33. ჩრდილო კავკასიური საგვარეულოები სონოვ, სონ, სონნ, შეიძლება ჩაითვალოს სვანური საგვარეულოს შთამომავლობად, რადგანაც ამას თვითონ გვარი მიუთითებს, სონ, შონი, აშუან, აშანუა ნიშნავს სვანს.

34. სოტაევ სვანური საგვარეულოს ჩრდილო კავკასიური სახე, ცხოვრობენ სოფელ ლაშკუტაში.

35. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ სვანური წარმოშობის ქართლიკოვები, კერძოდ, პიროვნება ქართლიკო რაჟაბისაგან ჩაიუწერიათ ერთ-ერთი გადმოცემა (იქვე გვ.133).

36. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ჩერკუიანოვები.

37. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ქურდანოვები.

38. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ნასტაევები.

39. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ აკაევები.

40. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ჯაპპუევები.

41. სოფელ ელბრუსში ცხოვრობენ სვანური წარმოშობის ქურდანოვები, უზდენოვები, ვეზდენოვები.

42. ნალჩიკის რაიონის სოფელ ხასანიაში ცხოვრობდნენ ბოტაევები, ნატჩიევები, ხოლამხანოვები, რახაევები.

43. ნალჩიკის რაიონის სოფელ ზემო მალყარში ცხოვრობდნენ თეთუევები.

44. ჩეგემის რაიონის სოფელ ბულუნგუში ცხოვრობდნენ კირაკიზოვები, აპასხანოვები.

45. სოფელ ელტიუბეში ცხოვრობდნენ შაჰმურზაევები, ბაპინაევები. (იქ-ვე გვ. 133)

46. ყარაჩაევსკის რაიონ სოფელ ხუმარაში ცხოვრობენ ძამიხოვები.

47. კამენამოსტში ცხოვრობენ გურჯიევ, უზდენოვ, გერიკოვ, ჯოჯუევ, და სხვები.

როგორც აღინიშნა, რუსების ხელმწიფეს ივანე მრისხანის ჩერქეზების მთავარი დაუნათესავდა. მან რუსთა ხელმწიფის ლაშქრის დახმარებით შეძლო ჩრდილო კავკასიელი სვანების დამორჩილება, შემდგომ კი – მათი გამუსალმენების გზაზე დაყენება. ურჩები იღუპებოდნენ ანდა გარბოდნენ. ძირითადად, თავს აფარებდნენ საქართველოში მდებარე სვანეთს. ეს ფაქტი კარგად ჩანს სვანურ პოეზიაში.

ბალყარეთ – სვანეთი

ბალყარელები ყარაჩაელების მონათესავე თურქულენოვანი ხალხია. ისინი იალბუზის მთის აღმოსავლეთით სახლობენ. ქართულ წყაროებში ბალყარეთს ბასიანს უწოდებენ.

ყარაჩაელები იალბუზის მთის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობენ. იალბუზის მთა ყარაჩაის გამოყოფს ბალყარეთისა და ყაბარდოსაგან. სვანები ბალყარელებს ამჟამადაც სვირებს უწოდებენ.

გადმოცემით ცნობილია, რომ ყარჩა ყარაჩაელთა ერთ-ერთი წინამძღოლი ყოფილა, რომელსაც ეს ხალხი ოქროს ურდოდან თუ ყირიმიდან გამოუყვანია და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი ზემო ყუბანში დაუსახლებია. სვანები ყარაჩაელებს ყრჩოლს ეძახიან (თოფჩიშვილი რ. 2007). ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველებს (სვანებს) ებზეს სახელით იცნობენ. ყაბარდოელები სვანებს სონეს გვიწოდებენ.

http://gevorld.ge/ge

XVI საუკუნის რუსული წყაროებით, ქართველები ჯერ კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილან განსახლებულნი.

XVII–XVIII საუკუნეებში თურქულენოვან ტომთა მოძალებისგან შევიწროებული ჩრდილო კავკასიის ქართული სოფლები თანდათან დაცლილა ქართული ეთნოსისგან. ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობას ბალყარეთში, ყარაჩაისა და ყაბარდოში წერილობით წყაროებთან ერთად ადასტურებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალაც: ტოპონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები), ფოლკლორი, საგვარეულო ისტორიები, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ და ა.შ. ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების,

ხეობების, სათიბების… სახელები) აიხსნება მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენითა და მისი დიალექტებით. ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

ტურზოევის ცნობით (1743 წ.) –

ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს. მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია.... ეკლესიებზე გამოსახულია ჯვრები. „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ, დაინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომლებსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. მასალა თვალნათლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) რელიგიურობას, კრძალვას და მოწიწებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი.

ი. გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით (1772 წ.) ბასიანელები ძველად იყვნენ ქვეშევრდომები საქართველოს მმართველებისა, ქრისტიანები, რისი ნაშთები ახლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უქმობის, დიდმარხვის შენახვისა და ღორის ხორცის ჭამის სახით.

მაგალითად, სამი საჟენი სიგრძის ქვის ეკლესია არის შემონახული **ჩეგემის** მხარეში ულუელთან (გუილდენშტედტი, 1964). გიულდენშტედტი სხვაგანაც აფიქსირებს ეკლესიას: „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთი-ქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩეია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია” (გიულდენშტედტი, 1964). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტოპონიმიკა, ეთნოგრაფია, **გიულდენშტედტისეული ულუელის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩეია – დღევანდელი აული ქართჯურთია ლაბგვიარის (ულუკამის) მიდამოებში, სადაც ძველთაგანვე ქართველები ცხოვრობდნენ.**

მეორე გერმანელი მკვლევარი, რეინეგსი, რომელმაც იმოგზაურა იმჟამად ჩერქეზეთად წოდებულ, ამჯამინდელ ყარაჩაიში, და მოინახულა იქ შოანა, სენტისა და სხავა ტაძრები XVIII საუკუნის 80-იან წლებში, როგორც აღინიშნა, წერს:

„სამხრეთით მაღალ მთაზე დგას კარგად შენახული, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ქვის ეკლესია. იქ ჯერაც ორი ზარია. ასევე ამტკიცებენ, რომ წიგნები, ბერების სამოსელი, თასი და ჯვარი ახლაც დაცულია იმავე მთაზე განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას, რომელზედაც ეკლესია დგას. ეკლესიის ირგვლივ კი ბევრი ქვაბულია გამოკვეთილი. ეს ეკლესია ცნობილი ყოფილა თავისი საკვირველმოქმედებით, განდეგილებითა და ბერებით. ქერის მოსავლის აღების შემდეგ აქ იკრიბებიან გლეხები. ქრისტიანი მღვდელი კი ატარებს ლოცვას. თუ ვინმეს ამ ეკლესიის ახლოს მეხი მოკლავს, მას წმინდანად მიიჩნევენ. იქვე მარხავენ მის გვამს, შემდეგ მართავენ დღესასწაულს, იკვლება შავი ვაცი, ტყავს გატენიან და საფლავის ახლოს მაღალ ძელზე გამოჰკიდებენ, რათა ამ

წმინდანად შერაცხულის ხსოვნა გაახანგრძლივონ“ [1]. https:/-/m.facebook.com/MoxeveebiXevsurebiTushebi/photos

გერმანელი მოგზაურის რეინეგსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს შემდეგი:

1. შუანას, იგივე შოანას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, თვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ლოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში, მღვდელი ლოცულობდა შუანას ეკლესიაში და მას მრევლი ჰყავდა.

2. შოანას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერია. ის მოქმედია და ცდილობს, განსაზღვროს, თუ მათ შორის რომელია ღვთის მიერ უფრო გამორჩეული ქრისტიანი. უბრალო ხალხი, რიგითი ქრისტიანი გლეხები, ასეთად მიიჩნევენ ეკლესიის ახლოს, სწორედ უშუალოდ ეკლესიასთან, თუნდაც მეხის გამო დაღუპულს. ხალხური ადათით, ეკლესიასთან (ეკლესიისათვის) დაღუპულს მიაგებდნენ სათანადო პატივს, თუმცა, ცხადია, მღვდელი საეკლესიო წესების შესაბამისად მოქმედებდა.

3. ეთნიკურად ის ქრისტიანები, რომელნიც რეინეგსის დროს შოანას (შუანას) ეკლესიის ძლიერ სამრევლოს წარმოადგენდენ იყვნენ სვანები, შესაბამისად ქართული ეკლესიის იურიდიქციაში შემავალი სასულიერო პირით. ეს ქრისტაიანები აქედან გააძეეს უკვე მე-18 საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, ნაწილი მათგანი, ადგილზე დარჩენილები ასიმილირდა შემოსულებში, ხოლო გადარჩენილი ქრისტიანები ლტოლვილების სახით შეეხიზნენ მათთვის ყველაზე ახლოს მყოფ ქრისტიანულ სვანეთს. ის წიგნები, რომელიც რეინესმა ნახა შუანას ეკლესიაში შესაბამისად იყო ქართულენოვანი საეკლესიო წიგნები.

1834 წელს ყოფილი სვანური ადგილები ი. შახოვსკიმ შემოიარა. ვერც მან უარყო ჩეგემის მხარეში ქართული კულტურის არსებობა. 1849 წელს ა. ფირკოვიჩმა ბეზინგში ქართული ქრისტიანული ეკლესია აღწერა. ტაძარი ქვით ნაგები და მოხატული ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარზე ქართული წარწერებიც არსებულა. ამ წარწერებს ლ. ლავროვიც იხსენიებს. მისი აზრით, წარწერები ქართველი მშენებლების შესრულებული უნდა იყოს. ეს ეკლესია XX ს-ის 60-იან წლებში მთლიანად დაინგრა. ლ. ლავროვის აზრით, მდ. ყუბანის სათავეებში ქართველები (სვანები) დასახლებულან XIV–XVII საუკუნეებში, ბაქსანის ხეობაში კი – 1640–1743 წლებში. მათ ეს მხარე მიუტოვებიათ ყაბარდოელთა შემოტევების შედეგად XVIII საუკუნის ბოლოს. ლავროვის მტკიცება, რომ სვანებმა ეს ადგილები ჩრდილო კავკასიისა დატოვეს მე-18 ს. ბოლოს დასტურდება სხვა ცნობებითაც, მაგრამ სვანები ამ ადგილებში ქრისტესშობამდეც ცხოვრობდნენ, როგორც ამას აჩვენებს მენანდრეს (ახ.წ VI ს) ცნობა: სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა, ტომი III, გვ. 221). არის მოსაზრება, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ფლობდნენ სვანური კოშკების მსგავს ციხეებს, რომლებიც სვანების აგებული უნდა იყოს. ეს მიწებიც მათი კუთვნილებაა. სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების, კიჩკენიკულისა და ყუბანის, შესართავთან გვიჩვენებენ უძვე-

ლესი ხიდის ნანგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხესიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზღვარს.

ქართული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემში. სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირმ“. იგი წმ. მარიამს გულისხმობს. ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია ყარაჩაიშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია („შუანა“), ქვედა არხიზისეულია, თებერდის ხეობის სენტის მონასტერი. ეს ძეგლები X, XI, XIV–XVII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ყველა ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილით და ტოპონიმიკით. ადგილობრივმა ფოლკლორმა და ტოპონიმიკამ შემოინახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. აქ შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა“. მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე”). დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული. მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარაშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი ნახა, ე.წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს, იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედლებზე არსებულ ჩაღრმავებებს. ბალყარეთსა და ყარაჩაიში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები. ჯვრების გამოსახულებები, სასაფლაოების გარდა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. გარდა ამისა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობაც. იქ ნაპოვნია ადრეული შუა საუკუნეების, X–XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები. ცნობილია, რომ ყაბარდოელთა რწმენა-წარმოდგენებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქრისტიან წმინდანებს: ღვთისმშობელს, ელია წინასწარმეტყველს, წმიდა გიორგის, რაც ამ მხარეზე ქართული კულტურის გავლენითაა განპირობებული. მკვლევართა დაკვირვებით, ბალყარეთსა და ყარაჩაიში გამოვლენილია ქართული ტიპის 40-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობა: უამრავი ციხე-კოშკი, რომლებიც, გადმოცემების თანახმად, ქართველთა აგებულადაა მიჩნეული. მაგალითად, ყარაჩაიში არის ხუმარის ნაქალაქარი (X–XI სს.), შოანა, თამარის ციხე, გოშაიხ ყალა – გოშვანთა ციხე; ბასიათშა ყალა – ჟორჟოლიანების კოშკი; ბალყარეთში: ებზე ყალა, ბადიილშა ყალა – გოშთელიანების კოშკი. ცნობილია, ბეზინგი ჩერეკის მარჯვენა მხარეს იდგა ციხე-კომპლექსი „ჟაბოლარის ციხე“. იგი ერთ სვანური ტიპის კოშკს და სამ ქვის სახლს მოიცავდა. ციხე დადეშქელიანების განშტოების – ოთაროვების კუთვნილი იყო. უღელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, რომელსაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩო, ნაკრა), საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა

მხარეს მცხოვრებ ყარაჩაელთა და ბალყართა იმ ნაწილთან, რომელიც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა. ამავე დროს, არსებობდა ჩრდილო კავკასიელ და ქართველ მთიელთა ძმადგაფიცვის ჩვეულებაც. ამას ხელს უწყობდა ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა. ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული. ასევე ჩრდილოეთ კავკასიელებს ესმოდათ სვანური. ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდეა შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროტესტის შესახებ მოთხრობილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში.. თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს". მოგვიანებით ქართველთა ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ. http://gevorld.ge/ge

მე-18 საუკუნის შემდეგ სვანები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი ტერიტორიები ჩრდილო კავკასიაში, ნაწილი ასიმლირდა შემოსულ თურქულენოვან მოსახლეობაში (ყარაჩაისა და ბალყარეთში) და მიეღოთ ისლამი, ამჟამინდელი მკვლევარები ადასტურებენ, რომ ამის შედეგად ყარაჩაელებს ისევე, როგორც ოსებს (ასიმილირებულ ყოფილ დვალებს) აქვთ ქართული გალოჯგუფი G2, G2a1a1–P18. რუსი მკვლევარი წერს – ქართველებს, ოსებს, ასევე ყარაჩაელებსა და ბალყარელებს აქვთ ერთნაირი გალოჯგუფი. ის ოსებმა მიიღეს არა ალანებისაგან, ყარაჩაელებმა და ბალყაარელებმა არა თურქებისაგან, არამედ ქართველებისაგან – **„гаплогруппа G2a у осетин ...В Грузии почти на треть – та же гаплогруппа G2a1a1–P18, что и в Осетии. Аланы, понятно, там были не при чем... По-видимому, на тюркский язык перешла часть сванов, которые и составили местную основу как карачаевского, так и балкарского этногенеза. Типичность балкарцев и карачаевцев как носителей кавкасионского комплекса признаков и отсутствие в их антропологическом составе какой-либо инородной примеси и здесь говорят о малочисленности тюркских мигрантов, переселившихся в ущелья из степных районов».**

http://wop.alanla.forum 24.ru /?1–0–90–00000276–000–60–0

ზოგიერთი რუსი მკვევარის სიტყვით, ყარაჩაელებისა და ბალყარელების ძირითადი გალოჯგუფი აჩვენებს, რომ – ისინი ყოფილი სვანები არიან, მსგავსადვე, რუსი მკვლევარების აზრით, ოსებმა თავიანთ გალოჯგუფი მიიღეს არა ალანებისაგან, არამედ ქართველებისაგან

http:/.alana.forum 24.ru /?1–0–90–00000276–000–60–0

ისინი წერენ –

Аланы и скифы, по мнению А.А.Клёсова и В.П.Алексеева

А Клёсов А.А. – В современных исторических науках принято считать, что предки осетин – это аланы, а аланы – ираноязычное племя скифо-сарматского происхождения. То есть по всем признакам они должны были бы иметь основную гаплогруппу, но этой гаплогруппы у осетин практически нет, ни у

дигорцев, ни у иронцев. По-видимому, на тюркский язык перешла часть сванов, которые и составили местную основу как карачаевского, так и балкарского этногенеза. Типичность балкарцев и карачаевцев как носителей кавкасионского комплекса признаков и отсутствие в их антропологическом составе какойлибо инородной примеси и здесь говорят о малочисленности тюркских мигрантов, переселившихся в ущелья из степных районов».

Яндекс. Директ http:/wap.alanla.forum 24.ru /?1–0–90–00000276–000–60–0

ენობრივი ფაქტები მიუთითებს, რომ შესაძლოა თურქულენოვანი ალანების მემკვიდრეები არიან ყარაჩაელები, აბულფედას და ალ-დიმაშკის ცნობებით ალანები და ოსები თავდაპირველად თურქულენოვანი ტომები იყვნენ

ამ ფაქტის ანარეკლია ბალყარელების უშუალო მეზობლების, სვანებისა და მეგრელების, მეტყველებაში ასახული ენობრივი დეფინიცია.

მაგალითად, ყარაჩაელებსა და ბალყარელებს მეგრელები უწოდებენ ალანებს, ამავე დროს, სვანებისა და მეგრელების მეტყველებაში ტერმინი „ოსური“ აღნიშნავს არა ირონულ ენას, არამედ ყარაჩაულ ენას (თურქულ ენობრივ ოჯახში შემავალს).

ამასთანავე, სვანები და რაჭველები (გლოლელები) ოსებს მოიხსენიებენ ტერმინით – „დიგორელი“, „დვალი“,

ამ ენობრივი ფაქტიდან ჩანს, რომ **„ოსები“ და „ალანები“ კავკასიაში ერქვათ არა ამჟამინდელ ოსებს, არამედ ყარაჩაელებისა და ბალყარელების წინაპრებს.** სწორედ მათ ადგილას მდებარეობდა კავკასიის ალანია.

„У сванов для карачаево-балкарцев два названия – савер и овс.

академик Н.Я. Марр о грузинском термине овс (ос):

Термин осский (осетинский) у сванов означает не иронский язык , как мы понимаем, иранского происхождения, а карачайский, относящийся к турецкой семье. Для иронского у сванов термин дигорский. Кстати, по личному сообщению А.Г.Шанидзе, так обстоит дело и в гебском подговоре рачинского говора грузинского языка: здесь оси, кстати, звучащее в глольском говоре иногда, как и в древнегрузинском овс(и) (ср. мингрел. офс(и), означает обыкновенно карачайца, а оссури карачайский язык, что же касается переноса и распространения этого этнического термина, – продолжает Н.Я.Марр,– так же и на иронов осетин, т.е. употребление его вместо племенных названий дигорели и двали, то в этом надо видеть плод влияния грузинского литературного языка или точнее грузинской речи интеллигенции". Мингрелы карачаево-балкарцев чаще называли „аланам“ http://wap.alanla.forum24.ru /?1–5–0–00000007–000–0–0

сваны и „аланами“ называли карачаевцев

Мегрели называют АСАМИ Карачаевцев,Балкарцев и Алан. Мегрелы называли карачаевцев –„алани“. http://wap.forum24.ru/?1–5–0–00000007–000–0

მუსულმანი სვანი-ბალყარელები სოციალურ ქსელში

„Есть семьи, даже целые фамилии в Балкарии, которые считают себя выходцами из Сванетии. О многосторонних связях между Балкарией и Сванетией поется в старинных песнях. Все это не могло не отразиться на языке и топонимах как того, так и другого народа. К топонимам сванского происхождения можно отнести: Зинки – от сванского зинги «неровный, дугообразный»; Лабу – от сван. лаб «Груз или воз для осла»; Лагура – от сван. лагвра «стадо»; Личири – от сван. лицири «снимать кожуру»; Ушба – от сван. шуб «копье (вершина)»; Цана – от абхаз. – сван. цан – этноним; Некра – сван. «ровное место, равнина». Мусукаев Б.Х. Топонимия высокогорья Балкарии. 1981 http://wap.forum24.ru/?1–5–0–00000007–000–0–0

Есть у нас в Балкарии сванские названия мест, и Ушба: и Накра и другие, около 10-ти, и для нас эбзе, так мы называем сванов, очень близкий народ по многим преданиям, и нашу историю без сванов нельзя писать.“ წერენ სოციალურ ქსელში ბალყარელი სვანები.

დასკვნა

ადიღეთა შემოსევამდე ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილის მთიანეთი, მთისწინეთი და მიმდებარე სტეპები დასახლებული იყო სვანებით (და საერთოდ ქართველებით), მათ ადიღეველებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, იმდენად, რომ მათ მთავარს, რომელიც ივან გროზნის სიმამრი იყო, დასჭირდა თხოვნით მიემართა თავის სიძისათვის, რუსეთის ხელმწიფისათვის. ივან გროზნიმ მას მეთოფეთა რაზმი გაუგზავნა. იმის გამოც, რომ ახალი შემოღებული იყო ეს ცეცხლსასროლი იარაღი, რუს-ჩერქეზთა გაერთიანებულმა ჯარმა შეძლო გადაეწვა 150 სვანური სოფელი ჩრდილო კავკასიისა, ამის შედეგად სვანების განსახლების არეალი ჩრდილო კავკასიაში მკვეთრად შემცირდა, მიუხედავად, ამისა, ადგილზე დარჩენილა სვანთა ისეთი დიდი რაოდენობა, რომ ადიღეური ენის ადგილობრივ დიალექტში შევიდა მრავალი სვანური (საერთოდ ქართული ფუძის მქონე) სიტყვა სასოფლო სამეურნეო, სოციალური, სამოხელეო და საეკლესიო ტერმინი. ეს იყო ერთერთი პირველი შემოტევა, ამის შემდეგ სვანების წინააღმდეგ იბრძოდნენ ძირითადად თურქულენოვანი ტომები (მე-17, მე-18 სს.) და ესახლებოდნენ მათ მიწებზე, სვანური მოსახლეობის ნაწილი მათ განერიდა, ადგილზე დარჩენილებს, რომელნიც მუსულმანებად იქცნენ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი სვანური წარმოშობა.

თავი IV

ზელენჯუკ-არხიზის, სენტისა და შუანას ტაძრები

ლიტერატურა

საქართველოს ამჟამინდელ საზღვართან, დაახლოებით 25–30 კილომეტრში მდებარეობს ჩრდილო კავკასიაში უძველესი გუმბათიანი ტაძრები ზელენჯუკ-არხიზში (3 ეკლესია), სენტსა და შუანაში.

ამჟამინდელი რუსული (ჩრდილოკავკასიის ადგილობრივი) სამეცნიერო წრეები მიიჩნევენ, რომ ეს ეკლესიები აგებულია ალანების მიერ მე-10, მე-11 საუკუნეებში და ისინი შედიოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის იურისდიქციაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მტკიცებისათვის პირდაპირი წყარო არ არსებობს. ეს მტკიცება მხოლოდ ვარაუდებზეა დაფუძნებული, თუმცა კი არსებობს პირდაპირი წყარო ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონის საეკლესიო იურისდიქციასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურიდიული დოკუმენტი მე-16, მე-17 საუკუნეებისა – „ბიჭვინთის იადგარი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისტორიულად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორია ყირიმის ქალაქ კაფადან (ამჟამინდელი ფეოდოსიადან) ლიხის ქედამდე შედიოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ანუ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, მოღწეულია მე-16 – მე-17 საუკუნეების ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ (ოფიციალურ მატიანეში), რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნდა. ჩრდილო კავკასიის მხარეები ჩერქეზეთისა და ოსეთ-ნახჩეთის ჩათვლით შედიოდა ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. ამავე დროს ამ ცნობაში მითითებულია სამართლის წყარო, თუ რა უფლების საფუძველზე შედიოდა სრულიად ჩრდილო კავკასია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ესაა მე-6 მსოფლიო კრების განჩინება (ნამდვილად მიიღო თუ არა მე-6 მსოფლიო კრებამ დადგენილება ჩრდილო კავკასიის საქართველოს ეკლესიაზე დაქვემდებარების შესახებ, ყველასათვის უცნობია. ამ კრებას სამართლებრივი დოკუმენტები წერილობითი სახით არ გამოუცია (როგორც ცნობილია, შემდეგი დროის ტრულის კრება შეეცადა შეევსო დანაკლისი და მე-5, მე-6 კრებების სამართლებრივი დოკუმენტები წერილობითი სახით გამოსცა, სადაც არ აისახა ეს საკითხი), არსებობს სხვა წყაროები, მაგალითად, მაღალაშვილისეული სახარების ცნობილი მინაწერი, და რაც არსებითია, უხვი მატერიალური მასალა ქართული საეკლესიო წარწერების სახით.

არქიტექტურულად აღნიშნული ეკლესიები ტიპიური ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებია, სწორედ ასეთი არქიტექტურით უამრავი

ეკლესიაა ნაგები აფხაზეთ-გურია-სამეგრელოში, ქართლ-კახეთსა თუ მესხეთ-ტაო-კლარჯეთში.

ამასთანავე, ამ ეკლესიათა ირგვლივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიებს უწოდებს „ქართულ ეკლესიებს“. მაგალითად, სენტისა და შუანას ეკლესიების მომცველი მიწა-წყალი ბოლო საუკუნეებში დასახლებული იყო აბაზებით (აბაზების ტომით). მათ ენაზე „შუანას ეკლესია“ ნიშნავს სვანების ეკლესიას. ასევე შუანას ტაძართან ახლახან დასახლებული ოსები შუანას ტაძარს „სვანების ეკლესიას“ უწოდებდნენ. მართლაც, ტერიტორიულად სვანეთი აქედან სულ 10–15 კილომეტრითაა დაშორებული.

აღსანიშნავია, რომ ლავროვის კვლევით, ამ რეგიონიდან მე-18 ს. ბოლოს სვანები გააძევეს ყაბარდოელებმა. ამის მიუხედავად, კვლევათა მიხედვით, მე-19 საუკუნის შუა წლებამდეც შუანას მომცველი ეს მხარეები ე.წ. თავისუფალ სვანეთს ემეზობლებოდა.

დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, თავისუფალი სვანეთი, ძალის გამოყენებით გააუქმა რუსეთის იმპერიამ აღნიშნულ დროს და დასჯის მიზნით შეამცირა მისი საზღვრები ჩრდილოეთის მიმართულებით. ამის შედეგად სვანებმა დაკარგეს ის გადასახადი, რომელსაც მათ მიწებზე დასახლებული ყარაჩაელები უხდიდნენ სვანებს (იხ.ქვემოთ). მე-18 საუკუნეში აქ მოგზაურმა უცხოელმა მკვლევარმა დააფიქსირა, რომ აღნიშნული ეკლესია ჯერ კიდევ მოქმედი იყო. ფაქტიურად, სენტისა და შუანას (შოანას) ტაძრები მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაკარგეს სვანებმა, რადგანაც ეს მიწები ამჟამინდელ პუნქტ ნიჟნი თებერდას (სადაც სენტისა და შუანას ეკლესიებია) ჩათვლით, ისტორიულად სვანების ტერიტორია იყო. 1943 წელს მოჩვენებითად სამართლიანმა საბჭოთა რუსეთის იმპერიამ ეს ტერიტორია დაუბრუნა სვანებს. მოსკოვის ბრძანებით ის შეიყვანეს მესტიის რაიონში. რაც აისახა შესაბამის ბრძანებაშიც კი (იხ. ქვემოთ), თუმცა 1956 წელს უკანვე წაართვეს.

რაც შეხებათ ზელენჯუკ-არხიზის ეკლესიებს, ისინი სულ 40–60 კილომეტრიათ არიან დაშორებულნი აფხაზეთის ბიჭვინთიდან, უძლიერესი ქართული საეკლესიო ცენტრიდან, აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭვინთის საკათალიკოსოს სამართლებრივი დოკუმენტი ამ ტერიტორიას (დასავლეთ ჩრდილო კავკასიას, ზელენჯუკ-არხიზის ეკლესიების ჩათვლით) ვიდრე ყირიმის კაფამდე აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალად თვლიდა. აფხაზეთის კათალიკოსი თავის ტიტულატურაში აღნიშნავდა, რომ ის „ყოვლისა ჩრდილოეთისა“ კათალიკოსი იყო. „ყოველი ჩრდილოეთი“ ყუბანისა და დონისპირეთამდე მდებარეტერიტორიებს გულისხმობდა.

ზელენჯუკ-არხიზის, სენტისა და შუანას ეკლესიები მოხატული იყო მოხატვის კანონიკური წესების შესაბისად, რაც ესაჭიროება მართლმადიდებლურ-ქალკედონურ ლიტურგიის წესს, ანუ აქ აღესრულებოდა ქალკედონურ-მართმადიდებლური წირვა-ლოცვა. ისმის კითხვა: რომელ ენაზე? ლიტურგია ალნურ ენაზე არ აღესრულებოდა. ასევე არც სხვა უმწერლობო ადგილობრივ კილო დიალექტებზე, აქედან გამომდინარე, აქ წირვა-ლოცვა ბერძნულად ან ქართულად აღესრულებოდა, საეკლესიო იურისდიქციის შესაბამისად. თუკი

ეს ეკლესიები იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მაშინ ფრესკებზე ოფიციალური წარწერები ბერძნულად შესრულდებოდა, ხოლო თუ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, წარწერები შესრულდებოდა როგორც ბერძნულად, ისე ქართულად. ქართული ეკლესია ბერძნულს მიიჩნევდა ქრისტიანობისა და ქალკედონიტური აღმსარებლობის ერთ-ერთ სიმბოლოდ. ამიტომაც გვხვდება, მაგალითად, ქართული ეკლესიის უმთავრეს სვეტიცხოვლისა და სხვა ეკლესიებში ბერძნული წარწერები.

სამწუხაროდ, შეუსაბამო პოლიტიკური ვითარების გამო ქართველ მკვლევარებს არ ჰქონდათ საშუალება უშუალოდ შეესწავლათ ამ ეკლესიათა წარწერები, მაგრამ რუსი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ ეკლესიებში და იქაურ არტეფაქტებზე არის ბერძნული, სომხური, ქართული, ძველრუსული და ძველ ალანური წარწერები ან მათი ნაკვალევი. თუ ასეა, ეკლესიათა იურისდიქციის განსაზღვრისათვის სომხურ წარწერებს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოთ. ამ რეგიონში სომხური ეკლესიის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მით უმეტეს ქალკედონურ ეკლესიებზე. ძველი ალანური წარწერები შეუძლებელია ეკლესიების ფრესკებზე რომ იყოს, რადგანაც ასეთი დამწერლობის არსებობა საერთოდ ჰიპოთეზურ სფეროს განეკუთვნება. საფიქრებელია, რომ ქართული ასომთავრული ანდა ხუცური ასოები მიჩნეული იქნა ან სომხურად ანდა ჰიპოთეთურ ე.წ. ძველ-ალანურად.

აღინიშნება, რომ ერთ-ერთ ეკლესიაში ნივთზე აფხაზთა მეფე ლეონ III მოიხსენებოდა. აფხაზთა მეფეები თვითონ იყვნენ აქტიური მრევლი და, ამასთანავე, საერო მეთაურები აფხაზეთის საკათალიკოსოსი, რომელიც ქართულენოვანი იყო და ქართული ეკლესიის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოებთან ერთად.

ორი საეკლესიო ერთეული (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და აფხაზეთის საკათალიკოსო) ამ რეგიონში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი მრავალ სავედრებელ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეებს, რათა მათ ხელი შეეწყოთ ამ მხარეებში ალანიის საეპისკოპოსო კათედრის დაარსების საქმისათვის, მაგრამ აფხაზთა მეფეებმა ასეთი დახმარება არ განახორციელეს, პირიქით, ალანიის ეპისკოპოსები გაძევებული იქნენ ალანიიდან, აფხაზეთი – დასავლეთ საქართველოდან, და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიიდან და ამის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული შეიქმნა ალანთა ეპისკოპოსისათვის კათედრა მიეცა ტრაპეზუნტთან ახლოს სოტირიოპოლში და შემდეგ, იქვე, ერთ-ერთ მონასტერში.

ამ ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონში კონტანტინოპოლის საპატრიარქოს დასაყრდენი აღარ გააჩნდა, და პირიქით, ჩრდილო კავკასიაში აფხაზეთის საკათალიკოსო ძლიერდებოდა. ჩრდილო კავკასიის ახალი მრევლი ყირიმამდე – კაფამდე – მის ინტერესის სფეროს შეადგენდა. ამ მიზეზის გამო აფხაზეთის საკათალიკოსოს საპატრიარქო ცენტრად გამოცხადდა ბიჭვინთა – ჩრდილო კავკასიის უშუალო კარიბჭესთან, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა ამ ცენტრის დაარსება სამეფოს ცენტრ – ქუთაისში, ანდა საეკლესიო ცენტრ – ჭყონდიდში. ამ ეტაპზე აფხაზეთის საკათალიკოსოს მიზანი იყო ჩრდილო კავ-

კასიის ქრისტიანული წესრიგის დამყარება-დაფუძნება. ამ მიზეზის გამო, როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიის უახლოეს პუნქტ ბიჭვინთაში მოეწყო საკათალიკოსო ცენტრი. ამ არეებში ერთი საეკლესიო ცენტრის პრინციპიდან გამომდინარე ალანიის საეპისკოპოსო კათედრისათვის ადგილი არ აღმოჩნდა. როგორც აღინიშნა, ასეთი ტრაპეზუნტთან დაარსდა, მის იურისდიქციაში, როგორც ალანიის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოთა ნუსხა აჩვენებს, აღმოჩნდა ალანების მამა-პაპეული ტერიტორიები დონ-დნეპრისპირეთი – ყირიმის ჩათვლით. მე-6 ს-ში ლაზიკის ომებისას ალანები ბიზანტიელთა მიერ სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოწვეული ხალხი იყო. მე-10 – მე-11 საუკუნისათვის ისინი კავკასიაში გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდნენ. ვახუშტის ცნობით, აფხაზეთის ერთ ნაწილს, მოქცეულს კლისურა-კელასურსა და ბზიფისწყალს შუა, ერქვა აფხაზეთის ალანია. სწორედ აქ მდებარეობს ბიჭვინთა, ანუ ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი ალანიაში (აფხაზეთის ალანიაში) დაარსდა, ჩანს, იქამდე, სწორედ აქ, ზღვაზე გამავალ აფხაზეთის ალანიაში გეგმავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ალანიის ეპისკოპოსებისათვის საეკლესიო კათედრის შექმნას, ოღონდ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მაგრამ, ბერძნული საეპისკოპოსოს ნაცვლად აქ აფხაზთა მეფეებმა ქართული საკათალიკოსო ცენტრი დაარსეს.

ვახუშტის ცნობით, აფხაზეთის საერისთავო იწყებოდა ბზიფისწყლიდან და ანაკოფიიდან ვიდრე მცირე ხაზარეთის მდინარამდე, ანუ ყუბანამდე (ყუბანის შესართავთან ახლოა კაფა, აღსანიშნავია, რომ არქანჯელო ლამბერტი კაფას მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად, სადამდეც ვრცელდებოდა ქართული საეკლესიო კულტურა. ის წერს: „საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდე, რომელიც ხერსონესშია. ამ მხრით საქართველოს სამეფო თავის სამფლობელოებში მოიცავდა აფხაზებს, ანუ აბასკებს, ჩერქეზებსა და ჯიქებს. ამის ცხადი კვალი დღესაც მოიპოვება აქ. აფხაზებისა და ჯიქების ქვეყნებში მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულნი და ქართული ზედწარწერებით“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 30). არხიზ-ზელენჯუკის ტაძრები, სენტი და შუანა სწორედ ამ არეებშია. შესაბამისად, ისინი ა. ლამბერტის ქართულ ეკლესიებად მიაჩნდა.

აფხაზთა საერისთავო (და არა აფხაზთა სამეფო), ვახუშტის ცნობიდან გამომდინარე, მოიცავდა ზღვისპირეთს ყუბანამდე, მის აღმოსავლეთით განვრცობილი იყო ქვეყანა ალანია, მონღოლების შემოსევამდე.

რუსული მონასტრები ზელენჯუკ-სენტ-შოანას (შუანას) ეკლესიებთან

რუსულმა ხელისუფლებამ კავკასიის დაპყრობის შემდეგ მდ. ზელენჯუკის ხეობაში შემორჩენილ მშვენიერ გუმბათიან ქართული სტილით ნაგებ ეკლესიებთან დააარსა მონასტრები, ფილიალები ათონის რუსული მონასტრისა **(АЛЕКСАНДРО-АФОНСКИЙ ЗЕЛЕНЧУКСКИЙ МУЖСКОЙ МОНАСТЫРЬ).**

სამი მშვენიერი ჯვარგუმბათოვანი ეკლესია მდებარეობდა ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდ.ზელენჯუკის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ არხიზთან ახლოს, სადგურ ზელენჯუკიდან 22 კმ-ში.

აფხაზეთის ახალი ათონის მონასტერი მე-19 ს-ის 80-იანი წლებიდან რუსი ბერების ხელში იყო. ისინი ძალზე ნეგატიურად იყვნენ განწყობილი ქართული ეკლესიის მიმართ, რომელმაც იმ დროს მოითხოვა აღდგენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, და, მაშასადამე, აფხაზეთშიც.

ავტოკეფალიის მოთხოვნამ ურთიერთობა დაძაბა რუს და ქართველ სასულიეროთა შორის, რამაც შემდეგ ეგზარქოსის მკვლელობაც კი გამოიწვია. ყოველივემ ძალზე გაანაწყენა იმჟამინდელი რუსული ეკლესია.

საქართველოში დაწყებულმა ავტოკეფალიისაკენ მიმართულმა პროცესმა აღაშფოთა ახალი ათონის მონასტრის ხელმძღვანელობა და რუსი ბერები. ეს კარგად ჩანს წიგნიდან, რომელიც მე-19 ს-ის 90 იანი წლების ბოლოს მათ გამოსცეს **(И. Н. (Арсений (Минин)), «Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь»** – М., 1899.). მასში აღწერილია ახალი ათონის მონასტრის ისტორია.

ამ წიგნში უარყოფილია ქართული ეკლესიის რაიმე უფლება აფხაზეთში. დამახინჯებულია ფაქტები, გამოხატულია სურვილი და მოწოდება, გააქრონ აფხაზეთში ქართული ეკლესიის ყოველგვარი ისტორიული ნაკვალევი.

ამ სულისკვეთებით განწყობილმა ბერებმა მალევე ხელში ჩაიგდეს ზელენჯუკის მონასტერი. მათ ამ მონასტრებში ქართული ნაკვალევი წაშალეს რესტავრაციის მომიზეზებით, ანუ ფრესკებიდან ქართული წარწერები ამოშალეს, წარწერიანი ქვები მოსპეს და სხვა. ამ ვანდალიზმს აღიარებედნენ თვით ამჟამინდელი მეცნიერები.

მაგალითად, ამ რუს ბერებს ადგილზე დახვდათ ზელენჯუკის შუა ტაძარი თავისი შესანიშნავი ფრესკებით. რესტავრაციის მომიზეზებით მისი ქართული ფრესკები სრულიად მოსპეს 1899 წელს. ამ ფრესკებს ახლა ბიზანტიურად მოიხსენიებენ.

თვითონვე წერენ: **„Реставрация «среднего» храма, прикрой были уничтожены древние фрески визант. школы, была завершена к 1899 г“**

(http://www.prevenc.ru /text/64470.html).

ორი წლით ადრე მთლიანად შეუცვალეს სახე სამხრეთის ეკლესიას და მისი ქართული სტილიდან აღარაფერი დატოვეს. ის გარეგნობით რუსულ ეკლესიას დაამსგავსეს. **1887 г. был восстановлен для богослужения (на походном антиминсе) «южный» храм.**

რაც შეეხება მთავარ, ზელენჯუკის ჩრდილოეთის ტაძარს, რუსი ბერები აქაც დაუნდობლები იყვნენ.

ზელენჯუკის ეს ტაძარი ლიხნის ტაძრის სრული ასლია. ამის მიზეზია ის, რომ ის აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა. აქაც რუსმა ბერებმა მოსპეს ძველქართული ნაკვალევი მისი „აღდგენის“ დროს. ამის გამო შემდეგი საუკუნის რესტავრატორებმა აქ ქართული წარწერები ვერ ნახეს, მაგრამ აქ ფრესკებზე მათ აღმოაჩინეს ბერძნული წარწერები. ცხადია, ისინი ვინც ვერ ამჩნევს ლიხნშიც კი ქარულ წარწერებს, მას ვერც ზელენჯუკში აღმოაჩენს.

თუმცა მიუხედავად ამისა, თანამედროვე ისტორიკოსებმა გააკეთეს კარდინალური დასკვნა, რომ ეს ეკლესიები თითქოსდა შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში და, კიდევ უფრო მეტი, ზელენჯუკის ჩრდილო ტაძარი იყო საკათედრო ტაძარი ალანიის მიტროპოლიტებისა (Бывш. кафедральный храм Аланских митрополитов («северный» храм во имя свт. Николая) оставался в руинах, сохраняя небольшие фрагменты визант. фресок с греч. надписями (на самой отчетливой из них прочитывалось: «Святой Николай, покровитель Аспе»).

(http://www.pravenc.ru /text/64470.html).

ეს დასკვნა არ ეფუძნება არავითარ წყაროს. საეკლესიო არქიტექტურა მთლიანად იმეორებს აფხაზური, ანუ ქართული ტრადიციული საეკლესიო არქიტექტურის სტილს. ის აფხაზთა მეფეების ნაგებია. მთელ საქართველოში სწორედ ჯვარ-გუმბათოვანი სტილის ეკლესიებს აგებდნენ.

ამ რეგიონში ჯვარიც აღმოჩნდა ლეონ აფხაზთა მეფის სახელის წარწერით.

ჩვენი კვლევით, ამ ეკლესიების რეგიონი, მას შემდეგ, რაც ბერძენი სასულიერო პირები ალანთა მეფეებმა აქედან გააძევეს, არაბული წყაროს ცნობით, შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, მით უმეტეს, რომ აქედან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს ბიჭვინთის საკათალიკოსოს ცენტრი.

აფხაზეთის კათალიკოსი კი, წყაროს ცნობით, „ყოვლისა ჩრდილოეთისა“ კათალიკოსი იყო, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ მის იურისდიქციაში შედიოდა ზელენჯუკ-არხიზის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელი მიწა-წყალი ვიდრე კაფამდე (ყირიმის ფეოდოსიამდე), რასაც არქანჯელო ლამბერტიც ადასტურებს.

ამასთანავე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის განჩინებით, ალანიის ეპისკოპოსებს მე-11 საუკუნეში საკათედრო ქალაქად განესაზღვრათ ქალაქი სოტირიოპოლი ტრაპეზუნტის ლაზიკაში, ანუ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე. მიზეზიც იქვეა განმარტებული. ალანები ნომადი, ანუ მომთაბარე ხალხი იყო, მწყემსური ცხოვრებით მცხოვრები, არ იყვნენ ერთ

ადგილზე დამაგრებულნი და ქალაქები არ გააჩნდათ, მათ შორის არც თავისი ეპისკოპოსის კათედრისათვის (ეს საკითხი თავისი შესაბამის წყაროები მოშველიებით განხილულია ამავე ნაშრომში, თავში „ალანია“).

ამასთანავე, არქეოლოგები ადასტურებენ, რომ ზელენჯუკ-არხიზ-სენტ–შოანას რეგიონში ამ პერიოდში, მე-11-მე-14 საუკუნეებში, არსებობდა გრანდიოზული ციხე-ქალაქებიც, ნაქალაქარებიცა და შესანიშნავი გუმბათოვანი ეკლესიებიც. ამიტომაც კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდის ცნობა არ არის სანდო, რომელიც ამტკიცებს ნომადების ალანიაში ქალაქების არარსებობას, ანდა მომთაბარე ალანების ეპარქია აქ, მთებში, კი არ მდებარეობდა, სადაც არ არის შესაბამისი საძოვრები, არამედ სტეპებში, გაშლილ ველ-მინდვრებზე, სადაც, საერთოდ, ნომადები აძოვებენ საქონელს.

ამასთანავე, არქეოლოგების კვლევით, ზელენჯუკ-არხიზ-სენტ-შოანას რეგიონში საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა მიწაზე მიმაგრებული მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ქრისტიანული წესით ცხოვრობდნენ და ამ ეკლესიებში ლოცულობდნენ.

ასე, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის ცნობის შესაბამისად, ალანიის ეპარქია მდებარეობდა სტეპებში.

სხვა წყაროთა ირიბი ცნობები მიუთითებს, რომ ალანიის ეპარქია მდებარეობდა ყირიმის აღმოსავლეთით დონის სტეპებში, სადაც არქეოლოგების დასკვნით, აღნიშნულ პერიოდში, მე-11 – მე-14 საუკუნეებში, ნამდვილად არ არსებობდა ქალაქები.

აქედან გამომდინარე, ზელენჯუკის ჩრდილო ტაძარი შეუძლებელია ყოფილიყო ალანიის მიტროპოლიტის ანდა ეპისკოპოსის საკათედრო ეკლესია.

ჩემი აზრით, მკვლევარების დაბნევა გამოიწვია კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილებმა აფხაზთა მეფეებისადმი, რომ ისინი დახმარებოდნენ ალანიის ეპისკოპოსს. თხოვნის შესრულება არ შეეძლოთ აფხაზთა მეფეებს, რომელნიც ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს საერო-საგარეო მეთაურები იყვნენ. მათ ამ რეგიონში თავისი საეკლესიო ინტერესები უნდა გაეტარებინათ.

კავკასიის ალანიის ნაწილი, ვახუშტის ცნობით, მოიცავდა აფხაზეთის ერთ მონაკვეთს კელასურიდან ბზიფამდე, აგრეთვე მის უშუალო მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის იმ ნაწილს, სადაც აღნიშნული ეკლესიებია. ამიტომაც ამ რეგიონის გადაცემა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ძლიერ დააზარალებდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ინტერესებს, მით უფრო, რომ ამ საკათალიკოსოს ცენტრი მე-10 საუკუნეში დაფუძნდა აღნიშნული მდინარის, ბზიფის, სანაპიროზე.

საკათალიკოსო ცენტრთან ახლოს უცხო ეკლესიის იურისდიქციის დამყარება მიუღებელი იყო.

ჩანს, ამ მიზეზის გამო აფხაზთა მეფეებმა იხმარეს დიპლომატიური მიდგომა და დახმარება თხოვეს ალანთა მეფეებს. ამ თხოვნის საფუძველზე ალანთა მეფეებმა კონსტანტინოპოლის სამღვდელოება გააძევეს კავკასიის ალანიიდან. ახალმოქცეული ხალხი კავკასიის ალანიისა და აფხაზეთის ალანია

შევიდნენ ბიჭვინთის იურისდიქციაში. ამ იურისდიქციას საფრთხე დაემუქრა მას შემდეგ, რაც დემეტრე უფლისწულმა (საქართველოს მეფის გიორგი პირველის ძემ) ანაკოფია მოღალატეობრივად გადასცა ბიზანტიას, მაგრამ საქმე მოგვარდა და ეს რეგიონი 40 წელიწადში დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფოს. ასე, რომ კავკასიის ალანია და მისი მონაკვეთი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ აფხაზეთის ალანიას, სრულებით დაექვემდებარა საქართველოს საეკლესიო იურისდიქციას. ეს იურისდიქცია გაგრძელდა თემურ ლენგის შემოსევებამდე. თუმცა აქ წირვა-ლოცვა მე-18 საუკუნეშიც დაფიქსირდა. რუსებს მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ დახვდათ მოვლილი, მოხატული და გადახურული შესანიშნავი ეკლესიები. სამწუხაროდ, ეს ეკლესიები მთლიანად გააოხრეს რუსის ბერებმა უტიფარი რემონტებით.

მე-19 ს-ის ბერებმა ეკლესიების ძველი ნაგებობების ქვებით თავიანთი საცხოვრებელი კორპუსებიც კი აიშენეს.

(Трудами насельников из камней древних построек были сложены 3 двухэтажных и 3 одноэтажных корпуса, в к-рых разместились братские кельи, к 1904 г. построен большой двухэтажный каменный. В окрестностях были устроены десятки келий.

http://www.pravenc.ru/text/64470.html).

ზელენჯუკის ძველი ნაკვალევი გაქრა ძველი ქვებით ახალი კორპუსებისა და სახლების აშენების გამო.

იგივე ბედი ეწია შუანას (შოანას) ქართულ მე -11 ს. ეკლესიას, რომელიც რუსებს მშვენიერ მდგომარეობაში დახვდათ მე-19 ს. დასაწყისში. მე-19 ს. 90-იანი წლებში რუსის ბერებმა მას სახე უცვალეს. ეს ეკლესია დგას მდ. ყუბანის სათავეებში აულ ხუმარასთან ახლოს, ყარაჩაევსკიდან 3 კილომეტრში. აქაა სოფ. ხეთაგუროვო, დაარსებული მე-19 საუკუნეში.

ყუბანის სათავეები მე-19 ს. დასაწყისშიც კი სვანებს ეკუთვნოდათ. ის თავისუფალი სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა. სვანეთის მთავრინა დიგორხანის ცნობით, ეს მიწები სვანეთის სამთავროს რუსეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა.

სვანები აქაურ მიწებს იჯარით აძლევდნენ უცხო ტომელებს (ყარაჩაელებს და სხვა) საქონლის გამოსაკვებად, რისთვისაც იღებდნენ მიწის რენტას. ამ ტერიტორიების ჩამორთმევის შემდეგ ეს მომთაბარეები აქ დასახლდნენ. ამჟამად შოანასთან მცხოვრები ადიღები თვითვე აღნიშნავენ, რომ შოანას ეკლესია სვანების ეკლესიაა. ისინი დაბეჯითებით იმეორებდნენ გადმოცემებს მეფე თამარისა და მისი ჯარის აქ ყოფნის შესახებ, უჩვენებენ თამარის დიდ ქვას ჯვრის გამოსახულებით, თამარის ჯარის მოსასვენებელ კლდეში ნაკვეთ სენაკებს, თამარის დიდ ლოდს, რომელსაც თამარის ცხენის ფლოქვების ანაბეჭდები აქვს და სხვა. ასე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიას ქართულ სახელმწიფოსთან და ცივილიზაციასთან აკავშირებდა, თუმცა ოფიციალური პროპაგანდა უკვე ათეულობით წელია მათ, ადგილობრივ მოსახლეობას, დაბეჯითებით უმარტავს და უნერგავს თვალსაზრისს, რომ ეს ეკლესია ალანურია.

1891–1894 წლებში რუსმა ბერებმა შოანას მიაშენეს სენაკები, ქვის გალავანი, გაიყვანეს გზა, დაიწყეს და 1895 წელს დაასრულეს მისი ე.წ. „რესტავრაცია“, აკურთხეს წმ. გიორგის სახელზე. ცნობილია, რომ ქართული ეკლესიების ასეთმა რუსულმა ე.წ. „რესტავრაციამ“ სხვა უამრავ ეკლესიაში ქართული ნაკვალევი წაშალა ფრესკების გათეთრებით თუ სტოათა მონგრევით. ქართული ნიშნებისა და სიძველეთა წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე რუსული ოფიციოზი.

იგივე ბედი ეწია მე-10 ს. სენტის დიდებულ ეკლესიასაც მდ.თებერდას ხეობაში. ისიც, ასე ვთქვათ, თავისებურად „აღადგინეს“ რუსმა ბერებმა 1887 წელს და 1893 წელს გადასცეს დედათა მონასტერს.

რუსეთში კომუნისტურ-ათეისტური მმართველობის დამყარების შემდეგ, 1918 წლისათვის, ეს მოქმედი ეკლესიები დაკეტეს, ეკლესიები თანდათან განადგურდნენ.

მე-20 ს. 30-იან წლებში სამონასტრო ნაგებობებში (ზელენჯუკში) მოათავსეს ბავშვთა კოლონია, შემდეგ კი – ობოლი ბავშვების ინტერნატი. ამ ტანჯული და მთებში გამოკეტილი ბავშვების საყვარელი გასართობი ეკლესიის კედლებზე წარწერების გაკეთება, ფრესკებზე წმიდანთა თვალების დათხრა იყო. მათ სრულიად მოსპეს მათთვის გაუგებარი ქართული ასოებით გაკეთებული წარწერები.

40–50-იან წლებში, განსაკუთრებით, სსრკ-გერმანიის ომის დროს, აქ დაანგრიეს სამრეკლო და მონასტრის კედლების ნაწილი, **Колокольня и часть монастырских стен были разрушены в годы Великой Отечественной войны.**

არანაკლები ვანდალური ე.წ. მეცნიერული მეთოდებით 80-იან წლებში მოხდა „რესტავრაცია“ ზელენჯუკის ჩრდილო ეკლესიისა, ანუ სამხრეთისა და შუა ეკლესიების ქართული სიძველეები ძირითადად მოსპეს რუსმა ბერებმა, რომლებმაც სამხრეთის ეკლესიას რუსული არქიტექტურული სახეც კი მისცეს, ხოლო ჩრდილოეთის ეკლესია საბოლოოდ გაანადგურეს რესტავრატორებმა.

მე-20 ს. 80-იან წლებში ადგილობრივმა მუზეუმმა, რომელსაც გადასცეს ეს ეკლესიები, დაასრულა ზელენჯუკის ჩრდილო ეკლესიის „რესტავრაცია“, ისეთი სახით წარმოჩნდა, როგორსაც მათი წინასწარი გეგმა ითვალისწინებდა.

ასეთი ვითარების გამო ამჟამინდელი მტკიცება იმისა, რომ ამ ეკლესიებში ქართული ნაკვალევი არ ჩანს, არაა სანდო განაცხადი.

„პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ და რუსული ინტერნეტ სივრცე ავრცელებს სრულიად უმართებულო და უსაფუძვლო ცნობას, თითქოსდა ეს ტერიტორია მე-10 – მე-16 საუკუნეებში ეკუთვნოდა ალანიის ეპარქიას, 1590 წლიდან – რუსულ ეკლესიას, ხოლო 1885 წლიდან – მის სტავროპოლის ეპარქიას (**В X–XVI вв. эта территория принадлежала, Аланской епархии, в 1590 г. вошла в состав Астраханской, затем Донской, Кавказской епархий РПЦ, с 1885 г.– Ставропольской епархии РПЦ)**

http://www.pravenc.ru/text/64470.html).

კავკასიის ალანია სრულიად განადგურდა მონღოლთა შემოსევებისას მე-13 ს-ის დასაწყისში. თუნდაც ამიტომაც აქ ალანური ეპარქია მე-16 საუკუნემდე ვერ იარსებებდა, ამ დროს არხიზ-ზელენჯუკის აღნიშნული ოლქში მდებარე ეკლესიები შედიოდა საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოში ტერიტორიული სიახლოვის გამო. ეს ოლქი ამ საკათალიკოსოს ცენტრ ბიჭვინთიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრშია.

როგორც აღინიშნა, საეკლესიო წყაროების ცნობით (ბიჭვინთის იადგარი, არქანჯელო ლამბერტი), აფხაზეთის საკათალიკოსო და, ზოგადად ქართული ეკლესია, თავის იურისდიქციას ბიჭვინთიდან ასეულობით კილომეტრზე ავრცელებდა კაფადან (ყირიმიდან) ვიდრე ჭოროხამდე და შემდეგ სოტირიოპოლამდე. ამიტომაც ამ საკათალიკოსოს ცენტრიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული ზელენჯუკის ეკლესიები მის იურიდიქციაში უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ სოტირიოპოლი, რომლის იურისდიქციაშიც თითქოსდა შედიოდა ზელენჯუკის ეკლესიები. მისგან ასეულობით კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო აფხაზეთის (აბაზგიის) საზღვარს სოტერიოპოლთან ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

როგორც აღინიშნა, ამ რეგიონში (სენტ-შოანა-ზელენჯუკის ოლქი) ცხოვრობდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული სვანები და სხვა იბერიული ჯგუფები. ახლაც კი ამ ოლქში მდებარე შოანას ეკლესიას სვანების ეკლესიას უწოდებენ ადგილობრივები.

ამჟამად რუსულენოვანი სხვადასხვა საშუალებით ინერგება თვალსაზრისი, რომ ეს ტაძრები არა ქართული, არამედ ალანურია.

როგორც აღინიშნა, დაბეჯითებული ჩაგონების მიუხედავად, აქაურები მათ მაინც ქართულს უკავშირებენ. მაგალითად, შოანას ადგილობრივი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ეს ეკლესია თამარ მეფემ ააგო, მახლობელი ქვის ჯვარი თამარმა აღმართა, აქ მდებარე ერთი გამორჩეული ლოდიდან თამარი თავის ჯარს მიმართავდა, ამ ლოდზე არსებული ნაკვალევი თამარის რაშმა დატოვა, მახლობელ კლდის გამოქვაბულებში თამარის ლაშქარი ათევდა ღამეს და სხვა. ადგილობრივები აქ ყველაფერს საქართველოს წარსულს უკავშირებენ. ამჟამად დაბეჯითებით მკვიდრდება ახალი კულტურა, რომ ეს ყველაფერი ალანურია და არა ქართული.

როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტო მდებარეობდა არა აფხაზეთის მომიჯნავე ოლქში, არამედ მისგან შორს, მდ. დონის სანაპიროზე. ის მოიცავდა ყირიმის ოლქის ნაწილსაც, ასევე დონის შესართავის მიმდებარე სტეპებს. ამას მიუთითებს თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის ცნობა, რომ ალანია, სადაც სამიტროპოლიტო მდებარეობდა, მომთაბარეთა ქვეყანა იყო, რომელთაც არ ჰქონდათ ქალაქები თვით საკუთარი მიტროპოლიტის კათედრისათვისაც კი. ამიტომ მისთვის საგანგებოდ გამოიყო ქალაქი სოტერიოპოლი აფხაზეთის საზღვრის გარეთ (აფხაზეთი ქართული საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა).

ამიტომაც ნოტიციებსა და სხვა წყაროთა მონაცემებს ეწინააღმდეგება შესაბამისი რუსული საინტერნეტო გვერდების მითითება, რომ არხიზთან მდებარეობდა დასავლეთ ალანიის დედაქალაქი და რეზიდენცია ალანი მიტროპოლიტებისა (მე-10, მე-11 სს-ში), А.–А. З. м. основан на месте бывш. столицы Зап.Алании (X–XIII вв.) – резиденции Аланских митрополитов (X–XI вв.) (см. Нижне архызское городище).

როგორც აღინიშნა, ამ ტაძრების ქართული არქიტექტურა კი მიუთითებს, რომ ეს ასე არ იყო. ეს ეკლესიები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ და აქ ქართული ნაკვალევი გააქრეს მე-19 ს-ში. მე-20 ს-ში დაუსრულებელი რესტავრაციებისა და აღდგენა-გადაკეთებისას ჯერ ალექსანდრო-ათონის მონასტრის ბერებმა (რასაც აღიარებენ კიდეც). საბჭოთა კომუნიზმის დროს ეკლესიათა დაუსრულებელმა ნანგრევებმა, აქ განლაგებულმა პატიმარ ბავშვთა ბანაკებმა წაშალეს ქართული ნაკვალევი.

http://www.pravenc.ru/text/АЛЕКСАНДРО–АФОНСКИЙ%20ЗЕЛЕНЧУКСКИЙ%20МУЖСКОЙ%20МОНАСТЫРЬ.3hmlt

http://www.pravenc.rutext

არხიზ-ზელენჯუ-სენტ-შოანას ტაძრები
რუსულ საინტერნეტო სივრცეში

რუსულ სოციალურ – საინტერნეტო სივრცეში, როგორც აღინიშნა, გავრცელებულია ცნობა, რომ არხიზში მდებარეობდა ალანიის ეპარქიის ცენტრი და მე-10 – მე-13 საუკუნეებში ალანიის ეპარქიის კათედრალს ზელენჩუკის ჩრდილოეთი ეკლესია წარმოადგენდა

TTPS://WWW.FAßEBOOK.COM/PERMALINK.PHP?ID=1508759362748852&STORI_FBID=1528354154122706).

ეს მოსაზრება არ ეფუძნება წყაროებს, რადგანაც აღნიშნულ პერიოდში (მე-11 ს-ის 80-იანი წლებიდან) ალანიის სამიტროპოლიტო კათედრალი მდებარეობდა ტრაპეზუნთან ახლოს, სოტირიოპოლში.

ალანიის ქვეშ, რომელსაც ჰყავდა თავისი მიტროპოლიტი, მოიაზრებოდა არა კავკასიის ალანია, არამედ ყირიმ-დონის რეგიონის სტეპები. ალანების უმთავრესი ნაწილი ამ პერიოდში ცხოვრობდა სტეპებზე – დონ-ვოლგის ველებზე, ასევე ნაწილობრივ ყირიმსა და აზოვისპირეთში, სადაც არც ძველი ეკლესიების ნაშთებია და არც ნაქალაქარები. ალანია ასევე ერქვა აფხაზეთის მოსაზღვრე ერთ რეგიონს. კავკასიის აღნიშნული რეგიონი სავსეა ძველი ქალაქების ნაშთებითა და ეკლესიებით. ამიტომაც ამ რეგიონზე ვერ იტყოდა კონსტანტინოპოლი, რომ იქ არ არის ქალაქები და შესაბამისი ეკლესიები, რადგანაც ეს ეკლესიები დღემდე არსებობს.

აფხაზეთის სამეფოს მოსაზღვრე კავკასიის ალანია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შედიოდა. აქ მრავალი სოფელი და ეკლესია

იყო, ხოლო სტეპების ალანია შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ასე, რომ სხვაა კავკასიის ალანია და სხვაა ნომადური სტეპების ალანია.

ამ ორ ალანიაში სხვადასხვავა ცხოვრების წესის მქონე ხალხი ცხოვრობდა. კავკასიაში-მიწათმოქმედები, ხოლო სტეპებში – ნომადები. ამასთანავე, ისინი სხვადასხვა იურისდიქციაში იყვნენ. სწორედ ეს საკითხი ვერ გაიგო ზოგიეთმა ისტორიკოსმა. მათ ერთმანეთში ერევათ ეს ორი იურისდიქცია და ორი ალრანია. სხვაა კავკასიის მთის ალანია და სხვაა სტეპების, ველის, ალანია.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი სტეპების ალანიაში მცხოვრებ ალანურ ქრისტიანულ ტომებს არ ჰქონდათ თავიანთი ქალაქები. ამიტომაც კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა სამიტროპოლიტო კათედრისათვის გამოეყო ბიზანტიაში ქალაქი სოტერიოპოლი (სამხრეთ ლაზიკაში) და იქ დაესვა ალანთა მიტროპოლიტი.

კავკასიის ალანია, სადაც არხიზ-ზელენჯუკია, თავისი ტაძრებითა და ნაქალაქარებით შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ამიტომაც აქ არ შეეძლო კონსტანტინოპოლს დაე

არსებინა კათედრა. ასე, რომ როგორც კუზნეცოვი, ასევე სხვა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზელენჯუკს ალანიის სამიტროპოლიტო კათედრად მიიჩნევს, ცდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს კონსტანტინოპოლი შეეცადა კავკასიის ალანიაც თავის იურისდიქციაში მოექცია. ამისათვის აქ ბერძენი მისიონერები და ეპისკოპოსიც გაიგზავნა, ამას დაურთო სავედრებელი თხოვნა – წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ, რომ მათ ენებებინათ საკითხის კონსტანტინოპოლის სასარგებლოთ მოგვარება.

აფხაზთა მეფეები, ცხადია, ძალზე თავაზითა და დიპლომატიური ხერხებით პასუხობდნენ თავიანთი სარწმუნოების უდიდეს მამამთავარს, მაგრამ არ ინებეს აფხაზეთსა და კავკასიის ალანიაში კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქცია, რადგანაც ისინი საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს მშენებლები იყვნენ. სწორედ ამ აფხაზთა მეფეებმა მრავალი ქართულენოვანი საეპისკოპოსო დააარსეს აფხაზეთში, ხოლო კავკასიის ალანიის ზღვისპირა ნაწილში დააარსეს აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრი. აღმართეს ბიჭვინთის დიდებული კათედრალი.

აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ახორციელებდა კაფადან ჭოროხამდე და სოტირიოპოლამდე, ანუ ასეული კილომეტრის რადიუსში. ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ეკლესიები ძალზე ახლოს მდებარეობდნენ ბიჭვინთასთან. ამიტომაც აფხაზთა სამეფო იქ უცხო იურისდიქციას არ დაუშვებდა.

ხაზარებმა ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ გამოგზავნილი ბერძენი ბერები გააძევეს. ეს უნდა მომხდარიყო აფხაზთა მეფეების ნებით. ეს საქმე ხაზართა მხარეს დაევალა. ხაზართა მეფის ასული აფხაზ მეფეთა დიდი ბებია იყო, ანუ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ. მითია, თითქოსდა კავკასიის ალანიიდან გაძევებული ბერძენი ბერები უკან დაბრუნდნენ.

თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, მაშინ ეს მხოლოდ საქართველოს მეფის გიორგი პირველლის ნახევარძმის, დემეტრეს, დროსაა მოსალოდნელი, რომელმაც თავისი ოსი დედის, ოსთა მეფის ასულ ალდეს წაქეზებით, ანაკოფიის ციხე ბერძნებს გადასცა. ამ დროს ანაკოფიის მიმდგომი ტერიტორია და, შესაძლოა, კავკასიის ალანიაც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში აღმოჩნდა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო და ბაგრატ მეოთხის დროს აღმოიფხვრა.

ზელენჯუკის გზებზე არქეოლოგებმა იპოვეს რამოდენიმე ქალაქის ნანგრევები.

ვ. კუზნეცოვი წერს არხიზზე, სადაც 20 წელი ატარებდა არქეოლოგიურ გათხრებს:

„ჩვენ, ალბათ, შევცდებით, თუ დავუშვებთ, რომ ქვემო არხიზის ხეობაში მეცხრე საუკუნეში არსებობდა „აბრეშუმის გზაზე“ აგებული ალანთა დასახლება“.

ის წერს: ძველი და შუა საუკუნეების ქალაქები ჩნდებოდა და ვითარდებოდა სავაჭრო გზებზე. თუ კი სავაჭრო გზა გარემოებათა გამო იცვლიდა მარშრუტს, ქალაქი თანდათანობით იქცეოდა ხუროთმოძღვრების სასაფლაოდ.

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩრდილო კავკასიაში არხიზის ბედიც, ვინაიდან აქ არაა ომით გამოწვეული ნგრევისა და ხანძრების კვალი.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს არხიზში ეკლესიების ქრისტიანული სახელების და ქალაქის ბერძნული სახელის დაკარგვა (არხიზი გაურკვეველი წარმომავლობის სახელია)“, – წერს მკვლევარი.

ჩვენი აზრით, აქ ქართული ნაკვალევი უნდა ვეძიოთ და არა ბერძნული. ქალაქის ბერძნული სახელი არ შემორჩა, რადგანაც ქალაქს ქართული სახელი უნდა რქმეოდა და არა ბერძნული. ქართული წყაროებით, ამ რეგიონში არსებობდა ძლიერი ციხე-ქალაქი „სობღისი“, სადაც აფხაზთა მეფემ ანაკოფიის არაბთა მიერ ალყის დროს თავი შეაფარა, როცა ანაკოფიაში არაბებს ქართლის მეფეები არჩილი და მირი შეებრძოლნენ.

ჩემი ფიქრით, ამ რეგიონში რომელიმე ძლიერი ციხე-სიმაგრის ქართული სახელი იყო, წყაროებში ნახსენები – სობღისი, სადაც თავს აფარებდნენ აფხაზთა მეფეები საჭიროებისას. ასე, რომ არხიზს შეიძლება სობღისი ერქვა. ეტიმოლოგიურადაც თითქოსდა ეს სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება (სობღისი - საბხისი – აბხისი – აბხიზი. არხიზი შეიძლება სიტყვა აბხიზს უკავშირდებოდეს, სიტყვა აბხიზი ასევე შეიძლება სიტყვა აბხაზსაც უკავშირდებოდეს).

„არხიზი არის ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ქალაქი, რომელიც არ მოუსპიათ მონღოლებს“, – წერს ის.

ჩემი აზრით, არხიზი მონღოლებმა ვერ დაანგრიეს იმ მიზეზის გამო, რომ არხიზს იცავდა ქართული სახელმწიფო. დასავლეთ საქართველოში მონღოლებმა ვერ შეძლეს თავისი ჯარის შეყვანა, რადგანაც მათ 1230–40-იან წლებში ზავი დადეს საქართველოს სახელმწიფოსთან. არხიზი შედიოდა საქართველოში, რომელთანაც საზავო მოლაპარაკება დაიწყო 1230-იან წლებში. ზავის ხელშეკრულების ხელმოსაწერად რუსუდან მეფემ ოქროს ურდოში

გააგზავნა საეკლესიო მოღვაწე, ეპისკოპოსი არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონ-დიდელი, რომელმაც მონღოლებთან საქართველოს საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 1245 წელს. არსენი აფხაზეთის საკათალიკოსოს უდიდესი იერარქი იყო, ამ საკითხის კვლევისას არ შეიძლება აფხაზეთის საკათალი-კოსოს მოღვაწეთა დავიწყება, განსაკუთრებით ამ რეგიონის უდიდესი სასუ-ლიერო ავტორიტეტებისა – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელებისა.

ჭყონდიდელი ეპისკოპოსები აფხაზეთის კათალიკოსთან ერთად საქარ-თველოს სახელმწიფოს რეალური მმართველები იყვნენ, კერძოდ, ჭყონდი-დელ-მწიგნობართუხუცესი იყო საქართველოს კანცლერი, მთავრობის მეთაუ-რი, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ხოლო სახელმწიფო დარბაზის საბჭოს – (ანუ დარბაზის ხელმძღვანელი ორგანოს) ე.წ. „ოთხი ბერ-იდან“ სამი აფხაზეთის საკათალოკოსოს წარმოადგენდა.

ესენი იყვნენ აფხაზეთის კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუ-ცესი და მოძღვართმოძღვარი (გელათელი), ხოლო მეოთხე წევრი, ანუ მეოთხე „ბერი“ იყო საქართველოს პატრიარქი (იგივე ქართლის კათალიკოსი).

არხიზი, რადგანაც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედი-ოდა, მონღოლებმა ის არ დაანგრიეს. ერთი მხრივ, ვ. კუზნეცოვი წერს, რომ არ-ხიზი მონღოლებმა არ დაანგრიეს. ამასთანავე ის წერს, რომ თითქოსდა არხ-იზი მე-11 საუკუნიდან მიტოვებული ქალაქი იყო.

მომყავს არქეოლოგი ვ. კუზნეცოვის დაუჯერებელი აზრი:

„ქვემო არხიზის ნაქალაქარის ჩვენი მრავალწლიანი არქეოლოგიური გა-თხრების თანახმად, მასში სიცოცხლე ჩაქრა მე-11 საუკუნის ბოლოსთვის. მე-11 საუკუნის ბოლოდან – მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ალანეთში ხდება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადრექალაქური ცენტრების დეზურბანიზა-ციის, ქალაქური ხასიათის დაკარგვის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მეურნეობის და ყოფის ყველა სფეროს გამომთაბარების, ნომადიზაციის პრო-ცესი“.

კუზნეცოვის დასკვნა, რომ მე-12 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო იქამ-დე ქალაქების მქონე ქრისტიანი ალანების ნომადიზაციის პროცესი, ანუ ხალ-ხის უდიდესმა ნაწილმა მიანება თავი სოფელ-ქალაქებს და შეუდგა მომთაბა-რულ ცხოვრებას, უსაბუთოა, შეთხზულია იმისათვის, რათა ამ რეგიონის მე-12 საუკუნემდელი ცივილიზაციის შემოქმედად ეთნიკური ალანები და, შესა-ბამისად, ზელენჯუკ-არხიზის ეკლესიები ალანურ კულტურად წარმოადგი-ნოს.

ისმის ბუნებრივი კითხვა: თუ ასეთი მაღალი ქრისტიანული კულტუ-რის მქონე ხალხი იყო ალანები, რატომ დაივიწყეს მათ მყისიერად, უცებ თავისი დიდებულება და გახდნენ მომთაბარეები? მათ ახლა მხოლოდ ცხვარ-ძროხა და ცოლ-შვილი გადაჰყავთ ერთი საძოვრიდან მეორეზე და ქვის სახ-ლების ნაცვლად საცოდავ კარვებში დაიწყეს ცხოვრება?

ისინი იქამდე დიდ პატივს მიაგებდნენ წინაპრებს, მათი გარდაცვალებ-ისას ასევე გრანდიოზულ საძვალეებსა და საგანგებო სასაფლაოებზე ასაფლა-

ვებენ. ახლა კი წინაპართა საფლავები მიატოვეს და საკუთარი კულტურა დაივიწყეს?

სინამდვილეში, არხიზ-სენტ-შოანას ეკლესიებში არ შემწყდარა წირვა-ლოცვა მე-12 საუკუნის შემდეგაც, რაც დასტურდება მათი ფრესკების მრავალ-ფენოვნებით.

ამ ეკლესიების ფრესკებს რეგიონის გამუსულმანებამდე, ანუ თითქმის მე-16, მე-17 საუკუნეებამდე, მუდამ ანახლებდნენ ანდა ეკლესიებს, ხელახლა ხატავდნენ.

იქამდე, მე-13 ს-ის დასაწყისში, ალანია სასტიკად გაანადგურეს მონღო-ლებმა, მაგრამ მათ არ დაანგრიეს არხიზი, სენტი და შუანა, რადგანაც ისინი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე მდება-რეობდნენ, ისინი დასავლეთ საქართველოში იდგნენ. საქართველოსთან კი მო-ნღოლებმა ზავი დადეს, ისინი არ ეხებოდნენ დასავლეთ საქართველოს. ზავის თანახმად, მათ მონღოლები ვერ შეეხებოდნენ. როგორც ითქვა, მათ საქართ-ველოსთან საზავო ხელშეკრულება დადეს მე-13 ს-ის 30–40-იან წლებში აფ-ხაზთა საკათალიკოსოს მღვდელმთავრის, ჭყონდიდელის, ღვაწლით.

„მონღოლთა სარდლობასთან მოლაპარაკების შემდეგ დაიდო ზავი, რომლის ძალითაც საქართველოში შენარჩუნდა მეფობა. რუსუდანი კვლავ „ყოველი საქართველოს“ მეფედ რჩებოდა, დასავლეთ საქართველოში, რომ-ლის დაპყრობაც მონღოლებმა ვერ შეძლეს, ამ უკანასკნელთა ჯარი არ შევი-დოდა“

http://ka.vikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D–XIII–%E1%83%A1%E1%83%90%E-1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98“.

საქართველოსთან ზავის გამო, რადგანაც მონღოლთა ჯარი ვერ შევიდა დასავლეთ საქართველოში, მით უმეტეს მის მთიანეთში, სადაც მდებარეობდა სენტი, შუანასა და ზელენჯუკის ეკლესიები, მონღოლებმა ვერ შეძლეს ამ ეკ-ლესიების დანგრევა, ესაა პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ გადაურჩა დანგ-რევას ეს ეკლესიები.

მონღოლებამდე, მე-12 საუკუნეში, თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი საქართველოს სახელმწიფო, ჩრდილოეთის საზღვრების კიდევ უფრო უკეთ დაცვის მიზნით საგანგებოდ ეძებდა ჩრდილოეთის რომელიმე გავლე-ნიანი ქვეყნის უფლისწულს თამარ მეფის საქმროდ.

სახელმწიფო დარბაზმა თავიდან შეარჩია რუსი უფლისწული გიორგი, შემდეგ კი ოსი – დავით სოსლანი.

ეს ფაქტი ეწინააღმდეგება აღნიშნული მკვლევარის აზრს, რომ მე-12 საუკუნეში, ანუ დავით სოსლანის და თამარის ეპოქაში ხდებოდა ალანიის გა-ნომადება, რაც საეჭვოა, პირიქით, თამარის დროს უკავშირებს ადგილობრივი მოსახლეობა აქაური კულტურის აღორძინება – ყვავებას. მაგალითად, არხი-ზის მახლობლად შუანას ციხე – ქალაქისა და ეკლესიის აგებას მკვიდრები თა-მარის სახელს უკავშირებენ. ეს არაა უსაფუძვლო მითითება. კავკასიის მთებში სწორედ ამ პერიოდში გამალებული მშენებლობა მიმდინარეობდა ეკლესია-ნაგებობებისა.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ წყაროებში ამ ეპოქაში გვხვდება ალანთა ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის სახელი ალანელი თეოდორე.

მიიჩნევა, რომ ის ბიზანტიიდან ყირიმის გავლით მივიდა კავკასიაში, კერძოდ კი, ზელენჯუკის ეკლესიებში. ამასთანავე, ამ მოსაზრების პარალელურად, არქეოლოგი კუზნეცოვი მიიჩნევს, რომ ზელენჯუკის ქალაქები ამ დროს მიტოვებული იყო, ხოლო ეკლესიები გაუქმებული.

ასეთი მიდგომები ქმნის დილემას ალანიის კათედრის ძიების საქმეში.

სინამდვილეში კონსტანტინოპოლს საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის ალანიაში, არამედ სტეპების ალანიაში, შესაბამისად, იქ ჩავიდა ალანიის ეპისკოპოსი თევდორე და არა ზელენჯუკის ეკლესიაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ექვემდებარებოდა და საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა, ამას იქაური სახალხო გადმოცემებიც კი მიუთითებს, მაგალითად, როცა შოანას (შუანას) ეკლესიას თამარის ანდა საქართველოს დედოფლის აგებულად მიიჩნევენ, იქნებ ეს მათ მიერ მონღოლების ეპოქის რუსუდან მეფის გახსენებაა, რომელმაც ზავი დადო მონღოლებთან და აღნიშნული ეკლესიები ამით გადაარჩინა.

რუსული და ოსური კვლევები დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ ალანიის მიტროპოლიტის კათედრა არხიზ-ზელენჯუკში იყო მე-12 საუკუნის შემდეგაც. ამავე დროს არქეოლოგია არ ეთანხმება ამ მითითებას.

ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო უნდა გამოითქვას აზრი, რომ ზელენჯუკის ეკლესიები აშენდა აფხაზთა მეფეების მიერ, აფხაზეთი კი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აფხაზთა მეფე გიორგი, რომელსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ეკონტაქტებოდა (თხოვდა ის დახმარებოდა ალანიის ეპისკოპოსს), თვითონვე იყო ქართული საეპისკოპოსო კათედრების დამაარსებელი, მათ შორის მარტვილ-ჭყონდიდში.

როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ალანიიდან გააძევეს ბიზანტიელი სასულიერო პირები ალანთა და ხაზართა ნებით. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო აფხაზ მეფეთა გადაწყვეტილებით, მათ არ სურდათ, რომ კავკასიის ეს რეგიონი შესულიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში, რადგანაც აფხაზთა მეფეები აფხაზეთის საკათალიკოსოს გაძლიერებისა და მისი საზღვრების გაფართოებისათვის იღვწოდნენ და ამ რეგიონში ვერ დაუშვებდნენ უცხო ეკლესიას, მით უმეტეს, საკათალიკოსო ცენტრ ბიჭვინთასთან ასე ახლოს, ეს საქმე მათ ალანთა და ხაზართა ხელით აღასრულეს.

მიიჩნევა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ალანებმა თავიანთ მიერვე გაძევებული ბიზანტიელი სასულიერო პირები უკანვე დააბრუნეს, რაც არ დასტურდება წყაროებით.

კავკასიის მთები ამ ეპოქაში (საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების ეპოქაში) ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო. ამასთან, მე-12, მე-13 საუკუნეებში ბიზანტიას არ შეეძლო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელება. თამარის დროს მან ეს გავლენა ტრაპეზუნტშიც კი დაკარგა. საქართველო, რო-

მელმაც ტრაპეზუნტის იმპერიაც კი დააარსა ბიზანტიიური გავლენის დასასუსტებლად, ვერ დაუშვებდა ამ გავლენას უშუალოდ თავის საზღვართან. მაგალითად, ბედია ამ რეგიონში მდებარე – ქართველ (აფხაზ) მეფეთა დედაქალაქი და საძვალეც კი იყო მის ქუთაისსა და თბილისში გადატანამდე.

წყაროთა ცნობით, მე-12 ს. ბოლოსა და მე-13 ს. დასაწყისში საქართველომ დასაჯა ბიზანტიელი იმპერატორი საეკლესიო ქონების მტაცებლობისათვის. 1204 წელს თამარმა ილაშქრა ბიზანტიაში სინოპამდე და შექმნა ამ მიწებზე ტრაპეზუნტის იმპერია, რომლის ტახტზე თავისი ნათესავი დასვა.

ასეთ ვითარებაში ბიზანტიას ძალაც არ შეწევდა თავის იურისდიქციაში ჰყოლოდა კავკასია.

კონსტანტინოპოლიც კი დატოვა პატრიარქმა 1204 წლის შემდეგ, რაც იქ ლათინთა იმპერია ჩამოყალიბდა.

ასეთ ვითარებაში, ალბათ, შეუძლებელი იყო არხიზი, სენტი და შოანა ბიზანტიურ იურისდიქციაში ყოფილიყო.

როცა კონსტანტინოპოლი აიღეს ჯვაროსნებმა და იქ ლათინთა იმპერია დაარსდა, ამ ქალაქიდან პატრიარქი ნიკეაში გადავიდა, მაგრამ მას ახსოვდა ალანები, მაგრამ არა კავკასიის ალანია, რომელიც მის იურისდიქციაში არ იყო, არამედ ყირიმ-დონის სტეპების რეგიონში მცხოვრები ალანები, რომელთაც ნიკეადან გაუგზავნა მიტროპოლიტი თეოდორე.

ნიკეადან გააგზავნა პატრიარქმა ალანიის ეპისკოპოსი თავის სამწყსოში.

სად იყო ეს სამწყსო?

როგორც ითქვა, არა კავკასიაში, არამედ დონ-დნესტრ-ოლგის სტეპებში. მის შესახებ თვით ალანელი თეოდორე მიუთითებს თავის წერილში, რომელიც აქვეა განხილული.

როგორც ითქვა, არსებობდა რამდენიმე სხვადასხვა ოლქი ალანიის სახელით, ასევე სახელი ალანები სხვადასხვა ტომობრივ გაერთიანებას ეწოდებოდა. კონსტანტინოპოლის ცნობა („ალანთა მიტროპოლიას თავისი კათედრა არა აქვს იმიტომ, რომ მისი ხალხი ცხოვრობს მწყემსური ცხოვრებით“) შესაბამება სტეპების, ველების ალანიას, ხოლო კავკასიის ალანია ქართული ეკლესიის მიერ იმართებოდა.

შესაბამისად, არხიზში ამაოდ ეძებენ ალანთა მიტროპოლიტის კათედრალს.

ქვემო არხიზის ნაქალაქარს, გათხრების თანახმად, ეკავა დაახლოებით 14 ჰექტარი, რომელზეც ცხოვრობდა არანაკლებ 2,5 ათასი ადამიანისა.

ეს იყო იმ დროისთვის დიდი ქალაქი.

აკლდამებში ნანახ აბრეშუმის ქსოვილთა 50 პროცენტი შუა აზიური „სოგდური“ წარმოებისაა, 25 პროცენტი ბიზანტიურია და 20 პროცენტი ჩინურია. ასე, რომ ქალაქი არის მდიდრული.

ჩრდილოეთის ტაძართან არსებულ აკლდამაში ნაპოვნია ქალის ძვირფასი სამკაულები, რომლებზეც იკითხება სომხეთის მეფე აშოტის (886–91) სახელი. აფხაზთა გიორგი მეფის მეუღლე იყო აშოტის ქალიშვილი. ალბათ, მას საფლავში ჩაყვა კიდეც ეს ბეჭედი. შესაბამისად, მისი მეუღლეც, აფხაზთა მეფ-

ეც, აქ უნდა უნდა განისვენებდეს არხიზის ეკლესიის აკლდამაში. არხიზი აფხაზი მეფის საძვალე ყოფილა და, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აშოტი იყო აფხაზთა მეფე გიორგის სიმამრი. ეს ნიშნავს, რომ არხიზი აფხაზ მეფეთა ქალაქი იყო, მეფის მეუღლე, ანუ აფხაზთა დედოფალი, აქ დაასაფლავეს.

ქვემო არხიზის ნაქალაქარზე გადარჩა სამი ტაძარი პირობითი სახელებით ჩრდილოეთი, შუა და სამხრეთი.

ჩრდილოეთის ეკლესიის გვერდით არის ერთნავიანი სალოცავის მსგავსი მცირე ეკლესიის ნანგრევები. ის შეიძლება დათარიღდეს მე-6 საუკუნით.

მის გვერდით მთის ძირში კუზნეცოვმა აღმოაჩინა დიდი, 100 მეტრზე უფრო გრძელი შენობის საძირკვლები. მას ჰქონდა ორი დიდი სათავსი და 5 პატარა მინაშენი. „შენობის საინტერესო და ორიგინალური თავისებურებაა ჩრდილო-დასავლეთ ფასადზე 3,5 მეტრით გამოწეული 6 კონტრფორსი. ეს შეიძლება იყოს კედლის სუბსტრუქციასთან დაკავშირებული საყრდენები, რომლებიც ზიდავენ ფასადის გასწვრივ გადმოშვერილ სახურავს. გალერეის ცალკეული კომპარტიმენტები შეიძლებოდა ყოფილიყო მდინარის ხეობისკენ გახსნილი ლოჯიები.“

არქეოლოგის აზრით, აქ შეიძლებოდა ყოფილიყო ალანთა ეპისკოპოსის რეზიდენცია. ეს აზრი მიუღებელია, რადგანაც არხიზი, ჩვენი კვლევით, არასოდეს ყოფილა ალანთა მიტროპოლიტის კათერდა.

ჩრდილოეთის ეკლესია მდებარეობს უზარმაზარი ველის განაპირას, ხევის პირას. მის მეორე მხარეს გადარჩა ძველი ქალაქის კედლები. აქ გადიოდა ძველი გზა, რომლის კვალი ეხლაც ჩანს.

ჩრდილოეთი კავკასიისთვის ესაა დიდი ტაძარი პორტალების გარეშე ზომებით 21 მ. 10,5 მ.

ეს ჯვარგუმბათიანი ქართული ტიპის ეკლესია მთლიანად იდენტურია იქვე, მახლობელად, მდგარი ლიხნისა და აფხაზეთის სხვა ეკლესიებისა თავისი არქიტექტურით. ამის მიუხედავად, მას მაინც ბიზანტიურ ანალოგიებს უძებნიან ქართული კვალის მიჩქმალვის მიზნით. მაგალითად, კუზნეცოვის აზრით, ტაძრის სიგრძე ზუსტად შეესაბამება 908 წელს აგებულ ლიპსის მონასტერს კონსტანტინეპოლში. როგორც ითქვა, არხიზის ზუსტი ანალოგიაა მასზე უფრო ადრე აგებული ლიხნის ეკლესია. ამავე დროს მხოლოდ მისი სიგრძის მიხედვით ანალოგიას უძებნიან დედამიწის სხვა კუთხეში.

ტაძარს 3 მხრიდან აქვს პორტალები, ისევე, როგორც უამრავ ქართულ ტაძარს. კუზნეცოვის აზრით, ისინი მიაშენეს დაახლოებით მე-12 საუკუნეში და ასრულებდნენ კონტრფორსების როლს მიწისქვეშა ბიძგების დროს ტაძრის მდგრადობის გასაძლიერებლად.

აქ საინტერესო ისაა, რომ, იმავე მკვლევარის აზრით, ქალაქი გაუქმდა მე-11 საუკუნეში ალანების განომადების გამო. თუ ასეა, მაშინ ვინ მიაშენა პორტალები ეკლესიას მე-12 საუკუნეში, პასუხიც იქვეა – ქართველებმა. შესა-

ბამისად, თუნდაც ამ პასუხიდან გამომდინარე, ქალაქში ქართულ-ქრისტიანული ღვთისმსახურება გრძელდებოდა.

ზუსტად ასეთივე კონტრფორსები მიშენებულია მე-10 საუკუნის მიძინების ტაძარში სოფელ ლიხნეში, აფხაზეთში.

ლიხნეს ტაძრის კედელზე დარჩენილია ქართული ასომთავრული წარწერა მე-11 საუკუნის კომეტის შესახებ. მხოლოდ ეს ფაქტი აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ეს პორტალები მიაშენეს ქართველებმა.

ის წერს: „ორივე ტაძარი ტყუპისცალებივით გვანან ერთმანეთს“.

ტაძართან ნაპოვნია ეპიგრაფიკული ძეგლები ბერძნული წარწერებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული წარწერები შეგნებულად გააქრეს მე-19, მე-20 საუკუნეებში ანტიქართულად განწყობილმა ელემენტებმა, რომელთა ხელშიც ეს ეკლესიები მოექცა მე-19, მე-20 საუკუნეებში.

ალან მეფეთა მიერ ბიზანტიელ სასულიეროთა განდევნა

სად მდებარეობდა კავკასიის ალანია? ცნობილია, რომ ის მდებარეობდა აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეს, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად მოიცავს ყარაჩაის ტერიტორია.

ამას მიუთითებს ენობრივი ფაქტები.

სვანებისა და მეგრელების მეტყველებაში ტერმინი **„ოსური“ აღნიშნავს არა ირონულ ენას**, არამედ ყარაჩაულ ენას (თურქულ ენობრივ ოჯახში შემავალს), ამავე დროს **ყარაჩაელებს ალანებსაც** უწოდებენ მეგრელები.

ამასთანავე, სვანები და რაჭველები (გლოლელები) ოსებს მოიხსენიებენ ტერმინით – „დიგორელი“, „დვალი“,

ამ ენობრივი ფაქტიდან ჩანს, რომ **„ოსები“ და „ალანები“ კავკასიაში** თავდაპირველად **ერქვათ არა ამჟამინდელ ოსებს, არამედ ბალყარელებს.**

მაშასადამე, მონღოლების შემოსევამდე ყარაჩაელთა წინაპრებს მოიხსენიებდნენ „ალანებად“, და მათ ენას უწოდებდნენ ოსურს, ამავე დროს ყარაჩაელების ენა თურქულია, აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ **არაბი ავტორი ალანებს თურქულენოვან ხალხად მიიჩნევდა, ასევე, ოსებს თურქულენოვან ხაზარებთან გენეტიკურად აკავშირებდა ქართული წყაროები.**

აქ მდებარე ცნობილ ეკლესიებს მიაკუთვნებენ თანამედროვე ოსების კულტურას, მაგრამ თანამედროვე ოსებთან იქაურ მოსახლეობას არ ჰქონია გენეტიკური კავშირი. ამასთანავე მიიჩნევა, რომ ეს რეგიონი კონსტანტინოპოლის იურიდიქციაში შედიოდა.

საბჭოთა სისტორიო მეცნიერებამ მყარად დაამკვიდრა აზრი, რომ სენტის, შოანასა და არხიზის ეკლესიების მომცველი რეგიონი იყო ისტორიული ალანია და ეს ტაძრები ალანური საეკლესიო არქიტექტურაა, სინამდვილეში, კი, ეს ტაძრები ქართული (აფხაზური) საეკლესიო არქიტექტურის ნაწილია.

მაგალითად, მათგან ყველაზე გრანდიოზული ზელენჯუკ არხიზის ჩრდილო ტაძარი ზუსტი ასლია აფხაზეთში ლიხნის ტაძრისა. მკვლევარი

წერს: Особенно часто сближаются Северный Зеленчукский и Лыхненский храмы. Между тем, Л.А.Перфильева говорит о родстве последнего с храмом в Мокви, который датируется временем правления Леона III (между 957 и 969 гг.), т.е. хронологически совпадает с Сентинской церковью: «храм в Лыхны является звеном, следующим за сооружением Северного Зеленчукского храма и собора в Мокви» (Перфильева, 1992, с. 199 – 200).

საეკლესიო სტილი მიუთითებს, რომ ეს ტაძრები აფხაზური საეკლესიო არქიტექტურის მიხედვითაა ნაგები. შესაბამისად, ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდნენ. აფხაზეთის საკათალიკოსოში წირვა-ლოცვის ენა იყო მხოლოდ ქართული ენა. ეს საკათალიკოსო ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოლქი, ერთ-ერთი ნაწილი იყო ზოგადქართული ეკლესიისა. შესაბამისად, ეს ეკლესიები საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ და არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტოს ადგილმდებარეობას, ის მდებარეობდა არა კავკასიის რეგიონში, არამედ ყირიმისა და დონისპირეთის სტეპებში. თვით ალანიის ბერძენი მიტროპოლიტის სიტყვით, ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები და, შესაბამისად, არც საეკლესიო კათედრები და არც ეკლესიები. ბერძენი კლერიკალები 931 წლისათვის ალანთა მეფეებმა კავკასიის ალანიიდან გააძევეს.

свидетельство Масуди: «После 320 [т.е. 931/2] г. они [т.е. цари Алана] отреклись от христианства и прогнали епископов и священников, которых византийский император раньше им прислал» (Кузнецов, 2002., с. 44; Иванов, 2003, с.

მასუდის ცნობის გაუბრალოებას ცდილობენ ახალი აზრის დამკვიდრებით, თითქოსდა ბერძნები კავკასიის ალანიაში უკანვე დაბრუნდნენ მე-10 საუკუნის შუა წლებში.

ეს აზრი წყაროებით არაა დამტკიცებული. პირიქით, საეკლესიო არქიტექტურა აჩვენებს არა ბიზანტიურ, არამედ აფხაზურ ნიშანს, თუმცა, ცხადია, რომ ბიზანტიურ კულტურას ეფუძნებოდა ქართულ-ქრისტიანული. ამის მიუხედავად, ორიგინალური ლიხნი და მისი მსგავსი ეკლესიები ზელენჯუკ- არხიზში ქართული არქიტექტურის ნაწილებია.

მე-10 ს. დასაწყისში კავკასიის ალანიის იმ ნაწილში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ აფხაზეთის ალანია (ზღვისპირეთი – ბიჭვინთა-სოხუმის რეგიონში), ნიკოლოზ მისტიკოსს სურდა ალანიის კათედრის დაარსება, შესაბამისად, რაც არ ინება აფხაზთა მეფემ კონსტანტინე III-მ (893–922), შემდეგ კი – მისმა შვილმა გიორგი მე-2-მ (922–957). ამიტომაც ევედრებოდა მათ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, საცხოვრებელი და სამოღვაწეო არეალი მიეცა ალანიის მიტროპოლიტისათვის.

შესაძლოა, ამ უარის შემდეგ ინება ბიზანტიამ უფრო მთიან რეგიონში, მაგალითად, სენტში დაეფუძნებინა საყრდენი ალანიის მიტროპოლიტისათვის. ამ ფაქტს ასახავს სენტის საქტიტორო წარწერა. საბოლოოდ, მალევე კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა უარი ეთქვა კავკასიის ალანიაზე. 1080

წლიდან ალანიის მიტროპოლიტის კათედრად განისაზღვრა მთიანი აფხაზეთიდან ძალზე დაშორებული რეგიონი.

ტრაპეზუნტთან დაარსდა ალანიის სამიტროპოლიტო კათედრა სოტერიოპოლში.

აფხაზთა მეფე გიორგი II-ის დროს ალანიიდან გააძევეს ბერძენი სასულიერო პირები, მასუდის მიხედვით, 931–32 წლის შემდეგ.

ეს იყო აფხაზ მეფეთა რეაქცია კონსტანტინოპოლის აღნიშნულ განზრახვაზე. აფხაზთა მეფეებმა თავის სამეფოში სრულად განახორციელეს ქართული ეკლესიის იურისდიქცია. მათ მარტვილსა და სხვა პუნქტებში ქართული საეპისკოპოსო ცენტრებიც დააარსეს. ზელენჯუკის ხეობიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში დააფუძნეს ქართულენოვანი ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი. ამავე დროს კი ალანიიდან და, მათ შორის, აფხაზეთის ალანიიდან გაძევებულ იქნენ ბერძენი სასულიერო პირები.

ამჟამინდელი რუსი მკვლევარების ვარაუდით, ალანიიდან ბერძენი სასულიერო პირების გაძევება თითქოსდა გამოიწვია ხაზართა იძულებამ. ჩემი აზრით, ეს პროცესი აფხაზ მეფეთა მანევრი იყო ამ რეგიონში ქართული ეკლესიის იურისდიქციის სრული განხორციელების მიზნით.

აფხაზ მეფეთა რეაქცია მძაფრი და გმირული იყო. ბერძნული საეპისკოპოსო კათედრების ნაცვლად მათ ამ ე. წ. აფხაზეთის ალანიაში დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები, და უფრო მეტიც – საკათალიკოსო ცენტრი ცნობილი, ბიჭვინთის კათედრა.

ბიჭვინთის იურისდიქციას, დასავლეთ საქართველოსთან ერთად, დაუქვემდებარეს ჩრდილო კავკასიის მართლმადიდებლობა შავიზღვისპირეთში, რომელიც იმჟამად აფხაზ მეფეთა გავლენის სფეროში შედიოდა.

ამ რეალური ფაქტის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა ალანიის ეპარქია დაეარსებინა სულ სხვაგან, სხვა ალანიაში, მომთაბარე ალანების ოლქში. ეს ძირთადად იყო დონისპირეთის ვრცელი სტეპები.

დონისპირეთის მომთაბარე ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები და შესაბამისი პუნქტები სამღვდელმთავრო კათედრისთავის. ამიტომაც კონსტანტინოპოლმა მომთაბარე ალანების მიტროპოლიტის კათედრა ტრაპეზუნტის ოლქში დააარსა 1084 წლისათვის, სოტერიოპოლისში, კავკასიის ალანიისაგან ძალზე დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში.

კავკასიის ალანიაში ამ ე. წ. დონის სტეპების ალანიის მიტროპოლიტს არავითარი სასულიერო გავლენა, მით უმეტეს ძალაუფლება, არ გააჩნდა.

ამჟამინდელი თეორიით, 931 წლის გაძევების მიუხედავად, თითქოსდა დაახლოებით 30 წლის შემდეგ ბერძენი სამღვდელოება დაბრუნებულა უკან, კავკასიის ალანიაში. აქ 965 წლისათვის, მათ, თითქოსდა, სენტის ეკლესიაც კი უკურთხებიათ.

ეს დასკვნა ამ მკვლევარებს გამოაქვთ სენტის ეკლესიაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერის მიხედვით. სენტის ეკლესიაში ეკლესიის კურთხევის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერა შემდეგში გადაულესავთ თხელი ნალესით და შეუთეთრებიათ. შემდეგში მის ადგილას სხვადასხვა ეპოქაში ფრესკებიც

გამოუხატავთ. ამ ბოლო წლებში ფრესკების ჩამოშლის შემდეგ გამოჩენილა აღნიშნული ბერძნული წარწერა, რომელიც ბელეცკოის აღმოუჩენია. შესაბამისად, ეს მკვლევარები ასკვნიან:

В 931/2 г. аланы терпят поражение от хазар и оказываются вынуждены изгнать христианский клир.

მკვლევარებს შემოაქვთ ახალი საისტორიო მითი ხაზარ-ალანთა ურთიერთობის გაუარესების შესახებ. ამ მითს ამატებენ მასზე დაფუძნებულ ახალ მითს ბერძნების უკან დააბრუნების შესახებ. В 940-ые гг. возрождается военная мощь аланов, восстанавливается союз с Византией и Аланская епархия. В результате возрастает статус и аланского правителя (с архонта до эксусиократора) и иерарха (с архиепископа до митрополита). Возможно, что первым митрополитом Алании был Игнатий, а Феодор – одним из его преемников. При помощи византийцев возводятся храмы, в т.ч. и Сентинский. Наконец, в 965 г. император Никифор Фока, который ведет победоносную войну против арабов, направляет специального посланника с высокими титулом патрикия для освящения Сентинской церкви. Этот год знаменателен для аланов: Святослав Киевский разгромил их извечных врагов хазар (Алемань, 2003, с. 490). Но под этим же годом сообщается и о победе русского князя над самими аланами – на арену выходит новая политическая сила, которой лишь в следующем поколении предстоит пойти христианским путем своего кавказского соседа. около 940 г. Алании нет в otitia episcopatuum (Алемань, 2003, с. 259),.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ კავკასიის ალანიაში სრული მარცხის შემდეგ, რაც მათ აფხაზთა მეფეებმა არ მისცეს უფლება აფხაზეთის ალანიაში (და, საერთოდ, კავკასიის ალანიაში) ეპარქიის შექმნისა, გადაწყვიტა ალანებისათვის შეექმნა ეპარქია, ოღონდ არა კავკასიაში, არამედ ალანთა უმთავრეს სამომთაბარეო რეგიონში – დონისპირეთის სტეპებში.

ალანების ჯგუფები მომთაბარეობდნენ ყირიმსა და დონისპირეთის სტეპებში. ეს იყო ვრცელი არეალი ჩრდილო კავაკასიის მოსაზღვრე რეგიონში. სტეპების ალანებს მომთაბარეობის გამო არ გააჩნდათ ქალაქები და არც შესაბამისი საკათედრო ეკლესიები. ამიტომ, როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლმა სტეპების ალანიის მიტროპოლიტს საკათედრო ქალაქად განუსაზღვრა კავკასიასთან ახლოს, ტრაპეზუნტის რეგიონში, მდებარე ქალაქი სოტირიოპოლი დაახლოებით 1080 წლისათვის.

შესაბამისად, ამის შემდეგ სენტი და სხვა მახლობელი ეკლესიები ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდნენ.

სტეპების ალანიის სამიტროპოლიტოს არავითარი დაქვემდებარებული კათედრები არ გააჩნდა. მას შემდეგ, რაც მონღოლთა შემოსევების გამო შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე და დასუსტებულ საქართველოს აღარ შეეძლო თავისი საეკლესიო იურისდიქციის განვრცობა ჩრდილო კავკასიის ველებზე, სტეპების ალანიის სამხრეთით, კონსტანტინოპოლმა თავის ალანიის (სტეპების) სამიტროპოლიტოს დაავალა ამ არეალზე მოქმედება.

რაც შეეხება სენტის ეკლესიის მომცველ მთიან რეგიონს, ის გვიანობამდე, ჩანს, მე-16 – მე-18 საუკუნეებამდე, დასახლებული იყო ქართველი ქრისტიანებით და ის კვლავ საქართველის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ალანებს ებრძოდენენ მონღოლები, ისინი აქ უნდა ყოფილიყო ზედა ფენა, ხოლო ქვედა ფენა იყო ქართული, აქაური ქრისტიანები, სვანები, ამ ტაძრების ერთგული მრევლი იყო. ანანების განდევნის შემდეგ აქაური სვანები დომინირებდნენ ამ რეგიონში.

არხიზი ქართული ჯვრები მოსკოვის მუზეუმში

მართალია, ძირითადად, რუსულენოვანი მკვლევარები მალავენ ქართული საეკლესიო არტეფაქტების არსებობას არხიზში, მაგრამ, მაინც საინფორაციო სფეროში ჟონავს ფაქტები მათ შესახებ, ამის მაგალითს წარმოადგენს ერთი ასეთი საგაზეთო ინფორმაცია, რომელშიც არხიზის ქარტული ჯვრები იხსენიება : СТРАНА КРЕСТОВ

Нательные, нагрудные кресты-энколпионы, храмовые железные, сирийские, византийские, грузинские и древнерусские – им несть числа. Многие из них привезены в Москву, часть представлена на выставке фотографиями. Для историков-археологов это лучшее доказательство ...в распространении христианства на северном Кавказе...судя по выставочным экспонатам ситуация с архызскими памятниками плачевная, если не сказать катастрофическая..

Дарья Рощеня, 20 сентября 2005 г.

HTTP://HERITAGE.SAI.MSU.RU/HISTORY/HRAMY /SEVER/INDEX.HTML

სენტის ტაძარი

სენტის ეკლესია მდებარეობს მთის კალთაზე კარაჩაევსკიდან 18 კილომეტრში. მის ქვემოთ არის სოფელი ქვემო თებერდა, რომელსაც ყარაჩაულად სინტი ეწოდება.

მიჩნეულია, რომ სიტყვა „სენტი“ მომდინარეობს სიტყვისაგან სვეტიცხოველი. წარსულში სვანეთში ინახებოდა სვეტიცხოვლის საგანძური, კერძოდ, კი სეტის მონასტერში, რომელსაც ახლა მესტია ქვია.

ანუ სიტყვა მესტია მომდინარეობს სიტყვისაგან „სეტი“. თუმცა არსებობს ასევე მოსაზრება, რომ სეტი მომდინარეობს სიტყვისაგან „მესვეტე“ რადგანაც აქ დაყუდებული იყვნენ მესვეტე მამები, შესაბამისად, სენტი შესაძლებელია, მომდინარეობდეს ქართული სიტყვისაგან „მესვეტე“.

სეტიელები, ანუ სეტიელი ქორეპისკიპოსები ეკლესიურად განაგებდნენ სვანეთის საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრებას. გადმოცემით, სვანეთის სე-

ტში ინახებოდა სვეტიცხოვლის ყველაზე დიდი საგანძური, ვახტანგ გორგასლის მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილი ბადახშის, ანუ ლალის ქვისაგან დამზადებული კანკელ-საკურთხეველი.

სენტის ოლქი ისტორიულად დასახლებული იყო სვანებით, საიდანაც ისინი განდევნეს „სავებმა", ანუ „სავიარებმა", შემოსულმა ტომებმა დაახლოებით მე-17, მე-18 საუკუნეებში, რომლებიც არ იყვნენ ქრისტიანები.

სვანი ქრისტიანები კარგად უვლიდნენ სენტის ტაძარს. ის სვანების ერთ-ერთ უმთავრეს სალოცავს წარმოადგენდა. ეს იქედან ჩანს, რომ სენტის ტაძარი, კერძოდ კი, მისი ფრესკები, მრავალჯერ არის განახლებული. გამოკვლეულია, რომ ის არა ნაკლებ ოთხჯერ მოუხატავთ ხელახლა საუკუნეთა მანძილზე.

რუსებს კავკასიაში შემოსვლისას სენტის ტაძარი დახვდათ ძალზე კარგ მდგომარეობაში, მაგრამ ათეიზმის ეპოქაში მდგომარეობა დამძიმდა. ამჟამად რუსულ-ოსური აკადემიური მეცნიერება დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სენტის ტაძარი თითქოსდა შედის თითქოს ალანურ ეკლესიათა რიგში.

ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ნიშნად მიაჩნიათ ის, რომ სენტის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურული სტილითაა ნაგები, მაშინ, როცა მთელ საქართველოში სწორედ ამ სტილით აგებდნენ ეკლესიებს და ეს სტილი ქართული საეკლესიო არქიტექტურის სტილია. ამასთან ძალზე სადავოა საკითხი იმისა, საერთოდ არსებოდა თუ არა ოდესმე ალანური საეკლესიო სტილი. ის ჰიპოთეტური გამონაგონია.

სინამდვილეში, როგორც ჩვენი ქვემოთ მოყვანილი კვლევიდან ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა სენტის რეგიონის კავკასიის მთებში, არამედ დონისპირეთის დაბლობზე, სადაც ალანები მომთაბარეობდნენ. აღნიშნავდა კიდეც ამის შესახებ კონსტანტინოპოლის სინოდი: ალანებს მომთაბარული ცხოვრების სტილის გამო არა აქვთ საკუთარი ქალაქები და ამიტომ ნომადთა ალანიაში შეუძლებელი იყო სამღვდელმთავრო კათედრის დაარსება. ამიტომაც კონსტანტინოპოლმა ალანთა მიტროპოლიტს საკათედრო ქალაქად განუსაზღვრა სოტირიოპოლი, ტრაპეზუნტთან, ლაზიკაში.

აქედან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქია არ მოიცავდა ზელენჯუკ-არხიზის, სენტისა და შოანას დიდებული, ჯვარგუმბათოვანი, ნამდვილად სამეუფო ტაძრების რეგიონს, სადაც ცხოვრობდა არა ნომადი, არამედ მიწათმოქმედი მრევლი ეკლესიისა. თეოდორე, ალანიის მიტროპოლიტი, თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი ალანებს უღმერთო, მოჩვენებით ქრისტიანებს უწოდებდა, რაც არ ეთანედება თუნდაც სენტის მრევლის ქრისტიანულ სახეს.

ეს დიდებული ოსტატობით ნაგები ტაძარი კარგადაა შემნახული. მიჩნეულია, რომ ის აიგო მე-11 ს. დასაწყისში. სიგრძე 8 მეტრია და სიმაღლე – 10 მ.

ტაძრის გვერდითაა საძვალის შენობა („მავზოლეუმი"), რომელიც პლატფორმაზე დგას. ამ ნაგებობის სტილი მოგვაგონებს პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ქართული მონასტრის საძვალეს.

სხვა შეხედულებით, ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდებარე სენტის ტაძარი მიჩნეულია მე-10 საუკუნეში აგებულად.

მე-19 ს-ში აქ დააფუძნეს რუსული ქალთა მონასტერი, რომელთა მონაზვნები შეუდგნენ ეკლესიის „რესტავრაციას“, რაც გამოიხატა ეკლესიის ქართული ნაკვალევევის განადგურებით. მსგავსი მოპყრობის შედეგად მე-19 და მე-20 საუკუნეებში ტაძრის პირველსახე, თავდაპირველი ფორმა დამახინჯდა. თვით რუსი მკვლევარი წერს: – Насельницы монастыря реконструировали храм, исказив его первоначальную форму.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B5%D0%BD%D1%82%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%85%D1%80%D0%B0%D0%BB

სენტისა და პეტრიწონის საძვალეები გარკვეულად ემსგავსებიან ერთმანეთს, საეკლესიო არქიტექტურის ქართული სტილი.

სენტის ტაძრის გოლგოთიანი ჯვრები და მისი მრავალფენოვანი მოხატულობა

ჩრდილოკავკასიაში, შეიძლება ითქვას, ზედ ამჟამინდელ საქართველოს საზღვარზე (მისგან დაახლოებით 15–20-იოდე კილომეტრის დაშორებით) დგას შესანიშნავად შემონახული ხუთი ეკლესია. ესენია შუანას, ანუ შოანას ეკლესია, მასთან ახლოს მდგომი სენტის ტაძარი, ასევე ზელენჯუკის ხეობაში არსებული სამი ტაძარი (ზედა, შუა და ქვემო არხიზში). ისინი ყველანი კარგად არიან შემონახულნი.

ეს ეკლესიები ერთგვარ კულტურულ საზღვარს ავლებენ. მათ ჩრდილოეთით მუსულმანური კულტურის არეალია, სამხრეთით კი – ქართულ-ქრისტიანული: აფხაზეთი, სამეგრელო და სვანეთი, რომელთა ისტორიული, ბუნებითი ნაწილია ეს ეკლესიები.

ამჟამინდელ რუსულ ოფიციალურ საისტორიო საზოგადოებაში ცდილობენ აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო არქიტექტურა დაუკავშირონ არა ქართულს (რომლის ძირითად ღერძსაც წარმოადგენდა ის), არამედ, ე.წ. ალანურ-აფხაზურ სატაძრო არქიტექტურას.

თითქოს არსებობდა ალანურ-აფხაზური საეკლესიო არქიტექტურა, რომლის ნაწილად მიიჩნევა ლიხნი, მოქვი, სხვა ტაძრები, ასევე ჩრდილო კავკასიაში ზელენჯუკის ხეობის, სენტისა და შუანას (შოანას) ეკლესიები.

ამასთანავე, დისკუსიაც აქვთ გამართული ჩრდილო კავკასიის ნახსენები ხუთი ტაძარის კულტურული კუთვნილების შესახებ. ზოგი მათ ბიზანტიურს უწოდებს, ზოგი – ალანურს, ზოგი – სომხურს. მათი დაკავშირება ქართულთან ძალზე უჭირთ და მხოლოდ შორეულ პარალელებს პოულობენ მასთან.

მკვლევარები ბელეცკი და ვინოგრადოვი ამასთან დაკავშირებით წერენ: „Происхождение форм и время строительства храмов алано-абхазского круга по сей день является темой оживленных дискуссий. Большинство исследователей,

основываясь на стилистическом анализе памятников, относят их к X в. До сих пор только одно сооружение этой сравнительно немногочисленной группы имело более точную дату – Моквский храм в Абхазии (построен в девятилетнее правление Леона III, которое в разных работах относится ко времени от 957–966 до 960–969 гг.). Считается, что эти сооружения «обнаруживают явные связи с восточновизантийским (малоазийским) зодчеством», но при этом не исключается и причастность мастеров к закавказской традиции (Кузнецов, 1977, с. 115–116; Перфильева, 1992, с. 200)“. Белецкий Д.В., Виноградов А.Ю.

„Российская археология“ N1, 2005,

ФРЕСКИ СЕНТИНСКОГО ХРАМА И ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ АЛАНСКОГО ХРИСТИАНСТВА В X В).

http://librarius.narod.rusen.ru/.sentin.htm

ე.ი. ბელეცკი და ვინოგრადოვი მოქვისა და აფხაზეთის სხვა ეკლესიებს მიაკუთვნებენ ტაძრების „ალანურ–აფხაზურ წრეს“, ხოლო კუზნეცოვი და პერფილევა „ამ ნაგებობებში ამჩნევენ აღმოსავლურ-ბიზანტიურ ხელოვნებასთან კავშირს და არ გამორიცხავენ კავკასიური ტრადიციის ოსტატების მონაწილეობას მათ მშენებლობაში“.

ასეთი მსჯელობა ცინიზმია, რადგანაც ეს ტაძრები თვალის შევლებითაც კი ჩანს, რომ განეკუთვნებიან ქართულ საეკლესიო არქიტექტურას. ეს იქედანაც უნდა იყოს ნათელი, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო შეადგენდა ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს ქართული საეკლესიო ენით, ქართული საეკლესიო სჯულისკანონით, ქართული ლიტურგიით, ქართული გალობით, ქართული საეკლესიო სამართლით. აფხაზეთში საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელ საქართველოს ეკლესიაში (მაგალითად, ე.წ. „სამართალი კათალიკოსთა“) ისევე, როგორც ქართლის საკათალიკოსოში ჩატარებულ კრებებზე მიღებული კანონები დასავლეთ საქართველოში, რადგანაც ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები ერთიან ქართულ ეკლესიას ქმნიდნენ. მოღწეულია აფხაზეთის კათალიკოსთა გვარები. ყველანი ისინი ქართულია (საყვარელიძე, ბაგრატიონი და სხვა.). - მოღწეულია აფხაზეთის კათალიკოსის მიმართვა მრევლისადმი, სადაც ის წერს, რომ ისინი, ქართველები, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები არიან, რომ მათი წინაპრების მიერ ქართულად თარგმნილი ხანმეტი და საბაწმიდური სახარებები კეთილად მოსახმარია, ერთ-ერთი აფხაზეთის კათალიკოსი ძვირფასად მოხატულ „ქართლის ცხოვრების“ წიგნს სწირავს ბიჭვინთის ეკლესიას.

აფხაზთა სამეფოს ეპოქის მ-10 საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსი უხტანესი წერს, თუ ეთნიკურად ვინ არიან მისი დროის აფხაზეთის სამეფოს მცხოვრებნი. ის წერს, რომ პონტოს ზღვისპირეთში ნაბუქოდონოსორის მიერ ძველი ივერიიდან გადასახლებული ივერები გამრავლდნენ. ახლა მათ ქვეყანას ეწოდება აფხაზეთი, ხოლო მოსახლეობას – ქართველები, უხტანესის მსგავსად აფხაზებს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევს ბიზანტიის დედოფლის მარიამ ალანელის ეპოქის მოღვაწე, მისი ნათესავი ბიზანტიელი სწავლული იოანე ცეცე.

იოანე ცეცე წერს, რომ ქართველები, აბაზგები და ალანები ერთი ქართული კულტურის ხალხია. ალანთა ქვეშ ის გულისხმობს აფხაზეთის ალანიის მოსახლეობას, რომელნიც არა ეთნიკური ალანები, არამედ აფხაზ-სვანები იყვნენ, მხოლოდ ზედა ფენა, ისიც ქართული კულტურის მქონე, იწოდებოდა ალანებად. ეს ერთი ხალხი, ნახსენები ქართველებია, შეგნებითა და კულტურით.

ეს ხალხი აშენებდა აფხაზეთის ტაძრებს, ამიტომაც ქართული წარწერებით იყო და ნაწილობრივ ახლაცაა დამშვენებული ეს აფხაზეთის ეკლესიები, სხვა ნაგებობები და ხიდებიც კი).

ჩრდილო კავკასიის ეს ეკლესიები კარგ მდგომარეობაში იყვნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში (უკვე რუსეთის იმპერიაში). იმ დროისათვის ზოგიერთში ზემოთ ნახული იყო შესანიშნავი ფრესკები. ყველას ჰქონდა სახურავი და მთელი კედლები. საფიქრებელია, რომ ისინიც დამშვენებულნი იქნებოდნენ ქარული წარწერებითაც, მაგრამ მე-19 საუკუნის 80-ან წლებში ის გადაიქცა სამონასტრო ფილიალად ახალი ათონის რუსული მონასტრისა. ეს მონასტერი კი იმჟამად წარმოადგენდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიაში გაჩაღებული დიდი ომის ერთ-ერთ უმთავრეს პლაცდარმს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც წმიდა დიმიტრი ყიფიანისაგან გაისმა ხმამაღალი მოთხოვნა, რათა აღდგენილიყო საქართველოს ეკლესია – მონასტრებში, მათ შორის აფხაზეთში, ქართულენოვანი ღვთისმსახურება, ასევე გამოიკვეთა მიმართულება ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამის ერთ-ერთ საპირწონედ აფხაზეთში რუსეთის იმპერიის მიერ დაარსდა ახალი ათონის რუსული მონასტერი. ის დაფუძნდა აფხაზეთში ქართული საეკლესიო ცენტრის ადგილას, მის დასავიწყებლად და მისი გავლენის გასანეიტრალებლად. ის ანტიქართული იდეოლოგიური ცენტრი იყო. ეს, ჩანს, ამ მონასტრის მიერ მე-19 ს. 90-იან წლებში გამოცემულ წიგნში „ნოვიი აფონ...“. ამ წიგნში უარყოფილია ქართული ეკლესიის იურისდიქცია და ქართული ნაკვალევი აფხაზეთში, ამ წიგნის გავლენა დიდი იყო და, შეიძლება ითქვას, მისი მიხედვითაა შედგენილი ამჟამინდელი სტატიები და ნაშრომებიც კი ქრისტიანობის ისტორიისა კავკასიაში.

არხიზ-ზელენჯუკში დაარსებული რუსული მონასტრის ბერებმა წამოიწყეს ვანდალურ-ბარბაროსული რესტავრაცია ამ ათასწლოვანი ეკლესიებისა, რომელნიც მშვენივრად იყო შემონახული ქართველი მრევლის თავდადებული მზრუნველობით მე-13 – მე-18 საუკუნეებში (რადგანაც მონღოლებმა ამ მხარეებიდან გააძევეს ალანები, სხვა აქაური ხალხები კი, ქართველების გარდა, მუსულმანები ანდა წარმართები იყვნენ, მხოლოდ ქართველი მრევლის თავდადებულმა ღვაწლმა გადაარჩინა არზიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ეკლესიები), რუსმა ბერებმა, რასაც თვითონ რუსული გამოცემები აღიარებენ, აქ მოსპეს მრავალი ძვირფასი ნაკვალევი.

როგორც აღინიშნა, რუსული სტილის შესაბამისად, გადააკეთეს ქვემო არხიზის ეკლესია. შუა ეკლესიის ძველი იერ-სახე და კვალი მოშალეს. მალევე რუსეთში გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა. მათ არხიზის ეკლესიები გადასცეს პატიმარ ბავშვთა კოლონიას. ეს რეციდივისტი და გამწარებული ბავშვები სასტ-

იკად ანადგურებდნენ ფრესკებსა და ძველ წარწერებს, მით უმეტეს ქართულს, რადგანაც მათთვის ბერძნული წარწერები უფრო მისაღები იყო, რადგანაც ასოები რუსულს ჰგავდა, ხოლო ქართული უცნობი და უცხო იყო. საბავშვო კოლონიის შემდეგ ეს ეკლესიები მე-20 საუკუნის 60–70 წლებში კიდევ სხვა დაწესებულებას მიამაგრეს, რომელმაც ხელახალი „რესტავრაცია“ წამოიწყო.

აღნიშნული მკვლევარებიც ანტიქართულად განეწყვნენ, მათ იკვლევენ წინასწარგანზრახული თვალსაზრისით.

ამჟამად ამ ეკლესიათა მდგომარეობა შედარებით კარგია. მათში კოლონიები და საპატიმროები აღარაა განლაგებული, მაგრამ, როგორც ითქვა, ამ ეკლესიების მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგი იყო მე-19 საუკუნის შუა წლებამდე.

ისმის კითხვა, რა მიზეზმა გამოიწვია ასეთი კარგი სახით ამ ეკლესიების შემონახვა მაშინ, როცა ჩრდილო კავკასიაში თათარ-მონღოლთა და თემურლენგის დროიდან ეკლესია-მონასტრები ნადგურდებოდა. რატომ არიან ეს ეკლესიები გამონაკლისნი? რატომ შემორჩა ეს ეკლესიები ასე შესანიშნავად?

ამჟამად აღნიშნული რუსული სამეცნიერო წრეები ამტკიცებენ, რომ ეს ეკლესიები ალანებისა იყო. ალანები კი აქედან მონღოლებმა გააძევეს მე-13 ს. დასაწყისში, ამის შემდეგაც ეს ეკლესიები აქ უფუნქციოდ არ ყოფილან. საუკუნეთა მანძილზე აქ მცხოვრები ხალხი შესანიშნავად იყენებდა მათ თავისი ფუნქციის შესაბამისად.

არზიზ-ზელენჯუკისა, სენტისა და შოანას ეკლესიებში მე-13 – მე-16 საუკუნეებში, შესაძლოა, მე-17-ს. დასაწყისშიც გაჩაღებული იყო ლოცვა, წმ. ლიტურგია, ზიარება და ნათლობა. მათი კარგი მოვლა-პატრონობის ნიშანია ის, რომ, ვთქვათ, სენტის ტაძარი სულ მცირე ოთხჯერ მოხატეს, რათა მუდამ ნათელი და ხასხასა ყოფილიყო ადგილობრივი მრევლის საყვარელი ეკლესია.

ეს ეკლესიები მე-17, მე-18 საუკუნეებამდე იდგნენ ისტორიულ ჩრდილო სვანეთში, რომელიც იმჟამად ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებსაც ფლობდა.

სენტი და შოანა ჩრდილო სვანეთის ტერიტორიაზე იდგა, ჩანს, უფრო ადრე სვანებით იყო დასახლებული ე.წ. აფხაზეთის ალანიაც, რომელიც ზელენჯუკის ხეობასაც მოიცავდა. აქაური სვანები ქრისტიანობისათვის თავდადებული მეომრები და მორწმუნეები იყვნენ, წირვა–ლოცვა უყვარდათ. ისინი უვლიდნენ ამ ტაძრებს. ბოლო საუკუნეებამდე შესანიშნავად შემოინახეს ისინი. შემდგომ სვანეთის ამ ნაწილში, კერძოდ, ყუბანის სათავეებსა და იალბუზის ოლქში, ჩასახლდა სვანების მიმართ მტრულად განწყობილი ხალხი, რომელთაც სვანები „სავებს, სავიარებს ან ჩერქეზებს“ უწოდებდნენ. ჩრდილო სვანეთში, აღნიშნულ რეგიონში, სვანი ქრისტიანები დამარცხდნენ, ერთმა გადარჩენილმა ნაწილმა დატოვა ჩრდილო სვანეთი, ამ ეკლესიათა მომცველი რეგიონი, მეორე ადგილზე დარჩენილები კი გამუსულმანდნენ. ამჟამადაც კი იქ მოსახლე მუსულმაები, მაგალითად, შოანას ეკლესიას – სვანების ეკლესიას უწოდებენ. მათ ენაზე სვანებს შონ ჰქვია, შოანა სვანების ეკლესიას ნიშნავს.

[ზემოთ მოყვანილი კითხვის პასუხი ასეთია: ეს ეკლესიები საუკუნეთა მანძილზე, მე-13 – მე-16 საუკუნეებიც მოქმედნი იყვნენ. დაახლოებით მე-17

საუკუნის ბოლოსათვის აქედან სვანები განდევნეს შემოსულმა მუსულმანურმა ხალხებმა. ეს ასახულია სვანურ პოეზიაშიც კი. მათ, როგორც ითქვა, სვანურ პოეზიაში, სავები, სავიარები, ჩერქეზები და დიგორელები ეწოდება. ადგილზე დარჩენილი სვანების ნაწილი გამუსულმანდა. ამჟამადაც კი, ზოგიერთ აქაურ, ამ ეკლესიებთან ახლოს მცხოვრებ, მუსულმან ყოფილ სვანს – ახსოვს თავისი სვანური გვარი, ზოგიერთ მათგანს (ყარაჩაელ მუსულმან სვანს) კი ინტერნეტ გვერდიც კი აქვს გახსნილი, ეხმიანება საქართველოში მცხოვრებ თანამოგვარე ქრისტიან სვანებს.

ეს ეკლესიები (ზელენჯუკ-არხიზის სამი ეკლესია, სენტი და შოანა) საუკუნეთა მანძილზე მოქმედი რომ იყო, მიუთითებს თვით აღნიშნული მეცნიერების გამოკვლევები. მაგალითად, მათ შეისწავლეს სენტის ეკლესიის მხატვრობა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ეკლესიები შიგნიდან მოიხატა ოთხჯერ.

საუკუნეთა მანძილზე ფრესკებით მრავალგზის იფარებოდა სენტის ეკლესიის კედლები. ეს მეცნიერები სენტის ეკლესიის მხატვრობას მიაკუთვნებენ ალანურ ფერწერას, რომელიც არასოდეს არსებობდა, ასევე სხვადასხვა სკოლას (ბიზანტიურს თუ სომხურს). როგორც ითქვა, ძალზე ძუნწად ახსენდებათ ქართული.]

სენტისგან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ამჟამინდელ სვანეთში დგანან მოხატული ეკლესიები, ამიტომაც აღნიშნული მეცნიერების ძიება, როგორმე სენტის მხატვრობა დაუკავშირონ ნებისმიერ არაქართულ სტილს, არაბუნებრივია, გეოგრაფიულადაც ეს (სენტი და მესტია) ერთი რეგიონია.

ბელეცკი და ვინოგრადოვი წერენ, რომ ყარაჩაის ჯვარ-გუბათოვან ეკლესიაში (ზელენჯუკ-არხიზში, სენტსა და შოანაში) შემონახული ფრესკების ფერწერა აქამდე არ არის სათანადოდ გაანალიზებული. მათი სიტყვით, არხიზის ზემო და შუა ეკლესიების ფერწერის ფრაგმენტები მცირეა და ხელმიუწვდომელი გამოკვლევისათვის, ხოლო მე-19 ს-ში მხატვარ დ. სტრუკოვის მიერ გაკეთებული ფრესკების ასლები ძალზე დაბალი ხარისხისაა.

ისინი წერენ, რომ უფრო უკეთაა შემონახული ფერწერა სენტის ტაძრისა.

აულ სენტაში (მდ. თებერდის უღელტეხილთან, ამჟამინდელ სოფელ ქვემო თებერდასთან) ტაძარი ერთგუმბათოვანია, გეგმაში წარმოადგენს ჯვარს, რომელსაც აღმოსავლეთიდან აქვს აფსიდა. სენტის ტაძრის ფრესკებს გამოკვლევა მიუძღვნა დიაჩკოვ-ტარასოვმა 1899 წელს, თავის პუბლიკაციაში ჩართო ფერწერის ჩანახატები, 1902 წელს მხატვარმა ვლადიმიროვმა გააკეთა სენტის ეკლესიის რამდენიმე ფრესკის კალკები.

ჯერ კიდევ ვლადიმიროვმა აღნიშნა, რომ ფერწერა მრავალფენოვანია, ბელეცკი და ვინოგრადოვი წერენ, რომ მათ შეძლეს „დეკორაციის ოთხი ეტაპის გამოყოფა“ (Нам удалось выделить четыре этапа декорации).

ფრესკების მრავალფენოვნება იმით გამოიხატება, რომ ეკლესია მოხატეს მრავალჯერ, რაც ნიშანია იმისა, რომ მრევლი კარგად უვლიდა და პატრონობდა თავის საყვარელ ტაძარს. ამავე დროს მრევლი მრავალრიცხოვანი იყო.

ტაძარი მაღალ მთაში დგას. ტაძრის მოვლილობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სენტის ტაძარში სალოცავად დადიოდნენ შორეული ადგი-

ლებიდან და აქ მორწმუნეთა მსვლელობა უწყვეტი იყო. ამან ეკლესიას მისცა მატერიალური საშუალება, რომ ის მრავალჯერ მოეხატათ.

თავდაპირველად ეკლესია გარკვეული დროის მანძილზე მოუხატავი, მხოლოდ შეთეთრებული ყოფილა შიგნიდან. აფსიდში ფანჯრებს შუა ყოფილა გამოხატული ორი ქართული ტიპის, ანუ ოთხბოლოიანი ჯვარი, რომელიც იდგა კიბისებურ შემაღლებაზე, ე.წ. გოლგოთიანი, ანუ ფეხიანი ჯვრები (однако храм некоторое время стоял побеленным изнутри, и только между окон апсиды имелись два больших четырехконечных креста на ступенчатых возвышениях – «Голгофах»).

შესაბამისად, ფაქტი შელესილ, მოუხატავ ტაძარში მხოლოდ გოლგოთიანი ჯვრის გამოხატვისა, მისი (ამ გოლგოთიანი ჯვრის) ხშირი განახლება და ხელახლა ფერებით მისი გაცოცხლება, შესაძლებელია, გამოგვადგეს სენტის პირველი მოხატვის დროის დასათარიღებლად.

სენტის ეკლესიაში გოლგოთიან ჯვრებს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, რადგანაც მრავალჯერ განაახლეს ამ ჯვრების მოხატულობა ჯერ კიდევ ტაძრის მოხატვამდე, ანუ ჯვრის ფერადოვნება და ხაზები მრავალჯერ განაახლეს, ცხადია, მას შემდეგ, რაც წინა დროის ფერები ხუნდებოდა დროთა ვითარებაში.

ამის შესახებ მკვლევარები წერენ – Ветви крестов слегка расширяются к концам и украшены «драгоценными камнями». Использовано три пигмента: синий (уникальный случай во всех росписях храма), сажа и красная охра. Владимиров отмечал, что кресты «носят следы многочисленных поновлений»

შეიძლება დაისვას კითხვა: როდის გამოიხატა გოლგოთიანი ჯვარი (ჯვრები) სენტის ეკლესიაში და რატომ მიაგებდნენ მას განსაკუთრებულ პატივს? რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა სენტში გოლგოთიან ჯვრებს?

ამ კითხვის პასუხამდე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში გოლგოთიანი ჯვრების გამოსახვას ეკლესიებსა და საბრძოლო კოშკებზე თავისი ტრადიცია და პერიოდი ჰქონდა. ეს იყო მე-14 – მე-16 საუკუნეები.

გოლგოთას ჯვარი ქრისტიანთა საყოველთაო სიმბოლოა. ის საეკლესიო ხელოვნებაში გამოხატავს მორწმუნეთა მოწიწებით დამოკიდებულებას ქრისტეს ვნებათა და მისი ჯვრის ძალის მიმართ.

გოლგოთა არის გორა იერუსალიმში. აქ ყოფილა დაკრძალული ადამი. აქ ჯვარს აცვეს ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე. ეკლესიისათვის ჯვარი და გოლგოთა ძვირფასი საუნჯეა.

ამჟამად ყველა ეკლესიაში, როგორც წესი, საეკლესიო ნივთის სახით დგას საგანგებოდ დამზადებული ხის დიდი ჯვარი (გოლგოთა), მსგავსად სხვა საეკლესიო დგარისა – ლუსკუმისა, სახატე – კიოტისა, კანკელისა და სხვა.

ჩანს, სენტის ეკლესიაში კედელზე გამოხატული ჯვარი იმავე დანიშნულებისა იყო, როგორცაა დღეს ეკლესიებში დიდი ზომის გოლგოთები, ანუ ჯვრები, მათ წინ განსაკუთრებით ლოცულობენ მიცვალებულთა სულებისათვის, ასევე ის განსაკუთრებით გამოიყენება ვნების შვიდეულისა და აღდგომის წინა დღეებში ლოცვებისას.

ჩანს, სენტის ეკლესიაშიც ამავე მიზნითვე იყენებდნენ მლოცველები კედელზე გამოხატულ გოლგოთიან ჯვრებს რამდენიმე საუკუნე, ოღონდ ის ეკლესიაში იდგა არა ხისაგან დამზადებული ჯვრის სახით, არამედ კედელზე იყო გამოხატული.

მათ ძალზე დიდი ფუნქციური დატვირთვა ჰქონიათ მლოცველთათვის.

ამიტომაც სენტის ეს ჯვრები, როგორც ითქვა, საუკუნეთა მანძილზე, რამდენჯერმე საგანგებოდ განუახლებიათ.

სენტის ეს ჯვრები, როგორც ვთქვით, იმეორებს ქართული გოლგოთიანი ჯვრის გამოსახულებას და განსხვავდება რუსულ-სლავურისა და ბიზანტიურისაგან, რომელნიც 6 ან 8 ბოლოიანი ჯვრების სახისა იყვნენ, სენტის ჯვრები ოთხ ბოლოიანია. ამასთანავე, ისინი იყვნენ გოლგოთიანი, ანუ ე.წ. „ფეხიანი“ ჯვრები. ეს ჯვრის ფეხი, ანუ კვარცხლბეკი გამოხატავდა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ვნების ბორცვიან ადგილს.

გოლგოთიანი ჯვარი სიმბოლურად გამოხატავდა იერუსალიმის გოლგოთის გორაკს მასზე აღმართული იმ ჯვრით, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი.

სენტის გარდა გოლგოთიანი ჯვრები მრავლადაა გამოყვანილი ქართული მთის კოშკების კედლებსა და ზოგჯერ ეკლესიის კედლებზე. ისინი გამოხატულია საფეხურებრივი კვარცხლბეკის სახით და მისი ჯვრით.

ეს გოლგოთიანი ჯვრები, აღნიშნული მკვლევარების სიტყვითაც ოთხბოლოიანი იყო. საქმე ისაა, რომ რუსულ სამყაროში ჯვრებს ექვსი დაბოლოება ჰქონდათ, ქართულში კი – ოთხი, ამასთანავე, ქართულ სამყაროსთან ამ ჯვრებს აკავშირებს ის, რომ ისინი გოლგოთიანია, ანუ ჯვრის საფეხური კიბისებურია, რომლის ბოლოები გაშლილია.

ისმის კითხვა, რატომ გამოხატავდნენ საქართველოს მთაში ჩეჩნეთ-ინგუშეთის ჩათვლით გოლგოთიან ჯვრებს მე-14 საუკუნის შემდეგ?

მათი გამოხატვა დაკავშირებული უნდა იყოს იმ ფაქტთან, რომ იერუსალიმის აღდგომის ტაძარში გოლგოთას მონასტერი ამ დროისათვის უკანვე დაიბრუნეს ქართველებმა მთის ერისთავის პიპას ხელით. ეს გამარჯვება მთის ერისთავმა მოიპოვა. შესაბამისად, საქართველოს მთას გაუჩნდა თავისი დიდებისა და ღირსების სიმბოლო – გოლგოთა.

ქართველ მთიელთა ერისთავის მიერ იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის გათავისუფლების შემდეგ საქართველოს მთაში ეკლესიებსა და საბრძოლო კოშკებზე გამოსახავდნენ გოლგოთას ჯვრებს, ქართველ მთიელთა მიერ იერუსალიმის გოლგოთის გამოხსნის სიმბოლოს სახით.

[იერუსალიმის გოლგოთას ქრისტიანებისათვის დაბრუნების საქმეში უპირველესი წვლილი ჰქონდა საქართველოს მთის ხალხს, მათ ერისთავ პიპას, რომელმაც გოლგოთა მეფე გიორგი ბრწყინვალეს დროს გაათავისუფლა.

ამის გამო გოლგოთის ჯვარი ქართველი მთიელების უდიდესი გამარჯვების, ვაჟკაცობისა და ქრისტიანულ სამყაროში რჩეულობის სიმბოლოდ იქცა, შესაბამისად ეს სიმბოლოები (გოლგოთიანი ჯვრები) მრავლადაა შემონახული აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და ამჟამინდელ ინგუშეთში საბრძო-

ლო კოშკებზე, რომელიც იმჟამად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.]

როგორც საისტორიო წყარო „ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს, მეფე გიორგი ბრწყინვალე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მთას და იქ ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცეს. ჩანს, ამიტომაც, მან იერუსალიმში გოლგოთას მონასტრის მუსულმანთაგან გასათავისუფლებლად 1320 წელს გააგზავნა მთის ერისთავი – ქსნის ერისთავის შვილი – პიპა.

ამის შესახებ წერს „ძეგლი ერისთავთა“:

„მივიდა პიპა ეგვიპტის სულთნის წინაშე, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცა კლიტენი იერუსალიმისანი.“

იქამდეც, წინა საუკუნეებშიც, გოლგოთა ქართველთა ხელში იყო, მაგრამ ზოგჯერ კარგავდნენ მას. ამიტომაც გოლგოთას მუსულმანთაგან ყოველი გათავისუფლება, საქართველოში დიდი სიხარულის წყარო იყო.

პიპამდეც, 1320 წლამდეც, საბუთების მიხედვით, მაგალითად, 1050 წელს მეფე ბაგრატ IV ფლობდა გოლგოთის ნაწილს (1049 წ-ს გოლგოთაზე ქართველი საეკლესიო პირების ჯგუფი მოღვაწეობდა).

იერუსალიმში, მუსლიმთა ბატონობის პერიოდებში (1071–1099 წწ., 1187–1299 წ.წ.) ქართველ ბერ-მონაზვნებს და მწიგნობრებს არ მიუტოვებიათ გოლგოთა და აღდგომის ტაძარი, თუმცა კი დიდად გაუჭირდათ.

რადგანაც გოლგოთა საუკუნეთა მანძილზე ქართველთა ხელში იყო, ამიტომაც გოლგოთიანი ჯვრების გამოსახულება ზოგადად ქართული ეკლესიის სიმბოლოდ, მის სამკაულად იქცა, შესაძლოა ქართველ მთიელთა მიერ გოლგოთის გათავისუფლებამდეც.

ამიტომაც სენტის ტაძარში ქართული ეკლესის ნიშანი – გოლგოთიანი ჯვრები შესაძლოა მე-10, მე-11 საუკუნეშიც გამოეხატათ, მაშინ, როცა გოლგოთა ქართველთა ხელში იყო.

გოლგოთიან ჯვრებს არაფერი აკავშირებდა ალანურ სამყაროსთან, ხოლო ქართულ ეკლესიასთან მისი დაკავშირება შესაძლებელია.

როგორც ითქვა, XIV ს-ში ქართველმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ (1314–1346), ერისთავ პიპას მიერ, ეგვიპტის სულთნებისაგან კვლავ მოიპოვა ქრისტეს საფლავის გასაღები, რადგანაც ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის უფლება ქართველთა პრივილეგია იყო. ეს ღირსება ახლა, ერისთავ პიპას შემდგ, მთას დაუკავშირდა.

საერთოდ, მონღოლთა შემდეგ საქართველოს სამეფო ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მთას, ქსნისა და არაგვის ხეობებს, ისინი იცავდნენ ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს, რასაც საქართველოსა და სამხრეთის ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

მთის ხალხის სახელმწიფო სამართლის შესაბამის ნორმებში მოქცევა, მათი დამშვიდება, სამეფო ხელისუფლების ზრუნვის საგნად იქცა. ამიტომაც მთისათვის, ძირითადად ქსნისა და არაგვის ხეობათა მოსახლეობისათვის, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ სახელმწიფო დარბაზს გამოაცემინა სამართლის წიგნი – „ძეგლისდება“.

მის დროს, როგორც ითქვა, გოლგოთსა და, შესაბამისად, აღდგომის უდიდესი ტაძრის გასაღებიც ქართველთა ხელში აღმოჩნდა, მთიელების ერისთავის წყალობით. შესაძლოა, ქსნისა და არაგვის ხეობები იმ დროისათვის ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა, მას შეაფარა თავი ბარის მოსახლეობამ, როცა მალევე, 1400 წელს თემურ ლენგმა დაამარცხა მეფე გიორგი VII.

მთა და ქსნის ხეობა სახიზარად გადაიქცა. მტერმა სახიზარების გატეხვა გადაწყვიტა, მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი ფაქტი, თემურ ლენგი ხეობაში დამარცხდა.

ჩრდილო-კავკასიის მთა ხალხის ბუნებრივი სახიზარი, თავშესაფარი იყო, სადაც მუდამ თავს აფარებდნენ ლტოლვილი ქრისტიანები, თუ არა ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანთა დახმარება ამ ხეობებში, თემურ ლენგის დამარცხება ვერ მოხერხდებოდა.

მთიელებმა მტერს ბრძოლა გაუმართეს. ასეთი ბრძოლის ეპიზოდს აღწერს „ძეგლი ერისთავთა“. ქსნის ერისთავი ვირშელი ბეხუშეს ციხესთან ებრძოდა თემურს.

მთიელთა ქრისტესათვის თავდადების შედეგადაც, მიუხედავად რვაჯერ ლაშქრობისა, თემურ ლენგმა ვერ შეძლო საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა, იერუსალიმის გოლგოთაც, ძველებურადვე, შემდგომშიც, კვლავ ქართველთა ზრუნვის საგანი იყო.

1525 წელს კვლავ აღდგა ქართველთა უფლება გოლგოთაზე, ბეთლემსა და ჯვრის მონასტერზე, ასევე ყველა ის პრივილეგია, რაც ქართველებს გააჩნდათ იერუსალიმში.

http://www.saunje.ge/index.php?id =1139.

ამ დროსაც, ერთ ხანს, ქართველები კვლავ ქრისტეს საფლავის კლიტის მფლობელნიც იყვნენ. საფიქრებელია, ეს მოხდა კვლავ მთიელ ქართველ ქრისტიანთა მონაწილეობით, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მთის საბრძოლო კოშკებსა თუ ეკლესიებში კვლავაც სიდიადით გამოხატავდნენ გოლგოთიან ჯვრებს.

გოლგოთიანი ჯვრები ამის ერთგვარი სიმბოლიკა იყო.

იერუსალიმი, გოლგოთა და ქრისტეს საფლავის საზრუნავი კვლავ აერთიანებდა დაშლილ-დანაწევრებულ ქართველობას.

ეს სიყვარული ქართველებისა გოლგოთა – იერუსალიმის მიმართ იცოდნენ ოსმალებმაც, ამიტომ ხონთქარს უნებებია ქართველების ძალით იერუსალიმი თავისი მტრის ნაშთებისაგან გაეწმინდა.

„ქართლის ცხოვრება“ წერს: „ხოლო ამას ჟამს წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიაო“. ხოლო, რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, განიხარეს და შეიყარეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდნენ იერუსალემსა... იქმნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრის-

ტესმან და გაემარჯუათ. და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი. და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონთქარმან მათ სიგელითა მტკიცითა. ხოლო განიხარა მეფემან გიორგი და ბატონმან ბაგრატ და ლევან, და წარმოვიდნენ თვსსა ადგილსა და მოვიდნენ მშვდობით გამარჯუებულნი და განიხარეს“.

მართლაც, ამ ცნობის დასტურად, XVI საუკუნის დასაწყისის ევროპელი წერს –

„როდესაც {ქართველები} სალოცავად მიდიან იერუსალიმს, გადასახადს კი არ უხდიან სულთანს, არამედ მდიდრულად მორთულ აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი ბაირაღებით შედიან იერუსალიმში“. ევროპელი იან ვიტი წერდა: „იერუსალიმში ბევრი ქართველია, ისინი მრავალ წმინდა ადგილს ფლობენ, კერძოდ, გოლგოთის მთას იმ ადგილითურთ, სადაც ჯვარი იდგა“ მიჩნეულია, მონასტერი ოსმალებმა ქართველებს ოფიციალურად დაუმტკიცეს 1520 წელს.

აქედანაც ჩანს, რომ გოლგოთა ქართველთა თავდადებისა და თავგანწირვის სიმბოლო იყო. ამ დიად საქმეში მთა თავს იწონებდა თავისი დამსახურების შესაბამისად, რომლის სიმბოლური ნიშნები ეკლესიებსა და კოშკებზე გამოხატულ – გამოქანდაკებული გოლგოთიანი ჯვრები იყო ახლანდელი არხიზ-ზელენჯუკიდან – ინგუშეთამდე და საქართველოს მთელი მთის რეგიონში. ასე, რომ სენტის გოლგოთიანი ჯვრები ქართული ეკლესიის სიმბოლოც იყო.

აქ შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ასეთი ჯვრები უცხოა რუსული სამყაროსათვის და მას ეჭვის თვალით უყურებენ.

ოთხბოლოიანი ქართული გოლგოთის ჯვრები, ანუ ისეთი სახისა, რომელნიც არიან სენტის ეკლესიასა თუ ინგუშეთში, იმდენად განსხვავდებოდა ბერძნულ-რუსულისაგან, რომ მას ხან ლათინურს, ხანაც კი ბიზანტიურს უწოდებენ.

ეკლესიის წმიდა მამები მათ იცავდნენ, მაგალითად, წმ. იოანე კრონშტადელი.

ბერძნული საქტიტორო წარწერა სენტის ტაძარში

ბელეცკი და ვინოგრადოვი თავიანთ ნაშრომში სენტის ეკლესიის ბერძნული წარწერის გაანალიზების შემდეგ ასეთ დასკვნას აკეთებენ: „მართალია, 931–932 წლებში ალანებმა განდევნეს ქრისტიანი სასულიერო პირები, მაგრამ 940-იან წლებში ძლიერდება ალანების სამხედრო ძალა, მტკიცდება კავშირი ბიზანტიასთან, ამიტომაც კვლავ აღსდგა ალანიის ეპარქია. ამასთანავე იზრდება ალანიის მმართველის სტატუსი, არხონტიდან-ეკსუსიოკრატორამდე, ხოლო იერარქისა – არქიეპისკოპოსიდან მიტროპოლიტამდე. შესაძლოა, პირველი მიტროპოლიტი ალანიისა იყო ეგნატე, ხოლო თეოდორე – მისი ერთ-ერთი მემკვიდრე. ბიზანტიელთა დახმარებით ხდება ტაძრების მშენებლობა, მათ შორის სენტისა. საბოლოოდ, 965 წელს იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ გაგ-

ზავნა საგანგებო წარმომადგენელი – პატრიკიოსი სენტის ტაძრის საკურთხებ-ლად (ამავე წელს ხაზარები დაამარცხა სვიატოსლავ კიეველმა, ამავე წელსვე თვით ალანები რუსმა მთავარმა დაამარცხა)“.

Белецкий Д.В., Виноградов А.Ю. ФРЕСКИ СЕНТИНСКОГО ХРАМА И ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ АЛАНСКОГО ХРИСТИАНСТВА В X В.* „Российская археология“ N1, 2005

http://librarius.narod.ru /sentin.htm

რუსი მეცნიერების ეს კარდინალური დასკვნა უსაფუძვლოა:

1. წყაროში დაფიქსირებულ ცნობას, რომ ალანებმა ბერძენი სამღვდელ-ოება განდევნეს, ახსნას უძებნიან იმით, რომ თითქოსდა ალანებმა ეს გააკეთეს ხაზართა მოთხოვნით. ასეთი ცნობა კი არ არის რომელიმე წყაროში დაფიქსი-რებული. წყაროს მიხედვით, ბერძნები ალანებმა გააძევეს, მაგრამ ახსნა იმისა, თუ ვისი მოთხოვნით გაკეთდა ეს, წყაროში არაა. ამიტომაც აქ ხაზარების თემა ამჟამინდელი მკვლევართა ვარაუდია. უფრო სავარაუდოა, რომ ალანებმა ბერ-ძენი სასულიერო პირები განდევნეს აფხაზ მეფეთა მოთხოვნით, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ მათ სამეფოში ან თუნდაც მის უშუალო საზღვარზე კონ-სტანტინოპოლის იურისდიქციის გავრცელებას.

2. აფხაზეთი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, კერძოდ კი, აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა. საკათალიკოსო კათედრა ბიჭვინთაში იყო, სენტიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით. ეს საკათ-ალიკოსო თავის იურისდიქციას ავრცელებდა ტრაპეზუნტთან მდებარე ოფი-დან ვიდრე ყირიმამდე (შემდეგდროინდელ კაფამდე, ბიჭვინთის იადგარისა და სხვა წყაროთა ცნობით). შესაბამისად, ის ვერ მოითმენდა ცენტრთან ახლოს უცხო ეკლესიის იურისდიქციას.

3. ამასთანავე აფხაზთა მეფე ყოველი ღონისძიებით აძლიერებთა თავის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს, აშენებდა მისთვის ახალ, გრანდიოზულ ეკ-ლესიებს. მასში აარსებდა საეპისკოპოსო ცენტრებს. ცხადია, ვერც სამეფო ხე-ლისუფლება დაუშვებდა, რომ ზედ აფხაზეთის საზღვარზე მდგომი სენტის, შოანასა და ზელენჯუკის ტაძრები უცხო ეკლესიის იურისდიქციაში ყოფილი-ყო. ასე, რომ ბერძენი სასულიერო პირები ალანებმა განდევნეს აფხაზთა სამე-ფოს მოთხოვნით.

4. რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მეათე საუკუნისათვის ჩამოყალი-ბდა ალანიის სამიტროპოლიტო, რომელიც სენტის ოლქს მოიცავდა. ეს აზრი არ დასტურდება წყაროებით.

პირიქით, ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილის თანახმად, რომე-ლიც მან კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა, მის სამწყსოში შემავალი ქრისტიან ალანთა ჯგუფები ცხოვრობდნენ ყირიმში, ხერსონთან და ბოს-ფორთან, დონის შესართავთან, ტამანზე. ამ თეოდორეს წერილში არ იხსენიება სენტი, შოანა ანდა ზელენჯუკი. ის წერილით აცნობებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომ ის გაემგზავრა თავის ეპარქიაში, რომელიც მდებარეობდა შუაგულ სკვითიაში, უწყლო ადგილას, ყირიმიდან 60 დღის გზაზე. შესაბამი-

სად, ალანიის სამიტროპოლიტო მოიცავდა არა კავკასიის ალანიას, არამედ ყირიმის რაღაც სეგმენტსა და დონისპირეთის სტეპებს.

ამჟამინდელ ყარაჩაიში კი მე-11 საუკუნეში შესანიშნავი გუმბათოვანი ტაძრები იდგა არხიზ-ზელენჯუკისა, სენტისა თუ შოანასი. აქ ქალაქებიც არსებობდა, ამიტომაც გამონათქვამი, რომ მომთაბარე ალანებს „არა აქვთ სამღვდელმთავრო კათედრები“, არ შეეხებოდა კავკასიის ალანიას (ამჟამინდელ ყარაჩაის).

აქედან გამომდინარე, კავკასიის ალანია, სადაც დიდებული სამღვდელმთავრო გუმბათიანი კათედრებია, არ იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის ადგილსამყოფელი. ეს ეპარქია დონისპირეთის ვრცელ სტეპებში არსებობდა, ნომადი ალანების ქვეყანაში, ხოლო კავკასიის ალანია, არა ნომადი, არამედ მკვიდრი ხალხით იყო დასახლებული. ის შედიოდა არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, არამედ აფხაზეთის საკათალიკოსოში.

მაგრამ, ფაქტი იმისა, რომ სენტის ტაძარში აღმოჩნდა ბერძნული 965 წლის საქტიტორო წარწერა, ეწინააღმდეგება ამ თვალსაზრისს.

ბელეცკოის აზრით, სენტის ტაძრის დეკორირების პირველ ეტაპს განეკუთვნება სამშენებლო წარწერა. ამ დროს მიაკუთვნებს ის მოხატულობის პირველ ფენას და ათარიღებს 965 წლით. მისი აზრით, მეორე, მომდევნო, ეტაპზე ფრესკული გამოხატულებები შეათეთრეს, ხოლო აფსიდში დახატეს ოთხი დიდი ჯვარი და ორნამენტის ხაზი მათზე. ამ პერიოდის გამოსახულება ნაწილობრივ ჩანს.

უკეთ ჩანს დასავლეთის ჯვარი აფსიდის ჩრდილო მხარეს. ჯვარს აქვს ოდნავ გაშლილი ბოლოები. რომელიც გაშლილია თეთრ, წითელ და რუხ ფერებად. ჯვრის გარშემო წარწერაა – «IC XC». ჩანს, ასევე გამოიყურებოდა სხვა სამი ჯვარიც. მოხატვის პირველი ეტაპის დროინდელი ჯვრები გადაუხატავს ვლადიმიროვს, მაგრამ მას ვერ შეუმჩნევია, რომ ეკლესია მრავალჯერ იყო მოხატული.

სენტის მხატვრობა მრავალფენიანია. ბელეცკოისა და ვინოგრადოვის კვლევით, უკვე მოხატვის მეორე ფენა გამსჭვალულია „ხალხური“ გემოვნებით, მხატვრობა არაპროფესიონალურია, ხაზები არამკვეთრია, სიმეტრია დარღვეული, შეუძლებელია ვილაპარაკოთ მხატვრის პროფესიონალიზმზე, – წერს ის. линия не имеет четкости, симметрия сбита, и вряд ли можно говорить о работе профессионального художника. ჯვრების მხატვარი არ იყო პროფესიონალი, მოხატვის მეორე ეტაპს მიაკუთვნებენ რამდენიმე მსხვილ წარწერას. მხატვრობის მეოთხე ეტაპს მიაკუთვნებენ კიდევ ერთ წარწერას. რა ენაზეა ეს წარწერები, მკვლევარები არ წერენ, თუმცა მუდავ ასკვნიან, რომ წარწერები მხოლოდ ბერძნული იყო. შესაძლოა, ამ ტაძარში ქართული წარწერების ნაშთები ამჟამადაც არსებობდეს, რასაც გამოწვლილვითი დაკვირვება ესაჭიროება, მაგრამ ასეთი მკვლევარი საქართველოდან ამ მხარეებში ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

მხატვრობის მესამე ეტაპს მიაკუთვნებენ ღვთისმშობლის გამოსახულებას, რომელიც დაუფიქსირებიათ დიაჩკოვ-ტარასოვსა და ვლადიმიროვს. Ко второму этапу относится также несколько крупных надписей красной охрой, к

четвертому этапу, проступает еще одна надпись, (Дьячков-Тарасов, 1899, с. 9, илл. 8; Владимиров, 1902, с. 11–12, табл. 7).

სენტი, ბელეცკოის სიტყვით, 965 წლიდან მე-11 საუკუნის ბოლომდე (1080 წლამდე) მოხატული ყოფილა ოთხჯერ, სხვადასხავა სტილით. ე. ი. ერთ საუკუნეში (115 წელში) ტაძარი ოთხჯერ მოუხატავთ.

ეს წარმოუდგენელია თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ თვით დიდი დედაქალაქების გუმბათიანი ეკლესიებიც კი ასეთი გამალეული ტემპით (თითქმის ყოველ 25 წელიწადში ხელახლა) არ იხატება, თუ არსებობს ასეთი რამ, ალბათ, დიდი გამონაკლისია, მითუმეტეს მთიან რეგიონში. ამიტომ ამ მოსაზრებას ჩვენ არ ვეთანხმებით და მივიჩნევთ, რომ სენტი მოიხატა სხვადასხვა საუკუნესა და ეპოქაში.

მისი მოხატვა და მოვლა-პატრონობა უწყვეტად გრძელდებოდა მე-16 საუკუნემდე და წმიდა ლიტურგია იქ ამ პერიოდში უწყვეტად აღევლინებოდა. ეს არ იყო დაკავშირებული ალანებთან (რადგანაც ალანები აქედან მონღოლებმა გააძევეს), არამედ ამ რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანობისათვის თავდადებულ სვანებთან და აფხაზეთის საკათალიკოსოსთან.

საზოგადოდ, შუა საუკუნეებში ეკლესიის მოხატვა ურთულესი, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო, დაკავშირებული დიდ თანხებთან და სხვა მრავალ შრომატევად სამუშაოსთან. საჭირო იყო ფერების მომზადება, რაც შუა საუკუნეებში სახატავი მასალის ძალზე დიდი დეფიციტის გამო ურთულესი საქმე და დროში გაწელილი პროცესი იყო.

დეფიციტური იყო ასევე შესაბამისი ხელოსნებისა და მხატვრების მოძიებაც, მითუმეტეს, ეკონომიკურად ჩამორჩენილ მთიან რეგიონში.

ეს ყველაფერი მომზადებულიც რომ ყოფილიყო წინასწარ, ეკლესიის მოხატვას მაინც დიდი დრო ესაჭიროებოდა. ეკლესიის დიდი სიმაღლე, გუმბათი, საკურთხეველი, მოითხოვდა საგანგებო ხარაჩოებს. ამის გარდა წირვა-ლოცვა არ უნდა შეწყვეტილიყო და მლოცველებსაც ეკლესიაში უნდა ელოცათ. ამიტომ, ალბათ, მოხატვის გრანდიოზულ საქმეს ათეულობით წელი ესაჭიროებოდა. შეუძლებელია სენტის ეკლესია ერთ საუკუნეში ოთხჯერ მოეხატათ.

არქეოლოგ კუზნეცოვის კვლევით, რომელიც ამ რეგიონს იკვლევდა, ალანები მე-11 საუკუნის ბოლოს განომადდნენ და მიატოვეს ეს ქალაქები, ხოლო მე-13 ს-ის დასაწყისში ისინი აქედან გააძევეს მონღოლებმა“.

ეს ეკლესიები მე-13, მე-14 და მე-15 საუკუნეებშიც მოქმედი იყო, რისი დასტურია სწორედ მისი მრავალჯერადი მოხატულობა, ეს ეკლესია ისეთი პატივცემული იყო, რომ მის მხატვრობას ყოველ საუკუნეში ანახლებდნენ მორწმუნეები.

მე-13 საუკუნის შემდეგ ამ რეგიონიდან ალანები უკვე განდევნილები იყვნენ და ქართველების გარდა ვის ესაჭიროებოდა წირვა-ლოცვა აქაურ მუსულმანებს თუ წარმართებს? ამ რეგიონში მხოლოდ ქართველობა, კონკრეტულად კი საქართველოს ეკლესიის მრევლი, დარჩა ქრისტიანული. თვით ბელეცკის სიტყვით, რაღაც დროის შემდეგ, მეორე და მესამე ეტაპის გამოსახუ-

ლებანი გადაფარული იყვნენ ახალი ნალესებით. Спустя определенное время изображения второго и третьего этапов были перекрыты новой обмазкой.

ბოლო ეტაპზე ტაძრის კედლები მთლიანად მოხატეს.

ვინ მოხატა? ბიზანტია აღარ არსებობდა. დასავლეთ კავკასიის ალანია ასევე უკვე აღარ არსებობდა, აქ აღარავინ იყო ქრისტიანი ქართველების გარდა.

მკვლევარი წერს: „სამწუხაროდ წარწერები თითქმის მთლიანად მოსპეს. К сожалению, надписи почти полностью утрачены.

ეს წარწერები მოისპო მხოლოდ რუსების მმართველობის დროს. ამ დროს, ჩანს, უფრო ქართული წარწერები მოსპეს.

სენტის ეკლესიაში ეს წარწერები უნდა ყოფილიყო განმარტებითი წარწერები შესაბამისი ფრესკებისა.

ნამდვილად ქართულია სენტის მხატვრობა?

ამის შესახებ თვით რუსი მკვლევარები წერენ, რომ სენტის ფრესკებში თვალში საცემია ქართული ნაკადი. «ощутимой грузинской струи в сентинских фресках» (Кузнецов, 1977, с.79). ქართული საეკლესიო სულით გამსჭვალულია აქაური ეკლესიები.

ვ. კუზნეცოვმა იპოვა მსგავსება ატენის სიონისა და სენტის ფრესკებში. **В.А. Кузнецов обратил внимание на сходство орнаментальных мотивов последнего слоя сентинских фресок с росписями Атенского Сиона (Кузнецов**, 1977, с. 77, 79).

სენტთან დაკავშირებით ახსენებენ უდაბნოს მონასტრების ფრესკებსაც. ასევე გვერდს ვერ უვლიან მსგავსებას სვანების ეკლესიათა ფრესკებთან. მართლაც, სენტი, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიის სვანეთში მდებარეობდა, ამიტომაც აქ სვანური საეკლესიო მხატვრობის გავლენა უეჭველი უნდა იყოს.

ამის მიუხედავად, დაინტერესებული რუსი თუ ოსი მკვლევარები მაინც მხოლოდ ბიზანტიურ ხელოვნებასთან აკავშირებენ სენტის მხატვრობას, თუმცა საბოლოოდ იძულებულნი არიან, მორცხვად, მაგრამ მაინც ქართულ გავლენაზე ისაუბრონ. „нельзя отрицать и влияния Грузии“

მკვლევარი მოხატვის პირველ ფენას ათარიღებს 965 წლით, მეორესა და მესამეს მე-10 – მე-11 საუკუნეებით, მაგრამ არ ათარიღებენ მეოთხე უფრო სრულ ფენას სენტის ეკლესიის მხატვრობისა.

სენტის ეკლესიის ბერძნულ საქტიტორო წარწერასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რატომ მოათავსეს ბერძნული საქტიტორო წარწერა შეუსაბამო ადგილზე, იატაკიდან 2 მეტრზე უფრო მაღლა, სადაც მისი წაკითხვაც გაჭირდებოდა? ამასთანავე, ეს საქტიტორო, ყველა ტაძრისათვის საამაყო წარწერა, მალევე დაუფარავთ შელესილობით და ფრესკებით („Уже на втором этапе она была перекрыта тонким слоем побелки“).

ისმის კითხვა: რატომ დაფარეს სენტის ბერძნული წარწერა ფრესკებით მრავალჯერ სხვადასხვა ეპოქაში? რატომ მალავდნენ მას საგულდაგულოდ?

ეს წარწერა ისე იყო დამალული უძველესი ნალესითა და ფრესკებით, რომ ის ვერ შეამჩნიეს მე-19 და მე-20 საუკუნეებშიც კი, სანამ ფრესკის ბოლო ფენები არ ჩამოცვივდა.

მართლაცდა, თვით ამ ეკლესიაში ამ წარწერის ბედი გაურკვეველია. კვლავ ისმის კითხვა – რატომ დაფარეს ბერძნული საქტიტორო წარწერა მალე-ვე ახალი ნალესით? ეს დაუშვებელი იქნებოდა ნორმალურ ვითარებაში. ალ-ბათ, იმიტომ, რომ მეორე კურთხევა ტაძრისა ქართული იყო და არ ესაჭიროე-ბოდათ ძველის გახსენება, ანუ, შესაძლოა, მართლაც აკურთხეს სენტის ტაძარი აღნიშნული წარწერის შესაბამიად, მაგრამ მალევე ტაძარი ხელახლა უკურ-თხებიათ ქართველებს. ამიტომაც ძველი, უცხო იურისდიქციის წარწერა გადა-ფარეს ნალესით, შემდეგ კი რამდენჯერმე – ახალი ფრესკებით.

ნამდვილად საქტიტოროა ეს წარწერა და სენტის ეკლესიას ეკუთვნის?

სპეციალისტის სიტყვით, ეს წარწერა, შესაძლოა, თავდაპირველად სხვა საგანზე იყო მოთავსებული, თიხის, ლითონის ანდა ხის რაღაც სიბრტყეზე და მხოლოდ შემდგომ გადაიტანეს სენტის ეკლესიის კედელზე. ამიტომაც შეი-ძლება გამოითქვას ვარაუდი, იქნებ ბიზანტიაში რაიმე მაგარ მასალაზე დაწე-რეს ეს წარწერა (უკვე მზამზარეული ტექსტი) რომელიღაც ეკლესიაში მისატა-ნად და ასე აღმოჩნდა ის სენტში.

სენტის ბერძნული წარწერა ასეთია: „იკურთხა და განახლდა ეკლესია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა იმპერატორისა და ავგუსტოს ნიკიფორეს მე-ფობისას, და ალანიის ეკსუსიოკრატორ დავითისა და მარია ეკსუსიოკრატორ-ისას, 2 აპრილს, წმიდა ანტიპასხის დღეს, ალანიის მაკურთხეველი მიტრო-პოლიტ თეოდორეს ხელით, ქვეყნის შექმნიდან 6473 წელს, დაიწერა პატრიკის აპოკრისარ იმიარეკის ხელით“.

ეს წარწერა ჩვენ გვაფიქრებინობს, რომ 1. სენტის ბერძნული წარწერა თავდაპირველად ბიზანტიაში დაიწერა დაფაზე, რომელიც საგანგებო იყო მომზადებული გადასატანად. მისი გადატანა, ჩანს, განზრახული იყო კავკა-სიის ალანიაში აშენებულ რომელიღაც ეკლესიაში (შესაძლოა, ანაკოფიიის ციხე-სიმაგრეში). აქედან, ის, შესაძლოა, რაღაც შემთხვევის გამო მოხვდა სენ-ტის ეკლესიაში. 2. შესაძლოა ასევე ვიფიქროთ, რომ სენტის ეკლესიის ადგილ-ზე ანდა მის მახლობლად ბიზანტიელებმა მართლაც ააშენეს რაიმე პატარა ზომის ეკლესია, რომლის ნაკვალევსაც არქეოლოგები უთითებენ კიდეც სენ-ტის ეზოში. ბიზანტიელების აქედან გაძევების შემდეგ (რომელიც მოხდა ალანთა მეფეების ნებით), ეს პატარა ეკლესია დაინგრა, მაგრამ წარწერიანი და-ფა გადარჩა და ეს წარწერა, ვითარცა ისტორიული მოგონება, გადაიტანეს აფხაზ მეფეთა მიერ აგებულ სენტის ახალი ტაძრის კედელზე. 3. ან წარწერა იყო ძველი ეკლესიის კედელზე და ის გადაიტანეს ახალში.

შოანას ეკლესიის ქართული ნაკვალევის განადგურება მე-20 ს.-ში

შოანის ეკლესია ყარაჩაი-ჩერქეზეთში (Shoana Church in Karachay-Cherkezia), ქართული ეკლესიაა, მას შუანას მონასტერი ერქვა. ეს ტერიტორია ქართული კულტურის არეალში იყო. ზოგი ცნობით, საქართველოს ისტორიულ საზღვრებში (სვანეთში) შემოდიოდა. აქედან მოსახლეობა ქრისტიანული აღმსარებლობის გამო განიდევნა მე-18 საუკუნის ბოლოს. რაც ფაქტად იქცა რუსეთის ხელისუფლებისათვის, 1839 წლიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიამ ახალი საზღვარი გაავლო საქართველოს (სვანეთსა) და ყარაჩაის შორის.

შოანა, ყარაჩაი- ჩერქეზეთში, გზაჯვარედინზეა, შოანადან გზები მიდის სოხუმსა და ყუბანში

http://www.dombayinfo.ru /№

მიღებულია, რომ შოანას ეკლესია აგებულია მე-10 საუკუნეში. შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. მდებარეობს თავისუფალი სვანეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციის ყარაჩაი-ჩერქეზეთშია.

დგას ყუბანის მარცხენა სანაპიროზე შოანას მთაზე, სოფელ ხეთაგუროვთან, ქალაქ კარაჩაევსკის ჩრდილოეთით 7 კილომეტრში. აგებულია ტიპიური ქართული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად. გეგმაში არის სამნავიანი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა, ეყრდნობა ოთხ სვეტს, სიგრძე და სიმაღლე არის 12,9 მ. და სიგანე (დასავლეთ ფასადი) – 8,9 მ.

2007 წელს საბოლოოდ დაუკარგეს პირველსახე შოანას ეკლესიას ოსური სოფლის ხეთაგუროვის მცხოვრებლებმა, რომელთაც ნებართვის გარეშე თვითნებურად „გაარემონტეს“ ეკლესია. მათ უხეშად ჩამოყარეს ეკლესიის შელესილობა მის ქვეშ მოქცეულ ძველ შელესილობასთან ერთად, რომელზეც იყო ძველი ფრესკები, შესაბამისად ხუცურ წარწერებთან ერთად.

ამ დროს, ჩანს, შეგნებულადაც განადგურდა ძველქართული წარწერები და სხვა უამრავი საგვარეულო ნიშან-დაღები, გამოხატულნი ეკლესიის კედლებზე საუკუნეთა მანძილზე ეკლესიის წინაშე დამსახურებული სვანური საგვარეულოებისა. მათი უმცირესი ჯერ კიდევ არსებული, გადარჩენილი ნაწილი, ანუ გადარჩენილი ქართული ასო-ნიშნები (წარწერები) ამჟამად დაფიქსირებულიც კი არაა და, ალბათ, მალე გაანადგურებენ, როგორც თვითონ რუსი მკვლევარი წერს: В результате часть этой обмазки погибла, а на открывшихся частях в настоящее время имеются остатки древней декоративной росписи, греческие, арабские, грузинские, армянские и русские надписи различных эпох и многочисленные северокавказские родовые знаки-тамги. Все эти артефакты никак не зафиксированы и в скором времени могут быть утрачены.

https://ru.wikipedia.org/wiki//%D0%A8%D0%BE%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9–%D1%85%D1%80%D0%B0%D0%BC

ესეც არ დააკლეს. 2011 წელს ეკლესია გადაწვეს. 30 апреля 2011 года неизвестные подожгли храм. [იქვე]

შოანას ეკლესია ძველქართული ეკლესია რომ იყო, ეს კარგადაა ცნობილი ადგილობრივი მცხოვრებთათვის. მეცნიერ ბ. კალოევის ცნობით, შოანასთან მდებარე ოსური სოფლის კოსტა ხეთაგუროვის მცხოვრებლები ამ ეკლესიას უწოდებენ თავის ნამდვილ სახელს – „სვანების წმიდა გიორგი“-ს (Калоев Б. А. Вторая Родина Коста – Владикавказ: Ир, 1999). აქედან გამომდინარე, როდესაც ამ სოფლელებმა ჩამოანგრიეს ეკლესიის ძველი შელესილობა ქართული ნიშნებითა და წარწერებით, კარგად იცოდნენ, რომ ისინი არა ალანების, არამედ ქართველების (სვანების) ეკლესიიას ანადგურებდნენ, Осетины, проживающие в селе имени Коста Хетагурова, называют храм Суаны Уастырджы. См.: Калоев Б. А. Вторая Родина Коста – Владикавказ: Ир, 1999.

დასკვნა

რუსულ და შეიძლება ითქვას ქართულ სამეცნიერო წრეებში, რაც აისახება საინტერნეტო სივრცეზე, მიღებულია, რომ ზელენჯუკ-არხიზის, შოანა-შუანასა და სენტის ეკლესიები ალანური ტაძრებია, შემავალნი ალანიის ეპარქიაში, ნაგებნი ბიზანტიელთა მიერ მე-10 საუკუნეში, რომელნიც ამ საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე უცვლელად იდგნენ, ამავე დროს სრულიად იჩქმალება მრავალი ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ეკლესიები მოქმედებდნენ და მათ ერთგული მრევლი ჰყავდა მე-17, მე-18 საუკუნეებშიც კი, მაგალითად – შუანას, იგივე შოანას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, თვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ლოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში, მღვდელი ლოცულობდა შუანას ეკლესიაში და მას მრევლი ჰყავდა.

2. შოანას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერია. ის მოქმედია და ცდილობს, განსაზღვროს, თუ მათ შორის რომელია ღვთის მიერ უფრო გამორჩეული ქრისტიანი. უბრალო ხალხი, რიგითი ქრისტიანი გლეხები, ასეთად მიიჩნევენ ეკლესიის ახლოს, სწორედ უშუალოდ ეკლესიასთან, თუნდაც მეხის გამო დაღუპულს. ხალხური ადათით, ეკლესიასთან (ეკლესიისათვის) დაღუპულს მიაგებდნენ სათანადო პატივს, თუმცა, ცხადია, მღვდელი საეკლესიო წესების შესაბამისად მოქმედებდა.

ამჟამად რუსული ორიენტაციის მკვლევარები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ შოანას ეკლესია ალანებისა იყო, მაშინ, როცა ალანია ალანებითურთ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გაანადგურეს მონღოლებმა. მაშ, ვინ ლოცულობდა შოანას ეკლესიაში მე-18 საუკუნეში მღვდელთან ერთად, როგორც რეინეგსი წერს? არა ალანები ანდა ოსები, არამედ ქართველები, კერძოდ კი სვანები. სწორედ მათ შემოინახეს მე-19 ს. დასაწყისში შესანიშნავად მდგარი შოანას ეკლესია მთელი სახურავითა და კედლებით, რომელსაც მე-18 საუკუნეში თავისი ზარებიც კი ჰქონდა. ქართველები აქედან გააძევეს უფრო 18 ს.-ში მუსულმანურმა „სავიარებმა“. რუსებმა კი ეს უკანონობა დააკანონეს, ხოლო მე-19 ს-ში აქ ოსები ჩაასახლეს, სოფელს ხეთაგუროვო დაარქვეს.

„ტაძართან ახლოს უნდა ყოფილიყო წიგნსაცავი, საიდანაც რაინეგსმა წაიღო ორი წიგნი: ერთი საეკლესიო ცნობარი და მეორე, სავარაუდოდ, იესო ქრისტეს ცხოვრება. წიგნები დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება“, – წერს თ. დიასამიძე. მე ვფიქრობ, რომ მე-18 საუკუნეშიც კი შოანას მოქმედ მღვდელს ლიტურგიისა და ლოცვებისათვის წიგნები ესაჭიროებოდა და, ცხადია, ეს წიგნები ქართულენოვანი იყო, რადგანაც მე-18 საუკუნეში კავკასიის მთებში წირვა-ლოცვას არავინ აღასრულებდა ბერძნული, რუსული, ოსური ანდა აფსუათა ენებით. ერთადერთი სალიტურგიო ენა კავკასიაში მე-12 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე, რუსების გაბატონებამდე, იყო ქართული ენა. ესაა ფაქტი. სწორედ ქართული ენის კავკასიის მთიანი რეგიონიდან გასაძევებლად შექმნეს რუსებმა ადგილობრივ დიალექტებზე საქრისტიანო წიგნები, რითაც არა მხოლოდ ქართული ენა გააძევეს კავკასიის მთებიდან, არამედ სათავე დაუდეს არაქართული და არაქრისტიანული ეთნოცნობიერების ფორმირებას და ყოფილ ქართულ ეთნოსუბსტრატზე ჩამოაყალიბეს ახალი პატარა ეთნოსები, ოღონდ უკვე მუსულმანური აღმსარებლობისა.

რუსულ საინტერნეტო სივრცეში ისმის კითხვა, რატომ არ დაანგრიეს მონღოლებმა ალნთა უსასტიკესი დევნისას ალანების ეკლესიებად მიჩნეული ზელენჯუკისა და სხვა ტაძრები, მათ არა აქვთ პასუხი ამ კითხვაზე, სინამდვილეში ეს ტაძრები იდგნენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიებზე, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოსთან კი მონღოლებმა ზავი დადეს 1230–40-იან წლებში, სტეპების ალანებთან ომისას, ამის გამო ცხადია, მონღოლები ვერ შეეხებოდნენ ქართველი მეფეების მიერ ნაგებ და საქართველოს ტერიტორიაზე მდგარ ტაძრებს.

ზელენჯუკში არ იდგა კათედრა ალანიის მიტროპოლიტისა, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონსანტინოპლოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში, არამედ დონისპირეთის სტეპებში, ის იქ შეიქმნა მომთაბარე, ნომადი ქრისტიანი ალანებისათავის

ნომად ალანებს, ამ გაშლილ ველებზე, თავიანთი მწემსური ცხოვრებიდან გამომდინარე არ ჰქონდათ ქალაქები, ამიტომაც ამ ეპარქიის მღვდელმთავარს ბიზანტიამ კათედრა დაუარსა სოტირიოპოლში, ლაზიკაში.

რაც შეეხება ზელენჯუკ-შოანა-სენტის ეკლესიებს ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურიდიქციაში შედიოდნენ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ამ რეგიონიდან კავკასიელ ალანთა მეფეებმა ბერძენი სასულიერო პირები გააძევეს აფხაზ მეფეთა მოთხოვნით.

ნაწილი მესამე

ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში (ოსეთი, დურძუკეთი, დაღესტან-ალბანეთი)

თავი პირველი

ოსეთი

ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთის შესახებ

ჩრდილოკავკასიის ეთნიკური სახე ვახუშტის მიხედვით

ვახუშტი იმეორებს ძველ ქართულ კონცეფციას ჩრდილო კავკასიის ეთნიკური წარსულის შესახებ.

ის, ვითარცა სხვა ძველი მემატიანენი, მიიჩნევს, რომ ქართველები და, საერთოდ, კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა ერთი წარმოშობის ხალხები იყვნენ, რომელნიც მომდინარეობდნენ ინდოევროპელთა საერთო წინაპარ იაფეტისგან.

იაფეტის ძე იავანი, ანუ ავანანი ბალკანელთა და ბერძენთა საერთო წინაპრადაა მიჩნეული, მისი ძე იყო ბალკანელთა ეპომენი – თარში, თარშის ძე კი თარგამოსი ყოფილა, თავის მხრივ, თარგამოსი – ქართველთა და, საერთოდ, კავკასიელთა საერთო წინაპარი ყოფილა, ვახუშტისა და ძველ მემატიანეთა მიხედვით.

ამ კავკასიელთა შორის იგულისხმება როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიელები.

ასე, რომ ვახუშტისა და ძველ ქართველ მემატიანებს ქართველები და კავკასიელები ინდოევროპულთა ოჯახის წრის წევრებად მიაჩნდათ (თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ), რადგანაც მათი საერთო წინაპარი – იაფეტი ინდოევროპელთა პირველი წინაპარი იყო. ვახუშტი კიდევ უფრო აკონკრეტებს: კავკასიელთა საერთო წინაპარი თარგამოსი ბალკანელთა წინაპრად მიჩნეული ავანანის ძის, თარშის, ძე იყო (ავანანისაგან წარმოდგნენ იონელები (ბერძენ-პელაზგელთა წინაპრები, თარშისაგან – ბალკანელები). ვახუშტი თარგამოსს პელაზგებთან და ბალკანელებთან აკავშირებდა.

ეს თეორია ეთანადება სამეცნიერო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ქრისტეშობამდე დაახლოებით 1,5 ათასი წლის წინ მიმდინარეობდა მცირე

აზიაში ბალკანელი ხალხების მიგრაცია. სტრაბონი ბალკანეთიდან მცირე აზია-კავკასია-არაქსის ხეობაში ბალკანელთა მიგრაციას აკავშირებს არგონავტებთან, რომელთაგან ზოგიერთმა გმირმა, თითქოსდა, სათავე დაუდო ადგილობრივ მოსახლეობას (ამ, ბალკანეთიდან შემოსულ, ხალხთა შორის იხსენებიან ბრიგებიც – შესაძლოა, იბერიელ-კავკასიელთა წინაპრები).

ვახუშტი წერს: „**ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ შვა ავანან, ავანან შვა თარში, თარშმა შვა თარგამოს, თარგამოს შვა რვანი გმირნი ესე: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკანოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს**“ („**ქართლის ცხოვრება**“ IV, 1973, გვ. 47).

ამ კონცეფციის მიხედვით ქართველები და ძველი კავკასიელები ხალხთა ინდოევროპული ოჯახის წევრები იყვნენ ნოეს ძის იაფეტისაგან წარმომავლობის გამო.

ქართულ და ინდოევროპულ მრავალ მახასიათბელთა მსგავსებას ზოგიერთი მკვლევარიც მიუთითებს (მაგალითად, ქართულ-დასავლურ-ევროპული მრავალხმიანობა – პოლიფონია, ენობრივი ერთწარმომავლობა (ნოსტრატიულ ენათა ოჯახი), სოციალური სტრუქტურების მსგავსება და სხვა).

იაფეტის შვილიშვილ თარგამოსის ძეებს (ვახუშტის მიხედვით, გმირებს) წილად ხვდათ თავ-თავიანთი მიწა-წყალი.

„**ლეკანის**“ წილხვედრი ქვეყანა, ჩრდილო კავკასიაში, აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო კასპიის ზღვით, სამხრეთით კავკასიის ქედით, დასავლეთის მხრიდან კავკასოსის წილი ქვეყნით, ჩრდილოეთით კი დიდი ხაზარეთის მდინარე ვოლგით (დიდი ხაზარეთის წყალით).

„**კავკასოსის**“ წილი ქვეყანა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა, განვრცობილი იყო ლეკანის საზღვრამდე და შავ ზღვამდე (იქვე, გვ. 4),

„**ეგროსს**“ ჩრდილოკავკასიაშიც თავისი წილი ჰქონდა: ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა იქამდე, სადაც კავკასიის მთის წვერი ეხება მცირე ხაზარეთის წყალს (მდ. ყუბანს), რომელიც ახლოს მდებარეობდა ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე პუნქტ კაფასთან. ამ უკანასკნელს, ვითარცა საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის საზღვარს, ხშირად ახსენებენ ქართული და უცხოური წყაროები (აფხაზეთის საკათალიკოსოს იადგარი, არქანჯელო ლამბერტი).

ქართულ წყაროებში „**დიდი ხაზარეთის წყალი**“ ეწოდება მდ. ვოლგას, ხოლო „**მცირე ხაზარეთის წყალი**“ – ყუბანს.

ამ ორი მდინარის შორისი **(ვოლგასა და ყუბანს შორის მდებარე) ტერიტორია ეგროსს, კავკასოსსა და ლეკანს ეკუთვნოდა, რომელნიც, ვახუშტის ცნობით, სახელმწიფოებრივად მცხეთელი მამასახლისის მორჩილების ქვეშ იყვნენ.**

ვახუშტი წერს: „ხოლო ოდეს მოვიდა კავკასოს წილხვდომილსა თვისსა და დაეშენა ამათ ქვეყანათა, და დაიპყრა მან და ძეთა მისთა, გამრავლდნენ ესენი და იყვნენ მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისასა ... გამოსვლამდე ხაზართა მეფისა, ოდეს გამოვიდა ხაზართა მეფე, მისცა ქვეყანა ესე ურბანოსს ძესა თვისსა (რომელმან უწოდა ოვსეთი) და ტყვენი რანისანი და სომხითისანი, მაშინ მოვიდა ურბანოსს ტყვითა მით და დაეშენა თვით, და ტყვენიცა იგი დააშენა აქა ველსა ამას“ (ქ.ც., IV, გვ, 65).

ე.ი. ჩრდილო კავკასია თავდაპირველად დასახლებული იყო თარგამოსიანი, ანუ ქართველთა მონათესავე ხალხით – კავკასოსის შთამომავლებით, შემდეგ კი მათ ქვეყანაში მივიდა და დაემკვიდრა ახალი ხალხი – ოსები (ალანები). ვახუშტის სიტყვით, ისინი ხაზარების შთამომავლები იყვნენ.

ვახუშტი ამ ხალხს ხაზარებს უწოდებს, რათა თავისი დროის მკითხველს მარტივად მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ეს ხალხი, ცნობილი ხაზარების მსგავსად, თურქულენოვანი იყო, ამიტომაც უწოდებს მათაც ხაზარებს. აღსანიშნავია, რომ მისი მჯელობიდან გამომდინარე, შემდგომში კავკასიაში გამოჩდნენ ირანულენოვანი ალანებიც.

აღნიშნული თურქულენოვანი ალანები (ოვსები) დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობზე და იქ დაიკავეს კავკასოსის – კავკასიური ხალხის ტერიტორია.

აქედან ჩანს, რომ ვახუშტის თვალთახედვით, **ფარნავაზამდელი ოსები, ანუ ოვსები, რომელნიც ჩრდილო კავკასიის ველზე სახლობდნენ და ალანების სახელით იყვნენ ცნობილნი, წარმოადგენდნენ თურქულენოვან და არა ირანულენოვან ხალხს** (ოვსების პირველწინაპრად მიჩნეული ურბანოსი ხაზართა მეფის ძე იყო, ხაზარები კი თურქულენოვანი ხალხი).

ძველი, ცნობილი ალანების თურქულენოვნების შესახებ სხვა ცნობებიც არსებობს.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ამ კონცეფციის თანახმად, კავკასია თავდაპირველად დასახლებული იყო ერთი წარმომავლობის ადგილობრივი ტომებით (სტრაბონიც მიუთითებდა მთიელი იბერებისა და ჩრდილო კავკასიელ სარმატების ნათესაობის შესახებ), შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდა თურქულენოვანი ხალხი, ოვსების, ანუ ალანების წინაპრები. შედეგად ჩრდილო კავკასიის დაბლობი მათ ხელში აღმოჩნდა. ჩანს, ადგილი ჰქონდა ალანებში კავკასიელთა ასიმილაციას („ხაზართა მეფე“ –> ურბანოს –> ოვსეთი).

როგორც აღინიშნა, არსებობდნენ ირანულენოვანი ალანებიც. კავკასიაში მათი შემოსვლის თარიღი უცნობია, მაგრამ ისინი მონღოლობის ეპოქაში ფიგურირებენ. მათაც შეძლეს თავის წიაღში კავკასიელთა ასიმილიაცია. ასიმილაციის გამო კავკასიის როგორც თურქულენოვანი, ისე ირანულენოვანი ალანები, ეთნიკურად უფრო კავკასიელ ხალხთა ოჯახის წევრად გადაიქცნენ.

ვახუშტი განაგრძობს, რომ ფარნავაზამდელ ეპოქაში, ეთნიკურად ჩრდილო კავკასია ალანთა შემოსვლის შემდეგაც კვლავინდებურად რჩებოდა კავკასიელთა ეთნიკურ ოჯახში, ამის ერთ-ერთი მიზეზი „რანელი და სომხითარი“ ტყვეების სიმრავლეც ყოფილა. ამიტომაც ჩრდილო კავკასიელები კვლავინდებურად ქართველთა მონათესავე ხალხად რჩებოდა შემდგომაც.

ამ ფაქტს მიუთითებდა კიდეც ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცე, ის აღნიშნავდა: ოსების (ალანების) ქართველთა ეთნიკური ოჯახის წევრობის შესახებ, წერდა, რომ ალანები ქართველთა ეთნიკური ჯგუფის წევრები იყვნენ.

იოანე ცეცე, კავკასიური წარმოშობის ბიზანტიელი გენერალი წერდა, „იბერები, აბაზგები და ალანები ერთი წარმოშობის ხალხია“ – „ибери, абазги и алани одного рода” (გეორგიკა, 1967, ტ, VII, 22-26).

იოანე ცეცე კარგად იცნობდა ალანებსა და იბერებს, რადგანაც თვითონ ის ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მარიამ ალანელის წრიდან იყო.

იოანე ცეცეს ალანები, აფხაზები და ქართველები ერთი გენის ხალხად მიაჩნია.

როგორც აღინიშნა, სტრაბონიც მიუთითებდა მთიელი იბერებისა და ჩრდილო კავკასიელების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. ამასვე მიუთითებ-დნენ ქართული წყაროებიც.

ვახუშტი მიუთითებს, რომ ქრისტეშობამდე IV–III საუკუნეებში ჩრდი-ლო კავკასია შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს სამეფო დააარსეს აზონმა და ფარნავაზ მეფემ. ფარნავაზმა სახელმწიფოებრივი საიმტკიცის გასატარებლად დინასტიური კავშირი შეკრა ჩრდილოკავკასიის ძლიერ ხალხთან – დურძუკებთნ.

ვახუშტი ასე აღწერს ჩრდილო კავკასიის ქრისტეშობამდელ ისტორიას: ლეკანის შთამომავალთა შორის გამორჩეული იყო ხოზონი, ის ხაზართა (გუ-ლისხმობს თურქულენოვან ალანებს) შემოჭრის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყნის ბარი (ჩრდილო კავკასიის სტეპები) და თავისი ხალხით შესულიყო კავკასიის მთებში (ანუ დაღესტანში). აქ აღაშენა ქალაქი ხოზონრეთი და ხარკს უხდიდა ხაზარებს.

რაც შეეხება კავკასოსს, მისი შთამომავლები ცხოვრობდნენ შავ ზღვამდე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, მის ქვეყანაშიც ჩრდილო კავკასიის დაბ-ლობში დასახლდნენ ალანები (თურქულენოვნები) – ოვსები. ამის გამო, წერს ის, კავკასიის მთიანეთს ეწოდა „კავკასი“ ხოლო მის ველს – „ოსი“ (ჩრდილო კავკასიის დაბლობი). პოლიტიკურად ის ექვემდებარებოდა ხაზარეთს (იგუ-ლისხმება თურქულენოვანი ხალხი).

ხაზართა მეფის ძეს ერქვა ურბანოსი, რომელსაც საქართველოდან გაუყ-ვანია დიდძალი ტყვე. ამ დატყვევებულ ხალხს ვახუშტი უწოდებს „ტყვენი რან-სომხითისანი“. ხაზარებს (თურქულენოვან ხალხს) ჩრდილო კავკასიის ბარში ამოუწყვეტიათ კავკასიელები და თვითონ დასახლებულან თავიანთი ქართველი (ანუ რან-სომხითის) ტყვეებით და ამ ქვეყანას თურმე უწოდა „ოვსეთი“.

ე. ი. „ოვსეთი“ ძველი ალანია, ქართველებით (დატყვევებულთა შთა-მომავლებით) იყო დასახლებული, რადგანაც ტყვენი რან-სომხითისანი ამას გულისხმობს (სომხითი ქვემო ქართლის მხარეს ერქვა), აქედან ჩანს, რომ ვახუშტის თვით ალანიის სიძლიერის დროსაც კი ალანები ქართული გენეტი-კის მქონე ხალხად მიაჩნია, რადგანაც „ქართლ-სომხეთის ტყვეთა“ შთამომავ-ლები იყვნენ, თუმცა კი ხაზარების (ე.ი თურქულენოვანი ხალხის) ბატონობის არეალში ცხოვრობდნენ.

ასეთი ყოფილა კავკასოსის, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ისტო-რია. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთს, მისი ერთი ნაწილი და-

იჭირა კავკასოსის ძემ – დურძუკოსის შთამომავალმა. ხაზართა (ე,ი, თურქულ-ენოვანი ხალხის) მიზეზით მათაც თავი შეაფარეს კავკასიის მთებს. აქ აღაშენეს ქალაქი დურძუკი. ამის გამო მიწა-წყალი თერგიდან (არაგვიდან) – ლეკეთა-მდე (დაღესტნამდე) იწოდა ძურძუკეთად.

ვახუშტი მდ. თერგს უწოდებს ორ სახელს – „არაგვს“ და ლომეკს, ამ მდინარის დასავლეთი მხარე იწოდა დვალეთად, ხაზართა ენის მიხედვით („დუ“-ორი).

მიზეზი ამისა ყოფილა ის, რომ დვალები ხაზარებს ორ წელიწადში ერთ-ხელ უხდიდნენ ხარკს. ეს ხდებოდა ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში. შემდეგში, ქართლში (იბერიაში), ფარნავაზის გამეფების შემდეგ „დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, სხვანი ხევნი დაშთნენ მეფესა ოს-თასა“ (ქ.ც., IV, გვ. 633). ე.ი შუა კავკასია ერთმანეთს შორის გაუყვიათ თურ-ქულენოვან ოსების სახელმწიფოსა და ქართულს. დურძუკეთი და დვალეთი ქართლის სამეფოს ნაწილი ყოფილა.

ფარნავაზის სამეფოში შემავალი ძურძუკეთი (დურძუკეთი), თავის მხ-რივ, სამ ნაწილად იყოფოდა. ესენია, ვახუშტის სიტყვით, ქისტი, ღლიღვი და ძურძუკი, ხოლო ქართლის სამეფოში შემავალ დვალეთშია კასრის ხევი, ზრა-მაგი, ჟღელე, ნარი, ზროგო და ზახა. ეს მხარეები ქართველ მეფეებს ემორჩი-ლებოდნენ.

ქართული წყაროების ცნობით, ვახტანგ გორგასალი შეებრძოლა ოსებს ჩრდილო კავკასიაში, შეძლო მათგან ჩრდილო კავკასიის ქართული ტერიტო-რიების განთავისუფლება.

ოვს-ალანების სამშობლო, ანუ ჩრდილო კავკასიის ბარი, ბათო ყაენის შემოსევის შემდეგ მოოხრდა. ამ ბარს მონღოლების შემოსევამდე ეწოდებოდა ალანია, ანუ ოვსეთი, ხოლო მის შემდეგ ეწოდა ჩერქეზი (ჩერქეზები, ყაბარ-დო), ვახუშტი წერს:

„შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიისა შინა იწოდნენ: ოვსეთი – ჩერქეზებად, ანუ ყაბარდოდ“ (იქვე, გვ. 634).

ძველ, ანუ ბარის ალანიას ჩერქეზ-ყაბარდო ეწოდა, ხოლო ახალ, ანუ კა-ვკასიის მთების ალანიას – ოსეთი.

ანუ ბათო ყაენის შემდეგ კავკასიაში ოსების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა „ახალი ოსეთი“ ძველი ოსეთი კი ჩერქეზად და ყაბარდოდ იწოდა.

თემურ ლენგის ეპოქაში ირანულენოვან ოსებს მოუხერხებიათ შუა კავ-კასიის მთიანეთის დაპყრობა.

ამ ეპოქაში, ვახუშტის სიტყვით, ოსთა მეფეებს თავიანთი კონტროლი დაუმყარებიათ დვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ „დარჩათ შემდეგი ხევები – ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვილაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი. ისინი ოსების ხელში იმის შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც ჩინგიზ ყაენის მიერ დევნილი „ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა“ (იქვე, გვ. 634).

კავკასიის მთებში შემოსულ ირანულენოვან ოსებს იქ დახვდა მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც დაიმორჩილეს და საზოგადოების დაბალ ფენად გა-დააქციეს. ამის გამო, ზედაფენა ოსური იყო, ოსობდა და თავისუფალი იყო,

ხოლო დამორჩილებული ქვედა ფენა კვლავინდებურად თავისი სატომო სახელით იწოდებოდა. მაგალითად, დვალეთში ზედა ფენა ოსებად იწოდებოდა, ხოლო ქვედა ფანა – დვალებად, ის ოსებზე დამორჩილებული ტომი იყო.

ოსთა ზედაფენაც ძველი, მკვიდრი მოსახლეობის მსგავსად ქართული ენის მიხედვით და ქართული წესით აწარმოებდა თავის გვარებს. ეს მიუთითებს, რომ მათი კულტურის ენა ქართული იყო. ეს ოსური გვარებია ზედაფენისა – ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახალიძე (ქ.ც. IV, გვ. 63).

ვახუშტი „ახალი ოსეთის“ შესახებ

კავკასიის მთიანეთში მდებარე ისტორიულ დვალეთსა და მის შემოგარენს ვახუშტი „ახალ ოსეთს“ უწოდებს იმის შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან, ანუ „ძველი ოვსეთიდან“ ბათო ყაენის მიერ ლტოლვილი ოსების ნაწილმა თავი შეაფარა კავკასიის მთიანეთს, დაიმორჩილა იქ მცხოვრები ტომები და მათ ქვეყანას ახალი სახელი მიანიჭა.

შუა ჩრდილო კავკასიის მთიანეთს, ვახუშტი, როგორც აღინიშნა, „ახალ ოსეთს“ უწოდებს. ახალი ოსეთი ძირითადად დვალეთს ეწოდა, ძველ ქართულ ქვეყანას, ძველი ოსეთი კი დაიცალა ოსური მოსახლეობისაგან, აქ ადიღეველები დაბინავდნენ და ჩერქეზ-ყაბარდოდ იწოდა.

დვალეთში ოსები ახალი ხალხი იყო, ოსების პირველი ტალღა აქ შემოსულა მონღოლთა ეპოქაში მის შემდეგ, რაც კავკასიის სტეპების მომცველი ალანია მონღოლებმა დაამარცხეს, ოსების ერთი ლტოლვილი ნაკადი შეჭრილა შუა კავკასიის მთიანეთში და დაუპყრია დვალეთ-სვანეთის ოლქები – ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვილაგირი, ფაიქომი, დიდგორი და ბასიანი, დაპყრობილი ოლქების გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა თავისუფალი დვალეთი.

თავისუფალი დვალეთის ნაწილი ოსების მეორე ტალღამ დაიპყრო მოგვიანებით, თემურ ლენგის შემდეგ.

დვალეთი ქართველ მეფეებს ქართლის სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნდათ. ამიტომაც ყოველ შესაძლებელ მომენტში ცდილობდნენ მის კვლავინდებურად დამორჩილებას, ბოლოს აქ ქართლის სამეფოს სარდალმა გიორგი სააკაძემ ილაშქრა XVII საუკუნეში. თავის მხრივ, დვალეთში უკვე გაბატონებული ოსი დიდებულებიც აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოს უზენაესობას ზოგიერთ ვითარებაში.

დაახლოებით XIV–XV საუკუნეებში ჩერქეზთა მიერ ლტოლვილი ოსების მეორე ტალღამ, როგორც ითქვა, შეძლო გაბატონება თავისუფალ დვალეთში.

დვალები არ იყო ოსური ტომი, დვალები ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობა იყო და, ვახუშტის ცნობით, მათ XVIII საუკუნეშიც კი თავიანთი ენა-დიალექტი ჰქონდათ ოსურისაგან განსხვავებული. ჩანს, ის იყო ოსურ-ქართულის ნაზავი ანდა „წამხდარი ქართული“ (დაბალი ფენის ქართული,

სოციალური დიალექტი, გლეხების ენა), სალიტერატურო ქართულის გამოუყენებლობის გამო სახეცვლილი.

იქამდე, ანუ ოსების დვალების შესვლამდე, დვალები ქართული ეკლესიის ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული მრევლი იყო. საქართველოს ეკლესიის კალენდარი ახლაც კი იხსენიებს დვალ წმინდანებს, საეკლესიო მამებს, ცნობილნი არიან დვალი კალიგრაფები, მწიგნობრები, მწერლები, ხელნაწერთა გადამწერები. ეს ხელნაწერები და წიგნები ქართული იყო. ისინი ქართველი გადამწერები, ქართველი მწიგნობრები, ქართველი წმინდანები იყვნენ. დვალურენოვანი მწიგნობრობა არ არსებობდა. დვალები, როგორც სხვა მრევლი საქართველოს ეკლესიისა, ქართულენოვანები იყვნენ. ქართული ენა იყო დვალეთში სახელმწიფო და საზოგადო ურთიერთობის, კულტურისა და მწიგნობრობის ენა. საქართველოს სახელმწიფოს რღვევის შემდეგ დვალებზე ოსები გაბატონდნენ, დვალები ახალ ოსეთში საზოგადოების დაბალ ფენად გადაიქცა, ოსები კი მაღალ ფენად წარმოჩნდა.

ცხადია, ადგილობრივი საზოგადოება, ჩვეულებრივად, ზედა და ქვედა ფენად იყოფოდა, შემოსულ ოსებს მოუხერხებიათ ადგილობრივი ქართული, ანუ დვალური ზედა ფენის მოსპობა, მათ მიისაკუთრეს მათი (ქართველი იგივე დვალი) დიდებულების სახლ-კარი, ადგილ-მამული, ყმები და, ცხადია, მიისაკუთრეს მათი გვარებიც კი (გვარის მიღების ასეთი წესი საქართველოშიც არსებობდა, მაგალითად, ვთქვათ, ციციშვილების მამულზე მოსული ახალი მეპატრონეები ციციშვილების გვარს იღებდნენ საჭიროების შემთხვევაში).

ოსებს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ მთიანეთში მიუსაკუთრებიათ გვარები: სიდამონი, ჭახილიძე, თაგაური, ქურთული, ბადელიძე, ბასიანი და სხვა.

ეს გვარები ორმაგი ქარული გვარ–წარმომქმნელი სუფიქსებით იწარმოება, ესენია: „ძე“ „იანი“ „ელი,“ „ური“ „ონი“ „ილი“.

„ძე“ აქვთ შემდეგ გვარებს: ბადელაძე, ჩერქესიძე, ჭახილიძე.

„ელ“ „ურ“ „ილ“ გვარებს: ბადელი (ბადელიძე), თაგაური, ქურთული, ჭახილი (ჭახილიძე)

„იანი“ „ონი“ – გვარებს – ბასიანი, სიდამონი.

ქართული ნაკვალევი ჩრდილოკავკასიაში მრავალია. მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში მდინარეებსაც ქართული სახელები ერქვათ, მაგალითად, რაჭის მთიანეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალ მდინარეს „რიონი“ ერქვა (ამ მთიანეთიდან ასევე გამოდის დასავლეთ საქართველოს რიონი), მყინვარწვერის მთიანეთიდან გამავალ მდინარეს, თერგს, ერქვა არაგვი და ლომეკი და სხვა. ლომეკთან მდებარეობდა ოლქი, რომელსაც „ხეთაძე“ ერქვა. დვალეთშია ქართული სახელის მქონე მთები „კედელა“ „ბრუც-საბძელა“ „ზეკარა“.

დვალეთში ოსების გაბატონების შემდეგ როგორც ვახუშტი წერს: ქრისტიანობა, მართლია, დაეცა, მაგრამ არ გამქრალა.

დვალეთი და დვალები მე-18 საუკუნეშიც კი თვითმხილველის, ვახუშტის, თქმით, „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფრო დვალნი. არამედ აწინდელთა ჟამთა დვალნი სახელით

ოდენ – ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი, არა უვისთ მღვდელნი და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან, ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალი გლეხნი – ქრისტიანენი ... ენა აქვთ ძველი – დვალური და აწ უბონებნ ოსურსა საკუთრად, ვინაითგან ჩერქეზთა ენა სხვაა... უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი (სიდამონი, ჭახელიძე, თაგაური, ქურთაული, ბადელიძე, ჩერქესიძე, ბასიანი). არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა. ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, და იტყვიან თვით იგინივე თამარ მეფისგანსა“ (ქ.ც., IV, გვ. 638-640).

მაშასადამე, დვალეთში არსებული ციხე–კოშკები და ეკლესიები აგებულან არა დვალეთში ოსების შესვლის შემდეგ, არამედ ისინი აუგიათ ქართველ მეფეებს, მათ შორის თამარსაც, რასაც თურმე ოსებიც მიუთითებდნენ.

ვახუშტი წერს, რომ „ხეთაძე“ ერქვა ტერიტორია იქედან, სადაც თერგს უერთდება „ქისტ – ძურძუკის წყალი“.

ჩიმი ერქვა თერგ-ქისტიწყლის შესართავის დასავლეთით მთისძირში მდებარე ტერიტორიას. ეს იყო კოშკებიანი მხარე სიდამონების მმართველობის ქვეშ.

თაგაური ჩიმის დასავლეთით მდებარეობდა. აქ არის მცირე ეკლესია, კოშკები, ციხეები, რომელნიც „მეფეთაგან ნაშენებია“ იგულისხმებიან საქართველოს მეფეები მონღოლებამდე.

ქურთაული თაგაურის დასავლეთით მდებარეობდა.

ვალგირ-ფაიქომი, ქურთაულის დასავლეთით, ჭახილიძეებისაა. აქაა ხოხის მთა. „სახელი მოიგო თვისი ხოხვით სლვისათვის“ (ქ, ც IV გვ. 644).

კასრის ხევს ფაიქომის დასავლეთით კვლავ დვალეთს უწოდებენ. „აქაა კარი, ქვით-კირით ქმნილი, დიდ – კამაროვანი მდინარესა ზედა – მეფეთაგან ქმნული“ (იქვე, გვ. 645). ე.ი. საქართველოს მეფეების მიერ აგებული, „რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“ (იქვე, გვ. 65). ე.ი. ქართველ მეფეებს ეს კარი გლოლასთან ახლოს აუგიათ, რათა ეკონტროლებინათ ოსების მოძრაობა. მას ერქვა „კასრის-კარი“.

ჟღელე კასრის – კარის ზემოთ იყო.

ზრამაგა მდებარეობდა კასრისა და ჟღელეს მდინარეთა (წყალთა) შორის, აქ იყო „ციხე დიდი ფრიად მაგარი, იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისა და დაბა კოშკოვანი“ (ქ.ც., IV, გვ. 646).

ნარა – ზრამაგას ზევით – „დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე“ (იქვე, გვ. 646). ცხადია, ეს ეკლესია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა და არა „ალანიის სამიტროპოლიტოში“ როგორც ამას წერს „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.

ზახა ზრამაგას ხევის წყლის ზევით მდებარეობდა. „არიან დაბანი კოშკოვანნი, აქა არს ეკლესია მცირე“ (იქვე, გვ. 647), ემიჯნება თრუსოს მთას, გადასასვლელი აქვს დიდ ლიახვზე.

თრუსოს ხეობაში, ხოსისაკენ არის ეკლესია ყოვლად წმიდისა, – მცირე“ (იქვე, გვ. 648).

ჩრდილო კავკასიაში დვალეთში ოსების გაბატონების გამო ნაწილმა დვალებისა თავი შეაფარა მომიჯნავე საქართველოს მთიანეთს, დიდი და პატარა ლიახვის სათავეებს, „ქსნის ხევსა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდან გარდასულნი რჯულითა, წესითა და ზნით ერთნი და დღესაც მონათესაობენ ურთიერთთა“ (იქვე, გვ. 648)

დიგორი იყო კასრის ხევის დასავლეთით, იყოფოდა ორ ნაწილად – ჩერქესიძე და ბადელაძე (გეოგრაფიულ სახელებად იქცა). აქ იდგა მცირე ეკლესია.

ბასიანი დიგორის დასავლეთით იყო. აქედან გზა სვანეთისაკენ მიემართებოდა, ასევე რაჭისაკენ.

სულ მცირე 5 ეკლესია აღიწერება ვახუშტის მიერ დვალეთის მიმდებარე კავკასიაში აგებული ქართველი მეფეების მიერ. ისინი მდებარეობდნენ დიგორში, თაგაურში, ნარაში, ზახასა და თრუსოში. ცხადია, ისინი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ და არა ჰიპოთეთურ ალანიის სამიტროპოლიტოში

ვახუშტი ასევე წერს ქისტეთის, დურძუკეთისა და ღლიღვის შესახებ.

ქისტეთს ვახუშტი კავკასიონთან აკავშირებს. მდებარეობდა თერგ (არაგვ-ლომეკის) მარჯვენა მხარეს, სადაც თერგს უერთდება ფშავ-ხევსურეთიდან გამომავალი დურძუკეთის წყალი. მის შესართავთანაა დიდი კლდე – ჯარიეხი, კოშკოვან-ზღუდოვანი, „ჯარიეხის ზეით არს ქისტეთი დაბნებიანი, შენობიანი“ (ქ.ც., IV, გვ. 651).

„ქისტეს ზეით არს ძურძუკი შენობინი, დაბნებინი კოშკოვანნი“ (იქვე, გვ. 652).

ღლიღვეთი – ვახუშტი წერს, „ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი“ (იქვე, გვ. 652).

ღლიღვი – თავდაპირველად სახელი ყოფილა ძურძუკის ძის ძისა, აძლევენ ხარკსა ჩერქეზთა“ (გვ, 653).

როგორც ითქვა, ვახუშტის სიტყვით, ყველა ეს დასახელებული მხარე ემორჩილებოდა საქართველოს მმართველობას ქრისტეშობამდე. „ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისასა“ (იქვე, გვ. 654).

ფარნავაზის დროს კი შევიდნენ საქართველოს სახელმწიფოში.

„ხოლო ფარნავაზ მოიყვანა ნათესავი ძურძუკოსი ქალი ძურძუკეთიდან და შეირთო თვით ცოლად და დაიმორჩილა უმეტესად ძურძუკეთი ამით და შემდგომად ფარნავაზ მეფისა, ვითარცა აჩენს ცხოვრება, იყვნენ მორჩილებსა შინ და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა, ძურძუკი, ხევი, დვალეთი, კასრისკარს ზეითი, ხოლო სხვანი იყვნენ მორჩილებასა შინა ოვსთა მეფეთასა, ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყაენითაგან, და უმეტეს ბათოსა და ორხანისაგან მოისრნენ და მოისრნენ ქალაქნი და შენობანი მათნი და მეფება

ოვსთა იქცა მთავრობად და შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა და უმეტეს უდაბნოდ იქმნენ, ვითარცა არის დღეს ჩერქეზეთი, და კვალად შემდგომად მოსვლისა, ლანქ-თემურისა და აღებისა კონსტანტინოპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დვალნი და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზები, ანუ ყაბარდო. დაშთა ხევი და დვალეთი ქართველთა მეფეთა, რომელნი მოსცემენ დღემდე ხარკთა მეფეთა. ძურძუკს – ქისტს სდებენ თვისად კახნი და ღლიღვსაცა, არამედ არა რას მორჩილებენ ხარკით და არიან მორჩილებისა შინა უფროს ჩერქესთასა, ეგრევე სხვანი ოვსნიცა, გარნა დიგორი მცირედ რა სამე ჰმორჩილებს რაჭის ერისთავს“ (იქვე, გვ. 655)

აქედან დასკვნა: ქრისტეშობის წინა ათასწლეულებში ჩრდილო კავკასია ქართველთა მონათესავე ხალხით იყო დასახლებული (თარგამოსის ძეების შთამომავლებით), შემდეგ ეს მიწა-წყალი დაიპყრეს „ხაზარებმა“ ცხადია, იგულისხმება არა VII–X საუკუნეების ხაზარეთი,არამედ ალანები, რომელნიც თურქულ, ანუ ხაზარულ – ენოვნები ყოფილან. გაძლიერებულ ალანებს ხშირად გადაჰყავდათ ჩრდილო კავკასიაში დატყვევებული სამხრეთ კავკასიელები ქართლიდან, რანიდან, მოვაკანიდან, სომხითიდან და სხვა, ასახლებდნენ ჩრდილო კავკასიაში. მოხდა ალანებში მათი ასიმილაცია. ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის მიუხედავად, შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ფარნავაზამდე და მის შემდეგაც.

გაქრისტიანების შემდეგ ჩრდილო კავკასია შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. აქაური ეკლესიები, დიდი ქალაქები და დაბები, ციხეკოშკები და ნაგებობები ქართველ მეფეთა ნაღვაწი იყო, განსაკუთრებით კი თვით ჩრდილო-კავკასიელთა თქმით, თამარ მეფისა.

მონღოლების შემდეგ ალანია გაქრა ასპარეზიდან და მის ადგილზე წარმოიქმნა ჩერქეზეთი. ოსები შევიდნენ ჩრდილო კავკასიაში და დაიპყრეს დვალეთი. დაბალი ფენა ქრისტიანადვე დარჩა, ზედა ფენა კი – მაჰმადიანობდა.

აქედან ცხადია, რომ ჩერქეზები, ადიღეურ ენოვანი ხალხი, თემურ ლენგის შემდგომ დაეუფლა ჩრდილო კავკასიას.

29 აპრილი, 2016.

თემურ ლენგის ლაშქრობა
საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში ვახუშტის მიხედვით

ამიერკავკასიაში უძლიერესი საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს ძალმოსილება დაემცრო თემურის ლაშქრობების შემდეგ.

ვახუშტის ცნობით, 1360 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მეფე დიდი ბაგრატი.

რვაჯერ ლაშქრობის მიუხედავად, თემურ-ლენგმა ვერ შეძლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

საქართველოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო ჩრდილო კავკასიელთა მსახურება საქართველოს თავდაცვის სფეროში, რაც, ვახუშტის ცნობით, იცოდა თემურ ლენგმა. ამ ფაქტმაც განაპირობა მისი გალაშქრება ჩრდილო კავკასიის მთებში.

ვახუშტი წერს, თემურმა ჩრდილო კავკასიაში გაილაშქრა, რადგანაც იცოდა, რომ საქართველოს მეფე იქედან ძლიერდებოდა. „თემურ, უწყოდა, მეფე ძალ – იცემს მუნიდან“ („ქართლის ცხოვრება“, IV, 1973, გვ. 272).

მაშასადამე, თემურმა იცოდა, რომ საქართველოს მეფე სამხედრო ძალებს იღებდა ჩრდილო კავკასიიდან, ამიტომაც თემურმა ჩრდილო კავკასიის ღრმა მთებშიც ილაშქრა.

თემურ ლენგის ამ ლაშქრობამ შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე (მოსპო ანდა ძალზე შეამცირა ადგილობრივი მოსახლეობა).

ეთნიკური სურათის შეცვალა უფრო მეტად გამოიწვია სხვა ქვეყნებიდან უცხო მოსახლეობის ჩასახლებამ. ეს გაგრძელდა თემურის შემდგომ ეპოქაშიც.

გაუკაცრიელებული, ბალახით მდიდარი რეგიონი იზიდავდა მომთაბარე მესაქონლე ტომებს, თანდათან იქ (აზოვის ზღვისპირეთიდან დაღესტნის ჩათვლით) ჩასახლდნენ სხვადასხვა მოდგმისა და წარმოშობის ტომები, რომელნიც, ადგილობრივ ტომებთან შერევის შემდეგ, თანდათან იქცნენ მკვიდრ მოსახლეობად, რასაც მიუთითებს ვახუშტი და ასევე კავკასიის ცნობილი მკვლევარი მილერი.

ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილს ჩერქეზული ტომები დაეუფლნენ. ვახუშტი წერს: „მიერითგან იწოდა ჩერქეზი და იქმნა მაჰმადიანობა მათ შორის“ (იქვე, გვ. 272).

ჩრდილო კავკასიის დაბლობს იქამდე, სანამ მას ჩერქეზი ეწოდებოდა, ვახუშტის მიხედვით, ერქვა „ოსეთი“. ესაა ფართოდ გაშლილი სტეპები დონსა და კასპიის ზღვას შუა. მთელი ეს რეგიონი, მოქცეული კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, საქართველოს სახელმწიფოს აძლიერებდა თავისი მეომრებით. ამიტომაც საქართველოს საზღვარი სამხრეთის მიმართულებითაც შორს იყო გადაწეული. იმჟამად საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდინარე არაქსი იყო. ვახუშტის ცნობით, თურქთა ერთ-ერთი მარბიელი 12000 კაციანი ლაშქარი მეფემ რახსის იქით, ანუ არაქსთან დაამარცხა. „მიეწია რახს იქით“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973, გვ. 262).

არაქსს, ვითარცა სასაზღვრო მდინარეს, ვახუშტი ახსენებს თემურის ტყვეობიდან ბაგრატ მეფის დაბრუნების აღწერის დროსაც (იქვე, გვ. 266).

მისივე ცნობით, ბაგრატ დიდის სამეფოს ექვემდებარებოდა „რანი, მოვაკანი და დვინი“ (იქვე, გვ. 269);

აქ რანი ეწოდებოდა განძის მხარეს ყარაბაღთან ერთად (ვახუშტი წერს: „რანი აწ ყარაბაღად წოდებული“ (იქვე, გვ. 269).

„მოვაკანი“ ერქვა მტკვრის დაბლობს განძიდან კასპიის ზღვამდე, ხოლო „დვინი“ – ვრცელ ქვეყანას არაქსის მხარეში

თემური, რომელმაც იქამდე შუა აზია, ინდოეთი და სპარსეთი (იქვე, გვ. 263) დაიმორჩილა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს დამორჩილების საქმეს. როგორც ითქვა, მან ეს ვერ შეძლო ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობამდე.

საქართველოში სხვადასხვა წელს წარუმატებელი ლაშქრობების შემდეგ, ბაგრატ დიდის ძის გიორგის დროს, თემურმა კავკასიაში შესვლა გადაწყვიტა არაგვის გზით, რადგანაც იცოდა, რომ საქართველოს მეფეს ჩრდილო კავკასიიდან გადმოყავდა მაშველი ჯარი.

ვახუშტი წერს: „წარმოემართა თემურ შესვლად მთიულეთს, რამეთუ გამოჰყვის გიორგი მეფეს მუნითგან შემწენი და კუალად ჰგონებდა მეფესაცა მუნ, შეუხდა არაგვს, შემუსრნა სიმაგრენი და მოაოხრნა, არამედ ავნებდნენ დიდ-დიდსა – მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერა-რა ტყუე ჰყვეს და უკუმოიქცნენ“ (ქ.ც., IV, გვ. 271).

აქ „მთიულთა“ ქვეშ იგულისხმებიან ასევე ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეომრები. ამ გზით თემური ვერ შევიდა ჩრდილო კავკასიაში, ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

ამის შემდეგ თემური იძულებული გახდა დროებით დაზავებოდა საქართველოს მეფეს. ეს დაზავება მას ესაჭიროებოდა თავისი გეგმის განსახორციელებლად. მისი გეგმა ამ დროს იყო შესეოდა ჩრდილო კავკასიას არა არაგვის, არამედ, სხვა, დარუბანდის (კასპიისპირეთისა და დაღესტნის) გზით.

ვახუშტი აღწერს დაზავების პროცესს: სევანის ტბასთან მდგარმა თემურმა საქართველოს მეფე გიორგის მისი ძმის კონსტანტინეს პირით შეუთვალა: „მოუმცნო მეფესა: იყავ მშვიდობით და ნურღარა ავნებთ მაჰმადიანთა“ (იქვე, გვ. 272).

მაშასადამე, თემურმა ზავი დადო საქართველოსთან და მყისეულად თავისი დიდძალი ჯარი მიმართა ჩრდილო კავკასიისაკენ დარუბანდის გზით.

იმჟამად თემური უკვე რანის ქალაქ ბარდავში იმყოფებოდა, ვახუშტი წერს:

„მუნიდან წარავლინა სპანი ოვსეთად, განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს, ტყვე-ყვნეს და მოიქცნენ წინაშე თემურისვე, ესე ჰყო თემურ, რამეთუ უწყოდა, მეფე ძალ-იცემს მუნიდამ“ (იქვე, გვ. 272).

როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიის დაბლობს ვახუშტი „ოსეთს“ უწოდებს, იგულისხმება ისტორიული ალანია. ჩრდილო კავკასიის ამ სამ-

ხრეთ-დასავლეთ ოლქიდან ვიდრე დაღესტნამდე მცხოვრები მოსახლეობა, აღინიშნა, საქართველოს სამეფოს ტრადიციულად ეხმარებოდნენ ომების დროს. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს სტრაბონსაც (სტრაბონი აღნიშნავს, რომ იბერიის მეფეს მისი მეზობელი ჩრდილოკავკასიელი სარმატები ომების დროს ეხმარებოდნენ მრავალ-ათეულათასიანი ჯარით, ამავე ხასიათს ცნობებს ქართული წყაროებიც იძლევიან. მაგალითად, ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზამდე, ანუ ქრისტეშობამდე 400–300 წლით ადრე, ჩრდილო კავკასიელები ემორჩილებოდნენ მცხეთელ მამასახლისს (ქ.ც., IV, გვ. 634), ხოლო ფარნავაზის მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ეს კავშირი დინასტიური დანათესავების მეშეობითაც განმტკიცდა. ფარნავაზის ცოლი იყო ძურძუკი ქალი (იქვე, გვ. 654). ამის გამო ფარნავაზმა უფრო მეტად „დაიმორჩილა ჩრდილო კავკასია, უმეტესად ძურძუკი და დვალეთი“).

ამ საუკუნოვანი კავშირის მოშლა დაუწყია თემურ-ლენგს.

ვახუშტის ცნობით, ჩრდილო კავკასიისაკენ თემურის ლაშქრის მარშრუტი ასეთი იყო: დარუბანდი, ლეკეთი და ოვსეთი, ანუ ალანია.

ეს გზა თემურმა დაბეჯითებული მოქმედებებით გაიკვლია მრავალი წლის მანძილზე. თავდაპირველად, მან, ჩრდილო კავკასიის ალანიაში ლაშქრობამდე, ორჯერ ილაშქრა დაღესტანში,

დაღესტანში პირველ ლაშქრობისას თემურმა ვერ შეძლო დაღესტნის მთიანეთის დამორჩილება. იმჟამად მან მხოლოდ დაღესტნის ზღვისპირეთი დაიმორჩილა. ის მიხვდა, რომ დაღესტნის მთიანეთის დამორჩილებას ვერ შეძლებდა კახეთის დაუძლურების გარეშე, რადგანაც დაღესტნის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კახეთის საერისთავოში შედიოდა და, შესაბამისად, ის სამხედრო ძალებს იღებდა კახეთიდან. ამიტომაც თემურმა დაღესტანის პირველი ლაშქრობის შემდეგ გადაწყვიტა საგანგებოდ ელაშქრა კახეთ-ჰერეთში და სასტიკად დაერბია საქართველოს ეს რეგიონი. ეს მან შეძლო და მაშინვე შეუდგა დაღესტნის მეორე ლაშქრობას.

მემატიანე ასე აღწერს თემურის დაღესტანში პირველი ლაშქრობის პროცესს:

თემური 1387 წლისათვის ბარდავიდან შესულა შირვანში, აქ „მუსრა ლეკნი“ (იქვე, გვ. 265).

ლეკების მოსვრის, ანუ სასტიკი დამარცხების შემდეგ დაღესტნის ბარში და მთის კალთებზე – „ვიდრე მდ. თერგამდე“ ჩაუსახლებია ახალი მაჰმადიანი მოსახლეობა, „ელნი“.

ვახუშტი წერს: „განვიდა თემურ ბარდვიდამ შირვანს, დაიპრყა იგი და შემუსრნა ლეკნი და დასხნა მთის ძირთა ზედა და კალთათა ელნი მაჰმადიანნი ვიდრე თერგის მდინარემდე“ (იქვე, გვ. 265). (როგორც ჩანს, ელი ერქვა ირანში მცხოვრებ თურქმანულ, მუსულმანურ ტომებს)

კახეთ-ჰერეთის დარბევის შემდეგ თემური მეორედ შეესია დაღესტანს, რომელიც იმჟამად ქრისტიანული ქვეყანა იყო. დაღესტნის მოსახლეობა, ასევე მთელი ჩრდილოკავკასიის მოსახლეობა აღიარებდა ქრისტიანულ მრწამს, მა-

გრამ, ჩანს, უკვე ვრცელდებოდა მაჰმადიანობა, ამიტომაც დაღესტნის მოსახლეობა, ვახუშტის სიტყვით, „შერეული ქრისტიანენი“ იყვნენ.

ვახუშტი წერს: „დაიმორჩილა დაღისტანი, უმეტეს პირველისა, იტყვიან, რომელ მიერ ჟამთაგან იქმნა მუნ მაჰმადიანობა დასხმულ მისგან ელითა, რამეთუ პირველ იყვნენ შერეულნი ქრისტიანენი, ვითარცა სხვანი კავკასიელნი“ (იქვე გვ. 268), ანუ დაღესტანსა და ჩრდილოკავკასიაში ქრისტიანებთან ერთად უკვე მაჰმადიანებიც ცხოვრობდნენ, „შერეული ქრისტიანები“ იყვნენ.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოკავკასიელ ტომთაგან შეკრებილ ჯარს საქართველოსთვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თემურთან ბრძოლისას.

ბაგრატ დიდის ძემ მეფე გიორგიმ თემურის წინააღმდეგ ბრძოლისას დაახლოებით, 1396 წლისათვის, განსაკუთრებით გაუხსნა კარი ჩრდილო კავკასიელებს. „გიორგი მეფემან პირველივე გამოიყვანა დარიელიდან ოვსნი დიდძალნი და კავკასნი და დახვდა თემურს შეკრებული სპითა თვისთა“ (იქვე, გვ. 269), ანუ თემურის წინააღმდეგ ქართული სპის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ „ოსები და კავკასნი“ ანუ კავკასიის ხალხები.

ეს ხდებოდა თემურის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობამდე. მას სურდა, რომ საქართველოს არ მიეღო დამხმარე ძალა ჩრდილო კავკასიიდან (იქვე, გვ. 269).

მიუხედავად ქართველ-კავკასიელთა ერთიანი ფრონტით გამოსვლისა, თემურის ჯარმა გაიმარჯვა, რამაც შეარყია საქართველოს ერთიანობა, აღმოცენდნენ მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი.

ამ დიდი ბრძოლის შემდეგ მეფეს თავისი სახელმწიფოს დასავლეთ მხარის ერისთავები და საკუთარი ვაჟიც კი განუდგნენ, მაგრამ მეფე გიორგიმ ბრძოლა ამის მიუხედავად, შეტევაზეც კი გადავიდა, ბრძოლა გადაიტანა არაქსის მხარეს. ამისათვის კი, კვლავ, კიდევ ერთხელ გადმოიყვანა ჩრდილო კავკასიელები და ძლიერ ავნო თემურს.

ვახუშტი წერს: „კვალად გამოიყვანნა ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი, წარუძღვა შეკრებილითა სპითა თვისითა და მიუხდა ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი და გამოიყვანა სულტანი თირ ჯაღათისა პატიმარ-ყოფილი თემურისაგან, მოაოხრნა და მოსწყვიდნა გარემონი მაჰმადიანნი, აღიღო ალაფი დიდძალი და მოვიდა გამარჯვებული შინავე და განუტევნა ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი შოებულნი ალაფითა ფრიადითა“ (იქვე, გვ. 270).

გიორგი მეფემ, რომელსაც საკუთარმა აჯანყებულმა ძემ ნახევარი სამეფო წაართვა, მაინც შემლო, ჩრდილოკავკასიელთა ჯარით შესეოდა თემურის სახელწიფოს, აეღო მისი ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ციხე, საიდანაც გამოიყვანა თემურის უბოროტესი მტერი, ერთ-ერთი სულთანი, მოაოხრა მისი ქვეყანა, დახოცა მაჰმადიანები, აიღო უდიდესი ალაფი, რომელიც მისცა ჩრდილოკავკასიელთა ლაშქარს და უკან გაისტუმრა.

ამით გამძვინვარებულმა თემურმა, როგორც აღინიშნა, გადაწყვიტა ჩრდილოკავკასიას შესეოდა არაგვის (დარიალის) გზით, მაგრამ დამარცხდა. ამიტომაც შემდგომ გადაწყვიტა ჩრდილოკავკასიაში შესულიყო დაღესტნის

გზით. მან ეს შეძლო, შეესია ჩრდილო კავკასიას, სასტიკად დაამარცხა იქაური ტომები, დახოცა უამრავი ხალხი, საბოლოოდ კი შეცვალა იქაური დემოგრაფიული სურათი. როგორც აღინიშნა, თემურმა ჩრდილო კავკასიაში ჩაასახლა „ჩერქეზებად“ წოდებული ხალხი. „მიერითგან იწოდა ჩერქეზი“ (იქვე, გვ. 272).

სხვაგან ვახუშტი წერს: „იწოდა ოვსეთი ჩერქეზებად, ანუ ყაბარდოდ” (იქვე გვ. 634, 655).

ჩრდილო კავკასიის სტეპ-დაბლობები, რომელიც იქამდე ალანიად იწოდებოდა (ქართველები მას ოვსეთს უწოდებდნენ), თემურ-ლენგის შემდეგ იწოდა ჩერქეზად ანდა ყაბარდიად. ალანების ადგილი ჩერქეზებმა დაიჭირეს. ჩერქეზი ახლა „მთავართა შორის უწარჩინებულესი“ (იქვე, გვ. 35) გახდა, ანუ ადგილობრივ ტომებზე ჩერქეზები გაბატონდნენ. ეს ჩერქეზები, შესაძლოა, იმჟამად თურქულენოვანი ხალხი იყო. მალევე, მათ ქვეყანაში ოქროს ურდოს მთავარსარდალმა ედიგეიმ ჩაასახლა ადიღეთა ულუსი, მათ შეძლეს თურქულენოვანი ჩერქეზების ასიმილირება და ისინი ადიღეურენოვან ხალხად გადააქციეს. ისინი გაბატონდნენ ყველა ადგილობრივ ტომზე. ადგილობრივები, რბევა-ოხრებას გადარჩენილი მოსახლეობა, ჩერქეზებს დაემორჩილნენ, დამარცხებული ხალხის ადგილი გამარჯვებულმა დაიჭირა, გავრცელდა მისი ადათ-წესები, ენა და კულტურა.



კავკასია და საქართველო თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ
https://ka.wikipedi.org/wiki/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83

1385 ოქროს ურდოს ხანი **თოხთამიში** ირანს შეესია. ამის საპასუხოდ თემურ-ლენგი 1386 შემოდგომაზე სამცხის მხრიდან საქართველოში შემოიჭრა.

1387 გაზაფხულზე თემურლენგი მეორეჯერ შემოესია საქართველოს. მალე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თოხთამიშის გამოჩენის გამო. **1394** თემურლენგი ორჯერ შემოესია საქართველოს. დაესხა თავს **არაგვის ხეობას**. ამჯერადაც თოხთამიშის გამოჩენებამ გააბრუნა.

1399 პირადად ილაშქრა ჰერეთ-კახეთში.

1400 გაზაფხულზე თემურლენგი მეექვსედ შემოიჭრა საქართველოში. 1401 თემურლენგი მეშვიდედ მოადგა საქართველოს

1401 შამქორის ზავის პირობით საქართველო კისრულობდა ხარკის

1403 ივლისში, თემურლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში,

ბოლოს იძულებული გახდა დაზავებოდა გიორგი VII-ს. ზავი ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%-A0%E1

თემურის გამანადგურებელმა ლაშქრობამ შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე, ეს განსაკუთრებით აისახა საქართველოს სასაზღვრო მხარეებზე, კერძოდ იქამდე საქართველოს ეთერთი პროვინცია დვალეთი, რომელიც დასახლებული იყო, როგორც წმ. ნიკოლოზ დვალის ცხოვრება აჩვენებს, ღრმადმორწმუნე, ეკლესიურად ქართულენოვანი მოსახლეობით, გახდა მსხვერპლი თემურის აგრესიისა, დვალეთში მმართველობა სელში ჩაიგდო შემოსულმა ირანულენოვანმა ტომმა, რომელთაც ქართველებმა „ოსები“ უწოდეს, რადგანაც ისინი დვალეთში შვიდნენ ე.წ. „ძველი ოსეთიდან“. დვალეთში გაბატონებულმა „ოსებმა“ კარდინალურად შეცვალეს დვალეთის ეთნიკური სახე, ენა და პოლიტიკური ორიენტაცია, შემოსული ოსებისა და ადგილობრივი დვალებს ურთიერთშერწყმით თანდათან ჩამოყალიბდა ახალი შერეული ეთნოსი – ოსი ხალხი.

ლიტერატურა

გ. ღამბაშიძის ნაშრომი – „ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში“

(საბჭოთა ხელოვნება, 1976, N3, გვ. 72-78)

გ. ღამბაშიძე წერს – ცენტრალური კავკასიის მაღალმთიან ზოლში მდებარე ტერიტორიას, რომელიც აღმოსავლეთიდან დარიალის ხეობით, დასავლეთიდან მამისონის უღელტეხილით, ჩრდილოეთიდან ნარის აუზის ხეობებითა და სამხრეთიდან კი დიდი ლიახვის შენაკადთა ხეობებით არის შემოსაზღვრული, ისტორიულად ქართულად დვალეთი და მაღრან-დვალეთი უწოდებოდა, მის მცხოვრებთ კი – დვალები.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან მოკიდებული ვიდრე გვიან შუასაუკუნეებამდე დვალეთი საქართველოს სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიურ წრეში იყო მოქცეული (ვ. გამრეკელი). სოფ. ნარის სიახლოვეს, აღმოსავლეთისაკენ, მთის ფერდობზე, ექსპედიციამ მიაკვლია ტუფის ქვით

(აქა-იქ ფიქალიცაა გამოყენებული) ყორულად ნაგებ წმ.გიორგის სახელობის დანგრეულ სამლოცველოს ნარ-ძუარს. იგი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. შესასვლელი დასავლეთის კედელში აქვს დატანებული. ორნამენტული დეკორი გარკვეულ მსგავსებას ავლენს X ს. შუა ხანებითა და II ნახევრით დათარიღებულ (რ. მეფისაშვილი) ქართული ძეგლების (ერედვის „ბერის საყდარი“, კუდაროს „ნადარბაზევი“ და სხვ) დეკორთან. ჩვენის აზრით, დღევანდელი ნარძუარის ადგილზე, ან მის სიახლოვეს X ს. II ნახევარსა და XI ს. დასაწყისში ტუფის ქვით აიგო ქართული ეკლესია, რომელსაც ჰქონდა ტიმპანიანი კარი, ვიწრო სარკმელი, ჩუქურთმიანი ლავგარდანი და შიგნიდან შელესილი იყო (ზოგიერთ ქვაზე შელესილობის კვალია შემორჩენილი). აღსანიშნავია, რომ ლავგარდანს, სხვადასხვა ფასადზე, ისევე, როგორც მთელს რიგ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებზე (კუმურდო, ტყობდა-იერდი და სხვ.), განსხვავებულ-ორნამენტული მოტივი ჰქონდა. ამასთანავე, ჩუქურთმის ნახატის ხაზგასასმელად, მისი ღარები შეფერადებული იყო (შდრ. იკვი, ნიკორწმინდა, საფარის წმ. საბას ტაძარი და სხვ.). როგორც ჩანს, იმ ეკლესიის დანგრევის შემდეგ, მისი ქვები ნარ-ძუარის მშენებლობისას (სავარაუდოა, გვიან შუა-საუკუნეებში) გამოუყენებიათ.

ნარ-ძუარის თავდაპირველი ნაგებობის აშენების დრო ემთხვევა დვალეთის ტერიტორიაზე ცნობილი ქართული საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების – ხოზიტა მად-მაირამისა და სოფ. თლის ეკლესიების, რომლებიც XI ს. I ათწლეულითაა დათარიღებული, მშენებლობის (ვ. დოლიძე) ეპოქას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ადრეფეოდალური ხანის მიწურულს (X ს.) **ნიქოზის საეპარქიოში, რომლის მოღვაწეობის სფეროში დვალეთიც შედიოდა,** ფართოდ მიმდინარეობს ეკლესიების მშენებლობა. 3 დვალე-

თის ტერიტორიაზე ეკლესიების აგება იმავე ისტორიული პროცესის გამოხატულებაა.

სოფ. ფალლაგ-ქომისა და რეგახის სიახლოვეს, ფერდობზე, ექსპედიციამ მიაკვლია **ხუცაუ-ძუარის** („ღვთაების სამლოცველო“) დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევებს. მას გარს ევლება ფიქლით ნაგები ოთხკუთხა ზღუდე. იქვე შეინიშნება სამარხთა კვალი. ეკლესია დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. იგი, ჩვენი აზრით, დვალეთის ტერიტორიაზე საქართველოს საერო და სასულიერო მესვეურთა მიერ აგებული ეკლესიების- ზრუგის, „ხოზიტა მად – მაირამის“, სოფელ თლის, სოფ. ნარის შემდეგ აშენებული პატარა სამლოცველოა (ცენტრალური ხელისუფლების მიერ აგებული ქრისტიანული ტაძრების შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ პატარა სასოფლო სამლოცველოების შექმნა – საქართველოს მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების მსგავს მოდელს ვხვდებით მაგ. ხევის ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლისას) და დვალეთის მოსახლეობაში იმ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელებას მოწმობს. ამავე დროს იგი წინ უნდა უსწრებდეს დვალეთში გვიან შუასაუკუნეებში აგებული სამლოცველოების (რომლებიც არ მისდევენ ეკლესიათა გეგმარებისა და დამხრობის ზუსტ პრინციპებს) მშენებლობის პერიოდს. აქედან გამომდინარე, ხუცაუ – ძუარიზს ეკლესია, შესაძლებელია, შუაფეოდალური ხანით (XI–XIII სს.) დათარიღდეს.

კოშკოვანი სოფლის „ქალაქის“ აღმოსავლეთ დაბოლოებაზე მდებარეობს ფიქლით, რიყის ქვითა და ტუფით ყორულად ნაშენი დანგრეული სამლოცველო **„ძილე-ძუარ“**. აღსანიშნავია, რომ **„ძილეს-ძუარიდან**“ მომდინარეობს ხუთი ქვა ქართული წარწერით. ისინი შესწავლილია თ. ბარნაველისა და ვ. გამრეკელის მიერ და დათარიღებულია **XVI–XVII** სს.

იმ წარწერათაგან მხოლოდ ორსღა მივაკვლიეთ, წარწერა №1 თავდაყირა იყო ჩაშენებული შერეული ასომთავრულითა და ნუსხურით ორ სტრიქონად ამოკვეთილია დაქარაგმებული ტექსტი:

ქარაგმების გახსნით წარწერა შესაძლებელია ასე წაიკითხოს:

I – **„დიდებაჲ. ძლევის ჯვრის დიდებაჲ. წმიდა**

II – გიორგჲ, შემიწყალე. ძლევის ჯვარო, გიორგჲ, სეჲა შეიწყალე“.

წარწერა №2

ქარაგმების გახსნითა და ნაკლოვანი ადგილების სავარაუდო შევსებით ტექსტი შესაძლებელია შემდეგნაირად წაიკითხოს:

I – „ძლევისა (?),

II – ...დიდებაი ძლევის (?) ...ჯვრის (ან ჯვარო);

III – ამჲსჲ მწერალი... შრჲ (?) გიორგჲ (?)

IV – შეიწყალე“

ექსპედიციამ ინახულა კედლის მხატვრობითა და ლეგენდებით ცნობილი სოფ. ნუზალის (არდონის ხეობა) სამლოცველო „ნუზალ-არღუან“. ამ ძეგლმა განსაკუთრებული ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც 1946 წელს არ-

ქეოლოგმა ე. პჩელინამ სამლოცველოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი მამაკაცის ჩონჩხი სამლოცველოს კედელზე არსებული ფრესკის წარწერასთან – „სოსლანთან“ კავშირში და გარკვეულ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, თამარ მეფის მეუღლის – დავით სოსლანისად გამოაცხადა. ე. პჩელინას ჰიპოთეზამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა8. შემდეგში ეს ვარაუდი გაიზიარა და განავითარა ანთროპოლოგმა თ. მამუკაევმა. ნუზალარ ღუანის სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის ანატომიურ – ანთროპოლოგიურ – პალეოპათოლოგიურ თავისებურებათა შესწავლით და ამასთან, ზოგიერთი ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობის მონაცემების გათვალისწინებით მანაც, ეს ჩონჩხი ნამდვილად დავით სოსლანისად მიიჩნია და მ. გერასიმოვის მეთოდის გამოყენებით, დავით სოსლანის ფიზიკური სახეც აღადგინა.

1971 წელს ივ. ლოლაშვილმა ისტორიულ-ფილოლოგიური, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კვლევის, ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობისა და წარწერათა შესწავლის საფუძველზე, მართებულად გააკრიტიკა და უარყო ე. პჩელინა – თ. მამუკაევის ვარაუდი „ნუზალ-არღუანში“ დავით სოსლანის დაკრძალვის შესახებ. ნუზალის სამლოცველოსა და იქ დავით სოსლანის შესაძლო დაკრძალვის თაობაზე საყურადღებოა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის ვ. კუზნეცოვის აზრი. იგი ნუზალის სამლოცველოს მშენებლობას (რომელსაც ტიპოლოგიურად მთიანი კავკასიია ორფერდასა ხურავიან მიწისზედა აკლდამებს უკავშირებს და ადგილობრივი არქიტექტურული სკოლის ნაკეთობად მიიჩნევს), არქეოლოგიური, ფრესკების ხელოვნებათმცოდნეობითი და წარწერათა პალეოგრაფიული მონაცემებით XIII ს-ის ბოლოს და XIV ს. დასაწყისს მიაკუთვნებს. მისი მტკიცებით, სამლოცველოში გათხრილი სამარხი უფრო ადრინდელი არ არის და ჩონჩხიც არ შეიძლება დავით სოსლანის იყოს 9. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს სოფ. ნუზალის სამლოცველოს „საიდუმლოებასთან“ დაკავშირებულ საკითხთა სრული განხილვა-განსჯა. შევეხებით მხოლოდ სამლოცველოში არსებულ ქტიტორთა გამოსახულებებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ნუზალის სამლოცველოსთან დაკავშირებით სხვადასხვა ჰიპოთეზა წარმოქმნა.

„ნუზალ-არღუანის“ ინტერიერის ჩრდილოეთის კედელზე, ქვედა რეგისტრში არსებობს საკურთხევლისკენ მიმართული ვედრების პოზაში გამოსახულ ქტიტორთა – საერო პირთა ექვსფიგურიანი კომპოზიციის ნაშთი, რომელთაგან მესამე (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ), პორტრეტის მარჯვნივ არსებული ასომთავრული წარწერით „სოსლან“, მიჩნეული იყო დავით სოსლანად. როგორც ირკვევა, მესამე და მეხუთე ფიგურა სინამდვილეში ქალებისაა. ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან და განსხვავდებიან პირველი, მეორე და მეოთხე ფიგურებისაგან. ეს ნიშნებია:

1. უწვერო, პატარა სახის ოვალი. საინტერესოა, რომ მესამე ფიგურას (მეხუთე ფიგურის პორტრეტის ზედა ნაწილი მთლიანად დაზიანებულია და ამიტომ მასზე ვერაფერს ვიტყვით.) თმა თავსაბურავით აქვს დამალული, რაც, ალბათ, იმდროინდელ ოსეთში თმის დაყენების წესით იყო განპირობებული 10.

2. თავსაბურავი. იგი შედარებით უკეთ აქვთ შემონახული მეორე და მესამე ფიგურებს. მათ შორის განსხვავება უდავოა, მაგრამ დაზიანების გამო მათი ტიპების შესახებ ზუსტად მსჯელობა ჭირს;

3. ტანისამოსი. მესამე და მეხუთე ფიგურების სამოსი შედგება ზედატანისა და ქვედა – ტანისაგან (თუ როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს, არ ჩანს მხატვრობის დაზიანების გამო). ზედატანი გრძელი და ვიწრო სახელოებიანია, მოთვალულ – მომარგალიტებული მაღალყელიანი მანიაკითა თუ საგულით, ქვედატანი კი, წვრილად დანაოჭებულია. პირველ, მეორე და მეოთხე ფიგურებს განსხვავებული ტანისამოსი აცვიათ: მაღალყელიან, გრძელსა და ვიწროსახელოებიან ქვემოთა საცმელზე – პერანგზე" ზევიდან გრძელი, წელში დავიწროებული; მოკლესახელოებიანი მარცხენა მხარეს ჩახსნილი, სამკუთხედად ჩაჭრილი და არშიამოვლებული გულისპირიანი კაბა აცვიათ, რომელიც შემოსალტულია ვარსკვლავისებრი სამკაულით დაბოლოებული თასმით

4. ქვედა ტანის განიერი მონახაზი.

აღსანიშნავია, რომ მესამე ფიგურას ხელთ ჩვილი ბავშვი უპყრია (მეექვსე ფიგურა მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი: მხრები, მარჯვენა ხელი მტევნითურთ, მარჯვენა ფეხის ნაწილი), რომელიც მკვლევართა მიერ ადრე არ ყოფილა შენიშნული11. მეექვსე ფიგურის თავის მარჯვნივ არის წარწერა „სოსლან". ამრიგად, „სოსლანი" ჩვილი ბავშვია ქალის, ალბათ დედამისის, სახელი ამჟამად ვერ იკითხება, მისი და „სოსლანის" პორტრეტთა შორის რამდენიმე ასოს კვალიღაა შემორჩენილი. აღვნიშნავთ, რომ ჩვილის – „სოსლანის" ფიგურა, ქტიტორთა სხვა ფიგურებთან შედარებით, უფრო პირობითადაა გადმოცემული. ეტყობა, მხატვარმა სათანადოდ ვერ დაძლია დედისა და ბავშვის კომპოზიციური დაკავშირების რთული ამოცანა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქტიტორთა მთელი კომპოზიცია და, განსაკუთრებით კი, ჩვილის ფიგურა ძალზე დაზიანებულია

მესამე და მეხუთე ფიგურა ქალებისაა, მეხუთე ფიგურის თავს ზემოთ, - მარჯვნივ, ორსტრიქონიანი წარწერაა, ჩვენი აზრით, მისი წაკითხვა „დავითად" 12, არ არის მართებული, ვინაიდან, გარდა აღნიშნულისა, ჯერ ერთი, სხვა ქტიტორთა სახელები მოცემულია სრულად, დაუქარაგმებლად და მეორე, რაც მთავარია, ეს ფიგურა ქალისაა.

ამგვარად, სოფ.ნუზალის სამლოცველოს ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია ქტიტორთა ჯგუფური, ოჯახური პორტრეტი, რომელთა შორის სამი ფიგურა მამაკაცისაა, ორი ქალისა და ერთიც – ბავშვისა. საგულისხმოა, რომ „ნუზალ-არღუანში" გამოსახულ არც – ერთ ქტიტორთაგანს ხელთ ეკლესიის მოდელი არ უპყრია, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი არა სამლოცველოს ამგებელნი, არამედ მისი მომხატველნი არიან. ეს, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ნაგებობა კედლის მხატვრობისათვის არ იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ არსებობს ქრონოლოგიური ზღვარი „ნუზალ – არღუანის" მშენებლობასა და მის კედლის მხატვრობას შორის 13.

სოფ. ნუზალის სამლოცველოს ქტიტორთა პორტრეტების ახლებურად წაკითხვის საფუძველზე ვეღარ მივიღებთ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, თითქოს ქტიტორთა ეს პორტრეტები „ნუზალა საყდარზე დაწერილ ლექსში –

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარჯოლიძე – ჭარხილანი. მოხსენიებული ძმების პორტრეტები იყოს, და რამდენადაც ეს შესაბამისობა არ არსებობს, ვერ გაგიზიარებთ მასზე დამყარებულ მტკიცებებსაც“.

ლოვარდ ტუხაშვილის ნაშრომი „ცხოვრება დავით სოსლან ეფრემის ძე-ბაგრატოვანისა“ http://www.georgoyal.ge /?MთID=1&თID=25&id=2769

ლოვარდ დუხაშვილი წერს – „ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი (ანონიმი) პირდაპირ, საკმაოდ კატეგორიული ხაზგასმით უთითებს: **„თამარის ქმარი დავითი იყო ოსთა მეფის ძე, ტომი ბაგრატიონთა“**. ,,ტომი'' ამ შემთხვევაში ნიშნავს სწორედ გვარს.

ვახუშტი ბაგრატიონმა გამოთვალა, რომ დავით სოსლანი იყო მეხუთე ჩამომავალი მეფე გიორგი I-ის შვილის უფლისწულ დემეტრესი. ვახუშტი ბაგრატიონის ვერსია ასეთია: სრულიად საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (მეფობდა 1014–1027 წწ.) ჰყავდა მეორე ცოლი დედოფალი ალდე. მასთან შეეძინა უფლისწული დემეტრე.

ალდე იყო ალანთა მეფის ასული. 1027 წ. გიორგი I გარდაიცვალა. დედოფალ ალდეს დიდი საფრთხე შეექმნა. ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ბაგრატ IV, ხელისუფლება აიღო გიორგი I-ის პირველმა (კანონიერმა) მეუღლემ დედოფალმა მარიამმა, მან ბრძოლა გამოუცხადა ალდეს და მის ძეს დემეტრეს. დედოფალი ალდე გაიქცა ანაკოფიაში. 1032 წ. საქართველოში დაიწყო შინაარეულობა. დედოფალმა ალდემ დახმარება სთხოვა ბიზანტიას. დედოფალმა ალდემ და მისმა ვაჟმა მოახერხეს ჩრდილო-დასავლეთი საქართველოს პროვინციების გადაბირება, მათ ანაკოფიის ციხეში შეუშვეს ბერძნული გარნიზონი.

1047 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა დედოფალ ალდეს შვილი დემეტრე. დემეტრეს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი დავითი. დედოფალ ალდეს შეეშინდა, რომ საფრთხე შეექმნებოდა მის შვილიშვილსაც. იგი სასწრაფოდ გადაიხვეწა ოსეთში (იგულისხმება კავკასიის ალანია, აფხაზეთის მხარეს). აქ მოგვიანებით ქართველი უფლისწული დავითი დაქორწინდა ოსთა მეფის ასულზე. სიმამრმა იგი ოსეთის მეფედ გამოაცხადა. ასე ჩაეყარა საფუძველი ოსეთის ბაგრატიონთა დინასტიას. ვახუშტი ბაგრატიონი გვთავაზობს ასეთ სქემას: გიორგი I-დემეტრე – დავითი – ათონი – ჯადარონი – დავით – სოსლანი.

არასოდეს ოსეთი **(იგულისხმება აფხაზეთის მხარეს, ამჟამინდელ ყარაჩაის მხარეს მდებარე ოლქი – კავკასიის ალანია) არ იყო ერთიანი სამეფო და არასოდეს მთელი ალანეთი არ უდრიდა ოსეთს.**

(კავკასიის ალანია, რომელსაც ქართველები ასევე ოსეთს უწოდებდნენ, და ასევე დონისპირეთის სტეპების ალანია, ასპარეზიდან გაქრა მონღოლთა ეპოქაში, მისი ბინადარნი თურქულენოვან ალანებად მიიჩნევა, მაგრამ თემურის ეპოქაში ჩნდებიან ირნულენოვანი ალანები, რომელნიც „ძველ ოსეთში“ დაბინადრდნენ, იქედან კი კავკასიის მთებისაკენ გადმოიწიეს, საბოლოოდ კი მათ დვალეთ-ბასიანი დაიმორჩილეს და სათავე დაუდეს ახალ ოსეთს, რომელიც ჩრდილო კავაკასიაშია. მეცნიერები ერთმანეთში ურევენ ალანიასა და ახლ ოსეთს, მაშინ როცა ალანია სულ სხვა ეთნოსი იყო – მონღოლთა მიერ განადგურებული, ხოლო ახალ ოსეთს სატავე დაუდო სულ სხვა ხალხმა, მონღოლთა მოკავშირე ირანულენოვანმა ტომმა).

პ. ჩელინა ამტკიცებდა, რომ დავით-სოსლანის გვარი იყო ცარაზონი, ეს ჰიპოთეზა ბევრმა ოსმა ისტორიკოსმა აიტაცა. ამ გვარის ეტიმოლოგია (ე.ი. ახსნა) თვითონვე იძლევა საფუძველს უარყოფისა. ,,ცარაზონ“ აღნიშნავს ,,მეფის შვილს“. ,,ცარ“ – მეფე, ,,ზონ“ – შვილი, მაგრამ საიდან მოდის ,,ცარ“-? რუსული ,,ცარი“-დან. რუსული ,,ცარი“, თავის მხრივ, მომდინარეობს ბულგარული ,,ცარ“-იდან. ჯერ ბულგარელებმა, მერე კი რუსებმა ,,ცარი“ აიღეს ,,ცეზარი-დან'', ე.ი. ,,კეისარიდან“ დაამახინჯეს ,,ცეზარი“. ,,ცეზარის“ დამახინჯებული ფორმა ,,ცარი“ ოსეთში ცნობილი გახდა ივანე IV-ის დროიდან, ანუ XVI ს-დან. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია XII ს-ში დაბადებული ოსი უფლისწულისთვის ეწოდებინათ სახელი, რომელიც 400 წლის შემდეგ წარმოიშვა.

ოსებს დამწერლობა არ შეუქმნიათ.

ქართული იყო საეკლესიო ტერმინოლოგიაც. მაგ., ქართულად ,,ჯვარი“, ანუ ,,ჯუარი“ ოსურში გადავიდა, როგორც ,,ძუარი''. აშკარაა, რომ ეს ქართული სიტყვაა.

ოსური გვიანდელი ფეოდალური სახელები: ,,აგუზონები“, ,,სიდამონები“, ,,ცარაზონები“, ,,კუგასონები“, ,,ცახილონები“ თავს აცხადებენ ქართველ მეფეთა ნათესავებად. ერთდროულად თავს თვლიან ოს-ბაღათარის და ბაგრატიონთა შთამომავლებად. **ბევრი ნამდვილად ქართული წარმომავლობის საგვარეულო მონღოლთა ბატონობის დროს გაოსდა. მაგ., არსებობს ეჭვი და საფუძვლიანიც, რომ ცნობილი ოს-ბაღათარი XIV ს-ის დასაწყისში, რომ დაიკავა შიდა ქართლი და სიცოცხლე გაუმწარა ქართველობას, წარმოშობით იყო ქართველი ბაგრატიონი, ოღონდ გაოსებული.** ოს-ბაღათარი სახელი და გვარი არ არის. იგი ნიშნავს ,,ოსთა მთავარს“. ოს-ბაღათარი დასაწყისში ფლობდა კასრის ხეობას, სადაც XIV ს-ში ჯერ კიდევ მძლავრი იყო ქართული კულტურული ტრადიციები. სწორედ მისი ნახევრად ქართველობა ხდიდა რთულს მასთან ბრძოლას. გიორგი ბრწყინვალემ ოცწლიანი ბრძოლების შედეგად მთლიანად მოსპო ოს-ბაღათარის ნაშიერები და დედა სამშობლოს დაუბრუნა მისი ისტორიული კუთხე.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ: დავით სოსლანი იყო ოსეთში გამეფებული ქართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი, მისი მეორე გვარი იყო ეფრემისძე.

დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფია ძირითადად ემყარება კასრის ხეობის ოსთა ზეპირსიტყვიერებას. მეფეთა-მეფე თამარის ეპოქაში აშკარად ჩანს 3–4 ოსური სამეფო.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ცნობებით შესაძლებელია დაახლოებით მოვხაზოთ ოსური სამეფოები: 1. პირველი არის ხუდან ოსთა მეფის სამფლობელო. მასთან მტკიცე კავშირი ჰქონდა ჯერ დემეტრე I-ს, მერე კი მის ვაჟს გიორგი III-ს. ამ უკანასკნელის მეუღლე იყო უმშვენიერესი ბურდუხანი, ხუდანის ასული, თამარის დედა. 2. მეორე სამეფო ან სამთავრო იყო იმ ოს უფლისწულთა ქვეყანა, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში თამარის ხელის სათხოვნელად და რომელთაგან ერთი, უკან მიმავალი, დარდისაგან გარდაიცვალა ნიქოზში. თუ გავითვალისწინებთ, რა გზით ბრუნდებოდნენ ეს უფლისწულები უკან, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მათი მამული მდება-

რეობდა თანამედროვე დვალეთის გადაღმა, მაშინ, როდესაც ხუდან მეფის სამ-ფლობელო დარიალის მიღმაა სავარაუდო. 3. მესამე სამეფოს თუ სამთავროს წარმოადგენდა ე.წ. ალანეთი, თანამედროვე ყარაჩაის ოლქში. 4. მეოთხე სამ-ეფო სავარაუდოა კიდევ უფრო შორს ჩრდილო-დასავლეთით. სწორედ აქ უნდა გათხოვილიყო დემეტრე მეფის ქალიშვილი. დემეტრე I-ის ქალიშვილი ჯერ გაუთხოვებიათ რუსეთში, მაგრამ სასიძო, დაქვრივებული იზიასლავი, გარ-დაცვლილი დახვედრია. იგი მიუღია მის ძეს. მოგვიანებით ქართველი მეფის ასული მოხვდა იმ ოსურ-ალანურ სამთავროში, რომელიც რუსეთთან შედა-რებით ახლოს იყო.

ოს ისტორიკოსთა უმეტესობა საკითხს ასე არ სვამს. მათ მიაჩნიათ, რომ ოსეთი, ანუ ალანეთი ერთიანი სამეფო იყო, რაც არაფრით არ დასტურდება.

დავით-სოსლანი უნდა ყოფილიყო ალანიის, ე.ი. მესამე ოსური სამეფოს მეფის ჯადარონის ვაჟი. ეს ის ქვეყანაა, რომელიც უკვე X ს-დან განიცდიდა მძლავრ ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას და მთლიანად იყო ქართიზებული, ოღონდ აფხაზური რედაქციით. ამაზე მეტყველებს შემონახუ-ლი ქართულ-ქრისტიანული არქიტექტურა ქართული ტაძრების ფრაგმენტე-ბით.

თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს აჯანყების დროს ცხუმისა და აფხაზეთის ერისთავები თამარის მოწინააღმდეგეები არ არიან.

დავით-სოსლანი მოიხსენიება ვითარცა „მეფე ქართველთა“.

1205 წელს გარდაიცვალა დავით-სოსლან ბაგრატიონი. დიდებულად დამარხეს ქართველებმა ბრწყინვალე რაინდი გელათის სამეფო აკლდამაში,

არსებობს „მეცნიერული“ გამოკვლევა, რომლის მიხედვით თურმე და-ვით-სოსლანი მოუკლავთ მძინარე და ეს „დაამტკიცეს“ მისი გვამის გაკვეთით! რაც შეეხება გვამს, თურმე დავით-სოსლანი დაუკრძალავთ არა გელათში, არა-მედ ნუზალში, კასრის ხეობაში. მართლაც, გათხარეს რომელიღაც გოლიათის საფლავი, იქ ნახული ცხედრის ძვლები ათასნაირი მითქმა-მოთქმის საგანი გა-ხდა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ საფლავში აღმოჩნდა მძიმე კეტი და ალჩუ კოჭები, თურმე საქართველოს მეფეთა-მეფის თამარის ღირსეული მეუღლე და თანამეფე, უებრო რაინდი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, მიყრუე-ბულ მომცრო ეკლესიაში დაუმარხავთ ალჩუ-კოჭების და მეცხვარის კეტის ამარა. ასეთი ისტორიოგრაფიის განხილვაც კი შეურაცხმყოფელია წარსულის ხსოვნისადმი, თუმცა ერთი კია, გაყალბებულ ისტორიას პატარა ხალხების ავადმყოფური პატივმოყვარეობის სრული გამრუდება შეუძლია. ეს კი ხშირად ეთნოკონფლიქტების იდეოლოგიურ წყაროდ იქცევა ხოლმე. არავითარი ისტორიული ძიება არ სჭირდება დამაშვრალი რაინდის ნეშტს. იგი მშვიდად განისვენებს გელათში, ქართველ ბაგრატიონთა სამეფოში,“ – წერს ლოვარდ ტუხაშვილი.

http://www.georgyal.ge /?MთID=1&თID=25&იდ=2769

ვ. დოლიძის ნაშრომი „ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი“

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადელის მოამბე, ტ. XV, № 2,1954)

ვ. დოლიძე წერს: „ხოზიტა – მაირამი როგორც თავისი გეგმის გადაწყვეტით, ასევე ფორმებით, პროპორციებით, შემკულობითა და სამშენებლო ხერხებით, აშკარად ამჟღავნებს ქართული საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივ თვისებებს. ძეგლი მდებარეობს მდ.არდონის შენაკად მდ. ზრუგის ხეობაში. გზა მისკენ ოსეთის სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. ზარამაგიდან ს.ნარის მიმართულებით მიდის, ამ უკანასკნელთან მისვლამდე მარჯვნივ ჩაუვლის ს. ფლეშს და ზრუგის ხეობაში შედის. ხეობას მისდევს ბილიკი, რომლის მეათე კილომეტრზე სოფ. ხიდაკუმია, ხოლო ცოტა უფრო მაღლა ს. ხოზიტიკაუ. შემდეგ იგი საქართველოს სსრ საზღვრის კუდაროს უღელტეხილისაკენ მიიმართება. სოფ. ხიდაკუმსა და ს. ხოზიტიკაუს შორის, მდ.ზრუგის მარჯვენა, ციცაბო ნაპირზე, ხოზიტა მაირამის ნანგრევებია აღმართული.

ხოზიტა-მარიამის ინტერიერი სავსებით შეესაბამება X–XI სს. ქართულ დარბაზულ ტაძრებს.

ა. ვოლსკაიას ნაშრომი „კედლის მხატვრობის ფრაგმენტები“ „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაძარში“

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ.XV, №6, 1954)

ვოლსკაია წერს: “ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე ზრუგდონის (მდ.არდონის შენაკადი) ხეობაში, დგას ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები, ამჟამად ცნობილი ოსური სახელწოდებით „ხოზიტ-მაირამი". ეს ტაძარი ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ თავისი, გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურით, არამედ კედლის მხატვრობის ფრაგმენტებითაც.

ამ კომპოზიციის იკონოგრაფიული ნიშნები ჩვეულებრივია შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისათვის. ანალოგიურად აგებული კომპოზიცია გვაქვს, მაგალითად, ბოჭორმის მოხატულობაში, რომელიც XII ს-ის შუა წლებს მიეკუთვნება.

ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად ცნობილია შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის მხოლოდ ორი ნიმუში: ერთი მათგანია „ხოზიტა-მაირამის“, მეორე – არდონის ხეობაში ნუზალის პატარა ეკლესიის მოხატულობა, რომელიც XIII ს. მიეკუთვნება. ორივე ეს მოხატულობა

უდავოდ ქართულია. ამაზე პირველი ძეგლის მხატვრობაში მიგვითითებს მისი სტილისტიკური ხასიათი, რომელიც ანალოგიებს პოვებს შუა საუკუნეების საქართველოს გარკვეული ხანის კედლის მხატვრობაში. ნუზალის კედლის მხატვრობის შესრულება ქართველი ოსტატის მიერ, ამას გარდა, დასტურდება ქართული ასომთავრული წარწერებით, რომლებიც თან ახლავს გამოსახულებებს. ჩრდილოეთ ოსეთში ქართული არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ძეგლების არსებობა კანონზომიერადაა გაპირობებული იმდროინდელ საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობით, რის ერთ-ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენს ტაძრების მშენებლობა ქართველი მისიონერების მიერ.

ვ. გამრეკელის ნაშრომი „ისტორიული მასალები დვალეთიდან“

(ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV–3B, 1963, გვ.91-103).

ვ. გამრეკელი წერს: „დვალეთის ხეობათა შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია მისი უკიდურესი დასავლეთი ხეობა, ამ ხეობას შუა საუკუნეობრივი ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურით ეწოდებოდა ჟღელეს ხეობა. საგულისხმოა, რომ „ჟღელეს ხეობა“ – სახელწოდების ხმარება გვხვდება არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, არამედ ქართულ”, კერძოდ, რაჭულ, ფოლკლორშიც და ხალხურ მეტყველებაში. ამ სახელწოდებამ XIX ს. მოატანა; ის რუსულშიც გადავიდა და ერთხანს რუსულ ოფიციალურ საბუთებშიც იხმარებოდა жгельское ущелье ფორმით. ამჟამად კი ეს ხეობა რუსულ და ოსურ ენებზე იწოდება მამისონის ხეობად (Мамисонское ущелье, Мамисоком). **ხეობის წყლის ქართული სახელწოდებაა „ჟღელეს წყალი“, ხოლო რუსულად და ოსურად მას ამჟამად უწოდებენ Мамисон-дом.**

წყლის გაყოლებით ხეობაში ახლო-ახლო მრავალი სოფელი და ნასოფლარია. თავის ზემო ნაწილში ხეობა მამისონის უღელტეხილს აღწევს, ხოლო ქვემო ნაწილში – სოფ. ქვემო ზრამაგას.

ამ ხეობის მთელ სიგრძეზე (21–23 კმ.) ჟღელეს ხეობა ახლოა რაჭასთან არის მასთან უშუალოდ დაკავშირებული. არსებობს რიგი ისტორიული მოწმობისა იმაზე, რომ დვალეთი შუა საუკუნეებში მეტწილად ქართლის თუ საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში შემოდიოდა და კულტურულ – ეკონომიურად, პირველ რიგში, ქართლთან იყო დაკავშირებული, ხოლო **გვიან შუა საუკუნეებში დვალეთის დასავლეთ კუთხეს (ჟღელეს ხეობას) იჩემებდნენ იმერეთის მეფე და რაჭის ერისთავი[2].** ყოველივე ამის გამო არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ვივარაუდოთ წინა საუკუნეებში რაჭასა და ჟღელეს ხეობას შორის ცხოველი ურთიერთობა.

ჟღელეს ხეობაზე გაუვლია თავის 1869–1871 წწ მოგზაურობის დროს ცნობილ კავკასიელ მოგზაურს ვ. პფაფს. თავის მოგზაურობის აღწერილო-

ბებში მას მოჰყავს რიგი საყურადღებო ცნობებისა და შენიშნავს: «Мамисон-Дон принимает в себя многочисленные горные потоки. Замечательно, что **часть этих потоков, как некоторые аулы, носят грузинские названия. Из этого можно заключить, что осетины, обитающие в этом ущельи, смешались с грузинами 3).**

«Жители («Мамисонского ущелья» – з.ბ.) по типу, очевидно, смешаны с грузинами или имеретинами и речки большею частью носят грузинские названия 4".

ბ. ბიგულაევი აღნიშნავდა, სახელდობრ, რომ «Надписи на грузинском алфавите обнаружены на стенах развалин древнего храма и на могильных камнях древнего кладбища в сел. Калак 7.

მართლაც, ჟღელეს ხეობაში მრავალგვარ ფორმებში ვლინდება ქართული კვალი: აქ შეხვდებით XI ს. **დროინდელ მოზრდილ (7X13 მ) ეკლესიის ნანგრევებს სოფ.თლისთან,** ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს სოფ.ქალაქში;

ჟღელეს ხეობის აყოლებით, **სოფ. თლის** ზევით, შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე არის სოფელი – „მუგრავოვ“ (რესპ. მორავოვ) გვარის ოსების სამოსახლო ადგილი. ამ კოშკის ახლო ახლად აშენებული სახლის პირველ სართულისწინა კედელში ჩატანებულ ერთ მოზრდილ ქვაზე (სიგრძე – 105 სმ, სიმაღლე – 32 სმ). ვნახე წარწერა, რომელზედაც მელაპარაკა ქ. ალაგირის მუზეუმის დირექტორმა სოხიევმა. წარწერა შესრულებულია ამოკოდვით და ქართული მხედრული ასოებით (იხ. ტაბ I, სურ.2). ის იკითხება ასე:

ჩყლე, სალათასშ ბიზდი, ჩყლე = 1835 წელს; სალათასშ – სალათას შვილი; აქ დროული იქნება დავიმოწმოთ ერთი ცნობა: 1821 წ. რუსული სამხედრო ხელისუფლების დავალებით კაპიტანი კადნიკოვი მცირე რაზმის და ვინმე ო. ჭიჭინაძის (მთარგმნელი) თანხლებით გადავიდა რაჭიდან მამისონის უღელტეხილით ჟღელეს ხეობაში. თავის 1821 წლის 22. VI პატაკში ის ახსენებს **სოფ. ქამსხოს „Канцхути“**- ს ფორმით და ასახელებს აქაურ მოსახლეს ვინმე სალათა მოურავაშვილს (Салата Моуравишвили)10. ვფიქრობთ, რომ ქვის წარწერაში მოხსენებული სალათა შეიძლება იყვეს იგივე სალათა მოურავაშვილი მოხსენებული კაპიტან კადნიკოვის პატაკში. ბიზღი – მამაკაცის ოსური სახელწოდებაა და შეესატყვისება ქართულს "ბესარიონ“. ამრიგად,

გამოდის, რომ წარწერა შესრულებულია 1835 წელს და მასში მოხსენებულია სალათას შვილი ბიზდი. ქრონოლოგიური, ტერიტორიული და სახელის (სალათა) თანადამთხვევა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ბიზღი – ბესარიონი იყო შვილი 1821 წლის დოკუმენტში მოხსენებული სალათა მოურავაშვილისა. ჩანს, 1835 წელს ამ სახლის პატრონი ბიზდი მოურავაშვილი თავისი გვარის ერთ-ერთი წარჩინებული წარმომადგენელი ყოფილა. ამჟამად ამ სახლის, მუგრავოვთა (მორავოვთა) საგვარეულო კოშკის და ირგვლივ კარ-მიდამოს პატრონია ხსენებული ვიქტორ ჩელდიევი. მეტად ნიშნეულია გვარი „მოურავაშვილი“, მითუმეტეს, რომ ის დაკავშირებულია ისეთ კოშკთან, რომლის მსგავსი დვალეთში ცნობილი არ არის და, რომელიც აშკარად განირჩევა ოსურ საგვარეულო კოშკებისაგან. ჟღელეს ხეობაში მოურავის სამოხელეოს არსებობა ადვილი დასაშვებია“; ცნობილია **XVI–XVIII სს.**

ქართლ-იმერეთის მეფეებისა და რაჭის ერისთავების პრეტენზიები დვალეთზე. ისინი იჩემებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას დვალეთზე“. ისინი იჩემებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას დვალეთზე

ამ კოშკის და „მოურავაშვილი“-ს გვარის აქ არსებობა ემოწმება, თავის მხრივ, წერილობით ისტორიულ ცნობებს, რომ **ქართლ-იმერეთის მეფეები თავის სუვერენულ უფლებებს ავრცელებდნენ დვალეთზეც.**

სოფ. ქამსხოს ზემოთ, ჟღელეს-წყლის აყოლებით 1 კმ დაშორებით ამავე ხეობაში არის სოფელი, სახელდებული „ქალაქ“-ად. პირველ რიგში ეს სოფელი ყურადღებას იქცევს თავისი სახელწოდებით. ადგილობრივი მოსახლეები ოსურ და რუსულ მეტყველებაშიც სოფლის სახელად ხმარობენ „ქალაქს“. (Калак – Калаки). სხვა სახელწოდება ამ სოფელს არცა აქვს. სახელის ქართულ ხასიათს ადგილობრივ ყველა ცნობს და აღიარებს. მაღალი ხეობის პატარა სოფლისათვის სახელის „ქალაქი“-ს მინიჭება თავდაპირველად უცნაურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს სახელწოდება არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგანაც დიდი კავკასიონის ქედის გაყოლებით ჩვენ არა ერთხელ ვხვდებით სახელწოდებას „ქალაქი“. სახელდობრ:

1. ისტორიულ **დიდოეთში,** კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელი თლიადალ ცნობილია მეორე სახელითაც **„ქალაქი“.** XIX ს. ისტორიულ- გეოგრაფიულ ლიტერატურაში ის აღნიშნულია არა ერთხელ სახელწოდებით Калаки.

2. დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში ცნობილია ნასოფლარი „ქალაქეთი“.

3. მდ.დიდი ლიახვის ზემო წელზე, მაღრან-დვალეთში, ცენტრალურ სოფლის ედისის მისადგომთან არის ნასოფლარი, რომელსაც მკვიდრი მოსახლენი უწოდებენ „ქალაქა“ (Калак).

4. **ზემო რაჭაში, სოფ. გლოლასთან,** გორაკზე არის ნაციხარი და ნაეკლესიარი. ამ ნანგრევებს და ადგილს ადგილობრივი მოსახლეები უწოდებენ ზედა ქალაქი (**ვარ. ზედ ქალაქი).**

5. მდ. ქსნის აუზის ზემო ნაწილში, ჭურთის ხეობაში XVIII ს-ში დამოწმებულია სოფელი ქალაქი”.

ყველა მოხსენებულ მაგალითში ჩვენ გვაქვს ისეთი **ტერიტორია, სადაც შუა საუკუნეებში ქართული ენის ხმარება გავრცელებული იყო და რომელიც საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკურ წრეში შემოდიოდა**.

სოფ. ქალაქში შემონახულია დღემდე უცნობი ნაგებობის ნანგრევები. ეს ნანგრევებია: დაზიანებული კოშკები, საცხოვრებელი სახლები, კედლები და სხვ., უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მთის კონცხის ბოლოში არის ქვათა წყობა 2 მეტრზე მეტი სიმაღლის; შიგ ამოშენებულ ნიშში აწყვია ცხვრის რქები, ჯამის ნატეხები, ქვიდან უხეშად გამოკვეთილი ცხვრის და ცხენი”: თაკვბი და სხვ. ეს ქვათა წყობა სალოცავს წარმოადგენს და მოსახლენი ამას უწოდებენ „ძილეს ძუარ“. ადგილობრივ მკვიდრთა სიტყვით, მათ თავის მამა-პაპათაგან გაუგონიათ, რომ ეს სალოცავი **„ძილეს-ძუარ“** აგებულია ასიოდე წლის წინ. მანამდე აქ ნანგრევები მხოლოდ ქვის გროვას წარმოადგენდნენ. ადგილის მოწმ-

ენდის და ამ სალოცავის აგების დროს ნახულ იქნა ნანგრევში 1/2 მეტრის სიგრძის ოქროს ჯვარი და სხვა საეკლესიო ნივთები. ეს ნივთები შემდეგ ვიღაცას მოეპარა და უკვალოდ დაიკარგნენ. იმ მოხუცების ცნობით, აქ სულ ძველად ეკლესია უნდა ყოფილიყო. ნანგრევებს შორის დგას დანგრეული კოშკიც.

1772 წლის 7 ივლისს კუდაროზე გავლისას ი. ა. გულდენშტედტმა თავის დღიურში ჩაიწერა შემდეგი: **„კუდარო წონასთან ერთად დარბეულ იქნა ამ სამი წლის წინ იმერეთის თავადებისაგან;** ამიტომ ყველა საბრძოლო კოშკი ნახევრად დანგრეული იყო. ის (კუდარო – ვ.გ.) ეკუთვნის ოსურ თემს დვალეთს. **თავადი ჯაფარიძე რაჭის ერისთავთან ერთად იჩემებენ ბატონობას ორივე ოსურ თემზე, დვალეთზე და მაფსუანზე**[14].

(მე: მაფსუანი (მა – ფ – სუანი= მა – მაწარმოებელი, ფ – განშლა, და სუანი ანუ სვანები, ფ – სუანი= ნიშნავს – გაშლილი სვანები (ანუ სვანების დასახლება), მაფსუანი – სვანების გაშლილი ქვეყანა, ანდა სვანთა დასახლება, ანუ განშლა. ამავე ფ – მაწარმოებლითაა სიტყვა „აფხაზი.“ ესაა ა – ფ – ხაზ. ხაზ არის იგივე ხაზარე
თი, ხაზარების ქვეყანა, ფ – ხაზ=ხაზარების განშლა, ანუ ხაზარების ქვეყანა. საბოლოოდ, აფხაზეთი ნიშნავს–ხაზარების გაშლილი ქვეყანას, ანუ ხაზართა განშლას, ხაზართა დასახლებას. მართლაც, ვახუშტის ცნობით, აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას ბზიფიდან (ანაკლიიდან) ყუბანამდე, ის, მართლაც, იყო ხაზარების ქვეყანა აფხაზათა საერისთავოს წარმოშობის (მე-8) საუკუნეში).

აქ მოხსენებული როგორც ორი თემი, „დვალეთი და მაფსუანი“, ანუ მამისონი, სწორედ ჟღელეს ხეობას შეიცავს (მაფსუანი, ანუ მამისონი, ანუ სონი ნიშნავს სვანს).

შეიძლება თუ არა სოფ.ქალაქის კოშკის დანგრევა დავუკავშიროთ ერთ-ერთ მოხსენებულ ლაშქრობას. **დიდი ხანია საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ოსურ ენაში მკვიდრად შესული სიტყვა „ძუარ“ ქართული „ჯვარი“-საგან** წარმოდგა, ვნახეთ ამ სალოცავთან რამდენიმე ქართულ წარწერიანი ქვა

1. პირველი ქვა. ქარაგმების გახსნით ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ქრისტე შეიწყალე იოანე გ(?) დიდებაი ძლევის ჯვრის წმინდაო ძვ(?)!||??

ვრა მიქელისძე დიდებაი წმინდა იოანე შეიწყალე იოვანე.

2. მეორე წარწერის შერჩენილი ნაწილი შეიცავს ერთი პირის ვედრებას და იკითხება ასე: ძლევის ჯვრისა წმიდაო გიორგი ამისი მწერალი ბაშარული (ან სხვა რაიმე გვარი) გიორგი შეიწყალე“.

3. ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

გოგაჲ შეიწყალე ძლევის ჯვარო „გი სგჲ“ა შეიწყალე.

4. ამავე სალოცავის უკანა კედელში ჩატანებულია ქვის გრძელი მონაპობი, რომლის ვიწრო გვერდზე შემორჩენილია რამდენიმე ასო (ტაბ. IV. სურ. 1) - ბ-ა-შ-რ-მ-ვ-ნ-ტ-ს-თ ასოები წესიერად და მკვეთრად არის ამოჭრილი; წარწერას ეტყობა დაოსტატებული ხელი.

ამ სალოცავიდან პირდაპირი ხაზით ასიოდე მეტრის მანძილზე მეზობელ მთის ფერდობზე სასაფლაოა, სადაც აღმართულია ასეთივე ტუფის ქვიდან ნაკეთები მრავალი დიდი ზომის ჯვარი,

ამ კუთხეში მკვიდრობენ სხვა ისეთი ფაქტებიც, რომელთა უშუალოდ ქართული წარმართული ტრადიციებიდან წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. სახელდობრ: სოფ. ქალაქის ცოტა ზევით, ამავე ხეობაში და სოფ.ჟღელეს (ოსურად – Згъил, რუსულად Згил) გადასწვრივ მთაზე არის სალოცავი, წოდებული „სანთხოს (ვარ.სანთხოს) კუვანდონ“. ამ სალოცავთან, სათანადო რიტუალის შესრულებით, ამჟამადაც იხდიან დღეობას. დღეობა აქ იმართება თიბვის დაწყების წინ და დაკავშირებულია სწორედ თიბვასთან (1958 წ. ჩემს აქ ყოფნისას დღეობა გაიმართა ივლისის 27-ს, კვირა დღეს). „კუვანდონ” ოსური სიტყვაა და ნიშნავს სალოცავს, სამლოცველოს, ხოლო სანთხოს (ვარ.-სანხთოს – ქართულ საღმრთოსაგან უნდა მოდიოდეს (ქართული მ-ს ოსურში ხშირად ნ შეენაცვლება). მაშასადამე, „სანთხოს კუვანდონ“ იგივეა, რაც „სამღვთოს სალოცავი“. „სანთხოს“ აქ საკუთარი სახელის ფუნქციაშია. ნიშნეულია, რომ მთიულეთ-გუდამაყარშიც დამოწმებულია წარმართული ხასიათის დღეობის „თიბვის სამღთოს“ არსებობა და საერთოდ „სამღვთოს“ ხმარება, როგორც წარმართული ღვთაების საკუთარი სახელისა[18]. ამრიგად, ჟღელეს ხეობაში და, მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხეობებში დამოწმებულ „სამღთო"-ში, ჩვენ ვხედავთ სრულ დამთხვევას როგორც ფუნქციონალურს, ასევე ტერმინოლოგიურს. ერთდროულად ფუნქციონალური და ტერმინოლოგიური დამთხვევის სხვა ფაქტიც არსებობს. ჩვენ ვგულისხმობთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თემურ-წარმართული რელიგიის ტრადიციებიდან კარგად ცნობილ და ოსურ ენაშიც დამოწმებულ კულტის მსახურის სახელწოდებას „დეკანოზ“-ს.

„დეკანოზ" – служитель культа, состоящий при дзуаре (святилище) жрец. Из груз. დეკანოზი... у горцев (мохевцев, пшавов, хевсур) человек состоящий при святилище[19]."

ამრიგად, ტერმინები „საღვთო“ და „დეკანოზი“ წარმოადგენენ ქრისტიანობის და წარმართობის ერთგვარი სინკრეტიზმის ფაქტებს, რომლებიც თანაბრად გავრცელებული ყოფილან დვალეთსა და ხევი-მთიულეთ-გუდამაყარში. ეს ფაქტები მოწმობენ დვალეთში ქართული წარმართულ-მთიური ტრადიციების ოდინდელ გავრცელებულობას. სალოცავ „ძილეს-ძუართან“ დაკავშირებით მოხსენებული სიძველეები (ეპიგრაფიკა, ნაქანდაკარი, ტერმინები) ცხადლივ მოწმობენ შემდეგს: 1) რომ „ძილეს-ძუარ“ სალოცავის ადგილას მოგვიანო (XV–XVII) საუკუნეებში არსებობდა ქართული ქრისტიანული საკულტო ნაგებობა; 2) რომ ამ ეკლესიას ეწოდებოდა „ძლევის ჯვარი“; 3) რომ სალოცავის სახელი „ძილეს-ძუარ“ მიიჩნევა „ძლევის ჯვარი“-სგან წარმოშობილად; 4) რომ ეკლესია მოქმედებდა, თუ მეტი არა, ერთნახევარ საუკუნეს მაინც; 5) რომ ამ მიდამოში ქრისტიანობა ადრე უფრო დახვეწილი იყო, ხოლო გვიან წარმართული ელემენტები შეერია; 6) რომ ქართული კვალი ჟღელეს ხეობაში ვლინდება არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებით, არამედ, და რაც უფრო საგულისხმოა, წარმართულ – თემურ რწმენებთან დაკავშირებულ ფაქტებშიც.

ვ. დოლიძის ნაშრომი – თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი

(მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXI, №6. 1958)

თლის ეკლესია მდებარეობს სოფელ თლის დასავლეთით, მთის ფერდობზე, სამხედრო გზის ტრასაზე, მეთორმეტე კილომეტრზე მამისონის უღელტეხილის გადაღმა. ეკლესია დარბაზული ტიპისაა ზომები: 7, 8X13, 0. ძეგლი წარმოადგენს ცალნავიან ეკლესიას მინაშენის კვალით სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე.

მსგავსად ხოზიტა-მაირამისა, თლის ეკლესია მკვეთრად ამჟღავნებს ქართული ხუროთმოძღვრების ნიშნებს და არქიტექტურულად ძლიერ წააგავს ხოზიტა მაირამს და ამავ დროს მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთ ოსეთის ყველა ძველ ხუროთმოძღვრული ძეგლებისგან. ითვლება იმავე პერიოდის ძეგლად (მე-XI ს.).

ეკლესია ძლიერ დაზიანებულია – კამარა ჩამოქცეულია, ქვების ნაწილი ეკლესიის ირგვლივაა დაყრილი, ნაწილი კი გაძარცულია.

ნაგებობის დიდი ნაწილი ახლა დაღუპულია. კამარა ჩამოქცეულია, ქვების ნაწილი ეკლესიის ირგვლივაა დაყრილი, ნაწილი კი გაძარცულია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თლის შესასვლელის მორთულობა გარედან. აქ შემორჩენილია დეკორატიული გაფორმების ფრაგმენტები, თლის მშენებელმა შესასვლელის მორთვისათვის იგივე მოტივი გამოიყენა, რომლითაც დამუშავებულია თლისთან უახლოესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის – ხოზიტა-მაირამის სარკმლები ([2], გვ.123-124, სურ. 4-6). ამასთანავე, მსგავსება არა მარტო ზოგად კომპოზიციურ აგებულებაშია, არამედ საპირისა და სათაურის დანაწევრებაშიც პარალელურ ლილვებად. ხოზიტა მაირამში ლილვები თანასწორია, ხოლო თლიში რამდენადმე მეტია შუალა.

ამრიგად, ძეგლების ზოგადი განხილვა გვარწმუნებს, რომ მსგავსების ნიშნები თლისა და ხოზიტა – მაირამს შორის გაცილებით უფრო არსებითია. ვიდრე სხვაობის ელემენტები. ამ მსგავსებაზე მიუთითებს სოფ. თლიში მოთხრობილი გადმოცემა. იქ **ამბობდნენ, რომ არსებობს კიდევ ერთი ანალოგიური ტაძარი სადღაც მამისონის უღელტეხილის გადაღმა. სამივე ტაძარი ერთი ოსტატის მიერაა აშენებული ერთ დღეს. ამასთანავე, იგი ადრე დილით ზრუგზე (მდინარე, რომლის ნაპირზეც ხოზიტა – მაირამია აგებული – ვ. დ.) მუშაობდა, შუადღემდე – თლიში, ხოლო საღამოს – უღელტეხილის გადაღმა.** ამ გადმოცემის სიტყვებით, თვალითმნახველნი ხაზს უსვამენ სამივე ნაგებობის სრულ იგივეობას“. ნარის ტაფობზე, ე.ი. ტერიტორიაზე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს ტოპონიმი დვალეთი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა არსებობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც საბუთები **ამ ტერიტორიის მოსახლეობის მიკუთვნებისა ქართველი ხალხის კულტურულ წრესთან.** ხოზიტა – მაირამი და თლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ დვალების ისტორიის საკითხისათვის, რომლებიც მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გახდა სპეციალური კვლევის საგანი [5, 6].

ხუცაუ-ძუარი („ღვთაების სამლოცველო“)

ხუცაუ-ძუარი მდებარეობს ისტორიულ დვალეთში., სოფლები ფალლაგ-ქომისა და რეგახის სიახლოვეს, ფერდობზე. მის რეგიონშია ეკლესიები – (სამლოცველოები)ზრუგის ხოზიტა მად – მაირამისა, სოფელ თლისა, სოფელ ნარისა, ფიქრობენ, რომ ისინი შემდეგ აშენებული პატარა სამლოცველოა.

ხუცაუ-ძუარი, ძეგლი დარბაზული ტიპისაა, შემორჩენილია ნანგრევების სახით.

აგებულია ძველი დვალი, ანუ ქართველი ქრისტიანების მიერ, რომელნიც საქართველოს ეკლესიის სამრევლოს შეადგენდენ ქართულენოვანი წირვა-ლოცვით. სამოცველოს შესახებ ცნობები უცნობია, ამიტომაც მისი ქართული სახელის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ხუცაუ-ძუარი შეარქვეს მოგვიანებით, როდესაც შემოსულ მრავალრიცხოვან მომთაბარეებთან ომს დვალეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა. გადარჩენილი დამორჩილებული დვალები ასიმილირდნენ მტრის მიერ ზედამხედველობისათვის დატოვებულ მცირერიცხოცან, მაგრამ ორგანიზებულ ოსებში. დვალებს, დროთა ვითარებაში, ასიმლაციის გამო – ოსები ეწოდათ. ისინი გაწარმართთდენ. ამის შემდეგ ისინი ოდნავ სახეცვლილ ქართულ სიტყვა „ძუარს“ უწოდებდნენ არა მხოლოდ ჯვარს, არამედ წმიდა ადგილებს, მათ შორის უწოდეს ამ სალოცავსაც და ასევე, ქართული სიტყვა „ხუცაუ“ უწოდეს არა მხოლოდ სასულიერო პირს, ხუცესს, არამედ უზენაეს შემოქმედსაც, ამიტომ ხუცაუ ძუარი ნიშნავს ან ხუცესის სამლოცველოს ან ღვთაების სამლოცველოს. (წყარო – გივი ღამბაშიძე, „ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში“, „საბჭოთა ხელოვნება“, №3, თბ., 1976). https://ka.wikipedia.org

ნუზალის სამლოცველო

(ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ დვალეთში)

https://ka.wikipedia.org/wiki/

ნუზალის სამლოცველო პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. მანვე აღწერა და გადახატა ცხრა ძმის ეპიტაფია, რომელიც მე-20 საუკუნეში დაიკარგა, რის გამოც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დაკოპირებული ეს წარწერა ფასდაუდებელი განძი გახდა. სამლოცველოს ზომებია: სიგრძე 5,50 მ, სიგანე 3,30 მ, სიმაღლე 4,70 მ. არქიტექტურა მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრებას განეკუთვნება და წარმოადგენს ტიპიურ ორფრთიანი გადახურვის მქონე სამლოცველოს, როგორიც მრავლად მოიპოვება მთელს ჩრდილოეთ ოსეთში. ნუზალეს სამლოცველო განთქმულია XIII–XIV საუკუნის ფრესკებით. გამოსახულია ღვთისმშობელი, წმ. გიორგი, სავა-

რაუდოდ, მიქაელ მთავარანგელოზი და საერო პირები – სავარაუდოდ, სამლოცველოს ქტიტორები.

ფრესკები

ნუზალის ჩრდილოეთის კედელზეა ქტიტორთა ექვსი ფიგურის ნაშთი, ერთ-ერთი პორტრეტის მარჯვნივ ასომთავრული წარწერაა – „სოსლან“, ის მიჩნეული იყო დავით სოსლანად. სინამდვილეში მესამე და მეხუთე ფიგურა ქალებისაა. აღსანიშნავია, რომ მესამე ფიგურას ხელთ ჩვილი ბავშვი უპყრია, რომელიც მკვლევართა მიერ ადრე არ ყოფილა შენიშნული[2]. ამრიგად, „სოსლანი“ ჩვილი ბავშვია. ქტიტორთა საერთო კომპოზიცია ძალზედ დაზიანებულია. რთულად იკითხება ჩვილის ფიგურაც. შესაძლებელია, რომ ჩვილი მოგვიანებით იყოს ჩახატული.

ამრიგად, სოფელ ნუზალის სამლოცველოს ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია ქტიტორთა ჯგუფური, ოჯახური პორტრეტი, რომელთა შორის სამი ფიგურა მამაკაცისაა, ორი ქალის და ერთიც – ბავშვის.

ზოგიერთის მოსაზრებით, სოფელ ნუზალის სამლოცველოს ფრესკებთან აკავშირებს ხალხში შემორჩენილი შემდეგი ლექსი:

„ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარჯოლიძე-ჭარხილანი:

ოს – ბაყათარ, დავით-სოსლან ოთხ სამეფოდ მებრძოლანი;

ფიდაროზ, ჯადაროზ, სოყურ და გიორგი – მტერთა რისხვით შემხედვარნი;

ჩვენი ძმანნი, სამნი ბერნი – ისაკ, რომანოზ და ბასილიქნეს ქრისტეს კარგი ყმანი.

ჩვენ გვიჭირავს მომავალთა ოთხის კუთხივ ვიწრო გზანი.

კასარაზედ სიმაგრე მაქვს და საბაჟო აქ მიჭირავს ხიდი-კარი,

საიქიოს მოიმედე, სააქაოს კარგად მდგარი...

ოქროსა და ვერცხლის მიწა, ამდენი მაქვს, ვითა წყალი.

კავკასიონი დავიპყარ, ოთხ სამეფოდ გავუმკლავდი;

ქართველს ბატონს და მოვსტაცენ, არ დავაგდე ჩემი გვარი.

მამწვდა, ფიცით მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი.

ბაყათარი წყალს მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი.

ვინც ეს ლექსი იხილოთა მცირე ბრძანეთ შენდობანი.“

ძეგლმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც 1946 წელს არქეოლოგმა ე. პჩელინამ სამლოცველოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი მამაკაცის ჩონჩხი სამლოცველოს კედელზე არსებული ფრესკის წარწერასთან – სოსლანთან კავშირში და გარკვეულ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, თამარ მეფის მეუღლის – დავით სოსლანად გამოაცხადა[3]. შემდეგ ეს ვარაუდი გაიზიარა და განავითარა ანთროპოლოგმა თ. მამუკაევმა. ნუზალ-არღუანის სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის ანატომიურ-ანთროპოლოგიურ თავისებურებათა შესწავლით და, ამასთან, ზოგიერთი ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობის მონაცემების გათვალისწინებით მანაც, ეს ჩონჩხი ნამდვილად და-

ვით სოსლანად მიიჩნია და მ. გერასიმოვის მეთოდის გამოყენებით, დავით სოსლანის ფიზიკური სახეც აღადგინა.

1971 წელს ივ. ლოლაშვილმა ისტორიულ-ფილოლოგიური, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კვლევის, ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობისა და წარწერათა შესწავლის საფუძველზე მართებულად გააკრიტიკა და უარყო ე. პჩელინათ. მამუკაევის ვარაუდი ნუზალ-არღუანში დავით სოსლანის დაკრძალვის შესახებ.

ნუზალის სამლოცველოსა და იქ დავით სოსლანის შესაძლო დაკრძალვის თაობაზე საყურადრებოა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის ვ. კუზნეცოვის აზრი. იგი ნუზალის სამლოცველოს მშენებლობას (რომელიც ტიპოლოგიურად მთლიანი კავკასიის ორფერ დასახურავიან მიწისზედა აკლდამებს უკავშირებს და ადგილობრივი არქიტექტურული სკოლის ნაკეთობად მიიჩნევს), არქეოლოგიური, ფრესკების ხელოვნებათმცოდნეობითი და წარწერათა პალეოგრაფიული მონაცემებით XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყის მიაკუთვნებს. მისი მტკიცებით, სამლოცველოში გათხრილი სამარხი დავით სოსლანი იყოს[4]

ზრუგის ეკლესია

http://www.pravenc.ru/text

ჩრდილო ოსეთში რამდენიმე ქართული ეკლესია, სამლოცველო და ნიშია, მათ მდგომარეობას გარკვეულწილად გამოხატავს ზრუგის ეკლესია. ის თითქოსდა განზოგადებულად ასახავს ქართული ქრისტიანობის წარსულს ამ მხარეებში და იქაური ხალხის მოსიყვარულე დამოკიდებულებას მის მიმართ, ის შეისწავლა მკვლევრმა ბელეცკოიმ.

ზრუგის ეკლესია მდებარეობს ალაგირის რაიონში ზრუგის ხეობაში, ახლოს სოფელ ნართან. ზრუგის ხეობა იყო ნაწილი თვალგომის (დვალეთის) ოლქისა. მასზე გადიოდა სავაჭრო გზა.

ოლქი დასახლებულია ოსებით, რომელთაც მოახდინეს ადგილობრივი კავკასიური ტომის ასიმილაცია Область населена осетинами, ассимилировавшими местные кавк. племена. (მკვლევარი აღიარებს, რომ ოსებმა მოახდინეს ასიმილიაცია ადგილობრივი ქართველებისა, ანუ დვალებისა).

შუასაუკუნეებში ტერიტორია შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზის ეპარქიის სამწყსოში На протяжении средневековья территория окормлялась Никозской епархией Грузинской Православной Церкви (ГПЦ).

ქართული კულტურა გავლენას ახდენდა ამ მხარის მოსახლეობაზე. ზრუგის ეკლესია აგებულია შირიმის ქვით. ერთნავიანი ბაზილიკაა.

2009 წელს ძლიერ დაიშალა,უფრო დაზიანდა 2002 წელს წყალდიდობის გამო.

დათარიღებულია მე-11 ს (Долидзе. 1954), მაგრამ უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

განეკუთვნება დარბაზულ ეკლესიათა რიგს, რომელნიც აგებულია საქართველო – ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელ გზებზე.

დვალეთში ზრუგის ეკლესიის გარდა იდგა კიდევ რამდენიმე მსგავსი შენობა – თლიში, ნარში, ზარამაგში, კესატიკაუში და სხვა.

დამკვეთები იყვნენ ადგილობრივი დიდებულები. ამ ეკლესიებს აგებდნენ ქართველი მშენებლები, არსებობს მრავალი ანალოგია ქართულ ხელოვნებაში (ჭალა, არბო, დისევი, ვანათი, ზემო კარაბულახი, სათხე, ჟაბეში).

ზრუგის ეკლესიის ჩუქურთმათა მოტივები დამახასიათებელია ქართული კულტურისათვის.

კედლები დაფარული იყო ფრესკებით, ფრესკათა განლაგების სცენები ექვემდებარებოდა გავრცელებულ ქართულ სქემებს. ფერწერა თარიღდება მე-12 საუკუნით (Вольская. 1954) და შედის ფრესკულ კომპლექსში მე-12 – მე-13 საუკუნებისა – ბეთანია, ვარძია, ყინწვისი, ტიმოთესუბანი და სხვა

ჩანს, რომ ზრუგის ტაძარი აშენდა, ვითარცა მთავარი ქრისტიანული ცენტრი ზრუგის ხეობისა. ეკლესიის გარშემო მიცვალებულებს კრძალავდნენ.

მოგვიანო დროს, საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ისევე, როგორც სხვა მრავალ მსგავს ჩრდილოკავკასიურ ძეგლში, ზრუგის ეკლესიაში შენელდა ქრისტიანობა და აქ პატივში აიყვანეს ადგილობრივი ნახევრად წარმართული კულტები, შენობაში შესვლა აიკრძალა, ყველა რიტუალი გარეთ სრულდებოდა. მხოლოდ სახელი მაირამი მიუთითებდა, რომ ერთ დროს ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში ძველი ეკლესიის ნანგრევთან ქრისტიანობის აღმდგენელმა რუსულმა საზოგადოებამ ააგო ახალი ეკლესია, (აკურთხეს 1860 წელს), მაგრამ ამ ეკლესიაში ხალხი სალოცავად არ დადის, ისინი ახლაც მიდიან ძველ ნაგებობაში, ახალი კი მიტოვებულია. უფრო მიდიან მიძინებისას. (Д. В. Белецкий http://www.pravenc.ru/text).

(მიზეზი ამისა ისაა, რომ ადგილობრივები ტრადიციულად ლოცულობდნენ ძველ ქართულ ეკლესიასთან, ხოლო, ახალი, მე-19 საუკუნისა, რუსული ეკლესია, რომელიც ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ააშენა, მათთვის უცხო იყო. ამიტომაც მიატოვეს მთლიანი, კარგ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია და იმავე ეზოში კვლავ ძველი ქართული ტაძრის ნანგრევებთან ლოცულობენ. ასეა ყველა ოსურ სოფელში. ამ ფაქტიდანაც კი ჩანს, რუსებს რომ არ ჩაენაცვლებინათ ქართველი მღვდლები, ოსი ხალხი არ დაკარგავდა კავშირს თავის ისტორიულ ქართულ ეკლესიასთან და ასევე აღადგენდა კავშირს ნიქოზის ეპარქიასთან).

ქართველთა გაოსება

1. შესავალი
2. ოსები- ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრე ხალხი
3. ოსთა და ქართველთა ურთიერთობა მონღოლებამდე
4. დვალების საერწმუნოება და მათი გაოსება
5. დვალების შრმოსვლა ქართლში
6. დვალების გაოსება ქართლის მთიანეთში
7. ოს-დვალთა განსახლება ქართლის ბარში
8. ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში
9. გაოსების რელიგიური მომენტი
10. გაოსებულთა გვარები

შესავალი

ზოგჯერ ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა წერა ქართველთა გაოსების შესახებ და, საერთოდ, არსებობს თუ არა ასეთი პრობლემა? ქართველთა გაოსების საკითხი ჩვენ ძალზე მნიშვნელოვნად და, ამასთანავე, სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემად მიგვაჩნია. როგორც ცნობილია, ოსებს და ქართველებს ხშირად აქვთ ერთნაირი გვარები. სხვადასხვა კუთხის ქართულ მოსახლეობას ამ საკითხის არსში გაურკვევლობის გამო „ოსური“ გვარის მატარებელი ადამიანი, როგორც წესი, ოსური ეროვნების მქონედ მიაჩნია. ეს თაობათა მანძილზე ოსურ თვითშემეცნებასაც კი უყალიბებდა „ოსური“ გვარის მატარებელ ქართველს, ზოგჯერ კი მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგსაც იწვევდა.

მაგალითად, თბილისთან ახლოს, სოფელ დიდ ლილოში, ცხოვრობენ „ოსური“ გვარის მატარებელი ქართველები: ცხოვრებაშვილები, თიგიშვილები და სხვანი. ისინი თავის დროზე სამაჩაბლოდან გადასახლებულან ლილოში. სამაჩაბლოში დარჩენილი მათი მოგვარეები ოსური გარემოს ქვეშ მოექცნენ. მთებიდან ოსების ქართლში ჩამოსახლების შემდგომ ისინი გაოსდნენ, ამიტომაც ეს პრობლემა (კერძოდ ის, რომ მათ ოსებად მიიჩნევენ) გამოწვეულია აღნიშნულ საკითხში მათი მეზობლების გაუცნობიერებლობით. გულნაკლული რ. თიგიშვილი წერს: „წინაპართა გადმოცემით, დიდ ლილოელთა ჯილაგი და მოდგმა წმიდა ქართულია, ასეთივე აზრია დამკვიდრებული სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის ნაწილში (ე. ი. მათში, რომელთაც აღნიშნული „ოსური“ გვარები აქვთ და შეიძლება პასპორტში „ოსიც“ უწერიათ – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე). მართლაც, რომ ყველა ნიშნით ქართული ბუნებისაა, ადასტურებს შემდეგი შეუვალი საბუთები: მთელი სოფლის უხუცესებმა, მათმა წინაპრებმა არც ერთი ოსური სიტყვა არ იცოდნენ, ოსური სახელი არც ადრე და არც გვიან არავის რქმევია. ოს ეროვნებასთან გენურ – ნათესაობით კავში-

რებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არც ერთ ლილოელს არასოდეს არ ჰყოლია ოსი ნათესავი. ისეთ კომპაქტურ, მრავალრიცხოვან სოფელს ოსურის ნასახიც რომ აღარ შემორჩა? პასუხი მხოლოდ ერთია: დიდი ლილო და მისი მოსახლეობა არასოდეს ყოფილა ოსური, თორემ ერთი ოსური ოჯახიც რომ გამორეოდა, მაშინ საქართველოს ზოგ რაიონში თუნდაც კანტიკუნტად მცხოვრები ოსების მსგავსად, ისინიც შემოინახავდნენ თავის თვითმყობადობასა და ჯიშის ნაწილს მაინც.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაინც როდემდე უნდა იყოს დიდი ლილოს მკვიდრი მოსახლეობა გაბატონებული მცდარი შეხედულებით მონათლული? ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ამის გასარკვევად დიდ ლილოელთა ეთნოლოგიით დაინტერესებულ ისტორიკოსთა ავტორიტეტული დასკვნებია საჭირო. ამიტომაც მოთმინებით ველით იმის საჯაროდ გამოცხადებასა და აღიარებას, რაც ჩვენთვის ცხადზე უცხადესია.

საყურადღებოა ერთი გარემოება – ძველი გადმოცემების მიხედვით, თაობიდან თაობის ხსოვნას შემორჩა ლილოელთათვის უცილობელი ჭეშმარიტება: „ჩვენი წინაპრები გმირი ქართველები იყვნენ და სამაჩაბლოს დროშის ქვეშ იცავდნენ სამშობლოს“ (რ. თიგიშვილი, დიდი ლილოს ჭეშმარიტი სული, გაზ. „მამული“ №15, VIII, 90 წ.).

მიუხედავად დიდ ლილოელთა ასეთი ეროვნული სულისკვეთებისა, მეზობლები მათ თავდაჯერებით ოსებს უწოდებდნენ. ამიტომაც კითხულობს ავტორი: „აბა, მაშ რა გამართლება უნდა მოვუძებნოთ ისეთ აბსურდულობამდე თავდაჯერებულ ადამიანთა ახირებას, რომლებიც სისხლით, სული-ხორცამდე ქართველებს არაქართველებად აცხადებენ?“ (იქვე, გვ. 4).

მართლაც, უცოდინარობა და სიმართლის გაგების უსურველობა წარმოშობით ქართველს არაქართველად აცხადებს საქართველოშივე! მადლობა ღმერთს, რომ სამაჩაბლოს ზემოთ აღნიშნული მკვიდრნი არ გაოსებულან, მაგრამ მათი თანამეტომეების ნაწილი გაოსდა, სხვა ავტორები წერენ: **„მრავალი ქართველი, რომელნიც ცხოვრობდნენ ქსნის, ლიახვის, მეჯუდას, ჭარებუდას თუ ელტურას ხეობებში, ისტორიულ სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოში – ილურიძეები, ელბაქიძეები, მარიამიძეები, შევარდნაძეები, ჯირკვალიძეები და სხვა მთიდან მოწოლილი ოსური მოსახლეობის ისეთ იზოლაციაში მოხვდნენ, რომ ნაწილობრივ დაკარგეს მშობლიური ენა, თვითშემეცნება და ბევრჯერ ჩვენ თვითონ დაგვიდასტურებია, რომ ერთი ძმა ქართველად იწერება, ხოლო მეორე – ოსად“** (ელ. ნადირაძე, ნ. შოშიტაშვილი, „კვიცი გვარზე ხტის“ გაზ. „ახ. ივერიელი“ 26.VI. 1990 წ.).

უფრო მეტიც, ჩანს, ერთი-ორ „ოსად ჩაწერილ“ ქართველს მოუწადინებია მამა-პაპეული ეროვნების აღდგენა, მაგრამ მას დიდ წინააღმდეგობას უწევენ. ამიტომაც, ზემოთ ხსენებული ავტორები ეკითხებიან მსგავს მოწინააღმდეგეს: „ამხ. მ. ბერელიძე, როგორ ფიქრობთ, ასეთ ხალხს უარი უნდა ეთქვას თავისი ნამდვილი გვარის აღდგენაზე თუ ყველაფერი მოსკოვს უნდა შეეკითხოთ?“ (იქვე, გვ. 3).

უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ისტორიულ სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები იძულებულნი იყვნენ ოსებად ჩაწერილიყვნენ, როგორც XIX, ისე XX საუკუნეში. XX ს-ის 20–30-იანი წლებში მსგავსი იძულების გამომწვევი პირობები კარგად აქვს გადმოცემული მეცნიერ-მკვლევარს გ. ბოჭორიძეს, რომელიც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ მოყოლილი 4 129 ქართული კომლის, ანუ 23 460 ქართველის შესახებ წერდა: „ოსეთში მოყოლილი ქართველები ყოველმხრივ საშინლად შევიწროებულნი არიან; ისინი აშკარა ტყვეებად გრძნობენ თავს, საქართველოდან სამსახურის საქმეზე მისულ კაცს ისინი თავს ევლებიან და თავიანთ ჭირვარამს ოხვრითა და კვნესით შესჩივიან: „რა გვიყვეს ჩვენმა ძმებმა, ამათ (ე.ი. ოსების) ხელში რად ჩაგვყარეს, განა ჩვენ ქართველები არა ვართო? ...საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არც ერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა. მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარაა, **პირღია ქართველ-ჭამიობას ოსები იჩენდნენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორც არსად მომხდარა: ისინი, ნაციონალისტები, განკულაკებას კი არ აწარმოებდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალურ ზრახვებს ახორციელებდნენ: აშკარად ქართველებს ერეკებოდნენ, შემდეგ განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-ტიტველნი გამოდევნეს. ბოლოს, მრავალნი სომეხთაგანნი (განკულაკებული) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგანი კი – თითქმის არავინ. ქართული ენა იდევნებოდა ქართულ სოფლებში. მიწერ-მოწერა და სხვა, ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია. სამართალი მიდგომითია. ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისთვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან საქართველოში ღსაქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს... ქართველ ქალებზე თარეში და აღვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა. ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენ. თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას... ადგილ-მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოსებს ეძლევა (ეს ისეთი მიზეზია, რომლის გამოც ქართველის ოსად ჩაწერა უთუოდ შესაძლებელია – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე)**, გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს ტვირთავდნენ. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად ... ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა, სკოლისათვის თავი დაენებებინა და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა სკოლას თხოულობდა, ეუბნებოდნენ: თუ გინდათ, ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არა და, თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო“ ... ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს... მოსამსახურეებად, მილიციიდან დაწყებული,

სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევდნენ ადგილს, ვიდრე ქართველებს. ყველა ზემოთ ხსენებულის ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში. მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები ამოღებულია სს. ცაკის საორ. განყ. გამოცემიდან საქ. სსრ ადმინისტრაციული დაყოფა, 1930, ტფილისი“ (ლ. ფრუიძე, გ. ბოჭორიძის ცხოვრება და მოღვაწეობა „მნათობი“ №9, 1990 წ, გვ. 136).

გ. ბოჭორიძის მიერ მოყვანილი ფაქტები სხვა მასალებითაც დასტურდება, მაგალითად, ა. თოთაძე წერს: „ავტონომიური ოლქის შექმნისთანავე სამხრეთ ოსეთის ცაკი იღებს ბევრ უკანონო გადაწყვეტილებას. მაგალითად, 1923 წელს სამხრეთ ოსეთის ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის, შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობითი მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებულ იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“. ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა. ბევრ ასეთ ფაქტს „ვერ ვამჩნევდით“ (ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. „ცხოვრება“ 9.II. 1991 წ.).

სამაჩაბლოში ანტიქართული პოლიტიკა და ქართველთა შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა უფრო ადრეც – 1917–1920 წლებშიც მიმდინარეობდა. მაგალითად, გაზეთი „ალიონი“ წერდა 1918 წლის 29 მარტს სტატიაში „ცხინვალის ტრაღედიის გამო“: – „გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა უთხრეს გლეხებს: ხომ ჰხედავთ, მიწას არ გაძლევთ, გასწყვიტეთ თავადაზნაურობა და წაიღეთ მიწებიო. გლეხები ასეც მოიქცნენ. თავადებსა და მათ ბავშვებს ბრბო შეუბრალებლად ჰხოცდა... **„აბა ჩაუკვირდით ცხინვალის ამბებს. ცხინვალს იკლებენ, სძარცვავენ, მიცვალებულებსაც კი ჰხდიან ტანისამოსს...“**

ქართული მოსახლეობის სასტიკი დევნის შესახებ წერს ლევან თოიძე „ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან 1917–1920 წლებში“ (მაცნე, ისტორიის სერია №3, 1990, გვ. 17-65).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდეც ოსი მოსახლეობა, რომელიც მაშინ ხიზნების სახელით ცხოვრობდა შიდა ქართლში, ქართველ მოსახლეობაზე მეტი უპირატესობებითა და შეღავათებით სარგებლობდა სოციალურ სფეროებში. „ტყით სარგებლობის პრაქტიკა გარკვეულ საბაბს ქმნიდა ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის, მაგალითად, სოფელ ავლევში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოთ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებული იყვნენ ... აღმასკომმა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თითოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი, როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დააკისრეს... (იქვე, გვ. 33).

ოსებს ქართველებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნეში, რაც წინასწარ იყო გამიზნული იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე. შიდა ქართლის საბოლოოდ ოსებით დასახლება რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მოასწრო. მეფის მთავრობა დაემხო. – „მეფის მთავრობამ ერთი ასეთი პროექტიც შეიმუშავა, ქართველების აყრა – გადასახლების მიზნით; ტირიფონის ველის გარშემო მიმდებარე სოფლებიდან განზრახული იყო 40 000 ქართველი გლეხის აყრა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა, ამას წინ უსწრებდა მთავრობის მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოსი ხიზნებისათვის ქართული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას.

კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე (მდ. მეჯუდა) საციციანოსა და საჯავახოში ათიათასობით დესეტინა მიწა უფასოდ უნდა გადასცემოდა ოსებს, ეს მაშინ, როცა ქართველი გლეხები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჯერ კიდევ გამოსასყიდ ფულს იხდიდნენ იმ მიწებისას, რომელზეც ესახლნენ“ (ნ. გრიგალაშვილი, „ისტორიის გზაჯვარედინზე“ გაზ. „სოფ. ცხ.“ 4.I.1990 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზეზი იწვევდა ქართველი ადამიანის სოციალურ-ეროვნულ შეზღუდვას ოსი ეროვნების ადამიანთან შედარებით, რაც ედებოდა კიდეც საფუძვლად ქართველების გაოსებას საქართველოში.

„ქართველთა ისტორიული ბედუკუღმართობის ბრალია ყოველივე ეს, თორემ ჩვენს ქვეყანაში რატომ უნდა გაოსებულიყო, გასომხებულიყო, გათათრებულიყო, გაფრანგებულიყო, გალეკებულიყო, გააფხაზებულიყო ჩვენი სისხლი და ხორცი? – წერს როლანდ თოფჩიშვილი (ისტორიის გამყალბებლებთან კამათს აზრი აქვს? გაზ. ლ.ს. 18.I.1991 წ.).

დიახ, ქართველები გაოსდნენ. საბედნიეროდ, ხშირად გაოსება იმით გამოიხატება, რომ გაოსებულს უყალიბდება ოსური ეროვნული თვითშემეცნება, სხვა მხრივ კი, ის ინარჩუნებს ქართულ წეს-ჩვეულებებს, ქართულ ენას, ქართულ ტრადიციებს და გვარსაც კი. მაგ. ასეთი გაოსებულის ქართული ფორმის მქონე გვარი უკვე აღარ მიიჩნევა ქართულად. ეროვნული თვითშემეცნება სხვა ყველა თვისებას ფარავს. ასე იქცევა ხოლმე სისხლ-ხორცით, მამა-პაპით ქართველი ოსად, ანუ როგორც ამბობენ, „ალანად“.

ხშირად ასეთი კითხვა ისმის: ოსები და ალანები ერთი ხალხია თუ არა? თანამედროვე ოსური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ ოსების წინაპრები ცნობილნი იყვნენ ალანებისა და იასების (ასების) სახელით, მაგრამ, თავის მხრივ, ალანებსა და ასებს (იასებს) ყარაჩაელი და ბალყარელი მეცნიერები მიიჩნევენ ყარაჩაელებისა და ბალყარელების წინაპრებად (კერძოდ, ენათმეცნიერი უ. ალიევი, ისტ. მეცნ. დოქტ. ე. ალექსეევა, ფილოლოგი მეცნიერი ს. ბაიჩიროვი).

როგორც ოსი, ასევე ყარაჩაელი და ბალყარელი მეცნიერების აზრი ალანების ენის (ეთნიკური კუთვნილების) შესახებ განსხვავებულია. პირველთათვის ალანები ირანულენოვანი ტომია, მეორეთათვის – თურქულენოვანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ალანებს არა მარტო თავიანთ წინაპრებად მიიჩნევენ, არამედ ამჟამადაც კი ისინი „ალანებს“ უწოდებენ, ზოგიერთი მეზობელი ხალხი ბალყარელებს –

„ასებს“ ხოლო ყარაჩაელებს – „ალანებს“ უწოდებს, ამის შესახებ ქვემოთ მოწოდებულია ს. ბაიჩიროვის გამოკვლევიდან ერთი ნაწილი. ალანები ჩრდილოკავკასიური ტომისათვის ისეთივე სახის წინაპარია, როგორც, ვთქვათ, ქართველებისათვის შუმერები თუ ქალდეველები, ანდა ხეთები.

ალანებისაგან ოსების წარმოშობას ესაჭიროება დამტკიცება, ეს ძალზე რთულია, არ არსებობს პირდაპირი დამამტკიცებელი ფაქტები.

აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ გააჩნდა თავისი აზრი (ვახუშტი ბატონიშვილი).

ქვემოთ განხილულია თანამედროვე ოსი, ყარაჩაელი, ბალყარელი, ძველი ქართველი ისტორიკოსების შეხედულებანი.

ოსი ხალხის ჩამოყალიბება
„ოსები – ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრე ხალხი“

ოსთა ეთნოგენეზისის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილისა და თანამედროვე ისტორიკოსთა დიდი ნაწილის შეხედულებანი ფაქტიურად მსგავსია.

თანამედროვე ისტორიკოსების დიდი ნაწილის შეხედულება ასეთია: „ოსი ეროვნების ჩამოყალიბება ენობრივ, ნაწილობრივ ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების შუქზე იხატება, როგორც ხანგრძლივი და რთული - პროცესი, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთქმედებასა და ურთიერთშეღწევას ორი ეთნიკური ჯგუფისა: ჩრდილოირანულს (სკვითურ-სარმატულ-ალანურს), ერთი მხრივ, და ადგილობრივ, კავკასიურს – მეორე მხრივ. ამ ორი ჯგუფის ურთიერთქმედებისას ირანული ჯგუფის ირანული ენა იქცა გამარჯვებულ ენად, რომელმაც შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი სიტყვიერი ფონდი. ამავე დროს, ირანული ენის სიტყვათა მარაგი შეივსო ადგილობრივი აბორიგენების ენის ხარჯზე. ამავე დროს, კულტურამ და ყოფამ ადგილობრივი მოსახლეობისა შეინარჩუნა თავისი ძველი ტრადიციული კავკასიური ფორმები“ („სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები“ I, 1985, რუსულ ენაზე, გვ. 58).

სწორედ ასეთი თვალსაზრისი ოსთა ეთნოგენეზისის შესახებ (ოსები, როგორც ორი ეთნიკური ჯგუფის შერევის შედეგად შექმნილი ხალხი) ვახუშტიმ გამოთქვა საუკუნეებით ადრე.

მიუხედავად იმისა, რომ ოსი ხალხის ეთნოგენეზისში ადგილობრივ კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფს ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც სტეპებიდან მოსულს, მაინც თანამედროვე მეცნიერების უმრავლესობა ოსი ხალხის წინაპრად ასახელებს არა კავკასიურ ჯგუფს, არამედ მოსულთ – ალანებს.

„ისტორიული წყაროების შესწავლამ საშუალება მოგვცა მივსულიყავით დასკვნამდე, რომ ის ხალხი, რომელსაც ქართველები „ოვსებს“ უწოდებდნენ, ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი, სპარსი, სომეხი და სხვა ძველი ავტორები „ალანთა სახელით“ იცნობდნენ. ისტორიკოსებისათვის ცნობილი იყო, რომ

ალანები მიეკუთვნებოდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებს, რომლებიც ძველ დროს რუსეთის სამხრეთ რაიონებში ცხოვრობდნენ. ამრიგად, გამოიკვეთა გზა ოსების წინაპრების გადაადგილებისა ჩრდილოეთიდან მათ თანამედროვე საცხოვრებელ ადგილებამდე“ (იქვე, გვ. 56).

როგორც აქედან ჩანს, ოსთა წინაპრებად მიჩნეულია სკვითურ-სარმატული ტომი – ალანები. ოსების ამ წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი და სამშობლო ყოფილა სამხრეთ რუსეთის ველები, საიდანაც ისინი გადმოსახლებულან კავკასიაში. სად ბინადრობდნენ თავდაპირველად ოსთა წინაპრები?

ამ კითხვას პასუხი გასცა ვახუშტიმ. მან ოსების ჩამოყალიბება დასახა, როგორც მოსულ „ხაზართა“ ელიტისა და მკვიდრ „კავკასიელთა“ ურთიერთშერევის პროცესი (თუ რატომ უწოდებდა ჩრდილო კავკასიაში სტეპიდან მოსულ ხალხს ვახუშტი „ხაზარებს“ ამას განვიხილავთ ქვემოთ). „ხაზართა ქვეშ ვახუშტი, ჩანს, გულისხმობდა ირანულენოვან ანდა თურქულენოვან ტომებს.

ვახუშტის შეხედულება ასეთია: ხაზარების სამშობლოა დონის წყლის მიმდებარე ქვეყანა. „ხაზარეთის მდინარე არის დონის წყალი და ხაზარეთი დონის წყლიდან დნესტრამდე, შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 51).

ასევე მიაჩნიათ ოს ისტორიკოსებსაც, რამეთუ ისინი ოსთა წინაპრების პირველსაცხოვრისად სწორედ სამხრეთ რუსეთის ველებსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთს სახავენ: „ნართების ლაშქრობათა და გმირობათა არენას თითქმის მუდამ წარმოადგენს სტეპი, ძალზე ხშირად იხსენიება ზღვა, რაც, კერძოდ, ეთანხმება ისტორიულ მონაცემებს ოსთა წინაპრების (სკვითების, სარმატების და ალანების) ძველი სახლობის შესახებ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოკავკასიის სტეპებში“ („სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები“ გვ. 60).

ალანებს თავდაპირველად უცხოვრიათ არა მარტო აღმოსავლეთ აზოვისპირეთსა და დონზე, არამედ ყირიმშიც, როგორც ამას ლინგვისტური მონაცემები უჩვენებენ (იქვე, გვ. 63).

როგორც ვახუშტის, ისე ოს ისტორიკოსთა თანახმად, ოსი ხალხის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სტეპების ბინადართა კავკასიაში შემოსვლა. ეს მოხდა კავკასიურ ეთნიკურ ელემენტთან შერევის შემდეგ.

როდის შემოვიდნენ კავკასიაში ალანები? როგორც ჩანს, ეს მომხდარა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. „საბჭოთა ენციკლოპედიური სიტყვანი“ მიიჩნევს, რომ ალანების სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ხალხი I საუკუნიდან ცხოვრობდა აზოვისპირეთსა და კავკასიის მთისწინეთში. ალანთა ნაწილი მონაწილეობდა ხალხთა დიდ გადასახლებაში, ეს კავკასიელი ალანები ყოფილან ოსების (იასების) წინაპრები (გვ. 35, სტატია „ალანი“).

ვახუშტიც უძველესი დროით ათარიღებს ოსების ერთ-ერთი წინაპარი ტომის ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლას.

როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიაში სტეპებიდან შემოსულ (ოსთა ერთ წინაპარ) ხალხს ვახუშტი „ხაზარებს“უწოდებს. ჩანს, ეს შედეგია შემდეგი გარემოებისა: – მართალია, ალანები ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყვნენ ცნობილნი, მაგრამ „ალანია“ ანუ „ალანეთი“ ეწოდებოდა მე-9 საუკუნის დასასრუ-

ლიდან მე-13 საუკუნის დასაწყისამდე არსებულ სახელმწიფოს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს სახელმწიფო – „ალანია“ ხაზართა კაგანატს, ანუ ხაზარების სახელმწიფოს გამოეყო (ე.ი. მე-9 საუკუნის დასასრულს) და დაიშალა მონგოლ-თათართა შემოსევების გამო (იქვე, სტატია „ალანია“).

იმიტომ, რომ ალანების სახელმწიფო საუკუნეთა მანძილზე ხაზარების სახელმწიფოში შედიოდა, ვახუშტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრებ ალანებსაც ხაზარებს უწოდებს. ცხადია, ეს ანაქრონიზმია, მაგრამ ვახუშტის დროის მკითხველისათვის ასეთი სახელწოდება უფრო გასაგები იყო, რამეთუ ქართული ძველი ისტორიოგრაფია ტერმინ ხაზარებს იცნობდა, ხოლო ალანებს – არა.

ვახუშტი ასე ხატავს ოსი ხალხის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს: ხაზარები (ე.ი. სტეპების მკვიდრნი) მდინარე დონზე და დნესტრზე, შავი ზღვიდან ლიტვამდე, ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ფარნავაზამდე, მცხეთაში მამასახლისობის ეპოქაში (ე.ი. ქრისტემდე ასწლეულებით ადრე). შემდგომ ისინი დაიძრნენ კავკასიისაკენ და შემოიჭრნენ კავკასიაში თარგამოსიანთა მიწებზე. ცხადია, ამ შემთხვევაში ხაზართა ქვეშ სკვითურ-სარმატული ტომები იგულისხმება. იქამდე ჩრდილო კავკასიის მთლიანი მიწა-წყალი დასახლებული იყო თარგამოსის ძეთა – ლეკანისა და კავკასოსის შთამომავალთა მიერ. ვახუშტის („ქართლის ცხოვრების“) თანახმად, კავკასიაში დასახლებული შვიდი ერთმანეთის სისხლით მონათესავე ტომი (ე.ი. თარგამოსის ძეები: ქართლოსის, ბარდოსის, მოვაკანოსის, ჰეროსის, ეგროსის, ლეკანის, კავკასოსის შთამომავლები) ერთმანეთს ეხმარებოდნენ საერთო მტრის გამოჩენისას.

მართლაც, სტეპის მკვიდრების („ხაზარების“) ჩრდილო-კავკასიაში შემოჭრის შემდეგ შვიდივე კავკასიელი ხალხი გაერთიანებულა საერთო მტრის წინააღმდეგ.

„ხოლო შემდგომად განძლიერდნენ ხაზარნი და უწყეს ბრძოლა ძეთა კავკასოსთა; არამედ ძეთა შორის კავკასოსათა უწარჩინებულესი იყო პირველად ძურძუკოს ძე ტინენისა, ესე ეზრახა ექვსთა ნათესავთა ძმათა (რამეთუ მაშინ იყვნენ სიყვარულსა ზედა ურთიერთისა და მორჩილებისა მცხეთელ მამასახლისისა), რათა მწე ეყვნენ. მაშინ შეითქვნენ შვიდივე ნათესავნი ესე, შეკრბნენ და გარდავლეს მათა კავკასი, მოსრნეს და მოსტყვევნეს ხაზარეთი და აღაშენეს პირსა ხაზარეთისასა ციხე (ბერძულსა 3861, რამეთუ ხაზარეთის მდინარე არს დონის წყალი და ხაზარეთი დონის წყლიდამ დნესტრამდე შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე) და წარმოვიდნენ თვის-თვისად დასაბამითგან წ 2302, ქართულსა 273. შემდგომად ამისა თავი იჩინეს ხაზართა მეფე და შეკრბნენ მის ქვეშე და გამოვლეს გზა დარუბანდისა. ამათ ვერ წინა აღუდგენ თარგამოსიანნი, შემოვიდნენ, მოსრნეს მოსტყვევნეს თარგამოსიანნი დასაბამით 2310, ქართულსა 241, და დაისწავეს გზა დარუბანდისა და არაგვისა და განამრავლეს შემოსვლა თარგამოსიანთა ზედა და იყვნეს მოხარკედ მათდა ჟამ რაოდენმე“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 51).

მაშასადამე, ვახუშტის აზრით, სტეპის მკვიდრთა კავკასიაში შემოჭრის დროს კავკასიის ყველა ტომი გაერთიანდა ქართველთა მეთაურობით მტრის წინააღმდეგ. ამ დროს მათ ვერ შესძლეს მტრის დამარცხება, მაგრამ გარკვეუ-

ლი ხნის შემდეგ სტეპის მკვიდრებში განვითარებულა სახელმწიფოებრიობა და ორგანიზებულ ხალხს დაუმარცხებია იბერიელ-კავკასიელები. ისინი დარუბანდის გზით შემოჭრილან ამიერკავკასიაში, აქაც მრავალჯერ დაუმარცხებიათ იბერიელ-კავკასიელთა საერთო ლაშქარი, ტყვედ წაუსხამთ ჩრდილო კავკასიაში ქართველ – ალბანელთა ერთი ნაწილი და დაუსახლებიათ იქ. აქამდე ჩრდილო კავკასიის ველები დასახლებული იყო ქართლოსის ორი ძმის – ლეკანისა და კავკასოსის შთამომავლებით. საერთოდ, ვახუშტი იმეორებს ძველ ისტორიკოსთა ცნობებს, რომელნიც, თავის მხრივ, საინტერესოა ჩრდილო კავკასიის ეთნოგრაფიული სურათის აღქმისათვის უძველეს დროს. იმის გამო, რომ ვახუშტის მოსაზრება ოსი ხალხის ეთნოგენეზისის შესახებ ფაქტიურად გაზიარებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ, მისი ყოველი ცნობა საინტერესოა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრების დასადგენად მეცნიერებს დიდი შრომა და ძიება დასჭირდათ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ქართველ მეცნიერებს კი ამ კითხვაზე თავიდანვე ჰქონდათ პასუხი გაცემული. მაგალითად, ვახუშტი ასახელებს შვიდ ტომს, რომელთაც აქვთ გენეტიკური ნათესაობრივი კავშირი. სისხლისმიერი ერთობის გარდა, მათ აქვთ თვითშეგნება ერთიანობის შესახებ, ამიტომაც ისინი ერთიანდებიან ხოლმე სამხედრო ძალითაც. ჩვენი ძველი ისტორიკოსები ხალხთა ერთ ოჯახში ათავსებენ ქართულ – ქართველურ და სხვა იბერიულ -კავკასიურ ტომებს. ესენია: ქართლოსის, ბარდოსის, მოვაკანოსის, ჰეროსის, ეგროსის, ლეკანის, კავკასოსის შთამომავლები. ეს უთუოდ დიდი და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია.

მაშასადამე, როგორც აღნიშნული გვქონდა, საერთო სურათი ასეთია: ჩრდილო კავკასიაში (არა მთებში, არამედ მთისწინეთის ველებზე) ცხოვრობს ორი მკვიდრი ხალხი (კავკასოსის შთამომავლები და ლეკანოსის შთამომავალნი). მალე მათ გამოუჩნდათ საერთო მტერი – „ხაზარები“ ანუ სკვით – სარმატები. მათთან ომში ეს ორი ხალხი ხშირად მარცხდებოდა. იმის გასაგებად, თუ როგორ წარიმართა შემდგომ ამ ხალხის ბედი, მოვიყვანოთ გენეალოგიური სქემა მათი ეთნარქებისა (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 633; გვ. 51):

„ხაზართა“ შემოსევის შემდეგ მოვლენები ასე განვითარებულა: ხაზართა ერთი ნაწილი დამკვიდრდა ლეკანის წილ ქვეყანაში (იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ველები), თავის მხრივ, ლეკთა მთავარს, ხოზონს აუყრია თავისი ხალხი, მიუტოვებია ძველი სამშობლო, შემოსულა კავკასიის მთიანეთში და იქ დასახლებულა (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 633).

მეორე ხალხის კავკასიანელთა ერთი ნაწილი შემოსულ „ხაზარებს“ დაუხოცავთ, ხოლო გადარჩენილებს დურძუკოსის მთავრობით მიუტოვებია ძველი სამშობლო და აყრილა ჩრდილო კავკასიის ველებიდან, შემოსულან კავკასიის მთიანეთში და იქ დასახლებულან. როგორც ვთქვით, კავკასიის მთიანეთში ორივე ხალხის გადარჩენილი ნაწილი დამკვიდრებულა. კავკასიანელები დურძუკოსის მთავრობით დამკვიდრებულან მდინარე თერგის სანახებში. ამ „დურძუკოსის“ გამო მდინარის აღმოსავლეთ ნაწილს („კერძს“) ეწოდა ძურძუკეთი, ხოლო თერგის მარცხნივ მიმდებარე ქვეყანას – დვალეთი.

ვახუშტის აზრით, ჩრდილო კავკასიის არცერთ ქვეყანას „ოვსეთი“ არ ეწოდებოდა, რამეთუ ეს მხარე თარგამოსის ძეთა შთამომავლებით იყო დასახლებული. სტეპებიდან შემოსულ მტრებს ერთიანი ძალით წინ აღუდგნენ იბერიელ-კავკასიელნი, მაგრამ დამარცხდნენ. მრავალი ტყვე წაიყვანეს „ხაზარებმა“ ჩრდილოეთში ამიერკავკასიიდან (კერძოდ ქართლ-სომხეთიდან, რანიდან და მოვაკანიდან). ეს ტყვეები შემდგომ ხაზარებმა ჩრდილო კავკასიაში დაასახლეს. ვახუშტის აზრით, სწორედ ჩრდილო კავკასიაში შემოსეული სკვითებისა და მათ მიერ დატყვევებული მოსახლეობის ურთიერთშერევა დაედო საფუძვლად ძველი ოსი ხალხის ეთნოგენეზისს. „ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თვისთა ურბანოსს და ტყვენი ქართლ-სომხითისანი. ამან მოსწყვიდა ნათესავი კავკასოსი და დაეშენა აქა თვისითა და ტყვითა მით და უწოდა ოვსეთი. ესე არს ხაზარულად „ზოგი თესვად“ ვითომ „ზოგი მოვსწყვიდე და ზოგი დავსხი თესვად“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 632).

ამის შემდეგ ჩრდილო კავკასია გავლენის სფეროებად გაიყვეს ოვსებმა („ხაზარებმა“) და ქართველთა სახელმწიფომ („ფარნავაზიანებმა“), დვალეთი და დურძუკეთი, ესე იგი ჩრდილო კავკასიის მთებში არსებული ქვეყნები ქართულ სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო მათ დასავლეთით მდებარე მთისწინეთი და ველები – სკვითებისა („ხაზართ“ მეფისა). დვალეთის დასავლეთით მიმდებარე ვრცელ ქვეყანას უკვე ოვსეთი ეწოდებოდა, „ოვსთა მეფეს“ ერგო დვალეთის საზღვრის გარეთ (დასავლეთით) მიმდებარე ქვეყანა (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 634). (დვალეთი, როგორც ვთქვით, ეწოდება მდინარე თერგის დასავლეთით მდებარე ქვეყანას).

„ხოლო შემდგომ ფარნაოზის გამეფებისა დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუალეთი, და სხვა ხევნი იგი დაშთენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“ (გვ. 633). ე.ი. სხვაა ოვსეთი და სხვაა დვალეთი (ჩრდილო კავკასიაში, თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს დვალეთი, ხოლო დვალეთის საზღვრის გარეთ მდებარე მომიჯნავე ხევები დარჩა ოსთა მეფეს („დარჩა ფარნაოზის ძურძუკი და დვალეთი და სხვანი ხევნი იგინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა“). ამის მიზეზი ის იყო, რომ ხევებში შემოვიდნენ ოსები, „დაიმონეს“ ხევების მოსახლეობა და დასახლდნენ იქ („იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანსავე“).

ვახუშტი ოსთა ცხოვრებას ორ ნაწილად ჰყოფს: – მონღოლებამდე და მონღოლების შემდგომ. მისი აზრით, ძველი ოსი ხალხი ბარში ცხოვრობდა, როგორც აღინიშნა, იგი ორი ეთნიკური ჯგუფის შერევის შედეგად წარმოიქმნა, ცხოვრობდა დვალეთის მეზობლად, ჩრდილო კავკასიის მთისწინეთსა და ველებზე. მონღოლების შემდეგ ყალიბდება ახალი ოსი ხალხი, ანუ მთის ოსები. იგი ყალიბდება კვლავ ორი ეთნიკური ჯგუფის მეოხებით. კერძოდ, მონღოლების შემოსევათა გამო დვალეთში ესახლებიან ბარის ოსები, რაც პირობას ქმნის დვალების გაოსებისა. ეს სათავეს უდებს ოსი ხალხის ახალ ცხოვრებას, რომელიც ახლა უკვე მთიელ ხალხად იქცა.

ოსეთის სამეფო

მონღოლების შემოსევამდე ოსეთის სამეფო ვრცლად იყო გადაჭიმული კავკასიის მთების იქით, დღევანდელ დასავლეთ იმიერკავკასიის მიმდებარე ველებზე. მას მართავდა სამეფო დინასტია, რომელიც საქართველოში მიჩნეული იყო, როგორც ერთ-ერთი ღირსეული და სახელოვანი სამეფო სახლი.

ბრწყინვალებითა და დიდებულებით ცნობილი ქართველი ბაგრატიონები თავიანთი ღირსებისათვის მისაღებად თვლიდნენ დამოყვრებას ოსეთის სამეფო სახლთან X–XII საუკუნეებში, რაც ოსეთის სამეფოს სიძლიერეზეც მიუთითებდა.

საქართველოს სამეფოს გაერთიანების შემდეგ ბაგრატიონები საქართველოს თვითმპყრობელი მეფეები გახდნენ და, როგორც წესი, მათ სამეფო სახლში რძლებად უცხო მეფეთა ასულები მოჰყავდათ (საქართველოს დიდებულთა ასულების რძლად მოყვანა სამეფო სახლის ღირსებისათვის მიუღებლად მიიჩნეოდა).

მეფე დიდ გიორგი I-ს, რომელმაც საქართველოში შემოჭრილი ბერძენი იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი გააქცია, ცოლად ჰყავდა არშაკუნიანთა (სომეხთა სამეფო სახლის) ასული, ეს ქალი გიორგი მეფემ შეირთო ოსთა მეფის ასულის შემდეგ – რომელთანაც ჰყავდა ძე – დიმიტრი – „ხოლო კვალად სხვა ძე ჰყვა გიორგი მეფესა ოვსთა მეფის ასულისა თანა დიმიტრი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 145).

ბაგრატ IV-ს ცოლად შერთეს ბიზანტიის იმპერატორ რომანოზის ასული (ელენე), მისი გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ IV-მ შეირთო ოსთა მეფის ასული – „ხოლო მეფემან შეირთო ასული ოვსთა მეფისა – ბორენა“ (გვ. 144).

თამარ მეფის დედაც ოსთა მეფის ასულია, ის გიორგი III-ს მამამისმა, დავით აღმაშენებლის ძემ დემეტრემ შერთო. – „მამასავე, სიცოცხლესა შინა თვისსა, მოეყვანა ამისთვის ოვსთა მეფის ასული ბურდუხან ცოლად, სახით კეკლუც შვენიერებათა ზე აღმატებელი“ (გვ. 166).

თავის მხრივ, ამ ეპოქაში ოსეთის სამეფო სახლშიც შეჰყავდათ რძლებად ბაგრატიონთა ქალები (მაგ. გიორგი III-ის ოჯახიდან), დავით აღმაშენებლის ასული ოსეთში იყო გათხოვილი. სწორედ ამ მიზეზის გამო თამარს შერთეს ოსთა სამეფო სახლის შვილი დავით სოსლანი, რომელიც თავის მხრივ იყო ბაგრატიონთა შთამომავალი. „ქართლის ცხოვრებას“ მისი გენეალოგია ასე აქვს წარმოდგენილი: – მეფე გიორგი Iს (ბასილი ბულგართმმუსვრელის დამმარცხებელს) სხვადასხვა ცოლებისაგან ჰყავდა ორი ძე – ბაგრატ IV და დიმიტრი. დიმიტრის შთამომავალია დავით სოსლანი, ბაგრატ IV-ისა კი თამარი.

ვახუშტის აზრით, დავით სოსლანის გენეალოგია ასეთია (ვახუშტი ემყარება კასრის ეკლესიის (დვილეთშია) მხატვრობასა და წარწერებს, თუმცა გასარკვევია, რეალურად არსებობდა ეს წარწერები თუ ლიტერატურული მითითება არსებობდა ამ წარწერების არსებობის შესახებ).

„მოწამე არს მისი მცირე ეკლესია კასრის ხევსა შინა, დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა

ჯადარინ, ძე ჯადარინისა სოსლან. დავით, რომელიც იყო ქმარი თამარისა, არამედ ეფრემის ძეობა ნუ გიკვირს, ვინაიდგან ოვსეთს მკვიდრობდნენ, გუნებური გვარი ახსენა და არღარა დიმიტრით ბაგრატიონობა“ (იქვე. გვ. 177, სქოლიოში).

დავით სოსლანი საქართველოში, სამეფო სახლშივე, გიორგი III-ის დასთან – რუსუდანთან იზრდებოდა – „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი კაცნი მძლენი, და ძლიერნი ბრძოლასა შინა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 46).

ამ წინადადებიდან ჩანს, რომ თამარის ეპოქის საქართველოში ოსები ითვლებოდნენ მძლე და ძლიერ მეომრებად – „არიან ოვსნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“.

ამიტომაც, ოსთა ჯარის გამოყენებას საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოზე ხვარასნისა, ერაყის სულტანის, ბაღდადის ხალიფასა და სპარსეთის ათაბაგის ერთობლივი ლაშქრობის დროს „...გიორგი მეფემან, შემოკრიბნა სპანი თვისნი იმერ-ამერნი, ზემოქვემონი, გამოიყვანა ოვსნი დიდძალი...“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 167) და ქართველ-ოსთა ლაშქარმა გააქცია მტერი.

მონგოლების შემოსევამდე საქართველოსა და ოსეთის სამეფოებს შორის კეთილი ურთიერთობა იყო, სრულიად იცვლება მდგომარეობა მონგოლთა შემოსევის შემდეგ.

„მაშინ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოსეთისა, (I გვ. 156) მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო, შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლეთით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ქართლის ცხოვრება, I, 157).

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, V საუკუნეში ოსეთის მდინარის ხეობაში („წიაღ“) ოსები, პაჭანიკები და ჯიქები ერთმანეთს ესაზღვრებოდნენ, მრავალი საუკუნის შემდეგ („ჟამთა მრავალსა“) თურქებმა განდევნეს ჯიქები და პაჭანიკები დასავლეთის მიმართულებით, ჯიქები დასახლებულან აფხაზეთის „ბოლოს“ (ჩრდილოეთით). რომელ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ეს? ვინ იგულისხმება თურქების ქვეშ – ხაზარები, ყივჩაღები თუ მონგოლები? ყოველ შემთხვევაში, ეს მომხდარა VIII–XIII საუკუნეებში (ხაზარ-მონგოლთა ეპოქა).

„ოსეთის მდინარეს“ ქართველები უწოდებდნენ „თერგს“. ოსები – ვახუშტის აზრით სკვითებისა („ხაზარების“) და კავკასიელების („კავკასიის ნათესავის“) ურთიერთ შერევით წარმოშობილი ხალხია. ამიტომაც, ოსების საცხოვრისი ქართველი ისტორიკოსების აზრით, არის არა დონ-დნეპრის შორისი (ის იყო მათი წინაპრების საცხოვრისი), არამედ კავკასიის იქით მიმდებარე ველები. აქ ოსებთან ერთად დავით აღმაშენებლის დროისათვის ცხოვრობდნენ ყივჩაღებიც. ყივჩაღთა და ოსთა შორის მუდმივი ომიანობა იყო. მათი მორიგება შესძლო დავით აღმაშენებელმა – „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა და აღიხვნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაღთა და ესრეთ

ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყვარული და მშვიდობა, ვითარცა ძმათა (ქართლის ცხოვრება, I. გვ. 336).

მართალია, ოსთა და ყივჩაღთა შორის მუდმივი ომი იყო, მაგრამ ოსებმა წარმატებით შესძლეს თავიანთი ქვეყნის დაცვა ყივჩაღებისაგან. თუმცა ისინი საკმაოდ ძლიერი ხალხი იყო, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო და ბიზანტიაც ანგარიშს უწევდნენ. ოსეთის სამეფო მონგოლებმა გაანადგურეს, უფრო მეტიც, ვახუშტის აზრით, მონგოლთა შემოსევების შემდეგ ისე სასტიკად დაზარალდა ოსეთის სამეფო, რომ მის არსებობას საფუძველი შეერყა, კერძოდ, ამ დროს ოსეთის უდიდეს ნაწილში ჩასახლებული იქნა სხვა ხალხები, ამის გამო ტერიტორიას, რომელსაც ადრე ოსეთი ეწოდებოდა – ეწოდა „ჩერქეზი“ და „ყაბარდო“ ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ისტორიული ოსეთის სამეფო გაანადგურეს მონგოლებმა – ოსების დიდი ნაწილი, ალბათ, ასიმილირებული იქნა ისტორიულ ოსეთში დამკვიდრებულ სხვადასხვა ტომებში, იგულისხმება „ჩერქეზ“ „ყაბარდო“. ხოლო ოს დიდებულთა ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს მთებში, კერძოდ, დვალეთში. დვალეთში ოსმა დიდებულებმა და, ჩანს, მასთან ერთად მყოფმა ოსმა სამხედრო არისტოკრატიამ შესძლო დვალების („ქართველური ტომის“) ასიმილირება, ამის შემდეგ სწორედ ამ ახალ ტერიტორიას (ისტორიულ დვალეთს) ეწოდა ოსეთი (ვახუშტის ამ მოსაზრების შესახებ იხ. ქვემოთ). ესაა ვახუშტის თვალსაზრისი

ისტორიული ოსეთი სხვა ქვეყანა იყო, ხოლო დვალეთის ოსეთი – სულ სხვა. ისტორიული ოსეთი მეტოქე იყო მონგოლებისა, მისი მეზობლებისა – ყივჩაღეთისა, ხაზარეთისა და რუსეთისა. ხოლო შემდგომი კავკასიის მთიანეთში მდებარე დვალეთის მომცველი მხარე პატარა ოლქი.

ჩინგიზ ყაენმაო, ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“ „უხუცესსა შვილსა თუბისსა მისცა ლაშქარისა ნახევარი და წარავლინა დიდისა საყივჩაღეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163. აქ „ბნელეთის“ ქვეშ იგულისხმება არქტიკული ტერიტორიები ჩრდილო რუსეთისა, სადაც მართლაც 6 თვე მზე არ ამოდის).

ბათო ყაენს (ჩინგიზ ყაენის შვილს თუბის ძეს) – „...ჰქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა“ (იქვე, გვ. 196).

მან ქვეყნის აღსაწერად კაცი „წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაღეთს, ვიდრე ბნელეთამდე, აღმოსავლით ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე“ (იქვე, გვ. 234).

აქედან ჩანს, რომ ძველი ოსეთი ისეთივე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, როგორც დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ცხადია, აქ კავკასიის მთიანეთში მდებარე დვალეთის მომცველი ტერიტორია არ იგულისხმება. ძველი ოსეთი ვრცელი ქვეყანაა, ამიტომ იხსენიება მძლავრი მეზობლების გვერდით, სწორედ ამიტომ გაანადგურეს ის მონგოლებმა. მონგოლებმა აღხოცეს სახსენებელი ხაზარებისა და ყივჩაყებისა, მათი ქვეყნები მოსპეს, ასევე გაანადგურეს ისტორიული ოსეთიც. გარკვეული ხნის შემდეგ ასპარეზზე გამოჩნდნენ უკვე სულ სხვა პოლიტიკური პორიენტაციის ოსები, ისინი მეგობრობდნენ მონ-

ღოლებთან. თუ ძველი ოსები მონღოლებს მტრობდნენ, და ისინი ამის გამო გაანადგურდნენ, ახალი ხალხი – პირიქით მონღოლთა მეგობარობით გამოირჩეოდნენ.

საფიქრებელია, რომ ძველი ოსეთის ტერიტორიაზე მონღოლთა მიერ ჩასახლებულმა რომელიღაც ახალმა ხალხმა სახელი მიიღო თავისი სახცოვრისის მიხედვეით, ანუ მონღოლთა მომხრე ამ ხალხს სახელი ოსები უწოდეს ტერიტორიის სახელის მიხედვით, მათ მონღოლებმა სამართავად გადასცეს დვალეთი – კავკასიის მთებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მონგოლები, რომლებიც ისტორიულ ოსეთში ოსების არსებობას ვერ ითმენენ, ხელს უწყობენ ამ ახალი ოსების გაძლიერებას საქართველოში, ანუ მონგოლები შეეცადნენ ახალ ოსთა სამხედრო ძალა გამოეყენებინათ ქართველთა დასასუსტებლად საქართველოში. ისინი ოსებს აძლევენ საქართველოს გულში მდებარე გორის ციხეს, და იქ ოსთა სამხედრო ძალები ჰყავთ, როგორც მონგოლთა დამხმარე გარნიზონი.

მონგოლებს ახასიათებდათ მსგავსი ქმედება, მაგალითად, გაჰყავდათ ქართველთა სამხედრო ძალა და მისი საშუალებით ებრძოდნენ მახლობელ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეს. ამავე დროს, საქართველოს შიგნით სხვა ეროვნების სამხედრო ძალა (ამ შემთხვევაში ოსები) შემოიყვანეს. ჩანს, სხვა ქვეყნებშიც მსგავსადვე იქცეოდნენ. საქართველოში მონგოლთა შემოსვლიდან ვიდრე გიორგი ბრწყინვალის გამარჯვებებამდე, ანუ მონგოლთა ბატონობის მანძილზე, როგორც წესი, მონგოლები ქართველთა სამხედრო ძალებს უცხოეთში აომებდნენ.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა ორი უძლიერესი სახელმწიფო: ოქროს ურდო, რომელიც მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, ყირიმს, სტეპებს ვოლგიდან დუნაიმდე, ვოლგისპირეთს, ჩრდილო ხორეზმს, ციმბირის დასავლეთსა და ჰულაგიდების ილხანთა ირანის მონგოლური სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ამიერკავკასიას, მცირე აზიის აღმოსავლეთს, ერაყს, ირანთან ერთად თურქმენეთსა და ავღანეთს. ეს ორი უძლიერესი სახელმწიფო სასტიკად მტრობდა ერთმანეთს. მათ ჰქონდათ საერთო საზღვარი. ეს იყო კავკასიის ქედი. ამ ქედის უღელტეხილები იყო მათი ყურადღების უმთავრესი საგანი, ორივე ეს სახელმწიფო ცდილობდა კავკასიის გზით მოესპო და დაემარცხებინა ერთმანეთი, დაეცვა უღელტეხილები, ჰყოლოდა ერთგული ტომები.

ამ დროს ამიერკავკასია შედიოდა ილხანების (ირანის) მონგოლთა სახელმწიფოში. ოსებს სურდათ, ილხანების ძალაც გამოეყენებინათ ოქროს ურდოს წინააღმდეგ და ისინი მიემხრნენ ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს წინააღმდეგ შეჭრილ ილხანებს. ილხანების მონგოლური სახელმწიფო ოსებს უყურებდა, როგორც ერთგულ მეომარ ხალხს, რომელსაც შეეძლო კავკასიის უღელტეხილები (ანუ ილხანთა სახელმწიფო) დაეცვა ოქროს ურდოს ლაშქრის შემოსევისაგან.

„ოსებს სურდათ, ესარგებლათ ჩრდილო კავკასიაში ილხანების შეჭრით და მათი დახმარებით გადაეგდოთ მონგოლთა უღელი (აღსანიშნავი ფაქტია: ქართული მმართველი წრეები ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლისას ეძებდნენ

ოქროს ურდოს მონგოლების დახმარებას. ორივე შემთხვევაში მონგოლთა მიერ დამონებული ხალხები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მონგოლთა ურდოებს შორის წინააღმდეგობა“) (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები I, 1985, გვ. 85).

XIII საუკუნის 60-იან წლებში ილხანები შეიჭრნენ ჩრდილო კავკასიაში. მათ ოქროს ურდოს წინააღმდეგ მიემხრნენ ოსები. ილხანები (ოსებთან ერთად) დაამარცხა ოქროს ურდოს ლაშქარმა. ოქროს ურდოს ხანმა დაიწყო ილხანთა მომხრეების დასჯა. ამ დროს, ჟამთააღმწერელის თანახმად, ოქროს ურდოს მიერ დევნილი ოსთა მეფე შველას ეძებს ილხანთა სახელმწიფოში. ილხანთა ყაენმა ჰულაგუმ ის კარგად მიიღო, დაავალა სამხედრო სამსახური და დააჯილდოვა. ამის შემდეგ ის თავის მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად შემოდის საქართველოში (ე.ი. ილხანთა ერთ-ერთ ქვეყანაში). ქართველი მეფეც კარგად ხვდება მას და ოსებს ასახლებს დმანისსა და ჟინვალში (ქართლის ცხოვრება, II გვ. 251, იქვე, გვ. 85). „ამრიგად, ეს არის წყაროების მიერ დადასტურებული პირველი ფაქტი საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან ოსების მნიშვნელოვანი რაოდენობის გადმოსვლისა“ (იქვე, გვ. 85).

შიდა ქართლში მონგოლებს მნიშვნელოვანი ძალები ჰყავდათ დაბანაკებული, კერძოდ, „მუხრანს მდგომი თათრები“ და ამ თათრების შემწეობით გორში მდგომი ოსები. მეფე დავით VI-ის დროს მათ დაემატა ქართველი ფეოდალი შალვა, ქსნის ხეობაში ცხრაზმის ერისთავი. ისინი ერთად ებრძვიან მეფეს – „რამეთუ წინარნი თათართანი იყვნეს ქუენიფლეველი შალვა და ოვსთა მთავარი ბაყათარ და მუხრანის მდგომი თათარი ბინთანაღუთ“ (ქ.ც. იქვე, გვ. 305).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, გიორგი ბრწყინვალემდე საქართველოში მყოფი ოსები წარმოადგენდნენ მონგოლთა მოლაშქრეებს, პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც მონგოლის ხელისუფლების მიერ საქართველოს სამეფოს, ანუ მონგოლთა მოწინააღმდეგე ძალების დაუძლურება ჰქონდათ დაკისრებული, ამიტომაც, ცხადია, მონგოლების უღლის გადაგდებისთანავე ოსურ მოლაშქრე – ემიგრანტებსაც უნდა დაეტოვებინათ საქართველო. გიორგი V ბრწყინვალეს წილად ერგო მონგოლთა უღლის გადაგდება და მისი მომხრე ოსთა ძალების გაძევება საქართველოდან. ოსები შემდეგ აღარ ცხოვრობდნენ საქართველოში.

მაშასადამე, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ საქართველოში ოსები უკვე აღარ სახლობდნენ.

სხვაა საქართველოში დვალთა ცხოვრების საკითხი. ამ დროს დვალები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაოსებულნი, დვალთა განსახლების ძირითადი რაიონი უწინდებურად ისტორიული დვალეთი იყო. აქ თემურლენგის შემოსევის შემდეგ ჩრდილო კავკასიის ველებიდან შევიდა ოსების ახალი ტალღა, რამაც დვალთა გაოსების პროცესი დააჩქარა. თუმცა, დვალეთი კვლავ საქართველოს სამეფოში შედიოდა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 701).

მონგოლთა ბატონობისას საქართველომ ასე თუ ისე შესძლო შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა. საქართველოს ქართველი მეფეები მართავდნენ, თუმცა მათ მონგოლები ამტკიცებდნენ ტახტზე. ასეთი მდგომარეო-

ბისასაც კი ქართველი მხედრები ქართველ მეფეთა თუ დიდებულთა წინამძღვრობით, შეიძლება ითქვას, რომ ძალზე ხშირად უცხო ქვეყნებში (საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებზე) ომობდნენ მონგოლთა სასარგებლოდ.

საფიქრებელია, რომ იმ 90 000 ქართველი მხედრიდან, რომელნიც მონგოლებს გაჰყავდათ, მონგოლები სხვა ქართულ ლაშქრის თუ ციხე-სიმაგრეთა გარნიზონებს ჰქმნიდნენ საქართველოს ახლოს მიწებზე და ახლო აღმოსავლეთში. ქართველები ღაზამდე და სუეცის ყელამდე იბრძოდნენ მთელი ორასი წლის მანძილზე – ალამუთში, ასურეთში, შამში, ჰემსში, იერუსალიმსა თუ დამასკოში. ამ ორი საუკუნის მანძილზე მონგოლების სასარგებლოდ გაუმართავთ 28 დიდი ბრძოლა. მებრძოლ, ბრძოლის უნარის მქონე სამხედრო საქმეების მოყვარულ ტომებს მონგოლები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე იყენებდნენ ოსურ (აღწერ) მებრძოლ ტომებს მონგოლები ოსეთის სამეფოს განადგურების შემდგომ, ოღონდ გაუკაცრიელებულ საქართველოში.

როგორც აღინიშნა, ქართველები მისი მეზობლებისავე წინააღმდეგ აამხედრეს მონგოლებმა, ქართველ-სომეხთა ლაშქარს რამდენჯერმე დაულაშქრავს დამასკო (იხ. ზემოთ), ამ დროს კი, როგორც აღინიშნა, ოსების ლაშქრის ერთი ნაწილი მონგოლებს საქართველოს გულში – ქართლში ჩამოუყვანიათ და მის ცენტრში – გორის ციხეში გაუმაგრებიათ. აღსანიშნავია, რომ იმ იმ დროს, როცა ქართველთა მრისხანე ლაშქარი ლაშქრავდა და ზედიზედ ამარცხებდა ზემოთ აღნიშნულ ქალაქებს, სიმაგრეებს (ჰელმსს, იერუსალიმს, დამასკოს) და ქვეყნებს, სწორედ მაშინ, საქართველოს გული ოსთა ჯარს ეჭირა და ქართველები მათგან სასტიკად იყვნენ შევიწროებულნი. ცხადია, ეგვიპტესთან მებრძოლ ქართულ ლაშქარს ადვილად შეეძლო გორში მსხდომი ოსების დამარცხება, მაგრამ ეს არ სურდათ მონგოლებს. ოსები გორში სწორედ მონგოლთა სურვილით ისხდნენ. საქართველოდან მონგოლების განდევნის შემდეგ ოსებიც განდევნეს.

მემატიანეს ოსთა ლაშქრის მიერ გორის ციხის დაჭერა ასე აქვს აღწერილი – საქართველოს მეზობლად „საბერძნეთში“ (იგულისხმება მცირე აზია) მონგოლებს განუდგა ქალაქი „ტუნღუბალო“. მონგოლებმა ამ ქალაქის დასამორჩილებლად გაგზავნეს მეფე დიმიტრის ძე დავითი (VIII – 1293–1311), სწორედ ამ დროს, როცა ქართველთა ლაშქარი უცხოეთში იყო გაკრებილი, ოსებმა მონგოლების მხარდაჭერით ქართლის აოხრება დაიწყეს – „მუნ ყოფათა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა აოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგასძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკვდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწვეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხადაღმან გარდმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოადგეს შუა, შველა ქმნეს და ზავი და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და

აღფხურნა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II. გვ. 296). ჩანს, ეს მომხდარა დავით VII-ის გამეფების წელს (1293 წ.) (იქვე, გვ. 297).

აქედან ჩანს შემდეგი: გორში, საქართველოს შუაგულში, ქართველთა ქალაქში გარკვეული მიზეზების გამო (უცხოეთში ლაშქრობა) მონღოლებმა ოსები ჩააყენეს და ქალაქი ჩააბარეს. ქართველები შეებრძოლნენ ოსებს და შეძლებდნენ კიდეც მათ დამარცხებას, მაგრამ მუხრანს მდგომ მონღოლებს ამის ნება არ დაურთავთ. გორი ოსთა ლაშქარს დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ (1314–1346) ოსები დაამარცხა და განდევნა ქვეყნიდან. მონღოლები ქართველ დიდებულებსაც ამხედრებდნენ ცენტრალური ხელისუფლების (მეფის) წინააღმდეგ. მაგალითად, შალვა ქუენიფნეველს მეფისათვის მონღოლთა შემოსევის დროს უღალატნია (ქართლის ცხოვრება, II. გვ. 305), გამოსძღოლია მტერს და შეუყვანია ისინი ცხავატსა, ცხრა ძმის ხევსა და ქართლის მთიულეთში. აღსანიშნავია, რომ მოღალატე ქართველები და ოსების დიდებულები გაერთიანდნენ ქართველი მეფის დასუსტების მიზნით, ადგილ-მამულების ხელში ჩასაგდებად. აქედან ჩანს, რომ მონღოლებმა საგანგებოდ მოიყვანეს ოსთა ლაშქარი, სწორედ ისევე, როგორც ქართველთა ლაშქარი მცირე აზიაში გაიყვანეს საომრად. საქართველოში მყოფ ოსთა ლაშქარი შედიოდა მუხრანს დაბინავებული ოსური გარნიზონის შემადგენლობაში, მისი მეურვეობის ქვეშ. როგორც ითქვა, გიორგი ბრწყინვალემ ოსები გააძევა ქვეყნიდან მონღოლთა ლაშქრის გასვლის შემდეგ, ხოლო რაც შეეხება ქართლის მთიულეთის ნაწილს – დვალეთს, მისი ისტორიული ცხოვრება სხვა გზით წარიმართა.

მონღოლთა ბატონობისას დვალეთში არა საქართველოს ბარიდან შევიდნენ მოლაშქრე ოსები, არამედ ჩრდილო კავკასიის ველებიდან, კერძოდ, მონღოლთა მიერ ოსთა სამეფოს განადგურების შემდეგ დვალეთში შევიდა და დამკვიდრდა „ოსური“ სამხედრო არისტოკრატია.

სრულებით შეიცვალა ოსეთისა და საქართველოს ჩრდილო ტერიტორიების (დვალეთის) ბედი მონღოლების შემოსევის შემდეგ. „მონგოლ თათრებმა ალანების (რომელნიც მათ მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ) საწინააღმდეგოდ მოაწყვეს მთელი რიგი დიდი ლაშქრობები, რომელნიც შესვენებებით მრავალ ათწლეულს გრძელდებოდა, რის გამოც ალანიის მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური კავკასიის მთებისაკენ გარეკეს. ბარის „ალანია“ სრულიად გააუკაცრიელეს, ... მაგრამ თათარ-მონგოლებმა ვერ შესძლეს მთლიანად დაემორჩილებინათ ალანები. ალანების იმ ნაწილმა, რომელმაც მთებისაკენ დაიხია, სადაც მანამდეც იყო ალანური მოსახლეობა, შესძლო შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა. მდგომარეობის თანდათანობითი სტაბილიზაციის შემდეგ ალანები, საბოლოო ჯამში, შეჩერდნენ ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში და შესძლეს რაღაც ზომით თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაციის შენარჩუნება ... ალანიის ველი გარკვეული ზომით გაუკაცრიელდა და დასახლდა ყაბარდოელებით, მთიან ნაწილში იალბუზიდან დიგორამდე თემურის შემოსევის შემდეგ გამოჩნდნენ თურქულენოვანი „პოლოვცები“ აქ დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე მოხდა საბოლოო შერევა „პოლოვცებისა“

ალანებთან, რომელთაც მიიღეს შემოსულების ენა. ამ ტერიტორიაზე ალან-ოსების ყოფნის დამადასტურებელი წერილობითი წყაროების გარდა არის მრავალი ადგილის სახელწოდებანი ყაბარდო-ბალყარეთის მთიან ნაწილში, რომელნიც აიხსნება ოსური ენით... თათარ-მონგოლთა იძულებით ალან-ოსების ნაწილი გადავიდა კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდობებიდან სამხრეთში" (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები, I, 1985, გვ. 65–66).

მსგავსად ოსი ისტორიკოსებისა, რომელნიც ვახუშტის დამოწმებით აცხადებენ, რომ ოსეთის (ალანიის) ველებზე (დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიებზე) მოხდა სტეპური ტომებისა („პოლოვცი") და ალანების შერწყმა, რის შედეგადაც წარმოქმნილმა ნარევმა ხალხმა მიიღო მოსულთა ენა (იქვე, გვ. 66), ასევე აცხადებს ვახუშტი, რომ ჩრდილო კავკასიის მთებსა და, კერძოდ, დვალეთში დევნილი ოსების დამკვიდრების შემდგომ ადგილობრივი ქართველური ტომი – დვალები გაოსდა, რაც იმით გამოიხატა, რომ მათ მიიღეს მოსულთა ენა, ხოლო თავისი დაივიწყეს.

დვალების სარწმუნოება და მათი გაოსება ვახუშტის მიხედვით

დვალეთი თერგის მარცხნივ მდებარე ქვეყანა იყო, იქ მონგოლთა შემოსევის გამო ჩრდილო კავკასიის ბარიდან („ველიდან") სახლდებიან ოსები, რომელნიც იმონებენ მკვიდრ კავკასიელ მცხოვრებლებს: „...იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე" (გვ. 633), „ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუალეთი, და სხვა ხევნი იგინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა, და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე" (გვ. 633).

დვალეთი ქართულ სახელმწიფოში შემავალი ტერიტორია იყო თემურლენგამდე.

დვალეთი ხევებად განიყოფებოდა,

ქართული ხევები იყო: კასრი, ზრამაგა, ჟღელი, ნარა, ზროგი და ზახა,

ჩრდილო კავკასიის ბარიდან „ოსების" შემოსახლების შემდეგ არაქართული (პოლიტიკური თვალსაზრისით) ხევები გახდა: ჩიმი, თაგური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი.

„არამედ დაულეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდების ხევნი ესრეთ „კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად, ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი..." (გვ. 633).

როდის ეწოდა კავკასიის ხევებს ეს სახელები? ვახუშტის მიხედვით, ეს მოხდა ბათო ყაენის (ე.ი. მონგოლთა) დროს.

ვახუშტის მიხედვით, ოსთა მთის ხევებში შემოსვლის შემდეგ მიმდინარეობდა ამ მთის მკვიდრი მოსახლეობისა (ე.ი. დვალების) და ლტოლვილ ოსთა ეთნიკური შერწყმა. შემოსულები (ოსები) გაბატონდნენ, ხოლო მკვიდრნი (დვალები) „უგვაროები“ გახდნენ. ოსებისა და დვალების ამ ერთიან ქვეყანას უკვე ოსეთი ეწოდა.

თუ მონგოლთა შემოსევამდე ჩრდილო კავკასიის ბარის („ველის“) დიდ ნაწილს „ოვსეთი“ ეწოდებოდა, მონგოლთა შემოსევისას ამ „ოვსეთში („ველში“) ესახლება არაოსური მოსახლეობა და ისტორიულ „ოვსეთს“ ეწოდა ჩერქეზეთი, ანუ ყაბარდო, სამაგიეროდ, ოსეთი ეწოდა უკვე ახალ ქვეყანას – კავკასიის მთიანეთს, დვალეთის ნაწილს.

– **„...ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიდგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ, ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყეენისა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი და გვარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილაძე. ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად, ანუ ყაბარდოდ და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვალად დვალადვე“** (გვ. 634).

მაშასადამე, ოსეთი ანუ როგორც ვახუშტი უწოდებს „აწინდელი ოვსეთი“ (გვ. 634) (განსხვავებით ისტორიული ოსეთისაგან, რომელიც ჩრდილო კავკასიის ველზე დასავლეთით მდებარეობდა), მოსახლეობის შემადგენლობის თვალსაზრისით ორგვარია – 1. ეს არის ამ მიწა–წყალზე შემოსული ოსები, რომელნიც „გვარიანები“ (მაღალი სოციალური ფენა) გამხდარა, და 2. ადგილობრივი მკვიდრი ქართველური მოსახლეობა – დვალები – „უგვარონი“ – დაბალი სოციალური ფენა. დვალეთის ძველი ქართული მაღალი სოციალური ფენა გამოკვეთილი ქართული გვარებით (ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილაძე) ჩანს ოსებმა ამოწყვიტეს და მათი მამულების, ქონებისა და საზოგადოებრივი ადგილის მოსაკუთრების შემდეგ – ეს გავარები გაითავისეს. ასე გადაიქცნენ ქართველი ბადელიძეები, ჩერქეზიძეები, თაგაურები, ქურთაულები, სიდამონიძეები, ბასიანები თუ ჭახელიძეები – ოსებად.

ასე იყო არა მარტო წარსულში, არამედ ვახუშტის დროსაც კი: „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვა უგვაროთა კვალად დვალადვე“ (გვ. 634),

მაშასადამე, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მონგოლობის დროიდან დაწყებული ასიმილაცია ოსების მიერ ქართველური ტომისა დვალების, ანუ ოსები, როგორც ერთიანი ეთნიკური ერთგვაროვანი მოსახლეობა, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

შემდეგ კი აქ ოსურმა ენამ საბოლოოდ გაიმარჯვა, ანუ, როგორც ჩანს, ორი სხვადასხვა წარმოშობის ტომების შერწყმა დამთავრდა.

ვახუშტის აზრით, ჩრდილო კავკასიის ბარში მონგოლებამდე მცხოვრები ოსებიც ასეთივე ნარევი მოსახლეობა იყო, დონის ველებიდან ჩრდილო კავკასიაში შემოსული ხაზარები (იგულისხმება თურქულენოვანი სკვითები) შეერივნენ აქაურ მკვიდრ მოსახლეობას (კავკასიურ ხალხს, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომს, „კავკასოსის ნათესავს“) და ამ ურთიერთშერევის შედეგად წარმოიქმნა ბარის ოსები. მასასადამე ძველი ოსები უფრო „ხაზარული“ წარმოშობის ანუ თურქულენოვანი ხალხი იყო, თუმცა მათში ქართული გენი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ამის შესახებ წერდა კიდეც ბიზანტიელი ავტორი იოანე ცეცე, – „იბერები, აბაზგები და ალანები ერთი გენის ხალხია“. ხოლო მონღოლების მეგობარი ოსები იყვნენ ირანულენოვანი ხალხი. ჩანს მათ ოსები იმის შემდეგ უწოდეს, რაც მათ დაიკავეს ძველი თურქულენოვანი ალანების ტერიტორია. ალანების თურქულენოვნებას მიუთითებს ზოგიერთი არაბული წყარო, ხოლო ალანების ირანულენოვნების შესახებ ყველა წყარო დუმს. ამჟამინდელი მტკიცებანი მხოლოდ ვარაუდებია.

მართალია, დვალების ერთი ნაწილი ასიმილირდა შემოსულ ოსებში, მაგრამ მეორე ნაწილმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. მან გადმოლახა დვალეთის ქედი და ქართლის მთიანეთში დასახლდა (ლიახვის სათავეებში).

ვახუშტის აზრით, ხევი და თრუსო ისტორიულ დვალეთში შემავალი ტერიტორიებია, „არამედ ხევი, ... არს დვალეთისვე“ (გვ. 634), უნდა ვიგულისხმოთ, რომ დვალების ენა (რომელსაც ვახუშტი ახსენებს) იგივე იყო, რაც მოხევეთა ენა, ანუ ქართული იყო (დიალექტი).

როგორც ამბობენ, ოსურ ენაში ჩანს მეგრელიზმის გარკვეული კვალი, ის დვალური ენიდან უნდა შესულიყო ოსურში.

ვახუშტის დროინდელი ოსეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა კავკასიის ქედზე. „ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარის არს... სამხრით მზღვრის კავკასი, ხევის ყელიდამ წარმოსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭ-დიდგორ-ბასიანს შორისნი კავკასნი“ (გვ. 634).

მაშასადამე, მე–18 საუკუნის 50–იან წლებში (1742–1745 წლებში, როცა ვახუშტი ამ შრომას წერდა (იქვე, გვ. 07), ოსთა განსახლების ძირითადი საზღვარი არ სცილდებოდა კავკასიის ქედს, თუმცა კი დვალები უკვე გადმოცილებულნი იყვნენ ამ ქედს და ლიახვის სათავეებში ცხოვრობდნენ, საქმე ისაა, რომ ვახუშტი განასხვავებს ოსებსა და დვალებს. ისინი მას სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებად მიაჩნია, თუმცა იმასაც მრავალგზის აღნიშნავს, რომ ოსებისა და დვალების ურთიერთთანაცხოვრების დროს ოსები მაღალ სოციალურ ფენას შეადგენდნენ, ხოლო დვალები დაბალ ფენად იქცეოდნენ ხოლმე, ანუ ოსები ბატონობდნენ დვალებზე, იმორჩილებდნენ მათ და საბოლოოდ აოსებდნენ კიდეც.

დვალთა გაოსება ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა დამთავრებული (იხ. ზემოთ). იმ დროისათვის, როცა ვახუშტი აგროვებდა თავისი შრომის

მასალებს (XVIII ს-ის I ნახევარში, 1725 წლიდან ის მოსკოვშია), დვალებსა და ოსებს მკვეთრად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან.

XVIII საუკუნეში, ჩანს, ოსთა დიდი ნაკადი შემოვიდა ქართლის მთიანეთში და დვალების ასიმილაციის ტემპი ძალზე დაჩქარდა.

ოსები აოსებდნენ არა მხოლოდ დვალებს, სხვა ქართველ მთიელებსაც, რასაც მიუთითებს გერმანელი მეცნიერი. XVIII ს-ის ბოლოს გიულდენშტედტი უკვე ოსურ გარემოში მოხვედრილი ქართველების დენაციონალიზაციის შესახებ წერდა.

მაშასადამე, ამ მეცნიერ – მოგზაურის დროს არა მარტო დვალები გაოსდნენ, არამედ უკვე ქართლის მთიანეთში მცხოვრები ქართველების (ქართლელი მთიელების) გაოსების პროცესი დაიწყო.

ისტორიულ „მაღრან-დვალეთში“ მცხოვრებთ ვახუშტი ოსებს უწოდებს და არა დვალებს.

აქ მაღრან დვალეთში ვახუშტის დროს 1. ან გაოსების პროცესი დასრულებულია, 2. ანდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა (დვალები) ქართლის მთიანეთში გადმოსულან საცხოვრებლად და მათი ადგილი ოსებს დაუჭერიათ (მაღრან-დვინეთის ტერიტორია ამჟამად შედის ჩრდილო კავკასიის იმ რაიონში, რომელშიც არის დასახლებული პუნქტი „ნიჟ. ზარამაგ“ მის სიახლოვეს მდებარეობს დასახლებული პუნქტი „ბურონ“ და „ნიჟ. ცეი“ იქვეა მდინარე არდონის სათავეები, ეს ტერიტორია საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (ფარნავაზიდან ვიდრე XIX ს-მდე აქ მდებარეობდნენ პუნქტები კასრის კარი (კასრი) და ზრამაგა).

მაღრან-დვალეთის (მაღრან – უვალ, მიუდგომელ ადგილს ნიშნავს) მკვიდრ მოსახლეობას, ცხადია, დვალები წარმოადგენდნენ, მაგრამ ვახუშტის დროს აქ უკვე ოსები სახლობენ. მაღრან-დვალეთის მკვიდრ მოსახლეობას ქართველებს უწოდებდნენ, ამიტომაც შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ქართველები დვალებს ქართველებად მიიჩნევდნენ, ქართველი საქართველოს ყოველი ეთნოგრაფიული ჯგუფის ზოგადი სახელი იყო.

ვახუშტის აზრი ასეთია: მაღრან დვალეთის მკვიდრ ძველ მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები, შემდგომ ეს ქართველები საქართველოს ბარში ჩამოსახლებულან. ხოლო მაღრან-დვალეთში ოსები დამკვიდრებულან. ის „მაღრან-დვინეთის აღწერაში“ წერს – „ხოლო რაოდენნი ისინი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“ (გვ. 363-364). მაღრან დვალეთში ცნობილი სოფელი წეი, (ამჟამინდელი ცეი), საიდანაც იყო წმ. ნიკოლოზ დვალი, აქვეა ზრამაგას ეკლესია და სხვა ქართული სამლოცველოები.

აქედან ჩანს, თუ როგორ გაჩენილა ოსური მოსახლეობა მაღრან-დვალეთში. აქ ადრე მკვიდრობდნენ ქართველნი გლეხნი და მათი მეპატრონენი (ალბათ, მემამულენი – მიწის მფლობელნი). შემდგომ ქართველნი გლეხნი ბარში ჩამოსულან, ხოლო მათ მეპატრონეებს, ჩანს, თავიანთ მამულებში გადმ-

ოუსახლებიათ ოსები – „...მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი“..., ეს „მეპატრონენი“ ქართველ გლეხებთან კავშირში არიან მოხსენებულნი, მათი მეპატრონენი არიან.

როგორც ითქვა, ოსების დვალეთში შეღწევას გამოუწვევია დვალების ერთი ნაწილის გადმოსახლება ქართლის მთიანეთში, ამიტომაც, მართალია, ადრე, ისტორიულად დვალეთი ეწოდებოდა ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვეყანას მაგრამ ჩრდილო კავკასიიდან ქართლის მთიანეთში დვალების ეთნოჯგუფის გადმოსახლების შემდგომ დვალებით დასახლებული ქართლის მთიანეთიც უკვე დვალთა საცხოვრისად მიიჩნევა. („კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწცა დვალეთად“ („აქვს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე.“ იქვე, გვ. 644),

ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლების შემდეგ დვალები დასახლებულან დიდი და პატარა ლიახვის, ჯეჯორას და სხვა მიმდებარე მდინარეთა ხეობების სათავეებში: **„დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე“** (გვ. 648).

როგორც აღინიშნა, ოსები და დვალები ეთნიკური წარმოშობით სრულებით სხვადასხვა ტომები იყვნენ. ოსები – ირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, ხოლო დვალები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, დვალები – კავკასიელი აბორიგენები იყვნენ, ხოლო ოსები – სტეპებიდან კავკასიაში მისულნი, მაგრამ ამ ორი ტომის თანაცხოვრების დროს დვალები ოსდებოდნენ, განიცდიდნენ ასიმილაციას, რასაც, ცხადია, თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა.

დვალთა გაოსება ქართლის მთიანეთშიც გაგრძელებულა, ამას მრავალგზის აღნიშნავს ვახუშტი, ამიტომაცაა, რომ მისი დროისათვის ჩნდება ტენდენცია სინონიმად მიიჩნიონ სიტყვები „დვალი“ და „ოსი“. თუმცა ვახუშტიმ იცის, რომ ეთნიკურად ისინი სხვადასხვა ტომია, მაგალითად, ვახუშტი კუდაროს მოსახლეობას თავისი შრომის ერთ ადგილას ოსებს უწოდებს, ხოლო მეორე ადგილას – დვალებს – „...კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე“ (გვ.648); „არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამხრიდამ ჩრდილოეთად დინებულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი და მოსავლიანი, მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი, და უვენახ-უხილო, ვითარცა სხვანი მათის ადგილნი. უწოდიან ამას კუდაროს“ (გვ. 767).

მაშასადამე, ვახუშტი კუდაროს ხან დვალებით დასახლებულად მიიჩნევს, ხან კი – ოსებით. აქედან ჩანს, რომ მისთვის „დვალი“ და „ოსი“ სინონიმებად ქცეულა. მიუხედავად ამისა, ვახუშტი „ოსეთს“ უწოდებს მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვეყანას და არა ქართლის მთიანეთს. მაგალითად, როცა ის წერს: „სვანეთი არს მოსავლითა და პირუტყვითა, ვითარცა აღვწერეთ აღვწერეთ დუალი, ანუ აწინდელი ოსეთი“ (გვ. 788) ის „ოსეთის“ ქვეშ გულისხმობს „მაღრან-დვალეთს“ – ისტორიულ დვალეთს და არა ქართლის მთიანეთს.

როგორც ვთქვით, ვახუშტი ლიახვის, ქსნის, ჯეჯორას ხეობათა სათავეებში მცხოვრებს ხან დვალებს უწოდებს, ხანდახან კი – ოსებს, დვალების გაოსების გამო. ისმის კითხვა, თუ დვალები და ოსები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომები არიან, იქნებ ამ ხეობებში სწორედ ოსები ცხოვრობენ, ანდა

დვალებიცა და ოსები ერთად? ამ კითხვას თვითვე ვახუშტი პასუხობს: – ქართლის (და იმერეთის) მთიანეთში ეთნიკური დვალები ცხოვრობენ და არა ოსები, ვახუშტი წერს, რომ ხეობათა მოსახლენი დვალეთიდან (ე.ი. ჩრდილო კავკასიის ისტორიული დვალეთიდან) არიან გადმოსახლებულნი, ეთნიკურად დვალებივე არიან. ჩრდილოელი და ქართლის მთიანეთში დასახლებული დვალები ერთმანეთის ნათესავებიც კი არიან. ვახუშტი თრუსოს აღწერაში წერს: – **„არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღვწერეთ მაღრან–დვალეთითურთ, არიან დვალეთი. და კუალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდუროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“** (გვ. 648).

აქედან ჩანს, რომ ქართლის (და იმერეთის) მთიანეთში არა ოსები, არამედ დვალები სახლობდნენ, ისინი ჩრდილო კავკასიიდან იყვნენ გადმოსულნი და ამ დვალებს შემდგომ ეწოდათ ოსები, ანუ დვალები გაოსდნენ. რამ გამოიწვია ამ იბერიულ-კავკასიური (ჩანს, ქართული) ტომის გაოსება? ამ კითხვას თვითონვე პასუხობს ვახუშტი:

როგორც ზემოთ აღინიშნა, თვით ისტორიული დვალეთის (ე.ი. ჩრდილო კავკასიაში არდონის ხეობის სათავეებში) მიწა-წყალზე მცხოვრებ დვალებს ვახუშტი ერთგან ქართველებს უწოდებს, „მაღრან-დვალეთის აღწერაში“ – **„ხოლო რაოდენნი ოსნი დავწერეთ ამ ადგილებითა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად ... გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან“** მაგრამ, ცხადია, მაღრან-დვალეთს და, საერთოდ, დვალეთს ყველა დვალი (ე.ი. „ქართველნი გლეხნი“) ვერ მიატოვებდა, ცხადია, იქ დვალების საკმაო რიცხვი დარჩებოდა, რომელსაც ახლა უკვე აქ „გარდმოსახლებულ“ ოსებთან ერთად უხდებოდა თანაცხოვრება. სწორედ მათ (ე.ი. მკვიდრსა და მოსულს) შორის დამყარებული ურთიერთობა ქცეულა, ვახუშტის აზრით, მიზეზად დვალების გაოსებისა. კერძოდ, დვალები სოციალური იერარქიის დაბალ ფენებს იჭერენ, ოსები კი – მაღალს. ამის გამო დვალები ეუფლებიან ოსურ ენას და ოსურ წეს-ჩვეულებებს – ოსდებიან.

თავდაპირველად ოსები ბარში ცხოვრობდნენ (ჩრდილო კავკასიისა), მონგოლების შემოსევისას ბარიდან შემოსულან კავკასიის მთებში – **„ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყაენთაგან ... შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა“** (გვ. 654). ოსები მეორედ კავკასიის მთებში შევიდნენ თემურლენგის მოსვლისა და კონსტანტინეპოლის თურქთაგან აღების შემდეგ (ე.ი. XV ს-ის შემდგომ): **„და კუალად შემდგომად მოსვლისა ლანქ–თემურისა და აღებისა კოსნტანტინეპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი რომელ არიან დუალნი...“** (გვ. 654-655).

მაშასადამე, დვალების (იბერიულ-კავკასიური ტომის) გაოსება გამოუწვევია იმას, რომ ოსებს დვალეთი „დაუპყრიათ“ (655), ეს მომხდარა თემურ ლენგის ეპოქაში. მართალია, ოსების პირველი ტალღა კავკასიის მთებში მონგოლე-

ბისას ასულა, მაგრამ დვალეთის „დაპყრობა“ ოსთა მიერ XV ს-ის ბოლოსათვისაა ნაგულისხმევი. ჩანს, სწორედ აქედან იწყება დვალების გაოსება. „დაპყრობა“.

დვალეთის დაპყრობის შემდეგ ოსები აქ გაბატონებულან. დვალეთის საზოგადოების დიდგვაროვანი ფენა ოსები იყვნენ, ხოლო უგვაროები – დვალები, ე.ი. საზოგადოება ორ ეთნიკურ ჯგუფადაა გაყოფილი, ერთი ეთნიკური ჯგუფი სოციალურად გაბატონებულა მეორეზე. გაბატონებულ ჯგუფს ოსები შეადგენენ: „რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვლავად დვალადვე“ (გვ. 634). აქედან ჩანს, რომ დვალების გაოსებას საფუძვლად დაედო სოციალური მიზეზი, კერძოდ, ოსებმა სოციალური პრივილეგიები მოიპოვეს, დვალებმა – დაკარგეს. შეიქმნა ახალი ფსიქოლოგია, რომელიც, ჩანს, საფუძვლად დაედო კავკასიის ამ რეგიონის ეთნოფსიქოლოგიას, რომლის მიხედვითაც ოსობა სასახელოა, დვალობა კი – სათაკილო. ერთი ბატონია, მეორე მონა. ვახუშტი განაგრძობს ოს-დვალთა საზოგადოების აღწერას: – „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639).

„არამედ დუალნი უმდაბლესნი არიან გვარითა“... (გვ. 640). დვალი ღარიბია, ოსი მასზე მდიდარი. გაოსება მაღალ პრივილეგირებულ საფეხურზე ასვლას ნიშნავს, სოციალური გარემო ისეთია, რომ ყველა დვალს ოსობა უნდა. ტერმინებმა „ოსმა“ და „დვალმა“ სოციალური კატეგორიები შეიძინეს.

როგორც აღინიშნა, ისტორიულად დვალეთი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია იყო და ამიტომაც, ისტორიულად დვალები, ისე, როგორც საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სხვა ტომები, ქრისტიანები იყვნენ. როგორი სახის გახდა დვალების ქრისტიანობა დვალეთში ოსთა დამკვიდრების შემდგომ? მართალია, ოსები ქრისტიანობას იცნობდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც წარმართულ (სკვითურ) რელიგიურ რიტუალებს ასრულებდნენ, მათ ქრისტიანობა შეთვისებული არ ჰქონდათ. ამიტომაც, დვალეთში ოსების დამკვიდრების შემდეგ საზოგადოება სარწმუნოების თვალსაზრისით ორ ნაწილად იქნებოდა გაყოფილი: დაბალი ფენა, ანუ დვალები, ქრისტიანები იქნებოდნენ, ხოლო მაღალი ფენა, ანუ ოსები – არაქრისტიანები. მართლაც, ვახუშტი დვალეთის შესახებ წერს – დვალეთის, ანუ „აწინდელი ოსეთის“ დაბალი ფენა (ე.ი. დვალები) ქრისტიანულია, ხოლო მაღალი ფენა (ე.ი. ოსები) – მაჰმადიანი. ოსური საგვარეულოები („გვარიანები“ წარჩინებულთა გვარები), რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილი ჰქონდა ვახუშტის, არაა ქრისტიანული, სამაგიეროდ დვალები („უმდაბლესნი გვარითა“) ქრისტიანები არიან – „ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიდგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი...“(გვ. 638). ოსეთის „დაბალნი გლეხნი“ რომელნიც „ქრისტიანენი“ არიან, ეთნიკურად დვალები არიან.

– „სარწმუნოებითა არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დვალნი, არამედ აწინდელთა ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხავენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმე-

ცარნი. არა უვისთ მღვდელნი და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭასა მოინათლვიან“ (გვ. 638).

ვახუშტი ნიქოზის საეპისკოპოსოზე წერდა – „... გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი. ზის დღესაც, მწყემსნი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ“ (გვ. 370), ე.ი. ნიქოზელის სამწყსოში თავიდანვე (V ს-დან) შედიოდა დვალეთი, ხოლო დვალეთის ოსეთად ქცევის შემდეგ (XV ს-დან) – ოსეთი.

დვალების გაოსების ერთ-ერთი მიზეზი სოციალურ ფაქტორთან ერთად უთუოდ იყო მათი თანდათანობითი გაწარმართება, დექრისტიანიზაცია, რომელსაც კარგად აღწერს ვახუშტი. დვალები, ძველი ქრისტიანენი, ოსების შემოსვლის შემდგომ თანდათან კარგავენ და ივიწყებენ ქრისტიანობის სულს, ინარჩუნებენ მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს. ეს ხელს უწყობს მათ სარწმუნოებრივ დაახლოებას მათი საზოგადოების მაღალი ფენების სარწმუნოებრივ შეხედულებებთან, საზოგადოების მაღალი ფენები, ანუ „ოსობა“ მატარებელი იყოს კვითურ-ალანური სარწმუნოებისა – წარმართობისა, თუმცა კი, წარჩინებულთა ერთ ნაწილს მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული (უფრო სწორად, მაჰმადიანობის მხოლოდ გარეგნული მხარე). აქ აღარც ქრისტიანობა იციან და არც მაჰმადიანობა: „გარნა უმეცარნი ორივეს სჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოს ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყნისანი“ (გვ. 639).

აქედან ჩანს, რომ დვალებმა დაკარგეს ძველი ქრისტიანობა და მიიღეს წარმართობა – კერპთაყვანისმცემლობა. ეს კულტი აქ შემოიტანეს კავკასიის ბარიდან დვალეთში შემოლტოლვილმა ოსებმა. უთუოდ ერთ-ერთი დვალთა გაოსებისა იყო მათ მიერ ოსური წარმართული სარწმუნოების აღიარება, ოსური სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებების, თქმულებებისა და ლეგენდების გამშობლიურება.

ვახუშტის დროს დვალებს ჯერ კიდევ სცოდნიათ დვალური ენა, მიუხედავად ამისა, მაინც მათი სასაუბრო ენა ოსური იყო (ბილინგვიზმი). ვახუშტი წერს – „ენა აქვთ ძველი, დვალური და ან უბრობენ ოსურსა“ (გვ. 639).

დვალური ენა, რომელიც ვახუშტის დროს (ე.ი. XVIII ს-ში) ჯერ კიდევ არსებობდა, დღესდღეობით, რამდენადაც ცნობილია, მკვდარი ენაა, მეცნიერებს ისიც კი ვერ დაუდგენიათ, დამოუკიდებელი ენა იყო თუ დიალექტი ქართული, ქართველური თუ იბერიულ-კავკასიური ენებისა.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, დვალები, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომი, გაოსდა. დვალებმა შეითვისეს ოსური ენა და ოსური „სარწმუნოება“ – წარმართობა. ეთნიკური თვალსაზრისით, ეს ტომი კვლავ კავკასიურ ტომად დარჩა, ვახუშტის აზრით, ოსები ჯერ კიდევ კავკასიის მთებში (ე.ი. დვალეთში) შემოსვლამდე ნარევი მოსახლეობა იყო, კერძოდ, ხაზარებისა, კავ-

კასოსის „ნათესავისა“ და „ქართლ-რანის ტყვეებისა“. აქ ხაზარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ თურქულენოვანი სკვითები, ხოლო „კავკასიელთა“ და ქართლ-რანელების ქვეშ – ქართველები აბანელებთან ერთად. ეს ოს ალანები მონღოლებს ამოუწყვეტიათ, ხოლო თემურ-ლენგის შემდეგ სხვა წარმოშობის ირანულენოვანი ოსები დვალეთის საზოგადოების მხოლოდ „წარჩინებულები“ გახდნენ, ხოლო გლეხები და დაბალი ფენა აქ კვლავ დვალური იყო.

აქედან ჩანს, რომ ოსები დვალეთში შეადგენდნენ მხოლოდ თხელ ფენას, ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენ დვალებთან შედარებით, მიუხედავად ამისა, მათ „დაიპყრეს“ დვალეთი და მოახერხეს მკვიდრი მოსახლეობის დამორჩილება და გაოსება. უთუოდ ოსები გაცილებით მაღლა იდგნენ დვალებზე თავიანთი სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით: ოსური ზედაფენა იყო კარგად ორგანიზებული სამხედრო არისტოკრატია. „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი, ხოლო ესე ოვსნი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილაძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბედელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თვისთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლეობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილით შვილადმდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა და მკვლელი მოკლულსა მათთვის გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოვკალო მკვლელი შენი“ და რწამთ ესე საცხონებლად მისად“ (გვ. 639).

მიუხედავად ამისა, ოსების შემოსვლის შემდეგაც დვალეთი კვლავ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა და მას გარკვეული მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული ქართული ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელთა შეუსრულებლობისათვისაც ქართული ლაშქარი სჯიდა, მაგალითად, „... არა მოსცეს დვალეთი ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კვალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“ (გვ. 434).

საქართველოს რომელი კუთხე იგულისხმება დვალეთის ქვეშ, ქართლის მთიანეთი თუ მაღრან-დვალეთი (ჩრდილო–კავკასიაში)? აქ იგულისხმება მაღრან-დვალეთი, რომელსაც ქართლიდან სწორედ „ზეკარას“ მთა ჰყოფს. ზრამაგა მაღრან-დვალეთის ციხეა. „ამ ზრამაგის – ხევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა ქართლს დიდ-ლიახვზედ“ (გვ. 647).

მაშასადამე, მიუხედავად ქართლის მთიანეთში ცხოვრებისა, მაინც XVIII ს-ში დვალეთი ეწოდება ისტორიულ მაღრან-დვალეთს. მასვე ეწოდება ოსეთი, ანუ „აწინდელი ოსეთი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოსეთი ვახუშტის დროისათვის ჩრდილო-კავკასიაში მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა და არა ქართლის მთიანეთს – ლიახვისა და ქსნის სათავეებს. ვახუშტი ვახტანგ V-ს (1658–1675) ცხოვრებაში წერს: „მერმე არღარა მოსცეს დვალთა მეფესა ბეგარანი, ამისათვის მივიდა სპითა ქრცხინვალს შესვლად ოსეთად. მსმენელნი დუალნი შეშინდნენ და მოერთვნენე თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს ბეგარანი და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ“ (გვ. 455).

აქ შეიძლება მკითხველმა იგულისხმოს, რომ „ოსეთი“ ქრცხინვალის სიახლოვესაა, მაგრამ ეს ასე არ არის, ეს ჩანს ვახტანგ VI-ს (1703–1724) ცხოვრებიდან: „ხოლო ვახტანგ გამგე ქართლისა... აღიმხედრა სპითა შესვლად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა 70-ნი კოშკენი, მოწვა და მოსტყვევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შევლო ჟღელის ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქორონიკონისა 1711. დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი“ (გვ. 491).

აქედან ჩანს, რომ XVIII ს-ის დასაწყისში ოსეთი ეწოდებოდა არა ქართლის მთიანეთს, არამედ მის გადაღმა, კავკასიის მთებში მდებარე ისტორიულ მაღრან-დვალეთის ტერიტორიას.

როგორც აღინიშნა, ვახუშტის თანახმად, ისტორიული ოსეთის მიწა–წყალს ეწოდა „ყაბარდო“ და „ჩერქეზი“. საინტერესოა, რომელ ქვეყანას გულისხმობს ვახუშტი „ჩერქეზის“ ქვეშ... ჩვენ ამჟამად ჩერქეზეთს ვუწოდებთ ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ტერიტორიას, მაგრამ ვახუშტი „ჩერქეზის“ ქვეშ გულისხმობს მაღრან-დვალეთის ჩრდილოეთით მოქცეულ ტერიტორიას. „ჩერქეზი“ თერგის ხეობაშია. „მდინარე ესე ჩადის ჩერქეზსა შინა, მერე მიერთვის თერგის მდინარესავე“ (გვ; 651); დვალეთის ჩრდილოეთითაა „მთა ჩერქეზისა“ (გვ. 651) „ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლომეკსა ანუ თერგს სამხრიდამ“ (გვ. 648) და ა.შ. აქედან ჩანს, რომ ისტორიული ოსეთის დიდ ტერიტორიას „ჩერქეზი“ და ასევე „ყაბარდო“ ეწოდა: – „შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისასა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად, ანუ ყაბარდოდ და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად...“ (გვ. 634).

მაშასადამე, ისტორიულ ოსეთს სხვა სახელი ეწოდა, ხოლო „კავკასიათა შინა მყოფთ“ – ოსეთი ეწოდა. ასე ეწოდა დვალეთს ოსეთი. მაშასადამე, ხდება სახელწოდების ტოპონიმის – „ოსეთის“ წანაცვლება. ის ჯერ ბარს ერქვა, შემდგომ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილს (XIX ს-მდე). შემდგომ კი ქართლის მთიანეთსაც (XIX და განსაკუთრებით XX სს-ში).

აღსანიშნავია, რომ დვალეთში (საქართველოს სამეფოში) შემოსვლის შემდგომ ოსი წარჩინებულების გვარები ქართულად ჟღერს – სიდამონი, ჭახილიძე, თაგაური, ქურთაული, ბადელიძე, ჩერქესიძე, ბასიანი. არა მარტო ძეთი მთავრდება ზოგიერთი ოსური გვარი (ჭახილიძე, ბადელიძე, ჩერქესიძე), არამედ ქართული გვარებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებებით: ური (თაგური), ული (ქურთაული), ონი, იანი (სიდამონი, ბასიანი). (იანი დაბოლოება გააჩნდა ძველ ქართულ გვარებს, ასევე მთიელი ქართველების გვარებს (იხ. ქვემოთ), ონიიანის სახეცვლილებაა, ონი დაბოლოებაა უწარჩინებულესი ქართული გვარისა – ბაგრატიონი). მიუხედავად გვართა ქართული ჟღერადობისა, ვახუშტის აზრით, დვალეთის წარჩინებულები ეროვნებით ოსები იყვნენ, მათი გვარების ქართული ჟღერადობა, სხვას გვიჩვენებს. რომ ოსების დვალეთში გაბატონებამდე დვალეთის ადგილობრივი ზედა ფენა ქართული გვარების მატარებელი იყო. ამ საგვარეულოს წევრების დამარცხების ამოწყვეტა-გაძე-

ვების შემდეგ, მათი გვარები შმოსულება მიისაკუთრეს. აგრეთვე იმასაც, რომ დვალების ენა იყო ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი. გვარების გარდა, დვალების ქართულენოვნებაზე უნდა მიუთითებდეს ისტორიული დვალეთის ტოპონიმების ქართული ჟღერადობა, აქ მთებს, მდინარეებს, სოფლებს, ციხეებს, დაბებს ქართული სახელები ჰქვიათ.

ვახუშტის მიერ ჩამოთვლილთაგან მოვიყვანოთ მდინარეთა სახელები: „კასრის ხევი“ „არაგვი“ (თერგი), „თაგაურის ხეობა“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 642), „ჩიმითის წყალი“ (გვ. 642), „ხევი ქურთაულის წყლისა“ (გვ. 643), „კასრის ხეობა“ (გვ. 644), „ჟღელის ხეობის წყალი“ (გვ. 645), „ქალაქას დაბას წყარო“ (გვ. 645), „ნარის ხეობის წყალი“ (გვ. 646), „ზროგის ხეობის წყალი“ (646), „ზახას ხეობის წყალი“. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ამ ადგილებში (ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში) ორ მდინარეს რიონი ეწოდება: „ხოლო კასრის ხევის დასავლეთით არის დიგორი, რომელი განიყოფის ორად – ჩერქესიიედ და ბადელიიედ, და არს სიგრძე ამისი კავკასიდამ ჩერქეზეთამდე, ამისი მდინარე გამოსდის ღებსა, გლოლასა და ამის შორის კავკასსა, მოდის სამხრიდან ჩრდილოეთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაითგან მასვე კავკასსა გამოდის აქათ და იქით – რიონი იმერეთისა“ (გვ. 649). მაშასადამე, არსებობს რიონი იმერეთისა და მეორე რიონი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ოსეთის რიონი, მაგრამ ყოფილა მესამე რიონიც, ასევე ჩრდილო კავკასიაში გამავალი – „ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზევით აღმოსავლიდამ მოერთვის რიონს მდინარე რიონივე, გამოსდის გლოლასა და ამას შორის კავკასსა, მოდის სამხრიდან ჩრდილოთ“ (650).

„მდინარეთა სახელწოდებები ქართულენოვანია, ალბათ, ეს მიუთითებს დვალთა ქართველობის შესახებ. ამჟამად ჩრდილო კავკასიაში გამავალ მდინარე რიონს ეწოდება „ურუხი“ მდინარე „ურუხი“ „იმერეთის რიონის“ სიახლოვეს იწყება. მის შესახებ ვახუშტი წერს, რომ ის (ოსეთის რიონი) გამოდის ღებსა და გლოლას „შორისში“ თან სწორედ ამ რიონის, ე.ი. ჩრდილო კავკასიის რიონების ხეობებში მცხოვრებ ტომს ერქვა „ხუბურები“ (ისინი მართლაც ღების მიმდებარე რეგიონში მცხოვრებლებად ჩაითვლებოდნენ), რომლებზეც შესაძლოა მიუთითებს ანანია შირაკაცი (Очерки истории Южно-осетинской Автономой Области, стр. 64). აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიის იმ ტერიტორიებზე, სადაც ქართულენოვანი ტომები ცხოვრობდნენ, ზოგიერთ მდინარეს იგივე სახელი ერქვა, რაც ამიერკავკასიის მოპირდაპირე მხარეს გამავალ მდინარეებს, მაგალითად, თერგს არაგვი ერქვა, ძირითადად არსებობდა სამი არაგვი: „ხევის არაგვი“ – ლომეკი, თერგი, შავი არაგვი და თეთრი არაგვი, ასევე ოთხი ალაზანი – 1. პირიქითა ალაზანი; 2. თუშეთის ალაზანი (ანდის ყოისუს შენაკადი); 3. მცირე ალაზანი (იორი, ვახუშტით); 4. და თვით მთავარი ალაზანი. არსებობდა სამი რიონი – იმერეთის რიონი, ჩრდილოეთის რიონი (ურუხი) და მისი შენაკადი რიონივე. ამიტომაც, შეიძლება დავსვათ კითხვა, ხომ არ ეწოდებოდა დვალეთში გამავალ მდინარეს არდონს ან მის რომელიმე შენაკადს ჯეჯორა? ვახუშტი წერს: „არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამხრი-

დან ჩრდილოეთად დინებულზედ არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი“ (გვ. 767). თუმცა, შეიძლება აქ რაჭის ჯეჯორა იგულისხმება.

დვალების ქართულენოვნების შესახებ მთათა სახელების ქართულობაც მიუთითებს. მაგალითად, დვალეთის მყინვარის სახელია „ბრუც-ბზელ-ზეკარ-ისა“ „ბრუც-საბძელი“ „მსგავსი საბძლისა“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 648). „ხოხის მთა“ („ამან მოიგო სახელი თვისი ხოხვით სვლისათვის“) (გვ. 644), მთა „ზეკარა“ „კარსავით მყოფი“ (648), მთა „კედელა“ ყოფისათვის კედელსავით“ (გვ. 648), „ლუხუნი“ (გვ. 651). „ბასიანი“ (სამხრეთ საქართველოშიც არის ეს ტოპონიმი). „ყაყიდური“ (გვ. 642), „ქურთაული“ „კუარა“ „ქურთათა“ „ჩიმითი“ „თაგაური“ „ხეთაძე“ – აშკარად ქართულენოვანი ტოპონიმებია, მსგავსი დაბოლოებებით ფორმირდება კიდეც ძირითადად ქართული ტოპონიმიკა (ამ ტოპონიმების არაოსურობის შესახებ მიუთითებს Очерки истории Южно-осетинской Автономной Области), ეს დვალების ქართულენოვნებით თუ აიხსნება, დვალების ქართულ ისტორიასთან კავშირს ისიც მიუთითებს, რომ დვალეთის ქვეყანაში ყველა მნიშვნელოვანი ნაშენობა თამარ მეფის სახელს უკავშირდება (გვ. 646); ვახუშტი დვალეთის ფორპოსტების აღწერისას წერს: „მეფეთაგან ქმნული“. აქ ის ქართველ მეფეებს გულისხმობს, მაგალითად, კასრის ხევის (მაღრან-დვალეთში) აღწერისას – „არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ – კამროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“ (გვ. 645). ოსების ჩრდილოეთ სტეპებში ცხოვრებისას დვალეთი და კერძოდ, კასრის ხევი – საქართველოს კარად ითვლებოდა, რომელიც ოსთა მოძრაობას აკონტროლებდა, მას ქართველი მეფეები ამაგრებდნენ.

მიზეზი დვალების შემოსვლისა ქართლის მთიანეთში

უპირველესად უნდა ითქვას, რომ დვალები ქართველთა მონათესავე ტომი იყო და ეთნიკური თვალსაზრისით სრულიად განსხვავდებოდნენ ოსებისაგან. ოსები ირანულენოვანი, უცხო მხრიდან (დონისა და დნეპრის სტეპებიდან) მოსულ ხალხად ითვლებიან, ხოლო დვალები – ადგილობრივი, კავკასიური, აბორიგენი მოსახლეობა იყო. უფრო მეტიც, დვალებს ნათესაური კავშირი ჰქონდათ ქართველ ხალხთან იმით, რომ ორივენი იბერიულ-კავკასიური წარმოშობისანი იყვნენ და ამ მხრივ სრულიად განსხვავდებოდნენ სკვითებისა და ალანებისაგან.

იმის გამო, რომ დვალები ქართველების მონათესავე ტომი იყო, საქართველოს ფარგლებში მცხოვრები დვალები ადრევე შერწყმიან ქართველ ხალხს. დვალეთი მათ საცხოვრებელ მაღალმთიან ზოლს ეწოდებოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით ისიც საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა: დვალეთი „ტერიტორიულად მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალს ხეობასა და მამისონის გადასასვლელს შორის“ (საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, 1979, გვ. 280).

ვახუშტი დვალეთის სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზღვრებს ასე გადმოსცემს: „აქვს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიიდან ვიდრე ჩერქეზამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 644). „ზეკარის კავკასი“ არის ის მთა, რომელშიც ამჟამად გაჭრილია როკის გვირაბი, ხოლო „ჩერქეზს“ ვახუშტი უწოდებს არა

დასავლეთით, არამედ ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას: „არამედ, რომელნი აღვწერენით – ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი – ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შიდა და მიერთვიან ლომეკსა, ანუ თერგს სამხრიდამ“ (იქვე, გვ. 648). აქედან ჩანს, რომ ჩერქეზეთი ეწოდება იმ ტერიტორიას, სადაც თერგს უერთდებიან ცენტრალური კავკასიონის ქედიდან გამომდინარე მდინარეები. მაშასადამე, დვალეთს ჩრდილოეთიდან საზღვრავდა „ჩერქეზი“.

თანახმად ვახუშტისა, დვალეთის ხევები არიან – „კასრისხევი“ „ჟღელისხევი“ „ზრამაგა“ „ნარა“ „ზრუგო“ „ზახა“ „თრუხო“ (იქვე, გვ. 643). მიუხედავად ამისა, ვახუშტი მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში (ჩიმი, ვალგირი, ფარგმი, თაგაური, ქურთაული, დელეთი) ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა იყო დვალური, ხოლო შემოსული, გაბატონებული მოსახლეობა – ოსური.

როგორც აღვნიშნეთ, დვალეთი საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა მისი წარმოშობის დროიდანვე, ის ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. დვალეთის ისტორიული ბედი სრულიად შეიცვალა თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ, ფაქტიურად დვალთა ტომის გადაგვარება, მისი ასიმილაცია, უცხო, შემოსულ ხალხში, გამოიწვია მონგოლების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ.

მათი შემოსევის შემდგომ თუ რა ბედი ეწია დვალთა ტომს, ეს აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, რომლის თვალსაზრისსაც ლინგვისტურ – ეთნოგრაფიული ანალიზის შედეგად ფაქტიურად ადასტურებენ თანამედროვე მეცნიერები. მონგოლების პოლიტიკის წყალობით დვალეთში, საქართველოს ამ მიწა-წყალზე, ჩრდილო კავკასიის ველებიდან შედიან ოსური სამხედრო რაზმები. ოსური მოსახლეობის თხელი ფენა გაბატონდა მრავალრიცხოვან დვალებზე, როგორც ეს აღნიშნული იყო წინა თავში, ოსების შემოსვლის შემდეგ კავკასიის მთიანეთში „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვალად დვალადვე“ (იქვე, გვ. 634).

„სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დვალნი, არამედ აწინდელთა ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი“... (გვ. 638). „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639). „...წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი“ (გვ. 638) „...ენა აქვთ ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად...“ (გვ. 639) „არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა“ (გვ. 640).

დვალები უკვე VI საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ და ოსების შემოსვლის შემდეგაც ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. მათ სარწმუნოებასთან ერთად დაკარგეს მშობლიური ენაც და დაიწყეს ოსური ენის შესწავლა. აქ ურთიერთშერევა არ ხდება. დვალების გაოსება მხოლოდ მათ მიერ ოსური ენის ათვისებაში გამოიხატა. ისინი გენეტიკურად უცვლელნი დარჩნენ. მათ შეინარჩუნეს თავიანთი ძველი იბერიულ-კავკასიური წესი, ჩვევა, მეურნეობა. მათი ენიდან მრავალი სიტყვა შევიდა ოსურში, შეიცვალა ოსური ენის ბუნება.

ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული დვალების გაოსება

დვალების გაოსების მეორე უფრო ძლიერი ეტაპი თემურის ლაშქრობის შემდეგ დაიწყო. ამ დროისათვის, თანახმად ვახუშტისა, დვალეთში უფრო ინტენსიურად ადიან, ესახლებიან და დვალებზე ბატონდებიან ოსები. ეს უკვე ოსების მეორე ნაკადი იყო მონგოლთა ლაშქრობათა შემდეგ. ამ დროისათვის დვალები კვლავ ოსებისაგან განსხვავებულ ხალხად მიიჩნევა, მაგრამ მათი პოლიტიკური ორიენტაცია აღარაა პროქართული. ამას მიუთითებს ის, რომ თემურის ერთ-ერთი ლაშქრობისას დვალები აჯანყებულან ქართველი ერისთავის – გირშელის წინააღმდეგ.

„დვალები თემურლენგის 1400 წლის შემოსევის დროს აჯანყებიან ერისთავ გირშელს. მტრის შემოსევის დროს მათი ასეთი მოქმედება ღალატად ჩაუთვლიათ და ეს იყო მეფისა და ერისთავების დვალეთში გალაშქრების მიზეზი. შეერთებულმა მხედრობამ დაამარცხა დვალები და ხელთ იგდო დავლა, მათ შორის, „დაფლული მრავალი განძი“ (საქ. ისტ. ნარკ. III, გვ. 701). დვალეთში გაულაშქრია საქართველოს მეფე გიორგი VII-ს, თემურლენგის შუაგულ საქართველოდან გასვლისთანავე „მან ორგულთა დასჯის მიზნით დვალების წინააღმდეგ გაილაშქრა ერისთავ გირშელთან და ერისთავ სურამელთან ერთად“ (იქვე).

დვალეთს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩანს, მეფე მასზე კონტროლის დაწესებას ცდილობდა, მაგრამ თემურლენგი ამას არ დაუშვებდა.

ოქროს ურდოს ცნობილი თოხთამიშ-ხანი 1382 წელს ირანს შეესია სწორედ დვალეთის უღელტეხილების გზით: „...ჩრდილოეთ ირანს შეესია დერბენდისა და კავკასიონის სხვა გადმოსასვლელების გამოვლით“ (იქვე, გვ. 675). დერბენდის გარდა ცენტრალური კავკასიონის თითქმის ყველა გადმოსასვლელი დვალეთში მდებარეობდა, ანდა დვალებს მათზე კონტროლის საშუალება ჰქონდათ, რამეთუ, თანახმად ვახუშტისა, დვალეთის ქვეყნის სიგრძე – „არს ხევიდან სვანეთის კავკასიამდე და განი ქართლის კავკასიიდან ჩერქეზის მთამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 635). მაშასადამე, დვალებს ხევიდან (ე.ი. დარიალიდან) სვანეთამდე (ე.ი. მამისონამდე) შეეძლოთ უღელტეხილების მეთვალყურეობა.

„თემურლენგმა სასტიკად იძია შური თავრიზელებზე, რომლებიც თოღთამიშს დანებდნენ“ (საქ. ისტ. III, გვ. 675), ცხადია, საქართველოსაც არ აპატიებდა თემურ-ლენგი თოხთამიშის გამოტარებას და ამიტომაც დერბენდისა და დვალეთის გადმოსასვლელების ხელში ჩაგდებას ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

სწორედ ამიტომ, 1395 წელს ჩრდილო კავკასიაში გამართულ დიდ ომში თოხთამიშთან გამარჯვების შემდეგ მან დერბენდი „ხელახლა გაამაგრა და მცველები მიუყენა“ (იქვე, გვ. 688). კავკასიის სხვა გადმოსასვლელებსაც ის ყურადღებას არ აკლებდა. ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მის მიერ ამავე დროს ჩრდილო-კავკასიის ხალხების დალაშქვრისა: „უკან დაბრუნების დროს თემუ-

რლენგმა საგანგებოთ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიონის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურ-ლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“ (იქვე, გვ. 688).

ეს მომხდარა 1395 წლისათვის, 1400 წლისათვის საქართველოში თემურის მომდევნო შემოსევის დროს დვალები უკვე საქართველოს სახელმწიფოს აუჯანყდნენ. ჩანს, თემურმა დვალეთში თავისი მომხრეები გაიჩინა.

თემურის სახელმწიფო გადაჭიმული იყო დერბენდიდან და კავკასიონის მთებიდან და ის მოიცავდა საქართველოს, არმენიას, აზერბაიჯანს (იქვე, გვ. 688), ამიტომაც, თავისი სახელმწიფოს ოქროს ურდოსაგან დაცვის მიზნით კავკასიონის უღელტეხილების ჩაკეტვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ოქროს ურდოსი, თემურთან მებრძოლ საქართველოს მეფეს ჩრდილო კავკასიიდან გამოჰყავდა ხოლმე თემურის წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქარი, ამიტომაც ჰქონდა თემურისათვის ამ გადმოსასვლელების ჩაკეტვას დიდი მნიშვნელობა. 1398 წელს მეფე „გიორგიმ სალაშქროდ გაამზადა მთელი საქართველოს სამხედრო ძალა, გარდა ამისა, დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი“ ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის ტომი და დასძრა ნახიჩევანისაკენ“ (იქვე, გვ. 690).

1400 წელს გაზაფხულზე თემურის შემოსევისას საქართველოს მხედრობასთან ერთად მეფემ თან არ იახლა „აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები („სრულად კავკასნი“) და საომრად გამზადებული გოგჩის ტბის მიდამოებში დაუხვდა მტერს“ (იქვე, გვ. 694).

ამ დროს კი, როცა „სრულად კავკასი“ ქართველ მეფეს ედგა მხარში, დვალეთი მეფის წინააღმდეგ იყო აჯანყებული. დვალთა მხრიდან ეს ღალატი მოულოდნელი იყო, რამეთუ აქამდე ისინი მუდამ ქართველთა გვერდით იდგნენ. ჩანს, ჯერ ილხანებისა და შემდეგ თემურის პოლიტიკამ დვალეთის მიმართ (იქ ოქროს ურდოს მოწინააღმდეგე ოსების ჩასახლებამ) შედეგი გამოიღო.

როგორც ითქვა, მეფემ მოღალატე დვალები დასაჯა, მან ილაშქრა დვალეთში. მალე დაიდო ზავი თემურლენგსა და საქართველოს მეფეს შორის, ზავის ერთ-ერთი მუხლით „საქართველო არ ჩაკეტავდა სამიმოსვლო გზებს“ (იქვე, გვ. 702). აქედან ჩანს, თუ როგორ იყო დაინტერესებული თემურლენგი საქართველოში არსებული გზებით (ცხადია, საერთაშორისო მნიშვნელობის გადასასვლელებითაც). თემურლენგმა თბილისსა და ქართლის ყოველ სიმაგრეში „ხორასნელები შეიყვანა“ (იქვე, გვ. 695). ჩანს, მსგავსად ილხანებისა, დვალეთის უღელტეხილების დაცვა თემურ-ლენგმა ოსების ტომებს თუ მოლაშქრეებს დაავალა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ოსების ახალი ნაკადის შესვლა დვალეთში, რის შესახებაც წერს ვახუშტი. საერთოდ, თემურმა ჩრდილო კავკასიის ხალხების განვითარების შემდგომი გზა სრულიად შეეცვალა. ისინი გაამაჰმადიანა და ამით საუკუნოდ გაიერთგულა, ხოლო საქართველოს მტრად მოჰკიდა. თემურმა საქართველოს მრავალი ზიანი მიაყენა, „მაგრამ საქართველოსათვის კიდევ უფრო საზიანო იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მცხო-

ვრები ხალხის ჩამოცილება, საიდანაც საქართველოს მეფეებს ხშირად გამოჰყავ-დათ ქედფიცხელი ტომები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლების დროს. აქ ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე, შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალ-თა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“ (იქვე, გვ. 719).

ვახუშტი კონსტანტინეპოლის აღებასა და თემურის ლაშქრობათა შე-დეგს უკავშირებს დვალეთის „დაპყრობას“ ოსთა მიერ. „და კვალად შემდგო-მად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანი და აქეთ ლაქთემურის ელნი მაჰმადიანნი, და შემოივ-ლტოდნენ კავკასიასა შინა, და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დვალნი...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 654).

შესაბამისი პირობების გამო ჩრდილო კავკასიის ბარიდან ოსები მთაში ავიდნენ, კერძოდ, დვალეთში, „დაიპყრეს“ ეს ქვეყანა, ხოლო დვალებზე გაბა-ტონდნენ. დამორჩილებულმა დვალებმა შეისწავლეს ბატონების ენა. ვახუშ-ტის დროსაც „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კუალად დვალადვე“. ოსი გვარიანები მაჰმადიანები იყვნენ, დაბალი გლე-ხები, ანუ დვალები – ქრისტიანები: „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი – ქრისტიანენი“ (გვ. 638). დვალეთის წარჩინებული ოსე-ბი მაჰმადიანები იყვნენ. ჩანს, ეს მაჰმადიანური სახელმწიფოების (გვ. 654) ნებით ხდებოდა. მაჰმადიანი ოსების ჩასახლებაც ქრისტიანულ დვალეთში ამ მიზეზით იქნებოდა გამოწვეული. მაჰმადიანი ოსები ქრისტიან დვალებზე გაბატონდნენ – „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639); „არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვართა...“ (გვ. 640).

ცხადია, დვალეთის „დაპყრობას“ ოსთა მიერ დვალები ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ, შეიძლება დვალების ნაკადის შემოსვლა ქართლის მთიანე-თში ამით იყო გამოწვეული. დვალები დვალეთშივე გაოსდნენ, იგივე ბედი ეწ-ია ქართლის მთიანეთში დამკვიდრებულ დვალებს. ქართლის დვალების გა-ოსების პროცესი ეთანადება ნ. ბერძენიშვილის ე. წ. „მთის ჩამოწოლის“ პრო-ცესს, ამ დროს, ჩრდილოკავკასიის ველებიდან თუ მთებიდან ამიერკავკასიის-აკენ დაიძრნენ ადიღები, ჩერქეზები, ოსები, ავარები და სხვები, როგორც წერს ნ. ბერძენიშვილი. ისინი გზადაგზა ასიმილაციის წნეხში აქცევდნენ სხვადასხვა კავკასიურ ტომებს (აბაზები, ჯიქები), ისაკუთრებდნენ მათ სახელებს, ამ ახა-ლი სახელებით შემოდიოდნენ სამხრეთ კავკასიის მთებში). ასეთი მდგომა-რეობის დროს, ჩანს, ქართლის მთიანეთში შემოვიდნენ უკვე გაოსებული დვალები, რომლებიც შეერივნენ თავიანთ მონათესავე ქართლელ დვალებს და აქაც ოსური ენა გამარჯვებული გამოვიდა. ვახუშტი მათ სხვადასხვა ხალ-ხებად მიიჩნევს გარკვეულ დრომდე, შემდეგ კი სატომო სახელებს „დვალსა“ და „ოსს“ სინონიმებად მიიჩნევს და ერთმანეთთან აიგივებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახუშტის დროისათვის ეს დვალები უკვე ოსებად ითვლებოდნენ ქარ-თველთა მიერ, თუმცა მათი ეთნიკური წარმოშობა მათთვის უცნობი არ ყო-ფილა (გვ. 357, 363, 370, 372, 455, 648).

დვალების გაოსებას ქართლის მთიანეთში, ცხადია, ჰქონდა თავისი სოციალური მიზეზები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოსობა სასახელოდ ითვლებოდა (დვალების საზოგადოებაში), ხოლო დვალობა, ჩანს, დამამცირებლად. ეს კარგად ჩანს ვახუშტის მიერ დვალთა საზოგადოების აღწერისას. ყოველი დვალი გაოსებაზე ოცნებობდა, რამეთუ მათ თვალში ოსობა წარმოადგენდა მაღალ სოციალურ კატეგორიას და ამიტომაც მან ეთნიკური სახე დაკარგა. გარდა ამისა, ქართლის ზოგიერთი გამართული ოჯახიც ოსური წარმოშობისად მიიჩნევდა თავის თავს.

ზოგიერთი ქართლელი წარჩინებული ოჯახის მიერ ოსად გამოცხადება თავის თავისა, ჩანს, იყო ილხანთა და, საერთოდ, თათარ-მონგოლთა პოლიტიკის შედეგი. ეს უნდა მომხდარიყო XIII–XIV საუკუნეებში. ამ დროს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ილხანები ოქროს ურდოსთან ომის გამო ძლიერ ასუსტებენ ქართლის მთიანეთში ქართველთა პოლიტიკურ გავლენას, უპირატესობას აძლევენ ოსებს, ოს წარჩინებულებს (ბაყათარ აოხრებდა ქვეყანათა და ხოცდა კაცთა)... ოსი ფეოდალები აფართოებდნენ მისაკუთრებულ მიწა-წყალს, ისინი ძლიერი სამხედრო თავდაცვითაც ცდილობდნენ უზრუნველეყოთ თავიანთი მკვიდრობა ამ მიწებზე, როგორც ვნახეთ, მათ გორის ციხეც დაიკავეს და მტკიცედ ეპყროთ“ (საქ. ისტ. ნარკვევები, III ტ., გვ. 613). ოსებს ეხმარებოდნენ და მართავდნენ მონგოლები. ასეთი დაუსჯელობის დროს ქართლის მთიანეთში მონგოლთა მეოხებით დიდი არეულობა დაიწყო. სწორედ ამ დროს, „ოსობა“ მონგოლთა თვალში ამაღლებდა ფეოდალს, ხოლო „ქართველობა“ ნაკლებ მომგებიანი იყო. ამიტომ, ზოგიერთ ქართველ ფეოდალს „ოსური“ წარმოშობისად გამოუცხადებია თავისი გვარი, რაც ხელს უწყობდა მათ სოციალურ გაძლიერებას (მათ ფანტასტიკური ისტორიებიც კი შეუთხზავთ ამასთან დაკავშირებით).

ამის გამო, ქართლელი დვალები ყოველი მხრიდან განიცდიდნენ „ოსთა“ ზეგავლენას საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. XIV–XVIII საუკუნეებში, ჩანს, თან დაერთო ჩრდილოეთიდან გაოსებული დვალების ტალღის შემოსვლა. ქართლელ დვალებსაც ოსად აცხადებენ ამგვარ სიტუაციებში.

მთიელ ქართველთა გაოსება

საქართველოში, კერძოდ, შიდა ქართლის მთიანეთში, ცენტრალური კავკასიონის მთიანეთიდან ჩამოსახლდნენ არა „ალანები“ არამედ დვალები. ამის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტის „ისტორია“. ოსეთის საკითხში ვახუშტი განსაკუთრებით კომპეტენტური იყო, რადგანაც იქ იმყოფებოდა გარკვეული ხნის მანძილზე და თვითმხილველი იყო მის მიერ აღწერილი პროცესისა. ვახუშტის აზრით, შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსური მოსახლეობა წარმოშობით იყო არა „ალანური“ არამედ დვალური.

დვალებს ვახუშტი გარკვეულ ეტაპზე ოსებს უწოდებს, თუმცა ძალზე კარგად იცის, რომ ისინი ეთნიკურად მკვიდრი ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობაა და არა – ალანები. მსგავსად ვახუშტისა, რუსი ელჩი ამ დვა-

ლებსაც ოსებს უწოდებს (ჩანს, მიზეზი ისიც იყო, რომ დვალეთი პოლიტიკურ ოსეთად იქცა ოსების მიერ მისი „დაპყრობის“ გამო, როგორც ვახუშტი წერს). „საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ.ი. ტატიშჩევი (1604–1615) გადმოგვცემს, რომ ზახა (დვალეთში) და მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ (ს.ა. ბელოკუროვ, სნოშენია როსიი ს კავკაზომ, მ. 1889, ს. 508, ჯონდო გვასალია „ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხებისათვის“ ლიტ. საქართველო, 1989 წ.).

რა სიახლეს შეიცავს მ. ტატიშჩევის ცნობა? აქ სიახლე მხოლოდ ისაა, რომ დვალებს, მცხოვრებთ თავიანთი განსახლების ტერიტორიაზე, უკვე ჰქვიათ არა დვალები, არამედ ოსები. სხვა მხრივ, ეს ცნობა სიახლეს არ შეიცავს, რადგანაც დიდი ლიახვის სათავეებში (ე.ი. მაღრან დვალეთში) დვალები საუკუნეები ცხოვრობდნენ (იხ. იქვე), ხოლო ტატიშჩევის მიერ მოხსენებულ ზახაშიც დვალები მუდამ ცხოვრობდნენ. ამიტომაც, ტატიშჩევის ცნობა იძლევა ინფორმაციას არა ოსების საქართველოში შემოსვლის შესახებ, არამედ დვალთა ოსებად სახელდების შესახებ. მაშასადამე, ტატიშჩევის დროს, ე.ი. XVII საუკუნის დასაწყისში დვალები ანუ ახლა უკვე ოსებად სახელდებული ტომი ჯერ კიდევ არ დაძრულა შიდა ქართლისაკენ და კვლავინდებურად ცხოვრობს ტრადიციულ ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ XVII საუკუნის I ნახევარში ოსები არ მოსახლეობდნენ ჯავაშიც კი: „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ ოსები სოფელ ზემო ჯავაში ამ დროს ჯერ კიდევ არ მოსახლეობდნენ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ. 1940 წ. გვ. 364, ჯონდო გვასალიას დასახ. ნაშრომი).

მაშასადამე, XVII საუკუნის I ნახევარში დვალები (ოსები) ჯერ კიდევ არ იყვნენ დაძრულნი შიდა ქართლისაკენ და ისინი კვლავინდებურად დვალეთში (და მაღრან-დვალეთში) ცხოვრობდნენ.

ცვლილება უნდა მომხდარიყო XVII საუკუნის II ნახევარში ან XVIII საუკუნის დასაწყისში. XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობს ცნობები დვალთა (ოსთა) ქართლის ხეობებში ცხოვრების შესახებ, ამიტომაც, ალბათ, არასწორია ასეთი განცხადება: „XVI–XVII სს. ოსური სოფლები კავკასიონის მაღალ მთიან ზოლში არსებობდნენ და ყალიბდებოდნენ ოსთა ახალშენები მდ. არაგვის, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის, ჯეჯორის და სხვა“. ამ საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე, ოსები ან დვალები მოსახლეობდნენ მხოლოდ დვალეთში (ე.ი. წყალგამოყოფ ქედს იქით თერგის ხეობაში) და მაღრან-დვალეთში.

ამ საუკუნეებშივე ხდება არსებითი ცვლილება დვალთა ცხოვრებაში, ბესარიონ, ქართლის კათალიკოსის მოხსენიება „მახლობელად ჩვენთა მთიულთა ოსთა“ ამას გულისხმობს. მათი ტალღა დაიძრა იყო ამიერკავკასიისკენ (ბესარიონ კათალიკოსი „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა“ ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომატია, I, 1946, გვ. 408, იხ. იქვე, ჯ. გვასალიას წერილი).

ისტორიული დვალეთიდან და მაღრან-დვალეთიდან ქართლის მდინარეთა სათავეში დასახლებულან დვალები და სწორედ ამ დვალებს უწოდეს „ოსები“.

ჩამოსახლება ოსებისა იწყება XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში, რადგანაც ვახუშტი სწორედ ამ დროისათვის აღწერს ოსების ქართლის მთიანეთის ცხოვრებას.

XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე რიცხვი ოსებისა თითქმის უმნიშვნელო იყო შიდა ქართლში, 70-იანი წლების შემდეგ მათი რიცხვი იზრდება. უნდა ვიფიქროთ, რომ XVIII საუკუნეში შიდა ქართლის საერისთავოების გაუქმებამ შექმნა ხელსაყრელი პოლიტიკური და სოციალური საფუძველი შიდა ქართლში ოსების რიცხვის გაზრდისათვის. ქართლის საერისთავოები, რომლებიც ერეკლე მეფის დროს გაუქმდა, წარმოადგენდა სამხედრო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს და აკონტროლებდნენ და სასურველი მიმართულებით წარმართავდნენ მთიელი ტომების მოძრაობას შიდა ქართლისაკენ. ამ საერისთავოების გაუქმების შემდეგ მოიშალა მთელი ადგილობრივი სამხედრო მაკონტროლებელი სისტემა, ხოლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო მთელი ტომების მოძრაობის თვალყური თუ სასურველი მიმართულებით წარმართვა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მემამულეები ძირითადად ჩამოსახლებულ ოსებს (დვალებს) იყენებდნენ მიწების დასამუშავებლად. დვალები შემოდიოდნენ არა ვითარცა მეომრები, არამედ ვითარცა ღატაკი, მშრომელი მთიელები.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ საერისთავოები ჯერ კიდევ ადრევე აკონტროლებდნენ დვალების მოქმედებას (ჯერ კიდევ დვალების გაოსებამდე), ამიტომაც დვალებსა და ერისთავებს შორის ძალზე ხშირად ხდებოდა შეტაკებები. დვალეთი შედიოდა საქართველოს (ქართლის) სამეფოში და საერისთავო ტერიტორია დვალეთსაც მოიცავდა („ნარო-მამისონის რაიონს“). დვალები ერისთავებს წინააღმდეგობას უწევდნენ, დვალები დახმარებისათვის ოსებს იწვევდნენ, რამაც საბოლოოდ გააოსა კიდეც დვალეთი; „ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი, განმაპირობებელი დვალების წარმატებული წინააღმდეგობისა ერისთავებისადმი, იყო შემოღწევა დვალურ გარემოში ჩრდილოეთიდან ემიგრირებული ოსებისა“ (ნარკვევები სამხ. ოსეთ. ისტორ. გვ. 95).

ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ქართლის მდინარეთა სათავეებსა და მთიანეთში ვახუშტის დროს მოსახლე ოსები ეთნიკურად დვალები იყვნენ. ვახუშტის დროს ოსებით ქართლის მთიანეთის ძალზე ვიწრო ზოლი იყო დაკავებული. ისინი ქართლის მთიანეთის 20-ზე მეტ ქართულ სოფელში ჩასახლებულან.

„XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ოსთა განსახლებას ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის რუკები და „აღწერა“ რომლებიც დიდი ობიექტურობით გამოირჩევიან. ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლები ნიშნებითაა აღნიშნული: მაღრან-დვალეთი, საბა, როკა, კოშკა, ხვნე, ჯავა, ქეშელთა, მშხლები, გერი, მეფარეთი, ინაური, ბარალეთი. პატარა ლიახვზე ოსური სოფლებია ქნოლო, ჩაბარუხი, შაბიანი, ნიკორი, შუაცხვირი, ზონკარი. მექუდის ხეობაში სამი ოსუ-

რი სოფელია, ხოლო მდ. ლეხურაზე ზახორის მახლობლად ქსნის ხეობაში ოსურია მთლიანად სათავე – ჟამურის ხევი, თერგის ხეობაში თუ რუსოს ხევი ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული. გარდა ამისა, ხევში (ყაზბეგის რაიონი) ორი ოსური სოფლის ნიშანია სოფ. ძველეთის სამხრეთით და თანამედროვე კობის ადგილას. არაგვის ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი, ასევე ქართულია სამუხრანბატონო და საამილახვრო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო“ (ბ. გვასალია, დასახელებული ნაშრომი).

თუ ოსთა აღნიშნულ დასახლებას რუკაზე მოვინიშნავთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი გაჩენილან მაღრან-დვალეთის ირგვლივ, ანუ სწორედ მაღრან-დვალეთიდან გამოსულ მოსახლეობას შეუვსია აღნიშნული სოფლები. მაღრან-დვალეთი ლიახვის სათავეში მდებარეობდა. ამიტომაცაა, რომ „XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა შედარებით კომპაქტურია ლიახვის ზედა წელზე“ (იქვე). მაღრან-დვალეთს ესაზღვრებოდა ხევი და ქსნის სათავე, აქაც ჩამოსახლებულან მაღრან-დვალეთიდან მთიელები, მაგრამ ოსური მოსახლეობა „მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობათა სათავეებში სპორადულია, ქსნის ხეობაში ოსთა დამკვიდრება შედარებით გვიან მოხდა“ (იქვე).

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსები, ანუ მაღრან-დვალეთიდან გამოსული მოსახლეობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობს, სამაჩაბლოში მათ მიერ დაკავებული სოფლების რიცხვი ძალზე მცირეა. საერთოდ, XV–XVIII საუკუნეებში დიდი ლიახვის ხეობაში, როგორც ეს ჯ. გვასალიას რუკიდან ჩანს, ბევრი ქართული სოფელი იყო. სოფლების ამ კოლოსალურ რიცხვთან შედარებით დვალეთიდან გამოსული ოსების მიერ დაჭერილი სოფლების რიცხვი XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის უმნიშვნელოა.

„... ვახუშტის დროს ოსთა დასახლება ქსნის ხეობაში მხოლოდ ჟამურით განისაზღვრება“ (რ. თოფჩიშვილი, „ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი“ „მაცნე“ ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 31).

„ქსნის ხეობაში ვახუშტის დროს ისინი მხოლოდ ჟამურში მკვიდრობდნენ. შემდეგ თანდათან მოხდა ოსების ქსნის ხეობის სამხრეთისაკენ დაშვება. XVIII საუკუნის შუა ხანებში ისინი ჭურთაში ეფუძნებიან (იქვე, გვ. 45). „ვახუშტის დროს ჭურთაში ოსები არ ჩანან. XVIII საუკუნის II ნახ. საბუთით კი ჭურთაში უკვე 60 კომლი ოსი მკვიდრობდა“ (იქვე, გვ. 36). უნდა ითქვას, რომ ახალგორში (დღევანდელ ლენინგორში) ოსები არ სახლობდნენ არა თუ XVIII საუკუნეში, არამედ 1873 წლის აღწერის დროს (გვ. 39).

„XVIII საუკუნის პირველ მესამედში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში (მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვის სათავეები)“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 429).

„საქართველოს მაღალმთიან ზოლში თავი მოიყარა ოსურმა მოსახლეობამ, XVII–XVIII სს-ში კი აქედან დაიწყო ოსების გავრცელება საქართველოს

მთისწინა და ბარის ზოლში. ამრიგად, ხანგრძლივი პროცესის შედეგად შიდა ქართლის ჩრდ. განაპირა ტერიტორიაზე დამკვიდრდა ოსი ხალხის ნაწილი. ოსების ძირითადი ნაწილი ქართლის, მეორე ნაწილი კი იმერეთის სამეფოში შედიოდა. ეს უკანასკნელნი – კუდაროს ოსები – დროდადრო რაჭის ერისთავების, თავად წერეთლების ხელქვეითნი ხდებოდნენ, მათზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებდნენ ქართლის მეფეებიც. ქართლში გადმოსული ოსები ძირითადად ქართველი ფეოდალების – არაგვისა და ქსნის ერისთავების, თავად მაჩაბლების სამფლობელოებში მოხვდნენ, ოსთა მცირე ჯგუფები მუხრანბატონების, ფავლენიშვილების, ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეებისა და სხვათა სამფლობელოებშიც ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის აღწერით, ქართლ-კახეთის სამეფოში დაახლოებით 6 ათასი კომლი ოსი ცხოვრობდა“ (ქ.ს.ე. ტომი „საქ. სსრ 1981, გვ. 377).

იმიერკავკასიელი ტომების საქართველოს საზღვრებში შემოსვლას XVI–XVIII საუკუნეებში თან სდევდა ხანგრძლივი ბრძოლები ქართველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებისა და შემოსულ ტომებს შორის. მაგალითად, აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) დაღესტნური ტომების შემოსვლისას ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ ქართველთა დამარცხებით დამთავრდა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველების გალეკება.

ჩერქეზული ტომების აფხაზეთში შემოსვლას მოჰყვა ხანგრძლივი ომები მთიელ შემოსულ ტომებსა და ქართველობას შორის. ცნობილია, რომ ჩვენი მთიელი ტომები, თუშ-ფშავ-ხევსურები, როგორი თავდადებით ებრძოდნენ სწორედ ამ საუკუნეებში საქართველოსაკენ დაძვრის მსურველ (ჩეჩნურ-ინგუშურ) ტომებს. მსგავსი სურათია შიდა ქართლშიც.

XVII–XVIII საუკუნეებში დვალეთის ოსეთად სახელდებისთანავე იძაბება ურთიერთობა და იწყება დვალეთსა და შიდა ქართლში მთიელთა აჯანყებები. ეს იყო ბრძოლა შიდა ქართლისაკენ დაძრულ მთიელ ტომებთან. როგორც აღინიშნა, დვალეთი ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ ქართლის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნულ დროს სწორედ დვალეთში დაიწყო და შემდეგ შიდა ქართლშიც გაგრძელდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

1626 წელს, როცა დვალეთის მცხოვრებლებმა მასიურად უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ ქართულ სამეფო ხელისუფლებას, რაც გადასახადზე უარის თქმით გამოიხატა, გიორგი სააკაძემ ილაშქრა დვალეთში და ჩაახშო ეს აჯანყება.

XVIII ს-ის 20-იანი წლების შემდეგ, რაც ვახტანგ VI-მ დიდი პოლიტიკური მარცხი განიცადა და სამეფო მიატოვა, შიდა ქართლი ქაოსმა მოიცვა. ქართლის პოლიტიკურმა წრეებმა შემოსულ მტერთან ბრძოლას თავი აარიდეს. „ვახტანგისა და მისი ამალის გადახვეწა რუსეთში იწვევდა აქტიური ბრძოლიდან თავის არიდებასა და ძნელბედობასთან პასიური შერიგების ტენდენციებს. ამ საქმეში მეფის მიმბაძველებიც მალე გამოჩნდნენ და ბრძოლის სიძნელეებს გაურბოდნენ“ (საქ. ისტ. ნარკ., ტ. IV, გვ. 424), წარსულ საუკუნეებში მებრძოლი ქართული პოლიტიკური ძალები ახლა აპათიამ მოიცვა და მტერთან ბრძოლას

პასიურ თავის გარიდებას არჩევდნენ (იქვე). ამ საუკუნის I ნახევარში ოსმალთა შემოჭრამ და გაბატონებამ და ყიზილბაშობამ კიდევ უფრო დაასუსტა შიდა ქართლი. სწორედ ამ დროს იზრდება ჩრდილოეთიდან მოსული ოსების (დვალების) რიცხვი შიდა ქართლში. ოს მოახალშენეთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII ს-ის 40–50-იანი წლებიდან“ (იქვე, გვ. 432).

როგორც აღინიშნა, ოსმალობის საშინელება შიდა ქართლში ყიზილბაშობამ შეცვალა. „სეხნია ჩხეიძის გადმოცემით ქართველებმა ამდენი ვეღარ აიტანეს და თავადების ერთი ნაწილი ყიზილბაშებს განუდგა: „უკუდმა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი, სულ ზემო ქართლი ...“ (საქ. ისტ. ნარკ. IV, გვ. 448).

მალე ღმერთმა წყალობის თვალით მოხედა საქართველოს“ ... 1744 წლის ივლისიდან ქართლის სამეფო ტახტი თეიმურაზმა აღადგინა, ხოლო კახეთში მისი შვილი ერეკლე გამეფდა“: „იყო სიხარული ქართლსა და კახეთს სიხარული უზომო“... ერთ საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო მას აქეთ, რაც ქართლ-კახეთს გამაჰმადიანებული მეფეები განაგებდნენ. ახლა კი ქრისტიან ხელმწიფეთა მოვალეობას ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...“ (იქვე, გვ. 603).

ჭეშმარიტად, 1744 წელს ქართლ-კახეთის ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა იყო გაახლება და გაცოცხლება ქართველობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ყიზილბაშებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს „ბობოქარ ქართლს“ როგორც მ. დუბაძე უწოდებს და მრავალი საქმე მოსაგვარებელი იყო, ქართლის მეფემ უპირველეს ყოვლისა თავისი ყურადღება მიაპყრო მთიანეთიდან ბარში ჩამოსულ ოსებს. ოსები თურმე „ცემდნენ ზემო ქართლს“ – „1745–1746 წლებში ქართლის მეფეს არაგვის ოსები განუდგნენ, „დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა“ არ იხდიდნენ სამეფო გადასახადებს. თეიმურაზმა აქ ჯერ გაგზავნა თუშები მოურავ ჯიმშერის მეთაურობით და სასტიკად დასაჯა ურჩები“ (იქვე, გვ. 605).

უფრო რთულად აღწერს შიდა ქართლში ოსთა გამო შექმნილ ვითარებას პაპუნა ორბელიანი. ის 1745–1746 წლებისთვის წერს: ოსებმა „დაუწყეს ცემა ზემო ქართლსო“ ის ჯერ კიდევ თეიმურაზის ქრისტიანული წესით გამეფებამდე წერს იმავეს, აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ თითქმის ერთსა და იმავე წინადადებას იმეორებს, თუმცა პირველ შემთხვევაში ზოგადად ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსებს გულისხმობს, ხოლო მეორე შემთხვევაში – არაგვის ოსებს.

მემატიანე წერს: „ამ ხანთა შინა დაუწყეს ცემა ოსთ ზემო ქართლს, აგრეთვე ჩამოდგა ჯარი ლეკისა სომხით-საბარათიანოში“ (პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“ 1981, გვ. 100). აქ ზემო ქართლი ეწოდება ისტორიულ შიდა ქართლს. იმის შემდეგ, რაც მეფე ქრისტიანული წესით აკურთხეს, ოსები ახალ შეტევას იწყებენ შიდა ქართლში. ეს ოსები საერისთავოებში ცხოვრობდნენ. „უკუდგნენ ოსნი ერისთავისანი და დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა“ (იქვე, გვ. 110). ოსთა დამარცხებისათვის მეფეს, ჩანს, საკუთარი ძალები არ ჰყოფნიდა. ამიტომაც მან დაიქირავა დაღესტანში ანწუხელი და სხვა კუთხეთა ლეკები. უწინამძღვრეს შიდა ქართლის თავადებმა და შეებრძოლნენ ოსებს.

მაგრამ ლეკებმა ოსთაგან აღებული ნადავლი იცოტავეს და იმერეთშიც შეიჭრ-ნენ – საწერეთლოში (იქვე, გვ. 110). ლეკთაგან დატყვევებული იბერიელები მე-ფეებმა თეიმურაზმა და კონსტანტინემ გაათავისუფლეს, ლეკებს ფული გა-დაუხადეს (იქვე, გვ. 112).

მალე სამეფო ხელისუფლება მიხვდა, რომ ქართლში შემოსული ოსების შეჩერებას დაქირავებული ჯარით ვერ შესძლებდა – საჭირო იყო სამეფოს მთე-ლი სამხედრო ძალებით შებრძოლება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ არაგ-ვისა და ქსნის საერისთავოებში შემოსული ოსები.

„ორსავ საერისთაოსნი დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ, არც მოხელე შეუშვეს, ამათი წახდენა ინებეს. მოსწერა მამას წიგნი მეფე ერეკლემ და დაიბარა, წაბრძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა ქართლისათა. მიბრძანდა ვანათს, ორისავ გზის მხრები შეუკრეს, რომ მიმშველი აღარავინა ჰყვანდათ. აიყარა კახთ ბატონი ანანურით, წაბრძანდა ოსეთზე, არაგვის ერისთავის ჯარს ჯიმშერ თუშთ მოურავი უთავა და მეწინავენი მიიმძღვარა, მემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თვითონ ბატონი უკან-უკან მიჰყვა, მოეგებნენ ოსნი და შეიქმნა ომი, ვითა ხვდებოდა და სიმხნე სიკეთესა მისსა, ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბრძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალდახ-მალ და გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეჰყარეს კოშკებში და შემოადგნენ კარს. განაძლიერა ჯარი მეფემ ერეკლემ, აღუთქვა მისაცემელი, უბრძანა იერიში, რასაც კოშკს იერიში უყვეს, მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და ყოვლის გზით ყალთანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს“ (იქვე, გვ. 113).

ქართლში შემოსული მთიელი ოსების დამარცხება არ იყო ადვილი საქმე, ამიტომაც ოსებთან ომში (სწორედ ასე წერს მემატიანე „შეიქმნა ომი“) ჩაერთვნენ ქართლისა და კახეთის მეფეები, სახელმწიფოს მთელი ძალები. შეიძლება ითქვას, ოსებთან ომში გამარჯვება იყო პირველი დიდი წარმატება „ახალცხებული“ მეფეებისა. თუ რა დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსების შემოსვლა ქართლს, ეს ჩანს მემატიანის განცხადებიდან. ის ადარებს ერთმანეთს ვახტანგ გორგასალის ოსებთან გამარჯვებისას და მეფე ერეკლეს მსგავს მოქმედებას. „ვითა ვახტანგ გორგასალ თხუთმეტისა წლისა მბრძოლი ოსეთში და დამჯაბ-ნი ბუმბერაზისა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა. ასაკითა თუ იყო მცირე, რომელსაც საქმეს და ან ძნელსა საბრძოლსა მოინდომებდა, წინ ვეღარავინ აღუდგებოდა... ჩამობრძანდა გამარჯვებული ანანურის, დაიჭირა, ვინც ვინ ბეჟან ერისთავის სისხლში რეულიყო... დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აჰყარა და კახეთში გაისტუმრა. რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყეს ქსნის ერისთავთა ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, და ყოველის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანა-შაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა“ (იქვე, გვ. 114).

ზემომოყვანილი იძლევა უფლებას, გამოითქვას მოსაზრება, რომ ქსნის საერისთავოში ოსების ჩამოსახლება ცნეს ქართველმა ხელმწიფეებმა, რაც იმით გამოიხატა, რომ აქაური ოსები შეიწყალეს, როგორც მთხოვნელები. მათ უნდა გადაეხადათ გადასახადი. „...შემოეხვეწეს მეფეს ... მოსცეს სრული ბეგა-

რა“ ხოლო არაგვის საერისთავოდან ოსები ფაქტიურად განდევნილ იქნენ, როგორც შემოსული მტრები. რაც შეეხება ლიახვის ხეობას, აქ ადგილობრივი თავადები, ჩანს, თავიანთ მიწებზე ასახლებდნენ ოსებს, როგორც მუშახელს და მფარველობდნენ კიდეც.

ოსებთან გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოსათვის. ამის გამო ცენტრალური კავკასიონისა და მის გადაღმა მცხოვრებმა ტომებმა ძველებურადვე აღიარეს ქართული სახელმწიფო.

ამის შემდეგ ცენტრალური კავკასიის ტომები საქართველოში კი არ იჭრებოდნენ, როგორც მტრები, არამედ პირიქით, ისინი ქართულ ლაშქარს უერთდებოდნენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ომში: – „დაიბარეს მეფეთა ჩვენთა, ჩამოვიდნენ ანანურის ჯარი ჩერქეზის, კალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ღლიღვისა, ნოლისა და ოსისა“ (იქვე, გვ. 219). ზოგჯერ ქართველ მეფეებს „...ახლდნენ ოსნი და ჩერქეზნი“ (გვ. 233). „მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისისასა, ქართველნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი“ (გვ. 165).

ოსების შიდა ქართლზე შემოტევის შეწყვეტა იყო უდიდესი გამარჯვება ქართული სახელმწიფოსი, გამარჯვებამ გარკვეული ხნის მანძილზე გაათავისუფლა სახელმწიფო ქვეყნის შიგნით ომისაგან. ამის შემდეგ ოსი მოახალშენენი მთიდან ბარში ჩამოდიოდნენ არა როგორც მებრძოლები და დამპყრობლები, არამედ როგორც მშრომელები, რომელთაც თავიანთი შრომით სურდათ ახალი ცხოვრების კეთილად მოწყობა. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, საქართველოს მიწაზე სხვა მთიელი ტომები სხვაგვარად ესახლებოდნენ. მაგალითად, ლეკები აღმოსავლეთ კახეთში ჩასახლდნენ არა როგორც მშრომელები, არამედ როგორც დამპყრობლები, ექსპლუატატორები ადგილობრივი ქართველი გლეხებისა. ასევე ჩასახლდნენ აფხაზეთში ჩერქეზებიც.

ქართლში თავიანთი პოლიტიკის შეცვლის შემდეგ ოსებს, როგორც ჩანს, აღარ უყურებდნენ, როგორც მტრებს და ასახლებდნენ ქართულ სოფლებში ან ნასოფლარებში. ქართველთა რიცხვი ქართლის მთიანეთში ამ დროისათვის გარკვეულად უნდა შემცირებულიყო, რადგანაც ოსმალთა ბატონობის წლებში (1723 –1735) და „ყიზილბაშობის“ (1735–1747) დროს მტრები სწორედ ქართველ მოსახლეობას ებრძოდნენ, ჰკლავდნენ და ატყვევებდნენ, ხოლო სხვა ეროვნების მცხოვრებლებთან შეთანხმებას არჩევდნენ. მაგალითად, ყიზილბაშობის დროს შიდა ქართლის მთიანეთში ერთ-ერთი ოპერაციის დროს, „გაუშვა მარბიელი ავღანისა და როცა რამ დარჩომილიყო, დაატყვევეს, ოსეთს აქეთ სულ ბაჰყარა და მოაბარა გივი ამილახორს. ჩამოუძღვა გივი და დააყენა ფხენისს. გარუნდა ხანი, მიუხდა ერთს ალაგს, ცოტა რამ საქონელი დარჩობილიყო, მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნენ, რა შეიტყვეს ღალატი, შეუკრეს ვიწრო ალაგი, დაუშინეს, გამოაქციეს ყიზილბაშები, დაჭრეს ხანი, მოკლეს პაპუა მუხრან-ბატონიშვილი, რომელი იყო ნასაღჩიბაში, ამოწყვიტეს ყიზილბაშნი...“ (იქვე, გვ. 48).

აქედან ჩანს, რომ ყიზილბაშები ქართველებს ებრძვიან და ატყვევებენ, ხოლო ოსეთში არ შედიან, „ოსეთს სულ აქეთ აჰყარა“ ჩანს, ოსებთან რაღაც პირობაა დადებული, „მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნეს“. მაგრამ, ჩანს, პირობა

არ შეასრულეს ოსებმა. ღალატის გაგების შემდეგ ყიზილბაშები შებრძოლებისას დაამარცხეს, „რა შეიტყეს ღალატი... ამოწყვიტეს ყიზილბაშნი“ აქედან ჩანს, თუ ქართლის მთიანეთში რა სერიოზულ ძალად იქცა ოსობა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის დროს, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ და თეიმურაზმა ეს ძალა დაასუსტეს და სახე შეუცვალეს. ოსები კვლავ ქართველ მეფეთა სამსახურში ჩადგნენ XVII საუკუნეში, ამ დროს ოსები ხშირად მხარში ედგნენ ქართველებს მტერთან ბრძოლის დროს, ერეკლე-თეიმურაზის დროს ტრადიცია კვლავ განახლდა. როგორც ითქვა, ქართველ მეფეთა გამარჯვების შემდეგ შეფერხდა ოსთა ჩამოსახლება არაგვსა და ქსანის ხეობების ქვემო მხარეებში, ოსები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ. ერთი რუსი ჩინოვნიკის ჩანაწერში 1769 წელს ნათქვამია: „არაგვისა და ქსნის სამფლობელოები ხალხმრავალია და ძლიერი, პურ-ნაყოფიანი და ჰყავთ თავიანთ დაქვემდებარების ქვეშ რამდენიმე ათასი ოსი, მცხოვრებნი კავკასიის მთებში...“ (სამხრეთ ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 125). ლიახვის ხეობაშიც ოსები კვლავინდებურად მაღრან-დვალეთსა და მის მახლობლად ხეობის ზემო წელშიც ცხოვრობენ. ოსთა ჩამოსახლება მასიური ხდება მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს 70-იან წლების შემდეგ. ამ დროს მათი რაოდენობა იზრდება. ჩანს, არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმებამ, ასევე ერეკლეს, როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობის გართულებამ, კრიზისმა, რომელმაც მოიცვა ერეკლეს სახელმწიფო მისი მეფობის მიწურულს, ხელი შეუწყო ოსების შეუფერხებელ მიგრაციას მთიდან ბარისაკენ. ადგილობრივი ქართული ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა, ძალა არ შესწევდა, გამკლავებოდა ბარში ჩამოსულ მთიელებს. „ოსები ენერგიულად გამოდიოდნენ ფეოდალთა წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 119). თავადები, რომელთა ოჯახის წევრებსაც ხოცავდნენ ოსები, მეფეს დახმარებას სთხოვდნენ. შიდა ქართლში კვლავ სისხლისღვრა გაჩაღდა (იქვე, გვ. 119).

მიუხედავად ქართლის ბარში ოსთა რიცხვის რამდენადმე გაზრდისა, თვით XIX საუკუნის 70-იან წლებამდეც კი ოსების ძირითადი მასა მთებში ცხოვრობდა. მათი გამოყენება სცადეს ბატონიშვილებმა რუსთა წინააღმდეგ. მათ ჩამოიყვანეს ოსები მთებიდან ბარში – ცხინვალის სანახებში დააბანაკეს. რუსებთან შებრძოლების შემდეგ ოსებმა დაარბიეს და დაწვეს ცხინვალი და უკანვე მთებში დაბრუნდნენ. როგორც წერს თეიმურაზ ბაგრატიონი, „ხოლო ოდეს მეფე შთავიდა იმერეთს, თანა შთაიყვანა მეფის ძის იულონის ძეი ლეონ და შეგზავნა რაჭით მთათა ლიახვისათა, რათა მან აღძრას ოვსნი პირისპირ რუსთა. ესე აღვიდა და შემოიყვანა ოვსნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა ესე ახვერდოვმან, გუბერნატორმა ქართლისამან, აღვიდა ცხინვალს რუსთა მხედრობითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლა ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა, მაშინ ოვსთა მოწვეს და მოარბიეს გარემონი ცხინვალისანი და თვით ცხინვალი და უკუნ იქცნენ. მაშინ ტორმასოვმან შეგზავნა ჭვრივს ფრიადი მხედრობა რუსთა და მოწვეს ჭვრვი, და ვეღარა დადგა ლეონ კოშკს და აღვიდა ნარას“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, „ახალი ისტორია“ 1983 წ. გვ. 77). ჭვრვი მთიანეთშია, ხოლო ნარა – თერგის კავკასიაშია.

ი. გიულდენშტედტი ეხება XVIII საუკუნის 70-იან წლებს – „XVIII საუკუნის 70-იან წლებში მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია. ქართლში მეტი ოსი იყო, ვიდრე ადრე, ამავე პერიოდის ვითარების ამსახველია გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. გიულდენშტედტი ჩრდილო ოსეთისაგან განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებს, შიდა ქართლის პროვინციებზე საუბრისას მათ აღნიშნავს, როგორც ოსური მოსახლეობით დასახლებულ მხარეებს. ი. გიულდენშტედტის მონაცემებით, ლიახვის ზემო წელზე XVIII-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად კიდევ ცხოვრობენ ქართველები. ლიახვის ხეობის აღწერისას გიულდენშტედტი წერს: „ჩელიათი, დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ სულ რამდენიმე სოფელია და დაახლოებით 300 ოჯახს შეიცავს“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, 1964, გვ. 67). შემდეგ „დიდ ლიახვზე ზემოდან ქვემოთ არის: ქართულ-ოსური მხარე სბა, დიდი ლიახვის ზემოთ და მარცხნივ, წინას (ურსთვალთას – ჯ.გ.) საპირისპიროდ. ქართულ-ოსური მხარე ჯომაღი, ამავე სახელის მქონე მდინარეზე, რომელიც ზემოთ, ლიახვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. ქართულ-ოსური მხარე გუდისი, ზემოთ დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, სბის მხარეს ქვემოთ. ქართულ-ოსური მხარე ჯაუკომი, მდინარე ფაწაზე, დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადზე. ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1962, გვ. 277-279, ჯ. გვასალია, დასახელებული ნაშრომი).

აქედან ჩანს, რომ ტერიტორია, რომელსაც მაღრან-დვალეთი ეწოდებოდა, არა მარტო ოსებით, არამედ ქართველებითაც იყო დასახლებული და აქ ქართველთა რიცხვი მცირე არ ყოფილა მთიანი რეგიონის პირობის გათვალისწინებით.

ჩელიათი, რომელიც გიულდენშტედტის თანახმად, ქართველებით არის დასახლებული, მაღრან-დვალეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ჩელიათი მხარე იყო, რომელშიც ქართველებით დასახლებული რამდენიმე სოფელი შედიოდა, აქ კომლების საერთო რიცხვი 300 ყოფილა. იქვე მდებარეობდა მხარე სბა, იქ მოსახლეობა ქართულ-ოსური ყოფილა. ზემო და ქვემო როკასთან (სადაც ახლა გაჭრილია გვირაბი) რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა ქართულ-ოსური მხარე ჯომაღი. სბასთან ახლოს, ე.ი. მაღრან-დვალეთთან მდებარეობს ქართულ-ოსური მხარე გუდისი და ჯაუკომი. საერთოდ, მაღრან-დვალეთი გიულდენშტედტს ქართულ მხარეს მიაჩნია, მაშინ როცა სწორედ მაღრან-დვალეთი იყო ოსების მოსახლეობის ძირითადი ტერიტორია – „ქართული მხარე მაღრან-დვალეთი“ – წერს ის. აქედან ჩანს, რომ თვით XVIII საუკუნის ბოლოს შიდა ქართლის არც ერთ რეგიონში ოსური მოსახლეობა ძირითადი არ არის, და ყველა მხარეში, მთიანეთის ჩათვლით, ქართველებს მნიშვნელოვანი რიცხვი გააჩნიათ. ამ მოგზაურის მიერ ჩამოთვლილი მხარეები და სოფლები მდებარეობდნენ ჯავის ჩრდილოეთით, საკმაოდ დაშორებით ჯავისაგან, როგორც აღინიშნა – ოსთა რიცხვი შემდგომ გაიზარდა – „გიულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ ხანაში ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა, მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწევს“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ოსების რიცხვი და განსახლების არეები თვით მე-18 საუკუნის ბოლოს დიდი არ იყო, საერისთავოთა გაუქმების შემდეგ მათი რიცხვი მკვეთრად იზრდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსების რიცხვი გაიზარდა არა მარტო ბუნებრივი გამრავლებისა და ჩამოსახლების შედეგად, არამედ იმითაც, რომ ოსურ გარემოცვაში მცხოვრებმა ქართველებმა დაივიწყეს მშობლიური ენა, სარწმუნოება, რამაც საფუძველი დაუდო ქართველთა გაოსებას. უთუოდ გაოსებული ქართველების რიცხვი ქართლის მთიანეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, რამეთუ ეს შეამჩნია უცხოელმა მოგზაურმა. გაოსებული ქართველების რიცხვი უმნიშვნელო რომ ყოფილიყო, ანდა გამონაკლისი, ამის აღნიშვნა საჭირო არ იქნებოდა.

გიულდენშტედტი წერს, რომ „ოსურ გარემოში მცხოვრებმა ქართველებმა ენა და სარწმუნოება დაივიწყეს“, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა შეითვისეს და გაიმშობლიურეს ოსური ენა, ქართველებმა დაივიწყეს ქრისტიანობა და მიიღეს ოსური სარწმუნოება. მოგზაური წერს – „კავკასიელ მთიელთა შორის, – განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს“ („გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ ტ. I, გვ. 185). გიულდენშტედტი აღწერს, თუ როგორ იცლებოდა ქართლის მთიანეთი ქართული მოსახლეობისაგან და როგორ უპატრონოდ და უმრევლოდ რჩებოდა ქართველთა ეკლესიები – „სოფელ სხლებში ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელშიც ჯერეც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, ის არის 2 ფუტი სიმაღლის და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს არ ჰქონდა საზაფხულო სახლი. ეს ეკლესია ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფრად“ (ტ. II, გვ. 101).

ქართველები, როგორც მოგზაური აღნიშნავს, ოსდებოდნენ და ეს გაოსების პროცესი დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოს. არის თუ არა გამონაკლისი ქართველთა გაოსება და მოეძებნება თუ არა მას ანალოგიები? დიახ, ქართველთა გაოსება გასაკვირი არ არის, რადგანაც ქართველები ამ დროსვე საკმაოდ მრავლად ლეკდებოდნენ, რასაც ეს მოგზაურიც აღნიშნავს. გარდა ამისა, ქართველები „თათრდებოდნენ“ და „სომხდებოდნენ“ კიდეც. ჭარის, ანუ აღმოსავლეთ კახეთის, რომელიც მაჰმადიანებმა დაიპყრეს, მოგზაური წერს: „მათი მოსახლეობა ჯერაც ქართველებია, მაგრამ ცოტა აქვთ ქართული ჩვევები და თითქმის ურელიგიონი არიან, თუმცა მეტი წილი მოსახლეობისა ქართველებია, მაინც ისინი სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან...“ (გიულდენშტედტი, ტ. II, გვ. 91).

როგორც ვხედავთ, თვით ქართული სახელმწიფო სისტემის დროსაც კი ქართველები ოსდებოდნენ. ქართველების გაოსების პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ, რუსული ხელისუფლება ქართველობის – როგორც პოლიტიკური ძალის მიმართ, უარყოფითად იყო განწყობილი. ამ ძალის, ანუ ქართველობის დასუსტება – რუსული ხელისუფლების უპირველეს მიზანს წარმოადგენდა და ამ მიზანს ის უდრეკი სიჯიუტით ახორციელებდა. როგორც ითქვა, ქართული სახელმწიფოებრიობის დროსაც ქართველები ოსდებოდნენ, მაგრამ

იმის გამო, რომ არსებობდა ეროვნული სახელმწიფო მთელი თავისი სისტემით, უთუოდ ოსების გარკვეული რაოდენობაც უნდა გაქართველებულიყო შესაბამის გარემოში მოხვედრის შემდეგ. თითქოს ამას ადასტურებს ასეთი ტერმინის არსებობა – „ოს-ყოფილი“. როგორც წესი, „ოს-ყოფილები“ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან. ჩანს, ეს ის ოსები არიან, რომელთა ქართულ სახელმწიფო აპარატში ჩართვა სურთ ქართველ ხელისუფალთ, მაგრამ საჭიროდ მიიჩნევენ მათ გაქრისტიანებას, სწორედ ახლად გაქრისტიანებულებს უწოდებენ აღნიშნულ სახელს.

1778 წელს უფლისწულმა გიორგიმ უბოძა მამული „ახალ ქრისტიანს“ „ოს-ყოფილ“ ხალინბეგაშვილ თომას და მის შვილ გიორგის (ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 111). მაშასადამე, ოსობა არაქრისტიანობას, ანუ წარმართობას ნიშნავდა, ხოლო ოსი – მოუნათლავ წარმართს. მაშასადამე, ამ დროს „ოსი“ აღნიშნავდა არა მარტო ეროვნებას, არამედ ადამიანის სარწმუნოებრივ მდგომარეობას, ცხადია, მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე, მხარეში, ამ შემთხვევაში შიდა ქართლში. მაშასადამე, თუ აქ ქრისტიანი სარწმუნოებას დაკარგავდა, ის ოსი ხდებოდა, პირიქით, თუ ასეთი ოჯახი ან ადამიანი გაქრისტიანდებოდა, ის უკვე „ოს-ყოფილი“ ხდებოდა. მთებში, როგორც გიულდენშტედტი წერს, ქრისტიანობა შენელდა, ქართველმა მთიელებმა ქრისტიანულ „რელიგიასთან ერთად ენაც „დაივიწყეს“.

1782 წელს „ოსყოფილი ივანე“ წერს: „მე ოსი ვიყავი, მივედი ცხინვალში, მოვინათლე, დავოჯახდი და დავიწყე იქ ცხოვრება“ (იქვე, გვ. 113). აქაც, როგორც ვხედავთ, ოსობა უკავშირდება არა ეროვნებას, არამედ სარწმუნოებას. ივანე ოსყოფილია, მაგრამ ახლა ოსი აღარაა, რადგანაც ის მოინათლა. მაშასადამე, ოსობა წარმართობასთან არის გაიგივებული. შიდა ქართლში ვინც მოუნათლავია, – ის ოსია, ანუ წარმართია (ამ შემთხვევაში მთიდან ჩამოსული წარმართები იგულისხმება). აქედან ჩანს, თუ რაოდენ სახიფათო იყო ბარელი ქართველების თვალში მთიელთა მიერ ქრისტიანობის, ანუ „რელიგიის დავიწყება“. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული შიდა ქართლში ოსების რიცხვის მკვეთრად გაზრდა. რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოდიოდნენ მოუნათლავი მთიელები ქართლის ბარში. ამ ჩამოსახლებას რუსული ხელისუფლება არა მარტო ხელს უწყობდა, არამედ მთიელებს აიძულებდა, დაეტოვებინათ მთიანეთი და ბარში, მემამულეთა მიწებზე დასახლებულიყვნენ. როგორც გიულდენშტედტი წერს: – ქართველ მთიელებს რელიგია დავიწყებული ჰქონდათ, ამიტომაც ეს მთიელები ბარელი ქრისტიანებისათვის წარმართები, ანუ „ოსები“ იყვნენ. ამ შეხედულებას, ჩანს, ისიც ამტკიცებს, რომ მათ ერთ ნაწილს ქართული ენაც დავიწყებული ჰქონდა. ცხადია, ეს არა ეკლესიური, არა ქრისტიანული ან ნაკლებ ქრისტიანული მასა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, ბარელი ქრისტიანებისათვის წარმართები, ანუ „ოსები“ იყვნენ.

გაოსების რელიგიური მომენტი

დვალები, როგორც ცნობილია, გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ქართლის მთიანეთში, დასახლდნენ ლიახვის, ქსნის, ზემოწელსა და კუდარო-ში. ცხადია, აქ მათ დახვდნენ ქართველი მთიელები. ამ დროისათვის, ჩანს, აქაურ ქართველთა შორისაც შესუსტებული იყო ქრისტიანობა. ეს პროცესი მათში კიდევ უფრო გაუღრმავებია დვალების (ოსების) მეზობლობას. ამის შესახებ წერს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი: „კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს“ (გიულდენშტედტი, „მოგ-ზაურობა საქართველოში“ ტ. I, გვ. 185).

ე.ი. ზოგადი სურათი ასეთია: XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახუშტის დროისათვის, დვალებში შესუსტებულია ქრისტიანული სარწმუნოება და ისი-ნი ოსდებიან, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს, გიულდენშტედტის დროს, ამ ოსურ (ე.ი. დვალურ) გარემოში მცხოვრები ქართველები კარგავენ ქრისტია-ნულ სარწმუნოებას. ისინი, ცხადია, რელიგიის გარეშე არ რჩებიან, არამედ იღებენ მარტივ სარწმუნოებას, ე.ი. ოსურ წარმართობას და ოსდებიან.

ხელისუფლებისა და რუსი სამღვდელოების მიერ სარწმუნოების დაკარ-გვის გამო ქართული მოსახლეობის ოსებად გამოცხადება მოხდა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე.

რუსულმა ხელისუფლებამ გაქრისტიანებისათვის ჯილდო დააწესა და ეს ჯილდო ძალზე დიდი იყო. მე-19 ს. 10–30 -იან წლებში.

ქრისტიანობის მიღების პირობად რუსული ხელისუფლება ოსური ერო-ვნების (და არა სხვა ეროვნების) გლეხებს მებატონისაგან სრულ განთავისუფ-ფლებას და მიწის მიცემას ჰპირდებოდა.

ასეთ პირობებში ყველას სურდა განთავისუფლება, ვინც უნდა ყოფილი-ყო ის, ოსი (დვალი) თუ გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ოსთა შორის მცხოვრები ქრისტიანობა დაკარგული ქართველი. ასევე ბარელ ქართლელ გლეხს. განთავისუფლებით კი ხელისუფლება მხოლოდ ოსური ეროვნების მქონე გლეხებს ათავისუფლებდა (ეს ასე მართლაც მოხდა სენატის რეზოლუც-იის წყალობით 1850-იან წლებში, მაგრამ ახლა ჩვენ ვეხებით XIX საუკუნის და-საწყისს – 10-იან – 30-იან წლებს). გათავისუფლების პირობად ხელისუფლებამ „ოს“ (ანუ მოუნათლავ) გლეხებს პირობად დაუდო გაქრისტიანება. მაშასადამე, თუ შიდა ქართლში ყმას განვითარება სურდა, უნდა ყოფილიყავი ეროვნებით ოსი და ის, გაქრისტიანების შემდეგ მიიღებდა სასურველს. რაც შეეხება მიწის მიღებას, გაქრისტიანებულ „ოსებს“ მართლაც აძლევდნენ უფლებას გარკ-ვეული ფართობის მიწაზე, რაც ხდებოდა მისი „სახაზინო გლეხების კატეგო-რიაში“ გადაყვანით. ასეთ გლეხს მთავრობა გარკვეული პირობით აძლევდა მიწას. ეს მიწა ფაქტიურად რჩებოდა ამ გლეხის მემკვიდრეებს, თუმცა შეიძლ-ებოდა ის მათ „კერძო საკუთრებაში“ არ ყოფილიყო და კვლავ სახელმწიფოსი ყოფილიყო.

ქართველთა გაოსების საქმეში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ 1815 წელს აღდგენილმა ე.წ. „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ ამ კომისიის მოქმედების არე არა მარტო ჩრდილო კავკასიას მოიცავდა, სადაც ოსთა ძირითადი მასა იყო თავმოყრილი, არამედ ოსებით დასახლებულ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მიწებსაც. ოსებით (დვალებით) დასახლებული არდანის ხეობის ნარ-მამისონის მიწა-წყალი ისტორიულად მუდამ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა 1858 წლამდე, ამ წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ჩრდილო კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით არდონის ხეობა (ნარის უბანი) ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას. საქართველოს ეს კუთხე – ისტორიული დვალეთი, რომელიც გაოსებული დვალებით იყო დასახლებული, ჩვენს განსახილველ დროს „ოსეთის სასულიერო კომისიის მოქმედების არეალში შედიოდა ვე, როგორც ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები ოსებით (დვალებით) და მოუნათლავი ქართველებით დასახლებული ტერიტორიები.

ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელობამ უმოკლეს დროში „ცამეტი ათასამდე ოსი გააქრისტიანა“ (ქ. ს. ე. ტ. 7, გვ. 593),

მაინც როგორ შეიძლებოდა ეს? ასეთი კოლოსალური რაოდენობის გაქრისტიანებული ოსების ოდენობის მიღწევა ამ მხარეებში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელ, თუ მათ რიცხვს ახალგაქრისტიანებულ ქართველებსაც მიაწერდნენ.

ასეთი კოლოსალური ოდენობის მთიელების გაქრისტიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს მოსახლეობა უნათლავი ქრისტიანები იყვნენ. ანუ მოუნათლავები ამ დროს მოინათლნენ.

მოსახლეობა გაქრისტიანების სანაცვლოდ დიდ ჯილოდს ელოდა და ამის გამო ერთბაშად მოინათლნენ.

მართლაც, მეცნიერ – მკვლევარი აღნიშნავს კიდეც ამის შესახებ – „ქრისტიანობის მიღების პირობად იგი ოს გლეხებს მებატონისაგან განთავისუფლებასა და სახაზინო გლეხების კატეგორიაში ჩარიცხვას ჰპირდებოდა“ (იქვე, გვ. 593). ანუ რუსული მთავრობა მხოლოდ ოსების გაქრისტიანების სანაცვლოდ უდიდეს ჯილდოს იძლეოდა.

ასეთი ქმედება რომ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ინიციატივით არ მომხდარა, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ კომისიის აღდგენამდე და კომისიის გაუქმების შემდეგაც ხელისუფლება გაქრისტიანების სანაცვლოდ ოს მოსახლეობას დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოებს აძლევდა. მაგალითად, 1811 წელს მთავარმართებელმა ტორმასოვმა ოსების გაქრისტიანების სანაცვლოდ იმპერატორისაგან ქსნის ხეობის გვრდის-ძირის ოსების თავად ერისთავისაგან განთავისუფლება ითხოვა, სანაცვლოდ მისთვის 10.000 მანეთი უნდა მიეცათ ვერცხლით (სამხრეთ ოსეთის ისტ. ნარკვ. I, გვ. 171).

ასევე იქცეოდა რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაშიც, აქაურებს გაქრისტიანების სანაცვლოდ ფულსა და მიწებს აძლევდნენ.

„რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის კვლავ აღდგენას თვლიდა. ამიტომ,

ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას (მ. გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, 1984, გვ. 61).

რუსეთი პირობად გაქრისტიანებას აყენებდა. „თუ ოსები მოითხოვდნენ ფიცის მიღებას, ეს არ მოხდეს მანამ, სანამ მოსახლეობა არ გაქრისტიანდება“... ოსთა გაქრისტიანებით რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო...“ (იქვე, გვ. 62).

ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაქრისტიანებისათვის ყაბარდოელებსაც აჯილდოებდნენ. „წასახალისებლად, ვინც ქრისტიანობას მიიღებდა და რუსეთის მხარეს დასახლდებოდა, ყიზლარის შემოსავლიდან აძლევდნენ: აზნაურებს ათიათას, უბრალო ადამიანებს ხუთ –ხუთ მანეთს“ (იქვე, გვ. 33).

რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ყოველი კუთხე აჯანყების ცეცხლის ალში იყო გახვეული, შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ უფლისწულებს, ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ. ისინი სასტიკად ებრძოდნენ რუსულ ხელისუფლებას და ხშირად დასაყრდენს სწორედ ოსებში ჰპოულობდნენ. არა მარტო შიდა ქართლის ხეობათა ოსებში, არამედ ჩრდილო კავკასიის ოსებშიც ბატონიშვილებს გავლენა ჰქონდათ, მაგალითად, „ციციანოვი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა რუსეთში ძალით გადასახლებას შეუდგა, რამაც ქართველ თავადაზნაურთა უკმაყოფილება და კვლავ რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო განწყობილება გამოიწვია... თაგურის მამასახლისები რუსეთის პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას აღარ მალავდნენ. მალე ციციანოვმაც შეიტყო თაგაურელ თავკაცთა კავშირი ქართველ ბატონიშვილებთან ... 1803 წლის ზაფხულში ბატონიშვილები ფარნაოზი და იულონი ახმედ დუდაროვის დახმარებით დიგორის ხეობაში ჩავიდნენ“ (იქვე, გვ. 7-273).

აქედან ჩანს, რომ შიდა ქართლისა და, საერთოდ, მთიანეთის დამორჩილებისათვის საჭირო იყო ოსური წარმოშობის მოსახლეობის გამოყვანა ქართველთა პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური გავლენის სფეროდან და ამ მოსახლეობის უშუალოდ რუსულ ეკლესიასთან დაკავშირება.

რუსული ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ამ კუთხეში ქართული ქრისტიანობის აღმოფხვრისა და რუსული ორიენტაციის ქრისტიანობის დანერგვისათვის.

აქამდე ქრისტიანობა იმ სახითაც კი, როგორითაც ის არსებობდა ოსეთში, იყო ქართული. ჩრდილო კავკასია, და მათ შორის ცენტრალურიც, ქართული ეკლესიის არა თუ გავლენის, არამედ იურისდიქციის სფეროშიც შედიოდა. აქ მრავლად შენდებოდა ტაძრები ქართული არქიტექტურით. წირვა-ლოცვაც ჩრდილო კავკასიის ყველა ქრისტიანულ მხარეში ქართულენოვანი იყო, ამას მიუთითებს ქართული წარწერები ტაძრებსა, ნივთებსა და ქვებზე, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის გაუქმებულ ეკლესიებში აღმოჩენილი ქართული წიგნები, მათ შორის ისტორიულ დვალეთშიც, ე.წ. „ზარომაგის ფსალმუნი“. ეს ფსალმუნი აქ მაშინ უნდა გამოეყენებინათ წირვა-ლოცვის დროს, როცა დვალეთი საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა და მას ამ დროს არ ეწოდებოდა „ოსეთი“.

დვალები, ვ. გამრეკელის აზრით, ჯერ კიდევ VI საუკუნეში გაქრისტიანდნენ, მონგოლების შემოსევამდე დვალები სულიერ-კულტურულად აბსოლუტურად ქართული ეკლესიის ორგანული წევრები იყვნენ. ისინი, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, იყენებდნენ ქართულ დამწერლობას, ქართული კულტურა მათი კულტურა იყო, ხოლო ქართული ეკლესია – მათი დედა ეკლესია. ამას ისიც მიუთითებს, რომ მრავალი დვალი მოღვაწე ჰყავდა ქართულ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე. შემთხვევითი არ არის, რომ ოსურ ენაში, ჩანს, დვალების გავლენით გადასულია სწორედ ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, ეს დვალების ქართულ ქრისტიანობაზე მიუთითებს, მაგალითად, ოსურ ენაზე უმაღლეს ღვთაებას „ხუცავი“ ეწოდება, ლეკურად – „ხუცრი“ (ღმერთია), ლეკებსა და დვალებში ქართული ქრისტიანობა თემურ-ლენგამდე გავრცელებული იყო და ქართული „ხუცესი“ „ხუცური“-დანაა გადაღებული (იხ. დიდებულიძე, კულტურული ურთიერთკავშირი...“ გვ. 78). ოსური „კუირა“ „ბარასკა“ „ტარანჯელოს“ „ჯიორქომა“ „სანიბა“ „მიქალგაბირტა“ „მარიამ“ და სხვა ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიიდანაა გადაღებული – (შესაბამისად კვირა, პარასკევი, მთავარანგელოზი, გიორგობა, სამება, მიქელ-გაბრიელი, მარიამი) (იქვე, გვ. 79).

იმის შემდეგ, რაც აქ ჩრდილო კავკასიის ველებიდან „ოსები“ დასახლდნენ, დაკნინდა დვალების სარწმუნოება. დვალების მტკიცე ქრისტიანობაზე ისიც მიუთითებს, რომ მათ თვით XVIII საუკუნის დასაწყისშიც კი მთლიანად არ ჰქონდათ დაკარგული ქრისტიანობა და ათვისებული ოსური წარმართობა. ვახუშტი წერს დვალების შესახებ: „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზელისანი და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივს უყოფენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმცრონი. არა უვისთ მღვდელნი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივე რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსნი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა ... ენა აქვთ ძველი დვალური...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 638-639).

ვახუშტი წერს, რომ მისი დროის ოსეთის საზოგადოება ორი ფენისაგან შედგება, დაბალი ფენა დვალურია და ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ „უნათლისღებონი“ ხოლო მაღალი ფენა ოსურია, ისინი მაჰმადიანები არიან – უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 632). „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი“ (გვ. 638). „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო უგვაროთა – კვალად დვალადვე“ (გვ. 634);

აქედან ჩანს, რომ ოსეთში ქრისტიანობა უცნობი არ იყო, იბერიულ-კავკასიური მოდგმის დვალები ქრისტიანებად თვლიდნენ თავის თავს, თუმცა

უნათლისღებონიც იყვნენ და ოსური წარმართობაც შეთვისებული აქვთ (ვაჩალია“ და სხვა), ხოლო მაღალი ფენა – ოს – „ალანები“ არიან, ისინი მაჰმადიანებად თვლიან თავის თავს, თუმცა ოსური წარმართობის მატარებელნი არიან („გარნა ყოველთავე იციან მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას“).

რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანი ხალხების ნაწილი თურქეთში გადასახლდა, მათ შორის იყო ჩრდილოკავკასიელი წარჩინებული ოსების დიდი ჯგუფი. – „ძირითადად გადასახლდნენ ადიღე-ჩერქეზები, ნოღაელები, ყაბარდოელები, ყარაბულაყები და ოსები“ (მ. გონიკაშვილი, გვ. 160).

„ჩრდილო ოსეთიდან პირველი გადასახლება 1859 წელს მოხდა. გადასახლდნენ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები – ტუგანოვები, აბისალოვები და სხვა. თავიანთი გლეხებითა და მონა-ყმებით. გადასახლების მოთავე ოსეთის ფეოდალი აბისალოვი იყო. მეორე გადასახლება 1860 წ. მოხდა, ამჯერად დაახლოებით 300–500 კომლი გადასახლდა თურქეთში. ამ გადასახლების თავკაცი ოსეთის ცნობილი ფეოდალი აჰმედ ცალიკოვი იყო“ (იქვე, გვ. 160, შენიშვნაში).

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის არა მარტო ჩრდილო კავკასიიდან, არამედ საქართველოდანაც თურქეთში გადასახლდა მოსახლეობის ერთი ნაწილი (აფხაზეთიდან და მესხეთიდან), შიდა ქართლიდან ოსური მოსახლეობა თურქეთში არ გადასახლებულა. შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსები თავიანთი წარმოშობით დვალები იყვნენ, ამიტომაც ცხადია, ისინი თურქეთში არ გადასახლდნენ.

რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს ეგზარხოსი თეოფილაქტე 1820 წელს თავის „რაპორტში“ აუწყებდა, რომ მონათვლის შემდეგაც შიდა ქართლის ოსები უბრუნდებოდნენ „კერპთაყვანისცემას“ (ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, დანართი, გვ. 73).

როგორც აღინიშნა, 10-იან წლებში მრავალი ოსი (დვალი) მონათლეს საჩუქრებისა და პრივილეგიების სანაცვლოდ, მაგრამ 20-იან წლებში ისინი კვლავ ძველ სარწმუნოებას – ოსურ წარმართობას დაუბრუნდნენ. ცხადია, დვალების მონათვლა ძნელი არ იყო, რადგანაც ისინი თავიანთ თავს ქრისტიანებად თვლიდნენ, თუმცა მოუნათლავნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ მონათვლა საკმარისი არ იყო, ქრისტიანობის შეთვისება რთული პროცესი იყო. საქართველოში დაფუძნებული რუსული ეკლესიის მეთაურებისათვის „მონათლული“ ოსების (დვალების) ხელახლა „გაწარმართება“ დიდი მარცხი იყო, ისინი ეძებდნენ ახალ გზებს.

1814 წლის 17 ოქტომბერს მან დაამტკიცა შემდეგი ბრძანება: „საქართველოში იყოს ერთი ეგზარხოსი და სამი ეპარქია – ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა. მოზდოკის ოსური კომისიის მეთაურობა დაეკისროს თელავის არქიეპისკოპოსს. ოსი მოხუცების წახალისებისათვის გაიცეს 1500 მანეთი“ (სამხრეთ. ოსეთის ისტორიის ნარკვ. გვ. 245).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ გააუქმეს ქართული ეპარქია, ეპარქიათა რიცხვი ორამდე დაიყვანეს საქართვე-

ლოს ბარში, ხოლო მთისათვის შექმნეს ახალი ეპარქია და მას უწოდეს „ოსეთის ეპარქია“. მთაში არა მარტო ოსები, არამედ ქართველი მთიელები ცხოვრობდნენ. რუსეთის ხელისუფლება მზად იყო საქართველოს მთიანეთის ყველა მცხოვრები ოსად გამოეცხადებინა. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ არა მარტო საეკლესიო, არამედ ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც ახლად შექმნილ „ოსეთის ოკრუგში“ მთიულები და მოხევეებიც შეიყვანეს 1842 წელს. „ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად შეიყვანეს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულ-მოხევეები და ამ ოკრუგის ცენტრად მთიულეთის სოფელი ქვეშეთი აირჩიეს“ (Ქ. გვასალია, ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, ლიტ. საქ. 1989 წ. 29.IX).

როგორც ვთქვით, რუსმა სამღვდელოებამ ქრისტიანულ ღრმად მორწმუნე ქართველებს ეპარქიები შეუმცირა, ხოლო ნაკლებ ქრისტიანულს კი „ოსეთის ეპარქია“ შეუქმნა, სადაც ოსების გარდა მთიანეთის მცხოვრებნიც იყვნენ გაერთიანებულნი. ეს მხოლოდ ქართველთა გაოსების სურვილის გამო მოხდა. ამ ოსეთის ოკრუგის ხალხი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებს შეადგენდა, ოსეთი ეპარქიიის რუსი ხელმძღვანელებისათვის ოსები იყვნენ, რომელნიც საჩუქრებით მიცემით ვითომდა გააქრისტიანეს.

პირველ ხანებში მართლაც ბევრი გაქრისტიანდა. მრავალი მონათლეს. ჩანს, ყველა მთიელ მონათლულს, ანუ „ოსეთის ეპარქიაში“ მცხოვრებს ეროვნებით ოსად აცხადებდნენ, ამას მონათლულთა კოლოსალური რიცხვი მიუთითებს.

„უკვე 1815 წელს მონათლული იყო 11445 ოსი, ხოლო 1820 წლის პირველი ივლისისათვის მონათლული ოსების რიცხვმა 31 997 კაცს“ (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 245).

(მონათლულ „ოსთაგან“ ეროვნებით ყველა ოსი რომ არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ არა თუ 1820 წელს, არამედ 1865 წელსაც კი პ. გუგუშვილის მონაცემებით ოსების საერთო რაოდენობა საქართველოში იყო 39 897 (პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, გვ. 16, გვ. 183) მთიელი მოსახლეობა 1.287 ათასი, მათგან ოსები არიან 3,1)).

1820 წლისათვის რუს სამღვდელოებას შეუმჩნევია, რომ მთიელები, ანუ მათი სიტყვით, „ოსები“ კვლავ უბრუნდებოდნენ წარმართობას, ამის აღმოფხვრის მიზნით საჭიროდ მიუჩნევიათ ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების გადათარგმნა და გამოცემა. როგორც აღინიშნა, რუსები შიდა ქართლისა ყველა არაქრისტიანს, – ანუ მთიელს – ოსს უწოდებდნენ, თუმცა ქრისტიანობა ქართველებსაც დაკარგული ჰქონდათ.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მოუთმენელი იყო ის, რომ მთიელებსა და ოსებში ღვთისმსახურება ტრადიციულად ქართულ ენაზე აღესრულებოდა, რუსულ საეგზარხოსოს ამის დაშვება არ შეეძლო. ამიტომაც სურდა, რომ აქ ქართულის ნაცვლად ოსური საეკლესიო მწიგნობრობა დაარსებულიყო. ეგზარხოსი სინოდს წერდა: „ქრისტიანობის წარმატებით გავრცელების გამაძნელებელ მიზეზთა შორის ოს ხალხში, რომელიც მონათვლის შემდეგ არაიშვიათად დაუბრუნდა კერპთმსახურებს, უნდა მიეკუთვნოს: 1. ოსურ ენაზე არავითარი

წიგნის არ არსებობა; 2. სამღვდელოების მიერ ოსური ენის უცოდინარობა და პირიქით ოსების მიერ ქართულისა, რომელზეც სრულდებოდა საღმრთო ლიტურგია და მათ შორის ქრისტიანობის წესების შესრულება“ (ო. თედეევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73).

რუსმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, აღმოეფხვრა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურება, ქართული წირვა-ლოცვა და წესების აღსრულება, საერთოდ ქართული ქრისტიანობა აღმოეფხვრა მთიანეთში.

მართლაც, მალე XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ქართველ სამღვდელოებას აუკრძალეს ქართლის მთიანეთში სამსახური, ხოლო ქართული წმიდა წიგნები ოსურ ენაზე ათარგმნინეს და გაავრცელეს. ეს ხალხი ქართულენოვან მსახურებას იყო შეჩვეული. ქართლის მთიელ დვალებს, მართალია, ოსური ენა შეთვისებული ჰქონდათ, მაგრამ მათი დედა ენა არა ოსური, არამედ დვალური იყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში, შეუძლებელია, ერთ საუკუნეში მათ საბოლოოდ დავიწყებული ჰქონოდათ მშობლიური ენა. გარდა ამისა, ვახუშტი წერს, რომ საქართველოსთან კონტაქტის მქონე დვალებმა თავიანთ სამშობლოშივე დვალურ ენასთან ერთად იცოდნენ ქართული ენაც, „ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი“... (ქ.ც. IV, გვ. 639). მაშასადამე, ჯერ კიდევ შიდა ქართლში ჩასახლებამდე ქართლსა და რაჭას მოსიარულე დვალებმა ქართული ენა იცოდნენ. მით უმეტეს, ამ ენას ისინი შეითვისებდნენ ქართლში ჩასახლების შემდეგ, მაგრამ რუსული ხელისუფლება ყოველი ღონისძიებით ებრძოდა ამ მდგომარეობას. ქართლში ჩამოსახლებულ დვალებს მათ არ აღუდგინეს დვალური ენა, არამედ განუმტკიცეს ოსური ენის ცოდნა, რომელიც მათთვის დედა ენა არ იყო, დვალებს საკუთარი ენა ჰქონდათ და ეს იყო დვალური ენა.

ხელისუფლებამ არავითარი ყურადღება არ მიაპყრო დვალურ ენას, ხოლო ქართულ ენას სასტიკად შეებრძოლა. დვალებს ოსურენოვანი ქრისტიანული მსახურება დაენერგათ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს წარმატებული არ ყოფილა. ხალხი ქართულენოვანს არ უარყოფდა და სიამოვნებით იღებდა მას, ამიტომაც აეკრძალათ შემდეგ ქართველ მღვდლებს ქართლის მთიანეთში სამსახური. აიდავით ბეგიზოვი ამბობს: „ქრთამით ამიღეს დოკუმენტი „ობლაგონადეჟნოსტი“ მიმიყვანეს საქართველოს ეგზარხოსთან, რომელსაც აეკრძალა სამხრეთ ოსეთში ქართველის მღვდლად ან მასწავლებლად გაგზავნა. ეგზარხოსმა სწრაფად მაკუთრხა, დამლოცა, ჩამიწყვეს წიგნებში ფურცლები, რა წამეკითხა ჯვრის წერაზე, რა პანაშვიდზე და რა რომელ დღესასწაულზე ... მქონდა ჯამაგირი, დრამის ფულს არ ვიღებდი, ეს გადასახადი ოსებმა არ იცოდნენ. ჯავის ზევით მე ვიყავი პირველი ოსი მღვდლად და კიდევ იყო შემდეგ ორი ოსი, თორემ უწინ სულ ქართველები იყვნენ ჩვენში ამ სამსახურში“ (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 289).

აქედან ჩანს, რომ მთა და მისი ხალხი, რომელიც ქართველი სამღვდელოების სამწყსო იყო ათასწლეულების მანძილზე, ხელისუფლებამ იძულების ძალით წაგლიჯა ქართულენოვან ეკლესიას და იძულებითი ხერხებით მეთოდურად გააოსა.

დვალები იძულებით ჩამოაშორეს ქართულ ეკლესიას, და შეიყვანეს ხელისუფლების მიერ სახელდახელოდ შექმნილ ოსურენოვან საეკლესიო სამყაროში. უნდა ითქვას, რომ ამ ოსურენოვან „ეკლესიაში“ დვალებთან ერთად მრავალი ქართველი მოექცა ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო თვით საქართველოს ეგზარხოსის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, იმპერიის სასულიერო საქმეებისა და სახალხო განათლების მინისტრის გოლიცინისა და თვით იმპერატორის მფარველობით (იხ. ი. თედეევის დასახ. ნაშრომი, გვ. 86-87).

ი. იაღლუზიძეს ქართულიდან ოსურ ენაზე ათარგმნინეს საეკლესიო წიგნები, რაც შემდეგ გაავრცელეს. ის თავის თავზე წერდა: „საქართველოს აზნაური იოანე გიორგის-ძე იაღლუზიძე... შობილ ვარ ოსეთსა. წარმოშობა ჩემი არს ბუნებით ოსთა აზნაურთაგან“ (იქვე, გვ. 70). ეს „საქართველოს აზნაური“ ქართული ეკლესიის წევრი – ქართველი სამღვდელო იყო, მას მრავალჯერ ჰქონდა (4-ჯერ) გადაწერილი სულხან-საბას წიგნები, იგი ქართული სახელმწიფოსა (ერეკლე მეფის) და ქართული ეკლესიის (ნათლისმცემლის მონასტერში) მიერ იყო აღზრდილი. ის იყო ქართულენოვანი პოეტი. შეიძლება, ის თავის თავს „ოს-ჩერქეზთა“ მეფის „ალღუზონის“ შთამომავლად თვლიდა. მას მიუძღვნა თავისი პოემა (იქვე, გვ. 7).

1820 –1824 წლებში მას ათარგმნინეს ქართულიდან საეკლესიო წიგნები. „ყველა ჩამოთვლილ წიგნში მოცემულია ქართულ-ოსური ტექსტი: ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ. ოსური ტექსტიც ძველი ქართული ასოებით (ხუცურით) არის დაბეჭდილი“ (გვ. 9). „თარგმანში არის ჩატოვებული ქართული სიტყვები: უმრავლესობა ამ სიტყვებისა მოხელეთა, მცენარეების, მწერების სახელწოდებაა. მთარგმნელმა ვერ დაუძებნა ამ ტერმინებს შესაფერისი ოსური სიტყვები, ვერც შეთხზა და ამიტომ ქართული სიტყვებივე ჩატოვა“ (გვ. 41).

ითარგმნა წმიდა სახარება, ეგზარხოსმა შალვა ქსნის ერისთავს სთხოვა, თავის მამულში შეეკრიბა ქართულისა და ოსურის მცოდნე, რათა შეესწორებინა ნათარგმნი სახარება. „შემოკრიბნა მუნ მცხოვრებნი ყმანი თავისნი უფროს უფროსნი კაცნი სმენად შემძლებულნი და სხვანიცა ხალხნი“ (გვ. 82):

წმიდა წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთა ერთმანეთზე გადაკიდებისა და ურთიერთშორის გაუცხოებისათვის, ერთი ერის მრავალ ტომებად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია.

ქართველების გაოსებას თვით ქართველი ხალხის დაბალმა თვითშემეცნებამ შეუწყო ხელი.

ხიზნები და ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში

(სოციალური მომენტი)

ოსურ გარემოცვაში მცხოვრები ქართველების მიერ ენისა და სარწმუნოების დაკარგვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფმა გერმანელმა მოგზაურმა გიულდენშტედტმა აღწერა. შიდა ქართლელი მოსახლეობის გაოსებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა XIX საუკუნეში, საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ. ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა, როგორც ეს ჩანს ეთნოგრაფთა დაკვირვებით. უფრო მეტიც, ქართველთა გაოსების პროცესი, გ. ჯალაბაძის აზრით, დღემდე გრძელდება: პირველ ეტაპზე გაოსდა წარმოშობით დვალური მოდგმის ქართველობა, მეორე ეტაპზე – ქართლელი მთიელები, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამ პროცესს ბარისაკენ გადმოუნაცვლებია და ბარელი ქართველების გაოსება დაწყებულა: „ქართლის მთის ზოლში, სადაც ქართველებთან ერთად ნახურ-დვალური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, ქართულ მოსახლეობაში აითქვიფა, მაგრამ XIV საუკუნიდან ქართლის მთაში იწყება ოსური ნაკადის შემოღწევა (დ. მეგრელიძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 429-432). ოსები ჯერ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ხოლო, უფრო მოგვიანებით, ქსნის ხეობის სათავეებში დასახლდნენ. დვალური მოსახლეობა ოსური ზედაფენების ქვეშ მოექცა. ოსური ზედაფენების ქვეშ მოექცა იქ მცხოვრები ქართველობა, რომელთაც ოსებისაგან შეისწავლეს სალაპარაკო ენა და გადმოიღეს მათი ზნე-ჩვეულებანი. ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნეში და დღემდე გრძელდება.

XIV საუკუნიდანვე თანდათან გაფართოვდა ამ პროცესის მოქმედების არეალი. თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეებში მხოლოდ მაღალმთიან ხეობებს მოიცავდა, XIX–XX საუკუნეებში პროცესმა გადმოინაცვლა დაბლობზე და გარდამავალი ზოლისაკენ“ (გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, „შიდა ქართლი“ თბ. 1987წ. გვ. 18).

ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია XIX საუკუნეში, რასაც საფუძვლად ედო სოციალური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზეზები. უფრო კი ქართველების გაოსების პროცესის ახსნა სოციალურ სფეროში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ცარიზმის ხელისუფლება სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებებით სოციალურ პრივილეგიებს ანიჭებდა ოსურ მოსახლეობას. ამის გამო, შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ეთნოფსიქოლოგიური მოვლენა, რომელსაც შეიძლება „ოსობა“ ვუწოდოთ, ქართველი კაცისათვის „ოსობა“ მომგებიანი იყო. როგორც თურქთაგან დაპყრობილ მესხეთში ქართველებისათვის „თათრობა“ იყო ეკონომიკურ-პოლიტიკურად მომგებიანი, „ლეკობა“ – საინგილოში, „აფხაზობა“ – ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, „სომხობა“ – აღმოსავლეთის პროვინციებში, ასევე „ოსობა“ ეკონომიკურ-პოლიტიკურად იყო მომგებიანი ცარიზმის დროს შიდა ქართლში. რუსეთის ხელისუფლება ოსურ მოსახლეობას პირველ ხანებში არავითარ პრივილეგიას არ ანი-

ჭებდა, მან ოსების მიმართ პოლიტიკა მხოლოდ იმის შემდეგ შეცვალა, რაც ქართლის ოსური მოსახლეობა ქართველებთან ერთად მრავალჯერ აუჯანყდა ამ ხელისუფლებას. თავისი პოზიციების განმტკიცებისა და ქართული პოლიტიკური ძალების დასუსტების მიზნით ცარიზმმა ყურადღება მიაპყრო ოსურ მოსახლეობას, მიანიჭა მათ პრივილეგიები, რითაც აშკარად დაასუსტა ქართლში ანტიცარისტული მისწრაფებანი.

ცარისტულმა ხელისუფლებამ ოსებს მრავალი პრივილეგია მიანიჭა. ამიტომაც, ქართველ გლეხთა თვალში „ოსობას“ წონა დიდად მოემატა, სამაჩაბლოს ოსები ბატონყმობის უღლისაგან, (ანუ ყმობისაგან) გაათავისუფლეს 1852 წელს (იხ. ქვემოთ), საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე გაცილებით ადრე.

ამავე საუკუნის 30-იან წლებში პასკევიჩმა ქართველ მემამულეებს მთიელ ოს ყმებზე უფლებები ჩამოართვა და ისინი თავისუფლებად სცნო, ხოლო უფრო ადრე რუსული ეკლესია ოსებს ფულს უხდიდა „გაქრისტიანებისათვის“ ხოლო მათ გვერდით მცხოვრებ მოუნათლავ ქართველებს არაფერს არ აძლევდა. სოციალური პრვილეგია და თავისუფლება ოსი გლეხების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. თუ გავითვალისწინებთ, რა ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა შიდა ქართლს მთიანეთსა და მთისწინეთის ქართველი გლეხი, მის სწრაფვას „ოსობისაკენ“ გასაკვირად არ მივიჩნევთ.

ცარისტულ ხელისუფლებას ოსები გადაჰყავდა სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში და ათავისუფლებდა ყმობისაგან, უფრო მეტიც, ხიზანი, რომელიც ოსის სინონიმად იქცა, ფაქტიურად თავისუფალი გლეხი იყო.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის პირველ წლებში ოსი მთიელები ქართველებთან ერთად ებრძოდნენ მოძალადე ხელისუფლებას.

„ქართველმა ხალხმა მალე იგემა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სუსხი. საბატონყმო გადასახადებით ისედაც შევიწროებული მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ცარიზმის საოკუპაციო ჯარების შენახვა და მათი სამსახური სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა ... ცარიზმის კოლონიური რეჟიმი განსაკუთრებით მძიმე იყო XIX საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც რუსეთი განუწყვეტლივ ომებს აწარმოებდა“ (საქ. ისტ. ნარკვევები, IV, გვ. 916).

ქართველ მთიელებთან ერთად ჟამურისა და თრუსოს ოსებიც აჯანყდნენ.

შიდა ქართლის გლეხთა აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბატონიშვილები ირაკლის ძენი – იულონი, ფარნავაზი და ალექსანდრე (იქვე).

რუსეთის მთავრობა ყოველი ღონით ცდილობდა, შიდა ქართლში დასაყრდენი გაეჩინა, ჯერ მან თავისი ყურადღება მიაპყრო ქსნის ერისთავებს, ხოლო 30-იანი წლების შემდეგ მან გათიშა ქართლის ქართულ-ოსური მოსახლეობა და ოსები დასაყრდენად გაიჩინა.

„რუსეთის მთავრობა და ციციანოვი დიდ იმედებს ქსნის ერისთავებზე ამყარებდნენ. რუსეთის მთავრობამ ქსნის ერისთავებს დაუბრუნა ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ქსნის ხეობა და 4000 კომლი ყმა გლეხი. ასეთი პოლიტი-

კით რუსეთის მთავრობამ ქსნის ერისთავები გაიერთგულა, დასაყრდენი გაიჩინა და თანაც ბაგრატიონთა სამეფო სახლს დაუპირისპირა“ (იქვე, გვ. 919).

1804 წლის შემდეგ აჯანყების განმეორების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ მრავალ ღონისძიებას მიმართა. საჭირო იყო ოსებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა, მათ მხარდაჭერას, ანდა განეიტრალებას რუსეთის ხელისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ქრონიკული აჯანყებების დროს. 1810–1813 წლების აჯანყებების დროს 2 ათასი შეიარაღებული გლეხი დაიძრა ცხინვალისაკენ, შეებრძოლა იქ დაბანაკებულ რუსულ გარნიზონს. მეფის ჯარი მალე შეტევაზე გადავიდა და გადაწვა ოსური სოფლები, აჯანყდა პატარა ლიახვის ხეობაც, შეტაკება აქაც მოხდა, 1812 წელს რუსული რაზმები დიდ ლიახვშიც შეიჭრნენ, სადაც განიცადეს წარუმატებლობა, რამაც დააფიქრა რუსი სამხედრო ხელისუფლება, აჯანყებულები შეტევაზე გადავიდნენ და კვლავ დაიძრნენ ცხინვალისაკენ, მაგრამ რუსმა ჯარმა ისინი მოიგერია, აჯანყებულები მთებს დაუბრუნდნენ (ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 178).

როგორც აღინიშნა, რუსებს ქსნის ერისთავები თავის პოლიტიკურ დასაყრდენად მიაჩნდა შიდა ქართლში, მათ მამულები დაუბრუნეს, სწორედ მათ ებრძოდნენ ქსნის ხეობის ოსები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ერისთავების დაცვას, მაგრამ შემდეგ პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა.

1830 წლისათვის კვლავ ამბოხდნენ ქსნის საერისთავოსა და სამაჩაბლოში, მაღრან-დვალეთში მცხოვრები ოსები.

რუსების ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სამუდამოდ დაემორჩილებინა ოსები, რათა მათ აღარ ჰქონოდათ აჯანყებათა სურვილი. „ოსი გლეხების „საბოლოო“ დამორჩილება ითავა გენერალმა პასკევიჩმა, რომელმაც მთავარმართებლის ადგილი დაიჭირა. ერთი ექსპედიცია განისაზღვრა სამხრეთ ოსების წინააღმდეგ, მეორე – გენერალ აბხაზოვის უფროსობით – ჩრდილო ოსების (თაგაურელების) წინააღმდეგ“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 180).

1830 წლის 19 მაისს ცხინვალიდან გავიდა გენერალი რენენ კამპფი და იმავე დღეს ჯავაში შევიდა. დაიწყო შეტაკებანი, მთიელები დამარცხდნენ, აყვანილ იქნა ტყვეები, ნაწილი სასტიკად დაისაჯა, ნაწილი ციმბირში გადაასახლეს (იქვე, გვ. 181).

როგორც ვხედავთ, ოსებს რუსეთის ხელისუფლებამ ორივე მხრიდან შეუტია და „საბოლოოდ“ („ასე გამოითქმოდა ოფიციალურ დოკუმენტებში“ (იქვე, გვ. 181) დაიმორჩილა.

„საბოლოო“ დამორჩილების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება შეუდგა ოსი გლეხების (ოსები შიდა ქართლში მხოლოდ გლეხები ან დაბალი ფენის ადამიანები იყვნენ) ადმინისტრაციულ მოწყობას (იქვე, გვ. 181), მაგრამ არ დაკმაყოფილებულა.

ოსი მოსახლეობა „საბოლოო დამორჩილების“ შემდეგ ცარიზმისათვის აღარ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას. ამავე დროს კი, საქართველო აჯანყებათა ცეცხლში იყო გახვეული. ქართველი ერი მრისხანე ერი

იყო ამიერკავკასიის (საქართველოს) მასშტაბით. 1801 წლიდან ამ დრომდე საქართველოს ყოველი კუთხე აჯანყებათა კერას წარმოადგენდა.

ცარიზმი ყოველ ღონეს ხმარობდა ქართველი ხალხის დამორჩილებისათვის, აქამდე შიდა ქართლში ქართველები და ოსები ერთად იბრძოდნენ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. პასკევიჩმა მიზნად დაისახა, ჩამოეშორებინა ქართული მოძრაობისათვის ოსები და ამით დაესუსტებინა ქართველთა ანტიცარისტული განწყობილება.

პასკევიჩმა გადაწყვიტა, მიენიჭებინათ ოსი გლეხებისათვის სოციალური პრივილეგიები და ამით რუსი ხელისუფლებისათვის გაეერთგულებინა ოსური მოსახლეობა.

პასკევიჩის პოლიტიკის წყალობით ოსების სახით ცარიზმმა ერთგული მოსახლეობა გაიჩინა შიდა ქართლში. კერძოდ კი რუსეთის ხელისუფლებამ უარყო ქართველთა უფლებები აქაურ მიწა-წყალზე და იურიდიულად დაუმტკიცა ის ოსებს.

ცნობილია და არსებობს უამრავი საბუთი თუ სიგელი, რომელიც ადასტურებს, რომ ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის როგორც მთიანეთში, ისე ბარში, დასახლებული იყო ქართველი მემამულეების მიწებზე. ახლა უკვე საეჭვო ხდებოდა ქართველ მემემულეთა უფლებები საკუთარ მამულზე და საკუთარ ყმებზე. ოს ყმებზე მებატონის უფლებები საეჭვო გახდა. მებატონეს უნდა დაემტკიცებინა თავისი უფლება ოს ყმაზე. ოსი ყმები ფაქტიურად ამ მიდგომით გათავისუფლდნენ ბატონყმური უღლისაგან.

ამით პასკევიჩმა ოსებს სოციალური პრივილეგია მიანიჭა ქართველ გლეხებთან შედარებით, რომლებიც კვლავინდებურად მემამულეთა მფლობელობაში დარჩნენ, მან სრულიად დაასუსტა ქართველ თავად-აზნაურთა ეკონომიკური მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პოლიტიკას ცარიზმი ახორციელებდა საინგილოშიც (აღმოსავლეთ კახეთში). აქაც ხელისუფლებამ უარყო ქართველთა უფლებები აქაურ მიწა-წყალზე და იურიდიულად დაუმტკიცა ის ლეკურ (მთიდან ჩამოსახლებულ) თემებს (თ. პაპუაშვილი, „ჭარ-ბელაქანი“ 1972, გვ. 166).

აი, როგორ სოციალურ უპირატესობას ანიჭებს პასკევიჩი ოსებს ქართველებთან შედარებით შიდა ქართლში:

„პასკევიჩი და მისი თანამზრახველები ოსებით დასახლებულ ტერიტორიას განიხილავდნენ, როგორც მიწებს, რომლებზედაც მემამულეებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ.

პასკევიჩმა გადაწყვეტილად განაცხადა, რომ ოსები არასოდეს არ იყვნენ ამ მემამულეთა მფლობელობაში, რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთი უფლებები ოს გლეხებზე წამოაყენეს მხოლოდ რუსების ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში“ (სამხრ. ოსეთის ისტორიის ნარკვ. გვ. 182). პასკევიჩამდე გაცილებით ადრე წერდა ვახუშტი, თუ როგორ დასახლდნენ ოსები ქართველთა მიწისმფლობელთა მამულებში. – „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემ-

დგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან“... (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 364).

აქ „მეპატრონის“ ქვეშ იგულისხმება არა ოსების მეპატრონენი, არამედ იმ „ადგილების“ მეპატრონენი, რომლებიც ქართველი გლეხებისაგან დაიცალა. „ადგილების მეპატრონეებს“ ანუ მემამულეებს მიწის დამუშავებისა და ადგილების მოვლის მიზნით თავიანთ მამულში ჩამოუსახლებიათ „ოსები“. პასკევიჩამდე დიდი ხნით ადრე ცნობილი იყო, რომ მთიანეთის მიწა-წყლის მფლობელნი ქართველი მემამულეები იყვნენ, ხოლო ოსი გლეხები ამ „მეპატრონეთა“ მიწებზე ისხდნენ. გარდა ამისა, მოღწეულია უამრავი საბუთი, სიგელი, რომელიც ადასტურებს ქართველთა მფლობელობას. შემდეგ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა მხედველობაში მიეღო ეს საბუთები, ქართველთა უფლებები ოსებით დასახლებულ მიწა-წყალზე სცნო გორისა და თბილისის სასამართლოებმა, რაც უარყო პეტერბურგმა.

პასკევიჩმა აუცილებლად მიიჩნია „დადგენილიყო, რომ არც ერთ ქართველ მემამულეს მამულზე, რომელიც სინამდვილეში რუსული მთავრობის მიერ იარაღით მათი დაჭერის დროს არ იმყოფება მათ მფლობელობაში, უფლება არ ჰქონდეს მამულზე“ («сделать постанавление, чтобы никто из грузинских помещиков на имения, не находящиеся в действительном их владений при занятии оных правительством вооруженной рукой, права не имел»). (იქვე, გვ. 182).

სინამდვილეში რას წარმოადგენდა ასეთი დადგენილება? ფაქტიურად, ეს იყო მოწოდება ოსი გლეხებისადმი, აჯანყებულიყვნენ ქართველ მემამულეთა წინააღმდეგ. მართლაც, თუ კი გლეხები არ სცნობდნენ მემამულეთა უფლებას და გააძევებდნენ მას, ხოლო შემდეგ ამ მამულს დაიჭერდა, ხელისუფლება იარაღის ძალით ამ „აჯანყებას“ ჩაახშობდა, ქართველ მემამულეს ამ დადგენილების თანახმად, უფლება ერთმეოდა ამ მიწაზე. შეიძლება მამული ერთ ხეობაში ყოფილიყო, ხოლო მემამულეს სახლ-კარი სულ სხვაგან ჰქონოდა, ოს გლეხებს კი ამ ხეობის მამულებში არ ეცნოთ მემამულის უფლება, მაგრამ საერთოდ, არც შეხებოდნენ მემამულის სახლ-კარს, ხეობის აღებისას რუსის ჯარის მიერ ამ ხეობის მამულს მემამულე კარგავდა. ალბათ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ პასკევიჩის ზემოთ მოყვანილი განცხადება.

ასეთ დროს ვინ რჩებოდა მოგებული? მოგებულნი რჩებოდნენ, პირველ რიგში, აჯანყებული ოსები, რადგანაც მემამულე მოიშორეს, ასევე ხელისუფლება – პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ქართველი მემამულე, ეკონომიურად დასუსტდა.

ჩანს, სწორედ ცარიზმის ასეთი მიდგომის გამო გახშირდა ქართველ მემამულეთა საწინააღმდეგო გამოსვლები შიდა ქართლში. ოსი გლეხები მასიურად აღარ სცნობდნენ მემამულეთა უფლებებს. რუსი ხელისუფლება და თვით პეტერბურგის სენატი მხარს უჭერდა ოს გლეხებს იმით, რომ ქართველ მემამულეთა უფლებებს არ სცნობდა.

შიდა ქართლის მთიანეთსა და მთისწინეთში ფაქტიურად დაიწყო სამოქალაქო ომი თუ არა, რაღაც მსგავსი მაინც ოს გლეხებსა და ქართველ მემამუ-

ლეთა შორის. ამ ომის ექო ათეული წლების მანძილზე გაისმოდა არა მარტო შიდა ქართლში, არამედ თბილისსა და პეტერბურგშიც.

რა პოზიცია ეჭირა, ვისი მხარე ეჭირა ქართველ გლეხს ამ „ომში“? ეს „ომი“ იყო არა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი, არამედ სოციალურზე, აქ ეროვნებას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, მაგრამ ადმინისტრაცია მას ეროვნულ სახეს აძლევდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს მთელ რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა არსებობდა და ყმათა ფენებიდან მუდმივი გუგუნი გაისმოდა განთავისუფლებისათვის. საქართველოში, ისევე როგორც იმპერიაში, ყმა-გლეხებს განთავისუფლება სურდათ, ხოლო თუ ეს გათავისუფლება მიწით იქნებოდა – კიდევ უფრო უკეთესი.

შიდა ქართლში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. თუ მთელ იმპერიაში ხელისუფლება სასტიკად ახშობდა გლეხთა ყოველ გამოსვლას, აქ გლეხებს (ოღონდ ოსური ეროვნებისას) მემამულის მფლობელობისაგან განთავისუფლების საშუალება მიეცათ. ოს გლეხად ყოფნა სანატრელი ან სასურველი გახდა მის მეზობლად მცხოვრები ქართველი გლეხისათვის XIX საუკუნის 50-იან წლებში. ოსი გლეხები ფაქტიურად ბატონყმობისაგან გაათავისუფლეს.

როგორც ვთქვით, ცარიზმის ბატონობის დროს შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ეთნოფსიქოლოგიური მოვლენა – „ოსობა“.

ოსი გლეხების სოციალურმა უპირატესობამ, პრივილეგიებმა საფუძველი დაუდო ეთნოფსიქოლოგიაში გადაზრდილ სოციალურ ფსიქოლოგიას: ოსად ყოფნა უკეთესია, სოციალურად მომგებიანია – ქართველთა გაოსებას ამით მყარი საფუძველი ჩაეყარა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გასაოცარ სოციალურ-ეკონომიკურ უპირატესობებს, რომელთაც ოსებს ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება მათი „გაქრისტიანებისა“ და ქართველ მემამულეთაგან „დაცვის“ მიზნით, ნათლად გამოჩნდება სურათი მთიელი ქართველი ტომების და შიდა ქართლელების გაოსებისა, მათთვის მიმზიდველი გამხდარა „ოსობა“ (და ოსური ენა). თანამედროვე სამხრეთ ოსების ენას რომ ქართული ენის ძლიერი გავლენა აქვს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მკვლევარებს, „ენობრივი მონაცემებით ვ. აბაევი თვლის, რომ ჩრდილო ოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ხოლო სამხრეთ ოსური – ქართული ენისა“ (ი. მეგრელიძე, „სიძველენი ლიახვის ხეობაში“ 1984 წ., გვ. 11). „ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების ერთიან წარმომავლობას, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: დვალებს „ენა აქვთ ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა“ (იქვე, გვ. 70). დვალების გაოსება ცნობილია, მათ მსგავსად გაოსდნენ შიდა ქართლში ჩამოსახლებისა და ბარში დაბინავების შემდეგ, მათი „ზედაფენების ქვეშ“ მოქცეული ქართველებიც (გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ.; რ. თოფჩიშვილი, „XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ“ „მნათობი“ 1987–12, გვ. 161; რ. თოფჩიშვილი, „ქსნის ხეობის მოსახლეობის

ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII–XX სს). „მაცნე“ ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 34-35, 39; გიულდენშტედტი, დას. ნაშრომი და სხვა).

ჩვენ XIX საუკუნეში ქართელი გლეხების გაოსების ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია 1851 წლის დადგენილება რუსეთის იმპერიის სენატისა, რომლითაც მან „...უკანონოდ ცნო მაჩაბლების ცდები ოსების დასაყმევებლად, მაგრამ აღიარა მიწაზე მაჩაბლების მემამულური უფლებები და ამ მიწით სარგებლობისათვის ნება დართო ოსებისაგან მოსავლის მხოლოდ ერთი მეათედი მიეღოთ. სხვა ხეობათა გლეხები ყმებად რჩებოდნენ“ (ქ.ს.ე. ტომი „საქ. სსრ“ 1981, გვ. 338).

როგორც სენატის დადგენილება უჩვენებს, ისტორიულ სამაჩაბლოში, რომელიც ვრცლად იყო გადაჭიმული და შიდა ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, ფაქტიურად გლეხები დაიყო კატეგორიებად ეროვნული ნიშნით: თუ გლეხი ეროვნებით ოსი იყო, ის ბატონყმური უღლისაგან თავისუფლდებოდა. თუ გლეხი ეროვნებით ქართველი იყო, კვლავინდებურად ყმად რჩებოდა. ეს იყო უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენა შიდა ქართლის გლეხობისათვის, მაგრამ რუსეთის სენატი ამიტომაც არ დაკმაყოფილდა, მან ფაქტიურად შიდა ქართლის გლეხობა ეკონომიკური თვალსაზრისითაც ორ კატეგორიად დაყო: თუ გლეხი ოსი ეროვნებისა იყო, მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა მემამულის მიწით და ამისათვის მხოლოდ ერთი მეათედი უნდა გადაეხადა მოსავლისა, მაშინ, როცა ქართველ გლეხს მემამულისათვის, რომელიც ამავე დროს მისი მებატონეც იყო, კვლავ ყმური წესით უნდა ეხადა გადასახადი მიწით სარგებლობისათვის.

მართლაც, შეუძლებელია ასეთი სოციალური პირობების გამო ქართველ გლეხებს არ ჰქონოდათ სურვილი გადასულიყვნენ „ოსების“ კატეგორიაში. ოსი პირადად თავისუფალი ან სახელმწიფო გლეხი გახდა, ის ეკონომიურად წელგამართული იყო, რადგანაც მოსავლის მხოლოდ მეათედს იხდიდა, ხოლო ქართველი გლეხი ბატონყმობის უღელში შებმული არათავისუფალი ყმა იყო.

მაშასადამე, 1851 წელს სენატმა სამაჩაბლოს ოსები ყმობისაგან გაათავისუფლა. სამაჩაბლოში ვისაც თავისუფლება სურდა, ოსად უნდა ჩაწერილიყო. პირობები ისეთი იყო, რომ ქართველად ყოფნას ოსად ყოფნა ჯობდა. ოსობა თავისუფლებისა და ეკონომიური სიძლიერის მომტანი იყო.

ჩანს, სწორედ ასეთი იყო შედეგები სენატის 50-იან წლებში და პასკევიჩის 30-იან წლებში გადაწყვეტილებებისა, მაგრამ იყო თუ არა ტენდენციური მათი მოქმედება?

როგორც ვთქვით, პასკევიჩმა საეჭვოდ გამოაცხადა მაჩაბლებისა და ქართველ მემამულეთა უფლებები შიდა ქართლის მიწებზე მაშინ, როცა ქართველ მეფეთა დროს ეს, უეჭველი იყო, „დიდი ლიახვის აუზი ადრე შედიოდა ქართლის საერისთავთ-საერისთავოში, რომლის დაცემის შემდეგ ის უშუალოდ დაექვემდებარა მეფის ხელისუფლებას და იმართებოდა მოურავების მიერ. ... თავიდან მაჩაბლები იყვნენ წვრილი ფეოდა-მიწისმფლობელები ლიახვის ხეობაში (მის ქვემო წელში). მათ თანდათან გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო მეფის ერთგული სამსახურით (XVI საუკუნეში). შემდგომ ისარგებლეს

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და ადგილობრივი წვრილი მიწათ-მფლობელების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, გამოიჩინეს დიდი აქ-ტიურობა თავიანთი სამფლობელოების გაფართოებისას როგორც შეძენის, ისე ახალი მიწების პირდაპირი მიტაცების გზით. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მაჩაბლებმა თვითნებურად დაიკავეს დაცარიელებული სახელმწიფო მიწები (სახასო) ლიახვის ხეობაში და მოსახლეებს ასახლებდნენ იქ. ქართლის ნაცვალმა ლევანმა (შაჰყულიხანმა) 1704 წლის სიგელით დაუმტკიცა ბაადურ მაჩაბლის შვილებს ფირანსა და ბორტს მამის მიერ მისაკუთრებული მიწები. მეფე იესემ (ალიყულიხანმა) 1714 წლის სიგელით უწყალობა ბიძაშვილებს – ლევან, დავით, ფარსადან და ალხაზ მაჩაბლებს მთის სოფლები. „ისინი, რომელთაც იქ ჩაასახლებთ – წერდა ის – თქვენ გემსახურონ ისეთივე პირობით, როგორც სხვა მაჩაბლებს ემსახურებიან მათი მთიელები და დვალები“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკ. I, გვ. 96 -98).

აქედან სრულიად აშკარაა, რომ არა მარტო ქართლის მთიანეთის ერთი ნაწილი, არამედ დვალებით დასახლებული ტერიტორიებიც კანონიერად ეკუთვნოდათ მაჩაბლებს, მათი მფლობელობა დამტკიცებული იყო ქართველ მეფეთა სიგელებით. ეს მიწები დაუსახლებელი იყო, შემდგომ მაჩაბლებმა იქ ჩაასახლეს ძირითადად გაოსებული დვალები, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მაჩაბლებს დაცარიელებული მთის მამულებში ქართლელი გლეხებიც ჩაესახლებინათ. ამ აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ მოღწეული დოკუმენტების თანახმად, მაჩაბლები თავიანთ გლეხებს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ. მართლაც, ცნობილია, რომ ქართველი მიწისმფლობელები ახალი მიწების დასახლებისას ახალმოსახლეებს პრივილეგიებს ანიჭებდნენ გარკვეული ხნის მანძილზე, რათა ისინი მიწაზე დაემაგრებინათ. ჩანს, ასევე იქცევიან მაჩაბლებიც: „მაჩაბლები ცდილობდნენ შეექმნათ საყრდენი თავიანთ გლეხებში ზოგიერთი მათგანისათვის განსაზღვრული პრივილეგიების მინიჭებით“ (იქვე, გვ. 109). ასეთი სათარხანო სიგელი მიუცია ლევან მაჩაბელს მადინა მელაძისა, მისი ძმებისა და ბიძებისათვის XVIII საუკუნეში.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, პასკევიჩსა და, საერთოდ, რუსულ ხელისუფლებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ დიდი ლიახვის ხეობა და დვალებით (ოსებით) დასახლებული ქართლის მთიანეთი არ ეცნო ქართველ მიწისმფლობელთა (მაჩაბლების) მამულებად.

ითქვა, რომ მაჩაბლები თარხნობას, ანუ თავისუფლებას აძლევდნენ გლეხებს, თარხნები ყმებთან შედარებით პრივილეგიების მქონენი იყვნენ. აქედანაც ჩანს, რომ სამაჩაბლოში მცხოვრები გლეხები არ იყვნენ თავისუფლები და ისინი მაჩაბლების საკუთრებაში შედიოდნენ. ეს შეეხება, ცხადია, ოსებსაც, რომლებიც მაჩაბლებმა ჩაასახლეს კიდეც დაცარიელებულ მამულებში. როგორც მეფე იესეს ზემოთ მოყვანილი სიგელიდან ჩანს, ოსები და დვალები ვალდებულნი იყვნენ გარკვეული პირობით ემსახურათ მემამულისათვის.

მართლაც, „ოსები, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ქართველ მემამულეთა მიწებზე, გადაქცეულნი იყვნენ ყმა გლეხებად და ფეოდალური მორჩი-

ლების მძიმე ტვირთს ეწეოდნენ“ (იქვე, გვ. 108). ამას ადასტურებს სხვადასხვა ძველი სიგელები (იქვე, გვ. 108-109).

მაშასადამე, მაჩაბლების მიწებზე დასახლებული ოსები ყმა გლეხები იყვნენ, ანდა რაიმე საყმო პირობით დაკავშირებულნი ფეოდალთან, ამიტომაც სენატის 1851 წლის გადაწყვეტილება, რომელმაც არ სცნო მაჩაბლების მამულებში მცხოვრები ოსების ყმობა, უსამართლო იყო.

ცარიზმის ხელისუფალთა მიერ წაქეზებული გლეხები უარს აცხადებდნენ ყმობაზე, მაჩაბლებიც რუსეთის ხელისუფლებას მუდამ უმტკიცებდნენ, რომ მათ საუკუნოვანი უფლებანი ჰქონდათ მათზე. 1830 წელს მაჩაბლებმა საჩივარი თავიანთი გლეხების მიმართ შეიტანეს გორის სასამართლოში. მათ სასამართლოს წარუდგინეს ქართველ მეფეთა მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დოკუმენტები გლეხების ფლობის უფლების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ სამასი წლის მანძილზე ისინი მათ ფლობდნენ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს მეფის ხელისუფლებამ ცნო ეს უფლება. თავის მხრივ, გლეხმა – ოსებმა ასევე წარმოადგინეს ქართველ მეფეთაგან მიღებული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ მემამულეთაგან მათ დამოუკიდებლობას. ოსმა გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი მუდამ ცხოვრობდნენ თავისუფლად და თავისი ნებით არასდროს არ იხდიდნენ არავითარ გადასახადს, თუ კი ამას არ აიძულებდნენ (იქვე, გვ. 186).

1830 წლიდან 1845 წლამდე სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია, საქმის გარჩევა გაჭიანურდა. ამასობაში გლეხები მემამულეებს ებრძოდნენ, ხოლო ისინი ჩიოდნენ.

1845 წლის 12 დეკემბერს გორის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება: ჯავის, ურსძუარის და ძომაგის ხეობებში მცხოვრები ოსები დარჩნენ თავად მაჩაბლების მუდმივ მფლობელობაში (იქვე, გვ. 186).

სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებამ გლეხები არ დააკმაყოფილა. ცხადია, არც ხელისუფლება შეურიგდებოდა ქართული მხარის გაძლიერებას, ამიტომაც მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დანიშნა კომისია ამ საკითხის გამორკვევისათვის, მაგრამ თბილისის სასამართლო პალატამაც დაადგინა: „ოსებმა თავიანთი თავისუფლება ვერაფრით ვერ დაამტკიცეს“ (იქვე, გვ. 186).

თბილისის სასამართლო პალატამ დაამტკიცა გორის სასამართლოს დადგენილება. ეს იყო ქართული მხრის სამართლიანობის აღიარება სასამართლოს მიერ. რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სასამართლოთა ასეთ დადგენილებას? გაძლიერდებოდა შიდა ქართლში ქართული ელემენტი, გაძლიერდებოდა საერთოდ ქართული ეროვნული სული, რაც საფუძვლად დაედებოდა ქართული პოლიტიკური ძალის გაძლიერებას შიდა ქართლში. ყოველივე ეს სრულიად დაუშვებელი იყო ცარიზმისათვის, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჭარ-ბელაქანიდან მესხეთ-აფხაზეთამდე იბრძოდა სწორედ ქართული პოლიტიკური სიძლიერის მოსპობისათვის. სწორედ ამ მიზეზის გამო, რასაც საბაბად ედო ვითომდა „სამართლიანობა“ ცარიზმი არ დაკმაყოფილდა გორისა და თბილისის სასამართლოების გადაწყვეტილებებით და მაჩაბლების საქმე გადასცა სენატს, რომელიც ათასობით კილომეტრით იყო

დაშორებული შიდა ქართლიდან. სენატი, ცხადია, იმპერიის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა. სენატისათვის ეს საქმე იყო არა სამოქალაქო, არამედ პოლიტიკური საქმე, რაც მის დადგენილებაშიც გამოჩნდა. დადგენილებაში ნახსენებია არა „გლეხები“ არამედ „ოსები“. „ოსები“ სენატისათვის ეროვნება იყო, ხოლო მაჩაბლების თვალსაზრისით კი – ყმები. იმპერია არ დაუშვებდა, რომ ოსები ქართველების მორჩილებაში დარჩენილიყვნენ, ყოველი ეროვნება თვით იმპერიას უნდა დამორჩილებოდა უშუალოდ. სენატმა გააუქმა თბილისის სასამართლო პალატის დადგენილება, ხოლო ოსები მაჩაბლების ყმად არ ცნო (იქვე, გვ. 186).

რუსეთის იმპერია იმ დროისათვის „სამართლებრივ“ სახელმწიფოდ აჩვენებდა თავის თავს, ხოლო ვორონცოვი ცნობილი იყო ქართველების „კეთილისმყოფელად“. ამიტომაც, ამ უკანასკნელმა სენატის დადგენილება არასწორად ჩათვალა (იქვე, გვ. 187) და საჭიროდ მიიჩნია უშუალო მოლაპარაკებები ეწარმოებინა მაჩაბლებთან. ვორონცოვს სურდა, მაჩაბლებს უარი ეთქვათ ოს გლეხებზე, რათა ისინი გადასულიყვნენ სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში, სანაცვლოდ მაჩაბლებს ჯილდო მიეცემოდათ; მაჩაბლები დათანხმდნენ, იმპერატორს ვორონცოვმა წარუდგინა შემდეგი წინადადება: 1. ჯავის, ურსძუარის, ძომაგის, ჩესელთის, ზრუგის, რუკისა და კოშკას ხევებში მცხოვრებ ოსებზე უფლებათა სანაცვლოდ მაჩაბლებს დაენიშნათ სამემკვიდრო პენსია, წელიწადში ექვსი ათასი მანეთი ვერცხლით; 2. რადგანაც თავად მაჩაბლებს რჩებოდა უფლება დასახლებული ხეობების საკუთრებისა, ამიტომაც ოსები, რომლებიც ამ მიწებს იყენებდნენ, ვალდებულნი იყვნენ, მათთვის გადაეცათ მოსავლის მეათედი.

იმპერატორმა 1852 წლის 8 ივნისს დაადო რეზოლუცია „თანახმა ვარ“. აღნიშნულ მაჩაბელთა მამულებში აღმოჩნდა 1137 კომლი გლეხი.

„პირადი თავისუფლების მიღებისა და მაჩაბლების მამულებში საცხოვრებლად დარჩენის შემდეგ ოსი გლეხები აღმოჩნდნენ თავისებურ მდგომარეობაში: ისინი სახელმწიფო გლეხებად იყვნენ ჩარიცხულნი, მაგრამ ამავე დროს განაგრძობდნენ ამ ფეოდალებისათვის ფეოდალური რენტის გადახდას“ (იქვე, გვ. 187).

ოსმა გლეხებმა მოიპოვეს უდიდესი გამარჯვება – ისინი სახელმწიფო გლეხებად იქცნენ ანუ მებატონისაგან პირადად თავისუფალნი გახდნენ 1852 წელს, იმ დროს, როცა ქართველ გლეხს ბატონყმური უღლისაგან კანონიერ განთავისუფლებასა და პირად თავისუფლებაზე ოცნებაც კი არ შეეძლო.

ოსი გლეხების განთავისუფლებისათვის სახსრები თვით სახელმწიფომ გაიღო. თავისუფლების გარდა, ოსმა გლეხებმა ქართველ გლეხებთან შედარებით, როგორც ითქვა, ეკონომიკური უპირატესობაც მოიპოვეს. ისინი მიწით სარგებლობისათვის მოსავლის მხოლოდ მეათედს იხდიდნენ, მაშინ, როცა ქართველი გლეხი არც თავისუფალი იყო და არც ასეთი უფლება ჰქონდა.

მეათედის გადახდა თუ არ სურდა ოს გლეხს, მას, როგორც პირადად თავისუფალს, შეეძლო დაეტოვებინა მემამულის მიწა და სხვაგან გადასუ-

ლიყო, იქ, სადაც უკეთესი პირობები იქნებოდა. ქართველ გლეხს, როგორც ყმას, ცხადია, თავისი მებატონის მიწის დატოვების უფლება არ ჰქონდა.

ოსებმა ისარგებლეს თავიანთი უფლებით, ისინი შეეხიზნენ სხვა მემამულეებს ქვემო ქართლის ბარში. ცხადია, მთებში ცხოვრებას ბარში, ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრება სჯობდა.

ოსების პირადი თავისუფლება და ნაყოფიერ მიწებზე დასახლების უფლება ქართველ გლეხს უბიძგებდა, ოსად გამოეცხადებინა თავისი თავი. მართლაც, როგორც ჩანს, მთიელი ქართველები ოსებად აცხადებდნენ თავიანთ თავს და, როგორც ოსები, ეხიზნებოდნენ ბარელ მემამულეთა მიწებს. შიდა ქართლში მკვეთრად იზრდება „ხიზანთა“ რიცხვი. ხოლო შიდა ქართლიდან გასული „ხიზნები“ ესახლებიან კახეთში, თრიალეთსა და სხვაგან.

„XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით იზრდება „ნებით მოსულ“ ანუ „ხიზან“ გლეხთა რაოდენობა. შემთხვევითი არაა, რომ ტერმინი „ხიზანი“ ამ დროს მკვეთრად გამოხატულ სოციალურ შინაარსს იღებს. ხიზანი თავისებური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე გლეხის აღსანიშნავ ტერმინად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იქცა“ (საქ. ისტ. ნარკ. ტ. IV, გვ. 555).

ხიზნებს უწოდებდნენ გლეხებს, რომლებიც ერთი ფეოდალიდან მიდიოდნენ და ეფარებოდნენ მეორეს. ჩანს, მთიელები და მცირ მიწებზე მცხოვრები როგორც ქართველები, ისე ოსები, ეხიზნებოდნენ ბარელ მემამულეებს. ბატონყმობის დროს მებატონეს სხვასთან შეხიზნულ ყმაზე უფლებები გააჩნდა. ოსური მოსახლეობა საერთოდ უარს აცხადებდა ყმურ მორჩილებაზე, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში მას მეფის ხელისუფლება მფარველობდა, ამიტომაც შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა და მათთვის ხიზნობა უფრო ნაკლებ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, 1811 წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ტორბასოვმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენება და მოითხოვა, რომ თაგაურის ხეობის მცხოვრებლები (ოსები) მოექციათ ქრისტიანობაზე მათი რუსეთთან დაახლოების მიზნით და მეფის „კეთილქვეშევრდომად“ გადაქცევისათვის. ამისათვის საჭირო გახდა, გაეთავისუფლებინათ ქსნის მამულ გვერდისძირის ოსები თავად ერისთავის დაქვემდებარებისაგან და სამაგიეროდ მათთვის მიეცათ 10 000 მანეთი ვერცხლით (სამხ. ოს. ისტ. ნარკ. გვ. 171).

აქედან ჩანს, თუ რა მიზნით ათავისუფლებდნენ ოსებს ქართველი თავადის დაქვემდებარებისაგან ცარიზმის მოხელეები XIX საუკუნის დასაწყისში. კიდევ უფრო მეტი თავისუფლება და უფლებები მიანიჭა პასკევიჩმა ოსებს, ოსები სარგებლობდნენ ამით და მთებიდან ბარელ მემამულეებს ეხიზნებოდნენ. მემამულეებიც დაინტერესებულნი იყვნენ მუშა ხელით – „ოსი გლეხები, მცხოვრებნი დღევანდელ ქართლის რაიონში, ცხოვრობდნენ თავად ციციშვილების მიწებზე. მრავალი მათგანნი გადმოსახლდნენ მთის სოფლებიდან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში თვით თავადების მიწვევით ხიზანთა უფლებით“ (იქვე, გვ. 202). ხიზნებს დიდი უფლებანი და უპირატესობანი ჰქონდათ ყმებთან შედარებით. ეს უფლება ძირითად ოს მოსახლეობას

ენიჭებოდა. ჩანს, ქართველი მთიელებიც ოსებად აცხადებდნენ თავს ხიზნობის უფლების მოპოვებისათვის, ამას მიუთითებს მათი ქართული გვარები და ქართული ენის, როგორც დედა ენის ცოდნა. ხიზანთა რიცხვი განსაკუთრებით იმის შემდეგ უნდა გაზრდილიყო, რაც სენატმა 1852 წელს ბატონყმობისაგან გაათავისუფლა ოსი გლეხები. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ 1864 წლის რეფორმა ბატონყმობისაგან გათავისუფლების შესახებ მაჩაბლების ოსებს არ შეეხო, რადგანაც ისინი უკვე თავისუფლები იყვნენ: „1864 წლის რეფორმა არ გავრცელდა აგრეთვე თავად მაჩაბლების სამფლობელოში მცხოვრებ ოსებზე, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ 1852 წელს იყვნენ განთავისუფლებულნი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან“ (იქვე, გვ. 196). ეს ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელია. საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე ყმობისაგან გათავისუფლებული ოსები და ამ მიზეზის გამო „გაოსებული“ ქართველები ხიზნების სახით ეფინებოდნენ შიდა ქართლის ბარსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს.

„ხიზნის კატეგორიის მქონე გლეხები რეგიონში შედარებით მრავლად იყო: მათი დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თავად ფალავანდიშვილების მამულებში (საფალავანდოში), დღევანდელი ზნაურის რაიონში. ეს ადგილები დასახლებულნი იყვნენ რეგიონის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსულებით – თავად მაჩაბლების და ასევე ქსნის ერისთავის სამფლობელოებიდან“ (იქვე, გვ. 172).

ხიზნებს ჩვეულებრივ გლეხთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი პირადად თავსუფალნი იყვნენ და აგრეთვე უფლება ჰქონდათ უვადო სარგებლობაში ჰქონოდათ მამულის მიწები. ხიზნები, როგორც ვთქვით, აქ იყვნენ ოსები ან „გაოსებული“ ქართველები, ხოლო ჩვეულებრივი გლეხები კი ადგილობრივი ყმები იყვნენ. ამ ყმასთან (ე.ი. ქართველთან) შედარებით ხიზანს (ე.ი. ოსს) ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ის თავისუფალი და მიწის მფლობელი იყო. აქედან ჩანს, თუ რა მაგიური ძალა ჰქონდა შიდა ქართლის გლეხის თვალში „ოსობას“. „ოსობა“ თავისუფლებასა და მიწის ქონებას ნიშნავდა, გლეხისათვის ეს ყველაფერს მოიცავდა.

„ხიზნები სხვა გლეხებისაგან განსხვავდებოდნენ იმით, რომ გააჩნდათ პირადი თავისუფლება და უფლება მემამულის მიწების უვადო მოხმარებისა“ (იქვე, გვ. 172).

მემამულეს, რომელიც ხიზანს მიიღებდა, იურიდიულად არ შეეძლო ის თავის ყმად გამოეცხადებინა (იქვე, გვ. 172). ხიზანსა და მემამულეს შორის უფლება-ამოვალეობანი მტკიცედ იყო დადგენილი ხელისუფლების მიერ. მართალია, ხიზანი მემამულის მიწაზე ცხოვრობდა, მაგრამ თავისი საკარმიდამო ნაკვეთის გადასახადს არ იხდიდა, მიწების მოხმარებისათვის განსაზღვრულ გადასახადს იხდიდა. შეეძლო, ესარგებლა ტყითა და სარწყავი წყლით (იქვე, გვ. 173). ხიზნები, თავის მხრივ, ჯგუფებად იყოფოდნენ. პირველ ჯგუფში 10 დესეტინამდე მიწის მქონე ხიზნები შედიოდნენ. მემამულის მიწით სარგებლობისათვის გადასახადი უნდა ეხადათ. გადასახადი წელიწადში იყო 15 მანეთიდან 130 მანეთამდე, მიწის ფართობის მიხედვით (იქვე, გვ. 173). მემამუ-

ლეები ხიზნებს დიდ შეღავათებს აძლევდნენ. მაგალითად, მემამულის მიწაზე ბაღის გაშენების შემდეგ ხუთი ან მეტი (12 წლამდე) ბაღი ხიზანს ეკუთვნოდა, თითქმის მსგავსად იყო ვენახის გაშენებისას.

„ბარის სოფლებში ოს-ხიზნების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, ისინი ძირითადად მემამულე ფალავანდიშვილების, აგრეთვე ხერხეულიძეების, ტეტიშვილების, ფავლენიშვილების და სხვათა მიწებზე“ (იქვე, გვ. 195).

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ბატონებმა ყმებზე უფლებები დაკარგეს, მამულები კი დარჩათ, ყოფილი ყმა ახლა თავისუფალი გლეხი გახდა, ყოფილი ბატონები თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით გარკვეული პირობებით მიწებს დასამუშავებლად აძლევდნენ ყოფილ ყმებს – თავისუფალ გლეხებს. ამავე მამულში ცხოვრობდნენ ოსი ხიზნები, რომელნიც ამ გლეხთან შედარებით უფრო ნაკლებ გადასახადს იხდიდნენ. უფრო მეტიც, ოსური წარმოშობის ხიზნებს აღარ სურდათ რაიმე გადასახადი ეხადათ მემამულის მიწით სარგებლობისათვის, ანდა ითხოვდნენ შეღავათებს, მემამულეებს კი სურდათ, მათაც ისეთივე გადასახადები ეხადათ, როგორც სხვა გლეხებს. ამაზე ხიზნები არ თანხმდებოდნენ.

„იმის გამო, რომ ხიზნები პირადად თავისუფალ გლეხებად ითვლებოდნენ, 1864 წლის რეფორმა მათზე არ გავრცელდა და მემამულეებმა დაიწყეს მათი უფრო მკაცრი ექსპლუატაცია.

საგლეხო რეფორმის შედეგ მრავალი მემამულე შეეცადა, გაესახლებინათ თავიანთი მიწებიდან ოსი ხიზნები, მაგრამ მტკიცე ბრძოლის შედეგად ამ უკანასკნელებმა შეძლეს დარჩენილიყვნენ მემამულეთა მიწებზე“ (იქვე, გვ. 195).

მემამულეებმა ვერ შესძლეს, თავიანთი მიწებიდან გაესახლებინათ ოსი ხიზნები, „ოსი გლეხების ბრძოლა, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, გამოიხატებოდა როგორც გადასახადის გადახდის თავის არიდებით, ასევე მემამულეთა საწინააღმდეგო საჩივრებით, მათ წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებით. თავიანთ მოთხოვნებს ისინი იხილავდნენ შეკრებებისას, ხოლო შემდეგ წერილობითი ფორმით უგზავნიდნენ ოფიციალურ ხელისუფლებას, თვით სენატსა და მეფეს... უგზავნიდნენ თავიანთ რწმუნებულებს სამაზრო უფროსთან, გუბერნატორთან და კავკასიის მეფისნაცვალთან“ (იქვე, გვ. 198).

ხიზნებს მემამულეებისათვის არა თუ გადასახადების გადახდა აღარ სურდათ, არამედ ითხოვდნენ მიწებს, ტყეებს, საძოვრებს, უფრო მეტიც, ჰკლავდნენ მემამულეებს, უწვავდნენ სახლ –კარს, უჩეხავდნენ ტყეს, უნებართვოდ სარგებლობდნენ საძოვრებით, უხნავდნენ მიწებს (იქვე, გვ. 198).

ყველა ქართველი მემამულის წინააღმდეგ ბრძოლა იყო გაჩაღებული. ხერხეულიძეებს, მაჩაბლებს, ერისთავებს სახლ-კარი გადაუწვეს (გვ. 198), ასევე აზარალებდნენ ფალავანდიშვილებს (გვ. 198), თუმცა ძალიან ეცადნენ, მაგრამ მემამულეებმა ვერ შესძლეს ხიზნების გადასახლება თავიანთი მამულებიდან: „კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეს ახასიათებს თავადი ხერხეულიძეებისა და გლეხების საქმე ყორნისში. მემამულეები თხოვდნენ მეფის ხელისუფლებას, გაესახლებინათ გლეხები მათი სამფლობელოებიდან, მაგრამ მტკიცე ბრძოლის შედეგად გლეხები დარჩნენ ხერხეულიძეთა მიწებზე“ (გვ. 199).

ფაქტიურად ხიზნებს დარჩათ კიდეც მემამულეთა მიწები. ეს იყო ცარიზმის ფარული ნება, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩათ იმ დროის მოღვაწეებს. ვორონცოვ-დაშკოვს განსაკუთრებით მიუქცევია ყურადღება ოსი-ხიზნების დაცვისათვის. მის დროს მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა. ოს ხიზნებს ფაქტიურად გადასცეს მემამულეთა მიწები. საერთოდ, ოს-ხიზნებს ეჭირათ ყველაზე საუკეთესო 10 დესეტინამდე მიწები მემამულეებისა, ფაქტიურად სწორედ ეს მიწები გადაეცათ უფასოდ ოსებს. იმ დროისათვის ნათლად გამოიკვეთა, რომ ცარიზმის ხელისუფლებას სურდა, შიდა ქართლი გადაეცა ოსი მოახალშენეებისათვის, როგორც მტკვრის დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი (იხ. რევაზ გაბაშვილი, „რაც გამახსენდა“). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის იწყება ქართველთა გაოსების ახალი ეტაპი. ხელისუფლების მიერ ოსებისათვის სოციალური პრივილეგიების მინიჭება ყველასათვის ცხადი ფაქტი გახდა. ხელისუფლების მიერ ქართული მიწების ხიზნებისათვის დაკანონებით ეს ხიზნები უკვე ხიზანყოფილები, ანუ შიდა ქართლის მკვიდრნი ხდებოდნენ. ამით კი ქართველთა პოლიტიკურ მდგომარეობას შიდა ქართლში საფუძველი შერყევია. ვორონცოვ-დაშკოვის პროექტის განხორციელების შესაძლებლობა I მსოფლიო ომის დაწყებას მოუსპია (იხ. იქვე). ჩანს, ქართველები ტოვებდნენ სამაჩაბლოს, ქსნის ხეობას, საფალავანდოს და საქართველოს სხვა კუთხეებში ესახლებოდნენ როგორც ოსი ეროვნებისანი (ე.ი. მიწაზე უფლების მქონენი). „მრავალი ოსი გლეხი გადასახლდა დღევანდელ გორის, დუშეთის, ქარელის, ხაშურის, კასპის, ბორჯომის, მცხეთისა და საქართველოს სხვა რაიონებში. ისინი მემამულეებისაგან ასევე არენდით იღებდნენ მიწებს, მათი ნაწილი სახელმწიფო მიწებზე მოაწყეს, სხვებმა იყიდეს საკუთარი მიწის ნაკვეთები“ (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 202).

მართლაც, ოსების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა შეუძლებელი იყო მხოლოდ მათი ბუნებრივი გამრავლების გზით. მათ რიცხვს, ჩანს, დიდად შეემატა გაოსებული ქართლელი გლეხების რაოდენობა. სწორედ ისინი „ოსური დაფენების ქვეშ ოსდებოდნენ“ თანახმად მეცნიერისა. თუმცა, ჩანს, ამ „ოსებმა“ ქართული ენა იცოდნენ, ქართული წეს-ჩვეულებებისა და ადათების მატარებელნი იყვნენ. ისინი მხოლოდ სოციალურად იყვნენ „ოსები“.

მართლაც, შიდა ქართლი ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული XVII–XVIII საუკუნეებში, ამის შესახებ რუსი ელჩიც მიუთითებდა. ამიტომაც შეუძლებელია იმ ვრცელ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა იმ პროცენტით მოსპობილიყო, როგორიც მას გააჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. ცნობილია, რომ ოსი მოსახლეობა ცხოვრობდა მაჩაბლების, ქსნის ერისთავების, ფალავანდიშვილების ვრცლად გადაჭიმულ მიწებზე, ასევე თავადების: ხერხეულიძეების, დიასამიძეების, ამირეჯიბების, დავიდოვების, ფავლენიშვილების, თუმანიშვილების, წერეთლების; აზნაურების თულაშვილების, მედეგნიშვილების, მახატელების, ზარდიაშვილების, ჩერქეზიშვილების, ბატიაშვილების მიწებზე (იქვე, გვ. 174). ცხადია, იქ, სადაც იყვნენ ქართველი თავადები და აზნაურები, იყვნენ ქართველი გლეხებიც, ამ ვრცელ მიწებზე, ცხადია, ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ, XX საუკუნის დასაწყისში კი აღმოჩნდა, რომ ამ

ვრცლად გადაჭიმულ მამულებში ქართველი გლეხები თითქმის ან აღარ ცხოვრობდნენ, ანდა მცირე პროცენტს შეადგენდნენ. ისტორიულად ამ ვრცელ მიწებზე თუ კი ქართველი მემამულეები იყვნენ, ქართველი გლეხებიც იქნებოდნენ და თუ კი მემამულეები დარჩნენ, გლეხები ასე ერთბაშად როგორ ამოწყდნენ და ქვეყანა ოსი გლეხებით დასახლებული როგორ აღმოჩნდა? ცხადია, ქართველი გლეხები გაოსდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ ვ. აბაევის აზრი: „მოსულმა ალანებმა, რა თქმა უნდა, მათ მიერ კავკასიაში დაკავებულ მიწებზე ნახეს არა დაუსახლებელი უდაბნო, არამედ რაღაც ძველი მოსახლეობა...“ (ვ. აბაევი, ოსური ენა და ფოლკლორი, გვ. 76, რუსულ ენაზე). აქ იგულისხმება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთი, სადაც ალანები დასახლდნენ, ხოლო რაც შეეხება შიდა ქართლს, ცნობილია, აქ დვალეთის მთებიდან ჩამოსახლდნენ გაოსებული დვალები, ხოლო მათი მეშვეობით ამ „ოსური ზედაფენების ქვეშ მოქცეულა“ ქართლელი გლეხებიც გაოსდნენ, ცხადია, ცარიზმის ხელისუფლების აშკარა მცდელობით. ცარიზმი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ოსების საკითხით. ისინი მას არა მარტო საქართველოში მიაჩნდა თავის დასაყრდენად, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც ოსებს განსაკუთრებული პრივილეგია მიენიჭათ.

როგორც ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ცარისტული ხელისუფლება განსაკუთრებით მფარველობდა ოს მოსახლეობას. ეს დამახასიათებელი იყო არა მარტო შიდა ქართლისა და საქართველოში მცხოვრები ოსების მიმართ, არამედ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების მიმართაც.

ცნობილია, თუ რა დიდ სიძნელეებს წააწყდა რუსეთის იმპერია ჩრდილო კავკასიაში. მის წინააღმდეგ თითქმის ყველა ხალხი იარაღით იბრძოდა, განსაკუთრებული გამონაკლისი იყო ოსური მოსახლეობა“ ოსების ძირითადი მოსახლეობა რუსეთის ერთგული რჩებოდა. ოსებმა არც შეიხ მანსურს დაუჭირეს მხარი 1785–1786 წლებში, როცა მან თურქეთის მიერ წაქეზებული, რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი ჩრდილო კავკასიის ზედა ფენები დარაზმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად... ემისრები ოსებთან გამოცხადდნენ. ოსები არ აჰყვნენ ჩეჩენ წინასწარმეტყველის მოძღვრებს“. ოსი გლეხობა რუსეთის ხელისუფლებისაგან მოელოდა შველას და ერთგულების ფიცს არ ღალატობდა“. (მიხეილ გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, 1984 წ., გვ. 70–71).

„ოსეთის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის დახმარებით ცდილობდა ბარში ჩამოსახლებას და შემდეგ ფეოდალთა შევიწროებისაგან თავის დაღწევას. ამიტომ იყო, რომ ოსი ხალხი რუსეთთან კავშირისაკენ მიისწრაფოდა და ყოველთვის ერთგული იყო მიცემული ფიცისა“ (იქვე, გვ. 78).

ოსები რუსეთის ხელისუფლებისაგან ეძიებდნენ მიწების მოპოვებას, ხოლო ეს ხელისუფლება ოსების სახით თავის დასაყრდენს კავკასიაში. „ოსი ხალხი რუსეთის მფარველობისაკენ მიისწრაფოდა. რუსეთთან დაახლოებისაკენ ოსებს, პირველ რიგში, სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების უკიდურესი სიმცირე უბიძგებდა“ (იქვე, გვ. 61).

ჩრდილო კავკასიელი მაჰმადიანი ხალხების თურქეთში გადასახლების შედეგად რუსეთის ხელისუფლებას რჩებოდა მიწის უზარმაზარი ფონდი, აქ იმ მიწებზე ხელისუფლებას სჭირდებოდა თავისი ერთგული მოსახლეობის, ანუ ოსების დამკვიდრება. „მას აწყობდა დაუმორჩილებელი მთიელების იმპერიის საზღვრებიდან მოცილება, მათი გადასახლებით ხომ მხარეში მყარი სიმშვიდე დამკვიდრდებოდა. თანაც უზარმაზარი ფონდი განთავისუფლდებოდა, რაც აუცილებელი იყო ახალი ჩამოსახლებულებისათვის, რათა ცარისტული რეჟიმისათვის სამუდამო და მყარი დასაყრდენი შექმნილიყო ჩრდილო კავკასიაში“ (იქვე, გვ. 158).

მთიელი ოსები მიწების დიდ უკმარისობას განიცდიდნენ და მათთვის ბარში ჩასახლება დიდი ბედნიერება იყო. „ოსეთის მოსახლეობის რიცხვის შეფარდება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიასთან ცხადყოფს, რომ ოსები მიწის უკიდურეს უკმარობას განიცდიდნენ“ (იქვე, გვ. 58).

ოსებს მიეცათ ბარის საუკეთესო მიწები. მთიელები იქ ჩასახლების შემდეგ გამრავლდნენ და გამდიდრდნენ. თავისი გავლენის გაზრდის მიზნით ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია ოსებისა და მთიელების გაქრისტიანება. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება რუსეთის ხელისუფლებისათვის იყო არა სარწმუნოებრივი აქტი, მიმართული ადამიანთა სულების გადარჩენისათვის, არამედ პოლიტიკური აქტი, სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ მიმართული – „რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის კვლავ აღდგენას თვლიდა. ამიტომ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას“ (იქვე, გვ. 61).

„ოს ფეოდალებს (ალდარებს) ქრისტიანობის მიღებისთანავე რუსეთის მთავრობის მითითებით ჩინები ეძლეოდათ შესაფერისი ჯამაგირებით. მეფის მთავრობა ამგვარად ცდილობდა ოსი ხალხის ზედაფენის წარმომადგენელთა რუსეთის მხარეზე გადმობირებას. მშრომელი მოსახლეობა კი ბუნებრივად იყო რუსეთისადმი კეთილად განწყობილი, რაც ძირითადად სათიბ-საძოვრებით დაინტერესებით იყო გამოწვეული. მეფის მთავრობის აქაური წარმომადგენლები მათ სხვა პრივილეგიებთან ერთად მიწის დიდ ნაკვეთებს ჰპირდებოდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მთის მოსახლეობა ბარისაკენ დაიძრა. მთიდან ბარში მასიურად ჩამოსახლების შედეგად ჩრდილო ოსეთის მოსახლეობამ მკვეთრად გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები, ბარში ნოყიერი მიწებისა და უკეთესი ბუნებრივი პირობების შედეგად მოსახლეობამ დაკლების ნაცვლად სწრაფი ტემპით იწყო მატება. საადგილმამულო რეფორმის წინ, 1869 წელს, ჩრდილო ოსეთის მოსახლეობის რიცხვი 66 ათას სულამდე გაიზარდა, 1890 წ. კი 160 ათასი სული შეადგინა“ (იქვე, გვ. 65). ბარის მიწები, რომლებზედაც ოსები სახლდებოდნენ ან რუსეთის მიერ თურქეთში გადასახლებულ მოსახლეობას, ანდა ადგილზევე დარჩენილი მოსახლეობა პრეტენზიას აცხადებდა მათზე, როგორც მამა-პაპეულზე. „ყაბარდოელი თავადები ჩამოსახლებულ ოსთა მიერ დაკავებულ ვლადიკავკაზის დაბლობს თავის საკუთრებათ თვლიდნენ და მასზე ოსების დასახლებას საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდ-

ნენ“ (იქვე, გვ. 66). ყაბარდოს მიწებზე ოსები ადრევე ოცნებობდნენ, იქ დამკვიდრებას რუსეთის მეშვეობით ცდილობდნენ – „ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის ყაბარდოში დამკვირებით მთისწინა დაბლობები სახელმწიფო მიწებად გამოცხადდებოდა და, თუ ოსები რუსეთის ქვეშევრდომობაში იქნებოდნენ, ხსენებული მიწებით სარგებლობის უფლებას მიიღებდნენ“ (იქვე, გვ. 61).

ოსები ჩაასახლეს მიწებზე, რომელთაც ყაბარდოელები თავისად თვლიდნენ. ეს მომენტი საინტერესოა იმით, რომ მსგავსადვე შიდა ქართლში რუსეთის ხელისუფლება ოს მოსახლეობას ასახლებდა მიწებზე, რომელნიც ქართველ მფლობელებს ეკუთვნოდათ. ცხადია, მემამულეები ითხოვდნენ გადასახადს მიწით სარგებლობისათვის, მოახალშენეებს კი ეს არ სურდათ, რაც იწვევდა ურთიერთუკმაყოფილებას. მსგავსადვე იყო ჩრდილო კავკასიაშიც. როგორც აღინიშნა, **„ყაბარდოელი თავადები ჩამოსახლებულ ოსთა მიერ დაკავებულ ვლადიკავკაზის დაბლობს თავის საკუთრებად თვლიდნენ და მასზე ოსების დასახლებას საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდნენ. ამის გამო, ახლად ჩამოსახლებულებს თავიანთ ხელქვეითებად თვლიდნენ და მათგან გადასახადებს მოითხოვდნენ ... ოსები და ინგუშები ამ გადასახადისაგან რუსი სამხედრო ხელმძღვანელობის დახმარებით განთავისუფლდნენ XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში. დაბლობ ადგილებში ოსები მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნებით დასახლდნენ და ამიტომ არ არიან ვალდებულნი ყაბარდოელ მფლობელებს მიწით სარგებლობისათვის გადასახადი უხადონო“** (იქვე, გვ. 66).

აქედან ჩანს, რომ ოსების მფარველი თვით რუსეთის იმპერატორია, მისი ნებით მთებიდან დაბლობებში ესახლებიან, როგორც იმიერ, ასევე ამიერკავკასიაში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში როგორც შიდა ქართლში, ისე ჩრდილო კავკასიაშიც, ოსებს რუსული ხელისუფლება დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი შიდა ქართლის „გაოსებისა“ როგორც ეთნო-სოციალური მოვლენის გამარჯვებისა.

ბარში ჩასახლებულ ოსებს ცარიზმი ეხმარებოდა: „ახლადჩამოსახლებულს მთიდან თუ თითო-ოროლა ცხვარი, ერთი ძროხა, იშვიათად ცხენი ჩამოყვა, რამდენიმე წლის შემდეგ ძნელი მოსაძებნი იყო კომლი, რომელსაც 10–20 ცხვარი, ორი ძროხა, უღელი ხარი და ცხენი არ ჰყოლოდა... ჩამოსახლებამ მუდმივი გაჭირვებისაგან იხსნა როგორც მთაში დარჩენილი მოსახლეობა, ასევე ბარში დასახლებულებიც... ბარში ჩამოსახლებით მშრომელი მოსახლეობა წელში გაიმართა“ (იქვე, გვ. 68–69).

მთავრობა მიწებს ყველას კი არ აძლევდა, არამედ ოსებს, ოსები მდიდრდებოდნენ. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველები მსგავსი სოციალური მიზეზების გამო გამაჰმადიანდნენ (გათათრდნენ, გალეკდნენ), გასომხდნენ, გააფხაზდნენ. ქართველთა გაოსებაში რელიგიური მომენტიც ერია (ჩემი შრომის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა როლან თოფჩიშვილის სტატია, რომელშიც აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ ქართველთა გაოსების პროცესი მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა და მიმდინარეობს ამჟამადაც. მეცნიერი წერს –

„თვით ჩვენც არაერთი შემთხვევა გვქონდა შიდა ქართლის მთიანეთში გვენახა გაოსებული ან გაოსების გზაზე შემდგარი ქართველები. ასეთი ეთნიკური პროცესების ერთადერთი მიზეზი, ქართველთა მცირე ნაწილის მრავალრიცხოვან ოსურ ეთნიკურ გარემოში მოხვედრაა“ (რ. თოფჩიშვილი, ლიტერატურული საქართველო, 19 იანვარი 1990 წ. „ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...“ გვ. 12). მეცნიერი იქვე წერს: „ახლა ქართველთა გაოსების ფაქტებს უნდა დავუბრუნდე იმიტომ, რომ ასეთი პროცესები შიდა ქართლის მთიანეთში მეტნაკლებად დღესაც მიმდინარეობს. შეიძლება ვინმე შემომედავოს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ხდებოდა ქართველთა ეთნიკური თვთშეგნებიდან მიქცევა. ასეთი პროცესები განსაკუთრებით იმ დროიდან ხდება, როცა ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ქართველთა გაოსება“ (იქვე).

„ჩვენ მხოლოდ ორიოდე მაგალითი მოვიყვანეთ ქართველთა გაოსებისა XIX –XX ს.ს.-ში. ასეთი პროცესები ხომ უფრო ადრეც იყო. სწორედ ასეთი გაოსებული ქართველები არიან ის ოსები, რომელთა გვარები – ურ და – ძე სუფიქსებით ბოლოვდება. ისტორიის უკან დაბრუნება შეუძლებელია... რომ არ შემომედავონ, კიდევ ერთ გაოსებულ ქართულ გვარს დავასახელებ – გერგაული (გერგაულოვი)...“ (ლიტ. საქ. 26 .I. 1 990 წ. გვ. 14).

ნ. გრიგალაშვილი კი ეხება XIX საუკუნის ამბებს: „მეფის მთავრობამ ერთი ასეთი პროექტიც შეიმუშავა ქართველების აყრა-გადასახლების მიზნით: ტირიფონის ველის გარშემო მიმდებარე სოფლებიდან განზრახული იყო 40000 ქართველი გლეხის აყრა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა. ამას წინ უსწრებდა იმავე მთავრობის მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოსი ხიზნებისათვის ქართული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას. კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე (მდ. მეჯუდა) საციციანოსა და საჯავახოში, ათიათასობით დესეტინა მიწა უფასოდ უნდა გადასცემოდათ ოსებს. გრიგალაშვილი, „ისტორიის გზაჯვარედინზე“ „სოფლის ცხოვრება“ 1990 წელი 4 იანვარი).

ქართული წარმომავლობა სამხრეთ ოსური გვარებისა

წინა თავებში აღინიშნა, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ქართველი ერისაგან გაუცხოვდნენ ჯერ ქართლის მთიანეთში მცხოვრები დვალები, ხოლო შემდეგ ქართლის მთიულები გაოსდნენ. ოსურ გარემოში მცხოვრები ბარელი ქართლელების გაოსებაც დაიწყო. ამის შესახებ არსებობს ეთნოგრაფთა დაკვირვებანი, რომელნიც უკვე მოყვანილი გვქონდა.

საქართველოს სახელმწიფოს დაშლამდე ქართველი ხალხიც ერთიანი იყო, სახელმწიფოს დაშლამ სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად ერის დაყოფაც გამოიწვია. წარმოიქმნა სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები.

XVI ს. შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეიქმნა სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულები – სამეფოები და სამთავროები. ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებში ასწლეულების მანძილზე ყალიბდება კუთხური ეთნოფსიქოლოგია, რის გამოც ფაქტიურ დიფერენციაციას განიცდის ერთიანი ქართველი ხალხი. ყალიბდება კახელობა, ქართლელობა, იმერლობა, გურულობა და ასე შემდეგ. ეთნიკური სახე შეიცვალა აფხაზეთმა (გააფსუვდა), აღმოსავლეთ კახეთმა (საინგილომ), მესხეთმა, შეიცვალა ქართლის მთიანეთის ეთნიკური სახეც. ქართლის მთიანეთის ეთნიკური სახის შეცვლა გამოიწვია ჩრდილო კავკასიელი ტომების შემოსვლამ და დამკვიდრებამ. აქ იგულისხმება დვალები. ნაწილობრივ შეიცვალა კახეთის მთიანეთის ეთნიკური სახეც, ჩრდილოეთის ტომების გავლენით როგორც დვალები, ისე დიდოელები განიცდიან ეთნიკური სახის ცვლილებას. დვალები ოსდებიან, ხოლო დიდოელები ერწყმიან კავკასიურ ტომებს ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ დიდოეთი ქართველ პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებს ისტორიული თვალსაზრისით ქართულ მხარედ მიაჩნდათ. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის 1770 წლის საბუთში დიდოეთის შესახებ ნათქვამია: „არს დიდოეთი, ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში“ (ქართ. სამხ. ძეგ., ტ. II, გვ. 421), აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ კონტექსტს, რომელშიც მოთავსებულია ეს წინადადება – „არს ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი ... არს ფშავი მართლმადიდებელნი... არს თუშეთი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი... არს დიდოეთი ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში... კახეთის მართლმადიდებელნი ქრისტიანენი... კახეთის სომეხი... კახეთის თათარი...“ (იქვე, გვ. 421).

ჩანს, დიდოეთი მიიჩნევა ნაწილად კახეთისა, მაგრამ წართმეულად „ლეკის“ მიერ არც თუ დიდი ხნის წინ. კონტექსტიდან ისიც ჩანს, რომ იქამდე ეს მხარე ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ან „კერძო ქრისტიანი“ იყო და ამიტომაც, ცხადია, კულტურულ-ისტორიულად ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ჩეჩენ-ინგუშ-ქისტ-ღლიღვთა სალაპარაკო ენა ქართული იყო, უფრო მეტიც, ამჟამადაც კი საქართველოს საზღვართან მცხოვრებ ზოგიერთ ტომს (თემს) მიაჩნია, რომ ისინი თავიანთი წარმოშობით ქართველები არიან. ის, რომ კახეთის მთიანეთთან ახლოს მცხოვრები ჩრდილო კავკასიელი ტომები წარმოშობით ქართველად თვლიან თავს, არ არის შემთხვევითი. ეს არის არეკვლა იმ ფაქტისა, რომ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, შუა საუკუნეთა მანძილზე ისინი მართლაც ქართველები იყვნენ. არა მარტო საქართველოს მოსაზღვრე დაღესტნური ზოგიერთი საგვარეულო (თემი) აღიარებდა ქართველებისაგან თავიანთ წარმოშობას, არამედ ჩეჩნებისა და ინგუშების ზოგიერთი თემიც. – არსებობს „აგრეთვე ინგუშებისა და ჩეჩნების სახალხო თქმულება ზოგიერთი საგვარეულოს (თემის) ქართული წარმოშობის შესახებ“ (ე.ე. კრუპნოვ, ინგუშეთის ისტორიისათვის, „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი“ 1939, №2, გვ. 84, წიგნიდან ზ. დიდებულიძე, დასახ. ნაშ. გვ. 34).

ჩეჩნებისა და ინგუშების სახალხო თქმულებები ზოგიერთი თემების ქართული წარმოშობის შესახებ არეკლავს შედარებით უახლოეს წარსულს, როცა ერთიან საქართველოში, ანდა კახეთის სახელმწიფოს საზღვრების შიგნით ცხოვრებისას საკმაოდ გრძელი ისტორიული ეპოქის მანძილზე ეს მხარეები შეერწყნენ ამ სახელმწიფოს ხალხს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

მაგრამ ვითარება იცვლება საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. კახეთის მთიანეთში შემოდიან არაქართულენოვანი დაღესტნურ-ჩეჩნურ-ინგუშური თემები, ემკვიდრებიან იქ, ანდა ადგილობრივ ქართული თემის ენაზე თავიანთ კვალს ტოვებენ (მაგ. თუშეთში), იტაცებენ მთელ მხარეს (მაგ. დიდოეთს), აწარმართებენ ქართულ კუთხეებს (ეს ის ინგუშური მხარეებია, რომელნიც ამჟამად ქართული წარმოშობისად თვლიან თავიანთ თავს).

ასევე ხდება ქართლის მთიანეთშიც. დვალეთი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უფრო ქართული მხარე იყო, ვიდრე დიდოეთი. ეს იქიდან ჩანს, რომ, როცა თამარის დროს დიდოელები და ფხოველები განდგნენ, მათ დასამორჩილებლად სხვა მთიელებთან ერთად დვალებმაც ილაშქრეს. **„მათ უკვე ჟამდა იწყეს მთიელთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა ... მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალელთა, ერწოთიანელთა მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“** (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 111).

კულტურულ – ისტორიული თვალსაზრისით დვალები ქართველები არიან, სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, დვალეთი დიდად ჩამორჩებოდა შიდა ქართლის ბარს.

სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ შემდგომ საუკუნეებშიც იყო განსხვავება ქართლის ბარსა და მთას შორის, კერძოდ, ქართლის ბარი იყო „ყველაზე დაწინაურებული კუთხე“ ხოლო მთიანეთი – „ჯერ კიდევ პირველყოფილ – თემურ ან ადრეკლასობრივ წინაფეოდალური წყობის პირობებში ცხოვრობს“ (იქვე). ჩანს, სწორედ ასეთმა კატასტროფულმა სოციალურმა (და არა ეთნიკურ-ისტორიულ-კულტურულმა) განსხვავებამ ქართლის ბარსა და მთიანეთს შორის გამოიწვია მთიანეთის გაუცხოება ბარისაგან, რომელსაც თან დაერთო გადაგვარებაც (გაოსება, ეთნიკური სახის შეცვლა).

ქართველთა გაოსებას სოფლების, გვარების, ტოპონიმებისა და სხვა მასალების ქართული წარმომავლობის გარდა, მიუთითებს სამხრეთ ოსეთის ოსური ფოლკლორიც, რომელსაც მრავალი ქართული ელემენტი ახასიათებს. „ოსურ ფოლკლორში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია დარეჯანიანის თქმულებებს. ეს არის ქართულიდან შესული ამირანდარეჯანიანის ოსური ვერსია. იგი გავრცელებულია როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე ჩრდილო ოსეთშიც. აი, რას წერს კ. ხეთაგუროვი თავის „ეთნოგრაფიულ ნარკვევებში“: „მძიმე ავადმყოფს ... არ სტოვებენ მარტოდ ... ღამე მორიგეობენ, უმთავრესად ახალგაზრდები. ისინი ცდილობენ ავადმყოფის გართობას, მხიარულობენ, ყვებიან ზღაპრებს და უკრავენ ფანდურზე, თორმეტსიმიან არფაზე და თან ამღერებენ ლეგენდებს დარეჯანიანზე და სხვა მითიურ გმირებზე“ (კ. ხეთაგუროვის 500).

დარეჯანიანის თქმულებები ბევრჯერ გამოიცა (იგულისხმება ოსურად – ე. პ. ა. ჯ.). იგი მეცნიერულად საფუძვლიანად არის შესწავლილი და შეჯერებულია ორიგინალთან – ქართულ „ამირან დარეჯანიანთან“ (დ. ქალოევა). დარეჯანიანის თქმულებები (იგულისხმება ოსური – ეპ.ა.ჯ.) ციკლებად არის დაყოფილი, ერთ-ერთი ბოლო ციკლის სახელწოდებაა „ამბავი როსაფისა“ ... როსაფი ნახსენებია მხოლოდ ამბის დასაწყისში, მთელი ამბავი კი გადმოგვცემს თალარის, ავთანდილისა და ფრიდონის ამბებს. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი. მას არაფერი აქვს საერთო დარეჯანიანის თქმულებებთან. როსაფი მოხსენებულია, როგორც დარეჯანიანი და ამდენად მისი ვაჟებიც – თალიარი, ავთანდილი და ფრიდონიც დარეჯანიანი არიან. დარეჯანიანია ასევე მასმათიც... ამრიგად, „ამბავი როსაფისა“ – ეს არის ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი (ო. თედეევი, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, 1988წ. გვ. 5354). ოსურ ვეფხისტყაოსანში დარეჯანს ეწოდება სთრეჯანი, ასმათს – მასმათი, ტარიელს – თალიარი და ასე შემდეგ. მასში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტი.

„დარეჯანიანის“ გარდა ოსთა შორის გავრცელებულია ქართული „ამირანიანიც“ სხვა ხალხური ქართული ბალადები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, თქმულებები თუ სხვა ფოლკლორული მასალა.

ამირან-დარეჯანიანის ციკლის სხვადასხვა თქმულებების გარდა ხალხური ვეფხისტყაოსანის ფართოდ გავრცელება ოსთა შორის (ვ. ხეთაგუროვის თანახმად, ეს ოსებისათვის ნართების ეპოსის თანაბარი ყოფილა, იხ. ზემოთ) მიუთითებს ქართველთა (მათ შორის დვალთა) გაოსების შესახებ.

ჩვენ არაფერს ვიტყვით ტოპონიმების შესახებ, თუმცა ერთი შეხედვითაც აშკარაა ტოპონიმების აბსოლუტური ქართულობა, თუმცა ისტორიულ ჭრილში ისიც ჩანს, თუ ზოგიერთი ტოპონიმი როგორ კარგავს ქართულ სახეს და ხდება მისი გადაკეთება ოსური ენის შესატყვისად.

განსაკუთრებით აშკარაა სამხრეთელი ოსების გვარების აშკარა ქართული წარმომავლობა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოება თავიდანვე იცნობდა გვარებს, ისტორიულ საქართველოში ყოველ ადამიანს თავისი გვარი ჰქონდა, მაგრამ ასე როდი იყო მის მეზობელ ერებში. მაგალითად, მაჰმადიანებს თაობიდან თაობაზე გარდამავალი გვარები არ ჰქონდათ, ადამიანები ძირითადად მამის სახელით იწოდებოდნენ, ასე იყო არა მარტო მაჰმადიან ხალხებში, არამედ ძირითადად თითქმის ყველა სხვა მეზობელ ხალხებში, მათ შორის რუსეთში, ჩრდილოეთის უდიდეს ქრისტიან ხალხშიც. აქ ყმა გლეხებს ძირითადად გვარი არ ჰქონდათ და მხოლოდ XVII–XIX საუკუნეებში საიმპერატორო კარის მიერ გამოცემული შესაბამისი მითითების შემდეგ ყმა-გლეხებს გვარები მიაკუთვნეს.

ვახუშტის მიერ დასახელებული დვალეთის ოსების გვარების დაბოლოებანი აშკარად ქართულია, ზოგიერთი ორმაგი ქართული სუფიქსითაც კი არის ნაწარმოები. მაგალითად, „ბადელიძე“ ე.ი. „ბად – ელი – ძე“. „ელი“ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსია და „ბადელი“ ისევეა ნაწარმოები, როგორც ცურტაველი ან რუსთაველი, და აგრეთვე, „ძე“ – ტიპიური დაბოლოებაა

ქართული გვარებისა. მაშასადამე, „ბადელიძე“ აშკარად ქართული გვარია. ასევე შეიძლება ითქვას სხვა გვარებზე, რომელთაც ქვემოთ მოვიყვანთ. ეს მდგომარეობა იძლევა უფლებას ვიფიქროთ, რომ დვალეთში ამოსულ ოს-„ალანებს“ მკვიდრმა მოსახლეობამ მისცა ის გვარი, რაც დვალეთში (და საქართველოში) იყო მიღებული. ამას „ძეგლი ერისთავთა“-ში დასახელებული „ბიბილური“-ს გვარის წარმოშობაც ადასტურებს. აქ მოსულს ოსმა ხალხმა თვითონ მიანიჭა ეს გვარი. ეს, ჩანს, საპატიო გვარი იყო. ჩრდილო ოსეთის – „ალაგირის, ქურთათის, ზაკისა და ნარ-მამისონის საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობა იმდენად დაბალ დონეზე იყო, რომ ზოგიერთი მაშინდელი მკვლევარის აზრით, იქ წოდებრივი დაყოფა არ არსებობდა და მხოლოდ საპატიო საგვარეულოები იყო, რომელთაც ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდათ“ (ლავროვი დ. ოსეთისა და ოსების შესახებ, კავკასიელ ტომთა და ადგილთა აღწერის კრებული, III, 1883, რუს. ენ. გვ. 295, წიგნიდან მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 194). აი, ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში დამკვიდრებულ პირველ ოსთა გვარები, ჩამოთვლილი ვახუშტის მიერ: „უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი და გვარნი ოვსთა ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური, ძურთაული, სიდამონი და ჭახელიძე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 634). ჩამოთვლილი ყველა გვარის დაბოლოება ქართულია – „იანი“ „ძე“ „ული“ „ონი“.

განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. ბასიანი – ბოლოვდება „იანით“ ისე, როგორც ძველქართული გვარები საერთოდ და ქართველ მთიელთა გვარები ახალ დროში: – „ფარნავაზიანი“ „ხოსრონი“ „ბაქარიანი“ „მარუშიანი“ „გორგასლიანი“ „დავითიანი“ „იესიანი“ და სხვა უამრავი.

„იანით“ ბოლოვდება ქართული გვარები როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, თუმცა არც ბარია გამონაკლისი. მაგალითად, სამეგრელოში არის გვარი „ქაჯაიანი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. III, 1970, გვ. 416). ამან საშუალება მისცა მკვლევარებს გამოეთქვათ აზრი, რომ „იანი“-თ ბოლოვდებოდა ყველა ადგილობრივი გვარი, რომლის შეკვეცის შედეგად მიღებულ იქნა დაბოლოება „ია“. დასავლეთ საქართველოს გვარია „ქვარიანი“ (იქვე, გვ. 477), რატიანი და სხვა. სვანეთმა შემოინახა „იანი“ დაბოლოება გვარებისა. რაჭაშიც არის „იან“-ზე დაბოლოებული გვარები – „გოგრიჭიანი“ „გიორგობიანი“. ლეჩხუმში „იანი“ დაბოლოება გვარებისა ჩვეულებრივია. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ მთის ყოველ თემში ასეთი დაბოლოება ბუნებრივია. მაგალითები იმდენია, რომ ჩამოთვლაც ძნელია, არაბულების გვარის განაყარში არის გვარები: „მანგიანი“ „ხელმოკლიანი“ „იდიანი“ (გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1939 წ, გვ. 9), „დედიანი“ „ალდიანი“ ჭინჭარაულების განაყარი – „აზუზიანი“ „ხაშიანი“ „მანგიანი“ „ჯარიანი“ (იქვე, გვ. 10-11), იანზე დამთავრებული გვარების რიცხვი ძალზე დიდია ასევე ფშავშიც – „ჯიხვიანი“ „ყენიანი“ „ყუჯიანი“ „ხადიანი“ და სხვა (იქვე, გვ. 6-263), ძირითადია აქ „ანიზე“ დაბოლოებული გვარები „გოგრიჩი-

ანი“ „იან“-ზე დაბოლოებულია – „გოგოლიანი“ „ბალიკიანი“ „გივიანიანი“ „გამიხარიანი“ (ჭიჭილოიანი) (ვ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 145).

„იანი“ ქართული გვარის ტიპიური დაბოლოებაა, ამიტომ არა მარტო „ბასიანი“-ა ქართული წარმოშობის გვარი, არამედ „ბადელიანიც“ რომელიც ჩრდილო კავკასიელი ოსების გაბატონებული წოდების საპატიო გვარი იყო.

2. ბადელიძე – ორმაგი ქართული სუფიქსით არის დაბოლოებული – „ელი“ და „ძე“. აქედანაა „ბადელიანი“.

3. ჩერქეზიძე – ქართული დაბოლოების („ძე“) მქონეა.

4. თაგაური – არის ლეგენდა, თითქოს ეს გვარი მომდინარეობს სომხური სიტყვიდან – „თაგავორ“ – „მეფე“ მაგრამ აშკარაა, რომ ეს არის გვარი, რომელიც ქართული სუფიქსით („ურით“) არის დაბოლოებული. „ურით“ სხვა გვარებიც მთავრდება („ხეთაგური“), მაგრამ ფაქტია, რომ „ურით“ ბოლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გვარების დიდი ნაწილი, თუმცა ეს დაბოლოება არც ძველი საქართველოს სხვა კუთხეებში ყოფილა უცხო. დასავლეთ საქართველოში გვარი „ხეცურიანი“ ორმაგი სუფიქსითაა წარმოებული („ხეცურიანი“). სანამ „ური“ დაბოლოებას შევეხებოდეთ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას „იანი“ დაბოლოების შესახებ. საკმარისია გადავხედოთ საქართველოს რუკას და მასზე დავაფიქსიროთ კუთხეები, სადაც გავრცელებულია „იანი“ით დაბოლოებული გვარები და დავრწმუნდებით, რომ ჩვენს თვალწინ მოიხაზება მთელი საქართველოს მთიანეთი ხევსურეთის ჩათვლით, მხოლოდ ერთ ადგილას იქნება ამოვარდნა. ეს არის დვალეთი – ქართლის მთიანეთი. ჩანს, ძველ დროს, აქ, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთში, გავრცელებული იყო „იანიით ანდა „ანით“ დაბოლოებული გვარები, ამის შესახებ გვარი „ბასიანიც“ მიუთითებს.

ჩანს, „ური“-თ დაბოლოებული გვარებიც ასევე გავრცელებული იყო მთელ ქართულ მთიანეთში. დასავლეთ საქართველოს „ურით“ დაბოლოებული გვარი „ხეცურიანი“ გამონაკლისი არ უნდა იყოს. ამას მიუთითებს ის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთარში, რომელიც დასავლეთ საქართველოს შეეხება, 1621 წლისათვის ნახსენებია გვარი „ფიცხელაური“ – მართებს მუშიას ფიცხელაურს ურემი ღომი... სამი ნაოთხალი ღომი...“ (სამართლის ძეგლები, III ტ. გვ. 408), იქვეა ნახსენები გვარები – ფიცხელია და ფიცხელაა. აქედან ჩანს, რომ ეს გვარი აღმოსავლურ – ქართული წარმოშობის კი არაა, არამედ ადგილობრივია. არის გვარები – „ცქურია“ (ე.ი. ცქ – ურ – ია) (იქვე, გვ. 428), „მალურავა“ (ე.ი. მალ – ურ – ავა) (იქვე, 430), „ჭუჭურია“ (ე.ი. ჭუჭ – ურ – ია, იქვე, 434). არის „ულით“ წარმოებული გვარებიც – ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მაგალითად, „კუტულია“ (ე.ი. კუტ– ულ – ია) (1616–1621 წლების საცაიშვილო დავთარში, იქვე, გვ. 439); „მასხულია“ (ე.ი. მასხ – ულ – ია) (გვ. 440), „ხუხურნი“ (ხუხ – ურ – ი, გვ. 440); „ფიცხულია“ (ე.ი. ფიცხ – ულ – ია) (გვ. 444), „კიკურია“ (კიკ – ურ – ია) (გვ. 458); „კუკურია“ (გვ. 461); „ხუხულია“ მამულია“ „ხუბულია“ (გვ. 479). ასე რომ, „ურით“ და „ულით“ დაბოლოებული გვარები მრავლადაა დასავლეთ საქართველოში. ხოლო, რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ამჟამადაც „ური“-თ იწარმოება მთიელთა გვარების

დიდი ოდენობა. მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: ბიჩინგური, მგელიაური, კურდღელაური, ჩალაური, ხოსნაური, ხუნჩალაური, ბასხაჯაური, რკინაური, ფიცხელაური, გოგოჭური, წიკლაური, ხასონაური, ველთაური, ალუდაური, ქეთელაური (გ. თედორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7-16), ქისტიური, გაბიდოური, მასხაური, ცაბაური, უძილაური, მამიაური და სხვა მრავალი (იქვე, გვ. 6–269).

თაგაურის წარმოშობას შეიძლება მსგავსება მოვუძებნოთ. ფშავში თურმანაულების ფრატრია შედგება სხვადასხვა გვარებისაგან. მათ შორისაა გვარი ღურბელნი და ამათი განაყარი გვარი – „თაგვანი“ (გვ. 63), „თაგვანი“-საგან შეიძლება სამგვაროვანი სუფიქსის „ურის“ დართვით მივიღოთ გვარი – „თაგვაური“ თაგვაურისაგან კი – თაგაური.

5. ქურთაული – ეს გვარი ნაწარმოებია „ულ“ სუფიქსის დართვით, ისევე, როგორც მრავალი ქართული გვარი დასავლეთ საქართველოში (იხ. ზემოთ), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს „ულით“ დაბოლოებულ რამდენიმე გვარს ჩამოვთვლით, ესენია: „რკინაული“ „არაბული“ „ბურდული“ გამხირავაული“ „თეთრაული“ „ჭორჭიაული“ (იხ. გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7–16), „თურმანაული“ „ჯაგრაული“ „წოწკურაული“ „ბურდიაული“ „ჩორხაული“ „ზურაბაული“ და სხვა (იქვე, გვ. 61-69).

როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, „ქურთაული“ ისეა წარმოებული, როგორც საზოგადოდ მრავალი ქართული გვარი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს გვარი შედგება სუფიქსისაგან – „ქურ – თა – ულ“. „თა“ ისევე, როგორც „ელი“ არის ქართული გვარების ტიპიური დაბოლოება. ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ „თა“ „თი“ და სხვა მსგავსი საგვაროვნო სუფიქსების შესახებ.

6. სიდამონი – ეს გვარი ბოლოვდება სუფიქს – „ონით“ „ონი“ ძველ ქართლში, ჩანს, იყო სახეცვლილება „იანი“-სა. უძველესი ქართული გვარი „ბაგრატიონი“ „ონით“ ბოლოვდება, ის აგრეთვე სიმრავლესაც აღნიშნავდა. „ლაშარიონი“ ლაშარის ყმების საერთო სახელი იყო. „ნი“ „ანი“ „იანი“. ხშირად „ონი მთიელთა გვარების მწარმოებელია (და საერთოდ ქართული გვარებისა). „ონი“-თაა დაბოლოებული ქისტიაურების ფრატრიაში მრავალ გვართაგან ერთი გვარი – „ციგრონი“ (იქვე, გვ. 62). ამ ფრატრიის გვარებია: – ჯიხვიანი, ყენიანი, ჩარბოდანი, მთვარელანი, ფოცხვერანი, ციგროანი, ჩაქუჩნი, ბადრიანი და ა.შ. როგორც ვხედავთ, „ონი“ დაბოლოება არსებობს „იან“ – „ანი“ „ნი“ დაბოლოებათა შორის. იონ სუფიქსის შესახებ წერს ს. ყაუხჩიშვილი (იხ. ქვემოთ). მისი აზრით, იონ – იგივეა, რაც ეთ, ელ სუფიქსები, ის ქართული გვარის ჩვეულებრივი მაწარმოებელია.

7. ჭახილიძე – ეს გვარიც ქართული საერთო საგვაროვნო სუფიქსით „ძე“ ბოლოვდება, თუმცა შეიძლება, ესეც ორმაგი ქართული სუფიქსით იყოს დაბოლოებული „ჭახ – ილი – ძე“ ან „ჭახი – ლი – ძე“. ის, ჩანს, ისევეა ნაწარმოები, როგორც დასავლეთ საქართველოში სახელები – „ხუხუხლი“ (ხუხუ-ლი), „ქაქალი“ (ქაქა – ლი) (ქართ. სამართ. ძეგლ. III ტ. გვ. 424). ყოველ შემთხვევაში, ამ გვარის ქართული წარმოშობა უეჭველია.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა განვიხილოთ გვარების დაბოლოება „თი“. როგორც ცნობილია, „თი“ ამჟამად მიჩნეულია ოსურ გვართა უძველეს დაბოლოებად, რომლის აღდგენასაც ცდილობენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთიანეთში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გვარის დაბოლოება „თი“ მიღებული იყო და მიღებულია ამჟამადაც. გარდა ამისა, მთელ სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) როგორც წარსულში, ისე ახლაც (მაგ. ქართველ კათოლიკეთა შორის) გვარის დაბოლოება „თი“ ბუნებრივია, ჩვენ აღარაფერს ვიტყვით ქართლსა და განსაკუთრებით კი კახეთზე, სადაც „თი“– დაბოლოება ბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, „თი“ საგვაროვნო დაბოლოებით ხალხი ერთმანეთს მოიხსენიებს შინაურული არაოფიციალური ურთიერთობისას, ხოლო ოფიციალური ურთიერთობისას „თი“ „შვილით“ იცვლება. „ოთარაანთი“ – ოთარაშვილია, ხოლო „თამარაანთი“ – თამარაშვილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩამოვთვლით ასეთი დაბოლოების მქონე რამდენიმე გვარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ვუჩვენებთ, რომ ეს დაბოლოება ქართულ გვარებს ჰქონდა წარსულშიც, რაზედაც წერილობითი წყაროებიც მიუთითებს.

„თი“-ზე დაბოლოებული გვარები სამხრეთ საქართველოში მრავლადაა. მ. თამარაშვილმა დაწერა 1703 და 1705 წლების საბუთების შესახებ, რომ იქ მრავლად მოიხსენიებიან ქართველები „თი“-ზე დაბოლოებული გვარებით: „მინდორათი... ქათამათი, ბეროთი; ბერომელათი; მალხაზათი; კეჟერათი; გულასპათი; ტეტიანთი; ბატონათი... ხიზანათი; ცხელათი; თელიათი, ... პოროველათი; მეჩხუათი; ფილიჭამიათი; გოდელათი; გოდერძათი; თეთელათი; ხუთქალთი ... ნახვრეტათი; ქვათი, ფუფულათი; გედიათი, კენჭიანთი; ხრინწიანთი;... კბილათი; კოჭიბროლათი; სარდალათი; კანდელაკიანთი; მამათი; ჰუნკათი; ხახიანათი; ჭელაჭამიათი; ჭოჭუათი; ეთერათი; პურადათი; ქოჩორათი; ღვინიათი; ჩიტირეკათი; ამრეზიანთი; ქონიაათი და სხვა“ (მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ. გვ. 232).

XIX საუკუნის აღწერებშიც აქაური გვარები „თი“-თ ბოლოვდება. რ. თოფჩიშვილი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ სს-ში (ე.ი. 1886 წლის მოსახლეობის აღწერის საოჯახო სიებში – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე) ახალციხის ზოგიერთი ქართული გვარი გვარსახელთა მაწარმოებელი უძველესი ქართული სუფიქსით (ეთ, ათ) გვხვდება. მაგალითად: პეტრეთი, გულიჯანთი... ამ ფორმატით ქართული გვარსახელის წარმოება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდეა შემორჩენილი ოფიციალური – ძე და შვილის ნაცვლად ხალხურ სამეტყველო ენაში აღნიშნული სუფიქსი იხმარება. სამცხეში თამარაშვილის ნაცვლად იტყვიან თამარათი, ხევში ავსაჯანიშვილის ნაცვლად – ავსაჯანეთი, ფშავში მუშტაშვილის ნაცვლად – მუშტათი და სხვა“ (რ. თოფჩიშვილი, XIX ს. მოსახლეობის აღწერა, „მნათობი“ 1987, №12, გვ. 163).

მაშასადამე, ქართლ-მესხეთში, კახეთში, ხევში, ფშავსა და სხვა კუთხეებში ქართული გვარები „თი“ სუფიქსით იწარმოება. ეს რომ უძველესი წესია, ამაზე მიუთითებს „ტბეთის სულის მატიანე“. ეს მატიანე XII–XVII საუკუნეების მანძილზე ივსებოდა, აქ მრავალი გვარი გვხვდება „თი“ დაბო-

ლოებით. მაგალითად: კუჯერთი, სიკალაეთი, ისევე, როგორც ამავე სუფიქსით მრავალი ტოპონიმი იწარმოება (იხ. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი 1985 წლისა, 1988 წ. რუსულ ენაზე, გვ. 309–311). ამავე მატიანეს ეკუთვნის მოსაზრება: „ინტერესს მოკლლებული არა არის აგრეთვე ძეგლის რამდენიმე ენობრივი თავისებურება, მაგალითად, გორგაძის გვარისა და სახელის ამ ფორმით წარმოდგენა: „გორგაზიეთ მახარებელსა“ „გორგაზიეთ კვირიკესა“ ანდა ვაცაძის – „ვაცეთ ნიკოლოზისა“ ქუაბლიეთ“ იაბედათ“ „როსტომეთ“ და სხვა მრავალი; ძეგლის ნუსხის დიდი ნაწილი ასეა წარმოდგენილი. მსგავსი მოვლენა შეიმჩნევა ჩვენი დროის მოხევეთა მეტყველებაში“ (ქ. შარაშიძე „მაჭახელის ხეობის დემოგრაფიული ძეგლი“ მრავალთავი XIII 1986 წ. გვ. 128).

აქვეა გვარები „ვარდანეთ ვარდან“ „მეფუთკრეთ ივანე“ (იქვე). ეს ივანე რა გვარია? ცხადია, ის არის მეფუტკრეთი, მაშასადამე, მისი გვარის დაბოლოება არის „თი“ ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი მ. თამარაშვილისა და რ. თოფჩიშვილის მიერ დასახელებული გვარებისა, მაგალითად, ეთერათი, პეტრეთი. ეთერათი გვარია, მაგრამ თუკი ვინმეს ჰქვია სახელი ვარდო და მისი გვარია ეთერათი, მაშინ ამ ვარდოს ასე უწოდებენ – „ეთერათ ვარდო“. ქართულისათვის „თი“ იგივეა, რაც „შვილი“ ან „ძე“ ოფიციალურ მეტყველებასა და მიმოწერაში.

ქ. შარაშიძე აღნიშნავს, რომ მოხევეები ასევე მსგავსი დაბოლოებით აწარმოებენ თავიანთ გვარებს. ასევეა დღევანდელ მესხეთში. მაგალითად, თუ უდელს სთხოვთ, ჩამოთვალოს თავისი სოფლის გვარები (შინაურული) – ის ჩამოთვლის გვარებს („ყულიჯანათი“ „ველიჯანათი“ კრუხიჭამათი“ „პეტრეთი“ „პარუნათი“ და ასე შემდეგ), ე.ი. ისინი გვარს აბოლოებენ „თი“ მაწარმოებლით და არა „ეთ“-ით.

ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ეთ სუფიქსიან გვართა სახელებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პროფ. ვ. დონდუამ. ამ გამოკვლევაში ათი გვარსახელია: ლიპარიტეთ, ვახტანგეთ, დურძუკეთ, სუქმანეთ, კონონეთ, ნინოსეთ, პავლეეთ, გაგიკეთ და შამირამეთ... კ. კეკელიძე, თავის მხრივ, უმატებს რვა ეთ – სუფიქსიან სახელებს: მინა ერმოგინეთი, ევსტრატეთი, აბიბოსეთი, ანდრონიკეთი, კლეოპაეთი, აკინდინეთი, კოზმან – დამიანეთა, პეტრე – პავლეთ... „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებში ეთ – სუფიქსიანი სახელები შემდეგია: „და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა, სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა...“ ხოლო ვითარ ცნეს, რომელ სტეფანიათ ვერას ავნებდეს ... ითხოვეს საზრდელი მციერ სტეფანელთა მისცეს...“ იქ ეთ – სუფიქსი (სტეფანიათ – სტეფანიეთ) ისევე არის ზედასართული ხასიათისა, როგორც ვახტანგეთ-ში, ლიპარიტეთ-ში და სხვაგან, ნიშანდობლივია, რომ თვით ვარიანტებშიც ასეა აგებული: ჰერეთთა – ჰერელთა; სტეფანიათ – სტეფანიელთა, სტეფანწმინდელთა. რომ „ეთ“ ესმოდათ, როგორც „ელ“ ჩანს ასეთი კონტექსტიდან: „ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა“ სადაც ერთი სიტყვის – „ეთ“ (შარვანშეთი) უდრის მისი პარალელური სიტყვის – „ელ“ სუფიქსს (დარუბანდელთა)... ზოგ შემთხვევაში „ეთ“ სუფიქსს შინაარსობრივად ენათესავება „იონ“ სუფიქსი, ასე მაგალითად: ბაგრატიონი

ისევე უდრის (ბერძნული სუფიქსის ენით რომ ვილაპარაკოთ) „ბაგრატიდს“ როგორც ვახტანგეთი – „ვახტანგიდს“ ე.ი. „ბაგრატიონი არის კაცი ბაგრატის მოდგმისა... ზოგჯერ – იან სუფიქსი იმასვე გამოხატავს, რასაც ბერძნული „იდ“ სუფიქსი, ასე მაგალითად, ეფრემონი ეწოდება „ეფრემის მოდგმის ადამიანს...“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 077-078).

„თი“ უნდა იყოს მრავლობითის აღსანიშნავი სუფიქსი, მაგალითად, - ოთარაანი“ ერთი ადამიანის გვარია, ე.ი. ოთარაშვილი, მაგრამ „ოთარაანთი“ ოთარაშვილების ფრატრიის წევრს უნდა ნიშნავდეს. „ოთარაშვილებისა“ – „ოთარაანთ ქვრივი“ – ოთარაშვილების ქვრივია. „მეფუტკრეთ გოგია“ – მეფუტკრიშვილების ფრატრიის წევრი გოგია მეფუტკრიანთია და მეფუტკრიენთია. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა საქართველოს მთაში დასავლეთსა და აღმოსავლეთში შემორჩენილი მსგავსი გვარების მაგალითები. მაგ. ს. მაკალათია წერს, რომ მთის რაჭაში „ლობჯანიძეები იყოფიან: ხოშტიანი, ნანუკიანი, ლაშხეენი, ზვიადეენი, ჯოტეენი, სვანეენი, ჯოჯუენი და სხვა. გობეჯიშვილები: შალიკიანი, ერმილეენი, ნინეენი, დეტუენი და სხვა. გავაშელიშვილები: ქაოზეენი, ნასხიდეენი, გოტოიანი, გავიტიანი, ქუტუნეენი, ოთუკეენი და სხვა. გოგრიჭიანი: ჩხუტეენი, ლეჩხუმელნი, საგიეენი, მამუჩიანი და სხვა. მხოლოდ ამ კომლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად, თქვენ თუ იკითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ ივან ზვიადეენთ ლობჯანიძე, რომელი სახელით ეს კომლია ცნობილი და მაშინ კი გაიგებენ, მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არც იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივად იტყვიან: მიხა ერმილეენთი, მამუკო ნინუკიანთი და სხვა“ (ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987, გვ. 50).

მაშასადამე, ს. მაკალათიას მასალიდან ჩანს, „თი“ – საერთო ფრატრიის (ე.ი. მრავლობითის) აღმნიშვნელი სუფიქსია გვარსახელის წარმოებისას. მაგალითად, ლობჯანიძეების განაყოფი გვარია ზვიადეენი, მაგრამ გვარის მატარებელი რომელიმე პირი უკვე არის „ზვიადეენთი“ როგორც მოყვანილი ჰყავს მკვლევარს, „ივან ზვიადეენთ ლობჯანიძე“ ე.ი. ზვიადაშვილების ფრატიის წევრი ლობჯანიძე ივანე. ასევეა ფშავ-ხევსურეთშიც – მაგალითად, სოფ. ცაბაურთას ფრატრიას ეწოდება „ცაბაურთა“ (იხ. გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 66). აღსანიშნავია, რომ ფრატრია „ცაბაურთა“-ში შედიან სხვადასხვა გვარები – მიგრიანი, ბეკიანი, გოგანი, ანუ გოგლელანი, რომელნიც, თავის მხრივ, კიდევ განიყოფიან გვარებად ბახჩონი, ჩიტონი, ჭამიანი, იორამნი, ბალიანი და სხვა. აქაც თუ ჩვენ ვეძებთ რომელიმე ადამიანს, უნდა ვიკითხოთ, მაგალითად, ცაბაურთა ჩიტონთ გოგია. არსებობს სოფ. უძილაურთა ფრატრია, რომელშიც აგრეთვე სხვადასხვა გვარები შედიან (გვ. 67). არსებობს ფრატრია „ბობღიანთა“. აქ შედიან გვარები დავითიანი, ბობღანი, სოხურანი, ხიბლანი. თუ ჩვენ ვეძებთ ადამიანს, უნდა ვიკითხოთ „ბობღიან ხიბლანთ ივანე“ ე.ი. ეს ივანე არის ბობღიანთ ხიბლანთი ან ხიბლან ბობღიანთი.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი დატვირთვისაა სუფიქსი „თი“ („ეთი“ „ათი“), ის ქართულ გვარსახელთა მაწარმოებელია როგორც ძველად, ისევე ახლაც. „თამართი“ ასეთი სახით უნდა იყოს წარმოებული – თამარაანთი ან თამა-

რათი. „ან“ს კვეცა რომ ახასიათებს, ეს ჩანს გვარიდან ქაჯაიანი – ქაჯაია; (რა-ტიანი – რატია); პეტრეთი და სხვა მსგავსი დაბოლოების გვარები ნაწარმოები უნდა იყოს იანის (ანის) შეკვეცით: პეტრეანთი – პეტრეთი, ვახტანგიანთი – ვახტანგეთი.

არსებობს განსაკუთრებით საინტერესო დოკუმენტი იმისა, რომ ძველ საქართველოში გვარსახელთა წარმოების სუფიქსები – „ანთ“ (იანთ), „შვილი“ (და რუსული ადმინისტრაციის გავლენით) „ოვი“ ერთნაირი მნიშვნელობის მქონენია. მაგალითად, 1800 წლის ერთ ნასყიდობის სიგელში მოხსენებულია ერთი და იგივე პირი და მისი ოჯახის წევრები (ერთი ოჯახიდან): შადინაანთ სტეფანე, შადინაშვილი სტეფანე, შადინანთ თომა, შადინოვი თომა (ქართ, სამართ. ძეგლ. III გვ. 1053-1056).

აქედან ჩანს, რომ შადინაანთ იგივეა, რაც შადინაშვილი და შადინოვი. „ანთ“ „შვილი“ „ოვი“ – ეს სუფიქსები ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება. ამი-ტომაც, არსებობს პარალელური ფორმებით გვარები – გოგოჩაშვილი, გოგოჩე-თი, შალიკიანთი (იხ. ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ. გვ. 40) – შალიკაშვილი. ბედე-ლუანი უდრის ბედელიძეს ან ბედელიშვილს, ის შეიძლება გამოითქვას, რო-გორც ბადელიანთი, ბადელიანი. ეს გვარი არის ოს წარჩინებულთა გვარი და რაჭის ჩრდილოეთით ოსეთის დიგორში იხმარებოდა (ვახუშტის – ბადელიძე). რაჭული ლექსია: „დიგორსა დასხდნენ ვაზირნი, რჩეულნი ბადელუანი“ (იხ. იქვე, გვ. 36). ბადელიანთი-დან „ან“-ის შეკვეცით მიიღება გვარი ბადელათი. მართლაც, „ბადელიათებად“ იყო ცნობილი ეს დიგორული (ოსური) საგვარეუ-ლო. ბადელიათი – დან – შემდეგ ბადელიატი (თი-ს ტი-ში გადასვლის მრავა-ლი მაგალითი არსებობს ძველ ქართულ ენაში).

ოსეთში ისე, როგორც ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს მთიანეთში, არსებობენ ფრატრიები (ძირითადი, რამდენიმე გვარის მომცველი ერთიანი სა-გვარეულო), რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ ისიც „ათ“ „თი“ „ეთ“-ით ბოლოვდება. მაგალითად, ცარგასათების ფრატრიაში შედიან გვარები: ყა-საბუღაევ, თაიმაზოვ, კანტიმიროვ, „სთირდიგორში გაბატონებულთა საგვა-რეულოებს – ყარაბუღაევებს, თაიმაზოვებს და კანტიმიროვებს ცარგასათები ეწოდებოდათ – დონიფირსსა და ლეზგორში კი – გაგუათები“ „გაგუათებს მიე-კუთვნებოდნენ: გობეგკაევები, კანუკოვები, კაბანოვები, ნაიფონოვები, ძირაე-ვები, ძობლიევები, ბერიევები და სხვა“ (გ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 238, შენიშვნა). ცარგარათების წინაპარია ცარგარი (სარგასი), გაგუათებისა კი – გაგო (იქვე, გვ. 196); ცარგასი – ცარგასათი; გაგო – გაგუათი. აქედან ჩანს, რომ ეს გვარები გვარების მაწარმოებელი ქართული სუფიქსებითაა წარმოებული. ეს ჩვენ სრულიად არ გაგვაკვირვებს, თუ გავიხსენებთ, რომ ოსი ხალხის წარმოქმნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონია ორ ეთნიკურ ჯგუფს – ჩრდილო-ირანულს ერთი მხრივ და კავკასიურს მეორე მხრივ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკ. I ტ. 1985, გვ. 58). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დასახელებული „კავკასიური ჯგუფი“ ძლიერ ახლოს მდგარა ქართველებთან, მართლაც, ამ „კავკასიურ ჯგუფს“ ვახუშტი დვალებს უწოდებს (ეთნოგენეზის მეორე ეტაპზე, პირველ ეტაპზე „კავკასოსის“ შთამომავლებსა და ამიერკავკასიელ ტყვეებს, იხ. ზე-

მოთ). დვალები – კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით – ქართული ტომია ოს-ალანების ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ მთიანეთში დამკვიდრებამდე (მონგოლებამდე). ამით უნდა აიხსნას, რომ არა მარტო „თი“ დაბოლოება ახასიათებს ოსურ გვარებს, არამედ „იანიც“. გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსი იანი აქვთ შემდეგ გვარებს: სალონიანი (დუდაროვი), ბადელიანი, ალღუზიანი (იქვე, გვ. 187, 239).

„თაგაურის საზოგადოებაში პრივილეგირებული წოდება იყო თაგაური, ანუ თაგიათა“ (იქვე, გვ. 195). როგორც ზემოთ განვიხილეთ, „ური“ და „თა“ ქართული გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსებია. „თაგიათების (ალდარების) 11 გვარი იყო თაგაურში. თულათოვები, კუნდუხოვები, მამსუროვები...“ (იქვე, გვ. 195). „თაგაურთა“ რამდენიმე გვარად იყოფოდა, ისევე, როგორც საქართველოში ვეშაგურთა გვარში. „ვეშაგურთა გვარში შედიან მახიტანიც, რომლის დანაყოფებია ნანაძიანი, გოგოლიანი, ბალიკიანი, გივინაანი, გამიხარიანი (ჭიჭოლიანი). მახიტაანთ (მახიტაშვილების) წინაპარი ყოფილა მახიტა, რომელიც ქსნიდან მოსულა...“ (ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 145).

სრულიად არ არის შემთხვევითი გვარწარმოქმნის იდენტურობა და გასაოცარი მსგავსება საქართველოსა და ოსეთში, როგორც ეს ზემოთ მოყვანილიდან ჩანს. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ეს გვარწარმოქმნის ათასწლოვანი ქართული სისტემაა.

ასევე ითქმის ტოპონიმიკაზე, განსაკუთრებით „თა“ „ტა“-სუფიქსით წარმოებულზე. „თა“ დაბოლოების მქონე გვარებთან დაკავშირებული ასეთი ტოპონიმებია: ქავთარაანთკარი – ქავთურთკარი (ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ 779). აქ ჩანს, რომ „ურთი“ იგივეა, რაც „აანთი“ ცხვედიათი (გვ. 133); კვერიათი, მახიარეთი (გვ. 136); დავითურთკარი (დავითურები); ჯურხაანთკარი (ჯურხაანი); ვეშაგურთკარი (ვეშაგურები); წითლიანთკარი (წითლიანი) (გვ. 138); ჯუხრათ მთა; ჩუხურიანთი; ცაცხვიანთ ვაკე, წისკვილთვაკე, ტყემლიანთ ვაკე და სხვა (იქვე).

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, რომ ქართული გვარწარმოქმნის მაწარმოებელი სუფიქსები „შვილი“ „იან“ „ან“ „ეთ“ „ათ“ „თი“ „იანთ“ „ანთ“ „ური“ იდენტურებია. მაშასადამე, გოგოჩაშვილი იგივეა, რაც გოგოჩეთი; ქავთარაანთი იგივეა, რაც ქავთურთი; ჩოჩიშვილი – ჩოჩიეთი – ჩოჩითი; ჩიგოშვილი – ჩიგოეთი – ჩიგოთი (შეადარე ვახტანგეთი და სხვა); თამარაანთი – თამარათი; პეტრიაშვილი – პეტრეთი, მეფუტკრიშვილი – მეფუტკრეთი და ა.შ.

ყოველივე ეს ზემოთ მოყვანილი ითქვა ისტორიულ დვალებთან, ანუ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რეგიონებთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება ქართლის მთიანეთს და ქართლის ბარს, სადაც გაოსებული დვალები გადმოსახლდნენ და ადგილობრივი ქართველების ერთი ნაწილი გააოსეს, აქ, ცხადია, გვარების წარმომავლობა ქართულია. მაგალითად, ამჟამად ოსურად მიიჩნევა ისეთი გვარები, რომლებიც ოსების შიდა ქართლში ჩამოსახლებამდე ასწლეულობით ადრე მოიხსენიებიან ქართულ საბუთებსა და ქრონიკებში, როგორც ჩვეულებრივი ქართული გვარები. მრავლადაა ისეთი ოსური გვარები, რომელთა ანალოგია ქართლის მეზობელ კუთხეებში მრავლადაა სვა-

ნეთიდან ხევსურეთამდე, უფრო მეტიც, ოსურად მიიჩნევა ისეთი გვარებიც, რომელთა ქართული ფორმა თვით შიდა ქართლშივეა ცოცხალი.

ქართველთა გაოსება (ცხადია, ამ ქართველებს თავიანთი ქართული გვარები ჰქონდათ) განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში. გ. ჯალაბაძე წერს: „თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეებში მხოლოდ მაღალმთიან ხეობებს მოიცავდა, XX საუკუნეში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიანი გარდამავალი ზოლისაკენ“ (გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებული „შიდა ქართლი“ 1987, გვ. 17–18).

გაოსების პროცესს თვით ხალხი უკვირდებოდა და აფიქსირებდა თავის მახსოვრობაში. ცხადია, ისინი თვითმხილველნი და მომსწრენი იყვნენ იმისა, მათი ნათესავები, მეზობლები თუ განაყოფები როგორ ეწერებოდნენ ოსებად. ასე დაუფიქსირებიათ ბედოშვილების, მელაძეების, ილურიძეების, ბუთხუზების, ჯაბაურების, ხარხაულების, ფსუტურებისა და სხვა უთვალავი ქართული საგვარეულოების ოსებად დაწერის ფაქტი. მათ გაოსებამდე, ცხადია, იგივე ქართული გვარები ჰქონდათ, ხოლო იმის შემდეგ, რაც თავიანთი თავი ოსებად ჩათვალეს, ქართული სახელების მაწარმოებელი სუფიქსები – „შვილი“ „ური“ „იანთი“ „ძე“ და სხვა შეცვალეს რუსული „ევ“ „ოვ“ ანდა რატომღაც ოსურად მიჩნეულ „ეთ“ „ათ“ „თი“ სუფიქსით. მაგალითად, ბედოშვილისაგან აწარმოეს ბედოევი ანდა ბედოთი (ბედოშვილები ცეცხლაძეების განაყოფად მიიჩნეოდნენ).

ქსნის ხეობაში სოფ. ზოხის ძირითადი მკვიდრნი 1774 წ. იყვნენ ოდიშვილები. საინტერესოა ეთნოგრაფიული მასალა ოდიშვილების შესახებ. „ჩვენი წარმოშობა სულ სხვა გვარი იყო. ძირ-გვარი ყოფილა ცეცხლაძე, თავიდან მეჯუდის ხეობის სოფ. აიდისში უცხოვრიათ. მანდ ყოფილან სამი ძმა ცეცხლაძეები (აღსანიშნავია, რომ ცეცხლაძეები 1774 წ. აღწერის თანახმად ჭურვისხევის მკვიდრნი არიან – რ. ა. იხ. ჯავახ. გვ. 184). ერთს ერქვა ბედო, მეორეს მელა, მესამეს ოდი. ესენი ჩამოსულან და დაუკარგავთ ნამდვილი გვარი ცეცხლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად – ოდიშვილად, ბედოშვილად და მელაძედ. მელაძის წინაპარი დასახლდა ჭურთში, ოდიშვილისა – ზოდეხში, ბედოშვილისა – საფარშეთში. მელაშვილები და ბედოშვილები გაოსდნენ, სხვებიც არიან ოდიშვილები. პაპაჩემის გადმოცემით, ისინი ზოდეხში მოდიოდნენ სალოცავად“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი“ „მაცნე“ ისტორიის სერია 1987, №4, გვ. 35).

აი, მეორე საგვარეულო დაკვირვება ხარხელების, ჯაბაურებისა და ფსუტურების გაოსების შესახებ. მათი ერთი ნაწილი ქართველებად დარჩა.

„გუდამაყრიდან გადმოსახლებულა ჯაბაურების წინაპარი. მათი ძირ–გვარი აფციაური ყოფილა. მთხრობელის სიტყვით, „ჩვენი წინაპრები პირველად ქოლვში დასახლებულან, მერე აქ გურთაში გადმოსულან. ჩვენი გვარისები ყოფილან აგრეთვე ქოლთში მოსახლე ხარხელები და ფსუტურები. ზოგი ნახიდში ცხოვრობენ. ნახიდში ბევრი გაოსდა. ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობდნენ“ (იგივე გვ. 39).

ამჟამად ბიტიევები ოსებად ითვლებიან, მათი ძირ-გვარი ძელყორაშვილი ყოფილა.

„ძელყორაშვილების ძირ-გვარი გუთნიშვილი ყოფილა, ძელყორაშვილების გვარს კი შედარებით გვიან (XIX ს. ნახ.) გამოყოფიან ბეკარაშვილები და ბიტიაშვილების გვარი“ (იგივე გვ. 39).

ბიტიაშვილები, ანუ ბიტიაანთი რუსული ადმინისტრაციის გავლენით თავიანთ გვარს აკლებენ გვარმაწარმოებელ ქართულ სუფიქსს და უმატებენ რუსულ „ევ“ – ბიტიაშვილები ბიტიევებად გადაიქცნენ. ქართველთა გაოსების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, სოციალური და რელიგიური მიზეზები არსებობდა. მაინც შეიძლება დავსვათ კითხვა – როგორ შედიოდა ოსური ენა ქართულ ოჯახში? ამ კითხვას პასუხობს მეცნიერი შესაბამისი მაგალითის მოყვანით.

„აქ მოსახლეობენ ქართველები და ოსები. დღეს ქართველთაგან ჭურთში მხოლოდ ილურიძეების და ბუთხუზების გვარი მკვიდრობს. 1774 წ. ჭურთის ხეობაზე, ილურიძეების გარდა, შემდეგი ქართული გვარები მკვიდრობდნენ: ზანგურიძე, ცეცხლაძე, ბუჯიძე, დორეული, შერმადინი (ჯავახ. გვ. 183–185). დორეულები და ბუჯიძეები XVIII–XIX სს მიჯნაზე აქედან აყრილან და ბარში გადასახლებულან. დასახელებული გვარების ყოფილ სამკვიდრო სოფლებში ოსები ჩასახლებულან. ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა ის პროცესები, რომლებიც ამ ხეობაში მოხდა XIX–XX სს. როგორც აღვნიშნეთ, დღეს ბუთხუზებთან ერთად ილურიძე ერთ-ერთი ქართული გვარია ჭურთის ხეობაზე მოსახლე სხვადასხვა ოსურ გვარებს შორის. ცნობილია, რომ ქალი იშვიათად თხოვდება ბარიდან მთაში, ძირითადად პირიქით მოვლენას აქვს ხოლმე ადგილი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ილურიძეებიც, მათ ქვემოდან მოსახლე ქართველთაგან ზემოთ არავინ თხოვდებოდა. ილურიძეების ზემოთ კი ოსები მკვიდრობენ. XIX ს. ილურიძეებმა მასიურად დაიწყეს ოსის ქალებზე დაქორწინება. ქალმა კი, რომელიც ილურიძეთა ოჯახის დედა და რძალი იყო, ამ გვარში შემოიტანა ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები. ილურიძეები დღეს ფაქტობრივად ორენოვანნი არიან. XVIII ს-ის აღწერის მასალებით ილურიძეების ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ანტროპონომიკა ამ პერიოდში მთლიანად ქართული აქვთ. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ქართული სახელები, რომლებსაც ილურიძეები ატარებდნენ... რა თქმა უნდა, აქ მოტანილი ანტროპონიმია კომენტარს აღარ საჭიროებს. გვარსახელი ილურიძე ორმაგი ფორმანტის (ურ-ძე) შემცველია. მათი წინაპარი იმერეთიდან მოსულა, გვარის სალოცავია წმ. გიორგი, რომლის დღეობას ეჭეფობას ეძახიან“ (იქვე, გვ. 35). შიდა ქართლში ამჟამად არსებობს ასეთი ოსური გვარი – ელოევი, მათი განაყარია პავლიაშვილი, ძირგვარი კი გიგაურია. ელოშვილებისათვის ფუძე დაუდვია ელო პავლიაშვილს, ელოანების ანუ ელოშვილების ერთი ნაწილი ელოევებად ქცეულა...

„ქაიჩოხის ერთ-ერთი ძველი მოსახლენი არიან პავლიაშვილები. ეთნოგრაფ გ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი მასალით პავლიაშვილთა ნაწილი ხევიდან მოსული გიგაურების მემკვიდრეები არიან. მოხევე გიგაური დამხვედრ პავ-

ლიაშვილებს შეყრია. „ქსნისხეველი პავლიაშვილები ბოლო დრომდე გერგეტის წმიდა გიორგის კარზე დადიოდნენ თურმე. პავლიაშვილების განაყრებად ითვლებიან ელოშვილები. ახალი გვარსახელის გამოყოფა შედარებით გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში მომხდარა. ამ გვარისათვის საფუძველი დიდი ოჯახის უფროსს ელო პავლიაშვილს მიუცია. 1774 წ. აღწერის დავთარში ასეთი პიროვნება მართლაც გვხვდება. თავდაპირველად ელომ პავლიაშვილების ელოანთა მამიშვილობას დაუდო საფუძველი. შემდეგ კი მოხდა მამიშვილობის გვარსახელად გარდაქმნა. საყურადღებოა, რომ პავლიაშვილების გვარების (პავლიაშვილი, ელოშვილი) წარმომადგენლები იყვნენ ქსნის ხეობის ცენტრალური სალოცავის – ლომისის დეკანოზები“ (იქვე, გვ. 32). როგორც აღინიშნა, ელოშვილების ნაწილი ახლა ელოევებად ეწერება და ოსობს.

ოსებად ეწერებიან ასევე შიუკაევები და სიუკაევები, ეს უკანასკნელი შიუკაევებისაგან არის შ-ს დარბილებით და ს-ში გადასვლით წარმოებული.

შიუკაევების წინაპრები არიან ქართველი შიუკაშვილები, რომლებიც XVIII ს. აღწერისას ქსნის ხეობაში მკვიდრობდნენ. ეს ხეობა მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, ჭურთის გარდა. შიუკაშვილები არა ჭურთში, არამედ ცხაზმაში ცხოვრობდნენ. იმ დროისათვის მათი ქართველობა უეჭველია. „1774 წ. ცხრამმის სოფ. უკანამხარეში ძირითადად მკვიდრობდნენ შიუკაშვილები და ოღაძეები. კამერალური აღწერის მიხედვით, აქ ჩანან მანჯიკაშვილებიც. ეთნოგრაფიული მასალით, ოღაძეთა გვარიდან არიან გამოსული ქართველი პაპიაშვილები“ (იქვე, გვ. 33).

ჯიკაევების გვარი შეიძლება ზემოთ აღნიშნული მანჯიკაშვილების (ანუ მანჯიკაევების) გვარის გადაკეთებით იყოს მიღებული.

ქოქოევის ანუ როგორც რუსულად წერენ, კოკოევის, გვარი ქართული ქოქოაშვილისაგან არის მიღებული. ქოქოაშვილების განაყოფი ყოფილა კაჭიური – „გავაზში უსუფიქსაციო გვარსახელის მატარებელნი – ბუთხუზები მოსახლეობენ. კომპაქტურად მოსახლეობენ ამ გვარის წარმომადგენლები მთიულეთშიც. გავაზში მკვიდრობდნენ კაჭიურებიც (ჯავახ. გვ. 186). კაჭიურების ძირ-გვარი ქოქოაშვილი ყოფილა (იქვე, გვ. 36).

ჩოჩიევების გვარიც მსგავსად არის ნაწარმოები ჩოჩიშვილისგან. ეს გვარი ჩოჩელისა და ჭოჭალის სახითაც იყო ცნობილი. მათი ძირ-გვარი ქარუმიძე ყოფილა: „XVIII ს. საძეგურში მოსახლე ზოგიერთი გვარი დღეს აღარ მოსახლეობს. მათი უმეტესობა საცხოვრებლად ბარში წასულა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სულაშვილები. სულაშვილების საძეგურში მკვიდრობის დამადასტურებელი ტოპონიმებიც შემონახულა („სულანთ ნასახლარები“). ფონეტიკური ცვლილება განუცდია XVIII ს. მოხსენებულ ჭოჭალის გვარსახელს. დღეს ისინი ჩოჩელად იწერებიან. გვარსახელის ფონეტიკური ცვლილება, ჩანს, რუსული ენის გავლენით მოხდა. საერთოდ, ფონეტიკური ცვლილება XIX ს. არაერთმა გვარსახელმა განიცადა. ჭოჭალების (ჩოჩელების) ძირ-გვარია ქარუმიძე“ (იქვე, გვ. 37).

მართლაც, XIX საუკუნეში მრავალმა ქართულმა გვარსახელმა განიცადა ფონეტიკური ცვლილება რუსული ენის გავლენითაც და ადმინისტრაციული იძულებითაც. ამის მაგალითები ჩანს რუსული ხელისუფლების დამყარების

პირველივე წლებში: – 1801 წლის 18 აგვისტოს ოქმში ქართველები ქართული წესით მოიხსენებენ გვარსახელს – „ამილახვრისშვილს“ ხოლო იმავე ოქმში რუსული ხელისუფლება მას მოიხსენებს, როგორც „ამილახოროვს“ იქვე – ჩოლოყაშვილი – ჩოლოკაევად, თუმანიშვილი კი თუმანოვად არის გადაკეთებული (ქართ. სამართ. ძეგლ. VIII, 1985, გვ. 740).

ქართული გვარების ფონეტიკური ცვლილება (ე.ი. გვარწარმოქმნის ქართული სუფიქსების –„ძე“ „შვილი“ „იან“ „თი“ „ეთ“ „ათ“ და სხვა შეცვლა რუსული სუფიქსებით –„ევ“ „ოვ“) დაიწყო XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე და გაგრძელდა მთელი საუკუნის მანძილზე. მიღებულ იქნა ქართული გვარსახელების ახალი ფორმები, რომელნიც მისაღები და გარკვეულ პერიოდში სასურველიც კი ყოფილა ქართველებისათვის, მაგალითად, გვარი რაზიკაშვილი რაზიკოვად გადაკეთდა, ვაჟა-ფშაველა წერდა: ჩემს სიყმაწვილეში ჩემთვის რაზიკოვის ნაცვლად რაზიკაშვილი რომ ეწოდებინათ, მეწყინებოდაო. წერეთელი – წერეთლოვად (აკაკის ბიძაშვილი), ორბელიანი – ორბელიანოვად, გარსევანიშვილი – გარსევანოვად და ა.შ. იქცა. შიდა ქართლშიც ასევე გადაკეთდა გვარები რუსული სუფიქსების დართვით. აღსანიშნავია, რომ აქამდე შიდა ქართლის დაბალი ფენა საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად თავიანთ გვარსახელს აწარმოებდა „იანთი“-ს ან „თი“-ს დართვით, მაგალითად, კობაიძეები იყვნენ – კობათი, გიგაურები – გიგაურთი, კაიშაურები – კაიშაურთი, ლაზუაშვილები – ლაზუანთი (იქვე, გვ. 33), ბაზუაშვილები – ბაზუაანთი (იხ. ვ. ღუნაშვილი, „ქსნის ხეობის წარსულიდან“ მაცნე, ისტ. სერია, 1988, №4, გვ. 89). ასევე დაბოლოება „თი“ დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოსათვის, როგორც ზემოთ იყო განხილული, ასევე იყო შიდა ქართლის მეზობელ ხევშიც. აქ ეწოდება სამანქაშვილებს – სამანქეთი, ჩონიაშვილებს – ჩონიეთი (ამიტომაც სამანქაშვილების ციხეს ერქვა სამანქეთ ციხე, ხოლო ჩონიაშვილების ციხეს – ჩონიეთ ციხე) (იხ. ვ. ითონიშვილი, ხევი, 1984, გვ. 17). „ზაღეთ ციხე (ზაღენი ჩოფიკა-შვილების გვარის ერთი ნაწილია... გუგუეთ ციხე (გუგუენი – ჩოფიკაშვილების გვარის ნაწილია“ (იქვე, გვ. 13).

ამიტომაც, შიდა ქართლში გვარები რუსულ ყაიდაზე გადაკეთების შემდეგ იხმარებოდა ოფიციალური საჭიროებისას, ხოლო შინაურობაში კვლავ „თი“ ან „ანთი“ დაბოლოების მქონე გვარები იხმარებოდა. აქაური მოსახლეობის „ე.ი. ქართველების) ერთი ნაწილის ოსებად ჩაწერისას მათ კვლავ შემორჩათ თავიანთი შინაურული გვარები ქართული სუფიქსით „ანთი“ „თი“ დაბოლოებით. ამ დაბოლოებათა (ე.ი. „ითი“) აღდგენას ცდილობენ ამჟამად რუსული სუფიქსების („ევ“) ნაცვლად.

„ევ“ სუფიქსი საქართველოში ოსთაგან თავდაპირველად თრუსოს ხეობის ოსების გვარებს დაერთო, ხოლო სხვაგან (შიდა ქართლში და სხვაგან) მცხოვრები ოსების გვარი „შვილი“ სუფიქსით ბოლოვდებოდა. „ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი სხვა მასალის მოტანაც. 1886 წ. საოჯახო სიებიდან კვლევის ამ ორბიტაში ექცევა ის, რომ საქართველოში მოსახლე ყველა ოსის გვარსახელი შვილი ფორმანტით იყო გაფორმებული, გარდა თრუსოს ხეობის ოსებისა. თრუსოელი ოსების გვარსახელების ფუძე ძირითადად „ოვ“

(„ევ“) სუფიქსს ირთავდა. მაგრამ თრუსოს საოჯახო სიები სხვა მხრივ იძლევა მასალას ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების გამოსავლენად. სოფ. ალმასიანში (ბაზალიანში) მოსახლე ზაგაშვილებს, მართალია, ეროვნება „ოსი“ აქვთ მიწერილი, მაგრამ მათი „იაზიკ დომაშნიი“ ქართულია. ს-ით ორენოვანია სოფ. კარატკავის მოსახლეობა (ქართული და ოსური). იგივე შეიძლება ითქვას სოფ. ქეთრისის მკვიდრებზეც. სოფ. მნის მცხოვრებლებს კი „იაზიკ დომაშნიი“-ის გრაფაში ქართული აქვთ მიწერილი. რაც შეეხება ოქროყანას (მოსახლეობდნენ: გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ზაგალოვები, კაკაევები), თავდაპირველად აღმწერს „ნაროდნოსტ“-ის გრაფაში „ოსეტინი“ ჩაუწერია, მაგრამ შემდეგ გადაუშლია და იმავე ხელით ზემოდან დაუწერია „გრუზინი“. „იაზიკ დომაშნიი“-ს გრაფაში კი „გრუზინსკიი ი ოსეტინსკიი“ (254-3-1816). ასევე ორენოვანია სოფლების სივრათის, რესის, საუთისის, ტეფეს, ცოცოლდის, შევარდენის მოსახლეობა. სოფ. თოლგოთის მკვიდრთ (ფიტაროვებს და თაყაევებს) „იაზიკ დომაშნიი“-ს გრაფაში ქართული ეწერათ“ (რ. თოფჩიშვილი, XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები... მნათობი 1987, №12, გვ. 160-161).

ზემოთ მოყვანილიდან კარგად ჩანს: აღმწერი ჩინოვნიკი შედის ოჯახებში, ის წინასწარ დარწმუნებულია, რომ იმყოფება ოსთა შორის, მაგრამ ოჯახის წევრების გამოკითხვისას რწმუნდება, რომ მათი საშინაო ენა არის ქართული, რომ ოჯახის წევრებს ქართველებად მიაჩნიათ თავიანთი თავი, ამიტომაც, თავისი ხელითვე შლის მის მიერვე რამდენიმე წუთის წინ წარწერილ სიტყვას „ოსეტინი“ და წერს სიტყვას „გრუზინი“ (იხ. ზემოთ). აღმწერნი თავისი თვალითა და ყურით რწმუნდებიან ოჯახის წევრების პირადი დაკითხვით, რომ თაყაევები და ფიტაროვები ქართველები არიან და არა ოსები, რომ გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ბაღაევები, კაკაევები ქართველები არიან (იხ. ზემოთ), მაგრამ სხვა აღმწერი ზაგაშვილს ეროვნება ოსს უწერს, თუმცა მისი და ოჯახის წევრების ენა ქართულია (იხ. ზემოთ) და ა.შ. რა შეიძლება ითქვას? ის, რომ ამ აღმწერებზე უფრო ადრე აღნიშნული სოფლებისა და მთელი ქართლის მთიანეთის მოსახლეობა რუსულმა ხელისუფლებამ ეროვნებით ოსებად გამოაცხადა. სწორედ ამით არის აღნიშნული აღმწერების დაბნეულობა გამოწვეული, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მთის ოსურ სოფლებში იმყოფებიან, ოჯახებში შესვლისას კი საპირისპიროში რწმუნდებიან. არა მარტო ჩინოვნიკები, არამედ ქართლის ბარის მოსახლეობაც კი დარწმუნებული იყო, რომ ქართლის მთის მოსახლეობა ეროვნებით ოსურია. ამიტომაც მთიდან ბარისაკენ მიგრაციის დაწყების შემდეგ ქართლის ყოველ მთიელს, ბარში ჩამოსახლბულს, ოსად თვლიდნენ „...ყურადღება მივაქციოთ ოსთა შიდა ქართლის ბარში გადასახლების შემთხვევებს. საოჯახო სიები მიუთითებენ, რომ ოსების შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლება ძირითადად მოხდა XIX ს-ის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით 60–80-იან წლებში. აშკარად ჩანს დასახელებული ეთნიკური ერთეული ჯგუფური გადასახლებები აღნიშნული მიმართულებით. სს-ში ზუსტი ჩვენებაა მოცემული იმისა, მთის ამა თუ იმ სოფლიდან ბარის რომელ სოფელში გადასახლდნენ ოსების ოჯახები... საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთისა და ბარის სოფლებში დასახლებული ოსები უმეტესად ხიზნის კატეგორიით არიან მოხსენე-

ბული. მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 1866 წლისათვის დღევანდელი სამხრეთ ოსეთის აოის ცენტრში ცხინვალსა და ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში ახალგორში (დღევანდელი ლენინგორი) არ მოსახლეობდნენ ოსი ეროვნებისანი“ (იქვე, გვ. 160–161).

მთაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასაც ოსებად მიიჩნევდნენ. ეს ჩანს ბესტავაანთ სოფლის მაგალითით. როგორც თვით სახელწოდება უჩვენებს, ეს სოფელი დასახლებული იყო ბესტავაშვილებით. ბესტავაანთ სოფელი ძველი სოფელი იყო და არსებობდა რუსული ხელისუფლების დამყარებამდე. მე-18 საუკუნის 70-იან წლების აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ბესტავაშვილების სოფელში სულ 4 კომლი ოსი ცხოვრობდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. დოკ. 5421), თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ 1870 წელს ბესტავაანთ სოფელში რუსულმა ადმინისტრაციამ ეკლესია „გახსნა“ ეს ნიშნავდა „ოსებად“ გადანათვლას ქართველი მთიელებისა (მათ მართლაც ოფიციალურად „ნათლავდნენ“), ეს ნიშნავს იმას, რომ საბუთებში ბესტავაშვილები ბესტაევებად გადაკეთდნენ, ხოლო ეროვნება ქართველი ოსით შეეცვალათ (იხ. ეკლესიის შესახებ სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 181). სხვათა შორის, ძველი შინაურული გვარი ბესტავაშვილებისა იყო, როგორც თვით სოფლის სახელიდანაც ჩანს, ბესტავაანთი, აქედან – ბესტავათი ან ბესტაუთი. ეს ფორმა ქართულია და არა ოსური.

ქართლის გაოსებული მთიელები წარმოშობით ქართველები რომ იყვნენ, გარდა აღწერის მასალებისა, უჩვენებს მათი ეთნოგრაფიულ-რელიგიური ყოფაც. აქ იგულისხმება მათი წინაპრების მიერ ჯვარ-ხატების საგვარეულო თაყვანისცემა სწორედ ისეთივე სახითა და ფორმით, როგორც ახასიათებდათ მათ მეზობელ ფშა-ხევსურებს, მოხევეებსა თუ სხვა ქართველ მთიელებს.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩრდილო ოსებში, ისე ვაინახებში ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოს სახელი ქართული წარმოშობისა იყო. საქართველოს მთიანეთში ქართველ მთიელებს გააჩნდათ საგვარეულო ჯვარ–ხატები, „ხატი (ჯვარი) მრავალია ხევსურეთში. მაგრამ მთავარი ოთხია – გუდანის ჯვარი, მთავარანგელოზის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, ლიქოკის ჯვარი... თუ ხალხს რაიმე საერთო გასაჭირი მოადგებოდა, მთელი თემი კოპალას ან იახსარის ჯვარს შეევედრებოდა განსაცდელისაგან დასახსნელად. გუდანის ჯვარში „ბრძანებლობენ“ ღვთისმშობლისა და გიორგის ხატები...“ (გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 23). „მთელ ფშავს ერთი საერთო ხატი ჰყავდა – ლაშარის ჯვარი. გვარებსაც ჰყავდათ საერთო საგვარეულო ხატები, როგორც ხევსურეთში. საგვარეულო ხატობას სერობა ჰქვია. სერობა გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ყველა გვარი ცალკე იხდიდა თავის დღეობას. გვარის წარმომადგენლები ყველა მხრიდან იყრიდნენ თავს. მოჰყავდათ საკლავი, ქეიფობდნენ. ამტკიცებდნენ ნათესაობას. თითო გვარის სერობა თითო კვირას გრძელდებოდა. ერთი გვარი რომ გაათავებდა სერობას, მეორე დაიწყებდა, მეორეს მოსდევდა მესამე“ (იქვე, გვ. 72). მაშასადამე, ქართველი მთიელების ყოველ საგვარეულოს გააჩნდა თავისი საგვარეულო ჯვარი (ხატი), რომლის დღეობაზეც მთელი ამ გვარის მქონე ნათესაობა იკრიბებოდა და ამტკიცებდა თავის ნათესაობას. შემთხვევითი არაა, რომ ქართლის მთიანეთშიც საგვარეულოებს გააჩნდათ თავიანთი საგვარეულო ჯვრები. მაგალითად, სოფელ მორგოში

არსებული „მორგოს ჯვარი“ ჯიოევების მფარველია, ბიბილურთა ჯვარი – ცხოვრებოვებისა (ს. მსხლები), „მიქელგაბრიელი“ – გაგლოევებისა (ს. კუსჯითა), ბაგაევები თავისად მიიჩნევდნენ „მთავარანგელოზს“ და სხვა. „ყველა საგვარეულო „ძუარები“ ხასიათდებოდა ისეთივე ხასიათით, როგორც საერთო და სოფლის ძუარები ოსეთსა სიწმინდის არსებობა, დღესასწაული წლის გარკვეულ დღეებში, მსხვერპლად ცხვრების, ხარების მიყვანა და მოწყობა ყოველწლიური ქეიფებისა დღესასწაულის დღეებში“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 162–163). თითქმის ასევე იყო ფშავ-ხევსურეთშიც – „სხვა ხატებიც არიან – საგვარეულო, სათემო ხატები, მაგ., ზეისტეჩოს ხატი. ეს არის მხოლოდ არაბულებისა... ხევსური ხატობაში ვერ წავიდოდა, თუ საკლავი არ ჰყავდა“ (ო. თედორაძე, გვ. 27). „ფშავის ხატობაში დაკვრაც შეიძლება, ცეკვა-თამაში, ქალ-ვაჟთა გახუმრებაც... ხატობა ფშავში უკვე ქეიფის მიზეზად იქცა...“ (იქვე, გვ. 72).

ქართლის მთიანეთში „გვხვდება დღესასწაულები, რომელსაც მთელი ხეობა იხდის, მაგალითად, „კომი ძუარ“ „ჯერი ძუარ“ „რიგი ძუარ“ და სხვა“ (სამხრ. ოსეთის ... გვ. 162). („ძუარ“ იგივეა, რაც ჯვარი (ხატი).

ფშავ-ხევსურეთშიც, მაგალითად, „ლაშარის ჯვარის ფშავლების საერთო სალოცავად, ბატონად, მცველად, მეფედ ითვლებოდა“ (გ. თედორაძე, გვ. 72). ასევე მთელი ხევსურეთის საერთო სალოცავი გუდანის ჯვარი იყო. ცალკე ხევებსა და სოფლებს თავიანთი ჯვრები (ხატები) ჰქონდათ. ასევე იყო ქართლის მთიანეთშიც (ე.ი. „სამხრეთ ოსეთში“). „საგვარეულო კულტებთან ერთად აქ იყო სასოფლო ძუარები, რომლებსაც ეთაყვანებოდა მოცემულ სოფელში მცხოვრები ყველა გვარი. მას შეიძლება მივაკუთვნოთ კვაისაი ძუარი (მდ. ჯეჯორას ხეობა), ხისტი ძუარ (სოფ. რუკ, მდ. დიდი ლიახვი) და სხვა. ქართულ-ოსური მოსახლეობის მქონე სოფლებში ოსები ქართულ დღესასწაულებს იხდიდნენ, მაგალითად, „ღვთისმშობლობა“ „გომართობა“ „კარასეტობა“ „სამება“ და სხვა. სამხრეთ ოსეთში იყო მრავალი სახალხო დღესასწაული, რომელთაც რამდენიმე სოფელი ერთად იხდიდა: „დაუჯითა“ (სოფლების ედისა, ბიტათა, საბა, ზგუბირ), „მკალგაბირ“ (კობეთი, ჩასავალი, ლესორი, კერველი და ა.შ.) (სამხრ. ოსეთის ... გვ. 162).

აქ „მკალგაბირ“ სხვა არაფერია, თუ არა „მიქელგაბრიელი“ – ოსური ენის ყაიდაზე მოწყობილი. მაშასადამე, „მიქელგაბრიელობის“ დღესასწაულს ერთად იხდიდა აღნიშნული სოფლის მოსახლეობა ისევე, როგორც ქართველებით დასახლებულ სოფლებში ოსები იხდიდნენ მსგავს დღესასწაულებს, ოღონდ სახელების დამახინჯების გარეშე.

საერთოდ, ზემოთ აღწერილი იმას მიუთითებს, რომ მართალი იყო ვახუშტი, როცა სამხრეთელ ოსებს უწოდებდა გაოსებულ დვალებს. დვალები მკვიდრი იბერიული ტომი იყო, ასევე მართალი არიან ეთნოგრაფები, როცა მთიელი ქართველების გაოსებაზე წერენ. ზემოთ მოყვანილი იძლევა უფლებას მიქელგაბრიელის სალოცავის თაყვანისმცემელი გაგლოევები ყოფილ ქართველ ქრისტიან გაგლოშვილებად მივიჩნიოთ, მორგის ჯვრის თაყვანისმცემელი ჯიოევები – ჯიოშვილებად, ბიბილურთა ჯვრის თაყვანისმცემელი ცხოვრებოვები – ცხოვრებაშვილებად, მთავარანგელოზის თაყვანისმცემელი ბაგაევები – ბაგიაშვილებად, თომაევები – თომაშვილებად. დვალების გაოსების

შემდეგ მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილო კავკასიის ადმინისტრაციულ რეგიონში მოექცა, იქიდან გაოსებული დვალების ნაწილი ჩრდილო კავკასიის ბარშიც ჩასახლდა, ამიტომაც ჯვრის თაყვანისცემა იქაც იცოდნენ. თუმცა, საქართველოდან აქ ადრევე იყო დანერგილი ჯვრის კულტი (ინგუშეთშიც), მაგრამ საგვარეულო ჯვრები მხოლოდ საქართველოში ჰქონდათ.

ზემოთ ნახსენები იყო ბიბილურთა ჯვრის თაყვანისმცემელი ცხოვრება-შვილები, ერთი შეხედვით, ბიბილურთა წინაპარი ნამდვილი ოსური წარმოშობისა იყო, როგორც ამას უჩვენებს „ძეგლი ერისთავთა“ მაგრამ სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, რამეთუ „ბიბილური“ აღნიშნულ შემთხვევაში ერთი ადამიანის გვარია, მაგრამ „ბიბილური“ სხვა შემთხვევაში სადაურობის მაჩვენებელია და ის სხვადასხვა წარმომავლობის ოჯახების გვარადაც შეიძლება ქცეულიყო. საქმე ისაა, რომ „ბობალეთი“ (ანუ ჩანს „ბიბილეთი“) ერქვა „ქვეყანას“ ანუ ხევს. ამ ქვეყნის, ანუ ხევის ყოველი მკვიდრი გვარი ბიბილური, ანუ „ბიბილუელი“ იყო.

„ძეგლი ერისთავთაში“ მოთხრობილია ასეთი ამბავი: დვალეთში მოვიდა ერთი უცხოელი მთავარი, რომელიც თავისი ქვეყნიდან გააძევეს. ის ეუბნება დვალებს, მე ჩემს სამთავრო ღირსებაზე უარს ვაცხადებ. თუ გნებავთ, მომეცით ახალი გვარსახელი იმ ქვეყნის სახელწოდების მიხედვით, რომელიც თქვენ გსურთო. დვალებმა მისცეს მას ქვეყანა ბობალეთაი და უწოდეს ბიბილური ამ ქვეყნის სახელის მიხედვით. უცხოელი ამბობს: „არა გვერქვას მეფე, არამედ ქვეყანასა მას, რომელ მომცეთ, სახელი მისი გვერქვას ჩვენ. მაშინ მისცეს ქვეყანაი ბობალეთა და უწოდეს ბიბილურნი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. II, 1965, გვ. 102). დვალები ამბობენ მოსულთა შესახებ: „დაღათუ სახელ-ვსდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გვარ-ნათესაობასა მათსა“ (იქვე, გვ. 102). მაშასადამე, „ბიბილური“ გვარ-ნათესაობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ სადაურობისა. მაშასადამე, ბიბილური სადაურობის მანიშნებელი გვარსახელი იყო. „...ჟამურში ოსური მოსახლეობა მოსული იყო. ადრე იქ ქართველები მკვიდრობდნენ, რომლებიც დაბლობისაკენ გადასახლდნენ, ერთი ასეთი გვარი ჟამურელი, დღეს ქსნის ხეობის მთისწინეთში მკვიდრობს“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ... გვ. 31).

მაშასადამე, როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, ბიბილური შესაბამის ხეობაში დამკვიდრებულთა სადაურობის მანიშნებელ გვარსახელადაც შეიძლებოდა ქცეულიყო დროთა ვითარებაში.

ზემოთ მოყვანილი სხვა ამბის მანიშნებელიცაა. „ძეგლი ერისთავთა“ უჩვენებს, რომ დვალეთის ტოპონიმიკა ოსების იქ დამკვიდრებამდე ქართული იყო.

შიდა ქართლის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნიკური თვითშემეცნების ცვლილება რომ მოხდა მათი გვარსახელების ფაქტიური ცვლილების გარეშე, ეს ყოველმხრივ გაცნობიერებული ფაქტია. მაგალითად, ზოგიერთ ავტორს თაყაიშვილი, ბარათაშვილი, თარხნიშვილი, სააკაძე და სხვა მრავალი მიაჩნია გაქართველებულ ოსად. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ გვართა მატარებლების ეთნიკური თვითშემეცნების ცვლილება ნამდვილად მოხდა, ე.ი. ადამიანს თავისი წინაპრების გვარი დარჩა (აქ მნიშვნელობა არა

აქვს საგვაროვნო სუფიქსების ცვლილებას), მაგრამ თვით მისი ეთნიკური თვითშემეცნება შეიცვალა. „...ქართული გვარების მქონე უამრავი პიროვნება გაქართველებულ ოსად ცხადდება და თანაც იტუქსება: „წინაპართა ენისა, ეროვნების დაკარგვა ძალზე სამარცხვინო საქმეა“ (იხ. გ. მამითის სტატია ოსურ ჟურნალში – „ფიდი“ 1989, №3). ვინ დაამტკიცა, რომ ბარათაშვილი, თარხნიშვილი, თაყაიშვილი, სააკაძე და სხვა მრავალი წარმოშობით ოსური გვარებია, შემდეგ „გაქართველებული“? ან შეიძლება კი საერთოდ არარსებულის დამტკიცება? (ბ. ჯორბენაძე, „ახალგაზრდა კომუნისტი“ 10.X.1989). არსებობს „...მთელი წყება ქართული გვარების თითქოსდა ოსური წარმოშობის ჩვენების წარუმატებელი ცდა“ (ბ. გვასალია, დასახ. ნაშრომი).

აქ უნდა ითქვას, რომ თაყაიშვილები, თარხნიშვილები, ბარათაშვილები, სააკაძეები და მათი წინაპრების ძირ-გვარები ჯერ კიდევ მაშინ მოიხსენიებიან ქართულ ქრონიკებსა და წერილობით წყაროებში, როცა არ იყო ფორმირებული ოსური მოსახლეობა იმ სახით, რომელიც მას ამჟამად გააჩნია (კერძოდ, დვალეთში ოს-“ალანების“ დამკვიდრებამდე). ცნობილია და ეს აღიარებულია გამოჩენილი ოსი მეცნიერების მიერ, რომ ოსურმა მოსახლეობამ დღევანდელი ეროვნული სახე მიიღო მხოლოდ ცენტრალურ კავკასიაში მათი წინაპრების დამკვიდრებისა და ადგილობრივი კავკასიელი ხალხის ურთიერთშერევის შემდეგ, ეს კი მოხდა მხოლოდ XII–XIV საუკუნეებში მონღოლთა ურდოებისა და თემურლენგის შემოჭრის შემდეგ. აქედან სრულიად ცხადია – გაოსდნენ სწორედ ცენტრალურ კავკასიაში დამკვიდრებული ხალხები. მაშასადამე, ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ცენტრალურ კავკასიაში, თავისი მნიშვნელოვანი კულტურითა და საგვარეულოებით, ოსებად იქცა. „ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოსების მოძრაობა გააძლიერა აგრეთვე ჯერ სამხრეთ რუსეთისა და შემდეგ დასავლეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი ტომების ექსპანსიამ და უეჭველად საგულისხმოა ის აზრი, რომ ოსების კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კავკასიელ ხალხებს შორის ეძებნებათ თავისი ისტორიული ადგილი და ისინი აქ ახალ კავკასიურ ტიპად ჩამოყალიბდნენ... ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ოსებს, რომელნიც მოსული ირანული ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან, დამხვედრი მცხოვრებნი არც გაუჟლეტიათ და არც თვითონ გაწყვეტილან, არამედ შეხამებიან, მოხდა ასიმილაცია და ამის შედეგად წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი“ (ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, 1984 წ. გვ. 7). ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბდა ახალი ხალხი. ეს ახალი ხალხი, ე.ი. თანამედროვე ოსები, ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ხალხის ურთიერთშერევის შედეგად, კერძოდ, „რომელიღაც მოსული ირანული ტომი“ და კავკასიელი „დამხვდურნი მცხოვრებნი“ ერთმანეთში ერევიან, „ეხამებიან“ ხდება მოსულთა ენის მიერ ადგილობრივი ასიმილაცია. ყალიბდება ახალი ხალხი, ეს ახალი ხალხი თავისი ბუნებით „ახალ კავკასიურ ტიპად ყალიბდება“ მაგრამ მაინც როდის ჩნდება ისტორიის ასპარეზზე ეს ახალი ხალხი, ე.ი. „ახლანდელი ოსური ტიპი“? – საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მოხდა თემურლენგის ლაშქრობათა შემდეგ. აქამდე ხომ უკვე არსებობდნენ თარხნიშვილების, თაყაიშვილების, სააკაძეების საგვარეულოები და მათი ძირ-გვარები? დიახ, ეს საგვა-

რეულოები ამ „ახალი ტიპის“ ჩამოყალიბებამდე არსებობდა. მაშასადამე, თუ კი ამჟამად რომელიმე თაყაიშვილი თუ „სხვა უამრავი“ ოსურად აცხადებს თავის გვარს, უნდა ვიცოდეთ, რომ მოხდა ამ საგვარეულოთა მატარებლების გაოსება, ანუ მათი შერწყმა „ახალ ოსურ ტიპში“ და არა პირიქით.

ვ. აბაევი ასკვნის: „ოსურში ჩვენ საქმე გვაქვს კავკასიურის არა მარტო გავლენებთან, არამედ სუბსტრატთან... ოსების ეთნო-ლინგვისტური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც მხოლოდ გარეგანი, უცხოური ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორიც“ (იქვე, გვ. 7).

„ჯერ ნ. მარი და შემდეგ ვ. აბაევი ავითარებენ დებულებას: ინდოევროპელ სომხებს და ირანელ ოსებს აბორიგენი კავკასიელებისაგან იმდენი რამ შეუსისხლხორცებიათ, რომ მეორეთაგან პირველთა მოწყვეტა უკვე აღარ შეიძლება – სომხებისა და ოსების ენასა და ყოფაში კავკასიური სუბსტრატი არა მხოლოდ დანაფენები, არამედ შინაგანად შერწყმული მოვლენაა“... ნ. მარისა და ვ. აბაევის დასკვნებით ოსურ ეთნიკურ სახელებსაც კი – ირონ, დიგორ, თუალ, არაფერი აქვთ საერთო ირანთან და წარმოადგენენ ადგილობრივ (კავკასიურ) ძველ ეთნიკურ სახელებს“ (იქვე, გვ. 43). მაშასადამე, თანამედროვე ოსი ხალხი ჩამოყალიბდა ორი აბსოლუტურად განსხვავებული ეთნიკური ერთეულის, ორი სხვადასხვა წარმოშობის ხალხის ურთიერთშერევის შედეგად – ვახუშტი არ უარყოფს ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებული ოსების მსგავს წარმოშობას, მაგრამ შიდა ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები, მისი აზრით, ორი სხვადასხვა ხალხის ურთიერთშერევის შედეგად კი არ არიან წარმოქმნილი, არამედ წარმოადგენენ დვალებს, რომლებიც გაოსდნენ და ჩამოსახლდნენ შიდა ქართლის მთიანეთში. ყოველ შემთხვევაში, ამ ხალხს ადგილობრივ – ქართულ-კავკასიური ნიშან-თვისება გააჩნია. მართლაც, აქ, შიდა ქართლში, დვალები, უკვე გაოსების გზაზე მდგარნი, ჩამოსახლებულან რამდენიმე ტალღად. პირველად ჩამოსახლდნენ, როგორც ოსურ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეული ძალა, XII–XIV საუკუნეებში, შემდეგ გიორგი ბრწყინვალის დროს ისინი კვლავ უკან, ისტორიულ დვალეთში დაუბრუნებიათ. „...დიდი ლიახვის მთელი ხეობა უფრო ძველ ფენაში ქართულია, შემდეგ თანდათან ჩნდება აქ ოსური მოსახლეობა“ (იქვე, გვ. 270). დვალთა და გაოსებულ დვალთა პირველ შემოჭრას ლიახვის ხეობაში უკვალოდ არ ჩაუვლია – „...მთელს ლიახვის აუზში უძველეს წარწერებსა და უახლესს შორის დიდი ხარვეზია. VIII–XII საუკუნეების ისტორიული ნაგებობანი ერთბაშად და ერთდროულად დანგრეულად გვეჩვენება, უმთავრესად XIV–XV საუკუნეებში... შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებო ძეგლი აღარც კი ჩანს XVII საუკუნემდე და უკვე არა საკულტო, არამედ საცხოვრებელი და თავდაცვითი სიმაგრეები იგება; წარწერებიც ძირითადად ახალი ქართული ასოებით გვხვდება“ (იქვე, გვ. 12). მთიელ გაოსებულ, ე.ი. გაწარმართებულ დვალებს, ცხადია, საკულტო ნაგებობანი აღარ სჭირდებოდათ, თუმცა კულტურულ კავშირს ქართველ ხალხთან ძველებურად აგრძელებდნენ. ისინი კულტურულ-ისტორიულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც, ოსური ნართები მათ ქართულ დარეჯანიანის გმირებად მიიჩნიეს და ასევე უწოდეს, ახსოვდათ და პატივს

სცემდნენ ვახტანგ გორგასალს, თამარს, ერეკლეს, „ლიახვის ხეობის ოსების ცოცხალ სიძველეებს (ე.წ. „ჟივაია სტარინა“) უფრო მეტად, ვიდრე ჩრდილო ოსების ფოლკლორს, ატყვია ქართული ზეპირსიტყვიერების კვალი. თითქმის ყოველ სოფელში გაიგონებთ თქმულებებს დარეჯანთების (ნართების) და დარეჯანიანების (ქართული გზით), ამირანისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ისტორიული პირების – ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფის, ერეკლესა და სხვათა შესახებ“ (იქვე, გვ. 271).

სხვათა შორის, ჯერ კიდევ გერმანელმა მეცნიერ-მოგზაურმა გიულდენ-შტედტმა წერილობითი სახით დაადასტურა, რომ დღევანდელი ჯავის რაიონში, დიდი ლიახვის ზემო წელზე, მრავალი ქართული სოფელი არსებობდა. XVII ს-ის ბოლოს ისინი ოსურ გარემოში მოხვედრილან. მათი გაოსების ეპიგრაფიკული სურათი ჯერ კიდევაა შემორჩენილი ამ რაიონში. საფლავის ქვებიდან ჩანს, რომ თუ მამა-პაპა ატარებს ქართულ გვარს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, შვილმა ოსურ ყაიდაზე მოაწყო თავისი გვარი. ამ მაგალითების მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ მამა-პაპამ თუ კარგად იცოდა ქართული ენა, XX ს-ის დასაწყისში შვილებისათვის ეს ენა უცხო ენად არის ქცეული. მათი მშობლიური ენა უკვე ოსური ენაა – „...ადგილობრივ ოსთა უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია, ისინი მშობლიური ოსური ენის გარდა ქართულ ენაზეც მეტყველებენ“ (ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 230). თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ იცოდნენ ქართული ენა, როგორი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო გიულდენშტედტის დროს, XVII საუკუნის ბოლოს? კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ქართველობას ეროვნული სახე XIX საუკუნეში შეუცვლია. მაგ. სოფ. გუფთაში ჯიოევები და თიგიევები ცხოვრობენ, მათი წინაპრების საფლავის ქვებს კი აწერიათ ჯიოშვილი, თიგიშვილი. ყურადღება უნდა მიექცეს საფლავის ქვის ენასაც, თუ კი საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ და ყველა სხვა მიცვალებულთა საფლავებს ძალზე გამართული და ჩვეულებრივი ქართული ენით აქვთ გაკეთებული ეპიტაფიები, საუკუნის ბოლოსათვის საფლავების წარწერების ქართული ენა მდარე ხდება, ხოლო შემდეგ საერთოდ ისპობა ქართულენოვანი წარწერები. აღნიშნულ სოფელ გუფთაში არის ჩვეულებრივი ქართულით გაკეთებული ტატო ბიბლიას ძე ჯიოშვილის, ტატო კიკოს-ძე ჯიოშვილის, სოსიკო ჯიოშვილის მეუღლის, ქალამანას XIX ს. ეპიტაფიები, არის თიგიშვილების მშვენიერი ქართულით დაწერილი ეპიტაფიები, ერთი ქართული ლექსია, გასიშვილებისა (ახლა გასიევები) და ფილიშვილების (ახლა პილიევები) – ქართული ეპიტაფიები (იქვე, გვ. 234–235). „ჯიოევების ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილად იხსენიება. მაშასადამე, მათ წინაპარს ბიჭიკა რქმევია“ (იქვე, გვ. 236). საერთოდ, აქ როგორც წესი, მღვდლებად ქართველები მსახურობდნენ (მაშინ არ იყვნენ ოსი მღვდლები, შემდეგ ეგზარხოსმა აკურთხა რამდენიმე). ერთი ჯიოშვილი აქ მღვდელი ყოფილა და მას სიონშიც უმსახურია – „ამ ადგილზე ძველი საყდარი იყო... მისი უკანასკნელი მღვდელი ყოფილა მორგოელი – ჯივაშვილი, ანუ ჯიოევი, რომელიც შემდეგ თბილისის სიონში მსახურობდაო“ (იქვე, გვ. 237).

სოფ. ჯარშია ქოთოლაშვილების ეპიტაფიებია და არა ქოთოლოვებისა და ქოთოლითებისა, როგორც ახლა იწერებიან ეს გვარები (გვ. 238). სოფ. ნი-

ნიაში თუ კი 1894 წელს საფლავის ქვაზე აწერია გვარი ქარსანიშვილი, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ აწერია ქარსანოვი (იქვე, გვ. 239). თუ კი სოფ. მსხლებში 1880 წლის ეპიტაფიაზე მშვენიერი ქართულით მოიხსენება „ცხოვრებაშვილი“ რამდენიმე წლის შემდეგ – უკვე „ცხოვრებაევი“ წერია (გვ. 242).

საინტერესოა ცნობა ცაბაევების შესახებ. „ვასილ ცაბაევის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბაევი წერია. ვასილს ვეკითხები, ჩაბაევი და ცაბაევი განა ერთი და იგივეა? მისი პასუხია: ასე იყო, ჩაბაშვილს გვიწოდებდნენ, მაგრამ აგერ 50 წელიწადია, ცაბაევს (ცაბათი) გვეძახიანო, (შდრ. ჩოჩითი – ჩოჩიევი, ცოცითი – ცოციევი)“ (იქვე, გვ. 246). ჯავაშია ეპიტაფია ქართულით, დაწერილი 1870 წელს „ბათო სანაყოშვილისა“ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ კი „სანაყოევი“ წაუწერიათ ახალ საფლავის ქვაზე. მოღწეულ 1860, 1890, 1876 საფლავის ქვებზე ყველგან სანაყოშვილია წარწერილი – „...ადრინდელ წარწერებში ახლანდელი გვარი სანაყოევი სანაყოშვილად იხსენიება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ. იხ. ზემოთ 1873 წ. ერეკლე სანაყოევის საფლავის ქვის წარწერა; ე.ი. თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ გვარების გარუსულება (იქვე, გვ. 249).

ქოქოევები კი არ ეწერა ძველ საფლავებზე, არამედ ქოქოშვილი (გვ. 249).

„ერთ-ერთ წარწერაში (1903 წ.) იხსენიება „...ბაბაშვილის ასული, ლექსა თედეშვილის მეუღლე“ (გვ. 250). იქვეა ცხოვრებაშვილის საფლავის ქვა და არა ცხოვრებოვისა (გვ. 250).

ჯავაშია თანდილაანთ უბანი. თანდილაანთ, ანუ ქართული ენის ბუნების შესაბამისად თანდილათი, ოსურ თანდილეთად ქცეულა (გვ. 250). სწორედ ზემოთაღნიშნულის (ე.ი. ამ რაიონში ძველი ქართული მოსახლეობის არსებობის) გამო „სამხრეთ ოსეთის, განსაკუთრებით ჯავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხედავთ ქართულის მსგავს თქმულებებსა და ლეგენდებს“ (გვ. 251).

სოფ. ხეწეში 1890 წლამდე ყველა საფლავის ქვას „თიბილაშვილი“ ეწერა და არა „თიბილოვი“ (გვ. 254–255). აქ ძველქართული გვარები არა მარტო „შვილი“ სუფიქსით ბოლოვდება, არამედ ძე-თიც. არის 1912 წლის წარწერა – „ქვაზაძე“. თითქმის მხოლოდ მეოცე საუკუნიდან იწყება ქართულენოვანი ეპიტაფიების გვერდით ოსურენოვანის გამოყენებაც გვ. 255). იხსენიება ჯერ „ხარებაშვილი“ მერე „ხარებაოვ“ (გვ. 256). იხსენიება არა ფარასტაევი, არამედ ფარასტაშვილი 1884 წ. (გვ. 257), „თიბილაშვილი“ და არა „თიბილოვი“ გათიკოშვილი და არა გათიკოევი, ქოქაშვილი და არა „ქოქაევი“ „დედაშვილი“ „თიბილაშვილი“ (1861 წ.) (გვ. 26–2263). ახლაც კი მოხუცები თავიანთ გვარს აწარმოებენ ქართული სუფიქსის დართვით. „კროზელი დრიშ ლევანის-ძე თიბილაშვილი (მოხუცები ასე აწარმოებენ თავიანთ გვარებს) გვარწმუნებს, რომ 111 წლისაა“ (გვ. 265). „გვაჩვენეს პირობის ორი ხელწერილი, 1908 წლის 12 მარიობისთვეს დაუწერიათ ქართულად: რაზდენა თიბილაშვილი და მიშა ფარასტაშვილი შეთანხმებულან ერთ სადავო საკითხში“ (გვ. 268). არა „ვალიევი“ იხსენიება ძველ საბუთში, არამედ ვალიშვილი (გვ. 269).

სოფ. ვაანელი სასოფლო საბჭოში შედის სოფელი „ბაღიანთ კარი“ – შემოკლებით „ბაღიათა“ ახლა ბაგიათა, წარწერაში მოიხსენიება არა „ბაგიაევი“ არამედ ბაღაშვილი (გვ. 273).

პირველი მღვდელი ედისში ოქროპირიძე ყოფილა“ (გვ. 291), იქვე დაბადებულა მისი ვაჟი, „რომელიც შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპოსადაა ცნობილი“ (გვ. 291). აღსანიშნავია, რომ მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელის საბჭოში მცხოვრები ოქროპირიძეები ოსებად აცხადებენ თავიანთ თავს ქართლის მთიანეთიდან ბარში გადასახლების გამო. არსებობს მასალა, რომ ძველად იხმარებოდა არა ყოროევი, არამედ „ყაროშვილი“ (გვ. 297), არა ბაგიზოვი, არამედ „ბეგიზაშვილი“ (გვ. 301). გარდა ამისა, მრავალი ლეგენდა, თქმულება, წეს-ჩვეულება, ჯვარ-ხატების, ეკლესიების სახელები თუ საგვარეულო თაყვანისცემა მიუთითებს აქაური მოსახლეობის ქართულ წარმომავლობას (ე.ი. ადგილობრივ ქართველობას შეერივნენ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული დვალები, რომელთა ასიმილაცი – აშერევით ჩამოყალიბდა აღნიშნული რაიონის მოსახლეობა.

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო ძველი ქართული წერილობითი მონაცემები, რომელთა ანალიზი მიუთითებს ზოგიერთი ოსური გვარის ქართულ წარმომავლობას. მაგალითად, ხარებაშვილებს (ანუ დღევანდელი ხარებოვების წინაპრებს) ქართული სამართლის ძეგლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მოიხსენიებდა როგორც მღვდელებს. ხარებაშვილი, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი შეეხება, უეჭველად ქართველია, ოსი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ მიუთითებდა მისი მომჩივანი ეპისკოპოსი. 1793 წლის 16 თებერვალს მროველი ეპისკოპოსი ჩივის ვახტანგ ბატონიშვილთან იმის შესახებ, რომ „ხარებაშვილის გიორგის მღვდელი აბისი სოფელი მივაბარე სანახევროთ, რაც ეშოვა, შუაზე უნდა გაეყო“ (ქართ. სამართ. ძეგლები, VIII, გვ. 196), მაგრამ არ გაუყვია და შინდისში გადასულა.

ასევე ითქმის მარღიშვილების (ახლანდელი მარგიევების) შესახებაც. ისინი კიდევ უფრო ადრე, XVII საუკუნიდანვე მოიხსენიებიან წერილობით საბუთებში (ქართ. სამართ. ძეგლები, VII გვ. 690–691), მარღიშვილების ერთ შტოს ჯავახეთთანაც აქვს კავშირი. ისინი თუმანიშვილების ყმები ყოფილან (ქართ. სამართ. ძეგ. VIII, 1985 წ. გვ. 90).

შიდა ქართლში არა მარტო ყმა გლეხები (ხიზნები) გაოსებულან, არამედ თავადებისა და აზნაურების ნაწილიც კი, მაგალითად, ახლანდელი ბორტიევების წინაპარი ბორტიშვილები მაჩაბლების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ. „მაჩაბლების გვარი თავადურ სახელებად დაიყო, ზაალიშვილებად, გიორგიშვილებად, რევაზიშვილებად, ბორტიშვილებად“ (ქ.ს.ე. 6, გვ. 509), ოსობენ რევაზოვებიც (რევაზიშვილები).

ახლანდელი დიაკონოვების წინაპრები, დიაკონაშვილები იხსენიებიან XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისიდან – „გორელმა ვაჭარმა დიაკონაშვილმა სტამბოლში გარდაცვლილი სიმონ მეფის ნეშტი საქართველოში წამოასვენა. ამ სამსახურისათვის იგი ოჯახიანად გააზატეს და ჯვრის მონასტერს შესწირეს“ (ქართლის ცხოვრება, II გვ. 537 – წიგნიდან – „ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები“ 1988, გვ. 28).

მსგავსი მაგალითები ისე მრავლად არის, რომ შესაბამისი კვლევა-ძიების შემდეგ მათ გამოცემას, ალბათ, ტომები დასჭირდება.

ასეთი წერილობითი მონაცემების გარდა არის ტოპონიმური მასალებიც, რომლის საშუალებითაც შეიძლება ზოგიერთი გვარის ისტორიის დადგენა, მაგალითად, თედეევების (თედიაშვილების) ერთი შტოსი. ვახუშტი სადგერის ხეობაში ასახლებს სოფელ თედიანთ-უბანს (ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, 1957, გვ. 26). ეს, ს. მაკალათიას მიხედვით, არის წაღვერი. ცნობილია, რომ ვახუშტის დროს ოსები ჯერ კიდევ ცენტრალური კავკასიონის ხეობებსა და მდინარეთა სათავეებში ცხოვრობდნენ. მაშასადამე, თედიანთ უბანს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ოსებთან. თედიანთ უბანი იგივეა, რაც თედიაშვილების უბანი. მაშასადამე, თედიაშვილები ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ და ოსებთან არაფერი არ აკავშირებდათ, ისინი ბორჯომელი მემამულე ავალიშვილების ყმები იყვნენ. ავალიშვილები, რომელთაც სადგერის ხეობა ეკუთვნოდათ, ვახუშტის შემდეგ XVIII საუკუნეში თავიანთი გლეხებით შიდა ქართლში გადასახლდნენ – „ავალიშვილებმა ვერ შეძლეს მტრებთან გამკლავება და თავიანთი გლეხებით შუა ქართლში გადასახლდნენ“ (იქვე, გვ. 31). ე.ი. თედიაშვილები შიდა ქართლში გადასახლდნენ ბორჯომის ხეობიდან. აქ ისინი XIX საუკუნეში ჩანან.

როგორც აღინიშნა, გვარების რიცხვი, რომელთა ქართული წარმომავლობის შესახებ მიგვითითებს ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული თუ სხვა მასალები, ძალზე დიდია, შეიძლება ითქვას, ასეთი გვარები უთვალავია.

ქართველების გაოსება უმაგალითო არ ყოფილა, სწორედ იმავე დროს და იმავე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქართველების გასომხების პროცესი. მაგალითად, ახალგორში – „...სომხურ გრიგორიანულმა ეკლესიამ შეძლო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის „გასომხება“ (გასომხება რელიგიური თვალსაზრისით). ახალგორის „გასომხებულ“ მოსახლეობას შორის შეიძლება დავასახელოთ როსტევანიშვილები (როსტევანოვები), გათენაშვილები (გათენოვები) – ძირად გიგაურები, მეარაყოვები (მეარაგოვები) და სხვა“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობა, გვ. 38).

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მიუთითებს იმის შესახებ, რომ საქართველოს დაშლისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ (XVI–XIX სს) მიმდინარეობს ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პროცესი. ეს პროცესი ეროვნულმა კონსოლიდაციამ ვერ შეაჩერა და ქართველთა გაოსება XX საუკუნეშიც გაგრძელდა. ამას ეთნოგრაფები მაგალითებით ადასტურებენ.

1990 წელი

ადგილობრივთა ასიმილირების ე.წ. ოსური ხერხი

დვალეთში და სხვა ოლქებში დამპყრობელი მცირერიცხოვანი, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული ოსი მეომრები ასე მოქმედებდნენ:

ერთ მუჭად შეკრული და კარგად ორგანიზებული ოსი მეომრები თავ-დაპირველად სამიზნედ იღებდნენ რომელიმე ხეობას, აკვირდებოდნენ და იმორჩილებდნენ მას ყოველი ხერხის გამოყენებით, გამარჯვების შემდეგ ოსების ჯგუფი იშლებოდა ინდივიდებად, თვითეული მეომარი ირჩევდა რომელიმე ოჯახს და ისაკუთრებდა მას.

კერძოდ, გამარჯვებული ოსი ინდივიდი შედიოდა დამორჩილებული ხეობის რომელიმე ოჯახში, კლავდა ანდა ამარცხებდა ოჯახის უფროს მამაკაცს და მის ადგილს იჭერდა ოჯახში, ანუ ოჯახი ხელუხლებელი რჩებოდა, ოსი მეომარი ახლა უკვე ამ ოჯახის მეთაური ხდებოდა, ოჯახის ყოფილი უფროსის ცოლი გამარჯვებული ოსის ცოლი ხდებოდა, შვილები – მეორეხარისხოვანი შვილების ადგილს იჭერდნენ, ხოლო პირველხარისოვანი შვილები ჩნდებოდნენ ამ მოპოვებულ ცოლთან. საბოლოოდ, ოჯახი უცვლელად რჩებოდა თავისი ძველი მეურნეობითა და სახელით,

მაგალითად, იმის შემდეგ, რაც ოსმა მეომარმა მოკლა ანდა დაიმორჩილა დვალი ბადელიძის ოჯახის უფროსი მამაკაცი, მან ოჯახის მთლიანობა შეინარჩუნა და უცვლელი დატოვა, კერძოდ, ოჯახის დიასახლისი თავის ცოლად გამოაცხადა, ცნო მისი შვილები ოჯახის მეორეხარისხოვან, მაგრამ მაინც წევრებად, ოჯახმა გააგრძელა ჩვეულებრივი მეურნეობა და ცხოვრება. ოჯახის სახელიც კი უცვლელი დარჩა და ის კვლავ ბადელიძეანთები იყვნენ, ანუ ოჯახის ახალი ოსი უფროსის ხელში ოჯახი კვლავ ბადელიძე იყო. მაგრამ თანდათან შეიცვალა ოჯახის სამეტყველო ენა (უფროსის ენა გაბატონდა), კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების მიმართ მიმართება (ოჯახის უფროსის მოთხოვნის შესაბამისად). ასეთი ოჯახების შექმნა იქამდე უჩვეულო იყო კავკასიელი მკვიდრებისათვის, მაგრამ ის შემოიტანა იქამდე სტეპებში ცხოვრებას შეჩვეულმა ხალხმა. შესაძლოა, მომთაბარე ადამიანთა ტომებში ცხოვრების ასეთი წესი მიღებული ანდა ჩვეულებრივი იყო. საბოლოოო ჯამში დვალები ოსებად იქცნენ, გენეტიკა უცვლელი დარჩა, მაგრამ შეიცვალა თვითიდენტიფიცირება.

იოანე იალღუზისძე

ს. ცაიშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთ კვლევით, „მე-18 საუკუნის ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და კალიგრაფი იოანე იალღუზისძე-გაბარაევი დაბადებულა 1770 წელს სოფელ ჯავაში (ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, 1971, გვ. 86).

სწავლა-განათლება მიუღია საქართველოს მეფეების ერეკლესა და გიორგი XII-ის კარზე

https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome–instanti&ion=1&espv=2&ie=UTF–8№Ქ=%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%9Ჩ%E1%83%94%20%E1%83%98%E1%83%90%E1.

აქ ის განსწავლეს – „ქართულისა საღმრთოსა წერილითა და ღრამატიკოსობითა და ფილოსოფიითა“.

მას, როგორც კალიგრაფს, რამდენიმე ქართული ხელნაწერი გადაუნუსხავს.

რუსების საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქართველ დიდებულთა დავალებით იოანე იალღუზისძემ ხელი მოჰკიდა ოსების წარსულის შესწავლის საქმეს, რადგანაც რუსეთის იმპერია დაინტერესდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების გაქრისტიანებით. იმპერიამ პირველ ეტაპზე ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის აღსრულება მიანდო ქართველ დიდებულებსა და სასულიერო პირებს.

ქართველი დიდებულებისა და რუსული ხელისუფლების დავალებით, მე-19 საუკუნის დასაწყისში, იოანე სათავეში უდგება ოსური კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობას, რათა მოძებნილიყო სამეცნიერო – რელიგიური საშუალება კავკასიის ოსთა შორის ქრისტიანობის გასავრცელებლად.

1820 წელს მან ქართული ანბანის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი. იოანემ დაწერა ოსური სახელმძღვანელო (ქართული შრიფტით). ქართულიდან ოსურად თარგმნა „სახარება“ „ლოცვანი“ „კურთხევანი „ და სხვ.

იოანე იალღუზისძეს ეკუთვნის ქართული ლირიკული ლექსები და ქართული პოემა „იალღუზიანი“ რომელიც გადმოგვცემს ოსეთის მეფის შვილის იალღუზინის საგმირო საქმეებს და ქადაგებს ქრისტიანულ იდეებს.

ხსენებული პოემის ერთი ხელნაწერი ფერადი ილუსტრაციებით მოხატული, იოანე იალღუზისძეს შესანახად დაუდვია ნუზალის ეკლესიაში. კ. კეკელიძე ნუზალის ეკლესიის ცნობილი ეპიტაფიის ავტორად იოანე იალღუზისძეს მიიჩნევს. მას ნუზალის ეკლესიის კედელზე დაახლოებით 1821 წელს ქართული ანბანით ჩამოუწერია გენეალოგია (მის მიერ მოპოვებული სახელები) ოსების ლეგენდებით ცნობილი მეფეებისა, შემდეგ ეს არაეკლესიური წარწერა რუსული საეგზარქოსოს ბრძანებით ჩამოუფხიკავთ. აქ იხსენიებოდა მის მიერ გაცოცხლებული სახელი ოს-ბაყათარისა (ამჟამად ტურისტებისათვის ამ ნიშს ოს ბაყათარის განსასვენებლად თვლიან).

იალღუზიანის წერისას „პოეტს მიზნად ჰქონია დასახული აღეწერა: „ვისგან ვართ შთამომავალი, ვინ ვის გვარიდან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი“... ე. ი. მას განუზრახავს საკუთარი გენეალოგიის წარმოდგენაც და ამ მიზნით აუწერია საგმირო საქმენი იალღუზინისა, უეჭველად იმ მიზნით, რომ ამ იაღლუზისაგან გამოეყვანა თავისი გვარი იალღუზისძე და თავი ეღიარებინა ალღუზინის შთამომავლად“.

იოანე იალღუზისძის ლირიკული ლექსები (H-2130) მიძღვნილია იოანე ბატონიშვილის მეუღლე ქეთევანისადმი.

იოანეს ქართულიდან ოსურად უთარგმნია სამწუხრო და საცისკრო ლოცვანი, საქრისტიანო კატეხიზმო და ზნეობითისა სწავლითურთ და საღმრთო ლიტურღია და სახარება. ეგზარხოსის განკარგულებით ზოგიერთი მათგანი პარალელური ქართულ-ოსური ტექსტები (ქართული შრიფტით ნაბეჭდი) დაუგზავნიათ ოსეთის სამრევლოებისათვის.

ქართულ სამეფო კარზე შესაფერისი სწავლ-განათლებით აღჭურვილი იოანე იალღუზისძე ინიშნება მოსამართლედ ოსეთში. მას მონაწილეობა მიუღია ოსეთის 1802 წლის აჯანყების ჩაქრობაში და აგრეთვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში (20-იანი წლები) საქართველოს ეგზარხოსის მიერ შექმნილ კომისიის მუშაობაში, რომელშიც შედიოდნენ ჩრდილო ოსეთში მცხოვრები ქართველი ეკლესიის მოღვაწენი, რომელთაც ევალებოდათ ეკლესიების მოვლა-პატრონობა, დანგრეული ეკლესიების ნაცვლად ახლის აგება და როკის, კოშკის, მსხლების, ქეშელთისა და სხვა ხევებში ახლადმოქცეულ (გაქრისტიანებული) ოსებისათვის ეკლესიების აშენება. ამ საქმეში ეგზარხოსმა თეოფილაქტემ ჩააბა აგრეთვე ბლაღოჩინები, მღვდლები და იოანე იალღუზისძეც, რომელიც 1821 წელს გამგზავრებულა ოსეთში. როგორც ცნობილია, 1800 წლიდან მოყოლებული, იოანე ყველა აჯანყებაში რუსეთის მხარეზე ჩანს. 1821 წელს იოანე იალღუზის ძეს აჯილდოებენ „გუბერსკი სეკრეტრის“ ჩინით.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამსახურების გამო იოანეს უბოძა ოქროს მედალი წითელი ლენტით (მას, როგორც ჩანს, არა ერთხელ მიუღია პოლიტიკური ხასიათის დავალებები ქართველი მეფეებისგან და რუსი მთავარმართებლისაგან).

იოანე იალღუზისძეს დოსითეოზ არქიმანდრიტის შუამავლობით დაენიშნა წლიური პენსია 400 მანეთის ოდენობით.

ამ არქიმანდრიტმა დოსითეოსმა გაითვალისწინა იმპერიის მიზანი კავკასიაში ოსების გაქრისტიანებისა და დააყენა საკითხი, რათა იმპერიას ქართველი მთიელებიც გაექრისტიანებინა იმავე შეღავათებითა და დანახარჯებით, რასაც სახელმწიფო ხარჯავდა ამ მიზნისათვის ჩრდილო კავკასიაში. ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა. მას განუმარტეს, რომ ქართველი მთიელები ისედაც ქრისტიანებია, რადგანაც ზოგადად ქართველობა ქრისტიანი ერია, შესაბამისად, არ საჭიროებს გაქრისტიანებას, გაქრისტიანება მხოლოდ ოსებისათვისაა საჭიროო,

ოსი ხალხი იმჟამად არ იყო ქრისტიანი, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა გაქრისტიანებისა.

ასეთი მიდგომა მთავრობისა გახდა საფუძველი დოსითეოსის შემდგომი მოქმედებისა. მან გაიზიარა მთავრობის ასეთი მიდგომა და მთავრობის წინაშე ქართველად წარმოადგინა ქართლის ყველა მონათლული მთიელი, ხოლო მოუნათლავი – ოსად. შესაბამისად, სახელი „ოსი” უწოდეს ყველა მოუნათლავს. ქართლში ცხოვრობდნენ დვალეთიდან ჩამოსახლებული მოუნათლავი მთიელები, მაგრამ მათ გვერდით ასევე მრავალი იყო ადგილობრივი, მაგრამ მოუნათლავი ქართველობა. ახლა უკვე ყველა მოუნათლავი „ოსად” იწოდა. დოსითეოსის ჯგუფმა მალევე ყველა მთიელს, მონათვლა-მოუნათლავობის მიუხედავად, ოსი უწოდა, რათა მთავრობის წინაშე თავისი დამსახურება უფრო აემაღლებინა.

აღნიშნული არქიმანდრიტი დოსითეოსი, დიდად მიღებული ეგზარქოსის კარზე, თავისი დამსახურებათა კიდევ უფრო განსადიდებლად შიდა ქარ-

თლის მთიელ ქართველებს ხელახლა ანათვლინებდა და მათ ოსებად წერდა. ამ გზით მის მიერ გაქრისტიანებულ ოსთა რიცხვი ძალზე იზრდებოდა და ათეულათასს აღწევდა.

ოსების დიდი ოდენობით გაქრისტიანებისათვის მთავრობა დიდ თანხასა და ჯილდოს იძლეოდა. ამასთანავე ასეთი სახით მონათვლა ახალისებდა უკვე მონათლულ ქართველ ყმა-გლეხებს, რადგანაც ხელახლა მონათვლის სანაცვლოდ (ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებამდე) ისინი იღებდნენ არა მხოლოდ ნაჭერს ტანსაცმლისათვის მცირე თანხასთან ერთად, არამედ გაცილებით მეტს – ისინი თავისუფლდებოდნენ ბატონის ყმობისაგან, რადგანაც სახაზინო გლეხის კატეგორიაში გადადიოდნენ.

გაქრისტიანებულები სახელმწიფის მიერ გადავიდნენ სახაზინო გლეხების კატეგორიაში. ისინი ყმები აღარ იყვნენ, უფლება ეძლეოდათ მიეტოვებინათ ყოფილი ბატონი და გადასახლებულიყვნენ სასურველ ადგილას.

ასეთი სახით აყრილი გლეხების რიცხვი ძალზე დიდი იყო (ქართლში). მათ ხიზნებს უწოდებდნენ, რადგანაც მთიდან წამოსულები ეხიზნებოდნენ ქართლის ბარში ახალ ბატონს, უკვე ვითარცა თავისუფალი გლეხები, სახლდებოდნენ მათ მიწებზე. ამავე დროს კი მიწის რენტას არ უხდიდნენ ახალ მემამულეს. მათ რუსულ სასამართლოებში (გორისა და თბილისის სასამართლოებში) და პეტერბურგის სენატში უჩიოდნენ ქართველი მემამულე ბატონები, რომ ხიზნები ამუშავებდნენ მათ მიწას, გა“ გლეხობას უჭერდა მხარს. მალე მამულებიც ხიზნებს დარჩათ.

ამავე დროს უკვე ქართლის ბარის ქართველი ყმა-გლეხებიც ხედავდნენ თავიანთი თვალით, რომ მონათვლის სანაცვლოდ ოს ყმებს ათავისუფლებდნენ ბატონყმობის უღლისაგან. მათ ქრთამის სახით აძლევდნენ ქსოვილის ნაჭერს ტანსაცმლისათვის (იმდროინდელ ერთ სატირულ ლექსშია – „ჩითებს“), ასევე მცირე თანხას (1 მანეთს ვერცხლით) ოღონდ, როგორც ითქვა, ნათლობის სანაცვლოდ.

თუ გლეხი გამოაცხადებდა, რომ ის მოუნათლავი იყო, მას მონათლავდნენ დაასაჩუქრებდნენ და გაათავისუფლებდნენ. ამის გამო ქართველი გლეხები, უკვე მონათლულებიც კი, ინათლებოდნენ და იღებდნენ ყველა ამ სიკეთეს, ოღონდ, როგორც ითქვა, ნათლობის შემდეგ ის უკვე ოსად ითვლებოდა.

ამ ყმა გლეხებისათვის ყველაზე მიმზიდველი ის იყო, რომ მათ, ვითარცა „მონათლულ ოსებს“, ათავისუფლებდენ ბატონყმური უღლისაგან.

მთავრობამ ხიზნებს გამოუყო სხვა დაუსახლებელი რეგიონები. მათ აძლევდნენ სახაზინო მიწებს საქართველოს ბარში – უფრო გორის, ბორჯომისა და ჯავახეთის მიმართულებით.

ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებამდე მრავალი წლით ადრე ბატონისაგან თავის დახსნა და, უკეთეს, საკუთარ, მიწაზე დასახლება სანეტარო ოცნება იყო ქართველი მთიელებისათვის, ამიტომაც ახლა უკვე ისინი, ამ პირობით, დიდი მონდომებით ინათლებოდნენ და, შესაბამისად, ოსებად ეწერებოდნენ. თუ თავს ოსად არ გამოაცხადებდა, მას არც ნათლობის უფლება ჰქონდა, რადგანაც რუსული მთავრობა მხოლოდ ოსებს ათავისუფლებდა ბატონ-

ყმობის უღლისაგან მონათვლის სანაცვლოდ. ეს უფლება კატეგორიულად ეკრძალებოდა ქართველს, (როგორც ითქვა, მიიჩნეოდა, რომ ქართველი ისედაც მონათლული იყო და მას ნათლობა არ ესაჭიროებოდა).

ასეთმა დიფერენცირებამ კიდევ უდრო გაზარდა გაოსებული დვალების გადმოსვლა ჩრდილო კავკასიიდან. მათ რიცხვს ახლა დაემატნენ ოსებად ჩაწერილი ქართველი მთიელებიც. ისინი დიდად უფრთხილდებოდნენ ოსის სახელს. ეს სახელი მათი პასპორტი იყო ბატონყმობისაგან გათავისუფლებისა და საკუთარი მიწის ძიების გზაზე. ეს პროცესი მიმდინარეობდა მე-19 ს-ის 30–50-იან წლებში.

იოანე იალღუზისძე გარდაიცვალა 1830 წელს სამოცი წლის ასაკში.

იოანე მანგლელის სამისიონერო მოღვაწეობა

საქართველოს ეკლესიამ XVIII -ს. დასაწყისში შეიმუშავა გეგმა ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენისა იმ დამღუპველი გარემოების გამო, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში ჩრდილო-კავკასიელთა მუდმივი თარეშის გამო. დაღესტნელებმა, რომელნიც საქართველოში ცნობილნი იყვნენ „ლეკების“ სახელით, მოსპეს საზღვრისპირა ქართული მოსახლეობა. ისინი, პირველ ყოვლისა, ანადგურებდნენ საეკლესიო კერებს, მიზანმიმართულად ებრძოდნენ ქრისტიანობასა და სამღვდელოებას. კირიონ კათალიკოსი მათ შესახებ წერდა კიდეც: „ლეკნი – უბოროტესნი მტერნი საქართველოს მართლმადიდებელის ეკლესიისა“ (ეპისკოპოსი კირიონი, „ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს მადლის ქვისა“ თბ. 1899, გვ. 11). ისე ძლიერი იყო ეს საუკუნოვანი შემოსევები, რომ თვით რუსების მფლობელობის დროსაც კი, XIX ს. შუა წლებში, ლეკები რამდენჯერმე თავს დაესხნენ დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრებს, გაძარცვეს, ააოხრეს, დაანგრიეს ლუსკუმა წმ. საკვირველმოქმედის დავითისა, წაიღეს საღმრთო ჭურჭელი, ძვირფასნი ხატნი და საკვირველმოქმედი, წმ. დავითის მიერ იერუსალიმიდან მოტანილი ქვა, რომელიც იმყოფებოდა პატარა კოლოფში ტრაპეზის ქვეშა“ და ყოველ ამასთან ტყვედ წაიყვანეს ბერები“ (იქვე, გვ. 12).

უფრო ადრე, კერძოდ, XVIII საუკუნეში, ლეკების პარპაში ქართლსა და კახეთში უსაზომო იყო, როგორც ჩვენ ეს გამორკვეული გვაქვს შრომაში (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III). XVIII ს. I ნახევარში არა მხოლოდ აღმოსავლეთ კახეთს, რომელსაც შემდგომ ჭარ-ბელაქანი და საინგილო ეწოდა, არამედ, საერთოდ, მთლიანად კახეთს გალეკება ემუქრებოდა, როგორც ამას სხვა უამრავ საბუთთან ერთად კახეთის მმართველის დავით-იმამ-ყულის (ბაგრატიონის) მიწერილი წერილები აჩვენებს ვახტანგ VI-სადმი. მისი სიტყვით, იძულების გამო აღმოსავლეთ კახეთის უბრალო მოსახლეობა თითქმის მასობრივად ლეკების მხარეს გადადიოდა, თმობდა ქრისტიანობას და ლეკდებოდა (იხ. ჩემი „საინგილო“..). ლეკებმა საბოლოოდ მოსრეს XVIII ს.

ბოლოს ქვემო ქართლის მართლმადიდებელი ქართველობა. სპარს-ლეკების ძალადობის გამო აქაურ ქართველთა გადარჩენილი ნაწილი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მართლმადიდებლური სარწმუნოება (იხ. ჩემი „ქართველების გასომხება“) და მიეღო სომხური სარწმუნოება, რომელსაც ლეკები არ დევნიდნენ, ან არადა გადახვეწილიყო. მხოლოდ ქვემო ქართლის თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა გაბედა, სომეხთმოძულეობის გამო მიეღო არა მონოფიზიტობა, არამედ კათოლიკობა. ისინი მაშინვე დაისაჯნენ როგორც იმჟამად გამდიდრებული სომხური ეკლესიის მიერ, ისე სპარს-ოსმალ-ლეკთა მიერ (იხ. თამარაშვილის „პასუხი სომხის მწერლებს“). ასე იყო თუ ისე, ქვემო ქართლიდან ქართველი (ე.ი. მართლმადიდებელი მოსახლეობა) გააძევეს ანდა ტყვეებად გაყიდეს ლეკეთსა და სპარსეთში, იქ (ქვემო ქართლში), დებედას ხეობაში, მობინადრე მაჰმადიანები გამრავლდნენ, მთელი ქვემო ქართლი მაჰმადიანებსა და ასევე გასომხებულ ქართველებს დარჩათ. ასევე გააუკაცრიელეს ლეკებმა იქამდე ქართველი მართლმადიდებლებით მჭიდროდ დასახლებული თრიალეთი და ალგეთის ხეობა ისე, რომ XIX ს-ის დასაწყისში იქაურ სოფლებში მხოლოდ 3–4 კომლი ქართველიღა ცხოვრობდა, იმით გადარჩენილი, რომ თავის თავს ეჩმიაძინის ყრმად ან მრევლად აცხადებდა.

კიდევ უფრო უარესად იყო საქმე დასავლეთ საქართველოში. აქაც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში მასიურად ჩამოსახლდნენ ყაბარდო-ჩერქეზული ტომები, ჯერ ჯიქები, მერე კი აბაზები, ანუ აფსუები. საქართველოს XVI ს-დან მოყოლებით ჯერ გაგრის ზონა დაეკარგა, სადაც ჯიქებთან (ჩერქეზებთან) შებრძოლებისას დამარცხდნენ და დაიხოცნენ ქართველი ეპისკოპოსი და მთავრები (იხ. ჩემი „აფხაზეთი“). შემდეგ კი ახალმა ნაკადმა აფსუა-ჩერქეზებისა, რომელთაც დაპყრობილი ქვეყნის სახელის მიხედვით, „აფხაზები“ უწოდეს, XVII-ს-ის 40-იანი წლებიდან შეუტიეს სამეგრელოს სამთავროს და წაართვეს ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყალი კელასურიდან ენგურამდე. მკვიდრი ქართული მოსახლეობა კი დაიმორჩილეს, ისინი მიწის დამმუშავებელ გლეხებად („ხოიუებად”) აქციეს, თუმცა ომებში დატყვევებულ ქართველებს მონებად, „ახაშვალებად”, აქცევდნენ ხოლმე. აფხაზეთის მთელი დაბალი ფენა XVIII საუკუნისათვის ქართველებს წარმოადგენდა და მათ „აგურებს“ (გურულებს) ანდა „აგირუებს“ (მეგრელებს) „გურჯ“ სიტყვიდან წარმოქმნილ სახელს უწოდებდნენ.

იმის შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კახეთი ირანის შაჰებმა ჩამოაჭრეს საქართველოს (კახეთის სამეფოს), მთელი მიწების მესაკუთრედ გამოცხადდა ირანის შაჰი, იქამდე კი ამ მიწების მესაკუთრეებად კახელი თავადები ითვლებოდნენ. ირანის შაჰებმა (და სხვა მაჰმადიანმა ხელისუფლებმა) ჭარ-ბელაქნისა და საინგილოს მიწები თავიანთი შეხედულების შესაბამისად საგანგებო ფირმანებითა და დოკუმენტებით გადასცეს ჩრდილო-კავკასიიდან იქ ახლად ჩასახლებულ ლეკებს (ლეკურ თემებს). კახელი თავადები უმიწაწყლოდ დარჩნენ. ასეთ დროს თავადების და მოურავების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა შესულიყო ლეკურ თემში და ამით მიწის მეპატრონედ ქცეულიყო. მართლაც, ლეკურ თემებს მიეკედლა ზოგიერთი ქართველი დიდებული და გალეკდა.

სხვა გზით ქართველების დაბალი ფენაც ლეკდებოდა. საბოლოოდ, ყოფილ აღმოსავლეთ კახეთში (ახლა მას უკვე ჭარ-ფიფინეთსა თუ ელისუს სასულთანოში) შეიქმნა ახალი ეთნოსი, ახალი საზოგადოება ეთნიკურად ქართულ-ლეკური, სარწმუნოებრივად მაჰმადიანური. ასევე მოხდა XVIII ს. აფხაზეთშიც. თავის დროზე, XVII ს. დასაწყისში ჩრდილოკავკასიური ტომები აფხაზეთის მთავარმა (ეთნიკურად ქართველმა) და აფხაზმა თავადებმა (ასევე ქართველებმა) მიიწვიეს აფხაზეთში, ვითარცა მოლაშქრე მეომრები ლევან II დადიანთან ომის დროს. მალე აღმოჩნდა, რომ ამ მოწვეულ ჩერქეზებს მონათესავე ჩრდილოკავკასიელი ტომები უჭერდნენ მხარს და აფხაზეთის მთელი ხელისუფლება ფაქტიურად უკვე ამ მოლაშქრეთა ხელში მოექცა. ქართველ თავადებს ისღა დარჩენოდათ, როგორმე თავიანთი პრივილეგიები და მიწები შეენარჩუნებინათ აფსუა-ჩერქეზებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აფხაზეთშიც, ისევე როგორც ჭარ-ბელაქანში, ჩამოყალიბდა ფაქტიურად ახალი საზოგადოება, ახალი ეთნოსი, ქართულ-ჩერქეზული, ახალი აფხაზები, მტრულად განწყობილი ცენტრალური ქართული ხელისუფლების მიმართ, დამანგრეველი ძალა, რომელიც საქართველოს სიმდიდრის ტაცებითა და ქართველთა მონებად გაყიდვით იყო დაკავებული. სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, მოსახლეობის ნახევარზე მეტი განადგურდა და მონებად გაიყიდა აფხაზების მიერო, წერდნენ მისიონერები.

ფაქტიურად მსგავსი სურათი იხატებოდა შიდა ქართლშიც. აქაც ჩრდილოეთიდან შემოდიოდნენ ოსური ტომები. ვახუშტის სიტყვით, ოსებმა ჯერ დაიპყრეს დვალეთი. დვალეთშიც ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოება. ვახუშტის ამის შესახებ მრავლად უწერია. ამ საზოგადოების ზედა ფენა იყო ოსები, ხოლო ქვედა ფენა კი – დვალები. დვალები თანდათან გაოსდნენ (ოსი ეწოდებოდა თავისუფალ ადამიანს, ხოლო დვალი – დამორჩილებულს. დვალების სურვილი იყო ოსად, ე.ი. თავისუფალ ადამიანად გადაქცევა), გაოსებული დვალები თანდათან ჩამოყვნენ ლიახვის ხეობას, შეცვალეს იქ ეთნიკური სახე ქართული მოსახლეობისა. ოსურ გარემოში ქართველები ოსდებოდნენ. ქართველების გაოსებისა და გალეკების შესახებ წერდნენ გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი და სხვები.

საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკლესიას ხელიდან ეცლებოდა მრევლი – ქართველი ხალხი, ხდებოდა მისი სწრაფი დენაციონალიზაცია – გადაგვარება მომხდურთა მიერ შექმნილ გარემოში.

როგორც ითქვა, ასეთ ვითარებაში საქართველოს ეკლესიაში ჩამოყალიბდა გეგმა ჩრდილო-კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენისა. ყველა უბედურების წყაროდ მიჩნეული იქნა ჩრდილოკავკასიელთა გამაჰმადიანება.

მაშასადამე, საჭირო იყო უბედურებათა ამ ბუდეში (ე.ი. ჩრდილო-კავკასიაში შეღწევა) და სამისიონერო საშუალებებით მათი გაქრისტიანება, რაც თავისთავად მოუღებდა ბოლოს ოს-ლეკთა თუ ჩერქეზთა თარეშს თანამორწმუნეთა ქვეყანაში.

XVIII ს-ის 30-იან წლებში ერთ-ერთი მოთავე ამ იდეისა და შემდეგ კი უნაკლო პრაქტიკული შემსრულებელ-მისიონერი იყო მანგლელი ეპისკოპოსი იოანე სააკაძე. საერთოდ, კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის იდეა დავით-გარეჯში ჩასახულა. გარეჯის უდაბნოში ჩამოყალიბებული ე.წ. „მთიულეთის მისიისა“ და მის მოღვაწეთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. იქამდე კი უნდა განვაცხადოთ, რომ თითქმის იმავე დროს, რამდენიმე წლით ადრე, იგივე გარეჯის უდაბნოდან გამოსული მართლმადიდებელი ბერი სულხან-საბა ორბელიანი სათავეში ჩაუდგა ელჩობას ევროპის სამეფოებში. კერძოდ, ქართული ელჩობის ერთ-ერთ უმთავრეს თხოვნას ევროპელ მონარქთა მიმართ წარმოადგენდა შემდეგი: „ჩრდილო კავკასიელი ტომების შემოსევების შეწყვეტა საქართველოზე, რისთვისაც ჩრდილო კავკასიელთა, კერძოდ კი, აფხაზთა და ჩერქეზთა გაქრისტიანება იყო საჭირო. ჩრდილო კავკასიელთა გაქრისტიანება საფუძველი გახდებოდა მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და ჩრდილო კავკასიელთა შემოტევების შეწყვეტისა. სულხან-საბას მემორანდუმის პირველივე პუნქტი სწორედ კავკასიელ ტომთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას მოითხოვდა“ (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, 1999, გვ. 303).

ევროპაში გამგზავრებამდე დავით-გარეჯის სენაკიდან გამოსული სულხან-საბა გადავიდა დასავლეთ საქართველოში და იქაურ კათალიკოსთან ერთად 40 დღის განმავლობაში იხილავდა გზებს ჩრდილოკავკასიელთა გაქრისტიანებისა. როგორც ჩანს, მათ ჩაუთვლიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მხოლოდ მსოფლიოს უმაღლესი სახელმწიფოები თუ შეძლებდნენ ჩრდილოკავკასიელთა გაქრისტიანებას. როგორც ცნობილია, ევროპა არ დაინტერესდა ამ საკითხით, ახლა მხოლოდ რუსეთის საიმპერატორო კარის დაინტერესება ჩაითვალა საჭიროდ. ეს მისია თავის თავზე აიღო წმიდა იოანე მანგლელმა.

წმიდა იოანე მანგლელი დაიბადა 1668 წ. ნათლობის სახელი იოანე ყოფილა, რომელიც, ალბათ, შეუცვალეს დავით გარეჯის უდაბნოში ბერად შედგომის დროს. აქ თავი გამოუჩენია ვითარცა გონიერსა და სიწმიდის მოყვარულ მოღვაწეს, ამიტომაც ვახტანგის ძემ, ბატონიშვილმა ბაქარმა, აკურთხებინა ეპისკოპოსად მანგლისის კათედრაზე, ვითარცა მღვდელმთავარი და ეპარქიის მმართველი, მაგრამ მანგლისის კათედრა სწორედ ლეკთა თარეშის გამო რამდენადმე მოიშალა XVIII ს-ში და იოანე მანგლელის დროსაც. ამიტომაც იოანე მანგლელი იძულებული გამხდარა თავი შეეფარებინა ქიზიყში ხირსის მონასტრისათვის. საფიქრებელია, რომ იგი ქიზიყში თან გაჰყვა თავის მანგლისელ მრევლს, რომელიც იძულებული იყო თათართა (მაჰმადიანთა) თარეშის გამო მიეტოვებინა მამა-პაპათა სამკვიდრო და გადასახლებულიყო დაცულ ადგილას. ეს უნდა მომხდარიყო 1723 წლამდე და არა ოსმალობის დროს.

ოსმალთა დროს ვახტანგმა მიატოვა ქვეყანა და რუსეთში გადავიდა უამრავი თანამგზავრით. რუსეთში ვახტანგ VI-ის ამალაში საბოლოდ საქართველოდან გაქცეული ექვსი ეპისკოპოსი აღმოჩნდა, რომელთაც ისევე როგორც ქართველ მრევლს, საქართველოში აღარ დაედგომებოდათ ლეკიანობისა და

ოსმალთა თარეშის გამო. მათ შორის (ვახტანგის ამალაში) უნდა ყოფილიყო მანგლელი ეპისკოპოსი არსენი.

საფიქრებელია, რომ იოანე მანგლელი ამ კათედრაზე არსენ მანგლელზე უფრო ადრე იყო, რადგანაც, როგორც ცნობილია, ბაქარის მეფობა ქართლში წინ უსწრებდა თავის მამის ვახტანგ VI-ის მეფობას. როგორც მიიჩნევენ ბაქარი ქართლს 2–3 წლით მართავდა დაახლოებით 1716–1719 წლებში, ანდა 1715 წლიდან. ამ წლებში უნდა ყოფილიყო იოანე მანგლელი ეპისკოპოსად. მაშინ იგი იქნებოდა დაახლოებით 49–50 წლისა. როგორც აღვნიშნეთ, ლეკიანობისა და შემოსევების გამო მანგლისის კათედრა რამდენჯერმე მოიშალა და ისევ აღადგინეს.

ვახუშტი წერს, რომ ვახტანგის თხოვნით ყეენმა ქართლის მეფობა მისცა ბაქარს, რის გამოც ბაქარი თათრებმა „მიაქციეს რჯულსა მათსა, მხოლოდ სიტ-ყვითა და არა საქმითაცა“ (ქ.ც. IV, გვ. 496). ეს მომხდარა 1717 წელს, ამავე წლის ზაფხულში „გამოვიდნენ ლეკნი ჭარელნი სულხავით 8000 მხედარნი, ამათ მოსტყვევნნეს ბოლნისი და ქციის ხევნი თავმრგვალამდე“ (ვახუშტი, ქ.ც. IV, გვ. 496). ამ 8000 კაცს წინ მხოლოდ 300-ოდე ქართველი მეომარი მიაგება მეფემ. „იხილეს ეს ჭარელთა, მოიქცნენ ერთკერძო და მოსრნეს ქართველნი და აოტნეს სრულიად“ (იქვე, გვ. 496).

საფიქრებელია, რომ როცა სახელმწიფოს ასეთ უძლურებას ხედავდა ხა-ლხი, ტოვებდა საცხოვრისს და შედარებით დაცულ ადგილას გადადიოდა. კერძოდ, ალბათ, ქიზიყში, რასაც ამჟამინდელი ზოგიერთი მანგლისელი მცხო-ვრებიც მიუთითებს. საფიქრებელია, რომ იოანე მანგლელი სწორედ ამ შე-მოსევის და არა ოსმალთა შემოსევის შემდეგ, რომელიც უფრო მოგვიანებით მოხდა, გადავიდა ბოდბესთან ახლოს ხირსის მონასტერში – ქიზიყში. ე.ი. დაახლოებით 1717 წელს.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა მე-18 ს-ის I ნახევარში კარგად აქვს აღწერილი მელიტონ კელენჯერიძეს თავის ნაშრომში „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“. აი, რას გვამცნობს ნაშრომი:

„მთიულეთის მისიას სათავეში გარეჯის უდაბნო ჩაუდგა. პიონერად ამ დიდ საქმეში გარეჯში აღზრდილი იოანე მანგლელი (სააკაძე) გამოვიდა. იგი დაიბადა 1668 წელს და ბავშვობიდანვე ბერად შედგა გარეჯში. ბატონიშვილმა ბაქარმა შეამჩნია მისი ნიჭი და მანგლისის კათედრაზე აკურთხებინა ეპისკო-პოსად. მანგლისის ეპარქია მალე დაანგრიეს ოსმალებმა, და იოანე გაიქცა კახე-თში, სადაც წინამძღვრობდა ხირსის მონასტერში, სწორედ ასე მოხდა: თუმცა იოანემ ეპარქია დაჰკარგა, მაგრამ სამკალი ღვთიურ ყანაში უკეთესი იშოვნა. სულ მალე აუღო ალღო მთიულეთის სულიერ მდგომარეობას და საშველად მას მიაშურა. იგი აღიჭურვა სახარებით, ჯვრით და გაუდგა გზას. ჯერ კახეთი მოვლო ქადაგებით და მერე დაღესტანში. იოანემ წმ. ცხოვრებით და სას-წაულებით მალე მიიპყრო ლეკების ყურადღება. არც მთავრობას დარჩა შეუმჩ-ნეველი მისი მოციქულებრივი მოღვაწეობა. იმ დროს ვახტანგ V-ს და პეტრე დიდს მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთში კასპიის ზღვის საქმეებზე და

ორივემ მალე იცნო იოანეს ღვაწლის ფასი და ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს. იოანემ ჯერ ხის სამლოცველო ააგო აქ „ნიჩბით ხელში“ და მერე იმავე ალაგზე ქვის ეკლესია ააშენა მიძინების სახელზე. შემდეგ ზღვის პირზე ააშენა ეკლესია წმ. ეკატერინეს სახელზე. 1724 წელს იოანემ დაღესტანში მოწაფეები დატოვა და თვითონ სამისიონეროდ ასტრახანში გადავიდა, სადაც ეკლესია ააგო იოანე ღვთის მეტყველის სახელზე. ეს ეკლესია 1774 წ. რუსის მთავრობამ მონასტრად გადააკეთა და შიგ არქიმანდრიტად დანიშნა ქართველი ბერი გერმანე, მოწაფე იოანესი.

ასტრახანში იოანემ შეიტყო, რომ ყიზლარში ბლომად ესახლენ ქართველები და ეკლესია არ ჰქონდათ. ისიც გაიგო, რომ ოსეთში ქრისტიანობას საქმე უჭირდა და იოანემაც ყიზლარს მიაშურა. აქ ქართველების დახმარებით ეკლესია ააგო, ზედ სკოლაც გახსნა და შიგ მქადაგებლებს ამზადებდა. მისიის საქმე წარმატებით წავიდა. მისიონერებს რუსის მთავრობამ ჯამაგირიც დაუნიშნა. იოანე მიიცვალა 1751 წელს 28 მარტს, 85 წლის და დაიკრძალა ყიზლარში მისგანვე აგებულ მონასტერში. შემდეგ მისი წმ. ნეშტი გადმოსვენებულ იქმნა თფილისის სიონის ტაძარში. იოანეს სასწაულები აღწერა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ბერმა გაბრიელმა თავის წიგნში: სტავროფორში“ („ჯვართმტვირთველი“). იოანე იყო პირველი უფროსი ოსეთის სამისიონერო კომისიისა 1745 წლიდან სიკვდილამდე“ (ვ. თორაძე „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში“ 1995, გვ. 62).

როგორც ითქვა, საქართველოს ეკლესიაში შემუშავებული გეგმის მიხედვით, XVIII ს-ში საჭიროდ ჩაითვალა მისიონერული მუშაობა და ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილო კავკასიელ ტომთა შორის. პირველ რიგში კი დაღესტან-ში. მართლაც, იოანე მანგლელმა, რომელიც ყველაზე მეტად ღვაწლმოსილია ამ საქმეში, შეძლო დაღესტანში ქრისტიანობის ქადაგება, სადაც რუსეთის საიმპერატორო კარის ნივთიერი შენატანით ეკლესიების აგებაც შეძლო. მისი მოღვაწეობისას დაღესტანში აღმოჩნდა, რომ ამ მხარეში ცხოვრობდა ათასობით ქართველი ქრისტიანი ყოფილი ტყვე ლეკებისა და შემდეგ რაღაც საშუალებით გაპარულ – თავდახსნილნი მათგან და ყიზლარს თავშეფარებულნი. იოანემ, როგორც ითქვა, განსაკუთრებით იზრუნა მათთვის, ამავე დროს აღმოაჩინა, რომ თუკი ლეკთა შორის ქრისტიანობის ქადაგება შედარებით გაძნელებული იყო მათში მაჰმადიანობის ფეხმოკიდების გამო, სამაგიეროდ, ეს უფრო ადვილი იყო ოსთა შორის. ეს ოსები – ისევე, როგორც სხვა ჩრდილო კავკასიელები – საქართველოს ეკლესიის ყოფილი მრევლი იყო, რომელთაც ჯერ კიდევ გაეგებოდათ ქართული, და იღებდნენ ქართულენოვან წირვა-ლოცვას, ვითარცა მათთვის ბუნებრივსა და ჩვეულებრივს. ოსებში ქრისტიანობის აღდგენა განსაკუთრებით იყო საშური, რადგანაც მათში თანდათანობით ფეხს იკიდებდა მაჰმადიანობა. ამიტომაც იოანე მანგლელმა და იმჟამად რუსეთის სამხრეთ რეგიონში მოღვაწე ქართველმა არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა, ასევე მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის ქართველმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა 1743 წლის 9 თებერვალს მიმართვა გაუგზავნეს იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულს, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყიზლარის

ახლოს მაცხოვრებელი ოსი ხალხი 200.000 სულადობით ადრე შედიოდნენ ქართველი მეფეები მფარველობის ქვეშ, ამჟამად არავის არ ექვემდებარებიან. ისინი ძველთაგანვე მისდევდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელზედაც მიუთითებს აგებული ეკლესიები და წმიდა ხატები, რომელსაც ახლაც სიამოვნებით ეტანებიან, ასევე პატივისცემით ეპყრობიან ქრისტეს სჯულის მქადაგებლებს, რომლის ნაკლებობასაც განიცდიან, ამიტომაც გთხოვთ მოსკოველი ღვთისმსახურები: არქიმანდრიტი პახომი, იღუმენი ქრისტეფორე, ნიკოლოზი და მათი დამხმარე პირები, რომლებიც ფლობენ ოსურ და ქართულ ენებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ხალხის განათვლას მოავლინოთ ამ მხარეში“ (საქართველოს იერარქიის ისტორია, 1911 წ. გვ. 72-73).

საზოგადოდ, ქართული ენა ჩრდილო კავკასიელთა შორის ძველთაგანვე გავრცელებული იყო და ამის მიზეზად თეიმურაზ ბატონიშვილს მიაჩნდა ის, რომ ჩრდილო კავკასიელთა ერთი ნაწილი ყოფილი ქართველები იყვნენ, რომელთაც დაკარგეს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად ქართული ენის ცოდნაც მაჰმადიანურ ტომებში შერევის გამო. თვით საბჭოთა და შემდეგ რუსი მკვლევარებიც კი აღნიშნავდნენ ქართული ენის გავრცელების ფაქტს: „საბჭოთა კავკასიოლოგ მეცნიერებს კავკასიურ ენებში ქართული ენიდან შესული მრავალი სიტყვა თუ ცნება აქვთ დადასტურებული. 1832 წ. ი. ნორდენსტამი დაღესტნის აულ ანტრატლის აღწერასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ანწუხელები და ყაპუჭელები ქართულ ენას კარგად ფლობენო, ქართული ენის მცოდნენი მრავლად იყვნენ ჩრდილო ოსთა, ინგუშებს, ბალყარელებსა და ყარაჩაელებს შორის“ (გ. ღუდუშაური, ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა, 1985, გვ. 139).

ა. ჩერკეევსკი, რომელმაც ავარელთა ისტორიას და ფოლკლორს მიუძღვნა სპეციალური ნარკვევები, თვლიდა, რომ ავარელები არაა დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა. ისინი ყოფილი მომთაბარენი არიან, რომელნიც ჩრდილოეთიდან მოვიდნენ აქ უფრო ძლიერი მომთაბარე ტომისაგან დევნილი (იქვე, გვ. 128–129), ძველ ქართული საისტორიო თვალსაზრისითაც, მთელი დასავლეთ დაღესტანი გარკვეულ დრომდე (ე.ი. ავარელების მოსვლამდე) ქართველებით იყო დასახლებული და, როგორც წესი, მუდამ კახეთის სამეფოში შედიოდა (დასავლეთი დაღესტანი). უნდა ვიფიქროთ, რომ ავარელების მოსვლის ჟამს დასავლეთ დაღესტანში, რომელიც მოფენილი იყო ქართული ტაძარ-სალოცავებით, კიდევ ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები, რომელნიც შეერწყნენ მომსვლელ ახალ ხალხს და დაკარგეს სარწმუნოება. ამ დაკარგულ მიწა-წყალზე სახელმწიფოებრივი და ეკლესიური გავლენის აღდგენა წარმოადგენდა ქართველ მეფეთა და იერარქთა ინტერესს. ერთ ასეთ მომენტად გვესახება ჩვენ თეიმურაზ I-ის ცნობილი ლაშქრობა დიდოეთში. დიდოეთი იქამდე მუდამ კახეთის სამეფოში და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. XVII ს-ში კი აღმოჩნდა, რომ დიდოეთი უკვე გაუცხოვებოდა საქართველოს. აღნიშნული ლაშქრობა, რომელშიც კახეთის სამეფოს მთელი სახელმწიფოს დიდებულები მონაწილეობდნენ, მათ შორის, „დარბაისელნი“ (კანონმდებელნი) და „ეპისკო-

პოსები“ სასტიკი მარცხით დამთავრდა. თეიმურაზ I თურმე ტიროდა „ვაი დარბაისელეპისკოპოს დახოცილთა“.

მეორე მხრივ, ქართულ ეთნოსთან და კულტურასთან კავშირი უკეთ შეუნახავთ ვაინახებს: ინგუშებს, ჩეჩნებსა და ქისტებს, რომელთაც თეიმურაზ ბატონიშვილი ქართველებად მიიჩნევდა, რომელთაც დაკარგეს ქართული ენის ცოდნა. მათ ახალი ენა, უკვე თავიანთი ენა მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ შეიმუშავეს მეზობელი მაჰმადიანი ტომების გავლენით.

ინგუში ეთნოგრაფი ჩ. ახრიევი დაასკვნის, რომ ვაინახებზე ქართული კულტურის გავლენა ძალზე მნიშვნელოვანია (მითოლოგია, თქმულებები, ამირანის მითი, გადმოცემები თამარ მეფეზე, ერეკლეზე და სხვა) (Ингушети, ССКГ, вып 6, с. 35-48, იქვე, გვ. 129).

საინტერესო მასალებია შემონახული ჩეჩნეთ-ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის არქივში ქართველი და ვაინახი ხალხების კულტურულ-ეთნიკური ურთიერთობის შესახებ (იქვე, გვ. 130).

ჩრდილო კავკასიაში ქართული ეკლესიის ავტორიტეტისა და ქართული ენის გავრცელების გამო რუსეთის მთავრობა დაეთანხმა იოანე მანგლელის, სხვა ქართველ მღვდელმთავართა პროექტს, მოიწონა იგი და დაუყოვნებლივ შეუდგა მის პრაქტიკულ რეალიზაციას. კერძოდ, 1745 წელს დაარსდა ოსეთის კომისია, რომლის წევრებად შერჩეული იქნენ ქართველი ბერები, მიეცათ სამისიონერო საქმიანობისათვის სამგზავრო ფული და დაენიშნათ წლიური ჯამაგირი. მათი სამუშაო და საურთიერთობო ენა იყო ქართული. „ოსეთში ჩასვლისთანავე ბერები მხნედ შეუდგნენ საქმეს და „ფრიადი სულნი მოაქცივნეს და ნათელ სცეს წმინდა ემბაზითა“. 1751 წლის 29 მარტს მიიცვალა ყოვლადსამღვდელო იოანე და მის ადგილზე დაინიშნა ქართველი არქიმანდრიტი პახომი. კომისიამ 1745 წლიდან 1770 წლამდე შესძლო 2142 ოსი და ინგუში ეროვნების მოსახლეობის განათვლა. 1764 წ. 21 ოქტომბერს მოზდოკში გახსნეს სკოლა, რომელშიც სწავლა და წირვა მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ ენებზე. როგორც მკვლევარი სპეციალისტები აღნიშნავენ, მალე თავი იჩინა „ველიკორუსულმა შოვინიზმმა“. რუსი სამღვდელოების წარმომადგენლები ვერ ურიგდებოდნენ ქართველთა ამ წარმატებას. ამიტომ მათ წმიდა სინოდს მიაწოდეს ყალბი ცნობა, რომ თითქოს ქართველნი კარგად ვერ უძღვებოდნენ საქმეს, 1778 წ. კომისიის მეთაურად უკვე რუსი დანიშნეს.

მაგრამ, ცხადია, სინამდვილეში საქმე შეეხებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, კერძოდ კი, აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გაძლიერებული ქართლის და კახეთის სამეფო თეიმურაზ-ერეკლეს მეთაურობით ცდილობდა კვლავ მოეპოვებინა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკლესიური გავლენა, ჩრდილო კავკასიაზე. მეორე მხრივ, ჩრდილო-კავკასია რუსეთს უკვე თავის ხელდებულ ქვეყნად მიაჩნდა. ამიტომაც საიმპერიო ცენტრში ეჭვი შეეპარათ, რომ ქართველ მისიონერებს ქართული ენის გამოყენებით კვლავ არ დაებრუნებინათ ქართული ეკლესიის წიაღში ჩრდილო კავკასიელები, კერძოდ კი, ამ შემთხვევაში ოსები. ამიტომაც რუსებმა კომისიის ხელმძღვანელს პახომს ბრალად დასდეს თითქოსდა მას ჩრდილოკავკასიელი ოსების საქართ-

ველოს ქვეშევრდომობაში შეყვანა სურდა. ეს მოხდა XVIII ს. 60-იანი წლების ბოლოს, უკვე 1771 წლიდან ოსეთის სასულიერო კომისიას სათავეში რუსი სამღვდელო ჩაუყენეს. კომისიის წევრები რუსი მისიონერებით შეავსეს და იგი მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის იარაღად აქციეს. ოსურ ანბანს ქართულის ნაცლად რუსული გრაფიკა დაუდეს საფუძვლად. 1792 წ. კი ოსეთის სასულიერო ვკომისიამ არსებობა შეწყვიტა, თუმცა რუსეთის მთავრობამ იგი 1815 წ. აღადგინა (ქსე, 7, გვ. 593).

როგორც აღინიშნა, XVIII ს-ში წმ. იოანე მანგლელისა და, საერთოდ, ქართული ეკლესიის მიზანი იყო მისიონერული გზით, ჩრდილოკავკასიურ ტომებს შორის ქრისტიანობის აღდგენის გზით მიეღწიათ იმისათვის, რომ მათ აღარ ელაშქრათ საქართველოში, აღარ დაეტყვევებინათ ქართველები, არ მოესპოთ ქართული ეკლესიები და არ გაეჩანაგებინათ მათი ყოფილი სამშობლო. ერთ დროს კავკასიის მომცველი საქართველო ამჟამადაც კი, XX ს. მიწურულს და XXI ს. დასაწყისში, როგორც ინგუშთა, ქისტთა, ჩეჩენთა შორის, ზოგიერთ დაღესტნურ ტომში, ასევე ოსებს შორისაც მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც ამტკიცებენ თავიანთი მამა-პაპების ქართველობას. XVII–XVIII საუკუნეებში აღნიშნულ ტომთა უმრავლესობამ იცოდა ქართული ენა, ნაწილობრივ გათავისებული ჰქონდა ქართული კულტურა და მითოსი, ქართველებსა და მათ საერთო გმირებიც ჰყავდათ, გამაჰმადიანების გამო მათში ჩამოყალიბებას იწყებდა ახალი კულტურა, მათგან ყალიბდებოდა ახალი ეთნიკური ჯგუფები, რომელნიც შემდეგ უკვე ხალხებად გადაიქცნენ. ახლა უკვე მაჰმადიანურ საფუძველზე და არაქართული არსით. ამიტომაც იოანე მანგლელის ეპოქაში დროული და დიდი წარმატების მომტანი იქნებოდა ქართველთა მისიონერული მოღვაწეობა ჩრდ. კავკასიელთა შორის, მას რომ ჰქონოდა სათანადო სახელმწიფოებრივი და ფინანსური მხარდაჭერა.

დამატებითი ცნობა. ქართლ-კახეთის სამეფო კი იღვწოდა ამ საქმის წარმატებისათვის, მაგრამ უძლური იყო. რუსეთის იმპერიას კი არ სურდა ქართველთა პოზიციების განმტკიცება ჩრდილო კავკასიაში. ამიტომაც უკვე XIX ს. დასაწყისიდან ოსეთის საეკლესიო კომისიისა და შემდგომ მის ბაზაზე აღმოცენებული „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მოღვაწეობა არაქართული იყო. ამიტომ 1815 წელს აღდგენილი ოსეთის საეკლესიო კომისიის მეთაურმა დოსითეოს ფიცხელაურმა თავისი მოქმედების არეალი ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოიტანა. მან ქართლელ მთიელებს ჩააგონა, რომ თუ უნდოდათ მეზატონისაგან განთავისუფლება და სახაზინო გლეხების კატეგორიაში გადაყვანა, ამისათვის რუსეთის ხელმწიფის ნებით უნდა მონათლულიყვნენ (ე.ი. თავი გამოეცხადებინათ იქამდე მოუნათლავ ოსებად). მართლაც, მარტო ქართლის მთიანეთში 13 ათასამდე ოსი „გააქრისტიანა“. ცხადია, მათი უმეტესობა ქართლელი მთიელები, ე.ი. ქართველები იყვნენ, რომელნიც ახლა უკვე ვითარცა „ოსები“ მეზატონისაგან გათავისუფლდნენ (ეს ხდება ბატონყმობის გადავარდნამდე ათეულობით წლით ადრე) და პიროვნულ თავისუფლებასთან ერთად მიწის ნაკვე-

თებიც მოიპოვეს, ვითარცა სახაზინო გლეხებმა (იხ. ა. ჯაფარიძე, დედა ეკლესია, ქართველების გაოსება).

ამ ამბის გახმაურების შემდეგ ვითომდა შეწუხებულმა მთავრობამ „ადგილობრივი ხელისუფლებისა და მებატონეების წინააღმდეგობის შედეგად დოსითეოსი გადააყენეს და ოსეთის სასულიერო კომისია უშუალოდ საქართველოს ეგზარქოსს დაუქვემდებარეს. კომისია 1861 წლამდე არსებობდა. 1863 წლიდან მოღვაწეობას შეუდგა მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში“ (ქსე, 7, გვ. 593).

საბოლოოდ, იოანე მანგლელის თანადგომით, საქართველოს ეკლესიის წიაღში შემუშავებული გეგმა ჩრდილო კავკასიელთა გაქრისტიანებისა საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ მეფის რუსეთმა შეცვალა. მისი ახალი გეგმით, რუსებს ჯერ თვით საქართველოში უნდა „აღედგინათ ქრისტიანობა“ ოღონდ კი ისე, რომ ცალკეულ ქართულ ტომებში ეთნიკური სეპარატიზმი გაეღვიძებინათ და ანტიქართულად განეწყოთ. ამიტომაც შეუდგინეს სვანებს, აფხაზებს, მეგრელებს და სხვა ქართულ ტომებს „ანბანი“. სამურზაყანოელები გააუცხოვეს სამეგრელოსაგან და კიდევ უამრავი ქმედებანი, რომელთაც, ალბათ, სამომავლოდ საგანგებოდ გამოიკვლევენ.

ოსეთის კომისიის მუშაობის შედეგი ქართლის მთიანეთში

1745 წ. იოანე მანგლელისა და იოანე სამებელის ინიციატივით რუსეთის მთავრობის მიერ დაარსებულ იქნა ე.წ. „ოსეთის კომისია“ მას 1770 წლამდე 2142 ოსი და ინგუში მოუნათლავს.

ოსეთის კომისიის წევრების შემადგენლობა 1770-იან წლებამდე მთლიანად ქართული იყო. მალე რუსებმა თავიანთი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე კომისიის თავმჯდომარედ რუსი დანიშნეს (1778 წ.) და ასტრახანის ეპისკოპოსს დაუქვემდებარეს.

რუსების ხელმძღვანელობის დროს კომისიის მუშაობა მინელდა.

1784 წელს კომისიის ზედამხედველად მიიწვიეს ქართველი არქიმანდრიტი გაიოზი, რომელიც მხნედ იღვწოდა, მაგრამ, საზოგადოდ, რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ითვალისწინებდა მთიელთა შორის ქართულენოვანი წირვა-ლოცვისა და განათლების აკრძალვას და მის ნაცვლად ადგილობრივ სატომო კილოკავებზე ლოცვების შეთხზვას ანდა რუსულენოვანი ღვთისმსახურების დანერგვას. ამ პოლიტიკამ პროცესი შეაფერხა და 1793 წ. ოსეთის კომისია დაიხურა.

1815 წ. 15. IX კომისია კვლავ აღდგა და იგი 1817 წ. გადავიდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის განკარგულებაში.

„ოსეთის კომისიას“ მუშაობა უხდებოდა ბატონყმური სისტემის დროს, რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებამდე.

ეს იყო რთული ეპოქა, როდესაც ბატონების ყმები თითქმის მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამის გამო ყოველი ყმის ოცნებას წარმოადგენდა ბატონისაგან და, საერთოდ, ბატონყმური უღლისაგან გათავისუფლება.

ეს ოცნება ახლა თავის იარაღად გამოიყენა რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოში ყველაზე სტრატეგიულ შიდა ქართლის რეგიონში.

საქმე ისაა რომ შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში, რომელიც ესაზღვრებოდა დვალეთს, მრავალი ლტოლვილი შემოდიოდა დვალეთიდან, რომლებიც ეხიზნებოდნენ იქაურ ქართველ მემამულე ბატონებს და მათ მიწებზე სახლდებოდნენ.

რუსეთის ხელისუფლებამ ეს მომენტი გამოიყენა ქართველი მემამულეების წინააღმდეგ, ქართველი მებატონეები კი რეალურ ძალას წარმოადგენდნენ ამ რეგიონში. მაგალითად, იქამდე, სულ რამდენიმე წლის წინ, აქაური ქართველი ბატონები სათავეში ჩაუდგნენ ანტირუსულ აჯანყებას, ერთ-ერთ იქ ჩასულ ბაგრატიონ ბატონიშვილს მხარში დაუდგნენ დვალეთის ოსებთან ერთად. ახლა კი დრო დადგა ამ ბატონებისა და მთის ხალხის გასათიშად.

დვალეთი, ანუ ნარის ხეობა იმჟამად თბილისის გუბერნიაში შედიოდა. იქაურები, განსაკუთრებით დვალები, უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდნენ. საქმე ისაა, რომ, ვახუშტის სიტყვით, დვალეთი თემურ ლენგის შემდეგ თანდათანობით დაიპყრეს ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან მთაში ასულმა ოსებმა. იქ ოსები გადაიქცნენ საზოგადოების ზედა ფენად, ქვედა ფენად კი – მკვიდრი დვალები, ანუ ოსები დვალეთში მებატონეები იყვნენ, ხოლო დვალები – მათი ყმები, თანაც ძალზე დაჩაგრულები და უკიდურესად ღატაკები (აღსანიშნავია, რომ დვალები მე-18 საუკუნის დასაწყისშიც კი ბოლომდე არ იყვნენ გაოსებულნი. ამის შესახებ მიუთითებს ვახუშტი, როცა წერს, რომ მის დროს ჯერ ჯიდევ არსებობდა დვალური ენა (რომელიც ახლა უკვე მკვდარი ენაა), დვალების ენად თანდათან ოსური გადაიქცა).

რუსეთის იმპერიის კანონების შესაბამისად, ხელისუფლებამ დვალეთის ოს დიდებულებს აუკრძლა მეზობელი მხარეების წეწვა-გლეჯით ქონების მოპოვება. ამის შემდეგ ოსმა მებატონეებმა უფრო დაუმძიმეს ბატონყმური უღელი თავიანთ ყმა დვალებს.

ამ მიზეზის გამო მრავალი დვალი მთიელი დვალეთიდან ლტოლვილის სახით თავს აფარებდა შიდა ქართლს. ისინი იყვნენ შრომისათვის მზად მყოფი უკდურესად ღატაკი, ჩაუცმელი და დაუპურებელი ხალხი. მათ უკვე ოსებს უწოდებდნენ, რადგანაც ოსეთიდან (ყოფილ დვალეთიდან) ჩამოვიდნენ.

გაოსებული დვალები შიდა ქართლში მემამულეების მიწებზე ხიზნების სახით დასხდნენ, რადგანაც მიწა ქართველ მებატონეს ეკუთვნოდა. ამ მიწით სარგებლის სანაცვლოდ მათ ევალებოდად გარკვეული გადასახადის გადახდა. ხიზნები კი თავს არიდებდნენ გადასახადს, რაც იწვევდა კონფლიქტს. ქართველმა თავადებმა ამის გამო რუსულ სასამართლოს მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. რუსული ხელისუფლება სამართლიანობის მომიზეზებით მხარს ხიზნებს უჭერდა, ამის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ რეგიონსი ქართველი თავადების დასუსტება სურდა.

მდგომარეობა შემდეგ უფრო გართულდა, რადგანაც ხიზნებს მიბაძა თავადების ქართველი ყმების ერთმა ნაწილმა, რომელიც ახლა ცდილობდა, ხიზნების მსგავსად, მიწის გადასახადი არ მიეცა მემამულეებისათვის. მათ ხიზნის სტატუსი ერჩიათ, ამიტომაც ახლა ქართველი ყმებიც კი, თუ საშუალება ეძლეოდათ, უკვე თავს ხიზნებად წარმოადგენდნენ., რათა გადასახადი არ გადაეხადათ.

ამ რთული სიტუაციის დროს მე-19 ს. პირველ მეოთხედში შიდა ქართლში გამოჩნდა აღნიშნული „ოსეთის კომისია“.

კომისიის ხელმძღვანელობის მიზანი იყო გაქრისტიანება ოსებისა, ანუ მეზატონეთა ხიზნებისა. ეს უანგაროდ არ ხდებოდა. თუ კი მთიული ხიზანი მოინათლებოდა, ის რუსეთის ხელისუფლებისაგან საჩუქრის სახით მიიღებდა „ჩითს“, ანუ ნაჭერს ტანსაცმლის შესაკერად, ფულად თანხას (უმეტესად ვერცხლის მანეთიანს), და რაც მთავარია, ოფიციალურად გათავისუფლდებოდა მეზატონის ყმებისაგან.

იქამდეც რუსული ხელისუფლება ითხოვდა საბუთებს, რათა მეზატონეებს დაემტკიცებინათ, რომ ეხ ხიზნები მათი ყმები იყვნენ. ახლა კი გაქრისტიანების სანაცვლოდ ხიზნები იღებდნენ ოფიციალურ აღიარებას, რომ მათზე არავითარი ბატონყმური უფლება არ გააჩნდათ ქართველ თავადებს.

მართლაც, ამ ხერხით, ანუ თავისი თავის ოს-ხიზნებად წარმოდგენით, დვალეთიდან ქართლში ლტოლვილ-შემოსახლებულების დიდი რიცხვი გაქრისტიანდა და „გათავისუფლდა“ ყმობისგან ოსეთის კომისიის რეკომენდაციით.

ეს ხდებოდა რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე.

ეს იყო საოცნებო მომენტი ქართლელი ყმებისათვისაც.

ახლა მათ დაინახეს გზა ბატონყმობისაგან გასათავისუფლებლად. კერძოდ, ახლა უკვე ქართველი გლეხები შიდა ქართლისა, ვისაც შეეძლო, მასიურად აცხადებდნენ, რომ ისინი ოსეთიდან ჩამოსული ხიზნები იყვნენ, ისინი მართლაც ინათლებოდნენ და იღებდნენ სასურველ შედეგს.

ამ გზით ოსეთის კომისიამ შიდა ქართლში „17 000 ოსი გააქრისტიანა“. სინამდვილეში კი იქ ამდენი ხიზანი არ არსებობდა, ხიზნებად თავს ქართველი გლეხებიც აცხადებდნენ და ამით თავისუფლდებოდნენ ბატონყმური უღლისაგან.

აქედან გამომდინარე, „ოსეთის კომისიის“ მუშაობა იმითაა საინტერესო, რომ ქართველი მთიელებიც კი არაქართველებად (ოსებად) ეწერებოდნენ კომისიის წევრთა წინაშე, რადგანაც სახელმწიფო არაქართველებს „გაქრისტიანების“ სანაცვლოდ თავისუფლებას აძლევდა. ე.ი. ქართლის თავადების ყმებს ათავისუფლებდნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან.

ყოფილ მეზატონეებს უფლება ეკარგებოდათ იმ ყმებზე, რომელნიც „მოინათლებოდნენ“. მოუნათლავებად, ანუ წარმართებად კი ქართლში ოსები იყვნენ ცნობილნი. ამიტომაც ყმები, კერძოდ კი, ქართლელი მთიელები, მასიურად ოსებად ეწერებოდნენ კომისიაში, ოღონდაც ბატონყმური უღლისაგან

გათავისუფლებულიყვნენ. ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ქართველები, როგორც წესი, ქრისტიანები, ანუ მონათლულები იყვნენ და კომისია მხოლოდ მოუნათლავ მთიელებს ემსახურებოდა, შესაბამისად, ყველა მათ მიერ მონათლული მთიელი, ოფიციალურად, არაქართველებად მიიჩნეოდა.

ეს ხდებოდა ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებამდე, XIX ს-ის 20–50-იან წლებში. როგორც აღვნიშნეთ, ამ გზით 1815–1822 წლებში გაქრისტიანდა 17 ათასი ოსი, ქისტი და ინგუში, მათი უმეტესობა კი, სინამდვილეში, ქართველი მთიელი იყო.

ზემოთ აღწერილი, ძირითადად, შეეხება ქართლელ მთიელებს, რომელნიც ოსებად ეწერებოდნენ. რაც შეეხებათ ქისტებსა და ინგუშებს, მათი ხელახლა გაქრისტიანება, რა თქმა უნდა, დიდი საღმრთო საქმე იყო, რომლისათვისაც, როგორც აღნიშნული იყო, ქართულ ეკლესიაში ჯერ კიდევ XVIII ს-ში შემუშავდა საგანგებო გეგმა. სწორედ ამიტომ იღვწოდნენ თავდადებით ამ უდიდესი საქმისათვის ქართველი მღვდელმთავრები წმ. იოანე მანგლელი და სხვა სასულიერო პირები, მათ შორის კირიონის მამა გაბრიელ საძაგლიშვილი.

კომისიის ცალმხრივ მიდგომას ისიც მოწმობს, რომ თბილისის სასწავლებლებში არა მხოლოდ ოსეთიდან და აფხაზეთიდან ჩამოსულ ყმაწვილებს მიიჩნევდნენ არაქართველებად, არამედ ხევსურებსა და სვანებს, მეგრელებს და სხვა მთიელებსაც.

რუსი მკვლევარი ოსებისა და ალანების სხვადასხვაობის შესახებ

ზოგიერთი რუსი მკვლევარი მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა ოსების ალანებად გამოცხადება, რომ სინამდვილეში ოსები და ალანები სხვადასხვა ხალხები იყვნენ.

რუსი ავტორი წერს: после Сталина и Абаева началась идеологическая обработка, когда потомками алан были объявлены осетины, без всякой привязки к реальности

(Булат, http://pereformat.ru /2014/07/polovcy–alany–itogi–diskusslii/).

მიიჩნევა, რომ აბაევი, რომელმაც ალანებად აქცია ოსები და კავკასიის სხვა ხალხები, რუსული პროპაგანდის გამონაგონია, რომ მხოლოდ სტალინისა და აბაევის შემდეგ გამოცხადდნენ ოსები ალანების მემკვიდრეებად ყოველგვარი რეალობის ანდა კავშირის გარეშე. აბაევის დროს ოსებად იწოდნენ ალანები. უფრო მეტიც, თვით ის ხალხი, რომელსაც ოსებს ვუწოდებთ, წარსულში სახელ „ოსებს“ უწოდებენ არა საკუთარ ეთნოსს, არამედ სხვა ხალხს, მეზობელ ბალყარელებს. Откройте старые, неотредактированные ещё пропагандой русско-осетинские словари, балкарцы там называются ассиаг, ассион, т.е. асами.

ბალყარელები ერთმანეთს მიმართავენ კალამბურით – ეი, ბიჭო ალანო, ხოლო იმავე ბალყარელებს მეზობელი ხალხი უწოდებს „ასებს“, „ასიაგებს“, „ასონებს“.

რუსი ავტორი წერს: „წყაროებს აყალბებდნენ, მაგალითად ცეცეს თვითნებურად თარგმნიდნენ, მოიგონეს ზელენჯუკის წარწერა – Совершенно произвольно были переведены фразы Цеца, выдумали Зеленчукскую плиту

(http://wap.alanla.forum 24.ru /?1–0–90–00000315–000–180–0)

აბაევის მოწინააღმდეგეებს აპატიმრებდნენ და ციმბირში ასახლებდნენ, აბაევი კი დიდ მეცნიერად გამოაცხადეს. соперников Абаева сгноили в лагерях, а самого Абаева пропиарили и сделали официальным мнением в науке.

მაგრამ აბაევი ლინგვისტიც კი არ იყო.

А ведь Абаев даже не был лингвистом, про его ученые степени тоже есть противоречивая информация.

Европоцентризм торжественно проник в историческую науку, предками народов Евразии объявлялись индоиранцы – причем аргументы зачастую оставляли желать там лучшего.

Неудивительно, что неискушенному читателю трудно было разобрать где ложь, а где правда.

Из словарей стали убирать осетинское название балкарцев в форме ас и прочие. იქამდე ლექსიკონებში სახელი „ასი“ ბალყარელებს ერქვათ, ეს მიჩქმალეს.

Пошла работа, одним словом. Совершенно бестолковым образом между скифами-сарматами-аланами – провели знак равенства.

დაიწყეს ისტორიის გაყალბება, გააერთმნიშვნელოვანეს სკვითები, სარმატები და ალანები. ეს იყო პროპაგანდა, რომელიც დღემდე გრძელდება

Их потомков свели к осетинам, ещё и тохар добавили. Плоды этой пропаганды видны до сих пор.

მაგრამ პატიოსანი მკვლევარები გამოჩნდენენ ოსთა შორისაც, ისინი უარყოფენ საბჭოთა მითს, რომ ოსები ალანების შთამომავლები არიან

Но, к слову, и раньше и сейчас среди осетинских исследователей были и есть честные исследователи, которые вопреки политике аланизаторства осетин, не смирились с этой пропагандой и предоставили факты, которые на корню опровергали этот запущенный идеологами ещё при Сталине миф, что осетины – потомки алан. В частности, я имею в виду работы осетинского исследователя Дзокаевой Т.К. «Осетины в плену алан», «Осетины потомки осетин» и другие, где на корню, без всяких данных ДНК, была опровергнута гипотеза об аланском происхождении осетин.

http://pereformat.ru /2014/07/polovcy–alany–itogi–diskusii/

დასკვნა

ამჟამიდელი ჩრდილო ოსეთის სამხრეთი ნაწილი დასახლებული იყო დვალების ეთნო ჯგუფით, რომელიც საქართველოს ეკლესიის ერთგული მრევლი იყო, ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერებას ემსახურებოდნენ ქართულ ხელნაწერთა გადამწერი დვალი მწერლები და სხვა სასულიერო პირები, მაგალითად დვალეთის სოფელ წეიდან იყო წმიდა ნიკოლოზ დვალი, საქართველოს ეკლესიის წმიდანი, ის ჯერ კიდევ დაბადებამდე შეწირეს მშობლებმა ღმერთს, ამიტომაც ის იზრდებოდა სხვადასხვა ქართულ მონასტრებში, საბოლოოდ კი მუსულმანობა ამხილა და მათ მიერ აღესრულა.

დვალეთის ქრისტიანთა ბედი შეიცვალა მონღოლთა და თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდეგ ჩრდილო კავკასიაში. მართალია მონღოლები ებრძოდნენ აქაურ ალანებს კავკასიის არეალზე, მაგრამ ალანების სხვა, ჩანს ირანულენოვანი ჯგუფები, შუა აზია-ალტაის მხარეებში მათ ემხრობოდნენ, და ისინი ლაშქრობისას მონღოლებს კავკასიაში შემოყვნენ.

ირანულენოვანმა მცირერიცხოვანმა ოსებმა, რომელნიც თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდეგ შევიდნენ დვალეთში, შეძლეს მისი დაპყრობა, დამორჩილება დამარცხებული დვალებისა, მოახდინეს მათი ასიმილაცია.

საბოლოოდ ეს ორი ჯგუფი ურთიერთშერწყმის შემდეგ ჩამოყალიბდა თანამედროვე ოს ხალხად, შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკურად ეს ახალი ხალხი – მემკვიდრეა ძველი კავკასიელი დვალებისა, მაგრამ ეთნოთვითშემეცნება აქვს შემოსული მცირერიცხოვანი ოსებისა.

დვალეტში ახლაც შემორცენილია მრავალი ქრისტიანული ნაეკლესიარი, რომლებშიც თავის დროს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

გაოსებული დვალები ძირითადად, მე-18 ს.-ში და განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში დვალეთიდან, ვითარცა ლტოლვილი ღატაკები, თავს აფარებდნენ შიდა ქართლის მთიანეთს, რუსეთის პოლიტიკოსებმა საჭიროდ მიიჩნიეს მათზე დაყრდნობით დასუსტება შიდა ქართლის მეპატრონე თავადაზნაურობისა, მიანიჭეს მათ განსაკუთრებული პრივილეგიები, იქამდე, რომ ბატონყმობის გაუქმებამდე იმ გლეხებს, რომელნიც თავს ოსად გამოაცხადებდა ათავისუფლებდნენ ბატონყმობის უღლისაგან. ამის გამო, ბატონყმობის უღლისაგან გათავისუფლების იმედით, მრავალი ქართლელი მთიელი თავს ოსად აწერინებდა ე.წ. ოსებში ქრისტაიანობის აღმდგენელ კომისიას..

თავი II

ფხოვი, დურძუკები და ქისტები

ლიტერატურა

გივი ღამბაშიძის ნაშრომი „ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში“

(ენციკლოპედია: ქართული ენა, 2008 წ., გვ. 514–520)

გივი ღამბაშიძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, წერს: „იმიერკავკასიაში გამოვლენილია ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის მრავალი ძეგლი: ნაეკლესიარები, ნატაძრალები, გუმბათიანი ეკლესიები, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ე.წ. „სამეკლესიიანი ბაზილიკები“. ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთში უმეტესად გვხვდება დიდი და მცირე ზომისე.წ. „დარბაზული“ (მ.შ. უაფსიდოც) ეკლესიები, რომელნიც ზოგჯერ არ გამოირჩევიან არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ მოწმობენ მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის საფუძვლიან გავრცელებას; ქვის, ხისა და ლითონის ძეგლები – ნაირგვარი ზომისა და ფორმის ჯვრები, მათი კვარცხლბეკები, ჯვრების გამოსახულებანი სამლოცველოებზე, ეკლესიის სახურავის კრამიტებზე, ქვის კვადრებზე, კოშკებზე აკლდამებზე; გულსაკიდი და საეკლესიო დროშების ჯვრები, ეკლესიის კანკელების, ლავგარდანებისა და ხის კარების რელიეფები, ეკლესიის ექსტერიერის შემამკობელი რელიეფები, ბარელიეფები, ქვის ემბაზი და ა.შ. (შესრულების ტექნიკით ისინი ანალოგიებს პოულობენ შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურულ, კანკელების, საეკლესიო კედლის მხატვრობის, ჭედურ, ქვასა და ხეზე კვეთილობის ძეგლებში); საეკლესიო კედლის მხატვრობის ნიმუშები – მთლიანად შემორჩენილი და, უმთავრესად, ფრაგმენტულად როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში; საგანგებოდაა აღსანიშნავი ადგილობრივ ქტიტორთა გამოსახულებანი; ადგილობრივ მცხოვრებთა სამარხ-სამაროვნები (აკლდამები – კლდესა და მიწაში ნაკვეთი, ქვებით ამოშენებული და ქვის ფიქლებით გადახურული და სხვ.). ქრისტიანული დასაფლავების წესის დადასტურებასთან ერთად (სამარხების ეკლესია – ტაძრებთან არსებობა, სასაფლაოებზე ქვის ჯვრებისა თუ მათი გამოსახუ-

ლებიანი ქვის სტელების აღმართვა, სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა, პოზა, ძირითადად უინვენტარობა – მხოლოდ სამარხხისა და ტანსაცმლისეული აქსესუარის არსებობა, გულსაკიდი ჯვრები და სხვ.)

არქეოლოგიურ დადასტურებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურ მონაცემებსაც. „ოჯახურ" სამარხებში ქალებისა და ბავშვების ჩონჩხების აღმოჩენა ასევე მიუთითებს მოსახლეობაში ქრისტიანობის ფართო გავრცელებაზე; (უმთავრესად X–XI და XII–XIV სს.)., ძველქართული წერილობითი ძეგლები – წარწერები საამშენებლო ქვებზე, ქვის ჯვრებსა და ჯვართა გამოსახულებიან ქვის კვადრებზე; ეკლესიის კედლის მხატვრობაში ჩართული, საამშენებლო და საყოფაცხოვრებო კერამიკაზე, სეფისკვერის ქვის საბეჭდავზე; ხელნაწერები ეტრატსა და ქაღალდზე – ზოგი ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში საქართველოდან „მოხუმული", უმრავლესობა კი ადგილობრივ ხელოსან –კალიგრაფთა ხელით შესრულებული, რაც მათ მიერ ძვ.ქართულ დამწერლობათა – ასომთავრულისა და ნუსხურის კარგ ცოდნასა და ქართული დამწერლობის ტენდენციებში გათვითცნობიერებაზე მიუთითებს (ორ – და ოთხსტრიქონიანი სისტემები, ასო-ნიშანთა და ქარაგმათა მოხაზულობა-შემკულობანი, სიტყვათა დაშორიშორება, განკვეთის ნიშნები, დაქარაგმება, ასოთა შეწიაღება, ასომთავრულისა და ნუსხურის ურთიერთგავლენა, მათი ურთიერთშერევა და ა.შ.); ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის ქართული კულტურის წრის ძეგლები, საისტორიო, ენობრივ (ქრისტიანული ლექსიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის არსებობა), ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, ნათელყოფენ ამ ქვეყნებში ქრისტიანიზაციის დონეს, ქრონოლოგიურ დიაპაზონსა და, რაც მთავარია, მოქმედ ეკლესია – ტაძრებში ქართული ღვთისმსახურების, მოსახლეობაში ქართული ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელებას. ეს საფუძველს ქმნის შუა საუკუნეების გარკვეულ პერიოდში რეგიონში ქართული დამწერლობისა და ენის – ლინგვა ფრანკა – კოინე ენის სოციო-ლინგვისტური ფაქტის არსებობაზე ვილაპარაკოთ; ასევე, ეს ძეგლები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ისტორიული გეოგრაფიის (სახელმწიფო – ადმინისტრაციულსა და საეკლესიო), ონომასტიკა-ტოპონიმიკის და ა.შ. შესახებ. მნიშვნელოვანი კავკასიოლოგიური პრობლემის შესწავლის დღევანდელი დონის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების შუა საუკუნეების მატერიალურ კულტურებში არსებული ჯვრებისა („ბერძნული", „ათინური", „გოლგოთიანი", „მედალიონებით" დაბოლოებული და დიდრონი ჯვარ–მონუმენტები...) და მათი გამოსახულებების ანალიზისას მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ მხოლოდ წარმართობის კონფესიური მონიზმის პოზიციით ხელმძღვანელობა. ამ ქვეყნებში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან ჯვრების გამოსახულებათა სემანტიკა, ბუნებრივია, ქრისტიანულია.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის კვლევის ინტენსიფიკაციასთან ერთად, ბოლო ათწლეულებში მრავალი ახალიც გამომზეურდა. მაგ., დაღისტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ბოლო აღმოჩენაა მთიან დაღისტანში,

ავარეთში (ქართ. წყაროებით „ღუნძეთში“), მისი დედაქალაქის, ხუნძახის, დამყურე აქაროს მთაზე X–XIV სს. წმიდა თორმეტი მოციქულის ტაძარი ძველ-ქართულ დამწერლობიანი ქვის ჯვრებითა და საინტერესო არქეოლოგიური მასალით. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია. დაიწყო ზოგიერთი ძველად აღმოჩენილის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე ხელახალი შესწავლა. უკუგ-დებულია მტკიცება, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ქრის-ტიანული რელიგია და კულტურა „ზედაპირული“, „უცხო“, „თავსმოხვეული“ მოვლენა ყოფილიყოს და ღრმად არ შეხებოდეს იმიერკავკასიელთა მსოფლმ-ხედველობას, რითაც ფაქტობრივად არქაიზდებოდა იმ ქვეყნების საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონეცა და კავკა-სიელ ხალხთა კონსოლიდაციის ხარისხიც. ქართული არქეოლოგ-კავკასიო-ლოგიის მიერ 1970–80 შემუშავებული ახალი მტკიცებულებებით, საქართვე-ლოდან იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ფართოდ გავრცელება დამკვიდრება იწყება არა XII–XIII სს-ში, საქართველოს სახელმწი-ფოებრიობის ძლიერების ეპოქაში – დავით IV აღმაშენებლისა (1089–1125) და თამარის (1184–1213) მეფობის დროს, როდესაც საქართველო – ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა, არამედ X საუკუნი-დან, რაც სათანადოდ აისახა კიდეც ამ ქვეყნების მატერიალურ კულტურებში. აქვეა აღსანიშნავი, მოციქულთა დროიდან მოკიდებული, საუკუნეთა განმავ-ლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ად-რინდელი ისტორიული ფაქტებიც. საქართველოს გაერთიანებამდე (ბაგრატ III ეპოქა – X ს. 60-იანი წლების დასაწყისი – 1014), ჩრდილო-დასავლეთ იმიერ-კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ ბიზანტიასთან ერთად

დასავლეთით ქართული სამეფო აფხაზეთი (აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის (922–957) გამორჩეული მოღვაწეობა ქრისტიანობის გავრცელების მხრივ), ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში – ქართლი და კახეთი, ხოლო გაერთიანების შემდეგ – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაა. ამ ისტორიულ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სამოცი-ქულო მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. ვფიქრობთ, სასულიერო და საერო ხელისუფალთა საერთო ქმედებაა გამოხატული ინგუშეთში არსებულ ტყობა-იერდას წმიდა თომას, კვირაცხოვლობის ტაძრის (X ს. II ნახ. სამეკლე-სიიანი ბაზილიკა, XIII–XIV სს-ში აღდგენილ-გადაკეთებული) დასავლეთ კედლის ბარელიეფურ ქტიტორულ კომპოზიციაში, რომელზედაც გამოსა-ხულია, როგორ მიართმევენ ქრისტეს ეკლესიის მოდელს სასულიერო და საე-რო ხელისუფალნი.

X საუკუნის ღვთისმეტყველისა და მწერლის – გიორგი მერჩულისეული ქართული ეროვნული მთლიანობის დეფინიციის შემცველი ფორმულა – „ქარ-თლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟა-მი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ – უკვე X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძლება გავრცელდეს იმიერკავკასიაზეც. **საქართველოს საკათა-ლიკოსო-საპატრიარქოს სტატუს-კვო და იურისდიქცია, საფიქრებელი», გაცხა-ددა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის (1012–1030, 1039–**

1045) „აღმოსავლეთის პატრიარქად“ სახელდებით იმავე ტყობია-იერდას ტაძრის ლაპიდარულ წარწერაში.

არსებული მასალები საფუძველს ქმნის, შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო იურისდიქციაში შემავალი იმიერკავკავკასიის სივრცე სამიტროპოლიტოებად და ეპარქიებად გაერთიანებულ სამწყსოდ წარმოვიდგინოთ: IV მსოფლიო საეკლესიო კრების დაკანონებით, საეკლესიო საზღვარი სახელმწიფო საზღვარს ემთხვეოდა, საერო-ადმინისტრაციული დაყოფა საეკლესიოში აისახებოდა.

ასე. **XIV ს-ში გიორგი V ბრწყინვალისა (1314–46) და საქართველოს კათალიკოსის ექვთიმე III-ის (1310–25) ეპოქაში, მთიანი დაღისტნის ტერიტორიაზე სახელდება 3 საეპისკოპოსო (ხუნძახის, ანწუხისა და წახურის), XV ს-ში კი ხუნძელი კათალიკოსი – ოქროპირია (კ. კეკელიძე).** თუ შევადარებთ ამ პერიოდის ვითარებას სპარსელი არაბულენოვანი სწავლულის იბნ-რუსთის (IX ს. II ნახ. – X ს. I ნახ.) მიერ X ს. დასაწყისში აღწერილს, რომელიც სარირის (ავარეთის) მეფის ციხე-სიმაგრის მცხოვრებთ ქრისტიანებად, ხოლო ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას კი წარმართად მოიხსენიებს, ნათლად ჩანს მთიანი დაღისტნის ქრისტიანიზაციის პროცესი, მისი ინტენსიფიკაცია; აღსანიშნავია **X ს. ინგუშეთში (ქართული წყაროებით „დურძუკეთი“) გიორგი ეპისკოპოსის მოღვაწეობაც, რის შესახებაც გვაუწყებს იმავე ტყობია-იერდას ქრისტიანული ტაძრის ლაპიდარული წარწერები.** ისტორიულ „ღუნძეთთან“, „დურძუკეთსა“ და „ღლიღვეთთან“ (ჩაჩნეთი) მიმართებით აღნიშნულ საკითხთა გარკვევისათვის მნიშვნელოვანია კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1010–29) მიერ კახეთ-ჰერეთში ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმის მონაცემების გათვალისწინება. XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს, რომ ამ რეფორმით, **„დურძუკეთი“ და „ღლიღვეთი“ კახეთის მეორე, კვეტერის საერისთავოში, „ღუნძეთი“ კი – ჰერეთის მესამე, მაჭის საერისთავოში შემავალი ქვეყნებია; საყურადღებოა აგრეთვე მისი მონაცემები ნიქოზის საეპისკოპოსოს ოსედვალეთთან დაკავშირებით.**

პროცესი შეწყდა თათარ-მონგოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ.

ჩრდილო-აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში (დაღისტანი) გავრცელდა და დამკვიდრდა ისლამი. ცენტრალურ და დასავლეთ იმიერკავკასიაში კი მის გავრცელებამდე ნაწილობრივი რესტავრაცია განიცადეს წარმართულმა კულტებმა, რომლებიც ქრისტიანობასთან სინკრეტულად არსებობდნენ. ამ გარდამავალმა პერიოდმა გვიან შუა საუკუნეებში წარმოშვა არაკანონიკური არქიტექტურა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ნახევრადქრისტიანულ-ნახევრადწარმართულ“ სამლოცველოებად მოიხსენიებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ XIX–XX სს. ემპირიული მონაცემები ნათლად მიუთითებენ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივ მცხოვრებთა მოწიწებასა და რიდს თავისი ისტორიის ქრისტიანული პერიოდისა და მისი კულტურული ძეგლების მიმართ, რაც ეთნო-კულტურული ტრადიციის, სულიერი მემკვიდრეობითობისა და კულტურის ეკოლოგიის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია.

ანზორ ქალდანის ნაშრომი „ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში“

(ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ №79; 1988 წ)

ა. ქალდანის წიგნს „თარგიმის ქვაბული“ ინგუშეთის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული.

1781 წ. უნახავს რუსეთის არმიის კვარტირმაისტერს შტედერს, რომელიც თავის ნაშრომში იძლევა ძეგლის მოკლე, ზოგად აღწერილობას. ავტორი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იმეორებს ძეგლის ხალხურ პერიოდიზაციას, რომელიც XIX ს-მდე აგებულ თითქმის ყველა, რამდენადმე ღირსშესანიშნავ ნაგებობას თამარ მეფეს მიაწერს.

811 წელს ტყობა-ერდი მოინახულა გერმანელმა გეოლოგმა მორიც ფონ ენგელჰარდტმა და თავისი დაკვირვებები შტედერის მასალებთან ერთად გამოსცა კიდეც. ის იმეორებს **ძეგლის ხალხურ დათარიღებას.**

ტყობა-ერდის პირველ ვრცელ აღწერილობას და მეცნიერულ ანალიზს იძლევა ვს. მილერი მკვლევარის დაკვირვებით, ძეგლს რამდენჯერმე განუცდია რეკონსტრუქცია. ძეგლის დათარიღებისათვის ის პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს დასავლეთის ფასადის ბარელიეფზე მოთავსებულ წარწერებს, რომელთა ასლებსაც წასაკითხად ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავად მცოდნე დ.ბაქრაძეს უგზავნის. ამ უკანასკნელს იგივე წარწერები 15 წლით ადრე ჰქონდა უფრო სრულად გადაღებული. **წარწერების გაშიფვრით ვს. მილერი და დ. ბაქრაძე ძეგლის პირვანდელ შრეს IX ს-ით ათარიღებენ.** ტყობა-ერდის შესახებ ვრცლადაა ლაპარაკი ა.გენკოს ნაშრომში. სამწუხაროდ, მკვლევარი ვერ ერკვევა როგორც ძეგლის არქიტექტურაში, ისე დეკორში, და ერთი ფილა დასავლეთის ბარელიეფიდან რატომღაც ანგელოზის გამოსახულებიანი ფილის ქვეშ გააქვს, რითაც ეჭვქვეშ აყენებს ვს. მილერისა და დ. ბაქრაძის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დადასტურებულ ფაქტს იმის შესახებ, რომ წარწერებიანი ორი ფილა ბარელიეფის ზედა ნაწილში იყო ჩასმული. ეს ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ წარწერა მთავარანგელოზს დაუკავშიროს და ამით არასწორად მიიჩნიოს დ. ბაქრაძისეული წაკითხვა. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად ა. გენკო იმოწმებს ენგელჰარდტს, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ გამოქვეყნებულ სქემაში საკამათო წარწერიანი ქვა ბარელიეფშია ჩასმული და არა ანგელოზის გამოსახულებიანი ფილის ქვეშ. ცალკე პუბლიკაცია მიუძღვნა ძეგლს ე. კრუპნოვმა. ავტორი იძლევა ტყობა-ერდის აღწერილობას. სახურავთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ იგი ჩაქცეულია, უნდა ყოფილიყო ორქანობიანი და ფიქალის ქვით დახურული. სახურავი რომ ორქანობიანი იყო, ამას ნაგებობის ფრონტონებიც ამტკიცებენ, მაგრამ საეჭვოა მისი ფიქალით გადახურვა. ვს. მილერს ხაზგასმული აქვს ის გარემოება, რომ როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთ ეყარა კრამიტის ნამტვრევები. მსგავსი შეუსაბამობანი ე.კრუპნოვის ნაშრომში საკმაოდაა წარ-

მოდგენილი. ა. გენკოს ნაშრომზე დაყრდნობით ის ეჭვქვეშ აყენებს ვს. მილერის და დ. ბაქრაძისეულ დათარიღებას. ყოველგვარი ანალიზისა და მაგალითების დაუსახელებლად მკვლევარი „ტყობ-ერდს“ სვანეთისა და აფხაზეთის ეკლესიებს ადარებს, რომლებიც თურმე сумарно датируются XII–XIII вв. აქვე იყენებს ძეგლის შტედერისა და ენგელჰარდტისეულ ხალხურ პერიოდიზაციას (თამარის დრო) და კატეგორიულად ასკვნის, რომ იგი XII ს. აგებული. შემდეგ ნაშრომში ე.კრუპნოვი აღნიშნავს, რომ ტყობა-ერდი აგებულია არა უადრეს XII–XIII სს. რესტავრაციის მერმინდელი ძეგლი აღწერილი აქვს მ. მუჟუხოევს. მკვლევარი ვს. მილერის ნაშრომზე დაყრდნობით დღემდე მოღწეულ ნაგებობას XI ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს,5 თუმცა მას ვერ შეუმჩნევია ის გარემოება, რომ ძეგლი დაფუძნებულია ადრე არსებული ეკლესიის საძირკველზე, რომლის ელემენტები ფართოდაა ჩართული XI-ს დაშენებული სამეკლესიანი ბაზილიკის კედლებში. ტყობა-ერდის მეცნიერულ კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1941 წ. მოწყობილმა ექსპედიციამ გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. იმავე წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების X სესიაზე გ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა მოხსენება „К вопросу о культурных связях Грузии и Ингушетии“, რომელშიც მოცემულია ძეგლის ზუსტი მეცნიერული ანალიზი. მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მოგვიანებით სავსებით დადასტურდა. 1969 წ. დაიწყო ძეგლის გაწმენდა დანალექი მიწისაგან. 1970–72 წლებში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, აღდგა ჩამონგრეული კედლები და ნაგებობა გადაიხურა. სამწუხაროდ, სულ რაღაც ხუთიოდე წელიწადში სახურავი ჩაიქცა და ძეგლი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. ნაგებობის ერთ კუთხეში უპატრონოდაა მიყრილი IX საუკუნით დათარიღებული ანგელოზის გამოსახულებიანი კუთხის ქვა და სხვა უნიკალური დეტალები. ყველა გამვლელი ვალდებულად თვლის თავს წაღმაუკუღმა ატრიალოს ისინი, რაც აზიანებს ჩვენი ისტორიის ისედაც მრავალჭირნახულ რელიქვიებს. საჭიროა გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებანი მათ გადასარჩენად.

ტყობა-ერდი თარგიმის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ნასოფლარ ხაირახიდან 200–300 მ დაცილებით. ძეგლი ჩრდილო-აღმოსავლეთითაა ორიენტირებული (გამარტივების მიზნით პირობითად საერთოდ მიღებულ ორიენტაციას ვიხმართ). ყამირის დონეზე შეიმჩნევა გეგმაში წაგრძელებული (39.5X25,7 მმ) ოთხკუთხა მოხაზულობის საძირკვლის კვალი. როგორც ჩანს, მთელი ტერიტორია გალავნის კედლებით იყო შემოზღუდული, რომლის სამხრეთი ნაწილი უკავია სამეკლესიან ბაზილიკას მინაშენებით (ეკვდერი, დამხმარე ნაგებობანი). ცენტრალური ეკლესია გეგმაში სწორკუთხედის (16,6X7,8 მმ) მოხაზულობისაა. აღმოსავლეთის კედლის გარეთა კუთხეები „მთელ სიმაღლეზე კარგად გათლილი შირიმის სწორკუთხოვანი ფორმის კვადრებითაა აყვანილი. ამავე კედლის წყობაში ძირითადად ღია ფერის ქვიშაქვის კვადრატული და წაგრძელებული დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. სამხრეთის კედლის სიგრძის დაახლოებით 3 მ მონაკვეთი, რომელიც აღმოსავლეთის კედელს ესაზღვრება, სტრუქტურული თვალსაზრისით აღწერილის

ანალოგიურია, ხოლო დარჩენილ ნაწილში ჭარბობს შედარებით მცირე ზომის უწესრიგო ფორმის ქვიშაქვის ბლოკები. ფიქალი ნაკლებადაა გამოყენებული. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთის ნაწილი დაახლოებით 2 მ-მდე აღმოსავლეთის კედლის იდენტურია, დარჩენილ ნაწილში ჭარბობს ფიქალი. დასავლეთის კედლის წყობაში ძირითადად ფიქალია ნახმარი. შირიმის გამოთლილი კვადრები კუთხეებში მცირე რაოდენობითაა გამოყენებული. შირიმის ქვის სხვადასხვა ზომების ბლოკებზე ამოკვეთილი ადამიანებისა და ცხოველების მრავალრიცხოვანი რელიეფური სკულპტურები თუ სკულპტურული კომპოზიციები არათანაბრადაა განაწილებული ნაგებობის ოთხსავე კედელზე, როგორც საფასადე მხარეს, ისე ინტერიერში. ცენტრალური ეკლესიის შიდა სივრცე, გრძივი კედლებიდან საკმაოდ გამოწეული ქვითკირის მძლავრი ბურჯების სამი რიგით, ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. ბურჯებზე შენობის კამარების საბჯეხი შეისრული თაღებია გადაყვანილი. კედლებში დიდი რაოდენობის ნიშებია მთელ სიმაღლეზე.“

სიბრტყეზე ამოკვეთილია ორი სიუჟეტისაგან შემდგარი სკულპტურული კომპოზიცია. მარჯვენა გამოსახავს მამაკაცის ბრძოლას ლომთან, მარცხენაზე სამი ფიგურაა, რომელთაგან ერთ-ერთი, ალბათ, ქტიტორი, ეკლესიის მოდელს მიართმევს ქრისტეს.

კომპოზიციის ცენტრში ჯვრის მოხაზულობის ქვის ბლოკზე ამოკვეთილია ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურა. მის თავს ზემოთ ძალზე გამოწეული მცენარეული ორნამენტით შემკული სარტყელია; რომელზეც, ენგელჰარდტის მიხედვით, გუმბათიანი ტაძრის მოდელი მდგარა. ქრისტეს მარცხნივ ფეხზე მდგომი ადამიანის გამოსახულებაა, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმლის ვადაზე უდევს, მარცხენაში კი ჯვარი უჭირავს. ქრისტესგან მარჯვნივ კიდევ ერთი ადამიანის ფიგურა ყოფილა გამოსახული, რომლის ქვედა ნაწილია დარჩენილი. კომპოზიციის ზედა ნაწილში, იდაყვში ოდნავ მოხრილი ხელია, რომელსაც გონიო უკავია. აღწერილ კომპოზიციაში სხვადასხვა პერიოდში შემთხვევითაა მოხვედრილი ორნამენტირებული დეტალები. ადრე აქვე ყოფილა ჩასმული წარწერებიანი ორი ფილა. ამავე კედელზე, არქივოლტის თავზე და გვერდებზე, მისგან ოდნავ დაცილებით სამი ანგელოზის რელიეფური გამოსახულება ყოფილა მოთავსებული. ცენტრალურ დარბაზს სამხრეთიდან ეკვრის სვეტებიანი კორიდორი და მეორე მცირე ეკლესია, რომლის ღრმა, ნალისებური მოხაზულობის აფსიდა მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის სიბრტყიდან 2,0 მ-ითაა გაწეული. მცირე ეკლესიის იატაკის ფიქალის ფენილის ქვეშ საძვალეა, რომლის ჩასასვლელი ჩახერგილია. სამეკლესიანი ბაზილიკის დასავლეთის კედლისგან 2,2 მ დაცილებით კედლის ნაშთია, რომელშიც გლუვწირთხლებიანი სამი შესასვლელი ყოფილა დატოვებული, მათგან ცენტრალურის საფასადე გვერდებზე შეწყვილებული ცრუ სვეტებია, რომელთა ქვედა ნაწილში ბურთულებია ამოკვეთილი, კაპიტელი კი ორი ლილვითა და თაროთია წარმოდგენილი. ვს. მილერის მიხედვით, როგორც აღნიშნული, ისე მისგან მარცხნივ მოქცეული კარი თაღით ყოფილა დასრულებული. სამეკლესიან ბაზილიკას სამხრეთ-აღმოსავლეთით ეკვრის ძალზე დაზიანებული ეკვდერი

(6X3,8 მ). მისი აფსიდა გეგმაში ღრმად შეწეული, მკვეთრად გამოხატული ნალისებური მოხაზულობისაა. აფსიდის კედელში ორი დიდი ზომის ნიშია. თითო ნიშია ეკვდერის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში. დასავლეთის კედელში გლუვწირთხლიანი კარია გაკეთებული. როგორც აღინიშნა, გათხრების დროს გამოვლინდა ადრე არსებული ბაზილიკის საკურთხევლის საძირკვლის ნაშთები; მშენებლობის ამ პერიოდიდან დარჩენილი არქიტექტურული ელემენტები ჩართულია შემდგომ ეტაპზე აგებული ნაგებობის კედლებში სხვადასხვა დანიშნულებით. სწორედ ძველ ბაზილიკას უნდა მიეკუთვნებოდეს წარწერებიანი ფილა, რომლითაც დ. ბაქრაძე ძეგლს IX ს-ით ათარიღებს. XI–XII სს მიჯნაზე (მ. მუჟუხოევი XI ს. პირველ მეოთხედში) ადრე არსებული ძეგლ ადგილზე სამეკლესიანი ბაზილიკა იგება, რომელიც შემორჩენილი ელემენტებით ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ხერხებით ხორციელდებოდა. მოგვიანებით XVI–XVII სს მიჯნაზე სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჩამოქცეული კედლები ხელახლაა აყვანილი და ძველი ელემენტები უკვე შემთხვევითაა გამოყენებული. ამასთან შეიმჩნევა ქართული არქიტექტურული კანონების დარღვევა როგორც კონსტრუქციულ სისტემაში (ბურჯები, სამხრეთის კედლის სარკმლების აგებულება...), ისე ახლად აგებული ფასადების გადაწყვეტაში.

თარგიმისავე ქვაბულში, მდ. ასას მარცხენა ნაპირას, მცირე ზომის ტაფობში მდებარეობს შედარებით ნაკლებად შესწავლილი ეკლესია ალბი-ერდი, რომლისგანაც ჩვენამდე მხოლოდ დაზიანებულ კედლებს მოუღწევია. ძეგლის ქვედა ნაწილი ქვას და ღორღს დაუფარია. მისი მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელია არქეოლოგიური გათხრა. ალბი-ერდი გეგმაში წაგრძელებული (8,75X5,3 მ) სწორკუთხა მოხაზულობისაა. ღრმა ნალისებური ფორმის აფსიდა კედლის სიღრმეშია მოქცეული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს შეიმჩნევა მინაშენების ნაშთები, თუმცა გათხრამდე ძნელია მათზე რაიმეს თქმა. საშენად ძირითადად ფიქალია გამოყენებული, შემკრავად – კირის ხსნარი. ინტერიერი შელესილია. სავარაუდოა, რომ შელესილი იყო საფასადე მხარეც. დარბაზში შესასვლელი სწორკუთხა, გლუვწირთხლებიანი კარი სამხრეთის კედელშია გაკეთებული. ანალოგიური კარია დასავლეთის კედელშიც; ეს მხარე მიწითაა დაფარული გარედან და კედელში კარის არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარესაც უნდა ყოფილიყო მინაშენი. ამასთან როგორც ეს, ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები, დარბაზის თანადროულია. სამხრეთის კედელში 4 მ სიმაღლეზე სამი ვიწრო, მაღალი სარკმელია გაკეთებული. მათგან მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი შუა, რომლის ზედა მხარე ნალისებური თაღითაა დასრულებული. სარკმლის კვალი შეინიშნება დასავლეთის კედელში. სამხრეთის კედლის საფასადე მხარეს ორი მასიური პილასტრია ამოყვანილი, რომელთა ზედა ნაწილებში თაღებად გადასაყვანი ქუსლები ქართული გამომწვარი აგურითაა შესრულებული. როგორც ჩანს, ამ მხარეს არსებული მცირე სამლოცველოს ცილინდრული კამარა აღნიშნულ და მათ საპირისპიროდ მდებარე პილასტრებზე აყვანილ თაღებს ეყრდნობოდა. ალბი-ერდის კედლებზე შემორჩენილია შელესილობა მხატვრობის მკრთალი კვალით,

განსაკუთრებით დასავლეთის, ჩრდილოეთის კედლებზე და აფსიდაში ჯერ კიდევ შეიძლება რამდენიმე შარავანდის მოხაზულობის კადრის გამყოფი ზოლებისა და ფიგურების დეტალების გარჩევა. დამახასიათებელია აგრეთვე მხატვრობის საერთო ლურჯი-მოყავისფრო შეფერილობა, რაც მას შუა საუკუნეების რიგში აყენებს. კადრის გამყოფი მკრთალი, მოყავისფრო ზოლები მეტყველებს მასზედ, რომ მხატვრობა კარგად იყო მორგებული შენობისათვის, რაც გამოცდილი მხატვრის ხელს ავლენს.

სოფ. თარგიმის ეკლესია მდ.ასას მარჯვენა ნაპირას, სოფლიდან დაახლოებით 4 კმ-ს დაცილებითაა აგებული ქვაბულის უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვართან. ძეგლი შედარებით მცირე ზომისაა (8,70X4,65 მ), თუმცა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით ხასიათდება აქ ეკლესიის ქვეშ დაახლოებით 2 მ სიმაღლის საძვალეა მოწყობილი, რომელშიც შედიოდნენ დასავლეთის კედელში გაკეთებული სწორკუთხოვანი შესასვლელით (65X63 სმ). იგი ფიქალის მომრგვალებული ფილით იხურებოდა. საძვალის მასიური კედლები დარბაზის კედლების საძირკველს წარმოადგენდა. კედლის წყობაში ფიქალი და ნაკლებად დამუშავებული რიყის ქვებია გამოყენებული, შემკრავად კი – კირის ხსნარი. კედლები შელესილია. შესაძლოა, მოხატულიც იყოს. დარბაზის გრძივი კედლების ცენტრებთან თითო პილასტრია, რომლებზეც შენობის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. გლუვწირთხლებიანი, რკალურად დასრულებული კარი სამხრეთის კედელშია გაკეთებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელია გაჭრილი. აფსიდაში ოთხკუთხა განავკვეთის ტრაპეზის ნაშთები შეიმჩნევა. აღწერილი ნაგებობანი აშკარად მოწმობენ ქართულ-ვაინახურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაზე და მთიელთა ქრისტიანიზაციის პროცესზე, რომელიც მთლად უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა კრედო ნათლადაა გადმოცემული ტყობა-ერდის დასავლეთის ფასადის რელიეფზე, სადაც ქრისტესაგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოხატულ ფიგურას ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში – მახვილი. რელიეფი, შეიძლება ითქვას, საპროგრამო გამოსახულებაა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მთიელთა საკუთარი პოლიტიკის ორბიტაში მიზიდვის მიზნით იყენებს ქრისტიანობას. 6 ცხადია, ძალდატანება ამ საქმეში რწმენის დანერგვის ფეხდაფეხ მიაბიჯებდა, თუმცა ამის მიუხედავად, როგორც იდეოლოგიური რიგის ფაქტორმა, ქრისტიანიზაციამ, როგორც ყველგან, ვაინახებზეც გარკვეული გავლენა იქონია.

ხვთისო მამისმედაშვილის ნაშრომი - „ქისტები პანკისში ჩამოსახლებამდე და მათი მიგრაციის მიზეზები“

http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/pankisi_warsuli_da_tanamedroveoba.pdf

ხვთისო მამისმედაშვილი წერს: „1846 წელს თავადმა ჯამბაკურ ორბელიანმა ლეკიანობის შესაჩერებლად კახეთის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები თავისი კუთვნილი 100 გლეხის პანკისში დასახლების სურვილი გამოთქვა და წერილობით შესაბამის ინსტანციებსაც მიმართა“.

მისი აზრით, გლეხების დაუსახლებელ პანკისში ჩასახლება სიმშვიდესა და განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანდა მთელ კახეთს. ჯამბაკურ ორბელიანის იდეას თიანეთის მაზრის უფროსმა თავადმა ლ. ჩოლოყაშვილმაც მხარი დაუჭირა. ის არწმუნებდა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, რომ ეს გლეხები ლეკებს ჩაუკეტავდნენ კახეთში შემოსასვლელ ბილიკებს და ამ გზით რეგიონში სიმშვიდე დამყარდებოდა.

ჯამბაკურ ორბელიანის წამოწყებას დაუპირისპირდნენ თუშები.

მათ საჩივარი გაუგზავნეს ვორონცოვს და უმტკიცებდნენ, რომ პანკისის ხეობა იმთავითვე ჩვენი საკუთრებაა და ორბელიანს მასთან ხელი არ აქვსო. ვორონცოვმა თუშების საჩივარი განსახილველად მეფისნაცვლის კანცელარიას გადასცა. კანცელარიამ ჯამბაკურ ორბელიანის თხოვნა არ დააკმაყოფილა. მეფის რუსეთს პანკისის ხეობაში ქართველების დასახლება არ სურდა.

ქისტები, რომლებიც დაცარიელებულ პანკისს საცხოვრებლად ოფიციალური მონაცემებით 1848 წლიდან მოევლინნენ და სიცოცხლეჩამკვდარ ხეობაში სამეურნეო ცხოვრების აღორძინება ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს, ქართველებისთვის უცხონი არასოდეს ყოფილან. კავკასიის მაღალმთიანეთში ქართველი მთიელების, კერძოდ, ხევსურებისა და თუშების მეზობლად უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ ვაინახი ტომები – ჩეჩნები და ინგუშები.

თუმცა XVIII საუკუნემდე ეთნონიმები ჩეჩენი და ინგუში ცნობილი არ იყო.

ქართველი მთიელები მათ ქისტების სახელწოდებით იცნობდნენ, ხოლო მდინარე ასას მიდამოებში, თარგიმის მახლობლად მცხოვრებ ვაინახებს ღილღველებსაც ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთიელები თავიანთ მეზობლად მოსახლე ჩეჩნებსა და ინგუშებს დღესაც ქისტებად მოიხსენიებენ.

ჩეჩენთა თვითსახელწოდება კი არის ნოხჩუო, ხოლო ინგუშებისა – ღალღა.

ისინი კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას მიეკუთვნებიან. ძველი ბერძნული, სომხური, ქართული და აღმოსავლური წყაროები მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს: გარგარები, ქუსტები (ქისტები), ნახჩამატეანქები, ძურძუკები და სხვ.

ეთნონიმი „ჩეჩენი“ რუსებმა სოფელ ჩეჩენის გავლენით გაავრცელეს.

სოფელ ანგუშტის სახელწოდებიდან მომდინარეობს ეთნონიმი „ინგუშიც“. ჩეჩნებსა და ინგუშებს, ფაქტობრივად, ერთი სალაპარაკო ენა აქვთ, რომელიც განეკუთვნება იბერიულ–კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს. ჩეჩნუ-

რი და ინგუშური მწერლობა, მათი სალიტერატურო ენები, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

ძვ. წ. III საუკუნეში ქართველთა პირველმა მეფემ ფარნავაზმა ძურძუკი ქალი შეირთო ცოლად, ხოლო მისმა ვაჟმა საურმაგმა ძურძუკების დახმარებით შეძლო შინაური აშლილობის ჩახშობა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. ამის გამო მადლიერმა მეფემ ისინი „აჰყარა კავკასითურთ“ და დაასახლა „დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე“ [92. 58].

ქართველებსა და ვაინახებს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები განსაკუთრებით გაძლიერდა IX–XII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს გავლენით იქ ქრისტიანობა ვრცელდებოდა.

ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთიანეთში დღემდე მოაღწია ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებმა ჯვრის გამოსახულებებითა და ასომთავრული ქართული წარწერებით, რომლებიც იმდროინდელ ქართველ სასულიერო მოღვაწეებსა და მეფეებზე მოგვითხრობენ.

ინგუშეთში ასას ხეობის ქრისტიანული ძეგლები: თხაბა-ერდი, ალბი-ერდი, თარგიმი, მაღარ-ერდი და სხვები – თარიღდება IX–XII საუკუნეებით. თხაბა-ერდს გ. ანჩაბაძე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ ძეგლად მოიხსენიებს. კულტურული ურთიერთობების შედეგად ჩეჩნეთ-ინგუშეთში ვრცელდებოდა ქართული ენა და ანბანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში ჩეჩნები და ინგუშები იყენებდნენ ქართულ დამწერლობას. 1944 წლამდე ინგუშებს ჰქონიათ ძველი ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები.

ვაინახებში ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინები ქართული ენიდან არის შესული ან ქართულია. ჩეჩენ-ინგუშთა დაქირავებული სამხედრო რაზმები ხშირად მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვით ომებში.

XVI საუკუნის ბოლოდან ვაინახებში თანდათან ისლამის გავრცელება დაიწყო, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებისათვის იქ საბოლოოდ გაბატონდა.

თუმცა მთიან ჩეჩნეთში, კერძოდ, მაისტის, მითხოსა და ხილდიჰაროს საზოგადოებებში, რომელი თემებიდანაც მოხდა ვაინახთა მიგრაცია პანკისის ხეობაში, მოსახლეობა მაშინ გარეგნულად კი აღიარებდა ისლამს, მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ მისდევდა ქრისტიანულ წეს-ადათებს.

მაგალითად, ჩეჩნები ხევსურეთის საზღვრისპირა მითხოსა და მაისტის სოფლებიდან XX საუკუნის პირველ ნახევარში სალოცავად კვლავაც ძველებურად მიდიოდნენ ანატორის ჯვარში. სალოცავში ანთებდნენ სანთელს, სწირავდნენ ცხვარსა და კურატს, მიჰქონდათ სარიტუალო ბაჩაყურები, ერთგვარი ნამცხვრები, ქადის მსგავსი, რომლებსაც ქისტები აცხობდნენ სალოცავში წასაღებად. ჭრიდნენ ქადებსა და ა.შ. ხევსურები, ანატორის ჯვრის ყმები, დღესაც იხსენებენ: „ქისტების მაღებულ ბაჩაყურაივ ურჩევავ ანატორის ჯვარსავ. ქისტების მაღებულივ ჩვენ საკლავსავ ჯობავ, აისრ მიღებულებ ჰყავავ ქისტებივ ანატორის ჯვარსავ“ [30. №29865]. ქისტებს თავიანთი ხუცესიც ჰყოლიათ,

რომელიც ქისტურ ხალხურ საკულტო ტექსტთან შერწყმულ მაჰმადიანურ არაბულ ლოცვასაც აღავლენდა: „ბისმილაჰი, რაჰმანი, ნაქორინ წა წეიმ ბარა“ – გწყალობდეთ ანატორის ჯვარიო! „ნაქორინ წა“ ქისტურად ანატორის ჯვარს ერქვა.

ა. ზისერმანი თავის წიგნში „ოცდახუთი წელი კავკასიაში“ მოგვითხრობს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქისტები მთიან ჩეჩნეთში პანკისში ჩამოსახლებამდე სულ რაღაც ექვსი წლით ადრე. ა. ზისერმანი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქისტების რელიგიურ ყოფაზეც. ის აღნიშნავს, რომ შამილის მიურიდები ამაოდ ცდილობდნენ მათში ალაჰის რწმენის დანერგვას.

მთიელი ჩეჩნები მაჰმადიანობის მიმართ ლოიალურები იყვნენ, მაგრამ იცავდნენ ქრისტიანული ელფერის მქონე ტრადიციულ ადათ-ჩვევებს. „ქისტები, წერს ა. ზისერმანი, მართალია, ქრისტიანებს ურჯულოებს უწოდებენ, მაგრამ თაყვანს სცემენ წმიდა გიორგის. ისინი არ ჭამენ ღორის ხორცს, ჰყავთ რამდენიმე ცოლი. მთიელი ჩეჩნები არ ასრულებენ ნამაზს, არ აქვთ მეჩეთები და არ ჰყავთ მოლები“.

მთიან ჩეჩნეთში საზოგადოებრივი ცხოვრება ფშავ-ხევსურეთის „საყმოებისა“ და თემების მსგავსად იყო მოწყობილი. მთიან ჩეჩნეთში მოგვარეები კომპაქტურ უბნებად ცხოვრობდნენ. გვარები ერთიანდებოდნენ თუხუმებად, თუხუმთა გაერთიანება კი ქმნიდა ტომს. თითოეული საზოგადოება სრულიად დამოუკიდებელი იყო მეორისგან. მაისტში, აულ ფუაღში ჩასულ ზისერმანს ჯოყოლა უყვებოდა, თუ როგორ იცავდნენ მაისტელები არც თუ ისე დიდი ხნის წინ შამილის იმამატისგან თავიანთი თემის დამოუკიდებლობას. მათ განდევნეს შამილის მიერ წარგზავნილი ჩეჩენი მიურიდები, რომლებმაც თურმე მათ სოფელს ალყა შემოარტყეს და სურდათ აგრეთვე მათში მუსულმანობის განმტკიცება. მაისტელების პანკისში გადმოსახლებამდე რამდენიმე წლით ადრე მათ სოფლებში – ფუაღში, ფახილგოსა და ტუგაში სტუმრად მყოფი ზისერმანი შეძრა იმ წყვდიად ხეობაში გამეფებულმა სიღატაკემ. ზისერმანის ცნობით, უკიდურესი გაჭირვებისა და სიღატაკის გამო, მამაკაცები ძირითადად ყაჩაღობდნენ.

ე. გუგუშვილიც 1886 წელს ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილში ქისტების კახეთში გადმოსახლების მიზეზად უგზოობასა და მცირემიწიანობას ასახელებს: „მიზეზი ამ ქისტების გადმოსახლებისა ის ყოფილა, რომ სოფელი მაისტი მეტად უვარგის ადგილას მდებარეობს. მაგალითი არ არის, რომ პოლიციის მოხელეს გაევლოს იქ, ცხენით სიარული ყოვლად შეუძლებელია და ქვეით კაცსაც დიდი სიფრთხილე მართებს. ამ სოფელში ხვნა-თესვა არ იციან და არც მოხერხდება“. აღმოსავლეთ საქართველოს, ჩეჩნეთისა და დაღესტნის მაღალმთიანეთში, მაისტში, სტუმრობიდან დიდი ხნის შემდეგ კავკასიიდან პეტერბურგში დაბრუნებული ზისერმანი თავის მოგონებებში წერდა: „საინტერესოა, ისინი ახლა რას აკეთებენ და როგორ ცხოვრობენ? რადგან მთლიანი კავკასიის დაპყრობისა და იქ ჩვენი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ისინი იძულებულნი გახდებოდნენ არსებობისათვის აუცილებლად სხვა სახსარი მოეძებნათ“. ზისერმანი არ შემცდარა. მისი მაისტში სტუმრობი-

დან რამდენიმე წლის შემდეგ ქისტები პანკისის ხეობაში გადასახლდნენ. მაღალმთიანეთის მწირ, მცირემიწიან ნატურალურ მეურნეობას თემის მხოლოდ გარკვეულ წევრთა რაოდენობის გამოკვება შეეძლო, ჭარბი მოსახლეობა კი საცხოვრებლად, როგორც წესი, მუდამ ბარში მიდიოდა. რუსეთ-კავკასიის ომმა, რომელმაც მაისტელები და სხვა მთიელი ჩეჩნები კიდევ უფრო გაუსაძლის და საგანგაშო მდგომარეობაში ჩაყარა, დააჩქარა და გარდაუვალი გახადა მათი მამა-პაპეული ადგილებიდან აყრა და კახეთში გადასახლება. ლ. მარგოშვილი ქისტების პანკისის ხეობაში გადმოსახლების ერთ-ერთ მიზეზად, შამილის მიერ ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში ისლამის გასავრცელებლად გატარებულ მკაცრ ღონისძიებებს ასახელებს. მისი ცნობით, მთიან აულ შაროის მცხოვრებლები, რომლებსაც ისლამის მიღება არ სურდათ, შამილის ბრძანებით, კოშკში ჩაკეტეს და დაწვეს. მთიან ჩეჩნეთში გახშირებული ასეთი ვანდალური შემთხვევები ადგილობრივ მცხოვრებლებს სხვა უფრო მშვიდობიანი გარემოს საძებნელად უბიძგებდათ. ვაინახთა საზოგადოებებიდან მრავალი ოჯახის გადასახლება სისხლის აღების წეს-ჩვეულებამაც განაპირობა. ისევე როგორც ქართველ მთიელებში, ქისტებშიც, მკვლელობის ჩამდენს დაზარალებულის ოჯახის წევრები და ნათესავები დევნიდნენ, ამის გამო შურისძიება ხშირად თაობებზე გადადიოდა. სისხლის აღების ნიადაგზე გადაკიდებულ ორ გვარს შორის მტრობა თემის თავკაცების ჩარევით ზოგჯერ შერიგებითაც მთავრდებოდა, რაც სავალდებულო რიტუალების აღსრულებითა და დაწესებული ჯარიმის გადახდით თუ მოხერხდებოდა. თუმცა ამის საშუალება უკიდურესი სიღატაკის გამო მთიან ჩეჩნეთში მაშინ ნაკლებად ჰქონდათ. შურისძიების თავიდან ასაცილებლად მკვლელის ოჯახი და გვარი იძულებული ხდებოდა საიმედო თავშესაფარი მოეძებნა. ხშირად ისინი თუშ-ფშავ-ხევსურეთის საყმოებში მიდიოდნენ და გარკვეული რიტუალების შესრულების შემდეგ ამ საზოგადოების წევრები ხდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში მათი ადგილობრივ თემში ასიმილაცია გარდაუვალი იყო. სისხლის აღების ნიადაგზე გამოწვეული მიგრაციის შემთხვევები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უამრავი დასტურდება. პანკისის ხეობაში ქისტების გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი უკიდურესი გაჭირვების გამო კავკასიის მაღალმთიანეთში ფართოდ გავრცელებული მეკობრეობაც უნდა ყოფილიყო. მთის მწირ ნიადაგს ჭარბი მოსახლეობის გამოკვება არ შეეძლო. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთიელი ტომები ერთმანეთს გამუდმებით თავს ესხმოდნენ. მართალია, ეს იყო ცალკეული ჯგუფური თავდასხმები, მაგრამ მოსახლეობას მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება არ ეძლეოდა. ისინი იძულებულნი იყვნენ მუდმივად საომარ სამზადისში ყოფილიყვნენ. უეცარი თავდასხმების შედეგად ნადგურდებოდა წლის სარჩო, იტაცებდნენ საქონელს, ადებდნენ ბეგარას, იხოცებოდა ხალხი. ამ თემაზე შექმნილია არაერთი ქართული ხალხური ბალადა, რომელშიც გადმოცემულია ქისტების თავდასხმები თუშ-ფშავ-ხევსურეთზე. ქართველი მთიელებიც ჯვრის დროშით გამუდმებით აწყობდნენ ლაშქრობებს მთიანი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსაზღვრე თემებზე: მითხოში, ტერელოსა და მაისტში, აგრეთვე, ღილღოში. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ

შემოინახა არაერთი ანდერძი, რომელიც ფშავის, გოგოლაურთ თემის თავკაცის, გარა თურმანაულის მეთაურობით მაისტში მოწყობილი ლაშქრობების შესახებ მოგვითხრობს. ზ. კიკნაძის აზრით, „გარა თურმანაულმა, როგორც ხევისბერმა და მეომარმა, გატეხა მაისტი, ქისტების გაუტეხელი ციხე და გამორეკა უთვალავი ცხვარ-ძროხა ლაშარის ჯვრისაკენ, რომ წესისამებრ ჯვრისთვის შეეწირათ ნათავარი და მერე გაენაწილებინათ ნადავლი. ერთ-ერთ ბალადაში ასახულია ფშავლების ლაშქრობა ტერელოში. ფშაველებს გოგოლაურთ თემის ხევისბერი ბოიგარი მეთაურობდა. ბალადის მთქმელი ფშაველების გამარჯვებას ლაშარის ჯვარს მიაწერს: „ალაღდა ფშავლის შვილები, რო ნაგუბარი წყალია, წინ ბოიგარი გაუძღვა, ლაღი მანძილა არია, თან გაჰყვა ლაშარის ჯვარი, ღმერთო, დასწერე ჯვარია. ჩავიდენ ტერელოშია, ნასახელარნი ყმანია, ქვა-ხიდს ჩამოდგა ლაშქარი, არ სწვდება წვიმის ცვარია, დაგლიჯეს ქავის კარები, აქ შაგიყრავისთ ცხვარია. იქით ცხვარს გამაუშვებენ, თან მააქვ მთა და ბარია, მოსდევენ ქისტის შვილები, ნარჩევნი მეომარნია, აყრიან სეტყვასავითა, ტყვიას არ მააქვ ძალია, გორს იქით-აქეთ გადადის ტერელოვლების მკვდარია. ნუ დაიკვეხნით, ფშავლებო, გტანავთ ლაშარის ჯვარია, გვერდს გიდგათ ლაშარელაი, გიქრისთ ლემადის ქარია“.

ქართველი მთიელები ძირითადად ჯვრის დროშით აწყობდნენ სამხედრო რეიდებს მთიან ჩეჩნეთში. რაზმს ძირითადად თემის რელიგიური თავკაცი უძღვებოდა. საყმო დარწმუნებული იყო, რომ მითხოში, მაისტსა თუ ტერელოში მფარველი ჯვარ-ხატის ნება-სურვილის შესასრულებლად ლაშქრობდნენ. საზოგადოების ეს განწყობილება კარგად ჩანს ერთ-ერთ ხალხურ ლექსში: „გაიგო ლაშარის ჯვარმა, ქისტეთს გაბევრდა ცხვარია, გადაიკიდა მათრახი, წელზე შაირტყა ხმალია, შაჰკაზმა თავის ლურჯაი, ზედ თვითონ შაჯდა ჩქარია“. ქისტები მთაში მონატრებულნი იყვნენ მშვიდობიან ცხოვრებას, უსაფრთხო გარემოს. ამრიგად, ქისტების სურვილმაც, მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ეცხოვრათ, განაპირობა მათი მიგრაცია პანკისის ხეობაში.

http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/pankisi_warsuli_daა_tanamedroveoba.pdf

ზისერმანმა მაისტში ფუაღის გარდა მოინახულა ფახილგო, ჯვარის სოფელი და ტუგა. იქ ყვალგან უკიდურესი სიღატაკე იგრძნობოდა. სოფლებში ზოგან იდგა ორსართულიანი საბრძოლო კოშკები, რომლის მეორე სართულზეც ადამიანები ცხოვრობდნენ, ხოლო პირველზე ინახავდნენ ძროხას, რამდენიმე ცხვარსა და თივის მარაგს.

სიღატაკითა და პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე შამილის მიურიდების თავდასხმებით შეწუხებული მაისტელები გამოსავალს ეძებდნენ. ჯოყოლას საუბრიდან ირკვევა, რომ მაისტი შამილს არ ემორჩილებოდა: ზისერმანს მასპინძელმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ იცავდნენ მაისტელები იმამატისგან თავიანთ დამოუკიდებლობას, თუ როგორ განდევნეს მიურიდები, რომლებმაც მათ სოფელს მაჰმადიანობის განსამტკიცებლად შამილის ბრძანებით ალყა შემოარტყეს.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს მთიელი ჩეჩნების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო გამაჰმადიანებული და მეზობელ ხევსურებთან ერთად ისინი ჯვარ-ხატებს ლოცულობდნენ.

დ. ხოჟაევის აზრით, მთიანი ჩეჩნეთის მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ჩეჩნეთ-დაღესტნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას. ჩეჩნეთის მთიანეთის ზოგიერთი საზოგადოება შამილის ხელისუფლებას რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ტრაგიკულ ალტერნატივად აღიქვამდა. პიროვნული და საზოგადოებრივი დამოუკიდებლობა ყველაზე მეტად მთიელმა ჩეჩნებმა შეინარჩუნეს. ამიტომაც შამილი, რომელიც დესპოტურად მართავდა დაღესტანს, იძულებული ხდებოდა დათმობაზე წასულიყო და ნაკლებად შეხებოდა მათ წეს-ჩვეულებებს, ადგილობრივ მმართველობასა და რწმენა-წარმოდგენებს. ჰაზავათი მთიელი ჩეჩნებისთვის იყო მხოლოდ მიზეზი თავიანთი ტომობრივი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

უფროსი თაობის ქისტების აზრით, ჯოყოლა უფრო ქრისტიანი იყო, ვიდრე მაჰმადიანი.

მაისტში ჩასულ ზისერმანს, როგორც ჩანს, შამილის პოლიტიკის მიმართ მთიელი ჩეჩნების განწყობილების შესწავლა ჰქონია მიზნად. თუმცა, მას წინასწარ ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ჯოყოლა ერთგვარი სიმპათიით იყო განწყობილი ქრისტიანობის მიმართ, გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა შამილთან და რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვასაც ცდილობდა. დ. ხოჟაე ვი ჯოყოლას იმდროინდელი ჩეჩნური საზოგადოებრიობის ბრწყინვალე წარმომადგენლად მიიჩნევს, რომელსაც არ სურდა დამორჩილებოდა არც რუსეთის მეფეს, არც თურქეთის სულთანს და არც იმამ შამილს.

ჯოყოლა ზისერმანს საქართველოს შესახებაც ესაუბრა. ის უყვებოდა სტუმარს, თუ როგორ გადადიოდა მცირერიცხოვანი ჯგუფებით ალაზნის თავში სათარეშოდ, საიდანაც არაერთხელ წამოუყვანია ქართველი ტყვეები.

http://kartvelogybooks.tsu.ge/uploads/book/pankisi–warsuli–da–tanamedroveoba.pdf

როგორც ამბობენ, იმ ჩეჩნებს, რომელთა გვარიც „შვილზე“ ბოლოვდებოდა, შუა აზიიდან უკან აბრუნებდნენ. ალბათ ამიტომაც აირჩია სვიაკაურების ნაწილმა გვარად თათარაშვილი. ისინი მითხოელი ჩეჩნები არიან და ჩვეულებრივ ბიძაშვილობენ ჩეჩნეთსა და პანკისში მცხოვრებ სვიაკაურებთან.

პანკისის ხეობაში ლეკური წარმოშობის ხალხიც ცხოვრობს, რომლებიც დიდი ხანია ასიმილირდნენ ქისტებში. ზოგიერთი გადმოცემით, ომალოელი ანდალაშვილების წინაპარს ანდალა რქმევია. ის შამილის მოღვაწეობის პერიოდში სისხლის აღების ნიადაგზე დაღესტნიდან წამოსულა და თუშეთში დასახლებულა. იქ მას ცოლად თუშის ქალი შეურთავს. ანდალა თუშეთიდან ჯერ ხორბალოში ჩამოსულა, ხორბალოდან კი პანკისში გადასულა და სამუდამოდ ომალოში დამკვიდრებულა. ქისტების პანკისის ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ მათ გვერდით თოთო-ოროლა ქართველიც დამკვიდრდა. ისინი იქ ქისტებზე დაქორწინდნენ, შეისწავლეს ქისტური ენა და მათი წეს-ადათები. ბ. გამყრელიძეს თავის ნაშრომში ომალოელ ყაბილ წინწალაშვილის ნაამბობი მოჰყავს,

რომლის მიხედვით, ისინი წარმოშობით ქიზიყელები ყოფილან. (მე – ქართველების გაქისტება)

ადრე მის მამას პანკისის ხეობაში ქიზიყიდან ღორის კოლტი გადმოჰყავდა, შემდეგ კი ყაბილი ომალოში ქისტის ოჯახს ჩაესიძა და ცხოვრება გარემოს შესაბამისად ახლებურად მოუწყვია. დუისში მატნელი სარქისაშვილი დასახლებულა, რომელიც შემდეგ დუიშვილების გვარში მიუღიათ და დუიშვილებად დაწერილან. კოტორაშვილები და მღებრიშვილები ჯოყოლოში ასევე მატნიდან გადმოსულან საცხოვრებლად, ხოლო გონაშვილები – ქიზიყიდან. ჯოყოლოში მცხოვრები ცხადაძეების წინაპარს თიანეთის მაზრაში უმუშავია. ის იმერეთიდან, კერძოდ, თერჯოლიდან ყოფილა წამოსული. ჰყოლია ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი.

ვაჟებს სასულიერო განათლება მიუღიათ და სემინარიის დამთავრების შემდეგ ერთი ჯოყოლოს ეკლესიაში გაუმწესებიათ მღვდლად, ხოლო მეორე – მატანში. ჯოყოლოს ეკლესიის მღვდელი ვასო ცხადაძე ახალგაზრდა გარდაცვლილა. ამჟამად ჯოყოლოში ცხადაძეების ოთხი კომლი ცხოვრობს. ისინი ვასო ცხადაძის შთამომავლები არიან. დუისსა და ომალოში სახლობს ბექაურების რამდენიმე კომლი. მათი პაპა ალექსი ბექაური გუდამაყრიდან წამოსულა და ომალოში იმედაშვილებთან მწყემსად უმუშავია. შემდეგ მათი ქალი მოსწონებია, მოუტაცია და დროებით ისევ გუდამაყარში გადასულა საცხოვრებლად. ბოლოს მაინც პანკისში დაბრუნებულა და ომალოში დასახლებულა. ალექსი ბექაურს სამი ვაჟი შესძენია: შაქრო, ივანე და ვასილი. ივანესა და ვასილს ვაჟები არ ჰყოლია, ხოლო შაქროს, რომელიც საცხოვრებლად შირაქში გადასულა, 5 ვაჟი შესძენია. მათგან ერთი, რობერტი, დუისში დასახლდა, ხოლო მეორე – სოლიკო – ომალოში. ისინი ამჟამად იქ თავიანთი ოჯახებით განაგრძობენ ცხოვრებას. სოფელ ომალოში ცხოვრობს ალდამიძეების სამი ოჯახი. ისინი წარმოშობით ქართველები არიან. ოდესღაც ქისტურ სოფლებში დამკვიდრებული ქართველები ხანგრძლივი დროის მანძილზე მთლიანად შეესისხლხორცნენ ქისტურ გარემოს.

ადგილობრივი ხელისუფლებაც, როგორც ჩანს, ცდილობდა უდანაშაულო ხალხის გადარჩენას. უთქვამთ, ქისტები ქართველები არიან, ჩვენთან ცხოვრობენ, ჩვენი გვარები აქვთ, ჩვენი ხალხია, არ გაასახლოთო. ქართველი ხალხის ძალისხმევით ქისტები 1944 წელს, მართლაც, გადაურჩნენ დეპორტაციას.

ვაინახებს, რომელთა გვარებსაც ჰქონდათ ქართული დაბოლოება „შვილი“ ან „ძე“ მალევე მისცეს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. ჩეჩენი სვიაკაურების ერთ-ერთი შტოს, თათარაშვილების, გვარის წარმომადგენლებმა ამ საშუალებით დააღწიეს თავი დეპორტაციას.

ქართველი მთიელები ხელისუფლებისგან ფარულად ეხმარებოდნენ ამბოხებულ ვაინახებს. მოგვიანებით სწორედ ეს გახდა ხევსურების ბარში მასობრივი ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზეზი. მთავრობა მთის ხალხს უკვე აღარ ენდობოდა. დ. ხოჟაევის ცნობით, „ქართველმა მთიელებმა ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატებში უდანაშაულოდ დასჯილი ჩეჩნებისა და ინგუშების სახელზე

აღავლინეს ლოცვა-სავედრებელი. ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას არ მისცა საშუალება გადაესახლებინათ შუა აზიაში ჩეჩენი ქისტები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ“.

ბალადის მიხედვით, ხევსური ქალი ამხნევებს უსამართლოდ დასჯილ მეზობელ ქისტებს და თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს: „...**არ გასტყდათ, ბორჩაშვილებო, ერთ სხვას უჭირეთ მხარია, თუ სად ვინ დასჩით ცოცხალი, აიღით საომარია, გეედით გრანიცაზედა, გალალეთ რუსის ჯარია!“**

2000 წელს კიდევ უფრო გაიზარდა იქ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. 2000 წლის ოქტომბერში კავკასიონზე რამდენიმე ათეული თუ უფრო მეტი შეიარაღებული „ბოევიკი“ გადმოვიდა. ხევსურეთიდან კი შეიარაღებულმა მებრძოლებმა თავისუფლად შეაღწიეს პანკისის ხეობაში. სულ მალე მათ არაბი, თურქი, ავღანელი, პაკისტანელი და სხვა ქვეყნის მოჯაჰედები დაემატნენ. პანკისში მრავლად იყვნენ მუსულმანური კერძო ფონდების წარმომადგენლებიც, რომლებიც ჯიჰადს აფინანსებდნენ. კრიმინალები საქონელს იტაცებდნენ ალვანიდან, თიანეთიდან, დუშეთიდან, უკანაფშავიდან, ლალისყურიდან, მატანიდან, ილტოს ხეობიდან და საიდან აღარ! ქისტების სიტყვებით რომ ვთქვათ, პანკისი შუა საუკუნეების სტამბოლის მონათა ბაზარს დაემსგავსა. კრიმინალებს მძევლად აყვანილი ადამიანები ხეობაში შეჰყავდათ, ისინი ადამიანებს ყიდულობდნენ და ყიდიდნენ. 290 „ბოევიკებსა“ და მოჯაჰედებს პანკისის ხეობის ყველა კუთხეში სასროლი პოლიგონები ჰქონდათ მოწყობილი, სადაც ისინი ყოველდღიურად ვარჯიშობდნენ, ისროდნენ, აფეთქებდნენ. ირგვლივ საშინელი, გამაყრუებელი კაკაფონია და გრუხუნი ისმოდა. წვრთნები მიმდინარეობდა არა მარტო ბაწარაზე, ტოლოშასა და თორღვას ციხეზე, არამედ სოფლებშიც.

პანკისში დაიწყო მრავალსაუკუნე გამოვლილი ქრისტიანული კულტურის ძეგლების ნგრევა. კრიმინალებმა ააფეთქეს ბალთაგორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ხეობის მთელი მოსახლეობა აღდგომას ზეიმობდა, შეურაცხყვეს ყვარელწყლის ხატ-სალოცავები, საძირკვლამდე მოანგრიეს ჭობიოსა და ბალთაგორის ხატის ნიშები, დააზიანეს ბირკიანის კვირაცხოვლის ხატის ნიში, მოსპეს შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის ძეგლი თორღვას ციხის კომპლექსში.

2001 წლის ნოემბერში თუშეთში განდეგილად მცხოვრები ქართველი ბერები პანკისის ხეობაში გაიტაცეს და გამტაცებლებმა მათ გასათავისუფლებლად 2 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ქართველი სასულიერო პირების გატაცება პანკისის ხეობაში 1999–2002 წლების კრიმინალურ ისტორიებს შორის ყველაზე აღმაშფოთებელი მოვლენა იყო. ადამიანებით ვაჭრობა იქ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. სასულიერო პირების გატაცებამ მოსახლეობა განსაკუთრებით შეაშფოთა. განრისხებულები ხელისუფლებისგან შეიარაღებას და კრიმინალების მიმართ შურისძიებას მოითხოვდნენ. აღელვებული მოსახლეობა ძალოვნებმა დააწყნარეს, გატაცებულების პოვნას და გამტაცებელთა დასჯას დაჰპირდნენ. 298 პანკისში გატაცებული სასულიერო პირების სკანდალური თავგადასავალი 1997 წელს დაიწყო, როცა მათ ეკლესიის მსოფ-

ლიო საბჭოდან საქართველოს საპატრიარქოს გამოსვლა მოითხოვეს. ეკლესიიდან განდეგილები სხვა და სხვა ჯგუფებად დაიყვნენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიაშურეს და სამონასტრო ცხოვრება დაიწყეს. თ. ლომიშვილის ცნობით, „პანკისში გატაცებულ განდეგილთა ეს ჯგუფი ოთხი სასულიერო პირისგან შედგებოდა: მამა ბასილი (მაჩიტაძე), მამა კახბიევი-ხაჩიძე, მორჩილები – ქავთარაშვილი და თელაველი, რომლის სახელი და გვარი უცნობია“. ისინი, როგორც ამბობენ, განდეგილთა სხვა ჯგუფისგან განსხვავებით, საპატრიარქოს კრიტიკას უფრო მოკრძალებულნი იყვნენ და ეკლესიასთან ერთობას ინარჩუნებდნენ. დაუმორჩილებლობისთვის მათ პატრიარქისთვის პატიებაც უთხოვნიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, სასულიერო პირებმა მაინც განცალკევებით ყოფნა ამჯობინეს. განდეგილ ბერებს სამონასტრო მოღვაწეობისთვის თუშეთი, კერძოდ საჯიხვის მთა აურჩევიათ. იქ, მთის კლდოვან ფერდობზე, პატარა გამოქვაბული უფრო ღრმად გამოუთხრიათ, კლდეში ოთახები გაუკეთებიათ და სამონასტრო ცხოვრება დაუწყვიათ. როგორც თ. ლომიშვილი გაზეთ „ალიაში“ იუწყება, „განდეგილები ჩვეულებრივი მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ლოცულობდნენ და მარხულობდნენ. თავს მიწათმოქმედებით ირჩენდნენ. განდეგილებმა საჯიხვის მთა ერთი მითიური ამბის გამო აირჩიეს. თურმე, დღესაც, მიუვალ, საკრალურ ადგილზე სიკვდილის წინ ჯიხვები მიდიან და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს იქ ატარებენ. მონასტერი მიუდგომელია. იქ მხოლოდ მონადირეები და ბილიკზე გამვლელები თუ მოხვდებოდნენ. განდეგილებთან ხშირად სტუმრობდნენ ქისტები, ჩეჩნები და თუშები. სასულიერო პირები ხალხს ეხმარებოდნენ და მოსახლეობაშიც დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ერთ ზამთარს განდეგილებს 16 გაყინული ჩეჩენი მიადგა. სიცივისგან გათოშილები გაათბეს და დააპურეს. ერთმა განდეგილებს უთხრა, რომ გზაზე გაყინული ძმა დატოვა, რადგან ეგონა, სიცივისგან გარდაიცვალა და დაუძლურებულმა მისი ტარება ვეღარ შეძლო. განდეგილებმა მიტოვებული ჩეჩნის ძებნა დაიწყეს. როგორც იქნა, თოვლში გონდაკარგული ლტოლვილი იპოვეს, გამოქვაბულში წაიყვანეს, უმკურნალეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

ბერები მოიტაცეს 2001 წლის ნოემბრის დამდეგს, ყოველ შემთხვევაში 2001 წლის 15 ნოემბერს, როდესაც საჯიხვის მთის ფერდობზე მდებარე მონასტერში ბერების ახლობლები მათ სანახავად ჩავიდნენ, განდეგილად მცხოვრები სასულიერო პირები იქ არ დახვედრიათ. როგორც ამბობენ, ბერები მოიტაცეს მათთვის სრულიად უცნობმა პირებმა, თვალახვეული ატარეს მანქანებით, ყველანი ერთ ოთახში ჰყავდათ დატყვევებული, თვალებახვეულებს აჭმევდნენ პურს და ასმევდნენ წყალს. ფაქტია, გამტაცებლები ბერების გამოსასყიდ ფულს ითხოვდნენ. მათ გამოსასყიდი ფული საპატრიარქოსთვის არ მოუთხოვიათ. თუმცა საპატრიარქოს შესაძლებლობაც რომ ჰქონოდა, ალბათ ამ ფულს არ გადაიხდიდა, რადგან გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში კრიმინალები საქართველოში დაერეოდნენ სასულიერო პირებს და მოიტაცებდნენ. თანაც გატაცებული ბერები ფაქტობრივად საპატრიარქოდან გამდგარნი იყვნენ. 2001 წლის 3 დეკემბერს გატაცებული ოთხი სასულიერო პირიდან სამი

გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ მძევლად დატოვებული მამა ბასილის (მაჩიტაძის) დასახსნელად მისი ახლობლები, ნათესავები და მრევლი კრიმინალებს 2 მილიონ დოლარს გადაუხდიდნენ. წარმოუდგენელია, კრიმინალებს არ ცოდნოდათ, რომ 2 მილიონს ვერავინ გადაიხდიდა მოტაცებული ბერების გამოსახსნელად. გამტაცებლებმა მამა ბასილის გამოსახსნელი თანხის მიტანის უკანასკნელ ვადად 2001 წლის 3 დეკემბერი, ორშაბათი დღე დაუთქვეს. რა თქმა უნდა, ვერც მრევლმა და ვერც ახლობლებმა ამ თანხის შეგროვება ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობიდან მოტაცებული ბერები საპატრიარქოსგან განდგომილი იყვნენ, ქართული ეკლესია მათ მაინც საკუთარ ძმებად და ეკლესიის ნაწილად მოიაზრებდა.

ია დანელიას ცნობით, 2001 წლის დეკემბრის დამდეგს „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის დავალებით პანკისის ხეობაში მოლაპარაკებებზე მამა ტარიელი და მამა ექვთიმე მიავლინეს“. მამა ექვთიმე და მამა ტარიელი სიტუაციის გასაცნობად თელავში, ომალოსა და ახმეტაში ჩასულან. საუბარიც ჰქონიათ იქაურ ავტორიტეტებთან. მათი აზრით, სამართალდამცველები ყველაზე ნაკლებად ფლობდნენ სიტუაციას, ხოლო გამტაცებელთა პირობები, მიზნები და ამოცანები სრულიად გაურკვეველი რჩებოდა. საბოლოოდ საპატრიარქოს ჩარევამ, ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ მამა ბასილ მაჩიტაძე, შედეგი არ გამოიღო.

ქართველი მთიელებისგან დაცლილ ბირკიანსა და ძიბახევში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დასახლდნენ ქისტები. (მე – ქართველები გაყარეს) 1999–2001 წლებში სოფელი წინუბანი ქისტებით შეივსო. ისინი დასახლდნენ აგრეთვე დუმასტურში, ქვემო ხალაწანსა და ნაწილობრივ ყვარელწყალშიც.

ქისტური დიალექტი იმდენად განსხვავდება ჩეჩნურისგან, რომ ზოგჯერ რუსული ენის არმცოდნე ქისტს უჭირს ჩეჩნური საუბრის გაგება

ლომისობას ერთად დღესასწაულობენ კუწახტაში მცხოვრები ფშავლები და ოსები. ისინი ერთად აღავლენენ საკულტო რიტუალებს წმინდა ელიასა და ადგილის დედის ხატშიც. ანალოგიური სიტუაცია იყო ბირკიანში, სადაც ქისტები და თუშები აღდგომის სწორს ერთად ზეიმობდნენ კვირაცხოვლობას. კვირაცხოვლის ნიში თუშებმა დართლოდან გადმოიტანეს ბირკიანში. ნიშებს ძირითადად სოფლების სიახლოვეს აფუძნებდნენ. მაგრამ საკობიანოში მცხოვრები ფშავლების სამლოცველო ნიშები, ადგილის დედა-ღვთისმშობელი, აონის ხატი და სხვ. სოფლიდან შორს, საკობიანოს ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი მთის ტყიან ნაწილშია დაბრძანებული. ნიშების გადმოტანის ტრადიცია წესად ჰქონდათ ქისტებსაც. დუისში მაისტიდან გადმოსახლებულმა ქისტებმა მდინარე ალაზნის სანაპიროსთან, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ნანგრევებთან გადმოიტანეს თავიანთი სათემო სალოცავის ნიში, რომელსაც მაისტალას უწოდებდნენ. მოგვიანებით ეს ნაგებობა ადიდებულმა ალაზანმა შთანთქა. ლ. მარგოშვილის ცნობით, „ძველი ტრადიციით დუისელები დღესაც აქ იხდიან სოფლის საერთო თუ რელიგიურ დღესასწაულებს. იკვლება პირუტყვი და სათითაოდ ყველა ოჯახზე ნაწილდება. გვალვიან ამინდში აქ ტარდებოდა გუთნის მდინარეში გატანის რიტუალი“. თიანეთიდან პანკისის ხეობაში

ფარეულიძეზე გათხოვილმა ღანიშაშვილების ქალმა ძველი საცხოვრისიდან თან წამოიღო კოპალას ნიში და იქ, ომალოს თავში, ერთ ლამაზ ადგილზე დააფუძნა. ქისტებს წესად ჰქონდათ თავდაპირველ სამშობლოში, მთიან ჩეჩნეთში, ასვლა და იქ სათემო ჯვარ-ხატების თაყვანისცემა. მათ იქ, სალოცავში, მიჰყავდათ ხატისთვის შეთქმული კურატი, ქადები და სხვ. ხატს ქისტურად ჰქვია „წივ“. მაგალითად, მახაურების მფარველი სალოცავი მაისტში (მაისტში ისინი მითხოდან მესისხლეობის გამო გადავიდნენ) იყო ფუაღის ხატი – „ფუაღ წივ“. პანკისში ჩამოსახლებული მახაურები თავს ვალდებულად თვლიდნენ, თუნდაც ერთხელ ასულიყვნენ შვილების თანხლებით ფუაღის ხატში, რათა მათ შთამომავლებს არ დავიწყებოდათ მამების სამშობლო (დაიმოხქ) და არ მოკლებოდათ წინაპართა სალოცავის მფარველობა. ხატში მიჰყავდათ შესაწირავი კურატი და მიჰქონდათ საღვთო ძღვენი. ლელა მიხეილის ასულმა მახაურმა მიამბო, რომ მის პაპას, ბოოდის, თავისი ერთი ვაჟი ვისერგი 6 წლისა წაუყვანია მთიან ჩეჩნეთში, ფუღას ხატში, ხოლო მეორე, 3 წლის მიხეილი, ხურჯინში ჩაუსვამს და ისე მიუყვანია წინაპართა სალოცავში. „ჩემს ბავშვობაში,– ყვება ლელა მახაური, – მახსოვს, გვყავდა ფუაღის ხატისთვის შეთქმული კურატი. რაღაც მიზეზით ჩვენები ვეღარ წავიდნენ მაისტში და აქ, ჯოყოლოში, დაკლეს ფუაღის ხატის სახელზე შესაწირავი კურატი. პანკისელი მახაურები ფუაღის ხატს, როგორც წესი, წყალობასა და მფარველობას შესთხოვდნენ. წინათ იქ ჰყოლიათ ხუცეს-ხევისბერები და ქართველი მთიელების მსგავსად ეთაყვანებოდნენ ჯვარ-ხატს. საგვარეულო და სათემო ნიშების გარდა, პანკისის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება საერთო სასოფლო სალოცავები, სადაც რელიგიურ დღესასწაულზე სოფლის მთელი მოსახლეობა იკრიბება. ასეთი რელიგიური ცენტრები ყველა სოფელში შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებთან ან მათ სიახლოვეს განუთავსებიათ და მლოცველები საკულტო რიტუალს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული რელიგიური წესების მიხედვით წარმართავენ. დუმასტურში ასეთი საერთო სასოფლო სალოცავი არის მთავარანგელოზი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე მდებარეობს. დღესასწაული 22 ნოემბერის საღამოს მთავარანგელოზის ეკლესიასთან იწყებოდა და ადგილობრივი ოსები ორ დღეს ზეიმობდნენ.

პანკისის ხეობის მოსახლეობა განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღნიშნავს აღდგომას, კვირაცხოვლობას, ღვთისმშობლობასა და წმიდა გიორგობას. ყვარე-ლწყლელი ფშავლები აღდგომას სოფლის ზემოთ, ადგილის დედა-სვეტებში ზეიმობენ. ამჟამად იქ ძველი ეკლესიის ნანგრევები და ორი სვეტია შემორჩენილი. ადგილობრივ მცხოვრებლებში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, იმ ადგილას წინათ მონასტერი ყოფილა. აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს, ყვარელწყლელები შუა საუკუნეების ძეგლის ნანგრევებთან, ნაყორაზე, წმინდა სამების დღესასწაულს ზეიმობენ. მლოცველები ნაყორაზე პირველად მოგებულ ბოჩოლას, ზვარას, სწირავენ. აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ ყვარელწყლელები კვირათგორზე ადიან და კვირაცხოვლობას აღნიშნავენ. ომალოელი ქისტების სასოფლო სალოცავია წმინდა გიორგის ხატი. იქ, სოფ-

ლის თავში, ხატის ტერიტორიაზე, ფრაგმენტების სახით შემორჩენილია ქვიტ-კირის ძველი ეკლესიის სქელი კედლები, საწნახელი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობაში თითქმის ყველა ქრისტიანული ძეგლის სიახლოვეს გვხვდება საწნახელი და ქვევრები. იქ, როგორც ჩანს, ზედაშეს აყენებდნენ და მას საკრალური დანიშნულება ჰქონდა. ომალოელთა მეორე სასოფლო სალოცავი ღვთისმშობელი (თუშოლი) სოფლის შუაში, ასწლოვან მუხასთან მდებარეობს. მის დაარსებას გადმოცემა თამარ მეფეს მიაწერს. ომალოელები აღდგომის სწორზე კვირაცხოვლობას ზეიმობდნენ. ისევე როგორც სხვაგან, კვირაცხოვლის ხატთანაც, სოფლის განაპირას, კარგად შეიმჩნევა ადრინდელი შენობა-ნაგებობების კვალი, ეკლესიის ნაშთები. ჯოყოლოელთა სასოფლო სალოცავებია ბალთაგორის წმინდა გიორგი, ჭობიოს ხატი (ჭუებიე წიუ) და ღვთისმშობელი. ბალთაგორის ხატში სხვა სოფლებიდანაც მიდიან სალოცავად. ბალთაგორის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სოფელი დედისფერული. დედისფერულში მცხოვრები ფშავლები პანკისში ჩამოსახლების დღიდან ბალთაგორის წმინდა გიორგის ხატში ლოცულობენ და იქ სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავენ. ბალთაგორში ორი სალოცავია, ერთი არის ნიშის მსგავსი სამლოცველო და მეორე – პატარა ეკლესია, რომელიც ექვსი წლის წინ დაანგრიეს. იქვე ახლოს დგას სათვალთვალო კოშკი. ბალთაგორის ხატში ჯოყოლოელები აღდგომას ზეიმობენ, აღდგომას ქისტურად ჰქვია აჴსუ, რომელიც აღდგომის ძველი ქართული სახელწოდებიდან – აღვსებიდან მომდინარეობს, ხევსურები აღდგომას ახლაც ავსებას ეძახიან. ჯოყოლოელები აღდგომის, „აჴსუს“ მეორე დღეს – ორშაბათს, სოფლის დასავლეთით, ჭობიოს ხატში დღესასწაულობენ, აღდგომის სწორზე კი, სოფლის ეკლესიაში აღნიშნავენ კვირაცხოვლობას. ხატ-სალოცავებში გამართულ რელიგიურ რიტუალებში თითქმის ხეობის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. რელიგიურ რიტუალს ფშაველებში ხევისბრები, ქისტებსა და ოსებში კი მოწმინდარი უხუცესები უძღვებიან: ისინი ამწყალობლებენ მლოცველების საღვთოს, სწირავდნენ მათ მიერ მოყვანილ საკლავს, ანთებდნენ სანთლებს, სერავდნენ ქადებსა და სხვ. ხატობაში მლოცველები გვარების მიხედვით სხდებიან. იქ იმართება ქეიფი, ცეკვა-სიმღერა და გადალოცვები: ხონჩაზე დაწყობილ ხორცს, ქადებსა და სასმელს მლოცველები ერთმანეთს უგზავნიან. პანკისელი მთიელების ხატობები დიდად არ განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა „საყმოების“ ხატობებისგან. ვაინახურ ენებში რელიგიის კულტთან დაკავშირებული ტერმინები ქართულია ან ქართული გზით არის შესული, რომლებიც იქ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში, IX–X საუკუნეებში დამკვიდრდა და პანკისელი ქისტებისთვის თავდაპირველ სამშობლოშიც კარგად იყო ცნობილი. ესენია: „აჴსუ“ – აღდგომა, „ჯუარ“ – ჯვარი, „სენთალ“ – სანთელი, „მუოზღარ“ – მღვდელი, „მაარხ“ – მარხვა და სხვა მრავალი. სალოცავში რელიგიური რიტუალის მონაწილე ქისტი ხატში მისულ მემღვნეს ქართველი მთიელების მსგავსად ლოცავს და ესალმება: „ხამ ხილბაშ (წყალობათ), დაალ ხამ ბუალბაშ (ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი), წითელ პარასკევს ქისტები კვერცხებს ღებავენ და კვირა დღეს კი ბალთაგორის ხატში ერთმანეთს ულოცავენ აღდ-

გომას. ქერისტ ღეთთან (ქრისტე აღსდგა). ბოყყალ ბაყ მა და (ჭეშმარიტად)! ხატისგან დაჭერილს ქისტურად ჰქვია „წევ ʒამ ბეკ̣ჯინ“. თუ ვინმე ავად გახდებოდა, მის სახელზე სხვადასხვა ხატს შეუთქვამდნენ. ხელში იჭერდნენ მანდილს, რომელზედაც იდაყვით გადაზომავდნენ. რამდენიც გადასცდებოდა, იმის მიხედვით იგებდნენ, თუ რომელმა ხატმა დაიჭირა ავადმყოფი. შემდეგ იმ ხატში სამხვეწროს სწირავდნენ და მფარველობას ევედრებოდნენ. თუ ხატისთვის სამხვეწრო ჰქონდათ შეთქმული, ასეთ შემთხვევაში ხატში ძღვენით მისვლა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა. სოფელ ომალოში ერთ კაცს, ხარება ფარეულიძეს, კოპალას სალოცავისთვის კურატი შეუთქვამს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი დაწყებულა და წესის შესრულება ვეღარ მოუსწრია. გასულა დრო. ოთხი წლის შემდეგ ეს კაცი ომიდან უვნებელი დაბრუნებულა, მაგრამ შეთქმული კურატის შეწირვას რატომღაც აგვიანებდა. ერთ დღეს ხატისთვის შეთქმული ხარი საბალახოდ აღარ წასულა და შიგ შუა ეზოში დაწოლილა. ხარი სრულიად ჯანმრთელი ყოფილა, მაგრამ ფეხზე ვეღარ წამოუყენებიათ. ბოლოს ერთ მცოდნე კაცს პატრონებისთვის უკითხავს: ეგ ხარი რომელიმე ხატისთვის ხომ არ შეგითქვამთო? როგორ არა, კოპალას ხატს შევუთქვითო. – უპასუხიათ. – მაშინ ყელზე თეთრი ლენტი შეაბითო,– მიუცია რჩევა იმ მოხუცს. მართლაც, შეუბამთ ყელზე თეთრი ლენტი. ხარი მაშინვე წამომდგარა, პირდაპირ კოპალას ხატისკენ წასულა და იქ ხატის ეზოში დაწოლილა. რაღა ექნათ, ამდგარან და, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, გამოუცხვიათ ქადები, დაუნთიათ სანთლები და კურატი ხატისთვის შეუწირავთ. პანკისის ხეობაში მცხოვრებ ფშავლებს დღემდე წესად აქვთ საფურე ძროხების ხატ-სალოცავებისადმი „ასახელება“. ისინი საფურე ძროხებს არქმევენ ხახმატას და ხვთიშობელას. ძროხა „ხახმატა“ შეთქმულია ხახმატის ჯვრისთვის და მას სწირავენ. ხახმატის ჯვარს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მთიელები საქონლის გამრავლებასა და ნაწველ-ნადღვების ბარაქიანობას შესთხოვენ. ხახმატის ჯვრის ნიშები მრავლად არის ერწო-თიანეთში მიგრირებულ მთიელთა სოფლებში. საკობიანოში მცხოვრებმა ნანა ბიბინაშვილმა მიამბო: „დედაჩემი სოფელ ლიშოდან არის გამოთხოვილი საკობიანოში, ლიშოში აქვთ ხახმატის ჯვრის ნიში და საფურე ძროხა „ხახმატას“ იქ სწირავენ“. ძროხა „ხვთიშობელა“, როგორც წესი, ასახელებულია ადგილის დედა-ღვთისმშობლის სახელზე და მას ღვთისმშობლის ხატში კლავენ. პირველად მოგებულ ბოჩოლას ჰქვია ზვარა. ზვარა შეიძლება იყოს დედალიც და მამალიც. მთიელები დედალ ზვარას არქმევენ ხახმატას ან ხვთიშობელას. ზვარას შენახვა და გაყიდვა არ შეიძლება, მას მხოლოდ ხატისთვის შესაწირავად ინახავენ და სალოცავში კლავენ. ზვარას სახლში დაკვლაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ საკულტო რიტუალების თანხლებით. ისინი ანთებენ სანთელს, ზვარას ამწყალობლებენ და ხატის სახელზე კლავენ. აღსანიშნავია, რომ პანკისელი ქისტები ახლაც საფურე ძროხას ხშირად ხახმატას არქმევენ. როგორც ჩანს, ქისტები მაჰმადიანური რწმენის გაძლიერებამდე თაყვანს სცემდნენ ხახმატის ჯვარს. პანკისის ხეობაში არეულობის წლებში (2000–2002 წწ.) ვიღაც ქისტს სხვა ძროხებთან ერთად ერთ-ერთი საკობიანოელის გომურიდან ხახმატის ჯვრის

სახელზე დასახელებული საფურე ძროხა, „ხახმატა“ მოუპარავს და დუისში ე.წ. „მგლების უბანში“ მიუყვანია. მოპარული ძროხები ქურდს გომურში შეუ-რეკავს, მხოლოდ ხახმატა გამოჰქცევია. დილით რომ წასულან საკობიანოე-ლები დუისისკენ ძროხების მოსაძებნად, ხახმატა ყვარელწყლის ბოლოზე, ხიდთან, ბღავილით მოჰგებებიათ. საკობიანოში ამბობდნენ: ხახმატა ხახმატის ჯვარმა იხსნაო. ხახმატის ჯვარს, რომელიც კავკასიონის მთავარი წყალგამყო-ფი ქედის სამხრეთი ფერდობის ძირში მდებარეობს, მრავალი მითოლოგიური გადმოცემა უკავშირდება. როგორც ცნობილია, ხახმატის ჯვარს თაყვანს სცე-მენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა თემის მთიელები. მთიან ჩეჩნეთში ხევსურეთის თემების მეზობლად მცხოვრები ქისტები გამაჰ-მადიანების შემდეგაც საღვთო ძღვენითა და შესაწირავით მიდიოდნენ ხახ-მატის ჯვარში და განაგრძობდნენ წინაპართა მიერ დამკვიდრებულ საკულტო რიტუალების აღვლენის ტრადიციას. ხევსური ხუცესები ხახმატის ჯვარს, ხახმატის წმინდა გიორგის, სადიდებლებში „რჯულიან-ურჯულოთ სალოცა-ვად“ მოიხსენიებენ: „...შენ გადიდას ღმერთმა, ჭაჭ მატის ჯვარო, გიორგი ნა-ღორმშვენიერო, ნაღორევს მებურთვალო, ხელო სამძიმარო, იმის მოდე-მომ-ხრენო, ჭმელეთზე ჭმის მტეხო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცაო, ქაჯავეთის გამტეხო, დიდოეთის გამბეგრაო, მარიგის ხთისაგან მალოცვილი გაქვ ცის კიდურში შამაძახილის გაგონებაი, მეხვეწურის შახვეწებაი-დ დახმარებაი“. როგორც ირკვევა, ხახმატის ჯვარი წარმოადგენდა კავკასიელი მთიელების ქრისტიანულ რელიგიურ ცენტრს და ხახმატის ჯვარს ქისტები, როგორც ხევ-სურეთის მეზობელ თეიფებში მცხოვრები მთიელები, პანკისში ჩამოსახლება-მდე, თავდაპირველ სამშობლოშიც ეთაყვანებოდნენ. ისევე როგორც აღმოსავ-ლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოები, მთიანი ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეიფე-ბიც ჯვარ-ხატებს ემსახურებოდნენ. ამიტომ ვფიქრობ, პანკისელი ქისტები ჯვარ-ხატთა სადიდებლად აღვლენილ საკრალურ ტექსტებს თავდაპირველ სამშობლოშიც იცნობდნენ. ქისტური საკულტო ტექსტები თუშ-ფშავ-ხევსუ-რული სალოცავ-სავედრებლების ანალოგიური უნდა ყოფილიყო. მეხსიერებამ ამ ტექსტების მხოლოდ ფრაგმენტებიღა შემოგვინახა. პანკისის ხეობის ხატ-სალოცავებში ქისტები წმინდანთა სალოცავ-სავედრებელს შემდეგნაირად წა-რმოთქვამენ: „ვეძინ დეელ, დაალ ჭუილლინ ვჲეძ წიუ, ჭო ლაადალაჭ, ყიხჲეთამ ბიილ, ლაძარ დადააჭჭ ალ, მეერჩ ლუელეილეთხ ჭამ, ბიეჭქ, ტჲერ ბააჭალ!“ (მაღალო ღმერთო, ღმერთის შექმნილო, დიდო ხატო, შენ დამეხმარე, შემიწყალე, ავადმყოფობა მომაშორე, მშვიდობით გვატარე. ხატისგან შერის-ხვას აგვარიდე). ვაინახურ ენებზე ღმერთს ჰქვია დეელ, ხატს – წიუ (წივ). ქისტების წარმოდგენით, ხატი (წიუ) არის როგორც მფარველი წმინდანი, ისე ღვთაებრივი ძალის ანაბეჭდი მიწაზე, წმინდა, საკრალური ადგილი. ხატი ქისტებისთვის არის „წმინდა“ „დიდი“ „მაღალი“ „დიდებული“ რომელსაც ისინი მფარველობასა და დახმარებას შესთხოვენ, ავადმყოფების განკურნებასა და საქონლის გამრავლებას ევედრებიან: „ვეძ წმინდა გიორგი, ჭო ლაადალაჭ, მასსოუ ბაალიხ, ჭა ლორბიილაჭ თხო, ვერგ ვითელაჭ ვოოცურგ ჭუალლალაჭ, დახნი დჲებიილაჭ, ლაძარახ მა ჭუჲერიილაჭ!“ (დიდო წმინდაო გიორგი, შენ

დაგვეხმარე, დაგვიცავი ყველა უბედურებისაგან. ვინც ვართ დაგვარჩინე, გაგვამრავლე, არ არსებული შექმენი, საქონელი გვიმრავლე, ავადმყოფობით ნუ შეგვაშინებ!“). ისევე როგორც ქართველ მთიელებსა და ოსებს, ქისტებსაც სწამდათ, რომ სალოცავ ადგილზე, წმინდანის პატივსაცემად გაღებული სამსახური ხელწმინდა კაცის, როგორც საზოგადოების ღმერთთან შუამავლის, კურთხევით მივიდოდა ღვთის კარზე, ხატში მას უნდა გაესერა ქადა და დაენთო სანთელი. რელიგიურ რიტუალებს ოსებში მუდამ ასაკოვანი მამაკაცი უძღვება. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ პანკისელი ოსები მლოცველებს შორის რიგის მიხედვით ასახელებენ პასუხისმგებელ პირს, რომელიც შემდგომ წელს მოამზადებს საღვთოს. მომზადებაში იგულისხმება, პირველ რიგში, ლუდის მოდუღება, არყის გამოხდა, საკლავის შეძენა და სხვ. ხევისბერობისა და ხატის ხელკაცთა საკრალური ინსტიტუტი ქისტებში თანდათან დავიწყებას მიეცა. პანკისელ ფშაველებში კი საკულტო რიტუალებს დღემდე ხუცეს-ხევისბრები უძღვებიან, ისინი აღავლენენ ჯვარ-ხატთა სადიდებლებს. თუმცა პანკისის ხატ-ნიშებში კულტმსახურთა მიერ წარმოთქმულ სალოცავ – სავედრებლებში დარღვეულია საკულტო ტექსტის ე. წ. „ტრადიციული კანონიკურობა“ მასში იგრძნობა ხევისბერის ინდივიდუალური შემოქმედება, ცალკეული ფრაზებითა და გამოთქმებით ტრადიციულ ტექსტში თვითნებური ჩარევა. ბუნებრივია, მთიელთა პანკისის ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ მათ რელიგიურ რიტუალებში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, ფშავში ქალები საკრალურ ადგილებთან ახლოს არ მიდიან. პანკისში კი ფშაველი ქალები ხატს ოთხი-ხუთი მეტრით უახლოვდებიან. ამგვარი ცვლილებები რელიგიურმა რიტუალებმა თანდათან განიცადეს.

დუმასტურელი ოსები პანკისში გადმოტანილ საკულტო ნიშებს სალოცავ-სავედრებლებში წინა საცხოვრისის სახელებით მოიხსენიებენ: „გუფთაჟვარ“ „მორგოსჟვარ“. როგორც ცნობილია, გუფთა და მორგო ჯავის რაიონის სოფლებია, საიდანაც ოსები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ. ოსები გუფთაჟვარს და მორგოჟვარს მფარველობას შესთხოვენ: „გუფთაჟვარ, ბახუსვენქარ, გვიშველე დაგვეხმარე! მორგოსჟვარ, ანდარ, გუფთასჟვარ, ბახოსქან, ხუს’ კანაგნი ნუ“. პანკისელი ოსები, აგრეთვე, თაყვანს სცემენ ვასთირჯის, რომელიც, მათი რწმენით, მამაკაცთა და მგზავრთა მფარველია; ვასთირჯი ეხმარება გაჭირვებულებს, დავრდომილებს, ავადმყოფებს. პანკისელი ოსების რწმენით, ვასთირჯი თეთრწვერა, 330 თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანია, რომელიც ელვის სისწრაფით უვლის დედამიწას. სხვა ვერსიით, ვასთირჯი სამფეხიანი ფრთოსანი რაშით მგზავრობს და მუდამ მზად არის ადამიანთა დასახმარებლად. მას გარდასახვის უნარიც აქვს, მხვნელთან მხვნელად გადაიქცევა, მწყემსთან-მწყემსად და ა.შ. უფალთან ყველაზე ახლოს ვასთირჯი იმყოფება. ის ადამიანის შუამავალია ღმერთთან. პანკისელი ოსები თავიანთ ოჯახებს ვასთირჯის ავედრებენ. სთხოვენ, ოჯახიდან გასული, შორსწასული შვილები შინ მშვიდობით დაუბრუნოს და მათი ცხოვრება უკეთესად წარმართოს: – მაღალო ვასთირჯი, თეთრრაშიანო, დიდო და ძლიერო, შენი ფრთების ქვეშ ამყოფე ჩემი შვილები, ავი საქმე არიდე, შინ მშვიდობით დააბრუნე! ოსი კაცი

ასე ილოცება: – ღვთისა და ვასთირჯის წყალობა არ მოგკლებოდესო! ოსური პურ-მარილიც ღვთისა და ვასთირჯის ხსენებით იწყება და ვასთირჯის სადიდებლით მთავრდება. სტუმარსაც გზას ვასთირჯის სახელით ულოცავენ.

ძველად, სანამ მთიელები პანკისში ჩამოსახლდებოდნენ, მთელი ხეობის მთავარი სალოცავი უნდა ყოფილიყო სპეროზის წმინდა გიორგი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ოდესღაც პანკისის ჩრდილოეთით, სპეროზის მაღალი მთის წვერზე დაბრძანებულა. პანკისელი მოხუცების ცნობით, სპეროზის წმინდა გიორგი ფშავლებმა კი არ გადმოიტანეს თავიანთი წინარე საცხოვრისიდან, არამედ უძველესი დროიდანვე იქ, სპეროზის წვერზე, ყოფილა დაფუძნებული. გადმოცემების მიხედვით, სანამ თათარი გაანადგურებდა საქართველოს, ხალხი მაშინაც იქ ადიოდა სალოცავად, სპეროზის წვერზე, „წმინდა გიორგიში“. ამდენად, პანკისის ხეობაში წინათ მოსახლე ქართულ ეთნოსს სპეროზის წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ უცხოვრია. ამჟამად სპეროზის წმინდა გიორგის ხატში ფშავლები ლოცულობენ. მათ პანკისში ჩამოსახლების შემდეგ სპეროზის წვერიდან წმინდა გიორგის ნიში ხადორში ჩამოიტანეს და წმინდანს იქ სცემენ თაყვანს, სწირავენ ძღვენს და ლოცულობენ.

პანკისის უძველესი მოსახლეობის საერთო სალოცავი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, წმინდა ელია, რომელიც ნაქერალის მაღალ მთაზე არის დაბრძანებული. როგორც ჩანს, მლოცველები იქ საღვთო ძღვნით სავედრებლად 20 ივლისს (ახ. სტ. 2 აგვისტოს) ადიოდნენ. წმინდა ელიას ისინი ამინდის მფარველობას შესთხოვდნენ. პანკისის ხეობაში ძველი მოსახლეობის გაქრობის შემდეგ ნაქერალაზე წმინდა ელიას თაყვანისცემა და იქ საკულტო რიტუალების შესრულება თუშებმა და ქისტებმა განაგრძეს.

XIX საუკუნის ბოლოდან მთელი ხეობის ტრადიციული საზოგადოებების სულიერი გამაერთიანებლის მისია ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიამ იტვირთა.

ჯოყოლოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია 1887 წელს ააშენეს და 1888 წლის 18 იანვარს საზეიმოდ აკურთხეს. იქიდან მოყოლებული XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიაში ღვთისმსახურებას თითქმის სულ ქისტური წარმოშობის მღვდლები ასრულებდნენ. ოსები, ფშავლები და ქისტები იქ ინათლებოდნენ და ჯვარსაც იქ იწერდნენ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ **1866 წელს ქისტების დიდი ნაწილი ქრისტიანულად მოინათლა.** სოფელ ჯოყოლოში ეკლესიის აშენების საჭიროება მთელ ხეობაში ქრისტიანი მოსახლეობის მომრავლებამ განაპირობა. ჯოყოლოელები და პანკისის ხეობის სხვა სოფლების მცხოვრებლები ღვთისმშობლის ეკლესიაში აღდგომის სწორ კვირას კვირაცხოვლობას ზეიმობენ. ეკლესიასთან ჩვეულებრივ იმართებოდა ღამისთევა, მსხვერპლშეწირვა, სანთლების ანთება, ქეიფი და ცეკვა-სიმღერა.

1921 წელს ბოლშევიკებმა ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელს მათე ალბუთაშვილს ღვთისმსახურება შეაწყვეტინეს და ხეობა დაატოვებინეს.

ტირანიითა და დესპოტური მმართველობით გამორჩეულ 30-იან წლებში ჯოყოლოში ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, რომლებიც

სასოებით ინახავდნენ ღვთის სიყვარულს და დიდი რისკის ფასად სხვებსაც უფლის გზისკენ მიუთითებდნენ. ჯოყოლოელი ქინიაზ მუთოშვილი თურმე ცხენზეამხედრებული, ფეხზემდგარი, ზარის რეკვით დადიოდა სოფლებში და ხალხს მოუწოდებდა: – იწამეთ ქრისტეო!

საყოველთაო ურწმუნოების ეპოქაში, ვინც ღმერთს ემსახურებოდა, ხატს სანთელს უნთებდა, დასცინოდნენ. ქინიაზის ასულმა მარიკო მუთოშვილმა მიამბო: სკოლაში რომ დავდიოდით, მამაჩემს ჩვენ, შვილებიც, ვეუბნებოდით: სირცხვილია, მამი, სანთლებს ნუ დაანთებ, ხატში სიარულს თავი დაანებე, დაგვცინიანო! მამამ გვიპასუხა: – მიხარია, რომ დამცინიან. დაე, ღვთის გამო დამცინონო! ქინიაზ მუთოშვილი ქრისტიანული წესით დაუმარხავთ.

XX საუკუნის 20–30-იან წლებში ჯოყოლოში ქრისტიანულ სარწმუნოებას ემსახურებოდნენ სასულიერო პირები სიმონ დაქიშვილი და პავლე ბორჩაშვილი. ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებისა და ქრისტიანობის დევნის მიუხედავად, ისინი სოფელში მაინც ანაფორით დადიოდნენ და ღვთისმსახურებას ეწეოდნენ.

სიმონ დაქიშვილი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ერთხელ თურმე სიმონ დაქიშვილი და პავლე ბორჩაშვილი დუმასტურიდან ჯოყოლოში მოდიოდნენ. გზად ალაზანზე უნდა გადმოსულიყვნენ. მაშინ მდინარეზე ხიდები არ იყო და სიმონ დაქიშვილი ადიდებულ ალაზანში დაიხრჩო.

რადგან კომუნისტები იმ დროს სასულიერო პირებს სასტიკად დევნიდნენ, პავლე ბორჩაშვილმა ჯოყოლო დატოვა და თელავში გადავიდა საცხოვრებლად. მოგვიანებით პავლე ბორჩაშვილიც ადიდებულ ალაზანში დაიხრჩო.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს **ჯოყოლოს ეკლესია მთავრობამ აბანოდ გადააკეთა,** თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მას მაინც სიწმინდედ აღიქვამდა. მეორე მსოფლიო ომში გაწვეული ქისტები ფრონტზე წასვლის წინ იქ იბანებოდნენ და სწამდათ, რომ მტრის ტყვია მათ ვეღარაფერს დააკლებდა. უფრო მოგვიანებით **ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად გადააკეთეს.** ამის შემდეგ ჯოყოლოს მოსახლეობაში ქრისტიანული **რწმენა თანდათან ჩაქრა და მისი ადგილი ისლამმა დაიკავა.**

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჯოყოლოს ეკლესიიდან ორ ახალგაზრდას ჯვარი მოუხსნია და ჭობიოს მხარეს, საწისქვილე რუს სიახლოვეს გადაუგდია. ადგილობრივი ქისტების თხრობით, იმავე ღამეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილა, ეკლესიის სიახლოვეს უზარმაზარი ხეები დაუგლეჯია, ეკლესიას კი არაფერი მოსვლია. ხალხმა ბუნების მრისხანება ღვთის ნიშნად მიიჩნია. ამიტომ გადაგდებული ჯვარი სასწრაფოდ მოძებნეს და კვლავ ეკლესიაზე აღმართეს. ღვთის სასწაულით შეძრწუნებულ ქისტებს ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიასთან მოსანანიებელი საღვთოც გადაუხდიათ. 1998 წელს ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა და ამჟამად მას ადგილობრივი ქრისტიანი ვლადიმერ ცხადაძე უვლის. პანკისის ხეობაში გადმოსახლებული მთიელები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არ ივიწყებდნენ თემის მფარველ სალოცავებს და წინა საცხოვრისში ჯვარ-ხატთა მოსალოცად საღვთო ძღვნით მიდიოდნენ.

ქისტების ნაწილი, როგორც ცნობილია, პანკისში ხორბალოდან გადმოსახლდა. სოფელი ხორბალო ალაზნის მარცხენა მხარეს, პანკისის ხეობის შესასვლელში მდებარეობს. ხორბალოში არის ქისტების ძველი სასაფლაოც. ხორბალოდან გადმოსახლებული ქისტები თაყვანს სცემდნენ ხორბალოს წმინდა გიორგის ხატს. სამლოცველო, მართალია, სიძველისგან დანგრეულია, მაგრამ მას აშკარად გამოკვეთილი ეკლესიის ფორმა აქვს. ხორბალოს წმინდა გიორგი ოდნავ შემაღლებულ ტყიან ბორცვზე მდებარეობს. როგორც აბდულა გუმაშვილმა მიამბო, მთელს პანკისში განთქმული ექიმბაში და ჩინებული დოსტაქარი იო გუმაშვილი ერთხელ თურმე ჯოყოლოდან ხორბალოს წმინდა გიორგის ხატში წასულა სალოცავად. თან შესაწირავად მიჰყავდა კურატი, რომელიც ურემზე ჰყოლია გამობმული. როდესაც ხორბალოსთან ალაზანში გასულა, უცებ ხარი დამფრთხალა, გაუწყვეტია თოკი, გაქცეულა და დაკარგულა. იო დაღონებულა: – წმინდა გიორგისთვის უნდა შემეწირა და ეხლა რაღა ვქნაო? იოს კურატის გარდა ხატში შესაწირავად ქათმები მიჰყავდა, ქადები, სანთლები და პურმარილი მიჰქონდა. გაუვლია მინდორი, ასულა იო ტყეში, სალოცავთან და რას ხედავს, გაქცეული კურატი ხატის შესასვლელთან მდგარა. ის აღარსად წასულა, თვითონვე დაწოლილა ხარი და ასე შეუწირავთ წმინდა გიორგისთვის. თუ რაღაც მიზეზის გამო რომელიმე ოჯახი ვერ მოახერხებდა ხატში წასვლას, სახლში მაინც დაილოცებოდნენ, ხატს მფარველობასა და პატიებას შესთხოვდნენ. პანკისში მცხოვრები ქისტები, ოსები და ფშავლები თავიანთი მფარველი ჯვარ-ხატების გარდა თაყვანს სცემენ კახეთის წმინდა სალოცავებს – ალავერდსა და თეთრ გიორგის, სადაც რელიგიურ რიტუალებზე ხშირად მთელი კვირაც კი რჩებოდნენ. პანკისელი მთიელები ძველი ეკლესიების ნანგრევებს, მათ შემოგარენს, ხატებისა და ნიშების საბრძანისს, როგორც წესი, წმინდა, საკრალურ ადგილებად მიიჩნევენ და იქ ხის მოჭრა სასტიკად ეკრძალებათ. ამიტომაც პანკისის ხეობაში ძველი ეკლესიების ნანგრევებისა და ნიშების სიახლოვეს ყველგან გვხვდება უზარმაზარი მუხები, იფნები და სხვა წმინდა ხეები. წმინდა მიწიდან ამოზრდილ ხეს, როგორც ცისა და მიწის, ღვთაებრივისა და ხორციელის დამაკავშირებელ ღერძს, ადგილობრივი მოსახლეობა უფრთხილდებოდა და ეთაყვანებოდა. მას, როგორც სიწმინდეს, საკრალურის გამოხატულებას, ფერადი ნაჭრებითაც რთავდნენ. დუმასტურელი ოსების სასოფლო სალოცავი მთავარანგელოზი, რომელიც შუა საუკუნეების ქართული გრანდიოზული ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარეობს, ათასწლოვანი ბზებითა და სხვა ხეებით არის დაფარული. ის ტერიტორია მიგრირებული მოსახლეობის მიერ წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, ამიტომ იქ ბზებიცა და სხვა ხეებიც დღემდე დაცულია. ბირკიანში, ცქვიტაძის ყურეში, წმინდა გიორგის სალოცავის ახლოს, დგას ერთი ასწლოვანი ხე, რომელსაც ღვთისმშობლის ხეს ეძახიან და მლოცველები სანთლებს ანთებენ. მსგავს რიტუალს ვხვდებით პანკისის ხეობის სხვა ხატ-სალოცავებშიც. ამრიგად, პანკისში მცხოვრებმა ფშავლებმა, ქისტებმა და ოსებმა დღემდე შეინარჩუნეს წმინდა ადგილების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული, რწმენა და შიში. ისინი უფრთხილდებიან ძველი ეკლესიების ნანგრევებს, პა-

ტივისცემით ეპყრობიან ხატებსა და წმინდა ნიშებს. მის გარშემო არ ჭრიან ხეებს, რადგან ღვთის სასჯელის ეშინიათ. ერთი კაცი ბირკიანში, წმინდა გიორგის ხატის მახლობლად ხეზე ასულა და საქონლისთვის ტოტები მოუკაფავს. მთხრობელთა გადმოცემით, წმინდა გიორგის ის კაცი იმავე ღამეს ლოგინად ჩაუგდია. დასნეულებული ხატს შევედრებია და სიკვდილს ასე გადარჩენილა. ერთ მოხუცს ბალთაგორში, სალოცავის მახლობლად, კაკალი მოუჭრია და ხატს მისთვის თვალები დაუთხრია. სამ კაცს ბალთაგორის ხატის ტერიტორიიდან ქვევრები ამოუთხრია და შინ წაუღიათ. ორი მაშინვე მომკვდარა. მესამეს კი, შეშინებულს, წაღებული ქვევრები ვედრებით უკან დაუბრუნებია, – ხატმა არ დამსაჯოსო.

XX საუკუნის ბოლოს ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლისა და პანკისელ ქისტებში მაჰმადიანური რწმენის გაძლიერების შედეგად წმინდა ადგილების მიმართ მოკრძალება შენელდა. უფრო მეტიც, 2001 წელს უცნობმა პირებმა ააფეთქეს ბალთაგორის წმინდა გიორგის ეკლესია. იმავე წელს მთლიანად მიწასთან მოასწორეს ჭობიოს ხატი (ჭუებიე წიუ), რომელიც მანამდე ერთი მეტრი სიმაღლის ძველი ეკლესიის ნანგრევს წარმოადგენდა. დაზიანდა სხვა ნიშებიც. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლის შემდეგ ქისტები ერიდებიან ქრისტიანულ ხატ-სალოცავებში სიარულს. ქრისტიანული წეს-ადათების მიმდევარ ქისტებს, რატომღაც რცხვენიათ ჩეჩენი ლტოლვილების და ამიტომ, მათ რომ არ დაინახონ, დღესასწაულებზე ქალები ბავშების თანხლებით დილით ადრე მიდიან სანთლების დასანთებად ხატში. XX საუკუნის ბოლოს პანკისელ ქისტებში ვაჰაბიზმის გავრცელებამ მათ ყოველდღიურ ყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. აიკრძალა ალკოჰოლური სასმელების სმა და სიგარეტის მოწევა. მეორე მხრივ, ისლამის გაძლიერებამ ხეობაში შემოიტანა კარჩაკეტილობა და უნდობლობა, რომელიც საერთოდ უცხო იყო ქისტების ტრადიციული საზოგადოებისთვის. შეიცვალა ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც, ქისტურ ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა ღმერთის სახელი ალაჰი, თუმცა მანამდე ისინი უფრო ღმერთ დელას მიმართავდნენ. შეიცვალა მისალმების ფორმაც. ისევე როგორც ხევსურეთში, ქისტებშიც დამხვდური ესალმებოდა მოსულს. მისალმების ეს ფორმა მთის საზოგადოებების ტრადიციულ ყოფასთან არის დაკავშირებული. მთიელები მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ გარედან, ხშირად მტრული და სახიფათო გარემოდან მოსულის მიმართ. დამხვდურები მოსულს ფეხზე უდგებოდნენ და ესალმებოდნენ: – მარჩ ვოღილ (მშვიდობით „მოგვიხვედ“)! მოსული პასუხობდა: – მარჩალ ხილდ (მშვიდობით იყავ, „დამხვდი“)! უკანასკნელ წლებში პანკისელ ქისტებში მისალმების არაბულ-მაჰმადიანური ფორმა დამკვიდრდა. მოსული ესალმება დამხვდურს: – ასსალამ ალეიქუმ! 336 – ვა ალეიქუმ სალამ! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პანკისის ხეობაში ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების გვერდით თანდათან დამკვიდრდა სხვადასხვა სექტები და მოძღვრებები. 1998–1999 წლებიდან პანკისელ ქისტებში ფართოდ გავრცელდა ვაჰაბიზმი. ფშავლებში ზოგიერთი იეჰოვას მოწმე, ორმოცდაათიანელი და ბაპტისტი გახდა. ქორეთელი ოსები კი ახალ

სამოციქულო ეკლესიაში გაწევრიანდნენ. ახალი სამოციქულო ეკლესიის გერმანელი მისიონერები ქორეთში 2000 წელს გამოჩნდნენ. მათ ჯერ ბინა დაიქირავეს სოფელში და იქ იკრიბებოდნენ. შემდეგ შეისყიდეს მაღაზიის შენობა, მას მიაშენეს ერთი ოთახი, სადაც მღვდელმსახურნი წირვის დაწყებამდე შედიოდნენ. სოფლის მოსახლეობა მათ თავიანთი წესებით დანათლეს: გასანათლს აჩოქებენ, მერე ნათლობის სიტყვებს ამეორებინებენ, ჯვარს უკეთებენ და წყლით ნათლავენ. პარასკეობით, დღის 4–5 საათზე, გერმანელი მისიონერები ქორეთში ღვთისმსახურებას ატარებენ. სასულიერო პირებს ჩვეულებრივი კოსტიუმები აცვიათ. წირვა ერთ საათს გრძელდება. დარბაზის თავში სასულიერო პირებისთვის დგას დიდი კათედრა. მიმდინარეობის წევრები სკამებზე სხედან და მღვდელმსახურს უსმენენ. მის ქადაგებას გერმანული ენიდან თარჯიმანი ქართულ ენაზე თარგმნის. მღვდელი ძირითადად კომენტარებს უკეთებს სახარების სხვადასხვა ეპიზოდებს. იქვე დგას ორღანი. წირვის დროს ორღანი უკრავს. ახალი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებმა ქორეთში ჩამოიყვანეს მგალობლებიც. ამჟამად მთელი სოფლის მოსახლეობა ახალი სამოციქულო ეკლესიის მრევლია. თვითონ ეკლესიაში 100-მდე სკამია, თუმცა წირვაზე 100 კაცი ვერასდროს იკრიბება, რადგან ზოგი მწყემსია და ცხვარს უვლის, ზოგს კი თავისი საქმე აქვს. ასე რომ, წირვას მხოლოდ 30–40 მიმდევარი ესწრება. ახალი სამოციქულო ეკლესია პატივისცემით ეპყრობა სხვების რწმენას. ქორეთელი ოსები, მართალია, ახალი სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები გახდნენ, მაგრამ ტრადიციულ ქრისტიანულ რიტუალებს კვლავ იცავენ. წმინდა თევდორესა და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებთან ისინი კვლავ იხდიან საღვთოს, აღნიშნავენ გიორგობასა და სხვა ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულებს.

ა. გოლდშტეინის ნაშრომი „ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილო ოსეთის შუა საუკუნეთა ხელოვნება, გამომცემლობა „ნაუკა“, მ. 1975“

(А.Ф.Гольдштейн. Средневековое зодчество Чечено-Ингуше-тии и Северной Осетии. Изд-во „Наука“ 1975, 157 стр).

ა. გოლდშტეინი მიიჩნევს, რომ ოსების ეროვნება ჩამოყალიბდა ჩრდილო კავკასიაში მე-8, მე-10 საუკუნეებში მთიელი ტომებისა და ჩრდილო კავკასიის ბარიდან მთებში ასული ალანების ურთიერთშერევის შედეგად.

Осетины – народность, образовавшаяся в период VIII–X веков в результате смешения местных племен с мигрировавшими в горы жителями северокавказской равнины аланами [41а]

ეს მხოლოდ მოსაზრებაა, უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან ამ ფაქტის, შეიძლება ითქვას, თვითმხილველი ვახუშტი ბატონიშვილი. მისი აზრით, ოსების ეროვნება ჩამოყალიბდა გაცილებით გვიან.

მან მე-18 საუკუნის დასწყისში აღწერა ოსი ეროვნების ჩამოყალიბების ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესი.

კერძოდ, ვახუშტის აღწერით, დვალეთში, ანუ ცენტრალური კავკასიის მთებში, თემურ ლენგის შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ბარიდან შესულმა ოსებმა დაიმორჩილეს დვალები, ისინი გადააქციეს საზოგადოების დაბალ ფენად და

მოახდინეს მათ ასიმილაცია, ამის შედეგად ჩამოყალიიბდა ოსური ეროვნება. ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არსებობდა დვალური ენა.

ოსების შესვლამდე დვალებსა და მათი მეზობელ ქართულ-კავკასიურ მთიელებს ერთი ქრისტიანული სარწმუნოება და ადათ-ჩვევები ჰქონდათ, შემდეგში ასიმილირებულმა დვალებმა და გამუსულმანებულმა ადგილობრივმა მთიელებმა დაუდეს სათავე ამჟამინდელ ოსებს და ვაინახებსა.

შესაბამისად, ვაინახებისა და ოსების ყოფა, ხალხური წეს-ჩვეულებები, ტადიციული კულტურა, მათ რიცხვში, ძველი ხელოვნება ძალზე მსგავსია. ამ კულტურის მსგავსებასა და იგივეობას აღნიშნავს ა. გოლდშტეინი. ის წერს: Несмотря на различия происхождении вайнахов и осетин, их быт, народные обычаи, традиционная культура, в том числе старое зодчество весьма сходны.

ჩემი აზრით, ვაინახებიც მსგავსი ნარევი მოსახლეობაა. ისინიც ადგილობრივი გამუსულმანებული მთიელებისა და ამ მთიელთა რეგიონში შესული „სხვა ხალხის“ ურთიერთშერევით შეიქმნა. განსხვავება ისაა, რომ კავკასიური ეთნოსუბსტრატი ოსებთან იყო დვალები, ძველი ქრისტიანული ადათის მქონე ერთ-ერთი ეთნოჯგუფი, ხოლო ვაინახებთან ასევე ქრისტიანი ჟალეთელ-ფხოველ-დურძუკები, ასევე ხევსურები, სხვადასხვა ჯგუფი,

მაშასადამე, თემურ-ლენგის შემდეგ ბარიდან ასული ოსების ტომი შეერია ქრისტიან ადგილობრივ დვალებს, დაიმორჩილა ის და მოახდინა მისი ასიმილაცია, ხოლო მათგან დამოუკიდებლად აღნიშნული „სხვა ხალხი“ შეერია ფხოვ-დურძუკეთ-ხევსურეთის ადგილობრივ მთიელ ქრისტიან ხალხს, გაამუსულმანა ის.

ქრისტიანული სარწმუნოება აერთიანებდა ჩრდილოკავკასიის ამ მთიელებს ერთი ნიშნით, ის მათი იდენტიფიკაციის ნიშანი იყო. ამ ნიშნით ისინი განსხვავდებოდნენ სხვა მათი მეზობელი მუსულმანური ტომებისაგან, ამ ნიშნის გამო მათ, ქრისტიანებს, შემოკლებით „ქრისტებს“ (ქისტებს) უწოდებდნენ.

იქამდე დვალებსაც და მის მეზობელ ქრისტიან ხალხს – ქისტებს უკვე ჰქონდა ერთი კულტურა, ხელოვნება, ერთიანი ჩვეულებები და ადათ-წესები, ვითარცა ერთი საქართველოს ეკლესიის წევრებსა და ერთი ქვეყნის საქართველოს მცხოვრებთ.

ისინი ერთი ქართული ცივილიზაციის დამცველები და შემოქმედები იყვნენ, იმდენად ღრმა იყო ამ ძველი კულტურის კვალის ნაშთი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს ეთნოსები ოსურად და ვაინახურად იწოდება, მაინც მათ წარსულის კულტურები ერთია და ემსგავსება ერთმანეთს, რასაც აღნიშნავს ა. გოლდშტეინი.

ის წერს, რომ ოსებისა და ვაინახების ძველი კულტურები, განსაკუთრებით არქიტექტურა იდენტური ან მსგავსია.

ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ზოგადად ეს არქიტექტურა არის მთის ტიპის ქრისტიანული კულტურა.

ხალხის გამუსულმანების შემდეგ, მე-18 ს-ში, შეწყდა ამ რეგიონში თავდაცვითი კოშკების მშენებლობა. ეს თავდაცვითი კოშკები იქამდე იყო საჭირო, როცა ადგილობრივი

ქრისტიანი მთიელები თავს იცავდნენ ჩრდილო კავკასიის ბარიდან ამოსული მუსულმანებისაგან, მათი გამარჯვების შემდეგ უკვე აღარ იყო საჭირო თავდაცვითი ნაგებობები.

ა. გოლდშტეინი წერს, რომ მე-18 ს-ში ოსებში ასიმილაციის გამო არსებობა შეწყვიტა დვალურმა ეთნოსმა, ასევე ამავე მე-18 ს-ში საბოლოოდ გამუსულმანდა დვალების მეზობელი მთის ქრისტიანული მოსახლეობა. ისიც ახალ ეთნოსად ჩამოყალიბდა. გამუსულმანების გამო მათ აღარ ესაჭიროებოდათ თავდაცვა მუსულმანებისაგან, კოშკებმა ფუნქცია დაკარგეს. შესაბამისად შეწყდა თავდაცვითი ნაგებობების, კოშკების, მშენებლობა. ეს კოშკები მათ ქრისტიან წინაპრებს იცავდა მუსულმანებთან ომის დროს. ახლა ისინი თვითონ იყვნენ ამ ახალი სარწმუნოებისა და ასევე ახალი კულტურის წევრები, შესაბამისად, უფრო მეტად დაცულნი, ახლა უკვე პირიქით, ისინი, ახალი სარწმუნოებისა (ისლამის) და ახალი კულტურის სახელით თვითონ უტევდნენ სხვა, მეზობელ, ქრისტიანულ მხარეებს, იმორჩილებდენენმას და ზოგჯერ ესახლებოდნენ იქ.

ა. გოლდშტეინი წერს – Дошедшие до нашего времени памятники монументальной архитектуры Чечено-Ингушетии и Северной Осетии относятся к периоду XII–XVIII вв.

Отличаясь от архитектуры соседних территорий, зодчество вайнахов и осетин представляет собой в функционально-типологическом и стилистическом отношениях единую группу сооружений.

ეს მიუთითებს, რომ არქიტექტურა არის მთის ტიპის ქართულ-რისტიანული.

Поэтому зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии в данном случае взято в качестве особого и притом целостного предмета исследования.

ეს არქიტექტურა არის მთლიანი, ერთი ქართული წარმოშობისა. მისი მთლიანობის შესახებ მრავალგზის წერს ავტორი.

Хронологические рамки исследования определены тем, что самые ранние из дошедших до нас произведений местного зодчества относятся к XII в., а после XVIII в. здешняя архитектура очень изменилась. მე-18 ს-ის შემდეგ აქაური არქიტექტურა ძალზე შეიცვალა.

ეს მიუთითებს, რომ მე-18 ს-ის შემდეგ შეიცვალა ადგილობრივი ეთნოსი, ახალ ეთნოსს აღარც ესაჭიროებოდა და არც აინტერესებდა ადგილობრივი არქიტექტურა, ძველ ნაგებობებს აუცხოვებდა კიდეც თავისი თავისაგან და მიიჩნევდა სხვა ხალხის „ჯელთების“ აგებულად.

ვაინახები ჯელთებს უწოდებდნენ იქამდე მათ მიწაზე მცხოვრებ ქრისტიან ხალხს.

სიტყვა „ჯელთი“ ჩვენ გვაგონებს აქაურ მთიანეთის მომცველი ქართული ოლქის ჭართალის თუ ჟალეთის სახელს. არსებობდნენ ამავე სახელის ქალაქებიც. აქ ადრე ჭართლელ-ფხოველები ცხოვრობდნენ, სიტყვა ჭართალის (აქედან ჭართლელი) ფუძეა – „ჭართი“, რაც ეტიმოლოგიურად იდენტურია სიტყვა – „ჯელთისა“ (ჭართი, ჩელეთი, ჟალეთი – ჯელთი).

ავტორი წერს კიდეც, რომ მე-18 ს-ის აქ მონუმენტალურ ნაგებობებს (ე.ი. ეკლესიებსა და კოშკებს) აქ აღარ აგებდნენ – После XVIII в. монументальные сооружения здесь уже больше не возводятся, поэтому постройки XIX в. почти не сохранились, а постройки начала XX в. дошли до нашего времени в малом числе.

იქამდე, ამ ადგილებში მცხოვრებ ქრისტიან დვალებს და ხევსურ-ფხოველ-დურძუკებს ჰქონდათ ეკლესიები, სალოცავეი სიწმიდეები, აკლდამები, საცხოვრებელი და საომარი კოშკები. ქრისტიანულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ მუსულმანური შემოსევების გამო მიატოვა მრავალი სოფელი, მაგალითად, სოფელი ღული, გადასახლდა ხევსურეთში. ამ სოფელს ახლა ინგუშეთში ხან გულს ეძახიან რუსები, ხან კიდევ – ხულს.

ავტორი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩეჩნურ-ინგუშური და ჩრდილო-ოსური საცხოვრებელი კოშკები თითქმის იდენტურია.

Чечено-ингушские и северо–осетинские жилые башни почти однотипны (рис. 1 и 2).

ჩეჩნურ-ინგუშური და ჩრდილო ოსური საცხოვრებელი კოშკების ერთნაირობის მიზეზი ჩემი აზრით ისაა, რომ ამ სხვადასხვა ხალხის (ჩეჩენ-ინგუშეზისა და ჩრდილო ოსების) ტერიტორიაზე თავის დროს ცხოვრობდა ერთი ქრისტიანული ეთნოსი, რომელიც მოსულებმა დაიმორჩილეს. აქ დაბალი და მაღალი ფენების ურთიერთშერევისა და საერთო სარწმუნოებაში განმტკიცების შედეგად ჩამოყალიბებული ეთნოსები მემკვიდრეებია ძველი კულტურისა, რომელიც მათმა წინაპრებმა შექმნა.

დვალური ენა ჯერ კიდევ არსებობდა მე-16, მე-17 საუკუნეებში. ამავე დროს ქისტები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ და ხევსურებთან ერთადერთ კულტურასა და წესრიგს ქმნინენ.

მე-16 – მე-17 საუკუნეებში აქაურ კოშკებს აგებდა შეშინებული ქრისტიანული მოსახლეობა, რომელსაც უჭირდა საერთო ფრონტით მტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

იმჟამად ამ ადგილების ქრისტიანები მსხვერპლნი იყვნენ ლეკიანობის მსგავსი პროცესისა, როცა ქრისტიან ოჯახებს თავს ესხმოდნენ ძლიერი ჩერქეზები, დაღესტნელები ან ოსები. მათ შემდეგ დაემატა გამუსულმანებული ლეკები და ასევე უკვე გამუსულმანებული ადგილობრივები. შესაბამისად, ასეთი ციხე-სახლები თავდაცვისათვის იყო საჭირო (ჩრდილოკავკასიის) ბარიდან ამ მთებში ამოსული მუსულმანი მეომრებისაგან თავის დასაცავად.

არა მხოლოდ გარეგნულად, ავეჯითაც კი ეს მხარე იდენტური იყო საქართველოდ მთიანეთის სხვა კუთხეებისა.

აქაურ ნაგებობებში იყო მოჩუქურთმებული ხის ავეჯი, საწოლი ოჯახის მეთაურისათვის, მისივე სავარძელ-საკარცხული, სკამ-დივანი სტუმრებისათვის, სამფეხა სკამები.

В жилом помещении имелась мебель: резная деревянная кровать Для главы семьи, кресло для него же, скамья–диван для гостей, скамеечки на трех

ножках, შევნიშნავ, რომ ამჟამადაც კი საქართველოს მთის სოფლებში იგივეა შემორჩენილი.

ვაინახების ქვეყანა. ავტორი წერს, რომ საბრძოლო კოშკები მრავლადაა ჩეჩნეთ-ინგუშეთში, საქართველოს მეზობელ მხარეში კი ერთეულებია. ამის მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ ქრისტიანულ ქისტეთს მუსულმანებთან ღია ფრონტით ჰქონდა თავდაცვითი ბრძოლებები, ხოლო მისი მეზობელი საქართველოს მთა ჯერ კიდევ დაცული იყო სწორედ ამ ქრისტიანული ქისტეთით (შემდეგი ჩეჩნეთ-ინგუშეთით) და ასევე საქართველოს სამხრეთი რაიონებით. Есть такие башни и б соседнем районе Грузии, во там они единичны, а в Чечено-Ингушетии их множество.

ავტორი წერს, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში საბრძოლო კოშკების ამბრაზურები მცირე ზომისაა, რაც მიუთითებს, რომ კოშკი გამოიყენებოდა ცეცხლსასროლი იარაღით საბრძოლველად. კავკასიაში ასეთი იარაღი გამოიყენებოდა უკვე მე-15 – მე-6 საუკუნედან, ამავე საუკუნეებში, თემურ-ლენგის შემდეგ მუსულმანი მეომრები და ეთნოსები ჩრდილო კავკასიის ბარიდან ქრისტიანულ მთაში ავიდნენ მის დასაპყრობად. შესაბამისად, დაიწყო ცეცხლსასროლი საბრძოლო კოშკების აგება თავის დასაცავად. Некоторые средневековые башни Дагестана имеют амбразуры, снабженные изнутри большими нишами, в которых может поместиться человек, стреляющий из лука (рис. 31). В Чечено – Ингушетии и Северной Осетии башен с такими амбразурами не обнаружено. Вряд ли это можно объяснить тем, что здесь остались только поздние башни, в которых устраивались амбра-зуры для стрельбы из огнестрельного оружия.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ავტორის სიტყვით, საბრძოლო კოშკებს, პირამიდული დაბოლოებით აგებდნენ მე-16, მე-18 საუკუნეებში, რადგანაც ისინი გამოიყენებოდა თოფით სროლისათვის.

Вайнахские башни с пирамидальным венчанием в археологической и краеведческой литературе обычно относят к XVI–III вв. Главным датирующим признаком при этом служит го, что их бойницы, как считается, предназначены для ружейной стрельбы.

огнестрельное оружие (известное в Европе, в том числе на Руси, с XIV в.) на Кавказе появилось в XVI в. Но и в XVII в.

Б.Й.Марковин считает, что расцвет башенной культуры в этом регионе относится к XV–XVI вв. [77в].

ავტორის დასკვნით, აქაური საბრძოლო კოშკები შენდებოდა მე-15 – მე-17 საუკუნეებში, როცა აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო და ამ კოშკებით თავს იცავდა მუსულმანთა შემოსევებისაგან.

ავტორი თავის წიგნის მე-3 თავში ეხება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეკლესიებსა და სამლოცველოებს. ის წერს, რომ ჩრდილო კაკასიიის აბორიგენული მოსახლეობის ნაწილი აღიარებდა ქრისტიანობას.

Часть аборигенного населения Северного Кавказа в прошлом исповедовала христианство. ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა შორის ქრისტიანობის

გავრცელების შესახებ მიუთითებს საეკლესიო ნაგებობები და სამლოცველოები, ქრისტიანული წარწერები და ასევე შუა საუკუნეების ავტორთა ცნობები.

О распространении христианства среди северо-кавказских горцев в средние века свидетельствуют постройки церквей и часовен, христианские надписи, а также сообщения средневековых авторов.

ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში ძირითადად საქართველოდან ვრცელდებოდა. Христианство распространялось в средние века на Северном Кавказе преимущественно из Грузии, которая территориально была наиболее близкой к северо-восточному Кавказу христианской страной.

ქართული ანდა ქართულ არქიტექტურასთან დაკავშირებული ეკლესიები არის დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში და ჩრდილო ოსეთში.

Средневековые постройки церквей грузинской или связанной с грузинской, архитектуры есть в Дагестане, Чечено-Ингушетии и Северной Осетии.

თურქ-სელჯუკების განდევნიდან მონღოლების შემოსევამდე საქართველო პოლიტიკურად გაძლიერდა, ქართული კულტურა აღორძინდა. ამ დროს შეიქმნა პირობები ქრისტიანობის საქადაგებლად ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ ეს უფრო ადრეც მიმდინარეობდა, რადგანაც დაღესტანში აღმოჩენილია ქართულ-ქრისტიანული ძეგლები მე-8 – მე-10 საუკუნეებისა. в период между изгнанием турко-сельджуков и нашествием монголов, Грузия укрепляется пол итически, происходит подъем грузинской культуры. В это время создались наиболее благоприятные условия для практических действий по пропаганде христианства среди горцев Северного Кавказа, хотя велась она и до этого: так, в Дагестане обнаружены грузинско – христианские памятники VIII–X вв. [40]. Распространение христианства сопровождалось строительством церквей

ამ დროს იგებოდა ეკლესიები უმეტესად ცენტრალურ ავარიაში, მაგრამ გამუსულმანების შემდეგ ეს ეკლესიები დაანგრიეს. მათგან ერთეული ქვებიღა დარჩა ქართული წარწერებით. ერთადერთი ეკლესია სოფ. დათუნასთან გადარჩა. 20 კილომეტრში ყოფილ გიდატლის თემთან.

თხაბა-ერდი. ინგუშეთში მთაავარი ეკლესიაა თხაბა-ერდი.

გეგმის სქემა და ნაჩუქურთმევი ქვები თხაბა – ერდისა მიუთითებს ქართულ არქიტექტურასთან კავშირზე. მისი თანამედროვე დათუნას ეკლესია დაღესტანში აგებულია ქართველი ოსტატების ხელით.

была воздвигнута руками местных мастеров. Это настолько же оче видно, как и то, что одновременная с ней и сходная с ней со силуэту и по плану церковь Датуна в Дагестане была построена руками грузинских мастеров.

Только схема плана и разные каменные детали Тхаба-Ерды (рис. 47) указывают на связь с грузинской архитектурой. Строительная техника целиком местная, и не может быть сомнения в том, что эта постройка возведена местными мастерами в привычных для них приемах.

თხაბა-ერდში იპოვნეს ქართული მე-12 ს-ის ფსალმუნი. В Тхаба-Ерды был найден грузинский псалтырь XII века, ის აგებულია ადგილობრივი სამშე-

ნებლო ტექნიკის გამოყენებით, მისი დაგეგმარება გვახსენებს ქართულ ეკლესიებს და არქიტექტურული დეტალების გაფორმება აშკარად ქართულია.

это сооружение возведено в местной строительной технике, но планировкой напоминает грузинские христианские храмы и оформлено архитектурными деталями явно грузинского происхождения,

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ის ნაგებია ძველი ქართული ეკლესიის მასალით.

разные авторы объясняют по-разному. Так еще в прошлом веке высказывалось мнение о том, что „церковь Тхаба-Ерды выстроена из материала разрушенного древнего грузинского храма“ [31].

მრავალგზისი გადაკეთებისა და რემონტის შედეგად მიიღო ადგილობრივი მთის ნაგებობის სახე.

Объясняют это также переделками и ремонтами, имевшими место на протяжении веков, в результате чего „в конце концов Тхаба-Ерды подвергся перестройке, придавшей ему типичные черты местного горского строительства“ [12].

აქვს ტიპიური ხაზები ქართული ეკლესიისა. типичные черты грузинского храма (апсида, композиции из резных каменных Деталей).

გამოჩუქურთმებული ქვები, გადმოცემის მიხედვით, საქართველოდანაა ჩატანილი. ჩემი აზრით, თვით ეს ტერიტორია საქართველოს ნაწილი იყო. ამიტომ ის ქართული არქიტექტურაა, რის შესახებაც მრავალგზის უთითებს ავტორი. მისი აზრით, ქვები ადგილზე გამოაქანდაკეს საქართველოდან ჩასულმა ოსტატებმა.

Резные каменные детали, украшающие постройку, выполнены в стиле средневековой грузинской архитектуры. Согласно преданию, они были доставлены из Грузии [83б].

Скорее всего эти камни были изготовлены на месте резчиком из Грузии..

თხაბა-ერდიდან რამდენიმე კილომეტრში სოფ. თარგიმთან არის ქრისტიანული ეკლესიის ალბი-ერდის ნანგრევები, ხოლო ს. თარგიმის ჩრდილოეთით დაფიქსირებულია კიდევ ერთი დანგრეული ეკლესია.

ქართველი მისიონერების ყურადღება, ავტორის სიტყვით, მიპყრობილი იყო თარგიმის ქვაბულისადმი, ქრისტიანობის გავრცელებისას. აქ გადიოდა გზა საქართველოსაკენ.

მე18 – მე-19 საუკუნეებში ვაინახებმა მიიღეს მუსულმანობა.

В XVIII–X1X вв. вайнахи приняли мусульманство.

ჩრდილო ოსეთში მე-8 ს-ის შემდეგ ქრისტიანობა ვრცელდებოდა და მხადაჭერილი იყო საქართველოდან. აქ ქრისტიანობა განადგურდა თემურლენგისა და მონღოლთა მიერ.

საქართველოს საზღვართან ახლოს მდ. არდონის სათავეებთნ მოსახლეობა ქრისტიანობას უფრო სუფთა სახით აღიარებდა, ვიდრე დანარჩენ ოსეთში.

(ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ეს მხარე (არდონის სათავეები) საქართველოში შედიოდა). აქ, კერძოდ, არაა ოსებისათვის დამახასიათებელი

წარმართული აკლდამები. მიცვალებულებს ქრისტიანული წესით მარხავდნენ. აქაა ქართული არქიტექტურის სტილით ნაგები ეკლესიების ნაშთები.

В отдаленном высокогорном районе верх овьев р. Ардон, близ границы с Грузией, население исповедовало христианство в более чистом виде, чем в остальной Осетии; здесь, кстати, нет обычных для Осетии языческих гробниц, захоронения производились по христианскому обряду. В этом районе есть остатки старинных зданий церквей, построенных в стиле грузинской архитектуры или под ее влиянием.

მათ შორის, უფრო მნიშვნელოვანია ზრუგის ქართული ეკლესია.

Наиболее значительная из них – находящийся в ныне необитаемом Зругском ущелье типично грузинский храм.

Габариты здания в плане: по данным И.А.Мамиева 13,07ъ7,85м, В.О. Долидзе – 13,3ъ7,8м, моим – 13,16х7,871к1.

ეკლესია მოხატული ყოფილა მე-12 ს. ფრესკებით.

არდონის სათავეებთან არის სხვა ეკლესიების ნაშთები სოფ. კესატიკაუსთან. ანალიზი აჩვენებს, რომ ის ნაგებია ქართველი ოსტატების მიერ. время выполнения фресок относится к второй половине XII века. В районе верховьев р.Ардон есть и другие достройки церквей. Одна из них находится близ покинутого селения Кесатикау (рис. 51). был возведен грузинскими мастерами.

სამლოცველოები ოსეთსა და ჩეჩნეთში. Здания святилищ в Осетии и Чечне.

მე-13 საუკუნეს მიაკუთვნებენ ე. წ. სამლოცველოს ოსურ სოფელ ნუზალთან. ესაა პატარა ნაგებობა, შიგნიდან ორფერდა ჭერით.

კედლები დაფარულია ქრისტიანული თემატიკის ქართული ფრესკებით (ისინი ცუდადაა შენახული), რომლებზეც არის ქართული წარწერები.

В помещении стены и свод покрыты грузинскими фресками христианской тематики (они плохо сохранились), на которых имеются грузинские надписи. აგებული უნდა იყოს ადგილობრივი ოსტატების მიერ ქართული არქიტექტურის მიბაძვით. გარეგნულად აკლდამას მიაგავს.

მე-19 საუკუნეში მას მიანიჭეს ეკლესიის ფუნქცია (ჩემი აზრით, ამ დროს, რუსების ეპოქაში, ეკლესიის კედლებიდან ჩამოფხიკეს „არაეკლესიური“ ქართული მემორიალური წარწერა, რომელშიც ოს-ბაყათარი იხსენიებოდა, მე-20 საუკუნეში კი შეთხზეს უსაფუძვლო ლეგენდა, თითქოსდა აქ დავით სოსლანი იყო დაკრძალული, როგორც ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს, თამარის მეუღლეს მთის სალოცავში არ დაკრძალავდნენ და მას ბაგრატიონთა ერთ-ერთ საძვალეში განასვენებდნენ, საქართველოს რომელიმე ტაძარში).

ავტორი ხედავს ანალოგიას ნუზალის სალოცავსა და თხაბა-ერდს შორის, მიაჩნია, რომ ისინი ქართველი ოსტატების ნამუშაკევია.

В свете этого можно провести определенную аналогию между храмом Тхаба-Ерды в Ингушетии и Нузальской „часовней“ в Осетии: там декоративные детали выполнены грузинским мастером. ცნობილი მეცნიერები ვ. მილერი და

ლ. სემიონოვი მიიჩნევდნენ, რომ ნუზალი და ინგუშეთის ორფერდა საკულტო ნაგებობები ქართული არქიტექტურის გავლენას მიუთითებს.

ოსეთში პატივცემულია რეკომის სალოცავი, ის ადგილობრივ ხელოვნებას მიეკუთვნება. რეკომი არის კომპლექსი, რომელიც შედგება ორი ნაგებობისაგან – ერთს ეწოდება წმ. გიორგის ეკლესია, მეორე მცირეს – ყოვლად წმ. მარიამის სალოცავი. აქ მე-19 ს-ში იყო კანკელი და ზარი ქართული წარწერით.

რეკომის რაიონი ახლოა საქართველოსთან, მდებარეობს ნარო-ზარამაგის ქვაბულში, სადაც დგანან ტაძრები ნაგებნი ქართული არქიტექტურით.

Реком находится в районе, близком к Грузии; сравнительно недалеко от него, в Наро–Зарамагской котловине, стоят храмы грузинской архитектуры.

რეკომის სალოცავები მცირე ზომისაა, დაახლოებით 1,5 მ. სიმაღლისა (ჩემი აზრით, ის არის რომელიღაც დანგრეული ეკლესიის გადარჩენილი ტრაპეზი, რომელსაც პატივს მიაგებდნენ ძველი ქრისტიანების შთამომავალები).

ნუზალი და რეკომი უნიკალური ნაგებობებია (ჩემი აზრით, გაბატონებული მოსაზრება, რომ ისინი წარმართული სალოცავებია, შეცდომაა. ისინი შორეული ნაშთია ქრისტიანული წარსულისა, მის მლოცველთა წინაპრები ერთ დროს ჩვეულებრივი ქრისტიანები იყვნენ).

სალოცავები ჩეჩნეთში. О святилищах в Чечне

სოფ. გალანჩოსთან ჩეჩნური ქრისტიანული სალოცავის შესახებ წერდა ვ. მილერი 1880-იან წლებში. чеченском святилище близ с.Галанчож сообщает В. Ф. Миллер в 1880-х гг. [83в].

ის წარმოადგენდა სწორკუთხა უბრალო ნაგებობას 2.5-8 მეტრზე. 1820 წლებში ბ. პლეჩკემ აღწერა ნანგრევები სალოცავისა სოფ. კაკადოისთან, მსგავსი ინგუშური სალოცავებისა. 1960-იან წლებში სოფ. ჯელაშკიდან 2 კილომეტრში მ. ოშაევმა ნახა სამლოცველო ღია ლოჯიით. მისი ზომაა 3,5–3,2-ზე, კედლები მშრალადაა ნაგები.

სამლოცველოები ინგუშეთში. Здания святилищ в Ингушетии

ინგუშური სამლოცველოები მონუმენტური ნაგებობებია ზომით საშუალოდ 5 მ. X 3 მ-დან, ვიდრე 10 მ. X 4,5 მ-მდე. ისინი ინგუშეთში ძალზე პატივცემულები იყვნენ მე-19 საუკუნეშიც კი, მაგრამ მუსულმანობის განმტკიცების შემდეგ დაკარგეს მნიშვნელობა, როგორც სიწმიდეებმა.

Эти святилища в Ингушетии почитались местными жителями еще з XIX в., но с упрочением мусульманства утратили свое былое значение святынь.

1960-იანი წლისათვის ბევრი მათგანი უკვე დანგრეული იყო.

მათგან ცნობილია დელიტე, ძორახ – დელა, გალ – ერდი, სოფ. შუანასთან (სხვა ს. შუანა მდებარეობს ბალყარეთში), სალოცავი სოფ. მეცხალასთან, ერზისთან და სხვა. Дэлите (рис. 60). Дзорах–Дэла.

სალოცავები მაგი-ერდი, მორჩ-სელი და სხვა. Маги–Ерды (рис. 62), Морч-Сели მკვლევარების დასკვნით, ამ სალოცავების დიდი ნაწილი ნამდვილად იყო ქრისტიანული. ზოგიერთებში ნახეს საეკლესიო მოწყობილობა, ძორახ-დელაში მათთვის საგანგებო განყოფილება იყო მოწყობილი. მარგი-ერდში არის კანკელი, გალი-ერდში არქიტექტურული დეტალები მიმსგავსე-

ბულია თხაბა-ერდისას. ასევე დელიტეში თაღები თხაბა-ერდის მსგავსია. მარგი-ერდისა და დელიტეს ფასადებზე გამოსახულია გოლგოთიანი ჯვრები. На фасадах Маги-Ерды и Дэлите изображены кресты с голгофой. აღსანიშნავია, რომ მთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთში საფლავის ძეგლები ჯვრის სახისაა. В горной Чечено-Ингушетии имеются намогильные памятники в виде креста;

Современные исследователи–археологи резонно возражают против представления о том, что постройки святилищ в Ингушетии возникли под влиянием христианских храмов [52в, 87а].

თანამედროვე მკვლევარ-არქეოლოგები მძაფრად უარყოფენ იმ აზრს, რომ ინგუშური სალოცავები წარმოიქმნენ ქრისტიანული ტაძრების გავლენით.

თუმცა ავტორის აზრით, ქართულმა ხელოვნებამ გარკვეული გავლენა იქონია ინგუშურ არქიტექტურაზე, რომ საქართველოდან შეითვისეს ვაინახებმა და ოსებმა ქვით-კირით მშენებლობის წესები.

Грузинское зодчество оказывало некоторое влияние на архитектуру Ингушетии, но не определяющее. Например, вайнахами, как и осетинами, было воспринято из Грузии умение изготовлять известковый раствор и вести кладку на нем.

(ჩემი აზრით, ჩანახაზებითაც კი ჩანს, რომ ქართული მთისა (ხევსურეთის) და ინგუშეთის სალოცავები მსგავსია. ისინი ერთ კულტურას განეკუთვნებიან).

მე-19 საუკუნის ბოლოს ავტორი ასე აღწერს ინგუში მთიელების საკულტო ქმედებას ყოფილ ქრისტიანულ ტაძარში ალბი-ერდში: პირველ რიგში აღასრულეს „თუშოლი“, ე.ი. იქ შეიკრიბნენ გარშემო მცხოვრებნი, მოიტანეს შესაწირი და ნადიმობდნენ. თაყვანისმცემლები ამის შემდეგ ალბი-ერდიდან გაემართნენ სხვა პატარა ქვის ნაგებობისაკენ, რომელსაც ერთ კედელზე ჰქონდა ნიში და შემკული იყო რქებით. ამ ძეგლს ერქვა აუშასელ.

ეს იყო ქრისტიანი მლოცველების ჯვარიონი (კრესტნიი ხოდ)

(ჩემი აზრით, თუშოლი იგივე ღვთისმშობლობაა, როგორ ეს აღნიშნულია ლიტერატურაში, ეტიმოლოგიურად ეს შესაძლებელია „თუშოლი“ – „ღუ(თისმ)შო(ბე)ლი“),(ღუშოლი-თუშოლი)

მსგავსადვე ოსები ატარებდნენ „კუვდს“, ხოხი – ძუარი ქრისტიანული სალოცავი იყო.

По сообщениям авторов конца XIX – начала XX вв., в Осетии тогда население категорически возражало против исследования склепов [118г], но чеченцы и ингуши, будучи ревностными мусульманами, не дорожили гробницами своих предков-язычников [83ж]. რადგანაც სხვა ხალხად მიჩნევდნენ განსვენებულებს. Это, однако, односторонние суждения, основанные на неполноте сведений. Есть факты, из которых можно было бы сделать и противоположный вывод. Так, в конце прошлого века в некоторых селениях Северной Осетии местные жители проявляли безразличие к гробницам, не препятствовали приезжим осматривать их и даже разбрасывать кости покойников [20]. А в Чечено-Ингушетии можно видеть примеры уважительного отношения к старым гробницам.

У вайнахов еще в прошлом веке существовали предания о том, что когда–то в их местности жил народ джелты». П.А.Головинский, который опубликовал эти сведения, поясняет, что джелты это греки, однако, такое толкование было подвергнуто другими авторами критике как фантастическое. [18].

ჟალეთი – მხარე, ამავე მთიანეთში, ასევე – ჭართალი.

В средние века у горцев Северного Кавказа не было представления о национальной общности, подобного нынешнему. Тогда не было осетин, чеченцев, ингушей. Вплоть до конца XIX – начала XX вв. люди причисляли себя не к той или иной национальности, а к тому или иному „обществу“ (союзной группе селений) или даже к более узкой кровнородственной группе. Теперь хевсур из селения Шатили называет себя грузином. А тогда он и хевсуром себя не считал; он был „шатильцем“. Для чеченца общества Малхиста чеченцы соседнего общества Майста, говорящие на том же языке, что и они, были столь же чужим народом, как и ингуши, как и хевсуры, осетины, аланы или кто угодно. Отношения с соседями в весьма малой степени определялись тем, что мы сейчас назвали бы чувством национальной общности.

Чеченскими преданиями о том, что какая-то часть их предков мигрировала из района, находящегося к югу от западного Закавказья [108].

Жилые дома здесь в свое время должны были быть сходны с тогдашними жилищами центральной Грузии: они имели Жилище в виде жилой башни было распространено также в Северной Осетии и в северных горных районах Грузии – Хевсу-регии, Тушетии, Хеви.

(например, возможность происхождения языческих гробниц от мусульманских мавзолеев или ингушских святилищ от грузинских церквей),

Миллер А. А. Краткий отчет о работах Северокавказской экспедиции. ИРАИМК, т. 1У. Л., 1925, стр. 38.

Миллер В. Ф. В горах Осетии. „Русская мысль“. М., 1881, № 9, стр. 100.

Миллер В..Ф. Терская область. Археологические экскурсии. МАК, т. I. М., 1883.

ინგუშეთის ეკლესიები რუსი მკვლევარის თვალით

„ინგუშეთში ბევრია ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული ტაძარი და სალოცავი. მათი ზუსტი რაოდენობის თქმა ძნელია. გადარჩა ზოგი მათგანის ნანგრევები, ზოგი დაიღუპა, ცალკეულ სალოცავებს კი ზოგჯერ არასწორად აკლდამებად მიიჩნევენ. ხალხური ლეგენდა ძველ ნაგებობებს მიაწერს მითიურ ჯელთებს. იმ ხანაზე ინგუშური ლეგენდა ასე ლაპარაკობს: „ერთ დროს სოსკა-სოლსასთან ამ მთებში ცხოვრობდნენ ჯელთები. ეს იყო შრომისმოყვარე და განათლებული ხალხი. ისინი იყვნენ კარგი მშენებლები და მათ ააშენეს მრავალი კოშკი და ციხე-სიმაგრე. ამას გარდა, მათ სხვადასხვა ადგილას დატოვეს დიდი განძები. ისინი ჩვენგან წავიდნენ რომელიღაც სხვა ქვეყანაში“.

ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ განათლებული და გამრჯე ბერები“, – წერს რუსი ავტორი.

http://www.fototerra.ru /Gruzija›/Kazbegi/FFilun05–5479.htmi.

ჩემი აზრით, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა არც თუ დიდი ხნის წინ აგებულ ტაძარ სალოცავებს მიაწერს სხვა ხალხს – „ჯელთებს“, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობა შეიცვალა ანდა ასიმილირდა არც თუ დიდი ხნის წინ.

ავტორი მიიჩნევს, რომ ეკლესიათა მშენებელი ბერები საიდანღაც უცხო ქვეყნიდან იყვნენ აქ მოსულები და მათი ძირითადი საქმიანობა საქარავნო გზებით მოსარგებლე ვაჭრების ხელშეწყობა იყო, ეს გზები კი ამ ნაეკლესიარების გასწვრივ გადიოდა.

ამ ბერებს ავტორი ხან ბიზანტიელებს, ხან კი ბერძნებს უწოდებს. ამ ავტორის აზრი ასახავს რუსულ და, მისი გავლენით, ადგილობრივ ისტორიკოსთათვის, დადგენილ მოთხოვნას – ტაძრები არ მიაკუთვნონ ქართულ არქიტექტურას, მათი მშენებლები კი არაქართველებად გამოაცხადონ. ავტორი კავკასიის სხვა რეგიონების მიმართ მტკიცედ იცავს ამ დოგმას, მაგრამ ინგუშეთის ეკლესიების თითქოსდა, ქართველების აგებულად მიიჩნევს. ამ საკითხს აბუნდოვანებს.

ის განაგრძობს: „ადგილობრივი ისტორიკოსები ტაძართა უმეტესობას ათარიღებენ გვიანი შუა საუკუნეებით და მათ თვლიან წარმართულ სამლოცველოებად.“

ადგილობრივი ისტორიკოსები ეკლესიებად თუ აღიარებენ ამ ნაგებობებს, მაშინ იძულებულები იქნებიან, ილაპარაკონ ადგილობრივ ქრისტიანულ მრევლზე, შესაბამისად მათ საეკლესიო იურისდიქციაზე, რაც ქართულ კვალს აშკარას გახდის, ამიტომაც ეკლესიებს წარმართულ სალოცავებს ანდა აკლდამებს უწოდებენ.

ავტორი განაგრძობს და მოჰყავს თავისი მსჯელობა იქეთკენ, რომ ეს ნანგრევები, მართალია, ეკლესიებია, მაგრამ მათი ამგებნი ვაჭრობის განვითარებისათვის მზრუნველი უცხო ბერებია: „დარწმუნებული ვარ, რომ ტყით და ბუჩქნარით დაფარულ ხეობებში შეიძლება ეკლესიების ჯერ ისევ უცნობი ნანგრევების პოვნა და ამაშია ხუროთმოძღვრების ისტორიის ერთ-ერთი გამოცანა, რომელიც არ აიხსნება მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა გაქრისტიანებით. გვერდით არის ჩეჩნეთი მონათესავე ხალხით, მაგრამ იქ არაა ტაძრები და, როგორც ჩანს, არც არასდროს ყოფილა. ყველა ინგუშური ტაძარი მდებარეობს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, მდინარეებს სუნჟასა და თერგს შორის, კლდოვანი ქედის გასწვრივ. კვლევა გვიჩვენებს, რომ ტაძრები და სამლოცველოები აგებულია დარიალის ხეობისკენ, ხალხების და სავაჭრო ქარავნების მიგრაციისთვის კასპიის გასასვლელის შემდეგ მეორე მნიშვნელობის გასასვლელისკენ მიმავალ ბილიკებზე“.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველივეს მიუხედავად, ის ამ ეკლესიებს ერთ თავსი, „ქართულს“ უწოდებს. „ტიპოლოგიურად ტაძრები ერთნავიანი ეკლესიებია, საკურთხეველი არ გამოდის აღმოსავლეთის კედლიდან აფსიდის სახით. უაფსიდობა პირველი ნიშანია იმისა, რომ ტაძარი ქარ-

თულია. ასევე უაფსიდოდ აშენებდნენ ქართველები დიდ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიებსაც. ეკლესია ტყობა-ერდი (თხაბა-ერდი) არის ფედერალური მნიშვნელობის მეორე ძეგლი, არხიზის ჩრდილოეთი ტაძრის შემდეგ, რომელზეც შესრულებულია სარესტავრაციო სამუშაოების მთელი ციკლი, კვლევა-დაპროექტება-წარმოება (არქიტექტორი – მოსკოველი ვ. ა. კუზმინი, სამუშაოთა მწარმოებელი მ. ბოგატირევი ნაზრანიდან). ამავე დროს გაიწმინდა და გამაგრდა მეზობლად მდგომი ტაძარი ალბი-ერდი, რომელსაც გადახურვის დაკარგვის გამო კონსერვაციის გარეშე ემუქრებოდა გაქრობა. ის კარგადაა ცნობილი თავისი მდიდარი არატრადიციული დეკორით, რომლის ანალოგიებიც კავკასიაში არაა. მკვლევარები მათ ეძებენ, მაგალითად, ტაო-კლარჯეთში (ყოფილი ქართული სამთავრო დღევანდელ თურქეთში). წერილობითი წყაროები ტაძრის მშენებლობაზე ნაპოვნი არაა. ჩრდილოეთ კავკასიის ტაძრების შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. მრავალი ტაძარი, მათ შორის მადი მაირამი (დედა მარიამი) ოსეთში, ალბი-ერდი და ტარგიმის ტაძრები ინგუშეთში და რამოდენიმე ტაძარი ჩირიურთის ზეგანზე, დაღესტანში დაინგრა. ეს ტაძრები ქართველებმა ააგეს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში სავაჭრო გზებზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერ გაძლეს კამარებმა. მშენებლებს უნდა მოენახათ გადახურვის სხვანაირი კონსტრუქცია.

ტყობა-ერდის მშენებლობის სცენარი ასე წარმოდგება. მიწისძვრის დროისთვის მშენებლებმა უკვე ჩაყარეს ტაძრის საფუძველი. მან განსაზღვრა შენობის მდებარეობა რელიეფზე, მისი ორიენტაცია, გაბარიტები, კედლების სისქე. უფრო ადრე აგებული თარგიმის და ალბი-ერდის ტაძრები მიწისძვრის დროს დაინგრა მშენებლების თვალწინ. მშენებლებმა კონსტრუქტიული და დეკორატიული ქვები გადაიტანეს ტყობა-ერდიზე. ეს ჩანს იქიდან, რომ ალბი-ერდის გაწმენდისას არ აღმოჩნდა არც ერთი საბჯენი თაღი, მაგრამ ტყობა-ერდის მშენებელმა გადაწყვიტა სხვა კონსტრუქციის გამოყენება. ინტერიერი გადატიხრეს სამი შეისრული თაღით და მათ შორის სივრცე გადახურეს ცრუ კამარებით. საბჯენი თაღები „ზედმეტი“ აღმოჩნდა, მათი ნაწილი გამოიყენეს არქივოლტად დასავლეთ კედელზე, დანარჩენი კი დაყარეს გარეთ. დღეს მათი ნახვა შეიძლება ტაძრის შიგნით, სადაც ისინი შეიტანეს სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ. ორივე ტაძრის ტერიტორია ეხლა გაწმენდილია და ჩანს საინტერესო სურათი. ტყობა-ერდიზე ვხედავთ დეკორატიული და კონსტრუქტიული ელემენტების აშკარა სიჭარბეს მაშინ, როდესაც ალბი-ერდიზე პრაქტიკულად არაფერია. არაა კამარის საბჯენი თაღები, დეკორატიული ქვები, კანკელი, სანათლავი, ტრაპეზი. ტყობა-ერდიზე კი ბევრი ზედმეტი კონსტრუქტიული და დეკორატიული ქვაა. ტყობა-ერდის მთავარი დასავლეთის ფასადი შემკობილია არქივოლტით მოჩარჩოებული რთული კომპოზიციით. ქტიტორული ჯგუფი ქართული ტრადიციის შესაბამისად შედგება სამი ფიგურისგან: შუაშია დამკვეთი (ქტიტორი, დონატორი), მარცხნივ – ტაძრის წინამძღვარი. ფილა ამ რელიეფით დაკარგულია და გამოსახულება შეინახა მხოლოდ ვ.მილერის ნახატზე. მარჯვნივ არის ტაძრის მფარველი წმიდანი.

წმიდანს მარცხენა ხელში უკავია ჯვარი და მარჯვენაში – მახვილი. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ასე გამოსახავენ მთავარანგელოზ მიხეილს. ე.ი. თავიდან ეს იყო მთავარანგელოზი მიხეილის სახელზე აგებული ტაძარი. ქართულწარწერიანი ფილა ირიბათაა ჩასმული, რაც ნიშნავს, რომ მშენებლებმა არ იცოდნენ ქართული ანბანი. მშენებლები არც ქართველები ყოფილან და არც სომხები. ამიტომ ამბობენ ქართველი მეცნიერები, რომ ესაა ქართულ-ინგუშური ეკლესია, რომლის მშენებლობაშიც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ინგუშებიც“.

ასე წერს ავტორი და ურთულესი დასკვნა გამოყავს ქართული წარწერის არასწორი ჩასმის გამო. ჩემი აზრით კი, აღდგენის დროს ფილები უვიცმა ხელოსნებმა არასწორად ჩადგეს ამ ტაძრის ეს ფილები, ალბათ, მიწისძვრის შემდეგ მიწაზე ჩამოცვივდა, შემდეგ უკვე გაწარმართე

ბის გზაზე დამდგარმა, მაგრამ ქრისტიანმა მოსახლეობამ გადაწყვიტა აღგდენა ძველი ეკლესიისა. მათ იშრომეს და თავისებურად აღადგინეს ძველი ტაძარი, მოსახლეობის გამუსულმანებამდე რაღაც ეტაპზე ქრისტიანობა აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ საქართველოს ბარი ომების ცეცხლში იყო გახვეული და ძალა არ შესწევდა, დახმარებოდა შორეულ მთას. ალბათ, მე-17 ს. დასაწყისში მიეცა თხაბა – ერდს ამჟამინდელი სახე.

ავტორი განაგრძობს: „პირველად ტაძრების და სავაჭრო გზების კავშირი აღნიშნა მე-19 საუკუნის კაზაკობის ისტორიკოსმა ვ. პოტომ, რომელიც წერდა: „ჩერქეზების მთებში დღემდე დარჩა ქვის ეკლესიების ბევრი ნანგრევი, რომელთა ჯვრული ფორმაც ლაპარაკობს ბერძნულ წარმომავლობაზე. ზოგი მათგანი განმარტოებით დგას კლდეების მწვერვალებზე, უღრან ტყეებში, შორს ადამიანთა საცხოვრისისგან. ზოგი მათგანი, პირიქით, ელტვის ხალხმრავალ სავაჭრო გზებს, რომლებიც ოდითგან სერავდნენ ჩერქეზთა მიწას შავი ზღვიდან კავკასიის მთების ხეობებით კუმას და ყუბანის სათავეებისკენ. ამ ტაძრებთან ჩვეულებრივ არის ქვის შენობების ნანგრევებიც. ამ შენობებს ჩერქეზები უწოდებენ ელინთა სახლებს. შეიძლება ეს იყო ბერძნული მონასტრები ქარვასლებით, ვინაიდან იმ ძველ დროში ქრისტიანობის გავრცელება ხდებოდა ვაჭრობის განვითარებასთან ერთად. ვაჭარიც და ბერიც, ყოველი მათგანი თავისებურად ემსახურებოდნენ რწმენის და ცივილიზაციის საერთო საქმეს.“

ჩემი აზრით კი, ვ. პოტოს მიერ ჩერქეზეთში ნახსენები „ჯვრული ტაძრები“ უნდა იყოს ზელენჯიკის ხეობის, სენტისა და შოანას ჯავრ-გუმბათოვანი ეკლესიები, ქართული იურისდიქციის ნაშთები. აღნიშნული ეკლესიების მომცველ რეგიონს, რომელსაც ამჟამად რუსეთში „ძველ ალანიას“ უწოდებენ, მე-19 ს. რუსეთში ჩერქეზეთს უწოდებდნენ. სინამდვილეში ეს რეგიონი ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებთან ერთად ქართულ საეკლესიო საუფლოს წარმოადგენდა ქართულენოვანი საეკლესიო მრევლითა და არქიტექტურით, ავტორმა ეს შეამჩნია კიდეც ინგუშეთში.

http://www.fototerra.ru /Gruzija/Kazbegi / 5–5479.html

ინგუშეთის დელიტეს ტაძრის გოლგოთიანი ჯვრები

(იხ. Виноградов В. Б., Бараниченко Н.Н., Об одном аспекте грузино–ваинахских взаимоотношении в XVI–XVII вв მაცნე, 1980, გვ.72-83; ა. შავხელიშვილი საქართველო-ჩაჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობები XVI–XVII „საუკუნეებში. თბილისი, 1980, ვინოგრადოვი ვ. XVII საუკუნის საქართველო – ინგუშეთის ურთიერთობის ძეგლი //ძეგლის მეგობარი. – 1982. – N60. – გვ.50-54.

ხუციშვილი ლ. ქალდანი – ქრისტიანობის დროინდელი ერთი ძეგლი ინგუშეთში // „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1980, №54, 31-35. ვინოგრადოვი ვ. XVII საუკუნის საქართველო – ინგუშეთის ურთიერთობის ძეგლი //ძეგლის მეგობარი. – 1982. – N60. – გვ.50-54 და სხვ.).

მთიანი ინგუშეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში, ცვილამის ქედის ძირში, ნასოფლარ ქართის ნანგრევებთან გამავალი ისტორიული გზის მახლობლად, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა მდ. ასას სათავეებს დარიალის რაიონთან, აღმართულია საკულტო ნაგებობა. მას ინგუშები დელიტეს (დოლტე) უწოდებენ სოფ. ქართასთან ახლოს

იგი მდებარეობს მდინარე ასის ერთ-ერთი პატარა შენაკადის სათავესთან სოფელ ყართში აღნიშნული სოფელი სამანქანო გზიდან, რომელიც არმხის ხეობის სოფელ ხულამდე ადის და 17 კილომეტრითაა დაცილებული.

ვს. მილერი მთას უწოდებს „დელიტე“-ს („დოლტე") და ამ ტერმინს განსაზღვრავს როგორც დელი – ღმერთი და ტე – წვერი, ზედაპირი, მწვერვალი.

თუშოლის დღესასწაულის შემდეგ სხვადასხვა საზოგადოების მოსახლეობა სალოცავად დელიტესკენ მიდოდა

ეს სალოცავი ერთი სოფლის ან საზოგადოებისა კი არ იყო, არამედ რამდენიმე საზოგადოების. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, დელიტე უზენაეს, უმაღლეს ღმერთს, ღვთაებასაც ნიშნავდეს.

ნაგებობის ცალკეული ელემენტებით ის ქრისტიანული ტიპის ნაგებობებს უნდა მივაკუთვნოთ. ამ ნაგებობის ნაწილის (თხაბა-ერდი, ალბი-ერდი) მშენებლებად მკვლევარები ქართველ ოსტატებს თვლიან (Л. П. Семенов. Эволюция ингушских святилищ. Труды секции археологии РАНИОН, IV, М., 1928, 454.).

შენობა წარმოადგენს ნაკლებად დახვეწილ და შედარებით ასიმეტრიულ, მაგრამ მყარ სწორკუთხა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დამხრობილ ნაგებობას (8,9X4,3 მ), რომელიც ფიქლის საფეხურებიანი ორფერდა „სახურავით მთავრდება. შიდა სივრცეში დადასტურებულია ორი შეკიდული თაღი. კედლების გასწვრივ გაკეთებულია დაბალი საფეხურები დასაჯდომად. აღმოსავლეთ კედელზე შიგნიდან მიშენებულია უხეში ფორმის, სამ ნიშიანი სვეტი – საკურთხეველი, რომლის შუა ნიშის სიღრმეში ჯვარია გამოკვეთილი. დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრები გამოყვანილია დასავლეთ და აღმოსავლეთი კედლების გარე ფასადების წყობაში.

მე-19 ს-ის მხარეთმცოდნე გ.ვერტეპოვი, რომელიც იყო ძეგლის უშუალო თვითმხილველი, მიუთითებდა, რომ ნაგებობის სახურავზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აღმართული იყო რკინის ჯვრები.

სამლოცველოს სახელწოდება მთიელთა წარმოდგენაში უკავშირდება ვაინახების (ჩაჩნები და ინგუშები) პანთეონის უმაღლესი ღვთაების დელის (დვალი) სახელს.

არქიტექტორი ა. გოლდმტეინი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ ამ ობიექტს „გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული სამლოცველო“ ეწოდოს, ხოლო ეთნოგრაფი ვ. კობიჩევი დარწმუნებით ახასიათებს ნაგებობას, როგორც XV საუკუნემდე აგებულ „ქრისტიანულ ტაძარს“. მართლაც, გეგმარების, დიმხრობისა და შიდა სივრცის მკაფიო თავისებურებანი, ჯვრების გადამწყვეტი ხასიათი (მათ შორის გოლგოთიანი ჯვრებისა) გარეგან მორთულობაში, არავითარ ეჭვს არ იწვევს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნაგებობა თავისი ფუნქციით მჭიდროდ დავუკავშიროთ ქრისტიანულ რელიგიას და მის რიტუალს. ამ ძეგლის ერთი შეხედვით „წარმართული“ სახელწოდება, რაც დაკავშირებულია ადგილობრივ ღვთაებათა შორის უზენაესის – დელის სახელთან, ზემოთქმულს არ ეწინააღმდეგება. ჯერ ერთი, ამჟამად დადგენილია რომ სწორედ მონოთეისტური, უპირველეს ყოვლისა კი, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზეგავლენით იგი ვაინახებისათვის გადაიქცა უზენაეს ღვთაებად – ყოვლისმპყრობლის სინონიმად (ს. უმაროვი, ვ. ვინოგრადოვი, ნ. ბარანიჩენკო), ხოლო მეორე ის, რომ გაუმართლებელია ტაძრის სახელწოდების ახსნისას ყურადღება არ მიექცეს ქართულ ქრისტიანულ ანალოგიებს, რომელსაც ვ.კობიჩევი გვთავაზობს (მაგ. დოლისყანის ძველი ტაძარი მდ.ჭოროხის ხეობაში). სხვა საქმეა, რომ დელიტე საკმაოდ უხეში ნაგებობაა,

ე.შილინგი, ეყრდნობოდა რა საკმაოდ დამაჯერებელ ინგუშურ ხალხურ გადმოცემებს (რომლებიც, სხვათა შორის, ნაწილობრივ დღემდე შემორჩა), მივიდა დასკვნამდე, რომ დელიტე აგებულია XVII ს-ის დასაწყისში ხამხელთა ძლიერი და გავლენიანი თემის მიერ.

გარეშე ძალთა გამანადგურებელი აგრესიის შედეგად, XVI–XVIII სს-ში თვით საქართველოში ქრისტიანობას ძნელი დრო დაუდგა. მაგრამ მეფე თეიმურაზმა მოიკრიბა ძალა და საქართველოს მთიანეთში (და მომიჯნავე მხარეებში) ქრისტიანული რწმენის აღდგენა-განმტკიცებისათვის უაღრესად ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა. ამას შედეგად მოჰყვა თუშეთში, ფშავსა და სხვა რაიონებში მრავალი ეკლესიის აღდგენა და მშენებლობა, მათი სასულიერო ლიტერატურით აღჭურვა. მან ყურადღება მიაპყრო იმჟამად მისი სამეფოს შემადგენლობაში შემავალ იმ მაღალმთიანეთს, რომელიც ამჟამად ჩეჩნეთ-ინგუშეთშია. ის მაღალმთიანი მხარეები, რომელიც ამჟამად ჩეჩნეთ-ინგუშეთშია თეიმურაზის დროს დასახლებული იყო ჯერ კიდევ ქრისტიანი ხალხით, რომელნიც ძველთაგან საქართველოს სამეფოს მცხოვრებნი იყვნენ, ამიტომაც მათ მე-17 საუკუნეშიც შემორჩენილი ჰქონდათ ქართველ მეფეთა წყალობის სიგელები და სხვა სოციალური შინაარსის ქართული დოკუმენტები, რომელთა განახლებასა და ხელახალ დამტკიცებას შესთხოვდნენ მეფე

თეიმურაზს, თვით თეიმურაზისაგან მომდინარე 1638–1639 წლების დოკუ-მენტები არაორაზროვნად მოწმობენ ამ ფაქტს. (თეიმურაზის სიტყვით: „жители всех этих гор мне подчинились, и принесли мне свои старые записки, и я их скрепил, и многие крестилис“) http://saunje.ge /index.php?id =1648&lang=ru

ამჟამინდელი მთიელი ვაინახების წინაპრები მე-17 საუკუნის 40–50-იან წლების წერილობით წყაროებში თეიმურაზს „ჩვენს მეფეს“ უწოდებენ.

იმის გამო, რომ მთიანი ჩეჩნეთ-ინგუშეთი მე-17 საუკუნეში ჯერ კიდევ კახეთის სამეფოში შედიოდა რუსეთის ელჩობა საქართველოში ხშირად იყენებდა ინგუშეთზე გამავალ გზებს.

ქართულ სამეფოებში რომ შედიოდა ამჟამინდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთი, ამას მოწმობს აქაურ კოშკებსა დაა ეკლესია-სამლოცველოზე გამოსახული გოლგოთიანი ჯვრები.

XVI ს-დან საქართველოს არა თუ მრავალი ეკლესიის, არამედ ციხესიმაგრის ფასადებზე ჩნდება გოლგოთიანი ჯვრების გამოსახულებანი, ხოლო ურჯულოთა მიერ შეურყვნელი იერუსალიმის „წმინდა გოლგოთის“ მონასტერმა ქართველთა რწმენის სიწმიდის ერთგვარი სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძინა და მრავალგზის მოიხსენიება საბუთებში, მათ შორის თეიმურაზის მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ სიგელებშიც. http://saunje.ge /index.php?id =-1648&lang=ru

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ ეს სიმბოლო ქართველი მეფეების ტრადიციული მოკავშირეებისათვის მთიელი ვაინახების ნაწილისათვის არ იყო უცხო. აშკარად ჩანს, რომ მთიელ ვაინახთა ნაწილმა გვიანობამდე შეინარჩუნა ქრისტიანული ეკლესიისადმი თავიანთი კუთვნილების შეგნება.

მდ. ასას ზემო წელზე, დელიტეს ტაძრის მახლობლად, შემორჩენილია ვაინახთა რამდენიმე ციხესიმაგრე, რომელთა საბრძოლო კოშკებზე გოლგოთიანი ჯვრებია გამოსახული.

მათი თარიღი სავსებით დამაჯერებლად თავსდება XVI–XVII სს ჩარჩოებში, რამდენადაც ამ **კოშკებს აქვთ სათოფურები, გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღისათვის, ხოლო XVIII ს–ში ასეთი კოშკების მშენებლობა უკვე წყდება (დ. ჩახკიევი).**

ამ მხრივ მნიშვნელოვანია დელიტეს გოლგოთიან-ჯვრებიანი სამლოცველო, რომელიც ჩრდილო კავკასიის ქრისტიანულ პერიფერიაზე მდებარეობს. ჩვენი რწმენით, იმავე დროისა და რიგის მოვლენაა, – წერს ვინოგრადოვი.

იგი ჯერ-ჯერობით ერთეულია, მაგრამ თვით გოლგოთიანი ჯვრის მოტივი შემონახულია ინგუშეთის რიგი სხვა ძეგლების გვიან შელესილობაზე (მიატარ-დელა, მაგო-ერდა და სხვ.), რომლებიც აგრეთვე მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ მიჩნეულია, როგორც საქართველოს გავლენით შექმნილი ქრისტიანული ძეგლები.

http://saunje.ge /index.php?id =1648&lang=ru

ის ფაქტი, რომ დელიტეს სამლოცველო აგებულია კლასიკური ქრისტიანული ხუროთმოძღვრების აუცილებელი ნორმების დარღვევით თუ გვერდის ავლით, არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან აღმოსავლეთ

საქართველოში მიმავალ რუსი ელჩების ანგარიშებში ხშირად გვხვდება აღწერა ძალზე გამარტივებული (თუ არა პრიმიტიული) საკულტო ნაგებობებისა, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასრულებდნენ ქრისტიანული ტაძრის მოვალეობას; («Да палатка же стоит, а называют её церковью»... და ა.შ.).

გარეშე მეთვალყურენი ამ პერიოდში არაერთხელ აღნიშნავენ ქრისტიანული არქიტექტურისა და ღვთისმსახურების ნორმებიდან უჩვეულოდ მკვეთრ გადახვევას. ვ.კობიჩევი ამის ერთ-ერთ მიზეზად საკმაოდ საფუძვლიანად ასახელებს კვალიფიცირებული ხელოსნების სიმცირეს, რაც იმ ძნელბედობის ხანის საქართველოსათვის სავსებით გასაგებია.

დელიტეს ტაძარი შინაარსობრივად სწორედ ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდა.

მაღი-იერდი

მაღი (მაგი) – იერდი ისტორიული ძეგლია ჩრდილოეთ კავკასიაში – ინგუშეთში. მდებარეობს სოფ. სალგის მახლობლად, მისგან 1,2 კმ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჯვარიახის ხეობის მიუვალ კლდეზე, რომელსაც ჰქვია ზაგალ დუკი. სამლოცველოსთან ახლოს, იმავე კლდეზე, მდებარეობს ასევე კოშკური დასახლება – მაგოტე. სალოცავსა და კოშკებს შორის ასამდე სამარხია. იმავე ადგილას არის კიდევ ერთი სალოცავი, რომელიც დაკავშირებულია ნახევარღმერთის – ნართის ეპოსის გმირ სოსკა-სოლსისთან და ეწოდება სოსკ-სოლსი-იერდი (ლეგენდის თანახმად, ამ სალოცავიდან ღამე ისეთი შუქი გამოდიოდა, რომ მის შუქზე კერვაც კი იყო შესაძლებელიო). სალოცავთან ერთად კოშკები ქმნიდნენ ერთიან კომპლექსს. ფიქრობენ, რომ კომპლექსი აგებულია XIII–XIV საუკუნეებში.

თავდაპირველად მაღი-იერდას სალოცავი იყო ქრისტიანული, რაზეც მეტყველებს მისი მდებარეობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე და გოლგოთის ჯვრის გამოსახულება სამხრეთ ფასადზე. მოგვიანებით სალოცავი გახდა წარმართული, სადაც დღეღამტოლობისას წელიწადში ორჯერ ტარდებოდა რელიგიური რიტუალები და მსხვერპლშეწირვა. ვინაიდან ქრისტიანობის გავრცელება ინგუშეთში დაკავშირებულია საქართველოს გავლენასთან. ამიტომ მაღი იერდიც ითვლება ქრისტიანული საქართველოს გავლენის შედეგად შექმნილი ქრისტიანულ ძეგლად, თუმცა არქიტექტურულად ის წარმოადგენს ტიპიურ ინგუშური სალოცავებისთვის დამახასიათებელ შენობას. ამ ძეგლის შემორჩენილი კონსტრუქციების, არქიტექტურული პროფილების სიმკვეთრე, ხეობათა და მთის გზების გადაკვეთაზე მშვენივრად მოძებნილი განლაგება და განზომილება უთუოდ მიუთითებს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ლეგენდის თანახმად, მაღი იერდის სახელწოდება უკავშირდება ვინმე ბრძენ ადამიანს მაღის (მაგოს), რომელიც მოვიდა ამ ადგილებში სხვა ქვეყნიდან (ერთი ვერსიით, საქართველოდან, სხვა ვერსიებით, ერაყიდან, სირიიდან, ინდოეთიდან თუ ალანიიდან) 600 წლის წინ და კავკასიელების ერთ-ერთი წი-

ნაპარი გახდა. მაგოს მოეწონა ადგილი, სადაც დასახლდა კიდეც. ამ ადგილს მაგო დუკი (მაგის კლდე) უწოდეს. გადმოცემით, ამ ბრძენის ადამიანის შთამომავლები იყვნენ: სამი ინგუშური გვარი (სალგა, ოზდა და ტუმგა), ჩეჩნური გვარი – ჩინხა და ქართული გვარი – ჩოფიკაშვილებისა, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელია ალექსანდრე ყაზბეგი. ლეგენდის მიხედვით, მაგო დაკრძალულია იმავე მთაზე, ერთ-ერთ მზის სალოცავში.

საქართველოს სახელს უკავშირდება ასევე ამ **ტაძარში ნაპოვნი უძველესი ხელნაწერი – ფსალმუნის (ბ-რედაქციის) ორი ფურცელი,** რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეებში აქ წირვა-ლოცვა აღევლინებოდა სწორედ ქართულ ენაზე. ფსალმუნის აღმოჩენასთან დაკავშირებით ასეთ ისტორიას მოგვითხრობს პროფ. გ. ღამბაშიძე: „ინგუშეთის ქ. ნაზრანში მცხოვრებ აბდულვაჰაპ ელჯარკიევს XX ს. დასაწყისში, საგვარეულო სამლოცველო მაღი – იერდაში უპოვნია მთელი წიგნი, რომელიც მამამისს გადაუცია რუსი ოფიცრისათვის. ეს ორი ფურცელი კი ოჯახურ რელიკვიად შეუნახავთ. 1970 წელს აღნიშნული ხელნაწერის მიკვლევაში დაგვეხმარა ეთნოგრაფი ბ. გამყრელიძე, ინგუში მწერალი ბ.ჩახკიევი და მხარეთმცოდნე მ.ოზიევი... „ქართული ფსალმუნის ფურცლებს მიაკვლიეს ნაზრანში, 80 წლის აბდულვაჰაპ ელჯარკიევთან, ვისაც XX საუკუნის დასაწყისში მაგი-ერდის საგვარეულო სამლოცველოში აღმოუჩენია ეს განძი და, მაჰმადიან კაცს უბით უტარებია 13 წლის განმავლობაში შუა აზიის ტრამალებში გადასახლების დროს, როგორც უდიდესი სიწმინდე..“

ა. ელჯარკიევის ანდერძით, აღნიშნული ხელნაწერი ფურცლები მისმა ოჯახმა გადმოგვცა 25.10.1979 წელს. როგორც ზემოთ მოყვანილი ლეგენდიდან ჩანს, ბრძენი მაგო ხალხს ასწავლიდა წიგნიდან, რომელიც ამ ტაძარში ინახებოდაო. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ ეს სწორედ ის ხელნაწერია, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩინა ერჯაკიევმა ამ სალოცავში. ამ შემთხვევაში მაგო ეროვნებით ქართველი ყოფილა.

ასას და ღულის ხეობები ლევან ზვიადაურის ეთნოგრაფიული წერილების (2000 წ.) მიხედვით

შესავალი – ღულელები

მთქმელი ლევან ზვიადაური გვიამბობს – „სოფელი „ღულელები“ მდებარეობს თიანეთის რაიონში. მისი მოსახლეობა ჩამოსახლებულია ამჟამინდელი „ქისტეთის“ (ჩეჩნეთ-ინგუშეთის) ამავე სახელის მქონე ღულის ხეობიდან. ასაკოვანი ხალხის მტკიცებით, ისინი (ქისტეთის ღულელები), იყვნენ ქართველები, რომლებიც ჯერ ხევსურეთში, ხოლო შემდეგ, დროთა განმავლობაში, თანდათანობით ჩამოსახლდნენ ბარში, და აქაც, თავიანთ სოფელს უწოდეს „ღულელები“. ქისტეთის „ღულის ხეობა“ ესაზღვრება ხევსურეთს. როგორც

მოსაზღვრე ხევსურები განმარტავენ, ეს ტერიტორია იმჟამად საქართველოს ფარგლებში იყო და მოსახლეობაც ქართული იყო“.

ლევან ზვიადაური, რომელიც ცხოვრობს თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში, პირადად გასაუბრებია ღულის ხეობაში მცხოვრებთ (ქისტთ, ჩეჩნებს), რომლებსაც უთქვამთ, რომ **„ჩვენ ქართველები ვიყავით უწინდელ დროსო“**. შემდეგ, შემოსულებში ასიმილაციის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა და ამჟამინდელი ინგუშეთის ღულის ხეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილა.

ლევან ზვიადაური აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ოციან წლებში ხევსურეთის მოსაზღვრე „ქისტური სოფლები“ ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო. პაპაჩემს, გოგლა ზვიადაურს, ჰქონდა მათთან კარგი ურთიერთობა. ისინი და ხევსურები ერთად ლოცულობდნენ თავიანთ სალოცავებში (ქისტებს, ჩეჩნებს ჰყავდათ ხევისბერები და ხუცესები). იყო შემთხვევები, რომ „ხატებში“ ერთად სწირავდნენ. ეს ტრადიციული რწმენა დღესაც ისე სრულდება, მაგრამ ჩეჩნებმა შუა აზიაში გადასახლების შემდეგ ისლამი მიიღეს, თუმცა უკან დაბრუნებულებს მამა-პაპისეული სალოცავები ახსოვთ.

ამ მთქმელის შვილი, სამოელ ლევანის ძე ზვიადაური, ასე განმარტავდა მამამისის ნათქვამს 2000, IX :

1. არსებობს რამდენიმე სოფელი „ღული“, ერთერთია ინგუშეთში, მეორე ნასოფლერი „ღული“ არის ხევსურეთში).

2. ჩეჩნეთ-ინგუშეთში მდებარე „ღულის ხეობა“ ესაზღვრება ხევსურეთს.

3. ხოლო, სოფელი „ღულელები“ მდებარეობს თიანეთის რაიონში.

თავდაპირველად ჩეჩნეთ-ინგუშეთის „ღულის ხეობიდან“ მკვიდრი მოსახლეობა, ეთნიკურად ქართველები, გადმოსახლებულან ხევსურეთში, ერთერთ სოფელში, რომელსაც უწოდეს სახელი „ღული“. ამ სოფელს ეს სახელი არ რქმევია, არამედ ერქვა სხვა სახელი.

შემდგომ ხანაში, ისინი ხევსურეთის ღულიდან ჩამოსახლდნენ ბარში, კერძოდ, თიანეთის რაიონში და თავიანთ ახალ სოფელს უწოდეს „ღულელები“.

როგორც ლევან ზვიადაური გადმოგვცემს, ამჟამად ჩეჩნენ-ინგუშეთის ღულელი მოხუცები აღნიშნავენ, რომ ისინი წარმოშობით ქართველები არიან.

ლევან ზვიადაური დაბადებულია დუშეთის რაიონის სოფელში 1930 წელს, არის სახალხო მთქმელი, პოეტი, ავტორიტეტული ადამიანი. ამჟამად ცხოვრობს თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში.

ლევან ზვიადაურის წერილები
(1999-2000)

წერილი 1

„უღრმესი სალამი მეუფე ნანიას, მოგესალმებით დიდი სიხარულით, მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობთ, პირადად მე ვაფასებ თქვენს ნიჭსა და მოღვაწეობას, როგორც უაღრესად სასარგებლოს ჩვენი სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, ამ ყოველნაირად ძნელბედობის ჟამს.

ახლა გპასუხობთ თქვენს შეკითხვაზე, ჩვენი პირიქითა ხევსურეთისა და იქ ჩამოსახლებული ქისტების შესახებ. მთლიანი ხევსურეთი იყო ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი, მაგრამ ეკლესიები არ იყო და ამიტომ ძირითადად ხატთა თაყვანისცემა იყო გავრცელებული. წმიდანთა სახელზე პატარ-პატარა სალოცავები (ნიშები) იყო აშენებული. დროის გამოთვლა ხდებოდა კვირეებით და არა ყოველდღიურად. გამოთვლა იწყებოდა გიორგობიდან (კვირა დღიდან), ერთს და ორ დღეს მნიშნვნელობა არ ქონდა, წინ იქნებოდა თუ უკან, ოცი კვირა რომ შესრულდებოდა (ოცობა) ლოცულობდნენ წმინდა აღდგომას, რაც მარტის ბოლო რიცხვებს ემთხვეოდა ძველი სტილით.

ქისტები რომ ჩამოსახლდნენ, მაშინ ქისტეთშიც ქრისტიანობა იყო გავრცელებული. პირველად ერთი ოჯახი შემოეხიზნა ხევსურებს. იმ დროს მაღალი კლდიდან (ყორიდან) ხევსურის ბავშვს ქვა ჩამოუვარდა, ქისტის ბავშვს დაეცა თავში და მოკვდა. ქისტებმა შური არ იძიეს, სამაგიეროდ მიწა აიღეს, რაც მათი დასახლების და გამრავლების საფუძვლად იქცა. გვარად იყვნენ ბორჩაშვილები, ცხოვრობდნენ დაიაურებთან და შეთეკაურებთან ერთად სოფელ მუცოში. როცა ხალხი გამრავლდა, შეთეკაურები და ბორჩაშვილები გადავიდნენ საცხოვრებლად სოფელ ხონეში, მერე ქისტებმა შექმნეს დამატებით პატარა 4–5 კომლიანი სოფლები, ენარი და ბაყანური, სამივე სოფელში მთლიანად 30 კომლამდე მაცხოვრებელი იქნებოდა.

სოფელ მაისტზე რომ მეკითხებით, არსებობდა ქისტეთის ტერიტორიაზე, რომელთაც ჰქონდათ პრეტენზიები შატილსა და მის მიმდებარე სოფლებზე.

როგორც ზოგიერთ ქართულ გვარებს აქვთ დაბოლოება (ური) მაგ: ძებნიაური, ასეთივე დაბოლოება აქვთ ზოგიერთ ქისტურ გვარებს, მაგ: ნაცაური.

ნაცაურები ზოგი ხევსურეთში ცხოვრობდა, ზოგი ქისტეთში.

აქედან გამომდინარე, როგორც სავარაუდოა, ქართველების ასიმილაცია მოხდა ქისტებში და მათ თავიანთი უწინდელი ტერიტორიები ახსოვთ.

ხევსურეთში მაცხოვრებელი ქისტების გამაჰმადიანება მოხდა მამაჩემის ბავშვობის პერიოდში (დაბადებული იყო 1901 წელს) ხევსურეთის ერთი კუთხეა არხოტი, სადაც მიედინება მდინარე ასა. ამ მდინარის მეორე მხარეზე არის დიდი ხეობა მრავალი სოფლებით. თითოეულ სოფელში არის ერთი ან ორი ციხე. ყოველ ციხეს აქვს ქრისტიანული ჯვარი მშენებლის მიერ გამოკვეთილი. ამ ხეობას და მდინარესაც ეწოდება ღული.

ჩემი წარმოდგენით არხოტშიც და ღულშიც ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა. ქისტების მიერ შევიწროებული მოსახლეობის ნაწილი აიყარა და

გადმოსახლდა ხევსურეთში და თავინათ სოფელს აქაც დაარქვეს ღული, რაც დღესაც ამავე სახელწოდებით სარგებლობს. შემდეგ ღულიდან ხევსურების ერთი ჯგუფი გადმოსახლდა თიანეთის რაიონში და თავიანთ სოფელს აქაც შეარქვეს ღულელები.

ქართულ და ქისტურ მეტყველებაში ძალიან ბევრია სიტყვათა მსგავსება, ერთფუძიანობა. მაგ: ქისტურად დედაკაცი არის ძუდ. რაც ქართულში მდედრობითის გამომხატველია, მაგალითად: ძუ ლომი, ძუძუ, ძიძა... ქისტურად ნაან დედას ნიშნავს, ქართულად ნანა დედას ერქვა, ქართულად მარჯვ, ქისტურად მარჩ,

ქართულად მარჯ, ქისტურად – მარჩ

მარჯ-ვე, გა-მარჯ-ვებული – მარჯ-ვენა. ქისტურად – მარჩ ვოოღარ ვა – გამარჯვება

მარჩ ლუალვ დაალ – ღმერთა მოვცეს გამარჯვება

ასევე, ჯიჯია, ჩიჩია – ხორცი. ქისტურად – ჯიჯგ – ხორცი

ასევე, ჩალა. ქისტურად – ჩა

ასევე, ბარაქალა (ყოჩაღ). ქისტურად – ბარაქალ

რა თქმაუნდა თითოოროლა სიტყვით არ ამოიწურება ქართულ ქისტური ურთიერთობა. ამისთვის აუცილებელია ორივე ენის ძირფესვიანად ცოდნა.

დანარჩენი რა მოგახსენოთ, პირიქითა ხევსურეთის შესახებ განცდილ–მოსმენილი ტრადიციები ლექსებად და პოემებად მაქვს დაწერილი, რომ ვიცოდე აქედან რამე დაგაინტერესებდათ აუცილებლად გამოგიგზავნიდით.

კარგად ბრძანდებოდეთ, ღმერთა ვთხოვ გვიმრავლოს თქვენნაირი ადამიანები, ალბათ პირფერობაით არ ჩამომართმევთ.

დიდი პატივისცემით ლევან ზვიადაური“.

წერილი 2

„გულწრფელი სალამი ღვთივკურთხეულ მეუფე ნანიას, ღრმად პატივცემულო ანანია, მსურს გულწრფელი მადლობა გადაგიხადო, როგორც ერთ-ერთმა ქართველმა საქართველოს წარსულის ესოდენი თავდადებით ძიებისა, შესწავლისა და დღის სინათლეზე გამოტანისათვის.

წავიკითხე თქვენს მიერ გამოცემული წიგნი „ქართველების გალეკება“ სადაც მოცემულია საქართველოსასთვის უაღრესად საინტერესო მასალა მომავლის თვალსაზრისით, რისთვისაც ყველა ქართველის მადლობას ღირსეულად იმსახურებთ.

ახლა დაინტერესებული ყოფილხართ ხევსურებისა და ქისტების ურთიერთ დამოკიდებულებით.

მე ადრეც მოგწერეთ ქისტეთში არსებული ღულის ხეობისა და ხევსურეთში არსებული სოფელ ღულის შესახებ. ახლა უფრო ვრცლად მინდა აღვწერო ღულის შესახებ: იგი არის თეთრი მთებით გარშემორტყმული, მხოლოდ მწვერვალებთან მისვლის საშუალება არ მქონდა, რომ მენახა რა ნივთიერებისაგან შედგება, კირქვისაგან თუ ხოხის ქვისაგან, სხვაგან მსგავსი მწვერვალები არსად მინახია, თუმცა ბევრი მთები დამივლია ფეხით.

ყოველ სოფელში არის თავდაცვის მნიშვნელობის ციხესიმაგრეები, თითო სოფელში ერთი, ორი და ზოგგან სამიც. ყოველ ციხეს აქვს ქრისტიანული ჯვარი. არქიტექტურულად ლამაზად გამოკვეთილი, ხოლო ზოგიერთ ჯვარს საყრდენი ბოლო ორად აქვს გამოყოფილი.

სწორედ ამ ქრისტიანულმა ნიშნებმა გამოიწვია ჩემი დაინტერესება და გამოველაპარაკე ოთხმოც წელს მიღწეულ ჩეჩენს.

ხეობის სახელწოდებისა და ქრისტიანული ნიშნების შესახებ მან მიპასუხა, ამ ხეობას ეწოდება ღული, ადრე ამ სოფლებში უცხოვრია ქრისტიან ხალხს, ქართველებს. მერე, როცა ჩვენი ხალხი მომძლავრდა, ზოგი გაქცეულა და ზოგი გაქისტებულა. ამ ღულის წყალს ერთვის მეორე მდინარე „ასა“ სადაც ქართველები დღესაც ცხოვრობენ.

ამ გადმოცემას ისიც ადასტურებს, რომ დღესაც ხევსურეთში ბევრია ის ხალხი, ვისაც ქისტეთიდან გამოქცეულებად ან მისულებად მოიხსნებენ, რომელთა გვარების დაბოლოება არის ქართული, მაგალითად: „ური“ რომლებიც თავის თავს ხევსურებს ეძახიან.

ადრე სოფელ ღულში მცხოვრები ქისტაურების შესახებ მოგწერეთ, მაგრამ არ მომიწერია სისაურების შესახებ, რომლებიც ქისტაურებზე ოთხჯერ და ხუთჯერ მეტია, დასახლებულან ხევსურეთში: ქისტეთის საზღვართან ახლოს, სოფ შატილიდან კილომეტრნახევარში, როცა ქისტეთიდან ლაშქარი ხევსურეთის დასალაშქრად მოდიოდა, სისაურები პირველები ებმებოდნენ სამკვდო სასიცოცხლო ბრძოლაში. ხშირად სამოცი და მეტი ხმლით მებრძოლი ჰყოლია. იმათ სოფელს ერქვა ანატორი, რის გამოც სისაურებს ხშირად ანატორლებსაც ეძახდნენ, რაც დღემდე შემორჩა.

როცა ანატორში ვეღარ მოთავსდნენ, გადმოინაცვლეს დიდს ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში და დაიწერნენ ლიქოკელებად, დააარსეს სოფლები: ჭალაის სოფელი, აჭე, სატრედე, ქობული, კეო და სხ. შატილში დარჩენილმა და თუშეთში გადასულმა სისაურებმა შეინარჩუნეს ძველი გვარი.

სისაურებს სალოცავად ჰყავდა ანატორის მთავარანგელოზი, ლიქოკელებს „კოპალა“ რომელიც ასე მოიხსენიება, ხუცესებისაგან: „გმირო კოპალო ლაღო ლახტიანო“ ხოლო ღულში ჰყავთ სალოცავები და მათი სახელწოდება არ ვიცი.

სისაურები, ლიქოკელები და ქისტაურები, როგორც სხვა ხევსურები, იმავე წესით ემსახურებიან ხატებს: საკლავის დაკვლა, ქადა – სანთლის მონთება, თასთ დიდება, ჟამთწირვა და სხვა.

არის უფრო პატარ-პატარა გვარები, რომელთა შესახებაც ადრე მოგწერეთ. არ შეიძლება არ გავიხსენო ცნობილი პოეტი, რამდენიმე წიგნის ავტორი, თიანელი ალაზა ხაიაური, რომელიც თავისთავს ხევსურს უწოდებდა, ხოლო ზოგიერთი მათ გვარს ქისტეთიდან გამოქცეულებს ეძახის.

ღმერთი იყვეს თქვენი შემწე ამ საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

თქვენი კეთილის მსურველი
ლევან ზვიადაური“

წერილი 3

„გულწრფელი სალამი ღვთივკურთხეულ მეუფე ნანიას, მოგესალმებით დიდი სიყვარულით ღრმად პატივცემულო მეუფეო. მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. რა თქმა უნდა, დიდად გავიხარე და ეს სიხარული უფრო და უფრო მატულობს, რამდენადაც ვკითხულობ. მაკვირვებს თქვენი ენერგია, თქვენი სიღრმისეული ხედვა, როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო მიმართულებით, რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს სულთმობრძავ სამშობლოს.

ყველაზე მეტად სასიხარულოა ის, რომ თქვენი ხედვა მიმართულია არა მხოლოდ წასულისა და აწმყოს მიმართ, არამედ ძირითადად მომავლისკენაა მიმართული. თანაც რამდენი ძიებისა და შრომის ფასად!

წავიკითხე მეორე წიგნი: საინგილო – ქართველთა გალეკება. საინტერესოა, როგორ პოულობთ მაგდენ დროს, ანდა მასალას. ჩემი აზრით, მაგ წიგნების საინგილოში გავრცელება დიდ საქმეს გააკეთებდა, მრავალს ჩაახედებდა სულის სიღრმეში და დაუბრუნდებოდა მამა-პაპათა გვარ-ტომს.

მე თქვენთან პირადი შეხვედრა არ მქონია და შეიძლება ვერც მოვახერხო, ამიტომ წერილობით მაინც მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ჩემი შვილის სამოელისთვის წლების მანძილზე ეგოდენი დახმარებისთვის, სულიერად თუ ეკონომიურად. მე, ალბათ, ვერ შევძლებ და ღმერთსა ვთხოვ კეთილად გადაგიხადოთ.

ახლა სამოელისთვის გითქვიათ მამაშენის ლექსები წამოიღე, შეიძლება მცირე ტირაჟით დაბეჭდვა მოვახერხოო, მაგდენს უკვე ვეღარ შეგაწუხებთ. ისე კი რამდენიმე ლექსს გამოგიგზავნი, მაგ: ჩვენი და ქისტების ურთიერთდამოკიდებულებას. იყო მტრობაც და იყო მეგობრობაც. რაკი ქისტები ვახსენე ერთსაც ვიტყვი:

ქისტეთში არის ერთი კარგად მოზრდილი სოფელი „ითონხალე“ იმ სოფლის თითქმის ყველა უფროსი და შუა ხნის ხალხი აცხადებდა, რომ ძირითადად ქართველები არიან.

მე თქვენში დავინახე ის ადამიანი, რასაც მე მთელი სიცოცხლის მანძილზე ვოცნებობდი, კავკასიის ხალხთა ენების გამოკვლევაზე ქართველთა და მოსაზღვრე ტომების წარმომავლობაზე, მაგრამ როგორც მთების გალიაში გაზრდილი, სკოლისა და სასწავლებლის გარეშე დარჩენილი ვერ მივწვდი და ოცნება აუხდენელ ოცნებად დარჩა.

მე არ შემხვედრია სადმე, ვისმე დაეწეროს ქართული ენის თვითმყოფადობაზე და ბუნებრიობაზე, ისე კი არსებობს არცერთი ბრმა ბგერა, რომელიც ან სახელწოდება არ იყვეს ანდა მოქმედების გამომხატველად არ იყვეს დამკვიდრებული. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ქუხ! ცის ქუხილი, გრ,... გრიალი – გრიალებს, ყო-ყო ყორანი, წიი-წიი – წიწილა, წივის ფრრ მიფრინავს. ჭრი-ჭრი ჭრიჭინა, ტკც! ტკაცუნობს, ყაფ – ყაფ ყეფს, ღო – ღო ღორი, შრრ შრიალებს, ფრრ ფრიალებს. ასე და ამგვარად დაუსრულებლად, გარდა ქართულისა, მე სხვა ერების ენაში მსგავსი არსად შემხვედრია, თუნდაც ლექსიკონებს რომ გადავავლოთ თვალი.

მგონია თავი მოგაბეზრეთ. ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენნაირი ხალხი უკვდავებასავით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

უღრმესი პატივისცემით

ლევან ზვიადაური“

ჩემი მინაწერი

ქისტეთში არსებული ღულის ხეობა და სოფელი ღული ახლა ინგუშეთში მდებარეობს და რუსები მოიხსენიებენ, ვითარცა „გული“, ხანაც „ხული“. აქაა ტყობა-იერდის ეკლესია, აქაური ხალხი ყოფილი ქართველებია, რომელნიც გამაჰმადიანდნენ და ახალი ეთნოსი შექმნეს, მიუერთდნენ ღალღა-ინგუშებს, რომელიც ქართული სისხლის ხალხია და ჩვენი თანამეტომეა. მათი წინაპრების ქრისტიანობის ბეჭედია გოლგოთიანჯვრიანი კოშკები და ეკლესიები, რომელთა ნაშთები აქ მრავლადაა, ის მდებარეობს ხევსურეთის არხოტიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ასას ხეობაში.

პირიქითა კავკასიის მდ. ასა, ანუ არხოტისწყალი, მთაში, არხოტთან იღებს სათავეს, შემდეგ კი ჩაედინება შედარებით უფრო დაბალ ადგილას, ბარში, ღულში, ანუ არხოტელები უფრო მთიელები და ნაკლებცივილიზებულები ჩანდნენ ბარელ ღულელებთან შედარებით, რომელნიც მათ ქვემოთ ცხოვრობდნენ, ამის გამო ამ რეგიონის საეპისკოპოსო ცენტრი ტყობა-იერდი ღულთან ახლოს მდებარეობდა, ანუ თხაბა-იერდი (ძველი ღვთაების ეკლესია) ცენტრი იყო დიდი ქრისტიანული ოლქისა, რომელიც აერთიანრბდა ამჟაამინდელ არხოტსაც და ინგუშეთის ხულსაც. ამჟამინდელი საზღვარი ცხადია მაშინ არ არსებობდა და ამ ეკლესიის ქართულენოვანი საეპისკოპოსო ცენტრი და მისი ეპარქია ყველა ამ მთიელ ქრისტიანს აერთიანებდა. მისი მრევლი შემდგომ, ქრისტიანობის დაკარგვის თუ შენარჩუნების შესაბამისად, დაიყვნენ ქისტებად, ხევსურებად, ინგუშებად თუ ჩეჩნებად, იქამდე ის ერთი ქრისტიანი ხალხი იყო, რომელიც თავდადებით იცავდა თავის სარწმუნოებას – ქრისტიანობას და სამშობლოს – საქართველოს, ამიტომაც მათ ქრისტებს („ქერისტ“) უწოდებდნენ აქ შემდგომში შემოსული მუსულმანბი (ქერისტ ანუ ქისტები). ტყობა ანუ თხაბა ერდი იყო ამ დიდი ქრისტიანული ხეობის სასულიერო ცენტრი, აქვე ახლოს იყო თარგიმი და სხვა ეკლესიები.

მე-17 სუკუნედან, განსაუთრებით კი მე-18 საუკუნის დასაწყისში ბარიდან იმძლავრა მუსულმანობამ, მათთან მებრძოლი ქრისტიანები საბოლოოდ დამარცხდნენ. კოშკებში შესული ვაჟკაცები და მათი ოჯახის წევრები დიდხანს იცავდნენ ქრისტიანობას, მაგრამ მაინც. ხალხმა ნელ-ნელა მიიღო ისლამი, შესაბამისი ენითა და ადათ-წესებით, შესაბამისად, შეიცვალა ხალხის იდენტობა. ახლა რუსული გამოცემები ამტკიცებენ, თითქოსდა თხაბა-იერდი ალანების ეკლესია იყო და ინგუშები აქ შემდეგში მოსული ხალხია. სინამდვილეში კი, ეს კულტურა, ინგუშების წინაპრების, ანუ ძველი ქართველების ნაღვაწია, რასაც ადასტურებს ამ ტაძრის ქართულენოვანი წარწერები.

თვითონ ერთერთი ჩეჩენი მკვლევარი წერს, რომ ვაინახები ჩეჩნეთ-ინგუშეთში მივიდნენ მე-17, მე-18 საუკუნეებში – Подробнее см.: https://www.nkj.ru /a.../articles /9030/ (Наука и жизнь, СКИФЫ НА КАВКАЗЕ)

Какой-то древний народ некогда построил здесь захоронения – мавзолеи, а может быть, и святилища. Их разрушили вайнахские беженцы, пришедшие на постоянное жительство в горы в XVII–XVIII веках. Подробнее см.: https://www.nkj.-ru /a.../articles /9030/ (Наука и жизнь, СКИФЫ НА КАВКАЗЕ) ის, წერს, რომ აქაურ საქრისტიანო ოლქში მუსულმანები მივიდნენ მე-17, მე-18 საუკუნებში და მათ ადგილზე დახვდათ მკვიდრი ქრისტიანული ტრადიციების მქონე მოსახლეობა. შედგა მათი ურთიერთობა და ის ძველი ქრისტიანები ამჟამინდელთა წინაპარიც იყო. ეს პროცესი, ანუ ჩეჩნეთის ბარიდან მუსულმანების მასიური ასახლება ანუ მთებში ბარელების მასიური შესავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შამილის ეპოქაში.

ათენგენობის საფუძველი

ათენგენობა ხალხური სადღესასწაულო ციკლია.

ათენგენობის დღესასწაულს გამოკვეთილად აღნიშნავენ ხევსურები, თუშები, ქისტები, დაა ინგუშები, გარკვეულწილად, რაჭველები, სვანები, ადიღები და სხვა მთიელები. საქართველოს ბარში ის აღინიშნებოდა მე-15 საუკუნემდე, ვითარცა გამორჩეული საეკლესიო დღესასწაული. ამჟამად საქართველოს საეკლესიო კალენდრის მიხედვით, აღინიშნება ყველა ეკლესიაში, ვითარცა რიგითი დღესასწაული.

ათენგენობა აღინიშნება კავკასიის იმ ოლქებში, რომელნიც ოდესღაც ქრისტიანული მხარეები იყვნენ და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედოდნენ.

დღემდე აღინიშნება თუშეთში (ღამბაშიძე 2011:13), ფშავში (ღამბაშიძე 2011:13), ხევსურეთში (ოჩიაური 2005:106), მთიულეთ-გუდამაყარსა და რაჭაში (მაკალათია 1987:86-88). დღეისათვის აღარ აღინიშნება, მაგრამ ხალხური კალენდრით დასტურდება, რომ ვარდობა ქიზიყში მაისში, ხოლო პეტრე-პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს ზემო იმერეთში იმართებოდა (ეკლესიის კალენდარი 1948:67). ათენგენობა მოძრავი დღესასწაულია, აღდგომიდან 98–100 დღეს, პეტრე-პავლობის მომდევნო დღეებიდან ერთი კვირის განმავლობაში იმართება.

http://axaliganatleba.ge /index.php?module =multi&page=detals&multi _id=2&id=156

წმ. ათინოგენე იყო ირაკლიოპოლის ეპისკოპოსი, ცნობილი თავისი სასწაულებითა და ეშმაკების განდევნის უნარით. IV საუკუნეში, დაახლოებით 311 წ., ქრისტიანთა დევნისას თავის ათ მოწაფესთან ერთად ქალაქ სებასტიაში აწამეს. გადმოცემით, ცეცხლზე დაუწვავთ, ცეცხლში დამწვარ მოწამეთა სიმბოლო იყო წითელი ვარდი და ამიტომ მის ხსენებას „ვარდობის დღეს“

აღნიშნავდნენ, წმ. ათინოგენი ვარდობის დღეს უწამებიათ. („დღესა ვარდობისა წამებაჲ ათინოგენ მღვდელ – მოძღვრისაჲ“).

საქართველოს საეკლესიო კალენდრის მიხედვით, მისი ხსენება ძველი სტილის 16 ივლისს აღინიშნება, „მღვდელმოწამისა ათინოგენე ეპისკოპოსისა და ათთა მოწაფეთა მისთა (დაახლ.311)".

ვარდობის დღე ახლაც აღინიშნება ქართულ კათოლიკურ (მესხურ – ხალხურ) კალენდარში. ადრე ის აღინიშნებოდა ძველ საქართველოსა და სომხეთში, როგორც ზოგადქრისტიანული დღესასწაული, ეს მიუთითებს იმას, რომ ვარდობის დღესასწაულს მსოფლიო ეკლესია აღნიშნავდა განხეთქილებამდე, ანუ მე-11 საუკუნემდე, და დიდხანს მის შემდეგ. ვარდობის დღე ხალხის მახსოვრობაში იყო დარჩენილი და მორწმუნეები, განსაკუთრებით, ცენტრებისაგან დაშორებულ რეგიონებში, მას ძველებურად აღნიშნავდნენ, ბარის ეკლესიის საკალენდარო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია რეგიონებსა და, განსაკუთრებით, მთებში – გვიან აღწევდა.

წმ. ათინოგენე წმიდა ნინოს დროიდანვე უნდა ყოფილიყო მოხსენებული საქართველოს ეკლესიაში, ანუ მე-4 საუკუნიდან. ისმის კითხვა, რატომ შეწყდა საქართველოს ბარში ამ წმიდანის დღესასწაულის სახალხოდ აღნიშვნა და ის შემოინახა მთამ?

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

1. იმის შემდეგ, რაც მე-11 ს. დასაწყისში განხორციელდა რეფორმა გიორგი მთაწმიდელის სკოლის მიერ. შესაძლოა, ამ რეფორმის ტემპს ვერ დაეწია მთის მსახურების წესი, რომელმაც შეინარჩუნა ძველი, რეფორმამდელი საეკლესიო ხსენებათა წესი.

2. ახალ წმინდანთა ხსენების დაწესების გამო ბარის ეკლესიებში ათენოგენის ხსენებამ გადაინაცვლა შედარებით უკანა პლანზე, მაგრამ მთამ გააგრძელა ძველებური მსახურება, ქრისტიანი მთიელები ძველებურადვე აღნიშნავდენენ მას.

საქართველოს მთიანეთში ხალხურ რელიგიურ დღესასწაულებს საფუძვლად უდევს ქრისტიანული კალენდარი.

კ. კეკელიძის აზრით, წმინდა ათინოგენის ხსენების დღე, რომელიც დღევანდელი საეკლესიო კალენდრით იმართება 19 ივლისს, ამთავრებს სააღდგომო ციკლის დღესასწაულებს. მას ჰქვია ვარდის დღეობაც.

თემურ ლენგის შემდეგ, თანდათან, განსაკუთრებით, მე-17, მე-18 საუკუნეებში ქრისტიანი მთიელების ერთი ნაწილი გამუსულმანდა ან გაწარმართდა, მაგრამ მათ მაინც შეინარჩუნეს წინაპართა ტრადიცია ათენგენობის აღნიშვნისა. ამიტომაც როცა მთიელი ქრისტიანების ერთი ნაწილი ახალ ეთნოსად – ქისტებად, მეორე ნაწილი კი ინგუშებად ჩამოყალიბდა, მათ მაინც გააგრძელეს ტრადიცა ათენგენობის დღესასწაულისა.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%92-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9aTengenoba

ზოგჯერ ისმის კითხვა: რა კავშირი ჰქონდა ბერძენ წმინდანს საქართველოს მთასთან? ქრისტიანობა არ ყოფდა თავის მრევლს ეთნიკური ნიშნის მიხედვით, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ სებასტიის რეგიონი,

რომელიც ტრაპეზუნტთან მიმდებარე მხარეს მდებარეობდა, საქართველოს ეკლესიისათვის თანამეტომეებით, ანუ ქართული ეთნოსით დასახლებულად განიხილებოდა, როგორც პონტო და კაპადოკია.

მართალია, ბიზანტიის მმართველებმა, სებასტიის მომცველი ადმინისტრაციულ ერთეულს პირველი არმენია უწოდეს, მაგრამ პროკოფი კესარიელი აღნიშნავს, რომ მას სახელი ეწოდა არა იქ მცხოვრები ეთნოსის სახელის შესაბამისად, არამედ იმის გამო, რომ მის გვერდით არმენიის ცნობილი ქვეყანა მდებარეობდა.

ბიზანტიური ადმინისტრაციული დაყოფის მიუხედავად ქართული სამყაროსათვის სებასტიელი მოსახლეობის ქართველებთან ეთნიკური ნათესაობა ცნობილი იყო.

ათენგენობის დღესასწაული საქართველოს ეკლესიაში უნდა შემოსულიყო იმ დროს, როდესაც აღინიშნებოდა სპარსელი მოწამეების ხსენება ანუ, მე-4, მე-5 საუკუნეებში.

ამჟამადაც საქართველოს ეკლესიის კალენდარი აღნიშნავს სპარსი მოწამეების ხსენებას.

მეზობელ სპარსეთში ქრისტიანული თემები და ქრისტიანები სასტიკად იდევნებოდა მე-4, მე-5 საუკუნეებში და სპარსეთის ქრისტიანულ ეკლესიას მრავალი მოწამე ჰყავდა, მათი ხსენება საქართველოშიც აღინიშნებოდა.

არაბობის პერიოდში, მე-7, მე-10 საუკუნეებში სხვა ახალი მოწამეების გამოჩენამ, სპარსი წმიდანების ხსენების რიგი უკანა პლანზე გადაწია, შემდეგ საუკუნეებში კი დავიწყებას მიეცა.

მართალია, გაქრა სპარსეთში ქრისტიანული ეკლესიის არსებობის ცოდნა, მაგრამ სპარსი მოწამეების ხსენებათა რიგი ტრადიციათა მედგარმა მცველმა, საქართველოს მთის მრევლმა შემოინახა.

შესაძლოა ამ, სპარს მოწამეთა ხსენების რიგთან დააკავშირეს წმ. ათენოგენეს ხსენებაც, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ სებასტია ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა სპარსული პოლიტიკური გავლენის რეგიონთან, რომელიიც ერთ დიდ გეოგრაფიულ არეალად მოიაზრებოდა.

ამ მოსაზრებას, შესაძლოა, ადასტურებდეს ის ფაქტი, რომ ათენგენობას მთაში სპარსანგელოზობაც ეწოდება, ანუ, სპარსანგელოზის დღესასწაულს ათენგენობასაც უწოდებენ.

ასე, რომ საქართველოს რეგიონებში ათენგენობა უნდა დამკვიდრებულიყო მე-4, მე-5 საუკუნეებში ისევე, როგორც მთელ საქართველოში.

ხევსურეთში დღემდე ორი სახელწოდებით ვარდობად და ათენოგენად აღინიშნება ზაფხულის, უფრო ზუსტად, თიბვის დაწყების დიდი ზეიმი.

იგივე მდგომარეობა გვაქვს ოსეთში და ინგუშეთში (კლარჯული მრავალთავი 1991:136). 41 ვარდობის ათენგენობად ჩანაცვლებას თარიღების დამთხვევის გარდა ხელი შეუწყო სიმბოლურმა ფაქტორმა. როგორც აღინიშნა, ადრექრისტიანულ ტრადიციაში წითელი ვარდი ქრისტესთვის ცეცხლზე დამწვარ წამებულთა სიმბოლოდ ითვლებოდა. ირაკლიოპოლის ეპისკოპოსი წმ. ათინო-

გენე ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებისთვის ცეცხლზე დაწვეს (კლარჯული მრავალთავი 1991:138).

„დიდება ჰქონდეს შენ ვარდის დღეობას, გაუმარჯოს რჯულსა საქრისტიანოსას, მიეცი მადლი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესს, გაჭირვებულს ხელი მოუმართე, სნეული გეხვეწება, მოარჩინე და თავის ჯანზე დააყენე. მგზავრსა და ცხვარ-მეცხვარეს ხელი მოუმართე. ეგრე ვინმე წმინდა გულით გეხვეწებოდეს, იმასაც დეეხმარე, შინ მშვიდობა მიეცი, მშვიდობის მგზავრობით ატარე, სნეულს ულხინე. 42 გაუმარჯვე ხარ-გუთანსა, ნახნავ-ნათესსა მიეცი მადლი და ბარაქა“ (სადიდებლები 1998:162).

ათენგენის დღესასწაულს წარმართობასთან ნაკლები შეხება აქვს. „კლასიკურ წარმართობასთან საქართველოს მთიანეთის „წარმართობას“ შეხების საერთო წერტილი ვერ გამოიძებნება. ამ საზოგადოებაში არ დასტურდება წარმართობის არც ერთი ნიშანი“ (კიკნაძე 2013:141). http://axaligantleba.ge /index.php-?module =multi&page=detals&multi_d=2&id=156

სპარსანგელოზი იმიტომ დაერქვა, რომ ლეგენდა მოგვითხრობს, სპარსელთაგან ტყვედ წაყვანილ ქართველთა შორის ერთ-ერთი მოხევის ქალი იყო. სნოში მცხოვრები მზეთუნახავი სეენჯა გოდერძიშვილი (სძა 2004:474). მტრის შემოსევისას ქალი მოიტაცეს და განჯის ციხეში გამოკეტეს. სხვა ვერსიით კი, სპარსეთში გადაასახლეს, სადაც შვილი შეეძინა. ბავშვის აკვანთან მჯდარი დაღონებული დედა წვერისანგელოზის დღესასწაულზე ოცნებობდა. ამ დროს ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: ადექი, თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და გზას გაუდექი. დღე მე დაგმალავ და ღამე ჩემი შუქით გატარებ. იქვე ხარიც გაჩნდა, სპარსანგელოზი (რადგან სპარსეთში გამოეცხადა) ხარის რქაზე დაჯდა და ქალს წინ გაუძღვა.

„ვარდობა – ათენგენობის დღესასწაულის აღნიშვნის პერიოდი მოციქულთა მარხვას ემთხვეოდა. სპარსანგელოზობას მთის წვერზე მოხევეები სალოცავად ღამისთევით ადიოდნენ, მიჰყავდათ საღვთო საკლავი, მიჰქონდათ ქადა, ე.წ. გასატეხელი. სიტყვა. გასატეხელი 44 გამოთქმას პურის განტეხვა ეხმიანება. პურის განტეხვა ღვთის სერობის აღმნიშვნელიცაა (აბაკელია 1997:143).

http://axaliganatleba.ge /index.phpp?module =multi&psage=detals&multi_id=2&it=156

სპარსანგელოზში ხეთაგურები, ფიცხელაურები, ჩოფიკაშვილები, ალიბეგაშვილები და გიგაურები საღვთოს საგანგებოდ იხდიდნენ.

დღესასწაული სხვადასხვა სანახაობით იყო დატვირთული. იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები: ფარიკაობა, დოღი, შეჯიბრი ქვის აწევაში და სხვ. ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს, რიტუალურ ცეკვებს: ფერხისას, სამაია სამთაგანს. სალოცავებში ფერხულით და სიმღერით წასვლა იცოდნენ. ფერხისა „მრავალთ მობმით როკვაა“ (სულხან-საბა 1993:189). ათენგენობა ღამისთევიანი დღესასწაულია და დღემდე სალოცავში ახალგაზრდები ღამისთევით მიდიან. მიჰყავთ საკლავი. დიასახლისები აცხობენ ქადას, რომელსაც შემდეგ სალოცავში ჭრიან და სტუმრებს უნაწილებენ. მოილხენენ და დოღს მართავენ. ხევში ათენგენის ორი ძირითადი სალოცავია: სტეფანწმინდის ათენგენის ნიში და სოფ. სნოს ათენგენის ნიში.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ათინაგის(ათენგენობის) დღესასწაული აღინიშნებოდა ადიღეველებშიც, ოსებშიც, ქისტებშიც და ინგუშებშიც

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9ß%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98

ხევსურებისთვის ათენგენობა ისეთივე დიდი დღესასწაულია როგორც მაგალითად ჩვენთვისაა აღდგომა.

ათენგენობა იგივე გუდანის ჯვრის დღეობაა. ხევსურეთში ათენგენობა 21-22-იდან იწყება(პირაქეთში), პირიქითში (შატილის თემში 23-ი-დან გადადის), ხოლო არხოტში (24-26დან).

https://ka.wikipedia.org/wiki

როგორც აღინიშნა, სპეციალისტების აზრით, აღნიშნული დღეობა ძველია და აღინიშნება კავკასიის ხალხებში – ოსებში, ქართველ მთიელებში, ადიღეელებში, ინგუშებში და სხვ.

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9ß%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98

რადგანაც ათინაგი, **ანუ ათენგენობა გავრცელებული იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, არამედ იმერეთსა და რაჭაში, ასვე ოსებში, ინგუშებსა და, რაც უფრო საკვირველია, ადიღებშიც.**

ფაქტი იმისა, რომ ათენგენობა გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა შორის – ადიღებში, ოსებში, ინგუშებში, ჩეჩნებსა და ქისტებში ისევე, როგორც მთელი საქართველოს მთიანეთში – სვანეთიდან თუშეთის ჩათვლით, მიუთითებს, რომ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა შეადგენდა საქართველოს ეკლესიის სამრევლოს, სხვა გვარად, ვფიქრობ, შეუძლებელია ახსნა იმისა, თუ რატომ იყო გავრცელებული ადიღებშიც კი ათენგენობა.

http://wwwnplg.gov.ge /wikipedict/index.php

http://kadmos.iliauni.edu.ge /index.php /kadmos/artikle/viewfile/178/159

ქართულ-ნახური ურთიერთობების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია თიბვასთან დაკავშირებული ხალხური დღეობა (ათენგენობა), რომელსაც ხევსურები და ინგუშები მორიგეობით აწყობდნენ, რომელშიც ინგუში და ქართველი სტუმრების მონაწილეობა სავალდებულო იყო. www.nplg.gov.ge /wikidict/index.php/.

ჩრდილოეთ ოსეთის ძუარებში ანალოგიურ დღესასწაულს ჰქვია ათინაგი, რომელიც ასევე ამთავრებს სააღდგომო ციკლის დღესასწაულებს და ქართველ მთიელთა მსგავსად დღესასწაულობენ ივლისის მეორე ნახევარში (ესეც დვალების რელიგიური რწმენის ნაშთი).

როგორც ჩანს, ათენგენობის სახელით ცნობილ რელიგიურ დღესასწაულს იცნობდნენ რაჭიდან დაღესტნამდე მცხოვრები კავკასიის მთიელები.

ს. მაკალათიას ცნობით, რაჭაში, სოფ. გლოლის მახლობლად, ტყეში ყოფილა შხელის წმინდა გიორგის სახელობის ხის სამლოცველო. იქ გლოლელები მართავდნენ ხატობას, რომელსაც „ათანიგენა“ ეწოდებოდა (იხ. ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930, გვ. 69).

რუსუდან ხარაძის ცნობით, „ინგუშეთში, სოფელ ხულიდან ათიოდე კილომეტრის დაცილებით, კლდეში მიუთითებდნენ გამოქვაბულს, რომელ-

საც ათენგეშკა ეწოდება.“ XIX საუკუნის ბოლომდე ინგუშები იქ ათენგენობას დღესასწაულობდნენ.

სავარაუდოდ, ათენგენობას მთიან ჩეჩნეთშიც აღნიშნავდნენ, რაზეც ადგილობრივი ტოპონიმი ათინბოვ (Аттин бIов – ათინას კოშკი) მიუთითებს, სადაც შუა აზიაში გადასახლებამდე, ყოველ ზაფხულს არღუნის ხეობის მთელი მოსახლეობა დღეობას მართავდა (იხ. A. 154).

ისლამის პოზიციების გაძლიერების შემდეგ, მეზობელი მაისტისა და მითხოს თემებიდან ადგილობრივი ქისტები მიდიოდნენ ათენგენობის დღესასწაულზე ხევსურეთში – ანატორის ჯვარისა და ხახმატის ჯვარში, რომლებიც ამის გამო იწოდებიან რჯულიან-ურჯულოთა სალოცავად. http://kadmos.i-liauni.edu.ge /indrx.php/kadmos/article/viewfile/178/159.

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9-ß%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98.

დიგორის ხეობაში იგი კვირა დღეს იცოდნენ, ხოლო სათიბად ორშაბათს გადიოდნენ. მართალია, ათინაგის დღეობას ოსეთის ყველა ხეობაში მართავდნენ, მაგრამ დღესასწაულისათვის განსაკუთრებული მზადება და მისი მაღალ დონეზე აღნიშვნა მდ. დიდი ლიახვის ზემო წელში, კერძოდ, როკის ხეობაში, ქართველების მეზობლად მცხოვრებმა ოსებმა იცოდნენ (აქ იყო ათინაგის სახელობის სამლოცველო – ხისთი ძუარი), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ათინაგის, ანუ წმ. ათინოგენის კულტი ოსებშიც გავრცელდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ხევში, თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში-ყველაზე დიდი და ხანგრძლივი დღესასწაული – ათენგენობა (ათნიგენობა) სწორედ იმ პერიოდზე მოდის, როცა ოსები ათინაგს ზეიმობენ.

http://www.nplg.gov.gewikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9ß-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98

კავკასიელთა შორის ეს დღესასწაული აქ უნდა გავრცელებულიყო მე-11 საუკუნემდე, როდესაც მთელს საქართველოს ეკლესიაში ის ჩვეულებრივ აღინიშნებოდა.

გოლგოთიანი (ფეხიანი) ჯვრები ისტორიული ფხოვის საბრძოლო კოშკებზე (ჩეჩნეთსა და ინგუშეთში)

თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, რომ იერუსალიმის გოლგოთის ეკლესიასა და მისი მონასტისათვის საქართველოს მეფეები განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ადგილას აღმართულ დიდ ტაძარში ქართველებს თავისი წილი ეკუთვნოდათ და მას გულმოდგინედ იცავდნენ. მთელი მსოფლიოს ცნობილი ეკლესიები ცდილობდნენ აქ წილის მოპოვებას, ქართველებს საუკუნეთა მანძილზე გოლგოთა ჰქონდათ დასაკუთრებული, რაც ეროვნული სიამაყის ერთ-ერთ საფუძველს შეადგენდა.

ყველაზე მტკივნეულ საერთო-ეროვნულ სატკივრად მიიჩნეოდა ზოგჯერ ფაქტი გოლგოთის დაკარგვისა.

ზოგჯერ იერუსალიმის ამ მონასტერს მუსულმანი მმართველები ანდა უცხო ეკლესიები ეუფლებოდნენ. ასეთ დროს მთელი ქართველი ერი, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური გათიშულობისა, ერთიანდებოდა გოლგოთის გამოსახსნელად.

სხვადასხვა საუკუნეში ჩნდებოდნენ გმირი მეფე-მთავრები, პიროვნებები თუ თემები, რომელთაც გოლგოთა გამოიხსნეს და ქართველობას დაუბრუნეს.

ერთი ასეთი პიროვნება ყოფილა მთის ერისთავი პიპა. ის და მისი ხალხი, ანუ კავკასიის მთიელები გოლგოთის გამომხსნელ გმირებად წარმოჩნდა გიორგი ბრწყინვალეს დროს.

გოლგოთის გამომხატველი ქრისტიანული სიმბოლოა ე.წ. გოლგოთის ჯვარი. ესაა კლასიკური ჯვარი, რომელიც კვარცხლბეკზე დგას. კვარცხლბეკი წარმოადგენდა სამ საფეხურიან კიბეს, რომელიც გამოხატავდა იერუსალიმის გოლგოთის ბორცვს, გორაკს, სადაც წმ. სახარების მიხედვით, იდგა წმ. ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს.

ჯვრის სამი საფეხური სიმბოლურად გამოხატავდა ქრისტიანულ სათნოებებს – სარწმუნოებას, სასოებასა და სიყვარულს. ამიტომაც სახელი „გოლგოთიანი ჯვარი“ აღნიშნავს აღწერილ სიმბოლოს.

მთის ერისთავმა პიპამ მუსულმანთაგან გამოიხსნა ქრისტეს ჯვარცმის ადგილას აღმართული გოლგოთას ტაძარი-მონასტერი. ამის შემდეგ გოლგოთის ჯვარი ქართველი მთიელების უდიდესი გამარჯვების, ვაჟკაცობისა და ქრისტიანულ სამყაროში რჩეულობის სიმბოლოდ იქცა.

მთის ერისთავ პიპას (ზოგადად მთიელთა) ქრისტიანული გმირობის გამოსახატავად ისინი (გოლგოთიანი ჯვრები) მრავლადაა შემონახული საქართველოს მთაში ისტორიული ფხოვის საბრძოლო კოშკებზე (ამჟამინდელ ინგუშეთში, ასევე ჩეჩნეთში).

მათი გამოხატვა, როგორც ითქვა, დაკავშირებული უნდა იყოს იმ ფაქტთან, რომ იერუსალიმის აღდგომის ტაძარში გოლგოთას მონასტერი ამ დროისათვის უკანვე დაიბრუნეს ქართველებმა მთის ერისთავის პიპას ხელით.

საქართველოს მეფემ ამ საქმის მოსაგვარებლად, გოლგოთას გასათავისუფლებლად, იერუსალიმში გააგზავნა მთის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთვის შვილი პიპა, რომელმაც იერუსალიმის ტაძრის გასაღები ქართველობას დაუბრუნა, როგორც საისტორიო წყარო „ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს.

მეფე გიორგი ბრწყინვალე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მთას, იქ ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცეს. ეს იქედან ჩანს, რომ, როგორც ითქვა, მან იერუსალიმში გოლგოთას მონასტრის მუსულმანთაგან გასათავისუფლებლად 1320 წელს დიპლომატიური მისიით გააგზავნა მთის ერისთავი – ქსნის ერისთვისშვილი – პიპა.

„ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს –

„მივიდა პიპა ეგვიპტის სულთნის წინაშე, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცა კლიტენი იერუსალიმისანი.“

პიპამ, შესაბამისად, ქართველმა მთიელებმა, გოლგოთისა და მთელი იერუსალიმის „კლიტენი“ მიიღეს. ამ სიამაყის ფაქტს, ანუ მთიელთა განსაკუთრებულ ქრისტიანობას აღნიშნავს მთიელთა კოშკების ჯვრები.

იქამდეც, წინა საუკუნეებშიც, გოლგოთა ქართველთა ხელში იყო, მაგრამ ზოგჯერ კარგავდნენ მას. ამიტომაც გოლგოთას ქართველთა მიერ მუსულმანობისაგან ყოველი გათავისუფლება საქართველოში დიდი სიხარულის წყარო იყო.

რადგანაც გოლგოთა საუკუნეთა მანძილზე ქართველთა ხელში იყო, ამიტომაც გოლგოთიანი ჯვრების გამოსახულება ზოგადად ქართული ეკლესიის სიმბოლოდ, მის სამკაულად იქცა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ქართველი მთიელები და მათი ერისთავი პიპა ჩაერთვებოდნენ გოლგოთის (კიდევ ერთხელ) გათავისუფლების საქმეში, ხოლო, მეფე გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, გოლგოთა კავკასიის მთიელთა ვაჟკაცური თავდადების სიმბოლოდ იქცა – მთის ერისთავ პიპას დამსახურებათა გამო.

მის შემდეგ, რაც ქართველმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ (1314–1346), კვლავ მოიპოვა ქრისტეს საფლავის გასაღები, მისი ეკლესიის ფლობის უფლება ქართველთა პრივილეგიად იქცა. ამავე დროს გიორგი ბრწყინვალემ დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს მთის მოსახლეობას, ჩანს, ამ დროს ქსნის ხეობას უმთავრესი სტრატეგიული ფუნქია ეკისრებოდა. შესაძლოა, იმჟამად ქსნის საერისთავოში არაგვის ხეობა და მისი მომიჯნავე ჩრდილოური ოლქებიც შედიოდა, შესაძლოა, ამიტომაც, მთისათვის, ძირითადად ქსნისა და არაგვის ხეობათა მოსახლეობისაათვის, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ სახელმწიფო დარბაზს გამოაცემინა სამართლის წიგნი – „ძეგლისდება“.

მონღოლთა შემდეგ საქართველოს სამეფო ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქსნისა და არაგვის ხეობებს. ისინი იცავდნენ ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს, რასაც საქართველოსა და სამხრეთის ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ქსნის ხეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც მიანიშნებს, რომ თემურ ლენგმა საგანგებოდ ილაშქრა ქსნის ხეობაში.

1400 წელს თემურ-ლენგმა დაამარცხა გიორგი VII და უმოწყალოდ დაარბია ქსნის მოსახლეობა. იქამდე თემურისაგან გაქცეული ბარის მოსახლეობა მთაში, ქსნისა და არაგვის ხეობაში, გარბოდა.

ქსნის ხეობა სახიზარად გადაიქცა. მტერმა სახიზარების გატეხვა გადაწყვიტა, მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი ფაქტი, თემურ ლენგი ხეობაში დამარცხდა.

ჩრდილო-კავკასიის მთა ხალხის ბუნებრივი სახიზარი, თავშესაფარი იყო, სადაც მუდამ თავს აფარებდნენ ლტოლვილი ქრისტიანები, თუ არა ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანთა დახმარება, ამ ხეობებში თემურ ლენგის დამარცხება ვერ მოხერხდებოდა.

მთიელებმა მტერს ბრძოლა გაუმართეს. ასეთი ბრძოლის ეპიზოდს აღწერს „ძეგლი ერისთავთა“. ქსნის ერისთავი ვირშელი ბეხუშეს ციხესთან ებრძოდა მტერს.

ჩანს, მას ამ თავდაცვით ბრძოლაში მხარს უმშვენებდნენ მთისა და ამჟამინდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან საგანგებოდ ჩამოსული მებრძოლები. გოლგოთის ჯვარი მათთვის მუსულმანებზე ქრისტიანების გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

შემდეგშიც, როცა თემურ ლენგმა ჩრდილო კავკასიაში მუსულმანობა გაავრცელა და მუსულმანი მებრძოლები თავს ესხმოდნენ ქრისტიანთა მთის სოფლებს, ჩანს, ამ დროს, თავდაცვისას კიდევ ერთხელ მიენიჭა გოლგოთის ჯვრის სიმბოლოს უდიდესი მნიშვნელობა, ვითარცა ქრისტიანების მუსულმანებზე გამარჯვებისა. ამიტომ მას გამარჯვების სიმბოლოს სახით გამოსახავდნენ თავდაცვით კოშკებზე.

ქართლის საკათალიკოსოს მთიელი მრევლი ქრისტიანობას ძირითადად მე-18 საუკუნემდე ინარჩუნებდა. ესენი იყო შემდეგდროინდელი ინგუშები და ჩეჩნები, რომელთა ეკლესიები და სასწავლებლები თემურის ლაშქრობის წინ მოინახულა ქართლის კათალიკოსმა, ისინი თითქმის ორი საუკუნე, მე-16-ესა და მე-17-ში, მედგრად ებრძოდნენ მეზობელი რეგიონიდან შემოსულ მუსულმან თავდამსხმელებს. ამ დროსაც გოლგოთის ჯვრის გამოსახულება, გამოხატული მათ კოშკებზე, გამარჯვების სიმბოლო იყო, რომელიც მათ ძალას მატებდა. მითუმეტეს, რომ იერუსალიმის გოლგოთა ამ ეპოქაში კვლავ ქართველთა ზრუნვის საგანი იყო.

1525 წელს კვლავ აღდგა ის პრივილეგია, რაც ქართველებს გააჩნდათ იერუსალიმში, ყველა უფლება გოლგოთაზე, ბეთლემსა და ჯვრის მონასტერზე http://www.saunje.ge/indexphp?id=1139, საფიქრებელია, კვლავ მთიელ ქართველ ქრისტიანთა მონაწილეობით. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მთის საბრძოლო კოშკებსა თუ ეკლესიებში – კვლავ სიდიადით გამოხატავდნენ გოლგოთიან ჯვრებს.

მთის ქრისტიანობის დამსახურებადაც უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართველთა მოღვაწეობა იერუსალიმის სამონასტრო ცენტრებში კვლავ მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო.

XVI საუკუნის დასაწყისში ევროპელი იერუსალიმში ქართველების შესახებ წერდა: „როდესაც {ქართველები} სალოცავად მიდიან იერუსალიმს, გადასახადს კი არ უხდიან სულთანს, არამედ მდიდრულად მორთულ ერთ და ორკუზიან აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი ბაირაღებით შედიან იერუსალიმში“.

ევროპელი იან ვიტი წერდა: „იერუსალიმში ბევრი ქართველია, ისინი მრავალ წმიდა ადგილს ფლობენ, კერძოდ, გოლგოთის მთას იმ ადგილითურთ, სადაც ჯვარი იდგა“

მიჩნეულია, რომ ჯვრის მონასტერი ოსმალებმა ქართველებს ოფიციალურად დაუმტკიცეს 1520 წელს.

იერუსალიმი, გოლგოთა და ქრისტეს საფლავის საზრუნავი კვლავ აერთიანებდა დაშლილ-დანაწევრებულ ქართველობას. ეს სიყვარული ქართველებისა გოლგოთა-იერუსალიმის მიმართ იცოდნენ ოსმალეთშიც, ამიტომ ხონთქარს უნებებია ამით გაეერთიანებინა ქართველები და მათი ძალით იერუსალიმი თავისი მტრის ნაშთებისაგან გაეწმინდა.

„ქართლის ცხოვრება“ წერს: „ხოლო ამას ჟამს წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიაო“. ხოლო რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიხარეს და შეიყარეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდნენ იერუსალემსა. გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრისტესმან და გაემარჯუათ. და მეოტნი შევიდნენ ქალაქსა შინა და გაამაგრეს. ხოლო მიჰყვნეს ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნამყოფნი მრავალნი ყოველნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი. და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონთქარმან მათ სიგელითა მტკიცითა. ხოლო განიხარა მეფემან გიორგი და ბატონმან ბაგრატ და ლევან, და წარმოვიდნენ თჳსსა ადგილსა და მოვიდნენ მშჳდობით გამარჯუებულნი და განიხარეს“.

აქედანაც ჩანს, რომ გოლგოთა ქართველთა თავდადებისა და თავგანწირვის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, რადგანაც ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის უფლება ქართველთა პრივილეგია იყო. ამ დიად საქმეში მთა თავს იწონებდა ძველი დამსახურების შესაბამისად, რომლის სიმბოლური ნიშნები ეკლესიებსა და კოშკებზე გამოხატულ-გამოქანდაკებული ჯვრები იყო – ახლანდელი არხიზ-ზელენჯუკიდან-ინგუშეთამდე და საქართველოს მთელ მთის რეგიონში.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში ახლაცაა შემორჩენილი ჯვრიან-გოლგოთიანი კოშკები. მათი რიცხვი გაცილებით დიდი ყოფილა 1944 წლამდე. ამ წელს რუსეთის იმპერიამ კიდევ ერთხელ დასაჯა ჩეჩენ-ინგუშები და ისინი გადაასახლა შუა აზიაში, ამავე დროს კი არტილერიის ჭურვების პირდაპირი დაშენით საგანგებოდ დანგრიეს იქაური კოშკები, ეკლესიები, საძვალეები და თავდაცვ ძველი ზღუდები. მკვლევარი წერს, რომ, მაგალითად, 1944 წელს აუფეთქებიათ ათეულობით საბრძოლო კოშკი და ასზე მეტი ეკლესია, საძვალე, საცხოვრებელი კოშკი და თავდაცვის ზღუდე. მას მოჰყავს სია მხოლოდ იმ საბრძოლო კოშკებისა, რომელნიც ჯეირახიდან ტარშამდე აუფეთქებიათ. მაგალითად, ზემო ოზმში დაუნგრევიათ 28 მეტრი სიმაღლის საბრძოლო კოშკი, მის მე-5 სართულის სიმაღლეზე გამოსახული ყოფილა დიდი გოლგოთიანი ჯვარი. В горах, за 1944 год, были подорваны десятки боевых башен и свыше

сотни храмов, склепов, жилых башен, заградительных стен и т.д. Привожу список только по боевым башням, начиная с Джейраха до Тарша. Многие из этих башен, еще в оригинале сохранились на довоенных фотографиях и на рисунках исследователей. И небольшое видео от 1944 года, эпизод обстрела боевых башен ингушей из артеллерийских орудий.

1. Верхной Озьми – 28-ми метровая боевая башня в шесть этажей с пирамидально-ступенчатой крышей, на уровне 5-го этажа крупный крест-голгофа.

2. Нижний Озьми – 28-ми метровая боевая башня в шесть этажей с пирамидально-ступенчатой крышей.

3. Памет (Пхьамат) – 28-ми метровая боевая башня в шесть этажей с пирамидально–ступенчатой крышей.

4. Мецхал – 16-ти и 18-ти метровые боевые башни в пять этажей с плоской крышей и зубчатым венчанием.(მერცხალი)

5. Горак (Гаркх) – три 22-х метровые боевые башни в пять этажей с плоской крышей и зубчатым завершением.(გორაკი)

6. Кошк – две 22-х метровые боевые башни в пять этажей с плоской крышей. (კოშკი)

7. Шуан (Шоан) – 22-х метровая в пять этажей с плоской крышей и высоким парапетом.(შუანა)

8. Тарш – три боевые башни в 23 метра (одна была недостроенной) в пять этажей с плоской крышей с конусовидными камнями на углах.

9. Бялган (Белхане) – 16-ти метровая боевая башня с плоской крышей и зубчатым завершением.

От перечисленных боевых башен сегодня остались одни руины или просто следы основания. Добавлю, что в список по этим же селениям не вошли уничтоженные храмы и склепы. Только в окрестностях Шуана и Тарша их почти два десятка за 1944 год.

www.pravoslavie.ru suraTzea inguStis mTis erTerTi kKoski golgoTiani jvriT

კოშკები გოლგოთიანი ჯვრებით ჩეჩნეთშიცაა, მაგალითად, ცოი-პადეს საძვალესთან კოშანბუევის საბრძოლო კოშკზე, მელხისტში, ნიკაროის საბრძოლო კოშკზე, და ასევე საცხოვრებელ კოშკებზე არღუნისა და შარო-არღუნის ხეობებში

http://lechailyasov.com /petroglifyi–na–Teritorii–chechni

ჩეჩნეთ-ინგუშეთის კოშკებზე გოლგოთიანი ჯვრები, ხევსურეთსა და მთის სხვა რეგიონებში საყოფაცხვრები ნივთებზეც კი ჯვრის გამოსახვა – ნიშანი იყო ქრისტიანობისათვის თავდადებისა და იმედი გამარჯვებისა, როგორც გაიმარჯვა მთის ერისთავმა პიპამ მუსულმანთაგან იერუსალიმის გოლგოთას გამოხსნისას.

ჯელთები

ინგუშეთში ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით ინგუშეთის ცნობილი კოშკები, ციხე-სიმაგრეები და სხვა ნაგებობები აუშენებია იქ თავდაპირველად მცხოვრებ ხალხს –„ჯელთებს“. ისინი შემდეგ სხვა ქვეყანაში გადასახლებულან („კავკაზსკიი ვესტნიკ“, 6, 1900).

ნახები კოშკების მშენებლებს უწოდებდნენ სახელს –„ჯელთი“.

ვინ იყვნენ ისინი? მართალია ამჟამად რუსულ საინტერნეტო სივრცეში ჯელთებს ბერძნებად მიიჩნევენ, რომელნიც თითქოსდა ინგუშეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩვენი კვლევით ეს სიტყვა უნდა მომდინაეობდეს სიტყვიდან „ჭართალი“, „ჭართი“.

ერთ დროს ჭართალი მოიცავდა ამჟამინდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთ მთიანეთს.

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის განთქმულ ნაშრომში, როგორც აღინიშნა, მიჩნევს, რომ დურძუკეთი და ჭართალი ერთი რეგიონს ქმნიდნენ. (თეიმურაზ ბატონიშვილი, **„ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურგის სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისა, 1848 წელსა“, გვ. 123).**

როგორც აღინიშნა, ჩვენ სიტყვა ჯელთს ვაკავშირებთ სიტყვა ჭართლთან, ჯელთები კი, ინგუშეთის მთიელებს მიაჩნდათ ძველ, მკვიდრ, კოშკებისა და ეკლესიების მშენებელ ხალხად **ამ შემთხვევაში, ხევსურეთის ერთი ნაწილი მაინც, მეზობელ მთის ინგუშეთთან ერთად ჭართალად შესაძლოა წოდებულიყო. ჭართლელებს შესაძლოა შემდეგში ჯელთები უწოდეს.**

ხევსურეთში არხოტის თემი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს, ის პირიქითა საქართველოა, ანუ ჩრდილო კავკასიის საქართველოა. აქ იღებს სათავეს ჩრდილო კავკასიის მდინარე ასა, ანუ არხოტისწყალი. არხოტის თემის ჩრდილო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს ინგუშეთთან. ამ საზღვრიდან ცნობილ ტაძრის – თხაბა-ერდის ტაძრამდე სულ ორიოდე ათეული კილომეტრია.

„მეზობელ ქისტებთან მიმავალი ძირითადი და უმოკლესი გზა მდ. ასსას მიუყვება. ეს გზა ადვილი გასასვლელია გვიან გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა თოვლის დნობა დამთავრებულია და წყლის დებოტი ძალზე შემცირებულია. ინგუშეთის დასავლეთ ნაწილს – შონი (შავანი), გულის (ღულის) თემს შიბუ-ღელის გადასავლით უკავშირდებოდნენ. ეს გზა სოფელ ჭიმღიდან იწყება და შიბუ-ღელის გადასასვლელამდე დასავლეთით მიემართება. შემდეგ ეს გზა ეშვება მდინარე არმხის (შონდონის) ხეობაში, საიდანაც საკმაოდ კარგი გზა მიდის სოფელ შონში და მის მიმდებარე სოფლებში. ამ გზაზე ბილიკი საკმაოდ კარგადაა გაკვალული და მისი გავლა საპალნიანი ცხენითაც შეიძლებოდა, თუმცა გადასასვლელი საკმაოდ მაღალია და თითქმის 3500 მ-ს აღწევს. მანძილი სოფელ ჭიმღიდან შონამდე 35–40 კმ-ია. არხოტის ერთ-ერთი სოფლის, ჭიმღის, მოსახლეობასა და შავანელთ (ინგუშეთის დასავლეთ ნაწილის

თემი) კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ზოგიერთებს ძმადნაფიცობაც აკავშირებდათ ერთმანეთთან. ახალ წელს შავანელი ქისტები საჩუქრით გადმოდიოდნენ ჭიმღას. საჩუქრად მოჰქონდათ ჯიხვის ტყავები, თავ-რქანი. არხოტის თემი მოსაზღვრე თემებთან დაკავშირებულია საცხენოსნო და საცალფეხო ბილიკებით.ერთი საცალფეხო ბილიკი არხოტის ჭალაში შემოდის ღილღოდან (შავანი), მეორე – ზეთუკის გადასასვლელით შემოდის ამღაში“.

https://ka.wikipedia.org/wiki

არხოტის თემი ბუნებრივი გზებით და მდინარე ასას ხეობით ადვილად უკავშირდება მოსაზღვრე ინგუშეთს, მაგრამ ძალზე რთულად – ხევსურეთის მხარეებს. დანარჩენი საქართველოსაგან მას ყოფს ძალზე მაღალი ქედები, რომელზეც გზები არაა გაყვანილი, დანარჩენ საქართველოს არხოტელები მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით უკავშირდებოდნენ.

რეალურად არსებული გეოგრაფიული გარემოს გამო ბუნებრივი უმთავრესი სალოცავი არხოტის თემის სოფლებისათვის იყო თხაბა-ერდის ქართულენოვანი ეკლესია. ასას ხეობის ქრისტიანობის ჟამს აქ, ვითარცა ცენტრალურ ეკლესიაში, არხოტელების გარდა, ცხადია, ლოცულობდნენ ღულელები (ამჟამინდელი ინგუშეთის სოფელი გული), თარგიმელები და სხვები. ამ სოფლების გამუსულმანების კვალდაკვალ არხოტელთა თემის მრავალი სოფელი დაიცალა, რადგანაც გამუსულმანებისაგან თავის არიდების მიზნით საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლდნენ, სოფელი ღულის მოსახლეობა მთლიანად აიყარა, გადასახლდა ხევსურეთის შუაგულში, სადაც დააარსეს სოფელი ამავე სახელწოდებით (ღული).

არხოტის თემში მრავალი სოფელი იყო. ცნობილი სალოცავი იყო ახიელის მთავარანგელოზის ჯვარი, არხოტის სოფლები ადრევე აყრილა და დაცარიელებულა, როგორც ითქვა, ასას ხეობის მეზობელ თემებში მუსულმანობის გავრცელების გამო, რათა თავი დაეცვათ გამუსულმანებისაგან.

შემორჩენილია სამი სოფელი. არხოტის სოფელ ამღასთან ახლოა თხაბა-ერდის ტაძარი, რომელიც, ჩანს, როგორც აღინიშნა, საერთო ეკლესია იყო მდინარე ასას ხეობის მოსახლეობისა. მაშასადამე, არხოტიონები თხაბა-ერდში ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, რადგანაც სხვა ასეთი სრულყოფილი ეკლესია ამ ხეობის მთას არ ჰქონდა, იგულისხმება ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა და ზიარებაა შესაძლებელი და არა მცირე ზომის სამლოცველოები და ე.წ. ჯვრები.

ქრისტიანობის, ანუ მშვიდობიანობის დროს, არხოტის თემის მიწის ფონდი, სახნავ-სათესი სავარგულები, ალბათ, მის ბარში ე. წ. ასას ქვაბულში მდებარეობდა, ახლოს ტხაბა ერდის ეკლესიასთან. არხოტის ბუნებრივი ბარის რეგიონში, თხაბა-ერდის გარდა, სხვა ეკლესიებიც იდგა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ არხოტის თემი უშუალოდ ესაზღვრება ასას ქვაბულს და მისი მიწის ფონდის გარეშე მთას, ანუ არხოტის თემს გამოკვება გაუჭირდებოდა, ძალზე მკაცრი ცივი კლიმატისა და კლდოვანობის, გამო.

ასას ხეობა ძლიერი ქრისტიანული ოლქი იყო. აქ და მის მთაში, არხოტში მცხოვრები მოსახლეობა, ერთი ქრისტიანი ხალხი იყო, საერთო ადათ-ჩვე-

ვებითა და ქრისტიანული ტრადიციებით, ათენგენობით, თუშოლით და სხვა. ათენგენობა და ღვთისმშობლობის უძველესი დღესასწაულები ამჟამადაც კი არის შემორჩენილი უკვე გამუსულმანებულ ასას ხეობაში.

ამ ხეობის მთაში, კი სადაც არხოტის თემია, არის მხოლოდ მცირე ზომის ნიშები და სალოცავები, ჯვრები, ხეობის საერთო ეკლესია კი, როგორც ვთქვით, ამ ხეობის დაბლობის ქვაბულში ყოფილა. თხაბა-ერდის ეკლესიის ისტორიის მკვლევარებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ის არხოტიონთა სალოცავიც იყო.

აქაურ მოსახლეობას წყაროები ფხოველებსა და ჭართლელებს უწოდებენ. აქ ღალღები (ღილღვები) და დურძუკები ცხოვრობდნენ. ფხოველთა ქვეყანა ხალხმრავალი და ვრცელი მხარე იყო. სხვადასხვა ტომი ერთიანდებოდა ერთი კრებითი სახელის ქვეშ-ფხოვი. შემდეგში დაშლილან სხვადასხვა ჯგუფებად ფხიები, ფხიჭოუ, ფხოწეხი, ქისტი, შუები, წიეხი, ხევსური და სხვა (ავტორი – ზვიადაური, 2011).

ა. გოლდშტეინი წერს: „შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის მთიელებს არ ჰქონდათ წარმოდგენა ეროვნული ერთობის შესახებ. იმჟამად არ იყო ოსი, ჩეჩენი, ინგუში. მე-19 საუკუნის ბოლომდე და მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ადამიანები თავიანთ თავს მიაკუთვნებდნენ არა რომელიმე ეროვნებას, არამედ მთის ამა თუ იმ „თემს“ (მოკავშირე სოფელთა ჯგუფს) ან უფრო ვიწრო სისხლით მონათესავე ჯგუფს. ამჟამად შატილელი ხევსური თავის თავს ქართველს უწოდებს, იმჟამად კი თავს ხევსურადაც არ თვლიდა, ის იყო შატილელი. მალხისტის თემის ჩეჩენისათვის მეზობელი მაისტის თემის ჩეჩენი, თავისსავე ენაზე მოლაპარაკე, უცხო იყო ისევე, როგორც ინგუში, როგორც ხევსური, ოსი, ალანი ან ვინც გნებავთ. მეზობლებთან ურთიერთობა ძალზე მცირედ განისაზღვრებოდა იმით, რომელსაც ახლა ეროვნული ერთობის გრძნობას ვუწოდებთ“. (А. Ф. ГОЛЬДШТЕЙН, Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии, Издательство «Наука». М. 1975). („В средние века у горцев Северного Кавказа не было представления о национальной общности, подобного нынешнему – Тогда не было осетин, чеченцев, ингушей. Вплоть до конца XIX – начала XX вв. люди причисляли себя не к той или иной национальности, а к тому или иному „обществу“ (союзной группе селений) или даже к более узкой кровнородственной группе. Теперь хевсур из селения Шатили называет себя грузином. А тогда он и хевсуром себя не считал; он был „шатильцем“. Для чеченца общества Малхиста чеченцы соседнего общества Майста, говорящие на том же языке, что и они, были столь же чужим народом, как и ингуши, как и хевсуры, осетины, аланы или кто угодно. Отношения с соседями в весьма малой степени определялись тем, что мы сейчас назвали бы чувством национальной общности“. (А. Ф. ГОЛЬДШТЕЙН, Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии, Издательство «Наука», Главная редакция восточной литературы Москва 1975). http://www.fototerraru/Gruzija /Kazbegi /FFilion05–5479.html

ა. გოლდშტეინის მიერ აღწერილი სურათი, შესაძლოა, მართალი იყოს მე-7 – მე-18 მე-19 საუკუნეებისათვის, როცა ისტორიული ფხოველ ჭართლელ-ღილღვ-თუშ-ფშავ-ხევსურებს აღარ აერთიანებდათ ერთი ქრისტიანული სარწმუნოება და საქართველოს სახელმწიფო. ისლამთან მარცხმა მკვეთრად შეარყია ქრისტიანული ერთობა, მარცხის შემდეგ თავდაცვაზე გადასული სოფლები ყოველი მხრიდან მტრების ალყაში აღმოჩნდნენ, რადგანაც ისლამი ცოცვით მოდიოდა სოფლიდან სოფელში, თემიდან თემში, ყოფილი უერთგულესი ქრისტიანი მეზობელი ახლა უკვე მებრძოლ მტრად იქცა. გაურკვევლობა სუფევდა თვით თემის შიგნითაც. ამასთანავე, სოფლებში გაბატონდნენ სხვა თემებიდან და მხარეებიდან შემოსული მებრძოლი ისლამისტები.

იქამდე ქრისტიანული სარწმუნოების ნიშნით კონსოლიდირებული მთიელები რელიგიური კუთვნილების ნიშნით საზღვავდნენ თავის ვინაობას, იდენტობის უმთავრესი ნიშანი ქრისტიანობა იყო, ამით ისინი ემიჯნებოდნენ იქვე, მეზობლად, ჩრდილო კავკასიის ბარში გაბატონებულ ისლამის მიმდევრებს, ამიტომაც მათ სხვებიც უწოდებდნენ იდენტობის განმსაზღვრელ სახელს – ქრისტიანებს, მათ ქვეყანას, შესაბამისად, „ქრისტეთი“, ანუ ქისტეთი ერქვა, პიროვნებას – ქისტი, ანუ ქრისტი, მაშასადამე, თუ ეს მოსაზრება სწორია, ქისტი ერქვა ქრისტიანს.

ჩრდილო კავკასიის ბარიდან გამარჯვებული ისლამი, როგორც ითქვა, მთაში მცოცავი ხმლით მიიწევდა, თემიდან თემში, სოფლიდან სოფელში, ოჯახიდან ოჯახში, ხმლითაც და სხვა მეთოდებით. დაუძლურებული ოჯახები ანდა მთელი სოფლები ტოვებდნენ ქისტეთს, ყოფილ ქრისტიანულ სამშობლოს და თავს აფარებდნენ სხვა ქრისტიანულ მხარეებს, მაგალითად, როგორც ითქვა, ამჟამინდელი ინგუშეთის სოფელი ღული მუსულმანობისაგან თავის დასაცავად აყრილა და თავი ხევსურეთისათვის შეუფარებია.

საბოლოოდ, მთაში, ანუ დღევანდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთაში ისლამმა გაიმარჯვა. აქაური მოსახლეობის კონსოლიდაცია ქრისტიანული ნიშნით დაირღვა, იდენტობის მარკერი გაქრა, მაგრამ გაჩნდა კონსოლიდაცის სხვა წყარო – ისლამი.

საბოლოოდ, ისლამმა შეძლო კონსოლიდაცია მთიელი მუსლიმებისა ახალ ეთნოსებად.

ახალი ხალხებისათვის ქრისტიანები უკვე სხვა ხალხად იქცა. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე მათ შორის ურთიერთობა გრძელდებოდა, უკვე მუსლიმები არ არღვევდნენ წინაპართა ქრისტიანულ ტრადიციებს და კვლავ მონაწილეობდნენ ძველ ხატობა-დღესასწაულებში. ურთიერთობა გრძელდებოდა.

იქამდე ქრისტიანი ეს მთიელები საქართველოს ჯარის შევსების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ და საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მრავალი მეფის დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ახლა უკვე ისინი ქრისტიანი მეფეების მტრებად იქცნენ, განსაკუთრებით რუსების გაბატონების შემდეგ.

კავკასიელთა შორის რუსების სასტიკმა პოლიტიკამ უკვე ზიზღი აღძრა ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ და მთიელები ისლამში კიდევ უფრო განმტკიცდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მთიელებმა ისლამი საბოლოოდ მიიღეს რუსეზის ბატონობის დროს მე-19 საუკუნის ბოლოსათვის, რაც მე–20 საუკუნეშიც გაგრძელდა, მაგალითად, აღნიშნული მთიელები, ვითარცა ქრისტიანები, ერთგვარ დამცავ საომარ საფარს ქმნიდნენ ლეკიანობისა და მუსულმანი დაღესტნელების წინააღმდეგ, გამოიყენებოდნენ მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 ს. დასაწყისშიც კი, მაგრამ მე-19 ს. ბოლოს ისინი უკვე სრულ მუსულმანებად მიიჩნეოდნენ.

მკვლევარი წერს: „ინგუშეთში ბევრია ტაძარი და სალოცავია ნანგრევების სახით, ბევრი დაიღუპა, ზოგიერთ სალოცავს არასწორად აკლდამებად მიიჩნევენ.

ხალხური ლეგენდა ძველ ნაგებობებს მიაწერს მითიურ ჯელთებს. http://www.fototerra.ru /Gruzija /Kazbegi/FFilin05–5479.html

იმ ხანაზე ინგუშური ლეგენდა ასე ლაპარაკობს:

„ერთ დროს სოსკა-სოლსასთან ამ მთებში ცხოვრობდნენ ჯელთები. ეს იყო შრომისმოყვარე და განათლებული ხალხი. ისინი იყვნენ კარგი მშენებლები და მათ ააშენეს მრავალი კოშკი და ციხე-სიმაგრე. ამას გარდა, მათ სხვადასხვა ადგილას დატოვეს დიდი განძები. ისინი ჩვენგან წავიდნენ რომელიღაც სხვა ქვეყანაში“ http://www.fototerra.ru /Gruzija /Kazbegi/FFilin05–5479.html

(ჩემი აზრით, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა თავის ქვეყანაში არც თუ დიდი ხნის წინ აგებული ტაძარ სალოცავების მშენებლობას მიაწერს სხვა, უცხო, ხალხს ჯელთებს და თვითვე ამტკიცებს, რომ ეს ხალხი მათ ამ ქვეყანაში მკვიდრობდა მათზე უფრო ადრე, ეს ნიშნავს, რომ მოვიდა ახალი მოსახლეობა, ძველი გაქრა ან გადასახლდა. საბოლოოდ, მოსახლეობა შეიცვალა ანდა ძველი ასიმილირდა ახალ მოსახლეობაში)

იმავეს წერს სხვა ავტორი

ა. გოლდშტეინი: „**ვაინახთა შორის ჯერ კიდევ წინა საუკუნეში არსებობდა გადმოცემები, რომ ოდესღაც მათ ადგილებში ცხოვრობდა ხალხი სახელწოდებით – „ჯელთი“. პ. გოლოვინსკი, რომელმაც ეს ცნობები გამოაქვეყნა, მიიჩნევდა, რომ ჯელთები არიან ბერძნები, მისი განმარტება არ გაიზიარეს, ა. გოლდშტეინი მიიჩნევს, რომ ჯელთები არიან ალანები** (А. Ф. ГОЛЬДШТЕЙН, Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии Главная редакция восточной литературы Москва 1975),

ჯელთები არც ბერძნები და არც ალანები ყოფილან, არამედ ქართულ წყაროებში მრავალგზის მოხსენიებული ჭართლელები, რომელნიც ამ არეებში ცხოვრობდნენ. სიტყვა ჭართლელის ფუძეა ჭართი, ქვეყანას ჭართალი ერქვა.

ეტიმოლოგიურად სიტყვები **„ჯელთი“ და „ჭართი“** (აქედან ჭართლელი) იდენტურია, „არ – ელ“ გადასვლა ქართული ენისათვის ბუნებრივია (მაგალითად, მტბევარი-ტბელი, ოპიზარი – ოპიზელი), ასევე შესაძლებელია გადასვლა „ჭ – ჯ“, თუმცა ისიცაა შესაძლებელი, რომ მთხრობელები ამბობდნენ სიტყვა **ჭელთი (ჭართი), გადმოცემის ჩამწერმა კი ჯელთი** ჩაიწერა.

ქრისტიანი **ჭართლელები, ფხოველები, ღილღვები** თუ დურძუკები ერთობლიობაში ქმნიდნენ ერთიან ქრისტიანულ სამყაროს, რომელსაც, როგორც

ითქვა, ჩანს, „ქრისტეთი“ (საქრისტიანო) ერქვა, აქედან სიტყვა „ქისტი“. სოფელი ქისტანი (ქრისტანი) ქრისტიანობის ყველაზე ერთგული ხალხით ყოფილა დასახლებული ამ მხარეებში, ქისტანელებს ყველაზე ბოლოს დაუთმიათ ქრისტიანობა, აქაური ხალხი ქართული იდენტობის მატარებელი რომ იყო, მეზობელ ქრისტიანთა დარად, მოწმობს, მაგალითად, მაისტის თემიდან საქართველოს დაბლობში გადმოსახლებული ქისტები, რომელთაც ჩამოსვლის დროს ჩვეულებრივი ქართული გვარები ჰქონდათ (მარღიშვილი, ბორჩაშვილი და სხვა), თუ არა სარწმუნოებრივი ცვლილება, ისინიც ჩვეულებრივი ქრისტიანი მოქალაქეები იქნებოდნენ.

მთებიდან ბარში ამ მთიელების გადმოსახლების ერთ-ერთ მიზეზად ისინი ასახელებდნენ სურვილს იმისა, რომ სურდათ ქრისტიანობის შენარჩუნება, რისი უფლებაც მთაში არ ჰქონდათ, რადგანაც შამილის მებრძოლები აიძულებდნენ გამუსულმანებას.

უფრო ადრე ამჟამინდელი ინგუშთის სოფელ ღულიდან, როგორც ითქვა, გამუსულმანების საშიშროებას გაქცევია მოსახლეობა და მათ თავი შეუფარებიათ ქრისტიანული ხევსურეთისათვის. აქ მათ მიერ დაარსებულ სოფელს ასევე ღული დარქმევია. ასე, რომ ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები თავს აფარებდნენ საქართველოს ქრისტიანულ ნაწილს.

გოლდშტეინი ჯელთების სახელს აკავშირებს ქალაქ ჯულათის სახელთან. მე კი სახელ ჯელთს ამ არეებში ძველად მცხოვრებ, წყაროებში მოხსენიებული ჯგუთის ჭართლელების, მათი ქვეყნის ჭართაალის სახელთან, ასევე, ვაკავშირებ ქალაქ ჩელეთის სახელთან,.

ის წერს: „У вайнахов еще в прошлом веке существовали предания о том, что когда-то в их местности жил народ „джелты“ [18]. П .А. Головинский, который опубликовал эти сведения, поясняет, что джелты это греки, однако, такое толкование было подвергнуто другими авторами критике как фантастическое.

Джелты – наверное аланы, судя по названию главного аланского города Джулат, а аланы исповедовали христианство греко-византийского толка, почему вайнахи и могли считать их „греками“. (А. Ф. ГОЛЬДШТЕЙН, Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии, Издательство «Наука», Главная редакция восточной литературы Москва 1975)

აღნიშნული ჩრდილო კავკასიის მთიანი რეგიონი – ინგუშეთ-ჩეჩნეთის ჩათვლით კახეთის რეგიონს მიეწერებოდა, მთის კახეთში იხსენიება ქალაქი ჩელეთი – ქრისტიანობის ერთ-ერთი ცენტრი, ეს სახელი ჩელეთი და სიტყვა ჯელთი ეტიმოლოგიურად იდენტურია.

ჩელეთი, ჭართი, ჭართალი და მსგავსი სახელები უნდა იყოს არეკლილი სიტყვა ჯელთში, ანუ იმ ქრისტიანი ხალხის სახელი, რომელიც თვით ჩეჩენ–ინგუშების გადმოცემით აგებდა იქაურ ეკლესიებსა და კოშკებს, რომელიც გაქრა ამ არეებიდან ქრისტიანობასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ „ჯალეთი“ დღესაც ეწოდება ციხე-სიმაგრეს თიანეთის რაიონში მდ. ივრის სათავეებთან. თიანეთის რაიონი აერთიანებს ფშავ-ხევსურეთს, შესაბამისად, ძველი დროს მეზობელი ინგუშეთის ნაწილსაც. ამ

ოლქს ქართულ წყაროებში ეწოდებოდა „ჟალეთის ქვეყანა“. მისი ცენტრი იყო ქალაქი „ჟალეთი“.

„ჟალეთი მდებარეობდა მდინარე ივრის შუაწელზე, ამჟამად დაბა სიონის წყლით დატბორილ მიდამოებში. წყაროების მიხედვით, ჟალეთი ეწოდებოდა ისტორიულ კახეთის შემადგენლობაში შემავალ მთელ მხარესაც, „ქვეყანას“, რომელიც მოიცავდა ივრის ხეობის მნიშვნელოვან მონაკვეთს სოფელ ბოჭორმასა და თიანეთს (სოფ. ალოტს) შორის. უკანასკნელ დრომდე ეს სახელწოდება შემორჩა ყოფილ სოფელ ჭიოტაანთკარის აღმოსავლეთით, მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე აღმართულ მთას მას განლაგებული მცირე ეკლესიითა და ციხე-სიმაგრით („ჯალეთი“.არსებობას განაგრძობდა გვიანდელ შუა საუკუნეებშიც. კონტროლს უწევდა ახმეტის „ქვეყნისაკენ“ (ალაზნის აუზისაკენ) მიმავალ ერთ-ერთ გზას….სოფ. სიონის ადგილას არსებული დასახლება, ალბათ, მხოლოდ „ჟალეთის ქვეყნის“ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, აღნიშნული ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი, შესაძლოა, გადანაცვლებულიყო „ჯალეთის“ მთაზე მდებარე ციხე-სიმაგრეებში იმავე „ჟალეთის ქვეყანაში“, ამჟამად წყლით დატბორილ სოფელ საყარაულოსთან ახლოს, ივრის მარჯვენა შემაღლებულ ნაპირზე, მდებარეობს კიდევ ერთი სამნავიანი ბაზილიკა, …წყლით დაფარული სოფ. სიონის ტერიტორიაზე, სადაც ისტორიული წყაროებით ჟალეთია სავარაუდო, თანამედროვე ჰიდროკომპლექსის მშენებლობის დაწყებამდე სიონის ბაზილიკასთან სასახლისა და 2 ციხის ნანგრევები, რომელთაგან ამჟამად ერთიღაა გადარჩენილი და არქეოლოგიურად შესასწავლია.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%98

ასე, რომ სახელი ჯელთი ამჟამადაც კი ცოცხალია ქართულ სინამდვილეში და **„ჯალეთი“ ჰქვია ციხე-სიმაგრეს ფშავ-ხევსურეთ-თიანეთის რეგიონში.**

ისმის მთავარი კითხვა, რამ გამოიწვია მოსახლეობის შეცვლა მთიან ჩეჩნეთ ინგუშეთში ანდა მათი ასიმილაცია მთებში სხვა მხრიდან შესულ ხალხში?

მთიან ჩეჩნეთ ინგუშეთში მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც იქამდე თავის ძველ ტრადიციულ, შესაბამისად ქრისტიანული ელფერის ადათ-წესებს მისდევდა საბოლოოდ შეიცვალა მე-19 ს. 30-იან წლებში. ეს შეცვლა ძირითადად გამოიხატა მათ მიერ ისლამის აღიარებით, ვინც ეს ვერ შეძლო ლტოლვილების სახით შემოეხიზნა საქართველოს სხვა კუთხეებს.

ამ ქვეყნის გამუსულმანების ბოლო ფაზას სათავე დაუდო შამილმა. მან ჰაზავათი ანუ „ურწმინო ქრისტიანების წინააღმდეგ საღვთო ომი“ რეალურ წალმლეკავ ტალღად აქცია აღმოსავლეთ საქართელოს მთებში.

აქაური მოსახლეობა, რომელიც ტრადიციული ადათ-ჩვევების მიხედვით ცხოვრობდა გამოცხადდა „ქრისტიანებად“ – **უწოდეს სახელი „ქირისტი“, „ქერისტი“ და სასტიკი ომი წამოიწყეს მათ წინააღმდეგ, გადარჩენილებს კი მიუჩინეს საგანგებო მქადაგებლები,, რომელნიც მათ ასწავლიდნენ ისლამის კანონებს, შარიათს.**

ამ მიზნით 1830-იანი წლების ბოლოს, 1840 წლისათვის შამილი თავისი ჯარით საგანგებოდ ჩავიდა ჩეჩნეთში. ვ. გურული წერს – „შამილი მდინარე

სუნჯაზე გამოჩნდა და სუნჯისა და თერგისპირა ჩეჩნებს ბარიდან მთებში გადასახლებისაკენ მოუწოდა“ (ვ. გურული, დ.ობოლაძე, შამილი და ქართველები, 2017, გვ. 57). შამილის მოწოდება, რომ ბარელი მუსულმანები მასობრივად გადასახლებულიყვნენ მთებში – რეალობად იქცა. საქმე ის იყო, რომ ჩეჩნეთის ბარი – მუსულმანი მოსახლეობით დასახლებული, თანდათანობით გადადიოდა რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში და შემდეგ კი შემადგენლობაში, ამიტომაც შამილმა გადაწყვიტა მოსახლეობისაგან დაეცალა ბარის ჩეჩნეთი და მოუწოდა გადასახლებულიყვნენ იმ მთებში, რომელიც ახლა ჩეჩნეთ ინგუშეთ საქართველოს საზღვარზეა. შამილის მოწოდების შესაბამისად, „მოსახლეობა ბარიდან მთებში გაიხიზნა“ (იქვე, გვ. 52).

როგორც აღინიშნა, 19 ს. 30-იან და 40-იან წლებში საგანგებოდ ჩეჩნეთში ჩასული შამილის მოწოდებთა შემდეგ ბარის ჩეჩნეთის მოსახლეობამ მასობრივად მიატოვა სახლ-კარი, მეურნეობა და საცხოვრებლად გადასახლდა ბარიდან ჩეჩნეთის მთებში, იგულისხმება თანამედროვე ინგუშეთის მთებიც. შამილი მათ ავალდებულებდა მიეღოთ შარიათის კანონები და უარეყოთ ადათები და ძველი ტრადიციები. ეს იყო ხმლით ძალადობასა და სასჯელზე დამყარებული იძულება.

ბარის ჩეჩნეთმა სიხარულით აიტაცა შამილის მოწოდება. მთაში საცხოვრებლად გადასული ბარელები მკაცრი მუსულმანები იყვნენ, მთაში მცხოვრებთ კი ჯერ კიდევ ქრისტიანული ტრადიციების მიმდევარი მკვიდრები, ბარელი ჩეჩნები მათ უწოდებდნენ ქრისტიანებს („ქერისტ“– ქისტ).

აღნიშნული ამჟმინდელი ჩეჩნეთ-ინგუშების მთების ნაწილი მე-19 ს. დაასაწყისში (რუსეთის იმპერიასთან მიერთების დროს) ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა, რუსული რუკის შესაბამისად.

ქართლისა და კახეთის სამეფოებში შემავალი, ამჟამად კი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთების მკვიდრი მოსახლეობა თავს მედგარ ქრისტიანად თვლიდა მე-17 საუკუნეში და მე-18 ს. დასაწყისში. მათი ქართული გვარები მიუთითებს, რომ ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს ხალხის შესაბამისად ცხოვრობდნენ, ქართული განათლებით, საზოგადოებრივი ურთიერთობის ქართული ენით და ქრისტიანული ადათ-ჩვევებით.

რუსეთის ჯარების სისასტიკემ დაღესტანსა და ჩეჩნეთში გააღვიძა სწრაფვა მუსულმანური სარწმუნოების მიმართ. მართალია მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის იმპერიის წიაღში გაძლიერდებოდა ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ სინამდვილეში ქრისტიანული იმპერიის წიაღში კავკასიის მთების ამ ნაწილში არათუ გაღვივდა ქრისტიანული სარწმუნოება, არამედ მკვეთრად შესუსტდა.

შამილის მოძრაობის დაწყებამდე, მე-19 ს. დასაწყისში მართალია, აქაურ მთიელები უკვე ეცნობოდნენ ისლამს, მაგრამ ცხოვრობდნენ ძველი ტრადიციული ქრისტიანული ადათ-წესებით. შამილის დროს მთიელთა ამ ადათ-წესებს მთაში ასული ბარელი მუსლიმები მათთვის მიუღებელ ქრისტიანულ წესებად თვლიდნენ და სასტიკად კრძალავდნენ. ვინც უარს იტყოდა შარიათის წესების აღიარებაზე, უმკაცრესად ისჯებოდნენ უკვე მთებში გაბატონებული

ბარელების მიერ. იზოლირებით, შიმშილით, კოშკებზე შეტევით, დევნით და სხვა მეთოდებით ისინი მთიელ მკვიდრებს აიძულებდნენ მიეღოთ ცხოვრების ახალი წესები. ამ მდგომარეობას ყველა მთიელი არ ეგუებოდა და ისინი ტოვებდნენ მთის რეგიონს, ცოლ-შვილით სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. ერთი ასეთი ადგილი იყო პანკისის ხეობა. აქ მე-19 ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო ოჯახების უკვე მასიური ჩამოდინება ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს მთებიდან (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეს მთიანეთი იმჟამად ჯერ კიდევ თბილისის გუბერნიაში შედიოდა). ამ პროცესს აღწერს ქისტი მღვდელი ალბუთაშვილი.

ქისტები (ქრისტიანები) და ჯელთები

ქისტი დეკანოზი **მათე ალბუთაშვილი** თავის წიგნში „პანკისის ხეობა“ (2005) წერს:

„მე კარგად მახსოვს, ჩემს პატარაობას სოფელ აირახში ღორის ქოსმენებს ვინახავდით, ლორს ვაკეთებდით და კარგათაც გეახლებოდით. დაბლა, ჩაჩანი რომ გამუსრეს, ჯერი მთის ხალხზე დადგა. შემოგვესივნენ თათრის მოლები, დამტვრეული ჩეჩნურით გვიქადაგებდნენ თათრის სჯულს და ხშირად ახსენებდნენ „ქირისტი-ქირისტის“. ჩვენ არ გვესმოდა, მოლები ამით რას გვეუბნებოდნენ ან რა ეწადათ და ვერც პასუხს ვაძლევდით. ბოლოს გავიგეთ, რომ ჩაჩანში შეესწავლათ მათ ეს სიტყვა, რომლითაც ჩაეგონებინათ, რომ ჩვენ ვიყავით „ქრისტიანები“, „ქერის ტანაშ დუ“ – ქრისტიანები არიანო. ამის შემდეგ შეგვაჩვიეს ეს სახელი „ქირისტი“– „ქისტი“ და დღესაც ამას გვეძახიან. თორის ლორი გვეკიდა 8-9 ნაჭერი, მამაჩემი ეხვეწათ ამ ლორის ჭამა მაინც დაგვაცადეთო, მაგრამ მოლები სულ ზედ აფურთხებდნენ. რჯული გამოგვიცვალეს, მაგრამ ჩვენი არ დავიშალეთ, ის ლორი სულ ჩუმად, მალვით გამოვათავეთ“. (მათე ალბუთაშვილი, პანკისს ხეობა, 2005, გვ. 114-115).

ეს ამბავი ქისტ დეკანოზ მათე ალბუთაშვილისათვის უამბნია ქისტ მოსეკა ლამურაშვილს, დაახლოებით 1900 წელს, თავის მხრივ, მოსეკასათვის უამბნია ღრმად მოხუცებულ კაცს აჰიმირ ჰაჯის. დაახლოებით, ალბათ, 1890 წელს, ეს მოხუცებული ბავშვობაში ჯერ კიდევ სოფელ აირახში ცხოვრობდა 1840 წელს. ამ პერიოდში დაღესტანში ძალაუფლება აიღო შამილის მუსულმანთა პარტიამ. შამილის ლაშქრობათა შემდეგ ჩეჩენ-ინგუშეთის მთიელები, რომელთაც არ სურდათ ისლამის მიღება, იძულებული გახდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლებულიყვნენ, მათ შორის პანკისის ხეობასა და თუშეთში, სადაც ისინი დაცულნი იყვნენ.

ვის ერქვა ქისტი? ქისტი, ანუ ქრისტიანი ერქვა ფხოვის მთის მრავალ თემს, მათგან შემდეგში ჩამოყალიბდნენ სხვადასხავა ჯგუფები – ჩეჩნები, ინგუშები, ხევსურები, პანკისელები, გუდამაყრელები და სხვები. ფხოველები ქართული გენეტიკის ხალხი იყო, აერთიანებდათ ქრისტიანული სარწმუნოება, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში უკვე აღარ არ გააჩნდათ რაიმე გამაერთიანებელი ადგილობრივი ეთნიკური სახელი. მუსულმანი მეზობლებისათვის

მათი გამაერთიანებელი სახელი „ქრისტიანი“ იყო, თავიანთ თავს „ქი(ს)ტიანებსაც“ უწოდებდნენ. მათ ქრისტიანობას საფრთხე დაემუქრა განსაკუთრებით შამილის ეპოქაში.

1840 (1839) Шамил быстро бросился с небольшим числом мюридов в Чечню, и разжигая ненависть Чеченцев к Русским, и угрожая им местью русского правительства, успел убедить жителей переселиться с плоскости в глубь гор. Успех превзошел ожидания. Отуманенные Чеченцы, напуганные предшествовавшими событиями и испуганные угрозами Шамиля, бросили свои дома и плодородный поля, и толпами устремились в горы и ущелья; испытав перед темр строгость принятых мер, они не надеялись на прощение. Надтеречные и Сунженские Чеченцы, ближайшие соседи линии, признававшие вполне власть России, еще колебались, но и тех в 1840 году, с 26-го на 27 июля, Шамиль успел увести, за исключением весьма немногих, в горы, в случае сопротивления угрожая им своею неумолимою местью. Таким образом, Чечня открыто объявила себя врагом России, и признав над собою власть Шамиля, подпала под тяжкое иго мюридизма.

Поднявши Чечню против России, Шамиль устремил все усилия для водворения в ней своей безграничной власти. А потому, поселившись в Ичкерии, сначала в ауле Дарго, а после раззорения его в 1845 году князем Воронцовым – в Ведени…

http://www.vostlit.info/Texts/dokumenty/Kavkaz/XIX/1840–1860/Samil_cecnya/text.htm

1840 წლისათვის შამილი რუსებთან ბრძოლის მოწოდებით ჩავიდა დაღესტნიდან ჩეჩნეთში. აქ მას ტრიუმფით შეხვდნენ. მან დაარწმუნა ბარში მცხოვრები ჩეჩნები, მიეტოვებინათ ბარი, რომელიც უკვე რუსული გავლენის ქვეშ იყო და საცხოვრებლად ასულიყვნენ ჩეჩნეთის მთებში. ეს მოწოდება რეალობად იქცა. რუსების სიძულვილის გამო **ბარელები ცოლ-შვილით მთებში გარბოდნენ.** ბარელები მასიურად, ჯგუფებად, როგორც ბრბო, გადასახლდნენ მთებში და ხეობებში. იქამდე მთებში ცხოვრობდნენ ქართული შეგნების ქრისტიანები – ქისტები. ახლა ისინი ან უნდა გამუსულმანებულიყვნენ და შერწყმოდნენ მთებში, მათ აულ – სოფლებში, შესულ ბარელ ჩეჩნებს, ანდა დაიხოცებოდნენ.

მათი გამუსულმანება დაევალათ ბარიდან ასულ მოლებს, რომელნიც დამტვრეული ჩეჩნური ენით ცდილობდნენ მათ გამუსულმანებას. ამავე დროს ამ მკვიდრ მოსახლეობას ისინი უწოდებდნენ **„ქრისტიანებს“.** სიტყვა ქრისტიანი კი მათთვის საზიზღარი სახელი იყო რუსებთან ომის გამო.

ეს მოლები გაუღიზიანებია ამ მთის მოსახლეობის ქრისტიანული ცხოვრების წესს. კერძოდ, მათ უნახავთ, რომ მთიელები ჭამდნენ ღორის ხორცს – ლორს. მთხრობელის თქმით, ამ საჭმელს აფურთხებდნენ მოლები. საბოლოოდ, ისინი გაამუსულმანეს, მაგრამ მაინც, ჩანს, ბარიდან მთაში ასულ ახალ მოსახლეებთან თანაცხოვრების შეუთავსებლობის გამო, დაუტოვებიათ თავიანთი მთის საცხოვრისი და პანკისის ხეობაში გადმოსახლებულან. მთხრობელი ასახელებს ტოპონიმ **აირახს,** ალბათ, ესაა **ჯეირახის** რაიონი ინგუშეთში.

აქაა ცნობილი თხაბა-ერდი, თარგიმი, სოფელი **ღული** , **არმხი, ხამხი,** ის ზედ საზღვარზეა ხევსურეთისა და ხევისა. ამ რეგიონის ხალხს უწოდებდნენ ქრისტიანებს „**ქირისტი** – ქირისტის“, ანუ ქისტებს (**„ქირისტი“**, აქედან – **ქისტი)**- ...ჩაეგონებინათ, რომ ჩვენ ვიყავით „ქრისტიანები“, „ქერის ტანაშ დუ“ – ქრისტიანები არიანო.

ასე, რომ ჩეჩენ-ინგუშეთის მთებში შამილის ბრძოლების დროს ასახლებდნენ მუსულმან ბარელ ჩეჩნებს. იქედან კი გამოიქცნენ და პანკისის ხეობას თავი შეაფარეს უკვე გამუსულმანების გზაზე მდგომმა ქრისტიანებმა, ანუ ქისტებმა.

ვინც ეს ამბავი ჩაიწერა თვთმხილველისაგან, იყო ქისტი ალბუთაშვილი. ამ გვარის შესახებ არსებობს ასეთი ინფორმაცია –

„ალბუთაშვილი,

გვარის წინაპრები ძველისძველი ფხოვის ერთ-ერთ იმ შტოს ეკუთვნოდნენ, ბორბალოს მთის იქით, მდინარე არღუნის უკიდურესი სამხრეთით, უკანა ფშავიდან მათურის ხევისა და ხოსარის მთის გადავლით, ივრის ხეობიდან ტბათანას გასწვრივ რომ სახლობდა.

აქაურებს „გლეხებს“ ეძახდნენ, რაც ქართულად სამხრეთელს, მზისმხარელს ნიშნავს. მათი პირველი სალოცავი წმიდა გიორგი ყოფილა. ამავე დროს ჰქონიათ საგვარეულო კულტებიც, ლოცულობდნენ: კარატეს, დამასტეს, იახსარსა და ხახმატს, ლაშარის ჯვარს. შემდეგ, შამილის ცნობილი ლაშქრობის დროს, ეს ადგილები თანდათანობით დაიცალა, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული ქრისტიანული ჯვარი და სამარხები...ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა. აშენდა ციხე-კოშკები არღუნის დაყოლებაზე. თამარ მეფის დროს ჩნდება დედა-ციხე. მას ქართველი მეციხოვნეები იცავდნენ. ითუმ-ყალიდან 5 კილომეტრში დღესაც დგას თამარის ციხე. ალბუთაშვილების გვარის ხალხი, ჩანს, დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის რაიონებში. დადგინდა, რომ ალბუთაშვილები სასულიერო პირებიც იყვნენ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში თელავში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი და მკვლევარი, შემდგომში კი სასულიერო პირი, მათე ალბუთაშვილი – პანკისის ხეობის მოსახლეობის ისტორიის, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალების უბადლო მცოდნე, რომელიც შემდგომ ხეობის, კერძოდ, სოფელ ჯოყოლოს წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო. მისი წყალობით აღდგა პანკისის ხეობაში ქრისტიანული წირვა – ლოცვა. საქართველოში 280 ალბუთაშვილი ცხოვრობს: ახმეტაში – 63, თბილისში – 62, დუშეთში – 53. არიან სხვაგანაც. http://tbiliselebi.ge /indexp.hp? newsid =268437107“

მოსახლეობა, რომელიც მასიურად გადასახლდა ბარის ჩეჩნეთიან ფხოვში (ჩეჩენ-ინგუშეთის მთებში), ძირითადად ცხოვრობდა ნადტერეჩნის რაიონში, გროზნოსთან და სუნჯას რაიონში.

Надтеречный район (чеч. Терк-Йистанан кIошт) – административно-территориальная единица и муниципальное образование (муниципальный район) в составе Чеченской республики Российской Федерации.

Административный центр – село Знаменское.

ინგუშეთის მთის სოფლები დაიცალა შამილის რეპრესიების შედეგად. ხალხი გადასახლდა საქართველოს მხარეს ანდა დაიხოცა თავდაცვისას, უფრო მეტი კი შეერწყა ბარიდან ასულებს. წარმოიქმნა ახალი მოსახლეობის აულები. ისინი უკვე ძველ მოსახლეობას სხვა ხალხად მიიჩნევდნენ, რომელთაც ჯელთებს უწოდებდნენ. მათ აგებულად მიიჩნევდნენ ძველ ციხ-კოშკებს, რომელთაც თავდაცვითი ფუნქციები დაკარგეს.

ჩეჩენი მკვლევარი წერს: „ვაინახები ჩეჩნეთ-ინგუშეთში მივიდნენ მე-17, მე-18 საუკუნეებში“ (см.:https://www.nkj.ru /a.../artcles /9030/ (Наука и жизнь, СКИФЫ НА КАВКАЗЕ), კერძოდ წერს–

Все попытки объяснить, как попали на Кавказ плиты с рельефами – петроглифы, – носят в основном умозрительный характер. Сколько людей, столько и мнений. Знакомство с литературой показало, что исследовательская мысль пошла здесь простейшим путем: если петроглифы обнаружены на вайнахских башнях, значит, они вайнахские (вайнахи – предки чеченцев и ингушей). Однако собственный опыт архитектора-реставратора заставил меня усомниться в этом: все петроглифы использованы повторно как подручный строительный материал и украшение. Они явно древнее башен.

Какой-то древний народ некогда построил здесь захоронения-мавзолеи, а может быть, и святилища. Их разрушили вайнахские беженцы, пришедшие на постоянное жительство в горы в XVII –XVIII веках.

Подробнее см.:https://www.nkj.ru/a.../artcles 9030/ (Наука и жизнь, СКИФЫ НА КАВКАЗЕ)

ქისტების გამაჰმადიანება XX ს-ის საქართველოში

XIX–XX სს-ში საქართველოში რუსების ბატონობის დროს ქრისტიანული სარწმუნოება არა თუ განმტკიცდა მოსახლეობაში, როგორც მიიჩნევს ზოგიერთი რუსი მკვლევარი, არამედ აღმოიფხვრა კიდეც. ამის მაგალითად გამოდგება იქამდე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი ჩეჩენთა და ინგუშთა აღმსარებლობის მაგალითი.

საქართველოს რელიგიის ისტორიის შთამბეჭდავი ფაქტია ის, რომ პანკისის ხეობაში XIX ს-ის დასაწყისში ჩასახლებული ქისტების გამაჰმადიანების პროცესი დასრულდა XX ს-ის 90-იან წლებში. ქისტები საქართველოს აღნიშნულ კუთხეში ჩასახლების დროს ქრისტიანები იყვნენ და ქართველი მთიელების მსგავსად ქრისტიანულ სარწმუნოებრივ წესებს აღასრულებდნენ.

კერძოდ, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ერთი ნაწილის გამაჰმადიანება დაწყებულა საქართველოში რუსების ბატონობის დროს XIX ს. ბოლოს (ამავე დროს ქისტების უმთავრესი ნაწილი კვლავ ქრისტიანებად რჩებოდა), პროცესი გაღრმავებულა რუსთა მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობის შემდეგ XX ს. 20-იან წლებში, გამაჰმადიანებას სწრაფი სახე მიუღია II

მსოფ. ომის შემდეგ და მოსახლეობის სრული გამაჰმადიანება დასრულებულა XX ს-ის 90-იან წლების დამდეგს.

პანკისელი ქისტებისა და, საერთოდ, ვაინახების ყოფა-ცხოვრების მკვლევარი ხვთისო მამისიმედაშვილი წერს: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ჯოყოლოს მოსახლეობის სწრაფი გამაჰმადიანება. მანამდე, როგორც თვითმხილველნი გადმოგვცემენ, სოფელში მეღორეობის ფერმაც კი ჰქონდათ. ჯოყოლოელთა გადასვლა მაჰმადიანურ რჯულზე დასრულდა XX ს-ის 90-იანი წლების დამდეგს. ამჟამად ისინი ისლამის მიმდევრები არიან“ (ხვთისო მამისიმედაშვილი. „ვაინახები და ქართველი მთიელები“. თბილისი 1997. გვ. 27).

ქისტების პირველი ჯგუფი პანკისში გამოჩენილა 1826–28 წ-ში. პანკისი ამჟამად ეწოდება მთელ ხეობას, მაგრამ, ჩანს, თავდაპირველად იგი ერთ-ერთი სოფლის სახელი ყოფილა, სადაც ისინი ზემოთ აღნიშნულ წლებში ჩასახლებულან დუი ციცხაშვილი-ხანგოშვილის წინამძღოლობით. დუის პატივსაცემად სოფელ პანკისისათვის დუისი უწოდებიათ. დუი ციცხაშვილ-ხანგოშვილი ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, მეგობარი ადგილობრივ დიდებულებისა და უხუცესებისა. მისი მეთაურობით ქისტების ჩამოსახლება შეთანხმებული ყოფილა ხელისუფლებასთან, კერძოდ თიანეთის მაზრის გამგებლობასთან, რომელსაც იმ დროისათვის ექვემდებარებოდა თუშ-ფშავ – ხევსურეთი; უფრო მეტიც, ქისტების ჩამოსახლების დროს დუი ხანგოშვილს დიდად დახმარებიან ქართველი დიდებულები, კერძოდ, თავადები ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი და თუშეთის მოურავი ივანე ცისკარიშვილი. დუის გარშემო შემოკრებილან კახეთსა და მთიანეთში მცხოვრები ქისტებიც. საერთოდ, I ნაკადი წამოსულა არღუნის ხეობის მაისტის თემიდან. მაისტელი იყო დუი ხანგოშვილიც. ჩამოსახლების დროს ისინი ისეთივე ქრისტიანები ყოფილან, როგორც საზოგადოდ ქართველი მთიელები, ხევსურები, ფშავლები და სხვა მათი მეზობლები. ამას მიუთითებს ისიც, რომ პანკისელ ქისტებს თავიანთი მშობლიური ადგილებიდან თან „წამოუღიათ“ სალოცავი ნიში, კერძოდ, ჩამოტანილი აქვთ სალოცავი ნიში „მაისტიე წივ“ რაც დაახლოებით მაისტის ხატს აღნიშნავს (იქვე, გვ. 22).

ასევე წარმოუდგენელია, კახეთ-მთიანეთის ადგილობრივ მმართველობას, ქართველ თავადებს და, საერთოდ, ქართულ მოსახლეობას XIX ს-ის 20-იან წლებში ხელი შეეწყოთ კახეთის ქრისტიანთა შორის მაჰმადიანთა ჩასახლებისათვის.

საქმე ის იყო, რომ სწორედ აღნიშნულ დროს აღ. საქართველოს ქრისტიანებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა ე.წ. „ლეკიანობა“ რომელშიც იგულისხმებოდა მაჰმადიანი მთიელების განუწყვეტელი ლაშქრობები და თარეში ქრისტიანულ სოფლებში. ასეთ პირობებში ქრისტიანები თავიანთ სოფლებსა და მამულებს არ დაუთმობდნენ მაჰმადიანებს. ქართველებს ჩამოსახლებული ქისტები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ეთნოჯგუფად მიაჩნდათ თუშთა და ხევსურთა მსგავსად. მართალია, ქისტებს ჰქონდათ თავიანთი სასაუბრო ენა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი ენა და მკვეთრად განსხვავებული დიალექტები ამჟამადაც გააჩნიათ ქართველ მთიელებს. ქისტების ამ

პირველი ჯგუფის ქრისტიანობას მიუთითებს ისიც, რომ ქისტების მეორე ჯგუფი, რომელიც პანკისის ხეობაში ჩასახლდა 1854–55 წწ-ში, ნამდვილად ქრისტიანები იყვნენ. მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილა ჯოყოლა ნაციშვილი – დარქიზანაშვილი. ჯოყოლაც ასევე დიდად ავტორიტეტული კაცი ყოფილა და ჰყოლია ქართველი ძმადნაფიცები.

მათი და ზემოთ აღნიშნულ თუშეთის მოურავ ივანე ცისკარიშვილის დახმარებით დუისის ჩრდილოეთით დაუარსებიათ სოფელი ჯოყოლო. მალე სოფლის ცენტრში ქისტებს აუშენებიათ ქრისტიანული ეკლესია, რომელშიც წირვა-ლოცვას აღასრულებდა ქისტი სამღვდელოება, რაც დიდად ნიშანდობლივია. ეს მიუთითებს, რომ ქისტები არა მხოლოდ ქრისტიანები იყვნენ, არამედ მათი წიაღიდან გამოსული ახალგაზრდები იღებდნენ შესაბამის სასულიერო განათლებას და მღვდლებად ხელდასხმის შემდგომ აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ეკლესიებში.

ცხადია, ქისტი მღვდლები წირვა-ლოცვას აღასრულებდნენ ქართულ ენაზე, რადგანაც ეს ენა მათთვის წარმოადგენდა სალიტერატურო, კულტურის, საურთიერთობო და საღვთისმსახურო ენას. საერთოდ, რუსების შემოსვლამდე ძვ. საქართველოში შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთამდე (აზერბაიჯანამდე) ღვთისმსახურება აღესრულებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძველ ქართულ ენაზე, ძველ ქართულ დამწერლობას ხუცურს უწოდებდნენ. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის, რომ ჯერ კიდევ მთაში ცხოვრებისას ქისტი ხუცესები მთის ჯვარ ხატებშიც აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ხევსური და სხვა ქართველი მთიელების ხუცესთა მსგავსად, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ისმის კითხვა: რამ აიძულა ქისტები XIX ს-ში აყრილიყვნენ თავიანთი სამშობლო კუთხიდან და გადმოსახლებულიყვნენ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ მყოფ პანკისის მხარეში?!

ამასთან დაკავშირებით ხ. მამისიმედაშვილი წერს: „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ლეილა მარგოშვილი ასკვნის, რომ ვაინახების პანკისში ჩამოსახლების მიზეზი იყო მათი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, მესისხლეობა და შამილის მიერ მაჰმადიანობის გასავრცელებლად ჩეჩნეთის მთიანეთში გატარებული მკაცრი ზომები. როგორც ცნობილია შამილი იქ ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა ისლამს, ვინც უარს აცხადებდა ისლამის მიღებაზე განიცდიდა საშინელ დევნას და ეძებდა საიმედო თავშესაფარს“ (იქვე, გვ. 24). მაშასადამე, პანკისში ქისტების ჩამოსახლების მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ მათ არ სურდათ ისლამის მიღება და გამოქცეოდნენ მოძალადეებს, რომლებიც მათ ძალით ამაჰმადიანებდნენ.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-მდე ქისტები საზოგადოდ ქრისტიანები იყვნენ, ხოლო XVIII ს-ში ნელ-ნელა ქრისტიანობის ადგილი დაუჭერია სუნიტური მიმართულების მაჰმადიანობას. იმ დროისათვის მაჰმადიანობა ფეხმოკიდებული ყოფილა მხოლოდ ქისტების ზოგიერთ ჯგუფში. ისინი კი შარიათის მიხედვით დადგენილ წესებთან ერთად არ ივიწყებდნენ მამა-პაპურ სარწმუნოებრივ და სხვა ქრისტიანულ ტრადიციებს. ასე რომ, ჩეჩნეთში და ინგუშეთში XIX ს-ის დასაწყისში ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა ქრისტიანობა და

მაჰმადიანობა. ამავე დროს მოსახლეობას აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. როგორც აღვნიშნეთ, ვისაც გამაჰმადიანების თავიდან აცილება სურდა, თავს აფარებდნენ საქართველოს და, შესაძლოა, სხვა ქრისტიანულ ქვეყნებსაც.

პანკისში ჩამოსახლების შემდგომ ქისტური მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ქრისტიანულ წესებს იცავდა, მაგრამ მათში თანდათანობით მაინც მოუკიდია ფეხი მაჰმადიანობას და XIX ს-ის მიწურულისათვის, კერძოდ, 1898 წელს, დუისში დაუწყიათ მეჩეთის მშენებლობა, დაახლოებით 20 წლის შემდეგ მაჰმადიანური რელიგიის მოძალების შედეგად, კერძოდ, 1921 წელს, ჯოყოლოს ეკლესიის მღვდელი იძულებული გამხდარა სამუდამოდ მიეტოვებინა სამსახური და თელავში გადასულიყო. ამის შემდეგაც მოსახლეობა კვლავ იცავდა ზოგიერთ ქრისტიანულ წესს და, როგორც აღვნიშნეთ, მაჰმადიანურ რჯულზე მოსახლეობის საბოლოო გადასვლის პროცესი დასრულებულა XX ს-ის 90-იან წწ-ში.

თვითონ ისტორიულ ქისტეთში, ვაინახების ქვეყნის ნასოფლარებში ამჟამადაცაა შემორჩენილი უამრავი კოშკი, რომლებზეც ჯვრებია გამოსახული. ტყობა-იერდისა და ალი-ბერდის ეკლესიებში დაცულია ქართული წარწერები. არქეოლოგთა და სხვათა მიერ გათხრილ სამარეებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ქრისტიანული წესით, თავით დასავლეთისაკენ, ერთ-ერთი ქრისტიანი ქისტისათვის წმიდა გიორგის მედალიონი-ხატიც ჩაუტანებიათ, გროზნოს მუზეუმში დაცულია უამრავი თლილი ქვა და ქვაჯვარი ქართული ასომთავრული ასო ნიშნებით. ქისტები ისტორიულად ქრისტიანები იყვნენ ათეულ საუკუნეთა მანძილზე („აია“ №2, 1997, გვ.).

„ანატორის ჯვარი“ შატილიონებისა და ქისტების საერთო სალოცავია.

ანატორის ჯვარში ბოლო დრომდე მოდიოდნენ ქისტები სალოცავად საკლავით, ქადა-პურითა და სანთლით. XX საუკუნის ოციან წლებში ანატორის ჯვარს ჰყოლია გამორჩეულად წმიდა და ჯვარ-ხატების კარგი მცოდნე ქისტი ხუცესი ბაგახა. ის მთისიქითა ქისტეთიდან მოდიოდა ანატორის ჯვარში სანთლით, საკლავითა და ბაჩაყურეებით (სამკაპა ან ოთხკაპა ქადის მსგავსი) ჯვარს ადიდებდა. შემდეგ ქისტები მოხარშულ ხორცსა და ბაჩაყურეებს ხალხს ჩამოურიგებდნენ. ხევსურ ბავშვებს განსაკუთრებით უხაროდათ ქისტების მოსვლა ანატორის ჯვარში. ბაგახა სანთელს რომ აანთებდა, ასე ლოცულობდა: – „ნაქორინწა წეიმ ბარა“! – გწყალობდეთ ანატორის ჯვარიო. „ანატორის ჯვარი მტრედის სახით მოფრინდებოდა, აკლდამაზე დაჯდებოდა და ღუღუნს დაიწყებდა ხოლმე. მხოლოდ ბაგახას – ქისტ ხუცესს შეეძლო ჯვრის ძალით აკლდამასთან ასვლა, ხოლო მტრედი მხარზე დააჯდებოდა მას და კლდეებზე დაატარებდა. მტრედი და დროშა, როგორც ანატორის ჯვრის სახე, ქისტ ხუცესს ხშირად ქისტ სოფლებშიც მიჰყავდა და იქ ხუცობდა“. როგორც მთხრობელმა ჩორეხ ჭინჭარაულმა მიამბო, ქისტებს ხევსური ხუცესიც მიჰყავდათ თავიანთ სოფლებში: „ჩემ პაპა გიგიაც შატილის ხუცეს იყვის, მიჰყავდისთ ქისტეთჩი და ახუცვინებდიან ბანებზედ“ (ხ. მამისიმედაშვილი, „ვაინახები და ქართველი მთიელები“ გვ. 21).

„როგორც გადმოცემიდან ირკვევა, ქისტები ანატორის ჯვრის უნჯი ყმანი ყოფილან“ (იქვე, გვ. 22).

„ბალთაგორის წმინდა გიორგისა და მთის სხვა სალოცავებში მლოცველი ქისტი ისევე ლოცავდა და ესალმებოდა ხატში მისულ სხვა მლოცველს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები“ (იქვე, გვ. 22).

ცნობილ გმირ თორღვა ძაგანამდე ქისტების რჯული ისეთივე ყოფილა, როგორც სხვა ქართველი მთიელებისა, ე.ი. ქრისტიანული. ამიტომაც თორღვა საერთო გმირია.

„მუცოს სათემო სალოცავში, მთავარანგელოზის ჯვარში, ხონეს საათენგენოდ ახლაც მიდიან ქისტი ბორჩაშვილები ძღვნითა და საკლავით, ხოლო ხახმატის დღეობაზე პირაქეთ ხევსურეთში შეხვდებით ხევსურს, ფშაველს, ქისტს და სხვა. ისინი სანთლითა და საკლავით მფარველობას შესთხოვენ წმინდა სალოცავს“ (იქვე, გვ. 23).

პანკისში ამჟამად უკვე გამაჰმადიანებული ქისტების რელიგიური სიმღერა შესრულების სტილით ჯვარხატებში აღვლენილ ფშაურ ფერხისაის ჰგავს. ქისტური რელიგიური სიმღერები თითქოსდა ალავერდის ე.წ. „მონების“ იავნანას მელოდიას წააგავს.

„ქისტები, ისევე, როგორც კახელები და ქართველი მთიელები, იხდიან კოლექტიურ საღვთოს“ (იქვე, გვ. 31). ე.წ. წვიმის მოსაყვანი რიტუალი ამ ქისტებში ისეთივეა, როგორც საერთოდ ქართველებში (გუთნის წყალში გაყვანა, გაწუწვა და ძალით ბანაობა ერთ-ერთი მონაწილისა და სხვა).

„რაიმე მნიშვნელოვანი ამბის აღსანიშნავად (ავადმყოფის განკურნება, ჯარისკაცის დაბრუნება, ხიფათისაგან თავის დაღწევა) აღმოსავლეთ საქართველოში იხდიან საღვთოს. ადუღებენ ლუდს, ხდიან არაყს, კლავენ საკლავს, აკეთებენ ხინკალს და სუფრის ხუცეს-ხევისბერს ამწყალობინებენ. ანთებენ სანთელს და ჭრიან სარიტუალო ქადებს. ანალოგიური ჩვეულება აქვთ ქისტებს“ ოღონდ ახლა ალკოჰოლიანი სასმელები აკრძალული აქვთ და ხუცესების მაგიერ მოლები ლოცულობენ (იქვე, გვ. 33).

ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეუნიშნავთ, რომ ახალი წლის შეხვედრის სარიტუალო წეს-ჩვეულება ქისტებში ისეთივეა, როგორც ქართველებში.

ახალ წელს ქისტურად „ნიჯუა“ ეწოდება. „ნიჯუა“-დან ხუთი კვირის შემდეგ იციან „ოღუაი“ რომელიც ქართულ „აღების“ დღესასწაულს ემთხვევა, ამ დღეს კლავენ საუკეთესო საკლავს „ისევე, როგორც ქართველი მთიელები, ქისტებიც საკლავს სოფლის რჩეულ უხუცესს დაამწყალობინებენ და დააკვლევინებენ ხოლმე“. ქრისტიანული „აღება“ ნიშნავს „ხორცის აღებას“ ხორცის საჭამადის გამორიცხვას კვების რაციონიდან დიდმარხვის წინა, მოსამზადებელ პერიოდში. კერძოდ, დიდმარხვის დაწყებამდე ჯერ არის ხორციელის, შემდეგ კი ყველიერის კვირა. ხორციელის შვიდეულში შეიძლება ხორცის ჭამა. ამ დროს ცდილობენ ხორცის საუკეთესო საკვების მიღებას, რადგანაც ხორციელის კვირა დღიდან, როდესაც სუფრიდან აიღებენ ხორცს, მისი ჭამა უკვე აღარ შეიძლება აღდგომის გახსნილებამდე, ე.ი. თითქმის ორი თვე. „აღება“ და მისი შემდგომი ყველიერიც, სახალხო დღესასწაულში გადაიზრდებოდა

ხოლმე, ამ კვირეებში ხალხი ზეიმობდა და მხიარულობდა, კარგადაც იკვებებოდა, რადგანაც ყველიერის ბოლოდან აღდგომამდე, დიდმარხვის დროს, ხალხი უკვე გლოვასა და მწუხარებაში იყო, ემზადებოდნენ ზიარებისა და აღდგომის ღირსეულად შესახვედრად, ამბობდნენ „მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა“.

როგორც აღვნიშნეთ, ქისტური „ოღუაი“ არის ქრისტიანული „აღების“ დღესასწაული. ხორციელის კვირაში ყოველი ოჯახი, როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო, ვალდებული იყო „ხორცზე კბილი დაედგა“. „ოღუაის ორი კვირის შემდეგ, ასევე შაბათ დღეს ქისტები იხდიან დღესასწაულს, რომელსაც სახელად ჰქვია „სინი“ (იქვ. გვ. 33), ამ დროს ახსენებდნენ მიცვალებულებს „ძველსა თუ ახალს“ ვინც ახსოვდათ და მოაგონდებოდათ, რაც ყველაზე ნიშნეულია, ამ დღეს ქისტები მიცვალებულთა მოსაგონებლად იმ კერძს ამზადებდნენ, რომელსაც ქართველები „კორკოტს“ ან „წანდილს“ უწოდებენ, ქისტურად – „ბაკლას“. დიდმარხვის პირველ შაბათს, ისევე როგორც სხვა მომდევნო შაბათ დღეებში, ქრისტიანები საგანგებოდ მოიხსენიებენ მიცვალებულებს, ე.წ. „მიცვალებულთა შაბათი“. ამზადებენ საკურთხს, კორკოტ-წანდილს (მოხარშულ მარცვალს), მღვდელს თუ საშუალება აქვს, ალოცვინებენ. ასევე ქისტი მლოცველი მიცვალებულის მოხსენიებისას „ამოიღებს ქვაბით მოხარშულ ბაკლას, ქვაბს გარს შემოატარებს რკინეულს რასმე სამჯერ, მოიხსენებს იმავე მიცვალებულებს, მერე ზემოდან გაშლილი ხელით სამჯერ ჯვარს გამოსახავს და შემდგომ შეექცევიან ბაკლას (მოხარშული სიმინდი, ლობიო, ხორბალი ერთმანეთში არეული)“ (იქვე, გვ. 34).

ეს დღესასწაულები სცოდნიათ მხოლოდ პანკისელ ქისტებს. „ნიჯუა, ოღუაი და სინი“ წააგავს ქართველი მთიელების რელიგიურ დღესასწაულებს. ლეილა მარგოშვილის ცნობით, ჩეჩნები და ინგუშები ამ დღეობებს არ იცნობენ. ამდენად მათ ისინი ან სავსებით დაივიწყეს, ანდა ქისტებმა იგი ქართველებისაგან შეითვისეს“ (იქვ. გვ. 34). აქედან ჩანს, რომ პანკისში ჩამოსახლებისას ქისტებს გააჩნდათ ქრისტიანული საეკლესიო ჩვეულებები, მათ, როგორც ვთქვით, ჯოყოლოში თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ და ქისტი სამღვდელოებაც ჰყავდათ. ამჟამადაც აღდგომას კვლავ დღესასწაულობენ, „აღდგომის დღესასწაულისათვის ჯოყოლოელი და სხვა სოფლელი ქისტები დღემდე საგანგებოდ ემზადებიან და მას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. დღეობა ორ-სამ დღეს გრძელდება, იკვლება საკლავი, ინთება სანთელი, ლოცულობენ სოფელსა და მის მიმდებარე ადგილებში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიასა და სხვა ნიშებში. სოფელში ამ დღეებში დიდი ლხინი და მხიარულებაა. გარდა წმინდა ადგილებზე სანთლების დანთებისა, ქისტებმა ქართველების მსგავსად შემოინახეს ხეებზე ნაჭრების მიბმის ტრადიცია. ქისტები სალოცავად ძღვენით ალავერდშიც მიდიან. ომალოში მცხოვრებ ქისტებს სოფლის სიახლოვეს სალოცავად აქვთ წმიდა გიორგის, თუშოლისა და კოპალას ნიშები. ბირკიანელები ლოცულობენ წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში. თუშოლი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგივე ღვთისმშობელია, ხოლო კოპალას ნიშის არსებობა

ომალოში ფრიად საგულისხმოა. კოპალას სახელობის ჯვარ-ხატები გვხვდება ფშავ-ხევსურეთში“ (იქვე, გვ. 34).

ქისტებსა და ქართველებს ერთნაირი ადათები ჰქონდათ „როგორც ხევსურეთში, ქისტებშიც პატარძალი მამამთილს სახელით ვერ მიმართავს ... მართალია, ქისტები მაჰმადიანური რწმენის აღმსარებლები არიან, მაგრამ მათ სუფრაზე თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ღვინის სმა, თუმცა მთიელთა ტრადიციის შესაბამისად იქ მაინც არაყი სჭარბობს“ (იქვე, გვ. 37). ღვინის ზომიერი სმა ქრისტიანული ტრადიციაა.

ქისტები, ჩანს, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ ქრისტიანული წესების მკაცრი დამცველებიც ყოფილან. ამას მიუთითებს ის, რომ ისინი დიდ მარხვის პირველ დღესა და უკანასკნელს, ე. ი. დიდ შაბათს, მშივრები ატარებდნენ, ვიდრე ვარსკვლავი არ ამოვიდოდა.

ახლაც მორწმუნე ქრისტიანები სწორედ დიდმარხვის პირველ და ბოლო დღეებში მარხულობენ განსაკუთრებულად. ასეთივე მმარხველნი ყოფილან ხევსურებიც. ძველად ფშავ-ხევსურები კარგი ქრისტიანები იყვნენ თავიანთი ქრისტიანული სალოცავებით, სამღვდელოებითა და დღესასწაულებით, მაგრამ ბოლო საუკუნეებში, სამღვდელოების არ ყოლის გამო, ნასწავლი და ნაკურთხი სასულიერო პირების ადგილი დაიჭირეს ხალხისგან ამორჩეულმა წმიდა ცხოვრებით მცხოვრებმა პირებმა, რომელნიც ცდილობდნენ უცვლელად აღესრულებინათ ის სარწმუნოებრივი წესები, რაც მათ ახსოვდათ ძველი სამღვდელოებისგან.

ხევსურთა ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყვნენ ქისტებიც, საერთო სალოცავ – ჯვარ-ხატებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით, საეკლესიო ტერმინოლოგიითა და ქართული ანბანით.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში აღმოჩენილია არა მარტო ქართული წარწერები, არამედ ხელნაწერებიც. ინგუშეთში, ასას ხეობაში არსებობს ქრისტიანული ეკლესიები – თხობა-ერდი, ალი-ერდი, თარგიმი, მაღარ-ერდი და სხვა. „1944 წლამდე მრავალი ინგუშის ოჯახში ინახებოდა ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები... უფრთხილდებოდნენ მას, როგორც ძვირფას რელიქვიას და გადასცემდნენ თაობიდან თაობას (А. И. Шавхелишвили, Грузино-Чечено-Ингушские взаимоотношения. 1992, с. 189. იქვე, გვ. 68).

ვაინახებში რელიგიის კულტთან დაკავშირებული და ზოგიერთი სხვა ტერმინი ქართულია, მაგალითად ჯვარი ვაინახურად არის „ჯარ“ მარხვა – „მარხ“ კვირა – „კირ“ სანთელი – „სენთალ“ ორშაბათი – „ორჩუათ“ პარასკევი – „პერასკ“ შაბათი – „შოთ“ ეკლესია – „ქილს“ და სხვა.

შავხელიშვილის ცნობით **„ჩეჩნეთში, ხილდიხაროს ხეობაში, მრავალი ქართულიდან მომდინარე ტოპონიმია“.**

ქართული კულტურის გავლენით წარმოქმნილი უნდა იყოს „ქერისტიე“ „ცაცხი“ „ჩამღა“ „მოზღარი“ და „მეციხ“. ქართულად ქერისტიე ნიშნავს ქრისტიანს, ჩამღა – ჩაღმას, ცაცხი – ცაცხვს, მოზღარი – მოძღვარს, მეციხს კი ქართულ მეციხოვნესთან უნდა ჰქონდეს კავშირი“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

ქისტები, საერთოდ, ხალხური თქმულებებითა და გადმოცემებით, ისეთი ღრმა ქრისტიანები იყვნენ, რომ რომელ თემშიც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, ეკლესიებს აშენებდნენ, მაგ. ზეგარდის წმიდა გიორგი ქისტეთიდან მოსულ კაცს დაუარსებია (იქვე, გვ. 19).

გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ეკლესიის მცველობა ქისტეთიდან მოსულ სუჯის შთამომავლებისათვის დაუვალებიათ საქართველოს მეფესა და პატრიარქს („აია“ 1997, №2, გვ. 63).

„ქისტებსა და თუშებს შორის ნათელ მირონით ნათესაობა მოუდიოდათ. ფშავში ლაშარის გორაზე ქისტების საჯვარე არსებობს, ხევსურეთში, ანატორის ჯვარში ქისტი და ხევსური ხუცესი ერთად ხუცესობდა, ქისტების ამინდის „ღმერთებია“ – ოჩი (ქართულ ვაჩის შეესაბამება), ჰელი (ქართული წმ. ელია), დერგ ნანილგ – თოვლის დედა საქართველოში მყინვარზე ბუდობს“ (იქვ. გვ. 66).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქისტებს არა მარტო საერთო სარწმუნოება ჰქონდათ ქართველებთან, არამედ საერთო ისტორიაც, საერთო საისტორიო გმირები და წარსული ცხოვრება, ამის მაგალითი მრავალია.

მაგალითად, ცნობილი 300 არაგველი ვაინახებად მიაჩნიათ. „ქისტებში დღემდე პოპულარულია გადმოცემა, თითქოს ის სამასი არაგველი, რომელიც კრწანისის ველზე დაეცა, ვაინახები იყვნენ. ამ ლეგენდას ისინი ასაბუთებენ იმ გარემოებით, რომ ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმოსული ქისტი მეომრები არაგვის ხეობას უნდა ჩამოჰყოლოდნენ და ამიტომაც იწოდებოდნენ არაგველებად“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 8).

მეორე ასეთი მაგალითი ეხება საქართველოს ბედით დამწუხრებულ ლელთ ღუნიას „გადმოცემით ილია ჭავჭავაძის ლელთ – ღუნია მალხების (ქისტების) ჩამომავალი ჯღუნა ხულელაძე ყოფილა“ (ჯ. კაკულია, ანისტორესია, „აია“ 1997, №2, გვ. 63). ამ გადმოცემაში ჩანს ქართველებთან საერთო ისტორიის მქონე ქისტები, როგორ იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოს კეთილდღეობითა და მომავლით.

მალხებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ვაინახების ერთერთი ეთნოჯგუფი ყოფილა. ვაინახი ხალხის ეთნოჯგუფები ერთი მოსაზრებით არიან: ღალღაი, ნოხჩი, ახი და მელხი (იქვ. გვ. 65).

მეორე მოსაზრებით, ვაინახი ხალხი ბინადრობდა თემებად. ცნობილია ითონხალის, ხილდიხაროს, იალხაროს, მაისტის, მელხისტის და სხვა თემები (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 15).

თითქმის ყველა თემი, გარკვეული კუთხით დაკავშირებულია ქართველებთან. მაგალითად, ითონხალეს ქისტური თემის დამაარსებელი ვინმე ითონი წარმოშობით ქართველი ყოფილა. მაშასადამე, ამ თემს ქისტებად გადაქცეულ ქართველებად მიიჩნევდნენ (იხ. იქვე, გვ. 70. შენიშვნა 14. შავხელიშვილის ცნობა).

ხილდიხაროს თემში მრავალი ქართულიდან მომდინარე ტოპონიმია (იქვე გვ. 7).

ასეთ მაგალითებთან დაკავშირებით შემთხვევითი არ უნდა იყოს თვით ვაინახთა შორის გავრცელებული ასეთი სახის გადმოცემა: „ქისტეთში გავრცელებულია ლეგენდა, რომ პირველი ქისტის დედა ქართველი ქალი იყო“ (ა. ნოზღაიძე, „ქისტები“ გაზ. „ლაშარის გორა“ 1996, 8 ნოემბერი).

ეს ლეგენდა არა მხოლოდ ეხმიანება, არამედ თითქოსდა ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას – „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი“.

ქართულ და ჩეჩნურ ენებში დასტურდება უამრავი ლექსიკური ერთეული, რომელთაც საერთო ძირები მოეპოვებათ... საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა მიუთითებს ქართული და ვაინახური ენების ერთგვარ ნათესაობაზე. სავარაუდოა, რომ ამ ხალხებს პრეისტორიულ ხანაში საერთო ენაც კი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოხდა საგრძნობი დიფერენციაცია. ამის გამო ქართული და ჩეჩნური ენები ერთმანეთს დაშორდნენ“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 68).

თეიმურაზ ბატონიშვილი სწორი უნდა იყოს. ამ ენათა დაშორება არაა სავარაუდებელი მაინცდამაინც პრეისტორიულ ხანაში. დამოუკიდებელი ენის ჩამოყალიბებისათვის საკმარისია რამდენიმე ასეული წელიწადი, მით უმეტეს გარე სამყაროსაგან იზოლაციის დროს. უკრაინული და ველიკორუსული ენები, მიუხედავად მათი ერთმანეთთან მტკიცე კონტაქტისა და კულტურულ-სარწმუნოებრივ-საეკლესიო ურთიერთობისა, ერთმანეთს დაშორდნენ XIV საუკუნის შემდეგ და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში. ასევეა სხვა ევროპული ენებიც.

„თეიმურაზ ბატონიშვილი ძურძუკების ქვეშ გულისხმობს ჩეჩნებს, რომლებსაც ასევე „ნოხჩი“ ეწოდებათ, ხოლო ღლიღვთა ქვეშ ღილღოს, ანუ ინგუშებს, იგივე ღალღა. ქისტების ქვეშ, შესაძლოა, გულისხმობს ზემოთ აღნიშნულ მელხებს და მაისტის თემს. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, მუცოსთან იყო, მაისტელები იქედან კახეთში (პანკისში) გადასახლებულან (იხ. იქვე, გვ.2)3.

ყველა ამათი საერთო სახელია, როგორც აღვნიშნეთ, ვაინახი. „ვეინახები ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ, – წერს ა. ნოზღაიძე – ცენტრალურ კავკასიაში თერგის შენაკადებთან არმხის, ასას, არღუნის, და შარო არღუნის ხეობებში... ვეინახები ჩვენი უახლოესი ნათესავია ენითაც და სისხლითაც. წააგავენ ქართველ მთიელებს. წეს-ჩვეულებით, ზნე-ხასიათით, სახლ-კარით, ჯამ-ჭურჭლით, ჩაცმა-დახურვით, ცეკვა-სიმღერით, სასმელ-საჭმელით, უფროს-უმცროსობით, მტერ-მოყვარეობით და სხვა“ („აია“ 1997, №2. გვ. 65).

ნიშანდობლივი ცნობა: „ბამუტში (ჩეჩნეთი) ცხოვრობს შემდეგი გვარების მოსახლეობა: გახაურები, ფერზაულები, სიგაურები, მარშაულები, გაბადაურები, ხაიაურები, ქარსამაულები, სვიაკაურები. ისინი თავს მელხებად თვლიან, მელხისტის თემს კი პირიქითა ხევსურეთის მეზობლად მიუთითებენ“ (იქვე, გვ. 65).

„მალხებს დაბა გველეთში უცხოვრიათ, ძირითადად კი უთანკალესა და მაისტის რაიონებში, ხევსურეთის საზღვრებზე ყოფილან განლაგებული“ (იქ-ვე, გვ. 62).

ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ ქისტების გვარები ქართული სახისაა. ქისტების გვარებია: ფარეულიძე, აჭიშვილი, ბორჩაშვილი, გაჩალიკაშვილი, ბაღაკაშვილი, ქავთარაშვილი, მარგოშვილი, ნაციშვილი, მუთოშვილი, კოტორაშვილი და სხვა. ენათესავებიან ქართველ კოჭლაშვილებს, ვეშაგურებს, ზაქაიძეებს, მარსაგიშვილებს, მუშტიშვილებს, ღანიშაშვილებს და სხვა.

თავის მხრივ, „ჩეჩნეთ-ინგუშეთში ცხოვრობენ გავაინახებული ქართველები, მრავალი ვაინახი (დარჩიევი, ქარჩიევი და სხვა) თავის წინაპრებად ქართველებს აღიარებს (ხ. მამისიმედაშვილი, ვაინახები და ქართველი მთიელები, 1997, გვ. 19).

ასე რომ, ეთნოგრაფ-მკვლევართა დაკვირვებით, ქისტები საქართველოში XIX ს. დასაწყისში ჩამოსახლდნენ ვითარცა ქრისტიანები და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ერთგული დამცველნი, XIX ს. ბოლოს მათში თანდათან გავრცელება იწყო მაჰმადიანობამ, XX ს. შუა წლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ კი მათი უმრავლესობა უკვე გამაჰმადიანებული იყო.

სრული გამაჰმადიანება XX ს. 90-იან წლებში დასრულებულა.

ქრისტიანული ნიშნების მქონე თავდაცვითი ზოლი ინგუშეთ-ჩეჩნეთის მთებში

ინგუშეთის მთიანი **ზოლი** დარიალიდან (დასავლეთით) მელხისტამდე (აღმოსავლეთით) დახუნძლულია საბრძოლო კოშკებით, რომელნიც იცავდნენ ძველ ქრისტიან მეპატრონეთა ოჯახებს, მათ ეკლესიებსა და სალოცავებს, სოფლებს, საგვარეულოებსა და ხევებს. ეს საბრძოლო კოშკები დარიალიდან მე ერთობლიობაში განლაგებულია **ერთ ხაზზე, ერთ რკალისებრ ზოლზე,** რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. ამ ხაზის ჩრდილოეთის მხარეს სამუსულმანო სამყარო მდებარეობდა, ხოლო სამხრეთის მხარეს – საქრისტიანო.

დარიალიდან მელხისტამდე (დარიალიდან ვიდრე მდინარე არღუნამდე, საქართველოს საზღვართან) ყველა ამ კოშკის ერთ ზოლზე განლაგება იმ ფაქტმა წარმოშვა, რომ ეს კოშკებანი ზოლი საზღვრავდა ორ მტრულ სამყაროს, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ მე-16 – მე-18 საუკუნეებში, ამიტომ ეს კოშკებიანი ზოლი ქმნიდა საზღვარს, დამცავ ზღუდეს, საქრისტიანო სამყაროსა და სამუსულმანო სამყაროს შორის.

ვინ აგებდა ამ კოშკებს, რომელი მხარე – სამუსულმანო სამყარო თუ საქრისტიანო?

საერთოდ, კოშკები იგება არა თავდასხმისათვის, არამედ თავდაცვისათვის.

ვინ იცავდა თავს მე-16 – მე-18 საუკუნეებში, ანდა ვინ იყვნენ თავდამსხმელები?

კავკასიაში თემურ ლენგის შემდეგ, რუსების გამოჩენამდე, თავს მუდამ ქრისტიანები იცავდნენ, შორეული მთების ჭიუხებშიც კი მათ თავს ესხმოდნენ მუსულმანი მეომრები, რომელნიც სარწმუნოების გავრცელების სახელით იპყრობდნენ და იმორჩილებდნენ ქრისტიანებს, რასაც თან სდევდა ხალხის ხოცვა-ჟლეტა და გადასახლება. ზოგჯერ რეგიონის ეთნიკურ-რელიგიური სახის სრული შეცვლა,

ზოგჯერ ხდებოდა ეთნიკური წმენდა, ზოგჯერ კი მომხვდურების მიერ დამორჩილებული მკვიდრების ასიმილაცია, მკვიდრებისა და მოსულების სამეტყველო ენების ურთიერთქმედების შედეგად ახალი ენების ანდა დიალექტების წარმოქმნა, ზოგჯერ კი – ახალი ეთნოჯგუფების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი მე-16 – მე-18 საუკუნეებში დაიწყო. ამ ეთნო ჯგუფების ახალ ხალხებად ჩამოყალიბება გაგრძელდა მე-19 და მე-20 საუკუნეებშიც.

შესაბამისად, ამ კოშკებს აგებდნენ ქრისტიანები მუსულმან მომხვდურებისაგან თავის დასაცავად, ამის ხაზგასმითი ნიშანია თვით კოშკებზე გამოკვეთილი ჯვრები, იქვე მდგომი ეკლესიები და ნაეკლესიარები, სასაფლოები ქრისტიანული ნიშნებით.

ქრისტიანული სოფლები თავს იცავდნენ ჩრდილო კავკასიის ბარიდან ანდა სხვა რეგიონებიდან ამოსული მოლაშქრეებისაგან. ეს იყო თემურ ლენგის შემდგომი ეპოქა, შამილის პერიოდის ჩათვლით, როცა დასუსტებულ საქართველოს უკვე აღარ შეეძლო საზღვრებისა და, შესაბამისად, საზღვრისპირა სოფლების დაცვა. ამიტომაც სოფლები და საგვარეულოები ამ სოფლებისა, ასევე ცალკეული ძლიერი ოჯახები თვითვე აგებდნენ საბრძოლო, თავდაცვით კოშკებს და თავს იცავდნენ.

ქრისტიან ღილღვ-ხევსურებისა და ქრისტიანი ნახჩების ეს რეგიონი ერთ საზღვრისპირა საქრისტიანო სამყაროს წარმადგენდა, რისი დამადასტურებელი ფაქტი, როგორც აღინიშნა, არის კოშკებზე გამოკვეთილი ჯვრები, ეკლესიებისა და სამლოცველოების ნაშთები, სასაფლაოთა ნაგებობებზე ამოკაწრილ-ამოკვეთილი მიცვალებულთა სახელები ქართული ასოებით, რაც ქრისტიანობის ნიშანია, ქართული წიგნი თუ ქართული ასოებით ნაწერი ფურცლები და სხვა, რომელთაც შემდეგ გამუსულმანებული ადგილობრივები თან დაატარებდნენ ძნელბედობის ჟამსაც კი წინაპართა პატივისცემის ნიშნად. საბოლოოდ, აღნიშნული კოშკებიანი ზოლი, ყოფილი საქრისტიანო ქვეყანა, ანუ „ქრისტეთი“, გამუსულმანდა და „ქისტეთად“ იქცა, ქრისტიანი ღილღვების ქვეყანას – ინგუშეთი ეწოდა, ხოლო ქრისტიანი დურძუკებისას – ჩეჩნეთი.

მათი უძველესი, ათასწლოვანი ქრისტიანობის ერთ-ერთი ნიშანი, მაგალითად, არის უკვე გამუსულმანებულ ადგილობრივთა დღესასწაულები ათენგენობის სახელით. ათენოგენი – 1500 წლის წინანდელი ქრისტიანობიდან შემორჩენილი სახელია წმიდანისა, რომელსაც ეკლესია განსაკუთრებით პირ-

ველ ათასწლეულში იხსნებდა, შემდეგ ბარის ეკლესიამ ამ წმიდანის სახელიც კი დაივიწყა, ხოლო მთამ თავისი კონსერვატულობის გამო შემოინახა იმ-დენად კარგად, რომ გამუსულმანების შემდეგაც დღესასწაულობდა. ეს მიუ-თითებს, რომ ძურძუკები და ხევსურები, სხვა მთიიელებთაან ერთად – პირ-ველ ათასწლეულშიც ქრისტიანები იყვნენ.

სხვა მაგალითია, მათ მიერ ასევე თუშოლის დღესასწაულის აღნიშვნა. „თუშოლი“ იგივე ქართული სიტყვა ღვთისმშობელია, ადგილობრივ დიალექ-ტის მიხედვით შემოკლებული.

იმჟამად საქრისტიანო, ამჟამად კი მთიანი ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ხეობების მთავარ, თავისი მნიშვნელობით გამორჩეულ კოშკებს ფასადზე გა-მოსახული ჰქონდათ დიდი ზომის ჯვრები, პოსტამენტებზე მდგარნი. ასეთ ჯვრებს – გოლგოთიანი, ანდა ფეხიანი ჯვრები ეწოდება.

ქრისტიანული საქართველოს მთის ზოლში გოლგოთიანი ჯვრების გა-მოკვეთა საბრძოლო კოშკებზე უნდა გამოეწვია მთის ცხოვრებისათვის მნიშვ-ნელოვან ფაქტს, მე-15, მე-16 საუკუნეების იერუსალიმის აღდგომის ტაძრის გოლგოთის მონასტრის მუსულმანთაგან გათავისუფლება მთის ერისთავის, მაშასადამე, მთიელთა მიერ.

იერუსალიმის აღდგომის ტაძარი და მასში მდგარი გოლგოთა ქრისტია-ნებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანი სასულიერო ცენტრია, როგორიც მექაა მუსულმანთათვის. წარსულში ყოველი ქრისტიანისათვის მისი გათავისუფ-ლება უდიდესი სიამაყის საგანი იყო. იერუსალიმის ეს სიწმიდე კი ნამდვი-ლად გაათავისუფლა საქართველოს მთის ერისთავმა პიპამ, ის წყაროებში ქსნის ხეობის ერისთავადაა დასახელებული, მაგრამ ქსნის საერისთავო, ჩანს, იმ დროისათვის აკონტროლებდა არაგვისა და თერგის სათავეებს და მის მეზობელ მთიან მხარეებს.

ამ დროს, მთის ერისთავმა, ანუ ამ მთის წარმომადგენელმა იერუსალიმ-ში, აღასრულა მთელი მსოფლიოს ქრისტიანებისათვის სანუკვარი ოცნება. მან გოლგოთის, ანუ ქრისტეს ჯვარცმის ადგილას აგებული მონასტერი გაათავ-ისუფლა მუსულმანების ბატონობისაგან.

იერუსალიმის გოლგოთის მუსულმანთაგან გამოხსნა საქართველოს მე-ფის წარმომადგენელ მთის ერისთავ პიპას მიერ იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო. ეს ფაქტი გადაიქცა მთიელთა ბუნებრივი სიამაყის სიმბოლოდ. ამიტომაც მისი სიმბოლოს, გოლგოთიანი ჯვრის, გამოსახვა საბრძოლო კოშკებზე გადაი-ქცა გამამხნევებელ დროშა-ნიშანად იმისა, რომ ქრისტიანებს შეუძლიათ მუსუ-ლმანთაგან თავის დაცვა და გამოხსნა. ჯვარი კოშკებზე ამხნევებდა მებრძოლ-ებს და აძლევდა ძალას მუსულმანებთან თავდაცვითი ომის დროს.

უმალატ გადიევი წერს, რომ საბრძოლო კოშკები გოლგოთიანი ჯვრე-ბით გვხვდება შემდეგ ინგუშეთის სოფლებში:ხიანი, ლეიმი, ოზიგი, თარგიმი, ეგიკალი, პიალინგი, ნიი, კერბი, გოლი და სხვა. ასეთი გამოსახულება იყო სოფ. ეზმის საბრძოლო კოშკზე. მთის ინგუშეთის გარეთ გოლგოთიანი ჯვარი ჩეჩნეთშის სოფ. მალხისტში

1897 წელს ვ. დოლბეჟევმა ჩაიწერა ძველი გადმოცემა, რომ ჩეჩნეთის იტუ-კალეს რაიონის პირველწინაპარი და პირველი მაცხოვრებელი იყო ღალ-ღაელი იტონი. მან მდ. არღუნზე დასახლების ადგილას ააგო კოშკებიანი აუ-ლი, რომელსაც ხალხმა უწოდა იტონ-კხალა (В. И. Долбежев, Архив. иссл. в Терской области, Журнал этнологии Т. 19. 1887 г. Берлин Архивный Вестник. Вып. I. Назрань, 2004. с. 13, перевод с немецкого Б.Д.Газикова). იგივე გადმო-ცება ითონისა და ითონკალეს შესახებ მომაწოდა ხევსურეთის მკვიდრმა ლევან ზვიადაურმა, სადაც ითონი ქართველადაა (ხევსურადაა) დასახელე-ბული და არის მტკიცება, რომ ითონკალეს მცხოვრებნი ახლაც კი თავიანთ თავს ქართველებისაგან წარმოშობილებად მიიჩნევენ. ვფიქრობ, რომ ორივე აზრი სწორია, რადგანაც ღალღელებიცა და ხევსურებიც თავდაცვითი ომის დროს ერთი ქრისტიანი ხალხი იყო. მათ სისხლისმიერი ნათესაობის გარდა აერთიანებდა ერთი კულტურა, ერთი სარწმუნოება და ერთი ტრადიცია. ისინი ერთი კულტურისაგან განლცალკევდნენ მხოლოდ რელიგიური სხვადა-სხვაობის გაჩენის შემდეგ არც თუ დიდი ხნის წინ.

1960-იან წლებში ე. კრუპნოვი წერდა: „Ингушские башни для своего вре-мени были подлинным чудом человеческого гения, как для нашего столетия новые шаги человека в небо». (Е.И. Крупнов. Средневековая Ингушетия. 2-е издание. Магас, 2008, с.88).

ეს კოშკები ააგო ქრისტიანმა ხალხმა, რომელთა შთამომავლები დღეს იწოდებიან ინგუშებად. ჩეჩნების, ინგუშებისა და ქართველების საერთო ქრის-ტიანი წინაპრები იყვნენ ამ საოცარი არქიტექტურული შედევრების მშენებლე-ბი.

მარიამ ბეჟიტაშვილი ჟურნალ „ისტორიანი“- ში იკვლევს ქრისტიანული ინგუშეთისა თემას

hppt://www.kvirispalitrage/historiy/12842–qreistianuli–dzeglebi–ingushethshi.html?add =1&device=xhtml№comments

ის წერს: ერთიანი საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ „ღლიღვ-დურძუკნი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა კავკასიის მთასა შინა მცხოვრებელნი“.

ერეკლე II-სა და თეიმურაზ II-თან ერთად იბრძვიან ვაინახები 1750 წელს ყიზილბაშური სახანოების, ხოლო 1754 წელს – ნურსალ-ბეგის წინააღმ-დეგ, 1769–74 წლებში – რუსეთ-თურქეთის ომში, 1778 წელს – ერევანზე ლაშქ-რობისას, 1785 წელს კი – ომარ-ხან ავარიელის შემოსევის დროს. ერეკლესთვის ვაინახი ხალხი იყო სამხედრო ლაშქრის შევსების მუდმივი წყარო და ბარიერი ქვეყნის განაპირა მხარეებში დაღესტნელ მეკობრეთა წინააღმდეგ.

ქართული სამეფოების საბოლოო გაუქმებამ და რუსეთის ანექსიამ ორი-ვე ხალხი დეზინტეგრაციის გზით წაიყვანა, http://www.kvirispalitra.ge/historu/12842–-qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?add =1

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება VII–VIII საუ-კუნეებში იწყება ქართველი მეფე http://www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzegl-ebi–ingushethshi.html?aad =1

მთავრების მიერ. ქართველ მისიონერებს შეჰქონდათ სასულიერო წიგნები (იოანე ბაგრატიონის ცნობით, ძურძუკებმა და ღლიღვებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა – ქისტური), აშენებდნენ ეკლესიებს. პატრიარქ ექვთიმეს თავად შემოუვლია და შეუსწავლია ეს კუთხე. ქრისტიანობის კვალი კარგად იკითხება ეთნოგრაფიაში, წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ დღესასწაულებში. დღეს ქართული ეტიმოლოგია 35 ძეგლს ემჩნევა. ბევრია საკულტო ნაგებობაც. აღსანიშნავია სვანური კოშკებისა და შიდა ქართლის დარბაზული ტიპის მსგავსი ნაგებობები. ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელი ტერიტორია დაფარულია ქართული ქრისტიანული წარმომავლობის ტოპონიმებითა და გაუქმებული სამლოცველოებით, ერთ-ერთი ასეთია „თუშოლი“ (თიშუოლ/თიშოლ/თიშლ, რომელიც ალექსი ჭინჭარაულის აზრით, გახლავთ ვაინახური ენების კანონზომიერებით გადასხვაფერებული ქართული ღმრთისმშობელი) და „ბარამ-ტაში“ („მარიამის ქვა“). ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაში გვხვდება ქრისტიანული ეკლესიები: გალ-ერდი, ალბი-ერდი, მაგი-ერდი და ყველაზე დიდი მათ შორის – თხაბა-ერდი/ტყობა-ერდი.

http://www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?aad =1

1781 წლიდან მოყოლებული, არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა ტყობა http://www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?aad =1

ერდის ტაძრით. ის მდებარეობს თარგიმის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში სოფელ ხაირახის მახლობლად, წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას და, ქართული ძეგლების მსგავსად, ორიენტირებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ტაძარი IX საუკუნემდე არსებული ნაგებობის საძირკველზეა აგებული, მაგრამ, როგორც ჩანს, რამდენჯერმე გადაკეთდა. მთავარი ეკლესიის ინტერიერსა და სამხრეთის ფასადზე ინგუშეთის ეროვნული ხუროთმოძღვრების ელემენტებიცაა გამორჩეული ორიგინალური დეკორითა და ჩუქურთმებით. როგორც ფასადის მხარეს, ისე ინტერიერში, შირიმის ქვის ბლოკებზე ამოკვეთილია ადამიანისა და ცხოველების რელიეფური გამოსახულებანი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც ამ ნატაძრალს უკავშირდება, არის ძველ ქართულ დამწერლობიანი სამშენებლო კერამიკა – ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები. ამ წარწერებში მოხსენიებული „არსენი მ“-ის არსენ მამამთავრად ახსნის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ წარწერათა პალეოგრაფიული და ტაძრის არქეოლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობითი მონაცემები X საუკუნის II ნახევრისა და X–XI საუკუნეების მიჯნისკენ მიუთითებს, არქეოლოგი და კავკასიოლოგი გივი ღამბაშიძე ასკვნის, რომ მისი აღმშენებლობა ქართლის კათალიკოს არსენ II-ის (955–980 წწ.) სახელს უკავშირდება. ტაძრის აღშენების ვითარებაც გამხელილია დასავლეთის ფასადის რელიეფზე: http://-www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?aad =1

ქრისტესგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოსახულ ფიგურას ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში – მახვილი. ეს მართლაც საპროგრამო გამოსახულება საუკეთესოდ გადმოგვცემს ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა კრედოს.

ალბი-ერდის ტაძარი ცენტრალურ ინგუშეთში, ხამხის საზოგადოებაში, მდებარეობს (მეორე ნაპირთან მიტოვებულ სოფელ თარგიმშიც არის ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი).

ბაშირ დალგათი ძეგლის სახელს მის მშენებელს უკავშირებს. მიმდებარე სოფლებიდან ის განცალკევებით დგას, ფერდობის შუა წელზე, ნახევარი კილომეტრის დაშორებით უახლოესი ნასოფლარიდან. ტაძარი დღეს დაზიანებული კედლების სახითაა მოღწეული. მისი ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს წაგრძელებულ, დარბაზული ტიპის ნაგებობას. ეკლესიის ქვეშ დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის საძვალეა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელზე ორი პილასტრის ნაშთია, რომელთა თაღში გადმოსაყვანადაც ქართული გამომწვარი აგურია გამოყენებული.

ალბი-ერდი ერთადერთი ტაძარია აქ, რომელშიც შემორჩენილია მხატვრობაშელესილობის მკრთალი კვალი, გაირჩევა რამდენიმე შარავანდის მოხაზულობა, ფიგურათა დეტალები, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ლურჯ-მოყავისფრო შეფერილობა. ეს ყველაფერი გამოცდილი მხატვრის ხელზე მიანიშნებს.

სინკრეტული (რელიგიის ფორმა, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა რელიგიათა ელემენტები) რწმენის საფუძველზე შექმნილი ტიპური ნაგებობებია გალ-ერდი და დელიტეს (დოლტე) საკულტო შენობა.

ჩეი-ლამის ქედის ძირში, მდინარე ასასა და დარიალის მაკავშირებელი ისტორიული გზის მახლობლად, სოფელ ყართში მდებარეობს დელიტე/დოლტეს საკულტო ნაგებობა (უზენაესი ღვთაების დელის/დეალის სახელიდან, ტე ნიშნავს მწვერვალს). ის კავკასიის ეტალონური ტაძრებისგან განსხვავებულია, კლასიკური ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისთვის შეუსაბამო, ნაკლებ სიმეტრიული, ფიქლის საფეხურიანი ორფერდა სახურავით, თაღოვანი შესასვლელით სამხრეთიდან. შიდა სივრცეში ორი შეკიდული თაღია და სამსვეტიანი საკურთხეველი (ნიში), რომლის სიღრმეში, ისევე როგორც გარე ფასადების წყობაში, გამოყვანილია დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრები (მდინარე ასას ზემო წელზე რამდენიმე ციხესიმაგრის კოშკებზეც გვხვდება ეს ნიშნები. საყურადღებოა, რომ XVIII საუკუნეში ასეთი კოშკების მშენებლობა წყდება). რკინის ჯვრები ნაგებობის სახურავზეც (ორქანობიანი, საფეხურისებური) ყოფილა აღმართული XIX საუკუნეშიც კი. ზოგი ამ ტაძარს პირველყოფილ – წარმართული კერპმსახურების კერად მიიჩნევს, ზოგი XIII –XIV საუკუნეების წმიდა ინგუშურ წარმართულ ნაგებობად, ზოგი კი – გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამლოცველოდ და ქართულ ანალოგიასაც (დოლისყანის ძველი ტაძარი ჭოროხის ხეობაში) უძებნის. ეს ძეგლი, როგორც ჩანს, ძალიან გამარტივებული საკულტო ნაგებობა იყო ქრისტიანული ტაძრის ფუნქციით, რაც ლოგიკურია რუსი ელჩების აღწერებიდან გამომდინარე. ნორმების რღვევა კი არაკვალიფიციურმა ხელოსნებმა ან წინამორბედ წარმართულ სამლოცველოსთან განზრახ მიმსგავსებამ გამოიწვიეს.

გალ-ერდი მდებარეობს სოფელ ეგენტის მეზობლად წყალგამყოფ ქედზე. ძეგლი იმდენად დაზიანებულია, რომ პირვანდელ ფორმაზე დაბეჯითებით საუბარი შეუძლებელია. მას მხოლოდ ვსევოლოდ მილერის ჩანაწერებით აღადგენენ სქემატურად. ნაგებობის ზედა ნაწილი ჩამოქცეულია, გალავნის კედლიდანაც მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტებია დარჩენილი. ამ ძეგლის

შესახებ პირველი ცნობა მოცემულია ინგუშებსა და რუსებს შორის 1810 წელს დადებულ ხელშეკრულებაში, რასაც სწორედ გალ-ერდიზე ფიცით განამტკიცებდნენ ინგუშები. მკვლევარ ანდრეი შეგრენის 1846 წლის ჩანაწერები ადასტურებს, რომ ინგუშები დიდ პატივს სცემდნენ ამ ტაძარს, ახალ წელს აქ ხდებოდა ქადაგად დავარდნა, ანთებდნენ სანთლებს და სწირავდნენ მსხვერპლს. კედლების პარალელიზმის დარღვევა, თუ მარტივად გადაწყვეტილი სახურავი (ერთქანო ბიანი) და სხვ. თვალსაჩინოს ხდის, რომ ადგილობრივ ხალხურ სამშენებლო ხელოვნებას შეერწყა ქართული არქიტექტურა, რომ უფრო გასაგები და მისაღები ყოფილიყო მთიელთათვის.

საქართველოს გავლენით შექმნილ ქრისტიანულ ძეგლებად მიიჩნევენ ასევე, მიატარ–დელასა და მაგო-ერდას. http://www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?aad =1

აქ ნათქვამია: „ამ ძეგლების შემორჩენილი კონსტრუქციების, არქიტექტურული პროფილების სიმკვეთრე, ხეობათა და მთის გზების გადაკვეთაზე მშვენივრად მოძებნილი განლაგება, ქართული მასალების გამოყენება მშენებლობაში და განზომილება უთუოდ მიუთითებს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ეჭვშეუტანელია კავკასიის მთიან ნაწილში ქრისტიანობის შეღწევა და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართულ-ინგუშური მჭიდრო ურთიერთობების არსებობა. ეს ეთნიკური ერთობა ვითარდებოდა პანკავკასიური იმპერიის ფარგლებში და სწორედ ეს ძეგლებია ამ იმპერიის მასშტაბით ქართული კულტურის ექსპანსიის დასტური. ზოგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ამ ძეგლების შექმნის პერიოდში კავკასიონის მთიელთა კონფესიონალური თვითშეგნება მნიშვნელოვნად ქრისტიანულიც კი იყო და რომ **ვაინახთა ნაწილმა გვიანობამდე შეინარჩუნა ქრისტიანული ეკლესიისადმი თავისი კუთვნილების შეგნება“.**

ჩეჩენი ტოპონიმისტი **აჰმად სულეიმანოვი** წერს: „ხილდეხაში (წყალსიქითი) 1944 წლამდე იყო სოფელი ქერისტიე, სადაც ყველაზე გვიან მიიიღეს მუსლიმანობა. ამ სოფლის შესახებ ამბობდნენ, **ქრისტიანობის ცენტრი** იყოო.

ინგუშები რომ უკვე ტრადიციად ქცეულ რწმენით ჩვეულებებსა და სიმბოლოებს პატივისცემით ერთგულობდნენ, ამის კარგი მაგალითია მათ ოჯახებში აღმოჩენილი, პერგამენტზე ქართული ენით დაწერილი სასულიერო ტექსტები, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემდნენ და ინახავდნენ წმინდა განძივით. ერთ ფაქტს მოვიყვანთ, მაგალითად. X საუკუნის გიორგი მთაწმინდელისეული ქართული ფსალმუნის ფურცლებს მიაკვლიეს ნაზრანში, 80 წლის აბდულვაჰაპ ელჯარკიევთან, მას XX საუკუნის დასაწყისში მაგი-ერდის საგვარეულო სამლოცველოში აღმოუჩენია ეს განძი და, მაჰმადიან კაცს, უბით უტარებია 13 წლის განმავლობაში შუა აზიის ტრამალებში გადასახლების დროს“.

ეს ემოციური ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ ბედის უკუღმართობით გამოწვეული კონფესიური სხვაობა არ შეიძლება ინგუშებისა და ქართველების ურთიერთობაში დამაბრკოლებელი იყოს,“ წერს მარიამ ბეჟიტაშვილი (ისტორიულ–შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“ http://www.kvirispalitra.ge/history/12842–qristianuli–dzeglebi–ingushethshi.html?aad =1

რუსული ეკლესიის მუშაობის ზოგიერთი შედეგი ვაინახთა შორის

ვაინახების, კერძოდ, ინგუშების, ჩეჩნებისა და ქისტების (ნახების) ეთნო-კულტურული კავშირი ქართულ სამყაროსთან უეჭველია.

ეს ხალხი თავის დროზე, თითქმის XIX ს. შუა ხანებამდე, ქრისტიანი იყო. უფრო მეტიც, ამ ხალხში დაცულია წინაპართა გადმოცემები, რომ მათი საგვარეულოების ერთი ნაწილი ქართული წარმოშობის იყო. ცნობილ მკვლევარს ე. კრუპნოვს მრავალ ლინგვისტურ მონაცემებთან ერთად მოჰყავს ინგუშური და ჩეჩნური ხალხური თქმულებები ზოგიერთი საგვარეულოს ქართული წარმოშობის შესახებ (Е. Крупнов, К истории Ингушетии, ВДИ, 1939, №2. с. 84).

თავის დროზე ჩეჩნეთ-ინგუშეთი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, როგორც ამას მიუთითებს იქ დღემდე არსებული ეკლესიები ქართული წარწერებით. თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ, როგორც ცნობილია, ჩრდილო-კავკასიაში გავრცელდა მაჰმადიანობა, მაგრამ ინგუშებსა და ჩეჩენთა შორის ქრისტიანობა რუსების შემოსევებამდე ჯერ კიდევ არსებობდა. ქრისტიანობის შესუსტების შემდეგ მეფე თეიმურაზმა ყურადღება მიაპყრო ჩეჩნეთ-ინგუშეთსაც. მეფე თეიმურაზმა საქართველოს მთიანეთში და მომიჯნავე მხარეებში ქრისტიანული რწმენის აღდგენა – განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა. თუშეთში, ფშავსა და სხვა რაიონებში მრავალი ეკლესია აღდგა და აშენენდა. ტეიმურაზი მიიჩნევდა, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთი მის სამეფოში შედიოდა, იქაური მოსახლეობის მხრიდანაც მას ჰქონდა მხარდაჭერა, ამიტომაც ამ მშენებლობების გარეშე არც ჩეჩნეთ-ინგუშეთი დარჩენილა. თვით თეიმურაზისაგან მომდინარე 1638–1639 წლების დოკუმენტები მოწმობენ ამ ფაქტს თეიმურაზის სიტყვით: „**ყველა ამ მთათა მცხოვრებნი მე მემორჩილებოდნენ, ჩემთან მოჰქონდათ თავიანთი ძველი სიგელები, რომელთაც მე ვამტკიცებდი და მრავალი ინათლებოდა**“. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჯერ კიდევ მე-17 საკუნეში ჩეჩნეთ ინგუშეთის დიდებულები ინახავდნენ ქართველ მეფეთა მიერ ბოძებულ სიგელ გუჯარებს, რომლითაც მათ ქართველ მეფეთა მიერ ენიჭებოდათ მიწები ანდა თანამდებობები. საქართველოს ყოველი ახალი მეფე, როგორც წესი, ამტკიცებდა და ანახლებდა წინა მეფეების მიერ გაცემულ მოწმობა – სიგელებს, ასევე მოქცეულა თეიმურაზი ჩეჩნეთ-ინგუშეთში, მას აქ მრავალი სიგელ – გუჯარი განუახლებია, ანუ ხელახლა დაუმტკიცებია.

იმავე საუკუნის 40–50-იანი წლების ვაინახური წერილობითი წყაროები თეიმურაზს „**ჩვენს მეფეს**“ უწოდებენ. ამიტომ რუსეთის ელჩობა საქართველოში ხშირად იყენებდა ინგუშეთზე გამავალ გზებს.

თეიმურაზამდელ საუკუნეებში აქაური მთიულები მოშურნე ქრისტიანები იყვნენ.. ამიტომაც თავიანთ საბრძოლო კოშკებს ჯვრებით ამკობდნენ (კოშკებზე სახავდნენ ე.წ. გოლგოთიან ჯვრებს). უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ XVI ს-დან საქართველოს არა თუ მრავალი ეკლესიის, არამედ ციხე-სიმაგრის ფასადებზე ჩნდება გოლგოთიანი ჯვრების გამოსახულებანი. ამ დროიდან გოლგოთა მრავალგზის მოიხსენიება საბუთებში, მათ შორის, თეიმურაზის

მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ სიგელებშიც. მდ. ასას ზემო წელზე, დელიტეს ტაძრის მახლობლად, შემორჩენილია ვაინახთა რამდენიმე XVI–XVII სს ციხე-სიმაგრე, რომელთა საბრძოლო კოშკებზე გოლგოთიანი ჯვრებია გამოსახული. ამ კოშკებს აქვთ სათოფურები, გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღისათვის, ხოლო XVIII ს-ში ასეთი კოშკების მშენებლობა უკვე წყდება (დ. ჩახკიევი).

თეიმურაზის ეპოქის დელიტეს გოლგოთიანი ჯვრის მოტივი შემონახულია ასევე ინგუშეთის რიგი სხვა ძეგლების გვიან შელესილობაზე (მიატარ–დელა, მაგო-ერდი და სხვა), (ვ. ვინოგრადოვი, „XVII ს. საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ძეგლი“ ჟ. „ძეგლის მეგობარი“ 1982, გვ. 53).

XVIII საუკუნეში ქართველთა სამეფო კარმა კვლავ მიაპყრო თვალი ინგუშეთში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეს. მთაში სამისიონერო მოღვაწეობა იმ დროისათვის იტვირთა იოანე მანგლელმა. ამასთან დაკავშირებით ეპისკოპოსი კირიონი წერდა: – „ხირსის მონასტერს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამისიონერო-სარწმუნოებრივ საქმეში, იყო ერთ-ერთი საუკეთესო სამისიონერო ბანაკი. ამ სავანის მკვიდრნი დაუღალავად და ენერგიულად იღვწოდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად პირქუშ ლეკთა შორის, რომლებიც იმ დროისათვის მიუდგომელი დაღესტნის ველური და თავისუფალი შვილები იყვნენ. ამ მონასტრის წინამძღვართაგან სამისიონერო სარბიელზე განსაკუთრებით იღვაწა XVIII საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში კარგად ცნობილმა წმ. იოანე მანგლელმა ეპისკოპოსმა, გვარად სააკაძემ (28 მარტი, 1751 წ.), რომლის წმიდა ნაწილები განისვენებენ ტფილისის სიონის საკათედრო ტაძარში სიონის ღვთისმშობლის თითქმის პირდაპირ (ცოტა მარჯვნივ). ეს ცნობილი და უშიშარი მისიონერი, რომელმაც საღვთისმეტყველო განათლება მიიღო დავით გარეჯის სკოლაში, ბერთუბნის უდაბნოში, მოციქულებრივი სულისკვეთებით მოღვაწეობდა ქალაქებში: დერბენტში, ასტრახანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მრავალ ალაგას აარსებდა მონასტრებს, სკოლებსა და ეკლესიებს და ყველგან უხვად ავრცელებდა ქრისტიანული სიბრძნის სხივებს. განსაკუთრებით ბევრი იღვაწა მან ოსეთისა და ინგუშეთის მოსაქცევად, რის გამოც, სრულიად სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ იგი მათ ახალ განმანათლებლად. მცირე ხატი, ამ მღვდელმთავრის ნაწილებით შემკული, რომელსაც ატარებდა გულზე უკანასკნელი კათალიკოსი ქართველი ბატონიშვილი ანტონ II, ამჟამად ინახება ტფილისის ანჩისხატის ტაძრის საკურთხეველში“ (ეპისკოპოსი კირიონი, „ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი“ გამოცემული დეკანოზ მიქაელ ჭაბაშვილის მიერ, თბ. 1998, გვ. 16).

კირიონმა კარგად იცოდა ინგუშთა შორის მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა შესახებ, რადგანაც მისი წინაპრები თავადვე მოღვაწეობდნენ ინგუშეთში. მაგალითად, „კირიონის წინაპრებს დიდი წვლილი აქვთ დიდოელთა, ინგუშთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში“ (იქვე, გვ. 3), მისი მამაც მისიონერობდა მთიულთა შორის.

XIX ს. I ნახევარში, ძველი ქართული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად ინგუშთა შორის მოღვაწეობდა ყაზბეგელი მღვდელმონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილი, ქართველ სასულიერო პირთა ღვაწლის შედეგად ინგუშეთში არსებობდა ქრისტიანული სამრევლოები და მოქმედი ტაძრებიც. მაგალითად, 1835 წლის 26 იანვარს ნაზრანში ინგუში მრევლისათვის მღვდლად ხელი დაასხეს ქართველ არქიმანდრიტ გრიგოლ ბერძენიშვილს (იქვე, გვ. 39). ეს მღვდელი ოსეთის სასულიერო კომისიას დაუქვემდებარეს. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ კომისიისა და შემდეგ კი ზემოთაღნიშნული რუსული „საზოგადოების“ ანტიქართული ქმედებების გამო განაცხადეს უარი ინგუშებმა ქრისტიანობაზე XIX ს. შუა წლებში და გამაჰმადიანდნენ.

სხვა უამრავ მაგალითთა შორის ერთერთი დაფიქსირებული ფაქტია ის, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში ეკლესიების ნგრევა და მათ ადგილებზე მეჩეთების შენება XIX ს-ის შუა წლებიდან დაიწყეს. რუს მეცნიერს ლ. სემიონოვს ინფორმატორმა ჩახ ახრიევმა მიაწოდა ცნობა ერთ-ერთი ასეთი ფაქტის შესახებ – «Чах Ахриев сообщал что на территории Чечено-Ингушетии на месте одной из мечетей стояла грузинская церковь, разрушенная в середине XIX века» (Л.П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925–27 гг., с. 203).

ცხადია, ვაინახი ხალხი, რომელიც რუსებმა ჯერ ქართველებისაგან გააუცხოვეს, შემდეგ კი, საერთოდ, ოსმალეთში გადასახლება აიძულეს, მძულვარებით განეწყო ყოველგვარი რუსულის, ე.ი. ქრისტიანულის მიმართ, თუმცა მათ შორის ჯერ კიდევ მრავალი ქრისტიანული სოფელი და თემი იყო.

ბოლოს და ბოლოს ჩეჩნეთ-ინგუშეთი მათი წინაპრების მიერ აგებული ეკლესიებითა და სალოცავებით იყო მოფენილი, რომელთა დათმობა არც ისე ადვილი საქმე იყო. მაგალითად, ინგუშური კულტურის აკვანში, მდინარე ასას სათავეებში მდებარე ცნობილი დელიტეს ტაძარი (სოფელ ქართის ნანგრევებთან) XVII ს. დასაწყისში ყოფილა აგებული „ხამხელთა“ ძლიერი და გავლენიანი თემის მიერ (ვ. ვინოგრადოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 53).

თბილისის სასულიერო აკადემიაში 1993–96 წლებში სწავლობდა ხევსური სამოელ ზვიადაური. მე წერილობით დავუკავშირდი მის მამას, ლევან ზვიადაურს, ხალხურ მთქმელსა და ბრძენ კაცს, რომელმაც ჩემს შეკითხვაზე ქისტებთან დაკავშირებით, ასეთი წერილობითი პასუხი გამცა. კერძოდ, იგი მწერს: „ახლა გპასუხობთ თქვენს შეკითხვებზე, ჩვენი პირიქითა ხევსურეთისა და იქ ჩამოსახლებული ქისტების შესახებ. მთლიანი ხევსურეთი იყო ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი. მაგრამ ეკლესიები არ იყო და ამიტომ ძირითადათ ხატთა თაყვანისცემა იყო გავრცელებული. წმიდანთა სახელზე პატარ-პატარა სალოცავები (ნიშები) იყო აშენებული. დროის გამოთვლა ხდებოდა კვირეებით და არა ყოველდღიურად. გამოთვლა იწყებოდა გიორგობიდან (კვირა დღიდან), ერთს და ორ დღეს მნიშვნელობა არ ქონდა. წინ იქნებოდა თუ უკან ოცი კვირა რომ შესრულდებოდა (ოცობა), ლოცულობდნენ წმიდა აღდგომას, რაც მარტის ბოლო რიცხვებს ემთხვეოდა ძველი სტილით.

ქისტები რომ ჩამოსახლდნენ, მაშინ ქისტეთშიც ქრისტიანობა იყო გავრცელებული. პირველად ერთი ოჯახი შემოეხიზნა ხევსურებს. იმ დროს მაღალი კლდიდან (ყორიდან) ხევსურის ბავშვს ქვა ჩამოუვარდა, ქისტის ბავშვს დაეცა თავში და მოკვდა. ქისტებმა შური არ იძიეს, სამაგიეროდ მიწა აიღეს, რაც მათი დასახლების და გამრავლების საფუძვლად იქცა. გვარად იყვნენ ბორჩაშვილები. ცხოვრობდნენ დაიაურებთან და შეთეკაურებთან ერთად სოფ. მუცოში. როცა ხალხი გამრავლდა, შეთეკაურები და ბორჩაშვილები გადავიდნენ საცხოვრებლად სოფ. ხონეში. მერე ქისტებმა შექმნეს დამატებით პატარა 4–5 კომლიანი სოფლები უნარი და ბაყაწეხი. სამივე სოფელში მთლიანად 30 კომლამდე მაცხოვრებელი იქნებოდა.

სოფ. მაისტზე რომ მეკითხებით, არსებობდა ქისტეთის ტერიტორიაზე, რომელთაც ჰქონდათ პრეტენზიები შატილსა და მის მიმდებარე სოფლებზე. როგორც ზოგიერთ ქართულ გვარებს აქვთ დაბოლოება (ური) მაგ. ძებნიაური, ასეთივე დაბოლოება აქვთ ზოგიერთ ქისტურ გვარებს, მაგ. ნაცაური.

ნაცაურები ზოგი ხევსურეთში ცხოვრობდა, ზოგი ქისტეთში. აქედან გამომდინარე, როგორც სავარაუდოა, ქართველების ასიმილაცია მოხდა ქისტებში და მათ თავიანთი უწინდელი ტერიტორიები ახსოვთ.

ხევსურეთში მაცხოვრებელი ქისტების გამაჰმადიანება მოხდა მამაჩემის ბავშვობის პერიოდში (დაბადებული იყო 1901 წელს).

ხევსურეთის ერთი კუთხეა არხოტი, სადაც მიედინება მდინარე ასა. ამ მდინარის მეორე მხარეზე არის დიდი ხეობა მრავალი სოფლებით. თითოეულ სოფელში არის ერთი ან ორი ციხე. ყოველ ციხეს აქვს ქრისტიანული ჯვარი, მშენებლის მიერ გამოკვეთილი. ამ ხეობას და მდინარესაც ეწოდება ღული. ჩემი წარმოდგენით, არხოტშიც და ღულშიც ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა. ქისტების მიერ შევიწროებული (აქაური) მოსახლეობის ნაწილი აიყარა და გადმოსახლდა ხევსურეთში და თავიანთ სოფელს აქაც ღული დაარქვეს, რომელიც დღესაც ამავე სახელწოდებით სარგებლობს. შემდეგ ღულიდან ხევსურების ერთი ჯგუფი გადმოსახლდა თიანეთის რაიონში და თავიანთ სოფელს აქაც შეარქვეს ღულელები.

ქართულ და ქისტურ მეტყველებაში ძალიან ბევრია სიტყვათა მსგავსება, ერთფუძიანობა. მაგ. ქისტურად დედაკაცი არის ძუდ. რაც ქართულში მდედრობითის გამომხატველია. მაგ. ძუ ლომი, ძუძუ, ძიძა... ქისტურად ნაან დედას ნიშნავს. ქართულად ნანა დედას ერქვა. ქართულად ფუძე მარჯ, ქისტურად მარჩ.

რა თქმა უნდა, თითოოროლა სიტყვით არ ამოიწურება ქართულ-ქისტური ურთიერთობა. ამისთვის აუცილებელია ორივე ენის ძირფესვიანად ცოდნა.

დანარჩენი რა მოგახსენოთ, პირიქითა ხევსურეთის შესახებ განცდილ-მოსმენილი ტრადიციები ლექსებად და პოემებად მაქვს დაწერილი. რომ ვიცოდე აქედან რამე დაგაინტერესებდათ, აუცილებლად ამოგიწერდით“.

მეორე წერილში ბატონმა ლევან ზვიადაურმა შემდეგი ცნობა მომაწოდა: „რაკი ქისტები ვახსენე, ერთსაც ვიტყვი: ქისტეთში არის ერთი კარგად მოზრ-

დილი სოფელი „ითონხალე“ იმ სოფლის თითქმის ყველა უფროსი და შუახნის ხალხი აცხადებდა, რომ ძირითადად ქართველები არიან“.

ბატონი ლევან ზვიადაური ახლაც ცოცხალი და ჯანმრთელია, ცხოვრობს თიანეთის რაიონის სოფელ ალოტში, ერწოში და კარგად იცნობს ქისტების ცხოვრებას, მისი ცნობები სანდოა.

საერთოდ, ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქართული (ანუ ქრისტიანული) ტაძრების სიმრავლის შესახებ რუსი მკვლევარებიც წერენ. მაგალითად, ბ. ალმოროვის ცნობით, «Имеются многочисленные сведения о большом скоплении церквей, больших и малых на территории Чечено-Ингушетии» (Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925-27 гг. С. 203).

ზოგიერთმა ამ ეკლესიათაგან ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ქართული სახელწოდება, მაგალითად, მკვლევარ ე. შანტრას ცნობით, მდინარე ასას ხეობაში დგას ორი ეკლესია „ტვირლის წმიდა“ და „თხობა-ერდი“. სემიონოვის აზრით, პირველის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს „ალბი-ერდის“ ეკლესია“ (З. Дидебулидзе, Культурные взаимосвязи народов Грузии и Центрального предкавказья», 1983, ц. 65).

ა. შავხელიშვილის აზრით, სიტყვა „თხობა“ არის დამახინჯებული ქართული სიტყვა „ღვთაება“ (А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, Грозный, 1963, с. 85).

დ. ბაქრაძე თხობა-ერდის ტაძრის აგებას, აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, 830 წლით ათარიღებდა, რასაც ფაქტიურად ეთანხმებოდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, რომელიც ტაძრის აგების პირველ პერიოდს IX ს-ით ათარიღებდა (ბოლო მეოთხე პერიოდს – XV–XVI სს-ით). ტაძარს ჰქონდა ქართული წარწერები ბარელიეფებზე. დ. ბაქრაძის წაკითხვის შესაბამისად, ტაძარი აუგია ადგილობრივ მფლობელს, პატრონ დავითს. ეპისკოპოსი კი ყოფილა გიორგი (ზ. დიდებულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 63).

საერთოდ, ინგუშეთი და, კერძოდ, კი ასას ხეობა ქართული კულტურის არეალს წარმოადგენდა, რასაც სატაძროსთან ერთად საერო არქიტექტურაც ადასტურებს (იქვე, გვ. 7–476), თუ არას ვიტყვით ინგუშთა მიერ ქართული ამბების, ლეგენდების და მითების გათავისების შესახებ. ინგუშები საეკლესიო თვალსაზრისით ქართულენოვანი წირვა-ლოცვის მქონენი იყვნენ აღნიშნული IX საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, თითქმის ათასი წელი, რუსების კავკასიაში შემოსვლამდე, რომელთაც თავიანთი არაეკლესიური პოლიტიკის წყალობით არა მარტო ერთმანეთს დააშორეს ერთიანი სულის მქონე ინგუშები და ქართველები, არამედ უნებლიედ ხელი შეუწყეს ინგუშთა მიერ ქრისტიანობის უარყოფას.

1.09.2000 თბილისი

ფოტო – ლებაისკარის კოშკი ხევსურეთში.პირიქითა ხევსურეთი არის სასაზღვრე ზოლი, რომელიც გამაგრებული იყო ციხე–სიმაგრეებით. და ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ საქართველოში იქიდან მტერი არასოდეს შემოსულა. ბოლო ბრძოლა შატილში იყო შამილის ნაიბთან. თვითონ ეს ნაიბიც იქ მოკლა 70 შატილიონმა, მეომარმა. შატილიდან დაღესტნისკენ უკან შეატრილა 3-ათასკაციანი ლეკების ლაშქარი. ასეთი პირობით მოდიოდნენ: ჩვენ თქვენ არ გერჩით, ჩვენ გადავალთ საქართველოში, ოღონდ თქვენ გაგვატარეთო. ამათ არ გაატარეს და პირდაპირ ეომნენ. ასეთი პატარა ისტორიაცაა: ბრძოლის დროს ციხე-სიმაგრეში ცოლი ქმარს უტენიდა და აწვდიდა თოფს. ამ დროს სარკმლიდან შემოვარდნილმა ტყვიამ აკვანში ბავშვი მოკლა. დედამ, ანუ ცოლმა აკვანში ბავშვს ზეწარი გადააფარა, რომ ქმარს არ დაენახა და ხელი არ აჰკანკალებოდა, და გააგრძელა ტყვია-წამლის მიწოდება. როცა ბრძოლა დამთავრდა, მხოლოდ შემდეგ უთხრა, შვილი მოგიკვდაო. არც არის გასაკვირი, აქ რომ მტერი ვერ შემოდიოდა, რადგან ასეთი ხალხი ცხოვრობდა.

readმორე:https://sputnik–georgia.com /people/20170510/235929328/piriqita–xevsureti.html

დასკვნა

ამჟამინდელი ხევსურეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები მე-18 საუკუნემდეც კი დასახლებული იყო ქრისტიანი მოსახლეობით (მათ „ქერისტებს“ (ქისტებს), ანუ ქრისტიანებს უწოდებდნენ მეზობელი მუსულმანები), აქედან მათი საბოლოო მასიური გადმოსახლება ქრისტიანულ საქართველოში ძირითადად მოხდა შამილის ეპოქაში, მე-19 ს. 20–40-იან წლებში, ნაწილი კი ასიმილირდა ჩრდილო კავკასიის ბარიდან შესულ მუსულმანურ მოსახლეობაში. გადმოსახლებულებში, განსაკუთრებით კი პანკისის ხეობაში მე-20 საუკუნეში, გაიმარჯვა მუსულმანურმა აღმსარებლობამ.

ნაწილი მესამე

ხუნძეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში

თავი I

დაღესტანი

საქართველოს („გურჯისტანის“) საზღვრები „დერბენდნამესა“ და „ტარიხდერბენდის“ მიხედვით

საისტორიო წყარო „დერბენდნამე“ ასახავს ქალაქ დერბენდის (და დაღესტნის) ისტორიას მე -5 – მე -11 სს-ში. ავტორი უცნობია, შემონახულია ვარიანტები აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე. სპარსულიდან თურქულად უთარგმნიათ მე-17 ს-ში, რუსულად თარგმნეს მე-19 ს-ში, რომლითაც ვსარგებლობთ.

დერბენდნამეს მიხედვით, გურჯისტანი იყო ვრცელი ქვეყანა, რომელიც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ხაზარეთს, სამხრეთით კი მისი ნაწილი შედიოდა არაბულ ოლქ „არმინიიაში“. დერბენდნამეში მრავალჯერ იხსენიება „არმინიია“ – „Арминийа (Эрминийа), согласно раннесредневековым арабским и персидским авторам, традиционно включала в себя исторический Арран, часть Северного Азербайджана, Грузии, Дагестана (в том числе Дербенд и ал-Лакз) и Армению. О ее территории сообщают многие источники: http://www.vostlit.info /texst/dokumenty/kavkaz/VI/Dag–chron/Derbend–name/text.phmlt

www.vostlit.info/texst/dokumenty/kavkaz/VI/Dag-chron/Derbend-name/text.phmlt

jakubi. Kitab,c.364; Ibn Khordadhbeh.Kitab,c.122; ibnal–Fakih. Kitab,c.286–287;Kodama. Kitab,-c.246; см. также: (8EA084>2. Ислам, с.200; „5@ – 52>=4O=. Армения, с 151 – 160.

არაბებს, მუსულმანობის გავრცელების დროს, დაღესტნის მთიანეთში შეხვდა დიდი წინააღმდეგობა, რაც კარგად ჩანს წყარო დერბენდნამეში. მაგალითად, მათ დიდი ბრძოლები დაჭირდათ დაღესტნის კუთხე – კაიტაკთან, ტაბასარანთან, ავარიასთან და სხვა. ამ წყაროში დასახელებულია მუსულმანებთან ბრძოლების მეთაურები, ესენი იყვნენ ნუცალები (ანუ საქართველოს მეფის ან მისი ერისთავების ნაცვლები დაღესტანში), ასევე *დაღესტნის მკვიდრი ხალ*ხებულები. არაბულ წყაროში დაფიქსირებული სახელით „თავადები და აზნაურები“.

სხვა წყარო – „ირხანის ისტორია“ მათ მოიხსენიებს სიტყვით – „თავადიილი“. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

დაღესტნელ დიდებულებს არაბებთან ომის დროს გვერდით ედგა დაღესტნის მკვიდრი ქრისტიანული მოსახლეობა (მათ კაფირებს, ანუ ურწმუნოებს უწოდებს წყარო), რომელთა საკულტო სალოცავების ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ქართულ წარწერიანი ნაშთებით მოფენილია მთიანი დაღესტანი. ისინი იყვნენ დაღესტნის ეკლესიათა თუ ჯვარ-ხატთა ადგილობრივი მრევლი.

წყარო აღწერს ბრძოლას ქრისტიანულ კაიტაკთან – „Когда Абу Убейда делал эти наставления, вернулся сепахсалар правого фланга с двенадцатитысячным (Каз.: „четыре тысячи всадников“ (с. 518))войском. Они воевали в вилайете Кайтак, разграбили и опустошили его“.

აღწერილია ბრძოლა მუსულმანებისა ქრისტიანული ტაბასარანის წინააღმდეგ – „и вилайет Табарсаран, они привели со рок тысяч [голов] скота, двенадцать тысяч пленных (Каз.: „из селений Табасарана привезли добычу: сорок тысяч коней, овец и [разного] товара – все вещи натурой, а также две тысячи пленных“ (с. 518)). Абу Убейда распределил эту добычу среди мусульманских воинов.

Мусульманские войска подготовились для ведения войны. Мусульмане атаковали кафиров с правого и левого флангов.

წყარო სიამაყით აღწერს, როგორც თვით უწოდებს – „მუსულმანების ბრძოლას“ ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებთან და მის ხალხთან (კაიტაკი, ტაბასარანი და სხვა), წყაროს არ დაჭირდებოდა სიტყვა „მუსულმანის“ ხსენება მოწინააღმდეგე მხარეს ქრისტიანები რომ არ მდგარიყვნენ.

ეს ბრძოლა ძალზე სისხლიანი იყო, ქრისტიანებს მუსულმანური ლაშქარი დაუნდობლად ხოცავდა.

დაღესტნელ ქრისტიანებს ხოცავდნენ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი არ მიიღებენ მუსულმანობას – „А тех, кто остались кафирами, не приняв мусульманство, сделали пищею для меча“. ეს ხდებოდა მე-8 საუკუნეში. ამის მიუხედავად, ქრისტიანობამ ავარიასა და მოსაზღვრე ოლქებში იმძლავრა. აქ ქრისტიანობამ გაიმარჯვა და მოსახლეობა კვლავ ქრისტიანობას აღიარებდა.

საბოლოოდ არაბებს, მთიანი დაღესტანისათვის მისი ქრისტიანობის გამო ხარაჯის დაწესება მიუჩნევიათ საჭიროდ, მიუხედავად ამისა, იმჟამად ვერ შეძლეს მთიანი დაღესტნის სრული გამუსულმანება, თუმცა მოსახლეობის ერთ ნაწილს ეს სარწმუნოება მიუღია. მთლიანობაში დასავლეთ დაღესტანი ხარაჯას, – ხარკს, ანუ გადასახადს უხდიდა მუსულმანურ ცენტრს დაღესტანში, ეს ცენტრი დერბენდი იყო.

დაღესტნის მთიანეთზე დაკისრებულ ხარკში, ანუ ხარაჯაში შედიოდა მონები, ანუ ქალ-ვაჟების გადახდაც.

მუსლიმები, ალბათ, არ იმონებდნენ მუსლიმებს, ამიტომ ეს დაღესტნელი ქალ-ვაჟები ქრისტიანები იყვნენ. ასეთი გადასახადი ეკისრებოდა კაიტაკს, ტაბასარანს, ავარიას, გიუბეჩს, ახტს, რუტულს, ზეიტურს (წახური) და სხვა.

დაღესტნის ოლქში, რომელიც გურჯისტანამდე მდებარეობდა, სამართავად გადასცეს ვინმე შახბალს, ხარაჯა მასთან გროვდებოდა.

Было установлено: харадж отдавать Шахбалу. Абу Муслим не предписал Шахбалу давать жалованье (улуфа) правителю Дербенда. Он предписал [Шахбалу] брать харадж с упомянутых вилайетов, [расположенных вплоть] до Гюрджистана.

ხარაჯას, ანუ გადასახადს იხდიდა გურჯისტანამდე მდებარე დაღესტნის ყველა ოლქი, რადგანაც ვერ შეძლეს ამ ოლქების გამუსულმანება. გურჯისტანამდე მდებარე დაღესტნის ოლქები, როგორც აღინიშნა, ხარაჯას აძლევდნენ შახბალას. სხვა ოლქები – დერბენდს.

А правителю Дербенда [он] приказал брать харадж с Кайтака, Табарсарана и Гюбечи; полученный с этих трех областей харадж разделить между дербендскими газиями.

მურვან-ყრუმ დაღესტანში შესვლის შემდეგ დატოვა ეს გადასახადი – ხარაჯა, დერბენდის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა, ახლა უკვე ტაბასარანი, კურახი, ახტი, კაიტაკი, კუმუკი, გიუბეჩი და სხვა, ამ გადასახადს დერბენდს უხდიდნენ მონების სახით.

მეათე საუკუნისათვის დერბენდის ძლიერება დაემცრო, დერბენდი დაეცა ხაზართა ზეწოლის გამო.

დერბენდის დაცემის შემდეგ გათავისუფლებული ადგილობრივი ფეოდალები უკვე ერთმანეთის წინააღმდეგ განეწყვნენ –

დერბენდის უკიდურესი დასუსტების გამო მთიანი დაღესტანიდან ხარაჯა შეწყდა. დაღესტნის ის ნაწილი, რომელსაც გურჯისტანი ერქვა, ანუ ე.წ. „კახეთის მთიულეთი“ – დაღესტნის დასავლეთით მდებარე ოლქი – უფრო გაძლიერდა და, შესაბამისად, ქრისტიანული სარწმუნოება უფრო გაძლიერდა, ამას მიუთითებს სწორედ მე-9 – მე-10 სს-ით დათარიღებული დაღესტნის უამრავი საეკლესიო ნაშთი, უამრავი ხატ-ჯვრები, მათ შორის, დაღესტნის ცენტრ ავარიაში, ასევე აქ აღმოჩენილი უამრავი ქართულ-ქრისტიანული არტეფაქტი.

ქრისტიანობა დასავლეთ დაღესტანში თითქმის 400–500 წლის მანძილზე მე- 9 – მე-14 სს-ში იმდენად აღორძინდა, რომ აქ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, როგორც ითქვა, დაფუძნებული იქნა რამდენიმე საეპისკოპოსო და საკათალიკოსოც კი.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოღწეულია დაღესტნელი პირველიერარქის სახელიც კი, ეს ყოფილა ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი. მისი სახელი შემოინახა სინას მთის ხელნაწერმა. სხვა წყაროც ადასტურებს ამ ფაქტს. მაღალაშვილის სახარების მინაწერის ცნობით, დაღესტანსა და ჩეჩნეთში რამდენიმე ქართული სასულიერო სასწავლებელი არსებობდა. ქრისტიანული ცხოვრება დაღესტანში ჩაკლა თემურ-ლენგმა, რომელიც შეიჭრა ჩრდილოკავკასიაში და ებრძოდა ქრისტიანებსა და მათ სარწმუნოებას.

თემურ-ლენგთან ომში თავს მხნედ იცავდა დასავლეთ დაღესტნის ქრისტიანულ მოსახლეობა თავის თავად-აზნაურობასთან ერთად, მათი მოწამეობრივ ხანგრძლივ თავდადებას ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად კარგად აღწერს წყარო „ირხანის ისტორია“, სადაც აღწერილია ქრისტიანთა უმოწყალო

ხოცვა-ჟლეტა. თემურმა ფიზიკურად გაანადგურა მოსახლეობა და მიწასთან გაასწორა სოფელ-ქალაქები.

საბოლოოდ, თემურ ლენგმა შეძლო არა მხოლოდ დაღესტანში, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანთა დამარცხება, მოახერხა ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ეთნოწმენდა. საბოლოო ჯამში, ჩრდილო კავკასია გაუკაცრიელდა,

ამ პროცესს თან დაერთო ჩრდილო კაკასიაში ახალი მოსახლეობის ჩასახლება, უმეტესად აზოვისა და კასპიიპირეთიდან, სამხრეთ რუსეთიდან, ცოცხლად გადარჩენილ ადგილობრივ მოსახლეობაზე გააბატონდა სტეპებიდან ჩამოყვანილი სხვადასხვა წარმოშობის ტომები. ეს ფაქტი ასახულია დაღესტნის ისტორიის ადგილობრივ წყაროებშიც, რომელნიც ჩრდილოეთის, ანუ სამხრეთ რუსეთის ვრცელი სტეპებიდან ჩამოსახლებულ და მკვიდრებზე გაბატონებულ ზედაფენას – ზოგად სახელს – „რუსებს“ უწოდებდნენ, რადგანაც ისინი მოსულები იყვნენ დაღესტნის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელი რეგიონიდან, რომელსაც ზოგადი სახელი რუსეთი (სამხრეთ რუსეთი) ერქვა. მართალია, აქ (სამხრეთ რუსეთში) სხვადასხვა მეომარ – მომთაბარე ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ (ქვეყნის სახელის მიხედვით) ზოგად სახელს „რუსებს“ უწოდებდნენ. სამხრეთ რუსეთიდან დაღესტანში მათ ჩამოსახლებას (მმართველი ზედაფენის სახით) აღიარებს თვით დაღესტანში დაწერილი წყაროები:

იმამ შამილის მწერალი ხაჯი ალი ნახიბაში (სოფელ ჩოხიდან) მიუთითებდა შემდეგს – „ხუნძელი მმართველები მოსულები არიან ჩრდილოეთიდან, რუსების ტომიდან“. ქრონიკაში „ირხანის ისტორია“, ხაზარები და ავარები იხსენიებიან, როგორც „ნამდვილი რუსები“.

„Писарь Имама Шамиля Хаджи Али Нахибаши из с. Чох, указывал, что хунзахские правители – это пришельцы с Севера из племени «руссов». В хронике «История Ирхана», говорится, что Хазары и Авары упомянуты как «чистые русы», что подтверждает версию о том, что по сути это один и тот же народ”. hppt://kumukia.ru /artikle–77.html

თემურ ლენგმა შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე, მის დროს ჩამოსახლებულმა ტომებმა კავკასიის ალანიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში სათავე დაუდო ახალი ეთნოთვითშემეცნების დამკვიდრებას, შეიცვალა ეთნოსთა თვისობრივი სახე. ჩრდილო კავკასიის გაუკაცრიელებას ჯერ კიდევ თემურ-ლენგის შემოსევამდე წინ უძღოდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე წაიღო.

В 1346–1350 гг. на территории Золотой Орды (и на Северном Кавказе) разразилась эпидемия чумы.http://www.iriston.com /nogbon/print.php newsid=17

თემურ ლენგის (1336–1405) გამანადგურებელმა და უმოწყალო, უთანასწორო ომმა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან. საბოლოოდ მხარე გააუკაცრიელა, რადგანაც თემურის მიზანი იყო მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა – „Поход Тимура (Тамерлана) на Северный Кавказ был более страшным по своему характеру, нежели монголо-татарское завоевание этого края. Если *монголы*

*стре*мились присоединить регион, то Тимур ставил целью разрушить потенциал его, физически истребляя население и сравнивая с землей города”

თემურ-ლენგამდე ოქროს ურდოს მონღოლებმა ალანიის ქვეყანა გაანადგურეს, მაგრამ ძველებურადვე გაგრძელდა საქართველოს საეკლესიო და სახელმწიფოებრივ იურისდიქციაში შემავალი სენტის, შოანას, ქვემო არხიზისა სხვა ქალაქთა და დასახლებათა ცხოვრება იმ მიზეზის გამო, რომ იმჟამად საქართველოს სახელმწიფოსა და ოქროს ურდოს ერთმანეთთან საზავო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული. ამის მისაღწევად საქართველოდან საგანგებოდ ჩავიდა მწიგნობარუხუცეს-ჭყონდიდელი ეპისკოპოსი არსენი. ზავი დაახლოებით 1245 წელს დაიდო, ის იყო კანცლერი, ანუ მეთაური საქართველოს სახელმწიფოს მთავრობისა. ამის გამო საქართველოში შემავალი ჩრდილოკავკასიის პუნქტები მონღოლებმა არ გაანადგურეს ალანებთან ბრძოლის დროს.

ამჟამად მიიჩნევა, რომ თემურმა საბოლოოდ მოსპო ალანთა სახელმწიფოებრიობა, რომელიც ვრცელდებოდა ამ დასახლებათა სიახლოვიდან – ჩეჩნეთამდე. окончательно ликвидировал государственность Алании, подвергнув при этом ее народ тотальному уничтожению.

В результате этого многие из алан бежали на сопредельные территории или в качестве военнопленных рабов были угнаны Тамерланом в его среднеазиатские владения. მიიჩნევა, რომ ალანთა ნაწილი შემდეგში უკან დაბრუნდა ყარაჩაველების წინაპრებთან ერთად, ყარაჩაველები თურქული მოდგმის ხალხია. მაშასადამე, ალანები – თურქებით შეიცვალა, მოხდა მოსახლეობის შემადგენლობის შეცვლა, რეგიონის ეთნიკური სახის შეცვლა – бежавшие или угнанные силой за пределы своей родины, во времена нашествий монгол и Тамерлана, аланы стали возвращались домой к своим сородичам. Среди них был и легендапрный Карча-родоначальник карачаевцев, со своими сподвижниками

ამ წყაროში ჩვენთვის საინტერესოა დაღესატანსა და ხაზარეთთან „გურჯისტანის“ საზღვრები. ამ წყაროს ცნობით, დაღესტანში მდებარეობდა ოლქი „იხრანი“, რომელიც გურჯისტანს ესაზღვრებოდა.

„დერბენდნამე“ აღნიშნავს, რომ გურჯისტანიდან გამომავალი ყველა მდინარე იხრანს გაივლიდა.

კერძოდ, ამ წყაროში ნათქვამია – Через Ихран протекает большая река (Каз.: добавлено: „Ихранчай – большая река, она протекает через Гелбах. Теперь [ее] называют Койсу” (с. 462)). Все реки, вытекающие из Гюрджистана 67 протекают через него. („იხრანში გაედინება დიდი მდინარე. მასზე გადის გურჯისტანიდან გამომავალი ყველა მდინარე“).

ტექსტში შემდეგ ნათქვამია – На этой реке он построил город под названием Балх 68 (В тексте здесь: Балхи; далее везде – Балх). /л.4а / Правитель Балха стал известен как Эндирей. http:/www.vostlit.info /Texs/Dokumenty/Kavka /VI/Dag – chron-/Derbend–name/frametext.htm

შენიშვნაში ნათქვამია – [68] Балх – древнедагестанский город, который обычно идентифицируется с нынешним сел. Эндирей Хасавюртовского района

ДагАССР. Существуют, однако, и другие версии его локализации. Подробнее о Балхе см. в комментариях к переводу сочинения „Тарихи Эндирей“.

ამ წყაროდან ჩანს, რომ საკუთრივ თუშეთი, დიდოეთი და ამჟამინდელი ჩეჩნეთი (დურძუკეთი) იმჟამად გურჯისტანში შედიოდა. ე.ი. იხრანი მდებარეობდა ამ გურჯისტანსა (თუშეთ-დიდოეთ-ჩეჩნეთსა) და ვაკე დაღესტანს შუა. ამ ფაქტის მამტკიცებელია წყაროს ცნობა, რომ ყველა მდინარე, რომელიც გურჯისტანიდან გამოდიოდა, ირხანის გავლით ჩაედინებოდა კასპიის ზღვაში.

ცნობილია ამ რეგიონის გამდინარე მდინარეები. ამ რეგიონში გაედინება კასპიის ზღვაში შემდინარე ანდისა და ავარიის კოისუები, არღუნი და თერგი. ყველა ისინი გამოდიან თუშეთში, დიდოეთსა და ჩეჩნეთში

ტექსტის შენიშვნაში ნათქვამია – „არ არის დანამდვილებით ცნობილი იხრანის ადგილმდებარეობა, შესაძლებელია, ეს იყოს დაღესტნის საზღვრებში მოქცეული ხაზარეთი, თუმცა არსებობს მისი სხვა ინტერპრეტაცია“,

ჩვენი კვლევით იხრანი ერქვა დაღესტნის დასავლეთ ოლქს, რომელიც გრძლად იყო გადაჭიმული და მოიცავდა თუშეთის, დიდოეთისა და ჩეჩნეთის აღმოსავლეთით მდებარე დაღესტნის ნაწილს.

„დერბენდნამეს“ ცნობით, ეს მდინარეები გურჯისტანიდან გამოედინებოდა, მაგრამ, რადგანაც ეს მდინარეები ამჟამად გამოედინებიან თუშეთიდან, დიდოეთიდან (ანდისა და ავარიის კოისუები), და ჩეჩნეთიდან (არღუნი), შესაბამისად, გურჯისტანი ერქვა თუშეთს, დიდოეთს, ჩეჩნეთსა და დაღესტნის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს, ხოლო „იხრანი“ – ამ გურჯისტანსა და კასპიის ზღვას შუა მდებარეობდა. თუშეთი ამჟამადაც საქართველოშია, ხოლო დიდოეთი, ჩეჩნეთი და დაღესტნის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი დაუკარგავს აღნიშნულ „გურჯისტანს“. ამ გურჯისტანიდან გამომავალი მდინარეები იხრანს გაივლიდა კასპიის ზღვამდე.

ერთ პერიოდში იხრანი არ იყო მუსულმანური მხარე, მაშინ, როცა დერბენდი და კასპიისპირეთის დიდი ნაწილი უკვე მუსულმანური იყო.

სხვა წყაროს, „ტარიხდერბენდის“ მიხედვით, დაღესტანი სამ ნაწილად იყოფოდა, ესენი იყვნენ – Авар, Равнина (Сахл) и Зирихгеран – ავარია, სახლი (დაღესტნის დაბლობი) და ზირიხგერანი.

„ავარია“ მთიან ნაწილს ერქვა, ხოლო, „დაბლობი“ – ზღვისპირეთს. ზოგჯერ შეიძლება დაისვას კითხვა, ავარია გურჯისტანის ნაწილი იყო თუ იხრანისა?

საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობით, ავარია და საერთოდ დასავლეთ დაღესტანი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მას „კახეთის მთიულეთი“ ერქვა. ეს ცნობები ზედიწევნით დასტურდება არტეფაქტებით, ესაა ფაქტები იმისა, რომ აავარიის თითქმის ყოველ სოფელში არის ნაეკლესიარი ქართულწარწერიანი ჯვრების ნამსხვრევებით.

ამასთანავე, წყაროათა ცნობები, რომ ხუნძეთში საეკლესიო ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი ინსტიტუცია – ხუნძეთის საკათალიკოსო არსებობდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, *რომელშიც შედიოდა* დაღესტანშივე არსებული ქართულენოვანი საეპისკოპოსოები. მე-15 ს-ში

ერთ-ერთი ხუნძელი კათალიკოსის სახელი – ოქროპირი ყოფილა სინას მთის ქართული საბუთების მიხედვით, ამასთანავე, ავარიას, ანუ ხუნძეთს მართავდა კახეთის მეფის ერისთავი – ნაცვალის (ნუცალის) წოდებით.

როგორც აღინიშნა, გურჯისტანი ამ რეგიონში ერქვა დაღესტნის დასავლეთ ნაწილს, (ასევე ჩეჩნეთს), საიდანაც გამოედინებიან აღნიშნული მდინარეები.

ავარია უშუალოდ არ ებჯინებოდა ამჟამინდელი საქართველოს შემომსაზღვრელ კავკასიონის ქედს, რადგანაც, როგორც ითქვა, წყაროს (დერბენდნამეს) ცნობით, ამ მთებიდან გამომავალი და კასპიის ზღვისაკენ მიმართული მდინარეების სათავეების მიმდებარე შენაკადები გურჯისტანს ეკუთვნოდა.

მოსაზრება, რომ გურჯისტანი ერქვა ავარია – დიდოეთ-დურძუკეთს, შეესაბამება ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობებს, რომ დასავლეთ დაღესტანი შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში, ზოგჯერ კახეთის საქორეპისკოპოსოსა და შემდეგ, როგორც ითქვა, კახეთის სამეფოში.

დასავლეთ დაღესტანი ერთ პერიოდში კახეთის სამეფოს მაჭის საერისთავოში შედიოდა.

დასავლეთ დაღესტანი და ავარია ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში რომ შედიოდა, როგორც ითქვა, მიუთითებს ამ რეგიონში აღმოჩენილი მრავალი ქრისტიანული არტეფაქტი და ნაეკლესიარი. შემორჩენილია მთლიანი ეკლესიაც შუა დაღესტანში ავარიის პუნქტ დათუნაში.

ქართულ საისტორიო ცნობებს ეთანადება არაბულ-სპარსული წყარო „ტარიხდაღესტანი“, რომლის ცნობითაც, ავარიის ნუცალის საბრძანებელი ჩერქეზეთიდან ვიდრე შამახამდე ვრცელდებოდა.

იგივე საზღვრებს ხაზავს ქართული საეკლესიო წყაროც: მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი, რომლის ცნობითაც ის საეკლესიო ოლქი, რომელიც მოიხილა ქართლის კათალიკოსმა და შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურიდიქციაში, ის ვრცელდებოდა ჩეჩნეთიდან (ჩათვლით) შამახამდე.

სახელი ნუცალი იგივე ქართული სიტყვა „ნაცვალია“ და ის ტიტულად იქცა დაღესტანში საქართველოს მეფეთა და ერისთავთა ნაცვლებისა (მაჭის ერისთავის ნაცვალს, ჩანს, ასევე, ნუცალის სახელით იხსენიებდნენ).

„с титулом нусал – это их обычай давать такое прозвище и обозначать этим именем своего владыку“ – წერს წყარო „ტარიხდაღესტნი.

ავარიის მმართველის „ნუცალის“ ოლქი ჩერქეზეთიდან (ჩეჩნეთის ჩათვლით) შამახამდე ვრცელდებოდა „ტარიხდაღესტნის“ მიხედვით – от вилайата Чаркас до города Шамах

ავარიის ცნობილი მმართველის სურაკის სამფლობელო ჩეჩნეთიდან შამახამდე ვრცელდებოდა – „по имени Сурака, с титулом нусал (это их обычай давать такое прозвище и обозначать этим именем своего владыку) сын Сиртана, сына Урусхана, ... с жителей всего Дагестана, от вилайата Чаркас до города Шамах, исключая только местечко Акари“.

როგორც ითქვა, განსახილველი წყაროს ცნობით, გურჯისტანი ასევე ერქვა თანამედროვე ჩეჩნეთს. ეს იქედანაც ჩანს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა,

გურჯისტანიდან იხრანზე გამავალ დიდ მდინარეზე ააგეს ქალაქი ბალხი. მას ამჟამად ენდირეი ეწოდება, ენდირეი ერქვა ქალაქს ჩეჩნეთის საზღვართან დაღესტანში, საიდანაც გამოედინება მდ. არღუნი, ესაა გურჯისტანიდან იხრანში შემავალი მდინარე. ე.ი. ამ მიწას (ამჟამინდელ ჩეჩნეთს) – გურჯისტანს უწოდებდნენ.

На этой реке он построил город под названием Балх 68 (В тексте здесь: Балхи; далее везде – Балх). /л.4а / Правитель Балха стал известен как Эндирей.

[68] Балх – древнедагестанский город, который обычно идентифицируется с нынешним сел. Эндирей Хасавюртовского района ДагАССР

შეიძლება ითქვას, რომ გურჯისტანი ერქვა როგორც კახეთის მთიულეთს დაღესტანში, ისე ჩეჩნეთსაც,

როგორც ითქვა, ამიტომ იყო აქ (დასავლეთ დაღესტანსა და ჩეჩნეთში) მრავლად ქართული სასულიერო სასწავლებლები და ეკლესიები, მაღალაშვილისეული სასახარების მინაწერის შესაბამისად.

ლიტერატურა

პატიმატ ტახნაევას ნაკვლევი დაღესტანში (ავარეთში) ქრისტიანობის შესახებ

არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლები მიუთითებს, რომ დაღესტანში ქართული დამწერლობა იყო გავრცელებული, უმეტესად ავარიაში.

ქართულ გრაფიკულ სისტემაზე დაფუძნებული ადგილობრივი დამწერლობის არსებობის შესახებ არესებული თეორიები ბოლო კვლევებით არ დასტურდება.

დაღესტანში ადგილობრივი მოსახლეობა ქართული ენითა და ქართული დამწერლობით სარგებლობდა. ხუნძეთში ფუნქციონირებდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი ადგილობრივი საკათალიკოსო. მოღწეულია მე-15 საუკუნის ხუნძელი კათალიკოსის – ოქროპირის სახელი, სინას მთის ქართულ ხელნაწერებში. მაღალაშვილის სახარების მინაწერი, მნიშვნელოვანი წყარო საეკლესიო სამართლისა, მიუთითებს, რომ ხუნძეთის საკათალიკოსოში შედიოდა ანწუხის საეპისკოპოსო. აქაურ, ანუ დაღესტნელ ქრისტიანულ მრევლს მრავალი სასულიერო პირი ემსახურებოდა, რადგანაც თვით სიტყვა საკათალიკოსო მიუთითებს, რომ ხუნძეთში მნიშვნელოვანი საეკლესიო ოლქი მდებარეობდა. ამ საკათალიკოსოში წირვა – ლოცვის ენა ქართული იყო, ქართული დამწერლობით, ეს ჩანს მასალებით და ამის შესახებ მიუთითებს ტახნაევა.

პატიმატ ტახნაევას დასკვნით – ხუნძეთის საკათალიკოსოს ტერიტორია ფართობით აღემატებოდა და უფრო დიდი იყო, ვიდრე ხუნძეთის სანუცალოს

მიწა-წყალი, რადგანაც მასში ასევე შედიოდა გიდატლი, ანდალალი და სხვა თემები.

პ. ტახნაევას კვლევით, ანდალალის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძეგლების ჯგუფი – «წნულის» ტიპის ორნამენტით შემკულ გარკვეული ფორმის ქვები. მათ პ.ტახნაევა განიხილავს, როგორც ანდალალის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების კანკელების შემკულობის ფრაგმენტებს.

VII – X საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობების თანახმად, თანამედროვე დაღესტანის ტერიტორიაზე გამოიყოფა რამოდენიმე პოლიტიკური წარმონაქმნი – «სამეფო» (დარუბანდი, ლაკზი, ტაბასარანი, სარირი,ზირიხგერანი, კაიტაკი (ხაიდაკი), გუმიკი, ტუმანი, ფილანი, ჯიდანი, «ჰუნების» სამეფოები და სხვ). VII საუკუნის ბოლოს ვარაჩანის ჰუნებში, ხაზარეთში, მისიონერულ მოღვაწეობას წარმატებით ეწევა ეპისკოპოსი ისრაელი, ალბანელი მისიონერი.

არაბულმა ხალიფატმა სომხური ეკლესიის დახმარებით ალბანური ეკლესია მონოფიზიტურად აქცია და იერარქიულად დაუმორჩილა სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას. ალბანური ეკლესიის ღვთისმსახურების ენად სომხური ხდება.

სარირი შეიქმნა VI საუკუნის შუა ხანებში. სარირის სახელმწიფოს (VI–XI სს.) საზღვრები საკმაოდ დიდი იყო და მოიცავდა თანამედროვე დაღესტანის როგორც მთიან ნაწილს, ისე მთისწინეთს და მოსაზღვრე მიწებს.

არაბულენოვანი ავტორების თანახმად, სარირის ჩრდილოეთი მეზობლები იყვნენ ალანები და ხაზარები. XIII საუკუნის გეოგრაფიულ თხზულებაში. მითითებულია, რომ სარირი ესაზღვრება აფხაზს, ყივჩაღს და დარუბანდს.

(„ამ ხანაში აღმოსავლური წყაროები აფხაზს უწოდებენ მთლიანად საქართველოს, ხოლო თამარს – აფხაზეთის მეფეს. სპარსი პოეტი ხაგანი ჩადის კახეთში და ამბობს, რომ აფხაზეთში ჩამოვედი და ქართულად ვლაპარაკობო, ასე, რომ აფხაზი აქ საქართველო უნდა იყოს" – მთარგმნელი გ. მარჯანიშვილი, გამრეკელაშვილი)

ლეონტი მროველის თანახმად, ლეკეთი გადაშლილია «აღმოსავლეთით დარუბანდის ზღვიდან მდინარე ლომეკამდე» (თერგამდე). ა. ვ. გადლოს აზრით, ეს ლეკეთი სარირი უნდა იყოს.

IV–X საუკუნეებში დიდოელებს ჰქონდათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და დიდო არ შედიოდა სარირის შემადგენლობაში (სინამდვილეში დიდო კახეთის შემადგენლობაში შედიოდა).

საკამათო რჩება ჭარ-ბელაქანის თემთა ტერიტორიები (აზერბაიჯანის და საქართველოს ბელაქანის,ზაქათალის და ყვარელის რაიონების თანამედროვე საზღვრები, სინამდვილეში ეს ტერიტორია კახეთის უმთავრესი ნაწილი იყო).

ჭარ-ბელაქანის კავშირი წარმოქმნა კახეთის ტერიტორიაზე დაღესტნის ხალხების გადასახლების შედეგად. გადასახლებულმა „დაღესტნელებმა დაიპყრეს ადგილობრივი მოსახლეობა" და გაიყვეს ის თემებს შორის, რის შემდეგაც გაერთიანდნენ სოფლური თემების კავშირებად. ისინი იყვნენ ერთმანეთის

მოკავშირეები და ასე იქმნება ჭარ-ბელაქანის სოფლის თემების კავშირთა ფედერაცია. (ეს დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობა – კახელები იყვნენ).

(ავარელები კახეთში ჩასახლდნენ ძირითადად მას შემდეგ, რაც ეს მხარე კახეთის სამეფოს ჩამოართვა შახ–აბასმა. იქამდე კახეთის მეფე ლევანის დროს კახეთში ჩასახლებული წახურელი ლეკები დაბალი მომსახურე ერთეულების სახით ესახლებოდა კახეთის სამეფოში, ვითარცა ნაწილი ადგილობრივი ქართული ეთნოსისა. ისინი იმჟამად ქართული კულტურის წიაღში იმყოფებოდნენ ქართული ენითა და რელიგიურ-კულტურული შემეცნებით, თუმცა დაღესტანში შექმნილი ახალი ეთნოგრაფიული სურათის შესაბამისად შესაძლოა უკვე გარკვეულწილად გაუცხოებულები და ისლამის გზაზე შემდგარნი).

ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, ჭარ – ბელაქნის ტერიტორია ისტორიულად ქართველებით იყო დასახლებული. XI საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთის და ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის შედეგად გაჩნდა ახალი სახელმწიფო, რომელსაც ქართველები უწოდებენ კახეთის სამეფოს.

სამეფოს შიდა ადმინისტრატიული მართვა ხორციელდებოდა მოადგილე ერისთავების მეშვეობით.

კახეთის ორი საერისთავო მდებარეობდა ალაზანის გაღმა მხარესა (შემდგომ საინგილოში) და ელისენში.

წუქეთის ეპისკოპოსის კათედრას ემორჩილებოდა ელისენის, წუქეთის, შექის ოლქები, თანამედროვე ზაქათალა-ბელაქანის ოლქი.

ტახნაევა ფიქრობს, რომ ზაქათალის ოლქი ჯერ იყო კავკასიის ალბანეთის, შემდეგ ჰერეთის და XI საუკუნიდან კახეთის ნაწილი.

ეს მოსაზრება საეჭვოა, რადგანაც ჰერეთსა და კახეთს შორის საზღვარი გადიოდა პუნქტ გულგულასთან, რომელის ადგილსამყოფელი მდებარეობდა არა თელევთან, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ ვართაშენთან, კერძოდ კი ამჟამინდელ პუნქტ ფილფილასთან.

ტოგო გუდავას ნაშრომი „ორი წარწერა (ქართული და ქართულ- ხუნძური) დაღესტნიდან“

(მასალები – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. – 1954. – ნაკ.30. – გვ.191. დაღესტნის ისტორია)

წერილობითი წყაროების ცნობათა მეტი წილი მხოლოდ კასპიისპირა ზოლს შეეხება. დაღესტნის ზოგ ნაწილში მაინც მაჰმადიანობას წინ უსწრებდა ქრისტიანობა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოგი ხუნძური რაიონი (მაგ., ხუნძახისა, ყაჰიბისა, ღუნიბისა), საიდანაც დროდადრო მუსლიმანობამდელი ქრისტიანობის ძეგლები ამოტივტივდებიან ხოლმე. საინტერესოა, რომ ეს ძეგლები ქართული კულტურის დაღს ატარებენ. ცნობილია, რომ მაჰმადიანობა მთიან

დაღესტანში შედარებით ახალი მოვლენაა. გარკვეულს ეპოქაში (XIV საუკუ-ნემდე) ამ მთიანი რაიონების გაქრისტიანების ცდები საქართველოდან მოდი-ოდა, მაგრამ საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ ეს წამოწყება, ბუნებრივია, ჩაიფერფლა, გაქრისტიანებული კუნძულები წალეკა მუსლიმანიზ-აციის ძლიერმა ტალღამ. ამ კონტექსტში სრულებით მოულოდნელი არაა ქარ-თული წარწერების გამოვლინება დაღესტნიდან. ერთ–ერთი ასეთი წარწერა (ო-რენოვანი: ქართულ – ხუნძური) გამოაქვეყნა არნ.ჩიქობავამ [I], ქვემოთ მოგვყავს კიდევ ორი წარწერა. წარწერა (N1) ნაპოვნია 1949 წლის შემოდგომაზე სოფელ ჰალაში. ხუნძახის ჩრდილოეთით ხუთიოდე კილომეტრზე, სათიბი ადგილის მოწმენდის დროს. ჰალაში ამჟამად არავინ ცხოვრობს, იგი დიდი ხანია მიტოვებულია და ნასახლარებიდაა დარჩენილი. წარწერა ჩვენ გადმოგვცა ხუნ-ძახის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ამხ. მანსურ გაიდარბეკოვმა 1950 წლის ივლისში. ამჟამად ჯვარი ინახება ქ. მახაჩკალაში, სახელმწიფო მუზეუმში. წარ-წერა ამოკვეთილია ქვაზე, რომელსაც სწორკუთხედის ფორმა აქვს (24X17 სმ, სი-სქე=4,5 სმ). ქვის ზედა ნაწილი სისქე – სიგანეში ოდნავ უფრო ვიწროა, ვიდრე ქვედა. ქვის წინა მხარის ზედაპირი (რომელზედაც წარწერაა გაკეთებული) საკ-მაოდ გლუვია, მას მარჯვენა ქვემოთ ნაწილი სიბრტყეზე ჩამომტვრეული აქვს. უკანა მხარე ქვისა დაუმუშავებელია და ამიტომ ოღრო-ჩოღრო. გვერდითს კი-დეებს ატყვია თლის კვალი. ქვის წინა მხრის შუაში ღრმა ჩაღარვით გამოყვანი-ლია ჯვარი. ჯვრის სიმაღლე 14,5 სმ, გარდიგარდმო ფრთის სიგრძე 9,4 სმ, სიგანე საშუალოდ 1,4–1,3 სმ. წარწერა შესრულებულია ნარევი მრგლოვანი და ნუსხური დაწერილობით და იკითხება ასე:

ჯ||რი ქ‹||სი||ო“ო გსნე სლ||სსა, ჩა||ხუ3||ტი||სსა,

რაც ქარაგმების გახსნით მოგვცემს:

ჯოჯარი ქრისტ‹სი ოჯფალო განუსვენე სულსა ჩახუტისსა.

დაწერილია იგი გამართული ქართულით. წარწერაში მოხსენებულია საკუთარი სახელი ჩახუტი (თუ ჩახოტი?), რომლის სულის განსვენებასაც შეს-თხოვენ უფალს. დამატებითი კვლევა სჭირდება ამ საკუთარ სახელს. იგი შე-საძლებელია ქართული წარმოშობისა იყოს (– უტ დაბოლოებიანი)5. მაგრამ სანამ ადგილობრივი (ხუნძური) ონომასტიკონი შესწავლილი არაა, გადაჭრით რისამე თქმა ძნელია. წარწერის შინაარსი („განუსვენე სულსა“) გვაფიქრები-ნებს, რომ იგი საფლავის წარწერაა და, შესაძლოა, თავის დროზე ვინმე ჩა-ხუტის სამარხზე ყოფილიყო დადგმული.

უფრო საყურადღებოა მეორე წარწერა, ქვის ჯვარი. წარწერა ნაპოვნია 1950 წელს ისტორიის მასწავლებელ ამხ. დიბირ ათაევის მიერ, რომელმაც თავაზ-იანად ნება მოგვცა გავცნობოდით მას. ნაპოვნია იგი ზედ ხუნძახთანვე (მის ჩრდილოეთით), სადაც, როგორც ჩანს, წინათ ქრისტიანული სასაფლაო ყოფი-ლა. ეს ადგილი უაღრესად საინტერესო ჩანს. სამარხები მიწის ზედაპირთან ახ-ლოსაა. ზოგი მათგანი გაშიშვლებულია. აქ ხშირად პოულობენ ჯვრებს, მათ შო-რის წარწერიანსაც. ამ ადგილის მეცნიერული შესწავლა საჭირო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. ამხ. დ. ათაევმა მაჩვენა რამდენიმე ქვის ჯვარი, რომელზედაც

წარწერა გადარეცხილი იყო, მაგრამ რამდენიმე ქართული ასოს გარჩევა მაინც მოხერხდა6. ერთ – ერთ ნატეხზე ლამაზი მრგლოვანით იკითხება

ქოო... ვენაჴსა..აა (ნ),

მეორეზე ჩანს ქო“ო. შედარებით კარგად აღმოჩნდა დაცული ის ჯვარი, რომელსაც ჩვენი მსჯელობა შეეხება. ჯვარი გამოკვეთილია კირქვისაგან. სიმაღლე 14 სმ., გარდიგარდმო ფრთის სიგრძე 10 სმ (ეს ზომა ვარაუდითაა მოცემული, რადგან მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია). სისქეა დაახლოებით 4 სმ. ჯვრის ზემო ნაწილის მარჯვენა მხარე დაზიანებულია. ქვედა ნაწილი გადატეხილია, მაგრამ ნატეხი შენახულია (თუმცა საკმაოდ დეფექტურად). წარწერა შესრულებულია მრგლოვანისა და ნუსხურის ნარევით. წარწერა აქაც ჩაღარვითაა გაკეთებული, მაგრამ უფრო ფაქიზად, ვიდრე ჰალაში ნაპოვნ ჯვარზე. ჯვარს კიდეებზე უვლის არშია (ორი პარალელური ღარი). ცენტრში კი მრგვალი ორნამენტია გამოყვანილი. პატარა მრგვალი ორნამენტია აგრეთვე ზემო და მარჯვენა კიდეზე (ალბათ იყო მარცხენა კიდეზეც). წარწერა ასე იკითხება (მოგვყავს მხედრულით):

ჯ“რ [ი] ქ“ესი: [?]: წ“ ო: ა ეტ ნო: მოციქოლნო: შ“ე:ე (ვ?) (ი?) |||| ბ (ე?) (რ?) (ტ ?) (ა ?): თიმა ლატაწ ობეგ: ა „ნ ო „ო

ქარაგმების გახსნით: ჯოჯარი ქრისტესი: (?). წმიდაო: ა[თო.რმ] ეტნო: მოციქოლნო: შეიწყალე: ერისთავი [?] ? ბ (ე?) (რ?)ი (ტ ?) (ა?): თიმალატაწობეგ: ამინ უფალო.

ამრიგად, ჯერ კიდევ არაა ამოკითხული ის ადგილი, რომელიც ჯვრის გადატეხის გამო დაზიანებულია. თუ ევი მართლაც ერისთავს ნიშნავს, მაშინ მოსალოდნელია მომდევნო სიტყვა ამ ერისთავის სახელი ყოფილიყო (ამ სიტყვის ბოლო ნაწილი ჩანს ბერიტა თუ ბირიტა. ისიც შესაძლოა, რომ ტა ადგილობითი ბრუნვის ნიშანი იყოს). წარწერაში ნახმარია გაყოფის ნიშნები და ქარაგმა. საინტერესოა სიტყვა თიმალატაწობეგ. ჩვენი აზრით, ეს ხუნძური წინადადებაა და სამ სიტყვად იშლება: თიმალატა წობ ეგ. აქ გადმოცემული უნდა იყოს დღევანდელი ხუნძურის ლ'იმალატა წაობ ლ'ეგი, რაც ნიშნავს „ბავშვებზე წყალობა დადევი.“

1. წარწერის პალეოგრაფიული მხარე.

2. ისტორიული კონტექსტი: ჟამთააღმწერლის ცნობით, დიმიტრი თავდადებულის მეფობის დროს (XIV საუკუნის 60-იან წლებში) ორი ქართველი ბერი პიმენ სალოსი (დავით გარეჯის მონასტრიდან) და ანტონი ნაოჭრებულიძე („დიდი მოღუაწე“, „ნათესავით მესხი“) მისიონერული მიზნებით დაღესტანში წასულან და ლეკები (შესაძლოა დიდოელი ტომები) გაუქრისტიანებიათ, რომლებიც წარმართები ყოფილან ([III], გვ.612).

3. ისტორიული კონტექსტი: შამილის მდივნის ჰაჯი-ალი ჭუხელის ცნობით, ქართველებს 1363 წელს ყაჰიბის რაიონში სოფ. დათუნთაში თლილი ქვის ეკლესია აუშენებიათ. ეს ეკლესია დღემდე დაცულია (შდრ. [XII], გვ.73)

4. XIV საუკუნის მომდევნო ხანებში თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ საქართველოს აქტიურობა დაღესტანში მოსალოდნელი არაა.

ქრისტიანობა მთიან დაღესტანში რომ მართლაც ყოფილა. ამას არაბული წყაროებიც ადასტურებენ. არაბი ისტორიკოსის იბნ-რუსტეს ცნობით, გიმრიში (ხუნძური თემია) X საუკუნეში „ქრისტიანი მეფე მჯდარა (მოსახლეობა კი წარმართული ყოფილა), ხოლო ხუნძახში მეფე ადარნასე, რომელიც ერთდროულად თურმე სამ რელიგიას აღიარებდა – ქრისტიანულს, ებრაულს და მაჰმადიანურს, რადგან მის სამფლობელოში ყოფილან ქრისტიანებიც, ებრაელებიც და მაჰმადიანებიც ([IV], გვ.8, შდრ.[2], გვ.170).

მას შემდეგ, რაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო (IV ს.), იგი თვითონ გახდა ქრისტიანობის გავრცელების კერად კავკასიაში. სიმ. ჯანაშიას ცხადყოფილი აქვს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა მიუღია ([V], გვ. 235–253). ქართულ წყაროებს, გარდა ზევით ნახსენები ამბისა (ორი ბერის შესახებ), რომელიც XIV საუკუნეს მიეკუთვნება, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემოუნახავს ანალოგიური ხასიათის სხვა ცნობებიც. გაცილებით უფრო ადრინდელი. მაგ., VIII საუკუნის 80-იან წლებში აბიბოს ნეკრესის ეპისკოპოსმა „მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი არაგუსა აღმოსავლეთით“. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნული ეპისკოპოსის სამწყსოში დიდოეთსაც ასახელებს ([VI], იქვე). იმავე საუკუნეს მიეკუთვნება არჩილ მეფის ენერგიული ღონისძიება დაღესტნელ წარმართთა გასაქრისტიანებლად: [არჩილი] „აჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ჴევსა ლაკუსტისასა აღაშენა ციხე და პოვა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა სახელით აბუ-ხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატისი, ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჴეცის ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმძლავრე იგი მათი და იძულებით მონათლა არჩილ იგინი“([V], გვ.249, შდრ.[6], გვ.155, გვ.140).

საყურადღებო ცნობას გვაწვდის ერთ-ერთი სახარების „ანდერძი“, საიდანაც ირკვევა, რომ 1310 წელს საქართველოს პატრიარქ ექვთიმეს მოუვლია თავისი სამწყსოს ჩრდილო – აღმოსავლეთის ნაწილი და, სხვათა შორის, საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა10. ჩანს, ამ დროისათვის ხუნძეთისა და მისი ახლომახლო თემების გაქრისტიანების საქმე საკმაოდ წინ წასულა. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ქართულ წყაროებს დაუცავთ ცნობა ხუნძეთის კათალიკოსის (?!) შესახებ, რომელსაც სახელად ოქროპირი რქმევია ([IX], გვ.3I9). IX. კ. კეკელიძე. ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში. კრებ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ.II, თბილისი, 1945

ხუნძურად (აგრეთვე რიგ ანდიურ-დიდოურ ენებზე) ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს, ჯვარს, ვანჩ ჰქვია, რაც წარმოშობით სომხური ჩანს (XXXXX)11. ეს გვავარაუდებინებს, რომ დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში იქნებ სომხებსაც რაღაც წილი ედოთ, თუმცა შესაძლებელია ეს სიტყვა ალბანურშიც ყოფილიყო და იქნებ იქიდან იყოს მოხვედრილი დაღესტნის ხსენებულ ენებში.

მინაწერი. დაღესტნის სახ. მუზეუმის დირექტორმა ამხ.როსინმა, როცა სოფელ ჰალაში ნაპოვნი წარწერა გადავეცი, მაცნობა, რომ ჩვენთან ინახება მოზრდილი წარწერიანი ქვა (ხუნძახიდან ჩამოტანილი), რომელიც ჯერ შესწავლილი არ არისო. აღნიშნული ქვა ვნახე. მისი სიგრძე-სიგანე დახლ. 1/2 მეტრს უდრის. ნაპირები ჩამომტვრეულია (განსაკუთრებით ბევრი უნდა აკლდეს მარჯვენა და ქვედა მხარეს). მარჯვენა კიდეზე გამოყვანილია მოზრდილი ჯვარი. ანბანი წარწერისა ქართული გამოდგა. შესრულებულია იგი საკმაოდ ლამაზი მრგლოვანით (რომელიც ძალიან ჰგავს ნ.მარის მიერ გამოქვეყნებული წარწერის[XI] ასოებს)14, ნახმარია ქარაგმები და გაყოფის ნიშნები. წარწერა ბევრგან გადარეცხილია და გადაფხაჭნილი. ირჩევა სიტყვები წა, ეცაᲔ და სხვ.

მ. დათუკიშვილი (შორეთელი) „ლტოლვილთა ლაშქარი“

გაზ. „იზვესტიის“ 1987 წლის 26-ე ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ („ვენოკ ბაგრატიონუ“) მახაჩყალაში ჩამომიყვანა, სადაც საუბარი იყო ყიზლარის ჯვრის ამაღლების ქართულ-რუსულ მონასტრიდან დაღესტნის სახელმწიფო არქივში გადატანილ დღემდე შეუსწავლელ ექვსი ათას საცავ ერთეულზე.

...მონასტერს ექვსი ათასიდან „ყიზლარის კომენდანტის არქივად“ წოდებულ საბუთთა კრებულს სხვადასხვა ქალაქებში უმოგზაურია ჯვრის ამაღლების მონასტრის დანგრევის შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ ხელნაწერებთან ერთად და მხოლოდ 1962 წელს მოხვედრილა მახაჩყალაში.

მახაჩყალაში დამატებით მიუღიათ აღუწერელი საბუთთა 4 ათასი საქმე და 100 კგ-მდე ტომრებში ჩაყრილი საბუთები.

არქივში არა ჰყავთ ქართულის მცოდნე თანამშრომელი და აღწერისას ბევრი ქართული დოკუმენტია გამოტოვებული. აღწერილობა გარდა ყიზლარისა, მოიცავს ბაქოს, ასტარის, თერგისა და მტკვრის ციხეთა კომენდანტურების კუთვნილ საარქივო მასალებსაც. ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს იგი ირანისტებისთვისაც.

ვფიქრობთ, შეუსწავლელი უნდა იყოს ერეკლე მეორის წერილები, ცნობები თეიმურაზ მეორის შესახებ, ყიზლარის ქართული კოლონიისა და ქართველ ჰუსართა პოლკის ზოგიერთი სია, სამხედრო დანიშნულების მიმოწერა, ქართული წერილები, ძველრუსული „სწრაფწერით“ ნაწერი წერილები და სამეურნეო ხელშეკრულებანი ქართული ხელრთვით. პოლკოვნიკ ალექსანდრე იასეს ძე ბაგრატიონისეული დოკუმენტები, ჯვრის ამაღლების მონასტრის ბერმონაზონთა (საანკეტო მონაცემები, დოკუმენტები „ოსეთის კომისიის“ მოღვაწეობის პირველი (ქართული) პერიოდის შესახებ.

ვ. გაჯიევისაგან შევიტყე, მე-18 საუკუნის ხელნაწერში ლეონტი მროველისეული კონცეფციის (კავკასიელ ერთა წარმოშობის შესახებ. დაღესტნური ვერსია აღმოჩენილა და მალე გამოქვეყნდება.

http://www.saunje.ge/index.php?id https://ruwikipedia.org/wiki

საქართველოს კათალიკოსი ჩრდილო კავკასიასა (ჩეჩნეთ-დაღესტანსა) და შაქ-შირვანში

(ქურმუხის მთავარეპისკოპოსი – „ყოვლისა მთიულეთისა“ წინამძღვარი)

საქართველოს საპატრიარქოს სამი სამიტროპოლიტო ოლქი (საკათალიკოსო) მოიცავდა ჩრდილო კავკასიის ვრცელ ქვეყანას, კერძოდ, ჩრდილო კავკასიის იურისდიქციას ინაწილებდნენ აფხაზეთის საკათალიკოსო, ქართლის საკათალიკოსო და ხუნძეთის საკათალიკოსო.

ხუნძეთის საკათალიკოსოს ცენტრი უშუალოდ ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა და მისი საშუალებით საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციას ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილზე ახორციელებდა.

აქაური ქრისტიანული სამრევლოების სიძლიერეს მიუთიებს, ის, რომ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ქართული ეკლესიებისა და სალოცავების გვერდით ქართული ქრისტიანული სასულიერო სასწავლებლებიც მდებარეობდნენ, ჩამოყალიბებული და მკაცრად დადგენილი წეს-განგებით.

ქართულ ეკლესიას აღმოსავლეთ კავკასიის მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასულიერო სასწავლებელი.

მათ რექტორებს ეწოდებოდათ „თავსმდგომნი“. მათ ევალებოდათ მოსწავლეებისათვის ესწავლებინათ:

1. „შჯული ჭეშმარიტი“ ანუ წმინდა წერილი და კატეხიზმო;
2. ფილოსოფია;
3. მამათა ცხოვრება, ანუ პატროლოგია;
4. „ქართლის ცხოვრება”, ანუ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორია;
5. ხოლო, საისტორიო წიგნთაგან „სავანიის“ ისტორია (მაღალაშვილის სახარების 1310–1318 წლის მინაწერი, კ. კეკელიძე ეტიუდები, -II, 1941, გვ. 314–315).

ხუნძეთის საკათალიკოსო უნდა ჩამოყალიბებულიყო იმის შემდეგ, რაც „სანატრელმან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე“ მოიხილა და მოვლო კახეთის „ყოველი მთიულეთი“ ანუ ნახჩებისა (ამჟამინდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთი) და ხუნძების ქვეყნები სამრევლო და ეკლესიები, ასევე, ტაბასარანი და დაღესტნის სხვა კუთხეები (სადაც ანწუხსა და წახურში ქართულენოვანი საეპისკოპოსოც არსებობდა).

ისინი იმჟამად „ყოველი მთიულეთის წინამძღვარს“ – ქურმუხელ მთავარეპიკოპოს ემორჩილებოდნენ, მაგრამ, ჩანს პატრიარქი დარწმუნდა, რომ ამ რთულ რეგიონში საჭირო იყო შედარებით თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსება საკათალიკოსოს სახით. ქართული საკათალიკოსოები ბიზანტიური სამიტროპოლიტოების სამართლებრივი უფლებებით სარგებლობდნენ, ამ ახალ საკათალიკოსოს, რომელსაც „ხუნძეთისა“ ეწოდა, დაარსებულს დაახლოებით 1310–1318 წლებში დიდხანს არ უარსებია, ჩანს ის თანდათან გაუქმებულ იქნა თემურ-ლენგის დაღესტანში ლაშქრობის შემდეგ ხალხის გამუსულმანების კვალდაკვალ. ერთადერთჯერ ხუნძელი

კათალიკოსი მოიხსენიება სინას მთის მე-15 ს. ხელნაწერში (კ. კეკელიძე, „ძველი. ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, გვ. 88)

ჩრდილო კავკასიაში ქართული ეკლესიის ვრცელ იურიდიქციას ასევე მიუთითებს იქ არსებული უამრავი საეკლესიო ნაშთები ასომთავრული და ხუცური (ქართული) წარწერებით.

აქაურ ეკლესიებზე ანდა მათ ნაშთებზე მხოლოდ ქართული და მცირეოდენი ბერძნული წარწერებია. უმნიშვნელო ოდენობის ბერძნული წარწერები ეკლესიებში, ასევე იყო საქართველოს ეკლესიებშიც უძველესი დროიდანვე, რადგანაც ბერძნული იყო მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ენა. ქართულ ეკლესიებში არსებული მცირე ოდენობის ბერძნული საეკლესიო წარწერები იყო ნიშანი მართმადიდებლურ მსოფლიო ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის კავშირისა, ხოლო ეკლესიათა ქართული წარწერები მიუთითებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას.

ე.წ. მაღალაშვილისეული სახარების მინაწერიდან ჩანს, რომ 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვთიმეს მოუხილავს თავისი სამწყსო კახეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში. თემურ-ლენგის შემოსევამდე დაღესტანში საგანგებოდ იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ. მაშასადამე, ის დაღესტანში მივიდა იმ დროს, როდესაც კასპიის ზღვისპირეთიდან თანდათანობით შეღწევა დაიწყო მუსულმანობამ. ქრისტიანობის განსამტკიცებლად პატრიარქმა დიდად იღვაწა, მისი სამისიონერო მოღვაწეობა დაღესტნის მთიანეთის ურთულესი გზებით ჩეჩნეთში, იქიდან თუშეთში, შემდგომ კახეთსა და მიმდებარე რეგიონებში არაქსამდე, უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უიშვიათეს მოვლენად, არამედ გმირულ თავდადებადაც, თითქოსდა ის გრძნობდა წინასწარი ხედვით თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგებს და ყველაფერს აკეთებდა მის შესამცირებლად.

მაღალაშვილის სახარების 1310 (სხვა კვლევით 1318) წლის მინაწერი:

„ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერითგან გადმოვიდა წახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღმრთისმშობლისა, ლექართის წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოისი, ზარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა აბოისი, განუხს არჩილისი, ქიშნუხს ღმრთისმშობლისაი, ვართაშენს ელიასი, თა(ბა)სარანს ყოვლადწმიდისა მოციქულისა პეტრესი, კუალად საყდარნი – ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლის – ვაკისა, ესე იგი არს ძველი მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზნისა და – ამან სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარსა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავს-მდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსობა, მამათა ცხოვრება –

ქართლის ცხოვრება, და ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა(ნრყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941, გვ. 314-315).

აღნიშნულ მინაწერში ჩამოთვლილია, საქართველოს პატრიარქმა აღმოსავლეთ კავკასიაში თუ რომელი სამრევლოები მოინახულა.

ესენი ყოფილან:

1. ანწუხის საეპისკოპოსო;

2. წახურის რეგიონი (იგივე წუქეთი, წახეთი);

3. კაკ-ელისენი, სადაც 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა ქალაქ-სოფელები: კასრი, სამეგა, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვართაშენი.

კერძოდ, აღნიშნულ პუნქტებში მან მოილოცა შემდეგი ეკლესიები –

კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია,

ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ლექართის მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ეკლესია,

ზარის მთავარმოწამე წმიდა გიორგის ეკლესია,

ვარდიანის წმინდა აბოს ეკლესია,

განუხის წმინდა მოწამე არჩილის ეკლესია,

ქიშნუხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ვართაშენის წმინდა ელიას ეკლესია;

შემდეგ აქედან გადავიდა და მოილოცა დაღესტნის ოლქში:

4. ტაბასარანი (მისი სახელი მინაწერში ასოებნაკლულია – „ტა...სარანი“). პატრიარქს ამ რეგიონში მოციქულ პეტრეს ეკლესია მოულოცავს (ესაა ეკლესია დაღესტნის ტაბასარანისა).

ტაბასარანის გარდა, პატრიარქს მოუხილავს –

5. ხუნძეთი;

6. ნახჩეთი;

7. თუშეთი;

მათ შემდეგ მოუხილავს ეკლესიები კვლავ კახეთში:

8. ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეთი; მათ შემდეგ კვლავ გაუგრძელებია გზა და მოუხილავს ვრცელი რეგიონები:

9. მოვაკანი, ანუ ვაკე (ტერიტორია ალაზან-მტკვრის შესართავიდან, ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე) და

10. ელისენი (ტერიტორია ვერხვიანის ზეგანიდან მდინარე იორ-ალაზნის შესართავამდე).

ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ერთეულების მეტი ნაწილი შედიოდა აღმოსავლეთ კახეთსა და კახეთის მთიულეთში (ანუ ჩეჩნეთ-მთიან დაღესტანში). ის შედიოდა ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში.

მასში (ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში) შედიოდა ნახჩეთი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი), ხუნძეთი, ტაბასარანი, ანწუხი, წახური (ყველა დაღეს-

ტანში), აღმოსავლეთ კახეთი და მოვაკანი, ანუ ვრცელი ტერიტორია **ჩეჩნეთ–მთიან დაღესტნიდან შემახამდე.** ამავე ტერიტორიულ ერთეულს შემდეგში მართავდა დაღესტნის ნუცალი. ჩანს, **ის ადრე ერთ-ერთი საერისთავო იყო კახეთისა**, ეკლესიურად მისი ცენტრი ექვთიმეს დროს ქურმუხი ყოფილა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ასევე ეწოდებოდა „ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარი“.

მის საგამგებლოში შედიოდა „ყოველი მთიულეთის“ ეკლესიები. როგორც ჩამოვთვალეთ, ესენი ყოფილან წახური, კაკ–ელისენი, ტაბასარანი დაღესტანში, იქვე ხუნძეთი, ნახჩეთი, ასევე თუშეთი და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კახეთის სოფლები, მათ შორის, ასევე მოხსენებულია ანწუხის საეპისკოპოსო, ასევე ნეკრესი, სადაც შესაძლოა ეპისკოპოსი იჯდა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურს დაუვალებია (ქალაქ) კაკის წმიდა ბარბარეს ტაძრის მღვდლისათვის იასე ქიტიაშვილისათვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიაში გაეგზავნა წმინდა სახარების წიგნი.

კაკის წმიდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს თავის სამწერლობოში შეუკრებია თავისი თორმეტი მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ ამ ეკლესიებისათვის წმიდა სახარებათა წიგნები.

შემდგომ ეს წიგნები გაუგზავნიათ აღნიშნული რეგიონის ეკლესიებსა, მონასტრებსა და სასწავლებლებში.

კერძოდ, როგორც აღინიშნა, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ამ მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასწავლებელი. მათ რექტორებს ეწოდებოდა – „თავსმდგომნი“. როგორც ითქვა, აქ, ამ სასწავლებლებში, ისწავლებოდა სხვა საგნებთან ერთად ქართლის ცხოვრება, ანუ საქართველოს ისტორია და ალვანიის ისტორია.

ალვანიის ისტორია დაუწერია ვინმე პეტრე ლაგაძეს და შემდეგ მისი ეს თხზულება რომელიღაც სომეხ პლაგიატორს მიუსაკუთრებია და გაურყვნია (დაუმახინჯებია) თავისი შეხედულების მიხედვით. „საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (იქვე, გვ. 17).

განვიხილოთ, თუ სად მდებარეობდნენ ჩამოთვლილი პუნქტები:

1. ანწუხი

ანწუხი მდებარეობდა დაღესტანში, მდინარეების ანდისა და ავარიის კოისუს ხეობებში, თანამედროვე ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებში. ამჟამად ანწუხთა თემი შედის ავარიელების ტომში.

ავარიელებად ითვლებიან: ანწუხები, ინხოელები, კუკინები, სიუხები და ტინდელები. წყაროს მიხედვით, 1310 წლისათვის ანწუხი კახეთში შედიოდა. ანწუხში ყოფილა საეპისკოპოსო. მაშასადამე, იმ დროისათვის ანწუხელები იყვნენ კარგი ქრისტიანები და იმდენად მრავალი სამრევლო და ეკლესია ჰქონიათ, რომ ისინი ერთ ეპარქიად გაუერთიანებიათ ანწუხის საეპისკოპოსოში, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა.

მკვლევარ ფატიმათ ტახნაევას სიტყით, „ავარიულ სოფლებში შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც აულების ახლო მდებარე მრავალრიც-

ხოვანი ნასოფლარები და ნაქალაქარები ძველად დასახლებული იყო ქრისტიანებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ქრისტიანებს „ქართველებად“ მოიხსენიებენ“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანული კულტურა შუასაუკუნეთა ავარიაში (VII–XVI სს.) პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში, რუს. ენაზე, - http:|www.Kotov.info|histori,gv.1).

ადგილობრივი ავარიული სახალხო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ავარია თავდაპირველად ქრისტიანებითა და ქართველებით იყო დასახლებული, განამტკიცა არცთუ დიდი ხნის აღმოჩენილმა არაბულენოვანმა წყარომ, რომელსაც „ირხანის ისტორია“ ეწოდება. ის მოღწეულია ოთხი ხელნაწერით, მათგან ზოგიერთი ხელნაწერი ჩართულია მეორე წყაროში, რომელსაც „დერბენდ-ნამე“ ეწოდება.

ეს ხელნაწერები ასახავენ დაღესტნის ისტორიის თემურ-ლენგის შემდგომ პერიოდს.

ირხანის ისტორიაში ასახულია დაღესტნის სხვადასხვა სოფლებისა და ოლქების ისტორია.

მასში ქართველების დაღესტანში ცხოვრებას შეეხება მისი რამდენიმე მუხლი.

მაგალითად, ხელნაწერშია: – „მცხოვრებნი ოლქ ხიდალისა [ოლქი ხიდი] – იყვნენ ქართველები“ (ირხანის ისტორია,)

wwwvolistil.ifo |texstb|Dokumenty|Kavkaz|VI|Dag–sron|ist,gv.1|6.

ამ ხელნაწერის კომენტარებში განმარტებულია, რომ ნაგულისხმებია გიდატელის თემი, რომელსაც ამჟამად უჭირავს ერთი ნაწილი რაიონი „სოვეტსკოესი“.

ამავე ირხანის ისტორიაში ნახსენებია ქრისტიანული თავდადება იმ „თავადებისა და აზნაურებისა“ რომელთაც ქრისტესთვის სისხლი დაღვარეს და თავი დადეს მუსულმანების შეტევისას სოფელ ხირკასის ციტადელის, (ციხე-სიმაგრის) დაცვისას.

ხელნაწერშია – „შემდეგ გაიმართა შებრძოლება ხირკასში, რომელიც მთელი კვირა გაგრძელდა. სოფელი აღებულ იქნა, მაგრამ დარჩა აუღებელი ერთი კვარტალი, სოფლის ზემო ნაწილში, სადაც მათი რაისები და ემირები – თავატიილები და აზნაურალები იყვნენ გამაგრებულები. მუსულმანებმა ორი თვის მანძილზე ვერ შეძლეს ამ გამაგრებული კვარტალის აღება. საბოლოოდ ის აღებული იქნა უზენაესი ალაჰის, მსოფლიოს ხელმწიფის, შემწეობით. მუსულმანებმა ყველა დახოცეს, ვინც იქ შეხვდათ, მათი გამოკლებით, ვინც ისლამი მიიღო“ (იქვე, გვ. 46).

ხირკასის, ანუ სოფ. არკასის ზემო ნაწილში შემორჩენილია შთამბეჭდავი ზომების ციტადელი, რომელიც XIV საუკუნემდე არსებობდა, ამ ნაშთებს ნაქალაქარს უწოდებენ (იხ. ატაევი, არკასის ნაქალაქარი).

მსგავსი „ემირები და რაისები“ (ანუ „თავატიილები და აზნაურალები“ – თავადები და აზნაურები) ხირკასის მომდევნო სოფელ ირხანშიც ყოფილან და ისინი იქაც მედგრად იბრძოდნენ ქრისტესთვის მუსულმანების წინააღმდეგ, ამიტომაც ამ სოფლელებმა როცა შეიტყვეს, თუ როგორი სისასტიკით ამოხოცეს მებრძოლი ქრისტიანები სხვა სოფლებში, დახოცეს თავიანთი ემირები

და რაისები და მიიღეს ისლამი, ხოლო ირხანის სულთანი გაიქცა კილბახის ოლქში, სადაც ქრისტიანები ეგულებოდა, მაგრამ გზაზე ერთ ადგილას, რომელსაც „ახალი“ ერქვა მოუხდა მუსულმანებთან შებრძოლება, სადაც მოკ-ლეს (იქვე, გვ. 4\6).

ფ. ტახნაევას კვლევით, XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით, გიდატლის თემის „ხიდის“ ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართვე-ლებად.

მათ შესახებ ამჟამადაც არსებობს გადმოცემები. მაგალითად, სოფლების ბაცადლას, უნტის, შულანის და კულაბისა და მიმდებარე ხუტორების ტერი-ტორიაზე მცხოვრებნი, ადგილობრივი გადმოცემით, ავარიულ ენაზე **„გურჯ-იხლიებად“** (ქართველობად) იწოდებოდა. ამ სოფლების ძველ სასაფლაოებზე ცნობილია ქრისტიანული დაკრძალვის ფორმები და ჯვრების მრავალრიცხო-ვანი გამოსახულება.

ამ რეგიონში შემორჩენილია ერთ-ერთი ადრეული ქართული ქრისტია-ნული ძეგლი – ქვის ფრაგმენტი ძველქართული წარწერით, რომელიც აღმოჩნდა სოფელში, რომელსაც ეწოდება „**ვაჩი**“. ეს სოფელი მდებარეობს კუმუხ-ანდაალ-გიდატელ-ხუნძახის შემაერთებელ გზაზე (ფ. ტახნაევა, დასახ. ნაშრ., გვ. 3).

დაღესტნის შემსწავლელ მეცნიერებაში სახალხო გადმოცემებზე დაყრ-დნობით საკითხიც კი დგას **ავარიელი ხალხის ქართული ეთნოგენეზის შესახებ** (იქვე, გვ. 3).

ავარიის ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია ავარი-ის ვრცელი ტერიტორიის მომცველი ქრისტიანული სამაროვნები. ისინია ხუნ-ძახში, გიდატლში, ანდალალაში, სოფლებში, ურადაში, ტიდიბში (შამილის რაიონში), საკუთრივ სოფელ ხუნძახში, გალაში (ბატლაიჩში), ხარახში, ტინდ-ში, კვანადაში (ჩუმადინის რაიონი), რუგუჯაში, კუდალში (გუნიბის რაიონი), მიატლში (ყიზილიურტის რ-ნი), ბოტლიხში (ბოტლიხის რ-ნი).

ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია ასევე დიდოეთ-ში, დიდო-კაპუჩინსკის რაიონში, აქ ატაევმა შეისწავლა ბეჟთას ქრისტიანული სასაფლაო.

მსგავსი ქრისტიანული ნაშთი მრავალია მთელ დაღესტანში. მაგალი-თად, ს. ურადას ქრისტიანულ სამაროვანზე აღმოჩენილი X–XIV სს. ქვის ჯვრე-ბი. ატაევი ამ სამაროვანს VIII–X სს-ით ათარიღებს.

ამ სამაროვნებიდან ჩანს, რომ ავარიის მოსახლეობის როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენები ქრისტიანული იყო, ამ ძეგლებით არ დასტურდება არაბი ავტორების ცნობები, რომელთა მიხედვითაც სარირში (ავარიაში) თითქოსდა მხოლოდ მეფე და მისი ლაშქარი აღიარებდნენ ქრისტიანობას.

ხუნძახშიც მრავალი ქრისტიანული სამაროვანია. მაგალითად, სოფელ აგალლაში VII–XI საუკუნეებისა, ადგილ ტადრაალში XIV–XV სს-სა. თვით სო-ფელ ხუნძახის დიდი ქრისტიანული სასაფლაო (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, დასახ. ნაშრ., გვ. 6). ქრისტიანული წარსულის მრავალი ძეგლია ჩა-მოთვლილი ფ. ტახნაევას ნაშრომში, ისინი მთელი დაღესტნის მრავალ პუნქტს მოიცავენ, განსაკუთრებით ხუნძახის პლატოზე, გიდატლის და ანდალალას თემებში.

დაღესტნის ქრისტიანობის უმთავრესი მოწმობაა იქ არსებული ეკლესიების ნაშთები. ისინი ძირითადად X–XI სს. თარიღდებიან. მიუხედავად, რომ მათ სისტემატურად და მიზანმიმართულად ანადგურებდნენ XIX–XX სს-ში ახალი რელიგის, ისლამის, მიმდევრები და შემდეგ ათეისტები, მათი ნაშთები მაინც საკმაოდ შემორჩა.

მთიან დაღესტანში, რომელსაც ძველ საქართველოში კახეთის მთიულეთი ერქვა, საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები აღმოჩენილია სოფლებში რუგაჯაში, ნაკაზუხში, ზაიბში და სხვაგან. ისლამის შესაბამისად გადაუკეთებიათ ეკლესიები სოფლებში – თადრაალში, ამიტლიში, არკასში და სხვაგან.

არქეოლოგებმა ავარიაში აღმოაჩინეს VII–XIV სს-ის რვა ეკლესიის ნაშთი. ფ. ტახნაევამ შეძლო ავარიაში 18 ეკლესიის არსებობის გამოკვლევა (იქვე, გვ. 8).

მათგან მთლიანი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი – დათუნას ეკლესია. (X–XI სს). ავარიის სოფ. ზემო-ჩირიურტში აღმოჩნდა 4 ეკლესიის ნაშთი (VI–VII საუკუნეებისა, მდ. სულაკის ხეობაში).

დაღესტნის ერთი ყველაზე მსხვილი ქალაქი VIII–XV სს-ში ყოფილა არკასი. მისი ნაქალაქარი 26 ჰექტარზეა განვრცობილი. მისმა ქრისტიანმა დამცველებმა თავდადებით იბრძოლეს მომხვდურ მუსულმანებთან თემურ-ლენგის ეპოქაში. როგორც აღინიშნა, ქალაქის მეთაურებს ქართული ტიტულები, „თავადები და აზნაურები“ ჰქონდათ.

ფ. ტახნაევა აღნიშნავს, რომ „ქართული ფეოდალური ტიტულატურა ავარიაში ცნობილია XI საუკუნიდან – „ნუცალი“ „თავადო“ „აზნაურალ“ („არნახურალ“) საქართველოს პოლიტიკური გავლენისა და ქრისტიანობის XI–XIV სს-ში გაძლიერებისას“ (იქვე, გვ. 12).

აღნიშნულ ნაქალაქარ არკასში სამზე მეტი ნაეკლესიარია აღმოჩენილი, რომელნიც მეჩეთებად გადაუკეთებიათ ისევე, როგორც დერბენდის ბაზილიკური ეკლესია.

ფ. ტახნაევას ვარაუდით, არკასის ეკლესიები არსებობდნენ 1396 წლის თემურის ჯარის დარტყმებამდე.

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი ისტორიული წყაროს, „ირხანის ისტორიის“ ცნობით, ხირკასის (არკასის) აღება გაუჭირდა თემურის ჯარებს. სოფლის ასაღებად მათ ერთი კვირა დასჭირდათ, მაგრამ ამ სოფლის ერთი კვარტლის ასაღებად, სადაც „ტავატიილები და არნახურალები“ (თავადები და აზნაურები) იყვნენ გამაგრებულები, ორი თვე დასჭირდათ.

მთელ დაღესტანში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ჯვრები, სხვადასვა ზომისა და ფორმისა. მართლაც, VI–VII საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებდნენ ჯვრებს და მათ ყველგან მრავლად დგამდნენ.

2. წახური

წახური მდებარეობდა დაღესტანში, მოიცავდა მდინარე სამურის ზედა წელის ხეობას. ეს არის თანამედროვე რუტულის რაიონი, რომელიც ესაზღვ-

რება ზაქათალას, კახისა და ბელაქნის რაიონებს. ამჟამად წახურთა რიცხვი 25.000 კაცია, ხოლო წახური სოფელია დაღესტანში.

ძველად წახურის ოლქის ცენტრი ყოფილა წუქეთი.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ჩამოართვა კაკის რეგიონი ქურმუხთან ერთად და გადასცა წახურელ ლეკებს.

წახურელები კახეთის ამ ნაწილში გაბატონდნენ XVII საუკუნის მერე. წუქეთი და წახური სინონიმები ჩანან. ალ-ყაზვინის ცნობით, „XIII ს-ის შემდეგ წახურში ყველანი მუსლიმები არიან“ მაგრამ, ეს ცნობა სწორი არაა. ეს ასე რომ არ ყოფილა, აჩვენებს მაღალაშვილის ოთხთავის მინაწერი.

3. კაკ-ელისენი

კაკ-ელისენი ერქვა ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებს, მდინარე გიშის წყლამდე. როგორც ითქვა, ეს რაიონები XVII საუკუნეში დაიპყრეს სპარსელებმა და იქ გააბატონეს წახურელი და ავარიელი ლეკები. ავარიელთა ლეკების ე.წ. „თავისუფალი თემები“ საინგილოში არის: ჭარ-ბელაქანი, კატეხი, მუხახი და ქინიხი. წახურელი ლეკების თავისუფალი თემები საინგილოში არის: წახური, ელისუ და ყარადუკულაკი. კახეთის ამ დაპყრობილ ნაწილს ერთ პერიოდში „წახური“ ანუ წუქეთი ეწოდა.

ძველი წუქეთი, როგორც ითქვა, XVII საუკუნემდე მოიცავდა დაღესტნის ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე საამურის სათავემდე.

XVII საუკუნის შემდეგ ყოფილი კახეთის ცენტრს ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს ეწოდა ახალი წუქეთი. ის ფაქტიურად მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს.

მაჭი ცნობილი არის VIII საუკუნიდან. XI საუკუნის შემდეგ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მაჭის წყლიდან შაკიხამდე (შექამდე), ალაზნიდან ხუნზახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, შაკიხი, კასრი, ლაკუასტი.

მაჭის საერისთავო 1471 წელს გაუქმა კახეთის მეფე ლევანმა. როგორც ითქვა, XVII საუკუნის შემდგომ იქ გაბატონდნენ წუქეთელი ლეკები და ამ ტერიტორიასაც შესაბამისად მათი სატომო სახელი ეწოდა. საერთოდ, კაკი ქალაქ კახს ერქვა.

I. კასრი

კასრი ყოფილა ქალაქი წუქეთისა. როგორც ჩანს, ის აუგია VIII საუკუნეში არჩილ მეფეს. „მაღალაშვილის ოთხთავის“ მინაწერში ჩამოთვლილ ეკლესიათა შორის იხსენიება კასრის წმ. სამების საყდარი. პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია მეფე არჩილთან (VIII ს.). „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა

წარმართთა მის მთისათა – სახელით აბუხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243). შემდგომში მეფე არჩილმა წუქეთი და ქალაქი კასრი გადასცა სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონ პიტიახშებს, რომელნიც ვასალური სახით ეყმნენ არჩილს.

გ. მარჯანიშვილის კვლევით, ქალაქი კასრი მდებარეობდა ქალაქ კახთან ახლოს, დასავლეთით, მდინარე კობალას მახლობლად (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 32). ჩვენ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც, ჩანს, ქალაქი კასრი მდებარეობდა მდინარე სამურის სათავესთან ახლოს. მაგრამ სხვა პუნქტი კასრი ქალაქ კახთანაც მდებარეობდა. ჩანს, სწორედ ეს უკანასკნელი მოუხილავს პატრიარქ ექვთიმეს, რადგანაც ოთხთავის მინაწერში ნახსენები კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია კაკ-ელისენში მდებარეობდა. გ. მარჯანიშვილის აზრით, როგორც ითქვა, ის მდებარეობდა ქალაქ კასრის დასავლეთ მხარეს. **ეკლესიასთან ახლოს ყოფილა ქვით ნაგები და შიგნიდან გალესილი ძველისძველი დიდი ცისტერნა,** საზედაშე ქვევრი, მისი სიგრძე და სიმაღლე ყოფილა 2 მეტრი. შესაძლოა, ამ ცისტერნას **უწოდებდნენ კასრს** და მისი სახელი დაერქვა ეკლესიასაც.

კასრის ეკლესია იყო ყოვლადწმიდა სამებისა.

II. ყუმი

ყუმის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. ითვლება, რომ ყუმის ეკლესია VI საუკუნისაა. ყუმი მდებარეობს კახის რაიონის სოფელ ლეკითთან, იგივე ლექართთან ახლოს, მის გვერდით. აქ დღესაც დგას ეკლესიის ნანგრევი, შვერილაფსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა. გ. მარჯანიშვილის კვლევით, ეს ის VIII საუკუნის ეკლესიაა (და არა VI საუკუნისა).

III. ლექართი

ლექართის წმიდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. სოფელ ლექართს ახლა ლეკითი ეწოდება. სოფელთან ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს მონასტრის ნანგრევები, ხოლო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ეკლესიის, აბანოსა და ქარვასლისაგან შედგენილი კომპლექსი. ლეკითის ტეტრაკონქის სტილით ნაგები ეკლესია ბანას ტიპის მრგვალი ტაძარი ყოფილა VIII–IX საუკუნეებისა, ე.ი. არჩილ მეფის დროინდელი. აღნიშნული ლეკითის მონასტერსაც ასევე ჰქონია მრგვალი ეკლესია, მათ შორის ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზი (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 28). ყველა ჩამოთვლილი ეკლესია „ქართული ძეგლების ფართო წრეს განეკუთვნება“ (იქვე, გვ. 29). წმიდა ნინოს სახელზე ნაგები ეკლესიის დასახელება მიუთითებს, რომ ამ მხარეებში უქადაგნია ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს.

IV. ზარი

ზარის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ზაქათალას რაიონში ს. ზარნას (ძვ. ზარი) მთის წვერზე, მრგვალი ნაგებობაა. ასეთივე სახელი აქვს შექის რაიონის სოფელ ორთა-ზეიზითის, ძველი ზედგზითის ეკლესიას, რომელიც მოხატული ყოფილა ქართულ წარწერებიანი ფრესკებით. „გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ გაირჩეოდა მთავრული (ასომთავრული) ასოები „ვხ“ და „მხტოლ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 36).

ამ სოფელს ს. კარაპეტიანი ზაიზიტს უწოდებს, მდებარეობდა ქ. შაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8-9 კმ დაშორებით (ამჟამინდელი ორთა ზაიზიტი აზერბაიჯანის შექის რაიონში). ამჟამადაც ამ ეკლესიას წმ. გიორგის უწოდებენ. მის მოსახლეობას ს. კარაპეტიანი და მისი წინამორბედები „გამუსულმანებულ სომხებს“ უწოდებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ მთელი ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც გამუსულმანდნენ (ს. კარაპეტიანი, საკუთრივ ალბანეთის რეგიონები შაქსა და კაპალაკში“ „Кавказ и Византия“ ტ. 6, გვ. 231). ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც აქ სომხები ძირითადად პასკევიჩმა გადმოასახლა XIX ს-ში ყარაბაღიდან, რის შემდეგაც მათ ადგილობრივი ქართული ეკლესიები აითვისეს, რადგანაც გამუსულმანებულ მკვიდრ მოსახლეობას (ყოფილ ქართველებს) ეს ეკლესიები უპატრონოდ ჰქონდათ დატოვებული. ნ. კარაპეტიანის ზაიზიტის ეკლესიისა და გ. მარჯანიშვილის ზედგზითის ეკლესიების გეგმები იდენტურია. ზარის წმ. გიორგის ეკლესია კი, როგორც ითქვა, ზაქათალას რაიონში მდებარეობდა.

V. ვარდიანი

სოფელ ვარდიანში მდგარა წმ. აბოს ეკლესია. „ვარდ“ ფუძე-ძირით ძველი, ისტორიული კახეთის ამ რეგიონში მრავალი პუნქტი მოიხსენიება, მათ შორის, ვარდაშენი (ვართაშენი) და მის სამხრეთით ამჟამინდელი „ვარდანლი“. მის მახლობლად გადიოდა გზები, რომელნიც ერთმანეთში აკავშირებდა შემახას განჯასთან, ასევე კაპალაკსა და შექს დერბენდ-ჩოლთან, საბოლოოდ, ყველა ეს გზა თბილის-მცხეთას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაღალაშვილის სახარების მინაწერში არ იხსენიება სიტყვა „ჰერეთი“ თუმცა კი ამჟამად კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს მინაწერი ჰერეთის ეკლესიებს შეეხება. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჰერეთი მდებარეობდა არა აქ, არამედ ჩამოთვლილი ეკლესიების აღმოსავლეთით კაპალაკსა (ყაბალასა) და მტკვარ-არაქსის შესართავს შორის. ეს იყო ალბანეთის ნაწილი. ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შექიდან გურჯაან-ბოდბის ჩათვლით, ანუ იმ მიწა–წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში კახეთი ეწოდება, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ამ წყაროში (მაღალაშვილის სახარების მინაწერში) ეს რეგიონი კახეთად მოიხსენიება და არა ჰერეთად. ჩამოთვლილი ეკლესიების სახელებიც მიუთითებს, რომ მათ არაფერი აკავშირებდათ ალბანეთის ეკლესიასთან. მათი სახელები: წმიდა ნინო, წმიდა არჩილი, წმიდა აბო, წმიდა გიორგი მიუთითებს, რომ ისინი ქართული სამყაროს ეკლესიებია, ქართველ განმანათლებელთა,

წმიდანთა და მეფეთა სახელობისა და არა ალბანელებისა. თუმცა ს. კარაპეტიანი აყალბებს რა მაღალაშვილის მინაწერს, არწმუნებს მკითხველს, თითქოსდა ეს ეკლესიები ალბანელთა განმანათლებელ ელიშესთან იყო დაკავშირებული. მაღალაშვილის მინაწერში კი, როგორც ითქვა, არ იხსენება არც სიტყვა „ჰერეთი“ და არც სიტყვა „ელიშე“.

ს. კარაპეტიანი იმასაც კი წერს, თითქოსდა ამ მინაწერში „წმიდა ელიშეს 12 მოწაფე იხსენიება“ მაშინ, როცა მინაწერში იხსენიება არა I საუკუნის წმინდანის, არამედ XIV საუკუნის მღვდლის იასე ქიტიაშვილის სახელი, რომელსაც ქალაქ კაკში ჰყოლია 12 მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ სახარების წიგნები ჩამოთვლილ ეკლესიებში დასარიგებლად.

ს. კარაპეტიანი უხეშად, განუკითხავად აყალბებს წყაროებს.

ასეთი გაყალბება კი, ამ მინაწერის სიტყვებით, ძველადაც ერთ-ერთი ჩვეულება ყოფილა ს. კარაპეტიანის წინამორბედებისა. მასში ნათქვამია : „ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან, ვინმე სომეხმან გა(რყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“.

ალვანია აღნიშნული ეკლესიების რეგიონის უშუალო მეზობლად, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლაც საჭიროდ იყო ცნობილი.

ვარდიანში ყოფილა წმიდა აბოს ეკლესია.

წმიდა აბო ქართული ეკლესიის წმინდანი იყო, რომელსაც იცნობდა მთელი ქართული სამყარო VIII ს-სა, ანუ წმ. არჩილის ეპოქისა. ეს ეკლესიაც არჩილს უნდა დაუკავშირდეს.

VI. განუხი

განუხის წმ. არჩილის ეკლესია უნდა მდებარეობდეს შაქსა და ვართაშენს შორის. პუნქტი ღანუხი ქურმუხთან ახლოსაა შაქის მხარეს.

მისი ეკლესიის სახელიდან (წმ. არჩილი) ჩანს, რომ ის კახეთში წმ. არჩილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და არა ალბანეთის ეკლესიასთან.

ცნობილია, რომ წმ. არჩილი თავის საბრძანებელში გადავიდა კახეთში არაბთა მპყრობელობისას და იქ მრავალი ქალაქი და ეკლესია ააშენა. მათ შორის, ჩანს, განუხის ეკლესიაც.

VII. ქიშ-ნუხი

ქიშნუხშია ღვთისმშობლის ეკლესია. კიში – იგივე ქიში, ნაჩვენებია შაქთან ახლოს მდინარე ქიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. იქ მდებარე ეკლესიას მიიჩნევენ „გიშის საეპისკოპოსოდ“.

გიშის ეკლესია შაქის მახლობლად მცირე ნაგებობაა. XI ს-ში განუახლებიათ. გ. ჩუბინიშვილი წერდა: „შეუძლებელია მისი მიჩნევა უკვე VI ს-ში არსებულ საეპისკოპოსო კათედრად. საფიქრებელია, რომ გიშის კათედრა X–XII სს-ში გადატანილი იქნა იქვე, 5 კმ-ით, დაშორებულ ქალაქ ნუხაში. ეკლესია ხე-

ლმეორედ გამოყენებული იქნა პასკევიჩის ბრძანებით XIX ს. 50–60-იან წლებში გადმოსახლებული სომხების მიერ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 26).

საერთოდ, სხვაა ქართული წყაროების გიშის ქართული საეპისკოპოსო და სხვაა სომხურ-ალბანური გისის საეპისკოპოსო.

გისის ცნობილი ალბანურ-სომხური სასულიერო კერის მდებარეობა ივარაუდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე უტიკის რეგიონში, კერძოდ, კი პარტავთან ახლოს, მის ჩრდილოეთით (იხ. ბ. არუთინიანის სომხეთის რუკა), ხოლო ქართული გიშის საეპისკოპოსო სულ სხვა რეგიონში – შექთან მდებარეობდა.

შაკიხი ერქვა შექსა და მის რაიონს. სომხური წყაროების „გარდმანი“ (გარდაბანი) და ქართული შაკიხი ერთმანეთის მეზობლები იყვნენ. ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ეს საინტერესოა ჩელეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

კახეთის ქალაქი ჩელეთი უნდა ვეძიოთ შექის რაიონში, რადგანაც მის მშენებლობაში გარდაბნელები მონაწილეობდნენ.

მართლაც, სოფელი „ჩალეთი“ ს. კარაპეტიანის რუკაზე მდებარეობს ვართაშენ-ვარდაშენთან ახლოს, მის დასავლეთით. ამ ჩალეთის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული გარდმანის პროვინცია მდებარეობს.

ქართლის ცხოვრება წერს – **„კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა და ამ-ან კახოს აღაშენა ჩელეთი, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა ციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოსს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველშენებელსა კახეთისასა“** (ქ.ც., ტ. I, გვ. 9).

ჩელეთის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალის დროს იხსენიება ხორნაბუჯსა და აგარაკს შორის. ეს აგარაკი მდებარეობდა „ხუნანის გამართებით” (იქვე, გვ. 199).

ამ განლაგებიდან ჩანს, რომ ჩელეთის საეპისკოპოსო მდებარეობდა ხორნაბუჯ-ხუნანის რეგიონში, ანუ იქ, სადაც ჩვენ ვვარაუდობთ ქალაქ ჩელეთის მდებარეობას. შაქსა და ვართაშენს შორის, როგორც აღვნიშნეთ, აქ მართლაც მდებარეობს პუნქტი ჩალეთი თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (ს. კარაპეტიანი, 2005, რუკა, გვ. 252).

ამ რეგიონში უნდა ყოფილიყო ტყეტბა – საზღვარი ჰერეთთან, კერძოდ კაბალა-ყაბალსა და ვართაშენს შორის, აქ გამავალ მთას „გურჯი დაღის“ იქაურები საქართველოს საზღვრად მიიჩნევდნენ.

ამ მთის დასავლეთით ზაქათალა, კახისა და ბელაქანის რაიონებში ისტორიულად მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს დედაქალაქები ბაზარქალაქ-ზაგემი და სხვა სამეფო რეზიდენციები. აქ იყო კახეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყალი, სხვა ტერიტორიები კახეთისა – ძირითადად ნაკლებდასახლებული იყო.

ჩვენი კვლევით, „კახეთის მთას“ უწოდებდნენ გომბორის ქედს. ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

მიწები არაგვიდან გულგულა-ტყეტბამდე, ანუ კაბალა-ხილხა-ლამდე-კახეთს ეკუთვნოდა. მართლაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ხილხალა – საქართველო-ალბანეთის საზღვრად მიიჩნეოდა.

ყაბალაზე გადიოდა ჩორსა და განძა-ალბანეთს დაკავშირებული გზა. ამ გზით შემოდიოდნენ ჩორ-დერბენდიდან ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად ჩრდილოკავკასიელები.

როგორც ითქვა, ეს რეგიონი, ანუ ზაქათალა-კახი-ბელაქანის მომცველი მიწა-წყალი სპარსეთმა მიიტაცა, სადაც მისი ქართველი მოსახლეობა ძირითადად ასიმილირდა ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსახლებულ ლეკებში, რომელთაც სამართავად გადაეცათ კიდევაც ეს ტერიტორიები.

ბელაქნის რაიონში განსაკუთრებულად, და საერთოდ საინგილოში, ბევრი ლეკი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობას. მაგალითად, გალაჯოევების წინაპრები ვაჩნაძეები ყოფილან, ნასტაგალოვებისა – ერისთავები. ბევრ ლეკს სცოდნია, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ და ცოდნიათ კიდეც თავიანთი ქართული გვარები.

ქიშ-ნუხამდე, ანუ გიშისწყლამდე მიწა-წყალი კახეთად ითვლებოდა. გიშის ტაძარი, როგორც აღინიშნა, ქ. ნუსხალის (შექის) ჩრდილოეთით 6 კმ მოშორებით მდებარეობდა. გიშის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასლის დაარსებულად ითვლება. ისტორიულად გიში ასამ და ასათ გრიგოლისძეებს ეკუთვნოდათ.

ასათ გრიგოლისძეს საღირ კოლონკელისძისგან მძლავრობით მიუტაცია ჰერეთის ერისთავობა და ასევე მას მიუტაცნია არიშიანისაგან ადგილი საქართველოს სახელმწიფო დარბაზში (პარლამენტში), კერძოდ, ის „დაჯდა სასთაულით“ არიშიანის ადგილზე დარბაზობის დროს.

ასათ გრიგოლისძემ ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს.

ოქროს ხანის პერიოდში ასათ გრიგოლის ძის მოწოდებით, ანუ „წვევით“ საქართველოს ჯარმა დალაშქრა ქვეყანა „განძას ქვემოთ ბელაყნამდის, რახსის პირი მასისამდე“ (ქ.ც., II, გვ. 40).

„განძის პირის“ ქვეყანა, ჰერეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე, მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჰერეთში შედიოდა არეში, ანუ არიში. ყვარყვარე ათაბაგმა 500 კაცით ილაშქრა არეშში იქაური ვაჭრის დასასჯელად. მან გაიარა ფარავნის ტბა, დმანისი, ხუნანი, „განვიდა მტკვარს და მივიდა არეშს“.

ხუნანიდან გზა მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და თანამედროვე მინგეჩაურის ტბის ოდნავ ქვემოთ კვეთდა მტკვარს. ამ მხარეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყოფილა არეში.

მაშასადამე, ქართველთა წინაპრების ქართლოსისა და კახოსის დროიდან ეს მიწა-წყალი ქართულ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა, ხოლო შემდგომ ვახტანგ გორგასლის, წმ. არჩილ მეფის თუ ათაბაგების ეპოქაში – ქარ-

თულ საეკლესიო იურისდიქციაში, ამას მიუთითებს გიშის ქართული საეპის-კოპოსოს, ქიშნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ვარდიანის წმიდა აბოს და განუხის წმიდა არჩილ მეფის ქართული ეკლესიების არსებობა.

ამ მხარეში, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა კახეთის ძველი ქალაქი ჩელეთი (და არა ერწო-თიანეთში, ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან, რო-გორც ამჟამად მიიჩნევა).

ქართლის ცხოვრებით ჩელეთი – მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა. მართლაც, ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდეა შემორჩენილი შაქის რაიონის სოფელ ჩელეთში, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ჯალეთს“ უწოდებს. კერძოდ, აქ შემორჩენილია დიდი სასახლის ნანგრევები, მისი სიგრძე 16-17 მეტრია. აქვეა ჩელეთის, ანუ ჩალეთის, ჯალეთის ეკლესია.

VIII. ვართაშენი

ვართაშენის ეკლესია – წმ. ელიას სახელობისა.

სოფელი ვართაშენი მდებარეობს შაქის აღმოსავლეთით, ყაბალა, კაპა-ლაკის მარცხნივ. XVIII ს-ში ვართაშენში მცხოვრები უდები თავიანთ თავს უწოდებდნენ ასე – „ვართ ალბანელები და ეროვნებით უტიელები“ (გ. მარჯა-ნიშვილი, გვ. 51).

არცახი და უტი ერქვა არმენიზებულ ალბანურ პროვინციებს ვართა-შენის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. არცახელებმა და უტიელებმა შეძლეს გმირულად შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა ალბანეთის ისლამიზა-ციის საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ უტიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ უტის რეგიონი და თავი მახლობლად, ჯერ კიდევ ძლიერ საქართველოში, ვართაშენისათვის, შეეფარებინათ. საქართველოს სახელმწი-ფოებრივი სიძლიერის დროს უტიელები თავდაცვის მიზნით გადასახლდნენ ისტორიული ალბანეთიდან, ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქვეყნიდან, იქვე მახლობლად – მარცხენა სანაპიროზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერი-ტორიაზე.

უტი ერქვა ალბანურ პროვინციას სწორედ ვართაშენის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამ პროვინციას ასევე ერქვა მეორე სა-ხელი „არანძაკი“ (არანის ქვეყანა) – მის ხალხს უტიელები ერქვა პროვინციის სახელის მიხედვით.

სოფელ ვართაშენში, რომელიც ახლა ქალაქი და რაიონული ცენტრია, რამდენიმე ეკლესია არის.

ვართაშენი იხსენიება 1310 წლის განსახილველ დოკუმენტში.

XIX საუკუნეში სოფელში ყოფილა სამასი კომლი მოსახლე. მათ შორის ასი კომლი ყოფილა ქართველი მართლმადიდებლების ოჯახი და, მათ გარდა, ცხოვრობდნენ უტიელებიც (უდინები).

ეს აღწერა იმით არის საინტერესო, რომ ს. კარაპეტიანის სიტყვით, ის ჩაუტარებია თვით სომეხ სამღვდელოებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სომეხი სამღვდელოება კი ტენდენციურად იყო განწყობილი, რაც გამოიხა-

ტებოდა იმით, რომ ყოველი ხერხით ცდილობდნენ დოკუმენტებში გაეზარ-დათ მოსახლეობაში სომეხთა, ანუ მონოფიზიტთა რიცხობრივი რაოდენობა.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, მათი აღწერით, სოფელ ვართაშენის მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველი მართლმადიდებელი ყოფილა. არა ზოგადად მართლმადიდებლების რიცხვი ყოფილა ასეთი, არამედ ეთნიკური ქართველებისა.

ამ სოფელში ასევე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული უდინები (უტიელე-ბი), სომხები, ებრაელები და სუნიტი მუსულმანები.

1890 წლისათვის მოსახლეობის წილობრივ რაოდენობაში ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი შემცირებულა. კერძოდ, ამ წელს ვართაშენში მოსახლეობდა 680 ოჯახი (კომლი). მათგან 450 ყოფილა მონოფიზიტური აღმსარებლობისა (მონოფიზიტთა შორის ჩამოთვლილები არიან ეთნიკური სომხები და ეთნიკური უდინები), 150 ყოფილა მართლმადიდებლური ქართუ-ლი ოჯახი, 200 ებრაული და 30 მუსულმანური. სომეხთა და მონოფიზიტ უდინთა საერთო რაოდენობა ყოფილა 1463 კაცი. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახი შედგებოდა 3-4 კაცისაგან, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, ვართაშენის 150 ქართული ოჯახი შედგებოდა 450-600 კაცისაგან.

კიდევ ერთი აღწერა ჩაუტარებიათ 1913 წელს და ამ დროს ვართაშენში ცხოვრობდა 2914 კაცი (ს. კარაპეტიანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლე-ბი საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, წიგნში „Кавказ и Византия“ №6, 1988, გვ. 246).

ამ აღწერათა შემდგომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტი საინგილოსათ-ვის, გასაბჭოება, საინგილოს დაუფლება აზერბაიჯანის მიერ. ქართველთა მი-ზანმიმართული დევნა ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვართაშენის ქართვე-ლობა იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო საქართველოში, კერძოდ, კა-ხეთში. საქართველოში დასახლების შემდგომ ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და აღწერებშიც ქართველებად ეწერებოდნენ, მაგრამ მათ ეთნიკურ ვინაობაში ეჭვი შეიტანეს თბილისის სამეცნიერო წრეებმა. ქართიზაციის თეორიის გავლენით ისინი აცხადებდნენ, რომ კახეთში ჩასახლებული ვართაშენელები იყვნენ არა ეთნიკური ქართვე-ლები, არამედ უდინები, რადგანაც ვერ წარმოედგინათ აზერბაიჯანის შო-რეულ სოფელში ქართული მოსახლეობის ცხოვრება. თბილისელი მეცნიერები მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობდნენ კახელ ვართაშენელებთან, უმტ-კიცებდნენ მათ, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ ეთნიკური ალბა-ნელების ბოლო, გადარჩენილი მცირე რაოდენობა, უდინები. მოუწოდებდნენ, შეესწავლათ და აღედგინათ თავიანთ მეტყველებაში უდინური ენა. ეს მაშინ, როცა XIX საუკუნის სომხური აღწერებითაც კი აზერბაიჯანის ვართაშენში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ქართული და უდინური ოჯახები და მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობა.

ვართაშენში ქართველებს თავიანთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ და ასევე იქვე ყოფილა მონოფიზიტური ეკლესიაც, ხოლო

ვართაშენის გარეუბნებსა და სასაფლაოებზე სხვა ეკლესიებიც მდგარან. ქართული 1310 წლის საბუთის მიხედვით, ვართაშენში მდგარა წმიდა ილია წინასწარმეტყველის („ელიას“) სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პასკევიჩის შემდგომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ ყარაბახელ სომხებს თავისებურად, მონოფიზიტურად, გადაუკეთებიათ და მისთვის უწოდებიათ ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშეს სახელი. შეუთხზიათ ლეგენდაც, რომ თითქოს იქ არის დაკრძალული ამ მოციქულის ორი მოწაფე, რომელზეც აღმართული არის სამლოცველო. ამ ლეგენდას ს. კარაპეტიანი ამატებს კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც შეიძლება ითქვას არის სრული უზუსტობა და არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა მოციქულ ელიშეს მოწაფეთა საფლავებზე აღმართული სამლოცველოები მოხსენიებულია 1310 წლის ჩვენს მიერ განსახილველ ქართულ დოკუმენტში. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ნახსენებია ვართაშენის წმიდა ილია წინასწარ-მეტყველის სახელობის ეკლესია და მასში საერთოდ არ იხსენიება არც მოციქული ელიშე და არც მისი მოწაფეები. ჩვენი თვალსაზრისით, ვართაშენში შესაძლოა არც იყო ძველი სომხური ეკლესიები, რადგანაც ს. კარაპეტიანის მიერ გამოქვეყნებული სომხური წარწერები XIX საუკუნეს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ვართაშენის რაიონშია სოფელი ჩალეთი (ჭალეთი), ანუ ჩელეთი, ჩანს, უძველესი კახური ქალაქი. მას ჯალეთსაც უწოდებენ.

ამ მიდამოებში, გ. მარჯანიშვილის სიტყვით, „ძველი შაქისა და ხაჩმაზის გამყოფ ქედზე, საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი „გიურჯი დაღი“ (ქართველთა მთა) არის დაფიქსირებული. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

როგორც აღინიშნა, სოფელ ჩელეთ-ჭალეთში არსებობს სასახლის ნაშთი, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ტიპიური კახური სასახლეების მსგავსს“ უწოდებს.

ასევე აღინიშნა, რომ სოფელ ნიჯისა და ვართაშენის მცხოვრებ უდებს პეტრე I-ისათვის XVIII ს-ში გაუგზავნიათ წერილი. უდების თქმით, ისინი „ალბანელები და ეროვნებით უტიელები“ არიან. ამ განსაზღვრებაში, ალბანელებისა და უდების ცნება არ ფარავს ერთმანეთს“ (იქვე, გვ, 51). მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რეგიონს სომხურად „უტი“ და ასევე „არანძაკი“ ერქვა (იხ. არუტუნიანის რუკა).

ძველი „უტიკის“ ანუ უტის პროვინციაში მდებარეობდა ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდა). „უტიდან ვართაშენში გადასახლებულ უტიელებს XVIII ს-ში ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკური ვინაობა. ისინი იყვნენ ძველი ალბანეთიდან, ამავე დროს კი იყვნენ უტიელები, ანუ ძველი უტიკის მცხოვრები, ტომობრივად უტები, ანუ უდები.

XV–XVI საუკუნეებში, ძველ რეგიონში, როცა ქრისტიანთათვის იქ ცხოვრება გაძნელდა, როგორც ითქვა, მათ თავი შეაფარეს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოში შემავალ შაქი-ვართაშენის რეგიონს, რომელიც, მართალია, უკვე იწყებდა გამაჰმადიანებასა და სეპარატიზმის გზას ადგა, მაგრამ ვართაშე-

ნსა და მის შემოგარენში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქრისტიანთა-თვის.

ვართაშენში უტიელებს, ცხადია, დახვდათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და ეკლესია. აქვე, ჩანს, ეთნიკური სომხური მოსახლეობაც გაჩნდა. ამის შედეგად ვართაშენში აღმოჩნდა ქართული, უტიური, სომხური, ებრაული და მაჰმადიანური მოსახლეობა.

XVIII ს-ში, როგორც პეტრე I-სადმი მიმართვიდან ჩანს, ამ უდინებს (უდებს) კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი ალბანელები და ამავე დროს უტები იყვნენ.

შემდეგში ვართაშენის ქართულ მოსახლეობას უფრო და უფრო გაუჭირდა ამ რეგიონში ცხოვრება, რადგანაც შაქში მაჰმადიანური ხელისუფლება გაძლიერდა, კახეთის დიდი ნაწილი კი შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა, ამავე დროს სპარსელთა ნებით შეიქმნა კაკელისენის განდგომილი რეგიონი, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა ლეკური მმართველობის ქვეშ. ამ რეგიონის ქართველები შესაბამისად ლეკდებოდნენ და მაჰმადიანდებოდნენ.

ამგვარ პირობებში მით უმეტეს გაუჭირდებოდა ვართაშენის ქართველებს, ისინი, ჩანს, ასიმილირდნენ უტიელებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში. თუმცა, მაინც, XIX ს-ში მათი რაოდენობა 600 ყოფილა. ისინი XX ს-ში ზინობიანში გადასახლდნენ და უკვე ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ თვითშემეცნება, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ და ამიტომაც მისკენ ისწრაფვოდნენ საბოლოოდ დასაფუძნებლად.

ქართლის კათალიკოსის სამწყსო ჩრდილო კავკასიაში ქართლის ცხოვრების ჩანართის მიხედვით

აღნიშნულ პუნქტთაგან ზოგიერთი ცნობილი არის „ქართლის ცხოვრების“ იმ ჩანართიდან, რომელიც შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ იქ ნათქვამია:

„იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (საწმყსოსა) სამწყსოსა თვისსა ქართლსა: გამოღმა გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართლის ქვეყანაში შემდეგი პუნქტები: **გამოღმა კახეთი, გაღმა კახეთი, შაქი, შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები, ანუ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მათთან ერთად სვანეთი, ჩერქეზეთი, ოვსეთი და ზემო ქართლში სამცხე საათაბაგო.**

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე პუნქტები არის დასახელებული 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში. როგორც აღინიშნა, მასში ჩამოთვლილია შემდეგი სახელები – **კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო, წახური, კაკელისენი, კასრი, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვარდ-თაშენი, თაბასარანი, ხუნძები, ნახჩები, თოშეთი, ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეხი, ყოველი ვაკე, ანუ მოვაკანი, ელისენი, ვერხვიანთ ზეგანი, ივრისა და ალაზნის შესართავი, ქურმუხი, ყოველი მთიულეთი, კაკი, ალვანი, ანუ სავანია და სხვა.**

1. შირვანი

ყველაზე შორეული პუნქტი, სადაც ამ დოკუმენტების მიხედვით, თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესია, იყო შირვანის პროვინცია. ის ამჟამად შედის აზერბაიჯანში და მოიცავს შამახის რაიონს. აქ განვითარებული არის მევენახეობა და ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად ითვლება. მიიჩნევა, რომ შირვან-შაჰების სახელმწიფო ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში, აბასიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ, შირვან-შაჰების სახელმწიფო შეუერთდა საქართველოს დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ტიტული იყო შირვანშაჰი. აქ ცხოვრობდა ქრისტიანული მნიშვნელოვანი სამრევლო საქართელოს ეკლესიისა.

2. ჰერეთი

შირვანს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. მართალია, არცერთ აღნიშნულ დოკუმენტში სახელი ჰერეთი ნახსენები არ არის, რადგან არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო I ათასწლეულშივე (მისი ძლიერების პერიოდში). ამიტომ II ათასწლეულში მისი ხსენებაც კი გაქრა და დოკუმენტებშიც არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჰერეთის სახელი XX საუკუნეში გააცოცხლეს სამეცნიერო წრეებმა და მას მისთვის იქამდე უჩვეულო ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭეს. კერძოდ, XX ს. მეცნიერებმა ეთნიკურ ჰერებად გამოაცხადეს კახეთის ძირძველი ისტორიული რაიონების – კახის, ბელაქნისა და ზაქათალას მოსახლეობა მაშინ, როცა თვით ძველი, თავდაპირველი, I ათასწლეულის ჰერეთი ეთნოსის სახით არც კი ჩამოყალიბებულა. ჰერეთი იყო ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი სადავო ალბანეთსა და ქართლს შორის, თანაც ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა ამ (კახის, ბელაქანისა და ზაქათალას) რაიონებს, რომელნიც მუდამ კახეთის რეგიონში შედიოდნენ. კახეთს ჰერეთისაგან, როგორც მიიჩნევა, გულგულა ჰყოფდა. სავარუდოდ, არსებობდა ორი პუნქტი ასეთი სახელით, ერთი თელევთან, მეორე კი – ვართაშენთან, პუნქტ ხალხალასთან ახლოს, რომელსაც, მოვსეს კალანკატუაცი და ეღიშე ასახელებენ ვითარცა სასაზღვრო პუნქტს იბერიასა და ალბანიას შორის.

ისტორიული ჰერეთი იწყებოდა არა თელავის სოფელ გულგულადან, არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილადან (ხალხალადან). სწორედ ამ თანამედროვე პუნქტ ფილფილას ეწოდებოდა ქართულ წყაროში ნახსენები სახელი

„ტყეტბა-გოლგოლა“ იგივე გულგულა. ე.ი. იყო ორი გულგულა, ერთი თელავთან, მეორე კი ვართაშენთან. როგორც ითქვა, ისტორიული ჰერეთი იწყებოდა ვართაშენის ფილფილა-გულგულასთან და გრძელდებოდა შამახასთან მდეზარე მდინარე აღსუმდე. ასე ერქვა მდინარეს, რომელიც მტკვარს უერთდებოდა მარცხენა სანაპიროს მხრიდან იქ, სადაც მტკვარს მარჯვენა სანაპიროს მხრიდან უერთდება არაქსი.

აღსუს ქართველები თეთრ წყალს უწოდებდნენ. აქ საუკუნეთა მანძილზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. რაც შეეხება უშუალოდ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარს, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი გადიოდა აღნიშნულ ფილფილა-გულგულასთან. საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი უკვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს წარმოადგენდა აღნიშნულ აღსუ-თეთრწყალზე.

დიდხანს, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგაც, აქამდე აღწევდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია შირვანის ქვეყანაში.

როგორც აღვნიშნეთ, აქვე შირვანთან მთავრდებოდა ჰერეთის საზღვარი.

პლინიუს უფროსიც წერს, რომ ალბანია და იბერია ერთმანეთისაგან განყოფილი იყვნენ მდინარე ოკაზანით, რომელიც ჩაედინებოდა მტკვარში (პლინიუსის ცნობით, ეს მდინარე ოკაზანი გამოედინებოდა კავკასიის მთებიდან და ჩაედინებოდა მტკვარში, ამჟამად მიჩნეულია, რომ ოკაზანი იყო მდ. ალაზანი, სახელების ჟღერადობის მსგავსების გამო, მაგრამ კახეთის რეგიონში მრავალ მდინარეს ეწოდებოდა ალაზანი (პირიქითა ალაზნები და სხვა), ამიტომაც ოკაზანის გამოცხადებას ალაზნად, არ გააჩნია საფუძველი, მაგრამ ეს მდინარე (ოკაზანი) ამ რეგიონშია საძებნი. ეს მდინარე არის ან ამჟამინდელი მდ. გოიჩაი (გიშისწყალი, შექთან), რომელიც ალაზანს უერთდება, ამიტომაც ისიც შეიძლება ალაზნად იწოდებოდეს, ანდა იქვე, სოფელ ფილფილასთან ჩამდინარე მდინარე აგრიჩაი, რომელიც მტკვარს უერთდება, ანდა აღნიშნული აღსუ. ოკაზანი უფრო არის აგრიჩაი, ის გამოედინება კავკასიის მთებიდან და უერთდება მტკვარს, მაშასადამე, ჩვენი ვარააუდით პლინიუსის მდ.ოკაზანი არის ამჟამინდელი მდინარე აგრიჩაი, მის სანაპიროზეა სოფ. ფილფილა, რომელის უნდა იყოს წყაროებში ნახსენები ტყეტბა-გულგულა, საზღვარი ალბანეთსა და იბერიას შორის ანუ საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის.

პლინიუს უფროსი **ოკაზანის შესასახებ წერს** – „Теперь будут перечислены жители пограничных с Арменией областей: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … » (**Плиний Старший,** «Естественная история», кн. VI, 28-29)

ჰერეთი, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა ფილფილასთან, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა (მას ძველ წყაროებში ეწოდებოდა ტყეტბა-გოლგოლა). 1923 წელს ჯავახიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ რუკაზე ამ ადგილას პუნქტი ხალხალაა ნაჩვენები. როგორც აღინიშნა, ის

მდებარეობს ვართაშენის რაიონში. ქალაქ ვართაშენს XX საუკუნის ბოლოს შეუცვალეს სახელი და ოგუზი უწოდეს.

ვართაშენის, ანუ აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი გამოირჩევა თავისი ლამაზი და ხშირი ტყეებით, რადგანაც ამ რაიონის ნახევარი ტყით არის დაფარული. აქ არის ბევრი ჩანჩქერი, წყაროები, თერმული წყლები, ფაუნა ძალზე მდიდარია, მათ შორის, ხოხბით და კალმახით, ხარობს ყოველგვარი ხილი. სოფ. ფილფილა სახელგანთქმული არის ხალიჩების მქსოველი ოსტატებით. ამავე სოფელში ცნობილი არის ასევე რიყის ქვით ნაგები კოშკი XVIII საუკუნისა, რომელსაც სულხაიხანის კოშკს უწოდებენ. ეს კოშკი არის მდინარე გალაჩაის ნაპირზე ფილფილასთან ახლოს.

ფილფილასთან გადის კავკასიის ამ რეგიონისათვის მნიშვნელოვანი გზა, რომელიც უღელტეხილით გადადის ჩრდილო კავკასიაში, სამურის ხეობაში. იქიდან ეს გზა მიემართებოდა დერბენდისაკენ. ეს მომენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის ცნობას და ბადებს თვალსაზრისს, რომ ფილფილა და მოვსეს მიერ დასახელებული ხილხილა ერთიდაიგივე პუნქტია.

მოსეს კალანკატუაცის ცნობით, დერბენდის „ჩორის ქვეყნიდან“ ამ გზით ხალხილას გავლით მტრები ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად მოემართებოდნენ, ე.ი. ისინი გაივლიდნენ ჩორიდან სამხრეთ დაღესტანს, გზით შეივლიდნენ სამურის ხეობაში, იქედან კი იქვე მდებარე ფილფილა-ხალხილას გავლით გაემართებოდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ, ანუ ალბანეთისაკენ. ფილფილას მხარე ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, როგორც აღინიშნა, აქ ერთ-ერთ ქედს „გურჯი დაღი“ ქართველთა მთა, ეწოდება. გ. მარჯანიშვილი წერს: **„გამოთქმული იყო მოსაზრება რომ სწორედ აღნიშნული ქედის არეში ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი**, 2005, გვ. 40).

ჩვენი კვლევით, აქ, ვართაშენის ფილფილა–ხალხალასთან და „გურჯი დაღთან“ გადიოდა საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის, უფრო ადრე კი იბერიასა და ალბანიას შორის, აქ, ფილილასთან გამავალი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს მთებში და უერთდება მტკვარს უნდა იყო მდ. ოკაზანი, რომელსაც ახსენებს პლინიუს უფროსი.

შესაძლოა, ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა მოგონება სასაზღვრო ქედის „გურჯი დაღის“ შესახებ. ამ ქედის ერთ მხარეს კახეთი მდებარეობდა, აქვეა პუნქტი ჭალეთი, რომელიც, შესაძლოა, იყოს ისტორიული ჩელეთი.

ჭალეთი ამჟამად იწოდება ჩელეთად და არის ვართაშენის, ანუ ოგუზის რაიონის ერთ-ერთი სოფელი დასავლეთის მხარეს, ანუ საქართველოს მიმართულებით.

ჰერეთი, ამ კვლეით, განფენილი იყო ვრცელ მიწა-წყალზე აქედან ვიდრე მტკვარ არაქსის შესართავამდე.

მარტივად რომ ვთქვათ, გულგულამდე (ფილფილამდე) იყო კახეთი, აქედან თეთრწყალ-აღსუმდე – ჰერეთი. ე.ი. **ჰერეთში შედიოდა ამჟამინდელი ოგუზის, ანუ ვართაშენის რაიონი, გაბალა, იგივე კუტკაშენის რაიონი და**

ისმაილის რაიონი, მასში შედიოდა შემახას რაიონის ერთი ნაწილი, ხოლო კახეთში შედიოდნენ თანამედროვე შექის რაიონი, თანამედროვე გახის რაიონი, ანუ კახის რაიონი, თანამედროვე ზაქათალას რაიონი და თანამედროვე ბელაქანის რაიონი. მათ, როგორც ითქვა, ერთმანეთისგან ყოფდა ფილფილა – გურჯი დაღი, ანუ ძველი გულგულა (ვართაშენისა).

შექის რაიონის მთავარ ქალაქს ძველად ერქვა ნუხა, აქაურ სოფლებში, ისევე როგორც კახეთის ზემოჩამოთვლილ სხვა რაიონებში, ეკლესიები აღუმართავს წმ. მოწამე არჩილ მეფეს, რადგანაც ის იყო კახეთის რეგიონი.

კახეთის ეს ეკლესიები და ასევე ჰერეთის ზოგიერთი ეკლესია 1310 წელს მოუხილავს საქართველოს პატრიარქს.

ჰერეთს ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებდნენ და მისი საზღვრები, როგორც აღინიშნა, აღწევდა გულგულამდე, ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე. მის დასავლეთით მდებარე შექის, ანუ ნუხის რაიონი ისტორიული კახეთის ნაწილი იყო. ამიტომაც ნუხის, შექის, კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონებში მდებარე ეკლესიები არ იყვნენ ალბანური ეკლესიები. ისინი იმთავითვე მცხეთის იურისდიქციაში შედიოდნენ და მათ აშენებდნენ კიდეც ქართლის მეფეები.

ამჟამად ალბანურ ეკლესიებადაა მიჩნეული შექის, ანუ ნუხის რაიონის სოფლების ბიდეიზის, ბაშკიუნგიუცის, ორთაზეიზიცის და კიშის (გიშის) ეკლესიები. მიჩნეულია, რომ კიშის ეკლესია წმ. ელისემ (მოციქულმა ელიშამ) ააგო. ეს ეკლესიები, თავის მხრივ, ს. კარაპეტიანს სომხურ ეკლესიებად მიაჩნია მაშინ, როცა ამ ეკლესიათა წარსული ისტორიის ნამდვილ და უეჭველ წყაროში, 1310 წლის ქართულ დოკუმენტში, ისინი ქართულ იურისდიქციაში მოიხსენიებიან და მეორე ასეთივე წყაროში წმ. არჩილ მეფის ნაღვაწად მიიჩნევა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისს, მათ არ გააჩნიათ არავითარი პირდაპირი წყარო და ისინი მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. მაგალითად, ვარდთაშენის ეკლესია 1310 წლის წყაროში იწოდება ელიას სახელობის ეკლესიად, ელია ყოველთვის ეწოდებოდა წმ. წინასწარმეტყველ ილიას, ხოლო ს. კარაპეტიანს მიაჩნია, რომ თითქოსდა წყარო უთითებს არა ელიას, არამედ , ელიშეს, ალბანეთის განმანათლებელს. შესაბამისად, მან ეს ვითომდა ელიშეს ეკლესია ალბანურ იურისდიქციაში მოაქცია. ეს წყაროს ცნობის განგებ დამახინჯებაა.

როგორც აღინიშნა, ოგუზის რაიონის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული და აქ არის ბევრი ჩანჩქერი. აქაა ტყეში ჩაფლული სოფელი ფილფილა, იგივე „ტყე-ტბა გულგულა"

3. „შექი მდებარეობს დიდი აბრეშუმის გზის ტრასაზე".

სავარაუდოდ, შაქი არის სიტყვა შაკიხისაგან მიღებული, თავის მხრივ, „შაკიხი" არის იგივე „საკიხი" ანუ საკახო. ნაწარმოებია ფუძიდან „კახ" („კუხ" „კიხ") (აქედან სა – კახ – ო, შა – კიხ – ი, კუხ – ეთი).

ქიშ-ნუხი სავარაუდოდ მდებარეობდა პუნქტ „გიშთან" (კიში).

ამ ოლქში ხშირია სახელები „ნუხ“ ფუძე-ძირით, მაგ. განუხი და ნუხპ-ატო. „ნოხო“ – გამოქვაბულია ადრეული რკინის სადგამის არტეფაქტებით ბელაქნის რაიონში, ნუხი – შექის რაიონი (ძველი ნუხა).

როგორც აღვნიშნეთ, 1310 წლის ცნობის მიხედვით, საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო. იქიდან გადავიდა წახურში, შემდეგ მოიხილა კაკ-ელისენი და ამ პროვინციის ეკლესიები, კერძოდ, ქალაქ კასრში ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, სოფელ ყუმში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართში წმ. მოციქულთა სწორ ნინოს სახელობის ეკლესია, სოფელ ზარში წმ. მთავარმოწამე გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანში წმ. აბოს სახელობის ეკლესია, სოფელ განუხში წმ. არჩილის სახელობის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ბარდაშენში წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობის ეკლესია და მათ შემდეგ მიმოიხილა სხვა პროვინციები: კერძოდ, მოუვლია ხუნძეთი, ნახჩთა ქვეყანა, თუშეთი, იქიდან კვლავ გადმოსულა კახეთის მხარეს, მოულოცავს ნეკრესის, ლაგუთის, ბელაქანის, მაχ-ფიფინეთის, ფერიχან-მუხახ-მამრეთის და ძველი მოვაკანის, ანუ ვაკის და ელისენის ეკლესიები, რომლებიც მდებარეობდნენ ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე. ამ დროს პატრიარქ ექვთიმეს მიუცია ბრძანება, ყოველი მთიულეთის წინამძღვარი ქურმუხელი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისათვის თვითოეულ ამ ეკლესიაში გაეგზავნა სატრაპეზო-სახარების წიგნი. მართლაც, სოფელ კაკის წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს იასე ქიტიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დავალება შეუსრულებია თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად.

ქიშ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ამ ჩამონათვალში მოთავსებულია ვარდიანსა, განუხსა და ვართაშენს შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ქიშ-ნუხი ამ რეგიონში მდებარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ვარდაშენს ბარდაშენი ერქვა და მისი სახელი დაკავშირებულია არა ვინმე პიროვნება ვარდანთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა იქაური გიდების მიერ, არამედ ქალაქ ბარდას სახელთან, რომელსაც ძველქართულად ბარდავი ერქვა. საფიქრებელია, რომ ქალაქ ბარდას მართლმადიდებელი მოსახლეობა გადასახლდა ახალ რეგიონში, სადაც ამჟამად ვარდაშენი, იგივე ოგუზი მდებარეობს და დააფუძნა იქ ბარდაშენი. ამ გადასახლებას თითქოსდა ვარდაშენის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნოსახელი „უდიელებიც“ (უდინი) მიუთითებს. ისინი ბარდის რეგიონის უტის ცნობილი პროვინციის მცხოვრებთა სახელი უნდა იყოს.

უდიელები იგივე უტიელები არიან, ალბანეთის პროვინცია უტის (უტიკის) მცხოვრებნი. უტიელები გაასახლდნენ უტიდან ვართაშენში, ქართველებით დასახლებულ პუნქტში, რომელსაც ბარდაშენი, ანუ ვართაშენი ეწოდა. იქამდე, ალბანეთშივე, ეს უტიელები, ანუ უდები არმენიზებულები იყვნენ, თუმცა ენა ახსოვდათ.

მაშასადამე, უტიელები გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით და მათ თან გადაიტანეს ძველი პროვინციის – „უტისა“ და მისი მთავარი ქალაქის – „ბარდას“ სახელი – „უტი-უდინები“ „ბარდა-ვართაშენი“.

წყაროებში ასევე ნახსენებია პუნქტი, რომლის სახელიც ხელნაწერებში წაშლილია, თუმცა იკითხება: – **„თა...სარანი“.** ს. კარაპეტიანი მას დაღესტნის ტაბასარანს უკავშირებს. ის, ჩანს, ვარდაშენის რეგიონიდან ჩრდილოკავკასიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. **„თა...სარანის“ ეკლესია წმ. პეტრეს სახელობისა ყოფილა.**

თუ ის ტაბასარრანია, მაშინ ვარდაშენიდან ფილფილას გავლით, აქ გამავალი გზით, ჩრდილო კავკასიაში გადასულ საქართველოს პატრიარქს მოუხილავს ჯერ ტაბასარანის, შემდეგ კი ხუნძთა ეკლესიები.

4. ხუნძთა ეკლესიები ნახსენებია ტაბასარანის შემდეგ.

წყაროში ხუნძეთის ადგილსამყოფელი ცნობილია, მას ამჟამად ავარიელების ქვეყანა ეწოდება დაღესტანში. ავარიელები, როგორც ითქვა, ცხოვრობდნენ მდინარე სულაკის ხეობაში, ასევე შუა და დასავლეთ დაღესტანში, მდინარე ანდისა და ავარის კოისუს ხეობებში, რომლებიც ამჟამად შეადგენდნენ ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებს. ხუნძეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე აქაური ეკლესიები შედიოდა კახეთის ქურმუხის სამთავარეპისკოპოსოში, აღნიშნული წყაროს შესაბამისად. საერთოდ , როგორც ჩანს, ხუნძეთის საკათალიკოსო დაარსდა თემურ ლენგის შემოსევამდე, პატრიარქის ხუნძეთში მოგზაურობის შემდეგ, ანუ 1320–1380 წლებში. მისი დაარსება პატრიარქის ამ მოგზაურობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მას, ჩანს, საჭიროდ ჩაუთვლია მთის რეგიონის სამრევლოები უშულაო მთაში მდებარე ცენტრიდან ყოფილიყო მართული, ეს ცენტრი, ანუ საკათალიოსო ხუნძეთში დაარსებულა.

5. ნახჩთა ეკლესიები

ნახჩებს ამჟამად უწოდებენ ჩეჩნებს, ასევე ვაინახებს. პატრიარქ ექვთიმეს დროს ნახჩების ქვეყანაში, ანუ თანამედროვე ჩეჩნეთში, მრავალი ქართული ეკლესია ყოფილა, რომლებიც საქართველოს პატრიარქმა მოინახულა. ისინი საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ.

მაღალაშვილისეული სახარების მინაწერის თანახმად, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილეს ებარა „ყოველი მთიულეთი“ ანუ კავკასიის მთიანეთის ეკლესიები – ნახჩების, ხუნძებისა და სხვათა.

ჩანს, ნახჩთა ეკლესიებში იგულისხმება მდინარე ასას ხეობისა და ტყობა-იერდის (თხაბა-ერდის) ეკლესიებიც. ამ წყაროს თანახმად, მთის, ანუ ამ რეგიონის ეკლესიები შედიოდნენ კახეთის ქურმუხის სამთავარეპისკოპოსოში. ამ დროს ისინი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურის წინამძღვრობით იმართებოდა.

6. თუშეთი, წყაროში, თოშეთად მოიხსენება. ჩანს, თუშეთშიც ყოფილა ეკლესიები და მონასტრებიც.

7. თუშეთიდან პატრიარქი ექვთიმე გადასულა და მოუხილავს ნეკრესის, ლაგოეთის (ლაგოდეხის) და ბელაქანის ეკლესიები.

8. შემდეგ წყაროში ნახსენებია მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი.

მუხახი მდებარეობს ზაქათალას რაიონში, ქ. ზაქათალას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი ალიაბადი. წყაროდან ჩანს, რომ მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი მდებარეობდა თანამედროვე ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში.

ამის შემდეგ წყაროში დასახელებულია „ყოველი ვაკე“. მას ამავე წყაროში ასევე ეწოდება ძველი მოვაკანი და ელისენი. ჩანს, ეს უკანასკნელი, ანუ ელისენი „ვერხვიანთ ზეგანიდან“ იორ-ალაზნის შესართავამდე მდებარეობდა, ხოლო მოვაკანი ერქვა ძალზე ვრცელ ვაკეს მტკვრის ხეობაში აღნიშნული იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე.

როგორც ითქვა, ზაქათალას მომდევნო კახის რაიონის სოფელ კაკში წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი სამწიგნობრო ცენტრი აღნიშნული ვრცელი რეგიონისა, საიდანაც ქართული საღვთისმსახურო წიგნებით მარაგდებოდა მთიანეთის ყველა აღნიშნული ეკლესია-მონასტერი, ე.ი. თანამედროვე კაბალას (გაბალას) რაიონიდან ვიდრე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით (შეიძლება შევადაროთ ტოპონიმი კაბალა-გაბალა, „გაბური“ – სახელი კახეთის მთავარისა და ასევე სახელი „გაბულოცი“).

შენიშვნა:

1) ლექართი – დღევანდელი „ლეკითია“.

2) ზარი – ზარნა.

3) ზაგემი, ბაზარქალაქი – აკსიბაზარი (ზაქათალასთან) – კახეთის მეფეთა რეზიდენცია – ალიაბადთან.

4) მაჭი (VIII ს.) – ლაგოდეხ-ბელაქანის გზაზე, მაჭისწყლთან (ლაგოდეხთან ახლოს) – კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია იყო.

5) ბოეთანი – კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია – მდ. ბელაქანის და ალაზნის შესართავთან. აქ იღებდნენ კახეთის მეფეები ელჩებს.

6) „კავკასიის დიდი კედელი“ (საინგილოს დიდი გალავანი – იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე) – 1830 წლის „კავკაზსკიი ვედემოსტის“ ცნობით, ის აუგიათ „მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით XVI–XVII სს-ში. აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები“ („Тифлисские ведомости“ т. 82, 1830).

7) ქედი „გიურჯი დაღი“ (ქართველთა მთა) – ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს – იქაურ ხალხში დაცული გადმოცემით – „გიურჯი დაღის ქედის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი“ – (მარჯანიშვილი, გვ. 40).

8) „შარომატი“ (სარმატი) – „ქართველთა ნათესავი ტომი ჩნდება კავკასიაში“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 55).

9) „იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა“ – აპოლოდორი (ძვ. წ. II ს.) [გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 138].

wwwworld–history.ru /countriesb–about/2253html. **Аполлодора,** передаваемое Страбоном, что **иберов** от армян отделяет р. Аракс (Страбон, I, 3, 21).

Страбон сообщает, что «Армения, первоначально имевшая небольшие размеры, была увеличена Артаксием и Зариадрием, которые сначала были полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, сделавшись царями – один в Софене, Акисене, Одомантиде и некоторых других (областях), а другой – в окрестностях Артаксат, – расширили (Армению), отрезав себе части (земель) у окрестных народов, а именно у иберов склоны – Париадра, Хордзену и Гогарену, лежащую по ту сторону Кира...» (XI, 14, 5)

10) „ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი – ურარტული... ყველაზე ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას“ (იქვე, გვ. 143).

11) ისტორიული კახეთის ცენტრი – ზაქათალადან კახის რაიონის ჩათვლით ვიდრე ვარდაშენამდე (შექამდე) შაჰ-აბასმა ჩამოართვა კახეთის მეფეებს და იქ გააბატონა მის მახლობლად მცხოვრები დაღესტნის ტომი წუქებისა. ამიტომაც ამ ტერიტორიას ეწოდა – წუქეთი XVII ს-ის შემდეგ.

12) XVII ს-მდე წუქეთი ერქვა დაღესტნის თემს მდ. სამურის სათავეში.

13) ქართული წყაროების ცნობით, ძველი წუქეთი მოიცავდა ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე დაღესტანში.

14) XVII ს-ის შემდეგ გაჩნდა ე.წ. ახალი წუქეთი (ყოფილ კახეთის ცენტრში ზაქათალას, ბელაქანის, კახის რაიონები), მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს მიწა-წყალს.

15) მაჭი (VII ს.) „მაჭის საერისთავო (XI ს.) მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნძახამდე, აქ შედიოდა პუნქტები გიში, კახი, ლაკუასტი და სხვა, შაკიხამდე. საერისთავო გააუქმა 1471 წელს მეფე ლევანმა. ძველად, არაბთა შემოსევებისას, ამ საერისთავოს ალაზნისპირა ნაწილს, „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება, გარდაბანიც“ ერქვა, (მაჭისწულიდან შაკიხამდე (შექამდე), მისი მოსახლეობა იყო ე.წ. კახნი – გარდაბნელნი. ამ სახელწოდების ქართველობა მიმდებარე ტერიტორიებზეც ცხოვრობდა). ის, არაბთა ნებით, ჰერეთმა დაიპყრო და XI ს-სათვის განთავისუფლდა.

16) ბელაქანის, ზაქათალის, კახის, შექისა და, ნაწილობრივ, ვართაშენის რეგიონები, როგორც აღინიშნა, კახეთს ჩამოაჭრა შაჰ-აბასმა. აქ შექმნა ელისუს სასულთნო და შეიქმნა „ახალი წუქეთი“ იგივე „ალის-სულთანი“ იგივე მაჭის საერისთავო, სამწყსო გიშელი ეპისკოპოსისა (ისტორიულ კახეთში, მას არასწორედ ამჟამად ჰერეთს უწოდებენ).

17) ძველი წუქეთი იგივე წახეთი-წახური (დაღესტანში).

18) ელისენი მოიცავდა ტერიტორიას ქურმუხიდან ვიდრე გიშისწყლამდე.

19) შაკიხი შექია.

20) გიში – შექის მახლობლად (აქ შემდეგ გადაიტანეს კათედრა).

მაღალაშვილის სახარების მინაწერში დაცული ცნობის მიხედვით, კახეთის სოფელ განუხში მდებარე ეკლესია იყო წმიდა არჩილ მეფის სახელობისა, რაც საფუძველს გვაძლევს მოსაზრებისა, რომ ეს ეკლესია არჩილ მეფის მიერ იყო აგებული. მართლაც, ქართლის ცხოვრების ცნობით, კახეთი მთიულეთში არჩილს მრავალი ეკლესია აუგია.

წმ. არჩილ მეფის მიერ ნაგები ეკლესიები დასავლეთ დაღესტანში (კახეთის მთიულეთში) ხუნძეთსა და ნახჩეთში

მურვან ყრუს არაბული ლაშქრის შემოსევების გამო არჩილ მეფე იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი და თავისი სამეფოს შედარებით დაცულ კუთხეში გადასულიყო. ასეთი იმჟამად ყოფილა კახეთის მთიულეთი.

კახეთის მთიულეთი ეწოდებოდა ამჟამინდელი დაღესტნის დასავლეთ ნაწილს – თუშეთს, ხუნძეთს, დიდოეთს,

კერძოდ კი, არჩილ მეფე თავდაპირველად დაფუძნებულა წუქეთში, მდინარე სამურის ხეობის სათავეში, აქ, წუქეთში, გადაუტანია მას ქართლის სამეფო ტახტი, ანუ ის „დაჯდა წუქეთს“ აქვე აუშენებია ახალი ქალაქი კასრი, იქვე აუშენებია ციხე-სიმაგრე მდინარე ლაკუასტისის ხეობაში. („აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“), მაგრამ მალევე წუქეთში დაუნიშნავს თავისი ერისთავი აბუხუასრო (თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა) და თვითონ კი სატახტოდ და სამეფო კარის სამყოფელად წუქეთთან ახლოს, კახეთში, აუშენებია დიდი ციხე-ქალაქი ნუხპატი (აჟამინდელი ნუხა აზერბაიჟანში).

„ქართლის ცხოვრება” ამის შესახებ წერს:

„ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო და არ ინება მისგან წაღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა; დაეპყრათ გაზირი და სომხეთი და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა, ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელს ერქვა კალმახი და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო

იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწ-ადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243).

ამ დოკუმენტში ნახსენებია: **კახეთი, სამმორი, წუქეთი, კასრი, ლაკუასტი, თუშები, ხუნძები, მთის წარმართები, აბუხოსრო, ნუხპატი, რანი, გაზირი, სომ-ხეთი, ტარონი, შაკიხი, ჰერეთი, კლარჯეთი, ტაო, კალმახი** და სხვა. **ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ადგილსამყოფელი ცნობილია.**

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“

XIV საუკუნეში 1310 წლიდან ვიდრე 1380-იან წლებამდე, ანწუხის და ხუნძახის საეპისკოპოსოების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხუნძეთის საკათალიკოსო.

„ხუნძელი (ღუნძელი) კათალიკოსი ოქროპირი“ ნახსენები არის XIV საუკუნის სინას მთის სინოდიკში (სულთა მატიანეში) (ივ. ჯავახიშვილი, სი-ნას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 244, კ. კეკელიძე, ეტი-უდები, 2, 1945, გვ. 319)

XIV საუკუნისათვის საქართველოს საპატრიარქოს აფხაზეთის, ქართ-ლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოებს ჰქონდათ იგივე ფუნქცია, რაც გააჩ-ნდათ ბერძნულ საპატრიარქოებში მიტროპოლიებს, ანუ ხუნძეთის საკათა-ლიკოსო იყო, ერთ-ერთი მიტროპოლია საქართველოს ეკლესიისა.

იგივე მოსაზრება გამოთქვა ფ. ტახნაევამაც. კერძოდ, ის წერს : **„XIV საუ-კუნის დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებას განაგრძობს საქართველოს მართლმა-დიდებელი ეკლესიის მიტროპოლია, რომელიც წარმოიქმნა ხუნძახის პლატოზე XIII საუკუნის შუა წლებში“** (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, გვ. 39).

ჩვენი ფიქრით, ხუნძეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს მიერ ხუნძეთის მოხილვის შემდგომ XIV საუკუნის და-საწყისში. უფრო მეტად, საქართველოს მეფის გიორგი ბრწყინვალის დროს (1318–1346). თემურის შემოსევამდე.

თემურის შემდგომ, XIV საუკუნის ბოლოსათვის, ხუნძახში და დაღეს-ტანში ვითარება აბსოლუტურად შეცვლილი იყო. იქ, როგორც ჩანს, ხუნძელ კათალიკოსს აღარ დაედგომებოდა და, ჩანს, ის გამგზავრებულა და თავი შეუფარებია სინას მთის მონასტრისათვის. მსგავსად იმ ეპისკოპოსებისა, რომ-ლებიც შემდგომ აფხაზეთის და მესხეთის ისლამიზაციის გამო ტოვებდნენ თავიანთ კათედრებს და თავს აფარებდნენ სხვა რეგიონებს.

როგორც აღინიშნა, ხუნძეთის საკათალიკოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო სოფელ ხუნძახის ცნობილ პლატოზე, სადაც აქაროსთან აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები. როგორც ჩანს, ხუნძეთის საკათალიკოსო მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი არსებობდა.

ფ. ტახნაევას ძალზე საინტერესო დაკვირვებით ტერმინი საკათალიკოსო აღნიშნავდა როგორც მთლიანი ავტოკეფალური ეკლესიას, ისე მის დიდ სამიტროპოლიტო ოლქს, სწორედ ასეთი სამიტროპოლიტო სტატუსი ჰქონდა ხუნძეთის საკათალიკოსოს, რომელიც ერთ–ერთი საეკლესიო ერთეული იყო საქართველოს ეკლესიისა. როგორც ჩანს, ის მოიცავდა ხუნძეთთან ერთად მთელ მთიან დაღესტანს.

ხუნძახის ეპარქია (გაგრძელება)

დაღესტნის გიდატლის ოლქი სახელგანთქმულია იმით, რომ იქ არის X–XI საუკუნეების ცნობილი სიძველის – დათუნას ეკლესია. ეს ერთადერთი დაუნგრევლად გადარჩენილი ქრისტიანული ნაგებობაა მთელ დაღესტანში. დანარჩენი უამრავი ეკლესია მხოლოდ ნაკვალევისა და ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. გიდატლი, დაღესტნის ცენტრალური მხარე, სადაც დათუნას ეკლესიაა, ქრისტიანობის თავდადებული და მხურვალე მხარდამჭერი იყო. ამით უნდა ავხსნათ დათუნას ეკლესიის გადარჩენა. აქ ბოლო ქრისტიანი თავადის სახელიც ახსოვთ – „კავსარი“ ის სოფელ მაჩადაში ცხოვრობდა, ხოლო სოფლის ეკლესია ისლამის მიღების შემდეგ სოფლელებს დაუწვავთ. ყველა აღნიშნულ სოფელში ნაეკლესიარებს აჩვენებენ, გადარჩენილა ეკლესიების ზოგიერთი ქვაც, რომლებიც საცხოვრებელი სახლების კედლებშია ჩაყოლილი.

გიდატლის თემში შედიან სოფლები ურადა, ტიდიბი, ხოდოტა, მაჩადა, გენტაბი, კახიბი და სხვები. როგორც აღინიშნა, XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით, გიდატელები („ხიდის ოლქის მცხოვრებნი“) იწოდებიან „ქართველებად“.

ხალხური გადმოცემა დათუნას ეკლესიასთან დაკავშირებით ასეთია: აქ ცხოვრობდა ვინმე ქართველი, რომელსაც ერქვა „თავადო“. მან თხოვა ხუნძახის ნუცალს დაეტოვებინა ის ამ ადგილას (როგორც ქრისტიანი), სამაგიეროდ დაეხმარებოდა ნუცალს კახეთში ლაშქრობისას. გიდატლის თემი მდებარეობს საქართველო – ავარიის დამაკავშირებელ გზაზე (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, გვ. 13).

ხუნძახშიც მრავალი ქართული ნაეკლესიარია შემორჩენილი.

ავარიის ისტორიულ ცენტრში ხუნძახის პლატოზე აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაშთები.

ყურადღება მიიპყრო ქართველ არქეოლოგთა მიერ სოფელ ხუნძახის ახლო აქაროს დასახლებაში აღმოჩენილმა საეკლესიო ნაშთმა X–XIV საუკუნეებისა, რომლის სიგრძეა 17 მეტრი და სიგანე 8 მეტრამდე. სახურავის ნაწილი მოჭიქურებულ კრამიტისაგან იყო. აქაროს მთაზე აღმოჩნდა ასევე უამრავი ნამსხვრევი ჯვრებისა ასომთავრული და ნუსხახუცური წარწერებით. ეს ჯვრები დაუმსხვრევიათ, ხოლო ეკლესია გადაუწვიათ XIII–XIV საუკუნეებში ხუნძახზე გაზიელთა შეტევის დროს. მუჰამედ რაფი XIII–XIV სს-ში აღწერს ამ შეტევას თავის „დაღესტნის ტარიხში“.

ამავე პლატოზეა მეორე ქართული ეკლესია სოფელ ამიტლთან. ამ პლატოზე მდებარე უამრავი საეკლესიო ნაშთი ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, მაგრამ ამ ეკლესიებიდან ამოღებული ზოგიერთი არტეფაქტი ცნობილია. მაგალითად, ქართული წარწერა სოფელ ხუნძახის ტადრაალიდან – „აღაშენეთ ეს ეკლესია წმიდა კოსმა და დამიანესი ჩვენ უჩადადანელებმა“(ინახება თბილისში, ისტორიის მუზეუმში).

გადმოცემით, მეორე ეკლესია მდებარეობდა სოფელ ხინთან,- რაც დადასტურდა გათხრებით. აქ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აქ აღმოჩნდა სეფისკვერის ბეჭედი ხუცური წარწერით – „იესო ქრისტე, ძლევა“ (ნეგატიური დაქარაგმებით) – თარიღდება XIII ს-ით.

იქვე ახლოს ს. ბაიბის ეკლესიის ქვები სახლების მშენებლობაში გამოუყენებიათ, ახსოვდათ, რომ ეკლესია იყო დათუნას ეკლესიის მსგავსი.

გადმოცემით, ს. ობიდაშიც ყოფილა ეკლესია. ნაეკლესიარ ადგილზე აღმოჩნდა ქვის ჯვარი. ასე, რომ ხუნძახის პლატოს ქრისტიან მოსახლეობას მრავალი ეკლესია ემსახურებოდა მდ. ავარიის კოისუს ახლოს.

კოისუს ხეობაში მდებარე ანდალალის ოლქშიც მრავალი ქართული ეკლესია იდგა. ისლამიზაციამდე ამ ქრისტიანულ ოლქს ერქვა ვიცხუ, მასში ერთიანდებოდნენ სოფლები – ჩოხი, სოგრატლი, ობოხი, მეგები, გამსუტლი, რუგუჯა, კუდალი, კეგორი, სალტა, კოროდა, გუნიბი, ხოტოჩი, გონოდა, ხინდახი. გამოთქმულია აზრი, რომ მათ ქრისტიანობა XIV–XV საუკუნეებამდე შეინარჩუნეს (იქვე, გვ. 18). ამ ტერიტორიას ირხანის ისტორიაში „ჩახაალის ოლქი“ ეწოდება. მის ერთ-ერთ დასახლებას „წმიდა გიორგის გორა“ ერქვა. აქ აღმოჩნდა ჯვარი „ქრისტიანული წარწერით“ (ე.ი. ქართული წარწერით). აქ მდებარე სოფელ გუნიბთან შამილის გამო რუსებმა დიდი ომები გამართეს, რამაც ფ. ტახტაევას სიტყვით, მრავალი ქრისტიანული ნაშთი მოსპო. ზოგიერთი საეკლესიო ქვა სახლის კედლებშიც ჩაუტანებიათ. ერთ-ერთ მათგანზე აღმოჩნდა ქართული წარწერა (სოფელ რუგუჯასთან) – „ქრისტეს ჯვარო, წმიდა გიორგი, შეეწიე დარხვას და მის შვილებს“ თარიღდება XIV–XV სს-ში.

ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, სოფლები ბაცალა, უნტი, შულანი და კულაბი მათ ახლო მდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა ასე – „გურჯიხლი“ როგორც აღინიშნა, ითარგმნება, როგორც „ქართველობა“.

ამ სოფლების სამაროვნებზე ცნობილია ქრისტიანული საფლავები და მრავალრიცხოვანი ჯვრები.

ფ. ტახნაევა ამ სოფლებთან დაკავშირებით წერს : „ყველაზე ნათელ და ქრისტიანული კულტურის მთლიანად შეუსწავლელ ძეგლს წარმოადგენს ამ ოლქში არსებული ზიარათი – „თამარის საფლავი“ ამ სოფლებთან ახლოს, 5–10 კილომეტრში მთაზე, ადგილზე, რომელსაც „სესდა-გაბური“ ეწოდება, ესაა სოფელ რუგუჯასთან ასევე 5–10 კილომეტრში (იქვე, გვ. 18).

ამ ზიარათის ნაგებობის ქვაზე გამოსახულია წმიდა ნინოს ჯვარი. ეს ნაგებობა შემდეგში გადაუკეთებიათ მუსულმანთა სამლოცველოდ და აქ მრავალი მლოცველი დადის. ამ ოლქში მცხოვრები „ქართველობისათვის“ ბუნებრი-

ვია, „თამარი“ უნდა ყოფილიყო თამარ მეფე, რომლის საფლავსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხე იჩემებდა.

სოფელ ნაკაზუხში 1940 წლამდე მდგარა სამრეკლო, რომელიც ხრამში გადაუგდიათ ათეიზმის მძლავრობისას, ხოლო სოფლის ეკლესიის ნანგრევების მიმართ ხალხი პატივისცემას გამოხატავდა, ითვლებოდა სიწმიდედ და გვალვის დროს აქ იკრიბებოდნენ ქალები და აღასრულებდნენ წესებს წვიმის მოსვლისა (ეს ჩვეულება გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში). 1990 წლამდე აქ ეკლესიის კედლებიც იდგა. ფ. ტახნაევა – „ანდალალში მუსულმანობის პერიოდამდე ეკლესიების არსებობა ქრისტიანულ ვიცხუსა და კარახის („ქართველობის“) თემში, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა აქ მტკიცედ იყო დამკვიდრებული“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, გვ. 19).

ქართველები დაღესტანში

ცნობილი არაბული წყარო „ირხანის ისტორია“ გვაძლევს ცნობებს, რომ დაღესტნის ზოგიერთ ოლქში მკვიდრობდა ქართული მოსახლეობა.

თემურ-ლენგის მიზანმიმართული ქმედება ის იყო, რომ აუცილებლად შეეცვალა საქართველოს მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ეთნოგრაფიული ვითარება და იქ მცხოვრები ქართველობა დაემცრო ან გაეძევებინა სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის, რელიგიის გამოყენებით.

ჩრდილო კავკასიაში ქართველობის მატერიალური განსახიერება იყო ქრისტიანული ეკლესიები, ქრისტიანული სალოცავები და თვითონ მოსახლეობის ქრისტიანული სარწმუნოება.

ავარიის ცენტრები ანდალალი და გიდატლი, არქეოლოგიური და სხვა ძეგლების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ამ რეგიონის ცნობილი მკვლევარის ფ. ტახნაევას დასკვნით.

არაბული წყაროს „ირხანის ისტორია“ მაგალითად, იძლევა ცნობას, რომ დაღესტნის ერთ-ერთი ცენტრალური ოლქის გიდატლის მოსახლეობა ქართველები იყვნენ, რასაც ეთანადება თვით ტახნაევას მიერ მოძიებული ამჟამინდელ მოსახლეობაში არსებული გადმოცემა აქაური მოსახლეობის ქართველობის შესახებ. ის წერს : „ამ წყაროში ხიდის ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად, ხოლო ადგილობრივი გადმოცემით, სოფლების – ბაცადა, უნტი, შულანი და გულაბი მიმდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა „გურჯიხლებად“ რაც ავარიული ენით ითარგმნება, როგორც „ქართველობა“.

„ირხანის ისტორიაში“ დაღესტნის მნიშვნელოვანი თემის ზედა ფენასაც ქართული ტერმინებით „თავადობად და აზნაურებად“ იწოდებოდნენ. ავარიაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურსაც ქართული სახელი „ნაცვალი“ ჰქონდა. ფ. ტახნაევას აზრით, ის იყო ერისთავის ნაცვალი, ალბათ, მაჭის ერისთავისა.

სახელი „ნაცვალი” შემდგომ ტრანსფორმირდა, როგორც ნუცალი (აღსანიშნავია, რომ ერთ დროს კახეთსაც ეპისკოპოსის ნაცვალი ქორეპისკოპოსი მართავდა).

დაღესტანში აღმოჩენილი ქართული ეკლესიების უმრავლესობაც ავარიის ტერიტორიაზეა. ეს ეკლესიები, როგორც აღინიშნა, მდებარეობდნენ სოფლებში: რუგაჯა, ნაკაზუხი, ზაიდი, იხოდა, ტადრაალი, ხუნძახი, ამიტლი, არკასი, დათუნა და სხვა.

შესაბამისად, ამ საფუძველზე ავარიაში აღმოცენდა კიდეც ქართული საეკლესიო ოლქი ხუნძეთის საკათალიკოსო, რომლის მეთაურიც კათალიკოსი ოქროპირი მოიხსენება XIV ს-ის სინოდიკში.

ხუნძახის საკათალიკოსოში შედიოდა ეპარქიები – ანწუხისა, ხუნძახისა და სხვა. ეს საკათალიკოსო, ალბათ, განსაკუთრებით გაძლიერდა გიორგი ბრწყინვალის (1314–1346) დროს. საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ, 1310–1318 წლებში მოინახულა ხუნძეთი და მისი ეკლესიები. ამ დროისათვის აქაური ეკლესიები ქურმუხის სამთავარეპისკოპოსოში შედიოდა, მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ხუნძეთის საკათალიკოსო ჩამოაყალიბა პატრიარქმა ექვთიმემ. შესაძლოა, მისი უკმაყოფილება გამოიწვია მთის რეგიონის ეკლესიებში სასულიერო ლიტერატურის სიმწირემ, ამ ნაკლის გამოსწორება მოთხოვა კიდეც ქურმუხის მთავარეპიკოპოსს, შემდეგ კი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩანს, სჭიროდ მიიჩნია ადგილობრივი საკათალიკოსოს – ქართულ ეკლესიაში შემავალი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის დაარსება. ის უკეთ გადაჭრიდა ადგილობრივ საეკლესიო საქმეებს.

თემური ჩრდილო კავკასიაში 1395–1396 წლების თავის სამხედრო კამპანიას 10 წელი ამზადებდა (საქართველოში 1386 წლის შემოჭრის შემდეგ).

მიუხედავად ამისა, ავარიის ცენტრმა გიდატლმა მხოლოდ 1475 წელს მიიღო საბოლოოდ ისლამი, ე.ი. თემურის შეჭრიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ერთი საუკუნე იგერიებდა ისლამის მიმდევრების შეტაკებებს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ავარიის პატარა ეროვნებებმა, ფ. ტახნაევას სიტყვით, კიდევ უფრო გვიან მიიღეს ისლამი. იქამდე ისინი ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ. სახალხო თქმულებები მიუთითებენ მათ სოფლებში ქრისტიანული ეკლესიების არსებობას. არქეოლოგების მიერ სოფლებში აღმოჩენილია ქრისტიანული სამაროვნები. მათ ისლამი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, XVII–XVIII სს-ში მიიღეს. ფ. ტახნაევას კვლევით, ამ რეგიონში ისლამი შესულა გიდატლის ცენტრიდან – სოფელ ურატადან XIV ს-ში.

კიდევ უფრო გვიან მიიღო ისლამი მაღალმთიანი დაღესტნის სხვა რეგიონებმა. მათ შორისაა კახეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი მაღალ მთაში – დიდო.

დიდოეთი იყო კახეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული და იმართებოდა „მოურავის“ მიერ. ამასთანავე, დიდოეთი იყო ერთ-ერთი სამხედრო ოლქი კახეთის სამეფოსი და დიდოს სამხედრო ოლქი იმართებოდა სასულიერო პირის ეპისკოპოსის მიერ.

XV ს-ში იწყება გიდატელების ე.წ. „გაზის ლაშქრობები“ დასავლეთ დაღესტანში, კერძოდ კი დიდოში. მათ მხარს უჭერდნენ ავარიელი და კუმუხელი ხანები. დიდოელებმა ამის გამო შეიცვალეს თავიანთი პროქართული ორიენტაცია.

ანწუხელებმა და კაპუჩინელებმა გიდატლის და ხუნძახის წნეხის შედეგად ისლამი მიიღეს XVI–XVII სს-ში. ამის შემდეგ ანწუხი და კაპუჩა თვითონ გადაიქცა ისლამის ფორპოსტად (ფ. ტახნაევა). ანწუხელებმა გვიან დრომდე კარგად იცოდნენ ქართული ენა.

ავარიის ქრისტიანობამ, რომელიც წარმატებული იყო VIII–XIV სს-ში, თემურის შემდეგ დაკარგა პოზიციები. ამის მიზეზი იყო ასევე საქართველოს დაშლა 1466 წელს. თემურის შემოსევამდეც ქრისტიანობამ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრივი რელიგიის პოზიცია ავარიაში. თემურის შემოსევამ 1395–1396 წლებში ეს პროცესი დაასრულა. მხოლოდ ჩრდილო კავკასიის დამორჩილების შემდეგ შეძლო თემურმა საქართველოსთან ზავის დადება.

ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვა არ იყო ადვილი თემურისათვის. ამიტომაც მან ხერხი იხმარა და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთში შეიყვანა უკვე მუსულმანურად მიჩნეული სხვადასხვა ტომები.

ჩეჩნეთში ახალი ტომები ხაზარეთის ყოფილი სახაკანოსაგან დარჩენილი ეთნიკური ნამსხვრევებისგან შედგებოდა, რომლებიც ჯერ კიდევ იყვნენ იუდაიზმის გავლენის ქვეშ. დაღესტნის ახალი ტომებიც ხაზარების იუდაიზმის გავლენას განიცდიდნენ. თემურის დროს, ჩანს, ისინი რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ. მხოლოდ ასე თუ ავხსნით ირხანის ისტორიაში დართულ ცნობებს დაღესტნის ზოგიერთი თემის „ებრაელობის“ და ზოგიერთი თემის „რუსობის“ შესახებ.

ხაზართა სამეფოსაგან დარჩენილი იუდაური აღმსარებლობის მქონე ეთნიკური ჯგუფები თემურის ეპოქაში ჩასახლებულან დაღესტანში. ისინი წყაროში ტერმინით „ებრაელი“ აღინიშნება. მათ გარდა, დაღესტანში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან ჩაუსახლებიათ სხვადასხვა ტომები. ისინი ირხანის ისტორიაში იხსენებიან ტერმინით – „რუსი“. აქ ავარიელებს „ნამდვილი რუსები“ ეწოდება, ხოლო ტერმინით „ქართველი“ აღინიშნება დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა.

დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა ქართველებად იწოდებოდა, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ სახელი, რომლითაც საქართველოს სხვა კუთხეებში იცნობდნენ. ეს იყო „ლეკი, ლეკეთი“. ლეკოსი ქართლოსის „თვისი“ იყო. აღნიშნულმა შემოსულმა ტომებმა იქამდე ქართული წარმოშობის ლეკების ასიმილირება შეძლეს, რის შედეგადაც ახალი შერეული წარმოშობის ხალხი ჩამოყალიბდა, თუმცა დაღესტნის ზოგიერთ კუთხეში თავიანთი ქართული წარმომავლობა ახსოვდათ, რაც წყაროებით და დოკუმენტებით დასტურდება.

ბუნებრივია, დაღესტანში ქრისტიანობის დამარცხების, მუსულმანობის გამარჯვებისა და ახალი ხალხის მკვიდრებზე გაბატონების ეპოქაში და, შემდგომ, დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა იღებდა ისლამს. ისინი სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზე მდგარი, დამორჩილებული ხალხი იყო, ხოლო

გამარჯვებული მოსახლეობა, ანუ ახლად შემოსული ხალხი იყო დაღესტნის ახალი საზოგადოების ზედა ფენა, მმართველობა. მათ ამთლიანებდათ ისლამის სარწმუნოება. კავკასიის მთებში ახალი ენები და ახალი ეთნოსები ჩამოყალიბდა XIV–XX სს-ში.

წყაროს ამ ცნობათა ანალიზისათვის ჩვენ, ალბათ, გამოგვადგება თანამედროვე დაღესტნის თითქმის ყველა ტომში დაცული გადმოცემები მათი წარმოშობის შესახებ. ზოგიერთ სოფელში მიუთითებენ ძველი სამშობლოს ადგილსამყოფელის შესახებ.

ამ ტომთა გადმოცემები მიუთითებს რუსეთის ტერიტორიებიდან დაღესტნის მთებში მათი დასახლების შესახებ. ოდესღაც, ჩანს, თემურამდე, ავარიელთა ცნობილი ტომის ნაშთები რუსეთის ტერიტორიის სამხრეთით ცხოვრობდნენ. ეს ის ავარიელებია, რომელნიც V–VII საუკუნეებში ევროპაშიც ლაშქრობდნენ და მას შიშის ზარს ცემდნენ. მათი გადარჩენილი მცირე ნაშთები თემურ-ლენგს დაღესტანში ჩაუსახლებია სამხრეთ რუსეთში შემავალი ტერიტორიებიდან.

XIV საუკუნის ავთენტური წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით, ავარიელები „სუფთა წყლის რუსებად“ იწოდებიან.

როგორ უნდა გავაანალიზოთ წყაროს ეს ცნობა – ავარიელების რუსებად მიჩნევა მაშინ, როცა ეს წყარო დაღესტანშივეა შედგენილი, ჩანს, თვითმხილველის მიერ.

ირხანის ისტორიაში ავარიელთა რუსობა უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ ავარიელები იყვნენ რუსეთის ტერიტორიებიდან კავკასიაში ჩასახლებული ხალხი, უფრო სწორად, იმ ტერიტორიებიდან, რომელიც წყაროს შედგენის მომენტში რუსეთის ტერიტორიად მოიაზრებოდა. წყარო უნდა აღნიშნავდეს იმ მომენტს, როცა თემურ-ლენგმა რუსეთის სამხრეთის სტეპებიდან მოსახლეობა შეიყვანა დაღესტნის მთიანეთში და მათი დახმარებით თითქმის მთლიანად შეცვალა მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოსახე. ხალხთა ამ გადასახლების შედეგად მთლიანად შეიცვალა დემოგრაფიული სურათი. ასეთი ვითარება შუა საუკუნეებში იყო ჩვეულებრივი მოვლენა.

XX საუკუნეშიც კი და XXI საუკუნის დასაწყისში ისე შეიცვალა სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი დიდი ოლქის დემოგრაფიული სურათი, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც ცნობილი და გახმაურებულიც არ ყოფილა. მაგალითად, XX ს-ში შეიცვალა ჩრდილო სომხეთის ეთნოგრაფიული სახე და იქ მცხოვრები თითქმის ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი სხვაგან გადასახლდა. იგივე მოხდა აფხაზეთსა და ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთში. ამ ოლქებიდანაც თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი სხვაგან გადასახლდა. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო, როგორც ვახუშტის ისტორიიდანაც ჩანს, XIV–XV საუკუნეების კავკასიის მთებში.

მოსახლეობის ცვლილება დაღესტანში

(ხუნძეთ-ავარიის „რუსი ხანი“ სურაკატ I (Суракат I)

მიჩნეულია, რომ „რუსი“ ხანი სურაკატი იყო ავარიის ნუცალი და დაახლოებით მმართველობდა მე-12 საუკუნეში. სხვა მოსაზრებით, ის მოღვაწეობდა მე-14 საუკუნეში. უფრო დამაჯერებლად გვესახება მეორე მოსაზრება. ის იყო ავარიის ნუცალ სარატან I-ისა და შვილიშვილი ურუსხან II-ისა.

მან დაიმორჩილა და მას გადასახადს უხდიდნენ ჩერქეზეთიდან ვიდრე შემახამდე მცხოვრები ხალხები. მის წინაპარ სარატანს მუხამედ რაფის თხზულებაში „ტარიხი რაფი“ „რუსი ხანი” ეწოდება.

იქვე ნათქვამია, რომ „ავარიის სულტანები ურუსების სულტანების გვარიდანაა“. სიტყვა „ურუს“ ავარიულიდან ითარგმნება, როგორც „რუსი“.

იმამ შამილის მწერალი ხაჯი ალი ნახიბაში სოფელ ჩოხიდან („ჩოხელი“), მიუთითებდა, რომ ხუნძახელი მმართველები, „ესენი არიან ჩრდილოეთის ქვეყნიდან ჩამოსულები – რუსების ტომიდან“.

ქრონიკაში „ირხანის ისტორია“ ხაზარები და ავარები მოხსენიებულია, როგორც „ნამდვილი რუსები“.

ისმის კითხვა, რატომ უწოდებდნენ ხაზარებსა და ავარებს იმჟამინდელი ხუნძეთის მმართველებს „რუსებს”?.

ამ ტერმინით (“რუსი”) გამოიხატებოდა არა მათი ეთნიკური ვინაობა, არამედ ფაქტი იმისა, რომ ისინი დაღესტანში შესულები იყვნენ მოგვიანებით სამხრეთ რუსეთის ველებიდან, ანუ რუსეთიდან. ამიტომაც ისინი იწოდნენ რუსებად.

ამ შემთხვევაში ტერმინი რუსი გულისხმობს, რომ ხაზარები და ავარები დაღესტანში დამკვიდრებამდე ბინადრობდნენ ვრცელ ქვეყანაში, რომელსაც შემდგომ სამხრეთ რუსეთი დაერქვა.

იგულისხმება, რომ ავარები და ხაზარები დაღესტანში დამკვიდრებამდე მომთაბარობდნენ ვოლგა-დონის სტეპებში, საიდანაც ავარები, დაახლოებით თემურის ეპოქაში გადასახლდნენ ხუნძახში, სადაც გაბატონდნენ.

ხუნძახში ჩასახლებულ ავარებს თავდაპირველი მომთაბარეობის ქვეყნის, ანუ სამხრეთ რუსეთის სახელის შესაბამისად „ნამდვილ რუსებს“ უწოდებდნენ. ამით მიანიშნებდნენ მათ ჩრდილოურ წარმომავლობას.

სამხრეთ რუსეთის ველებიდან ხუნძახში შესულ მეომარ ავარებს ხუნძახში დახვდა ადგილობრივი მოსახლეობა (ქრისტიანები, „ურწმუნოები“), შეებრძოლნენ მათ, დაამარცხეს, დაიმორჩილეს და თავიანთ ხელში აიღეს მმართველობის სადავეები, კერძოდ, გაბატონებულა სურაკატი ან მისი წინაპრები, მათ თავიანთ ხელში აუღიათ ის თანამდებობა, რომელიც ადრე „ნუცალი“ ერქვა, ანუ თვითონაც ნუცალებად იწოდნენ, (ძველი ნუცალების ოჯახის ამოწყვეტისა და განდვნის შემდეგ). საერთოდ, ნუცალები იქამდეც დაღესტნის გავლენიანი მმართველები იყვნენ.

ავარიის ნუცალს ექვემდებარებოდა შამახიდან ყაბარდომდე მცხოვრები ხალხები, მათ შორის ჩეჩნებიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პატრიარქმაც

ეს ტერიტორია მოიხილა და მან გაიარა გზა ჩეჩნეთიდან-შამახამდე აღმოსავ-ლეთ კახეთის გავლით, ეს ოლქი ეკლესიურად ქურმუხის მთავარეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. სხვა ადგილობრივ არაქართულ წყაროებშიც ავარიის მმართველი ჩერქეზეთიდან–შემახამდე უფლობდა, ჩეჩნეთის ჩათვლით.

ჩანს, სახელი სურაკატი რამდენიმე მმართველს ერქვა ხუნძეთ-ავარიაში როგორც თემურამდე, ისე მის შემდეგ. ჩანს, მათი სახელები შემდგომში ერთ-მანეთში აირია, ერთმანეთი გადაფარეს, ამიტომ, აღნიშნული სურაკატი თემუ-რამდე მმართველობდა თუ მის შემდეგ, დავის საგანია. ჩვენი კვლევით, მხო-ლოდ თემურის შემდეგ დაეუფლენ „რუსები" ავარიის ტახტს..

ერთ-ერთი სურაკატი ისლამის მტრად ითვლებოდა არაბების მიერ. ჩანს, ეს სურაკატი თემურამდე ცხოვრობდა. ის დამარცხებულა, ვითარცა ქრისტიანობის მიმდევარი და თუშეთში, ანუ საქართველოში გაქცეულა. ამ დროისათვის ხუნძები, შემდგომ ავარებად წოდებულნი, დაღესტანში უძლიე-რეს ხალხად მიიჩნეოდა.

Арабы считали Сураката врагом ислама, вели с ним ожесточенную войну за покорение Аварии. В записках также говорится, что «Аварцы были тогда уже, как и теперь первенствующим народом в нагорном Дагестане и дали Арабам до-лгий и кровавый отпор»[4]. მათთან ომი არაბებს გაუჭირდათ.

https://ru.wikipedia.org /wiki/Суракат_ICаратан_I_(аварский

ნუცალი ერთ დროს დაღესტანში საქართველოს მეფის ნაცვალს ერქვა. შემდგომში ასევე ნუცალი ერქვათ კახეთის მეფეების ნაცვლებს დაღესტანში, ასევე მაჭის ერისთავის ნაცვლებს კახეთის მთიულეთში, ანუ ხუნძახ-თუ-შეთში. მათ გამგეობაში ყოფილა ვრცელი რეგიონი ჩეჩნეთიდან შემახამდე.

ამავე საზღვრებში, როგორც ითქვა, მოიაზრებს მაღალაშილისეული სა-ხარების მინაწერი დაღესტნის ქართული ეკლესიის სამწყსოს.

ირხანის ისტორიაში ნახსენები მითითება, რომ „ავარიელი ხალხი რუსე-ბია", და ასევე სხვა წყაროთა მითითებები, რომ „ავარების ნუცალები რუსებია", უნდა იგულისხმებოდეს ფაქტს, როცა რუსეთის ველებიდან დაღესტანში ჩასა-ხლდნენ ავარიელთა მომთაბარე ტომები, რომელებიც დაღესტანში გაბატონ-დნენ მკვიდრ მოსახლეობაზე. მათი ურთიერთშერევით წარმოიქმნა ახალი ხა-ლხი – ლეკ-ავარიელები, რომელთაც ჩაანაცვლეს იქაური მკვიდრი ძველი ლე-კები, რომელიც ქართველური ტომი უნდა ყოფილიყო.

ლეკეთ-ხუნძახის მოსახლეობა თემურ ლენგამდე ეთნიკურად განსხვავ-დებოდა თემურის შემდგომი ხუნძახის მოასახლეობისაგან, თუმცა ქართველე-ბი მათ, ყველას, ლეკებს უწოდებდნენ, ანუ თემურამდე მცხოვრები ლეკები ეთნიკურად ქართველთა მონათესავე ტომი იყო, რომელსაც სახელმწიფო და საეკლესიო ენად ჰქონდა ქართული ენა, ხოლო თემურის შემდგომი ლეკები ეთნიკურად სხვა წარმოშობის ხალხი იყო. ის ჩამოყალიბდა თემურის ეპოქაში სამხრეთ რუსეთის ველებიდან ხუნძეთში ჩასახლებული ავარებისა და მათ მიერ დამორჩილებული ძველი ლეკების ურთიერთშერევის შედეგად.

მოსახლეობა მთელ ჩრდილო კავკასიაში შეიცვალა თემურ ლენგის ეპო-ქაში.

ნუცალი მისი ქრისტიანული სარწმუნოების გამო მიუღებელი იყო და სასტიკად ებრძოდნენ მას. ის დაამარცხეს და გაამევეს, უნდა იგულისხმებოდეს თემურლენგის შემდგომი პერიოდი. რადგანაც სარატანი მე-13 ს-ში იყო, ხოლო მისი შვილი ცნობილი სურაკატი არა მე-11, არამედ მე-14 ს-ში მოღვაწეობდა.

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ თემურის შემდგომი მუსულმან ნუცალებს მიიჩნევდნენ დარესტანში რუსეთის სამომთაბარეო ველებიდან შესულთა შთამომავლებად, არამედ ადიღ-ჩერქეზებსაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩერქეზების შესახებ მე-16 საუკუნეში გავრცელებული იყო თქმულება, რომ ყაბარდოელი ჩერქეზები იყვნენ სამხრეთ რუსეთიდან და რიაზანიდან კავკასიაში გაქცეული რუსები (ყმები).

Среди русских в то время жило предание, что кабардинские черкесы были потомками беглых рязанских холопов.

(http://agnuz.info /app/webroot/library/86/191/page02.htm)

ეს ნიშნავს, რომ თავისი დროის ადგილობრივ მოსახლეობასა და მის მეზობლებს ჩერქეზები არ მიაჩნდა კავკასიურ მოსახლეობად და იცოდნენ, რომ ისინი კავკასიაში ჩასახლებული ტომები იყვნენ.

იმჟამინდელ, მე-16 ს-ის, რუსეთში გავრცელებული თქმულება, რომ ჩერქეზები რიაზანელი გლეხები იყვნენ, ასახავდა მახსოვრობას ხალხისა, რომ ადიღე-ჩერქეზები რიაზანის სანახების გავლით ჩასულან ჩრდილო კავკასიაში, ჩანს, ურალ-ვოლგისპირეთიდან, ამ გადმოცემაში ნათქვამია: «Из начала кабардинские и горские черкесские князи и шевкальскне были холопи наши рязанских пределов и от нас сбежали с Рязани и вселилися в горы». В XVI веке Герберштейн писал о пятигорских «черкесах». «В надежде на неприступность своих гор, они не признают власти ни турок, ни татар. По свидетельству русских, они христиане, управляются своими законами, в исповедании и обрядах сходствуют с греками, богослужение отправляют на славянском языке, на нем же и говорят»

(http://www.ive 1875.narod.ru /texts/Gedeon/Gedeon–gl1.htm)

ამ ჩერქეზებს მე-16 საუკუნეში ჯერ კიდევ სცოდნიათ რუსული ენა.

შესაძლოა, რიაზანის გავლით კასპია-ურალიდან წამოსულ ადიღებს (ჩერქეზებს) თან გაჰყვნენ რუსი ხოლოპები, რომელნიც ქრისტიანები და რუსულენოვანები იყვნენ. როგორც აღინიშნა, ასეთივე თქმულებაა დაცული ავარიაელთა შორისაც დაღესტანში, რომ ისინი „ნამდვილი რუსები“ არიან, რომ ავარები დაღესტანში მოხვდნენ რუსეთის ველებიდან თემურის შემდეგ. წყაროთა ეს ცნობები არის კარგი მტკიცება მილერის მოსაზრებისა, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი ჩასახლებულია სხვა, სტეპების მომთაბარეთა რეგიონებიდან.

ქართული ხელნაწერი ფურცელი დაღესტნიდან

დაღესტანში მე-15 საუკუნის არაბული ხელნაწერის ყდაში აღმოჩნდა ქართული საეკლესიო წიგნის სადღესასწაულოს მრავალი ფურცელი. არაბული ხელნაწერი დაცულია მახაჩკალას უნივერსიტეტთან არსებულ მუზეუმის ბიბლიოთეკაში. ამ არაბული ხელნაწერის სახელია „ტუსი, რელიგიურ მეცნიერებთა გამოცოცხლება“. ქართული ხელნაწერის ფურცლების ფოტოასლები დაცულია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუში. რომელთა შესახებაც ბატონმა **გიორგი მაჭარაშვილმა** მიმითითა, რისთვისაც მადლიერებით ვლოცავ.

ქართული საეკლესიო წიგნის „სადღესასწაულოს“ 50-ზე მეტი გაკრული ხუცურით ნაწერი ფურცელია აღმოჩენილი, ერთ-ერთს, არშიაზე აქვს ნუსხა ხუცურით ნაწერი შენიშვნა: „ბატონო გიორგი, ხუცური წერა არს, კარგი“.

აქედან ჩანს, რომ დაღესტანში თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ მრავალი საეკლესიო ხელნაწერი უპატრონოდ დარჩა, რადგანაც მათი გამოყენება სასულიერო საქმიანობისათის აიკრძალა, ამიტომაც ახლა მათ ზოგჯერ იყენებდნენ არაბული ხელნაწერების ყდების გასამაგრებლად.

„სადღესასწაულოს” აღმოჩენა მიუთითებს იმის შესახებ, რომ ქართული წირვა-ლოცვა დაღესტანში იყო სრულებით სრულყოფილი და ლოცვისას ისეთ იშვიათ და დიდი ზომის წიგნებსაც კი იყენებდნენ, როგორიც იყო „სადღესასწაულო”.

დასკვნა

დაღესტანი, მისი დასავლეთი ნაწილი, განიხილებოდა როგორც ერთერთი ოლქი (საერისთავო) კახეთისა, მას ერქვა „კახეთის მთიულეთი“, მასა და „გარე კახეთს“ შორის მოქცეული იყო კახეთის ძირითადი, ანუ ცენტრალური ნაწილი. თემურ ლენგის შემდეგ დაკარგა კახეთმა თავისი მთიულეთი, ხოლო შახაბასის ლაშქრობათა შემდეგ დაკარგა თავისი ცენტრალური ოლქი, სადაც იქამდე მისი დედაქალქები ზაგემი და ბაზარ-ქალაქი იყო განლაგებული, ამ ოლქს ამჟამად საინგილო ეწოდება, მისი გეოგრაფიული გაგრძელებაა აღნიშნული კახეთის მთიულეთი ანუ დასავლეთ დაღესტანი, ერთ დროს დასახლებული ქრისტიანი, ქართულ ენაზე მლოცველი და ქართული წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობით, რომელიც გმირულად იბრძოდა თავისი სარწმუნოების – ქრისტიანობის დასაცავად, მაგრამ დამარცხდა, მათთან ასიმილირდა და საბოლოოდ დაკარგა ქრისტიანობა.

თავი II

ალბანეთი
(რანი და ჰერეთი, ლფინები და ჭილბები)

საზღვარი ალბანეთსა და ქართლის სამეფოს შორის

რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ოფიციალური საინტერნეტო გვერდი http://baku.eparhia.ru/historø/albania/architrave/, ამტკიცებს, რომ ბოდბის, გურჯაანისა და სხვა ეკლესიები, მე-7, მე-9 საუკუნეებამდე არა ქართული, არამედ ალბანური ეკლესიები იყვნენ. შესაბამისად, ცხადია, მიიჩნევა, რომ დავით გარეჯას მონასტრები, საინგილოს ეკლესიებიდა სხვა, ალბანური წარმოშობის ეკლესია-მონასტრები იყვნენ.

აქ ნათქვამია – В качестве архитектурных памятников Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической области Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII–IX веков, до включения области в царство кахов и ранов[421]. Архитектурное наследие Албанской Церкви.

http://baku.eparhia.ru/historø/albania/architrave/

რუსეთის ეკლესიიის ეს ოფიციალური ორგანო იმეორებს, როგორც რუსულ, ისე ქართულ საისტორიო წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ეკლესიები ალბანური არიან, რადგანაც, მათი მტკიცებით, საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის გადიოდა რუსთავის ქვემოთ, კვეთდა ცივგომბორის ქედს, ისე, რომ ბოდბე გურჯაანი, დავთ გარეჯას მონასტრები და ამჟამინდელი საინგილოს ეკლესიები ალბანეთში ექცეოდნენ.

უმთავრესი წყარო, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული მტკიცება, არის არასწორი განსაზღვრება ალბანია-იბერიის საზღვრისა. ამ მტკიცების მიხედვით შექმნილია ალბანეთის რუკები.

ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ განსაზღვრებას, რადგანაც ის არ ეყრდნობა წყაროთა ცნობებს ალბანეთ-ქართლის (იბერიის) საზღვრების შესახებ.

სულ ოთხი ძირითადი წყარო არსებობს იბერიისა და ალბანიის საზღვრის შესახებ: პლინიუს უფროსი, ეღშე და მოვსეს კალანკატუეცი იძლევიან ცნობებს უშუალოდ იბერია-ალბანიის საზღვარს შესახებ, ხოლო მეოთხე – ლეონტი მროველი, იძლევა ცნობას ქართლსა და ჰერეთს შორის საზღვრის შესახებ.

რაც შეეხება აღნიშნულ ოფიციალურ მტკიცებას, ის არ ეყრდნობა არც ერთ წყაროს, ასევე არასწორია ოფიციალურად გავრცელებული რუკა ალბანიისა. საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის პლინიუს უფროსის, ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის ცნობებით

პლინიუს უფროსი წერდა – „მდინარე მტკვრის იქეთ მთელი ვაკე დასახლებულია ალბანთა ტომით და, შემდეგ, იბერებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან მდინარე ოკაზანით, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ჩაედინება მდ. კირში“ (პლინიუს უფროსი, ბუნების ისტორია, 6, 2829).

„Теперь будут перечислены жители пограничных с Армением областей : всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28-29)

პლინიუს უფროსის ცნობით „მტკვრის იქითა ვაკე“, დასახლებლი იყო იბერებითა და ალბანელებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყვნენ მდინარე ოკაზანით.

ეს მდინარე (ოკაზანი) გამოედინებოდა კავკასიის მთებში და უერთდებოდა მტკვარს.

მაშასადამე იბერია-ალბანიის საზღვარი მდებარეობდა მდინარით გაყოფილ მტკვრისპირა ვაკეზე (ეს ვაკე დიდი იყო რადგანაც ორი ხალხით იყო დასახლებული).

შესაბამისად პლინიუს უფროსი იბერია-ალბანიის საზღვრის შესახებ იძლევა რამდენიმე მინიშნებას, რომელთაც არ ექცევათ სათანადო ყურადღება.

საზღვარი გადიოდა მტკვრისპირა დიდ ველზე, ამავე ველზე გაედინებოდა მთებიდან გამომავალი მდინარე ოკაზანი, რომელიც კვლავ მტკვარს უერთდებოდა.

მაშასადამე საზღვარი მტკვრის რეგიონშია და, შეასაბამისად, საეჭვოა მტკიცება იმისა, რომ მდ. ოკაზანი არის ალაზანი.

იბერია-ალბანიის საზღვრის ძიებისათვის უნდა ვეძიოთ მტკვრისპირა დიდი ველი, სადაც გაედინებოდა მთებიდან გამომდინარე ოკაზანი.

ამჟამად, მტკვრის დიდი ველი და და მასზე გამმდინარე ოკაზანი არ არიან ლოკალიზებულნი, თუმცა სახელების (ოკაზანი-ალაზანი) მსგავსების გამო მიიჩნევა, რომ ის ალაზანია.

სახელი „ალაზანი“ კი ამ რეგიონში მრავალ მდინარეს ერქვა (პირიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი, მცირე ალაზანი-იორი (ართული წყაროები იორს უწოდებენ „მცირე ალაზანს“). და სხვა, მდინარე ალაზნის მთავარი ძარღვის ყველა შენაკადი „ალაზნად“ იწოდებოდა).

ალბანიასთან ყველაზე ახლოს კი გაედინებოდა ალაზნის უმთავრესი წყალუხვი შენაკადი გიშისწყალი (ამჟამად აზერბაიჯანშია და აგრიჩაის (გეტარუს) უწოდებენ).

ალბანიასთან მიმართებაში სწორედ ეს მდინარე (გიშისწყალი ანუ აგრიჩაი) უნდა წოდებულიყო ალაზნად, რადგანაც მდინარის ეს უმთავრესი ძარღვი (აგრიჩაი) ალბანიასთან ყველაზე ახლოს იყო.

ისმის კითხვა, პლინიუსის გარდა, არსებობს თუ არა სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ცნობები იბერიისა და ალბანიის სასაზღვრო პუნქტების შესახებ? როგორც ითქვა, არსებობს, ეღიშესა, მოვსეს კალანკატუაცისა და სხვათა ცნობები, კერძოდ ისინი იძლევიან ინფორმაციას, რომ იბერიისა და ალბანიის საზღვარზე მდებარეობდა პუნქტი „ხალხალა“.

ეღიშე, სომეხი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მე-5 ან მე-6 საუკუნისა, წერს „შეხვდა მათ იბერიის საზღვართან, ქალაქ ხალხალში, სადაც ალბანთა მეფეებს ჰქონდათ თავისი ზამთრის რეზიდენცია“

http://baku.eparhia.ru/historo/albania/geographic/

Егише пишет: «…встретился с ними около границы Иберии, в городе Халхал, в котором албанские цари имели свою зимнюю резиденцию».

http://baku.eparhia.ru/historo/albania/geographic/

იმავეს წერს მოსე კალანკატუაცი მე-7 ს. სომეხი ისტორიკოსი, „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორი – „და შეხვდა მათ იბერიის საზღვარზე, ხალხალას პირისპირ, ალბანთა სამეფოს საზამთრო რეზიდენციასთან“

http://baku.eparhia.ru/historo/albania/geographic/

Моисей Каланкатуйский передает: «…и встретился с ним на границах Иберии, напротив Халхала, зимней резиденции царства Албанского».

http://baku.eparhia.ru/historo/albania/geographic/

ამჟამინდელი აგრიჩაის მახლობელ რეგიონში მართლაც ორი ისტორიული „ხალხალა“ არსებობდა, ერთი ახლოს იყო ხორანთასთან (იორ-ალაზნის შესართავთან), ხოლო მეორე ხალხალა დღესაც არსებობს ოგუზის რაიონში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასზე გაედინება კავკასიისს მთებიდან გამომავალი მდინარე (ამჟამინდელი გალაჩაი), რომელიც უშუალოდ მტკვარს უერთდება, როგორც ახასიათებს ოკაზანს პლინიუს უფროსი.

ორი ხალხალას პუნქტები იდენტიფიცირებულია და ისინი ახლოს მდებარეობენ მდ.აგრიჩაისთან, რომლის არეალშიც უნდა ვეძიოთ ალბანია – იბერიის საზღვარი.

სამი წყარო ერთმანეთს ეთანადება – როგორც ითქვა, ხალხალა ამჟამინდელი სოფელია ამ რეგიონში კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარე გალაჩაისთან ახლოს ოგუზის რაიონში ყოფილ ვართაშენთან. აქვე უნდა ვეძიოთ მეოთხე წყაროს – ლეონტი მროველის მიერ დასახელაბული გულგულა, საზღვარი ქართლსა და ჰერეთს შორის.

ლეონტი წერს –„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჯან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჯსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჯან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჯან ხორანთა“ (ქ.ც. 1. 1955, გვ.17).

ეღიშესა და კალანკატუაცის მიერ იბერიასა და ალბანიას შორის საზღვრად დასახელებული პუნქტი ხალხალა უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტყეტბა-გულგულა, რომელსაც ასახელებს ლეონტი. არა თელავთან მდებარე პუნქტი გულგულა, არამედ ხალხალა, ოგუზის, ძველი ვართაშენის რაიონში.

საქმე ისაა, რომ ლეონტის ცნობით ტყეტბა-გულგულა „მტკვრის ჩრდილოთ“ ანუ მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, როგორიცაა ეღიშეს მიერ დასახელებული ხალხალა, რაც შეეხება თელავის გულგულას, ის გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულია მტკვარს.

მტკვარსა და თელავს შორის სხვა დიდ მდინარეთა ხეობებია.

მაშასადამე იბერია – ალბანიის საზღვარი არ გადიოდა თელავის გულგულასთან, მაშ სად გადიოდა ის?

ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ საეჭვოა გულგულას ლოკალიზება თელავთან, რომ ამ პუნქტის შესახებ ვახუშტისაც, მე-18 ს.-ში, უკვე აღა ჰქონია ცნობები.

ლეონტის ცნობის შესატყვისად ამჟამინდელი ხალხალა „მტკვრის ჩრდილოთ“ მდებარეობს და საზღვარი მასზე გადიოდა ეღიშესა და კალანკატუაცის ცნობებით, ასეთია ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონის პუნქტი ხალხალა.

აქედან (ხალხალადან) გავლებული სასაზღვრო ხაზი, რომელიც უერთდებოდა ლეონტის ცნობითვე ოირ-ალაზნის შესართავთან მდებარე ჰერების ქალაქს ხორანთას – უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის.

მაშასადამე, ოთხი წყაროს – პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშეჯერებით მივედით დასკვ-

ნამდე, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის ერთმანეთს აერთებდა ხორანთასა და ხალხალას (ვართაშენტან).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ხაზთან ახლოს გადიოდა საზღვარი მე-8 საუუნეში არაბების მიერ დაპყრობილ გურზანსა (გურჯისტანსა) და ალბანეთს (რანს) შორის (არაბებმა დაპყრობილ ალბანეთს „ალ-არმინიია 1“ უწოდეს, ხოლო გურზანს „ალ-არმინიია 2“, მათ შორის საზღვარი მოცემულია რუკაზე), ასევე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისა თუ სახელმწიფო წარმონაქმნებისა საუკუნეთა მანძილზე, რაც მოცემულია ქვემოთ.

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Emirate_of_Armenia_750_885.png

---

აღსანიშნავია, რომ ხალხალასთან ახლოს დღესაც არის სოფელი იმავე ეტიმოლოგიით – ფილფილა. აქ შესანიშნავი არის ის, რომ სახელები „გულ-გულა“, „ხალხალა“ და „ფილფილა“ ერთნაირი ეტიმოლოგიისა.

ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ამ სახელის მქონე პუნქტი – გულგულა, შესაძლოა მართლაც მდებარეობდა რეგიონში, კავკასიის მთის ძირში, სადაც ახლაც მდებარეობენ ამავე ეტიმოლოგიის პუნქტები – ხალხალა და ფილფილა, ამასთანავე, ამ სოფლებთან – ხალახალასთან და ფილფილასთან გამოედინებიან მთის მდინარეები, რომელნიც მტკვარს უერთდებიან, როგორც აღწერს პლინიუსი საზღვარს იბერია – ალბანიას შორის.

ხალხალასა და ფილფილასტან კავკასის მთებიდან გამომდინარე აგრიჩაისა და გალაჩაის შორის, მიწის ძალზე მცირე მონაკვეთში გაედინება კავკასიის მტებიდან გამომავალი მდინარე ალიჯანჩაი (Алиджанчай).

ეს სამი მდინარე აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი გამოედინებიან ერთმანეთთან ძალზე ახლოს, შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. როგორც ითაქვა, დიდი ვაკის გავლის შემდეგ ალიჯანჩაი და გალაჩაი უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყა-

როს მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთდებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

წყაროსავე მოთხოვნით, სასაზღვრო მდინარე გაედინებოდა „მტკვრის იქითა ვაკეზე“.

ისმის კითხვა სად მდებარეობს ის მტკვრისპირა ვაკე, სადაც გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალაბანიას შორის, პლინიუსის ცნობის შესაბამისად?

აღსანიშნავია, რომ მთებიდან გამომდინარე აღნიშნული მდ. აგრიჩაი გაედინება დიდ ველზე, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან-აგრიჩაის ვაკე“, ხოლო გალაჩაი და მდ. ალიჯანჩაი მტკვარს უერთდებიან „შირვანის ვაკეზე“. ეს ორი ვააკე ერთმანეთს უერთდებიან იმ რეგიონში სადაც უნდა ყოფილიყო საძიებელი საზღვარი.

სწორედ აქ, არნიშნულ მდინარესათან, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი დიდი მტკვრისპირა ვაკე, ამჟამადაც მდებარეობს საზღვარი შექი-ზაქათალას ეკონომიკური რაიონსა, ხოლო წინა საუკუნებსი გადიოდა საზღვარი აზერბაიჯანის სახანოსი.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD№/media/File:Azerbaijan_economic_regions.png

ოგუზის რაიონი შეფენილია კავკასიის სამხრეთ ფერდზე და იმდენად მშვენიერი ბუნებისაა, რომ უწოდებენ აზერბაიჯანის შვეიცარიას. მისი ტერიტორიის ნახევარი დაფარულია ტყეებით, აქ ბევრია ჩანჩქერი, წყარო, ხარობს ხეხილი, აქ მდებარეობდა ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ტყე-ტბა–გულგულა, აქ ერტერტ ქედს ეწოდება გურჯი-დაღი, ადგილობრივების გადმოცემიტ ამ ქედზე გდიოგა სახღვარი საქარტველოსთან.

http://www.azerbaijan.az/portal/Societo/Tourism/tourism_r.html?tourism_04

Азербайджанские ханства
XVIII - начало XIX вв.

აზერბაიჯანის სახანოს საზღვარი გადიოდა მდინარე აგრიჩაი-გიშისწყალზე, იმის შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა შექი. აქ მდებარეობს ე.წ. ალაზან-აგრიცაის ვაკე.

„ ალაზან-აგრიჩაის ვაკეს“ თავისი სახელი აქვს მისი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო.

(Алазань – Агричайская равнина, Алазань–Авторанская равнина (авар. ЦIор, цах. Гал) – район в Грузии и Азербайджане вдоль южного подножия Большого Кавказа по рекам Алазани и Агричай

https://dic.academic.ru/dic.nsf/_geo/404/%D0%90%D0%BB%D0%B0%D0%B7%D0%B0%D0%BD%D1%8B

აგრიჩაის სათავესთან ახლოს, მდ.გალაჩაი გამოედინება კავკასიის მთებში, ძველ ისტორიულ პუნქტ ხალხალასთან ახლოს (ვართაშენთან) და უერთდება მდ. მტკვარს ტურიანჩაის სახელით ე.წ. შირვანის ველზე

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A8%D0%B8%D1%80%D0%B2%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%BD%D0%B0

Ширванская равнина[1][2][3], Ширванская степь[4] (азерб. Şirvan düzü– равнина Ширван) – часть равнинногопространства Кура-Аракской низменности в Азербайджане, расположенная на левобережье Куры.

მდ. გალაჩაი გაედინება სოფელ ფილფილასთან (ხალხალასთან ახლოს, რომელც გულგულად მიგვაჩნია, ხოლო გულგულა ლეონტი მროველს მიაჩნადა საზღვრად ქართლსა და ჰერეთს შორის, ეს სოფელი ხალხალა, რომელიც, როგორც ითქვა, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და სხვათა ცნობით იყო საზღვარზე იბერიასა და ალბანიას შორის).

როგორც ითქვა, პლინიუს უფროსი, ლეონტი მროველი, ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი აქ უნდა მიუთიტებდნენ საზღვარს იბერია ალბანიას, ქართლსა და ჰერეთს შორის.

მასასადამე, ჩვენი კვლევით, „ალაზანი“ ერქვა – აგრიჩაის (გიშისწყალს), ხოლო ოკაზანი ერქვა მის უახლოეს მდინარეს – ალიჯანჩაის – **Алиджанчай**-ს (ეს მდინარე ჩაედინება მტკვარში) ანდა ასევე უახლოეს მთის მდინარეს გალაჩაის.

შესაძლოა, ასევე, რომელიმე მათგანი, იწოდებოდა ოკაზანად. ისინი ორივენი გავაკების შემდეგ უერთდებიან მტკვარს, მათზე გადიოდა საზღვარი შემდეგ საუკუნეებშიც, როგორც ითქვა, არაბობის დროს, ასევე, მე-18 საუკუნეში და ამჟამადაც, მასზე გადის საზღვარი ზაქათალა-შექის ეკონომიკური რაიონისა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მდინარე ოკაზანის გარდა პლინიუს უფროსი გვაძლევს სხვა მინიშნებას იმისა, თუ სად უნდა ვეძიოთ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის, ეს ყოფილა მტკვრის იქითა ველი, ანუ საზღვარი გადიოდა დიდ ველზე.

ამჟამინდელი ისტორიკოსები წყაროს ამ ჩვენების საწინააღმდეგოდ, რუკებზე იბერიასა და ალბანიას შორის საზღვარს ავლებენ არა მტკრის ველზე, არამედ იორ-ალაზნის შუაწელზე (მათ გამყოფ ცივგომბორის მთაზე).

კიდევ ერთხელ ვიკითხოთ, რომელია მტკვრის მომიჯნავე დიდი ველი, რომელიც ცნობილი იყო უცხოეთშიც? ამ ველს ამჟამად ოფიციალურად ეწოდება აზერბაიჯანის „შირვანის სტეპი“, დიდი ვაკე, რომელსაც ქართულ წყაროებში „მოვაკანი“ (ანუ სავაკე, ვაკე ადგილი) ეწოდება. მისი ბუნებრივი გაგრძელებაა ველი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან-აგრიჩაის ველი“.

აგრიჩაის სათავე მდებარეობს ქალაქ შექის მარჯვნივ დაახლოებით 10–15 კილომეტრში.

თვით ამ ქალაქში ჩაედინება აგრიჩაის შენაკადი გიშისწყალი, რომელიც სათავეს იღებს სოფელ გიშთან, რომელიც რუკის მიხედვით შექის მაღლა მთაში მდებარეობს.

როგორც ითქვა, აღსანიშნავია, რომ აქ, ამ მდინარესთან (აგრიჩაისთან) შექთან ახლოს ამჟამადაც გადის შექი – ზაქათალას ეკონომიკური რაიონის საზღვარი, აქვე, ამ მდინარესთან გადიოდა მე-18 საუკუნეში აზერბაიჯანის სახანოს საზღვარი, უფრო ადე, ამავე მდინარესთან (750–885 წლებში) გადიოდა

არაბული პროვინცია „ალ-არმინიია 2“-ის საზღვარი, ალ-არმინიია – 2 ასევე იწოდებოდა გურზან-გურჯისტანად.

ასე, რომ საზღვარი საქართველოსთან არაბობის დროს გადიოდა შექ-აგ-რიჩაისთან, აქვე გადიოდა აზერბაიჯანის სახანოს საზღვარი, ხოლო ამჟამად გადის შექი-ზაქატალას ეკონომიკური რეგიონის საზღვარი. ეს ფაქტები სრულ უფლებას იძლევა, რომ გამოვთქვათ აზრი, რომ აგრიჩაი-შექ-ხალხალასთან გადიოდა ალბანია-იბერიის საზღვარი.

რას ეფუძნება ამჟამინდელი არასწორი მტკიცება, რომ ალბანია-იბერიის საზღარი ჰკვეთდა ცივგომბორის მთას და გადიოდა რუსთავიდან ვიდრე ყვარლამდე?

ეს მტკიცება თურმე ეფუძნება ვ. ლატიშევის არასწორ ლოკალიზაციას ალბანიის ქალაქებისა.

პტოლომეოსის (70–147) ცნობით იბერია-ალბანიის გამყოფ მდინარეს-თან, რომელიც მთებში გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა, მდე-ბარეობდა ალბანური ქალაქები ტაგოდა, ბაქრია,სანუია, დეგლიანა და ნიგა.

Так, перечисляя города и деревни Албании, он пишет: «Города и деревни Албании следующие. Между Иберией и рекой, вытекающей с Кавказа (т.е. Кавказских гор – А.Н.) и впадающей в Кир, которая течет по всей Иберии и Албании, отделяя от них Армению: Тагода, Бакрия, Сануя, Дегляна, Нига»41 .

ლატიშევს განუსაზღვრია, რომ ალბანეთის ქალაქი (სოფელი) ნიგა არის ნუხა, დეგლიანა – არის სოფელი დახნა, ხოლო ქალაქები ტაგოდა, ბაქრია და სანუია – მოუთავსებია საქართველოს სიღრმეში, დაუდგენია, რომ ალბა-ნური ქალაქი ტაგოდა თავისი მდებარეობით ეთანადება შემდეგდროინდელ თოინეს, შემდეგ განუსაზღვრავს, რომ ალბანური ქალაქი ბაქრია(ბახტია) ლო-კალიზდება თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო ალბანური ქალაქი საუნია ლოკალიზდება სადღაც ახლოს სიღნახთან“,

აი, ასე, ყოველგვარი საფუძვლიანი ახსნა-განმარტების გარეშე, ლატი-შევმა, თავისი ვარაუდით, რომელიც შემდეგი თაობებისათვის კანონად იქცა, ალბანურ ტერიტორიად გადაიქცა თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, სიღნაღისა და ბოდბე-გურჯაანის ჩათვლთ.

Последние два названия комментатором В.В.Латышевым определяются как современные селения Дахна и Нуха в Шекинском районе Азербайджана. А вот три первые, расположенные западнее, локализуются в пределах Грузии. Та-года «по своему положению отождествляется с позднейшим Тионией», Бакрия или «по другому чтению Бахтия локализуется к северо-востоку от Тбилиси», а Сануя «между Алазанью и границей Грузии, где-либо близ позднейшего Сигна-ха»42

კითხვაზე, რატომ? ოფიციალური ისტორიკოსები ამბობენ,ეს ლატიშევმა თქვა, თუმცა, წყარო სხვას ამობს.

ამ კითხვის მიუხედავად, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქია დარწმუნებულია რომ ეს საკითხი უკამათოა.

Для нынешней исторической географии нет сомнения в том, что Кавказская Албания в период средневековья охватывала почти всю территорию современной Азербайджанской Республики, Южный Дагестан и Алазанскую долину Восточной Грузии.

ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი ბოდბეს ალბანურ ქალაქად მიიჩნევს, ისე, როგორც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი. ბოდბის ალბანურ პუნქტად მიიჩნევასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა, როგორ შეიძლება ბოდბე ყოფილიყო ალბანიის ქალაქი, რადგანაც იქ დაკრძალულია წმიდა ნინო, რომელიც ქართლის განმანათლებელი იყო და არა ალბანიისა?!

აქედან გამოსავალი ადვილად იპოვნა საბჭოთა ისტრიოგრაფიამ – მისი მტკიცებით, წმიდა ნინო შევიდა ალბანიის ქალაქ ბოდბეში და მოახდინა ალბანელების ქართიზაცია.

ეს მტკიცება არ ეყრდნობა რაიმე წყაროს და პირიქით, წარმოადგენს იგნორირებას მოვსეს ხორენაცის ცნობისა (მე-5 ს.), რომ ქართველთა შორის ვიდრე მასქუთებამდე იქადაგა წმ. ნინომ. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ბოდბე, რომელიც გეოგრაფიულად მასქუთებამდე მდებარეობდა, ქართველების ქალაქი იყო და არა ალბანელებისა.

ბოდბისა და გურჯაანის ეკლესიები იმის გამოც მიიჩნევა ალბანურად, რადგანაც ისინი თითქოსდა კამბისენაში მდებარეობდნენ, ანუ იმეორებენ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ კამბისება ქიზიყია. ჩვენი კვლევით, რომელიც მოცემულია წიგნში ხუნძეთისა და ალბანეთის საკათალიკოსოები, კამბისენა ერქვა ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას მდებარე ტერიტორიას და არა ქიზიყს. ეს დასკვნა ეფუძნება სტრაბონის ცნობას, რომ კამბისენა შემოფარგლული იყო მთა-გორებით, შესაბამისად ის წყალუხვი, დაჭაობებული ადგილი იყო, რადგანაც მასზე გაედინებოდა მტკვარი, რომელსაც იქვე შეურთდა იორ-ალაზანი. კამბეჩოვანი ადგილი სწორედ ეს ჭონჭყო-ჭაობიანი ადგილი უნდა ყოფილიყო და არა უწყლო ზეგანი ქიზიყისა. სტრაბონი ახსენებს კიდეც, რომ იბერიაში ალბანიიდან შესასვლელი ჭაობებზე და კლდეებში გადიოდა, ეს უნდა ყოფილიყო ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილი, აქ იყო ქალაქი ხორანთა-ჰერეთი და სხვა ქალაქები.

https://upload.wikipedia.org /wikipedia/commons/c/c9/Aghuank.jpg

შირვანისა და მიმდებარე დაბლობებს ეწოდება მტკვარ-არაქსის დაბლობი, მისი გაგრძელებაა ალაზან-გოიჩაის დაბლობი, ერთმანეთისაგან იყოფოდნენ მდინარე გოიჩაით, აქვეა გალაჩაი, ალბანია-იბერიისა და ამ ერთიანი ვრცელი დაბლობის გამყოფი მდინარეები. ამ მტკვრისპირა დაბლობზე დებდა საზღვარს პლინიუს უფროსი იბერიასა და ალბანიას შორის. ამ არეალზე ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია შექი.

შექი თავდაპირველად ერქვა ნუხის რაიონს, შემდეგ გახდა ვართაშენის რაიონის ნაწილი, 1968 წელს შეუცვალეს სახელი და დაარქვეს შექი, აქ ახლოა გიშელის ქართული საეპისკოპოსო ეკლესია. იყო წმ. ელისეს გისის სხვა ეკლესია სულ სხვა რეგიონში.

https://ru.wikipedia.org /wiki/%D0%A8%D0%B5%D0%BA%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9–%D1%80%D0%B0%D0%B9%D0%BE%D0%BD შექი-ზაქათალას ეკონო-

მიკური რაიონი – აზერბაიჯანის ერთერთი ეკომიკური რაიონია, მასში შედიან კახის, გაბალინის, ოგუზის, ზაქათალას, შექის, ბალაკანის ადმინისტრატიული რაიონები.

ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის მიერ დასახელებული ხალხალა, პუნქტი იბერია-ალბანიის საზღვარზე მდებარეობს შექის ვრცელ რეგინში.

ხალხალი. სოფელი კავკასიის მთის სამხრეთ ფერდზე, 810 მ სიმაღლეზე. ხალხალაზე გადის გზა, რომელიც გადადის დაღესტანში უფელტეხილ ფიიზე გავლით.

დასახელება ხალხალი საკმაოდ გავრცელებულია, სოფლები, დასახლებები და ქალაქები ამ სახელით ცნობილია ნახჩევანსი და სამხრეთ აზერბაიჯანში.

ქვემო ფილფილლი, მე-20 საუკუნეში სოფელი წალეკა კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე ფილფილამ, ამის გამო სოფელი დაინგრა. ჩენი კვლევით შესაძლოა საუკუნეთა წინ ხალხალი ერქვა ოგუზის რაიონში, აქვე, ამავე სოფელთან ახლოს მდებარე, ამავე ეტიმოლოგიის პუნქტ ფილფილას, რომელზე გამავალი მთის მდინარე უერთდება მტკვარს. ეს მხარე ჭეშმარიტად დიდებულია, მთის მდინარეების მოჩუხჩუხებენ, ოგუზის რაიონში გაედინაბიან მდინარეები ალიჯანი, დაშახილი, გალაჩაი და სხვა. ტყეები და ტბები http:/vk/.com/-wall–23232544_924830

სოფელი ფილფილლი მდებარეობს ოგუზის რაიონში, 1160 მ. სიმაღლეზე, ძველ ხაჩმაზის უღელტეხილთან, მდინარე გალაჩაის მარჯვენა სანაპიროზე, კავკასიის მთების სამხრეთ ფერდზე. ამბობენ, რომ ეს სოფელი წარსულში იყო ციხე-ქალაქი. https//vk.com /wall–23232544_924830

ალჯანჩაი – უერთდება მტკვარს, გამოდის ოგუზთან.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა „შირვანის სტეპი“, მას ქართველები უწოდებდნენ მოვაკანს, რადგანაც დიდი ვაკეა, (მოვაკანი, ანუ ვაკეებიანი, ვაკე, მოვაკებული). შირვანის სტეპს უერთდება აგრიჩაი-ალაზნის ვაკე, ამ ორ ვაკეს ანუ დაბლობას ერთმანეთისაგან ყოფს მდინარე ალჯანჩაი, ესაა პლინიუსის ოკაზანი.

შირვანის ვაკის მდინარეა ალიჯანჩაი, რომელიც გამოედინება ოგუზ-ვართაშენთან, ისაა ოკაზანი. http://portal.azertag.az /ru/node/875

შესაბამისად კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა არა თელავთან, (როგორც ამჟამად მიღებული თვალსაზრისი ამტკიცებს), არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილასთან და იქვე მდებარე ხალხალასთან, როგორც მიუთითებენ ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი. ტყეტბა-გულგულას, ვითარცა სასაზღვრო პუნქტს კახეთსა და ჰერეთს შორის ახსენებს ლეონტი მროველი, თუმცა არ მოუცია ამ პუნქტის ლოკალიზაცია.

ვახუშტი შეეცადა მის დაზუსტებას, და აღნიშნა, რომ ასეთი სახელის სოფელი (გულგულა) თელავთან არსებობდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ვახუშტის არ ჰქონდა ზუსტი ცნობები ჰერეთსა და კახეთს შორის საზღვრის შესახებ და ის მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა. მიუხედავად ამისა ჰერეთსა და კახეთს შორის (შესაბამისად

საქართველოსა და ალბანეთს შორის) სასაზღვრო ხაზი შემდეგმა ისტორიკოსებმა და კარტოგრაფებმა გაავლეს თელავთან (შემდგომ კი ოდნავ სამხრეთით), რაც ასეა დღესაც ამის გამო, მაგალითად, ბოდბე და გურჯაანი დავით გარეჯას მონასტრებთან ერთად ჰერეთში შეიყვანეს, ესაა შეცდომა, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

ჩვენი კვლევით საზღვარი ალბანეთსა და ქართლის სამეფოს (იბერიას) შორის გადიოდა ამჟამინდელი აზერბაიჯანის ოგუზის (ვართაშენის) რაიონის სოფელ ფილფილასთან, გარდა სახელების ეტიმოლოგიური მსგავსებისა (გულგულა – ფილფილა) აქ (ფილფილასთან) გადის ქედი „გურჯი დაღი", რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, საქართველოს ძველ საზღვრად მიიჩნევა, რაც უმთავრესია, ფილფილასთან, კავკასიის მთებიდათან, გამოდინება მდინარე, რომელიც მტკვარს უერთდება, ეს უნდა მიყოს მდინარე ოკაზანი, რომლიც პლინიუს უფროსის ცნობით წარმოადგენდა საზღვარს იბერიასა და ალბანიას შორის.

Одной из этнических групп, населявших Албанию, были чилбы (сильвы), обитавшие на южном склоне Большого Кавказа в зоне верхнего течения реки Алазани 79. Здесь же расселены и лпины 80.

См. Папуашвили Т.Г. Вопросы истории Эретии. Очерки по социально-экономической и политической истории: автореферат дис.д–ра ист.наук. Тбилиси, 1971. С.8.http://b aku.eparhia.ru /historiy/albania/geografhic/

თ. პაპუაშვილის არასწორი კვლევის შედეგად დამკვიდრდა თვალსაზრისი, თითქოსდა ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ ალაზნის სათავეებთან, შესაბამისად კახეთი ალბანიის ისტორიულ მიწ-წყლად მიიჩნევა, მაშინ, როცა, ლფინები და ჭილბები, ჩვენი კვლევით, ცხოვრობდნენ თანამედროვე დაღესატნის სამხრეთ ნაწილში ამჟამინდელ სოფელ ხალხალადან ჩორის (დაღესტნის) მიმართულებით (იხ. ჩემი ხუნძეთისა და ალბანეთის საკათალიკოსოები).

ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის გამო ალბანურად მიიჩნევა ბელაქნის რაიონის მე-5, მე-6 სს. ეკლესიები, კახის რაიონის ყუმის მე-6 ს. ეკლესია,ზაქათალას რაიონის მამრუხის, გახის რაიონის ლექითის, შექის რაიონის მე-9, მე-10 სს. ორტა-ზეიზიტის და სხვა ეკლესიები. 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა ეს სოფლები: კასრი, სამება, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვართაშენი.

კერძოდ, აღნიშნულ რეგიონში მან მოილოცა შემდეგი ეკლესიები –
კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია,
ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია,
ლექართის მოციქულთასწორ **წმინდა ნინოს** ეკლესია,
ზარის მთავარმოწამე წმიდა გიორგის ეკლესია,
ვარდიანის **წმინდა აბოს** ეკლესია,
განუხის წმინდა მოწამე **არჩილის** ეკლესია, -
ქიშნუხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია,
ვართაშენის წმინდა ელიას ეკლესია.

ამ ეკლესიებს სახელები გადარქვეს აქ, მე-19 ს. დასაწყისში პასკევიჩის მიერ ჩასახლებულმა სომხებმა. აქაური ქართველებისაგან რეგიონი ლეკიანობამ დაცალა, ზოგიც გალეკდა, სომხებს დახვადათ კარგ მდგომარეობაში მყოფი მთელი ეკლესიები, ისინიც დაეპატრონენ და სახელები დაარქვეს ამ ქართულ ეკლესიებს თავიანთი ისტორიული წარსულის (საკუთარი ხედვის) შესაბამისა, ამ დროისათვის ანუ მე-19ს. 30-იან წლებში, ალბანური ეკლესია უკვე დიდი ხნის გაუქმებული ანუ გასომხებული იყო და ამიტომ, ალბანთა განმანათლებელი ელისე, უკვე სიმხური ეკლესიის წმინდანად მიაჩნდათ. მათ ადგილზე დახვდათ გიშის ეკლესია კარგ მდგომარეობაში, გაიგეს რომ ამ ეკლესიას „გიში“ ერქვა, მათ ამ სახელის გაცნობისას წარმოიდგინეს, რომ სახელების მსგავსების გამო გიშის ეკლესია წმ. ელისეს მიერ აგებული გისის ეკლესია.. ეს აზრი გავრცელდა და ახლაც ბატონობს.

მსგავია ლექართი ეკლესიის ბედიც. ლექართის (ლექითის) წმიდა ნინოს ეკლესიას ეს სახელი უკვე ერქვა მე-14 საუკუნეში, როცა ის მოილოცა საქართველოს პატრიარქმა, და ცხადია, იქამდეც, ამ სახელის შესაბამისად ის დაარსებული იყო წმიდა ნინოს მიერ, ამიტომ, ცინიზმია, როცა ის მიიჩნევა ალბანურ ეკლესიად. http://baku.eparhia.ru /historiy/albania/architrve/

საზოგადოდ, ალბანურმა ეკლესიამ სულ ორიოდე საუკუნე იარსება დიდი გასაჭირით, მაშინ როცა ქართული ეკლესია აქ თავის უეჭველ იურისდიქციას ახორციელებდა არჩილ მეფიდან მაინც ვიდრე თითქმის მე-17 სააუკუნემდე, ე. ი ათასი წლის მანძილზე, თუ უფრო მეტი არა.

არც ერთი ეკლესია ამ რეგიონში არ ატარებდა წმ. ელისეს სახელს, ვართაშენის ეკლესია ატარებდა წინასწარმეტყველ ელიას სახელს და არა ელისესი, ის ელისესთან დააკავშირეს, მხოლოდ აქ პასკევიცის მიერ ჩასახლებულმა სომეხმა სასულიერო პირებმა.

აქაური ეკლესიები წმ. ნინოს, საქართველოს მეფეების, მათ შორის, წმ. არჩილ მეფის ზრუნვის ქვეშ იყვნენ. ასეთი ყოფილა მის (წმ. არჩილის) მიერ აგებული მისი სახელობის განუხის ეკლესია.

ფაქტებისა და წყაროების მიუხედავად, მათ ალბანურ ეკლესიებად მიიჩნევენ. ამიტომ წერენ – Ранние христианские храмы Кавказской Албании: зальные и однонефные базилики Мазымгарай Белоканского района – V–VI века Кумская в Кахском районе – VI века, Едти Килсе в Гахском районе – VI века, Мамрухский в Закатальском районе – Ш–IV века, Лекитский в Гахском районе – V–VI века), церковь в селении Орта-Зейзит Шекинского района – IX–X века).

http://baku.eparhia.ru /historiy/albania/architrave/

მათ გარდა, ალბანურ ეკლესიად მიიჩნევა, როგორც აღინიშნა, ბოდბისა და გურჯაანის ეკლესიები, რომელნიც თითქოსდა ისტორიულ კამბისენაში მდებარეობდნენ. В качестве архитектурных памятников Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической области Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII–IX веков, до включения области в царство кахов и ранов

http://baku.eparhia.ru /history/albania/ɔarchitrave/

ასევე, ალბანიის საულიერო კერად მიიჩნევა გიშის ეკლესია შექის რაიონში. ის მიიჩნევა მოციქულ ელისეს მიერ დაარსებულად.

По традиции «местечко Гис» идентифицируется с селением Киш Шекинского района, а церковь, построенная Елисеем, идентифицируется с церковью селения Киш. Древнейший храм Кавказской Албании – церковь святого Елисея в селении Киш.

მიიჩნევა, რომ ალბანთა განმანათლებლის მიერ შერჩეული ადგილი „გისი“ არის სოფელი გიში შექის რაიონში, რომელიც სინამდვილეში, როგორც ითქვა, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და ამიტომაც მოიხილა ის საქართველოს პატრიარქმა 1310 წელს. სინამდვილეში ალბანური სასულიერო კერა გისი – სხვა რეგიონში იყო.

მტკიცება იმისა, რომ შექის გიში ალბანური ეკლესია იყო, ეწინააღმდეგება მე-7 ს. წყაროს –„ალვანთა ისტორიას“.

მოვსეს კალანკატუაცი წერს რომ „გისი“ მდებარეობდა არა აქ, არამედ უტის ოლქში, უტიკში, ჭაობიან ადგილას, მაშინ, როცა შექის გიში მდებარეობს არა ჭაობიან, არამედ მთიან რეგიონში ამასთანავე, შექის ოლქს არ ერქვა უტიკი.

უტიკის ოლქი და უტიელტა ქვეყანა ეწოდებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ბარდავის მხარეს. შესაბამისად, წმ. ელისეს მიერ დაარსებული გისის ქრისტიანული ცენტრი მდებარეობდა არა შექთან, არამედ ბარდავთან ახლოს, ჭაობიან ადგილას. რაც შეეხება გიშს, ის იყო ქართული საეპისკოპოსო ცენტრი.

სახელ „ელისენთან“ დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის გაჩნდა გვიან შუა საუკუნეებში, მაშინ როცა ალბანური ეკლესია თითქმის 1000 წლის გაუქმებული იყო, და არც მოგონება არსებობდა წმ. ელისესი. სახელი ელისენი სხვა ეტიმოლოგიისაა და ელისეს სასულტანოს დამაარსებლის პიროვნულ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

შესაბამისად არასწორია ეს მტკიცება – Эта точка зрения подтверждается многими свидетельствами проповеди святого Елисея в левобережной Албании. Эта часть территории Албании в грузинских исторических источниках именуется Элисени. Многие церкви здесь носят имя святого Елисея.

В «Истории албан» селение с названием Гис упоминается еще раз в связи с событиями начала V века. В главе XXVII I-ой части «Историческое повествование о Месропе и товарищах его» Моисей Каланкатуйский пишет, что возвращающийся из Иерусалима Маштоц «проходя по дороге в Армению, достиг пределов Востока в области Ути и расположился жить в болотистых местах, покрытых мхом у места, называемого Гис. Он утвердил веру возобновленной церкви и проповедование Евангелия распространил в стране Утиев, в Агвании, Лпинии, Каспии и в ущелье Чога»[424]

Албанский историк Киракос Гандзакский в своей «Истории» повторил сведения «Истории албан» о проповеди святого Елисея и основании церкви в селении Киш425.

В период всего средневековья Киш оставался центром епархии. Здесь по свидетельству Вахушети находилась кафедра епископа Элисени, Цукети и Шеки426.

В 50–60-ых годах XIX века переселенные в Шекинский район главнокомандующим русскими войсками на Кавказе генералом Паскевичем армяне отремонтировали церковь и приспособили ее к своему богослужению427. სომხები ჩამოასახლა პასკევიჩმა გიშში

Едди килсе и Мамрух, несомненно, относится к доарабскому периоду зодчества Албании

ზემოთ მოყვანილ ალბანიიის რუკაზე https://upload.wikimedia.org /wikipedia/commons/c/c9/Aghuank.jpg უტიკი, სადაც გისის ეკლესია დაარსა წმ. ელისემ, მდებარეობს ბარდავთან, მტკვრის მარჯვენა მხარეს.

შეიძლება საბოლოოდ ითქვას, უტიკის ოლქში შედიოდა პარტავი, ამიტომ, წმ. ელისეს მიერ აგებილი „გისის ეკლესია უტიკში“ ანუ პარტავთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ის არ იყო გიშის ეკლესია შექთან!

ამავე რუკაზე არის ორი ხალხალი, ერთი კავკასიის მთებთან (ვართაშენთან), მეორე გარდმანში. ვართაშენის ხალხალთან გადიოდა იბერია-ალბანიის საზღვარი, სხვა იყო გარდმანის ხალხალი.

ალბანეთის (კავკასიის) ეკლესია

ალბანეთი (ქართ. რანი; სომხ. ალუანქ; სირ. არან; არაბ.სპარს. არ-რანი), ერთერთი უძველესი სახელმწიფო იყო კავკასიაში რომლის ტერიტორია დაახლ. ემთხვევა თანამედრ. აზერბაიჯანს და დაღესტნის რესპ. (რფ) სამხრ. ნაწილს.

ანტიკური ავტორები (სტრაბონი) ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგენენ ტერიტორიას, მოქცეულს კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე, შემდგომ საუკუნეთა წყაროები არ იძლევიან საშუალებას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც ალბანელების განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I–II ს.). ქ.შ-მდე II ს. ალბანეთის 26 ტომის გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

I–II სს. საუკუნეებში ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მასქუთების დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შეს-

ართავამდე აღწევდა. ამ ადგილამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან აღწევდა ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან – რანის ოლქის საზღვრები.

პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი კაპალაკი კასპიის ზღვისკენ მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ეს არ იყო თანამედროვე ქალაქი ყაბალა, რომელიც ისტორიულად ჰერეთის ოლქში მდებარეობდა).

პლინიუსის ცნობით, ალბანელებს იბერებისაგან მდინარე ოკაზანი ჰყოფდა. მდ. ოკაზანი მდ. თეთრიწყლის, ანუ აღსუს ძველი სახელი უნდა იყოს. თუმცა ივარაუდება, რომ ოკაზანი, შესაძლოა ალაზნის სახელი იყო.

პლინიუსისავე ცნობით, კავკასიის მთებიდან ჩამომდინარე მდ. ოკაზანი მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდებოდა.

ამ რეგიონში მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდებიან მდ. აღსუ, გოიჩაი და ალაზანი. ალაზანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ მხრიდან ალაზნის მთავარი ტოტია მისი შენაკადი აგრიჩაი. შესაძლოა, აგრიჩაი, ალაზნის უმთავრესი შენაკადი ამ მხარეს, ერთმანეთისაგან აშორებდა ალბანეთსა და იბერიას და მას ერქვა ოკაზანი.

პლინიუსი წერს: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … (Подосинов А.В., Скржинская М. В. Римские географические источники – Плинии Старшии «Естественная история», кн. VI, XI.29. М. 2001).

(პლინიუსის ცნობისაგან განსხვავებით მინგეჩაურის წყალსაცავის ავსებამდე ალაზანი მტკვარს არ უერთდებოდა უშუალოდ, არამედ მდ. იორს. იორ-ალაზნის ნაერთი მდინარე უერთდებოდა მტკვარს. ძნელი სათქმელია, რომ ალაზანი და იორი მთებიდან გამოედინებიან, მაგრამ ალაზნის შესართავი აგრიჩაი მტებიდან გამოედინება, ასევე მთებიდან გამოედინება აღსუ და გოიჩაი. ამიტომაც პლინიუსის ცნობა მათ უფრო ესადაგება, ამ სამიდან ერთ-ერთის სახელი უნდა ყოფილიყო ოკაზანი.

ძვ.წ. I საუკუნეში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი (იხ. ჰერეთი).

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით გადაინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდეგდროინდელი რანი იქცა.

ამის შემდეგ ალბანეთად ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია იწოდებოდა, რომელსაც ქართველები რანს უწოდებდნენ.

სავარაუდოდ, კასპიისზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები იმის თაობაზე, რომ წმ. ნინომ იქადაგა ქართველთა შორის „ვიდრე მასქუთებამდე“: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან – დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“

მასქუთებამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდნენ. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით, ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმ. ნინოს ქადაგების დროს.

სომხური წყაროებით ალბანეთად უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. შემდეგდროინდელი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში, ანუ კასპიისპირეთში მასქუთების ჩასახლებამ. ალბანური მოსახლეობა ორად გაიყო. ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი ჩოლის რეგიონში კავკასიის მთებისაკენ. მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. ამავე დროს ეს პოლიეთნიკურობა იქცა იმის მთავარ მიზეზად, რომ ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა ყველასთვის ერთი საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ალბანეთის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი იყო კავკასიაში. ქრისტიანული ტრადიციით, ქრისტიანობა აქ იქადაგა მოციქულთა მოწაფემ ელისემ (ელიშემ). მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა: პირველი გადმოცემის მიხედვით, ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან სომხეთის გვერდის ავლით განმანათლებელ ელისესგან, რომელიც იყო უფლის ძმის, იაკობის, მოწაფე. ეს გადმოცემა მიუღებელი გახდა VII ს. მას შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. მეორე, ახალი, ვერსიით ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმ. მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს. კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა ეპისკოპოს იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის ციხე-სიმაგრესთან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყია. „მასქუთების მხარეში“ მოციქული ელისე წამებით აღსრულებულა. ის იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ. ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის (VII ან X ს.) „ალვანთა ქვეყნის ისტორია“. III ს. ალბანეთი ირანის ძა-

ლაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. ალბანეთს მართავდა ირანის შაჰებს დამორჩილებული ადგილობრივი დინასტია. IV ს. ალბანეთის მეფე ურნაირი განუდგა სპარსელებს, ჩავიდა სომხეთში და საკუთარ დიდებულებთან ერთად მოინათლა. ქრისტიანობა მის სამეფოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ამ პერიოდში, სომხური წყაროებით, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდეგდროინდელ შამახადან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში ქრისტიანობა გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილს გრიგორისს უქადაგია და მასქუთთა ხელით მოწამეობრივად აღსრულებულა. წყაროებში ეს გრიგორისი მოიხსენიება ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსად.

აღსანიშნავია, რომ იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთ-ერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარს რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებდნენ (როგორც ჰერეთის დედოფალ დინარს, ასევე მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთში მქადაგებელ გრიგორისს, იბერიის ეპისკოპოსს უწოდებდნენ).

V ს-ის 10-იან წლებში ალბანეთის დედა-ქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე).

შემდეგში, V ს. შუა წლებში, ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე ალბანეთის მეფეებმა ალბანეთის ახალი დედაქალაქი კვლავ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააფუძნეს. მეფე ვაჩე II-მ (444–463) ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო – სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე).

სპარსეთი ცდილობდა კავკასიელ ქრისტიანებში ზოოასტრიზმი დაენერგა. ამ მხრივ სპარსეთის პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა შაჰ იეზდიგერდ II-ის დროს, რასაც მოჰყვა კავკასიელ ხალხთა მძლავრი ანტიირანული აჯანყება (450–451). აჯანყების მეორე ეტაპზე აჯანყებულმა ალბანელებმა შესძლეს ჩოლის (ჩორის) გადასასვლელის დაჭერა კასპიისპირზე, მაგრამ მალე სპასელებმა დაქირავებული ჰუნ-ონოგურების დახმარებით მოახერხეს ალბანელთა წინააღმდეგობის გატეხვა და მისი დამარცხება. 462 წ. მათ გააუქმეს ალბანეთის სამეფო და შექმნეს სამარზაპანო, რომელშიც შევიდა ალბანეთის კასპიისპირა პროვინციები. ასევე არცახი, უტიკი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით, ჰერეთთან (ყაბალას რეგიონი) ერთად.

ალბანეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სპარსი მარზაპანებიც 30 წლის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ.

არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას და უსაფუძვლოა ზოგიერთ იმ ისტორიკო-

სთა მტკიცება, რომელიც ალბანეთს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ის ნათესავმა ვაჩაგან III-მ (487–510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო. 551 წ. ალბანეთის ეკლესიის მეთაურმა მიიღო კათოლიკოსის ტიტული. პირველი კათოლიკოსი იყო აბასი, რომლის კათედრა პარტავში იყო. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ალბანეთში იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: პარტავის, ჩოლის, კაპალაკის, ამარასის, ხაშუს, ტალაძანკის და სალიანის.

ვაჩაგან III-ს გარდაცვალების შემდეგ ირანელებმა ისევ სამარზაპანო შექმნეს, რომელშიც ჰერეთიც შედიოდა. სამარზაპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთს უწოდებენ.

VI ს. ალბანეთი ქართლთან და სომხეთთან ერთად სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი – არაბებისა.

VII ს. ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640–680) ისევე, როგორც მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატი, მართლმადიდებლები (ქალკედონიტები) იყვნენ, ამის გამო 705 წელს ვარაზ-თრდატი ქრისტიანობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) უშუალოდ ხალიფატის შემადგენლობაში შეიყვანეს, კერძოდ, სახალიფოს იმ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმინია ერქვა და რომლის ცენტრი იყო ქ. დვინი.

დვინის სომხური საკათოლიკოსო გაძლიერდა და ახლა ალბანეთის ეკლესიასაც აკონტროლებდა, ვითარცა არმინიაში შემავალი ერთ-ერთი ოლქის ეკლესიას.

არმინიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) დარჩა თითქმის IX საუკუნის ბოლომდე.

არაბებმა, რომლებიც ბიზანტიის საპირისპიროდ სომხეთში მონოფიზიტობას მფარველობდნენ, აიძულეს ალბანელები სომხური აღმსარებლობა გაეზიარებინათ.

VII საუკუნის ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური, ანუ ქალკედონური მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა. ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია, რასაც მოსახლეობის ნაწილის ისლამიზაცია ერთვოდა.

მოვსეს კალანკატუაციის მიხედვით, „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზ-თრდატის მეუღლე. სომხეთის კათოლიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათოლიკოსმა მიწერა: „სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარ-

ტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება“. სომეხთა კათოლიკოსმა მოუწოდა ამირას, რომ ალბანელი ქალკედონიტები დაესაჯა, რაც ამირამ სიამოვნებით აღასრულა და სომეხთა კათოლიკოსს შეატყობინა, რომ ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონიტი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია. ამ მეომრებმა „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“.

იმავე წერილში არაბი ამირა წერს სომეხთა კათოლიკოსს: „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა – შეურაცხყოფა“.

სომეხთა კათოლიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული ალბანელთა კათოლიკოსი დაიმალა, მაგრამ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათოლიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა – უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“. სომეხმა მღვდლებმა არაბებთან ერთად ალბანთა კათოლიკოს ნერსესის ქალკედონიტური ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს. დევნის ამ ეპოქაში გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც ლტოლვილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების „ქართიზაცია – გაქართველებას“ როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონიტი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, ვითარცა მართლმადიდებლურ კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათოლიკოს ნერსესის მსგავსად მკაცრად დაისჯებოდნენ.

ამ მოვლენების შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათოლიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათოლიკოსის მიერ: „ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში, ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“ აღნიშნულია მ. კალანკატუაცისთან.

ეს პირობა დაიდო პარტავის კრებაზე, რომელსაც სომეხთა კათოლიკოსი ელია თავმჯდომარეობდა სომხური წელთაღრიცხვით 148 წ. (699) (სხვა ცნობებით, პარტავის კრება გაიმართა 706 წ.).

სომხურმა ეკლესიამ შესძლო მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „სომხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში.

მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის ეკლესიის მამამთავრებს. ამ და სხვა წყაროებით დგინდება ალბანეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგი სომხეთის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში შესვლამდე: აბასი (551–595), ვირო (595–629), ზაქარია (629–644), იოანე (644–671), უხტანესი (671–683), ელიაზარი (683–689), ნერსესი (689–706).

ალბანეთის საკათოლიკოსომ, როგორც სომხეთის ეკლესიის ადმინისტრაციულ-სტრუქტურულმა ერთეულმა, იარსება 1815 წ–მდე. XIV ს. ბოლოდან კათოლიკოსების რეზიდენცია იმყოფებოდა არცახში არსებულ განძასარის მონასტერში.

ე.წ. ალბანეთის „ივერიის“ ანუ ჰერეთის მოსახლეობა ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდა. კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა ქ. ყაბალასა და ვარდაშენს შუა ქედზე, რომელსაც დღესაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დაღი) ეწოდება.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955. ტ. II, 1959; ტ. IV, 1973; მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძე – ტატიშვილის გამოც., თბ., 1985; მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ა. აბდალაძის გამოც., თბ., 1968; სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7; XI, 14, 5. თ. ყაუხჩიშვილი, „სტრაბონის გეოგრაფია“ (1957წ.). страбон география. м.- л.1964. Плиний Старший „Естественная история“ VI.

ლიტ: კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941; ალექსიძეზ., ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998. http:|www.Krovot.info |histori; გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005; www.volistil.info |texsts|Dokumenty |Kavkaz|VI|Dag–sron|ist; ს. კარაპეტიანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, „Кавказ и Византия“ 1988, №6; „Тифлисские ведомости“ т. 82, 1830; ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011.


ალბანეთის საკათალიკოსო
№ 106
პირობითი აღნიშვნები
ალბანეთის საკათალიკოსო ცენტრები
ქართლის საკათალიკოსოს ცურტავის ეპარქიის საზღვრები
ქართლის საკათალიკოსო
ანნუხი
ხუნძახი
მცხეთა
სამშვილდე
ბოდბე
გიში
ლორე
ცურტავი
ახპატი
ხუნანი
არეში
ალბანეთის საკათალიკოსო
გულგული (ფილფილა)
ყაბალა
შამახია
გისი
ბარდავი
კარი
ანისი
ავანი
დვინი
სომხური მონოფიზიტური ეკლესია
ვასპურაკანი
მასშტაბი 1:4.500.000
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011

ჰერეთი

ქართული წყაროები ერთსა და იმავე სახელს – ჰერეთს უწოდებდნენ ორ, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულ სახელმწიფოს – ძველ ალბანეთსა და შემდეგ, საკუთრივ ჰერეთს. ისინი დასახლებულნი იყვნენ სხვადასხავა ხალხებით და არსებობდნენ სხვადასხა ეპოქაში.

ალბანეთმა სახელმწიფოებრივი არსებობა მე-5 საუკუნისათვის შეწყვიტა. ის არ იყო მონოლითური ეთნოსი, დასხლებული იყო სხვადასხვა ტომებით, ამიტომაც ვერ შეძლო კონსოლიდირება ერთინ ხალხად. ალბანეთისა და ქართლის (იბერიის) საზღვარი გადიოდა ხალხალა – ხორანთას შემაერთებელ ხაზზე. ხორანთა მდებარეობდა ალაზან-იორის შესართავთან, ხოლო ხალხალა, სავარაუდოდ ამჟამინდელ სოფელ ხალხალასთან ოგუზის (ვარტაშენის) რაიონში.

სტრაბონის ცნობით იბერიიდან ალბანეთში შესასვლელი გზა გადიოდა მდინარე ალაზნის მიერ წარმოქმნილ ქვაბულში, სად მდებარეობდა ის? სავარაუდოდ იქ, სადაც იორი და ალაზანი უერთდებოდა ერთმანეთს. ეს იყო გრძელი, გორაკებით შემოფარგლული ქვაბული, მასზე გადიოდა გაერთიანებული იორ-ალაზანი, ეს იყო ალაზნის ქვაბული, საიდანაც გასვლის შემდეგ ეს მდინარე მტკვარს უერთდებოდა. ამ კლდოვან და დაჭაობებულ ქვაბულს ერქვა კამბისენა, ალბათ მის ჭაობებში კამბეჩებიც კარგად გრძნობდნენ თავს, და შესაძლოა ამ ადგლს ქართველები უწოდებდნენ კამბეჩოვანს, ამ ადგილს ამჟამად ფარავს მინგეჩაურის წყალსაცავი, მისი სიგრძე 70 კილომეტრია, ასე, რომ კამბისენას სიგრძე 70–80 კილომეტრი უნდა ყოფილიყო. იბერია-ალბანიის საზღვარი, შესაბამისად ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავზე გადიოდა, რომელსაც ადრე კამბისენა, ქართულად კი კამბეჩოვანი ერქვა. საზღვარზე მდებარე ალაზნის ამ ქვაბულთან დაკავშირებით სტრაბონი წედა – „Проход из Албании идет сначала через скалы высеченной в камне тропой, а затем через пойму, образуемую рекой Алазонием, текущей с Кавказа“ (სტრაბ. 11.3.5.)

როგორც ითქვა, კამისენას ადგილზე ამჟამად მდებარეობს მინგეჩაურის წყალსაცავი (და არა ქიზიყში), მის დასაწყისთან მდებარეობდა ხორანთა (იორ-ალაზნის შესართავთან).

იბერიაში ალბანიიდან გზა გაივლიდა მდ. იორისა და ალაზნის შერევის ადგილას მდებარე ჩაღრმავებულ ქვაბულში, რომელიც იმჟამდ კლდოვანი და ამავე დროს დაჭაობებული ალაზნის გრძელი ველი იყო, ამიტომაც აქ დააგუბეს ეს მდინარე, რომელზედაც წარმოიქმნა მინგეჩაურის წყალსაცავი.

ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა კამბისენა არის ქიზიყის კამბეჩოვანი. კამბისი-იორს ერქვა, По сообщениям античных авторов (Плиния, Помпония Мелы, Диона Кассия, Клавдия Элиана, см. 223, 224), река Иори называлась Камбис. იორ-ალაზნის შესართავთან კი მდებარეობდა ამ სახელის მიხედვით მიღებული სახელი კამბისენას ოლქი. აქ გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის. ალბანური საეკლესიო ნაგებობები, თუ ასეთი არსებობდა, შეიძლება ვეძიოთ მინგეჩაუის წყალსაცავტან ან მის ფსკერზე.

ალბანეთის სახელმწიფო, როგორც ითქვა გაქრა მე-5 საუკუნეში, მისმა ეკლესიამ დიდი გასაჭირით მიაღწიან მე-7 საუკუნემდე, შემდეგ კი სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. ამ ალბანეთს – ქართული წყაროები, როგორც ითქვა ჰერეთს უწოდებდნენ, ქართული წყაროები ასევე ჰერეთს უწოდებდნენ თვის-ობრივად ამავე რეგიონის ფარგლებში შექმნილ ახალ სახელმწიფოს – ჰერეთის სამეფოს, რომელიც იმთავითვე ქართულენოვანი იყო.

ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა, ავტოკეფალია, ეროვნული სახე და თავისი ალბანი მრევლი საბოლოოდ დაკარგა მე–7 საუკუნეში, როგორც ამას კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი, მას შემდეგ, რაც სომხურმა ეკლე-სიამ საბოლოოდ გააუქმა მისი თავისთავდობა და შეიერთა ის. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიებში, რომელიც უკვე სომხური ეკლესიის ნაწილი იყო, წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე აღესრულებოდა. ალბანეთი მრავალეთნიკური ქვეყანა იყო, ალბანეთის ქართული მრევლი არ შეუერთდა სომხურ ეკელსიას და ის თავს აკავშირებდა ქართულ ეკესიასთან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სომხურ ეკლესიას არ შეუერთდა ძველი ალბანეთის ქართულენოვანი ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შაქის მხარეს, იორ-ალაზნის შესართავთან, ეს მებრძოლი ოლქი გატავისუფლდა არაბებისაგან და შექმნა სახელწიფო – რომე-ლსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ. თბილისის საამიროსა და ჰერეთის სამეფოს შორის მოქცეული იყო კახეთის საქორეპისკოპოსო. ის მათი თავდა-სხმების ობიექტი გახდა. ამან კახეთი დაასუსტა და ჰერეთის სამეფომ შეძლო მისი მიწების მიტაცება ამჟამინდელი ქიზიყის ჩათვლით.

ამ მიზეზის გამო, ძველი ალბანეთის ანუ ძველი ჰერეთის სამეფოების საზღვრები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

თუ კი ძველი ალბანეთის საზღვარი იბერიასთან გადიოდა იორ-ალა-ზნის შესართავთან, ჰერეთის ანუ შაქის სამეფოს საზღვარმა კახეთთან მისი მიწების მიტაცების შემდეგ უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა.

„ქართულ წყაროებში ეს სახელმწიფო ხან „ჰერეთად“ იწოდება და ხანაც „რანად“.

https:/ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E183%94%E1%%A0%E1%83%%E1%83%97%E1-%83%98%E1%83%A1–%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D

ჰერეთის სამეფოს დამაარსებელია ჰამამი, მოსე კალანკატუელის ცნო-ბით, 893 მან მეფის ტიტული მიიღო და არაბთა ხელშეწყობით შეძლო სამეფოს გაფართოვება კახეთის ხარჯზე, კერძოდ მას ჩამოართვა ამჟამინდელი არიში (ახლანდელი მთისძირი), გავაზი (ახლანდელი ახალსოფელი), ორჭობი და სხვა. მისი შვილის ადარნასე პატრიკის დროს დაახლოებით 915, კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა (892–918) აფხაზთა მეფის დახმარებით კახეთს უკან დაუბრუნა საკუთარი მიწები, მალევე ადარნასე პატრიკმა რევანში აიღო, ილაშქრა კახეთში და კვლავ ჩამოაჭრა მას ტერიტორიები.

„ადარნასე პატრიკის შემდეგ ჰერეთის მეფე იყო მისი ძე იშხანიკი (X საუკუნის შუა წლები). მასთან ერთად ჰერეთს მართავდა დედამისი – დინარ დედოფალი (ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი,

ადარნასე II-ის ასული და ცნობილი გურგენ IV დიდის, ერისთავთერისთავის, მაგისტროსის და).

X საუკუნის 50-იან წლებში იშხანიკმა ისარგებლა სალარიდების სახელმწიფოში შინაფეოდალური ომებით და ხარკის მიცემა შეწყვიტა. ქართული წყაროების მიხედვით, იშხანიკისა და დინარ დედოფლის მმართველოს ხანაში ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონული მრწამსი. ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული აქტით განხორციელდა ჰერთა საბოლოო გაერთიანება ერთიან ქართულ (მცხეთის) ეკლესიასთან. ჰერეთის სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ქართული.

იშხანიკის შემდეგ მეფობდა იოანე სენექერიმი (დაახლოებით X საუკუნის დასასრული) https//ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1–%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D

მან წანართა მეფის ტიტულიც მიიღო. წანარია ჩანს ერქვა ასევე დაღესტანში – ამჟამინდელი ოგუზის (ვართაშენის) რაიონის მიმდებარე მხარეს, ანუ შაქის მომიჯნავე ოლქს კავკასიის მთის იქით – დაღესტანში, ის შემდგომ მაჭის საერისთავოში შევიდა.

არაბთა ბატონობისას, ანტიბიზანტიურად განწყობილი დამპყრობლები კალანკატუაცის აღწერით, მფარველობდნენ სომხური მონოფიზიტური ეკლესიას და გააბატონეს ის, მათ მიერ ქალქედონიტობა, ვითარცა ბიზანტიური აღმსარებლობა სასტიკად იდევნებოდა, ჰერეთის ქართულმა მოსახლეობამ მიუხედავად დევნისა, ქალკედონურ მიმართულებას უერთგულა და არაბთა დასუსტებისას მე-10 საუკუნისათვის ქართული ეკლესიის წმიდანის დინარა დედოფლის დროს – გაბედა საჯაროდ აღიარება თავისი ქალკედონური მრწამსისა.

საქართველოს ეკლესიის მრევლით დასახლებულ ჰერეთის ძირითადი ნაწილი, როგორც ითქვა, მოიცავდა მიწაწყალს მტკვარ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ეს ტერიტორია ამჟამად მოქცულია აზერბაიჯანში, მაგრამ მისი საეკლესიო სამართალმემკვიდრე არის საქართველოს ეკლესია, ამას მიუთითებს მრავალი წყარო, მათ შორის მნიშვნელოვანია – მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი, რომლიდანაც ნათლად ჩანს საქართველოს პატრიარქის მიერ მოხილული თავისი სამწყსო და ეკლესიები ამ რეგიონში.

როგორც ითქვა, ჰერეთი იყო ერთერთი ქართული სამეფო, რომელიც გაძლიერდა მე-10 საუკუნისათვის და შეძლო კახეთის საქორეპისკოპოსოს მიწა-წყლის ერთი ნაწილის მიტაცება, ამ ნაწილს ამჟამად საინგილო ეწოდება, მალევე გაერთიანდა კახეთისა და ჰერეთის სამეფოები, რადგანაც ისინი ერთი ქართულენოვანი ეთნოსით იყო დასახლებული და ამით ხელი შეუწყო საქართველოს საბოლოო გაერთიანებას მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში.

XI საუკუნის დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსი დავითი (976–1010) იბრძოდა ჰერეთისა და კახეთის გასაერთიანებლად. მას ეხმარებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III.

XI საუკუნის ოციან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III (1010–1037) დიდმა გაერთიანა სამეფოები, რითაც დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ამიერიდან ჰერეთ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს ეწოდა – „რანთა და კახთა“ სამეფო.

ჰერეთს მემატიანეები შემდგომში უწოდებდნენ „რანს და მოვაკანს“. საიგილო არც რანს და არც მოვაკანს განეკუთვნებოდა. მოვაკანი ერქვა შირვანის ვაკეს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ვიდრე მდ. ალიჯანჩაიმდე (Алиджанчай), შაქის მხარეს.

ქართული წყარო წერს – „მოვაკანი არს მცირის ალაზნის შესაყარს ქვევით ვიდრე ზღვამდე, მცირე ალაზანი იორია“ (ქ.ც. გვ. 5).

მასასადამე, მოვაკანს, ქართველები უწოდებდნენ, ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე გაშლილ ვაკე-ველს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

მოვაკანი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა, მის გასწვრივ კი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა რანი. რანი და მოვაკანი ერთად ჰერეთია.

უცხოური წყაროების ალბანეთი,, რომელსაც ქართველები ასევე ჰერეთს უწოდებდნენ „რანადაც“ იწოდებოდა. ვარსქენ პიტიახში სპარსთა მეფემ დანიშნა „ერისთავად რანისა“ და, (რადგანაც, რანს ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ), ამიტომ ქართული წყარო აღნიშნავს, რომ უკან დაბრუნებული შევიდა თავის საპატრონო ქვეყანაში ანუ ქვეყანასა „ჰერეთისასა“

„მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა.” („შუშანიკის წამება” http://www.nphg.gov.ge). ანუ ჰერეთი ქართლის ერთი ნაწილია. ქართლის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, ის ქართლში შემავალ ჰერეთის ოლქში შევიდა.

შემდეგში, ვარსქენის ნაცვლად სპარსეთის შაჰმა „რანისა და მოვაკანის“ ერისთავად გამოგზავნა სხვა ერისთავი (ქ.ც.1. გვ. 217).

აქედან ჩანს, რომ ქართული წყაროების ჰერეთი შემდეგდროინდელ ქართულ წყაროებშივე იწოდებოდა „რანად და მოვაკანად“.

წმ. შუშანიკს საეკლესიო წყაროებში „რანის დედოფალი“ ეწოდება, „რანის მმართველის მეუღლე“ (http://www.orthodoxy.ge/sitsmindeebi/vazisa/jvari–vazisa.htm). ე.ი. **ჰერეთი რანია მოვაკანთან ერთად.**

აქედან ცანს, რომ ისტორიულად ჰერეთი ერქვა არა კახეთში შემავალ ამჟამინდელ საინგილოს, არამედ შაქისა და რანის ოლქის მხარეებს.

ძველ ალბანეთს შეეხება „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობა, რომლის მიხედვით გლონიქორი იყო ერისთავი „ქართლ-ჰერეთისა“ მეფე მირდატის დროს (დაახ. 437–447). გლონოქორს საეკლესიოს გარდა საერო ძალაუფლებაც ჰქონდა: „ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, 1979, გვ. 325)

როგორც ითქვა, წმიდანის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტში შუშანიკი იწოდება ზოგჯერ დედოფლიად რანისა, ზოგჯერ კი – დედოფლად ჰერეთისა.

„რანი და ჰერეთი“ (ქ.ც. I, გვ. 14), როგორც ითქვა, ერქვა თანამედროვე განჯისა და შაქის რაიონებს.

საქართველოს მეფეებს ასევე ჰქონდა ტიტული „ჰერეთის, ანუ რანის მეფე“.

ჰერთა მეფეებს შემდგომ საუკუნეებში რანთა მეფეებს უწოდებდნენ, ამიტომაც გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში გვხვდება „რანთა და კახთა მეფე“.

ე.ი. ჰერეთი და კახეთი სხვადასხვა ოლქები იყვნენ (ჰერეთი-რანი და შაქია ყოფილი ალბანეთის ერთ დროს ქართულენოვანი მხარეები), ხოლო, კახეთში შედიოდა დაღესტნის დასავლეთი ნაწილი (კახეთის მთიულეთი) და, შესაბამისად, მის წინ მდებარე საინგილო. როგორც აღინიშნა, ჰერეთის სამეფომ გაძლიერებისას დროებით შეძლო ამ მხრის მიტაცება მე-10 ს-ში.

ჰერეთის სამეფოში სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო არა ალბანური ენა, არამედ ქართული, რადგანაც, მისი მოსახლეობა იმთავითვე ქართულენოვანი იყო, როგორც ეს ჩანს მოვსეს ხორენაცისა და აგათანგელოზის ქვემოთ მოყვანილი ცნობიდან, რომ წმიდა ნინომ ქართველთა შორის იქადაგა „ვიდრე კასპიის კარამდე და მასქუთებამდე“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის აზრითაც ჰერეთში თითქოსდა შედიოდა ბოდბე (დ. მუსხელიშვილი „საქართველო IV–VIII სს-ში), ბოდბე „ალბანელთა არაქართულ ქალაქად“, მოიხსენიება ავტორის მიერ. მხოლოდ მე-10 ს-ში შეძლო ჰერეთმა დროებით კახეთის ზოგიერთი ოლქის მიტაცება, მაგრამ განსხვავებული ვითარება იყო ალბანეთი არსებობის ეპოქაში, მაგალითად, წმიდა ნინოს დროს ხორენაცის ცნობით, სხვა ვითარება იყო, ამ დროისათვის, ქართულენოვანი ხალხი მასქუტებამდეც კი ცხოვრობდა. ბოდბე ამ ქართულენოვანი ქვეყნის ჩენტრადაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამიტომაც ის „ქართველთა განმანათლებელად“ იწოდებოდა და არა ალბანელებისა, რადგანაც ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ბოდბე ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო და არა ალბანეთისა. წმიდა ნინო კი ბოდბეშია დაკრძალული.

ამასვე მიუთითებს, მოვსეს ხარენაცის ცნობა – **„ადვილად გასაგები ტკბილი ენით ნუნემ იქადაგა ქართველთა შორის კლარჯეთიდან მასქუთებამდე“.** მაშასადამე, მთელი ზოლი, მტკვრის მარცხენა ნაპირი მასქუთებამდე „ქართველთა ქვეყანა“ იყო, ქართველებით იყო დასახლებული და არა ალბანელებით, შემდგომში აქ ჩამოყალიბდა ჰერეთის ქართულენოვანი სამეფო.

წმიდა ნინომ „ქართველთა შორის ვიდრე მასქუთებამდე“ იქადაგა და არა ალბანთა შორის, მასქუთები კასპიის ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, მაშასადამე „კასპიის კარამდე“ მცხოვრებ მოსახლეობას მოვსეს ხორენაცი აგათანგელოზთან ერთად – ქართველებს უწოდებდა და არა ალბანელებს, წმიდა ნინო აქაურ ქართველთა განმანათლებელიც იყო.

„სანატრელი ნუნე წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა...მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე,როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

3) მოვაკანი ქართული სიტყვაა „მო – ვაკე – ანი“ და ნიშნავს „ვაკე ადგილის ქვეყანას“. მასქუთები მოვაკანის ბოლოში ცხოვრობდნენ.

როგორც ითქვა, ჰერეთის სამეფო გაიზარდა კახეთის ხარჯზე კვირიკე მეფის წინა მეფეების დროს, როცა მათ შეიერთეს კახეთის სამხრეთი მიწებიც, სამეფოტა გაერთიანების შემდეგ ეს მდგომარეობა აისახა კვირიკე მეფის გადაწყვეტილებაში, როცა მან ჰერეთში საერისთავოები დაარსა.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „შემდგომად ბაგრატ მეფის სიკუდილისა ამან კვირიკემ (1010–1037) დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა. გარნა თუ ისხდნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და **ოთხი ჰერეთს.** და კახეთსა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვის კერძო ჟინვანამდე. მეორე დასუა კუეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთ ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი. მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა ჰერეთის საზღვრის ზეით კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ. ხოლო **ჰერეთს დასუა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ – კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეორე ვეჯინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეით თურდოს ხევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნით, რომელ არს აწ შიგნით – კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქუეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასუა შტორისა და მისცა შტორის ხევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმამხარი“**

კახეთის გაღმამხარი (საინგილო და ჭარ ბელაქანი) დიდოეთირთურთ შედიოდა შტორის საერისთავოში.

შაქი ანუ შაკიხი და ხუნძახი (დაღესტნის ავარია) შედიოდა მაჭის საერისთავოში.

კვირიკე მესამის დროს ჰერეთში შედიოდა ქიზიყთან ერთად შაქი დიდოეთ-ხუნძახთან ერთად.

ეს იყვნენ ქართულენოვანი კუთხეები, რასაც კარგად აჩვენებს მატერიალური კულტურის ძეგლები, მისი აგებული დიდებული ალავერდი თავისი დიადი ქართულენოვანი მწერლობით და, მაგალითად, თვით კვირიკე დიდის საფლავის ქვის ქართული წარწერა. კვირიკე ქართული ეკლესიის დიდი მშენებელი იყო, რაც ზედაზნის კანკელიდანაც ჩანს.

როგორც ითქვა, მოვსეს ხორენაცის ცნობით წმიდა ნინოს დროს ქართველობა ცხოვრობდა „კასპიის კარამდე და მასქუთებამდე“ ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ქართულენოვანი დარჩენილა მოსახლეობა თითქმის 500 წლის შემდეგაც კვირიკე მეფის დროს, აქაური ქართული მოსახლეობის შესახებ

კარმელიტი ბერებიც წერდნენ მე-17 საუკუნეში.



რანთა და კახთა მეფის კვირკე მესამე დიდის საფლავის ქვა სოფელ კალაურში (გურჯაანის რაიონი). მას ამჟამად „კახეთ-ჰერეთის“ მეფეს უწოდებენ, მაგრამ საფლავის ქვაზე გარკვევით წერია – „რანთა და კახთა მეფე“.

რანი ანუ ჰერეთი ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული, რაც მათი მეფის საფლავის ქვის წარწერიდანაც ჩანს.

„https://www.kvirispalitra.ge/istoriani/38140-kakheth-herethis-mefis-saflavi-sofel-kalaurshi-aghmoachines.html.

გულგულა-ხალხალა პუნქტი კახეთ-ჰერეთის (იბერია-ალბანეთის) საზღვართან

ჩვენი მეცნიერების დაბეჯითებული მტკიცებით, თელავთან მდებარე სოფელ „გულგულამდე“, აღწევდა ჰერეთის საზღვარი. ჰერეთს კი აზერბაიჯანელი მეცნიერები მიიჩნევენ ალბანეთად, ამასთანავე, აზებაიჯანს მიიჩნევენ ალბანეთის სახელმწიფოსა და მისი ხალხის კულტურის სამართალმემკვიდრედ. შესაბამისად თელავ-გულგულასთან საზღვრის გავლება პრობლემას ქმნის იურისდიქციის საზღვრების კვლევისას.

მიაჩნიათ, რომ ალბანეთის საზღვრები – აზერბაიჯანის ისტორიული საზღვრებია, ამის გამო, მაგალითად, ბაქო-აზერბქიჯანის რუსულ ეპარქიას თა-

ვის ვებგვერდზე მიაჩნია, რომ ბოდბე, გურჯაანი, საინგილოს ეკლესიები და დავით-გარეჯას მონასტრები – „ალბანური ძეგლებია“ ანუ აზერბაიჯანელთა ისტორიული კულტურის საკუთრებაა.

მაგრამ, ამ მტკიცებას ეწინააღმდეგება მრავალი წყაროს ცნობა, მაგალითად ერთერთი ცნობით ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნეშიც კი, ნეკრესი, თელავის სამხრეთით, კახეთში მდებარეობდა და არა ჰერეთში.

მემატიანე წერს, რომ მეფე ფარნაჯომმა „**იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ (ქ.ც. I, გვ. 29), ხოლო შემდგომ მეცხრე მეფემ არშაკ II-მ „განაშვენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“ (იქვე, გვ. 33).**

გულგულას ლეონტი მროველი ახსენებს ვითარცა სასაზღვრო პუნქტს ჰერეთთან, მაგრამ სად მდებარეობდა ის ნამდვილად თელავთან თუ შაქის რეგიონის სოფელ ხალხალასთან, როგორც მე ვამტკიცებ. ხალხალას იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტად მიიჩნევდა ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი.

ქართლის ცხვრებაში ნათქვამია – „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი... და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ (ქ.ც. I, გვ. 5).

აქედან ჩანს, რომ ჰერეთი მტკვართან, მტკვრის რეგიონში, მის ჩრდილოეთში, „ჩრდილოთ“ მდებარეობდა, შესაბამისად მის საზღვარზე მდებარე ძველი ტყეტბა, რომელსაც შემდგომში ეწოდა **გულგულა**, მდებარეობდა **არა ალაზნის, არამედ მტკვრის ხეობაში.**

შესაბამისად, გულგულა, ანუ ტყე-ტბა უნდა ვეძიოთ არა თელავთან, არამედ მტკვრის იმ რეგიონის „ჩრდილო“ საზღვარზე, სადაც მტკვარს უერთდება იორ-ალაზანი, ესაა კავკასიონის მთა იქ, სადაც აღწევდა შაქის ოლქის საზღვარი, ანუ გულგულა იყო კავკასიონის რომელიღაც მთასთან.

ასეთი, თითქმის იმავე სახელის მქონე პუნქტი „ხალხალა“, ნამდვილად არის კიდეც ჩვენს მიერ საძებნ რეგიონში. მითუმეტეს, რომ, როგორც ითქვა, - ხალხალა ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის მიაჩნდა საზღვრად იბერია-ალბანიას შორის.

1923 წლის ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ პუნქტი ხალხალა მდებარეობს ნუხპატსა და არეშს შუა, შაქის რეგიონში.

ვახუშტის დროს ცნობები გულგულა-ტყე-ტბის შესახებ უკვე დაკარგული ყოფილა და ის თელავთან უძებნიათ, მაგრამ, ეს არ იყო სწორი მიმართულება, რადგანაც წყაროთა ცნობით, VIII საუკუნესა და შემდგომ კახეთი ნუხპატამდე, ანუ შაქამდე აღწევდა, როგორც მემატიანე წერს:

„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამმორს, შეირთო ცოლი და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუ-

ქეთს მთავარნი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა“ (ქ.ც. I. გვ. 243).

აქედან ჩანს, რომ **ქართლის ანუ არჩილის სამეფოს საზღვარი ნუხპატამდე** აღწევდა. **ნუხპატი** (თანამედროვე ნუხა) კახეთში შედიოდა და არა ალბანეთში, რადგანაც, ნუხპატი ვითარცა ქართლის სამეფოს ციხე-ქალაქი, არჩილს აუშენებია.

მართლაც, ხალხალა (რომელიც ჩვენ გულგულად მიგვაჩნია) ნუხასთან (ნუხპატთან) არჩილ მეფის მიერ აშენებულ ციხე-ქალაქთან, ახლოს მდებარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჰერეთის საზღვარი აღწევდა გულგულა-ტყეტბამდე. როგორც ითქვა, მიიჩნევა, რომ ის მდებარეობდა თელავთან.

ვახუშტის დროს ჰერეთი აღარ არსებობდა და ის ათასწლოვანი დავიწყების მტვრით იყო დაფარული, აღარც მისი საზღვრები იცოდა არა თუ ხალხმა, არამედ მემატიანეებმაც. მათ მხოლოდ ის ახსოვდათ, რომ ის ქართული ქვეყანა იყო. ვახუშტიც მხოლოდ ვარაუდობდა მისი საზღვრის თელავთან არსებობას. ალბათ, რომელიმე წყაროში, შესაძლოა, მოვსეს კალანკატუაცთან, ნახსენები სასაზღვრო პუნქტი ხილხალა მან ეტიმოლოგიური მსგავსების გამო თელავის გულგულად მიიჩნია.

„ქართლის ცხოვრების“ ანალიზი გვაძლევს უფლებას გამოვთქვათ აზრი, რომ ვახუშტის წყაროს გულგულა უნდა იყოს არა თელავთან მდებარე პუნქტი, არამედ გიშსა და ნუხპატოს აღმოსავლეთით (დაახლოებით 30 კმ-ში) მდებარე პუნქტი ხალხალა (გულგულა).

გულგულას ახსენებს ასევე მეორე წყარო „წმ. არჩილის“ ცხოვება.

ნუხპატოს მეზობლად რომ მდებარეობდა „გულგულა“, ეს ჩანს წმ. არჩილის ცხოვრებიდან ამოღებული შემდეგი ფრაზით: **„კუალად მოესრა ნოხპატელთა სიმრავლე ყრუსა და არჩილ ნათელ-სცა მათ იძულებით. შემდგომად მოიყვანნა ძმისწულნი ადარნასეს ბრმისანი და დასხნა შაკიხით და დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე-კარითურთ“ („ქართლის ცხოვრება,“** IV, 1973, გვ.126).

მე-8 საუკუნეში წუქეთი ეწოდებოდა მიწა-წყალს ამჟმინდელ სამხრეთ დაღესტანში.

სამხრეთ დაღესტანში გზა გადადის ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონიდან, გაივლის სოფელ ხალხალას და შედის დაღესტანის იმ ოლქში, რომელსაც ოდესღაც წუქეთი მოიაცვდა. სამურის ხეობა.

ასე, რომ ხალხალა და ძველი წუქეთი ერთი ოლქია კავკასიონის ქედით გაყოფილი, ეს ოლქი არჩილს სამართავად გადაუცია თავისი ერისთავისათვის, შაქიდან დაღესტნის სამხრეთი ოლქის ჩათვლით, ამ რეგიონშია ყველა აღნიშნული პუნქტი. **„დასხნა შაკიხით და დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე-კარითურთ“,**

აქ ნახსენები შაკიხი არის შაქი, გულგულა არის ხალხალა, ხოლო წუქეთი მდებარეომდა იქვე, სოფელ ხალხალასთან გამავალი გზის ბოლოს, ჩრდილო კავკასიაში.

რადგანაც, აქ ნახსენები ყველა პუნქტი – ნოხპატო, (ნუხპატო), შაკიხი (შაქი) და წუქეთი ერთ რეგიონში მდებარეობს, აქვე უნდა ვეძიოთ „გულგულა“.

არჩილ მეფის მემატიანის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ნუხპატოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო გულგულაც. ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის სასაზღვრო პუნქტი იბერიასა და ალბანიას შორის.

ეს ქალაქი (ხალხალა) მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც იყო სახელმწიფოთაშორისი გზის ნაწილი. ამ ადგილას ქალაქი ხალხალა დაფიქსირებულია 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე. ამ რუკის მიხედვით, არც თუ მოშორებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო ასევე, მეორე პუნქტი ამავე სახელისა ხალხალა. მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ მთაში მდებარე ხალხალა საერთაშორისო გზაზე მდებარეობდა

თუ დავუშვებთ,რომ გულგულა თელავთან მდებარეობდა, ასეთ შემთხვევაში მემატიანის სხვა ცნობა **(„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“**) შეუსაბამო გამოდის – კახეთი აღმოჩნდებოდა არა „ტაძრეულის“, არამედ, შაკიხისა და წუქეთის მმართველების ხელში, რომელტა სამმართველო ქვეყანა გულგულამდე აღწევდა **(„დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე“).**

შაკიხისა და წუქეთის მმართველების ხელში ვერ აღმოჩენდებოდა კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიდრე გულგულა-თელავამდე, რადგანაც ამავე მემატიანის ცნობით, კახეთი საპატრონოდ არჩილმა სულ სხვა მმართელებს „ტაძრეულს“ გადასცა.

არჩილმა კახეთის ეს ნაწილი საკუთრებაში, საპატრონოდ გადასცა თავის ტაძრეულს, ასე, რომ შაკიხ-წუქეთის მმმართაველების ხელში გადასცა ტერიტორია ამჟამინდელ ხალხალა – ფილფილამდე. ამჟამინდელი ოგუზის რაიონის ხალხალა-ფილფილამდე აღწევდა კახეთის საზღვარი, შესაბამისად არჩილის სამეფოს საზღვარი, მის იქით ჰერეთი იყო კასპიის ზღვის მიმართულებით.

ქართიზაციის თეორიის შედეგი

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ტერიტორია კლარჯეთიდან მასქუთეზამდე ქართველებით იყო დასახლებული, მასქუთები კი კასპიის ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ვრცელი მიწა-წყალი შექის ოლქის ჩათვლით, ქართველებით იყო დასახლებული ხორენეცამდე და არჩილ მეფის დროსაც.

არჩილ მეფის ეპოქაში, არაბთა ბატონობის დროს შექმნილი გურძან-გურჯისტანის საზღვარი გადიოდა – შექთან (მას არაბებმა ალ-არმინიია 2“ უწოდეს).

XVII და XVIII საუკუნეებშიც კი, როგორც კარმელიტების ქრონიკა აჩვენებს, შირვანის ქვეყანაც კი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. მისიონერმა კარმელიტებმა თავიანთ ქრონიკებში დააფიქსირეს შირვანის ქვეყნის

ქართულობა, ისინი აღნიშნავენ: **„შირვანი, სადაც ქართველები ანუ, იბერიელი მოხარკენი ცხოვრობდნენ, მუდამ იყო სადავო ტერიტორია სპარსეთსა და თურქეთს შორის“** (ქ. პავლიაშვილი, „კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე, XVII-XVIII საუკუნეები, 1999, გვ.10).

ქართველებს რანი, მოვაკანი, შაქი და შირვანი ისტორიულად ქართულ მიწა-წყლად მიაჩნდათ, როგორც ეს დოკუმენტებშიც ჩანს.

ძველ საქართველოში თავისი თვალით ხედავდნენ, რომ უვრცელესი ქვეყანა დაღესტნიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე და შემახიის მთებამდე ქართველებით იყო დასახლებული, ქართული წირვა-ლოცვით, ენით, კულტურით და თვითშემეცნებით. ამიტომაც, როცა ამ მხარეებში თანდათანობით თემურ-ლენგის შემდეგ ჩრდილოკავკასიელები და შემოყვანილი მესულმანური ტომები გაბატონდნენ, საქართველოს ხელისუფლება იბრძოდა მის გასათავისუფლებლად.

თუ როგორ ესახებოდათ ეს მიწა-წყალი, კარგად ჩანს 1783 წლის ტრაქტატში რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის. ერეკლესა და ეკატერინე II-ს შორის დადებული 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის მეორე მუხლში ნათქვამია:

„მუხლი II – ყველა ის ტერიტორია, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო ამჟამად თურქეთს, სპარსელებსა და ლეკებს უპყრიათ, როგორიცაა საათაბაგოს, რანის, მოვაკანის, ახალციხის, ჯავახეთის, ლივანის, აჭარის, ნუხის, შაქის, შირვანისა და სხვა, – საქართველოს დაუბრუნდება და მის შემადგენელ ნაწილად იქცევა“ (წიგნიდან მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 121).

ქართველ ხალხსა და მის ხელმძღვანელობას ერეკლე II-ის დროს რუსეთის იმპერიამ საღვთო მტკიცე ფიცით აღუთქვა, რომ დაუბრუნებდა თავის ისტორიულ ტერიტორიებს შირვან-მოვაკანის ჩათვლით და საქართვეელო კვლავ გადაიშლებოდა ორ ზღვას შუა, ვითარცა ძლიერი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახელმწიფო.

საქართველოს არა თუ ეს ტერიტორიები დაბრუნდა, პირიქით, რუსეთის იმპერიაში შემუშავდა ე.წ. „ქართიზაციის“ სამეცნიერო თეორია, რომელმაც იქამდე მუდამ უდავო საქართველოს გულში მდებარე ტერიტორიებიც კი სადავოდ აქცია, ამ ტეორიით არა თუ შირვანი, თელავამდე მდებარე კახეთიც კი ალბანურ-აზერბაიჯანულ მიწა-წყლად გამოცხადდა. ამიტომაც ახლა მრავალწლიანი შრომა ესაჭიროება ამ თეორიის გაბათილებას.

ქართველი მკვლევარები, როგორც გ. მარჯანიშვილის წიგნიდან ჩანს, მიიჩნევენ, რომ ჩვენს განსახილველ რეგიონში (ანუ მდინარე ალაზნის ქვემო წელზე და საინგილოში) ქართველობა არ იყო მკვიდრი მოსახლეობა და იქ ქართველები მოხვდნენ მიგრაციის პროცესის შედეგად. გ. მარჯანიშვილი ამის შესახებ წერს: **„პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50).

გ. მარჯანიშვილი ისე, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეპოქის მკვლევარი, ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს (ალაზნის გაღმა მხარს – „საინგილოს“ და მიმდებარე ტერიტორიებს ალზანსა და იორს შორის) არაქართულ ქვეყანად მიიჩნევს, რომლის ქართიზაცია, ანუ როგორც გ. მარჯანიშვილი უწოდებს, „გაქართლება“, VIII საუკუნისათვის დასრულდა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან ძველ ქართულ წყაროებს, რომელთათვისაც ქართველობა იყო ერთიანი ეთნოსი, ერთიანი ხალხი, რომლითაც დასახლებული იყო ჩვენი რეგიონი.

როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს ავითარებს V საუკუნეში მოვსეს ხორენაცი. კერძოდ, ის თავის ცნობილ სომხეთის ისტორიაში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე და ამ რეგიონის მოსახლეობა, ანუ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი თავისი ტკბილი და ადვილად გასაგები ენით მოაქცია.

ხორენაცი წერს: **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მოვსეს ხორენაცი, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს, იყენებდა ქართულ წყაროებს და ცხოვრობდა თითქმის წმ. ნინოს ეპოქაში, არსად აღნიშნავს, რომ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი იყო მრავალეთნიკური, პირიქით, ხორენაცი წმ. ნინოს ერთმნიშვნელოვნად უწოდებს ქართველთა განმანათლებელს. მისი სიტყვით, კლარჯეთიდან მასქუთებამდე ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო, სადაც წმ. ნინომ იქადაგა.

მას ამ რეგიონშიც უქადაგნია, რადგანაც ის მდებარეობდა მასქუთების ქვეყნამდე, მასქუთების ქვეყნამდე მცხოვრები ხალხი კი ხორენაცის მიერ „ქართველთა ქვეყნად“ იწოდება.

როგორც ცნობილია, IV საუკუნისათვის მასქუთები ან მასაგეტები ცხოვრობდნენ მტკვარ-არაქსის შესართავიდან ჩორ-დერბენტამდე.

წმ. ნინოს მიერ მოქცეული მასქუთებამდე მცხოვრები ქართველობის საცხოვრებელი არეალი მოიაზრებოდა მტკვარ-არაქსის შესართავამდე (მოვსეს ხორენაცის მიერ).

აქედან გამომდინარე, არასწორია ქართიზაციის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს მხარე VIII საუკუნისათვის „გაქართველდა“ (ამ მხარეს ჩვენ კახეთის ნაწილად მივიჩნევთ, გ. მარჯანიშვილი კი მას ჰერეთს უწოდებს და, როგორც აღინიშნა წერს – „VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50). ქართიზაციის ეს თეორია გამეორება და გაღრმავებაა XIX ს. სომხური საისტორიო შეხედულებებისა, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბრუნვაში შეიყვანეს პროფესორმა ქ. პატკანოვმა და აკადემიკოსმა ნ. მარმა.

მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით, აქ, სოფელ ლექართში, მდებარეობდა წმ. ნინოს ეკლესია. აქ, წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის არსე-

ბობა განამტკიცებს ხორენაცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ მასქუთეზამდე და, შესაბამისად, ამ მხარეშიც იქადაგა, და ეკლესიაც მისი სახელობისა იყო, შესაბამისად, მისი (წმიდა ნინოს მიერ) დაფუძნებული ან აგებული ყოფილა.

ამ ეკლესიის სახელი უნდა წარმოადგენდეს მის არეალში წმ. ნინოს მოღვაწეობის ანარეკლს, ამ ეკლესიის სახელი – წმ. ნინოს – არაა შემთხვევითი და ეთანადება მოვსეს ხორენაცის ცნობას აქ წმ. ნინოს ქადაგების შესახებ.

აქ, ამჟამინდელ საინგილოში, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული იქ მდებარე სოფლის – ღანუხის სახელწოდებაში ეძებენ ალბანურ კვალს. მისი სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც სხვა მრავალი პუნქტის სახელი საქართველოში, გ. მარჯანიშვილი სოფელ ღანუხის სახელს უკავშირებს ალბანეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ტომის ხენუკების სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული. ეს მიუთითებს, რომ ამ რეგიონში უღვაწია წმ. არჩილ მეფეს VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დროს. მართლაც, ეს დასტურდება ქართული წყაროებით, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კახეთის ამ რეგიონში მრავალი ციხე-სიმაგრე ქალაქი და ეკლესია ააგო წმ. არჩილ მეფემ. საზოგადოდ კი, როგორც აღინიშნა, 1310 წლისათვის ამ რეგიონის მრავალი ეკლესია ატარებდა ქართულ სახელს – წმ. ნინო, წმ. არჩილი, წმ. აბო, მათ ემატება წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.

როგორც ითქვა, გვიან პერიოდში, უფრო მეტად XVIII საუკუნეში, პასკევიჩის შემდეგ ყარაბაღიდან ჩამოსახლებულ სომხებს ხელში ჩაუგდიათ უკვე გაუკაცრიელებული ძველქართული ეკლესიები და დაურქმევიათ მათთვის ახალი სახელები – წმ. რიფსიმე, წმ. ელიშე და სხვა მსგავსი, თუმცა შეუცვლელად დაუტოვებიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიათა სახელები. როგორც ცნობილია, სომხურ ეკლესიებს ნაკლებად არქმევდნენ ასეთ სახელებს. ისინი უფრო მეტად არქმევდნენ წმ. გრიგოლს, წმ. გაიანეს, წმ. რიფსიმეს, ასტვაცაცინ, სტეფანოსი და სხვა მსგავსი.

ქართველი მკვლევარები, როცა ისინი ისტორიულ კახეთს (იგულისხმება საინგილო და ბოდბე-გურჯაანის რეგიონი) ჰერეთად მიიჩნევენ, ვფიქრობ, შეცდომას უშვებენ. მათი შეცდომის მთავარი წყაროა ის, რომ ისინი უმართებულოდ საზღვრავენ პუნქტ ტყე-ტბა-გულგულას ადგილმდებარეობას. ანუ საზღვარს ქართლას და ჰერეთს, იბერიასა და ალბანიას შორის.

აქვე, ვართაშენთან ახლოს (ამჟამინდელ ოგუზთან) უნდა ყოფილიყო კახეთის უძველესი ქალაქი ჩელეთი. ამის დასტურია ისიც, რომ მისი სახელი დღესაც ცოცხალი არის აღნიშნულ რეგიონში შაქსა და ვართაშენს შუა. მას ამჟამად ჩალეთს უწოდებენ.

მართალია, სახელი ჩელეთი ემსგავსება ძველქართულ ქალაქ ჟალეთის სახელს, მაგრამ ჩელეთი ჟალეთი არ არის, ერთი შემდგომდროინდელ სიონის წყალსაცავთან მდებარეობდა, ხოლო მეორე – შაქ-ვართაშენის რეგიონში.

ამ რეგიონის ეკლესიების ქართული სახელები უეჭველად მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ქართველებით მჭიდროდ იყო დასახლებული და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ამ რეგიონის ქართველობა, როგორც აღინიშნა, უკიდურესად დააზარალა შაჰ-აბასმა, როცა მან ეს მიწა-წყალი კახეთს ჩამოაცილა და სამართავად დაღესტნელ ლეკებს გადასცა.

ამ პროცესმა ქართველების ასიმილაცია, რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

ქართველების რაოდენობა აქ კიდევ უფრო შემცირდა XX საუკუნის დასაწყისში სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს, ამ დროს მათ მიატოვეს სოფელი ვართაშენი, ასევე სოფელი ნიჯი და თავი შეაფარეს თავიანთ მშობელ ქართველ ერს, საქართველოს მიწა-წყალს. სომხური აღწერით გადმოსახლებამდე, მე-19 საუკუნეში, ცალ-ცალკე აღირიცხებოდნენ უდეები (უდინები) და ქართველები. ქართველების რაოდენობა ვართაშენში 150 კომლი ყოფილა, აქვე ვართაშენში ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ უდინები ანუ უდეები.

1918–1922 წლებში მღვდელ ზინობი სილიკაშვილის მეთაურობით ქართველები და უდინები ვართაშენიდან გადმოსახლდნენ ყვარლის რაიონში. სულ, როგორც ჩანს, ჩამოსახლებულა 600 კაცამდე.

როგორც აღინიშნა, 1890 წელს ვართაშენში 150 ქართულ-მართლმადიდებლური ოჯახი ყოფილა. რაც, ალბათ, გულისხმობს 600 კაცამდე სულადობას, რომელთაც, გადმოსახლების შემდეგ, ყვარლის რაიონში სოფელი ზინობიანი დაუარსებიათ. ვართაშენიდან ჩამოსახლებულ ქართველებსაც ამჟამად უდინებს უწოდებენ, რადგანაც, მათთან ერთად საქართველოს იმავე სოფელში ვართაშენელი უდინებიც დასახლებულან. ვართაშენელ უდინებს და ვართაშენელ ქართველებსაც საქართველოში უდინები ეწოდათ.

დასკვნა

ამჟამად აიგივებენ ალბანეთსა და ჰერეთს, სინამდვილეში ისინი არსებობდნენ სხვადასხვა ეპოქაში, სხვასხვა საუკუნეებში, გააჩნდათ სხვადასხვა საზღვრები და დასახლებული იყვნენ სხვადასხვა ხალხით, კერძოდ ალბანეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა მე-5 საუკუნეში და თავის ეკლესიასთან ერთად შეერწყა სომხურ ეკლესიასა და ხალხს, ხოლო ჰერეთის სახელმწიფო ადგილობრივმა ქართველმა ხალხმა დაარსა არაბობის ეპოქაში, ის არაბთა მხარდაჭერით ისე გაძლიერდა, რომ მე-10 საუკუნეში, დროებით, კახეთის საქორეპისკოპოსის პუნქტებიც კი წაართვა, მაგრამ შემდეგ, ეს ორი სამეფო, კახეთისა და ჰერეთისა (რანისა) გაერთიანდა ერთ ეკლესიის წიაღში.

შეჯამება

საქართველოს სახელმწიფოს დამცავი ციხე-სიმაგრეთა კედელი („ზღუდე“) ჩრდილო კავკასიაში

ჩრდილო კავკასიის ვრცელი ველები და მის იქეთ მდებარე უვრცელესი სტეპები სამხრეთ რუსეთისა, ისტორიულად, სარმატებისა და სკვითების ეპოქიდან, ვიდრე ხაზარებისა და ყივჩაღების ჩათვლით, მუდამ წარმოადგენდა სამომთაბარო სამყაროს,

მართალია, თავდაპირველად ჩრდილო კავკასია დასახლებული იყო მიწათმოქმედი („გეორგი“) ხალხით, მაგრამ შემდეგში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, ის მალე იქცა რეგიონად, სადაც მომთაბარეობდნენ მწყემსური ცხოვრებით მცხოვრები ტომები, რომელთათვისაც უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ემწყემსათ თავანთი ცხვარ-საქონელი, მოეპოვებინათ უკეთესი საძოვრები მათ გამოსაკვებად. შესაბამისად, ისინი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ხნავდნენ, არ თესავდნენ, მიწას არ ამუშავებდნენ, რადგანაც ერთ ადგილას არ ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ მუდმივი სოფლები და ქალაქები, შესაბამისად, არც საკუთარი მიწა-წყლის დამცველი ციხე-სიმაგრეები ესაჭიროებოდათ, თუმცა ეს მომთაბარეები თავზარს სცემდნენ სამიწათმოქმედო სამყაროს ერებს, მუდამ იჭრებოდნენ მათ მიწა-წყალზე და სასტიკად ანადგურებდნენ.

შესაბამისად, ჩრდილო კავკასიიაში მდებარე, საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე განლაგებული გრანდიოზული ციხე სიმაგრეები: ხუმარა, ზელენჯუკი, დარიალი, დვალეთის კედელი, აფხაზეთის დიდი კედელი, საინგილოს დიდი კედელი, ამჟამინდელ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მდებარე საბრძოლო კოშკების ზოლი და სხვა მრავალი ეკუთვნოდათ არა ამ მომთაბარე ხალხებს, არამედ მიწათმოქმედთ.

მიწათმოქმედი ცივილიზაციები თავიანთი სოფლებისა და ქალაქების, ეკლესიებისა და კულტურული ნაგებობების დასაცავად აგებდნენ გრანდიოზულ თუ პატარა ზომის ციხე-სიმაგრეებს სწორედ ამ მომთაბარეებისაგან თავის დასაცავად.

სტეპების ალანები ზემოთ ჩამოთვლილ მომთაბარეთა მსგავსად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის მე-14 ს. ცნობით, იყვნენ ნომადი ხალხი. მწყემსური-მომთაბარე ცხოვრებით მცხოვრებ ალანებს საკუთარი ქალაქები არ გააჩნდათ. შესაბამისად, ისინი არ აგებდნენ ქალაქებისა და სოფლების დასაცავ ციხე-გალავნებს, მათ მიწათმოქმედები აგებდენენ.

ევროპის თუ ჩინეთის მიწათმოქმედი ხალხები მომთაბარეთა ურდოების შესაჩერებლად გრანდიოზულ ქვის ციხე-სიმაგრეთა სისტემებს აგებდნენ, თუმცა კი უმეტესად უშედეგოდ. მომთაბარე ხალხების ძირითადი ბუდე იყო კასპიის ზღვის აღმოსავლეთით გადაჭიმული უვრცელესი რეგიონები ციმბირის, ალტაისა და მონღოლეთის ჩათვლით. როგორც წესი, მათი გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო გეზი ბიზანტია-დასავლეთ

ევროპისკენ, ისინი ჩრდილოეთის მხრიდან შემოუვლიდნენ ხოლმე კასპიის ზღვას და მიემართებოდნენ დასავლეთით, მათი გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი გზა გადიოდა ჩრდილო კავკასიაში. ჩრდილო კავკასიის ველები და იმის იქეთა სტეპები კი შესანიშნავი საძოვრები იყო მათი პირუტყვისათვის.

ევროპისა და ბიზანტიის მიმართულებით ლაშქრობისას მათ ხვდებოდა შავსა და კასპიის ზღვას შუა გადაჭიმული კავკასიის დიდი ქედი – ბუნებრივი კედელი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა მომთაბარე ხალხებს და მიწათმოქმედ ხალხებს.

როგორც ითქვა, მომთაბარეები კავკასიის ქედის ჩრდილოეთში გადაჭიმულ უზარმაზარ სტეპებში ცხოვრობდნენ, ხოლო ქედის სამხრეთით ცხოვრებდა დიდი მიწათმოქმედი ხალხები, მათ თავიანთი სახელმწიფოებიც ჰქონდათ. ესენი საქართველო-სომხეთთან ერთად იყვნენ ბიზანიელთა და სპარსელთა იმპერიები.

ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო ამაგრებდნენ კავკასიის ქედზე არსებული გზების გადმოსასვლელებს, უღელტეხილებსა და დაუცველ ადგილებს, ათასწლეულთა მანძილზე შენდებოდა გრანდიოზული ციხე-სიმაგრეები, მაგრამ მათი აგება საქართველოს გვერდის ავლით ვერ მოხდებოდა, რადგანაც საქართველოს სამეფო და მისი სამთავროები უშუალოდ ემიჯნებოდნენ კავკასიის ქედს.

ქართველი ხალხი ასევე ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში კავკასიის ქედის მწვერვალებისა და ჩრდილო ფერდობის არეალში. იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას ევალებოდა ქედის გადმოსასვლელების დაცვა, მოვლა და აგება გრანდიოზული ციხე-სიმაგრეებისა.

საბოლოოდ, სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილო საზღვარზე აშენდა გრანდიოზული ხაზი ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-კოშკებისა, ციხე-ქალაქების ჩათვლით, რომელნიც ერთობლიობაში ზღუდედ იწოდებოდა.

მათი საშუალებით მომთაბარეებს გზა ეკეტებოდათ სამხრეთის მიმართულებით, სტეპების მხრიდან მოსული მომთაბარეებისაგან თავდაცვითი ბრძოლით ქართველი მთიელი მოსახლეობა იცავდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებს. მათკენ, სამხრეთისაკენ, მიმავალ გზაზე მომთაბარეები უპირველესად საქართველოს აოხრებდნენ. ამიტომაც ქართველი ხალხი მუდამ აგებდა და ამაგრებდა თავდაცვის ზღუდეს კავკასიის მთებში. ცდილობდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის თავისი გავლენის სფეროში შეყვანას.

საქართველოს სახელმწიფოს თითქმის თემურ ლენგის შემოსევამდე უნარი გააჩნდა ეკონტროლებინა ჩრდილო კავკასიის პოლიტიკური სახე, მაგალითად, მატიანის ცნობით, ყივჩაღთა გადმოყვანის დროს ჩრდილო კავკასიაში პირადად ჩასულ მეფე დავით აღმაშენებელს იქაური ე.წ. „ოსი მეფეები" დახვდნენ დიდი მორჩილებით, „ვითარცა მონები". ჩრდილო კავკასიელები დღემდე თავიანთ თქმულებებსა და მოგონებებში ახსენებენ მეფე თამარს, ვითარცა იქაური ციხეებისა და ეკლესიების მშენებელს.

ჩრდილო კავკასიის მომთაბარეთა შესაკავებლად საქართველოს ქრისტიანული სამყარო თავისი სამიწათმოქმედო სოფლებსა და ქალაქების დასაცავად მუდმივად აგებდა გრანდიოზულ ციხე-ქალაქებსა და სიმაგრეებს. როგორც ითქვა, ესენია: დასავლეთ კავკასიაში – ხუმარას, სენტის, ზელენჩუკის და სხვა ციხე-ქალაქები და ნაქალაქარები; შუა კავკასიაში ნუზალის, ნარის, კასრისკარის, ქალაქ კარის, თლის ზღუდეები და სხვა ციხე-სიმაგრეები, აღმოსავლეთ კავკასიაში – დარიალის, სნოს, ქისტანის, მუცოს, თარგამის, ტყობა-ერდის, შატილისა და სხვა ციხე-სიმაგრეები; მათ შორისაა დღევანდელ ჩეჩნეთ-ინგუშეთში სიმაგრეთა ჯაჭვის სახით განლაგებული ჯვრიანი ციხე-კოშკები. ისინი საქართველოს დაცვის ზოლის ერთი ნაწილი იყო (ისინი ზოლის სახით არიან განლაგებულნი).

საქართველოს თავდაცვითი ზოლის ნაწილი იყო უფრო მოგვიანებით აგებული ე.წ „აფხაზეთის დიდი კედელი“. ის, უცხოელი დამკვირვებლის არქანჯელო ლამბერტის, ასევე ვახუშტის ცნობით, სამეგრელოს დასაცავად აიგო ლევან მეორე დადიანის დროს. მას მთავართან ერთად დრანდელი, მოქველი და ბედიელი ეპისკოპოსები აშენებდნენ რათა ქრისტიანული მრევლი დაეცვათ ადიღე-ჩერქეზებისაგან (აფსუებისაგან) თავდასხმებისაგან.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც მომთაბარე ხალხებმა მე-15 – მე-16 საუკუნეებში შეძლეს მთელი ჩრდილოკავკასიის დაპყრობა და შესაბამისად მათ ხელში აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიის აღნიშნული ციხეები (ხუმარა, სენტი, ზელენჩუკისა და სხვა ციხე-ქალაქები და ნაქალაქარები), ამ უკანასკნელებმა ფუნქცია დაკარგეს. ისინი დაცარიელდნენ, ახლა უკვე საჭირო გახდა ჩრდილოკავკასიელთა შეჩერება თვით საქართველოს ტერიტორიაზე. მაშასადამე, ახლა უკვე საქართველოში უნდა აგებულიყო ახალი ციხე-სიმაგრეთა სისტემა ჩრდილოკავკასიელთა შესაჩერებლად. მართლაც, მე-17 საუკუნეში აიგო გრანდიოზული ე.წ. აფხაზეთის დიდი კედელი, რომელიც აიგო სამეგრელოს სამთავროს დასაცავად მას შემდეგ, რაც მომთაბარეებმა გადმოლახეს ხუმარა-სენტ-ზელენჯუკის ციხე-სიმაგრეთა თავდაცვითი სისტემა.

ამის გამო აიგო ხუმარ-სენტ-ზელენჯუკის ციხე-სიმაგრეთა თავდაცვითი ხაზის პარალელური ციხე-სიმაგრეთა კედელი, გადაჭიმული 100 კილომეტრზე კელასურიდან ენგურამდე.

ციხე-სიმაგრეთა ამ სისტემას ამჟამად „აფხაზეთის დიდი კედელი“ ეწოდება.

ასევე გრანდიოზულია „საინგილოს დიდი კედელი“.

მას ადრე „კავკასიის დიდ კედელს“ უწოდებდნენ. ის, ამავე მიზეზით, ჩრდილოკავკასიელ თავდამსხმელთაგან (ლეკებისაგან) დასაცავად, აიგო.

XVI-XVII საუკუნეების გრანდიოზული ციხე-კედელი, „კავკასიის დიდი კედელი“, საინგილოს დიდი გალავანი, იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე). წყაროს ცნობით, ის **„აუგიათ მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით (XVI–XVII სს.), აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები“** („Тифлисские ведомости“, т. 82, 1830). მა-

გრამ ლეკებმა გადმოლაზეს ეს კედელი და ჩასახლდნენ თანამედროვე საინგილოში. კახეთის ამ რეგიონში მოსახლეობის ეთნოსახე შეიცვალა.

„კავკასიის დიდი კედელი“ (საინგილოს დიდი გალავანი იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე.). აუგიათ მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით (XVI–XVII სს.), აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები („Тифлисские ведомости“, т.82, 1830).

ამჟამად გამოითქმება სხვა მოსაზრებები, მაგრამ თითქმის ორი საუკუნის წინ, „ტიფლისკიე ვედემოსტი“ ნათლად წერდა, რომ ეს კედელი აიგო ქრისტიანული კახეთის დასაცავად ჩრდილოკავკასიელ მოლაშქრეთაგან, რომელთაც ზოგადად „ლეკებს“ უწოდებდნენ. ლეკიანობა უდიდესი საშიშროება იყო და მათ შესაკავებლად საჭირო გახდა გრანდიოზული კედლის აშენება. მისი ბოლო ამჟამინდელ აზერბაიჯანის ქალაქ შექამდე აღწევდა, რადგანაც ლეკების ჩამოსახლებამდე აქ გადიოდა კახეთის საზღვარი. აქვეა სასაზღვრო ქედი „გიურჯი დაღი“ (ქართველთა მთა), ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს. იქაური მოსახლეობის ცნობით, აქ, „გიურჯი დაღის ქედის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი“, იქ აგებული იყო თავდაცვითი ზღუდე. ჩანს, ეს საზღვარი დაიდო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობისას საზღვარი გადიოდა გაცილებით სამხრეთით, მდ. თეთრწყალზე (აღ სუ), რომელიც უერთდება მდინარე მტკვარს მარცხენა მხრიდან, იმ ადგილას, სადაც მას მარჯვენა მხრიდან არაქსი უერთდება. აქ გადიოდა ჰერეთისა და, შესაბამისად, საქართველოს საზღვარი. აქაურ გამაგრებულ ზღუდეს მონღოლები უწოდებდნენ „სიბას”. მონღოლები საქართველოს მეფეებს აკისრებდნენ ვალდებულებას, სიბა დაეცვათ და აქ ედარაჯათ ჩრდილოეთის ულუსისაგან ქვეყნის დაცვის მიზნით.

მაგალითად, 1263 წელს ოქროს ურდოს შემოსევათა შესაკავებლად სამხრეთის ურდოს მმართველმა ჰულაგუმ შირვანში სიბა ააგო. ქართველთა მეფე ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ლაშქრით სიბაზე იყო. მას საქართველოს საზღვრის მონაკვეთის დაცვა ევალებოდა მდ. თეთრწყალზე (მემატიანის ცნობით, მეფე ულუ დავითი სიბაზე ტიფით დასნეულდა. რადგან მისი განკურნება ვერ შეძლეს, საკაცით წამოიყვანეს).

საქართველოს დასაცავად აგებული ციხე-სიმაგრეთა სისტემები აფხაზეთიდან საინგილოს ჩათვლით მართლაც რომ გრანდიოზულია. ამას ემატება კავკასიის უღელტეხილების დასაცავი კედლები (დარიალი, ღუდე – გალავანი ქურთათის ხეობაში //ჩრდილო ოსეთი//, რომლითაც მიდიოდა გზა მამისონის უღელტეხილზე, ამჟამინდელ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში მდებარე საბრძოლო კოშკების ჟაჭვი და სხვ). საუკუნეთა მანძილზე, განსაკუთრებით, თემურის შემდეგ, ისინი საქართველოს სასაზღვრო პოსტები იყვნენ.

ამჟამად არის მცდელობა, როგორმე თავდაცვის ამ სისტემების აგება მიაწერონ სხვადასხვა ხალხებსა და მათ წინამძღოლებს ალექსანდრე მაკედონელიდან ვიდრე ხაზარებამდე, მაგრამ მიკერძოებული მკვლევარებიც კი ადასტურებენ, რომ, მაგალითად, აფხაზეთის დიდი კედელი აგებულია გვიან ეპო-

ქაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგ, რადგანც კოშკები შესაბამისადაა ნაგები.

საზოგადოდ, ათასწლეულთა მანძილზე, რომის იმპერიასა, სპარსეთსა თუ ბიზანტიაში მუდამ დაინტერესებულნი იყვნენ, რათა ჩრდილო კავკასიასა და მის იქით სტეპებში მცხოვრებ მომთაბარეთა ტომებს არ გადმოელახათ კავკასიის ქედი, რათა ისინი მცირე აზიის გზით არ შეჭრილიყვნენ მათ ქვეყნებში, ამის გამო ისინი ცდილობდნენ ან თვითონ უშუალოდ დაეცვათ კავკასიის ქედი, ანდა იბერიის (საქართველოს) სახელმწიფოს დახმარებოდნენ ამ საქმეში, რათა მათ ეკონტროლებინათ კავკასიის გადმოსასვლელები.

როგორც ითქვა, ახლი საძოვრების ძიებაში კალიასავით წამოსულ მომთაბარეთა დამანგრეველი შემოსევის შესაჩერებლად ჩინელებმა 2000 კილომეტრიანი კედელი ააგეს, ასეთი ფუნქციის მინიჭება სურდა ბერძნულ-რომაულ და სპარსულ ცივილიზაციებს კავკასიის უზარმაზარი ქედისათვის, რომელიც ბუნებრივად მიჯნავდა სამომთაბარო და სამიწათმოქმედო სამყაროებს. სპარსელებს ამისათვის აუგიათ დარიალისა და დერბენდის ციხე-სიმაგრეები, ცხადია, ქართველ მეფეთა მხარდაჭერით, ხოლო რომაელები იბერიის მეფეებს უხვ საჩუქრებს უგზავნიდნენ, რათა მათ კავკასიის ქედი გაემაგრებინათ და მომთაბარეები სამხრეთის მიმართულებით არ გამოეშვათ.

ამ მიზნით, მაგალითად, როგორც არმაზის წარწერა აჩვენებს, რომის იმპერიამ, მის მეგობარ იბერიის ხალხს, ციხე-სიმაგრე გაუმაგრა მცხეთაში. ქართველი მეფეები, და შესაძლოა, ბიზანტიელებიც ამაგრებდენენ შავ ზღვასთან კელასურის კედელს, რადგანაც ქართული წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და „ქართლის ცხოვრება") ცნობებით, კლისურა, ანუ კელასური მეფე ვახტანგ გორგასლის დროიდან წარმოადგენდა ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის საზღვარს მე-5 – მე-8 საუკუნებში. აფხაზეთის დიდი კედლისათვის კელასური მხოლოდ ერთი მცირე მონაკვეთია, რომელიც, ჩანს, გამოიყენა ლევან დადიანმა 100 კილომეტრიანი გაცილებით გრანდიოზული ზღუდის ე.წ. აფხაზეთის დიდი კედლის აგებისას.

კავკასიის უღელტეხილებს სრულად აკონტროლებდნენ ქართველი მეფეები თავიანთი ციხე-სიმაგრეებით, მას ხსნიდნენ თავიანთი შეხედულების შესაბამისად, უღელტეხილების ამ ციხე-სიმაგრეებს ეწოდებოდა „კარნი კავკასიათანი".

სხვადასხვა ცნობებით, მაშინ, როცა კავკასიის ჩრდილო ფერდობი ჯერ კიდევ დასახლებული იყო ქართველური ხალხებით, საჭიროების შემთხვევაში, ამ ჩრდილოკავკასიელ ტომებს საქართველო უხსნიდა კარს მცირე აზიაში სალაშქროდ. მაგალითად, პირველ საუკუნეში იბერიელი მეფეები და უფლისწულები არმენიიის ტახტზე ჩრდილო კავკასიელთა დახმარებით ადიოდნენ.

როგორც ითქვა, ქართველი მეფეები ჩრდილოელი მომთაბარეებისაგან იცავდნენ სამიწათმოქმედო სამხრეთს, მაგრამ ზოგჯერ ჩრდილო კავკასიელ ტომებს გზას უხსნიდნენ, მაგალითად, სპარსეთში სალაშქროდ. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, მე-3 საუკუნეში მეფე მირიანის წინამორბედს ქართლის

სამეფო ტახტზე მეფე ასფაგურს ჩრდილო-კავკასიური ტომებისათვის უღელ-ტეხილები გაუხსნია სპარსეთში სალაშქროდ.

„ასფაგურ განუხვნის კარნი კავკასიათანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკ-ნი და ხაზარნი ბრძოლად სპარსთა“ (ქ.ც. 1, 1955. გვ. 59), მაგრამ ძირითადად პირიქით იყო. მაგალითად, მეფე მირიანი მე-4 საუკუნეში მტკიცედ იცავდა ამ ჩრდილო კავკასიის უღელტეხილებს. მატიანის ცნობით, ის მუდამ ამაგრებდა და ამტკიცებდა მათ. წყაროს ცნობით, ქართლის სამეფო მის დროს შეუკავში-რდა სპარსეთის სახელმწიფოს „და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუ-ბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს … და მუნით იყეს განსვლად სპარსთა ზედა“ (იქვე, გვ. 66).

ასევე ჩრდილო კავკასიაში იღვწოდა სხვა მრავალი ქართველი მეფე.

უფრო გვიან მონღოლებმა დაამარცხეს ჩრდილო კავკასიაში საქართვე-ლოს მოკავშირეები, ხოლო თემურ-ლენგმა შეცვალა ამ რეგიონის ეთნოსახე, იქ ახალი ხალხები (ძირითადად ადიღეველები) ჩასახლდნენ. საჭირო გახდა კავკასიის მთებში ციხე-ზღუდეთა მშენებლობა, რომელიც შედგებოდა ციხე-ქალაქების, კოშკებისა და გალავან-კედლებისაგან, ძირითადად, ხეობების შესაბამისს ადგილებში. ახალი ტომები ახალი სარწმუნოებით მიიწევდნენ კავკასიის მთებისკენ, მათი მოძრაობის მიმართულებათა შესაბამისად. მათ შესაჩერებლად შეაკეთეს ანდა ხელახლა ააგეს, მაგალითად, საქართველოს საზღვართან მდებარე ხუმარას და სხვა გრანდიოზული ციხე-სიმაგრეები. ახლა ამ ციხე-სიმაგრეებს ალანებს მიაკუთვნებენ, მაგრამ ალანები, კონსტან-ტინოპოლის საპატრიარქოს წმ სინოდის ცნობით, მომთაბარე ხალხი იყო. რო-გორც ითქვა, მომთაბარეები კი არ აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, არამედ პირი-ქით, მათ აგებდნენ მომთაბარეთა შესაჩერებლად.

საფიქრებელია, რომ ამავე ადგილებზე, საქართველოსაკენ მიმართულ გზებზე, უღელტეხილებთან და სტრატეგიულ ადგილებზე უფრო ადრეც უნდა მდგარიყო სიმაგრეები ხაზარების, ალანების ან სკვით-სარმატების შესაჩერებლ-ად. ჩრდილო კავკასიის გზა დარუბანდთან კონტროლდებოდა იბერთა მიერ.

ქართლის ცხოვრებაში მრავალი ქრონიკაა იმის აღნიშვნით, რომ ქარ-თველი მეფეები ქრისტეშობამდე და შემდეგაც აგებდნენ, ამაგრებდნენ და აკო-ნტროლებდნენ კასპიის ზღვისპირა ვიწრო გასასვლელს დარუბანდის ციხე – ქალაქთან. ამასვე აღნიშნავენ ლათინური წყაროებიც. მაგალითად:

ტაციტუსი VI წიგნის 33-ე თავში მოგვითხრობს, რომ იბერთა მეფე ფარ-სმანი მითრიდატე პონტოელის თხოვნით დიდი ლაშქრით შეიჭრა სომხეთში და ხელთ იგდო ქალაქი არტაქსატა (არტაშატი).

სომხეთში ლაშქრობის დროს ფარსმან მეფემ ალბანელებისა და ჩრდი-ლოკავკასიელი სარმატების ჯარებიც დაიხმარა.

ტაციტუსი აღნიშნავს, რომ მან „მოუწოდა სარმატებს“. ამავე დროს კი აღწერილია, რომ იბერები ფლობდნენ ჩრდილო კავკასიიდან „კასპიის“ გადმო-სასვლელებს დარუბანდთან, რომელნიც კასპიის ზღვის პირზე მდებარეობდ-ნენ. მაგალითად, სარმატებს (სხვა ჯგუფს) პართელებმაც მოუხმეს გასამრჯე-ლოს სანაცვლოდ, მაგრამ იბერებმა ისინი არ გამოატარეს „კასპიის გზით“.

იბერები პართელების მიერ დაქირავებულთ არ უშვებდენ, რადგან მათთვის ჩაკეტეს კასპიის ზღვისპირა გადმოსასვლელები; ერთადერთი გამოსავალი ალბანთა მთასა და ზღვას შორის კი ზაფხულობით გაუვალი იყო, რადგან მას ზღვა ფარავდა ხოლმეო. ის წერს: „ფარსმანმა შეიერთა ალბანები და მოუწოდა სარმატებს, ამ ადგილების მფლობელმა იბერებმა კასპიის გზით სასწრაფოდ გაატარეს არმენიელების წინააღმდეგ მიმართული სარმატები, მაგრამ ადვილად გააჩერეს ისინი, ვინც პართებთან მიდიოდნენ. სხვა გასასვლელები მტერმა ჩაკეტა, ხოლო ერთადერთი დარჩენილი (გასასვლელი) ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის ზაფხულში გამავალია, ვინაიდან პასატის ქარები წყლით ფარავენ (მეჩეჩოვან) ნაპირს, ხოლო ზამთარში სამხრეთის ქარი უკან ერეკება ტალღებს და როცა წყალი დაიწევს, სანაპიროს ვიწრო გასასვლელი შიშვლდება“.

http://dspace.gela.org.ge/bitstream/

აქედან ჩანს, რომ „გასასვლელი ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის" დარუბანდის გასასვლელს უნდა გულისხმობდეს. პლინიუს უფროსი სწორედ ამას უწოდებს კასპიის კარს (VI, 40). მას ქართველები ფლობდნენ და სიმაგრის სახით იყენებდნენ, ამ ლათინური წყაროს თანახმად.

როგორც ითქვა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დამცავი, აფხაზეთის დიდი კედელი, არქანჯელო ლამბერტის, ვახუშტისა და სხვათა სიტყვით, გადაჭიმული იყო 60 000 ნაბიჯის სიგრძეზე (100 კილომეტრი) კელასურიდან ენგურამდე ზღვის სანაპიროს პარალელურად მთებში. დაახლოებით ასეთივე თითქმის 100 კილომეტრი სიგრძისა იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს დამცავი მეორე კედელი საინგილოში – აღმოსავლეთ კახეთში საბუე – გავაზიდან თითქმის შექამდე. ისინი ხუმარას, სენტისა და სხვა მახლობელი ციხე-სიმაგრეებთან ერთად ქმნიდა ერთიან ჯაჭვს – კედელს საქართველოს სახელმწიფოს დასაცავად.

სამწუხაროდ, პირველი ზოლო ციხე-სიმაგრეებისა დაძლეული იქნა. მტერმა მათი გარღვევა შეძლო. ამის გამო უფრო სამხრეთით იგებოდა სხვა ციხე-გალავნები.

საუკუნეთა ცვალებადობის შესაბამისად საქართველოს საზღვრის სამხრეთით გადმოწევის გამო აიგო თავდაცვის სხვა სისტემები ამჟამინდელ ჩრდილო ოსეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში – საქართველოს საზღვრის დასცავად.

იმჟამად ქრისტიან ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრებმა დაიწყეს ციხე-კოშკების აგება ჩრდილოეთიდან მოსულთა (სტეპების მკვიდრთა) შესაჩერებლად. ამ კოშკების პატრონების ქრისტიანობას მიუთითებს ამავე კოშკებზე არსებული უზარმაზარი ჯვრები, ხოლო მათ ქართულ საეკლესიო ორიენტაციას ის, რომ კოშკებზე გამოქანდაკებული ჯვრები არის ე.წ. გოლგოთიანი ჯვრები.

მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა – გოლგოთა – მდებარეობდა იერუსალიმის აღდგომის ტაძარში. ის შუა საუკუნეებში ქართველთა ხელში იყო. მის დასახსნელად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერისთავმა პიპამ იერუსალიმში საგანგებოდ იღვაწა და გოლგოთა ქართველობას დაუბრუნა. ამიტომაც გოლგოთიანი ჯვრები სიმბოლოდ იქცა ქართველი მთიელების ვაჟკ-

აცობისა და ღირსების, მათი კარგი ქრისტიანობის, რომლის დასაცავადაც იბრძოდნენ ამ კოშკებით.

საქართველოს შიგნითაც შენდებოდა უამრავი ციხე-სიმაგრე ხევების, საერისთავოების. სამთავროების, სოფლებისა და ქალაქების დასაცავად. ასეთი სიმაგრეების რიცხვი უთვალავია. საქმე ის იყო, რომ, მაგალითად, ყოველი სოფლის მცხოვრებს თავის ბუნებრივ მოვალეობად მიაჩნდა წელიწადში ერთი თვე (ზაფხულში) დაეთმო ქვითკირის ციხე-ნაგებობათა მშენებლობისათვის. თავდაცვითი სისტემების მშენებლობას საერთო – სახალხო და საყოველთაო სახე ჰქონდა და ამავე დროს ვალდებულებას წარმოადგენდა.

ზაფხულის ერთი სავალდებულო თვის მანძილზე ყველა ვალდებულად თვლიდა საკუთარ თავს ეშენებინა ახალი ანდა აღედგინა ძველი ციხე-სიმაგრე. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ყმაწვილები და ბავშვებიც, რადგანაც, როგორც აღინიშნა, სახალხო – საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭებოდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას.

(მაგალითად, ყმაწვილების მოტივირებისათვის არსებობდა გადმოცემა-თქმულება, რომ თითქოსდა ზაფხულში მოფრენილი ფრინველი,მწყერი, თავისი ხმიანობის დროს გამოსცემდა ხმა-მოწოდებას – „ქვით - კირ, ქვით – კირ.“ ის ამ ხმით თითქოსდა მოუწოდებდა ყველას, ქვისა და კირის სამუშაოები დაეწყოზტთ და ემუშავათ).

ერთი სიტყვით, ციხე-სიმაგრეთა მშენებლობა მიწაზე დამაგრებული, მიწათმოქმედი ქართველი ხალხის ბუნებითი მოთხოვნილებაც კი იყო თავის დასაცავად მეზობელი მომთაბარეებისაგან (რომელნიც დაუცველი ხალხისათვის უდიდეს რისხვას წარმოადგენდნენ, თუნდაც ბოლო საუკუნეთა ლეკიანობა და ადიღე-ჩერქეზების შემოსევები). მათგან თავდაცვის მიზნით ქრისტიანულ და მიწათმოქმედთა ქვეყანას, საქართველოს, შემოარტყეს თავდაცვით ნაგებობათა რთული სისტემა, რომელიც ციხე-სიმაგრეთა, ციხე-გალავანთა და საბრძოლო კოშკების ერთიან ხაზს ქმნიდა ბუნებრივ ქედებთან და მთებთან ერთად.

„ტყვეთა სყიდვა“

უდიდესი უბედურება საქართველოსათვის მე-17 – მე-18 საუკუნეებში იყო მისი მოსახლეობის, უმეტესად გლეხების, დატყვევება თვით მათ საკუთარ სოფელ-ქალაქებში და მათი მონებად გაყიდვა უცხოეთში.

ქართველებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე ძირითადად ატყვევებდნენ ჩრდილო კავკასიელები, რომელნიც საქართველოს ტყეებსა და დაუცველ ადგილებში მასობრივად დაძრწოდნენ ჯგუფების სახით.

ამ საუკუნეთა მკვლევარი ისტორიკოსი ვალერიან მაჭარაძე წერს, რომ აღმოსავლეთ საქართელოში არ დარჩენილა სოფელი ამჟამინდელი ბორჯომის რაიონის სადგერიდან ვიდრე კახეთის ბოლოს მდებარე გავაზამდე, საიდანაც

ლეკებს თუ ჩეჩნებს არ წაეყვანოთ მათ მიერ მოტაცებულ დატყვევებული ქართველები. ისინი მათ მონებად ყიდდნენ ჩრდილო კავკასიაში. ვალერიან მაჭარაძის ეს ცნობა ეფუძნება მის მიერ გამოკვლეულ წერილობით წყაროებს, ასევე რუსეთის საარქივო მასალებს (ვ.მაჭარაძე, მასალები მე-18 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი მე-3, ნაკვეთი მე-2, 1997, გვ. 95).

ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ჩრდილო-კავკასიელი ადიღეველები (ჩერქეზ-აფსუები) ბრძოლებით ანადგურებდნენ მთელ ქრისტიანულ რეგიონებს და დამარცხებულ მოსახლეობას ატყვევებდნენ, ყიდდნენ ანდა იმონებდნენ. ადიღე-ჩერქეზები კიდევ უფრო მეტ ადამიანებს საკუთარ სოფლებშივე, ძირითადად, სამეგრელოში და გურიაში, იტაცებდნენ და მონებად ყიდდნენ ჩრდილო კავკასიაში.

თუ აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის მოტაცებასა და მათ დამონებას სახელად ერქვა ლეკიანობა, დასავლეთ საქართველოში ეს სახელი, ალბათ, აფხაზობას უკავშირდება. იმჟამად, აფხაზებად სახელდებული ჩერქეზები, იგივე აბაზები, აფსუები და სხვანი არა თუ ქურდულად ატყვევებდნენ ადამიანებს, არამედ იპყრობდნენ მთელ მხარეებს, ისტორიულ აფხაზეთსა და სამეგრელოში ხოცავდნენ ანდა ატყვევებდნენ მკვიდრ მოსახლეობას.

აღმოსავლეთ საქართველოში ლეკ-ჩეჩნები შედარებით დაფარულად მოქმედებდნენ მრავალ ასეულ ჯგუფებად დაყოფილნი, ხოლო დასავლეთ საქართველოში ადიღე-ჩერქეზები ღიად, ერთიანი ფრონტით ებრძოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ვითარება შეიცვალა იმის შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასია რუსეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა, მათ ჩრდილოკავკასიელ მუსულმანურ ტომებს აუკრძალეს ქრისტიანების დამონება. ამასთანავე, საფუძველი დაუდეს სხვა მნიშვნელოვან რეფორმას, კერძოდ, ამ რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანი მონების ნაწილს უფლება მიეცა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. ამის გამო მე-18 საუკუნეში მრავალი ქართველი ტყვე-მონა ჩრდილოვაკასიიდან დაბრუნდა საქართველოში.

ვ.მაჭარაძე წერს: „როგორც ჩანს, სადგერიდან (ქართლის დასაწყისიდან) გავაზამდე (კახეთის ბოლომდე) არ იყო სოფელი, სადაც ყოფილი ტყვე არ დაბრუნებულიყოს მე-18 ს-ის 60–70-იან წლებში. რაც შეეხება მათ სოციალურ შემადგენლობას, მათგან აბსოლუტური უმრავლესობა გლეხები იყვნენ, თუმცა გვხვდება თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც“ (ვ. მაჭარაძე, მასალები მე-18 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი მე-3,ნაკვეთი მე-2, 1997, გვ.95).

ქართველი ტყვეები, იგივე მონები ჩრდილო კავკასიაში იყო ათეულათასი. ვ. მაჭარაძე წერს: „რუსეთის არქივებში ათასობით დოკუმენტია დაცული, რომლებიც ქართველ ტყვეებს ეხება“ (იქვე, გვ. 96). ამ დოკუმენტებს რუსეთში ადგენდნენ ტყვეობა-მონობიდან გაქცეული და რუსეთის ხელისუფლებას ჩაბარებული ქართველების აღსარიცხავად. მაშასადამე, ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ხელისუფლებას ბარდებოდა ის ტყვე-მონა ქართველი, რომელიც ახე თავისი მუსულმანი პატრონისაგან გაქცევას, თავის დაღწევას,

მაგალითად, ისევე, როგორც გაიქცა ტყვეობიდან დავით გურამიშვილი, ოღონდ ის ახლა უკვე ბარდებოდა რუსეთის ხელისუფლებას, რომელთაგან ნაწილს რუსეთის ხელისუფლება უკან, სამშობლოში, ამგზავრებდა.

პატრონები მონებს საგანგებოდ უქმნიდნენ უმძიმეს პირობებს, რათა არ გაქცეულიყვნენ. ამის მიუხედავად, პატრონისგან გაქცევას მონათა მცირე რიცხვი მაინც ახერხებდა.

რუსეთის არქივებში მონობიდან გაქცეულების შესახებ დოკუმენტი მრავალ ათასობითაა. ცხადია, მონობაში დარჩენილი პირი გაცილებით მეტი იყო. მათი რიცხვი ათეულ და ასეულ ათასი იქნებოდა. აქედანაც ჩანს, თუ რა საშიში იყო ლეკიანობა საქართველოსათვის.

ლეკიანობის მოუგვარებელი ჭირით შეშფოთებული ერეკლე ირანის მმართველს წერდა: „ლეკები და ახალციხის ფაშა ქვეყანას ანგრევენ“ (იქვე, გვ. 97).

არა მხოლოდ ჩრდილო კავკასია, ოსმალეთი, ეგვიპტე და სპარსეთი სავსე იყო ქართველი მონებით.

ჩრდილო კავკასიაში მონობიდან იშვიათად თავდახსნილი ქართველები თავს აფარებდნენ რუსეთს (მის საზღვრებში იმჟამად ჩრდილოკავკასიის მთიანეთი არ შედიოდა), ამ ყოფილ მონებს რუსეთის მთავრობა აღრიცხავდა და აბრუნებდა საქართველოში ანდა ასახლებდა ახალდაარსებულ ჩრდილო კავკასიის რუსულ პუნქტებში. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ყოფილი ტყვე-მონები თავს უფრო დაცულად გრძნობდნენ რუსულ ახალშენებში. ამიტომაც თავსაც კი არიდებდნენ საქართველოსაკენ მიმავალ სახიფათო გზას, მათ ერჩიათ დარჩენა ჩრდილო კავკასიის რუსულ ახლაშენებში.

ქართველი ტყვე-მონების სიჭარბემ და მათმა დიდმა გასაჭირმა თვით რუსეთის იმპერატორიც კი შეაშფოთა. ამიტომაც მან 1758 წლის 9 დეკემბერს ბრძანება გაუგზავნა რუსეთის განაპირა მხარეების გუბერნატორებს, რათა მათ ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი „თათართა“ ტყვეობიდან გამოქცეული ქართველებისათვის „ტყვეობაში გადატანილი გაჭირვების“ გამო (იქვე, გვ. 96).

ვ. მაჭარაძე წერს, რომ რუსეთში ქართველი ყოფილი ტყვეების სიჭარბე გამოიწვია იმან, რომ „ქართველი ტყვეები დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდოდან და ყირიმიდან რუსეთში გარბოდნენ“ (იქვე, გვ. 97).

ნ. ბერძენიშვილის კვლევით, რუსეთის მთავრობა ტყვეობიდან თავდახნილ ქართველებისაგან ავსებდა ჩრდილო კავკასიის ახალ სოფლებსა და დაბებს. „ქართველი ტყვეები ყირიმიდან, ყაბარდოდან, საჩაჩნო-დაღესტნიდან იქ სხდებიან და სამშობლოში კი აღარ მოდიანო“... როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა „ყიზლარისა და მოზდოკის საქმემ“ და მოზდოკში მოსახლე ქართველთა გრძელმა სიამ“ (იქვე, გვ.98).

თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოში მრავალ ყოფილ ტყვე ქართველს აბრუნებდა, მაგ. 1772 წელს დაბრუნებიათ ყირიმში გათავისუფლებელი ორასი ქართველი (იქვე, გვ. 96), გათავისუფლებულთა სიჭარბის გამო, მაგალითად, წმიდა გიორგის ხალხურ სადიდებელში ეწოდება 6000 ტყვის დამხსნელი, საქართველოშიც მრავალი ბრუნდებოდა.

ყიზლარი და მოზდოკი ქართველთა სიჭარბის გამო ქართველთა კოლონიებად იქცა.

ჩრდილო კავკასიაში რამდენიმე ცნობილი მონათა ბაზარი არსებობდა, სადაც, როგორც წესი, ძირითადად ქართველი მონებით ვაჭრობდნენ.

მონებად გასაყიდად გამზადებულ ტყვეებს ჩრდილო კავკასიის ბაზრების გარდა ყიდდნენ ანაპაში, სოხუმსა, ბათუმსა და ფოთში, საიდანაც თურქ მოვაჭრეებს ისინი გადაყავდათ სტამბოლში, იქედან ეგვიპტესა და ლევანტიში (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში).

1861 წლის 30 მარტს ბარიატინსკის წერილობით მოახსენეს, რომ ჩრდილო კავკასიაში არსებობდა მონათა კლასი. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მონათა ამ კლასს ქმნიდა ის დატყვევებული ქრისტიანები, რომელნიც თავიანთი სოფლებიდან მოტაცებულნი არიან მუსულმან მთიელთა მტაცებლური ლაშქრობა-თავდასხმების დროს. ეს მონები ძალზე მძიმე, არაადამიანურ მდგომარეობაში არიან. მონა კაცები და ქალები ითვლებოდნენ მეპატრონის ისეთივე საკუთრებად, როგორც მათი პირუტყვი, რომელთაც ექცევიან ისე, როგორც სურთ, ნათქვამია ამ მოხსენებით წერილში.

ჩრდილო კავკასიაში ასწლეულებით მონათვაჭრობამ ხელი შეუწყო მონათვაჭართა კლასის ჩამოყალიბებას.

ამ საკითხის რუსი მკვლევარი წერს: „ამ სახის ვაჭრობას ძირითადად ეწეოდნენ სომხები, რომელთაც ეს საქმიანობა არ მიუტოებიათ კავკასიაში რუსების გამოჩენის შემდეგაც. ისინი სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით, ეხმარებოდნენ მთიელებს, რათა მოეტაცებინათ ადამიანები რუსების გავლენის საზღვრის შიგნით, ამისათვის იღებდნენ საზღაურს მთიელებისაგან, შემდეგ ისინივე ეხმარებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას რათა მათ მთიელებისაგან გამოესყიდათ დატყვევებული, მათგანაც იღებდნენ საზღაურს“: http-://www.kavkaz–uzel.ru /articles/251454/, მონათვაჭრობა კავკასიაში გაგრძელდა მე-19 ს-ის 60-იან წლებამდე.

ჩრდილოკავკასიაში ძალზე დიდი მონათა ბაზარი იყო სოფელი ენდირეი, სადაც უმთავრესად საქართველოდან გატაცებული, ე.ი. ქრისტიანი ტყვეები იყიდებოდნენ. ჩრდილო კავკასიაში არა თუ შემლებულ პირებს, ღარიბებსაც კი ქართველი ტყვეები ყავდათ მონებად.

ახლო აღმოსავლეთის მონათა ბაზართა შორის ერთ-ერთი უმსხვილესი აული ენდირეი მდებარეობდა ამჟამინდელი დაღესტნის ხასავიურტის რაიონში. ენდირეიში მონათვაჭრები ქრისტიან ტყვეებს ყიდულობდნენ მუსულმან მთიელებისაგან, ტყვეებს უფრო მეტად ცვლიდნენ დენთზე, პურსა ან მარილზე.

ენდირეიდან შებორკილი ტყვეები დიდ ჯგუფებად გადაყავდათ ანაპამდე, „ფარული გზებით ჩეჩნების, ინგუშებისა და ჩერქეზების მიწის გავლით, რუსული სადარაჯოების გვერდის ავლით“.

დაღესტნის კუმიკური აული ენდირეი მონათვაჭრობამ გაამდიდრა. იქ გაჩნდა მრავალი უბანი და კვარტალი.

კვარტალთა შორის იყო ტიუმენი და ტიუმენ-ჩაგარი. ნ. სემიონოვის ცნობით, ტიუმენელები ენდირეიში გადმოსახლდნენ მდ. აკტაშის სათავეებიდან, ადგილიდან, რომელსაც ეწოდება ჩუმლი, ტიუმენელთა ჯგუფები ასევე გაფანტულად ცხოვრობდნენ კუმიკეთის ვაკეზე.

ენდირეი 1818 წელს აიღო გენერალმა ერმოლოვმა, ააგო იქ რუსული ციხე-სიმაგრე და სათავე დაუდო მონათვაჭრობის აკრძალვას.

რუსულმა მთავრობამ ერთბაშად ვერ შეძლო მონათვაჭრობის გაუქმება, მაგრამ მიიღო რამდენიმე კანონი, რომლებითაც ცდილობდა მონა-ქრისტიანების მძიმე ყოფის შემსუბუქებას. კერძოდ, ქრისტიანი მონები ძველებურადვე დატოვა ჩეჩნების, ლეკების და სხვა მთიელების საკუთრებაში, მაგრამ მათ ახლა ევალებოდათ მოევლოთ და ადამიანურად მოპყრობოდნენ მათ. მონებს მიენიჭათ მნიშვნელოვანი უფლება გამოესყიდათ თავიანთი თავი თავისი შრომით.

რუსებმა ენდირეისა და ყიზლარში მცხოვრებ მუსულმანებს ქრისტიანი მონები არ ჩამოართვეს. უფრო მეტიც, მათ უფლება მიეცათ, შეეძინათ ახალი ტყვე-მონები, მაგრამ ახლა ენდირეის და მახლობელი ყიზლარის მცხოვრებნი ტყვის ყიდვის შემდეგ ვალდებულნი იყვნენ ქალაქის პოლიციაში ჩაეწერათ თავისი და ტყვის სახელი, და უნდა ეჩვენებინა გამოსასყიდი თანხა. ამ თანხიდან ყოველწლიურად გამოუქვითავდნენ 24 მანეთს ტყვის მუშაობის საზღაურად, ამასთან მყიდველი ვალდებული იყო ეკვება და ჩაეცვა ტყვე, ანუ ტყვის შრომა ერთ წელიწადში 24 მანეთად იყო შეფასებული.

ტყვე მის სამსახურში რჩებოდა იქამდე, სანამ მისი შრომით არ ანაზღაურდებოდა მასში გადახდილ თანხას. თუ, მაგალითად, მასში გადახდილი იყო 240 მანეთი, მას უნდა ემუშავა 10 წელი, რომ გათავისუფლებულიყო.

ამ ტყვეთა შორის, ავტორის სიტყვით, ყველაზე მეტნი იყვნენ „ქართველები და მეგრელები“, რადგანაც ჩვეულებრივი თანხა ტყვისა იყო 150–200 მანეთი (ვერცხლისა), ტყვე თავისი შრომით თავს გამოისყიდდა 6–8 წელში.

ამ ვაჭრობამ ძალზე გაამდიდრა ენდირეის მცხოვრებნი, ყიზლარის მცხოვრებთაც დიდი მოგება ჰქონდათ, ცინიზმია ის, რომ გამდიდრებულ ენდირეელთა შორის მრავალი პოეტი იყო, რადგანაც მათ მაგიერ მათი მონები შრომობდნენ. მათ დრო რჩებოდათ პოეზიისათვის. ენდირეიში 3 000-მდე სახლი ყოფილა. თითო სახლიდან 2 მეომარი გამოყავდათ საჭიროებისას, ანუ 6000 მეომარი.

ენდირი (ენდირეის) რუსებმა დაარქვეს ანდრეევსკაია დერევნია. ის მთებში მდ. აკტაშზე მდებარეობს, დაშორებულია ყიზლარს 90 ვერსით. დასახლებულია კუმიკებით. მისი ისტორიკოსი ა.ისმაილოვი თვლის, რომ ენდირეის ძველად ბალხი ერქვა. ის მონებით ამარაგებდა არა მხოლოდ მახლობელ ოლქებს, არამედ სპარსეთსა და თურქეთსაც კი.

მონათმოვაჭრე ებრაელებმა ენდირეი დატოვეს მის შემდეგ, რაც ის რუსებმა აიღეს და შეზღუდეს მონათვაჭრობა. იქამდე, მონათვაჭარ ებრაელებს ენდირეიდან მონები გადაყავდათ ყირიმში, რათა კონსტანტინოპოლში ხელახლა გაეყიდათ (http://cyclowiki.org /wiki/Эндирей

Рабство на Кавказе:история.http://www.ive1875.narod.ru/texst/Other/Ist_os-_duh_kom.htm

КОКИЕВ Г.А. „Внешняя и внутренняя работорговля”, 1926г.

ეს ეხება მონათვაჭრობას ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში.

რაც შეეხება ჩრდილო დასავლეთ კავკასიას, აქ მონათა ვაჭრობას უმთავრესად ეწეოდნენ ყაბარდოელები, არა მხოლოდ თავადები, არამედ ღარიბთა

დაბალი ფენაც – თერგიდან – შავი ზღვის სანაპირომდე და, სამხრეთით, საქართველომდე.

ამასთანავე, ჩექეზეთში ხდებოდა მონათა გადაყიდვაც. კერძოდ, ლეკებისაგან ტყვეებს საკმაოდ დიდ ფასად ყიდულობდნენ სომეხი მონათვაჭრები, მათგან კი ყიდულობდნენ ჩერქეზი თავადები, რათა შიდა ბაზრისათვის ანდა ოსმალეთისათვის მოემზადებინათ.

ოსმალეთისაკენ მათ მონა-საქონელი გადაყავდათ აფხაზეთის – ბზიფის გზით. ბიჭვინთა, ასევე სოხუმი, მონათვაჭრობის კერებად იქცა.

გზა ჩრდილო კავკასიის ამ მხარეს აკავშირებდა ზღვასთან, ამ გზით ძველთაგანვე სარგებლობდნენ.

ჩრდილო კავკასიაში რუსული ზონის განვრცობის კვალდაკვალ ებრაელი მონათვაჭრები აღარ მოქმედებდნენ რუსულ ზონაში, სადაც შეიზღუდა მათი ეს საქმიანობა, ხოლო სომეხი მონათვაჭრები რუსულ ზონაშიც თავისუფლად მოქმედებდნენ (КОКИЕВ Г.А. „Внешняя и внутренняя работорговля“, 1926г. გვ. 58).

ენდირეიში მონებისა და ტყვეების ფასი შემდეგი იყო – ბავშვი 5 წლამდე – 70 მანეთი, ბიჭი 10 წლამდე – 100 მანეთი, გოგო 10 წლამდე –130 მანეთი, უფროსი ბიჭი –150, ქალი 50 წლამდე – 90 მან.

საქართველოში ხალხს ატყვევებდნენ არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ყველა ფენა, უღარიბესი მთიელები, მათი დიდებულები და თავადები. ეს მათი შემოსავლის წყარო იყო. მათი მეურნეობაც მთლიანად მონათა შრომაზე იყო აგებული. იქ მონათა ფენა ძირითადად წერა-კითხვის მცოდნე ქრისტიანული ზნეობით აღზრდილი ქართველები იყვნენ.

შარდენის ცნობით, ჩრდილო კავკასიიდან ოსმალეთში გასაყიდად ყოველწლიურად 12 000 ტყვე – მონა გაყავდათ, ძირითადად ქრისტიანული ოჯახებიდან მოტაცებული ახალგაზრდები, ბავშვები. თუ მათი გამყიდველები ჩერქეზები იყვნენ, მონებს „ჩერქეზებს“ უწოდებდნენ, ესენი ძირითადად ჩრდილო კავკასიის სვანეთიდან და ბასიანიდან გაყვანილი ტყვეები იყვნენ, დაღესტნელებს თავდაპირველად „ქისტების“ ანუ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანების ოლქიდან გაყავდათ ტყვეები, ამ ოლქის ამოწურვის შემდეგ, კახეთიდან და დანარჩენი საქართველოდან.

იმის შემდეგ, რაც რუსეთის საზღვრებში აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიის ბარი და რუსებმა იქ დააარსეს გამაგრებული სოფელ-ქალაქები, მათში ჩასახლებულ ქართველ სასულიერო პირებს მოქმედების ასპარეზი გაეხსნათ, აქაური ქართველი სასულიერო პირები დიდი სულისკვეთებითა და მოშურნეობით შეუდგნენ ჩრდილო კავკასიელ ადგილობრივ სხვადასხვა ტომის მთიელთა გაქრისტიანების, ან მათში ქრისტიანობის აღდგენის საქმეს. ამ პროცესით დაინტერესეს რუსეთის ხელისუფლება. მთიელთა გაქრისტიანებისათვის თავდადებით იღწოდნენ ი. ფიცხელაური, არქიმანდრიტი გრიგოლი და სხვანი.

ქართველ ეპისკოპოსთა მოწამეობრივი ღვაწლი ჩრდილო კავკასიის სამწყსოს დაცვისას

ეპისკოპოსების მონაწილეობა ჯიქეთის ომში

1533 წლის 30–31 იანვარს დასავლეთ საქართველოს ლაშქარი ეპისკოპოსთა მონაწილეობით შეებრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ ჩრდილოკავკასიურ ძალებს ჯიქეთში, დაახლოებით თანამედროვე გაგრის მახლობლად.

ჩრდილო კავკასიელთა წინააღმდეგ ეპისკოპოსთა ომში მონაწილეობა გამოწვეული იყო იმით, რომ ეს ძალა ებრძოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მათთან ომი იყო რელიგიური, თავდაცვითი ომი, რადგანაც მუსულმანურ-წარმართული სამყარო, რომელიც თემურ-ლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში ძირითად ძალად გადაიქცა, ებრძოდა ათასწლოვან ქრისტიანულ სამყაროს, მის ცივილიზაციასა და ხალხს.

თემურ ლენგამდე მტერი საქართველოს სამხრეთიდან უტევდა ისლამის დროშით. ჩრდილოეთიდან ის დაცული იყო ქრისტიანული ზოლით.

საქართველოს ჩრდილოეთი დაცული იყო იქაური მკვიდრი მოსახლეობის მიერ. ისინი იყვნენ ქრისტიანები და მრევლი საქართველოს ეკლესიისა. იმჟამად, სამხრეთიდან ლტოლვილი ქრისტიანები თავს აფარებდნენ ჩრდილოეთს, სადაც გადაჰქონდათ რელიგიური სიწმიდეები.

ახლა, თემურ ლენგიდან სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა, საქართველოს ქრისტიანობას სასიკვდილო საფრთხე ჩრდილოეთიდანაც დაემუქრა, ქვეყანა ალყაში აღმოჩნდა.

თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, საქართველოსა და მის ეკლესიას უდიდესი კრახი ელოდა.

საფრთხე ძალზე ძლიერი იყო. მტერი შემოდიოდა საქართველოს საზღვრის სიღრმეებში და სარწმუნოებრივად ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდა საზღვრისპირა ოლქებს, სადაც ვრცელებოდა წარმართობა და ისლამი.

უთანასწორო ბრძოლებისას დამარცხებული ჩრდილოკავკასიის ქრისტიანი მთიელები, მრევლი ქრისტიანული ეკლესიისა თანდათანობით ივიწყებდნენ სარწმუნოებას და წარმართთებოდნენ.

ამ საფრთხესთან ბრძოლა საჭირო იყო მთელი ქრისტიანული ძალების მოკრებით და ქრისტიანობის მტრებთან საერთო თავდაცვითი ბრძოლით.

ქართველმა ეპისკოპოსებმა თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს ქრისტიანობის დასაცავად მრევლთან ერთად პირადად ებრძოლათ საომარ ველზე.

ეს ბრძოლა უთანასწორო იყო, რადგანაც მუდმივ ლაშქრობასა და კაცის კვლას შეჩვეულ ნახევრად მომთაბარეებთან უნდა ებრძოლათ საეპისკოპოსო კათედრიდან გადმოსულ მწიგნობრებს, რომელთა ხელებისათვის ხმალი უჩვეულო, ხოლო მათი სინდისათვის ეს საქმე უმძიმესი იყო, მაგრამ რეალობამ მათ ახალი მოვალეობა დააკისრა,

მაგალითად, აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალი გურიის სამთავრო თვითონ ებრძოდა იმჟამად სამხრეთიდან შესეულ მტერს, ის თანდათან კარგავდა მდ. ჭოროხის დასავლეთ სანაპიროს ოლქს გონიოდან ტრაპეზუნტამდე და მისი ლაშქარი ამ მიმართულებით იბრძოდა, მაგრამ, რადგანაც უდიდესი საფრთხე დაემუქრა აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთიდან, კათალიკოსმა აკურთხა ამ მიმართულებით თავდაცვითი ბრძოლა.

ოქროს ურდოს ბატონობის დროს ერთ დროს ქრისტიანული ჯიქეთი დაიპყრო ემირ ედიგეის მიერ ჩრდილო კავკასიაში შეყვანილმა ადიღეველთა ერთ-ერთმა ტომმა. მათ მოახდინეს ასიმილაცია ძველი ჯიქებისა, შეუცვალეს სარწმუნოება და ეთნიკური სახე, ჯიქეთსა და მიმდებარე ოლქებში გაბატონების შემდეგ კი უშუალოდ შეუტიეს აფხაზეთის საკათალიკოსოს.

კათალიკოსის მოწოდებით შეკრებილ მეომარ ეპისკოპოსთა შორის შორის გურიელი ეპისკოპოსიც იყო მთავრებთან, დადიანთან, გურიელთან და ლაშქართან ერთად. ისინი მედგარად შეებრძოლნენ საქართველოს მიმართულებით მოძრავ ლაშქარს.

1533 წლის 30-31 იანვარს გაგრის მახლობლად ჩრდილოკავასიელი ადიღე-ჩერქეზები (ჯიქები) შეებრძოლნენ აფხაზეთის კათალიკოსის საერთო მეთაურობით შედგენილ დასავლეთ საქართველოს ლაშქარს. სამწუხაროდ, კათალიკოსის ლაშქარი დამარცხდა.

ამ ომს აღწერს ქართლის ცხოვრება –

„1533 წელს, დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვით ნავებითა და შეიბნეს თვესა იანვარსა ოცდაათსა.

პირველსა დღესა ამათ გაემარჯვა, მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართათვის, ულალატეს და გამოექცნეს. დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს.

მოეტევნეს ჯიქნი და შეიბნეს. მრავალი დახოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა.

მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურიშვილნი.

დაღალულნი ომისაგან შეჩვენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა, დადიანი გააშიშვლეს, სრულიად შიშველი დაჭრეს გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოსნი, და მისნი ლაშქარნი ტყვე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი და მკვდარნი ფასით იყიდნა“ (ქართლის ცხოვრება, ტომი 2, 1959, გვ.497).

ამ ომში დამარცხებამ აფხაზეთისაკენ გზა გაუხსნა ჩრდილო კავკასიელ ადიღეველებს.

ადიღეველთა გამოჩენას ისტორიულ აფხაზეთში, ანუ ჯიქეთიდან მდ. კოდორამდე მდებარე საქართველოს ისტორიულ ოლქში, საფუძველი დაუდო ადიღე-ჩერქეზების აქ ჩასახლებასა და მათ გაბატონებას. აფხაზეთში გაბატონების შემდეგ ადიღეველებმა მოახდინეს გადარჩენილი ძველი აფხაზების ასიმილაცია, მიისაკუთრეს მათი სახელი – აფხაზი, ქრისტიანობა სრულიად გარყვნეს, როგორც დოკუმენტი მიუთითებს.

ისტორიულ აფხაზეთში ადიღეთა გაბატონება იმჟამად არ იყო აბსოლუტური. მათ აღიარეს აფხაზეთის კათალიკოსის დიდი ავტორიტეტი. ბიჭვინთა რადენიმე ხნით კვლავ საკათალიკოსოს დაქვემდებარებაში დარჩა. ამის ერთგვარი გამოხატულება ისიცაა, რომ გაგრის ამ ბრძოლაში ეკლესიისა და ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად მოწამეობრივად დახოცილი ეპისკოპოსების გვამები კათალიკოსის ავტორიტეტის გათვალისწინებით ჩერქეზებმა დათმეს.

იმდენად დიდი იყო ავტორიტეტი ქართული ეკლესიისა, რომ ქრისტიანული ჯარის დამარცხებისა და ეპისკოპოსთა დახოცვის მიუხედავად, ჩრდილო კავკასიელებმა პატივი სცეს იქ მყოფ აფხაზეთის კათალიკოსს და აღასრულეს მისი რამდენიმე თხოვნა.

1533 წელს აფხაზთა კათალიკოსმა ინება, რათა ტყვეობიდან დაეხსნა ჩრდილო კავკასიელების მიერ დატყვევებული ქართველი მეომრები და ასევე გამოეხსნა დახოცილი ეპისკოპოსების გვამები, რათა ისინი სათანადო პატივით გადაესვენებინა.

მართლაც, გამარჯვებულმა ადიღებმა კათალიკოსს ამის საშუალება მისცეს.

ამ ომის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში კიდევ უფრო დაემცრო ქრისტიანული ეკლესიის სამრევლო.

ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ დახოცილი ეპისკოპოსები დასახელებულია გურიელის ლაშქართან ერთად. ჩანს, ისინიც გურიიდან იყვნენ.

ოდიშართა ლაშქარი ბრძოლის ველიდან გაქცეულა, თუმცა დადიანი ადგილზე დარჩა და მედგრად იბრძოდა.

ოდიში, ვახუშტის ცნობით, ერქვა არა მთლიან სამეგრელოს, არამედ მის ერთ ნაწილს, რომელიც მოქცეული იყო ისტორიული აფხაზეთიდან ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე, ანუ ლევან დადიანის დროს კოდორიდან ეგრისწყლამდე.

ამ ტერიტორიაზე, ანუ ოდიშში, მდებარეობდა სამეგრელოს ცნობილი საეპისკოპოსოები დრანდისა, მოქვისა და ბედიისა.

ამ ბრძოლაში დამარცხების კვალდაკვალ დაიწყო ოდიშში ჩრდილო კავკასიელთა შემოსევები უკვე ისტორიული აფხაზეთის მხრიდან და ასევე ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან.

ადიღეველებმა აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია ისევე, როგორც ადრე მოახდინეს ჯიქების, ჩრდილო კავკასიელი აბაზებისა და სხვათა ასიმილაცია

როგორც წესი, ადგილობრივი ტომების ასიმილაციის შემდეგ ადიღეველები იღებდნენ სახელებს დამარცხებული ტომებისა.

ძველი აფხაზების ასიმილაციის შემდეგ აფხაზეთში ჩასახლებულსა და გაბატონებულ ადიღეველებს დარჩათ ძველი მოსახლეობის სახელი, ანუ მათაც აფხაზებს უწოდებდნენ, ოღონდ ისინი ახლა ქრისტიანობისა და აღნიშნული საეპისკოპოსოების უპირველესი გამანადგურებლები იყვნენ.

ამ პროცესის თვითმხილველი არქანჯელო ლამბერტისა და სხვათა, მათ შორის, ვახუშტის სიტყვით, აღნიშნულმა ეპისკოპოსებმა, ანუ დრანდის, მოქ-

ვისა და ბედიის ეპისკოპოსებმა ლევან მეორე დადიანთან ერთად თავდაცვითო გრანდიოზული ქვითკირის კედელი, ციხე-გალავანი შემოავლეს თავის სამწყსოს, ანუ ისტორიულ ოდიშს, კერძოდ, მათ ააგეს 100 კილომეტრამდე სიგრძის კედელი თავისი კოშკებითა და სათოფურებით მდ. კელასურიდან ვიდრე მდ. ენგურამდე, ის, ლამბერტის ცნობით, იყო 60 000 ნაბიჯის სიგრძისა და იცავდა თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებს მომხდური, უკვე გაწარმართებული, აფხაზებისაგან, ანუ ამ შემთხვევაში ადიღე-ჩერქეზებისაგან.

მაგრამ ამაოდ, ადიღეველები იმჟამად კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი იყო და ამ კედელმა მათი შეჩერება ვერ შეძლო.

ადიღე-ჩერქეზებმა (ახლანდელი აფსუების წინაპრებმა) სრულიად მოსპეს და გაანადგურეს იქამდე აყვავებული მოქვის, დრანდისა და ბედიის საეპისკოპოსოები, მრევლი დახოცეს ან დაატყვევეს და მონებად დაყიდეს, ეპისკოპოსებმა კი თავი შეაფარეს საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს.

ბიჭვინთიდან გაძევებულმა კათალიკოსმა თავი ჯერ ხობის მონასტერს შეაფარა, შემდეგ კი – გელათს.

ჯიქებთან აღნიშნულ ომში, შესაძლოა, მოქვის, დრანდისა და ბედიის ეპარქიათა მმართველი ეპისკოპოსებიც მონაწილეობდნენ,

ეპისკოპოსების მონაწილეობა დიდოეთის მრევლის დასაცავად გამართულ ომში

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველმა 1639 წლისათვის მოახერხა დაზავება ირანის შაჰთან და მისმა ქვეყანამ სიმშვიდე მოიპოვა.

ამის შედეგად დიდებულებმა დაიწყეს ფიქრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ამ მიზნით უსათუო საჭიროებად ჩაითვალა ღონისძიების გატარება, რათა ქრისტიანობაშერყეულ კახეთის რეგიონში, კერძოდ კი, დიდოეთში, კვლავ აღდგენილიყო ქრისტიანული სარწმუნოება, გადაწყდა დიდოეთში, კახეთის მთიანეთში, ლაშქრობა. აქ წარმართობამ შეზღუდა ქრისტიანობა.

კახეთის სამეფო იყოფოდა ოთხ სადროშოდ, ანუ ოთხ სამხედრო ოლქად, თითოეულ სამხედრო ოლქის ლაშქარს მეთაურობდა ეპისკოპოსი.

ამ ოთხი სამხედრო ოლქთაგან თავისი სამხედრო პოტენციალით გამორჩეული იყო რუსთველის სადროშო.

რუსთველი ეპისკოპოსის რეზიდენცია იმხანად იყო სოფ. მარტყოფში, რადგანაც ქალაქი რუსთავი იმჟამად დანგრეული იყო,

რუსთველი ეპისკოპოსის საბრძოლო დროშა მარტყოფის ეკლესიაში იყო დაბრძანებული. ბრძოლისას რუსთველი ეპისკოპოსი ტაძრიდან გამოასვენებდა საბრძოლო დროშას და გადასცემდა ლაშქრის მედროშეს.

იმჟამად მედროშეები იყვნენ ჭიჭინაძეები. ეს იყო მთელი საგვარეულო. მისი ყოველი მამაკაცი ვალდებული იყო ბრძოლაში შეეტანათ ფეხზე მდგარი დროშა და ასევე ფეხზე მდგარი (აღმართული) უნდა გამოეტანათ ბრძოლიდან და მარტყოფის ეკლესიაში დაესვენებინათ.

რუსთველის სადროშოსადმი მიწერილი, ანუ სამხედრო ვალდებულნი იყვნენ ქვემო კახეთისა და გაღმა მხრის, ანუ დღევანდელი საინგილოს თავადები და აზნაურები თავიანთი მოლაშქრეებით.

ამ მიზეზის გამო დიდოეთში ქრისტიანობის დასაცავად გამართულ თავდაცვით ომში მონაწილეობდა რუსთველი ეპისკოპოსი თავისი ლაშქრით და საერთო ლაშქარს ერთ-ერთ მეთაურად ჩაუდგა. ის პირადად მხნედ იბრძოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენისათვის კავკასიის მთებში და ბრძოლის ველზე მტერმა განგმირა კიდეც.

ვახუშტი წერს:

„იხილა, რამეთუ აქვს მცირედი სიმშვიდე, განიზრახა თეიმურაზ შესვლად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიროს იგინი.

შემოკრებულითა კახითა შეუხდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკნი და მოწვა დაბნები.

არამედ დიდოთა მოიმწნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა ისრითა და საგორავებითა.

მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა და მასვე ჟამსა ცხენი თეიმურაზისა, და მოსწყვიდნეს მრავალნი კახნი.

ივლტოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყველი: „ვაი, დარბაისელ ეპისკოპოს მოწყვედილსა“ (ქც, 4, 1973, გვ.596) .

ეს მოხდა 1640 წელს.

დიდოეთი იქამდე, მე-17-ის დასაწყისამდე, შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ლეკები, ანუ ყოფილი ხუნძეთის საკათალიკოსოს მრევლი, ამ დროს უკვე ან გამუსულმანებული ანდა გაკერპებულ – გაწარმარათებული იყო.

თემურ ლენგიდან რუსების შემოსვლამდე, ანუ მე-14 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნეებამდე, კავკასიის მთებში საქართველოს ეკლესია იბრძოდა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად.

სარწმუნოების დასაცავად გამართული ომების დროს ეპისკოპოსებიც კი თავს დებდნენ ქრისტესათვის ხმლით ხელში ისევე, როგორადაცაა გამოხატული თხაბა-იერდის ეკლესიაში ეპისკოპოსი ჯვრითა და ხმლით.

მაგალითად, მარაბდის ომის დროს, ქრისტიანობის მტერ მომხდურთან მრევლის სიცოცხლის დასაცავად მოწამეობრივად თავი დადო სამმა ეპისკოპოსმა.

თუმცა ეს იყო იძულებითი, უკიდურესი გასაჭირის გამოძახილი, როცა ქრისტიანი ხალხი ომებით შემცირდა, გაწყდა, გაიჟლიტა, გადაიღალა და ამ დანაკლისის შევსება ეპისკოპოსებმა არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ მაგალითითა და თავის შეწირვით გადაწყვიტეს. იქამდე, საუკუნეთა მანძილზე,

ისინი ცნობილნი იყვნენ უფრო სიტყვით, მისიონერული მოღვაწეობით და არა ხმლით.

მაგალითად, ინგუშების ნაწილი კირიონ II კათალიკოსამდე ქართული ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდა. კირიონის მამა ინგუშების მღვდელი იყო. ეს სამრევლო ინგუშებისა ქრისტიანობამ დაკარგა მე-19 საუკუნეში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შედეგად, რომელიც ქართული ეკლესიის წინააღდეგ იყო მიმართული.

რეალურად კავკასიის მთებში ქრისტიანობა არა თუ აღსდგა, დაზარალდა კიდეც.

რუსებს მხარი უნდა დაეჭირათ ქართული ეკლესიისათვის, რომელიც კარგად იცნობდა თავის ძველ სამრევლოს. ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის ნაცვლად რუსებმა საერთოდ გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აკრძალეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება კავკასიის მთებში, რომელსაც იქაური მოსახლეობა შეჩვეული იყო და მათთვის ქართული საეკლესიო ენა წმიდა ენას, ღმერთთან ლოცვის ენას წარმოადგენდა იმდენადენად, რომ ჩრდილოკავკასიური მრავალი ხალხის ენაში სიტყვა ღმერთი ქართული სიტყვით – ხუცავი, ხუცესით აღინიშნება, ხოლო საღმრთო სიწმიდე – ქართული სიტყვა ჯვრით (ძუარით).

ძველი ღრმა კავშირები უგულებელყო რუსეთის ხელისუფლებამ. ამის გამო იქამდე ქრისტიანული მცირე ნიშან-თვისებების მქონე მრავალი ხალხი საბოლოოდ დაუკავშირდა ისლამს.

ქართველთა ქადაგებითი ღვაწლი კავკასიის მთებში ქრისტიანობის აღსადგენად რუსების შემოსვლამდე გაგრძელდა.

იქამდე საქართველოს ეკლესია ჩრდილო კავკასიის მთიელთა ერთ ნაწილს კვლავ ინარჩუნებდა ძველი ტრადიციის ძალით, რუსებმა ეს ტრადიცები უარყვეს. ამის გამო ჩრდილო კავკასიელებში უფრო განმტკიცდა ისლამი.

ვაი, ამოწყვეტილ ერსა, 2016 წელია, სულ ორ ათეულ წელში, გაეროს კვლევით, და ჩვენი საკუთარი თვალითაც ვხედავთ, ქართველთა რიცხვი 1,5 მილიონით კიდევ შემცირდება, ანუ ჩვენი ერის რიცხვი განახევრდება, სოფლები უკვე ცარიელდება და ჩვენს თვალწინ ქრება, ვაი ჩვენს თავსა, მაგრამ რა, არავითარი შეგრძნება ამოწყვეტისა ჩვენს ირგვლივ არ იგრძნობა, არ განიცდება, პირიქით, ეიფორია და სიხარულია სხვადასხვა წვრილმან საკითხზე, ვაი, ნამუსგარეცხილ ჩემს თავსა. ვაი, მე ყველაზე ცოდვილსა, ვაიმე უცოდვილესსა, მაპატიე უფალო, ვაი, ვაი, ვწუხვარ და განვიცდი, შემეწიე, გვეწიე უფალო, ვწუხვარ, ვაი მე, ვაი.

გაცილებით მძიმე იყო მდგომარეობა მე-16 საუკუნის შემდეგ, განუწყვეტელმა შემოსევებმა და მაჰმადიანურმა ალყამ ჩრდილო კავკასიიდან ირან-ოსმალეთამდე, თურმე დაბადა უიმედობა, ხალხი დაძაბუნდა, მოეშვა, უუნარო გახდა და ბრძოლის წადილიც გამქრალა, სწორედ ასეთ დროს ეპიკოპოსებს თავიანთ მოვალეობად მიუჩნევათ გაემხნევებინათ ხალხი, არა მხოლოდ სიტყვით, პირადი თავადებით და თავგანწირვითაც. ვახუშტი წერს – „ეპისკოპოსთა სლვა ლაშქართა, ნადირობათა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩვეულება

იქმნა – რაჟამს უწყეს მაჰმადიანთა...დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება და იხილეს ღაფლობ – აუღონოება ქვეყნისა ერთა ეპისკოპოსთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოსნი: „ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა და ჩვენ ვიქნებით წინამბრზოლნი თქვენნი“ და ყოფდენცა ეგრეთ, ვითარცა მარაბდის ომსა ზედა მროველმან ავალიშვილმან რა მოიღო ზიარება ... იტყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა, და არა მხოლოდ ჩემ ზედა, ამისთვის არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან“(ქ. ც. 4. 1973, გვ.38).

„კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი

იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1860 წელს (9 ივნისს) დაამტკიცა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“. ეს, ცხადია, იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც „ოსეთის კომისია“ თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“ თავის საქმიანობას ეწეოდა ოსთა, ინგილოთა, უდიელთა, ქისტთა, თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა, მესხთა, მოხევეთა, მთიულთა, აჭარელთა, სვანთა, აფხაზთა, სამურზაყანოელთა, სომეხთა და რუს სექტანტთა შორის (გ. როგავა, „ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში“ 1997, გვ. 57).

ყველა ჩამოთვლილ ტომთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები არიან, რომელთაც იქამდე ათასი წლის მანძილზე ქართულ ენაზე გააჩნნდათ წირვა-ლოცვა, თვით ზემოჩამოთვლილი თითქოსდა არაქართული ტომებიც ადრე ქართული ეკლესიის სამწყსო იყო და ნაწილობრივ იცოდნენ კიდეც ქართული ენა.

მაგრამ აი რა მიზანი დაისახა აღნიშნულმა საზოგადოებამ: „ამ ხალხებში ქრისტიანობის აღსადგენად და დასამკვიდრებლად საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა... ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე საეკლესიო-საღვთისმეტყველო წიგნების გადათარგმნა, ახალგაზრდობისათვის ჭეშმარიტი ქრისტიანული განათლების მიცემა, სათანადო სკოლების გახსნა...“ (იქვე, გვ. 58).

მაგალითად, აღნიშნული საზოგადოება ფშაველებს, მესხებს, თუშებს და სხვებს არ მიიჩნევდა ქართველებად და ცდილობდა მათთვის დამწერლობა შეექმნა რუსული ანბანის საფუძველზე. მაგალითად, გამოიცა კიდეც სვანური ანბანი „ლუშნუ ანბან“ 1200 ცალის რაოდენობით, ასევე სვანურად ითარგმნა 10 მცნება, ბიბლიის ნაწილი „შესაქმე“, ლოცვანი, იესოს ცხოვრება (იქვე, გვ 74).

მიუკერძოებელი მეცნიერების თვალსაზრისით, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ემსახურებოდა საქარ-

თველოში ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების ვერაგულ ზრახვებს (იქვე, გვ. 75).

ეკლესიის ისტორიკოსი წერდა: „რუსეთის შოვინისტური საეკლესიო პოლიტიკის არსი საქართველოში ქართველთა მოძულე იოანე ვოსტორგოვმა ასე ჩამოაყალიბა: **საქართველოს ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“** (ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 49).

აფხაზეთში რუსული საეკლესიო პოლიტიკა, გ. როგავას აზრით, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ აფხაზთა გარუსებას, არამედ „ქართველებისადმი მათ დაპირისპირების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“ (გ. როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში, 1997, გვ. 77).

სამეგრელოში რუსული პოლიტიკა ფაქტიურად იგივე იყო, კერძოდ 1885, წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ამიერიდან აქ რუსული ენის სწავლება მეგრულის საშუალებით უნდა მომხდარიყო. 1889 წ. რუსი მოხელეების ნებით აშორდიამ შეთხზა მეგრული ანბანი რუსული ანბანის მიხედვით, დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე თარგმნა, მაგრამ ეროვნულად გათვითცნობიერებული მკვიდრი მოსახლეობა დაცინვით შეხვდა ამ საქმეს. ეს თარგმანები სიცილს იწვევდა მსმენელებში, რადგანაც მათი წინაპრები თავის დროზე, მოციქულთა დროიდან, თვით იყვნენ შემოქმედნი ქართული საეკლესიო ენისა, რასაც გვიჩვენებს, პალესტინაში, იოანე ლაზის მონასტერში აღმოჩენილი V საუკუნის პირველი ქართული წარწერებიც.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით რუსმა „მისიონერებმა“ გადაწყვიტეს, თავის მხრივ, სამეგრელოს, ვითარცა ქართული ეროვნული ცნობიერების მნიშვნელოვანი კერის, დასუსტება. ინებეს სამეგრელოსაგან სამურზაყანოს ჩამოშორება, კერძოდ, მათ დროს ეწოდა სამეგრელოს ისტორიულ ნაწილს, სამურზაყანოს, „აფხაზეთი“. ამასთანავე, „აფხაზეთის მეგრელები რუსმა სამღვდელოებამ გამოაცხადა სამურზაყანოელებად და რუსი ეპისკოპოსი არსენი ყოველნაირად ცდილობდა მათთვის წირვა-ლოცვა ჩაეტარებინა სამურზაყანოს ენაზე“ (იხ. გ. როგავა, დასახ. ნაშრ. გვ. 78). დასავლეთ საქართველოში ასე შექმნეს რუსებმა ახალი „ხალხები“. მათ რიცხვს მიაკუთვნეს აჭარლებიც.

რუსი საეკლესიო ხელისუფლება მიხვდა, რომ **ქართველთა გამაერთიანებელი იყო ქართული ეკლესია თავისი ძველი ქართული საეკლესიო ენით.** ამიტომაც 1880-იანი წლებიდან „ეგზარქოსმა პავლემ ქართული ეკლესიის მსახურთა გარუსების მიზნით სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება. სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვა ქართველი მასწავლებლები და რუსებით შეცვალა ისინი“ (იქვე, გვ. 110).

1881 წელს დედა ენის სწავლება ქართულ სკოლაში არასასურველად იქნა აღიარებული, 1885 წელს იანოვსკის ცირკულარით, ქართული ენა სრულებით განიდევნა სკოლებიდან.

განსაკუთრებული ყურადღება **„კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ მიაპყრო საქართველოს სასაზღვრო პროვინციებს, რათა იქედან სავსებით განედევნა ქართული ენა და კულტურა, იგივე ითქმის საერთოდ ჩრდილოკავკასიელ ტომთა შორის ქართული კულტურის გეგმაზომიერი აღმოფხვრის შესახებაც.**

მაგალითად, რუსულმა ხელისუფლებამ, როგორც აღინიშნა, მიზნად დაისახა მთიელ ხალხთა შორის იქამდე არსებული სატომო ანდა საშინაო დიალექტების ნაცვლად, მათთვის ხელოვნურად შეექმნა ეროვნული ენები. ამ საკითხს საგანგებოდ ამუშავებდნენ იმ დროისათვის უბრწყინვალესი რუსი მეცნიერები. ერთი ასეთი იყო XIX ს. შუა წლებში მოღვაწე მეცნიერი ვეიდენბაუმი, რომელმაც შეისწავლა, რომ აფხაზეთში ურთიერთობისა და კულტურის ენას წარმოადგენდა ქართული ენა. მის დროს ქართული ენა აფხაზეთში ჯერ კიდევ იყო იქ სალიტერატურო ენა. აფხაზეთის მოსახლეობის ქვედა ფენისათვის, ანუ მეგრელებისათვის ეს ენა დედა ენა იყო, ხოლო ზედა ფენა ამ ენით ზრდიდა ბავშვებს. მხოლოდ საშუალო ფენამ, აფხაზეთში ჩამოსახლებულმა ჩრდილოკავკასიელებმა (აფსუებმა, აბაზებმა და ჩერქეზებმა) ნაკლებად იცოდნენ ეს ენა, თუმცა კი მათ, ვითარცა ყოფილ მეომრებსა და მოლაშქრეებს, უდიდესი უფლებები გააჩნდათ აფხაზეთში. ამასთან დაკავშირებით ვეიდენბაუმი წერდა: „აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა და ლიტერატურა განწირულია, რასაკვირველია, გაქრობისათვის მეტნაკლებად ახლო მომავალში. საკითხი იმაშია, თუ რომელი ენა შეცვლის მას. ცხადია, რომ მოსახლეობაში **კულტურული იდეებისა და ცნებების მატარებელი უნდა იყოს რუსული და არა ქართული ენა. მე მგონია, რომ ამიტომ აფხაზური დამწერლობის შექმნა მიზანი კი არ უნდა იყოს თავისთავად, არამედ მხოლოდ საშუალება, ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის გამოყენების შემცირება-შესუსტებისა და მისი სახელმწიფო (ე.ი. რუსული) ენით შეცვლისათვის. თუ ჩვენ ამას მხედველობიდან გავუშვებთ, ჩვენ მივდივართ რისკზე, გარდა ქართულისა და სხვა ავტონომიებისა, შევქმნათ აფხაზეთის ავტონომიაც“** (ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. III, ს. 79, ფურც. 4, 6 წიგნში, გ. როგავა, „ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917)“, თბ. 1997, გვ. 81).

აფხაზეთის ეკლესიებიდან გამოაძევეს ქართული ენა, რომელიც აქ ათასი წლის მანძილზე გაისმოდა. **ქართული ენის საერთოდ კავკასიიდან გაძევების საქმეს წარმართავდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ბარტოლომეი, უსლარი, ვეიდენბაუმი და სხვები.**

რუსულ სახელმწიფოს კი ხელს უშლიდა ქართველი სამღვდელოება.

რუსებმა ჯერ კიდევ XIX ს. 60–70-იან წლებში შეიმუშავეს მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა აფხაზეთიდან ქართული ენისა და კულტურის აღმოსაფხვრელად, აფხაზთა გამოსაყვანად ქართული ეროვნული სხეულის შემადგენლობიდან, უფრო მეტიც, აფხაზთა შორის ანტიქართული მიმართულების შესაქმნელად. აი, მაგალითად, ოფიციოზის გაზეთ „კავკაზში“ რას წერდა პრუდნიკოვი XIX ს. 70-იან წლებში აფხაზეთთან დაკავშირებით: „უპირატესობა, ანუ

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სრული ბატონობა ქართველი სამღვდელოებისა ამ ახლადგაქრისტიანებულ მხარეში სრულებითაც არაა ჩვენთვის სასარგებლო, სრულებითაც არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. აფხაზთა განუვითარებლობა, მათ მიერ მართლმადიდებლობის მიღება და ახალი სამოქალაქო მმართველობა ქმნიან შესანიშნავ ნიადაგს, რომელზედაც ჩვენ ადვილად შევქმნით ახლო ხანებში სუფთა რუსულ პროვინციას... რუსი სამღვდელოების გავლენა აფხაზ ხალხზე უეჭველად გამოიწვევს მათ სრულ შერწყმას რუსებთან ... არ შეიძლება არ ვაღიაროთ, ამ მხარეში რუსული ენის სწრაფად გავრცელება არის უპირველესი მნიშვნელობის საქმე, მის გარეშე ქრისტიანული წესების დანერგვაც გაძნელდება და რად გვინდა მომავალში შევიქმნათ ზედმეტი დავიდარაბა აფხაზი ეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვით“ (გაზ. «Кавказ» №82, 1870, წიგნიდან: გ. როგავა, დასახ. ნაშრ. გვ. 81-82).

გ. როგავა წერს, რომ ეს გულისხმობდა იმას, რომ აფხაზეთში ქართველი სამღვდელოება უნდა შეცვლილიყო რუსი სამღვდელოებით, ქართულ ენაზე ღვთისმსახურება კი – რუსულით (იქვე, გვ. 81).

ამ პროგრამის შესაბამისად, „დაიწყო ორი მოძმე ხალხის ერთმანეთისაგან დაშორება. აფხაზებს წაართვეს ქართული ენა, რომელზედაც საუკუნეების მანძილზე ლაპარაკობდა, სწავლობდა მათი არისტოკრატია. აფხაზ ხალხს ყოველნაირად ჩააგონებდნენ იმ აზრს, რომ მისი მთავარი მტერი ქართველია, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გადაყლაპოს აფხაზები, წაართვას მიწები და ა.შ. მეფის რუსეთის სასულიერო და საერო მოხელეები აფხაზთა დამცველების როლში გამოდიოდნენ, სასტიკად დევნიდნენ ყოველივე ქართულს“ (ჯ. გამახარია, „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან“, 1991, გვ. 13).

ამ საქმეში დიდად იღვაწა ზემოთაღნიშნულმა „საზოგადოებამ“.

ამ მიზნით „საზოგადოებამ“ გადაწყვიტა საეკლესიო – სამრევლო სკოლებში სწავლება პირველ ხანებში ძირითადად მშობლიურ ენაზე ყოფილიყო. ამისათვის კი საჭირო იყო ამ ხალხების ენაზე დამწერლობის შექმნა, რომლებსაც ის ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო რუსული ალფაბეტის საფუძველზე, რათა შემდგომში გაადვილებულიყო მოწაფეთა სწავლება რუსულ ენაზე და მათი თანდათანობითი გარუსება. ამ მიზნით „საზოგადოებასთან“ შეიქმნა სპეციალური, ახალი დამწერლობის შემქმნელი კომისია. თავმჯდომარე იყო ცნობილი ლინგვისტი, გენერალ-მაიორი ბარტოლომეო, ხოლო ერთ-ერთი წევრი, ასევე ლინგვისტი, გენერალ-მაიორი უსლარი.

„საზოგადოების“ აღნიშნულმა კომისიამ რუსული შრიფტის საფუძველზე შეადგინა და 1865 წელს გამოსცა აფხაზური ანბანი, რომელშიც მოცემული იყო ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები – მცნებები. 1866 წლიდან აფხაზ ბავშვებს სკოლებში ასწავლიდნენ ამ ანბანით, 1868 წელს კომისიამ აფხაზური ენა იმდენად ახალგაზრდა და განუვითარებელ ენად მიიჩნია, რომ მასზე წმიდა წერილების გადათარგმნა შეწყვეტილი იქნა, მაგრამ 1899 წელს „საზოგადოება“კვლავ უბრუნდება აფხაზური დამწერლობის საკითხს. ამ ენაზე ით-

არგმნა და 2000 ეგზემპლიარად გამოიცა იოანე ოქროპირის ლიტურგია და კურთხევანი (იქვე, გვ. 72-73).

ასე ხელოვნურად შეიქმნა აფხაზური ენა, რომელიც რუსი მოხელეების მიერ XIX ს-ის 60-იან წლებში „ახალგაზრდა და განუვითარებელ ენად“ იყო მიჩნეული.

აფხაზური საზოგადოების უდიდესი ნაწილს რიცხობრივი შემადგენლობით, როგორც აღინიშნა, ქართველობა (ძირითადად მეგრელები) შეადგენდა, აფხაზურ საზოგადოებაში უმაღლესი ქართულენოვანი ფენა–„ათავად“-ებად იწოდებოდა, ხოლო უდაბლესი ასევე ქართული ფენა –„აგირუები“ იყვნენ, ანუ ქართული იყო უმაღლესი და უდაბლესი ფენები საზოგადოებისა, მხოლოდ შუა, შედარებით მცირერიცხოვანი ფენა იყო არაქართულენოვანი (იგულისხმება აბაზა – აფსუები), იმდენად, რომ ჩრდილო კავკასიის მთებიდან მათი შედარებით ახალი გადმოსახლების გამო ნაკლებად ფლობდნენ ქართულ ენას, მაგრამ მაინც, რადგანაც აფხაზეთში ისტორიულად ქართული ენა საერთო-სახალხო ენას წარმოადგენდა და ქართულ საეკლესიო ენას აქ ათასწლოვანი ტრადიცია გააჩნდა, ამიტომაც აფხაზური ქრისტიანული და საეკლესიო ტერმინები თითქმის ყველა ქართული, მეგრული წარმოშობისა იყო. მაგალითად, ქრისტეშობა (მეგრულად ქირსე) აფხაზურად გამოითქმოდა როგორც „აქირსა“. მთავარანგელოზი – თარგალაზ, მიქელგაბრიელი (მეგრულად მიქამბარია) – აფხაზურად მკამგარია, ეკლესია (ოხვამე) – აუხვამა, მოძღვარი ამაძღვარ, ჯვარი – აჯუარ, ნათვლა – ნათრა, კალანდა – კალინდა, ბაიაომა (ბაჩომა) – ბაიაომა, პეტრე-პავლობა (პერტომა) – პერტამა, საკმელი-ასაკუმალ, ზვარაკი-ჟვარაქ, მიწის ქალღმერთი – ადგილ დედოფალ, ზარი – ზარ, კათალიკოსი-კათალიკას და ა.შ. (გ. როგავა, „რელიგია და ეკლესია აფხაზებში“, 1997, გვ. 34).

საბოლოოდ, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ თავისი დაუღალავი მოღვაწეობით შეძლო ქართული ეკლესიის ისტორიული მრევლი აფხაზეთში მოეწყვიტა ქართული ეროვნული სხეულიდან, მაგრამ ამით ფაქტიურად ხელი შეუწყო აფხაზთა შორის არა ქრისტიანობის, არამედ ისლამის გავრცელებას. ამის შესახებ მიუთითებენ მკვლევარები.

ეს შესამჩნევი გახდა განსაკუთრებით აფხაზების რუსების წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ 1877–78 წლებში, როცა აფხაზებმა შესანიშნავად გაიგეს, რომ მათი ნამდვილი მტრები იყვნენ რუსი კოლონიზატორები, მაგრამ რუსები იმდენად მიუღებელნი გახდნენ მათთვის, რომ მასიურად დატოვეს აფხაზეთი და თურქეთში გაიქცნენ. ომის დამთავრების შემდეგ მათ უკვე ქრისტიანობაზეც უარი თქვეს (მხოლოდ მეგრული წარმოშობის აფხაზებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა). აფხაზების დიდმა ნაწილმა უარყო ქრისტიანობა და ისლამი მიიღო. აფხაზეთში, სადაც თითქმის ორიათასი წელი არსებობდა ქართული საკათალიკოსო თავისი ერთგული მრევლით, ახლა უკვე მისიონერი რუსები უხეში, იძულებითი მეთოდებით თითქოსდა „ნათლავდნენ“ ხალხს. „კაზაკთა რაზმი ალყას შემოარტყამდა აფხაზებს და იწყებოდა მათი ძალით მონათვლა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ორივე მხრიდან იარა-

ღის გამოყენებას. ახალი მონათლულები, რომლებიც წყევლიდნენ სასულიერო და სამხედრო ხელისუფლებას, მათი წასვლის შემდეგ გარბოდნენ მდინარეებისაკენ და იქ იშორებდნენ წმიდა მირონს“ (იქვე, გვ. 70). აფხაზები გადააქციეს ქართველთმოძულე მაჰმადიანებად, ქრისტიანი აფხაზები კი მწარედ დააეჭვეს მათთვის უკვე ყოფილი დედა ქართული ეკლესიის მიმართ.

ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მიუტევებელ შეცდომას წარმოადგენდა აღნიშნული „საზოგადოების“ მოღვაწეობა ინგუშთა შორის. ინგუშები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ინგუშეთში მოღვაწეობის დაწყებისას, დამთავრებისას კი ინგუშთა შორის არა თუ განმტკიცდა ქრისტიანობა, არამედ ისინი მაჰმადიანებად გადაიქცნენ. იგივე ითქმის პანკისის ხეობის ქისტებზეც, მათ მაჰმადიანობა მასიურად უკვე მე-20 საუკუნეში მიიღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ქართულ ეკლესიას, მე-20 ს. 20-ან წლებში პანკისელი მღვდლები დააპატიმრეს და ჩამოაშორეს თავის მრევლს, ამან ხელი შეუწყო ხალხის სწრაფ გამაჰმადიანებას. მე–20 ს. 90-იან წლებში პანკისის ხეობა უკვე მტკიცე მუსულმანებით იყო დასახლებული. ქრისტიანი პანკისელები თავიანთ თავს აღწერათა დროს ქართველობას მიაკუთვნებდნენ, გამუსულმანების შემდეგ – ჩეჩნებს.

მხოლოდ 1917 წელს შეძლო რუსეთის ეკლესიის წიაღში გაუქმებულმა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენა, მან თავის ირგვლივ არსებული ახალი რეალობის ანალიზიც კი ვერ მოასწრო, როდესაც 1921 წელს ათეისტურმა რუსეთის კომუნისტურმა სახელმწიფომ კვლავ შეზღუდა მისი თავისთავადობა.

991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, მაგრამ მას ეს ძალზე ძვირად დაუჯდა, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან გამოაძევეს ქართული მოსახლეობა.

ამ კუთხეებში განახორციელეს ეთნიკური წმენდა ადგილობრივი ქართულქრისტიანული მოსახლეობისა და შემდეგ რუსეთმა მოახდინა ამ ტერიტორიების ოკუპაცია, ამჟამად აქ მოკალათებული სეპარატისტები ცდილობენ წაშალონ ამ კუთხეებში საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობის ათასწლოვანი კვალი, ამასთანავე გააყალბონ მისი წარსული და მნიშვნელობა, რათა, ახლა უკვე ეკლესიურად, და სულიერადაც, მიისაკუთრონ საქართველოს ეს ისტორიული რეგიონები.

დასკვნა

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს, მათ შორის, ჩრდილო კავკასიასაც. ამის შესახებ გვაქვს როგორც წერილობითი, ისე მატერიალური წყაროები.

ცნობილია „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი, რომელიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში დასახელებულია მრავალი რეგიონი, მათ შორის ჩრდილო კავკასიაც,

„ქართლის ცხოვრების“ ეს ცნობა შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ, ამ ჩანართში ნათქვამია:

„იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (საწმყსოსა) სამწყსოსა თვისსა ქართლსა: გამოღმა გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა...“ („ქართლის ცხოვრება,“ ტ. I, გვ. 232).

დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემდეგი პუნქტები: გამოღმა კახეთი, გაღმა კახეთი, შაქი, შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები, ანუ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მათთან ერთად ჩრდილო კავკასიის სვანეთი, ჩერქეზეთი, ოვსეთი და ზემო ქართლში სამცხე-საათაბაგო.

აქ ნახსენებია – „მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილნი“ ანუ კავკასიის დიდი ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდები, ანუ დაღესტანი თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთთან ერთად, ასევე ჩრდილო კავკასიის დაბლობი, რომელსაც იმჟამად ოსეთის, ისტორიული სვანეთისა და ჩერქეზეთის ნაწილებად მიიჩნევდნენ – „სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 232)

ეს დოკუმენტი ძირითადად ეხება ქართლის საკათალიკოსოს, საქართველოს ეკლესიის მეორე ადმინისტრაციული ერთეული, აფხაზეთის საკათალიკოსო, წყაროსავე ცნობებით, მოიცავდა ჩრდილო კავკასიის შავიზღვისპირა მიწა-წყალს ვიდრე ყირიმის ქალაქ კაფამდე.

ჩვენს ნაშრომში მოყვანილი ქართული და უცხოური, მათ შორის, არაბული წყაროების, ცნობებს ადასტურებს უხვი და ყოვლისმომცველი ჩრდილო კავკასიის ქართული ეპიგრაფიკული მასალა, ქართული ეკლესიები და მათი ნაშთები მთელ ჩრდილო კავკასიაში, ისტორიული ალბანეთიდან და დაღესტნიდან ვიდრე ყარაჩაიმდე და კავკასიის ალანიამდე. სხვა ფაქტებიც ადასტურებს, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მთელი ჩრდილო კავკასია ვიდრე თემურ ლენგის შემოსევამდე, ხოლო მისი მთიანი ნაწილი კიდევ ორიოდე საუკუნე ვიდრე თითქმის მე-17, მე-18 საუკუნეებამდე.

მიუხედავად ამისა, უხვი წერილობითი და მატერიალური ფაქტებისა, ოფიციალური რუსული და მისი გავლენის ქვეშ მყოფი საისტორიო ცენტრები

მიიჩნევენ, რომ ჩრდილო კავკასია შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარ-ქოს ალანიის ეპარქიის იურისდიქციაში.

ესაა განგებ თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა, სხვასთან ერთად ამ შეცდომის წყაროა ალანიის ეპარქიის არასწორი ლოკალიზაცია.

ჩვენს ნაშრომში გამოვარკვიეთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარ-ქოს ცნობილი ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში, არამედ მოიცავდა დონისპირეთის ვრცელ სტეპებს. აქ ნომადები მომთაბარეობდნენ და მათ არ ჰქონდათ ქალაქები. ამიტომაც აქაური მღდელმთავრისათვის კონსტანტინოპოლმა საკათედრო ქალაქად განსაზღვრა სოტერიოპოლი ტრა-პეზუნტის რეგიონში (ლაზიკაში).

კავკასიის ალანია, აფხაზეთის მეზობლად მდებარე, შედიოდა აფხაზე-თის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. აქაა არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შუანას (შოანას) ქართული სტილით ნაგები ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიები. აქ მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა თავისი ქალაქებითა და ტაძრებით. თავ-დაპირველად კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსს აქ სურ-და ალანიის ეპარქიის დაარსება და დახმარება თხოვა აფხაზთა მეფეებს, მაგ-რამ აფხაზთა მეფეები ქართულ ეკლესიას პატრონობდნენ, მათთვის აქ მიუ-ღებელი იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქცია. ამიტომაც, ჩანს, მათი თხოვ-ნით ალანთა მეფეებმა, აბულფედას ცნობით, კავკასიის ალანიიდან გააძევეს ბიზანტიელი სასულიერო პირები, მას შემდეგ კავკასიის ალანიაში აფხაზეთის კათალიკოსთა იურისდიქცია განახორციელა.

სიტუაციიდან გამოსავალი კონსტანტინოპოლმა იმით იპოვა, რომ ალა-ნიის ეპარქია დააარსა ამავე კავკასიის რეგიონთან, ოღონდ დონისპირეთის სტეპებში, ყირიმთან ახლოს.

აღსანიშნავია, რომ ეს აზრი სიახლეა, რადგანაც ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია სხვაგავარად ამტკიცებს.

ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე მთლიანად შეიცვალა მონღოლებისა და თემურ ლენგის ეპოქაში.

ცნობილი რუსი მეცნიერი და კავკასიის მკვლევარი ვ. მილერი ამტკი-ცებს, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხი ყოფილი სტეპების მომთაბა-რეებია, რომელნიც თემურ ლენგის შემდეგ მთებში შევიდნენ, გაბატონდნენ და მოახდინეს ადგილობრივი კავკასიური ტომების ასიმილაცია, რის შემ-დეგაც ჩამოყალიბდნენ კავკასიის ამჟამინდელ ხალხებად. ნაშრომში ასევე სიახლეა მტკიცება იმისა, რომ მსგავსი წარმოშობისაა ადიღე ხალხი.

ათასწლეულთა მანძილზე ალთაი-ციმბირ-ყაზახეთის ფართო არეალი-დან მომთაბარე ხალხები უწყვეტი ჯაჭვის სახით გადაადგილდებოდნენ და-სავლეთ ევროპის მიმართულებით ჰუნები, ალანები და სხვები. ხალხთა გადა-სახლების ამ გზაზე მდებარეობდა ჩრდილო კავკასია. ამიტომაც აქ, ჩრდილო კავკსიაში, მრავალი ალტაურ-ციმბირული ტომი ჩასახლდა, მაგალითად მე-11 საუკუნეში ალტაის მხრიდან ჩრდილო კავკასიაში ჩამოსახლდნენ ყივჩაღები, მე-15 საუკუნისათვის ციმბირ-ყაზახეთის მხრიდან აქ ჩამოსახლდნენ ნოღაე-

ლები, ადიღებიც ამავე არეალიდან ჩამოსახლდნენ, ეს მტკიცება ჩვენი ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია.

ოქროს ურდოს დიდი მმართველი ედიგეი ჩრდილო კავკასიაში ებრძოდა ჯერ თოხთამიშს, შემდეგ კი მის მიერ ტახტიდან ჩამოგდებულ ხან შადიბეკს, რომელმაც თავი ჩრდილო კავკასიას შეაფარა.

თოხთამიშისა და შადიბეკის და მათი მომხრე – ადგილობრივი (კავკასიური) მოსახლეობის საბოლოო დამორჩილების მიზნით ედიგეიმ (ადიგეიმ) დასავლეთ ციმბირ-ყაზახეთის მხრიდან ჩრდილო კავკასიაში თავისი ულუსი ჩამოასახლა.

თოხთამიშიც და ედიგეიც, წარმოშობით, ტიუმენ-ენისეისპირსეთის ულუსის მმართველ-დიდებულთა შვილები იყვნენ. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ არა მხოლოდ ოქროს ურდოს დიადი ქვეყნის მმართველობისათვის, არამედ აღნიშნულ ტიუმენის ულუსზე ბატონობისათვისაც.

საბოლოოდ, ტიუმენ-ენისეისპირთში (დასვლეთ ციმბირში) მომთაბარე ულუსი ედიგეიმ მემკვიდრეობით და ნადავლის სახით მიიღო დამარცხებული თოხთამიშისაგან, ეს იყო დიდი ძალა, დიდი ლაშქარი ოქროს ურდოში ბატონობის შესანარჩუნებლად.

ეს ულუსი ახლა ედიგეის ესაჭიროებოდა ჩრდილო კავკასიის საბოლოოდ დასამორჩილებლად, მართლაც ედიგეიმ, როგორც აჩვენებს გამოკვლევა, ეს ციმბირული ულუსი ანუ ჯარი თავისი დედა-წულითურთ, შემოიყვანა ჩრდილო კავკასიაში და მას დაუმორჩილა ისედაც თემურ ლენგის მიერ დამარცხებული და დასუსტებული ყველა იქაური ხალხი.

ამ ულუსის ხალხს ჩრდილო კავკასიაში ადიღეველები ეწოდათ თავიანთი წინამძღვრის სახელის შესაბამისად. არქეოლოგიური მასალა უჩვენებს, რომ ადიღე ხალხის მეომრები სასტიკი დაუნდობლობით ებრძოდნენ ადგილობრივ ხალხებს, შეძლეს მათი დიდი ნაწილის ამოხოცვა, ხოლო გადარჩენილები ასიმილირდნენ და შეერივნენ ჩამოსულ დამპყრობლებს, საბოლოოდ კი, ადიღეურ ხალხებად ჩამოყალიბდნენ ჩერქეზები, აბაზები და სხვები. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეს კავკასიელი ხალხები ისედაც ძალაგამოცლილები და დასუსტებულები იყვნენ თემურ-ლენგის მიერ. ამიტომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ მათი საბოლოოო დამორჩილება და ასიმილაცია შედარებით ადვილად შეძლეს ადიღეველებმა.

როგორც აღინიშნა, ადიღებში ასიმილირდნენ იქამდე თურქულენოვანი ჩერქეზები, რომელნიც, თავის მხრივ, ჩრდილო კავკასიაში ახალი ჩასახლებულები იყვნენ. ასიმილაციის შემდეგ ჩერქეზები ადიღეურენოვან ხალხად იქცა. ასევე ადიღებში ასიმილირდნენ იქამდე კავკასიური ტომები – აბაზები, ჯიქები, აფხაზები და სხვანი, რაც განხილულია ნაშრომში.

ადიღების შესახებ არსებობს თეორიები, მათი შუმერებისა და ხეთებისგან წარმოშობის, დასავლეთ საქართველოში მათი თავდაპირველი ცხოვრების შესახებ. ბოლო წლებში აღმოჩნდა, რომ ადიღეური ხალხების ენები განეკუთვნებიან ენათა ჩინურ (სინურ)-ტიბეტურ ოჯახს. ამ აღმოჩენის შემდეგ ჩამოყალიბდა ფანტასტიკური თეორია, თითქოსდა ეს ენა კავკასიიდან გავრცე-

ლდა ჩინეთსა და ტიბეტში, ასევე ჩრდილო ამერიკის აბორიგენთა შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუკუნეებით ადრე.

ჩვენი კვლევა ამ მხრივ სიახლეა, იმით, რომ მისი ჩვენებით სინურ-ტიბეტური ენათა მატარებელი ტომები ანუ ადიღე ხალხი დასავლეთ ციმბირ-ჩრდილო ყაზახეთის მომთაბარეთა არალიდან კავკასიაში ჩამოასახლა ედიგეიმ და იქამდე კავკასიაში არასოდეს უცხოვრიათ სინურ ენაათა მატარებელ ხალხებს.

როგორც ითქვა, ადიღეველები კავკასიაში გამოჩნდენ არა ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, როგორც ამჟამად მიჩნევა, არამედ მხოლოდ თემურ ლენგ თოხთამიშ-ედიგეის ეპოქაში.

ძალზე საეჭვოა და დაუჯერებელია მტკიცება თითქოსდა სინურ ენათა მატარებლები იყვნენ შუამდინარეთის ხალხები (ხატები და სხვები) ათასწლეულებით ადრე და მათი შთამომავლებია ადიღები, ჩვენი კვლევით, როგორც ითქვა, ადიღები მხოლოდ მონღოლურ – ოქროს ურდოს ეპოქაში გამოჩნდნენ კავკასიაში ყივჩაღთა (მე–11 საუკუნეში) და ნოღაელთა მსგავსად. როგორც ითქვა, ამავე რეგიონიდან (დასავლეთ ციმბირ-ყაზახეთიდან) ამავე ეპოქაში ჩამოსახლდა ნოღაელთა ხალხი, ასევე ედიგეის ინიციატივით.

ადიღები ჩრდილო კავკასიაში ჩამოასახლა ოქროს ურდოს მმართველმა ედიგეიმ მე-15 ს. დასაწყისში თავისი პოლიტიკური საჭიროებისათვის, ამასთანავე, მათ, ჩრდილო კავკასიის ნაყოფიერი ველები თავიანთი საქონლის გამოსაკვებად ესაჭიროებოდათ. მართლაც წყაროები მხოლოდ მე-15 ს. დასაწყისიდან იცნობენ ადიღე ხალხს.

ჩრდილო კავკასიაში ედიგეის ანუ ადიღეს ხალხი მე-15, მე-16 სს-ში გადაიქცა ზედა ფენად მის მიერ დამორჩილებული ჩრდილოკავკასიური აბორიგენული ტომებისა.

საბოლოოდ ასიმილაციის შედეგად ადიღეს ტომთა დომინანტობით ჩრდილოკავკასიური ადგილობრივი ტომები შეერწყნენ ედიგეის ხალხს და ჩამოყალიბდა ერთიანი მრავალტომიანი ეთნოსი, რომელიც ამჟამად ადიღეელთა სახელითაა ცნობილი.

მე-17 საუკუნისათვის ადიღე-ჩერქეზებმა გაძლიერების კვალდაკვალ შეძლეს კავკასიის ქედის გადმოლახვა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად.

მე-17 ს. დასაწყისში მათ აფხაზეთის სამთავროს დამორჩილების შემდეგ შეძლეს იქ გაბატონება და ამ მიწა-წყლის თავიანთ ბაზად გადაქცევა, საიდანაც უტევდნენ სამეგრელოს. აფხაზეთში ცხოვრების გამო მათ ქართველებმა „აფხაზები“ უწოდეს. აფხაზეთის ათვისებისა დ გაძლიერებისთანავე „აფხაზებმა“ ანუ ადიღე-ჩერქეზებმა შეუტიეს სამეგრელოს სამთავროს, რომლის საზღვარი მაშინ კოდორზე გადიოდა.

ლევან მეორე დადიანმა და ასევე მოქვის, დრანდისა და ბედიის ეპისკოპოსებმა გაიღეს უკანასკნელი სახსრები თავიანთი ეპარქიებისა ქრისტიანი მრევლის ადიღე-ჩერქეზებისაგან დასაცავად, ხალხის თანამონაწილეობით მათ ააგეს გრანდიოზული, თითქმის 100 კილომეტრის სიგრძის ციხე-გალა-

ვანი, სამეგრელოს თავდაცვითი კედელი, რომელსაც ამჟამად „აფხაზეთის დიდი კედელი“ ეწოდება.

ამის მიუხედავად, ლევან მეორე დადიანის გარდაცვალების კვალდაკვალ, ჩერქეზებმა შეძლეს წინააღმდეგობის დაძლევა და სასტიკად გაანადგურეს სამეგრელოს იმჟამად აყვავებული რეგიონები, მოქვის, დრანდისა და ბედიის სეპისკოპოსოთა ტერიტორიები, ააოხრეს ეს უდიდესი საეკლესიო ცენტრები, მღვდელმთავრებმა თავი შეაფარეს იერუსალიმსა და ასევე საქართველოს ქრისტიანულ სხვა რეგიონებს.

ადიღე-ჩერქეზებს შემოსევათა გამო აფხაზეთის კათალიკოსი იძულებული გახდა მიეტოვებინა ბიჭვინთის კათედრა და საკათალიკოსო ტახტი ანაკოფიის ციხე-სიმაგრეში გადაეტანა, მალე აქედანაც მოუწია გადასვლა ჯერ ხობის მონასტერში, საბოლოოდ კი გელათში.

უდიდესი საეკლესიო საგანძური, რომელსაც მოღწეული წერილობითი საბუთების თანახმად ქართველი მეფეები, დიდებულები და საეკლესიო პირები წირავდნენ ბიჭვინთას, მოქვის, დრანდის, ბედიის საყდრებს, სხვა უამრავ ეკლესია მონასტერს – გამარჯვებულ ადიღე ჩერქეზებს დარჩა, რომელთაც ამჟამად აფსუებს, ოფიციალურად კი აფხაზებს უწოდებენ.

გამარჯვებულმა ადიღე-ჩერქეზებმა სიკვდილს გადარჩენილი მოსახლეობა ან მონებად დაყიდეს, ანდა გადააქციეს საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენად.

მხოლოდ რუხის ციხესთან ბრძოლის შემდეგ გახდა შესაძლებელი მათი შემოტევის შეჩერება, მე-18 ს. დასაწყისისათვის სამეგრელომ დაკარგა ამჟამინდელი გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები ანაკლიისა და სოხუმის ციხეებთან ერთად.

ადიღები (ადიღე-ჩერქეზები) ასევე ებრძოდნენ ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონის ქართველობას, ადიღეთა შემოსევამდე ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილის მთიანეთი, მთისწინეთი და მიმდებარე სტეპები დასახლებული იყო სვანებით (და საერთოდ ქართველებით), მათ მომხვდურებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, იმდენად, რომ ჩერქეზ მთავარს, რომელიც ივან გროზნის სიმამრი იყო, დასჭირდა თხოვნით მიემართა თავის სიძისათვის, რუსეთის ხელმწიფისათვის. ივან გროზნიმ მას მეთოფეთა რაზმი გაუგზავნა.

იმის გამოც, რომ ახალი შემოღებული იყო ეს ცეცხლსასროლი იარაღი, რუს-ჩერქეზთა გაერთიანებულმა ჯარმა შეძლო გადაეწვა 150 სვანური სოფელი ჩრდილო კავკასიისა, ამის შედეგად სვანების განსახლების არეალი ჩრდილო კავკასიაში მკვეთრად შემცირდა, მიუხედავად, ამისა, ადგილზე დარჩენილა სვანთა ისეთი დიდი რაოდენობა, რომ ადიღეური ენის ადგილობრივ დიალექტში შევიდა მრავალი სვანური (საერთოდ ქართული ფუძის მქონე) სიტყვა სასოფლო სამეურნეო, სოციალური, სამოხელეო და საეკლესიო ტერმინი.

ეს იყო ერთერთი პირველი შემოტევა, ამის შემდეგ სვანების წინააღმდეგ იბრძოდნენ ძირითადად თურქულენოვანი ტომები (მე-17, მე-18 სს.) და ესახლებოდნენ მათ მიწებზე, სვანური მოსახლეობის ნაწილი მათ განერიდა, ად-

გილზე დარჩენილებს, რომელნიც მუსულმანებად იქცნენ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი სვანური წარმოშობა.

რუსულ და შეიძლება ითქვას ქართულ სამეცნიერო წრეებში, რაც აისახება საინტერნეტო სივრცეზე, მიღებულია, რომ ზელენჯუკ-არხიზის, შოანა შუანასა და სენტის ეკლესიები ალანური ტაძრებია, შემავალნი ალანიის ეპარქიაში, ნაგებნი ბიზანტიელთა მიერ მე-10 საუკუნეში, რომელნიც ამ საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე უცვლელად იდგნენ.

სრულიად იჩქმალება მრავალი ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ეკლესიები საუკუნეთა მანძილზე მოქმედებდნენ და მათ ჰყავდა ერთგული მრევლი მე-17, მე-18 საუკუნეებშიც კი, მაგალითად – შუანას, იგივე შოანას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, თვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ლოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში, მღვდელი ლოცულობდა შუანას ეკლესიაში და მას მრევლი ჰყავდა. შოანას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერი იყო.

ამჟამად რუსული ორიენტაციის მკვლევარები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ შოანას ეკლესია ალანებისა იყო, მაშინ, როცა ალანია ალანებითურთ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გაანადგურეს მონღოლებმა. მაშ, ვინ ლოცულობდა შოანას ეკლესიაში მე-18 საუკუნეში მღვდელთან ერთად, როგორც რეინეგსი წერს? არა ალანები ანდა ოსები, არამედ ქართველები, კერძოდ კი სვანები. სწორედ მათ შემოინახეს მე-19 ს. დასაწყისში შესანიშნავად მდგარი შოანას ეკლესია მთელი სახურავითა და კედლებით, რომელსაც მე-18 საუკუნეში თავისი ზარებიც კი ჰქონდა. ქართველები აქედან გააძევეს უფრო 18 ს.-ში მუსულმანურმა „სავიარებმა“. რუსებმა კი ეს უკანონობა დააკანონეს, ხოლო მე-19 ს-ში რუსებმა აქ ოსები ჩაასახლეს ერთერთ ახლო სოფელში, სოფელს ხეთაგუროვო დაარქვეს.

„ტაძართან ახლოს უნდა ყოფილიყო წიგნსაცავი, საიდანაც რაინეგსმა წაიღო ორი წიგნი: ერთი საეკლესიო ცნობარი და მეორე, სავარაუდოდ, იესო ქრისტეს ცხოვრება. წიგნები დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება“, წერს თ. დიასამიძე. მე ვფიქრობ, რომ მე-18 საუკუნეშიც კი შოანას მოქმედ მღვდელს ლიტურგიისა და ლოცვებისათვის წიგნები ესაჭიროებოდა და, ცხადია, ეს წიგნები ქართულენოვანი იყო, რადგანაც მე-18 საუკუნეში კავკასიის მთებში წირვა-ლოცვას არავინ აღასრულებდა ბერძნული, რუსული, ოსური ანდა აფსუათა ენებით. ერთადერთი სალიტურგიო ენა კავკასიაში მე-12 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე, რუსების გაბატონებამდე, იყო ქართული ენა. ესაა ფაქტი.

სწორედ ქართული ენის კავკასიის მთიანი რეგიონიდან გასაძევებლად შექმნეს რუსებმა ადგილობრივ დიალექტებზე საქრისტიანო წიგნები, რითაც არა მხოლოდ ქართული ენა გააძევეს კავკასიის მთებიდან, არამედ სათავე დაუდეს არაქართული და არაქრისტიანული ეთნოცნობიერების ფორმირებას

და ყოფილ ქართულ ეთნოსუბსტრატზე ჩამოაყალიბეს ახალი პატარა ეთნოსები, ოღონდ უკვე მუსულმანური აღმსარებლობისა.

რუსულ საინტერნეტო სივრცეში ისმის კითხვა, რატომ არ დაანგრიეს მონღოლებმა ალნთა უსასტიკესი დევნისას ალანების ეკლესიებად მიჩნეული ზელენჯუკისა და სხვა ტაძრები, მათ არა აქვთ პასუხი ამ კითხვაზე, სინამდვილეში კი ეს ტაძრები იდგნენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიებზე, დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოსთან კი მონღოლებმა ზავი დადეს 1230–40-იან წლებში, სტეპების ალანებთან ომისას, ამის გამო ცხადია, მონღოლები ვერ შეეხებოდნენ ქართველი მეფეების მიერ ნაგებ და საქართველოს ტერიტორიაზე მდგარ აღნიშნულ ტაძრებს.

ზელენჯუკში არ იდგა კათედრა ალანიის მიტროპოლიტისა, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონსანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში, არამედ დონისპირეთის სტეპებში, ის იქ შეიქმნა მომთაბარე, ნომადი ქრისტიანი ალანებისათავის

ნომად ქრისტიან ალანებს, დონისპირეთის ამ გაშლილ ველებზე, თავიანთი მწემსური ცხოვრებიდან გამომდინარე არ ჰქონდათ ქალაქები, ამიტომაც მათი ეპარქიის მღვდელმთავარს ბიზანტიამ კათედრა დაუარსა სოტირიოპოლში, ლაზიკაში.

რაც შეეხება ზელენჯუკ-შოანა-სენტის ეკლესიებს ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურიდიქციაში შედიოდნენ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ამ რეგიონიდან კავკასიელ ალანთა მეფეებმა ბერძენი სასულიერო პირები გააძევეს აფხაზ მეფეთა მოთხოვნით.

იგივე ვითარება იყო ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებშიც. ამჟამინდელი ჩრდილო ოსეთის სამხრეთი ნაწილი თემურლენგამდე დასახლებული იყო დვალების ეთნო ჯგუფით, რომელიც საქართველოს ეკლესიის ერთგული მრევლი იყო.

ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერებას ემსახურებოდნენ ქართულ ხელნაწერთა გადამწერი დვალი მწერლები და სხვა სასულიერო პირები, მაგალითად დვალეთის სოფელ წეიდან იყო წმიდა ნიკოლოზ დვალი, საქართველოს ეკლესიის წმიდანი, ის ჯერ კიდევ თავის დაბადებამდე შეწირეს მშობლებმა ღმერთს, ამიტომაც ის იზრდებოდა სხვადასხვა ქართულ მონასტრებში, საბოლოოდ კი მუსულმანობა ამხილა და მათ მიერ აღესრულა.

დვალეთის ქრისტიანთა ბედი შეიცვალა მონღოლთა და თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდეგ ჩრდილო კავკასიაში. მართალია მონღოლები ებრძოდნენ ალანებს კავკასიის არეალზე, მაგრამ ალანების სხვა, ჩანს ირანულენოვანი ჯგუფები, შუა აზია-ალტაის მხარეებში მათ ემხრობოდნენ, და ისინი ლაშქრობისას მონღოლებს კავკასიაში შემოყვნენ.

ირანულენოვანმა მცირერიცხოვანმა ოსებმა, რომელნიც თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდეგ შევიდნენ დვალეთში, შეძლეს მისი დაპყრობა, დამორჩილება დამარცხებული დვალებისა, მოახდინეს მათი ასიმილაცია.

საბოლოოდ ეს ორი ჯგუფი ურთიერთშერწყმის შემდეგ ჩამოყალიბდა თანამედროვე ოს ხალხად, შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკურად ეს ახალი ხალხი – მემკვიდრეა ძველი კავკასიელი დვალებისა, მაგრამ ეთნოთვითშემეცნებით ოსურია.

დვალეთში ახლაც შემორჩენილია მრავალი ქრისტიანული ნაეკლესიარი, რომლებშიც თავის დროს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

გაოსებული დვალები ძირითადად, მე-18 ს-ში და განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში დვალეთიდან, ვითარცა ლტოლვილი ღატაკები, თავს აფარებდნენ შიდა ქართლის მთიანეთს, რუსეთის პოლიტიკოსებმა საჭიროდ მიიჩნიეს მათზე დაყრდნობით დასუსტება შიდა ქართლის მეპატრონე თავადაზნაურობისა, ბატონყმობის გაუქმებამდე (მე-19 ს. პირველ ნახევარში) მათ მიანიჭეს განსაკუთრებული პრივილეგიები, იქამდე, რომ მათ ათავისუფლებდნენ ბატონყმობის უღლისაგან. ამის გამო, ბატონყმობის უღლისაგან გათავისუფლების იმედით, მრავალი ქართლელი მთიელი თავს ოსად აწერინებდა (ე.წ. ოსებში ქრისტიანობის აღმდგენელ კომისიას).

მსგავსი სურათი იყო სხვა რეგიონშიც.

ამჟამინდელი ხევსურეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები მე-18 საუკუნემდეც კი დასახლებული იყო ქრისტიანი მოსახლეობით (მათ „ქერისტებს“ (ქისტებს), ანუ ქრისტიანებს უწოდებდნენ მეზობელი მუსულმანები), ჩრდილო კავკასიის ბარიდან მთებში შესულმა მუსულმანებმა მათთან დიდი ომები გამართეს, ამის გამო მრავალმა ქრისტიანმა დატოვა მთები და თავი სხვა ქრისტიანულ ოლქებს შეაფარა. მთებიდან მათი საბოლოო მასიური გადმოსახლება ქრისტიანულ საქართველოში ძირითადად მოხდა შამილის ეპოქაში, მე-19 ს. 20–40-იან წლებში, ნაწილი კი ასიმილირდა ჩრდილო კავკასიის ბარიდან შესულ მუსულმანურ მოსახლეობაში. გადმოსახლებულებში, განსაკუთრებით კი პანკისის ხეობაში მე-20 საუკუნეში, გაიმარჯვა მუსულმანურმა აღმსარებლობამ.

თემურ-ლენგამდე, დაღესტანი, მისი დასავლეთი ნაწილი, განიხილებოდა როგორც ერთერთი ოლქი (საერისთავო) კახეთისა, მას ერქვა „კახეთის მთიულეთი“, მასა და „გარე კახეთს“ შორის მოქცეული იყო კახეთის ძირითადი, ანუ ცენტრალური ნაწილი.

თემურ-ლენგის შემდეგ კახეთმა დაკარგა თავისი მთიულეთი, ხოლო შახ-აბასის ლაშქრობათა შემდეგ დაკარგა თავისი ცენტრალური ოლქი, სადაც იქამდე მისი დედაქალაქები ზაგემი და ბაზარ-ქალაქი იყო განლაგებული, ამ ოლქს ამჟამად საინგილო ეწოდება, მისი გეოგრაფიული გაგრძელებაა აღნიშნული კახეთის მთიულეთი ანუ დასავლეთ დაღესტანი, ერთ დროს დასახლებული ქრისტიანი, ქართულ ენაზე მლოცველი და ქართული წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობით, რომელიც გმირულად იბრძოდა თავისი სარწმუნოების – ქრისტიანობის დასაცავად, მაგრამ დამარცხდა, შემოსულებში ასიმილირდა და საბოლოოდ დაკარგა ქრისტიანობა. შესაბამისად გაქრა ხუნძეთის საკათალიკოსო.

ამჟამად აიგივებენ ალბანეთსა და ჰერეთს, სინამდვილეში ისინი არსებობდნენ სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა საუკუნეებში, გააჩნდათ სხვადასხვა საზღვრები და დასახლებული იყვნენ სხვადასხვა ხალხით, კერძოდ ალბანეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა მე-5 საუკუნეში და თავის ეკლესიასთან ერთად ალბანელი ხალხი შეერწყა სომხურ ეკლესიასა და ხალხს, ხოლო ჰერეთის ადგილობრივმა ქართველმა ხალხმა დაარსა თავისი სახელმწიფო არაბობის ეპოქაში. ის, არაბთა მხარდაჭერით.

ქართველთა ეს სამეფო (ჰერეთი) ისე გაძლიერდა, რომ მე-10 საუკუნეში, კახეთის საქორეპისკოპოსოს სოფლებიც (გავაზი და სხვა პუნქტები) კი წაართვა, მაგრამ შემდეგ მალევე, ქართველი ხალხის ეს ორი სახელმწიფო, კახეთისა და ჰერეთისა (რანისა), გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ და ეკლესიად.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მართლდება თეიმურაზ ბატონიშვილისა და სხვა მრავალ წყაროთა ცნობები, რომ ჩრდილო კავკასია მონღოლებამდე დასახლებული იყო ქართული ენის მცოდნე, საქართველოს ეკლესიის მრევლით, მათი მხურვალე სარწმუნოება ძირთადად ჩაახშო თემურ ლენგის ლაშქრობამ, მან საბოლოოდ შეცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე, ოქროს ურდოს ეპოქაში იქ ჩასახლდა სხვადასხვა მომთაბარე ხალხები, რომელნიც იქცნენ ჰეგემონებად, მოახდინეს ადგილობრივი ხალხების ნარჩენების ასიმილირება და მათ შეუცვალეს სარწმუნოება.

ფოტო კობეთის ჯვარი (Крест Морох (близ с. Кобет) ე.წ. ლათინური ჯვარი, სინამდვილეში ქართული ჯვარი ე.წ. ს.კობეთი, სოფელს აქვს ქართული დაბოლოება – ეთ.

над ущельем реки Джоджора, у селения Кобет в Южной Осетии, местечко-поляна Морах. სავარაუდოდ, ესაა ადგილობრივ მფლობელ – თავად ჯაფარიძეთა ჯვარი. ჯაფარიძეები აქედან გააძევეს შემოსულმა გაოსებულმა დვალებმა, ხოლო, თავადი ჯაფარიძე, როგორც ხალხური ლექსი გადმოცემს, აკუწეს.

ქლუხორი
კისლოვოდსკი
პატიგორსკი
ნალჩიკი
მოზდოკი
რუსეთის სფსრ
გროზნო
ბაკურიანი
ბაქსანი
ბაქსანი
ბაქს

ფოტო – ქვა – ჯვარი შუანას ეკლესიასთან. ჯვრის თავი წააგავს
თამარის გვირგვინის ფორმას

სენტის საძვალის ფორმა მიაგავს პეტრიწონის საძვალეს



„ბალყარუყ-ყალა“ სოფ. ზედა ჩეგემი (ელტი- «Балкару-кала» село верх. Чегеми
უმე)



ოთახები კლდეში (თამარის მთის მიდამოები) «Комнаты» в скале

გადაფხეკილი, სავარაუდოდ, ქართული წარწერა სენტში

ლიხნის ასლი, ზელენჯუკის ეკლესია

ქართული დიდი ქარაგმა ასომთავრულით შესრულებული „ჯ–ო“
(ჯვარო) ზელენჯუკთან



ქართულენოვანი
წარწერა ქვის
ჯვარზე XII-XIII
სს. ხუნძახის
რაიონი.

ფოტო– სვანური მურყვამის ქვა ზელენჯუკთან, სადაც ადგილობრივი ქრისტიანი სვანები აღასრულებდნენ სარიტუალო ცერემონიებს (შეჯიბრებითი ცეკვები, კოშკობა, მურყვამობა)



ფსალმუნი (X ს., ბ რედაქცია).
მაღი-იერდას ეკლესიიდან.
ინგუშეთი.

ევქარისტიული
პურის
(სეფისკვერის)
ქართულწარწერიანი
საბეჭდავი.
X–XI სს.
ხუნძახი
(ავარეთი).
დაღისტანი.

ქვის ემბაზი.
ტყობდა-ჯერდას
ტაძარი. X ს.
II ნახ. ინგუშეთი.



ჯვრის
გამოსახულება.
ნუზალის
სამლოცველო.
ისტორიული
ღვალეთი.
ჩრდილოეთ ოსეთი.

ქართული წარწერა ჩრდილო ოსეთის ნუზალის ეკლესიის ფრესკაზე

არსენი მამამთავრის (955–980)
წარწერა ტყობილა-ღერდას ტაძრის კრამიტზე.

წმიდა იოანე. ნუზალის სამლოცველო. XIII ს.
ისტორიული დვალეთი (ჩრდილოეთ ოსეთი).

ქართულწარწერიანი ფრესკა ჩრდილო ოსეთი, ნუზალი

ფოტო – კოშკი გოლგოთიანი ჯვარით ინგუშეთში

ასომთავრული წარწერა ინგუშეთის თარგიმის ეკლესიაში



ფოტო – ინგუშეთი, დელიტეს ეკლესია

ფოტო– ჯვრიანი კოშკები ინგუშეთში

65. Карта локализации святилищ разных типов в Ингушетии

19119611.photoshare.ru



ფოტო – ქართული ხელნაწერი ფურცელი აღმოჩენილი დაღესტანში მუსლიმური წიგნის ყდაში

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ათტომეულში გადმოცემულია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება უძველესი ხანიდან ვიდრე XXI საუკუნემდე

პირველი ოთხი ტომი უშუალოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას წარმოადგენს მასში წმიდა მოციქულების ეპოქიდანვე სრულფასოვნად არის აღწერილი ჩვენი ეკლესიის ცხოვრება უამრავი წყაროსა და ლიტერატურის დართვით. ამასთან, მას წინ უძღვის ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმოხილვა და უფალი ღმერთის მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მომზადება ქრისტიანობის მისაღებად

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მე-5 ტომის სახელია „არიან ქართლი, საეპისკოპოები ისტორიულ ივერიაში“ მე-6 ტომის სახელია – ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში,“ მე-7 ტომის სახელია „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII–XX **საუკუნეებში მე-8 ტომის სახელია –„საქართველოს საეკლესიო კანონები“, მე-9 ტომის სახელია –„საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, მე-10 ტომის სახელია – „საქართველოს ეკლესიის ისტორიის ატლასი, რუკების კრებული წყაროების გამოყენებით“.**

ყველა ეს ტომი რამდენჯერმე დაიბეჭდა სხვადასხვა გამომცემლობის მიერ, ამჟამად კი პირველად იბეჭდება ერთად თავმოყრილი, ზოგადი სახელით, რადგანაც ყველა ეს ტომი ერთობლიობაში წარმოადგენს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას.

მადლობა უფალს, ყოვლადწმიდა სამებას, რომლის სადიდებლადაც დაიწერა ეს ტომეულები.

დიდება და მადლობა უფალს.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დამატება

ათტომეულის განმარტება

მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ რამდენჯერმე გამოიცა.

პირველად მისი პირველი ტომი, მომზადებული ახალციხეში, დაიბეჭდა 1988 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, არაოფიციალურად, იატაკქვეშა სტამბაში.

მეორეჯერ ის დაბეჭდა ოთხტომეულის სახით გამომცემლობა „მერანმა“ 1996–1998 წლებში.

მესამედ, 2009 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ალილომ“ ერთ დიდ ტომად, ხოლო შემდეგში ასევე ოთხტომეულის სახით დაბეჭდა გამომცემლობა „გუმბათმა“ 2012 წელს.

ამჟამად იბეჭდება სრულიად სხვა, შევსებული, უკვე 10 ტომეულის სახით.

1–4 ტომი უშუალოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

ამ წიგნის, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“, დაწერა დაკავშირებულია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ღვაწლთან.

ვმადლობთ უფალს, რომ 1990 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ მას გააჩნდა თავისი დაძაბული წინაისტორია.

ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ 1981 წელს უწმიდესმა პატრიარქმა მეუფე ანანია დანიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ. ამიტომ მას ევალებოდა გაცნობოდა უცხოეთიდან მოსულ შესაბამის წერილებსს. ამ დროისათვის პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო საპატრიარქოსთან და ბერძნულ სხვა საპატრიარქოებთან ურთიერთობას. იგზავნებოდა და იქედანაც მოდიოდა წერილები. როგორც მეუფე ბრძანებს მას, იმჟამად ახალგაზრდა ეპისკოპოსს, აოცებდა ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან მოსულ წერილებში ჩვენი პატრიარქი არასოდეს მოიხსენებოდა პატრიარქად, მას ამ წერილებში ეწოდებოდა „უნეტარესი კათალიკოსი“.

მიზეზი ამისა, როგორც უწმიდესმა ბრძანა, იყო ის, რომ იმჟამად კონსტანტინოპოლი არ აღიარებდა ჩვენი ეკლესიის საპატრიარქო ღირსებას, მაშასადამე მათთვის ჩვენი პატრიარქი იყო არა პატრიარქი არამედ მხოლოდ კათალიკოსი ანუ მიტროპოლიტის რანგის პირველიერარქი. უფრო მეტიც კონსტანტინოპოლი იმჟამად არ აღიარებდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას და აყენებდა ავტონომიურ ეკლესიათა რიგში.

მეუფეს ახსოვს, რომ იქედან მიღებული ზოგიერთი წერილი უწმიდესს ცუდ ხასიათზე აყენებდა. მაგრამ უწმიდესი უკან მრავალ წერილ აგზავნიდა.

კონსტანტინოპოლიდან საპასუხოდ მოსულ წერილებში თანდათან იცვლებოდა მათი განწყობილება ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ, ბოლოს ისინი დაჟინებით მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ მათთან გაგზავნილიყო საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის შესახებ სამეცნიერო გამოკვლევა წყაროებით გაჯერებული.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ასეთი გამოკვლევა თანამედროვე სახისა, ახალი მასალებით და მიდგომებით სათანადოდ გაჯერებული, არ არსებობდა, ალბათ, მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის კვლევა უკვე აღარ იყო საჭირო.

მეუფე ბრძანებს, რომ მას ერთი საინტერესო მაგალითი შეემთხვა – ქუჩაში შეხვდა ძველ ნაცნობი, ამჟამად ცნობილი, იმჟამად კი ახალგაზრდა ისტორიკოსი. მან იცოდა მეუფის სიყვარული ისტორიის მიმართ და შეეკითხა თუ რა თემაზე მუშაობდა. მეუფემ უპასუხა, რომ ვმუშაობ საკითხებზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. მან ირონიულად შემოხედა და უთხრა „ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია მე-11 საუკუნეში უკვე მოიპოვა გიორგი მთაწმინდელმა“, უთხრა და მაშინვე გაშორდა, პასუხსაც არ დალოდებია.

ეს ნიშნავს, რომ მან, ახალგაზრდა ისტორიკოსმა, რომელსაც აინტერესებდა ეკლესია და დაახლოვებული იყო სამეცნიერო წრეებთან, ოდნავადაც კი არ იცოდა თუ რა საკითხები აშფოთებდა საპატრიარქოს იმჟამად 1980-იანი წლების დასაწყისში.

ეს ფაქტი ასახავს სურათს იმისა, რომ კომუნისტ-ათეისტურ ეპოქაში მეცნიერები და საერთოდ ინტელიგენცია არა თუ იცნობდა ეკლესიას, პირიქით ერიდებოდა მასთან კონტაქტს, შესაბამისად მათთვის უცნობი იყო არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან არსებული ჩვენი პრობლემები, არამედ, ზოგადი საეკლესიო საკითხები.

მათ მისაზიდად უწმიდესს დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

საერთოდ, იმჟამად, პატრიარქი მათი მხრიდან გარკვეულ ვაკუუმში იყო, ამასთანავე ის ერთეული ისტორიკოსებიც (მაგალითად საგანგებოდ მიწვეული ძვირფასი ქალბატონი ბაბილინა ლომინაძე) ბოლომდე ვერ ერკვეოდა საეკლესიო საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში და თუ რა სახის ნაშრომებს მოითხოვდნენ უცხოელები, საეკლესიო სპეციფიკა მათთვის გამოცანა იყო.

ამ მხრივ, როგორც ჩანს უფრო სასურველი იქნებოდა თუკი თვით რომელიმე სასულიერო პირი თავის თავზე მიიღებდა ამ საკითხების კვლევას. როგორც ჩანს უწმიდესიის თვალში ერთერთი მათგანი მეუფე ანანია იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში უწმიდესმა მეუფე ანანიას თავდაპირველად დაავალა დაეწერა თემა: „საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში“, ეს იყო სრულიად გამოუკვლეველი საკითხი.

დიპტიხის საკითხი იყო სადავო მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შეყვანილი იყო იმ ათ თემას შორის, რომელიც უნდა განეხილა სამომავლოდ „მსოფლიო საეკლესიო კრებას“, რომლის მოსაწვევადაც იმჟამად აქტიურობდა კონსტანტინოპოლი.

ამ „მსოფლიო საეკლესიო კრების“ მოსამზადებლად იმჟამად ტარდებოდა მრავალი საერთაშორისო შეხვედრა, ერთერთ მათგანს მეუფე ანანიაც ესწრებოდა შამბეზში 1980-იანი წლების დასაწყისში.

ამ დროისათვის ყველა ეკლესიისაგან დაბეჯითებით მოითხოვეს, რათა მათ მოემზადებინათ ათივე აღნიშნული საკითხის შესახებ თავიანთი კვლევები და შეხედულებები.

დიპტიხის საკითხის შესახებ სხვადასხვა საპატრიარქომ მოამზადა საკუთარი თემა.

მეუფე ანანიამ მაშინ მოიძია კონსტანტინოპოლის, მოსკოვისა და სხვა საპატრიარქოების, ასევე ელადის ეკლესიის მიერ მომზადებული თემები დიპტიხის შესახებ.

ყველა მათგანში ცენტრალური ადგილი ეკავა მსჯელობას იმის შესახებ თუ რა ადგილი ეკუთვნოდა დიპტიხში საქართველოს ეკლესიას. ამავე დროს კი ჩვენს ეკლესიას არ ჰქონდა რაიმე გამოკვლევა დიპტიხის შესახებ. საჭირო იყო ჩვენს ქართულ წყაროებში მოძებნილიყო დიპტიხის შესახებ არსებული მასალა.

უნდა ითქვას, რომ მეუფე ანანიას 1980-იანი წლების შემდეგ მრავალი წელი, თავდადებული შრომა დასჭირდა დიპტიხის თემის მოსამზადებლად, და ბოლოს მან ეს ნამუშევარი ჩართო წიგნში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

სამწუხაროდ, დიპტიხის საკითხი ამჟამადაც გადაუწყვეტელია, რადგანაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 2016 წელს მოწვეულმა ე. წ. მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეს სადავო საკითხი აღარ ჩართო დღის წესრიგში და თანაც ის კრება ფაქტიურად ჩაიშალა.

საბედნიეროდ, 25 წლით უფრო ადრე, 1990 წელს, წარმატებით გადაიჭრა საქართველოს ავტოკეფალიის აღიარებისა და მისი საპატრიარქო ღირსების დადასტურების საკითხი ჩვენი უწმიდესის ღვაწლის შედეგად.

იქამდე, 1980-იანი წლების დასწყისში, როდესაც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული, დიპტიხის საკითხთან ერთად მეუფე ანანიას უწმიდესმა ილია მეორემ დაავალა მომემზადებინა თემა „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“.

უწმიდესი, ცხადია, ამ საკითხის კვლევას სხვა პირებსაც ავალებდა, მაგრამ მეუფე ანანიას, ვფიქრობ, საგანგებო ყურადღება მიაპყრო, რაც იქედან გამოჩნდა, რომ უწმიდესმა მას პირადად გადასცა სპეციალური ლიტერატურა, რომელიც, ზოგადად, საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხს შეეხებოდა. კერძოდ, თავის მეგობრებს მოსკოვში რუსულად ათარგმნინა ბერძენი კანონისტი მიტროპოლიტის მაქსიმე სარდელის ნაშრომი „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ეს წიგნი მიტროპოლიტ მაქსიმეს დაუბეჭდავს ათენის ჟურნალ თეოლოგიაში 1966 წელს ბერძნულ ენაზე, ის თარგმნეს, და ფაქტიურად ერთადერთი ხელის საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი რუსული თარგმანის სახით გადმოუგზავნეს უწმიდესს. და, ეს, როგორც ითქვა, ხელისსაბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლიარი უწმიდესმა მეუფე ანანიას გადასცა, რა-

თა მას ავტოკეფალიის თემაზე ემუშავა, ასევე ამავე საჭიროებისათვის უწმიდესმა მეუფე ანანიას პირადად გადასცა ათეისტურ სსრკ-ში იშვიათი, ცნობილი რუსი კანონისტის ა. კარტაშევის 1964 წელს პარიზში რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი „მსოფლიო საეკლესიო კრებები“. მათ გარდა უწმიდესმა საგანგებოდ მოაგროვებინა რუსეთის საპატრიარქოს ჟურნალების („ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი“) ის ეგზემპლიარები, რომლებშიც ავტოკეფალიის საკითხები იყო გაშუქებული, მეუფეს ახსოვს, რომ ასეთი იყო რამდენიმე 1949, 1950 და მის შემდეგ წლებში დაბეჭდილი ჟურნალები, მათ გარდა მეუფემ მოითხოვა და უწმიდესის კურთხევით მას გადასცეს ქართული „გეორგიკების“ ყველა ტომი („ტანჯვით შეგროვილი“), და ასევე სხვა მასალები, სადაც ქართული წყაროები ანდა უცხოელ ავტორთა მითითებები იყო გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

რატომაა საჭირო ამ ამბის გახსენება? იმიტომ რომ მეუფე ანანიამ უწმიდესის დავალებით მის მიერ მომზადებული აღნიშნული თემები „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ და „დიპტიხში ადგილის შესახებ“ საფუძვლად დაუდო ამ წიგნს – „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.

მეუფე ბრძანებს – „მახსოვს თავდაპირველად, ხელნაწერ ეგზემპლიარში ჩვენი ეკლესიის ისტორიას ვიწყებდი მე-6 საუკუნით, რადგან იმჟამად ძალზე მაწუხებდა და მაინტერესებდა სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობის საკითხები და მათი არასწორი გამოკვლევები ქართველი ავტორებისა. მაგალითად, ყველაზე ცნობილი მეცნიერი ამ საკითხებისა ზ. ალექსიძე ამტკიცებდა, რომ კირიონ 1-მა, მე-6 ს. ბოლოსა და მე-7 ს. დასწყისში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა დაუწესა გუგარქის სომხებს და ამით ისინი „გააქართველა“.

VI–X სს. თითქმის ყველა სომეხი მემატიანის ნაშრომების გაცნობის შემდეგო – ბრძანებს მეუფე – მე მივხვდი, რომ საქმე პირიქით იყო. მე-6 საუკუნეში არმენიისა და ქართლის მპყრობელი სპარსეთის იმპერია ქალკედონურ ბიზანტიის იმპერიასთან მუდმივი ომის გამო სასტიკად დევნიდა ქალკედონურ ქართულ ეკლესიას და აძლიერებდა სომხურ მონოფიზიტურს. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა მე-7 საუკუნეშიც არაბთა მპყრობელობის დროს.

ასეთ დროს სპარსელთა მხარდაჭერით სომხური ეკლესია გაბატონდა ალბანურ ეკლესიაზე, მალე ალბანურ ეკლესიაში სომხურმა ეკლესიამ აკრძალა ღვთისმსახურება ალბანურ ენაზე და ალბანეთში შემოღებული იქნა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ამას მიუთითებს კიდეც მოვსეს კალანკატუაცი მე-7 საუკუნის ამბების აღწერისას.

მაშასადამე, სომხური ეკლესია VI–VII საუკუნეებში ქართულ ეკლესიაზე უფრო ძლიერი იყო, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, ამიტომაც მან, თვით „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით, შეძლო გუგარქში აეკრძალა ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ამის ნაცვლად შემოიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ეს კი მოუთმენელი იყო ქართლის კათალიკოს კირიონისათვის, რომლის ერთერთი ეპარქიაც იყო გუგარქი.

კირონმა ისარგებლა პოლიტიკური მომენტით, როდესაც ბიზანტიამ სპარსეთთან ომის ფრონტზე წარმატებას მიაღწია, ამით გულმოცემულმა

კირიონმა აღუდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა გუგარქის ქართველობას, მაშასადამე სომხები კი არ გაქართველდნენ, როგორც ამტკიცებს ამჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფია, არამედ, გუგარქის მკვიდრმა ქართველებმა აღიდგინეს ქართულენოვნი ღვთისმსახურება.

ასევე მოხდა ერთი საუკუნის შემდეგ, დაახლოებით 780 წლისათვის, ტაოშიც.

მალევეო, ბრძანებს მეუფე, მივხვდი, რომ არ იყო სასურველი ისტორიის დაწყება მე-6 საუკუნედან, მაგრამ, იმჟამად, ეკლესიის ისტორიის დაწყება 1-ლი საუკუნედან, მოციქულების ეპოქიდან, მკრეხელობადაც კი მიიჩნეოდა საბჭოურ საზოგადოებაში. მაგალითად, იმჟამად „ეკლესიის კალენდრის“ რედაქტორმა მეუფეს განუცხადა: „დიდი ხანია ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგება არის ლეგენდა და არამეცნიერული თვალსაზრისი“, ანუ ჩვენი ეკლესიის ისტორიის დაწყება მოციქულთა ეპოქიდან არამეცნიერულად მიიჩნეოდა.

იმჟამად ხელმისაწვდომი არ იყო რაიმე ლიტერატურა მოციქულთა შესახებ, ამიტომ ძალზე დიდი ძიება დასჭირდა მეუფეს და საბოლოოდ ეკლესიის ისტორია დაიწყო საქართველოში მოციქულების ქადაგებიდან, იმჟამად, პირველად მის წიგნში ჩაიწერა, რომ არა ერთმა, არმედ ექვსმა მოციქულმა იქადაგა ისტორიულ საქართველოში. ამ თემის წინ წამოწევა მას ესაჭიროებოდა იმისათვის, რათა ემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო უკვე მოციქულების ეპოქიდან. მოციქულების მიერ დაფუძნებული ეკლესიები იმთავითვე ავტოკეფალურები იყვნენ. ეს ძველი თეორია, ჩამოყალიბებული მე-11 საუკუნეში წმიდა გიორგი მთაწმიდელის მიერ, ამჟამადაც უყურადღებოდაა მიტოვებული. მისმა ჩართვამ წიგნში შექმნა პრეცენდენტი იმისა, რომ თურმე შესაძლებელია ჩვენი ეკლესიის ისტორიის დაწყება წმიდა მოციქულებიდან.

ეს მომენტი შეაფასა ბატონმა ვ. გოილაძემ. ის მეუფის წიგნის წინასიტყვაობაში წერდა „ნაშრომის ერთ-ერთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ვრცელი და დეტალური ისტორიის გადმოცემა, რასაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა“.

ეს და მრავალი სხვა საკითხია გამოკვლეული წიგნში, შემდეგში მეუფემ ამ წიგნის შესავლის სახით დაწერა შრომა „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“, მისი ნაწილი შემდეგ წინ დაურთო „ალილოს“ მიერ გამოცემულ ერთტომეულს.

მეუფე ბრძანებს – „1988 წლიდან, ვიდრე 2019 წლამდე როდესაც იწერებოდა ეს ტომეულები, თითქმის 40 წლის მანძილზე, შეიცვალა თვით ჩემი დამოკიდებულება ზოგიერთი საკითხის მიმართ, რადგანაც თვით ეკლესიის ინტერესები შეიცვალა.

მაგალითად, 1990 წლამდე საქართველოს საპატრიარქოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ავტოკეფალიის საკითხების რკვევა, იმის შემდეგ რაც ეს პრობლემა გადაიჭრა, მალევე ეკლესიის წინაშე დადგა არანაკლებ მნიშვნელოვანი საეკლესიო იურისდიქციის საკითხი.

ეს, ანუ საეკლესიო იურისდიქციის საკითხი სადავოდ იქცა მას შემდეგ, რაც მტერმა მოახდინა საქართველოს ისტორიული ოლქების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოჩნდნენ საეკლესიო საპარტისტების ძალები, რომელნიც იბრძვიან რათა საქართველოს ახლა უკვე ეკლესიურად ჩამოაშორონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ჩამოაყალიბეს სეპარატისტული, თვითმარქვია, განყენებული ე.წ. „აფხაზეთის ავტოკეფალური სამიტროპოლიტო“ და ცხინვალში ე.წ. „ალანიის თავისთავადი სამიტროპოლიტო“. ამისათვის საეკლესიო სეპარატისტები საგულდაგულოდ იკვლევენ ისტორიას და ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ოლქებისათვის საქართველოს ეკლესიიდან დამოუკიდებლობის დამადასტურებული საბუთები. ამ სულისკვეთებით დაწერეს წიგნები, მათ შორის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობითაც. მათ, მაგალითად, კარგად გამოიყენეს ჩვენს მეცნიერებაში მტკიცედ დანერგილი თვალსაზრისი რომ მეათე საუკუნემდე თითქოსდა დასავლეთ საქართველო, (შესაბამისად აფხაზეთი) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს მტკიცებანი მათ მიიჩნიეს თავიანთვის ძალზე სასარგებლოდ და წარადგინეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. საქართველოს ეკლესიის შესახებ იგივე თვალსაზრისი გამოაქვეყნა კიდეც მოსკოვში დაბეჭდილმა „პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ“, „თუმცა მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც თბილისიდან მასალები გაიგზავნა მოსკოვში დასაბეჭდად“ – ბრძანა მეუფემ და განაგრძო – „საქმე ისაა, რომ ჩემი წიგნის პირველი ტომების წერის დროს მეც ვიზიარებდი იმჟამად აბსოლუტურად დამკვიდრებულ თვალსაზრისს რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა მე-10 საუკუნემდე, ამიტომ, ამ თვალსაზრისითაა დაწერილი პირველი ოთხი ტომი, ასევე, საეკლესიო კანონების კრებული და დენაციონალიზაციის ტომები. დაახლოებით 2000 წლისათვისო კი, ამბობს ის, მე მივხვდი და ეს იყო ურთულესი საქმე, რომ სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ე. წ. სამხრეთ ლაზიკას, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად „ლაზისტანი“ ეწოდება. დაახლოებით ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე, რომელსაც ასევე სამხრეთ ეგრისს ვუწოდებ. ეს ძიება გრძელდებოდა წლები, ჩემთვისო, ამბობს ის, ეს იყო ურთულესი ძიება, მისი შედეგები ასახულია წიგნებში: **„ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში“, „არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“, „იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, ასევე „საეკლესიო რუკების ატლასში“.**

აღსანიშნავია, რომ მეუფის კვლევები ძალზე აღიზიანებდა ზოგიერთ გამოჩენილ პიროვნებას, ასევე ზოგიერთ ისტორიკოსს, ფილოლოგს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს მიმართ (1 ათასწლეულის შესახებ) მათი კვლევებიც ბათილდებოდა და საეჭვო ხდებოდა, მეორე მხრივ კი მეუფის კვლევები სრულიად ეთანადებოთ ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებს, საეკლესიო კრებების (მაგალითად, რუის-ურბნისის) სულისკვეთებას, რაც მთავარია მისი კვლევები ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას ამყარებდა.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო მისი უწმიდესობის ყურადღება და მფარველობა, რადგანაც აღნიშნული პირები ჯგუფური დელეგაციების სახით ჩიოდნენ პატრიარქთან, რათა მეუფეს შეეწყვიტა კვლევები.

მისმა უწმიდესობამ კი თავისი მაღალი ხედვით, არწივის მზერით შეაფასა ვითარება და გამოსცა მეუფის მხარდასაჭერი დადგენილებები, ასევე ისინი მიაღებინა წმიდა სინოდს.

ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხების რკვევას მისმა უწმიდესობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 2006 წლიდან.

1. 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სამწუხაროდ ვერ აცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საისტორიო მეცნიერებაში დანერგილ თეორიას, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის მთლიანობა და მისი უფლებები საქართველოს მიწა-წყალზე საეჭვოდ ჩანდა. ამასთან დაკავშირებით ილია II წერს: „წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა. ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა“ – წერს უწმიდესი პატრიარქი 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში.

2. შექმნილი პრობლემების აღმოაფხვრელად, უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ თავისი **2009** წლის 10 ივლისის N 76 ბრძანებით დაარსა **„საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია“ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მეთაურობით.**

2009 წლის 76-ე ბრძანებაში უწმიდესი პატრიარქი ბრძანებს – „მე-19, მე-20 საუკუნეებში საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები, ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით.

3. 2011 წ. ილია მეორის თავმჯდომარეობით შემუშავდა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილება მიტროპოლიტ ანანიას ხელმძღვანელობით ისტორიკოსთა სამეცნიერო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ.

2011 წლის 20 დეკემბრის წმიდა სინოდის დადგენილება თავის 2.დ. მუხლში აღნიშნავს –

„საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება, შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის ***მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე)*** *ხელმძღვანელობით“.*

ეს ფაქტი მან რამდენიმე თვის შემდეგ საგანგებოდ მოიხსენია თავის საშობაო 2011 წლის ეპისტოლეშია

4. 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმიდესი პატრიარქი აღნიშნავს:

„ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება).

ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა“.

5. საკითხის სიმძაფრის გამო უწმიდესმა პატრიარქმა საჭიროდ მიიჩნია, რათა ეს საკითხი განეხილა მომდევნო წლის სინოდის სხდომას, კერძოდ, 2012 წლის 5 ივლისს წმ. სინოდის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის მე-6 მუხლი აღნიშნავს –

„წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის ***მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე)*** *მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, – კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ*

საქართველო IV–X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა,“ ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”. (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545–546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო „ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ.” (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.)“

ასე, რომ მეუფის სამეცნიერო მიმართულების მხარდასაჭერად უწმიდესმა მრავალი დადგენილება გამოსცა.

უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ მუეფის 40 წლიანი შრომა დადებითად შეაფასა უწმიდესმა პატრიარქმა და 2019 წელს განაცხადა – „მიტროპოლიტმა ანანიამ ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა, რომ **მის მიერ გაწეულია უზარმაზარი შრომა და ჩაყრილია ღრმა ფუნდამენტი“.**

უწმიდესის გზავნილი –

6. <u>**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი**</u>

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) გულითადად ვულოცავთ დაბადების 70 წლითავს

მან ეკლესიური ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც მორწმუნეთა რიცხვი მეტად მცირე იყო და ინტელიგენციაც ათეისტური აზროვნების ტყვეობაში იმყოფებოდა.

*ყველამ იცის, რომ სულიერი მოღვაწეობის გარდა, **მეუფე ანანია თავიდანვე გამოირჩეოდა საქართველოს ისტორიის, ჩვენი წარსულის ძიების დაუცხრომელი სურვილით** და ამ მიმართულებით არაერთი წიგნი დაბეჭდა.*

*შეიძლება ითქვა, **იგი იმ პირველთაგანია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ დაკნინებულ მიმართულებას პროტესტი გამოუცხადა და ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა.***

*რა თქმა უნდა, ზოგიერთი პოზიცია შეიძლება აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, მაგრამ მთავარია, რომ **მის მიერ გაწეულია უზარმაზარი შრომა და ჩაყრილია ღრმა ფუნდამენტი** მომავალ მკვლევართათვის, ამასთან მისი*

ნაშრომები განმსჭვალულია ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის რეალური სურათის აღდგენის დიდი სურვილით.

ღმერთმა დალოცოს მეუფე ანანია და მრავალჟამიერ დაუღალავად მოღვაწეობისათვის ღვთისა და ქვეყნის სამსახურად

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

ესაა ერთგვარი შეფასება ხანგრძლივი შრომისა.
აღნიშნული სულისკვეთებითაა დაწერილი სხვა ტომები.
მათ შესახებ მეუფე წერს –

მე-5 ტომის სახელია – „არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“

ის შეეხება იმ ქართული საეპისკოპოსოების ისტორიას, რომელთა სამრევლოები მდებარეობდნენ ამჟამინდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისტორიული ივერიის სამხრეთ ნაწილში მდინარე არაქსიდან ვიდრე კლარ-ჯეთამდე. აქ მე-10 საუკუნისათვის არსებობდა ქართული ე.წ. „აღმოსავლეთის საკათალიკოსო“, ტაო მის ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა მის იურისდიქციაში შედიოდა ანისის, ვალაშკერტის, ყარსის (კარის), დადაშენის, არზრუმისა და სხვა ქართული საეპისკოპოსოები.

ჯერ კიდევ 1906 წელს რუსეთის სინოდში წარდგენილ მოხსენებაში კირიონ მეორე მიუთითებდა, რომ ეფრემ მცირესა და სხვათა ცნობები ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ეხება არა მცხეთის ივერიის ეკლესიას, რომელიც მუდამ ავტოკეფალური იყო, არამედ, „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავალის“ („აღმოსავლეთის“) საკათალიკოსოს. მან მე-8 საუკუნის შემდეგ ანტიოქიისაგან მოიპოვა ავტოკეფალია, ხოლო იერუსალიმის საპატრიარქოსაგან მირონის ადგილზე (ქართლში) კურთხევის უფლება, რადგანაც „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. მირონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მირონის კურთხევის უფლება ამ დროს მოიპოვა არა მცხეთის საკათალიკოსომ, არამედ „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავალის“ საკათალიკოსომ. მცხეთას ეს დასტური არ ესაჭიროებოდა, რადგანაც მე-4 საუკუნის დასაწყისიდან მირონი გადაჭრილი სვეტიცხოვლიდან გადმოედინებოდა, ხოლო მე-5 ს. ქართლის მეფე არჩილის დროს, წყაროს ცნობით, მცხეთის ქართლში ადგილზევე აკურთხებდნენ მირონს (არჩილ I – **ქართლის** მეფე V საუკუნის 20–30-იან წლებში).

ტაოს სამეფოს „ქართველთა სამეფო“ ერქვა, ის „ყოველი ქართლის“ ერთი ნაწილი იყო, და აქ, მე-8 საუკუნედან, ქართული ენით აღესრულებოდა წირვა-ლოცვა ქართველი მრევლისათვის. ის იბერების ისტორიული ქვეყნის

ნაწილი იყო, ამიტომაც ტაოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ბიზანტიამ აქ დააარსა „იბერიის თემი“ ანუ „ფემა ივერია“, ცენტრებით ანისსა და არზრუმში.

მეუფე ანანიას კვლევით, **არიან-ქართლი“ ეწოდება ტერიტორიას - არაქსის ხეობიდან და ვანის ტბიდან ვიდრე კლარჯეთის ჩათვლით.**

„არიან ქართლსა“ და იქაურ ქართველობას მძიმე ბედი ჰქონდა, მისი შემადგენელი ნაწილები იყო სტრაბონის მიერ ნახსენები ხორძენე, გოგარენე და პარიადრე, კარენიტთან ერთად, რომელიც არმენიამ იბერებისაგან და ხალიბებისაგან მიიტაცა ქრისტეშობამდე მეორე საუკუნეში (სტრაბონი, გეოგრაფია, XI,14,15). ჩვენ მას ვუწოდებთ სამხრეთის ივერიას, მის შემადგენლობაში შედიოდა აღნიშნული ტერიტორია, (არაქსიდან კლარჯეთის ჩათვლით, არზრუმის ოლქი ყოფილი კარენიტია). მართალია ეს მიწა-წყალი არმენიამ მიიტაცა, მაგრამ აქ ივერები ძველებურადვე აგრძელებდნენ ცხოვრებას, და, იქ, უკვე არმენიად სახელდებულ ისტორიულ იბერიაში, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა მკვიდრი ივერების ანუ ქართველების არმენიზაციის გამალებული პროცესი, მიტაცების შემდეგ, იქ ქართული ენა აკრძალული იყო, დაფარულად მოსახმარი, რადგანაც აქ ადმინისტრაციისა და ეკლესიის ენა იყო სომხური. ამიტომაც წერს ამ (ტაო-ბასიან-კარინის) რეგიონიდან გამოსული, ჩანს VI–VII საუკუნეების თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – „დამარხულ არს ენა ქართული... და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე..და ესე ენაი...მდაბალი და დაწუნებული“.

ამ ეპოქაში მცხეთის იბერიაში ქართული ენა საეკლესიო ენა იყო, ამიტომ ამ თხზულებაში, აღიწერება არა მცხეთის ქართლში, არამედ სამხრეთის ქართლში ანუ სამხრეთის ივერიაში ქართული ენის „დაწუნება, დამდაბლება“, დაფარულად მისი მოხმარება ანუ „დამარხვა“.

არმენიის მიერ დაპყრობის შემდეგ, ამ რეგიონში, ქართული ენის ადგილი საზოგადოებრივ ასპარეზზე სომხურმა დაიჭირა. აქაური ივერები მე-8 საუკუნემდე სომხური ეკლესიის წევრები იყვნენ, სომხური საეკლესიო ენით, მხოლოდ შინაობაში ანუ „ფარულად“ თუ მოიხმარდნენ ქართულ ენას.

საბედნიეროდ, ვითარება შეიცვალა მე-8 საუკუნეში. 726 წლის მანასკერტის კრებაზე სომხური ეკლესია საბოლოოდ და მტკიცედ მიემხრო მონოფიზიტობას, კრებამ დაავალდებულა სომხური მოსახლეობა არაქალკედონური აღმსარებლობისა ყოფილიყო, კრების ამ დადგენილებას მხარი არ დაუჭირა არმენიის აღნიშნულმა ქართულმა მოსახლეობამ, არმენიის ივერებმა, რომლის ძირითადი ბირთვი ტაოში ცხოვრობდა.

780 წლის შემდეგ არმენიის ქართველობამ უკვე დაუფარავად მხარი დაუჭირა ქალკედონურ აღმსარებლობას, ეკლესიებში აღიდგინა ქართულენოვანი წირვა ლოცვა.

იმდენად აღმაფრთოვანებელი იყო ეს ფაქტი, რომ აქაურმა ქართველობამ საკუთარი, ტაოს სამეფო დააარსა, რომელსაც, როგორც ითქვა „ქართველთა სამეფო“ ერქვა, მალე აქაურმა ქართველებმა მისი საზღვარი გააფართოვეს კლარჯეთიდან ვანის ტბამდე.

იქამდე დაფარული, დამდაბლებული და დაწუნებული ქართული ენა IX–X საუკუნეებში ტაოსა და სამხრეთის ივერიაში გადაიქცა ადმინისტრაციის, ეკლესიის, კულტურისა და განათლების ენად, შეწყდა ქართველთა არმენიზაცია, აქაური ქართველობა მასიურად დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას.

ტაოს სამეფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ადგილობრივი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული „აღმოსავალის საკათალიკოსო“, რომელმაც ანტიოქიისაგან ავტოკეფალია, ხოლო იერუსალიმისაგან, როგორც ითქვა, მირონის ადგილზე კურთხევის უფლება მოიპოვა, ეს და სხვა მრავალი საკითხია განხილული მე-5 ტომში.

წინა ტომებში მივიჩნევდი, რომ „აღმოსავალის საკათალიკოსო“ ერქვა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ეს აზრი უარვყავი დაახლოებით 2012 წლის შემდეგ, და ამჟამად მივიჩნევ, რომ „აღმოსავალის საკათალიკოსო“ ერქვა სამხრეთ ივერიაში IX–X საუკუნეებში არსებულ ქართულ საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულს, ის გაქრა ტაოს სამეფოსთან ერთად ბასილი ბულგართმმუსვრელის ივერიაში (ტაო-ბასიანში) ლაშქრობის შემდეგ.

ყოფილი ქართველთა სამეფოს ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიამ თავისი ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ დააარსა. იბერიის თემში ზაქარია ვალაშკერტელისა და სხვა დიდი მამების ბრძოლის მიუხედავად, ბიზანტია დევნიდა ქართულენოვან ეკლესიას. ამის შემდეგ იქაური ქართველობის ერთი ნაწილი ბერძნული ეკლესიის მრევლად იქცა (მათ შეადგინეს ე.წ. „სომეხ ქალკედონიტთა“ მნიშვნელოვანი ნაწილი), ხოლო მეორე დიდი ნაწილი ივერებისა, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის დაარსების შემდეგ, კვლავ სომხური ეკლესიის მრევლად იქცა, ისინი გააწევრიანეს ოსმალეთის „სომხურ მილეთში“, დაუქვემდებარეს კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს. საბოლოოდ „სომხური მილეთის“ ყოფილი ქართველობა, უფრო არზრუმ-არტაან-ყარსის მკვიდრი მოსახლეობა, საბოლოოდ გასომხდა, შემდეგში ის ძირითადად შეეწირა 1915 წლის ე.წ. გენოციდს, იქამდე, მე-19 ს. დასაწყისში, ერთი უკვე არმენიზებული ნაწილი ყოფილი ქართველებისა პასკევიჩმა საქართველოს სამხრეთ რეგიონებში ჩაასახლა.

მე-6 ტომის სახელია – „ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში“. საბჭოთა ეპოქაში გავრცელდა უსაფუძვლო თეორია, თითქოსდა ლაზები VII საუკუნის შემდეგ დასავლეთ საქართველოდან გადასახლდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. სინამდვილეში, როგორც წყაროების ანალიზი აჩვენებს ლაზები ამ (ტრაპეზუნტის) რეგიონის მკვიდრი იგივე ქალდეები არიან.

სტრაბონის ცნობით ქალდებს (ხალიბებს) ასევე უწოდებდნენ „ალაზონებს“, საიდანაც წარმოდგა პონტოსპირეთისა და მისი მოსახლეობის სახელი „ლაზონია“, „ლაზი“.

უწმიდესი პატრიარქი ილია II, აღნიშნავს, რომ „ქალდი“ საერთო ქართულ სამყაროს, კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა. ივ. ჯავახიშვილის კვლევით ქალდეა არა მხოლოდ ლაზების, არამედ ყველა ქართული ტომის

სამშობლო იყო. ქართული ტომების ეს მიწა-წყალი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ეკლესიურად აქ, ქალდეა-ლაზიკაში, ჩამოყალიბდა ფასიდის ეპარქიის პეტრას, როდოპოლისის, ზიგანასა და საისინის საეპისკოპოსოები, ხოლო რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ის გაქრისტიანების შემდეგ, IV საუკუნიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ფასიდის ეპარქიის ძირითადი ნაწილი არა დასავლეთ საქართველოში, არამედ აღნიშნულ ქალდეა-ლაზიკაში (ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლის შემაერთებელ გზაზე) მდებარეობდა.

ნაშრომი დაიწერა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სადიდებელად და ეხება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხს. აქ, მრავალ წყაროზე დაყრდნობით, მიმოხილულია, დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-ქალდეასა და საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ყოფითი და გეოგრაფიული ვითარება პირველ ათასწლეულში.

მე-7 ტომის სახელია – **„ქართველთა დენაციონალიზაცია XVII–XX საუკუნეებში (საინგილო, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, თრიალეთი, შიდა ქართლი)“.**

მის ანოტაციაში ნათქვამია**:**

„საკუთარ სახელმწიფოში ყოველი ერი მთლიანდება და ნაციად ყალიბდება, მაგრამ უსახელმწიფოებრიობის დროს პირიქით – იშლება და ნაწევრდება. მით უმეტეს, თუ ქვეყანა საუკუნეთა მანძილზეა მტრისაგან დაპყრობილი. ასეთივე ბუნებისაა, ცხადია ქართველობაც.

ჩვენი ხალხის ისტორიული მეხსიერებიდან ერთგვარად ამოვარდნილია XV–XVIII სს და ისტორიის შემეცნება ხდება ისე, თითქოსდა აყვავებული პერიოდიდან (დავით აღმაშენებლიდან და თამარიდან) – ჩვენ უცებ აღმოვჩნდით XIX ს-ში, მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ XVII–XVIII სს-ში განვითარებულმა პროცესებმა შვა ჩვენი დღევანდელი პრობლემები. XV ს-ის შემდეგ, საქართველო დაიშალა, შემდეგ მისი ყოველი ნაწილი მტერმა დაიპყრო, დაიწყო დენაციონალიზაცია ქართველი ხალხისა. ეს პროცესი საკმაოდ ღრმა იყო. ეროვნული თვითშემეცნება მხოლოდ იმ ქართველმა მართლმადიდებლებმა შეინარჩუნეს, რომელნიც საქართველოს ეკლესიის წევრები იყვნენ...

XX ს-ის 80-იანი წლების ხანმოკლე ეროვნულ კონსოლიდაციას, თან მოჰყვა ხანგრძლივი ათწლეულები ეროვნული დეზინტეგრაციისა, კუთხურობის აღორძინებისა... იმ ადამიანებს, რომელთაც იქამდე თავიანთი თავი ქართველებად ჰქონდათ იდენტიფიცირებული გაუხსენეს წინაპართა ოდინდელი „უცხო წარმომავლობა“. განსაკუთრებით კი მათ უცხოელობას, ოსობას თუ სომხობას იხსენებდნენ მათი მეზობლები, მხედრიონელთა რაზმები, მომენტით მოსარგებლე ყაჩაღები, რომელთაც დიდი ასპარეზი გადაეშალათ XX ს-ის მიწურულს. ასეთ დროს, ამ ადამიანთა დაცვა და შეხსენება მათი მეზობლებისათვის, რომ ისინი ქართველები არიან, მოწმე ვართ იმისა რომ დადებით შედეგებს იძლეოდა.

ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია-კონსოლიდაცია-გამთლიანების საქმეს. ჩვენმა ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ზოგიერთი თანაკლასელი თუ თანაჯგუფელი, რომელთაც ოსს, ან სომეხს უწოდებენ სინამდვილეში არიან იმ ქართველთა შთამომავლები, რომელნიც XVII–XIX სს-ში დენაციონალიზაციის პროცესის მსხვერპლნი იყვნენ. ეს ცოდნა მათ ალბათ მეტ ტოლერანტობას შესძენს.

ნაშრომი დაბეჭდილი იყო სხვადასხვა წლებში, ამჟამად ერთწიგნად შეკრებილს, უცვლელი სახით ვაწოდებთ მკითხველს.

მე-8 ტომი – „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული (სამართალი, კანონები, დადგენილებები)

მის ანოტაციაში ნათქვამია:

„საქართველოს ეკლესიაში მოძღვრების, მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს (საეკლესიო კრებას), მისი ზრუნვის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს „საეკლესიო კანონების კრებულის, სასულიერო და საერო სასწავლებლების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის“ გამოცემა (1995 წლის საეკლესიო კრების დებულება, თავი II, $20).

ამ მუხლის აღსასრულებლად გაწეულ ნაშრომს წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები).

ნაშრომში ერთადაა თავმოყრილი და განხილული IV–XX საუკუნეთა საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი.

განხილულ 15 საკანონმდებლო და 50-ზე მეტ მიმდინარე კრების ანალიზს თან ერთვის კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები, ამიტომაც ნაშრომი, ამასთანავე, წარმოადგენს საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულს, რომელიც ესაჭიროება როგორც სასულიერო პირებსა და მართლმადიდებელ მრევლს, ასევე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარებს. ეს წიგნი, სახელწოდებით „საქართველოს საეკლესიო კრებები“, 2003 წლიდან წარმოადგენს სახელმძღვანელოს სასულიერო აკადემიაში“.

მე-9 ტომი: „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში“ (დაღესტანი, ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, დურძუკეთი, ჩრდილოკავკასიის სვანეთი, ოსეთი, ქისტეთი, ალბანეთი)“

მის ანოტაციაში ნათქვამია:

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში“ სიახლეა იმ მხრივ, რომ პირველად ხდება ჩვენს საეკლესიო ისტორიოგრაფიაში განზოგადებული გამოკვლევა ამ მნიშვნელოვანი თემისა, მაშინ როცა, როგორც მრავალი რუსი მეცნიერი, ასევე განსაკუთრებით დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ოსი, ყარაჩაელი, ბალყარელი, აფხაზი, აზერბაიჯანელი და სხვა მკვლევარები ინტენსიურად იკვლევენ ამ სა-

კითხს, სამწუხაროდ – ძირითადად, შეიძლება ითქვას, ძალზე მიკერძოებით და ტენდენციურად.

მეუფე ანანიას ნაშრომი ეფუძნება ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, საინტერნეტო მასალას, ჩრდილო კავკასიაში შემორჩენილ ფაქტებს ქართული კულტურისა და სხვა.

მისი საბოლოო დასკვნით, მართლდებიან ქართული წყაროები, რომელთა მიხედვითაც, ჩრდილო კავკასიაში თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესიაში შემავალი აფხაზეთის, ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა თემურ ლენგის შემოსევამდე, და ნაწილობრივ, მის შემდეგაც, წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მრევლს, რომელიც აგებდა მრავალ ეკლესიასა და ჯვარ-ხატთა ნიშებს, სადაც აღესრულებოდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვები, საჭიროების დროს კი, ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები თავიანთ საუკეთესო შვილებს ომებში აგზავნდნენ სამშობლოს – საქართველოს დასაცავად“.

ამ ნაშრომის მტკიცებით თემურლენგის შემოსევამდე ჩრდილო კავკასია დასახლებული იყო ქართველებითა და ქართველთა მონათესავე ხალხებით, იქამდე ქრისტიანები, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, აქ საქართველოს ეკლესიას გააჩნდა საკუთარი ქართულენოვანი „ხუნძეთის საკათალიკოსო“, ანწუხის საეპისკოპოსო, ქურმუხის სამთავარეპისკოპოსო, სასულიერო სასწავლებლები, ტაძრები და სამრევლოები, სადაც ქართულ ენაზე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა.

მე-10 ტომის სახელია: **„ალბანეთი (ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში)“**.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი – იკვლევს საერთაშორისო წრეებში ერთ-ერთ სადავო საკითხს ჩვენი საეკლესიო იურისდიქციის შესახებ. ამჟამად აღიარებული, თუმცა არასწორი მტკიცებით – კახეთის სამხრეთი ნაწილი – გურჯაანი, საინგილო, დავით გარეჯა და თვით ბოდბეც კი, თითქოსდა, ისტორიულად, ალბანეთის საკათალიკოსოში შედიოდა და მხოლოდ მე-10 საუკუნის შემდეგ გადავიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. შესაბამისად, უცხო მხარეს გაუჩნდა პრეტენზია აქაური უძველესი ქართული ეკლესია მონასტრებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ნაშრომში გარკვეულია, რომ სინამდვილეში, ისტორიული ჰერეთი, რომელსაც ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებენ, თავდაპირველად კახეთს ესაზღვრებოდა მდ. გიშისწყალთან (ზოჯერ კი იქვე გამდინარე მდ. ალიჯანჩაისთან). ჰერეთი დიდი ქვეყანა იყო, გადაშლილი აღნიშნული მდინარეებიდან ვიდრე მდ. აღსუმდე და ძირითადად დასახლებული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით (ჰერებით). მას ასევე შაქის სამეფოსაც უწოდებენ. მისი (ანუ „შაქის ჰერეთის“) საზღვრები გაიზარდა მხოლოდ მე-9 საუკუნეში, როცა მისმა მონოფიზიტმა მმართველმა საჰლ სმბატიანმა არანის (რანის) დაპყრობის შემდეგ არაბთა ხელშეწყობით ასევე შეძლო სამხრეთ კახეთის დაპყრობა გავაზის ხა-

ზამდე. ამის შემდეგ ეწოდა ისტორიული კახეთის ამ ნაწილს სახელი – „ჰერეთი“. სამხრეთ კახეთის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ კახეთის ქორ-ეპისკოპოსები და აფხაზთა მეფეები. მხოლოდ წმ. დედოფალ დინარას დროს (მე-10 ს.) დაუბრუნდა შაქის ჰერეთი მართლმადიდებელ სარწმუნოებას. იმის გამო, რომ ჰერეთი გიშისწყლიდან მდ. აღსუმდე (თეთრწყლამდე) დასახლე-ბული იყო ქართულენოვანი მოსახლეობით, მას უცხოელები ივერიის ნაწი-ლად მოიაზრებდნენ, ამიტომაც მის დედოფალს წმ. დინარას რუსული წყა-როები „ივერიის დედოფალს“ უწოდებდნენ.

მარიამ ოკრიბელაშვილი

17.01.2020

სარჩევი

შესავალი 3

ნაწილი პირველი

ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიული არეალი ჩრდილოეთ კავკასიაში, წყაროები და ლიტერატურა 11
ქრისტიანობა ჩრდილო კავკასიაში 11
საქართველოს ეკლესია 26
აფხაზეთის საკათალიკოსო 35
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია 55
ჩრდილო კავკასიის ქართული სამფლობელოები რუსეთის იმპერიის დიდი გერბის მიხედვით 61
სტრაბონი და იოანე ცეცე ქართულ – კავკასიური ერთიანი ეთნიკური ველის შესახებ 66
ვ. მილერი ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმოშობის შესახებ 72
მიმოხილვა თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნისა 75
ლიტერატურის მიმოხილვა 95
კულტურა და ყოფა კავკასიის ხალხებისა მე-7, მე-9 სს. 97
ზოგიერთი გამოკვლევა ჩრდილო კავკასიის საეკლესიო იურისდიქციის შესახებ 117
მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ გედეონის ნაშრომი ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ 122
ნ. მაისურაძის ნაშრომი „კავკასიის საერთო მუსიკალური კულტურა“ 146
ვ. კუზმინის ნაშრომი „ჩრდილოეთ კავკასიის ძველი ქრისტიანული ტაძრები, რესტავრატორის ჩანაწერები“ 147

ნაწილი მეორე

აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში 154

თავი პირველი

ალანია (სტეპების ალანია და კავკასიის ალანია) 154
სტეპების ალანია 154
ალანია და ლაზიკა ნოტიციათა მიხედვით 158
ნოტიციათა რუკები VI–X სს. (ნოტიციები, ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები) 160
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია 174

ალანიის ეპარქიის ლოკალიზაციისათვის 180
ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის
პატრიარქს 187
სოტირიუპოლი – კათედრა ალანიის ეპარქიისა 198
სოტირიუპოლი (სოტიროპოლი, სოტირუპოლი) 201
მომთაბარე ალანების ტერიტორიები 204
„ალანები გაფანტულად ცხოვრობდნენ“ 204
მიზეზი სოტირიუპოლში ალანიის კათედრის დაარსებისა და მარიამ
ალანელის ღვაწლი 205
მარია ალანელი 208
ალანიის ეპარქია დონისსტეპებში 209
ქართული იურისდიქციის აღდგენა სოტირიოპოლში 211
კავკასიის ალანია 219
„აფხაზეთის „ალანია“ 219
პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს 222
კავკასიის ალანიისა და აფხაზეთის ურთიერთობა 230
„კავკასიის ალანია“ ცხუმის საერისთავოს შემადგენლობაში 236
ბიჭვინთის კათედრა აფხაზეთის (კავკასიის) ალანიასთან
(ანაკოფია-ალანია) 245
კავკასიის ალანია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში..... 248
ქართველი მეფის ალანი მეუღლე 249
„ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ 250
თურქულენოვანი ქრისტიანი ალანები..... 252
ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ იოანე ცეცეს ალანური
ფრაზა – თურქულია..... 257
ზელენჯუკის წარწერა..... 258
ალანია – რუსულ საინტერნეტო სივრცეში 260
დასკვნა 267

თავი მეორე

ადიღე 268
ადიღე ხალხის დასახლება ჩრდილო კავკასიასა და აფხაზეთში 268
ადიღეველთა ურდოს დამფუძნებელი ოქროს ურდოს მმართველი (ტემნიკი)
ედიგეი (ადიგე) (1352-1419) 268
ადიღე ხალხის წარმოშობა 270
ორი ტიუმენი (ციმბირისა და კავკასიის ტიუმენი) 274
კავკასიის ტიუმენი 275
ნოღაისა და ადიღეს ურდოს მომთაბარეობა (ციმბირიდან კავკასიამდე) 276
ადიღები..... 279
ადიღების წინაპრები 282
„აფხაზურ“–ადიღეური ენები 287

ზიხიას ეპარქია....293
ნიკოფსიის კათედრა 295
ტამატარხას ეპარქია 297
გოთიისა და ალანიის ეპარქიები – ყირიმიდან ვოლგამდე....300
ჯიქები....301
სინო -კავკასიური ენები 302
ეთნონიმი ადიღე....306
ეთნონიმი ჩერქეზი 307
ზოგიერთი ეთნონიმი ჩრდილოეთ კავკასიაში 308
„მოკლა თოხთამიში და დაჯდა მის ურდოზე“(ედიგეის ურდო ანუ ადიღე ხალხი)....312
ადიღების ჩასახლება აფხაზეთში 316
ადიღები და აფხაზეთი 316
შესავალი....316
ლევან II დადიანის სამთავროს განადგურება სამეგრელოში ჩასახლებული მთიელი ადიღე-ჩერქეზული, ანუ აფსუა ტომების მიერ....317
ჩერქეზულ–ადიღეური ტომების შემოტევა ზღვისპირეთში 322
ადიღე-ჩერქეზების (აფსუების) დასახლება სამეგრელოში (ამჟამინდელ გულრიფში-ოჩამჩირე-გალის რაიონებში) 324
სარწმუნოების შერყევა ახალ აფხაზეთში....324
ნ. ბერძენიშვილი „ახალი აფხაზების“ შესახებ....326
აფსართა ენა და ცნობები ახალი აფხაზების შესახებ....329
გადმოცემები და წყაროები ადიღეელ ტომთა აფხაზეთში ჩასახლების შესახებ 333
ევროპელი მოგზაურები გამბა და სპენსერი ახალი აფხაზების ადიღეველობის შესახებ....337
გააფხაზებულთა გვარები....340
„აფხაზების“ საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაში....348
გ. გასვიანი აფხაზეთის შესახებ....354
„ყვა“ და „ფსა“ ს. ჯანაშიას მიხედვით....364
ძველი კოლხიდის მკვიდრი მოსახლეობა რუსული და სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მიხედვით 365
აფსუები („აფხაზები“) ჩრდილო კავკასიაში ადიღების გვერდით....367
აფსუების გადაადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 368
ისტორიულ სამეგრელოში ადიღების ჩასახლება 368
სამეგრელო ადიღე-აფსუათა შემოსევის წინ, არქანჯელო ლამბერტის აღწერით 368
თავდაცვითი ბრძოლები ადიღებთან „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ..“....383
ადიღეთა შემოსევის შედეგად დამცრობილი სამეგრელო რუსეთის გაბატონების წინ 389
დასკვნა 396

თავი III

ყარაჩაი-სვანეთი....398
ლიტერატურა 398
თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომი –„ქართული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში“ 402
ქართული საეკლესიო მრევლი (სვანები) ჩრდილო- დასავლეთ კავკასიაში....405
როზეტა გუჯეჯიანის ნაშრომი - ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში 409
ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიიდან, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი მ. ფირცხელანი (ხელნაწერი) 415
თორნიკე დიასამიძის ნაშრომი – „ქართული კვალი ჩერქეზეთში X–XII საუკუნეებში“....419
ალანები, ოსები და ადიღები ჩრდილო კავკასიაში....422
სვანეთის ჩრდილო საზღვარი – დიგორხან მთავრინასა და სხვა ცნობებით 424
ხალხური პოეზია, სვანების ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების შესახებ....432
მაჰმადიან სვანთა გვარები ყაბარდო-ბალყარეთში და ადიღე-ჩერქეზეთში თ. მიბჩუანის მიხედვით....436
ბალყარეთ – სვანეთი....443
მუსულმანი სვანი-ბალყარელები სოციალურ ქსელში 449
დასკვნა 449

თავი IV

ზელენჯუკ-არხიზის, სენტისა და შუანას ტაძრები....450
ლიტერატურა 450
რუსული მონასტრები ზელენჯუკ-სენტ-შოანას (შუანას) ეკლესიებთან....454
არხიზ-ზელენჯუ-სენტ-შოანას ტაძრები რუსულ საინტერნეტო სივრცეში 460
ალან მეფეთა მიერ ბიზანტიელ სასულიეროთა განდევნა 468
არხიზი ქართული ჯვრები მოსკოვის მუზეუმში 472
სენტის ტაძარი....472
სენტის ტაძრის გოლგოთიანი ჯვრები და მისი მრავალფენოვანი მოხატულობა....474
ბერძნული საქტიტორო წარწერა სენტის ტაძარში 483
შოანას ეკლესიის ქართული ნაკვალევის განადგურება მე-20 ს.-ში 489
დასკვნა 490

ნაწილი მესამე

ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში (ოსეთი, დურძუკეთი, დაღესტან-ალბანეთი) 492

თავი პირველი

ოსეთი 492
ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთის შესახებ 492
ჩრდილოკავკასიის ეთნიკური სახე ვახუშტის მიხედვით 492
ვახუშტი „ახალი ოსეთის“ შესახებ 497
თემურ ლენგის ლაშქრობა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში ვახუშტის მიხედვით 502
ლიტერატურა 508
გ. ღამბაშიძის ნაშრომი – „ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში“ 508
ვ. დოლიძის ნაშრომი „ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი“ 515
ა. ვოლსკაიას ნაშრომი „კედლის მხატვრობის ფრაგმენტები“ „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაძარში 515
ვ. გამრეკელის ნაშრომი „ისტორიული მასალები დვალეთიდან“ 516
ვ. დოლიძის ნაშრომი – თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი 521
ხუცაუ–ძუარი („ღვთაების სამლოცველო“) 522
ნუზალის სამლოცველო 522
ზრუგის ეკლესია 524
ქართველთა გაოსება 526
შესავალი 526
ოსი ხალხის ჩამოყალიბება 531
„ოსები – ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრე ხალხი“ 531
ოსეთის სამეფო 536
დვალების სარწმუნოება და მათი გაოსება ვახუშტის მიხედვით 543
ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული დვალების გაოსება 556
მთიელ ქართველთა გაოსება 559
გაოსების რელიგიური მომენტი 571
ხიზნები და ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში 579
ქართული წარმომავლობა სამხრეთ ოსური გვარებისა 596
ადგილობრივთა ასიმილირების ე.წ. ოსური ხერხი 621
იოანე იალღუზის ძე 622
იოანე მანგლელის სამისიონერო მოღვაწეობა 626
ოსეთის კომისიის მუშაობის შედეგი ქართლის მთიანეთში 635
რუსი მკვლევარი ოსებისა და ალანების სხვადასხვაობის შესახებ 638
დასკვნა 640

თავი II

ფხოვი, დურძუკები და ქისტები 641
ლიტერატურა 641
გივი ღამბაშიძის ნაშრომი „ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში“ 641
ანზორ ქალდანის ნაშრომი „ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში“ 645
ხვთისო მამისმედაშვილის ნაშრომი - „ქისტები პანკისში ჩამოსახლებამდე და მათი მიგრაციის მიზეზები“ 650
ინგუშეთის ეკლესიები რუსი მკვლევარის თვალით 679
ინგუშეთის დელიტეს ტაძრის გოლგოთიანი ჯვრები 683
მაღი - იერდი 686
ასას და ღულის ხეობები ლევან ზვიადაურის ეთნოგრაფიული წერილების (2000 წ.) მიხედვით 687
ლევან ზვიადაურის წერილები 689
ათენგენობის საფუძველი 694
გოლგოთიანი (ფეხიანი) ჯვრები ისტორიული ფხოვის საბრძოლო კოშკებზე (ჩეჩნეთსა და ინგუშეთში) 699
ჯელთები 705
ქისტები (ქრისტიანები) და ჯელთები 713
ქისტების გამაჰმადიანება XX ს-ის საქართველოში 716
ქრისტიანული ნიშნების მქონე თავდაცვითი ზოლი ინგუშეთ – ჩეჩნეთის მთებში 725
რუსული ეკლესიის მუშაობის ზოგიერთი შედეგი ვაინახთა შორის 732
დასკვნა 738

ნაწილი მესამე

ხუნძეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში 739

თავი I

დაღესტანი 739
ლიტერატურა 746
პატიმატ ტახნაევას ნაკვლევი დაღესტანში (ავარეთში) ქრისტიანობის შესახებ 746
ტოგო გუდავას ნაშრომი „ორი წარწერა (ქართული და ქართულ – ხუნძური) დაღესტნიდან“ 748
მ. დათუკიშვილი (შორეთელი) „ლტოლვილთა ლაშქარი“ 752

საქართველოს კათალიკოსი ჩრდილო კავკასიასა (ჩეჩნეთ-დაღესტანსა) და შაქ-შირვანში 753
ქართლის კათალიკოსის სამწყსო ჩრდილო კავკასიაში ქართლის ცხოვრების ჩანართის მიხედვით 769
წმ. არჩილ მეფის მიერ ნაგები ეკლესიები დასავლეთ დაღესტანში (კახეთის მთიულეთში) ხუნძეთსა და ნახჩეთში 778
„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ 779
ხუნძახის ეპარქია (გაგრძელება) 780
ქართველები დაღესტანში 782
მოსახლეობის ცვლილება დაღესტანში 786
ქართული ხელნაწერი ფურცელი დაღესტნიდან 789
დასკვნა 789

თავი II

ალბანეთი (რანი და ჰერეთი, ლფინები და ჭილბები) 790
საზღვარი ალბანეთსა და ქართლის სამეფოს შორის 790
ალბანეთის (კავკასიის) ეკლესია 804
ჰერეთი 812
გულგულა-ხალხალა პუნქტი კახეთ-ჰერეთის (იბერია-ალბანეთის) საზღვართან 818
ქართიზაციის თეორიის შედეგი 821
დასკვნა 825
შეჯამება 826
საქართველოს სახელმწიფოს დამცავი ციხე-სიმაგრეთა კედელი („ზღუდე“) ჩრდილო კავკასიაში 826
„ტყვეთა სყიდვა“ 833
ქართველ ეპისკოპოსთა მოწამეობრივი ღვაწლი ჩრდილო კავკასიის სამწყსოს დაცვისას 839
ეპისკოპოსების მონაწილეობა ჯიქეთის ომში 839
ეპისკოპოსების მონაწილეობა დიდოეთის მრევლის დასაცავად გამართულ ომში 842
„კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი 845
დასკვნა 851
დამატება ათტომეულის განმარტება 878
სარჩევი 894